ტარიელ ორველაშვილი

ყვავილს წილი

თბილისი 2009

რედაქტორი და კორექტორი:
გიორგი აგლაძე

მხატვარი: ნანა ბაწელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
სოფიო ორველაშვილი

დაკაბადონდა და გამოიცა
ი/ს „ვექტორში"

ISBN 978 - 9941 - 0 - 1003 -3

რომანი მოიცავს 90 - იანი წლების ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, არა რომელიმე კონკრეტულ ქალაქში, არაძველ ზოგადად საქართველოში. მასში მოცემულია ხალხის ცხოვრებასთან ჭიდილი და გაძოსაგლის ძიება, მათი ყოველდღიური ფიქრები და განცდები.

რომანის პერსონაჟები არ არიან რეალობიდან ალებული კონკრეტული პირები, ისინი წარმოადგენენ ზოგად ცხოვრებისეულ ფსიქოტიპებს, რომლებიც თითქმის ყველგან გვხვდებიან. ამაევ დროს, მთავარი მოქმედი პირები მისტიკურ პერსონაჟებსაც წარმოადგენენ. რომანში შესაძლებლობის მიხედვით ნაჩვენებია შაი, — უარყოფითი საზოგადოებრივი ცნობიერება და მისი შედეგები. ამასთან ერთად არის ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ძალლობები ფსიქოფალოსოფიური და მისტიკური მინიშნებებით. რომანში აგრეთვე არის, ფართო მასებისათვის დღემდე უცნობი, მცირე ეზოთერიკული ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია საძიებელად საქართველოსთვის და არა მარტო მისთვის. ძალიანობში რომანი ნებისმიერი კატეგორიის მკითხველისათვის სასარგებლოა და წაკითხვის შემთხვევაში ბევრი მისთვის სასარგებლო ცოდნის ძალება შეუძლია ამ ცნობიერების შესაცვლელად, რომელსაც კაცობრიობა დალუპვისაკენ მიაყავს.

ეს მე ვთქვი. მაგრამ მე არ მოვიგონე
დედგომის ბოლოდან წუთი მოვიპოვე.
მასაც გთავაზობთ. ეს ეს ორივეზე
ნერგს დავაკურეთ. ვალაკურეთ,
ადრე ლმერთის ცოდან წვიმა მოვიდოდეს.

თავი I

შავი ვეშაპი

შემოდგომის გრილი საღამოა... მზე რამდენიმე წუთის წინ ჩაესვენა... დადგა ჟამი დღისა და ღამის გასაყარისა. კიდევ ერთი დღე მთავრდება და იწყება ღამე. მთავრდება დღე სინათლისა, აქტიურობისა, სიცოცხლისა და გამეფდება ღამე სიბნელისა, ძილისა, დასვენებისა. კიდე ერთი ჩვეულებრივი დღე მიიბარა წარსულის მეუფემ და ჟამთა აღმწერელმა. მიიბარა თავისი სუნთქვა-ფეთქვით, სადაც ისმოდა სხვადასხვა სახის და არსის შეძახილები და გამონათქვამები: ლანძღვა-გინება, წყევლა, წუწუნი, ტირილი, სიკვდილის ნატვრა, საშველად ღმერთის მოხმობა და სხვა მსგავსი უარყოფითი ემოციების ნაყოფიერების ბგერითი გამოვლინება –გამომეტყველება. ისმოდა აგრეთვე, თუმცა იშვიათად, მხიარულების მღერა-სიცილის და მუსიკის ხმაც. ზოგჯერ დროდადრო ცეცხლსასროლი იარაღით სროლის ხმასაც გაიგონებდით.

ახლა კი, თითქმის ყველაფერი მიწყნარდა. მხოლოდ ძაღლების ყეფამ და სროლის ხმამ ცოტა მოიმატა, რასაც ალაგ-ალაგ გენერატორის ხმები დაემატა. ქუჩაში გამველელი თითქმის აღარავინ არის. თითქოს ხალხი დაიღალა და მართლა ძილისთვის ემზადება, თუმც ასე ადრე არავინ იძინებს. დაღლილობით კი უმრავლესობას არაფერი უკეთებია და რა დაღლიდა? ან იქნებ მართლაც დაიღალა, დაღლა ხომ მარტო ფიზიკური არ არის? რა სურს ამ ხალხს? რა აკეთა, რა იფიქრა, რით დაიმძიმა თავი, რით დაიღალა? აკეთა კი რაიმე სასარგებლო ვინმემ? გაიხსენა ვინმემ ილიას სიტყვები და ჰკითხა თავის თავს: „აბა დღეს მე ვის რა ვარგე“-ო? ან თუნდაც საკუთარ თავს თუ ოჯახს ბევრმა არგო რამე?

რა თქმა უნდა, არავინ ჰკითხავს თავის თავს „აბა დღეს მე ვის რა ვარგე“-ო, აი ოჯახს კი ბევრმა არგო, ბევრმა შეძლო ლუკმა პურის მიტანა, თუმცა ზოგმა ალალი შრომით, ზოგმა კი – არამით. ზოგმა მათგანმა შეიძლება სიკეთე გააკეთა, ნებით თუ უნებლიედ. ზოგნი საერთოდ არ ფიქრობენ არც დღევანდელზე და არც ხვალინდელზე. მხოლოდ სტიქიურად მოვარდნილ სიკეთეს ან „ღმერთის ჩამოგდებულს“ ელიან და სხედან ბედის ანაბარა. ზოგნი ბჭობენ თავისთვის, ხვალ რა მოიმოქმედონ, რომ ოჯახის გადასარჩენად რაიმე იშოვნონ, ზოგნი

ბეგმებს აწყობენ, კიდევ მეტი როგორ იშოვნონ და გამდიდრდნენ, თუნდაც ამისთვის სხვისის მითვისება, წართმევა, მოპარვა დასჭირდეთ... და ვინ იცის კიდევ ვინ რას ფიქრობს და რა ბეგმებს აწყობს.

დასავლეთის ვარდისფრად შეღებილი ცის ფონზე ჩიტების გუნდმა გადაიფრინა აჩქარებით. ალბათ არც ისე ახლოს იყვნენ თავიანთ ბუდეებთან და ჩქარობდნენ დაბნელებამდე მიესწროთ.

თვით ცის ეს ნაწილი კი ლამაზად მოჩანდა. ნორმალური განწყობის ადამიანში, რომელსაც შეეძლო ამ საოცარი ბუნების სილამაზის აღქმა, ეს მხიარული ვარდისფერი ცა დადებით ემოციებს აღძრავდა. ასეთ დროში კი, სადაც ხალხის უმრავლესობას უარყოფითი განცდებით ჰქონდა გული დამძიმებული, ბუნებრივი სილამაზის შემჩნევა და მისით დატკბობა არ შეეძლო. როცა საშინელი აზრქმედების შედეგად უაღრესად უიმედო ცხოვრება შეიქმნა, როცა ძნელი საპოვნელი გახდა სიწმინდე, უმანკოება, უბიწოება, ვერც შეამჩნევდა. თუ მაინც ვინმე შეხედავდა და დააკვირდებოდა, ალბათ ბევრი მათგანი საოცარ სილამაზეს კი არა, ტრაგიკულ ფონს დაინახავდა. უკვე შემუქებული ვარდისფერი, რომელიც ამჯერად სისხლის ფერს წააგავდა, ცუდ განწყობაზე მყოფ ადამიანს უფრო მეტად გაუფუჭებდა გუნებას. ალაგ-ალაგ ღია მხიარული ვარდისფერი, პატარ-პატარა ღრუბლებთან ჩამუქებულ წითელს, მეწამულისფერს ჰქმნიდა, რომელიც სევდიანს სევდას გაუღრმავებდა. თუ იმასაც გავითვალიწინებთ რომ მზის ჩასვლა, ზოგჯერ ქვეცნობიერ გრძნობებზე თითქოს რაღაც კარგის დაკარგვის ასოციაციას აღძრავს, შეიძლება, მძიმე განწყობამდეც მიეყვანა. ასეთ ფერებს ადამიანში, დაჭრილი, სისხლით მოსვრილი, წაბილწული ულამაზესი ქალის სიკვდილთან ბრძოლის და უკანასკნელად ფეთქვის შთაბეჭდილებაც შეიძლება მოეხდინა, რომელიც მალე შეწყვეტდა ფეთქვას, შეწყდებოდა მისი სიცოცხლე, გაქრებოდა მისი სილამაზე, გაქრებოდა თვითონაც და შეიძლება მოგონებებშიც აღარ დარჩენილიყო.... თუმცა მერე რა მოხდა? ბევრი სილამაზე და მშვენერება გამქრალა ამ ქვეყნად ჩვენს თვალწინ... ბევრი რამ გვინახავს ამქვეყნად, მაგრამ დღეს აღარ არის, აღარ გვახსოვს. მერე რა მოხდა თუ უმშვენიერესი იყო? ის ხომ პირველი და ერთადეროი არ ყოფილა? მერე რა, თუ აღარ არის, ჩვენც ხომ აღარ ვიქნებით რაღაც დროის შემდეგ? მერე რა მოხდა? და ასეთი მერე რა მოხდა?.. უამრავჯერ ისმის ხალხში ყოველდღიურად და ყოველ წუთს. მერე რა მოხდა, რომ მოეკალი? მერე რა მოხდა, რომ გავძარცვე? მერე რა მოხდა, რომ მოვპარე? მერე რა მოხდა რომ ვცემე? მერე რა მოხდა, რომ გავლანძღე? მერე რა მოხდა, რომ... და სხვა მრავალი მერე რა მოხდა, როცა იგი სხვას ეხება და არა მე. ტყუილად ხომ არ უთქვამთ „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო"? სამაგიეროდ არავინ ამბობს, მერე რა მოხდა, რომ მომიკლა? მერე რა მოხდა, რომ გამლანძღა? მერე რა მოხდა, რომ მცემა და სხვა.

კიდევ ერთმა დაგვიანებულმა ბუდისაკენ მიმავალმა ჩიტმა გადაიფრინა... მზის ჩასვლის შემდგომმა ნათებამ კი ცის ფონზე თანდათან უფრო მუქი და ბუნდოვანი სახე მიიღო. თანდათან სიბნელემ დაჯაბნა ნათელი...

აღმოსავლეთის ცივმა სიომ დაუბერა, ხეხილის ტოტები ნაზად შეირხა, ფოთლები აშრიალდა და რამდენიმე ნაადრევად გაყვითლებული ფოთოლი მოკრძალებული ხმაურით და ფარფატით დაეშვა ძირს.

სადღაც ახლოს, მეზობლის სახლიდან, ფანჯრის გატეხილი შუშის ნაცვლად აფარებული პოლიეთილენის შრიალის ხმა მოისმა.

აივანზე მდგარი მაგიდის ზედაპირიდან გაზეთი გასრიალდა და ძირს დაეშვა.

მაინც რა არის ეს ქვეყანა? რატომ არის ასე მოწყობილი, რომ თითქოს აუცილებელია ურთიერთ დაპირისპირება, ურთიერთჭამა და არა მარტო ცხოველთა და ფრინველთა შორის. ადამიანი ხომ ცხოველზე უფრო მაღალგონიერი არსებაა და მათ შორის მაინც რატომ უნდა იყოს ქიშპობა, მტრობა, ურთიერთ დაპირისპირება? რატომ არ ძალუძთ მათ მაინც სრული ჰარმონიული თანაცხოვრება? რატომ არის, რომ ცხოველებიანთ, სწორედაც რომ ჭამენ ურთიერთს? უმწარებენ და უმცირებენ სიცოცხლეს ერთი მეორეს? რატომ არ შეუძლიათ, რომ მშვიდად და ტკბილად, ერთიმეორის პატივისცემით და სიყვარულით იცხოვრონ? რატომ გახდნენ ასეთები, რა მოუვიდათ? იქნებ სულ ასეთები იყვნენ? არა, ასეთები რომ ყოფილიყვნენ ყოველთვის, ამ დრომდე ხომ ვერ მოაღწევდნენ, ათასწლეულებს ხომ ვერ გამოივლიდნენ, აქამდე ხომ გაწყდებოდნენ. მაშ რა მოხდა, რატომ გახდნენ ასეთები? იქნებ ეშმაკები დაეუფლნენ? თუ ასეა მაშ ღმერთი სადღაა, რატომ არ იცავს ხალხს ეშმაკებისგან? მიგვატოვა? ზურგი გვაქცია? იქნებ პირიქით, ჩვენ მივატოვეთ? იქნებ ჩვენ ვაქციეთ ზურგი და ამიტომ გაგვიწყრა? იქნებ არც გაგვიწყრა, მაგრამ ჩვენ სხვა გზასე წავედით და ღმერთი უძლური გავხადეთ ჩვენს მიმართ, რაიმე მოიმოქმედოს?

ან არის კი საერთოდ ღმერთი? იქნებ ჩვენ ვართ ეშმაკებიც და ღმერთებიც? იქნებ ღმერთის იმედი ტყუილად გვაქვს, ხსნა ჩვენშივეა ჩვენი თავისა, ვერ ვხედავ და უგუნურობა, უსუსურობა გვაფიქრებინებს ეშმაკსაც და ღმერთასაც? მაგრამ თუ აქაც ვცდებით?!

საიდანღაც შედარებით თბილმა სიომ დაუბერა. ალბათ რომელიმე მზით გამთბარი მყუდრო ადგილიდან თბილი ჰაერი აიტაცა ცივმა სიომ და შედარებით გათბა.

შემდგომ წუთებშიც ჰბერდნენ დროდადრო სიონი, რომელთა შორის ხან ცივი, ხან გრილი, ხან კი შედარებით თბილი შეიგრძნობოდა. „აზრი“ კი კვლავ აიჭრა უკვე ნანახის, გაგონილის და შესწავლილის შედეგად მიღებული მეხსიერების, შთაბეჭდილებების, გრძნობების და განცდების უსაზღვრო, მაგრამ მცირე სივრცეში. აიჭრა კვლავ საძიებლად პასუხისა კითხვაზე, რომელიც ალბათ ყოველ ადამიანს ერთხელ მაინც დაუსვამს: ვინ ვართ? რატომ ვართ? რანი ვართ? საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? სად არ იარა, რას არ მიედო, რას არ მოედო, მაგრამ დიდი ვერაფერი გაარკვია. ბოლოს კი შოთა რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის“ საწყისის ჰარმონიულ ბგერათა და აზრთა გამონათქვამის სასიამოვნო უმწიკვლო, ბავშვური ხმა შემოესმა. ასეთი აზრთა და ბგერათა ჰარმონია მართლაც იშვიათია, თანაც ნაზი ბავშვური ხმით გამოთქმული. „აზრიც“ ამ ბგერათა წყაროს საძიებლად წავიდა

იმ იმედით, რომ მართლაც გაიხარებდა, რომ სადღაც მაინც სუფევს ჰარმონიულობა. ეს ნაზი ჰარმონიული ბგერები დიდი, მაგრამ უგემოვნოდ აშენებული სახლიდან გამოდიოდა და „აზრიც" ამ სახლში შეიჭრა. იმედმა არც იქ გაუმართლა, თუმც იქ ნანახს აღარ მოსცილებია და ოთხი წელი ამ მოქმედება-მდგომარეობის არსის გაგრძელების კვალს მიჰყვა.

„რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა..
რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა. მოგვცა ქვეყანა..."

—კარგი, შე შობელძაღლო! დაიკარგე აქედან... ვაა, კოდალასავით მიკაკუნებს კაცო ტვინში, რომელმან შექმნა, რომელმან შექმნა... შექმნა და შექმნა, მე ხო არ მითხოვია, რა ვქნა, რო შექმნა, რას მაყვედრის კაცო?

—რა გინდა მამა? ზეპირად მინდა ვისწავლო, — უპასუხა საცოდავი მომტირალი ხმით შეშინებულმა გოგონამ მამას.

—წადი და სხვაგან ისწავლე, ოთახების მეტი რა არის, რას ჩამყვირიხარ ყურში!

— სად ვისწავლო? ყველგან ცივა...

—ცივა და გაჩუმდი და ეგდე აქ... მე მამისმინე, ჭკუას მაინც ისწავლი. ვეფხვისტყაოსანმა რა უნდა მოგიტანოს, მაგით იცხოვრებ?

— რა გინდა, გაუშვი, ცოდოა ბავშვი! — უთხრა დედამისმა.

—სწორეს ამბობს გიორგეიჩი. —მხარი დაუჭირა ბაზრის დირექტორმა ბავშვის მამას. —შვილი მტრულად გაზარდეო, —ნათქვამია, მოყვრად გამოგადგებაო. ეხლა საბაზრო ეკონომიკაა, ძველი დრო კი აღარ არი. ეხლა კაცი ის არის ვისაც ფული აქ.

—მაი კაცო! —გააგრძელა ისევ გიორგეიჩმა.- —მაგი მასწავლებელმა რო ზეპირად იცის „ვეფხვისტყაოსანი" და მე კიდე ერთი კუპლეტიც არ ვიცი, რაა, ჩემზე კარგა ცხოვრობს? რას ასულელებს ამ ბავშვს? იმ დღეი ჩემთან მოვიდა, — ღორის ტყავი მომეცი მუუუი გავაკეთოო, შენმა გამყიდველმა არ მომცაო. მე უთხარ: ქალო, ეგრე სად არი, მოხვედი და მაშინვე გინდა წაიღო. ოჩერედია, ოჩერედში უნდა ჩაიდგე მეთქი. თუ ჩაიდგები, სპისოკში შეგიტან და ერთ კვირაში ან ორკვირაში შეგხვდება მეთქი. ეწყინა, ეს რო უთხარი. მე დღეს ავიღე ხელფასი და ერთ კვირაში რაღა დამრჩებაო, ხო დამეხარჯებაო.

—ეგეც ეხლა 1000 მანეთს აიღებდა რა! —დამცინავი კილოთი თქვა რაიონის გამგებლის მძღოლმა.

—ჰოდა, მე უთხარი, ქალო ჩემი შვილის მასწავლებელი ხარ, პატივსა გცემ, ცოტას გადმოგწევ სპისოკში, სხვა რა გიყო-მეთქი. იგეთი ხალხია ჩაწერილი, მე იმათ ვერ ვაწყენინებ—მეთქი და ჩამოუთვალე. იცი რა მითხრა? კაცო, მაგათ იმდენი ფული აქვთ, ხორცს იყიდიან, ტყავი რათ უნდათო, ტყავს შეჭამენო? იმდენსაც ვერა ტვინამს რო თვითონ კი არა ჭამენ, მუშებს აჭმევენ. მე უთხარ, ქალო, იმდენი მამულები აქვთ, მუშებს ამუშავებენ, იმათ ჭამა არ უნდათ—მეთქი? დაიწყო წუწუნი: რა ვიციო, მე ოცი მეასედის მეტი არ მომცეს და მაგას ამდენი ჰექტრები რატომ მისცესო. თანაც 24 კილომეტრზე მომცეს და ფეხით ხომ ვერ ვიევლიო. ან კიდევ, ირაკლიჩი, იმხელა ქარხანას ანგრევს, მუშებს რა აჭამოს. იმას ხომ ვერ გადავწევ.. მაგისთანებს მარტო თავისი ჯავრი აქვთ, სხვები ფეხებზეი კიდიათ.

—ეს მასწავლებლები კიდე, სუ ეგეთი გაუგებრები არიან. —ჩაერთო ისევ საუბარში ბაზრის დირექტორი. —აგე ნადია როა, ხო იცით? იქ მოვიდა, ბაზარში, ვაჭრობა უნდა დავიწყოო. წავიყვანე თავისუფალ ადგილ'ზე დავაყენე და ერთი კვირა ვერ გაძლო, ისევ ჩემთან მოვიდა. ის ადგილი არ ვარგა, არავინ მოდის საყიდლადო. სადაც ხალხი დადის იქ დაედგებიო, ცარიელი ადგილები ხო არიო. მე უთხარ, სად გადაგიყვანო, იმ ცარიელ ადგილებ რო უყურებ, პატრონი ყავს, როგო დაგაყენებ —მეთქი. განა არ იცის, რო იმ ხალხმა ფული მომცა? მაგრამ ინტრიგანი როა! სწორედ ეგ უნდა რო მათქმევინოს და სხვებსაც საქმე გაუფუჭოს. მე რაღა ვქნა? ხო იცი გიორგევიჩ, რამდენი დამიჯდა, მე რო დირექტორად გაევედი. მაგას რა ენაღვლება რა...

—რა ქნან, ფული არა აქვთ, ხომ იცი რა ხელფასები აქვთ, 15 დო-ლა-რიც არ არის, იმასაც არ აძლევენ. ერთი თვის ხელფასით სულ რომ სურსათი იყიდოს, ოჯახში ორ დღეს თუ ეყოფათ, მეტს არა. მე ვიცნობ თამარა მასწავლებელს „ვეფხისტყაოსანი" მართლა 'ზეპირად იცის და საერთოდაც კარგი მასწავლებელია. წინა ზამთარი ისე გაატარა, ერთი პირი შეშა ძლივს მოახერხა, რომ ეყიდა. თქვენ ხომ იცით, რომ ერთი თვეც კი არ არის საკმარისი. ასე რომ, მთელი 'ზამთარი სიცივეში გაატარა ოჯახმა —თქვა ნოდარმა, რომელიც გამგებლის მძღოლის თანაკლასელია.

—მერე მე რა ვქნა, მე ვუყიდო შეშა? გატოკდეს და ექნება, ახალგაზრდა ქალია... მეშინია, ჩემი გოგოც არ გამოაშტეროს. — თქვა მასპინძელმა,აეთანდილ გიორგევიჩმა — საკუთარი შვილი ისე გაზარდა, მთელი ცხოვრება წიგნებს არ მოშორებია. უნივერსიტეტი დაამთავრა, ეხლა კი ზის სახლში უმუშევრად. ამხელა კაცია, 30 წლის ხდება და ცოლი ვერ მოუყვანია უყურლობის გამო.

—სად იმუშაოს, მუშის სამუშაოც რომ არ არის? —თქვა ნოდარმა

—არ არის და მოკვდეს მშიერი, უშველოს იმ წიგნებმა და „ვეფხისტყაოსანმა". ხალხსა გონია მე მილიონერი ვარ. მე რა ბევრი მაქ, ჩემი ბიჭი რომ სწავლობს ინგლისში თვეში 5 ათასი იმას არ ყოფნის. ეს მანქანები რომ ვიყიდე, 100000 დოლარზე მეტი დამიჯდა.

საითაც ფეხს გადაადგამ, ყველგან ფული უნდა, ძმაო, აბა რა ვქნა? არ ვასწავლო ჩემ ბიჭს? მთელი პარლამენტარების შვილები სულ საზღვარგარეთ სწავლობენ, ჩემი რათ უნდა ჩამორჩეს? ჩემი რათ უნდა გამოაკლდეს? იმათზე ნაკლები რით არის?

—ყველამ რომ თავისი კუთვნილი გადასახადი გადაიხადოს სრულად, სახელმწიფო ბიუჯეტი სულ ცოტა ათჯერ მაინც გაიზრდება, ხელფასები გაიზრდება, თამარა მასწავლებელი და მისთანები სიციცით თუ შიმშილით აღარ დაიხოცებიან და ის ფული მაინც თქვენთან მოვა. აბა სად წაიღებენ? ხომ უნდა დახარჯონ?

—შენ რაღაც სხვა ნამიოკს ხო არ მირტყამ? მე გადასახადებს ვიხდი. რასაც ვიხდი, იმასაც არ უნდა ვიხდიდე. ისიც მეტია იმათთვის. ბიუჯეტს იმდენი მჭამელი ჰყავს თამარამდე მაინც ვერ მივა და რაღა იმათმა ჭამონ, მე რა ჭამა არ ვიცი?! მე, ძმაო, მარტო არა ვჭამ. მე ამხანაგი ვიცი, ძმაკაცი ვიცი, მეგობარი და მეზობელი... წინათ ფული რო მქონდა, ქვეყანას ვაჭმევდი. პროკურორი „მერსედესით“ რო დადის, მე უყიდე; ივანიჩი რო დაიჭირეს ქრთამზე, 10000 დამიჯდა იმის გამოყვანა; ხეტყის ბაზის დირექტორი რო დაიჭირეს, 7000 იმაზე დავხარჯე; რაიკომის მდივნის ბიჭმა ცოლი რო მოიყვანა 5000 ვაჩუქე. და კიდევ რა ვიცი რამდენი მოვაყოლო, რომელი ერთი ვთქვა? რაც მე ციხეში ფული გამიგზავნია, იმას რა მოთვლის?

—შენ, სახალხო გმირ —არსენასავით ყოფილხარ, მდიდარს ართმევ და ღარიბს აძლევ. —თქვა ნოდარმა.

—შენ რა გადაკრულად მელაპარაკები? მდიდრებს უნდა მისცე, რომ მერე შენ გაგიჭირდეს გამოგადგეს, თორე ღარიბს რაც აქ ისიც უნდა წაართვა, იმის ღირსიც არ არი. თუ მიეცი და დაანახე რომ გაქ, შეშურდება და მტრად გადაგექცევა.

—გიორგეიჩ! მაიტა სადღეგრძელო თქვი რა, რა დროს მასწავლებლებია, სკოლაში არ მეყო მაგათი ნერვების მოშლა? —შეახსენა „მოვალეობა“ გამგებლის ავტომანქანის მძღოლმა.

—მართალი ხარ, ცოტა სერიოზული რამე ვთქვათ, არ გადამაყოლეთ ამ მასწავლებლებს კაცო! ამ ბავშვმაც მამიშალა ნერვები რა... —თქვა გიორგეიჩმა და თავის შვილს ცერად გახედა, (თუმც ყველა, მაგიდასთან მჯდომი მიხვდა, რომ ნოდარს გულისხმობდა) გოგონა კი საცოდავად შეიშმუშნა.

ავთანდილ გიორგეიჩმა ჭიქა ხელში აიღო და თქვა: დიდ სამამულო ომში დაღუპულებს გაუმარჯოს, ბიჭებო, ჩვენი დიდი სტალინის თამადობით!

სტალინი, რომ ომში არ დაღუპულა? —თქვა ნოდარმა.

—მერე რაა? ხო სტალინი მეთაურობდა. — უპასუხა გიორგეიჩმა და გააგრძელა სადღეგრძელოს წარმოთქმა. იმ ღიმილის ბიჭებს გაუმარჯოს სტალინის თამადობით, რომლებიც წავიდნენ სამშობლოს დასაცავად, გმირულად, ვაუკაცურად იბრძოლეს, მტერი ჩვენამდე არ მოუშვეს და ჩვენი საყვარელი საქართველო სხვას არ ჩაუგდეს ხელში.

ნოდარს რაღაც სათქმელი მოადგა ენაზე, მაგრამ თავი შეიკავა.

—ამ ბიჭებმა, თავი გაწირეს, ომი მოიგეს, თავი წააგეს. —აგრძელებდა გიორგეიჩი. —ეხლა ზოგიერთს რო კითხო, სად მიდიოდნენ, ვის იცავდნენ? რუსეთის ომი იყო, ჩვენი ხომ არაო. თურმე რუსეთი იმპერია ყოფილა, საქართველო კი დაპყრობილი ქვეყანა, ჩვენ ვიყავით მონები?! რუს გოგოებში როგორ ვგულაობდით, მაგრამ რა ექნათ, ასეთი უტვინოებიც არსებობენ. ეხლა რო მწვადებსა ვჭამთ, სტალინის დამსახურებაა, თორე ვნახამდით რა დღეშიც იქნებოდნენ. ეხლა აქ გერმანელები უნდა დადიოდნენ. სტალინი გენიოსი იყო. ერთი მარტო ვინმე შეკამათებოდა, დედას უტირებდა, ეგრეევე მიხვრეტდა, იგეთი მაგარი კაცი იყო. ეხლა ამაზეც ლანძღავენ... აბა რა ექნა? სამშობლოს მტრები რომ არ მოეცილებინა ქვეყანა ვერ აშენდებოდა. უტვინოები იმასაც ამბობენ საქართველოსთვის რა გააკეთაო. რა უნდა გაეკეთებინა? ამხელა საბჭოთა კავშირს გაძღოლა, პატრონობა არ უნდოდა? საქართველოსთვის როგორ მოიცლიდა? ქართველები არ ვვარგიეართ, ამოსაწყვეტი ერი ვართ. შურიანები და ეგოისტები ვართ. ერთმანეთსა ვჭამთ. ერთი ქართველი გვყავდა, მსოფლიოს აზანზარებდა და პატივს არა ეცემთ. გაუმარჯოს, ბიჭებო, სტალინს და დიდ სამამულო ომში დაღუპულებს! უფრო გამოკვეთილი ხმით დაასრულა გიორგეიჩმა სადღეგრზელო და ჭიქა დაცალა. ნოდარმა კი რომელიც ძლივს იკავებდა თავს, რომ არ შეკამათებოდა, შვებით ამოისუნთქა
დანარჩენნი, რომლებიც თითქოს ახლა გამოფხიზლდნენო, ჭიქები ერთიმეორეს მიურტყეს შეძახილით გაუმარჯოს, გაუმარჯოსო და დაცალეს. ნოდარმაც იგივე გაიმეორა, მაგრამ ჭიქა მხოლოდ ნახევრამდე შესვა.

მცირე საუბრის შემდეგ, სადაც რა თქმა უნდა, გიორგეიჩის „მჭერმეტყველება" ისმოდა ძირითადად, „არაფორმალმა" ალექსანდრემ, სადღეგრძელოს უფლება სთხოვა თამადას, (ეს სახელი ცნობილი 9 აპრილის მოვლენების შემდგომ მიტინგებზე აქტიური გამოსვლების გამო შეარქვეს) მიუხედავად იმისა, რომ უცოდინრობით გამოირჩეოდა, ხალხისგან გაგონილს, ზოგჯერ შეცდომით მაგრამ, ისე ომახიანად იმეორებდა,ყველას თავი დაამახსოვრა. და ამით „პოპულარობა" მოიპოვა. შემდგომ აქტიურად ჩაება ეროვნული მოძრაობის სახელით, სხვადასხვა ბინძურ გარიგებებში და ხელიც კარგად „მოითბო".

— გიორგეიჩ! ერთი სადღეგრძელო მათქმევინე!

— მაცალე ძმაო, მე რა სადღეგრძელოები შემომელია? კაი ბიჭი ხარ, მაგრამ თამადა და მასპინძელი მე ვარ —უთხრა გიორგეიჩმა და ალიკასაც რაღა დარჩენოდა, დათმო. მისგან დიდად დავალებული იყო და შეკამათებას ვერ გაუბედავდა.

—ჰო, ეხლა სადღეგრძელო ვთქვათ ბიჭებო, თორემ ყელი გაშრა. მოდი, ამ ჭიქით ჩვენს საქართველოს გაუმარჯოს. ეგეთი ლამაზი ქვეყანა არსად არ არის. თუ გინდა ხალხი აიღე, ეგეთი მაგარი ხალხი სხვაგან სად არი? ყველაფერში პირველები ვართ, სპორტში გინდა, ქურდობაში გინდა თუ რაშიც გინდა მთელს რუსეთში ქართველი ქურდები ბატონობენ,

მალე მსოფლიოშიც გაბატონდებიან. რუსებს რა... მარტო გოგოები ყავთ კარგი. ეხლა ცოტა გაჭირვებაა, მთავრობა არ გვივარგა თორე... წინათ რა კარგად ვიყავით, არაფერი არ გვეკლდა, ყველაფერი გექონდა, ყველა გამაძღარი იყო. როცა გინდოდა გადაფრინდებოდი მოსკოვში და გადმოფრინდებოდი 37 მანეთად. ეხლა ზოგი რომ ამბობს რუსეთი არ გვინდაო მაი მაგათ ტვინი აქვთ? რუსეთმა გადაგვარჩინა, ამოწყვეტაზე ვიყავით, ფეხზე დაგვაყენა და ეხლა არ გვინდაო. ეყარონ ეგე მ'შივრები. მაშინდელი ფული მოგვდგამს კიდე თორე, მერე ნახამდი შიმშილს. ეხლა ამ მთავრობის ხელში რამეს იშოვი? არა ძმაო, რუსეთს რა ჯობია, ფულს იმათით შოულობდი, რასაც გინდა გაიტანდი, რასაც გინდა შემოიტანდი. იგეთი წვენები და ღვინო გადიოდა ზოგჯერ, იმაი აქ ვინ დალევდა... ფული კიდე შემოდიოდა. ე, გოგოები კიდე ხო დალოცვილნი ჰყავთ, წადი და იგულავე რამდენიც გინდა... ეეე, ჩვენ ქართველები არ ვარგივართ თორე, რუსებს რა ჯობია. ჩვენ ძაან გაუტანლები ვართ... იქ ცოტა ფული გქონდეს, რასაც გინდა გააკეთებ, აქ კი... არა ძმაო ურუსეთოდ ვერ ვიცხოვრებთ.

–შენ, რუსეთის სადღეგრძელოს სვავ თუ საქართველოსას? – ეღარ მოითმინა ნოდარმა. –მრავალ ათასწლოვან ერს –ქართველებს ეროვნულობას უწუნებ? რუსი რამდენი საუკუნეა რაც არსებობს?

–შენ რა, სადრეგრძელოს თქმას მასწავლი? –გაბრაზებით შეუბრუნა სიტყვა გიორგეევიჩმა. –კულტურა სადა გაქ? ჯერ ერთი შენზე უფროსი ვარ და შენობით არ უნდა მომმართო, და მეორე, თამადას სიტყვა, ქართულ სუფრაზე კანონია და არ ეკამათებიან. ეს არ იცი? თამადამ რო თქვას "ფეჩი" გარმონიაო, უნდა თქვა რა კარგად უკრავსო. თუ გინდა იჯექი მანდ ჩუმად, დალიე და ჭამე, თუ არადა ვინ გეხვეწება, საიდანაც მოსულხარ, ისევ იქ წადი.

–ნოდარ! რაღაც გეშლება, ვერ ატყობ? წყნარად იყავი რა. – უთხრა თანაკლასელმა, გამგებლის მძღოლმა.

–მართალია. –თქვა ნოდარმა და წამოდგა. – მე შემეშალა, სხვაგან მოვხვდი. აქ არ უნდა მოვსულიყავი. კარგად ბრძანდებოდეთ.

–ნოდარი კარისაკენ წავიდა.

–მოიცა, სად მიდიხარ? მეც წამოვალ –გაეკიდა უკან ჟორა და თან რამდენიმეჯერ მიბრუნდა სუფრისკენ და თქვა: – მაპატიეთ, მეც წავალ. ერთად მოვედით, უხერხულია...

–ეს ვინ მომიყვანე, კაცო! – თქვა მათი გასვლისთანავე გიორგეევიჩმა. –წეღან რო ველაპარაკე ნორმალური მეგონა, ინტრიგანი და გიჟი ყოფილა, მაგაი სამუშაოს მივცემ? ენა ვერ გაუჩერებია, მაგისთანა ხალხი მინდა მე? მღუპამ?... შე კაი კაცო, გააჩერე რა, ენა. ამისთანა სამუშაოს გთავაზობ, თვეში 200 ლარს გაძლევ და მეტი რაღა გინდა? ზოგი რა გიჟი დაიბადება ამ ქვეყანაზე... ეხლა ეგეთ ხელფასიან სამუშაოს სად იშოვი?... ხალხი 30 ლარზე თავს იკლავს თვეში... მანქანა აქვს, ბენზინს ჩაუსხავ, წავიდეს და იმუშაოს რა... მაგას ხო არა იგონია ფულები გზაზე ყრია? ეტყობა ჯერ არ მოიშივნია და რო მოიშივდება, ჭკვაზე მობრახუნდება.

—ცუდი ბიჭები არ არიან, გიორგეიჩ... ჩემი კლასელები არიან... ეგეთი რამე სხვადროს არ უქნია და ეხლა რა ეიცი რა ეცა... ჭკვიანი ბიჭები არიან... ორივეს უმაღლესი აქ დამთავრებული...ალბათ რაღაც შეემთხვა და ცუდ ხასიათზე იყო... —თავი იმართლა გამგებლის მძღოლმა.

—არა კაცო, რას ამბობ, თვალით აღარ დამენახვოს... მე მაგის განათლება სუ ფეხებზე მკიდია. ის მეორე კიდე შეიძლება მივიღო, ეგ თავიდან მომაშორე, მეორეთ ჩემთან აღარ მოვიდეს... შენ რო უმაღლესი არ დაგიმთავრებია რა, არ ვარგიხარ? მთავარია კაცათ ივარგო... შენ სამსახურიც გაქ და აგე „ბენზინკალონკაც“ გახსენი. ეგენი კაცათ არ ვარგანან, ცხოვრების შნო არა აქვთ და მშივრები იმიტომ დადიან, თორე რატო შენ არა ხარ მშიერი?..

ჟორა ქუჩაში გასასვლელთანვე წამოეწია ნოდარს და იქიდან ერთად გაუყვნენ გზას საუბრით.

—ჟორა! მე მაგ კაცთან ვერ ვიმუშავებ და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი. —უთხრა ნოდარმა.

—არა. არც მე მინდა მაგასთან მუშაობა, არ ღირს... —უპასუხა ჟორამ. —მართალია ბენზინს ის ჩაგვისხამს, მაგრამ მანქანას სხვა უამრავი ხარჯი აქვს და 200 ლარიდან რაღა დარჩება? თანაც ხომ იცი, რა მანძილზე უნდა ვიაროთ და მანქანა სულ განადგურდება. ეგ ფული სულ მის შეკეთებას დასჭირდება. —ეგეც არის, მაგრამ მეტიც რომ მომცეს, მე მაინც არ ვიმუშავებ. მე ვერ ავიტან ამისთანა უვიცმა და ხეპრემ დაცინვით და დამცირებით მიმსახუროს, მერე კი ფული ისე გადმომიგდოს, როგორც მათხოვარს.

—სინამდვილეში ფულს ჩვენით იშოვის, მერე კი მათხოვრებად ჩაგვოვლის არა?... მართალი ხარ, მაგრამ თუ გარანტირებული 100 ლარი მაინც მექნება, მანქანის ხარჯს კი თვითონ დაფარავს... აი მაგალითად, მანქანა რომ მისი იყოს, მაშინ ვიმუშავებ... აბა რა ვქნა? სამუშაო სხვაგან არ არის და ცოლ—შვილი რითი ვარჩინო?.. თვითონ ათასებს აკეთებს და ეისი მეშვეობითაც აკეთებს, იმათთვის არ ემეტება არაფერი... ძალიან ძუნწია.

—რაც ეგ მთელ თავის მოჯამაგირეებს ფულს აძლევს იმაზე მეტს რესტორანში ხარჯავს. აბა წადი, კითხე იმ ხალხს ვისთანაც ხარჯავს, ძუნწია? ჩვენისთანა ხალხთან არის ძუნწი, თორე „საჭირო“ ხალხთან ძუნწი სულაც არ არის. არადა, ხომ იცი ფული საიდან მოსდგამთ?

—კი, ეიცი. მაგის მამამ, რომელიც ომში არც ყოფილა, რადგან გვიან გაიწვიეს, ომის მონაწილის სახელით იბრძოდა კარგი სამსახურისთვის და ღვინის ქარხნის დაცვის უფროსად გავიდა. იქ კი, ხომ იცი, დაცვის უფროსი წილშია „ლევი“ ღვინოების გასვლაში. მითუმეტეს მაგისთანა კაცს როგორ არ მისცემდნენ, სულ ეშინოდათ არ დაგვაბიზღოსო. მერე ამას დიპლომი უყიდა, ვითომ და უმაღლესი განათლება მიიღო. და გაჩნდა კიდევ ერთი „განათლებული“, ფულიანი ავტორიტეტული, სინამდვილეში უსინდისო და უმეცარი კაცი.

—მე ამ ხალხის მიკვირს, მაგისთანა ნაძირალებს, რომ პატივისცემით ეპყრობიან, თითქოს ანგელოზი იყოს. ვერ გრძნობენ, რომ მაგისთანების გამოა ყველაფერი რომ დაკარგეს და შიმშილობენ? —თქვა ნოდარმა.

–რა ავტორიტეტი კიდე ეგ არის? თავისნაირებშია ავტორიტეტი, თორე ხალხს არ უყვარს. პირიქით სძულთ, მაგრამ ხომ იცი რა დროა, თუ გამოამეღავნებ, რომ გძულს, როცა გაგიჭირდება ველარ მიხვალ მასთან დახმარების სათხოვნელად. ხომ ხედავ, მეც სახვეწი მაქვს სამუშაოდ მიმიღოს და კიდევ რამდენი ეხვეწება. „პრივატიზაციით" რომ ხელში ჩაიგდო ამდენი ობიექტი და ანგრევდა, რამდენი დასდეედა უკან, მამუშავე, მეც დავანგრევო. ბაზარში ხორცის მონოპოლია და რამოდენიმე მაღაზია კი დიდი გავლენისა და ძალაუფლების საშუალება გახდა დღეს. ქალაქში და მთელს რაიონშიც მაღაზიები აღარ მუშაობს, ხალხსაც არა აქვს ფული და ხშირად მიდიან მასთან რაიმეს ნისიად გამოსატანად.

–გაზეთში კი როგორ ეწერა? „წარმატებული ბიზნესმენიო". მართალია უბრალო ხალხს არ უყვარს, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, ამ კაცმა რომ მოინდომოს პარლამენტში დაჯდომა, ადვილად მიაღწევს. ორი ცალი პური, ან ერთი კილო შაქრის ფხვნილი ნისიდ რომ მისცეს გაჭირვებულს, ხმაც გარანტირებული ექნება არჩევნებში, ფულის დახარჯვაც არ დასჭირდება. მერე კი მოგვევლინება ჩვენი ქვეყნის ხელისუფლად და კანონმდებლად. ვაი იმ სახელმწიფოს, ამისთანა კანონმდებლები რომ ეყოლებათ.

–ეგ პარლამენტარი ვერ გახდება! ქვეყანა ჩალით ხომ არარის დახურული, ეგ როგორ შეიძლება? ხალხს არ უყვარს და... – თქვა ჟორამ

ხალხს არც შევარდნაძე უყვარს, მაგრამ ზის პრეზიდენტად. – თქვა ნოდარმა. –წელან სუფრასთან ვინც ისხდნენ, ადვილად რომ იყიდებიან, მაგისთანები რამდენნი არიან, ვერ მოისყიდის? პარლამენტარი შეიძლება არ გახდეს, თვითონვე არ მოინდომოს, მაგრამ რაც მეტ ხალხს მოისყიდის, მით უფრო მეტად საშიში გახდება, რადგან მეტ ძალას დაეუფლება. შევარდნაძე კი იქნება თუ არ იქნება, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, იმიტომ რომ, როცა ხალხში ასეთი ადამიანები არიან გაბატონებულნი შევარდნაძეზე უკეთესი პრეზიდენტი და უკეთესი პარლამენტი ვერ გვეყოლება. პირიქით, უარესიც არის მოსალოდნელი. ეგ ბიჭები სუფრაზე რომ უზის, ერთი შეხედვით არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ მაგისთვის დიდად საჭირონი არიან, ბაზრის დირექტორს ბაზარში აქვს გავლენა და ცოტა გარეთაც, რაც ჭირდება ავთოს. გამგებლის მძღოლი–გამგებელთან შუამავლად. ეს „არაფორმალი" კი, რომლის სახელიც არ ვიცი, ბევრ ორგანიზაციაზე ფლობს გავლენას ერეოვნული მოძრაობის სახელით, ბევრ ხელმძღვანელს ეშინია მისი, პროკურორიც კი ანგარიშს უწევს. და გიორგევიჩსაც სწორედ ასეთი კაცი სჭირდება. ამ მხრივ ნიჭი აქვს და საჭირო ხალხს ადვილად არჩევს. თუმცა მაგას რა ნიჭი უნდა. უბრალოდ სინდისი უნდა დაკარგო, რომ ასეთი ხალხი შენი მიზნებისთვის გამოიყენო. მახსოვს ეგ „არაფორმალი", ზოგჯერ ისეთ სისულელეს ამბობდა ხალხს ეცინებოდა, მაგრამ მაინც მოიხვეჭა ავტორიტეტი და ძალაუფლება მიტინგებში აქტიური გამოსვლებით. ხალხმა გაუნათლებელ, მაგრამ გულანთებულ პატრიოტად ჩათვალა. ყველამ ხომ არ იცის რა ნაგავიც არის. ჯერ მარტო მიწების დარიგებაში რამდენი ფული იშოვა...

ისე კი, მაგათ რას ვემდურებით? დამდურების უფლება არც გვაქვს. ეგენი თავისი ბუნებიდან გამომდინარე თავისას ცდილობენ, ასეთი ხალხი ყველგან და ყოველთვის იყვნენ. დამნაშავეები ჩვენა ვართ, მე და შენ და დანარჩენი ხალხი. ჩვენ მივეცით საშუალება ჩვენი უმოქმედობით, რომ თავისი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ და მიეტაცათ ყველაფერი... ეხლა კი გამწარებულები, შორიდან ეჭორაობთ... ჩვენ თუ გვეძინა, ეგენი რა შუაში არიან? რომ არ ეძინათ? გვეძინა ყველას და შედეგიც დამსახურებულად მივიღეთ... ეხლა -წუწუნი აღარაფერს შეცვლის. სჯობს ეხლა მაინც გამოვიღვიძოთ, მდგომარეობა შევაფასოთ და წინ გავიხედოთ.

— ეგ მართლია, მაგრამ ვისწავლეთ კი ჭკუა? — თქვა ჟორამ.

ამ საუბარში ქალაქის ცენტრი გაიარეს და გზაგასაყარსაც მიუახლოვდნენ. გზაჯვარედინზე რამოდენიმე წუთი კიდევ ისაუბრეს და თავთავიანთ გზაზე წავიდნენ. ნოდარი ნელი ნაბიჯით გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას, რომელიც ათიოდე წუთის საკალიღა დარჩა. ეკვე თითქმის დაღამებული იყო. შემოდგომისათვის დამახასიათებელი, საღამოს. ცივი ნიავი უბერავდა. შეიძლება ითქვას, რომ ნაადრევად აცივდა. ნიავი სუსტი იყო, მაგრამ მსუბუქად ჩაცმულ ნოდარს მაინც შეაცივა და წაიბურდღუნა: რა ნაადრევად აცივდაო. მერე კი ისევ წუთის წინა საუბრის შთაბეჭდილებით, გააგრძელა ფიქრი: ნუთუ ეს ხალხი მართლა გარეგნულად და მხოლოდ იმიტომ სცემს პატივს გიორგეიჩს, რომ რაღაც ისარგებლოს გაჭირვების დროს, თუ თვითონაც საღღაც სულის კუნჭულში მისი მსგავსები არიან? ხომ ბევრი ბაძავს კიდეც. ფული ზოგიერთმა წესიერმა კაცმაც იშოვა, მაგრამ მას არ ბაძავენ. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ გიორგეიჩის ფულის ხარჯვის სტილი მოწონთ—რესტორანი, ქალები...

გზაჯვარედინზე ნოდარი შეჩერდა. ეს ის გზაჯვარედინია საიდანაც ერთი გზა მის სახლისკენ მიდიოდა, მეორე კი — მისი სათაყვანებელი გოგოს სახლისკენ. ამ მეორე გზიდანაც შეიძლებოდა სახლში წასვლა, მხოლოდ ეგ არის რომ 400 მეტრის მანძილის ზედმეტად გავლა მოუხდებოდა. ცოტა ხანს იყოყმანა, ბოლოს ვერ გაუძლო გულის მოთხოვნას და მეორე გზას დაადგა. მალე მის სახლთანაც მივიდა.

„ჩემი მანანას სახლი“, — ფიქრობს ნოდარი. ნეტავი ეხლა რა მდგომარეობაშია, წევს, ზის თუ წიგნს კითხულობს? თუმცა როგორც ვიცი წიგნები არ უნდა იზიდავდეს მე მგონი. რა ვიცი, იქნებ ხანდახან მაინც კითხულობს. შეიძლეა რეცხავს. მაგრამ არა, რაღა ამ სიბნელეში მოინდომებდა სარეცხის რეცხვას. არა, ალბათ წევს. ხო, წევს ნამდვილად. დენი არ არის, რომ ტელევიზორით გაერთოს კაცი და ამ ნაადრევად მოსულ სიცივეში, სხვა რა უნდა გააკეთოს? შესცივდებოდა და დაწვებოდა ლოგინში. ნეტავი დამანახა —ლოგინში,რომ წევს... მძინარე...

—არა, ლამფა ანთია ოთახში,ესე იგი არ სძინავს. ნეტავი გამოახედა და დამანახვა, მაგრამ არა, რომ გამოიხედოს და დამინახოს სირცხვილია, რას იფიქრებს? იფიქრებს დღისით ვერ მიბედავს და ისე გაგიჟებულა, ამ სიცივეში და ქარში, ღამით დადის ჩემს ფანჯრებთანო. თუმცა რას დამინახავს ამ სიბნელეში? ძველებურად ლამპიონებით გაჩახჩახებული

ქუჩები ხომ არ არის. ნეტავი რას აკეთებს... ნეტავი გამოიხედოს... გაიმეორა ფიქრებში ნოდარმა. ფანჯრის ფარდაზე, რომელიც ლამფის შუქით იყო განათებული, ადმიანის ჩრდილმა გაიელვა. ამან ნოდარი უფრო ააღელვა და მანანას დანახვის იმედით გაჩერდა ცოტახანს იდგა ასე და რომ ვერაფერი დაინახა ფეხის წვერებზე უკან დაიხია, ფარდის დარჩენილი ღიობის უკეთესად დასანახად. ამ დროს კონსერვის ყუთს თუ რაღაც ამდაგვარს წამოჰკრა ფეხი და გაბრაზებულმა ფეხითვე მოისროლა. ხმაურზე მეზობლის გოშია ძაღლი გამოვარდა ყეფით, რასაც ცოტა ხანში პატრონის შეძახილიც მოჰყვა. –რომელი ხარ? ვინ იძახის! ნოდარს, რა თქმა უნდა პასუხი არ გაუცია და შეუმჩნეველად გაიაპარა იქიდან.

სახლში მისულს მეზობელი ბიჭები დაუხვდნენ ქუჩის კართან. ერთ-ერთმა მათგანმა შორიდანვე გამოსძახა: საღა ხარ, სად დადიხარ, სახლი აღარ გახსენდება, რამდენი ხანია გელოდებით.

რა არის, რატომ მელოდებით, ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? –ჰკითხა ცოტა შეშფოთებით ნოდარმა. მომლოდინე მეზობლების დანახვაზე შეშინდა, ცუდი რამე ხომ არ დაემართა მამაჩემს ან ჩემს ძმას, ცუდი შეტყობინება ხომ არ მოვიდაო.

–არა, არაფერი, ცუდი რა უნდა მომხდარიყო, ხვალ შეშაზე გვინდა წავიდეთ ტყეში, საშკას ტრაქტორით. –უთხრა ნუგზარმა. უკვე მიახლოებულ ნოდარს. –თუ გინდა გაგვიამხანაგდი, მეხუთე კაცი იქნები. მისაბმელზე ოთხი პირი შეშა ეტევა და მთელი ზამთარი გეყოფა. ყველამ რომ თითო გზა მოვიტანოთ, შეშა სადარდებელი აღარ გვექნება, ხვალ ჩემთვის უნდა მოვიტანოთ, და მერე კიდევ, (თუ თანახმა ხარ) თქვენ მოილაპარაკეთ, ვინ როდის მოიტანს.

–მერე მე უნდა მოვიტანო. –წამოიძახა ვაჟამ. –სალიარკა უკვე გამზადებული მაქვს.

–კარგი აზრია, უარი რატომ უნდა ვთქვა? –უპასუხა ნოდარმა, რომელსაც მოეწონა მეზობლების გადაწყვეტილება. – რა არი საჭირო, მარტო სალიარკა?

–სალიარკა ერთი 20 ლიტრი და 10 ლარი ფული, მეტყეევეს ხომ უნდა მივცეთ. ისე ვინ გამოგატანინებს ტყიდან შეშას. დიდი ხერხი და ცული ხო გაქვს? –ჰკითხა ნუგზარმა.

– ხერხი და ცული კი მაქვს, მაგრამ საჭმელიც ხომ გვინდა?

– რა თქმა უნდა, სახლიდან რაღაცას წავიღებთ, მშიერები რომ არ ვიყოთ. განსაკუთრებული საჭმელები არ გვინდა საქეიფოდ ხომ არ მიედივართ? ღვინო კი 5 ლიტრი გვეყოფა. –თქვა გიამ.

– ესეიგი თანახმა ხარ? ჩაერთო საუბარში ვაჟა.

– ჰო, რა თქმა უნდა. შეშა ვის არ უნდა?

– ჰოდა მაშინ ეხლავე გაამზადე ცული და ხერხი, დილით ადრე წავიდეთ, რომ მოვასწროთ და დროზე ჩამოვიდეთ... პატარა დღეა. ეხლა დავიშალოთ, სახლებში წავიდეთ, რომ დროზე ავდგეთ, რაღა გეაქვს სალაპარაკო? –თქვა ვაჟამ.

— ჰო, წავიდეთ, რაღა გვინდა? —თქვა ნუგზარმა და ყველანი დინჯად გაბრუნდნენ თავიანთი სახლებისაკენ. დილით მართლაც ადრიანად შეიკრიბნენ ბიჭები. საშკამ თავისი მოსაბმელიანი ტრაქტორი ჩამოაყენა. ნუგზარმა წინასწარ ნაყიდი 20 ლიტრი დიზელის საწვავი ბიდონით მიიტანა და ჩაასხეს ტრაქტორის საწვავის ავზში. ბიჭებმა ნუგზარის ეზოს ღობეზე მიყუდებული ცულები აიღეს და ტრქტორის მისაბმელზე შეხტნენ. ნუგზარის დედამ პარკებში ჩალაგებული, სადილისათვის გამზადებული საგზალი მიაწოდა ბიჭებს და ტრაქტორიც დაიძრა ტყისკენ მიმავალ გზაზე. გრძელი ნატყევარის გავლის შემდეგ, გზის დასასრულამდე მივიდნენ. აქამდე ტყე ისე იყო გაკაფული მოსაჭრელი არაფერი იყო, მაგრამ არც აქ ჩანდა მოსაჭრელი ხეები. ბიჭები ჩამოხტნენ მისაბმელიდან და ხეების თვალიერება დაიწყეს.

—აბა რომელი მოვჭრათ? დიდი ხეები მოუჭრიათ და დარჩენილი ნერგებივით პატარა ხეებს ხომ არ მოვჭრით, არც შეშად ვარგა და ტყეებიც ნადგურდება. —თქვა გიამ

—მოსაჭრელად დაგენანება ისეთი ახალგაზრდაა —თქვა ნოდარმა. გზა მაინც გაიყვანონ, რისთვის არი სატყეო მეურნეობა? მარტო იმისთვის, რომ ხალხის მიერ ტყის მცველისთვის მიცემული ფულები გაინაწილონ? ტყის სიღრმეში, რომ შეხვიდე, იმდენი ბებერი ხეები იქცევა, ავადდება და ლპება, მთელ საქართველოს ეყოფა. ხალხი კი უგზოობის გამო ნაპირზე ჭრის და ნელ-ნელა ნადგურდება ტყე.

—იქით წავიდეთ, ცოტა შიგნით შევიდეთ, იქ უფრო მსხვილებია. —თქვა ნუგზარმა.

—მერე იქიდან რა გამოზიდავს? —თქვა გიამ.

—გამოვზიდავთ, —თქვა ნუგზარმა.

—შესვლისას გზა გავიკაფოთ, ტრაქტორიც შევიყოლიოთ და გამოზიდვა აღარ მოგვიხდება შორ მანძილზე, —თქვა გიამ.

ბიჭებმა გაიკაფეს გზა ასიოდე მეტრის ტყის სიღრმეში და ტრაქტორიც უკან მიჰყვათ.

გიამ სიმღერა წაიმღერა: „ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ შენი ვალია“ რასაც ბიჭებისგან, სინანულის ღიმილი მოჰყვა. ნუგზარმა კი ჩაილაპარაკა: ბავშვები თუ სიცივით დაგვეხოცება, ტყე ვის შეუნახოთ?

—ამხელა გზა გამოვიარეთ ნატყევარზე და აქ რომ არის ერთი ასეთი პატარა ხეც კი არ შეგეხვედრია. აქ ასეთები მაინც დარჩენილა და ქვემოთ მარტო ბუჩქებიღაა. —თქვა ვაუამ.

—მალე ისიც აღარ იქნება. —თქვა საშკამ. გზაში ხელის ‘ტაჩკებით“, რომ მოდიოდნენ ხომ ნახეთ, იმ ბუჩქების მოსაჭრელად მოდიან, აბა აქ ხომ არ ამოელენ? ამ სიშორიდან ხელის „ტაჩკებით“ როგორ წაიღებენ შეშას? ფული მაგათ არა აქვთ, რომ მანქანა დაიქირაონ ან შეშა იყიდონ და რა ქნან? ხომ არ დაიხოცებიან სიცივით. ვის ეხალისება რამდენიმე კილომეტრზე ხელის „ტაჩკით“ შეშის ზიდვა, დღეში რამდენს წაიღებენ? ორი დღის სამყოფს? მაგრამ რა ქნან, სხვა საშუალება რომ არა აქვთ?

—ამათი დედაც... — გულიანად შეიგინა ვაუამ.

—ამათგან რა გინდა, თავის საცოდავობა არ ეყოფათ? —თქვა ნოდარმა.

—მე ამ ხალხზე კი არა, მთავრობაზე ვამბობ, ამ დღეში ვინც ჩააგდო ხალხიც და ტყეც. —თქვა ვაუამ.

—მშვენივრათ ვიყავით —თქვა საშკამ. —გაზიც გვქონდა, დენიც გვქონდა, შეშა ვის რათ უნდოდა? ეგე „გამოვეყოთ, გამოვეყოთო", დროშების ფრიალმა რა გვიყო. დედა უნა უტირო ვინც საბჭოთა კავშირი დაანგრია. — განაცხადა საშკამ.

ეროვნულ—სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რომ შეეხებოდნენ ხოლმე, გია ბრაზდებოდა და ახლაც გაბრაზებით მიუბრუნდა საშკას ჯერ ერთი ჩვენ კი არ გამოვეყავით, საბჭოთა კავშირი თვითონ დაიშალა, ეხლა იმის მაგივრად „დსთ"—ა და მის შემადგენლობაში ჩვენც ვართ. მეორეც, რა დამოუკიდებულებაზეა ლაპარაკი, როგორც ადრე, ეხლაც ქვეყანას ისევ რუსეთის ქართველი პოლიტიკოსები მართავენ. ქართველები, მაგრამ მაინც რუსეთის პოლიტიკით აღსრდილები. იურიდიული დამოუკიდებლობა რად გვინდა თუ ფაქტიურად ისევ რუსეთის პოლიტიკა იქნება მმართველი? ეგრე ხო საბჭოთა კავშირის პერიოდშიც იყო. სანამ ეროვნულ-პატრიოტული ძალები არ ავლენ სათავეში, რა დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი? სხვა ქვეყნის დასმული მთავრობა აქ ჩვენს საქმეს არ გააკეთებს.

—ვინ რუსეთის პოლიტიკოსები მართავენ? —გაკვირვებით იკითხა საშკამ

—ვინც დღეს მართავს საქართველოს, პრეზიდენტიდან მოყოლებული ყველა თანამდებობის კაცი, რუსეთის პოლიტიკურ პარტიაში არ იყვნენ? კომუნისტური პარტია რომ ერქვა. ვის არ გვიჭირს მაგრამ, მომავლის იმედი უნდა გვქონდეს და გაეუძლოთ თუ სახელმწიფოებრიობა გვინდა. მომავალში დარწმუნებული ვარ გვეღირსება ეროვნული მთავრობა, რომელიც მართლა გახდის დამოუკიდებელს ჩვენს ქვეყანას და იზრუნებს სახელმწიფოს შექმნაზე მის აღმავლობაზე. შენ თუ ვერ უძლებ დ რუსეთი გირჩევნია, წადი, რუსეთი დიდია შენც დაგიტევს.

—არა ძმაო, განა მე დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვარ. —საშკას შეეშინდა სომხური წარმოშობის რომ ვარ, არ იფიქროს რომ ამიტომ არ მენაღვლება საქართველოო და შეეცადა გამოესწორებინა თავისი ნათქვამი, მაგრამ მთავრობა რომ არ გვივარგა და ცუდ დღეში ვართ ეს მალაპარაკებს.

—„სანამ პეტრე მოვიდოდა, პაველს ტყავი გააძვრესო". — კამათში ჩაერია ნუგზარიც. ეროვნული მთავრობა სანამ დადგება, მე თუ აღარ ვიქნები და შვილები აღარ მეყოლება ვისთვის ვისურვო დამოუკიდებლობა? ხალხს პურის ფული არა აქვს, შეშის ფული არა აქვს, სულს ღაფავს. ვერ ხედავ, კილომეტრებიდან ზურგით ეზიდებიან შეშას. მთავრობა კი თბილად ზის, მილიონები იშოვეს, ყველაფერი აქვთ და ჩვენი თავი ფეხებზე ჰკიდიათ. ჩვენს პარლამენტარებს რამე გაუკეთებიათ ჩვენთვის? ვისთვის ვირჩევთ თავიანთი ცხოვრება რომ მოიწყონ?

—ვის რაში ჭირდება შენგან არჩევა. ჩვენ გვაბრალებენ, თორემ კომისიები მაგათ ხელში არ არი? ვისაც უნდა აირჩევენ. გაქანებული

კორუფციაა, მთელი სახელმწიფოს ქონება დაიტაცეს და დაანგრიეს, ხალხს რაც ფული ჰქონდა ბანკებში, ისიც წაართვეს, ქურდები პარლამენტარებად კენჭს იყრიან არჩევნებში, რა ვიცი კიდევ რა უბედურება ჩამოვთვალო, სრული განუკითხაობაა, ასეთი ქვეყნის გამოსწორების და აშენების იმედი გაქვს? თქვა ვაჟამ.

—აკი გითხარით სხვა ქვეყნის დასმული მთავრობა ჩვენს საქმეს არ გააკეთებს. —თქვა გიამ. ქვეყანა იმათ ხელში ჩავარდა, უფრო სწორად კი დარჩა, რომლებიც გუშინ სხვა ქვეყანას ემსახურებოდნენ და ამავე დროს სამთავრობო კორუფციაში იყვნენ ჩაფლულნი. დღეს რომ ისინი ანგელოზებად ვერ იქცეოდნენ ძნელი გასაგებია ეს? აბა ერთი რომელიმე ქარხნის თუ საწარმოს უფროსი დამისახელეთ, ცოტათი მაინც კორუფციაში რომ არ ყოფილიყო გარეული, ისე ხელმძღვანელად ვინ გააჩერებდა? პრივატიზაციის შემდეგ ხომ თითქმის ყველა საწარმო მათ დარჩათ მუქთად. განა ისინი, თუნდაც რომ შეძლებოდათ, მოისურვებდნენ ქვეყნის აშენებას და გაძლიერებას? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ კორუფციული ფსიკიქიკით აღზრდილ ჩინოვნიკებს, გარკვეული კონტროლის დაკარგვის გამო, „ბორკილები" აეხსნათ შავბნელი საქმეების კეთებისათვის. მართალია ეს ყველაზე არ ითქმის მაგრამ ძირითადი უმრავლესობა ასე იყო. ამიტომ შეელა თუ გვინდა, ყველამ უნდა გავიღვიძოთ, დავფიქრდეთ და გამოვასწოროთ მდგომარეობა. სუფთა მთავრობა გეჭირდება და არა ასეთი.

—რა, რევოლუცია მოვაწყოთ? —ირონიულად ჰკითხა ნუგზარმა. — როგორ მოვა ეგ შენი სუფთა მთავრობა?

—რევოლუციას ვინ მოგაწყობინებს? — რევოლუცია კი არა, მშვიდობიანად სადაც ხელი მიგვიწვდება, არჩევნებში უნდა ვიბრძოლოთ. თუ ხალხი გამოფხიზლდება, დაფიქრდება და მართლა ღირსეულ კანდიდატებს თვითონ დაასახელებს და თვითონვე აირჩევს, ისე რომ მთავრობას არ მისცე გაყალბების საშუალება, მაშინ ყველაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ. თუ ამას ვერ გააკეთებს, უარესის ღირსიც ვყოფილვართ და მაშინ წუწუნის უფლებაც არ გვაქვს. — თქვა გიამ.

—საქართველო ისე გახრწნეს, არა მგონია 'სუფთა" კიდე ვინმე იყოს დარჩენილი. კანონი აღარ არსებობს, მარტო ქაღალდზეა და ვისაც რა მოესურვება იმას აკეთებს. ხალხს სამუშაო აღარ აქვს. ქარხნები და ფაბრიკები დაანგრიეს. ჩარხები და მანქანა-დანადგარები საზღვარ გარეთ გაყიდეს ჯართად, შენობებსაც კი ანგრევენ და ამოდენა უმუშევარი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი, ამისთანა უკანონო ქვეყანაში სადაც მკვლელსაც კი არ იჭერენ, გაიხრწნება აბა რა მოუვა? —თქვა ნოდარმა.

—საინტერესოა, ამ ყველაფერს, ქვეყნის დანგრევას და ხალხის გახრწნას ვინმე შეგნებულად ახდენს თუ უთავბოლო მთავრობას თავისთავად გამოსდის? — თქვა ვაჟამ.

—მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ეხლა ის არის, რომ დღეს თუ ხალხი გონზე არ მოვიდა ხვალ უკვე გვიანი იქნება. — თქვა ნოდარმა. ქართველები ორი მილიონიც აღარ ვართ საქართველოში. მილიონზე მეტი გაქცეულია საზღვარგარეთ თავისი ოჯახის გადასარჩენად და თუ იმასაც გაითვალისწინებ რომ სიკვდილიანობა შობადობაზე ორჯერ და სამჯერ მეტია, მაშინ ადვილი წარმოსდგენია, რომ ერთი საუკუნეც

არ დასჭირდება ქართველების ამოწყვეტას. უახლოეს პერიოდშიც კი, როცა ქართველობა უკვე უმცირესობა იქნება საქართველოში მას აღარავინ კითხავს ქვეყნის ბედს.

–ეხლაც უმცირესობაში არა ვართ? – თქვა გიამ. ქართველების უმრავლესობას ქართული სული აღარ აქვს, საქართველოს გულშემატკივარი ვილა დარჩა? ამიტომაც არის რომ ასე ადვილად გაანადგურეს საქართველო ქართველების ხელითვე.

–სოფლის მეურნეობაც ხო განადგურებულია. – თქვა საშკამ. ერთი წადით ნახეთ მთელი მინდვრები მოუხნავია, ვენახები განადგურებულია. ხალხს .ძველი რაც შემორჩა ჯერ კიდე იმით არსებობს, სახლიდან გამოაქვთ ჭურჭელი და სხვა ნივთები და იმას ყიდიან.

–გათახსირდა ხალხიც და მთავრობაც. – თქვა ნუგზარმა. ნაძირალა არ არი აბა რა უნდა უწოდო კაცს, რომელიც ისედაც წელში გაწყვეტილი ხალხით დიდ ფულს შოულობს, საზღვარგარეთ ბანკებში წაიღებს და მსოფლიოს საუკეთესო დასასვენებელ ადგილებში გულაობს? მარტო გათახსირებული და ნაძირალა კი არა, ერის მოღალატეა და უნდა დაისაჯოს. აქ მაინც დააბანდონ ის ფული და სამუშაო ადგილები შექმნან.

–ეგ მართალია. –თქვა გიამ. ის ვინც ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს მოღალატეა, მაგრამ ასეთი იმდენია, ყველა რომ დაიჭირო ვინღა დარჩება? ზოგი თუ შეგნებულად მტრობს, ზოგს უნებლიედ, უმეცრებით მოსდის, ზოგიც იძულებულია. თავის გადასარჩენად ასე მოიქცეს.

–მაშ ვინღა დარჩა, ეისით გინდა საქართველო გადაარჩინო? – თქვა ნუგზარმა.

აქ ეხლა ხუთი კაცი ვართ – თქვა ნოდარმა. ამ ხუთიდან რამდენი ვართ ნაძირალა და კორუმპირებული?

–ჩვენ რომ არ ვართ, ამიტომაც არის რომ ლუკმა პურს ძლივს ვშოულობთ. –თქვა ვაჟამ.

–გარკვეულად ჩვენც გვეხება, როგორ არა. – თქვა გიამ. –შეშას რომ ვჭრით, ტყეს ვანადგურებთ და 20-20 ლარს ტყის მცველს ვაძლევთ, რომელიც იმათ ჯიბეებში მიდის, სახელმწიფოს ბიუჯეტში კი არაფერი, ეს კორუფცია არ არის? მაგრამ ჩვენ იძულებულს გვხდიან ასე მოვიქცეთ. ბილეთი რომ აიღო, ჯერ ხომ რამდენიმე დღე უნდა გასცდე იმის დევნაში, თუ ფული იშოვე საიმისოდ, მერე ისევ აქ უნდა მოხვიდე და მეტყველეს მაინც უნდა მისცე 20 ლარი, რომ აქ მოგაჭრევინოს. თუ არ მისცემ, ბილეთში მითითებულ ხეებს ისეთ ადგილში მოგცემენ, რომ მოჭრა კიდეც ვერანაირად ვერ გამოიტან უგზოობის გამო იქიდან. აი ასე გაიძულებენ კორუფციაში ჩართვას, რითაც თან ფულს აკეთებენ, თან გაჩუმებენ იმით, რომ ვითომდა შენს გამო კანონდარღვევაზე წავიდნენ და უკანონოდ შეშა მოგაჭრევინეს. ამიტომ, ასეთი ხალხი გათახსირებული და მოღალატე კი არ არის, იძულებით ან უნებლიედ არის კორუფციაში ჩართული. ასეთი ხალხი კი არ უნდა დაისაჯოს, პირიქით, სწორედ მათ უნდა ამოიღონ ხმა და დაეხმარონ ქვეყნას გამოსწორებაში. არ მეთანხმებით, რომ ჩვენ გათახსირებულები და კორუმპირებულები არა ვართ?

–კი გეთანხმებით, მაგრამ ეს შეცელის რამეს? – დაეთანხმნენ ბიჭები.
–ხოდა ჩვენ თუ აქ ხუთი კაცი შეეგროვდით, მთელ საქართველოში სულ მცირე ერთი 100000 კაცი მაინც აღარ იქნება ასეთი?
–იქნება, როგორ არ იქნება, მეტიც იქნება. – თქვა ნუგზარმა.
–ერთი ნახევარი მილიონი მაინც იქნება. – თქვა ვაჟამ.
–ჰოდა, ამდენი თუ არის, ამდენ ხალხს არ შეუძლია ქვეყანა პატიოსნად მართოს? მითუმეტეს, რომ განათლებული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი სწორედ რომ პატიოსანთა კატეგორიას ეკუთვნის.
–ეგ ხომ ზღაპარია. პატიოსან ხალხს ვინ მიუშვებს ქვეყნის მმართველობამდე. –თქვა საშკამ.
–ეგ უკვე ვთქვი როგორ უნდა მივიდნენ, ეს ჩვენზე – ხალხზეა დამოკიდებული. როცა ხალხი არ ინტერესდება ამით, მაშინ ვისაც უნდათ იმას აგარჩევინებენ, ხოლო თუ ხალხმა მოინდომა თავისას გაიტანს. მთავრობაში პატიოსანი ხალხი ეხლაც არის, მაგრამ საერთო საშინელ ფონზე არ ჩანს. ხალხი თუ დაინტერესდება და ფხიზელი თვალით დააკვირდება, ამოიცნობს ამ ადამიანებს. ისე კი არა, რომ მარტო იმათ ცნობს, ვინც ხშირად გვენახვება ტელევიზორში. ამას ხომ დღევანდელ პირობებში ძალაუფლება და ფული ვისაც აქვს, ის ახერხებს.
–კარგი, თავი დაანებეთ პოლიტიკაზე კამათს. არა გბეზრდებათ? პირველად ხომ არ კამათობთ. სულ ერთი და იგივეს ლაპარაკობთ სასრული კიდე არა აქ. –თქვა ვაჟამ. –საითაც გაივლი ყველგან პოლიტიკაზე კამათობენ, დიდი თუ პატარა. ტყეში წამოვედით აქ მაინც დაისვენეთ პოლიტიკისგან. ჩვენ მაინც არავინ არაფერს გვეკითხება. ჩვენ უბრალო ხალხი ვართ რაც გინდა შეიცვალოს, მაინც იმად დავრჩებით რაცა ვართ. პოლიტიკა პოლიტიკოსებმა აკეთონ, ჩვენ შეშა ვჭრათ.
–მართალია, პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ, მაგრამ თუ ხალხი არ ერკვევა და არ ერევა, პოლიტიკოსები კი არ შექმნიან პოლიტიკას, არამედ პოლიტიკაში შემძვრალი ნაძირალები და ჩვენისთანები ზარალდებიან. –თქვა ნოდარმა.
–აბა, რა უქნათ ძმაო, –უთხრა ნუგზარმა ვაჟას. –რაც გვიჭირს იმაზე ვლაპრაკობთ.
–ის მეველეა თუ რაღაცა მეტყევე, რატო არ მოდის, ფული არ უნდა? –თქვა საშკამ.
–ის ჯერ არ მოვა. –უპასუხა ნუგზარმა. –ის ეხლა ღრმა ტყეშია. ტრაქტორისტი ჰყავს დაქირავებული... შალგიანი ტრაქტორი იყიდა, შიგნით ტყეში მსხვილ ხეებს ჭრის „დრუებით“, ტრაქტორით ათრევს გარეთ და ყიდის. ჩვენთვის ჯერ არ სცალია. შუადღე რომ გადავა, მერე ჩამოუვლის ყველას და გამოართმევს ფულს.
–ეგ რა ტყის მცველია, თვითონ ანადგურებს ტყეს. ხალხზე მეტს თვითონ ჭრის. თქვა ვაჟამ. –ტყის მცველი კი არა ტყის მტერია. ტყის მცველები ერთი მეორეს ეჯიბრებიან ვინ უფრო მეტ ტყეს გაანადგურებს და ვინ უფრო მეტ ფულს მიუტანს თავის უფროსს.

–ტყის სიღრმეში რაღა უნდა, ნაპირზე რატო არ ჭრის? –იკითხა საშკამ.

–ნაპირზე წვრილი ხეა, ამას ვინ იყიდის, კარგ ფასში არ გაიყიდება, შიგნით კი კარგებს არჩევს, დასახეთქად რომ ადვილია. –უპასუხა ისევ ნუგზარმა

–ცოტა შევისვენოთ, თან ვისადილოთ. არ მოგშივდათ? –თქვა ნუგზარმა და თან საშკას, რომელიც მუშაობით თითქმის არ მუშაობდა დაუძახა: – საშა, მიდი პარკები წამოიღე, ღვინოც იქვე დევს.

საშკამაც ამოიღო ტრაქტორიდან პარკები და ბიჭებთან მიიტანა. ბიჭები უკვე წრიულად წამომსხდარიყვნენ მოჭრილ ხეებზე.

სადილობის შემდეგ კელავ გააგრძელეს მუშაობა. დროდადრო ისევ წამოიწყებდნენ ხოლმე პოლიტიკაზე საუბარს, აკრიტიკებდნენ როგორც მთელს მთავრობას, ასევე ინდივიდუალურად ზოგიერთ პოლიტიკოსს და ჩინოვნიკს. ამას გარდა სხვა მრავალ საკითხსაც შეეხნენ, ზოგიც გაჭორეს, მეზობელი თუ სხვა და საღამომდე მოჭრილი შეშაც საკმარისი დაგროვდა. დაუდეს შეშა ტრაქტორის მისაბმელზე, მერე თვითონაც შესხდნენ შეშაზე და წავიდნენ სახლისაკენ.

შემდეგ დღეებში ამინდი უფრო გამოკეთდა, შედარებით დათბა. ასე რომ, ამინდს ბიჭებისთვის ხელი არ შეუშლია შეშის ჭრაში და ორ კვირაში ყველას მიტანილი ჰქონდა სახლში. ვისაც ერთი ღუმელი ედგა მთელი ზამთარი ეყოფოდა ეს შეშა, ხოლო ვისაც ორი, რადგან ბევრნი იყვნენ ოჯახში და საძინებლებშიც ანთებდნენ ღუმელს, არ ეყოფოდა და კიდევ უნდა ეზრუნა.

იმ ნაადრევი აცივების შემდეგ დამდგარი თბილი ამინდი ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. აკი გამოცდილი ხალხი ამბობდა კიდეც, ნაადრევი აცივების ნუ გეშინიათ ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო თბილი ზამთარი დადგება, ერთი პატარა ზაფხული ზამთრამდე კიდევ იქნებაო. ხალხის ნაწილმა იზრუნა შეშაზე და მეტ-ნაკლებად მოახერხეს დამარაგება, ნაწილს არ ეცალა ან შესაძლებლობა არ ჰქონდა, ნაწილი კი დათბობამ გააყუჩა.

ნოდარმა ეს „პატარა ზაფხული" კარგად გამოიყენა, შეშა ხომ მოიტანა, ვენახში ბარვაც დაიწყო და საკმაო ნაწილიც დაბარა. ბარეაში გიაც ეხმარებოდა და ამ დილითაც ერთად წავიდნენ.

–გვიან წამოვედით, მაგრამ მაინც საკმაოდ მოვასწარით. ხომ ასეა? –თქვა გიამ.

–ჰო, მართლაც ბევრი მოვასწარით. –თქვა ნოდარმა და თან მიუთითა: იქით აღარ გაიარო თორემ, ისევ იმ ტალახში ჩავვარდებით. უკვე ღამდება და მანქანა რომ ვეღარ ამოვიდეს, ამაღამ აქ მოგვიწევს დარჩენა.

–ჰო მახსოვს, მაგას რა დამავიწყებს, იმდენი ვიწვალეთ.

გიამ მართლაც მცდელობა არ დააკლო აერიდებინა მანქანა გუბისთვის, რომელშიც მოსვლისას ჩაცვივდნენ, მანქანამაც დიდად აღარ გააწვალათ. მართალია მაინც ჩავარდა, მაგრამ ამჯერად უფრო პატარა გუბეში და ნოდარის სულ რაღაც რამოდენიმე წამი დასჭირდა ხელით მიწოლა,

რომ გადაელახათ ეს დაბრკოლება. ნოდარი ჩაჯდა ისევ მანქანაში და გზა განაგრძეს.

მოულოდნელად მანქანის მოშორებით გზაზე ორმა ლანდმა გადაირბინა.

—ეა, ეს რა იყო. ასე გვიან ვინ დადიან, რას აკეთებენ ან რას იმალებიან. —თქვა გიამ.

—მგონი ხელში რაღაც ეჭირათ. ალბათ სარებს იპარავენ. ხომ იცი ახლა როგორ არის გახშირებული სარების პარვა. რამდენი ვენახი გააუბედურეს ჯართის გულისთვის და რამდენი გლეხი გაამწარეს. —თქვა ნოდარმა.

—ქარხნებიდან ძვირფასი მანქანა-დანადგარები წაიღეს ჯართში... ტრაქტორები, ელექტროძრავები და რა ვიცი კიდევ რას ანადგურებენ ჯართის გულისთვის და შენ სარები გიკვირს?

—აბა ერთი რომ გაუსწორდები იმ ადგილს გააჩერე ვნახოთ ვინ არიან.

—რისთვის, შარი გინდა? დაანებე თავი.

—რა შარი? თუ სხვას პარავენ ხვალ მე მომპარავენ და მე დამღუპავენ. ვენახის განადგურება შეიძლება ჯართისთვის?

—ხო კარგი, გავაჩერებ. —თქვა გიამ.

გიამ გააჩერა. ნოდარი სწრაფად გადავიდა. არემარე ჯერ კიდევ მთლად არ დაბნელებულიყო და მცირე სინათლეზე ოციოდე მეტრში ნოდარმა გაარჩია ორი ბიჭი. მათ მხარზე რკინის სარები ედოთ და ცდილობდნენ გაპარულიყვნენ. უფრო უკან მიმავალი იცნო ნოდარმა.

—სანდრო ყოფილა. —თქვა ნოდარმა.

—ვინ სანდრო?

—ჩვენი მეზობელი, ანა მასწაელებლის შვილი, შენს გვერდით რომ ცხოვრობს.

—რას ამბობ მაგას რა უნდა აქ? —თქვა გიამ და ისიც გადმოვიდა მანქანიდან.

—სანდრო, მოდი აქ, დაგინახეთ, გაქცევას აზრი აღარ აქვს. მოდი, არაფერს გიზამთ, ნოდარი ვარ. —გასძახა ნოდარმა.

სანდრომ იცნო ხმაზე ნოდარი, სარი ადგილზე დააგდო და მათკენ მობრუნდა.

—ბიჭო, ვის სარებს იპარავ, რას შვრები, არა გრცხვენია? — უთხრა მისულ სანდროს გიამ.- ამხელა ბიჭი ხარ, ჭკუა არ გაქვს?

—შენ ეს არ შეგფერის. წესიერი ოჯახიდან ხარ, ვინ გაგაგიჟა, ამას რას აკეთებ? შენ რომ დაგიჭირონ ან რამე დაგემართოს შენს ავადმყოფ მშობლებს ეგღა უნდათ? ისედაც ძლივს დადიან. —თქვა ნოდარმა.

—ის ვინღა იყო რომ გაიქცა? — ჰკითხა გიამ.

სანდრომ თავი ჩაღუნა და ხმას არ იღებდა.

—თქვი, დამალვას აზრი არა აქვს. მაინც გავიგებთ ხომ იცი? ჩვენ ხომ საჩივლელად არ გავიქცევით, თქვი ვინ იყო.

—მამუკა იყო. — ჩაილულღუღა სანდრომ.

—გოგიას ბიჭი?

–ჰო.

–ეგ რაღამ გააგიჟა, ეგეც ხომ წესიერი ოჯახიდან არის? თუმცა მთლად წესიერიც არ ითქმის. დაუძახე მოვიდეს. დაანებოს თავი იმ მაიმუნობას და ჩვენ გამოგვყევით ორივე.

სანდრომ ერთი გასძახა მამუკას. შემდეგ ნოდარმაც რამდენიმეჯერ გასძახა, მაგრამ იქიდან არც პასუხი გაუგონიათ და არც ვინმე მოსულა. შეიძლება მამუკა უკვე იმხელა მანზილზე გაიქცა რომ მათი ხმა არც გაუგონია.

ბიჭები ჩასხდნენ მანქანაში, სანდროც ჩაისვეს და გზა განაგრძეს.

–შენგან ასეთ რამეს არ მოველოდი. ამას როგორ წარმოვიდგენდი, ამისთანა ოჯახის შვილი სარების ქურდობას თუ დაიწყებდი. დედაშენი სხვებს ასწავლიდა პატიოსნებას, მათ შორის მეც და შედეგიანადაც. ჩვენ გვიყვარდა სკოლაში ანა მასწავლებელი და გვჯეროდა მისი. შენ კი მისი საკუთარი შვილი ცუდ გზაზე დგები? დიდი ხანია რაც სარების მოპარვა დაიწყე? –ჰკითხა ნოდარმა.

–არა.

–რამ გაიძულა ასეთი რამის კეთება? მამუკამ წაგიყვანა?

–აბა რა ვქნა? ძროხა აღარ იწველება, ფული აღარ გვაქვს. ჩვენი ძროხა სამი თვის მერე მოიგებს და აღარ მოვიპარავ.

–მერე სახლში რას გეუბნებიან, არ გიბრაზდებიან? –ჰკითხა გიამ.

–ისინი ვერ იგებენ, რა ბევრ ფულს კიდე მე ვშოულობ. ასე ათი ლარის თუ გამოვა.

–ჯერ ერთი სამ თვემდე მიაღწევ თუ არა რომ არ დაგიჭირონ საეჭვოა და მეორეც თუ მიეჩვიე თავს ველარ დაანებებ. ქარის მოტანილ ფულს ისევ ქარი წაიღებს, შენ კი სულში სიბინძურე დაგრჩება, რასაც ველარ მოიცილებ. შენ ჯერ პატარა ხარ და ამას ვერ საზღვრავ თუ არ მოეშვები მერე გვიანი იქნება. დაფიქრდი ჭკუაზე მოდი თორემ დაიღუპები. – უთხრა ნოდარმა.

–წამოდი ეხლა მამუკას მშობლებთან მივიდეთ. ეუთხრათ იქნებ არც იმათ იციან და ეს ბაეშვები გადავარჩინოთ. –უთხრა ნოდარმა გიას.

–არა მე არ წამოვალ! – წამოიძახა სანდრომ.

–აბა უშენოდ რომ მივიდეთ არ დაგვიჯერებს აქეთ დაგვადებს ვალს. – თქვა ნოდარმა.

–მე რა საჭირო ვარ? იმათ ისედაც იციან. თვითონ მამუკას მამამ მიგვასწავლა ვენახი, სადაც უფრო მეტი რკინის სარები იყო.

–როგორ მამამ? სულ გაგიჟებულა ეგ კაცი. – თქვა ნოდარმა.

–არა შენც უნდა წამოხვიდე. – უთხრა გიამ სანდროს.

–გაბრაზდებიან და მეც ქვეყანა შემეყრება.

–რა ქვეყანა შეგეყრება? თუ მათ იციან სხვა ახალი ვინღა გაიგებს. ჩვენ ხომ არსად არ ვიტყვით. –თქვა ნოდარმა.

გიამ მანქანა გოგიას სახლითან მიაყენა. დაძახებაზე გოგიამ მალე გამოიხედა. სანდროს დანახვაზე გარეთ გამოსულ გოგიას სახე შეეცვალა რითაც აშკარად გამოამჟღავნა რომ მართლაც ყველაფერი იცოდა. ესეიგი მამუკა უკვე სახლში მისულა.

—მობრძანდით, სახლში შემოდით, იქ ვილაპარაკოთ.

სამივე შეჰყვა გოგიას ერთ განცალკევებულ, ცივ ოთახში, საიდანაც ლაპარაკის ხმა შორს ვერ წავიდოდა.

აბა გისმენთ, რაშია საქმე? —იკითხა გოგიამ.

—შენ იცოდი რომ შენი ბიჭი და ეს ვენახებში სარებს იპარავენ? —ჰკითხა გიამ.

—არა, მე საიდან უნდა მცოდნოდა? როგორ, სარებს იპარავენ? ეგ როგორ გაბედეს? სად იპარავდნენ, თქვენს ვენახში შევიდნენ? —თქვა გოგიამ, რომელმაც სცადა არ შეემჩნია რომ მან ყელაფერი კარგად იცოდა და შემდეგ სანდროს მიუბრუნდა, არა გრცხვენიათ, ეგ რეები ჩაგიდენიათ. მოპარვა როგორ შეიძლება და თანაც მეზობელს პარავთ?

ოთახში კარი გაიღო და გოგიას მეუღლე შემოვიდა.

—რაშია საქმე? —იკითხა მან.

—რაშია საქმე და შენს ბედოვლათ შვილს და ამ ლაწირაკს ამათთვის ვენახის სარები მოუპარავთ. — უპასუხა ქმარმა.

—როდის ახლა? ეგ როგორ გაბედეს? სად არის მამუკა? მომიკვდეს ეგა, როგორ შემარცხვინა, ასე როგორ შეიძლება, შინაური და გარეული არ უნდა იცოდეს? სად არის? ჯერ მოვიდეს სახლში, ისე უნდა ვცემო, სულ ტყავი უნდა გავაძრო. აპატიე, შვილო და აგინაზღაურებთ.

—ესეიგი შენც იცოდი, რომ ამ საქმეზე დადიან? — თქვა გიამ.

—არა, რას ამბობ, მე საიდან უნდა მცონოდა? რომ მცოდნოდა, მაგის ნებას როგორ მივცემდი?

—კარგი ახლა, დამალვას რა აზრი აქვს. ორივემ გამოამეღავნეთ რომ გცოდნიათ და ალბათ ხელსაც უწყობდით. — თქვა გიამ.

—რას ამბობთ, გაგიჟდით? ჩვენ ხელს როგორ შეეუწყობდით? არც კი ვიცით თქვენი ვენახები სად არის.

—ჩვენი ვენახებიდან ჯერ არ მოუპარავთ, სხვის ვენახებში ვნახეთ. შემდეგში ალბათ ჩვენთანაც შემოიძვრებოდნენ. თუ ‘ხომებს არ მიიღებთ მერე ცუდად წაუვათ საქმე. —თქვა ისევ გიამ.

—რას ამბობ, აბა ვის ვენახში იყვნენ? აბა თუ თქვენს ვენახში არ იყვნენ, მაშინ თქვენ რა გესაქმებათ? ვინა გკითხავთ თქვენ, რაა ბოზობა დაიწყეთ? —ხმას აუწია გოგიამ და ახლა სანდროს მიუბრუნდა. —შენი ჩაშვებული იქნება ალბათ მე არ ვიცი რა ოჯახიდან ხარ? ხო ვეუბნებოდი იმ რეგვენს, ეს არ წაიყვანო, იგეთი ოჯახიდან არი გიბოზებს მეთქი.

თქვენთვის არ მოუპარავთ? აბა მაშ რა თქვენი საქმეა, ესენი სად რას მოიპარავენ? —თქვა მამუკას დედამაც.

—როგორ თუ ჩვენი რა საქმეა? ბავშვები ცუდ გზაზე დგებიან, ილუპებიან და ჩვენი საქმე რას ქვია, არ ეუშველოთ? დღეს თუ სარებს იპარავენ, ხვალ უარეს საძაგლობას ჩაიდენენ. —თქვა ნოდარმა.

—მოელი საქართველო ქურდებად არის გადაქცეული, ამ პატარა ბიჭების გაგიკვირდათ? მთავრობა რომ იპარავს,იმათი ქურდობა ამათთან რა სათქმელია. მთელი ხალხი გააძვალტყავეს. ესენი ხომ იმათთან ანგელოზები არიან. — თქვა დედამ.

—მთავრობა ქურდია თუ არა, ისინი თავიანთ თავს არ დაიჭერენ და შენ მანამდე არ ისწავლი ჭკუას სანამ შენი შვილი ციხეში არ მოხვდება? მერე... მერე რა იქნება?

—ეხლა ნეტა ვიღას იჭერენ? დაიჭერენ და დაიჭირონ კიდე რა ექნა. გამოვა და უფრო მაგარი იქნება. აბა რა ექნათ ცხოვრება ასეთია. ვერ ხედავ ქურდები ცხოვრობენ მარტო? არ იქურდებ და შიმშილით ამოგძვრება სული. დებილები, პატიოსნებაზე რომ დებენ თავს, უკვე რამდენი წავიდა იმ საიქიოს. ჩემს შვილს თავი დაანებეთ და წადით აქედან. თქვენ როგორც გინდათ ისე იცხოვრეთ- თქვა მამუკას მამამ.

—ჩვენ საჩხუბრად კი არ მოვსულვართ, ბიჭები გვეცოდება, ცუდ გზაზე დგებიან, დაიღუპებიან. —თქვა ნოდარმა.

—წადი შვილო, ძმაო, შენი თავი დაარიგე, ჩვენ შენი დარიგება არა გვჭირდება, ცუდი გზაა თუ კარგი, ეგ ჩვენი საქმეა.

—წამოდი,წამოდი,წავიდეთ,ესენი გიჟები ყოფილან. ამათთან ლაპარაკი არ შეიძლება. —თქვა გიამ და გამობრუნდა.

—გიჟი შენ თვითონ ხარ, რომ ამ ცხოვრების ვერაფერი გაგიგია. შენ რა განაღვლებს მაღაზია გაქვს და ფულს აკეთებ, აბა სხვების იკითხე როგორ ცხოვრობენ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნოდარიც გამობრუნდა და ქუჩაში გამოვიდნენ.

—მე მგონი თვითონაც ხედები, ამას დიდი ჭკუა არ სჭირდება, რომ ამათთან ლაპარაკი არ შეიძლება. ესენი დაგღუპავენ. — უთხრა გიამ სანდროს.

—სანდრომ თავი დაიქნია და თავის სახლისაკენ წავიდა.

—აი როგორ იღუპება ახალგაზრდობა და მთელი საქართველო. თუ არაფერი შეიცვალა დავიღუპეთ და ეგარი.

დეკემბერი დადგა. ეხლა კი მოულოდნელად ისევ აცივდა. გამთენიისას წვიმა დაიწყო და მთელი დღე წვიმდა წყნარად და თანაბრად. მეორე დღეს დილით კი თოვა დაიწყო, თუმცა ფიფქები მიწასთან შეხებისთანავე ქრებოდა და წამის შემდეგ კვალიც აღარ რჩებოდა.

ნოდარი საუზმის შემდეგ აივანზე გამოვიდა, როგორც ბოლო ხანს ჩვევად ექცა ეხლაც სახლში გული არ უჩერდებოდა და ფიქრობდა სად წასულიყო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და ისევ აივანზე მდგარ სკამზე დაჯდა. მოაჯირზე მოხრილი მკლავები ერთიმეორეზე დააწყო და ზედ ნიკაპით დაეყრდნო. ათიოდე წუთი ასე დაყრდნობილი მძიმე ფიქრებში ჩაეფლო. მერე თითქოს გამოფხიზლდაო მკვეთრად შეირხა, დაგმო თავისი ფიქრები: „რა მაფიქრებს უფრო ცუდ გუნებაზე ვდგებიო“ თავი ასწია და ზემოთ ცისკენ დაიწყო ცქერა. ახლა სხვა ფიქრებში ჩაერთო და მისი მზერა ციდან მოდენილ უამრავი ფიფქთა სივრცეში უმისამართოდ გასტყორცნა, ისე, რომ ცალკეულად თითქოს ყველა ფიფქსაც კი ხედავდა. ხედვის არეში ისეთი ილუზია იქმნებოდა თითქოს ჩანდა, როგორ წარმოიშვებოდნენ ფიფქები, სულ ზემოთ ჯერ რაღაც მკრთალი წერტილები წარმოიშვებოდნენ, შემდეგ თანდათან მსხვილდებოდნენ, ძირს ცვენას იწყებდნენ, ფიფქად იქცეოდნენ და აივნის წინ, სულ ახლოს ფიფქებადქცეულნი ნელი სვლით და ქანაობით

მოფარფატებდნენ. ფიფქები სულაც არ ჩქარობდნენ, ისე ნელა ეშვებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ კარგად დანახვებოდნენ ნოდარს და თავი მოეწონებინათ. მართლაც ძალიან მოხდენილად მოფარფატებდნენ. იქნებ სულაც არ ცდილობდნენ ნოდარისათვის თავის მოწონებას და ნელა იმიტომ ეშვებოდნენ, რომ სიცოცხლე გაეხანგრძლივებინათ? მიწასთან შეხებისთანავე ხომ განადგურება ელოდათ.

—რა ლამაზად თოვს. არც ისე ხშირია, როგორც ხანდისხან იცის ,და არც ძალიან მსხვილია ფიფქები, მაგრამ მაინც ლამაზია —ჩაილაპარაკა დაბალი ხმით თავისთვის ნოდარმა, მერე კი კვლავ ფიქრში გადაინაცვლა. —ბავშვი აღარ ვარ, მაგრამ მაინც მიხარია რომ თოვს. ნეტავი სხვებსაც უხარიათ ჩემს ასაკში, თუ მარტო მე ვარ ასეთი? ბავშვობაში ხომ ნამდვილად ყველას ახარებს და ამ ასაკში რა ვიცი. შეიძლება არ ამხელენ სიხარულს. წრფელი გულის გამომეღავნების ხომ ყველას რცხვენია, ვისაც შემორჩა. ასეთებს ხომ დასცინიან, ბრიყვებად თვლიან და ისინიც მალვენ, ერიდებათ გამომეღავნების, ბოლოს კი სულ ეკარგებათ. ან იქნებ არც არავის უხარია? ანდა რა სასიხარულოა, ათას პრობლემას აჩენს. თოვლჭყაპი, ტალახი, სიცივე, გადაადგილება ჭირს, ზოგს შეშაც არა აქვს და რა ვიცი კიდე... ისედაც ამოდენა პრობლემებში ჩაფლულ ხალხს, გადარჩენისთვის რომ იბრძვის, რა ელამაზებათ ამ თოვაში? მათ იმდენი საზრუნავი აქვთ, ეხლა რომ ჰკითხო, ხომ ლამაზად თოვსო, ალბათ გიპასუხებენ: სულელი ხარ, მოცლილი, საქმე გამოგლეკიაო. მართალიც იქნებიან ალბათ, თუნდაც ეხლა მე ეზიარ აქ და ფიფქებზე ეფიქრობ. რა, მეტი საქმე არა მაქვს? თუმცა რა საქმე მაქვს? საქმე კი არა პრობლემები მაქვს, რომელთა გადაჭრის გზებიც ვერ მომინახია და არ ვიცი როგორ მოვიქცე... ამ დროს ისევ მანანა გაახსენდა. მანანა, ჩემი მანანა. ეხლა რომ აქ გაჩნდებოდეს რა ბედნიერი ვიქნებოდი. გვერდით მოვისვამდი... არა მუხლაბზე დავისვამდი და მოვეფერებოდი, მოვეალერსებოდი და ისიც მომეალერსებოდა, და... თუმცა, ვინ იცის მოინდომებდა კი? ეს ხომ ნატვრაა, ჩემი სურვილი, ოცნება. ოცნება კი რეალობისგან შორს არის. თუმცა რატომ, ეს ხომ ჩემზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ოცნება შეიძლება რეალობად იქცეს. ამისთვის მცდელობაა საჭირო, და მეც შეეცდები. ხოდა მომეფერებოდა. ტუჩებს დამიკოცნიდა მეც დავუკოცნიდი ლოყებს, თვალებს, ყელს, რა ვიცი ყველაფერს, ვიქნებოდით ასე ერთმანეთის კოცნაში, მოფერებაში და ეს იქნებოდა დიდი ბედნიერება. არა, დიდი კი არა, უზენაესი ბედნიერება. მერე ბავშვებიც გვეყოლებოდა. იმხიარულებდნენ, იხტუნავებდნენ, ხან წაიჩხუბებდნენ და აურიამულდებოდა ჩვენი სახლ-კარი, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო. განა ამაზე მეტი ბედნიერება არსებობს ქვეყნად რამე? და ეს ხომ ის ელემენტარული რამეა, რისი უფლებაც ყველას უნდა ჰქონდეს. მათ შორის მეც? მაგრამ...

—გეყოფა ნოდარ, ოცნება. —ჩაილაპარაკა ხმადაბლა, და შემდეგ კვლავ ფიქრი გააგრძელა. ოცნება რამდენადაც სასიამოვნოა, იმდენად ფუჭია. ბავშვები და ცოლი ყველას ჰყავს, მაგრამ სრულყოფილი

ბედნიერებისთვის თითქმის არავის მიუღწევია. ჩამოდი ნოდარ ძირს, გეყოფა მაღლა ფრენა... მაგრამ რატომ, ეს ხომ მართლაც ელემენტარულია? ეს ყველას სჭირდება, ყველას აქვს სიყვარულის და ბედნიერების უფლება, თანაც ეს მათთანვე ახლოს, სულ ერთი ხელის გაწვდენაზეა. მაგრამ მაინც ვერ წვდებიან. ვერ წვდებიან და ვერ იღებენ ნამდვილი სიყვარულის, ბედნიერების და მისი ნაყოფის ნეტარებას. რატომ? რატომ ვერ ტკბებიან სიყვარულით? რატომ ენატრებათ, ეძებენ და ვერ პოულობენ რაც მათ გვერდითვეა? იქნებ იმიტომ, სიყვარული რომ იგემო მას ნაზად, ფაქიზად უნდა მოექცე. ამის ნაცვლად უხეშად ექცევიან, ანუ თვითონვე ჰკრავენ ხელს? ან იქნებ იმიტომ, რომ რთული, უხეში ცხოვრება გვაქვს და უხეში სული გვიყალიბდება, რაც შეუსაბამოს ხდის? იქნებ არც შეიძლება ნაზი სული არსებობდეს, რადგან ამ სიუხეშეში ვერ გაძლებს, ვერ შეეგუება და განადგურდება?"

ნოდარმა უნებლიედ თავი დაღუნა და მიწაზე შეაჩერა მზერა. ფიფქები ისევ ისეთი ნელი სელით მოფარფატებდნენ. მიწის ზედაპირზე ისე ნელა ცვიოდნენ, თითქოს ფრთხილობენ არაფერი დაეუსიანოთო, მაგრამ მიწა თითქოს დიდი ურჩხული ყოფილიყოს, ისრუტავდა მათ და ფიფქები შეხებისთანავე ქრებოდნენ. არა, უფრო იმას ჰგავს, რომ ფიფქებს რცხვენიათ თავიანთი საქციელის და სირცხვილის გამო უჩინარდებიან.

— აი, ზუსტად ასეა. —ჩაილაპარაკა ისევ გარინდულმა ნოდარმა თითქოს საოცრება აღმოაჩინაო და ცოტა გამოცოცხლდა. წელში გაიმართა, ხელები ოდნავ გაშალა, მერე ერთი ხელი მოღუნა და ისევ მოაჯირს დაეყრდნო, ხოლო მეორეთი კი ჯერ ცხვირი მოიფხანა, შემდეგ კისერი.

აი, ეს ნაზი და ლამაზი ფიფქები, გააგრძელა ისევ თავისთავთან მონოლოგი ნოდარმა ზეციდან რომ მოფარფატებენ, სწორედ ზეციდან მონადენი სიყვარულის ძალის ნაკადს ჰგავს, რომელიც ადამიანებთან შეხებისთანავე ქრებიან, როგორც ფიფქები მიწასთან შეხებისას. ქრებიან იმიტომ რომ ადამიანის გულში ადგილი აღარ არის დიდი, ზეციური სიყვარულისთვის. სიყვარულის ადგილი მიწიერმა გრძნობებმა დაიკავეს და სიყვარულიც მიწიერი, ამბიციური ყალიბდება. ეს ნამდვილად მართალია. აბა გადავხედოთ სიყვარულს რა უშლის ხელს. როგორ წარმოიშობა იგი და რა ანგრევს მას. დაინახავენ ლამაზ გოგოს, ეგოიზმით განიმჭვალებიან და განიზრახავენ ეს გოგო ჩემი უნდა იყოსო. ბევრი გოგონაც მსგავსად იქცევა. ნახავენ მდიდარ ბიჭს და მერე ეკეკლუცებიან, რომ თავი მოაწონონ. სიყვარულიც ასე ან მის მსგავსად იწყება. რა თქმა უნდა, ასეთი ეგოისტურ-ამბიციური საწყისით დიდი სიყვარული ვერ შეიქმნება. ასეთი სიყვარულით შეუღლდებიან, მერე ამბიციები იზრდება და არ მცირდება. ამიტომაც ძირითადი ოჯახური კამათები ამბიციურობიდან და მატერიალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. ეს კამათები იწვევს მერე უნდობლობას, გაუგებრობას, ერთმანეთის აღარ ესმით და ზოგჯერ იქამდე მიდის საქმე, რომ ოჯახი ინგრევა. ზოგნი კი უბრალოდ მექანიკურად ცხოვრობენ ერთად. თუმცა ბედნიერება ნამდვილად იქვე,

ხელმისაწვდომზეა. იმ ჩხუბითა და კამათით მატერიალურ მდგომარეობას ვერავინ გამოისწორებს, ბედნიერებას კი ნამდვილად კარგავენ. ხომ კარგად უთხრა ამას წინათ ნუგზარმა თავის ცოლს: „რა ვქნა ქალო, საიდან გამოგიყვანო გაზი და დენი, არ არის და რა ვქნა? თამარ მეფე რომ უდენოდ და უგაზოდ ცხოვრობდა შენზე ნაკლები იყო? ის თუ ძლებდა უმაგისოთ შენ რა გემართება“?

მაგრამ, ხომ არსებობს ბედნიერი ოჯახებიც? არსებობს მაგრამ ძალიან ცოტა. აი ჩვენი ოჯახი მართლაც ბედნიერი იყო, მაგრამ აღარ არის. ნეტავი მე როგორი ოჯახი მეყოლება? მანანა რომ გამომყვეს გვექნება ბედნიერი ოჯახი? მე კი მეყვარება, მაგრამ მას თუ ვეყვარები? თუ მას არ ვეყვარები ალბათ მეც გამინელდება სიყვარული. თუნდაც არ გამინელდეს ცალმხრივი სიყვარული მაინც ბედნიერ ოჯახს ვერ შექმნის.

მთელი დღე სახლში იჯდა სხვადასხვა ფიქრებით დატვირთული ნოდარი. თავში რაღა არ მოუვიდა, კარგი თუ ცუდი. ერთხელ ისიც კი იფიქრა: იქნებ ჯობდეს მეც წავიდე მამაჩემივით საქართველოდან და უცხოეთში ვიცხოვრო, ნარნარ ცხოვრებას რა ჯობია, მანანა მაინც ოცნებაა და არა რეალობაო, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, ყველას თავისი ცხოვრება და თავისი სატარებელი ტვირთი აქვს, ვინც მას გაქცევია, ხვირი არაფის უნახავს. მხოლოდ დროებით და ისიც სხვის თვალში შეიძლება კარგ ცხოვრებად ჩანდეს თორემ, არა მგონია გაქცეულები ბედნიერები იყვნენო. შემდეგ ისევ მამა გაახსენდა და ასე გალია დღე საღამომდე.

ისევ თოვდა, მთელი დღე არ გადაუღია, მაგრამ არც დაუდია თოვლი. ფიფქები მიწასთან შეხებისას კვლავ დნებოდნენ, მხოლოდ წამით უფრო დიდხანს ინარჩუნებდნენ არსებობას.

საღამოს სკოლის სახურავი შეთეთრდა, რომელიც ნოდარის სახლიდან ორასიოდე მეტრში იყო. სკოლის სახურავი, როცა თოვას იწყებდა, ყოველთვის პირველი თეთრდებოდა, არ ვიცი, ყველაზე მაღალი რომ იყო იმიტომ, თუ ყველაზე ცივი იყო. იქ ხომ ამჟამად ცეცხლს თითქმის აღარ ანთებდნენ. სკოლის სახურავს სხვა სახლების სახურავებიც მოჰყვა და კარგად რომ დაღამდა, მიწაზეც დაიწყო გათეთრება. მეორე დღეს კი კარგად გამოჩნდა აღმოსავლეთიდან მონაბერი ცივი სიოს „ნამოქმედარი“. დილით, ადრე გაღვიძებულ ხალხს არემარე სულ გადათეთრებული დახვდა. თოვლი ერთ მტკაველზე იდო. ალაგ–ალაგ უკვე ისმოდა ნიჩბების ფხაკუნი. საქმის მოყვარულებმა თავიანთი საქმე თოვლის ხვეტით დაიწყეს და ეზოებიდან გამოსასვლელი გაასუფთავეს. ბავშვებიც გამოიშალნენ. მალე ქუჩაში მხიარული ყიჟინი და ჟრიამული დაიწყო. ბავშვები დარბოდნენ, კოტრიალობდნენ, გუნდაობდნენ, დიდებმა კი ქუჩების ჯვარედინზე მოიყარეს თავი. ბავშვებმა ხომ გაიხარეს და დიდებსაც ეტყობოდათ კარგი განწყობა. ისეთებიც კი რომელთა სახეზეც ღიმილი იშვიათად შეინიშნებოდა, სულ მოქრუშულები დადიოდნენ, ეხლა დროებით მიიეიწყეს სადარდებელი და გამხიარულდნენ. ძნელი სათქმელია ყველა თოვლის მოსვლამ გაამხიარულა თუ ერთად შეკრების თანმდევმა სახუმარო-

იუმორისტულმა გამონათქვამებმა, მაგრამ განწყობა ნამდვილად ყველას უკეთესი ჰქონდა.

ნოდარიც გავიდა „ბირჟაზე“ და თავმოყრილ მეზობლების ჯგუფს შეუერთდა.

–რას უზიხარ, ბიჭო, სახლში, ყველა გარეთ არი. მასე გამოდი ხოლმე, კვერცხებზე ხომ არ ზიხარ გამოსაჩეკად. –მიაძახა მისალმებისთანავე ვალიკომ. –შეშა შენც მოიტანე?

–ხო მოვიტანე.

–მაგათთან ერთად?

–ჰო.

–ყველას მოგიტანიათ რა. – განაწყენებული კილოთი გააგრძელა ვალიკომ. – ჩემთვისაც რომ გეთქვათ არ შეიძლებოდა?

–ყველას ხომ ვერ ვეტყოდით? შენ, შენი ქუჩა არა გაქ, მოგელაპარაკებინათ და მოგეტანათ. –უთხრა ნუგზარმა.

–ჩემს ქუჩაზე ვის მოველაპარაკო? არ იცი, რა დამპლები არიან? ყველამ მოიტანა მე დავრჩი მარტო.

–მერე გეთქვა იმათთვის, როცა მოიტანეს. – უთხრა ნოდარმა.

–ვის უნდა ვუთხრა, ბიჭო? შარშან გაჯი რომ მოვიტანე გასალესად, წვიმა დაიწყო, შეზიდვა ვერ მოვასწარი, ნახევარი გამიფუჭდა. ერთი არავინ არ გამოვიდა და არ მომეხმარა, ეგენი არიან მეზობლები?

–დამსახურება უნდა ძმაო, ეგრე კი არ არი. თუ არ ვარგანან, მაშ სხვებს როგორ ეხმარებიან? – უთხრა ნუგზარმა

–ვისთან დავიმსახურო? მაგ დამპლებთან? ერთი არ არი იმის ღირსი, რომ რამე პატივი სცე.

–სხვას რომ უჭირდა, შენ მიხვედი დაეხმარე? თუ შენ არავის დაეხმარე, არც სხვები გადაგყვებიან თან. შენ უფროსი ხარ, მაგალითი უჩვენე. – უთხრა ნოდარმა.

– აი, გიაც გამოჩნდა! გია, აბა, ერთი ახალი გვითხარი რამე, შენ გეცოდინება, მანქანის აკუმულატორზე მომუშავე ტელევიზორი მარტო შენ გაქვს. – მისალმებაც არ აცალა საშკამ მათკენ მიმავალ გიას.

–რომელი ახალი, წუხანდელი?

–ხო? რა მოხდა წუხელ? – წამოიძახა რამდენიმემ და ყველამ ყურადღება დაძაბა, ახალი ამბების გაგების მოლოდინში.

–ეგ ხომ თქვენც იცით.

– არა არაფერი გაგვიგია. წუხელ ახალი ის მოხდა, რომ თოვლი მოვიდა.

ყველამ გაიცინა. საშკამ სიცილით უპასუხა – ჩვენ ქვეყნის ამბები გვაინტერესებს, ეგ უკვე ვიცით.

–აკი ვამბობდი, თქვენც იცით მეთქი. – თქვა გიამ და ნოდარს მიუბრუნდა:

– რა ქენი, მოასწარი მაინც ვენახის დაბარვა ბოლომდე?

–ვერა, ვერ მოვასწარი, ცოტა დამრჩა.

–შენ, რა ვენახსა ბარავ? – ჰკითხა ვალიკომ.

—ჰო, ვბარავ. — უპასუხა ნოდარმა.

—რას ამბობ, ხო არ გაგიჟდი, ხელით როგორ დაბარავ, ტრაქტორი ან ცხენი არ არსებობს?

—შენ, რა ამ ქვეყანაზე არა ხარ? ყველას არა აქვს ტრაქტორისტის მისაცემი ფული, ხალხი ხელით ამუშავებს, აბა ხო არ მიატოვებენ?

—მერე, ფული არა გაქვს და თავი დაანებე. ხელით როგორ დაამუშავებ? ჩემი ნაკვეთიც ეგრე გდია, აბა ნახე. იმის დასამუშავებელი ფული სადა მაქ. შიგ ხეხილიც დგა, მაგრამ ისეთი ბარდებია ახლო ვერ მიხვალ. დასაკრეფადაც არ ჩავდივარ. ატმები ხომ სულ გახმა.

—შენ ფული გაქ, სხვა შემოსავალი გაქ და იმიტომ არ გჭირდება. აკი თვითონვე თქვი დასაკრეფადაც არ მიდიხარ. შენ რომ სხვებივით პურის ფული გენატრებოდეს, დატოვებდი დასაკრეფს? —უთხრა ნუგზარმა. დალხინებული ცხოვრებით სხვის გაჭირვებას ვერ გაიგებ. ტყუილად არ არი ნათქვამი „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“.

—მე რა, დალხინებული ცხოვრება მაქ? მე მაქ ფული და დალხინებული ცხოვრება?

—მთლად დალხინებული შეიძლება არა, მაგრამ ფული კი იშოვე და ეხლა არ მალაპარაკო საიდან შოულობ. —უთხრა გიამ.

—შენ რა გგონია, დოლარების გადახურდავებაში ბევრი მრჩება?

—არა, მე სხვა შემოსავალზე გეუბნები, ღამით რომ მოდიან შენთან.

—ეს გოგო რამდენს წვალობს, რამდენს იტანჯება. სულ დადის, სულ რაღაცას წვალობს, როგორ მეცოდება. —თქვა საშკამ და სხვებმაც იმ მიმართულებით გაიხედეს, საიდანაც მაწვნის ქილებით ხელში, ანა მასწავლებლის გოგო, ქეთინო მოდიოდა.

გოგონამ იგრძნო,რომ მასზე ლაპარაკობდნენ და ცოტა დაიმორცხვა, რაც სიარულშიც გამომნულავდა. მიახლოვებისას თავდახრილი ოდნავი ღიმილით მიესალმა შეკრებილთ და გზა განაგრძო.

—ხო, მეც მეცოდება. —თქვა გიამ. ძალიან იტანჯება. აბა რა ქნას საცოდავმა, მშობლები ავადმყოფები ჰყავს და ოჯახის ტვირთი მასზე გადადის. რომ არაფერი გააკეთოს რით იცხოვრონ, ვინ რას მისცემს? კიდევ კარგი ეგ ძროხა მაინც ჰყავთ, რძე და მაწონს ჰყიდის და თავს ირჩენენ.

—თანაც, ძალიან ნიჭიერია, სკოლა ხუთებზე დაამთავრა. — თქვა ნოდარმა. ამისთანა ნიჭიერი გოგო ძროხის ნაკელს ხვეტს და ზოგიერთი უტვინო ფულიანის შვილი კი ფულით ამთავრებს და დიპლომს იღებს. მოგვევლინებიან მერე თანამდებობის პირად, ან ექიმად, ან რაღაც ამდაგვარი და ქვეყნის ბედი მათ ხელში ჩავარდება.

—თუ მშობლები ავად ჰყავს, აბა ძროხას ვინ დაყვება ნახირში? —იკითხა ვალიკომ, —ეს გოგო მიდის?

—ეს გოგო კი არ მიდის, მაგათი რიგი რომ დგება, სხვას ფულს აძლევენ, 10 ლარს და ის დაყვება. —უპასუხა ნოდარმა.

—მერე ეგ დალოცვილი, თავს რას იკლავს, მშვენიერი გოგოა. ერთი ფულიანი საყვარელი გაიჩინოს, მაგასაც შეინახავს და მშობლებსაც.

–ვალიკო! –ცოტა მკაცრი ტონით უთხრა გიამ. –იმ ფულიანში შენს თავს ხომ არ გულისხმობ?

–არა, მე რა შუაში ვარ, ძმაო. მე ცუდი რა ვთქვი, რა გეწყინა, სხვა დროა, თვითონ არ თქვით ისე არავინ არაფერს არ მოგცემსო?

–ჩვენ ის ვთქვით, რომ ასეთი კარგი, პატისანი, მშრომელი, ნიჭიერი, ლამაზი გოგო ბედმა ისე დაჩაგრა, ცხოვრებას ტანჯვაში ატარებს. –თქვა ნოდარმა. –პატიოსანი გოგოსთვის რომ საყვარლობა უარესი ტანჯვაა, ეს არ იცი შენ?

–რა ვიცი ძმაო, ვინც სხვისი საყვარლობით ფული და სამსახური იშოვა თავს დატანჯულად არ გრძნობენ. – თქვა ისევ ვალიკომ.

–მე ვთქვი პატიოსანი ქალისათვის და არა უნამუსო კარიერისტისათვის.

–მამაშენის საქმე როგორ არის? რა ისმის აღარ დაურეკია? – პატარა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა გიამ ნოდარს. მას შეეტყო, რომ არ სიამოვნებდა ქეთინოზე საუბარი და სალაპარაკო თემა შეცვალა.

–არ დაურეკია. თავიდან რომ ჩავიდა რამდენიმე დღეში დარეკა იმის შემდეგ აღარ დაურეკია. თვეები გადის და არაფერი ვიცი, ვნერვიულობ არაფერი შეემთხვას.

–ნუ გეშინია, რა უნდა შეემთხვას, ალბათ სამუშაო იშოვა, მუშაობს, არ სცალია და იმიტომ არ რეკავს. – უთხრა დასამშვიდებლად გიამ. –ესპანეთში მაინც სიმშვიდეა. აღმოსავლეთ ევროპასავით ხომ არ არის. აგერ რუსეთიდან რამდენი მკვდარი ჩამოასვენეს, როგორ ხოცავენ, კარგია რომ იქ არ წავიდა.

–მამაშენი ჭკვიანი კაცია, რა უნდა მოუვიდეს?–თქვა ნუგზარმა. რუსეთშიც რომ კლავენ, მასეთ ჭკვიან ხალხს კი არ კლავენ.

ამ ნათქვამმა ახალი საკამათო თემა წარმოშვა და ისევ ატყდა კამათი. ვის ხოცავენ, რატომ ხოცავენ. რა თქმა უნდა, ყველა თავისი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით მსჯელობდა, რის გამოც კამათმა პოლიტიკური სახე მიიღო. რუსეთი მფარველი იყო საქართველოსი თუ მტერი და კორუფცია რუსეთმა ასწავლა საქართველოს, თუ პირიქით.

ნოდარს მობეზრდა კამათის მოსმენა და სახლში წავიდა, ოთახში შესულმა ღუმელს შეშა შეუკეთა, წიგნების თაროდან დიდი ხნის წინ დაწყებული წიგნი აიღო, ფანჯარასთან მდგარ საკარძელში მოკალათდა და კითხვა დაიწყო.

კითხულობდა ნოდარი წიგნს, მაგრამ ფიქრები სხვაგან გაურბოდა. ხან თავის მამაზე ფიქრობდა, ხან მანანაზე, ხანაც სხვა ფიქრები აწუხებდა, რის გამოც ზოგიერთი აბზაცი რამდენჯერმე წაიკითხა ა'ხრის გამოსატანად. ბოლოს კი გული რომ ვერ დაუდო კითხვას გადადო წიგნი და მთლიანად ფიქრებს მიეცა:

რა ბედნიერები არიან ოჯახები რომ აქვთ, სახლში მარტო რომ არ არიან. მე დამლაპარაკებელიც არ მყავს. დედაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. არც მამა წავიდოდა ესპანეთში, იქნებ უკვე ცოლი და შვილებიც მყოლოდა და ნორმალური

ბედნიერი ოჯახი გვექნებოდა. ეხლა კი ვზივარ მარტო გამოცარიელებულ სახლში და არ ვიცი რა გავაკეთო. მამაჩემი რომ არ წასულიყო, ორივე ერთად რამე საქმიანობას წამოვიწყებდით და როგორმე ვიცხოვრებდით. რამდენი ვთხოვე არ წახვიდე, უცხო ქვეყანაა მაინც, თანაც შორია, ახლო მაინც წადი, რუსეთში ან თურქეთში, მიმოსვლაც იდვილია-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. ესპანეთში ჩვენნაირი ხალხია და მათ უფრო შეეფეთვისებიო, აქ კი ხომ ხედავ ვისაც ფული არა აქვს, კაცად არა თვლიანო. ოჯახში ათასი რამ გვჭირდება შენც ცოლი უნდა მოიყვანო, აქ რას ვიშოვით, ყველაფერი ინგრევა, არაფერი აღარ მუშაობსო. ვისაც ფული აქვს, ისევე ძველად ნაშოვნი ფულით შოულობენ თორემ ახალს აბა ვინ რას შოულობს, ყველა სულს ღაფავსო. ასე კი თქვა, მაგრამ მე მგონი უფრო მეტად იმიტომ გადაწყვიტა წასვლა, რომ დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ უმისოდ სახლში გული აღარ უდგებოდა. მახსოვს სახლში რომ მოვიდოდა, როგორი დადარდიანებული იჯდა, აღარაფერი აინტერესებდა. ალბათ მართლა აუტანელი საშინელებაა, როცა მთელ ცხოვრებას გაიელი მეუღლესთან ერთად, სახლში ყოველთვის გეგულება ადამიანი, რომელიც თბილ, მყუდრო გარემოს შეგიქმნის, თავის სიყვარულს გაჩუქებს, ერთ დღეს კი მოულოდნელად გვერდიდან გამოგეცლება. ვეღარ გრძნობ მის მსრუნველობას, სიყვარულს, ვეღარ ხედავ მის ღიმილიან სახეს, აღარ გესმის მისი თბილი ტონით ნათქვამი სიტყვები, გაქრება შენი ცხოვრებიდან ადამიანი, რომელიც შენი ცხოვრების ნაწილი იყო და თანაც ისეთი, რომელიც სიცოცხლეს გიხალისებდა, ბედნიერს გხდიდა, მის ადგილ'ზე კი საშინელი სიცარიელე დაისადგურებს. ჩემთვის რომ ასეთი საშინელებაა დედის დაკარგვა, მისთვის ხომ უფრო უარესი იქნება? მართალია დედა ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო, მაგრამ მამასთვის კიდეც უფრო ახლობელი, მეუღლე, რომელიც უღლიდა მენახევრე იყო და ორივე ერთად ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ახლა კი, მეუღლის დაკარგვის შემდეგ, მართლაც რომ ნახევარი ადამიანი დარჩა. ბიჭები, ასაკში რომ შედიან, გარკვეულად წინასწარ ეგუებიან დედისგან დამოუკიდებლად არსებობას, რაც საკუთარი ოჯახის შექმნაზე ფიქრით არის განპირობებული. ზოგიერთი ბიჭი, ცალკე რომ გადის ოჯახიდან საცხოვრებლად, სულ იეიწყებს დედას და აღარც კი აკითხავს, ის მაინც გაიგოს რამე ხომ არ უჭირს. მეუღლე კი სხვაა. მეუღლეებთან ფიქრებითაც ხომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე განუყოფლები არიან. ზოგიერთები რა შუაშია? მე ჩემს ოჯახ'ზე ვფიქრობდი სხვები რა შუაშია? ჩემთვის დედის დაღუპვა დიდი ტრაგედია იყო და სხვისთვის რა არის, რაში მაინტერესებს? უფრო დიდი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება ნაკლები განცდა ყოფილიყო, მაგრამ იმ ასაკში, საშინელება იყო და ეხლაც მძიმედ განვიცდი უდედობას. დავკარგე დედა, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად ვუყვარდი, და რომელიც ყოველთვის ჩემზე ზრუნვდა, ეხლა კი... ეხლა კი ვზივარ სახლში მარტო. დედის სიყვარული და მ'სრუნველობა აღარ მაქვს, მამა შორს არის და ვეღარც მის ყოველდღიურ სიყვარ'ულს ვგრძნობ, ჩემი ძმაც შორს არის. ეს ჩემი ძმა მაინც რამ წაიყვანა დასავლეთ საქართველოში, გურული გოგო რომ

არ შეერთო, კახეთში გოგოები დაილია? ერთმანეთს საქმით კი არა, სიტყვითაც ვერ ვეხმარებით. ალბათ ესეც ბედის ძალისა და სიყვარულის ამბავია. სიყვარულს რას გაუგებ, ვის რა გზით, სად წაიყვანს."

ასე იყო თუ ისე, ერთი კია, რომ ერთ დროს სიცოცხლით სავსე და მხიარული ოჯახი დაინგრა–დაიშალა და ეხლა მარტო მე ვზიეარ აქ, დარდიანი და გამოყრუებული. იქნებ მე მაინც აღვადგინო ამ ოჯახში სიცოცხლე. ცოლი მოვიყვანო და ახალი ოჯახი შევქმნა. იქნებ კი არა, ვალდებული ვარ, ეს უნდა გავაკეთო, ცოლი მოვიყვანო, ბავშვები ვიყოლიო და ოჯახი აღვადგინო. ბევრი ბავშვი ვიყოლიო, რომ ძლიერი ოჯახი მქონდეს, ვერ მოგვერიოს ავბედითობა. ვინ მოვიყვანო? მანანა რომ გამომყვეს მაშინ კი მეშველება ალბათ, მარტო აღარ ვიქნები, მერე შვილებიც გვეყოლება და... მაგრამ გამომყვება კი?

ფიქრებით ახლა მანანასთან გადავიდა ნოდარი. გაიხსენა მისი ბავშვობა. მართალია ორი წლით პატარა იყო მანანა და ორი კლასით დაბალ კლასში სწავლობდა, მაგრამ სკოლისაკენ მიმავალი გზის ნახევარი საერთო ჰქონდათ და ხშირად ერთად უხდებოდათ სიარული. მაშინ ნოდარს სიყვარულზე არც უფიქრია და არც მანანას გამოარჩევდა სხვა ბავშვებისგან, მაგრამ ვინ იცის იქნებ სწორედ მაშინ დაიწყო გაუცნობიერებლად მისკენ ლტოლვა. ზოგჯერ უბანშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს, ისინი ხომ თითქმის ერთ უბანში ცხოვრობდნენ.

მართალია მდიდარი მეგობრები ჰყავს, მაგრამ უნდა ვუთხრა რომ მიყვარს, იქნებ მომყვება? ამხელა კაცი ვარ და პატარა ბიჭივით ფარულად ვუთვალთვალებ, ეს ხომ სირცხვილია? უნდა ვუთხრა აუცილებლად. ჰო მაგრამ როგორ? სახლში ხომ არ დავუძახებ? ალბათ ვინმე უნდა ვნახო საერთო ნაცნობი, რომელიც შეგვახვედრებს და... არა ისევ თვითონ ვნახო ის ჯობია, როგორმე უნდა მოვახერხო... თუნდაც წყალზე რომ მიდის, ხომ ხშირად ეხედები. ისე აღარ მოვიქცეეი, როგორც ზაფხულში მოხდა, სამი დღე ვდარაჯობდი და როცა გამოსწდა, ვერაფრის თქმა მოვახერხე. წინასწარ რომ ველოდები, ეველავ და იმიტომ ვერ ვახერხებ. რად მინდა ვუდარაჯო, ისეც ხომ მხვდება. ზოგჯერ მარტოც მოდის მეზობლების გარეშე. მერე როგორი მოხდენილი სიარული აქვს... ტალახში, იმ ქვებზე გადასვლისას ტანს როგორ მოხდენილად ამოძრავებს... ყველა მისკენ იხედება ხოლმე... როგორი ლამაზი თვალები აქვს, მომნუსხველი თვალები, განსაკუთრებით როცა იცინის.

ხო, როცა შემხვდება მარტო, ვეტყვი შენთან საქმე მაქვს და გთხოვ სადმე შემხვედი-მეთქი. უარს არ იტყვის, ის ხომ ყველასთან ადვილად ლაპარაკობს, მორცხვობა თუ რაღაც ამდაგვარი სართოდ არ გაანია. ან თუნდაც გზაზევე ვეტევი, თუკი შეხვედრაზე უარს მეტყვის. ნახევარი გზა ერთად უნდა გავიაროთ და ყველაფრის თქმას მოვასწრებ. კი მაგრამ, წყლის პრობლემა რომ მოაწესრიგონ და სახლებშიც მოვიდეს, მაშინ ხომ აღარვინ იკლის ამ სიშორეზე წყლისთვის. არც მანანა აღარ წავა წყალზე და მაშინ სხვა გეგმა უნდა დავსახო. თუმცა, ამდენი წელია ვერ მოწესრიგებულა წყლის პრობლემა და რაღა ეხლა შეძლებენ? მთავარი პრობლემა დენია. უდენობის გამო წყალსაქაჩიდან ვერ ქაჩავენ, ბევრი დენი სჭირდებაო და დენების ამბავი კიდე ხომ ჯერ

არ გამოსწორებულა. უახლოეს პერიოდში ვერც გამოსწორდება. თვეში ერთხელ თუ ორჯერ ძლივს ახერხებენ წყლის გამოშვებას, ერთი-ორი საათით.

–ნოდარ! –გაისმა ამ დროს ქუჩის მხრიდან ძახილი. ნოდარი წამოდგა და ფანჯრისკენ წავიდა, ფარდა გასწია, გაიხედა და ჭიშკართან მდგომი ნუგ'ხარი დაინახა. ნოდარმა გამოაღო ფანჯარა და გადასძახა:

–რა არი, ჩამოვიდე დაბლა?

–არა, არ არის საჭირო, იყავი. შენი ბიძაშვილი დავითი შემხვდა, დამაბარა თუ სახლშია ჩემთან მოვიდეს აუცილებლადო. რაღაც ამბავ'ხე სალაპარაკო აქვს.

–რაა, რა ამბავ'ხე? რამე ხომ არ მოუხდა?

–ისეთი არაფერი. თუ მიხვალ თვითონ გეტყვის უკეთესად.

–ხო, კარგი, წავალ.

ნუგ'ხარი გაბრუნდა თავისი სახლისკენ და ნოდარმაც დახურა ფანჯარა... მან მაშინვე დააპირა ჩაეცვა და წასულიყო დათოსთან, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ დღეს არაფერი უჭამია და გადაწყვიტა ჯერ ესადილა. ისეთი სასწრაფო საქმე ალბათ არ ექნებოდა რომ ამით რამე გაფუჭებულიყო. ღუმელზე ტაფა შემოდგა, მომინანქრებულ ქვაბიდან კომბოსტოს მწნილი ამოიღო თეფშზე და მაგიდაზე დადგა. მაცივრიდან, რომელიც უდენობის გამო კარადის როლს უფრო ასრულებდა ვიდრე მაცივრის, ორი კვერცხი გამოიღო და შეწვა.

სადილის შემდეგ ჩაიცვა და ბიძაშვილთან წავიდა... ქუჩა'ში შეკრებილთაგან აღარავინ იყო. ბავშვების ურიამული ნაკლებად ისმოდა. დათოსთან მიმავალი უმოკლესი გ'ხა მანანას საცხოვრებელ ქუჩა'ზე გადიოდა და ნოდარიც, რა თქმა უნდა, იქეთ წავიდა ქუჩაზე რომ შეუხვია, რომელ'ზეც მანანა ცხოვრობდა, შედარებით ხალხმრავლობა იყო. ბავშვებთან ერთად მო'სრდილებიც იყვნენ გამოსულნი, უფრო მეტად ქალები. ნოდარმა შორიდანვე შენიშნა მანანაც. ცოტა კი 'შეცბა, თითქოს არ ელოდა. მოეჩვენა, რომ ამ ქუჩა'ზე გაელისას ის და მისი მე'სობლები ჩათელიდენენ, მანანას გამო მოდისო და დასცინებდნენ. ამიტომ უკან შებრუნებაც კი დააპირა, მაგრამ ეს ხომ სისულელე იქნებოდა. თანაც სინამდვილეში არავინ არაფერი იცის მისი სიყვარულის შესახებ და ვინ უნდა დასცინოს? ალბათ ლაპარაკში გართულები ვერც კი შემამჩნევენ.

ეს რა გაუბედავობა მჭირს. მართლაც რომ იცოდნენ, მერე რა მოხდა? გაელის უფლება მაინც ხომ მაქვს. ასეთი მშიშარა და მორცხვი თუ ვიქნები საერთოდ ვერაფერს მივაღწევ– გაიფიქრა ნოდარმა და თამამად გააგრძელა სვლა.

მანანასა და მასთან მოსაუბრე გოგონების წინ რომ გაიარა არც შეუმჩნევიათ, მხოლოდ მანანამ გაადევნა ფარულად თვალი.

ათიოდე ნაბიჯით რომ გასცდა მათ, მის გვერდით თოვლის გუნდამ ჩაიქროლა. ნოდარს რა თქმა უნდა შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც შეუნიშნავს. კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი

გადადგა და ამჯერად უკვე სურგში მოხედა გუნდა. ნოდარი შეკრთა, არ მოელოდა და უნებლიედ მიიხედა უკან. ყველა მისკენ იხედებოდა, ზოგი იღიმებოდა კიდეც, მხოლოდ მანანა იყო შებრუნებული და სხვა მხარეს უაზროდ იხედებოდა.

ვა, ესე იგი მანანამ მესროლა? ნოდარი ისევ შებრუნდა და გზა გააგრძელა. რატომ მაინცდამაინც მანანამ? რამეს ხვდება ჩემზე? კიდეც რომ სხვას ესროლა, ესეიგი რაღაცას ფიქრობს ჩემზე, რადგან შებრუნდა და თვალი ვერ გამისწორა. ან იცის რომ მე მიყვარს, ან თვითონაც რაღაც ინტერესი აქვს ჩემს მიმართ. აბა ჩემი სიყვარულის შესახებ საიდან უნდა გაეგო, მე ხომ არავისთვის მითქვამს. შემატყო, სულ აქეთ რომ დავდივარ და მისი სახლისკენ ვიხედები? ნუთუ გარეგნულად მეტყობა რომ შეყვარებული ვარ? არა მგონია ასე იყოს, მაშინ ესეიგი მასაც ვუყვარვარ, ყოველ შემთხვევაში გულგრილად არ არის.

ამ ფიქრებში, ნოდარი დავითის სახლსაც მიადგა, უფრო ზუსტად კი დავითის ბიძის ანუ დედის ძმის სახლს, რომლის პატრონიც უკვე ხუთი წელია ოჯახით რუსეთში წავიდა და ბინა საპატრონოდ დავითს დაუტოვა. თვითონ დავითი ანუ დათო ნოდარის ბიძაშვილი იყო. ნოდარის პაპა და დათოს პაპა ძმები იყვნენ. ისინი ეხლა ცოცხლები აღარ არიან, ნოდარის და დათოს მშობლები კი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. ნოდარის ბავშვობისას მათ კამათი მოუხდათ მიწის ნაკვეთის გამო, რომელიც შთამომავლობით დარჩათ. დათოს პაპამ ეს მიწა ნოდარის მამას გადასცა, რადგან მას საერთოდ არ ჰქონდა. შემდგომში დათოს პაპის სიკვდილის შემდეგ ნოდარის მამამ სხვა მიწის ნაკვეთიც შეიძინა, დათოს მამას კი მიწის ნაკვეთის ნაწილი, უკანონო მფლობელობაში ჩაუთვალეს და ჩამოართვეს. დარჩენილი მიწა შემდეგში ძმასთან განაწილების შემდეგ ძალიან ცოტა გამოვიდა და ამიტომ პაპის მიერ ნოდარის მამისთვის მიცემული მიწა უკან მოითხოვა. ნოდარის მამამ, რა თქმა უნდა, უარი უთხრა. ამის გამო ბევრი იკამათეს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ ორივემ თავი დაანება და იმ მიწის ნაკვეთს სხვა დაეუფლა.

თვითონ ნოდარი და დათო ამ დროს პატარები იყვნენ და ეს კამათი მათ არ შეხებიათ, ამიტომ ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ხშირად სტუმრობდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მითუმეტეს ახლა, როცა ნოდარი მარტო დარჩა სახლში, დედა მოუკვდა, მამა ესპანეთში წავიდა, ძმა კი დასავლეთ საქართველოში. დათოც ფაქტიურად მარტო ცხოვრობდა, რადგან მისი ოჯახის წევრები რაიონიდან ახლოს, მეზობელ სოფელში ცხოვრობდნენ. ამიტომ ნოდარი და დათო ძმებივით იყვნენ.

ნოდარმა ქუჩის კარი გააღო, ეზოში შევიდა და დათოს დაუძახა. დათომ გამოიხედა, მოდი, მოდიო, გამოსძახა და გარეთ აღარ გამოსულა ღია კარში, ოთახშივე დაელოდა.

–ეგ რა მოგსვლია?... რა გაქვს ცხვირზე? ჩხუბი მოგივიდა? – ჰკითხა ნოდარმა, როცა დაინახა მისი დაწითლებული ცხვირი და ნაცემი სახე.

—ჰო, ნაწილობრივ.

—რა ნაწილობრივ, ვისთან იჩხუბე?

—ჩხუბი მომიეიდა, მხოლოდ სანახევროდ, მე მცემეს, თორე მე არ გამირტყავს.

—ეს როგორ? ვინ გცემა? ხელი რატომ არ გაატოკე?

—დაწყნარდი, დაჯექი, ყველაფერს მოგიყვები.

აღელვებული ნოდარი ღუმელთან ტახტზე ჩამოჯდა. — აბა, რა მოხდა ერთი, ამიხსენი. დათოც ჩამოჯდა და დაიწყო:

—მაია ხომ იცი, ჩემი შეყვარებული.

—ჰო.

—ჰოდა მაიას შევხვდი. ჩვეულებრივად, როგორც სხვა დროს, ქუჩაში ვსეირნობდით. მოულოდნელად მისი ძმა გამოჩნდა. შორიდანვე გაბრაზებული ჩანდა, ალბათ ვინმემ მიუტანა ამბავი, რომ ჩვენ ვხვდებოდით და ამის გამო იყო გაღიზიანებული. მაია არაფერს ეუბნებოდა, რადგან ეშინოდა მისი და ამიტომ აქამდე არაფერი იცოდა. რომ მოგვიახლოვდა მინდოდა მელაპარაკა, ამეხსნა ყველაფერი, მაგრამ მომვარდა გინებით და დამარტყა. მაიამ დაიყვირა, მაშინვე ეცა თავის ძმას ხელწნით არ გაარტყა, მე მიყვარს და იმიტომ ვხვდებიო, მაგრამ წარმოიდგინე, მასაც გაარტყა. მერე ისევ მე შემომიბრუნდა, ერთი—ორი კიდევ მითავაზა, თან გვარიანად იგინებოდა, მერე კი ხალხი მოვიდა და გაგვაშველა.

—ვინ არის მაგისთანა გიჟი, რას წარმოადგენს, ადრე არ იცნობდი?

—როგორ არ ვიცნობდი ერთ სოფელში გავიზარდეთ. ბავშვობიდან მამამისი ათამამებდა, ერთი ბიჭი მყავსო, გვარის გამგრძელებელიო და ყველაფერში ხელს აფარებდა. მაიას კი ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან გოგო იყო. მას მერე, რაც მშობლები ავტოავარიაში დაეხოცათ, საერთოდ აიშვა თავი. ვითომ „შავ გაგებაში" გადავიდა, ნარკომანებსა და ბანდიტებს დაუმეგობრდა და თვითონაც ნარკომანი გახდა. რაც მშობლებისაგან დანატოვარი ჰქონდათ, ყველაფერი გაყიდა.

—რა სულელი ყოფილა. მაია კარგი გოგო ჩანს, ჭკვიანი, არაფერს ეუბნება?

—მაიამ რა უნდა უთხრას ოთხი წლით პატარაა, მორჩილებაში ჰყავს, ხმას არ აღებინებს.

ისეთი სუსტია ეროი რომ დავარტყა ფეხზე ველარ ადგება, მაგრამ მაიას ძმას როგორ დავარტყა? იმის გინებაზე და მაიას ტირილზე ხალხი მოგროვდა, ამდენ ხალხში თავი მოგვჭრა მეც და თავის დასაც, უკანასკნელი ‘ხნედაცემული ქალივით მოექცა.

—აქამდე ვერ ამჩნევდა რომ ხვდებოდით?

—აქამდე ადვილი იყო შეხვედრები. წარმოდგენა არა ჰქონდა ჩვენს სიყვარულზე და თუ დაგვინახავდა ერთად არაფერს იტყოდა ჩვენ დაბალ კლასებში ვსწავლობდით, თვითონ მაღალ კლასში იყო, თან ჩვენ მაშინ პატარები ვიყავით და ყურადღებას არ გვაქცევდა, თანაც სკოლას ‘ხშირად აცდენდა, ჩვენთვის არ ეცალა. სკოლის დამთავრების შემდეგ, თაეისი ძმის შიშით ძალიან იშვიათად ვხვდებოდით. მშობლების

დაღუპვის შემდეგ შეხვედრების განწყობაც ნაკლებად ჰქონდა. მერე მე აქ გადმოვედი საცხოვრებლად და შეხვედრაც უფრო გართულდა.

–დალაპარაკება არ გიცდიათ? იქნებ გაეგო.

–ამაზეც გვისაუბრია მე და მაიას. მაია ამბობდა ისევ პატარა ბავშვად მთვლის და ვერ წარმოუდგენია ჩემი გათხოვებაო. შენ რამე რომ უთხრა უფრო გაბრაზდებაო. ასე თქვა, როცა მიხვდება, რომ უკვე გავიზარდე და ჩემი გათხოვება შეიძლება, მე თვითონ ვეტყვიო, მაგრამ ის დრო ვერ დადგა.–აბა, რა უნდა ქნათ, თავს დაანებებ? ხომ არ უნდა მოგკლას? შენ მის წინააღმდეგ ვერაფერს გააკეთებ, იმას კი სულ არ ენაღვლები და კიდევ რომ შეხვედეთ, ვინ იცის, რას იზამს.

–არა რას ამბობ, მე მაიას თავს ვერ დავანებებ. ძალიან მიყვარს და მასაც ძალიან ვუყვარვარ. ეს ჩემთვისაც საშინელება იქნება და მაიასთვისაც. ისედაც დაჩაგრული გოგოა და ეს სულ გაანადგურებს.

–აბა რა ვიცი, მაშ რა უნდა გააკეთო, თავის დანებება შენ არ გინდა, ცოლად მოყვანის შანსი შენ არ გაქვს და შუალედური მდგომარეობა კი არ არსებობს. – მცირე დუმილის შემდეგ გააგრძელა ნოდარმა. – იქნებ ვინმე მათი ახლობელი გენახა, მას აუხსნა და მერე მან შეაგნებინოს.

–რა ვიცი, თავის დაზე ახლობელი ვინ უნდა იყოს? ის რომ ეტყვის გულახდილად თავისი სიყვარულის შესახებ, იმაზე უკეთესად ვინ აუხსნის?

–ესეიგი საშველი არ ყოფილა და მაშინ თავი უნდა დაანებო.

–არა, ეს გამორიცხულია, დაველოდები, რა ვიცი, იქნებ რამე შეიცვალოს... ღმერთი არ გაგვწირავს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე ფიქრებს მიეცა, გამოსავლის ძიებაში.

–არა, ასეთი სიყვარული არ შეიძლება მოკვდეს. ფიქრობდა ნოდარი. მათ ასე ძალიან უყვართ ერთიმეორე. არ შეიძლება არ შეულღდნენ, არ გაბედნიერდნენ, ეს ხომ ცოდვაა. დიდი უსამართლობაა ასეთი სიყვარულის უნაყოფობა. ნუთუ მართლა მხოლოდ იმიტომ არის მაიას ძმა ამ სიყვარულის წინააღმდეგი, რომ ჯერ პატარა ჰგონია თავისი და, და სიყვარულს მისთვის ნაადრევად მიიჩნევს? იქნებ იმიტომ არის წინააღმდეგი, რომ დავითი ცუდ პიროვნებად მიაჩნია? ან იქნებ ეჭვობს, რომ მართლა არ უყვარს და ეშინია არ მოატყუოს, არ გააუბედუროს თავისი და. მათ ხომ მშობლები აღარ ჰყავთ და დისადმი პასუხისმგებლობა მთლიანად მას აკისრია. თუ ასეა, მაშ დალაპარაკებაა საჭირო. უნდა აუხსნან ყველაფერი. მაგრამ როგორ უნდა აუხსნან, თუ სალაპარაკოდ არავის გაიკარებს. ესეიგი მას ამ საკითხ'ზე საერთოდ არ უნდა ლაპარაკი, კი მაგრამ რატომ? „შავი გაგების" რომ არის იმიტომ? არა მგონია ამ "შავ გაგებაში" გათხოვება და სიყვარული აკრძალული იყოს. მან არც "შავი" იცის და არც „თეთრი". მე მგონი მას უბრალოდ ეშინია შავი სამყაროს ავტორიტეტებთან არ შერცხვეს და სახელი არ გაიფუჭოს, თუ აქვს საერთოდ. ან ეს „შავი სამყარო" თუ გაგება, ვინღა ჩამოაყალიბა. ალბათ ეგეც ხელისუფლების მფარველობით არის, თორემ ასე არ იქნებოდა, კაცი ვერ გაიგებს სად

იწყება და სად მთავრდება. ლამის მთელი მთაერობაც ამ „შავმა გაგებამ“ მოიცვა. ამიტომაც არის ჩვენი ქვეყნის საქმე ასე „აწყობილი“. შავი გაგებით სახელმწიფოებრიობას ვერ შექმნი. შავი მაინც შავია და არა თეთრი.

–შენ თვითონ როგორა ხარ? სულ ჩემს საქმეზე რომ ვლაპარაკობთ, ეხლა შენ თქვი რა გიჭირს, რა გილხინს. მამაშენს ხომ არ დაურეკავს? როგორ არის? –დაარღვია სიჩუმე დათომ.

–რა ვიცი აბა როგორ უნდა ვიყო, მამაჩემს არ დაურეკავს და ვნერვიულობ. იშოვა თუ არა სამუშაო არ ვიცი. სამუშაო რომ ვერ იშოვოს, იმდენი ფული აღარ ექნება რომ უკან დაბრუნდეს და იქ ჩარჩება. მეშინია მშიერი არ მოკვდეს ან სხვა რაიმე არ დაემართოს.

–არა, ნუ გეშინია, ეგ არ მოხდება. იქ სამუშაო ყოველთვის არის. –გაამხნევა დათომ. შეიძლება კარგი სამუშაო ვერ იშოვოს მაგრამ უბრალოს, დაბალ ხელფასიანს მაინც იშოვის. იქაური დაბალი ხელფასი კი ჩვენსას ოცჯერ მაინც აღემატება.

–სულ არ მინდოდა იმისი ფული, ყოფილიყო აქ, ჩვენს სამყოფს ვიშოვიდით, მშიერი არ დავიხოცებოდით. ცოლის მოსაყვან ფულსაც როგორმე ვიშოვიდით, სულ ასეთი ქვეყანა ხომ არ იქნება, როდისმე გამოსწორდება.

–ცოლის მოყვანაზე რას ფიქრობ, ფულის შოვნას ელოდები თუ ვინმე უკვე არჩეული გყავს.?

–არა, ფულის შოვნა რა შუაშია. უფულობა სიყვარულს კი არა მისი საბოლოო მიზნის განხორციელებას უშლის ხელს. ერთი გოგო მომწონს, მაგრამ ჯერ მისთვის არაფერი მითქვამს და არ ვიცი როგორ მიიღებს.

–ვინ არის, მე ვერ ვიცნობ?

–არ ვიცი, შეიძლება იცნობ, მაგრამ შენთვის თქმას რა აზრი აქვს, როცა თვითონ მისთვისაც არ მითქვამს ჯერ?

–იქნებ რამეს დაგხმარებოდი, მაგრამ რადგან არ გინდა თქმა, შენი ნებაა შეინახე საიდუმლოდ.

–როცა დრო მოვა, სხვას რომ არ ვუთხრა, შენ მაინც გეტყვი ვინც არის.

–დედა და მამა როგორ გყავს, არ ყოფილხარ სოფელში? გააგრძელა საუბარი ნოდარმა.

–ჰო, ვიყავი, დედა ისევ ავადმყოფობს. ხომ იცი, გული აწუხებს. წამლებს სვამს და რა ვიცი, ალბათ გამოკეთდება. ახლა ჩემი ძმა რომ ამთავრებს სკოლას, ნერვიულობენ როგორ ჩააბარებს გამოცდებს უნივერსიტეტში. ხომ იცი რა ამბებია, ფული ჩვენ არა გვაქვს და უფულოდ მოეწყობა თუ არა ვინ იცის... კარგად კი სწავლობს მაგრამ... ორი წლის მერე ჩემი დაც დაამთავრებს სკოლას და მერე ის გახდება სანერვიულო.

–რა ვუყოთ ეგეთი ცხოვრება გვაქვს. კარგი, ახლა წავალ, თორემ აგე უკვე ღამდება. მერე ბნელაში ძნელი იქნება სიარული. მოიფიქრე რამე, არ შეეწირო მაგ სიყვარულს, რთულ სიტუაციაში ყოფილხარ.

–კარგი. როგორც გინდა... თუ გინდა აქ დარჩი... რა უნდა გააკეთო მარტომ. მეც მარტო ვარ სახლში და შენც იმიტომ დაგიბარე, ვინმესთვის ხომ უნდა მეთქვა, თორემ ისე გული გამისკდებოდა.

—არა, არა, წავალ, ჩემს სახლში მირჩევნია, რომ დამიბარე რა თქმა უნდა, კარგი ქენი... თუ გინდა ხვალაც გადმოვალ, რამეში მოგეხმარები. ნოდარი წამოდგა და ეზოში გავიდა.

—აბა კარგად იყავი.

—ჰო. კარგად, შემომიარე ხოლმე, ნუ დაიკარგები.

ქუჩაში გასული ნოდარი გაუყვა თოვლით გათეთრებულ გზას შინისაკენ. მხოლოდ ამჯერად, თავი აარიდა იმ ქუჩასე გაელას, რომელზეც მანანა ცხოვრობდა. თოვლის ზედაპირის სველი ადგილები უკვე მოყინულიყო საღამოს სიცივისგან. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თოვლი ღრაჭუნობდა, თითქოს ბრაზობდა რატომ დამადგი ფეხით და უკვე დაცარიელებულ, ჩაწყნარებულ, თითქოს მიძინებულ ქუჩაში შორს აღწევდა მისი ღრაჭუნის ხმა. ალაგ-ალაგ ფანჯრებში ლამფის შუქი გამოკრთოდა. ხეების ტოტებს ეყოჩაღათ და ზურგიდან უკვე გადმოეყარათ ზედმეტი თოვლი, ნაძვებს კი ეს ვერ მოეხერხებინა და მხრებჩამოყრილი, დაღლილი ბებერივით იდგნენ ტოტებჩამოშვებულები. ვინ იცის რამდენი დღე მოუწევთ თოვლის სიმძიმისგან ასე ტოტებჩამოშვებული დგომა. სიცივეც უნდა აიტანოს და სიცხეც, არც ჩაცმა უნდა და არც დახურვა. ადამიანები კი აღარსად ჩანან ქუჩაში. ზაფხულში ამ დროს ხალხის სიმრავლეა, ეხლა კი სიცივისგან შეშინებულები, მიმსხდარან ღუმელებთან და თბებიან. მალე მუხაც ჩამოჩნდა, რომელიც პირდაპირ ტროტუარზე იდგა. მუხა ერთი შეხედვით ძალიან ბებერს ჰგავდა, რადგან ძირი ნახევრად უკვე გამომპალიყო, თუმცა ასაკობრივად არც ისე ბებერი იყო. მისი ასაკის მუხები ტყეში მშვენიერად გამოიყურებოდნენ, ეს კი

ნოდარი რომ მიუახლოვდა შენიშნა, როგორ ჩამოემტვრია თოვლს, მუხის ხმელი ტოტები და გზაზე მიმოფანტულიყო. მათგან ყველაზე დიდი ტოტი შუაგზაში ეგდო. თოვლზე კვალის მიხედვით ადვილად მიხვდებოდით, რომ ტოტი დილით ადრიანად ჩამოვარდნილიყო, მაგრამ მისი აღება, მორიდება გზიდან, არავის უფიქრია და ავტომანქანებსაც წვალების ფასად, გვერდი აუვლიათ, თუმცა ამ ტოტს ერთი კაციც კი იოლად შეძლებდა შუა გზიდან, რომ გადაეწია. გასაკვირია რომ შეშად მაინც არავინ აიღო. ყველას ხომ არა აქვს, მაგრამ ეტყობა სიამაყით გამოწვეულმა უკადრისობამ სძლიათ,

ნოდარმა ხელი მოჰკიდა ტოტს და გაათრია გზის ნაპირისაკენ. ამ ტოტების დანახვაზე ნოდარს თავისი ატმის ხეები გაახსენდა. ატმის ხის ტოტებიც ხომ დაითოვლებოდა და შესაძლებელი იყო ისინიც მომტვრეულიყო. გადაწყვეტა მეორე დღეს დილითვე წასულიყო ატმის ბაღში, ტოტებიდან თოვლის ჩამოსაყრელად. ბაღი არც ისე დიდი იყო, მეოთხედ ჰექტარზეც კი არ იყო გაშენებული და შუადღემდე ისევ სახლში დაბრუნდებოდა.

თოვლი რამდენიმე დღეში დადნა, ისე რომ კვალიც აღარსად იყო. მხოლოდ მაღლა გომბორის მთებში, შემორჩა ორკვირამდე თოვლი, ხოლო ორი კვირის შემდეგ იქაც აღარაფერი იყო. ხეები მთლად გაშიშვლდნენ, თოვლის მოსვლამდე დარჩენილი ფოთლები თოვლმა და ყინვამ სულ ძირს ჩამოყარა. თუ ზაფხულში ერთი ეზოდან

მეორე ეზოში გახედვისას ძნელი იყო რამის დანახვა, ეხლა რამოდენიმე ეზოში შეიძლებოდა დაგენახა მეზობელი და დალაპარაკებოდი. შუადღისას მზესე ისე ცხელოდა, ზაფხული გეგონებოდა. მხოლოდ ეს გაშიშვლებული ტოტები ახსენებდნენ ადამიანს რომ ზამთარი იყო.

ახალი წელი ახლოვდებოდა. უმრავლესობა ათასი პრობლემებით შეღონებული, ვერც კი აღიქვამდა რომ ახალი წელი სასიხარულოა. ბავშვების გამონათქვამზე რომ მალე ახალი წელი დადგებოდა, დიდები ჩაილაპარაკებდნენ: – „რა მალე გავიდა ეს წელი. ასე მგონია გუშინ დაიწყო და უკვე გასულაო."

ასე თუ ისე, ბავშვების შეხსენებით, თუ კალენდარზე დახედვით, ხალხი მაინც ნელ-ნელა აფაციფუცდა ახალი წლის შესახვედრად. ასე იყო ნოდარიც. საახალწლოდ სუფრის გასაშლელად არაფერი ჰქონდა ღვინის გარდა და არც ფული, რომ რამე ეყიდა, ამიტომ ერთხანს ფიქრობდა: რად მინდა, მეც ვინმე მესტუმრება თუ რა, მაინც მარტო უნდა ვეგდო სახლში და სუფრა ვის გაუშალო, ვინ უნდა გამახალისოსო, მაგრამ მერე იფიქრა: ჩემი ძმა ხომ დამირეკავს და ხომ მომილოცავს, გამიხარდება, იქნებ მამამაც დამირეკოს ან იქნებ ჩამოვიდეს, კიდეც მაშინ ხომ მთლად გავხალისდები. ვინმე სასიამოვნო სტუმარიც რომ მოვიწვიო ახალი წელიც დღესასწაულს დაემსგავსება და მეც ჩემ თავს დავემსგავსებიო, მაგრამ ფული რომ არ მაქვს, რა ვქნა? –ნოდარმა დაიწყო ფიქრი თუ რით ეშოვა ფული, ბოლოს გადაწყვიტა სახლიდან ორი კასრი გაეყიდა და აღებული ფულით ტკბილეული ეყიდა იქნებ ინდაურიც მოეხერხებინა, ამიტომ გადაწყვიტა მეორე დილით ადრე ამდგარიყო, ბაზარში ჩამოეველო ნაცნობებისთვის ჯიხურებში და რამდენიმე წარწერა გაეკრა. ასეც მოიქცა ხუთი ცალი წარწერა მაშინვე გააკეთა და მეორე დღეს მ'ხის ამოსვლამდე ბაზრისკენ წავიდა.

ცოტა რომ გაიარა შორიდან ქალების წიკვილ-კიკვილი მოესმა: რა ხმაა ეს? ჩხუბია თუ ვინმე მოკვდა? –გაიფიქრა ნოდარმა. არა დილააადრიან ჩხუბს რა უნდა. ჩხუბი ხომ უმთავრესად სიმთვრალის გამო ხდება და ამ დილააადრიან მთვრალები ვინ იქნებიან? ფიქრობდა და თან მიდიოდა. რაც მეტს მიდიოდა ხმაც უფრო ახლოვდებოდა და როცა გადაუხვია პირდაპირ ბაზრისკენ მიმავალ ქუჩაზე, შეგროვილი ხალხიც შენიშნა. რა უბედურებაა ნეტავი? ვისთან არის? იქ ხომ ს'ურა ცხოვრობს, რა მოხდა? ვიდრე ნოდარი მივიდოდა, ხალხი კიდევ დაემატა. მალე კიკვილის ხმა მიწყდა, მხოლოდ ტირილი ისმოდა. ხალხი მეტად აღშფოთებული ჩანდა.

–რა მოხდა? –ჰკითხა ერთ-ერთ ნაცნობს ნოდარმა.

–რაღა რა მოხდა, წუხელ დაუხოციათ საცოდავები.

–როგორ დაუხოციათ? ვის დაუხოცია?

–შენ რა აქაური არა ხარ? – უთხრა მეორემ. –დააყაჩაღეს და დახოცეს. გუშინ ძველი მან-ქანა გაყიდა 600 დოლარში და ამისთვის დააყაჩაღეს რაა, პირველი შემთხვევა ხომ არ არი? ამ ბოლო წლებში სულ ასე არ ხდება?

–მაშ კაცო, ხუთი ექვსი წლის წინ ასეთ რამეს სად გაიგებდი, ქუჩის კარებსაც არ კეტავდა ხალხი. – თქვა მესამემ.

—სახლის კარები ცხოვრებაში რომ არ დამიკეტია ეხლა ვეეტავ. აბა რა ვქნა? ყოველ ღამე რაღაცა უბედურება ხდება... შემოგიცვიეედებიან ვიღაცა ნაბიჭვრები და გეტყვიან ფული მომეო, არ მისცემ მოგკლავენ, მისცე და რა უნდა მისცე რაც არა გაქვს.

—ოჯახში ყველა მოკლეს თუ... თქვა ისევ ნოდარმა. არა. გოგო ხომ თბილისში სწავლობს, სახლში ბიჭი და მშობლები იყვნენ სამივე მოუკლავთ.

—რაღატო მოკლეს, ფულის წაღება არ ეყოფოდათ?

—ეეჰ, ფულს კი წაიღებდნენ, მაგრამ ეტყობა იცნეს ყაჩაღები... საცოდავებს, რომ არ უჭირდეთ, ერთადერთ ძველ მანქანას ხომ არ გაყიდიდნენ?

—ან იმ ბავშვს რა ეშველება, მარტოდ დარჩენილს ვინ უპატრონებს? ხომ გაუბედურდება? სწავლასაც ვეღარ გააგრძელებს.

—სწავლა კი არა, რომ გაიგებს შეიძლება თავიც მოიკლას იმ საცოდავმა. ამაზე მეტი საშინელება რა უნდა ნახოს.? 18 წლის გოგოს მთელი ოჯახი ამოუწყვიტეს...

—ეს დამპლები, ეს არაკაცები, რას შერებიან, სად გაიზარდნენ კაცო. თავი ვაუკაცებად მოაქვთ და ცხოველები კი არიან. თუ ვაუკაცები არიან ისინი დააყაჩაღონ ხალხის ქონება რომ მიითვისეს და მილიონებს რომ ეთამაშებიან.

—იმათ ვინ დააყაჩაღებს, იმხელა დაცვა ჰყავთ აყვანილი.

—ჩვენი ბრალია ეს ყველაფერი.

—ვის თქვენი?

—თქვენი კი არა, ყველა ჩვენგანის ბრალია. ჩვენი თაობის, ჩვენ უფროსმა თაობამ დაუშვით შეცდომები. ეს ბიჭები დღეს რომ არაადამიანურ საქციელს სჩადიან, ჩვენს გვერდით გაიზარდნენ. ჩვენს თვალსა და ხელში ჩამოყალიბდნენ ასეთებად და ჩვენ ამას ხელი არ შევუშალეთ, პირიქით, იქნებ ვუბიძგეთ კიდეც.

—რას ამბობ ჩვენ რა შუაში ვართ ეგენი თუ ცხოველებად გაიზარდნენ?

—აბა გაიხსენეთ, ჩვენ რომ ბავშვები ვიყავით, უფროსი თაობა ჩვენი თანდასწრებით არც კი იგინებოდა. თუ ვინმეს წამოსცდებოდა რაიმე უხამსი სიტყვა, მაშინვე აჩუმებდნენ. საქართველოში ბავშვის აღზრადას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თავადებიც კი რომელთაც ფული არასოდეს აკლდათ, ბავშვებს ფუფუნებით არ ზრდიდნენ და გლეხებს მიაბარებდნენ ცხოვრების, გაჭირვების გამოსაცდელად და ხალხური სიბრძნის სასწავლებლად. ჩვენ კი ის ხალხური სიბრძნე დავივიწყეთ და ბავშვების უზრუნველი ცხოვრება გავიხადეთ მთავარ საზრუნავად. ბავშვები თუ დროზე არ ისწავლიან შრომას, ოჯახისთვის ზრუნვას და საერთო მორალს, ამის სანაცვლოდ თუ პირიქით სურვილების დაკმაყოფილებას მიეჩვევიან, მაშინ მასში ცხოველური ინსტინქტი გაძლიერდება და ადამიანობისგან შორს იქნება. აბა მითხარით, თქვენ თვითოეულს რამდენი ქართული ანდაზა შეგიძლიათ მითხრათ?

—რა ვიცი ალბათ 50.

—და როდის ისწავლეთ ეგ ანდაზები, ბავშვობაში?

—ბავშვობაში ვისწავლე თორე ახლა ვის რაში სჭირდება ანდაზები?

—ჰოდა ჩვენ გვასწავლა წინა თაობამ, ჩვენამდე მოიტანა. ჩვენ რა გადავეციო მომავალ თაობას? აბა ერთი ბავშვებს დაელაპარაკეთ იციან?

—ნეტა ეროი, მოცლილი ხარ, ანდაზებმა რა უნდა გვიშველოს.

—თუ ანდასას ლექსად ანუ სათქმელად ისწავლი, არაფერსაც არ გიშველის, მაგრამ თუ მის სიბრძნეს ჩაუკვირდები, სიბრძნისეულად შეაფასებ მდგომარეობას, მაშინ იოლად და სწორი მიმართულებით გამოხვალ და საერთოდაც სწორი გზით იელი.

—ცუდი ადამიანი ანდაზებსაც ცუდად გამოიყენებს. ერთი მეზობელი მყავს, ხშირად ამბობს ანდაზებს და ყველას სათავისოდ, თავისი ქმედების გასამართლებლად იყენებს. მაგალითად როცა სხვა უნამუსოდ იქცევა ამბობს: „უნამუსოს მიაფურთხეს და ეს რა ნამი წამოსულაო“, ხოლო, როცა თვითონ იქცევა უნამუსოდ მაშინ ამბობს: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. აბა ამის შემდეგ როგორ უნდა მჯეროდეს ანდაზების?

—ვისაც სპილო არ უნახავს, შეიძლება დაეჯერო ჩიტია და დაფრინავსო. ანდაზები დიდი სიბრძნით ჩამოყალიბებული მორალის ფარგლებში ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და მხოლოდ მასთან ერთად არის დიდმნიშვნელოვანი. იმ საზოგადოებაში, სადაც ზნეობა არ არის, ანდაზები დემაგოგიურ გამონათქვამებად და ხალხის დასაბნევად იქცევა. ამიტომ მორალი და ანდაზები ერთმანეთთან შერწყმული წარმოადგენს დიდ სიბრძნეს. იმ შენს მეზობელს, ამორალური საზოგადოება აძლევს ანდაზების დემაგოგიური გამოყენების საშუალებას, თორემ ნორმალურ საზოგადოებაში მაგას ვერ გაბედავს.

—ეე, შენ კარგად ლაპარაკობ, მაგრამ მაგრე რომ მოიქცე, მშიერი მოკვდები, ვერ ხედავ, ყველა პატიოსანი კაცი მშიერია, ავაზაკები კი ადვილად შოულობენ ფულს.

—აბა მაშ რა ვქნათ? ასე ამოეხოცოთ ერთიმეორე, როგორც ესენი ამოხოცეს წუხელ? ასეთ ადამიანებს ხომ ამორალური საზოგადოება ზრდის? თუ ყველა ასეთად ვიქეცით, ხო დაიღუპება ერი, ხომ ალარავინ გადავრჩებით?

—დაღუპული არ არი? აბა რა არი, ვინც პატიოსნები დარჩნენ, ან შიმშილით დაიხოცებიან, ან სხვები მოკლავენ, ან საზღვარგარეთ გაიქცევიან და განადგურებაც ეს არის. ამათ ხომ ერი ფეხებზე ჰკიდიათ, თუნდაც გადარჩნენ, ეროვნებას დაკარგავენ და მერე, გადარჩენის შანსი არც მაგათ აქვთ. ერომანეთს დაერევიან და ამოხოცავენ. თუ ვინმე გადარჩა კიდევ, სხვისი მონა გახდება, ჩვენი მტრებისა, ასე რომ გვახვევია გარს და ჩვენს მიწებს იტაცებს ძალითა და ფულით.

—არც მასეა საქმე. ეს საშინელება ერს გამოაღვიძებს და ფეხზე დადგება. — თქვა ნოდარმა.

—რომელი ერი დადგება ფეხზე, დაბეჩავებული და დაჩაჩანაკებული? სადღაა ერი? თავში რომ ჩაარტყა, ხმას არ ამოიღებს. თუ ძმამ ჩაარტყა ძმას მოკლავს და თუ სხვამ ჩაარტყა, აქეთ მოუხდის ბოდიშს.

–ნოდარმა იფიქრა, მე რომ ამათ ავყვე ლაპარაკში ესენი კარგა ხანს არ დაამთავრებენ, წავალ თორემ დამაგვიანდებაო და გზა გააგრძელა ბაზრისკენ.

ბაზარში მისულმა გამონახა რამდენიმე ნაცნობი და წინასწარ დაწერილი საინფორმაციო ფურცლები გააკრა მათი მეთვალყურეობის ქვეშ, თანაც აუხსნა რა ტევადობის, როგორი კასრები იყო და სახლში წავიდა. მეორე დღეს მოაკითხა სახლში მყიდველმა. ნოდარმა თავისი ფასი უთხრა, მყიდველმა თავისი, ცოტა ხანს ივაჭრეს ბოლოს ნოდარი დათანხმდა მყიდველის შემოთავაზებულ ფასს, თუმცა ეცოტავა. გამოართვა ფული, დიდ კასრში 30 ლარი პატარაში 20 ლარი და ჩაიდო ჯიბეში. მყიდველის გაცილების შემდეგ დაჯდა და დაიწყო ფიქრი როგორ გაენაწილებინა ეს ფული და რა ეყიდა.

პირველ რიგში მაღაზიის ვალი უნდა მოეიცილო, სირცხვილია სულ ნისიად ხომ არ წამოვიღებ პურს, თანაც ახალ წელს ვალით ხომ არ შევხვდები? 15 ლარს ვალში მივცემ. ინდაური რომ ვიყიდო 15 ლარი იმაში წავა. 10 ლარის ხორც ვიყიდი 10 ლარს კამფეტებს და ნამცხვარს და ფულიც ამოიწურა. კი მაგრამ ახალ წლამდე ჭამა ხომ მინდა? ან იმის მერე ფული რომ აღარ მექნება? მაშ რა ექნა? არ გაეშალო ახალწლის სუფრა? მეტი რა გზაა? ესეიგი, ეერ გაეშლი და მარტო ვიჯდები სახლში. არა, რაღაც უნდა მოვიფიქრო. გაყიდვით აღარაფერს გავყიდი. აბა რა კაცობაა მამაჩემმა მოიტანა ოჯახში და მე შემოტანის მაგიერ გავიტანო და გავყიდო? რომ არ მჭირდებოდეს ისეთი რამე კი შეიძლება, მაგრამ აბა ასეთი არაფერი მაქვს... იქნებ მეც ვივაჭრო და ფული მოვიგო ახალ წლამდე? აბა რა ვივაჭრო? საქონელი ისეთი უნდა იყოს, რაც საახალწლოდ სჭირდებათ და სწრაფად გაიყიდება. ხო მართლა, ასეთი ხომ ნაძვისხის სათამაშოებია და კიდე მაშხალები. ეს მე მგონი ერთადერთი შანსია ასეთი მცირე თანხით რაიმე მოგებაზე ვიფიქრო. წავალ, ხვალვე წავალ. ეცდი იქნებ გამიმართლოს.

ნოდარი მაშაინვე წავიდა ბაზარში, გაარკვია რა საქონელი ჯობია ჩამოიტანოს და იმავე ღამეს წაიდა თბილისში. ბაზარში ისე ადრე ჩავიდა რომ ჯერ კიდევ ბნელოდა. ნოდარს სულ ნახევარი საათი დასჭირდა ჯიბის დასაცარიელებლად და უკანვე დაბრუნდა.

დაბრუნებული ნოდარი სახლში არ წასულა, პირდაპირ ბაზარში მიეიდა, ერთი პატარა მაგიდა ითხოვა და მოხერხებულ ხალხმრავალ ადგილას დადგა. საღამომდე იმდენი გაყიდა რომ აღებული ფული დახარჯულზე მეტი იყო, ხოლო დარჩენილი გასაყიდი საქონელი იმდენად ცოტა, რომ არ ღირდა მეორე დღეს მისი კვლავ ბაზარში გატანა. ამიტომ გადაწყვიტა იმ ღამეს კვლავ თბილისში წასულიყო.

ასე გააგრძელა 31 დეკემბრამდე და საქონელიც თანდათან უფრო მეტი ჩამოჰქონდა. 31 დეკემბრის საღამოსთვის ნოდარს უკვე ყველაფერი გაყიდული ჰქონდა. საახალწლო სუფრისთვის დაგეგმილზე მეტიც იყიდა და ჯიბეში კიდევ 200 ლარზე მეტი ჰქონდა. ასეთ შედეგს არაფრით არ მოელოდა და ძალიან გახარებული იყო. წავიდა სახლში, ნაყიდი სურსათი დაალაგა და გიასთან გაეშურა.

–გია! –დაუძახა ნოდარმა. გიამ გამოიხედა.

–მოდი, მოდი. –გამოსძახა გიამ.

–ერთი წუთით გამოდი, რაღაც საქმე მაქვს.

–გია უოქმელადაც გამოდიოდა შესაგებებლად. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს, დამდეგი ახალი წელი მიულოცეს, შემდეგ კი უთხრა ნოდარმა:

–გია, ერთი თხოვნა მაქვს, თუ გცალია და არაფერს აკეთებ იქნებ მამიდაჩემთან გადამიყვანო. მინდა აქ წამოვიყვანო. ახალ წელს ერთად შევხვდებით. მეც მარტო ვარ, ისიც მარტოა და... თანაც საჭმლის გაკეთებაში მომეხმარება. აბა მე საცივის თუ რაღაცეების რა ვიცი.

–კი ბატონო, წავიდეთ თავისუფალი ვარ.

–რამდენიმე წუთში გიამ ავტომანქანა გამოიტანა და წავიდნენ. გზად დათოსთან შეიარეს. ნოდარმა დათოც მიიწვია საახალწლოდ. დათომ პირობა ვერ მისცა, შეიძლება მოვიდე, თუ მამაჩემთან არ წავედიო.

–ნოდარმა და გიამ გზა გააგრძელეს. მამიდასთან რომ მივიდნენ, ჯერ კიდევ დღე იყო. მამიდას გაუხარდა ნოდარის დანახვა.

–ეი, შვილო, შენ გენაცვალე. რა კარგია რომ მოხვედი, როგორ გამახარე. –მამიდამ რამდენიმე წამით გულში ჩაიკრა ნოდარი და განაგრძო: – შვილო, როგორ მომენატრე, რატომ აღარ მოდიხარ? შენ მაინც მოდი, ხომ ხედავ ყველა დავკარგე. ორი წელიწადია ჩემი კობაც აღარ მინახავს. იმის დარდი ცალკე მკლავს. არაფერი ვიცი როგორ არის.

–მამიდ, ჩემთან უნდა წაგიყვანო. მიდი გაემზადე თუ გამზადება გინდა და წამოდი.

–შენთან რა მინდა შვილო. აქ მოხვედი გამახარე და ეხლა თქვენთან წავიდეთ? ხელად სუფრას გაეშლი და...

–არა მამიდ. სახლში ინდაური ვიყიდე, კიდე რაღაცეები და გამკეთებელი არავინ მყავს. ხომ არ გავაფუჭებ. წამოდი და ერთად შევხვდეთ ახალ წელს.

–მერე რატომ იყიდე? ინდაურები მე არა მყავს? არც კი დამიკვლია, სახლში არავინ მყავს და მარტო ხომ ვერ შევჭამ? წამოდი შვილო დავიჭიროთ ერთი და გაგატან.

–არა მამიდ, ხომ გითხარი, ინდაური უკვე ვიყიდე.

–მერე რაა, ამას კიდე ძველ ახალ წელს დაკლავ.

–მეც ხომ მარტო ვარ, მე ვიღას ვაჭამო ამხელა ინდაური?

–მაშინ ქათამს დავიჭერ. –მამიდა გაემართა საქათმისაკენ, სადაც ქათმები უკვე შემსხდარიყვნენ ქანდარაზე და ორი ქათამი კრიახით გამოიყვანა. სასწრაფოდ ფეხები შეუკრა და ნოდარს მიაწოდა. – აჰა, ჩაისვი მანქანაში და ეხლავე მოვალ. ნოდარმა ცოტა იუარა, მაგრამ მერე მაინც გამოართვა და მანქანაში ჩასვა.

–გზად მიმავლებმა კვლავ გაიარეს დათოსთან. დათომ მამიდა რომ დაინახა გადაწყვეტილად დაპირდა წადით და მოვალო. ნოდარმაც კმაყოფილმა გააგრძელა გზა. სახლში მისულები მისვლისთანავე საახალწლო სუფრის სამზადისს შეუდგნენ. გია ცოტას მიეხმარა და მერე წასვლა დააპირა, მაგრამ ნოდარმა შეაჩერა.

–დარჩი, ერთად შევხვდეთ ახალ წელს, დათოც ხომ მოვა.

–არა ნოდარ. ეხლა აქ რა გავაკეთო? სახლში მიველხმარები. ახალ წელს ოჯახში შევხვდები და მერე მოვალ მეკვლედ. – უპასუხა დათომ, რასაც ნოდარიც დეთანხმა.

—თორმეტ საათამდე ყველაფერი მოასწრეს. სუფრა გაშლილი იყო. იქვე ახლოს, პატარა მაგიდაზე, მორთული ნაძვისხე იდგა, რომელიც საახალწლო ელფერს აძლევდა ოთახს. დენიც, ელექტრონულ შუქსა და ტელევიზორს მონატრებული ხალხისათვის კარგი „საჩუქარი" იყო, საახალწლო განწყობისთვის. ახალწლის ჟამი ახლოვდებოდა და სამივენი სუფრას შემოუსხდნენ.

—ნეტავ მამაშენიც აქ იქნებოდეს, ეხლა ხომ ბედნიერი სუფრა იქნებოდა. რას გვიშვრება ეს გაჭირვება, სადაურს სად გადააგდებს ცხოვრება. ჩემი შვილი რომ სახლში მყავდეს, რაღა მომკლავდა. წავიდნენ, გაიქცნენ საშოვარზე, მიატოვეს სახლ-კარი. რამდენი გამოკეტილი ოჯახია, რომელიც ქურდებმა და ოხრებმა გაძარცვეს და გააჩანაგეს. 'სოგან კარ-ფანჯარა და იატაკიც კი აყარეს და წაიღეს. პატრონი კი სხვა ქვეყანაში განცხრომას ეძებს. ის ამ სახლ-კარშიღა დაბრუნდება? კიდევ კარგი ამ სახლში შენ მაინც დარჩი, კერას არ აციებ. შენც რომ წახვიდე სადმე შვილო, მარტო კერა კი არ გაციედება, ოჯახის ანგელოზიც გაწყრება და საგვარეულო შთამომავლობის ფესვიც ამოიძირკვება. ამა-პაპასთან სულიერი კავშირი გაწყდება და ადამიანი კი არა, უსულო და უეროვნებო სათამაშო ფიტული იქნები. ამ ოჯახში ათი წლის წინ როგორი ბედნიერება იყო, მერე კი უბედურება დატრიალდა. დედაშენი გარდაიცვალა და თქვენც უიმედობის სენი შეგეპარათ. უბედურება დროდადრო ყველა ოჯახს სტუმრობს, მაგრამ ოჯახი, შთამომავლობა კელავაც გრძელდება. ბედნიერებაც კვლავ ბრუნდება. ფარხმალი არ დაყარო და არ უნდა დანებდე. ნეტავი შემეძლოს და ჩემი შვილიც დამაბრუნებინა. ფულს კი მიგზავნის, მაგრამ რად მინდა იმისი ფული? ჩემს სამყოფს მეც ვშოულობ. ჯერ არ მოემკვდარვარ და ჯერ კიდევ შემიძლია. განა იმის გამოგზავნილ ფულს შეუძლია მე გამაბედნიეროს? ჩემი ბედნიერება ის იქნება აქ რომ იყოს, ჩემს ოჯახში, ჩემს გვერდით და შვილიშვილები რომ მეხვეოდნენ ირგვლივ. ბედნიერება ფულში კი არა, ოჯახის სიმრავლეში და ურთიერთ სიყვარულშია. მაგრამ რა ექნა? წავიდა და რაეიცი დაბრუნდება კი ოდესმე?

_ დაბრუნდება მამიდ, როგორ არ დაბრუნდება.

—დაბრუნდება, აბა რას იზამს. —თავი დაუკრა დათომ.

—ეჰ, რა ვიცი შვილო...

—თუ დაიგვიანებს მე წამოგიყვან ჩემთან, ცოლს მოვიყვან და ერთად ვიცხოვრებთ.

—ეე, ნეტავი კი შენს ცოლშვილს მაინც მაღირსა და მაგით მაინც ვიქნები ბედნიერი. აქ წამოსვლით კი მაინც ვერ წამოვალ, აკი იმას გეუბნებოდი კერა არ უნდა გაციედეს მეთქი. სანამ ცოცხალი ვარ იქ უნდა ვიყო. იქ უნდა მოვკვდე. ჩემი პატივისცემა თუ გინდა მოიყვანე ცოლი და ხშირად გამომიარეთ სახლში.

—დათო, შენ როგორ გაქვს საქმე? არ გინახავს მაია?

—არა, ეშინია ვერ გამოდის. ორჯერ დავაბარე მეზობელს, მაგრამ...

—თორმეტი გამხდარა. აგე შეეარდნაძე გვილოცავს ახალ წელს. — თქვა დათომ და სამივემ ტელევიზორისკენ მიიხედა.

—კიდევ კარგი დენი მაინც არის, ტელევიზორით გაერთობი, ლამფის შუქზეც არ ვსხედვართ და ნავთის სუნითაც არ ვყროლდებით. — თქვა ნოდარმა.

—რა საინტერესოა, ახალ წელს რომ გვაძლევენ დენს, თუ ამ ერთ დღეს არის საშუალება, რატომ სხვა დღეებში არ არის? —თქვა დათომ.

—იმიტომ რომ ბოლომდე დაგვაბეზავონ და წინააღმდეგობა ვერ გავუწიოთ.

_ნოდარმა ჭიქა აიღო და სადღეგრძელო წამოიწყო.

—ამ ახალ წელს გაუმარჯოს. გილოცავთ ახალ წელს. ამ ახალ წელს მაინც მოეტანოს ჩვენთვის ბედნიერება. მობრუნებულიყოს სიკეთისკენ მთელი ქვეყნის, მთელი ჩვენი ერის ბედი. ფეხზე დამდგარიყოს და გაბრწყინებულიყოს. ყველა სასიკეთო მიზნები და იმედები შეგვსრულებოდეს ყველას. მამაზემიც და კობაც დაბრუნებულიყოს და აქ გვეშოვოს თუნდაც მცირე, მაგრამ სასიცოცხლო, ელემენტარული ბედნიერებისათვის საკმარისი ფული.

სამივემ მიულოცეს ერთიმეორეს ახალი წლის დადგომა. უსურვეს წარმატებები ცხოვრებაში და დალიეს. შემდეგ ყურადღება ტელევიზორისაკენ გადაეიდა. —მოულოდნელად კარი გაიღო. ყველამ უნებლიედ კარისაკენ გაიხედა. კარის გამღებმა წამით შეაყოვნა, შემდეგ ბრიოლის ვაზა გამოჩნდა ნამცხვრით, კამფეტებით და ხილით სავსე. რასაც გია შემოჰყვა. გიამ ამაყად, მხიარულად შემოაბიჯა, ზღურბლზე გაჩერდა და რიხიანად დაიძახა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კეთილი ანგელოზისა". ფრაზა სამჯერ წარმოთქვა, მაგიდას მიუახლოვდა და ყველას თითო კამფეტის მირთმევით მიულოცა ახალი წელი, ვაზა კი მაგიდაზე დადგა. სუფრის ახალი წევრის შემატებამ დამხვდურები უფრო გაახალისა და ერთად მოილხინეს.

—ნოდარმა შეამჩნია, რომ გიას რაღაც აწუხებდა.

—რა იყო, რას ჩაფიქრდი? ახალი წელია, დარდები თუ გაქვს ამ ღამეს უნდა მოიცილო და ძველ წელს გაატანო. ახალ წელს დარდები არ დაიკეკებო. — უთხრა ნოდარმა.

—არა ჩემს თავზე არც მიფიქრია. ქეთინოს ძმა სანდრო წუხელ და დღესაც სახლში არ მისულა, ძალიან ნერვიულობენ.

—ხომ არ დაიჭირეს?— მაშინვე წამოიძახა ნოდარმა.

_არა, იქაც ვიყავით და დაჭერილი არ არის. ახალი წელია და ეხლა მაინც ხომ უნდა მისულიყო სახლში.

—ეგ ძმაკაცები სულ დალუპავენ მაგ ბიჭს, ძალიან ცუდ წრეში ჩაეარდა, ვინ იცის სად წაიყვანეს, ალბათ ხვალ მოვა.

—ხო, ისინიც ასე ფიქრობენ, მაგრამ თან ეშინიათ არაფერი შეემთხვას.

_რა ვიცი ყველაფერი მოსალოდნელია ამ საშინელ დროში. მამუკასთან ნახეს?

—მამუკა სახლშია და არ იცის სად არის.

—წუთით ყველა დადუმდა, შემდეგ დუმილი გიამ დაარღვია და სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა რაზეც თანხმობა მიიღო.

—იცით რაშია საქმე? —თქვა გიამ და ჭიქა აიღო ხელში — ეხლა ხომ ახალი წელია, მთელი საქართველო ზეიმობს, განურჩევლად იმისა, აქვს საზეიმოდ საქმე თუ არა. წელიწადის ამ ერთ დღეს, ხალხი გამოარჩევს

სხვებისგან განსაკუთრებულად. ამ დღეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ივიწყებს თავის გაჭირვებას, დარდებს, საფიქრალს ყველა სუფრასთან ზის და მხიარულობს. იმისთვის რომ ამ დღის ელფერი საზეიმო გაეხადათ, ბევრმა ვალი აიღო. ზოგმა სახლიდან საყვარელი ნივთი გაიტანა და გაყიდა, რომ ეს დღე მაინც ბედნიერი ყოფილიყო მისთვის. რატომ? იმიტომ რომ ახალი წელი ადამიანის გულში ახალ იმედებს სახავს... იქნებ ეს ახალი წელი მაინც იყოს წინაზე უკეთესიო. მე მახსოვს, ვთქვათ 15 წლის წინ სუფრას ვალით, ან საყვარელი ნივთის გაყიდვით აღებული ფულით არავინ გაშლიდა. იმიტომ რომ იმ დროში ასე გატანჯულები, ასე დაღლილები არ იყვნენ. ეხლა კი ასეა. ამიტომ ხალხი ცდილობს ეს ერთი დღე მაინც გამოარჩიოს სხვა დანარჩენისგან და შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც დაივიწყებს ყველა პრობლემასა და სატანჯველს, დაისვენებს თავს სრულფასოვან ადამიანად შეიგრძნობს, იმედოვნებს, რომ ეს ახალი წელი მაინც შეიქმნება მათთვის სასიკეთო.

–მე მინდა, აი იმ სიხარულის სადღეგრძელო შევსვა, რომელსაც ისინი ამ ახალი წლის იმედით, რაღაც შუქის გამოჩენის იმედით განიცდიან. მინდა გისურვოთ თქვენ, რა თქმა უნდა ჩემ თავსაც და მთელ საზოგადოებას, რომ ეს სიხარული სრულყოფილი გამხდარიყოს, რომ იმედი ასრულებულიყოს და სიხარულიც ჩვენთან დარჩენილიყოს მარადუამს, ჩვენთან, ჩვენს შვილებსა და ჩვენს შთამომავლობასთან, მარტო ამ ერთ დღეს კი არა, ასეთი შიშნარევი სიხარულით კი არა, საღი სიხარულით გაეხაროს ჩვენს ერსა და ქვეყანას. ვუსურვებ, რომ ასეთი უსიხარულო ახალი წელი არავისთვის ყოფილიყოს, როგორც ეხლა ანა მასწავლებლისთვის და ქეთინოსთვის არის და მათაც სულ მალე ამ წუთებშივე სტუმრებოდეთ სიხარული, –დაამთავრა გიამ სადღეგრძელოს წარმოთქმა, ჭიქა ნოდარსა და დათოს ჭიქებს მიურტყა და დალია.

–ნამდვილად ასე ყოფილიყოს! –თქვა ნოდარმა. ეს ერთი კვირა, ამ საახალწლო ვაჭრობისას, ბაზარში ვიყავი და ვნახე რაც ხდებოდა. ბაზარი დაცარიელდა. უცხო თვალით დანახული შთაბეჭდილება კაცს გააოცებს, ეს რამდენი ფული უშოვია ხალხსო. უცხო თვალი ხომ ვერ შენიშნავს საიდან იშოვა ხალხმა ეს ფული? ანდა გაუყიდავ რაღაც-რაღაცეებს რომ დაატარებდა ხალხი და ცდილობდა საახალწლო სუფრისთვის საჭირო საქონელში გადაეცვალა? თუნდაც მე, კასრები რომ არ გამეყიდა სახლიდან, ვერანაირ სუფრას ვერ გავშლიდი. ღმერთმა ქნას, რომ ახალი წლიდან ამ გაჭირვებით გამოწვეული სიმწარე გოზინაყის სიტკბოთი შეცვლილიყოს და სიკეთე ყოფილიყოს!

ახალი წლის დილა გათენდა. მყუდრო, წყნარი და მზიანი. ღამენათევ ხალხს შუა დღემდე ეძინა და ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ქეთინო გათენებიდანვე დროდადრო ქუჩაში გამოდიოდა დამწუხრებული სახით, ჯვარედინიდან ჯვარედინამდე გაივლიდა, ცოტა ხანს შეჩერდებოდა, აქეთ-იქით გაიხედავდა და ისევ სახლში ბრუნდებოდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს მას და მის მშობლებს. ამ წუთამდე ვერაფერი

შეიტყვეს მან და მისმა მშობლებმა სანდროს ასავალდასავალის შესახებ.

—კარგად რომ გათენდა გია და მისი დაც შეუერთდნენ მათ მწუხარებას, მაგრამ ამით რათქმა უნდა ვერაფერი უშველეს. მალე მათ ნოდარიც დაემატათ. როცა გაარკვია ნოდარმა, რომ სანდრო ჯერ კიდე არ გამოჩენილა და არც არანაირი კვალი არ ჩანს მისი ადგილ სამყოფელის შესახებ ისიც აღელდა.

—წავიდეთ, კიდე ერთხელ ვნახოთ მამუკა. მაგან რომ არ იცოდეს შეუძლებელია. ეგენი ხომ ყოველთვის ერთად დადიან. —თქვა ნოდარმა. გიაც დაეთანხმა და ორივე მამუკას სახლში წავიდნენ. ძახილზე მამუკას მამა, გოგია, გამოვიდა, რომელიც ჩვეული უხეშობით შეხვდა მეზობლებს.

—რა არი, ამ ახალ წელს რას დამადექით თავზე? ოჯახი არ ყნდა მოასვენოთ? რაში მაინტერესებს თქვენი სანდრო. ჯანდაბაშიც წასულხართ თქვენცა და ისიც. ჩემმა ბიჭმა დიდი ხანია თავი დაანება მაგ ლაწირაკთან საქმის დაჭერას. ეხლაც ჩემს ძმასთან არი სოფელში წასული და წესიერ ცხოვრებას ეწევა. რა უნდოდა მაგისთანა გიუთან?

ნოდარი და გია მიხვდნენ რომ გოგია რაღაცას იტყუებოდა. გიამ ნოდარს მიხედა, ანიშნა რაღაც საეჭვოდ გაღიზიანდაო და გოგიას უთხრა:

—ვიცით რომ ერთად იყვნენ და ბოლოს მამუკამ ნახა სანდრო. ამიტომ სჯობს წყნარად გამოვიდეს და გვითხრას სად არის, თორემ პოლიციას გამოვიძახებთ, მერე კი ნამდვილად არ გექნებათ საქმე კარგად.

—პოლიცია კი არა თუ გინდა შევარდნაძე გამოიძახეთ, რაც გინდა ის გიქნიათ. ბავშვი ერთი კვირაა სახლში არ არის, ჩემს ძმასთან არი სოფელში. თქვენი ეჭვები მე არ მაინტერესებს. წადით აქედან დაიკარგეთ, თორემ ახლავე ცულს გამოვიტან.

—კარგი, თუ ასეა თქვენ თავს დააბრალეთ რაც მოგიყვათ —თქვა ნოდარმა და ნელა, ფეხის ათრევით გამობრუნდნენ. გოგია კი სახლში შევიდა.

—ქუჩაში გამოსული ბიჭები ცოტა ხანს გაჩერდნენ. ორი წუთიც არ გასულა, რომ გოგია ქუჩაში გამოვიდა და იქ მდგომ ნოდარს და გიას უთხრა: — სახლში ყოფილა ეს შობელძაღლი, ეხლა მოსულა, მე არ ვიცოდი. წამოდით აბა, ჰკითხეთ რა გინდათ.

—გია და ნოდარი ოთახში შევიდნენ. გოგიამ ბიჭები ამჯერად ოთახში შეიპატიჟა და ისინიც შევიდნენ. მამუკა ოთახის კუთხეში მდგარ საწოლზე იჯდა და მის წინ მდგარ ღუმელს თავჩაღუნული დასჩერებოდა. ბიჭების შესვლისას თავი არ აუწევია და არ შეუხედავს მათთვის. გოგიამ ბიჭები გაშლილ საახალწლო სუფრასთან მიიწვია, რაზეც მათ მკაცრი უარი თქვეს.

—ჩვენ ვიცით, რომ გუშინწინ ერთად იყავით შენ და სანდრო. გვითხარი რა მოხდა და ეხლა სად არის, რომ წავიდეთ და მოვიძებნოთ. — უთხრა ნოდარმა.

—მე არ ვიცი... დაბნეულად თითქმის აკანკალებული ხმით თქვა მამუკამ ისე, რომ თავი არც ამჯერად აუწევია და აშკარად ეტყობოდა, რომ შეშინებული იყო.

—შენ შეიძლება არ იცი ეხლა სად არის, მაგრამ მოგვიყევი უკანასკნელად რომ ნახე რა ვითარებაში იყავით და რას აპირებდა. — თქვა გიამ.

—მე არ ვიცი... უკანასკნელად აქ ვნახე, უბანში და მერე მე წავედი ბიძაჩემთან.

—არ გინდა ტყუილები. დამნახავეები არიან, რომლებმაც თქვენ ორივე მინდორში მიმავალ გზაზე გნახეს და ნუ გაართულებ საქმეს. თქვი სიმართლე, თორემ ცუდად გექნება საქმე. ჩვენ მოვძებნით და შენ არც გაგამხელთ. — მოიტყუა გიამ იმ მიზნით, რომ რაიმე წამოაცდევინოს.

—მამუკას ხმა არ ამოუღია.

—უთხარი შვილო, უთხარი ბოლოს სად ნახე და შენ რომ წამოხვედი. —თქვა მისმა დედამ.

მამუკამ, თითქოს დედის ნათქვამმა ძალა შემატაო, ხმის კანკალით, მაგრამ მაინც ამოღერღა:

— ერთად ვიყავით, მაგრამ მე წამოვედი... ის იქ დარჩა... მე ვეუბნებოდი არ გინდა-მეთქი... მე შემეშინდა და...

—სად იქ დარჩა, რა არ გინდაო? — ჰკითხა ნოდარმა.

—ალუმინის მართულები მოვიპაროთო... მე უარი ვთქვი და გამოვიქეცი... შემეშინდა...

—სად არის ეგ ადგილი? —აღელვებით ჰკითხა გიამ.

—იქ... ქვევით... ფერმისკენ რო გზა მიდის... ის მართულები... ბიჭები მაშინვე გარეთ გამოვიდნენ. სასწრაფოდ გიამ ავტომანქანა გამოიტანა და წავიდნენ ფერმისკენ.

ფერმასთან მიახლოებისას გზაზე მდგარ ბოძებს შეხედეს. მავთულები არ იყო გაბმული.

—ესეიგი, მოუპარავთ და წაუღიათ, მაგრამ სად? თუ წაიღეს და ჩააბარეს, მაშ რატომ არ მოვიდა სახლში? —თქვა ნოდარმა.

—იქნებ ფერმის ხალხმა დაიჭირა და იქ ჰყავთ? აბა მიეიდეთ და ვიკითხოთ. —თქვა გიამ.

ფერმაში მოსულებს მწყემსებზე ადრე ძაღლები გამოეგებნენ ყეფით. მოგვიანებით მწყემსიც გამოვიდა, ძაღლები დააწყნარა და მანქანასთან მიეიდა.

—რაშია საქმე?

—ერთ ბიჭს ვეძებთ, ხომ არ დაგინახავთ? —თქვა გიამ.

—ბიჭი? არაა... დღეს აქ საერთოდ არავინ გამოჩენილა.

—ამ ორ-სამ დღეში?

—ბიჭი არა, დიდები კი.

—იქნებ არ შეგინიშნავთ?

—არ შემინიშნავს? მთელი დღეები, ისედაც ეზოში ეტრიალებ და თანაც ვინმემ გაიაროს, ძაღლები ხმას არ ამოიღებენ?

—ეზოში რას აკეთებ, ტელევიზორი არა გაქვთ? ახალი წელია საინტერესო გადმოცემებია თქვა ნოდარმა.

— ტელევიზორი? რა ტელევიზორი... დენი არა გვაქვს და... რაც მართულები მოიპარეს კიდე საერთოდ წაიღეს ტელევიზორი.

—როდის მოიპარეს მავთულები?— ჰკითხა გიამ.

—რა ვიცი, წელიწადი იქნება რა...
ნოდარმა და გიამ ერთი მეორეს შეხედეს. — ისევ მოგვატყუა —თქვა გიამ.
ბიჭები უკან გამობრუნდნენ.
—იქნებ სხვა ფერმაზე თქვა? ჩვენ ეს ვიგულისხმეთ, რაკი ყველაზე ახლოა, აქეთ წამოვედით, მაგრამ შეიძლება სხვა ფერმის გზაზე იყვნენ, მარტო აქ ხომ არ იქნებოდა მავთულები გაბმული? აბა მეორე გზაზე რომ ფერმაა, ზაურის ვენახისკენ, იქით წავიდეთ. —თქვა ნოდარმა, და გიამაც გეზი ხსენებული ფერმისკენ აიღო.
ფერმასთან მიახლოვებისას ნახეს, რომ ბოძებზე მავთულები იყო გაბმული, მაგრამ ერთ ნაწილში აკლდა.
—ახალი მოპარული ჩანს, იქნებ აქ იყვნენ? —თქვა გიამ
—ვნახოთ. ფერმაზე ვიკითხოთ.
ცოტა რომ გაიარეს ბაღ-ვენახებში ცხვრის ფარა ნახეს.
—ეს ცხვარი ალბათ მაგ ფერმისაა და ამ მეცხვარეს ეცოდინება რაიმე. მივიდეთ, ვნახოთ და ვკითხოთ. —თქვა გიამ, გააჩერა მანქანა და გადავიდა.
მწყემსმა, რომ დაინახა, მის გამო გააჩერეს, მათკენ წამოვიდა.
—გამარჯობა! —უთხრა გიამ მოახლოვებულ მწყემსს. — ერთ ბიჭს ვეძებთ ხომ არ შეგინიშნავს სადმე?
—არა, საერთოდ დღეს კაციშვილს არ გაუელია აქეთ. —უპასუხა მწყემსმა.
— არა დღეს კი არა, ამ დღეებში დაიკარგა, იქნებ გუშინ ან გუშინწინ შენიშნე? —თქვა ნოდარმა.
—არც გუშინ. ბიჭი არავინ მინახავს. გუშინწინ კი არ ვიცი მე საღამოს შევიცვალე, ეს ორი დღეა აქ ვარ.
—ეს მავთულები ბოძებზე როდის მოიპარეს? —ჰკითხა გიამ
—რა მავთულები, მე არაფერი ვიცი?
—როგორ არ იცი? იმ ბოძებით ხომ თქვენს ფერმაში მოდის დენი და როდიდან გაქრა არ იცი? ეს ხომ ძალინ მარტივია?
—მე რა ვიცი როდის გაქრა. ხან არი დენი ხან არა, რა ვიცი? ნოდარმა და გიამ ერთიმეორეს გადახედეს. —ესეიგი სულ ახალი მოპარულია.
—მომისმინე! —უთხრა ნოდარმა მწყემსს. —ჩვენ იმ ბიჭის ახლობლები ვართ, რომელიც დაიკარგა გუშინწინ საღამოს, მაშინ როცა, როგორც შენ ამბობ აქ იყავი, ის ბიჭი ამ მავთულების მოსაპარად წამოსულა. თუ რაიმე იცი გვითხარი, მოვძებნოთ თორემ, არა მგონია შენთვის უკეთესი იყოს პოლიციამ დაგკითხოს.
—პოლიციამ? მე რა შუაში ვარ ძმაო. ეგრე გეთქვათ თუ ახლობლები იყავით და ყველაფერს გეტყოდით. გუშინწინ საღამოს სმენაში რომ მოედიოდი, დავინახე ორი ბიჭი ხსნიდა ბოძებიდან მავთულებს. მე შემეშინდა და მოვერიდე... იქით მხარეს გადავედი ვენახებს გაღმა და იქიდან მოუარე, რო არ დაენახათ ჩემი თავი. რა ვიცი ვინ არიან, შარი მინდა? ხან მარტო ვარ ძმაო, და რო მომიცვივდნენ, ან ცხვარი მომპარონ ან რაღაცა, მერე უფროსი მე მაზღვევინებს... დენი მაინც

იშვიათად მოდის და რაღაცა მავთულების გულისათვის შარში ჩავიგდო თავი? ათასი გაჭირვებულია, ათას რამეს წვალობს... აქ რო იყო, ათას რამეს დაინახავ. მე რო ჩამშვები ვიყო აქამდე ვინ მაცოცხლებდა?

—მერე რა მოხდა სად წავიდნენ? — ჰკითხა გიამ.

—რა ვიცი, მე ხომ გითხარით, ჩუმათ გავიპრე და ვერ დამინახეს.

—ის შენი სმენა რომ დაგხვდა, ხომ წამოვიდა, ვინ არის იქნებ იცოდეს რამე, თქვა ნოდარმა.

—ჩემი სმენა მეორე დილით წავიდა. ღამე ორნი ვართ ხოლმე, რა იცი რა ხდება.

—ბიჭო, გუშინწინ ხომ საღამოს მოვიდა დენი, დენმა ხომ არ დაარტყა? —აღელვებით წამოიძახა გიამ. ნოდარსაც სახე გაუფითრდა და მაშინვე ორივე იქით გაიქცნე, სადაც მავთულები ეკლდა ბოძებზე.

რამოდენიმე წუთს ეძებეს ამ მცირე, მაგრამ რთულ მონაკვეთში. ბოძები ვენახების ღობის გასწვრივ იყო განლაგებული და ალაგ-ალაგ დიდი და მიუვალი ბარდები იყო, უცებ გიამ ბარდებში, ზემოდან რაღაც ტანსაცმლის მაგვარი შენიშნა და ახლოს მიეიდა.

—ვაიმე, სანდრო!... ამას რას ვხედავ!... — დაიყვირა გიამ და ადგილზე გაქვავდა.

ნოდარი, მის დაძახებაზე სასწრაფოდ გაიქცა მასთან, შენიშნა თუ არა სანდრო, მანაც დაიძახა, აუ! ეს რა მოსვლია ამ საცოდავს და მაშინვე მის ბარდებიდან გამოხსნას შეეცადა.

რამოდენიმე წამის შემდეგ გიაც გამოგონდა და მიეხმარა სანდროს გვამის გამოხსნაში.

ეს რა ახალი წელი გაგვითენდა, —ეს რა უბედურება მოხდა... თავისი თავიც დაღუპა და... — — თქვა ნოდარმა მანქანის დაძვრის შემდეგ.

—ეეხ, მართლა ამ მთავრობის დედაც... იქნებ მართლაც არ ვართ დამოუკიდებლობის ღირსი... იქნებ ჩვენი ერი მართლაც... ეს მთავრობაც ხომ ამ ხალხმა აირჩია. სანდრო არ იყო ისეთი ბიჭი, რომ ასეთ საქმეებში ჩათრეულიყო, რომ არა ღღეევანდელი საშინელი, საზიზღარი ცხოვრება. ეს ცხოვრება ხომ ამ ხალხმა და ამ მთავრობამ მოიტანა, ჯერ ხომ ბავშვი იყო, ვერც კი გაიგო, ვერც კი შეიგრძნო ცხოვრების რაიმე სიტკბო... რატომ? რატომ უნდა მოსვლოდა ეს? — თქვა გიამ.

სახლთან მისულები წამით დაბნეულები ვერ ბედავდნენ მანქანიდან გადასვლას, თითქოს დამნაშავენი თავად ყოფილიყვნენ. აკი გიამ თქვა კიდეც: როგორ უნდა ვუთხრა ეხლა ეს ამბავი ოჯახსო. ამ დროს კი მეზობლის ქალმა, რომელიც იქვე ახლოს იდგა ქუჩაში, შენიშნა სანდროც და ეზოში შეირბინა. რამოდენიმე წამის შემდეგ კი ქეთინო გამოვარდა შეშინებული და გაფითრებული. თავისი ძმა რომ დაინახა, ერთი დაიკივლა, ვაიმე ჩემო ძმაოო და ჩაიკეცა.

მანქანიდან გადმოსული ბიჭები მისცვივდნენ ქეთინოს მოსულიერება სცადეს მაგრამ უშედეგოდ. ქეთინოს კიბილზე რამდენიმე მეზობელი კიდევ გამოვიდა. ასეთი მდგომარეობა რომ ნახეს სასწრაფოდ მისცვივდნენ ქეთინოს, აქვე ვიღაცამ რაღაც „წვეთებიც“ მოიტანა და თანდათან გონს მოიყვანეს.

იგივე დაემართა ანა მასწავლებელსაც, როცა სანდროს ცხედარი ოთახში შეასვენეს. შემდეგ კი ტირილის ხმა ამ სახლში რამოდენიმე დღე თითქმის არ შეწყვეტილა.

შემოდგმაზე მოსული თოვლის შემდეგ, მთელი ზამთარი ისე გავიდა, თოვლი აღარ მოსულა და თბილოდა. გაზაფხულიც ნაადრევად მოვიდა. ჯერ მარტი არ დასრულებულა და უკვე გვიან მოყვავილე ხეხილიც, აყვავდა. ვაშლი, ბალი და სხვა. თეორად, ლამაზად გადაპენტილი ყვავილი გულს ახარებდა. ტყემლის ნაყოფი კი, უკვე გამოხორბლილიც იყო და ხე მწვანედ გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, ირგვლივ გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. ხალხი მასიურად იყო გასული ბაღ-ვენახებში. საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად. ზოგი სხლავდა, ზოგი ბარავდა, ზოგი თესავდა... უმეტესი მიწის ნაკვეთები კი უპატრონოდ თავმინებებული და დაუმუშავებელი იყო. (ამის მიზეზი ის იყო, რომ ზოგს შესაძლებლობა არ ჰქონდა დამუშავების, ზოგს კი ვისაც სხვა შემოსავალი გააჩნდა, წამგებიანად თვლიდა მიწას და ახლოს არ ეკარებოდა.)

ხალხის დიდ ნაწილში გაზაფხულის სურნელმა, და მოსავლის იმედის გაჩენამ, განწყობა გააუმჯობესა. ხალხის განწყობის გაუმჯობესებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ დენი უფრო ხშირად მოდიოდა. თუ აქამდე ხან ორი კვირა გადიოდა ისე დენს წუთითაც ვერ ნახავდი, ამჯერად კვირაში 3-4 ჯერ, თანაც უფრო ხანგრძლივად 2-3 საათით მოდიოდა. წყალიც, რომელიც დენზე იყო დამოკიდებული, ამჯერად კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდიოდა 1-2 საათით სახლებში და ხალხი მარაგს იღებდა შემდეგი დღეებისთვისაც. ბუნებრივ წყაროებზე ხალხი იშვიათადღა მიდიოდა, რიგები აღარ იდგა. ძირითადად დასალევად საჭირო წყლისათვის მიდიოდნენ (და გასარეცხად გატანილ სარეცხს წყაროებზე ვეღარ ნახავდით.)

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ცოტა გამოსწორდა ცხოვრება და იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, ხალხის ნაწილი, რომელნიც მიწიდან აღებული მოსავლის იმედით იყვნენ, ნაადრევ დათბობას შიშით შეხვდნენ. ბევრს ახსოვდა მწარე გამოცდილება გაზაფხულის ნაადრევად დათბობის შედეგისა, როცა შემდეგ აცივება მოჰყვებოდა და მოსავალი ნადგურდებოდა.

აპრილის თვეც დაიწყო... პირველ დღეებში სითბომ მოიმატა და 26 გრადუსსაც კი მიაღწია, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა. ამ სითბომ კი ბუნება საერთოდ აფურჩქნა და აამწვანა. ბავშვებმა უკვე ტყემლის ჭამაც კი დაიწყეს, იმდენად დამსხვილდა ნაყოფი. ხალხმა ქურთუკები და პიჯაკები გაიხადა, პერანგის ამარა დადიოდა ქუჩაში. სითბოს მონატრებული ბავშვებიც ქუჩაში გამოვიდნენ სათამაშოდ და საღამომდე ისმოდა მათი ჟრიამული.

ბზობის წინა დღეს დილითვე წვიმა დაიწყო. სითბომ მხოლოდ 15 გრადუსს მიაღწია. ასეთი სითბო ამ დროისთვის ნორმალური იყო და ტემპერატურის დაცემის გამო დიდად არ შეშფოთებულა ხალხი. მხოლოდ აქა-იქ გაიგონებდით: ხვალ მაინც არ იწვიმოს ბზობააო. მეორე დღეს, ანუ ბზობის დღეს, მართლაც აღარ წვიმდა, თუმც

ღრუბლიანობა შენარჩუნდა და წინადღეზე მეტი სითბო არც ამ დღეს იყო. ღრუბლიანობას და სიცივეს ხელი არ შეუშლია მსურველთათვის, ეკლესიაში წასულიყვნენ წირვაზე დასასწრებად და ნაკურთხი ბზის მოსატანად. ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ხალხმრავლობა იყო. მიმავალ ხალხში ძირითადად ახალგაზრდები და სკოლის ბავშვები ჩანდნენ, რომელთა უმრავლესობას ხელში ბზის პატარა ტოტი ეჭირა. (ეკლესიაში წასვლის მსურველნი რა თქმა უნდა იმ ქუჩის ახალგაზრდობაშიც იყვნენ, რომელზეც ნოდარი ცხოვრობდა.)

ნოდარი ამ დროს ტახტზე იყო წამოგორებული და ფიქრობდა რა საქმინობა მოეგონებინა, რომ ცოტა ფული მაინც ეშოვნა. ერთ კვირაზე მეტია პურსა და სურსათს ნისიად იღებს – ასე ხომ არ შეიძლება გაგრძელება? –ფიქრობდა ნოდარი. –ნისიად როდემდის მომცემენ. სურსათს? ბოლოს და ბოლოს ამ ვალს ხომ გასტუმრება უნდა. ეხლა მიჭირს ძალიან, თორემ, მერე რაღაც სამუშაო გამოჩნდება, დაქირავებულ მუშად წავალ 6 ლარად ან სხვა რაიმე სამუშაო გამოჩნდება. მერე კი ჩემი მოსავალიც წამომეწევა და შეღავათი მომეცემა. ქარხნებს და რაღაც ორგანიზაციებს რომ ანგრევენ, იქაც გავივლი იქნებ მუშა ჭირდებათ? აბა აშენებით არავინ არაფერს აშენებს და... ჩემი განათლება ხომ საერთოდ არავის აინტერესებს, არავის ჭირდება... პროფესორები თუ საღეჭ რეზინას და სიგარეტებს ყიდიან, თავს იმით ირჩენენ, ჩემი განათლება რა სახსენებელია? სხვებივით ქურდობის დაწყებას კი თოხის დაჭერა მირჩევნია. მერე კი, იქნებ ცოტა ფულიც მოვაგროვო და მეც ვაჭრობა დავიწყო ბაზარში.

წყაროზე სიარულს იმ იმედით, რომ მანანა ვნახო მარტო და ველაპარაკო, უნდა მოვეშვა., თორემ სხვა გზა არ არის, ვერც მანანას ვნახულობ მარტოს და უსაქმურიც გავხდი. თუ არაფერი გავაკეთე და ფული არ ვიშოვე, კიდეც რომ ვნახო მანანა და ყველაფერზე თანახმა იყოს უფულოდ რა გამოვა? სასიყვარულო შეხვედრებსაც ხომ უნდა ფულის რაღაც რაოდენობა. მამა რომ აქ ყოფილიყო იქნებ აქ უფრო მოგვეხერხებინა რამე. ორისთვის ხომ უფრო მოსახერხებელია საქმიანობის წამოწყება. ნეტავ გამაგებინა, ცოცხალი მაინც არის? უკვე რვა თვეა კაცი ფულის საშოვნელად წავიდა და არაფერი ვიცი მის შესახებ. იქნებ საეროოდ ცოცხალი აღარ არის, ან იქნებ ციხეში ჩასვეს უკანონო ემიგრანტობისთვის? აბა ისე როგორ მოითმენდა ამდენ ხანს, რომ არც დაურეკავს, არც ხმა მომაწვდინა, როგორ ჩავიდა, როგორ არსებობს. რა ვიცი, რა ვიფიქრო აღარ ვიცი. ამ პატარა ქალაქში რომ ამდენი მკვდარი ჩამოასვენეს უცხოეთიდან მთელ საქართველოში რამდენიღა იქნებოდა? ალბათ ათასობით. ესპანეთიდან კი არ გამიგია ვინმე ჩამოესვენებინოთ, მაგრამ რა ვიცი. აბა თუ კარგად არის, რატომ ხმას არ მაწვდენს? მე მაინც შემეძლოს დაკავშირება, რაიმეს გარკვევა. რა გზა გამოვნახო რომ დავუკავშირდე? ისიც არ ვიცი რომელ ქალაქში მოხვდა, ან ჩავიდა კი ესპანეთამდე?

–ნოდარ! – მოესმა ნოდარს ძახილის ხმა თავისი ეზოდან. ნოდარი წამოდგა, აივანზე გავიდა და გადაიხედა. ეზოში გია იდგა.

–ნოდარ ეკლესიაში არ წამოხვალ? ნაკურთხი ბზა არ გინდა?

– ეკლესიაში? მეე? იქ რა გავაკეთო? მარტო ვცხოვრობ, ბზა რად მინდა? –უპასუხა ნოდარმა.

–რას ჰქვია მარტო ვცხოვრობ? ბზა რა საჭმელი ხომ არ არის სხვებსაც გაუნაწილო? ოჯახია უნდა მოიტანო და იყოს ოჯახში. უბნის ახალგაზრდობა მიდის, ჩემი დაც და წამოდი, წავიდეთ.

–არა არ მინდა. ან ეხლა რაღა დროს წასვლაა, ხომ დაგვიანდა?

–არა, არ დაგვინებულა. დილით ჯერ წირვაა და ბზის კურთხევა მერეა. შენ თუ არ გინდა შენი ნებაა. თუ შენ არ წახვალ ალბათ არც მე წავალ. –თქვა გიამ და გაბრუნდა ქუჩისკენ.

ოთახში შებრუნებულ ნოდარს თვალწინ წარმოუდგა ეკლესიასთან შეკრებილი უამრავი ახალგაზრდობა და გაიფიქრა: „ალბათ მანანაც იქ იქნება, ის ხომ ასეთ ახალგაზრდულ თავშეყრას არ გამოტოვებს. მას ხომ უყვარს ასეთ ადგილებში გამოჩენა. ხო და მეც წავალ, სახლში რაღას ვაკეთებ?"

ნოდარი სასწრაფოდ გამოეწყო და გიასთან გავიდა. გია ეზოში დახვდა.

–რა არი, რას გამოწყობილხარ? წავიდეთ? – ჰკითხა დანახვისთანავე გიამ.

–წავიდეთ. მაინც უქმედ ვიჯექი.

–ისინი რომ უკვე წავიდნენ? მარტო ორნი წავიდეთ?

–მერე რა? იქ არ დაგვხვდებიან?

–კარგი წავიდეთ. –თქვა გიამ და ორივე ქუჩაში გავიდა.

–ბზა რომ არ გვაქვს? –გაახსენდა ნოდარს.

– მე რად მინდა, ჩემს დას აქვს და შენთვის იქ ვიშოვით.

ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ხალხის სიმრავლე აღარ იყო. იშვიათადღა ჩნდებოდნენ ბზით ხელში მიმავალნი. ეკლესას რომ მიუახლოვდნენ, გიამ ერთ-ერთ სახლსე მიუთითა:

–მოდი აქ შევიაროთ. ჩემი თანაკლასელი ცხოვრობს, ხომ გახსოვს, მასაც გიორგი ჰქვია. ეზოში ბზა ედგათ, ალბათ ისევ იქნება და მოვტეხოთ. –თქვა გიამ.

ნოდარმა მხრები აიჩეჩა და ორივემ გადაუხვიეს გიორგის სახლისკენ.

–გია! –დაიძახა გიამ, როცა ეზოს კარი შეაღო.

–ორი გიორგი იყავით კლასში?

–არა სამი. რა გასაკვირია, საქართველოში ბიჭებს უმრავლესობას ხომ გიორგი ჰქვია... –უპასუხა გიამ.

ეზოში რამდენიმე 20 – 30 წლამდე ასაკის ქალი იდგა.

–სტუმრები ჰყოლიათ. – თქვა ნოდარმა.

–არა ესენი ბოსები არიან. – თქვა ნოდარმა. იმ ქალებიდან ერთ-ერთმა კი გიას გასძახა, გეძახიანო.

–რაოო? – გაიოცა ნოდარმა. – მერე ამდენი აქ რას აკეთებს? ვინ შეაგროვა?

–გიას დედა ჩალიჩობს, თურქეთში გადაჰყავს და ფულს იღებს. ბევრ ფულს შოულობს. ეხლა კაცი ჩამოუყვანია თურქეთიდან, ქმარივით ჰყავს. ქალების გადაყვანაში და იქ გაყიდვაში ეხმარება.

–რას ამბობ, ეს რა საზიზღრობაა. მერედა მაგ გიას, თუ გიორგის არ წყინს რომ დედამისი ასეთი საშინელი საქმიანობით არის დაკავებული?

–ფული ჰქონდეს და...

– აბა ტრეფიკინგზე ბევრს ლაპარაკობენ ტელევიზორში, ვებრძვითო. ასე ღიად საქმიანობს და პოლიციამ არაფერი იცის?

–ეეჰ, ნოდარ შენ რომელ ქვეყანაში ცხოვრობ? ყველა თავის წილს აიღებს და მორჩა.

–რა არი, სად მომიყვანე. სადაცაა 21-ე საუკუნეში გადავალთ და აქ ადამიანებით ვაჭრობენ.

–ეს ქალები ხომ თავისი ფეხით მიდიან, მათ არავინ აძალებს.

–იგივე დაძალება არ არის, რომ ატყუებენ და ლამაზად უხატავენ მომავალ ცხოვრება-საქმიანობას?

–მოდი, მოდი გია რა შორიდან იძახი. –გამოეგება მასპინძელი გია.

–ბზის ტოტი გვინდა ეკლესიში მივდივართ და...

–მოტეხე რამდენიც გინდა. –უპასუხა მასპინძელმა.

გია მივიდა ბზის ბუჩქთან ტოტის მოსატეხად. მასპინძელიც მასთან მივიდა და ერთი-მეორე მოიკითხეს. მოკითხვის შემდეგ მასპინძელმა უთხრა გიას:

–ამ გოგოებსაც უნდათ წამოსელა და გ'ხა არ იციან, თქვენ რომ გამოგყვენენ წინააღმდეგი ხომ არ ხართ? წამოვიდნენ, ხომ არ შემჭამენო.

–გოგოებო, გასძახა მასპინძელმა. –ესენი ეკლესიაში მიდიან და თუ გინდათ გაყევით. წახვალთ?

–წავალთ. –თქვა ერთმა. მეორეს რაღაც გადაულაპარაკა და ორივე მათკენ წამოვიდა. სხვა მსურველი აღარ გამოჩნდა და მხოლოდ ის ორნი გაყვნენ ნოდარს და გიას.

–თქვენ ესეიგი, აქაურები არ ხართ, რაკი გ'ხა არ იცით. –თქვა ნოდარმა.

–კი ჩამოსულები ვართ. –უპასუხა ერთერთმა, რომელიც მეორეზე უფროსი ჩანდა.

–თურქეთში მიყავხართ?

–კი, –უპასუხა იგივემ, ისე რომ არანაირი უხერხულობა არ უგრძვნია.

–მერე იცით იქ რა უნდა აკეთოთ? რისთვის მიყავხართ? –ჰკითხა ნოდარმა.

–ვიცით, როგორ არა.

–მერე ასეთ საქმე'ზე როგორ მიდიხართ? არ გრცხვენიათ?

–ჰო, კარგი საქმე არ არის, მაგრამ მე ქმარმა მიღალატა, სხვასთან წავიდა და იმის ჯიბრ'ზე მივდივარ. სამაგიერო უნდა გადავუხადო.

–რა სისულელეს ამბობ. სამაგიერო თუ მაინცდამაინც სხვა კაცებში სიარულით უნდა გადაუხადო, იქ სადაც ცხოვრობ კაცები არ არიან? ამისთვის თურქეთი რად გინდა? იქ ხომ ქმარი ვერც დაგინახავს?

–ფულიც მინდა. ორი ბავშვი დამიტოვა ქმარმა. ცხოვრება, ჭამა, ჩაცმა, სწავლა ხომ უნდათ ბავშვებს?

–ასეთი გზით ნაშოვნი ფულით გინდა ასწავლო ბავშვებს? საშინელ გახრწნილობამდე დაეცე, ასეთი დედა გააბედნიერებს შვილებს? ასეთი ფულით ნაყიდი ტანსაცმლით უნდა მოიწონონ თავი შენმა შვილებმა?

ასე ხომ ისინიც შეეგუებიან გახრწნილობას და რა ადამიანები გამოვლენ მათგან.

–აბა რა ექნა? მშიერ-მწყურვალები და დახეული ტანსაცმლით საზოგადოებიდან გარიყულები რომ გაიზარდნენ ის უკეთესია?

–თვითონაც იცი, რომ მართალი არ ხარ. შენ „გაგულავება“, უცხო თავგადასავლები გაინტერესებს და მიზეზებს ეძებ, თორემ დღეს მთელ საქართველოს უჭირს და ამის გამო არავინ არავის დასცინის. თუ ვინმე ფულიანი, გაჭირვებულს გარიყავს, ის თვითონ იქნება გარიყული და არა ამდენი გაჭირვებული. საზოგადოებისგან გარიყული მაშინ იქნება, თუ შრომის საშუალება გაქვს და სიზარმაცის გამო არაფერს აკეთებს.

–იქ რომ მიხვალ ძალიან ინანებ, მაგრამ იქიდან ვეღარ წამოხვალ –უთხრა გიამ. –ბავშვებიც, უპატრონოდ დარჩენილები, განათლებულები კი არა ნაძირლები გაიზარდებიან და სწორედ მაშინ იქნებიან საზოგადოებისგან გარიყულები.

–რატომ ვერ წამოვალ, ჩემი ნება არ არის?

–არა გენაცვალე. –ირონიული ღიმილით თქვა გიამ. –იქ რომ მიგიყვანენ შენ ისინი გყიდულობენ. ის მყიდველი, რომელიც თავის საკუთრებად გთვლის, იქიდან არ გამოგიშვებს, ვიდრე ევარგები და შენგან რაიმე სარგებლის აღება შეუძლია? შენ კი ვერაფერს მოიმოქმედებ, რადგან უკანონოდ გადადიხარ. იმ შენს კლიენტებში კი, ვინ იცის რამდენი ცხოველური ფსიქიკის კაცი აღმოჩნდება და რა საშინლად დაგამცირებენ. შენი თავიც შეგზიზღდება და კლიენტებიც, მაგრამ უარის თქმის უფლებას არავინ მოგცემს.

– არ მჯერა. მე იქ ჩემი უფლებები მექნება. მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ როგორც სხვა.

–აი მერე, ეჭვი შეგეპარება, რომ შენც ადამიანი ხარ. –თქვა ნოდარმა. –იქნებ თქვენ ზუსტად ეგ არაადამიანური, ცხოველური ცხოვრება გიზიდავთ?

ამ ლაპარაკში ეკლესიას მიუახლოვდნენ. გიამ უკან მიიხედა, წამით შეჩერდა და ქალებს უთხრა:

–თქვენ წადით. მე, ჩემს ბიძაშვილს დაველოდები, უკან მოდის. აი ეკლესია უკვე ჩანს. როგორც შეუხვევთ იქვეა.

ქალები წავიდნენ. ნოდარმა კითხვით სავსე თვალები მიაპყრო მეგობარს. გიამ განუმარტა:

–არავინ არ მოდის. არ მინდოდა ეკლესიაში მათთან ერთად შესვლა.

–ჰო ალბათ მართალი ხარ.

ბიჭებმა რამდენიმე წუთით მოიცადეს და გზა განაგრძეს. ეკლესიაში უფრო მეტი ხალხი დახვდათ ვიდრე წარმოედგინათ.

–ეს რამდენი ხალხია. –თქვა განციფრებით ნოდარმა. –ამდენი ხალხი რამ მოიყვანა? გუშინ რომ ეკლესია არავის ახსენდებოდა, ვითომ დღეს მოეწაფათ რელიგიური რწმენა და ღმერთისადმი სიყვარული? თუ, გაჭირვებაში რომ ჩაცვივდნენ, იმედად ღმერთი ეხლა გაახსენდათ?

—ზოგს მართლა გაჭირვებამ გაახსენა, უმრავლესობა კი ძირითადად ახალგაზრდობაა და მათთვის უბრალოდ მოდად იქცა. —თქვა გიამ.

—მოდა რას ჰქვია? ეკლესია და მოდა?

—რას იზამ, ეგრეა. წინათ ხალხი პირველ მაისსა და შვიდ ნოემბერს ზეიმობდა. ბევრმა არც იცოდა რას ნიშნავდა ან ერთი ან მეორე, მაგრამ გადიოდა დემონსტრაციაზე და ზეიმობდა. მაშინ მათ პირველი მაისის მნიშვნელობა კი არ აინტერესებდათ, ხალხი რომ ერთად გროვდებოდა საზეიმო განწყობით, უამრავ ხალხში ბევრ მონატრებულ, დიდი ხნის უნახავ ნაცნობს რომ ხედებოდნენ, უხაროდათ. ახლა ის ზეიმები აღარ არის, ხალხს კი ენატრება მსგავსი საზეიმო თავშეყრა. ეხლა კი ასეთი თავშეყრის ყველაზე უკეთესი მიზეზი და საშუალება რელიგიური დღესასწაულია. ამიტომ იქცა მოდად. თანდათან, რა თქმა უნდა, ბევრ მათგანს რწმენაც გაუძლიერდება, მაგრამ არა ყველას.

—მართალია, ხალხს მოენატრა ზეიმები და საზეიმო საზოგადოებრივი შეკრებები. აბა რა იქნება, იმ მშვიდი ცხოვრების დროს ხალხმა სიხარულით მიიღო ეროვნული დამოუკიდებლობა, უფრო უკეთესი ცხოვრების იმედი გაუჩნდა ეროვნულ სახელმწიფოებრივი განვითარების და სულიერი ამაღლების გზით, სანაცვლოდ კი რა მიიღო? გაჭირვება, ტანჯვა, საკუთარი გადარჩენისათვის ბრძოლის აუცილებლობა, უსამართლობა, შიში და საერთო ეროვნული კატასტროფის წინაშე დგომა. ხალხი ისე დაშინდა, ღამე კი არა დღისითაც აღარ ეხალისებათ გარეთ გამოსვლა. ბოლო თვეებში კიდე ცოტა უმნიშვნელოდ გამოსწორდა შიშის მხრივ, მაგრამ მერე რა იქნება ვინ იცის?

—წამოდი, იქით გადავიდეთ. ჩვენი გოგოები იქ იქნებიან, თქვა გიამ ეკლესიასთან შეჯგუფებულ ხალხში, შერევისას.

—რად გინდა ჩვენი გოგოები? გაუშვი, ცოტა თავისუფლება მიეცი, იქნებ ვისთან უნდათ დალაპარაკება. ხომ ხედავ აღარც ქორწილებია და აღარც ოჯახები იქმნება. ნუ გეშინია არავინ მოგტაცებს შენს დაიკოს.

—თუ კარგი ბიჭი მოიტაცებს, მოიტაცოს. რეგვენი, ნარკომანი და ავაზაკი ნუ იქნება თორე... გასათხოვარი უნდა გათხოვდეს, აბა სახლში ხომ არ უნდა დაბერდეს?— თქვა გიამ.

ბიჭებმა მეორე მხარეს დაიწყეს გზის გაკვლევა. შემჭიდროებულ ხალხში ნოდარმა მანანა შენიშნა, რის მიზეზითაც უნებლიედ შეჩერდა. გიამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შეამჩნია, რომ ნოდარი აღარ მისდევდა და უკან მობრუნდა.

—აღარ მოდიხარ? რა მოხდა, ვინმე ნაცნობი დაინახე?

—მოვდივარ, მოვდივარ. თქვა ნოდარმა და ორი ნაბიჯი გადადგა მისკენ. გიასაც ეგონა მომყვებაო და წავიდა, მაგრამ, რომ ნახა მაინც არ მიდიოდა კვლავ უკან დაბრუნდა.

—რატომ არ მიდიხარ, ვინმე დაინახე ეისი ნახვაც გინდოდა?

ნოდარმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ერთ მხარეს იხედებოდა.

—ვინ არის? მიდი, ნახე, მე აქ დაგიცდი. — უთხრ გიამ, მაგრამ ნოდარი კვლავ უსიტყვოდ იხედებოდა იმავე მხარეს. აშკარად ეტყობოდა, რომ მართლაც უნდოდა ვიღაცის ნახვა, მაგრამ რატომღაც არ მიდიოდა.

—მიდი ნახე, ვისი ნახვა გინდა. გაიმეორა გიამ, მაგრამ ნოდარმა დაბნეულად თქვა, კარგი წავიდეთო და ამჯერად თვითონ დაიწყო გზის გაკვლევა.

—შენ რა დაბნეულად იქცევი, გოგოს ნახვა გინდა? შეყვარებული ხომ არა ხარ?

—არა, არა. წავიდეთ... მერე ვნახავ... თქვა ნოდარმა და გზა გააგრძელა, ეხლა უკვე გია აჩერებდა.

—მოიცადე, სად მიდიხარ?... ნახე ვისი ნახვაც გინდა... სად გვეჩქარება?

—მერე ვნახავ. გაიმეორა ნოდარმა. გიამ კი იფიქრა ალბათ მე მერიდება, რომ არ ვნახო ვინ არისო და სხვა მიმართულებით წავიდა.

მარტო დარჩენილი ნოდარი შეჩერდა და კარგახანს უაზროდ იხედებოდა აქეთ-იქით, შემდეგ კი ისევ მანანას უცქერდა. დააპირა მისვლაც მასთან, მაგრამ იფიქრა ჯერ გავარკვევ ვისთან ერთად არისო. ეს კი ვერაფრით გაარკვია. ხალხის იმისთანა სიმჭიდროვეში, ძნელი იყო გარკვევა ვინ ვისთან ერთად იყო მოსული. იმის გარკვევაც ვერ მოახერხა მის გვერდით მდგომი ორი ბიჭი, რომელნიც ერთიმეორეს ესაუბრებოდნენ მანანასთან ერთად იყვნენ მოსულნი თუ არა.

გადაწყვიტა უფრო ახლოს მისულიყო მათთან. მიახლოებისთანავე, როგორც კი მანანამ თვალი მოჰკრა ნოდარს უცნაურად დაუწყო ცქერა და ჩაიღიმა კიდეც ეშმაკურად. აშკარა იყო, რომ მანანას ნოდარი ჩვეულებრივ გამელელად არ მიუღია. მისმა ასეთმა საქციელმა უფრო დააბნია ნოდარი და იძულებული იყო გზა გაეგრძელებინა. გვერდით აუარა მანანას და მის მოსაუბრეებს, შემოვლით, ისევ იმ მიმართულებით წავიდა, საითაც გიასთან ერთად მიდიოდა. ნოდარმა რამოდენიმეჯერ მოათვალიერა გია და სხვა მეზობლები, მაგრამ ვერ ნახა. მერე იფიქრა ალბათ მოვლენო და მათ მოსვლამდე რომ გართულიყო და მანანას გამოხედვასე არ ეფიქრა, ნაცნობების ჯგუფი მოძებნა, რომელთაც შეუერთდა. ეს ნაცნობები, რაღაცას რელიგიურ თემაზე კამათობდნენ, რომელიც ნოდარმა უყურადღებობის გამო ვერ გაარკვია, და უაზრო კამათად ჩათვალა.

რამდენიმე წუთში გიამაც მიაკითხა.

—სად ხარ ბიჭო, ამდენი ხანია გეძებ. —თქვა გიამ.

—შენ არ თქვი აქეთ წავიდეთო?

იმ დროს ჩვენი გოგოები აქ იყვნენ და ეხლა რომ არ არიან...

კარგი წავიდეთ, ქვემოთ არიან... რა ქენი ნახე შენი შეყვარებული?

—არა, რა შეყვარებული...

—ჰო, კარგი... თუ არ გინდა, ნუ იტყვი. შეინახე საიდუმლოდ.

ნოდარი და გია ჩავიდნენ ქვემოთ თავის მეზობლების ჯგუფთან და ბზობის კურთხევის დაწყებას დაელოდნენ. გოგონები ცალკე თავისთვის ლაპარაკობდნენ, რასაც ნოდარი და გია ყურადღებას არ აქცევდნენ.

—შეხვედი შიგნით, დაანთე სანთელი? —ჰკითხა გიამ ნოდარს.

—არა.

—არც გიცდია?

—არა.

—ჩვენ გვინდოდა შესვლა, მაგრამ ისეთი ჭედვაა კარებთან ახლოს, რომ ვერ შევედით. პატარა ეკლესიაა და ცოტა ხალხი ეტევა.

—მერე რაა?... თუ გუილით გინდათ სანთელის დანთება, წირვის დამთავრების მერე ხალხი წავა და დაანთეთ.

დავიღალე ამდენ ხანს ფეხზე დგომით, —თქვა გიამ —იქნებ სადმე სკამი იყოს, ან რაიმე ჩამოსაჯდომი მოვნახოთ.

—აქ ხალხი შენზე 2 საათით ადრეა მოსული, ზოგი ალბათ 3-ითაც, სადმე სკამი რომ იყოს შენ შეგინახავდნენ? —უთხრა ნოდარმა. —აბა შეხედე როგორ არიან ფეხზე დგომით გატანჯულები.

—ზოგი მართლაც გატანჯული ჩანს, მაგრამ უმრავლესობა ისეა ჩართული ჭორაობაში, რომ დაღლა არც ახსენდებათ.

—ხო, ჭორაობა ზოგს ენერგიას მატებს.

—ამდენი ხალხი... ყველა რომ ლაპარაკშია ჩართული, ნეტა რას ლაპარაკობს, რა აქვთ ამდენი სალაპარაკო? — თქვა გიამ.

—ზოგი ალბათ მართლა ჭორაობს. ვინ ვის აქებს, ვინ ვის აძაგებს, ვინ ვისზე თავის წყენას გამოხატავს, ზოგი ალბათ თავის გასაჭირზე ჭყევება.

—ზოგი ალბათ თავგადასავალს ჰყვება, გაზვიადებულად და ტრაბახით. ბიჭები ალბათ უფრო ბევრის დალევით ტრაბახობენ. გოგოები კი ალბათ სხვის სიყვარულზე ლაპარაკით ერთობიან. ვინ ვის ხვდება ან პირიქით ვინ ვის გასცილდა...

საუბრისას ნოდარი ხშირად იხედებოდა იმ მხარეს საითაც მანანა ეგულებოდა. რამდენიმეჯერ თვალიც მოჰკრა და მოეჩვენა, თითქოს ისიც ცდილობდა ნოდარის დანახვას. ისიც სულ ჩემსკენ იხედება... თუმცა -არა, ეს ხომ შეუძლებელია... რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ჩემ მიმართ, რომ თვალის მოკერა აინტერესებდეს? —ფიქრობდა ნოდარი. მე ხომ მისთვის არაფერი მითქვამს, არც სხვისთვის მითქვავს, რომ ვიფიქრო ამბავი მიუტანეს და ამიტომ მიყურებს მეოქი. უბრალოდ, ჩვეულებრივად იხედება ყველა მხარეს და როცა ჩემ მხარეს იხედება მგონია, რომ მე მეძებს თვალებით... მაგრამ არა, ის სწორედ მე მიყურებს და არა სხვას... არა, მე რატომ უნდა მიყურებდეს? მე ხომ არც მიცნობს... ალბათ ბავშვობიდანაც აღარ ეახსოვარ... კი ვეხსომები, ჯერ ხომ ბევრი წელი არ გასულა, მაგრამ მერე რაა რომ? ასე უამრავი ხალხი ეხსომება... ალბათ ჩემს ირგვლივ მყოფთაგან ვინმეს უყურებს, მე კი ჩემზე მგონია... მოდი შევამოწმებ, სხვა ადგილას გადავინაცვლებ და ვნახავ მერე როგორ მოიქცევა...

ამდროს წირვაც დამთავრდა და წუთით, გაშეშებული ხალხი ისე „შეირხა", როგორც დანგრეული ბუდიდან გამოცვივნილი ჭიანჭველები.

რამდენიმე წუთის შემდეგ მღვდელმა ბსები აკურთხა და ეკლესიის კარმიდამოც ხალხისგან დაიცალა. გია, თაეის დასა და უბნელებთან ერთად, სახლში დაბრუნდა. ნოდარმა კი რაღაც მოიმიზეზა და დარჩა, იქნებ მანანა დავიმარტოხელო და ველაპარაკოო, მაგრამ ამდენ არეულ ხალხში მანანა ისე გაქრა ვერსად დაინახა. რაღას იზამდა ნოდარი, ისიც დაბრუნდა სახლში მარტო.

მეორე დღეს, დილით თოვა დაიწყო. ისეთი მსხვილი ფიფქები ცვიოდა ციდან, ყველა განაცვიფრა. მიუხედავად იმისა, რომ განსაცვიფრებლად

მსხვილი ფიფქები იყო, რამდენიმე წამში მაინც დნებოდა, თოვლი დადებას მაინც ვერ ასწრებდა. შემდგომ ფიფქები თანდათან დაწვრილდა და საღამოს საერთოდ შეწყდა თოვა. ღამე კი ისეთი ვარსკვლავიანი ცა იყო, თითქოს დღისით არც ეთოვოს. ასეთმა ვარსკვლავიანმა ცამ ზოგი გაახარა, მ'ხე იქნება და ისევ დათბებაო, ზოგი კი შეაშინა. გამოცდილმა ხალხმა კარგად იცოდა რას მოასწავედა ეს ვარსკვლავიანი ცა.

დილით მართლაც მზე გამოვიდა. მთელს ცაზე ერთ ნამცეც რრუბელს ვერ ნახადით. იმათ კი, ვისაც ღამით მოწმენდილი ცა არ ესიამოვნა, შიში გაუმართლდათ და პატარა გუბეების ზედაპირი თხელი ყინულის ფენით დაფარული დახვდათ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსავლის დიდი ნაწილი მაინც, თუ სრულად არა, განადგურდებოდა.

დილით ნოდარსაც, მოყინული გუბეების დანახვაზე, გ'ული აუფორიაქდა.

—აუ, ეს რა მომ'ხდარა!... —წამოიძახა ნოდარმა და ფიქრში გააგრძელა: ესღა გვინდოდა... ეხლა რა მეშველება? ატამი ხომ მთლად განადგურდება და ვერაფერს მოვკრეფ, ალბათ ვენახიც განადგურდება... ნეტავი ნათესები მაინც, თუ ჯერ არ ამოსულა იქნებ გადარჩეს... რა მეშველება, ატმის იმედი მქონდა... ერთი — ორი ათასი ლარისა გამოვა, ცოტას ამოვის'ენთქებ-მეთქი, ეხლა რა ვქნა? მთელი წელი გამოვი'ხოგებდი ამ ფულს... იქნებ რაღაც საქმიანობაც წამომეწყო ამით...

ნოდარმა რამოდენიმე წუთს იარა ეზოში აქეთ-იქეთ განერვიულებ'ულმა, მერე კი უნებლიედ გავიდა ქუჩაში და გიას სახლისკენ წავიდა. გიას სახლისკენ მიმავალმა ნოდარმა, ვალიკო შენიშნა, რომელიც ვენერას სახლიდან გამოვიდა. ვენერა ქეთინოს გვერდით ცხოვრობდა, მეორე მხარეს და კარგი სახელით არ სარგებლობდა უბანში. ერთი წ'ლის გადმოსული იყო ამ სახლში, რომელიც იყიდა და მასთან ხშირად შედიოდნე უცხო კაცები. ალბათ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ მეზობლებს არ უყვარდათ. ვალიკო ეზოდან გამოსვლისთანავე გიას მხარეს გამოემართა, მაგრამ ნოდარის დანახვაზე თუ სხვა მიზეზით, ორიოდე ნაბიჯის გადადგმის მერე შებრუნდა და მეორე მხარეს წავიდა.

—ნეტავი ამას აქ რაღა უნდა? —გაიფიქრა ნოდარმა. — თუმცა რა... ქალები უყვარს, ფულიც აქვს და რა გასაკვირია? გასაკვირი ის იქნება, წესიერი კაცის შესვლა-გამოსვლა დავინახო ვენერასთან, თორემ ამისთანა კაცი ვენერასთან ვის არ უნახავს? იქით რაღატომ შებრუნდა, რაა, ჩემი შერცხვა? მაგისთანა კაცისგან სირცხვილი სად გაგონილა?

—გიაა! —ხმამაღლა დაიძახა ნოდარმა ეზოში შესვლისას.

დაბლა სართულის ფანჯარა გაიღო და ლელამ გამოიხედა მოხდენილი ღიმილით.

—სახლში არ გახლავს. სულ 5 წუთის წინ გაეიდა. —უთხრა ლელამ.

—კარგი. —თქვა ნოდარმა და შემოტრიალდა.

ნოდარი ისევ თავისი სახლისკენ წავიდა. ვიდრე სახლამდე მივიდოდა გიამ გადმოუხვია ჯვარედინზე. მეგობრის დანახვაზე ნოდარი თავის სახლის წინ შეჩერდა.

—რაო, ნახე შენი შეყვარებული? —ღიმილით იკითხა გიამ მიახლოვებისთანავე.

—რა შეყვარებული, ხომ გითხარი არა მყავს. უკმეხად უპასუხა ნოდარმა.

—რა იყო, ვინ გაგაბრაზა ასე?

—არავინ, ვინ უნდა გამაბრაზოს, ისე რაა, ყველაფერი რიგზეა? დალხენილი რატომ ვიქნები?

—რა არის, მოხდა რამე?

—მეტი რა უნდა მოხდეს, ხალხს მოსავალი აღარ ექნება წელს... ყველაფერი განადგურდა და...

—რა მოსავალი?

—შენ რა გძინავს? ვერ ნახე, რომ წუხელ მოუყინია?

—ჰოო, მაგაზე არც მიფიქრია... ჩვენ ხომ ჯერ არ დაგვითესია არაფერი. მართლაც ალბათ ბევრი რამ განადგურდება.

ქუჩაში აჩქარებით შორეული ასაკოვანი მეზობელი, კაცი მოდიოდა, რომელიც მათი საუბრის მოსმენისას შეჩერდა, საკმაოდ დაღონებულად გამოიყურებოდა.

—ეხლა იქ მივდივარ, მინდა ვნახო, —თქვა კაცმა.

—ეხლა შეეტყობა? პირველ დღეს ხომ ყველაფერს არ ეტყობა? — თქვა ნოდარმა.

—შეეტყობა თუ არა, რა ექნა, გული აღარ ითმენს... ანდა რა უნდა შეეტყოს? ხომ ვიცი რომ გაფუჭდება ყველაფერი. შევარდნაძემ ხომ გაგვანადგურა და ეს ღმერთიც შევარდნაძის მხარეზეა. ის კიდევ უარესად გვანადგურებს

—ნუ გეშინია... ღმერთი ჩვენს წილს არ დაგვიკარგავს. —უთხრა გიამ.

—რას არ დაგვიკარგავს შვილო.. ექვსასი ლარი ფული დავხარჯე... აქედან ნახევარი სესხი ავიღე ლომბარდი თუ რაღაცა ჭირია. ოჯახში თუ რამ ძვირფასეულობა გვქონდა სუ იმ კრედიტში დავტოვე. ვენახი და ატამი ისეა მოვლილი მტერსაც კი გაუხარდება. ნახევარ ჰექტარზე... — კაცს ცრემლები მოადგა თვალებზე, (ხმა ჩაეხლიჩა) ხელით თვალები მოიწმინდა. —ნახევარ ჰექტარზე ლობიო და კიტრი დავთესეთ. —ისეთი იყო რომ გენახა გაგიხარდებოდა, ეხლა კი რაღა იქნება? — კაცმა ცრემლები მოიწმინდა ისევ და განაგრძო; ბიჭი მეუბნებოდა, დაანებე მაგ მიწას თავი, მოსავალი რომ ვერ მივიღოთ, ხომ დავიღუპებითო. ისევ ვაჭრობა დავიწყოთ სხვებივით ის ჯობიაო. მე ვუთხარი, შვილი, ჩვენს გვარში ვაჭარი არავინ ყოფილა და ეხლ გინდათ მე გამხადოთ-მეთქი. ნეტავი მისთვის დამეჯერებინა და ბაზარში დავმჯდარიყავი, იქნებ იქ უფრო მეშოვა რამე. ეხლა რაღა ვუთხრა? შეყვარებული ჰყავს, ცოლის მოყვანა უნდა და მე კი რაც სახლში გვქონდა ისიც გავანადგურე.

არა უშავს... მეც გამიფუჭდა მოსავალი, მაგრამ ღმერთის იმედზე ვიყოთ... მეტი რა გზა დაგვრჩენია? ღმერთი ისე არ გაგვწირავს, რომ გადარჩენის საშუალება არ მოგვცეს, ცოლი კი, მომავალ წელს მოიყვანოს, ამით დიდი არაფერი დაშავდება. —თქვა ნოდარმა.

—მოსავალი კი ახლიდან დათესე და მოვა. მე ჯერ არც დამითესია. —უპასუხა გიამ.

–ახლიდან დავთესო კარგია, მარა რითლა დავთესო? სახლში პურის ფულიც აღარ გვაქვს. – თქვა კაცმა და წავიდა.

–ნაადრევად რომ დათესა და ადრეული მოსავლით ბევრი ფულის აღება უნდოდა, რატომ არ იფიქრა, შეიძლება გაყინულიყო? სიხარბემ დაღუპა და ეხლა ჩემთან რა ცრემლებს ღვრის, მე რა ვუშველო? –თქვა გიამ.

– ესეიგი, შენ რომ არ დათესე, იცოდი რომ ყინვა იქნებოდა და ამიტომ არ დათესე? – უთხრა ნოდარმა. – ნათქვამია 'სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო". შენ ეხლა სწორედ ამას ამჟღავნებ. იმათი ჭირი ყველას ჭირია და ამას ყველა უნდა განიცდიდეს, მაგრამ... მოსავალი რომ ცოტა იქნება და ბაზარში გაძვირდება ყველას ჭირი არ იქნება? შენ ასეთი არ ხარ და ახლა რა მოგიყიდა?

–შენ მართალი ხარ, მაგრამ მაგის მაგივრადაც მე ხომ არ ვინერვიულებ.

–ნერვიულობა სხვა არის, უბრალოდ განცდა, გულდაწყვეტა, თანაგრძნობა ადამიანური გრძნობებია, უგრძნობი ადამიანი კი გულქვაა.

–კარგი, კარგი მართალი ხარ. ხომ იცი მე ასეთი არ ვარ. შენ რამე გაგიფუჭდა?

–რა ვიცი აბა? ატამი ხომ სულ გაფუჭდებოდა, ვენახიც. თუ რამე ახალ ყლორტებს გამოიტანს არ ვიცი შეიძლება მცირე მოსავალი ავიღო. ნათესი ჯერ არც ამოსულა და გადარჩებოდა. მთავარი ჩემთვის მაინც ატამია, რადგან ძირითად შემოსავალს იქიდან ველოდებოდი. დანარჩენი მნიშვნელოვანი არ არის.

გიამ არაფერი უპასუხა.

–რაც არის არის, რა ექნა. წავალ ქალაქის ცენტრში გავიელი, ცოტა გულს გადავაყოლებ. – თქვა ნოდარმა და წავიდა.

შუადღე გადასული იყო, როცა ნოდარი სახლში დაბრუნდა. შემორჩენილი მცირე შეშის გროვიდან რამდენიმე შეშა აიღო და ღუმელში ცეცხლი აანთო, ღუმელთანვე ახლოს მდგარ ტახტზე წამოწვა. მალე ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

–ნეტა ვის გავახსენდი, რამდენი ხანია ყურმილი ხელში აღარ მჭერია. –გაიფიქრა ნოდარმა, წამოდგა და ყურმილი აიღო.

–ალო, გისმენთ.

–ელაპარაკეთ.! – გაისმა ფოსტის თანამშრომლის ხმა.

გისმენთ, გისმენთ! –უფრო ხმამაღლა დაიძახა ნოდარმა და სხვა რაიონიდან არის, ალბათ ჩემი ძმა იქნებაო, გაიფიქრა.

ალო! – გაისმა რამდენიმეჯერ ტელეფონში.

–ხო გისმენთ! –უპასუხა ნოდარმა.

–ნოდარ, შვილო შენა ხარ?

–მამა! –დაიძახა ნოდარმა და ეს ნათქვამი მამისადმი მიმართვა კი არა, უმისამართოდ სიხარულის ამოძახილი იყო. მონატრებული ხმის გაგონებით გამოწვეული. შემდეგ დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით დააყოლა. –ცოცხალი ხარ მამა?

–როგორ ხარ შვილო? –გაისმა ყურმილში, მაგრამ ნოდარს ურუანტელმა დაუარა და სიხარულისგან ისე დაიბნა ხმას ვეღარ იღებდა. თვალებში ცრემლი მოაწვა.

–ნოდარ, არ მისმენ? –განაგრძობდა მამა. –შვილო, როგორ ხარ? ალო...ნოდარი ხარ?!

ნოდარმა ძალა მოიკრიბა თითქმის ნამტირალევი ხმით უთხრა: – ხო მამა. მე ვარ.

–როგორა ხარ შვილო, როგორ? ხომ კარგადა ხარ? რა გჭირს ხმას რატომ არ იღებ?

ნოდარი ცოტა დამშვიდდა და ლაპარაკი გააგრძელა. –კარგად ვარ მამა. შენ როგორა ხარ, რატომ აქამდე არ რეკავდი?

–კარგად ვარ შვილო, არამიშავს. სამუშაოს ვერ ეშოულობდი და ვერ ვრეკავდი. ახლა ორი თვეა ვიშოვე სამუშაო. მართალია ხელფასი ცოტაა, მაგრამ არაუშავს მალე გამეზრდება. ხომ არაფერი გიჭირს შვილო.? ფული რომ გიჭირს კი ვიცი, მაგრამ ჯანმრთელობის მხრივ როგორ ხარ, ან სხვა რამე ხომ არ გიჭირს?

–არა მამა, არაფერი მიჭირს, არც ფული, არც ჯანმრთელობა. კარგად ვარ. მხოლოდ შენ მაკლიხარ. რატომ წახვედი? მე ფულს ეშოულობ საკმარისს, აქ რომ იყო, უფრო მეტს ვიშოვოდით. ისევ ისე კი არ არის, გამოსწორდა მდგომარეობა. –იცრუა ნოდარმა. – სამუშაოც გამოჩნდა და წესრიგიც არის. ისეთი საშინელება აღარაა, შენს წასვლამდე რომ იყო. რომ დაბრუნდე ჯობია.

–ღმერთმა ქნას მართლა ასე იყოს, მაგრამ არა მჯერა. მთავრობა არ შეცვლილა და მაგათ ხელში რა გამოსწორდება? მისმინე კახაბერი როგორ არის, არ ჩამოდის ხოლმე შენთან?

–კარგად არის. აქ ვერ ჩამოდის მაგრამ მირეკავს.

–მამიდაშენი? როგორ არის. ნახულობ? ძალიან ხომ არ დაბერდა?

–ნორმალურად არის. თავისი კობა ფულს უგზავნის რუსეთიდან და... იმასაც მარტოობა აწუხებს მხოლოდ.

–უბანში მეზობლები ხომ კარგად არიან? ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

– არ მამა, ყველანი ჩვეულებრივად არიან.

–მისმინე შვილო, ფულს გიგზავნი. ბევრი არ არის, 400 დოლარია, მაგრამ არაუშავს ცოტა ხანს იმყოფინე და მერე სხვას გამოგიგზავნი.

–არ მინდა, მამა. ხომ გითხარი არაფერი მიჭირს, ფულს ეშოულობ. იქნებ შენ უფრო გჭირდება, შენ გქონდეს. –უთხრა ნოდარმა, თუმცა მაინც გაუხარდა.

–არა შვილო, მე მაქვს საკმარისად. შენ გჭირდება აუცილებლად. შენ რომ გექნება მე აქ მშვიდად ვიქნები. თუ მართლა შოულობ ფულს კარგია, მაგრამ არც ჩემი გამოგზავნილი იქნება ზედმეტი. ცოტა შეეაგროვოთ და... შვილო შეარჩიე ვინმე? დრო გაქვს უკეე, თუ დროზე არ იფიქრებ წლები უცებ გავა, ვერც კი შეამჩნევ ისე გაიფრენს და მერე გვიან იქნება. შენ შენი ვალი უნდა მოიხადო ოჯახის, ღმერთისა და ერის წინაშე. ოჯახი უნდა აღადგინო, აახმაურო ბავშვებით. ხომ ხედავ ქართველები ეცოტავდებით, ერი ნადგურდება... ეხლა კოდი დაიწერე, აბა მზად გაქვს კალამი?

—ჰო, კარგი, მადლობელი ვარ, მაგრამ თავს ნუ მოიკლავ, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. თუ შენ არ მეყოლები კარგად, ფული არაფერში მჭირდება. —უთხრა ნოდარმა და ციფრები ჩაიწერა.

—ჰო ნუ გეშინია, მე კარგად ვიქნები. შენ თვითონ გაუფრთხილდი თავს. უმთავრესი შენი კარგად ყოფნაა. შენ მომავალი ხარ. შენ უნდა გამრავლდე. აბა მოვრჩეთ, კარგად იყავი. მომიკითხე ყველა ჩვენიანი, ყველა ჩვენი კეთილის მოსურნე. აქამდე მაპატიე და ამის შემდეგ ხშირად დაგირეკავ.

—ჰო კარგი მამა. კარგად იყავი. ნოდარმა კავშირის გათიშვის შემდეგ დადო ყურმილი და მომღიმარი სახითვე შებრუნდა ტახტისკენ. განწყობა ერთბაშად გამოუკეთდა. მთელი საღამო კმაყოფილი სახით დადიოდა. საღამოს ისე დაიძინა, რომ აღარც გახსენებია მოყინული ატმები.

მეორე დღეს ნოდარმა ფული გამოიტანა ბანკიდან. პირველ რიგში ვალები მოიცილა. მერე ბაზარში სურსათ-სანოვაგე შეიძინა. საღამოს კი უბანში ტრადიციული ჭიაკოკონობა გაიმართა. პატარა ბიჭებს სპეციალურად, მინდვრიდან, მსხვილი კაჭახიანი ბალახბულახი მოეტანათ და დიდი კოცონი დაენთოთ. ზოგმა ეზოში მოაგროვა ხეხილის გამხმარი ტოტები და ის იკმარა დასანთებად. ერთმა ავტომანქანის საბურავს მოუკიდა ცეცხლი. ხტებოდნენ ბავშვები ცეცხლზე და გაჰკიოდნენ „კუდიანო არ შემიძვრეო“. ამ სიტყვებს ზოგი დიდიც ამბობდა გადახტომისას, ზოგი კი ალბათ უაზრობად მიიჩნევდა ამ სიტყვების თქმას და უსიტყვოდ ხტებოდა. თუმცა დიდებიდან არც ისე ბევრს გასჩენია სურვილი. შემდეგ კი ჭიაკოკონას, სუფრა მოჰყვა, ეს ამ უბნის ტრადიცია იყო და იშვიათად არღვევდნენ. გაშლიდნენ სუფრას მთვარის შუქზე და გვიანობამდე ქეიფობდნენ.

გავიდა ერთი კვირა. ხალხმა აღდგომა კარგად თუ ცუდად გადაიარა. ხეხილს უკვე ეტყობოდა რა დაზიანდა სიცივისგან და რა გადარჩა. ატამი მთლიანად განადგურდა. ზოგიერთი ხეხილი, მაგალითად ვაშლი, ბალი გადარჩა. ვაზი მართალია დაზიანდა, მაგრამ ხალხს იმედი მაინც ჰქონდა, რომ ახალ კვირტებს ამოიყრიდა და ცოტას მაინც მოკრეფდნენ. დათესილი ბოსტნეული კი საერთოდ არ დაზიანებულა.

ნოდარს ატმის მოსაყლის იმედი აღარ ჰქონდა. ყურძენსაც იმდენს თუ დაკრეფდა რომ თვითონ ჰქონოდა სახლში ღვინო. ასე რომ მოსაყლიდან არაფერს ელოდა.

დილით გვიან გაიღვიძა. ღამით ისეთი ქარი იყო, ათასი რამ ბრახუნობდა და ამ ხმაურით შეწუხებულს მხოლოდ შუადამე გადასულზე ჩაეძინა. ქუჩაში გამოსულმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ქეთინოს სახლის წინ რამდენიმე მეზობელი შენიშნა, რომლებიც ცოტა უცნაურად და ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ. ქუსის კარიც ღია იყო და აშკარად რაღაც მოხდა. ნოდარი მაშინვე მათკენ წაეიდა. მიახლოებისას ეზოში გიაც შენიშნა დედასთან ერთად.

—ხომ არაფერი მოხდა? —ჰკითხა მისულმა ნოდარმა გარეთ მყოფ მეზობლებს.

—რაღა რა მოხდა, ამ დამპალ ქვეყანასა და ხალხში, კარგი რა მოხდებოდა? ეს საცოდავები ამ ერთი ძროხით სულდგმულობდნენ და

ისიც მოპარეს. უნდა დაიჭირო და ადგილზევე აკუწო ვინც ეს გააკეთა. –უპასუხა ერთ-ერთმა.

–რა? ძროხა მოიპარეს? –თქვა ნოდარმა და ეზოში შევიდა. იქ გია, მისი დედა, ქეთინო და კიდევ ორი მეზობელი ქალიც დახვდა.

–რაო, რა მოხდა, როგორ მოიპარეს?

გიამ და ქალებმა ვერც კი გაიგეს შეკითხვა, ისე იყვნენ ლაპარაკში გართულები, ქეთინო კი ცოტა მოშორებით იდგა, ვაშლის ხეზე მიყუდებული, თვალცრემლიანი და თავჩაღუნული მიშტერებოდა სადღაც მიწისკენ ერთ ადგილს.

ნოდარი ქეთინოს მიუახლოვდა და ჰკითხა: –როგორ მოიპარეს ვერ გაიგეთ? ალბათ ღამე არა?

–ჰო ღამე მოიპარეს. –უპასუხა ქეთინომ ნამტირალავი, ჩვეულებრივზე ცოტა მაღალი, გამორჩეული ხმით, მისი სიმორცხვე და სინაზე სადღაც გამქრალიყო. ამ წუთებში ის თითქოს მის თავს არ ეკუთვნოდა, თითქოს სულ სხვა ადამიანი იყო, უხეში ქალივით მიყუდებულიყო ხეზე და უაზროდ იხედებოდა აქეთ-იქით. თუმცა მის ხმაში მაინც იგრძნობოდა მისეული ქალური სინაზე –წუხელ ხომ ქარი იყო, ყველაფერი ხმაურობდა და როგორ გაიყვანეს ვერ გავიგე. –ცოტა დაყოვნების შემდეგ გააგრძელა –ანდა რომ გამეგო, რას ვიზამდი? ხომ ვერ მოვერეოდი? –მცირე შეყოვნების შემდეგ კვლავ გააგრძელა –არ ვიცი ახლა რა მეშველება, არ ვიცი... ან მე რით ვიცხოვრო, ან ავადმყოფი მშობლები როგორ შევინახო? ან რა ვიცი გადაიტანენ კი ამ ამბავს? ეს რომ გაიგეს ინერვიულეს, ორივეს შეტევა მისცათ და წამლები დავალევინე. –ამჯერად უკვე ძალიან დაბალი ხმით, თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა ისე თქვა.

–ნუ გეშინია. იქნებ იპოვონ, მილიციაში განაცხადეთ? –დამშვიდება სცადა ახლად შემოსულმა მეზობელმა ქალმა.

–კი, გააგებინეს, მაგრამ აქ ჯერ არავინ მოსულა.

–დიდი ხანია გააგებინეს?

–ხო, დილით ადრე. უკვე სამი საათი გავიდა.

–მერე რატო არ მოვიდნენ?

–მაგათი ამბავი არ იცი? –საუბარში ჩაერთო გიაც. –უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას რომ ფეხებზე ჰკიდიათ, უარეს შემთხვევაში კი, შეიძლება თვითონაც წილში არიან, ან იქნებ თვითონაც მოიპარეს, ვინ იცის.

–ჰო, შეიძლება. მაგათ რა დაეფიცებათ. ეგენი ხომ ძალაუფლებით დაცული ქურდები არიან. კანონიერი ქურდები მაგათ უნდა ერქვათ. კანონის ძალით აშინებენ ხალხს და ატერორებენ.

–ამ ცხოვრების შემყურე პატიოსანი კაცი აქ გაძლებს? მე პირადად თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ გავიქცე სადმე. უფსკრულისკენ მივექანებით, თუ უკვე იქ არა ვართ. –თქვა გიამ.

–მე ხომ მაგაზე ვერც ვიფიქრებ. მშობლებს ამ მდგომარეობაში როგორ დავტოვებ. მშობლებიც რომ არა მაინც ვერ წავალ, რადგან გოგო ვარ.

–ნოდარმა სცადა ქეთინო დაემშვიდებინა. –ნუ გეშინია, ჩვენ მოგეხმარებით. მე და გია წავალთ და მოვიძებნით.

–ჰო აბა რას ვიზავთ. ვნახოთ ვინც არიან ამ საქმეში, ნაცნობებიც ჩავრიოთ და იქნებ რამე გამოვიდეს. –თქვა გიამ.

– ჯერ ასე, ნახევარი საათი მოვიცადოთ, იქნებ მილიცია მოვიდეს. თუ არ მოვა, ესეიგი საერთოდ მომსვლელნი არ არიან და წავიდეთ.

–თუნდაც მოვიდნენ რა უნდა გააკეთონ? ჩაიწერენ რაღაცას ფურცელზე და იმასაც რამდენიმე დღეში გადააგდებენ. მაგათი დაცდა ჩვენ არაფერს მოგვიტანს.

–კარგი, წავედით იქნებ მართლა რამე ვუშველოთ ამ გოგოს.

ბიჭებმა ჯერ თავისი უბნიდან დაიწყეს გამოკითხვა. კითხულობდნენ ნაცნობებში თუ ვინ შეიძლებოდა ამ საქმეში დახმარებოდათ, ბოლოს მიაგნეს ერთ ნაცნობს, რომელმაც დააკვალიანა. მიასწავლა ერთი „აეტორიტეტი" სახელად ვეფხო, რომელიც ჩლიქოსნებს იცნობდა და შეიძლება დახმარებოდა. ბიჭები წავიდნენ დასახელებულ პიროვნებასთან მინიშნებულ მისამართზე. სახლის პოვნა არ გაჭირვებიათ,მალე იპოვნეს. სახლი ჩვეულლებრივი საშუალო ზომის და ტრადიციულად დიდ აივნიანი იყო. ეზოს კარებიც რკინისები იყო. გამორჩეული არც სახლი იყო და არც ეზო. ქუჩის კართან მიახლოებისთანავე გიამ დაუძახა. ეზოში ასაკოვანმა ქალმა გამოიხედა.

–ბატონო!

–ვეფხო გვინდოდა! აქ ცხოვრობს? –ჰკითხა გიამ.

–აქ ცხოვრობს, მაგრამ სახლში არ არის. თქვენ ვინ ბრძანდებით? –ჰკითხა მიახლოვების შემდეგ ქალმა.

– ჩვენ ქეემო უბნელები ვართ, რაღაც საქმე გვაქვს, სად შეიძლება ენახოთ?

ქალი ისე დაკვირვებით ათვალიერებდა ბიჭებს, თითქოს გასაყიდი საქონელი ყოფილიყოს, თან ლაპარაკს ისე წელავდა თითქოს დროის გაყვანას ცდილობსო.

–რომელი ქვეეით უბნელები? სამსახურის საქმეზე ხართ?

– არა, რა სამსახური. სად არის სამსახური, ორივე უმუშევრები ვართ. –თქვა ნოდარმა.

–ვეფხო მუშაობს? სად მუშაობს? – ჰკითხა გიამ –იქნებ სამსახურშია.

–არა, არა ჯერ არ დაუწყია. შეიძლება აქ ვინმე მეზობელთან იყოს. აქ ვის იცნობთ, არავის არ იცნობთ?

–როგორ არა, თითქმის ყველას ვიცნობთ. –თქვა ნოდარმა. –მაგრამ თქვენ თუ არ გვითხარით სად არის ჩვენ ხომ არ დავიელით კარდაკარ.

–არა, ეიფიქრე იქნებ თქვენ იცით ვისთან ამხანაგობს და იმასთან გენახათ.

–არა, ჩვენ ასე ახლოს არ ვართ, რომ მაგის მეგობრებს ვიცნობდეთ. რაღაც პატარა საქმე გვაქვს ვეტყვით და წავალთ. დიდხანს არ შეგაწუხებთ. –უთხრა ნოდარმა.

–აბა პატარა ბიჭს ეკითხავ იქნებ იცის.

ქალი უკან შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაიძახა: –ზურა! ზურიკო!

სახლიდან რვა-ცხრა წლის ბიჭი გამოვიდა.

– წადი, შვილო, ვეფხოს დაუძახე – ბავშვი სირბილით წავიდა, არც უკითხავს არაფერი. – აბა, კაკოსთან წადი, იქნებ იქ იყოს. –მიაძახა ქალმა გაქცეულ ბავშვს.

ქალი სახლში შევიდა. ბიჭები ისევ ქუჩაში იცდიდნენ. მალე პატარა ბიჭიც დაბრუნდა და თქვა მოდისო. რამდენიმე წუთში ვეფხოც გამოჩნდა. ნოდარი და გია იცნობდნენ ვეფხოს, მაგრამ შორიდან. მხოლოდ რამდენიმეჯერ მოხვედრილან ერთად. ამიტომ წაროდგენა არ ჰქონდათ რას საქმიანობდა და საერთოდ რა კაცი იყო.

–გამარჯობათ. თქვენ მკითხულობთ?

–ჰო, საქმე გვაქვს.

–შემოდით, ეზოში შევიდეთ. –ვეფხო ეზოში შეუძღვათ. დიდი თუთის ქვეშ პატარა მაგიდა და ორი გრძელი სკამი იდგა. ვეფხომ ამ სკამებზე მიუთითა დასხედითო და ბიჭებიც ჩამოსხდნენ.

–აბა გისმენთ, რამ შეგაწუხათ? –თქვა ვეფხომ.

–შეწუხება მართლაც რომ ზუსტად არის ნათქვამი. –თქვა ნოდარმა. –გაჭირვებამ შეგვაწუხა. გასაჭირი კი ასეთია. ერთ ჩვენს მეზობელს ძროხა მოპარეს, ეს ძროხა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. ავადმყოფი ცოლ-ქმარია, შრომის უუნარო. ანა მასწავლებელი გეცოდინება, ისტორიას ასწავლიდა სკოლაში. ერთი გოგო ჰყავთ მარტო. უძროხოდ დაიღუპებიან. დავეხმაროთ რამე ვუშველოთ და ძროხა დავუბრუნოთ. შენი დახმარება გვინდა, იქნებ რამე მოგვიხერხო.

–ვერ გაიგო როგორ მოპარეს?

–არა, წუხელ ქარი რომ იყო ეტყობა ვერ გაიგო. თან გოგოა და იქნებ გაიგო კიდეც, მაგრამ შეეშინდა და ვერ გამოვიდა.

–ცუდად ყოფილა საქმე. –თქვა ვეფხომ. –არაფერი თუ არა აქვთ „ვაზვრატში“ რა უნდა გადაიხადონ.

–რა უნდა გადაიხადონ?

–ეხლა ასეთი დროა ძმაო, ვინ ვის რას პარავს ვერ გაიგებ. ერთი კვირის წინ ჩემთან ჩემი ძმაკაცი იყო მანქანით. სულ ხუთი წუთი იდგა მანქანა და აკუმულატორი და მაგნიტოფონი ამოაცალეს. აბა, მე რომ მაგას გამიბედავენ, რა ხალხი იქნება? ეხლა ყველა რაღარცას ჩალიჩობს. მარტო ამ უბანში, ამ ერთი თვის მანძილზე სამს მოპარეს საქონელი. ჩემს მეზობელს ოთხი პატარა ბავშვი ჰყავს, ძროხის იმედზე იყვნენ და მოპარეს, მაგრამ ვერაფრით დავეხმარე. ეხლა მე სხვანაირად არ გამიგოთ. მე შეეცდები ყველანაირად, რომ ვიპოვო, მაგრამ თუ ვიპოვე ისინი ‘ვაზვრატში“ ხო მოითხოვენ ფულს. ისე ვინ რას მოგცემს? მე არაფერი არ მინდა, ძმაო, ჩემზე არ იფიქროთ, მაგრამ იმათ ხო უნდათ? თუ არაფერი არა აქვთ მაშინ ვინ დაუბრუნებთ? თუ იციან, რომ არაფერი არა აქვთ შეიძლება უკვე გაყიდეს კიდეც.

–იმათ არაფერი არა აქვთ, მაგრამ ჩვენ შევაგროვებთ უბანში. –თქვა ნოდარმა.

–მაშინ ჯერ შეაგროვეთ და მერე მოდით ძმაო, მე რომ ვიარო და მართლა ვიპოვო, მერე თავი ხომ არ უნდა შეეირცხვინო.

—ფული არის. უბანში ნათქვამი გვაქვს უკვე. ქვეყანას ხომ არ შეეყრით? ოთხმა კაცმა ვიცით და ჩვენ დავდებთ ფულს. მერე პატრონი ნელ-ნელა დაგვიბრუნებს. —თქვა გიამ.

—კარგი მაშინ მე დავტრიალდები დღეს და ხვალ საღამოს ამოდით და მნახეთ. თუ „ჩლიქოსნებს" ჰყავთ წაყვანილი აუცილებლლად გავარკვევ და თუ სხვები არიან, მაშინ მე ვერაფერს გიშველით.

—კარგი, წავედით და ხვალ მოვალთ.

ბიჭები ადგნენ, გამოემშვიდობნენ ვეფხოს და ქუჩაში გამოვიდნენ.

—ეხლა რა ექნათ? კიდევ გავაგრძელოთ ძებნა თუ სახლში წავიდეთ? —თქვა გიამ.

—რა ვიცი, კაცმა თქვა თუ ისეთმა ხალხმა წაიყვანა, რომ დაბრუნება შეიძლება დავაბრუნებო და სხვა რა შეგვიძლია? ეჭვიც რომ გვქონდეს ვინმესე სახლს ხომ ვერ გაუსხრეკთ. შენც კარგი რამ მოიფიქრე, რომ უთხარი ფული უკვე გვაქვსო, ამის გამო უკან აღარ დაიხევს. ახლა მთავარია ფული მართლა ვიშოვოთ —თქვა ნოდარმა.

—რა შოვნა გვინდა, 100 ლარი მე მაქვს და განა რამდენს მოითხოვენ. ჩვენი ძროხა ჩვენ თვითონ ხომ არ უნდა ვიყიდოთ ხელახლა? თუ კი ძროხას დააბრუნებენ, მერე ნელ-ნელა დამიბრუნებენ, ან სულაც რძეს და მაწონს წამოვიღებ, მაინც ხომ ვყიდულობ.

—ცოტა ფული მეც მაქვს და თუ დაჭირდა დავამატებ.

ქეთინოს სახლს რომ მიუახლოვდნე ეზოში მეზობლები აღარ იყვნენ. ქეთინო ისევ თვალცრემლიანი გამოვიდა.

—ქეთინო, ისევ ტირი? რა იყო გოგო, ამაზე მეტიც დამართვიათ, მაგრამ თავი არავის მოუკლავს. შენ რა მოგივიდა? ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება. ბოლოსდაბოლოს უძროხოდაც ცხოვრობს ხალხი. ყველას ძროხა ხომ არ ჰყავს? —უთხრა გიამ.

—ვნახეთ კაცი, რომელსაც შეუძლია თქვენი ძროხის მიგნება. —თქვა ნოდარმა. თუ იპოვის, ცოტა ფული დასჭირდება. ფულსაც ჩვენ მივცემთ და მერე ნელ-ნელა დაგვიბრუნებ. მაწონს წავიღებთ ნელ-ნელა. ასე რომ შანსი არის ძროხის დაბრუნების. ამაზე ნულარ ნერვიულობ. თუ ვერ დავიბრუნებთ, ნუ გეშინია, სხვა რამე გამოჩნდება. ან სამუშაოს გიშოვით.

—ეჰ, რა სამუშაო უნდა ვიშოვო? აქამდეც ბევრს ვცდილობდი სამსახურის შოვნას, მაგრამ არაფერი გამოჩნდა. —თქვა ქეთინომ და ცრემლები უფრო მოეძალა. —ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვარ ოღონდ რამე გამოჩნდეს. ამათი წამლების ფული მაინც ვიშოვო.

—ნუ ტირი გოგო, რა მოხდა, სხვებიც ხომ ასე არიან. დაგეხმარებით, მარტო არ დაგტოვებთ. —თქვა გიამ.

—თქვენი დიდი მადლობელი ვარ. რაც დამეხმარეთ ესეც ბევრია. ამის გამო ცოტა შვება მაინც ვიგრძენი. ქვეყანა რომ ასე არ დანგრეულიყო, იმდენი ფული ჰქონდათ ჩემს მშობლებს სალაროში, სიბერემდე უზრუნველად იქნებოდნენ. პენსიაც ხომ ნორმალური იყო. ეხლა კი დაანგრიეს, დაიტაცეს ყველაფერი. არც პენსია და არც არაფერი დაგვიტოვეს. რვა ლარი პენსიით ხომ ერთ კვირასაც ვერ იარსებებ. 12000 მანეთი გვქონდა სალაროში. მთელი ცხოვრება

აგროვებდნენ ჩემი მშობლები. ჩემთვის აგროვებდნენ, თვითონ იკლებდნენ. ამბობდნენ ჩვენი ქეთინო, რომ ისწავლის ფული ხომ უნდა. გავათხოვებთ, ქორწილს გადავუხდით. ქორწილსაც ხომ ფული უნდაო. 12000 მანეთი მართლაც გვეყოფოდა ყველაფერში. ეხლა კი რა... მიითვისეს ის ფული და ქვეყანა მაინც მოაწესრიგონ. ერთი ძროხა გვყავდა, ოჯახის მარჩენალი და ისეთი ქვეყანა შექმნეს ისიც დაგვაკარგვინეს. ახლა რაღა ვქნა თავი მოვიკლა? მშობლებს რა ვუყო? –აგრძელებდა საუბარს ტირილით ქეთინო.

–კარგი, ნუ ტირი. თავის მოსაკლავი არაფერი გაქვს. ყველაფერს ეშველება. –დაამშვიდა ნოდარმა –მარტო შენ კი არ ხარ, დღეს გავიგეთ იმდენი ძროხები მოუპარავთ რომ... თითქმის ყველას ერთადერთი მარჩენალი ჰყავდა.

–სხვებსაც რომ მოპარეს ეს არ მამშვიდებს პირიქით უარესია. ესეიგი ქვეყანა კიდევ დიდხანს არ გამოსწორდება.

–კარგი ჩვენ ეხლა წავალთ და თუ რამე დაგჭირდეს დაგვიძახე. –თქვა გიამ. –ხვალ, რომ ვნახავთ იმ კაცს, მაშინვე გაგაგებინებთ პასუხს. ხომ გითხარი, დაბრუნების შანსი არსებობს და ნუ ნერვიულობ. იქნებ ყველაფერი გამოსწორდეს.

ბიჭები გამოემშვიდობნენ და სახლში წავიდნენ.

მეორე დღეს, შუადღეგადასულზე ბაზრიდან მისვლისთანავე გიამ ნოდარს დაუძახა. ნოდარი სახლიდან გამოვიდა.

–რა ვქნათ, არ წავიდეთ ვეფხოსთან?

–კი წავიდეთ, იქნებ რამე ეშველოს, ძალიან მეცოდება საწყალი, სასოწარკვეთილია.

–ჰო, რა თქმა უნდა, მეც მეცოდება. ნამდვილად არ არის ასეთი ცხოვრების ღირსი.

–მარტო ის რამხელა უბედურებაა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი ცოდნით ჩააბარა და მშობლების ავადმყოფობის გამო სწავლას თავი დაანება.

–აბა, ქეთინოს ნაირები სწავლას თავს ანებებენ და ზოგიერთი ვიგანდარები კი ფულით ამთავრებენ. არა ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი.

–მანქანით წავიდეთ?

–ჰო, ბაზარში ვიყავი, საქონელი მივიტანე და ბარემ ამით წავიდეთ.

ნოდარი ჩაჯდა მანქნაში. გიამ მანქანა ადგილიდან დაძრა.

–რამდენი წლისაა ეს მანქანა? შენ უფრო წლოვანი ხარ თუ ეს მანქანა?

–თითქმის ტოლები ვართ. ერთ წელშია განსხავება

–ასაკთან შედარებით მშვენივრად დადის. ჩემი უფრო დაძველდა. ეიგულები ჩვენს დანგრეულ გზებს კარგად უძლებს. –თქვა ნოდარმა.

–შენ ფული თქვი თორემ, რა, მერსედესი ნაკლებად გაუძლებს?

–ფული რომ გვქონდეს ოცდაორი წლის ეიგულით ხომ არ ვიელიდით.

გიამ ვეფხოს სახლის წინ მიაყენა მანქანა და დაასიგნალა. ვეფხოც გამოვიდა სახლიდან. ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ და მიესალმნენ.

—რა ქენი, გაარკვიე რამე?

—ვერა ძმაო, ვერაფერი ვერ გავარკვიე. მთელ ქალაქში კი არა, მთელ რაიონში შემოვიარე "ჩლიქოსნები" და მაგათი წაყვანილი არ არის ძმაო. თავს დავდებ, რომ მაგათი წაყვანილი ნაღდად არ არის. ეხლა მითხრეს სხვა რაიონებშიც გავიკითხავთო. ეგენი თვითონ გაიკითხავენ. მაგათ აქვთ კავშირები ყველგან.

—სხვა რაიონიდან აქ ვინ მოვიდოდა? —თქვა გიამ —თუ მაინც მოვიდოდა აქაურის გარეშე ვერ მოიპარავდა და აქაურმა უნდა იცოდეს.

—ეე, ძმაო, ეხლა ყველაფერი ხდება. ეგრე კი არ არის. შეიძლება საერთოდაც ვიღაც ახლობლებმა მოიპარეს და დაკლეს, რას გაიგებ.

—ესეიგი არაფერი არ ეშველება ამ საქმეს?

—ხომ გითხარით თუ გამოჩნდა გამაგებინებენ. რა ვქნა, ძმაო, რაც შემეძლო გავაკეთე.

—ხო, კარგი, მადლობ. —უთხრა გიამ და ბიჭები მანქანაში ჩასხდნენ.

—ეხლა რა ვქნათ. ასეთი პასუხით ქეთინოსთან როგორ მივიდეთ? ცოტა იმედი ჩვუსახეთ და ისიც მოვუსპოთ? —თქვა გიამ და მანქანა დაძრა.

—რა ვიცი, რა ვქნათ. მართლა ძალიან ძნელია ამის თქმა, მაგრამ სულ რომ არ მივიდეთ ეს ხომ უარესია —თქვა ნოდარმა და მცირე დაყოვნების შემდეგ გააგრძელა —ჩვენც ისე ვუთხრათ როგორც ვეფხომ გვითხრა, ვითომდა იმედი დაგვიტოვა, გაიკითხავენ და გამაგებინებენო. ეს ხომ ნაკლებად მტკივნეული იქნება.

—მეტი რა გ'ხა გვაქვს. ასე უნდა ვუთხრათ, მაგრამ დაიჯერებს კი?

...დაიწყო ვარდობისთვე. ვარდებიც აყვავდა, ოღონდ სხვა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ერთი კვირით ადრე. გაზაფხულის ყინვამ მასზე ვერ იმოქმედა. თუმცაღა ვარდების განწყობა ხალხს ნაკლებად ჰქონდა. მხოლოდ ბავშვები ამახვილებდნენ მასზე ყურადღებას. ზოგიერთს კიდევ შემორჩათ ეზოში ბებერი ვარდები, თუმცა მოვლილს იშვიათად ნახავდით. ათიოდე წლის წინ ვარდებს თითქმის ყველა ეზოში ნახავდით და თანაც კარგად მოვლილებს. ბევრმა ქუჩაშიც დარგო და ალამაზებდნენ აყვავებული ვარდები ქუჩას და ეზოყურეს. ეხლა კი ვარდის დარგვით და მოვლით თავს არავინ იწუხებს.

ნოდარსაც ორიოდე ძირი ბებერი ვარდი შემორჩენოდა ეზოში. მის ვარდებსაც გაუსხვლელობის გამო მაღალი და გაბარდული სახე ჰქონდა, მაგრამ ამწვანებულ ფოთლებში კოკრები და რამდენიმე აფურჩქნული ვარდის სინაზე და სურნელი გამოიფრქვევოდა. ამ ვარდების შემყურე ნოდარმა გაიფიქრა: ვარდი ისევ ძველებურად ჰყვავის, თუმცა ძველებურად აღარ ფასობს. რატომ აღარ ფასობს ძველებურად? იმიტომ რომ დამფასებლები არ უვარგა? რადგანაც დამფასებლებს ამისათვის არ სცალიათ? ნუთუ ყოველივე რაც ღირებულია დამფასებლებზეა დამოკიდებული, შეამჩნევს და მოიცლის თუ არა მისთვის?

—ნოდარი მიუახლოვდა და ერთი ვარდი მოწყვიტა.

—მაინც როგორ უნდა ფასობდეს ბუნების და კაცობრიობის უბრწყინვალესი ქმნილებანი. იმით რომ შენიშნო, აღიარო და არ შეეხო,

თუ ისე რომ მოიპოვო და მოიხმარო? ბრწყინვალება თავისთავადია, შემჩნევა–აღიარებაზეა დამოკიდებული, თუ მის მესაკუთრესა და ეგოისტურ მესაკუთრულ გრძნობაზე?

–ნოდარი! გაისმა ამ დროს ქალის ხმა ქუჩიდან. ნოდარი მოწყვეტილი ვარდით ხელში ქუჩისკენ წავიდა. კართან მოახლოვებისას მეორედ მოესმა ძახილი. ნოდარმა კარი გამოაღო და მის წინ ქეთინო იდგა. ცოტა გაოცებული დარჩა მის დანახვაზე, რადგან ქეთინოს მისთვის არასდროს დაუძახია. იგი მასზე რამდენიმე წლით პატარა იყო და ბავშვობისას ქუჩაშიც კი არ უთამაშიათ ერთად.

–ნოდარ, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. უთხრა მისალმების შემდეგ.

–რა გაგჭირვებია?

–ალუჩა მოვკრიფე ეზოში და თუ შეიძლება იქნებ დილით ბაზარში გამატანინო მანქანით, რომ გავყიდი ბენზინის ჩაგისხავ. ეხლა არაფერი მაქვს... ძალიან მეხათრება მაგრამ, შენს და გიას მეტი აბა ვის ვთხოვო? თუ არ გცალია გიას ვეტყვი.

–კი, ქეთინო. წავიდეთ. მაგაზე უარს როგორ გეტყვი.

–კარგი მაშინ, წავალ ცოტას კიდე მოვკრეფ. თქვა ქეთინომ და შებრუნდა.

–ქეთინო თუ გინდა მოგეხმარები დაკრეფაში.

–არა, მადლობ. ცოტაღა დარჩა და თვითონ დაეკრეფ. თქვა მან და თან წავიდა სახლისკენ.

–ქეთინო მოიცადე. –უთხრა ნოდარიმ ისეთი ტონით, თითქოს რაღაც გააახსენდაო და სწრაფად წავიდა მისკენ.

–აი, ეს ვარდი შენ. გაზაფხულსა და ვარდობის თვეს გილოცავ, ნოდარმა ვარდი გაუწოდა. –მეე? –თქვა ქეთინომ ცოტა გაოცებით და ნელა, მორცხვად გამოართვა.

– აბა ვის. შენ ყველაზე მეტად იმსახურებ ამას.

–მადლობ. ღიმილით უთხრა ქეთინომ და გზა გააგრძელა. ნოდარი შემობრუნდა სახლში, ქეთინოს ღიმილით ნასიამოვნები. – რა ცოტა რამ სჭირდება ადამიანს რომ ასიამოვნო. რატომ გვენანება ან რატომ ვერ მოვიფიქრებთ ისეთ ქცევებს რომ ერთმანეთს ვასიამოვნოთ და სიცოცხლე გაეუხალისოთ? რატომ ვიჩენთ ამის მაგიერ მტრობასა და შურს? ალბათ, ქეთინოს ძროხის მოპარვის შემდეგ არც გაუღიმია. მხოლოდ ეხლა გაიღიმა და ისიც მხოლოდ ერთი პატარა ვარდის ჩუქებით.

დილით უთენია ადგა ნოდარი. სანამ გაემზადა და მანქანა გამოიტანა ქუჩაში გათენდა კიდეც. მანქანა ქეთინოს ეზოს კარის წინ გააჩერა. გადმოსვლა ვერც მოასწრო, რომ ქეთინო ქუჩაში გამოვიდა.

–წუხელ არ გეძინა, რა ადრე ამდგარხარ? უთხრა ნოდარმა.

ქეთინომ გაიღიმა და უპასუხა; –დიდიხანი არ არის რაც ავდექი. თან შებრუნდა და ორი ვედრო გამოიტანა. –სად ჩავაწყო?

–რამდენი ვედროა?

–ოთხი.

–მაშინ საბარგულში ჩავაწყოთ.

ნოდარმა ვედროები გამოართვა და საბარგულში ჩააწყო. ქეთინო კი მობრუნდა და უკვე კართან მოტანილი დარჩენილი 2 ვედროც გამოიტანა.
ბაზარში, –უფრო სწორად კი ბაზრის მიმდებარე მოედანზე, რომელსაც "ოპტავიო" ბაზაარი დაარქვეს, უკვე ბევრი ხალხი იყო. ძირითადად მარწყვი ჰქონდათ გამოტანილი და ქეთინოს ოთხი ვედროც ამ მარწყვებით სავსე ვედროებს მიუწყვეს გვერდით.
–დიდად მადლობა. უთხრა ქეთინომ. –ეხლა შეგიძლია წახვიდე. აქედან ცარიელ ვედროებს ხელითაც წამოვიღებ.
–გაყიდვაში მოხმარება არ გინდა? შენ რომ გამოუცდელი ხარ და თანაც გოგო, არ დაგჩაგრონ.
–არა, მადლობ, ამდენს ხომ ვერ შეგაწუხებ.
–რა შეწუხებაა, მაინც არაფერს ვაკეთებ. მოიცადე ჯერ არაფერი გაყიდო. გავიარ ფასს დავაზუსტებ და მოვალ. ნოდარმა შემოიარა ბაზარი, გაარკვია სხვები რას აფასებენ და დაბრუნდა.
–როგორ უნდა გაყიდო, რა ფასი გაქვს გეგმაში? ჰკითხა ნოდარმა ქეთინოს.
–რა ვიცი, კილოგრამი 50 თეთრად იქნებ გაიყიდოს, თუ არადა, რა ვიცი... ოღონდაც გაიყიდოს და...
–რას ამბობ გოგო, სხვები ლარად ყიდიან. ასე დაიფასე.
–რომ ვერ გაიყიდოს? თუ დამრჩა მერე რა მეშველება?
–ნუ გეშინია ჯერ ვეცადოთ და თუ არ მოხერხდება მაშინ დავუკლოთ.
ნოდარის დახმარებით მართლაც 2 ვედრო კილოგრამი ერთ ლარად გაყიდეს, რაზეც ქეთინოს ძალიან გაუხარდა და გამხიარულდა.
–გეტყობა გამოუცდელი ხარ. პირველად ხარ? –ჰკითხა გვერდში მდგომმა მარწყვის გამყიდველმა ქალმა, რომელიც მეულლესთან ერთად ყიდიდა მარწყვს.
–კი, პირველად ვარ.
–მაშინ ფრთხილად იყავი, თორემ გადაგაგდებენ.
–როგორ, გადამაგდებენ? ეგ რაღას ნიშნავს? –შეშფოთებით იკითხა ქეთინომ.
–როგორ, გადაგდება არ იცი? მოგატყუებენ. ათას რამეს მოიგონებენ. რომ ვედრო აგაცალონ. ამასწინათ ერთი კაცი ყიდიდა მარწყვს. 15 ვედრო ჰქონდა. მოვიდნენ ორნი და მოურიგდნე 120 ლარად. მერე ერთმა მისცა 100 ლარი და უთხრა, შემინახე 20წუთში მოვალ წავიღებო. მერე 10 წუთში მეორე მივიდა დარჩენილი 20 ლარი მისცა და წაიღო სუმთელი. ცოტახნის შემდეგ ის პირველი კაცი მოვიდა ამოიღო ჯიბიდან 20 ლარი და უთხრა; აბა სად არის ჩემი მარწყვი წავიღოო. იმ კაცმა უთხრა რას ამბობ ხო წაიღეთ უკვეო. ამან უთხრა რას ამბობ, რა წავიღე, ეხლა არ მოვედიო. როგორ არა იმ ბიჭმა წაიღო, შენთან რომ იყოო. ამან იყვირა რას ამბობ, ვინ კაცმა, მე მარტო ვარ და მარტო მოვედიო. აქ თუ სხვა ვინმე იდგა მე რა მესაქმებაო. იმდენი იჩხუბეს იმ კაცმა მარწყვის გამყიდველს თავის მიცემული 100 ლარიც წაართვა და კიდევ ის 100 ლარიც მოსთხოვა, მე ბეი მოგეცი და ერთი ამდენი უნდა დაამატოო. ყველამ იცის რომ ისინი მართლა ერთად არიან,

მაგრამ ახლები ვინც მოდიან, იმათ ატყუებენ. სხვები კი ხმას ვერ იღებენ. ეშინიათ იმათი. იმდენნაირ აფერისტობას იგონებენ, გაოცდები.

–თქვენ სადაურები ხართ? ეხლა ქმარი გამოელაპარაკა ნოდარს.

–აქაურებო ვართ.

–რა კარგია, შორიდან არ ყოფილხარ. ერთ რამეს გთხოვ, მარწყვი მაქ კიდე მოსატანი და ხო არაფერს არ აკეთებ, ამომატანინე. რაღა ტაქსს მივცე ფული, შენ მოგცემ. ახლოს არის ამ გოგოს კიდე ჩემი ცოლი დაეხმარება, არაფერი გაუჭირდება.

–კარგი, წავიდეთ. უპასუხა ნოდარმა პატარა ყოყმანის შემდეგ.

მარწყვი არც ისე ახლოს აღმოჩნდა. თანაც ჯერ კიდევ დასამთავრებელი იყო კრეფა. ამიტომ ნოდარს 1 საათზე მეტი აღგილზე მოუწია ლოდინი. როცა ბაზარში დაბრუნდნენ უკვე 2 საათ'ზე მეტი იყო გასული და ქეთინო იქ აღარ იყო. ნოდარი ჩაჯდა ისევ მანქანაში და წავიდა.

ნოდარი ნელა მიდიოდადა, თან ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას ათვალიერებდა, იქნებ ჯერ არ წასულა ქეთინოო. მოულოდნელად ბაზრის გამოსასვლელთან მანანა შენიშნა. ხელში ორი პარკი ეჭირა და გზისკენ იხედებოდა.

ტაქსს ელოდება, გაიფიქრა ნოდარმა და გაუხარდა. კარგი მომენტია გავუჩერებ, ჩაჯდება მანქანაში და... ნოდარი მოულოდნელი შეხვედრით ისე აღელდა, გაჩერებას ვეღარც გაბედავდა, რომ თვითონ მანანას არ ენიშნებინა გამიჩერეო. ნოდარმა მანქანა გააჩერა. მანანამ უკანა კარი გამოაღო, პარკები დააწყო ისევ დახურა და თვითონ წინ ჩაჯდა.

–სად წავიდეთ?

–სახლში. ჩემი სახლი ხომ იცი. გაუღიმა მანანამ. ნოდარმა დაძრა მანქანა და სახლს ისე მიუახლოვდნენ ხმა არ ამოუღია. მანანამ დაარღვია სიჩუმე.

–ნოდარ, არ გცალია რომ ვენახში ჩამიყვანო?

–ჩემი სახელი იცი?

–ხო, ვიცი. კიდევ სხვა რამეც ვიცი...

–კარგი წავიდეთ.

–ეს პარკები იყოს. გადავალ კიდე რაღაცეები მაქვს წამოსაღები ჩავაწყოთ და წავიდეთ.

მანანა გაჩერებისთანავე გადავიდა მანქანიდან, თითქმის სირბილით შევიდა ეზოში და მალევე გამოვიდა მოზრდილი ჩანთითა და წყლით სავსე 10 ლიტრიანი ბიტონით.

ისინიც ჩააწყვეს მანქანაში, მანანა ისევ წინ, ნოდარის გვერდით დაჯდა.

ნოდარს გაუკვირდა მანანას თამამი ქცევა. ისე თავისუფლად იქცეოდა, თითქოს დიდიხნის ახლობლობა აკავშირებდათ. ამან ნოდარიც ცოტა გაათამამა.

–ვენახში რა ამბავია, ამდენი რამე რისთვის მიგაქვს?

–მამაჩემს მუშები ყავს, დედა კი უფროს დასთან არის წასული და საჭმელების გაკეთება მე მომიწია.

რომ მითხარი კიდევ სხვა რამეც ვიციო, რას გულისხმობდი? მანანამ შეხედა თვალებში, გაიღიმა და უთხრა:

–ვიცი, რომ მოგწონვარ.

ასეთ პასუხს ნოდარი არ მოელოდა და ცოტა ისევ დაიბნა. ხმას ვეღარ იღებდა. მერე ისევ მანანამ დაარღვია სიჩუმე.

–არ არის მართალი?

–მართალია... მაგრამ შენ საიდან იცი?

–ამის გაგება ძნელი არ არის. რომ გამოიველი ჩემს ქუჩაზე და ჩუმად მათვალიერებ, გგონია ვერ შევნიშნე? სადაც დამინახავ ყველგან მათვალიერებ.

–კარგია.

–რა არის კარგი?

–რამდენს ვწვალობდი, მარტო მენახე რომ სიყვარული ამეხსნა და ეს ყველაფერი უცებ თავისით მოხდა. უკვე ყველაფერი იცი და ახსნა არა მჭირდება.

–სიყვარულის ახსნა მაინც ყოველთვის სასიამოვნო მოსასმენია. მით უმეტეს, თუ კარგი ბიჭი გიხსნის.

–მე როგორ ბიჭად მთვლი?

–ნუ, რა ვიცი, მე მგონი კარგი.

რომ ამბობ სასიამოვნო მოსასმენიაო, რა სხვასაც აუხსნია შენთვის სიყვარული?

–კი, მქონია ასეთი შემთხვევა.

–მერე, რა უპასუხე?

–შენ რა, უკვე ეჭვიანობ?

–არა, მაგრამ კონკურენცია არ არის სასიამოვნო.

–სიყვარულს ბრძოლა და მოპოვება უნდა. ნაჩუქარი ან ნაპოვნი არ არსებობს.

–ეგ შეიძლება მართალია, მაგრამ.. ვის უნდა ებრძოლო ან როგორ უნდა ებრძოლო? იმ კონკურენტს?

–ეგ, მე თუ გასწავლე, მაინც ნაჩუქარი გამოვა.

–აქ სად უნდა შეეუხვიოთ, ‘სუსტად არ ვიცი.

–აი, იმ ლელვთან შეუხვიე, იქვე ახლოსაა. ნოდარმა ლელვთან მიახლოებისას შეატრიალა მანქანა მითითებული მიმართულებით და მალე მუშებიც გამოჩნდნენ.

–ხომ დამელოდები? თუ გესქარება წადი. ირონიით უთხრა მანანამ. დარწმუნებულმა, რომ რამდენიც უნდა დაეხანებინა, მაინც მოუცდიდა.

–ბრძოლიდან გამოსვლას მირჩევ? ირონიითვე მიუგო ნოდარმა. მანანას არაფერი უპასუხია. გადმოვიდა მანქანიდან და გადაბარგება დაიწყო.

მანანას მამამ მოსულები რომ დაინახა, მაშინვე გასძახა მუშებს აბა, გავიდეთ პური ვჭამოთ. მუშებიც ნელ-ნელა, ზოზინით გამოვიდნენ. ამასობაში მანანამ კაკლის ხის ქვეშ, ბალახზე მუშამბა გაშალა და ზედ სუფრა გააწყო.

სუფრასთან მსხდომებმა ნოდარიც მიიწვიეს. მას ეუხერხულებოდა გადასვლა, მაგრამ მათ დაუინებულ თხოვნას დაჰყვა და ისიც სუფრას მიუჯდა.

მალე მიწაზე მსხდომებმა ტანში სიცივე იგრძნეს და ზოგი უკვე ფეხზე დგომით ან ჩაცუცქული განაგრძობდა ჯამას. სუფრის მსვლელობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ყველას ახსოვდა, რომ საქმის საკეთებლად იყვნენ და არა საქეიფოდ.

მანანას მამა და მუშები კელავ სამუშაოს დაუბრუნდნენ. მანანამ აალაგა სუფრიდან ყველაფერი, და ჩანთა ხის ტოტზე ჩამოკიდა, როგორც მამამ მიუთითა. შემდგომ, მამას კიდევ რაღაც გაესაუბრა და მანქანაში ჩაჯდა.

–წავიდეთ.

–ასე მალე? თქვა უაზროდ ნოდარმა.

–თუ მუშებთან ყოფნა გინდა, დარჩი, შენც გამოგინახავენ სამუშაოს, თუ ჩემთან საუბარი –გზაშიც მოვასწრებთ. ირონიული ღიმილით უთხრა მანანამ.

ნოდარმა მომართა ავტომანქანა და დაძრა ადგილიდან.

–კარგი კაცი ჩანს მამაშენი. თქვა ნოდარმა. –უფრო ახლოს გაცნობის საშუალება რომ მქონდეს, სიამოვნებით გავიცნობდი. თუ ჩვენ შორის ყველაფერი კარგად წავა და სიყვარულს გზა მიეცემა..

–რა, უკვე ხელის თხოვნას ხომ არ აპირებ?

–ვაპირებ ცოტა სხვა სიტყვაა. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სურვილი მაქვს, მაგრამ ამისთვის რომ სიტუაცია არ არის მომზადებული ეს ცხადია.

–შენ რა, დღეს პირველად დამელაპარაკე და უკვე ხელის თხოვნაზე ფიქრობ?

–პირველად კი დაგელაპარაკე, მაგრამ პირველად ხომ არ დაგინახე? შენზე რომ დიდიხანია ვფიქრობ შენც გცოდნია. კაცს ქალი უყვარდეს და მასთან შეუღლებაზე არ ფიქრობდეს ეს ხომ წარმოუდგენელია

–შენ მართალი ხარ, მაგრამ მე ხომ თითქმის არ გიცნობ.

–ამიტომაც ვთქვი თუ ყველაფერი კარგად წავიდა და ჩვენს სიყვარულს გზა მიეცა... თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, შეეხვდეთ თავისუფალ დროს და კარგად გავიცნობთ ერთმანეთს.

–შეეხვდეთ. წინააღმდეგი არა ვარ. –თქვა მანანამ და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა; – ეხლა ჩემთან სახლში არავინ არის. შემოდი, ყავა დალიოთ და ვისაუბროთ.

–დიდი სიამოვნებით. –დაეთანხმა ნოდარი, თუმცა გაუკვირდა მიპატიჟება. –თუ ასეა შამპანურს ვიყიდი.

–არა. ეხლა არ არის საჭირო. შემდგომში, ვნახოთ...

–რაღაც ტკბილეულს მაინც ვიყიდი, პირველად შემოვიდე ოჯახში და ცარიელი? თქვენს სახლთან ხომ არის ჯიხური?

–კი, არის. შორს წასვლა აღარ გვჭირდება.

ნოდარმა მანანას ქუჩაზე გადაუხვია მანქანა და მის მესობლად ჯიხურთან გააჩერა. ჯიხური დაკეტილი იყო, და მისი მეპატრონე მათ თვალწინ გამოვიდა ეზოდან და მესობლის სახლისკენ გაიქცა.

მანქანის გაჩერებისთანავე, ნოდარს და მანანას წივილ-კივილის ხმა მოესმათ. იქ კი, საითაც ჯიხურის მეპატრონემ მიირბინა, ხალხი იყო შეგროვილი.

–რა ამბავია? –ჩაილაპარაკა ნოდარმა.

—რა ვიცი, რაღაც უბედურებაა. —თქვა მანანამ. მანქანიდან გადმოვიდა და იქით წავიდა სწრაფი ნაბიჯით, საითაც ხალხი იყო შეგროვილი.

ნოდარიც გადმოვიდა და იქით წავიდა ნელი ნაბიჯით. წივილ-კივილის ხმაზე ხალხი მოგროვდა.,

—რა მოხდა? რა ამბავია? —კითხულობდნენ ახალი მოსულები. შიგნიდან კი უფრო, შემზარავი წივილ-კივილის ხმა გამოდიოდა.

—ეს რა უბედურება მოხდა,... ამ საწყლებს ესღა უნდოდათ. —თქვა ერთ-ერთმა, ეზოდან გამოსულმა კაცმა.

—რა არის, რა მოხდა? — რამდენიმემ ერთდროულად მიაძახა ამ კაცს. —რაღა რა მოხდა, ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს? 20 წლის ბიჭი დაიღუპა და... თანაც რა საყვარელი ბიჭი... ჭკვიანი, ზრდილობიანი... არავის არაფერს რომ არ აწყენინებდა... ყველასათვის საყვარელი ბიჭი იყო... მერე როგორი ყოჩაღი, მხიარული... რაც გინდა დაგვალებინა უარს არაფერზე გეტყოდა.

—რას ამბობ, ჯემალი დაიღუპა კაცო? რამ მოკლა? ეს როგორ მოხდა? წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

—დენმა დაარტყა... იქით ქუჩიდან გამოჰყავდა და...

—საცოდავი, მართლა კარგი ბიჭია... რა უნდოდა დენთან, ან სად არის დენი? მაგისათვის მოვიდა მაინც და მაინც? —თქვა ერთ-ერთმა ახალმოსულმა.

—ჩვენი მთავრობის ამბავი არ იცით? ათას მახეს გვიგებენ ჩვენს გასანადგურებლად. პირველი შემთხვევა ხომ არ არის... ძნელია უყურო იქით ქუჩაზე რომ ყოველ ღამე გაჩახჩახებულია, აქეთ კი სიბნელეში ვსხედვართ. ახალგაზრდა ბიჭია, ტელევიზორი უნდა, ან რაღაცა რა ვიცი... რომ ჰკითხო დენის ხალხს, დენი არ არისო... მაშ იმათთან როგორ არის? თვითონ განათებულში სხედან და ხალხი რაში ენაღვლებათ.

—მართალია, აბა რა, თვითონ სინათლეში სხედან და ჩვენ სიბნელეში. მონებივით გვქცევიან. სახლში 4 თვის ბავშვი გვყავს კაცო, ხომ იცით უდენობაში როგორი ძნელია ბავშვის მოვლა. ბავშვს მუდმივად მეთვალყურეობა სჭირდება და ლამფის შუქსე ძნელია, თანაც მთელი ღამე რომ ანთია, ისეთი საშინელი სუნი დგება ნავთისა თუ სალიარკისა, ჯანმრთელი როგორ გაიზრდება ბავშვი? ეს ოხერი დენი, თუ არ არის ყველას გამოურთოთ, თუ ციტაა და ყველას გაგვინაწილონ რიგ-რიგობით. —თქვა ერთ-ერთმა იქ მდგომმა

თანაც ეგენი ფულსაც არ იხდიან. მარტო ჩვენი ფული შედის, კვირაში რამდენიმე საათით რომ გვაძლევენ და მერე ამბობენ ფულს არ იხდიან და დენი იმიტომ არ არისო. ვინც არ იხდის კი სწორედ მას აქვს დენი.

—არ იხდის და დენი მაინც იმას აქვს, ჩვენ არა. —თქვა მესამემ. —რამდენი ახალგაზრდა ბიჭი შეეწირა ამ დენის გაყვანა-გამოყვანას. ერთი ნახეთ სადაც დენია, როგორი მართულხლართებია აბლაბუდესავით. ეშმაკიც ვერ გაარკვევს რომელი საით მიდის, დაიხოცებიან აბა რა იქნება.

ამ საუბრისას ტირილი და კივილი არ შეწყვეტილა. პირიქით, რამდენიმე წუთში უფრო ფართოდ გავრცელდა უბედურების ამბავი და

უფრო მეტი ხალხი მოდიოდა. ზოგი მათგანი სახლს შორიდანვე ტირილით უახლოვდებოდა. სახლში შესვლისას კი ახალი, უფრო ძლიერი, წივილ-კივილის ტალღა იწყებოდა.

მანანა რაც შევიდა, გარეთ აღარ გამოსულა. ეს გასაგებიც იყო, მას ხომ ახლო მეზობელი, ახალგაზრდა ბიჭი, დაეღუპა და ასე მალე ვერ გამოვიდოდა. ალბათ ისიც ტიროდა.

ნოდარს არც უფიქრია, მანანას დალოდებოდა, რადგან აზრი არ ჰქონდა, კიდეც რომ მალე გამოსულიყო, მათ შორის სასურველი საუბარი ვერ შედგებოდა. ამ ვითარებაში რამოდენიმე წუთი დააყოვნა ამ ხალხში და წავიდა.

დილით ნოდარი დავითმა გააღვიძა...

–რამდენი გძინავს, რა ამბავია. ამდენი ძილი. გათენდა არა დგები? ამდენი გეძახე და ვერ გაგაგებინე.

–ეგრე დილა ადრიანად რამ გაგაღვიძა, რა მოხდა? ჯერ ხომ წესიერად არც გათენებულა? –ნოდარი დავითის ადრიანმა სტუმრობამ თავდაპირველად შეაშფოთა, ცუდი რამე ხომ არ მოხდაო, მაგრამ მისი მომღიმარი სახისა და ხალისიანი ლაპარაკი მოწმობდა, რომ ცუდი ამბისათვის არ მოსულა.

–ადექი, წამოდი მარწყვის დაკრეფაში მომეხმარე.

–უკვე იმდენი გაამრავლე რომ მოხმარება გინდა?

–ხო, ბევრია და მარტო შენ კი არა, იქნებ ერთი-ორი ქალიც ნახო, საკრეფად რომ დადიან, ისინიც წავიყვანოთ.

ნოდარი ეზოში გავიდა. დავითი სკამზე დაჯდა და დაელოდა.

–გუშინ მთელი დღე გირეკავდი და არ მპასუხობდი. სად იყავი? ჰკითხა უკან დაბრუნებულ ნოდარს.

–ტელეფონი არ მუშაობს და როგორ გიპასუხებდი. ორი კვირაა არ მუშაობს "კაბელი" მოუპარიათ და

–ვაა, რა საკვირველია ამ „კაბელებს" როგორ იპარავენ, რომ ვერავინ ვერ იგებს? ვინ იპარავს ჩვენკენაც რამდენჯერ მოიპარეს. ეხლა ალბათ ორი თვე ვერ გააკეთებენ. მილიცია-პოლიცია არ არსებობს?

–რა პოლიციაზე ლაპარაკობ, იმათი შენობის სიახლოვეს ამოიღეს მიწის ყველა გაყვანილობა. იმის ამოღებას რამდენიმე საათი სჭირდებოდა. ნებადართულნი რომ არ ყოფილიყვნენ, ვინ გაბედავდა იმათ ცხვირწინ, იქ, იმ კაბელის მოპარვას?

–ჩემი მეზობელი მაგათი მიზეზით მოკვდა.

–როგორ, მაგათი მიზეზით?

–როგორდა ამ ქალს წამლების ფული არ ჰქონდა. მოსკოვში დაურეკა თავის ძმას და სთხოვა დახმარება. ძმამ წამლები იყიდა და ნაცნობს გამოატანა თვითმფრინავზე, წამლებიც და 200 $ ფული. მერე რეკავს თურმე ტელეფონზე, რომ გაეგებინებინა და ვინმე აეროპორტში დახვედროდა, მაგრამ რა? კაბელი მოიპარეს, ტელეფონები არ მუშაობდა. მთელი კვირა რეკავდა თურმე ეს კაცი უბანში ყველასთან, ვისი ტელეფონიც იცოდა, მაგრამ ვერაფერი შეატყობინა.

—კი მაგრამ ერთი კვირა რატომ რეკავდა? ის კაცი რა, აეროპორტში ერთი კვირა ელოდა? თუ ამდენი დრო ჰქონდა თვითონ ჩამოეტანა სოფელში..

—არა ერთი კვირა აეროპორტში კი არა თავის სახლში იყო თბილისში და თუ დარეკავდა მისამართს მისცემდა და გამოართმევდნენ. თვითონ ვერ ჩამოიტანდა, რადგან მისამართი არ იცოდა.

—მერე ერთი კვირის შემდეგ რა მოხდა? —ჰკითხა ნოდარმა.

—ერთი კვირის შემდეგ ის კაცი უკან წავიდა და წამლებიც უკან წაიღო. მერე ძმამ სხვას გამოატანა და აქ სახლში მიუტანეს, მაგრამ იქამდე თითქმის ერთი თვე გავიდა. ამ ქალს გაუუარესდა მდგომარეობა და წამლებმა ველარ უშველა.

—ხედავ რა ამბები ხდება? ერთი შეხედვით უბრალო, უხიფათო დანაშაულმა რამხელა ტრაგედია გამოიწვია.

—შენ ის მითხარი, არ არიან შენს მესობლად მკრეფავი ქალები? —თქვა დათომ.

—ქალები კი არიან, მაგრამ მარწყვის კრეფას თუ სპეციალისტი სჭირდება ეგ არ ვიცი.

—ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს სპეციალისტია თუ არა. მე ერთ ვედროში ერთ ლარს მივცემ და რამდენიც უნდა დაკრიფოს. ვინც მიჩვეული არ არის, ცოტას კრეფს და თან წელი სტკივდებათ.

—კაცები რომ იყვნენ არ შეიძლება?

—კი, თუკი დაკრეფს რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არ დადიან კაცები.

—ხო კარგი. აბა გავალ და ვეტყვი, აქ ერთი გოგოა, ძალიან უჭირს. აქამდე კი არ უვლია, მაგრამ ეხლა მე მგონი წამოვა. კიდევ ერთი იმის გვერდით ცხოვრობს, შეიძლება ისიც წამოვიდეს.

ნოდარი ქუჩაში გავიდა და გეზი ქეთინოს სახლისკენ აიღო. ქეთინო სახლში დახვდა.

—ქეთინო, — დაიწყო ნოდარმა —ერთი წინადადება მაქვს და არ ვიცი როგორ მიიღებ.

—თქვი რა გინდა. ისეთი რა უნდა მითხრა რომ გერიდება?

— ჩემი ბიძაშვილია ჩემთან მოსული. მარწყვი აქვს დასაკრეფი და მკრეფავები სჭირდება. შენ ნამდვილად არ ხარ საამისო გოგო, მაგრამ რა ვიცი... წამოსვლა ხომ არ გინდა?

—მარწყვის კრეფა? —დაფიქრებით ჩაილაპარაკა ქეთინომ. —რა ვიცი, ხომ იცი ასეთ საქმეზე არასდროს ვყოფილვარ.

—თუ არ გინდა, ნუ წამოხვალ. სამუშაო ადვილი არ არის.

—ნოდარ, ხომ იცი, მე საქმე ისე არ მაქვს, რომ დაქირავებულ მუშად მუშაობა ვიუკადრისო, და არც სიძნელე მაშინებს, მაგრამ შევძლებ თუ არა, არ ვიცი, რომ ვერ შევძლო კარგად და გამინაწყენდნენ?

—განაწყენებით არავინ გაგინაწყენდება. რამდენ ვედროსაც დაკრეფ იმდენ ლარს მოგცემენ. ეს საერთო ფასია. თუ გინდა ერთი ვედრო დაკრიფე და დაჯექი. არავინ გაგინაწყენდება.

—კარგი, თუ ასეა წამოვალ. ეხლავე წამოვიდე?

–ხო, ეხლავე. ჩემთან დაგიცდით. ვენერას მინდა ვუთხრა კიდევ, წამოვა?

–თუ გინდა მე დავუძახებ და ეკითხავ. –თქვა ქეთინომ და ღობესთან მივიდა.

–ვენერა! –გასძახა რამდენიმეჯერ ქეთინომ ღობის იქით. ვენერამაც გამოიხედა. –ბატონო!

–ვენერა მარწყვის საკრეფად გინდა წამოსვლა?

–ვისი მარწყვის საკრეფად, გოგო? შენ გინდა მოხმარება თუ? – იკითხა ვენერამ, რომელიც ნოდარის მხრიდან საერთოდ არ ჩანდა, მაგრამ ხმის ორიენტაციის მიხედვით ღობისკენ წამოვიდა.

–მუშები სჭირდებათ, მკრეფავები.

–ხოო... არა მე დღეს არა მცალია. სხვა საქმე მაქვს. მარწყვი კი არა, გოგო, რაც გითხარი გუშინ, იმ საქმეზე რა მოიფიქრე?

–არა, არა ვერ წამოვალ.

–რა მოგდის გოგო. ერთი ვედრო ბალი ათი ლარი ღირს. ორი ვედრო რომ დავკრიფოთ 20-20 ლარი შეგვხვდება, ცუდია? თანაც მთელი დღე ხომ არ უნდა კრიფო. ორ საათში დავკრეფთ და მოვალთ. მარწყვის კრეფაზე უნდა მოიკლა თავი? იცი რა ძნელია?

–არა, არა, მეშინია. –უთხრა ქეთინომ და თან ნოდარს გასძახა –არ მოდის არ მცალიაო!

–ჰო, კარგი მე წავალ და გამოდი ჩვენთან.

–ეხლავე, გავემზადები და გამოვალ.

ნოდარმა ახლა გიას შესძახა. მაგრამ გამოსძახეს რომ სახლში არ იყო და იძულებული გახდა სახლისკენ გამობრუნებულიყო. გ'საში ფიქრობდა –ნეტავი რა ბალზე ლაპარაკობდნენ? ქეთინოს ბალი არ უდგა და ვენერა სთავაზობს თავისას?

–რა ქენი ნახე? –ჰკითხა ეზოში შესულს დათომ.

–ერთი გოგო მოდის, მეტი რა ვიცი, კიდევ ვის ვუთხრა არ ვიცი... ეს გოგო კარგი გოგოა, ყოჩაღია, თუმცა ასეთ საქმეზე არასდროს ყოფილა.

– კარგი, გვეყოფა... ხუთნი იქ არიან კიდევ და შენც ხომ მოდიხარ? შენი მანქანა მუშაობს?

–ხო, მუშაობს.

–შენი მანქანით წამოდი. ერთი ჩემი მეზობელიც მანქანით მოდის და ორი გვეყოფა.

–მანქანით კი წამოვალ, შენ ეგ მითხარი, შენი და მაიას საქმე როგორ არის? აღარ გინახავს?

–ხო, ვნახე. ერთხელ ვნახე. მაიას თანაკლასელი ერთი გოგო ხომ ჩემი მეზობელია. ის გაეგზავნე რამდენიმეჯერ. ერთხელაც, როცა თავისი ძმა თბილისში იყო წასული, გამოვიდა და შემხვდა.

–მერე რას ამბობს?

–რა უნდა თქვას? ეშინია ძალიან. ასე ამბობს თუ ჩემი სიყვარულის გამო ვინმე დაიღუპება, ამისთანა სიყვარული რად მინდაო. ჩემოვის ჩემი ძმაც ძვირფასია და შენცო. არ უნდა რომელიმეს რამე დაგვემართოს, ან ციხეში წავიდეთ. ჩემი მეზობელი გოგო ამბობს სულ მოწყენილი და გულჩათხრობილიაო.

—რომ გამოგყვეს ცოლად, დაეიჯერო მერეც გაიგიყებს თავს მაგის ძმა?

—ეგ მეც ვუთხარი, მაგრამ ეშინია. ვერ ბედავს. მითხრა ჯობია საერთოდ დავშორდეთო.

—ნათქვამია, ვარდს ეკლებიც აქვსო, მაგრამ ამისთანა სიყვარული და ამისთანა ეკლები? ეს რა გამოუვალი მდგომარეობაა.

ნოდარმა ქუჩის კარები გააღო მანქანის გასაყვანად და ქეთინოც გამოჩნდა. მანქანა გაიყვანა ქუჩაში დათო და ქეთინოც ჩასხდნენ და წავიდნენ.

გზაში ნოდარს გაახსენდა ბლების შესახებ, ქეთინოსა და ვენერას ლაპარაკი და დააპირა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა, რა ჩემი საქმეაო.

დათოსთან მისვლისას ყველა წამომსვლელი მზად დახვდათ და მალევე წავიდნენ... კრეფა მზის ჩასვლამდე დამთავრდა.

დავითმა მარწყვი თბილისისკენ მიმავალ გზატკეცილზე საღამოს ბაზრობაზე წაიღო, ნოდარი და ქეთინო კი სახლში დაბრუნდნენ.

—რამდენი დაკრიფე ქეთინო? —ჰკითხა ნოდარმა მანქანაში მჯდომს.

—5 ვედრო, მეტი ვერ შევძელი.

—უკმაყოფილო ხომ არ ხარ?

არა, რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო? მე თუ ვერ შევძელი, სხვისი რა ბრალია. ერთმა ქალმა 12 ვედრო დაკრიფა. ძალიან გამიკვირდა...

—ისინი მიჩვეულები არიან. თანაც გაეშმაკებულები. მაგათი ნაკრეფი რომ განახა, წვრილებს არ კრეფენ, უბარაქოა და მეტი დრო მიაქვს. შენ კი ალბათ წვრილსაც კრეფდი.

—ხო ვკრეფდი, აბა ხომ არ დავტოვებდი. ჩემთვის 5 ლარიც საკმარისია.

—დილას რა ბალზე ლაპარაკობდით, ვენერას აქვს დასაკრეფი?

—არა, ვენერას კი არა, მინდორში ვიღაცის ბალი მიტოვებულიაო, მისი პატრონი რუსეთში წავიდა, მაინც სულ გაფუჭდება და ჩვენ დავკრიფოთო. რა ვიცი მართლა ასეა თუ არა. მე მაინც მეშინია და უარი ვუთხარი.

—მიტოვებული მიწები მართლაც ბევრია. რა ვიცი ზოგან ალბათ ბალიც დგას, მაგრამ ეგ ქალი ჩემი აზრით სანდო არ არის. თუ მართლა ასეა, როგორც ამბობს, საეჭვოა შენოვის გაენაწილებინა და მარტო არ წასულიყო.

—ამბობს, მარტო ხომ არ წავალ მინდორშიო.

—ქეთინო! შენ კარგი გოგო ხარ. მე შენ დიდ პატივს გცემ, იმიტომ რომ ჭკვიანი, კეთილი და პატოსან ხარ. დედაშენი მე მასწავლიდა, საყვარელი მასწავლებელი იყო. პატივისცემა იმითაც დაიმსახურა რომ ასეთი კარგი შვილი გაზარდა. ღღეს რომ ბედის უკეღმართობით მთელი საქართველო გაჭირვებაშია თქვენ, განსაკუთრებით, ამას ნამდვილად არ იმსახურებთ. შენ არა ხარ იმის ღირსი, რომ დაქირავებულ მუშად იმუშაო. შენ თავმდაბალი ხარ და ამასაც ეგუები, რადგან სხვა გზა არ გაქვს. კარგად მესმის შენი, მაგრამ არ ჩათვალო, რომ ეს შენი საბოლოო ხვედრია. მჯერა რომ განგება არ გაგწირავს და შენნაირი კარგი ადამიანისთვის ცხოვრება შემობრუნდება. არ ვიცი ბალზე უნდა დაუჯერო და გაჰყვე თუ არა ვენერას, მაგრამ საერთოდ მაგ ქალთან ნუ დამეგობრდები. კარგს არაფერს მოგიტანს მასთან ურთიერთობა.

—მართალი ხარ, არც მე მომწონს, მაგრამ რა ვქნა, გვერდით ცხოვრობს და ურთიერთობა თავისთავად გამოდის. რამდენიმე დღის წინ წამლების ფული არ მქონდა და თვითონ შემომთავაზა,30 ლარი მომცა. ნამდვილად არ მინდოდა მაგისგან სესხის აღება, მაგრამ იძულებული გავხდი. —თქვა ქეთინომ და მცირე დაყოვნების შემდეგ გააგრძელა —საერთოდაც არ ვიცი ვინ ვარ და რა ვარ, არ ვიცი როგორ ვიფიქრო ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს მომავალზე, ასე მგონია სულ ცოტაღა დამრჩა სიცოცხლე და რაღაც უბედურება მალე მეც და ყველას გაგვანადგურებს. ეხლა რომ შენს მანქანაში ვსხივარ, ჩემს სახლთან გადმოვალ მარტო, ვინც დაგვინახავს, ხომ ჭორაობის საფუძველი გაუჩნდებათ. მე ამისიც მერიდება, მაგრამ რა ვქნა? ამაზე თუ ვიფიქრე, ხომ ამ ხუთ ლარსაც ვერ ვიშოვიდი. ხვალ და ზეგ რაზე მომიწევს წასვლა და რისი დათმობა მომიწევს არ ვიცი.

ნოდარმა მანქანა ქეთინოს სახლთან გააჩერა. ქეთინომ კარი გახსნა გადასასვლელად.

—ქეთი, არ ვიცი რა გირჩიო. ბრძენი არც მე ვარ. შენ გონიერი გოგო ხარ და ყოველთვის ამით იხელმძღვანელე.

სახლში შესვლისთანავე ნოდარს გია მიეწია.

—გამარჯობა. სადა ხარ მთელი დღე დაკარგული? ან ქეთინო სად გყავდა?

—რა, დაგვინახე რომ მოვედით?

—ჰო ეზოში ვიყავი.

—მარწყვის საკრეფად ვიყავით. დილას შენც შემოგძახე და სახლში არ იყავი.

—ჰო მითხრეს, ვის მარწყვში იყავით?

—ჩემს ბიძაშვილთან, დათოსთან. მკრეფავი ქალები ჰყავდა და ქეთინოც წავიყვანე, ცოტა ფული იშოვა, გაუხარდა.

—კიდევ ნერვიულობს ძროხის გამო?

—ძროხაზე შეიძლება აღარ ნერვიულობს, მაგრამ უფულობას განიცდის.

—რა ვუშველო მაგ გოგოს, მეცოდება. იქნებ სამსახური მაინც ვუშოვოთ სადმე, თორემ.თვალსა და ხელს შუა დნება, ადამიანად აღარ ივარგებს.

—რა სამუშაო, 25 ლარიანი? თვეში 25 ლარად რა უნდა გააკეთოს?

—აბა დიდ ხელფასიანი სამსახური საერთოდ არ არსებობს ჩვენთან და ევროპელები კი გაგვხადეს ვითომ, მაგრამ ცხოვრება აზიურიც არ გვაქვს. იქ დღეში აძლევენ 30 დოლარზე მეტს და აქ თვეში ვერ აუღია ხალხს. ის დრო აღარ არის, როცა ხალხს ხელფასი ჰყოფნიდა. შენ რომ ახალ წელს გაგიმართლა და 300 ლარი იშოვე, ხომ არ გგონია სულ ასეა? აბა წადი კიდე იშოვე.

—ვიცი რომ ასე არ არის. ვიცი რომ თვეში 25 ლარიანი სამსახურიც არ იშოვება. შენ თუ უშოვი სამსახურს, უშოვე, კარგი იქნება მაგრამ თვითონ რომ ამ სამსახურის შოვნას სდიოს სხვა რამესაც დაკარგავს და სამსახურსაც ვერ იშოვის.

—არა, მე იმას კი არ ვამბობ სულ სამსახურის ძებნას გადაჰყვეს. უბრალოდ ყურადღებით იყოს, იქნებ სადმე გამოჩნდეს, მაგისთვის უფრო შესაფერისი საქმიანობა. ცოდოა დაქირავებულ მუშად.

—ცოდოა, აბა რა არი. ცოტა შესაფერისი სამსახური მართლაც სჭირდება, მაგრამ სად არის? დაქირავებულ მუშად კი იშოვება სამუშაო?

—კარგი წავედი, ხვალ შემოგიელი. —თქვა გიამ და ეზოდან გავიდა.

მძინარე ნოდარი თოფის ხმამ გამოაღვიძა. ორჯერ გაისროლეს.

—ნეტა ამ შუაღამისას ვინ ატეხა სროლა. გიქები არიან. —ჩაიბურტყუნა ნოდარმა, გვერდი იცვალა და სცადა დაეძინა, მაგრამ არ დააცადეს, ისევ გაისროლეს.

—ეა, რა ხდება, რაღაც ამბავია ალბათ —ფიქრობდა ნოდარი —ასეთი პერიოდულობით უბრალოდ და უმიზნოდ არავინ ისვრის. —ნოდარმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ დაეზარა და ფიქრებში თავის მართლება დაიწყო. —თუმცა, რა გასაკვირია პირველად ხომ არ არის, სულ სროლის ხმები არ ისმის? ახლა, ამ ბოლო დროს, ცოტა მიწყნარდა, თორემ წინა წლებში თოფის კი არა, რა იარაღის სროლის ხმა აღარ ისმოდა. ერთი ქვემეხის და ტანკის სროლის ხმა არ გაგვიგია, თორემ ყუმბარები და ავტომატები ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ნოდარმა კარგა ხანს იტრიალა ლოგინში, ცდილობდა დაეძინა, მაგრამ ვეღარ შეძლო. ბოლოს წამოდგა, საათი ნახა ხუთის ნახევარი იყო, ესეიგი მალე გათენდებოდა. აივანზე გავიდა და მიაყურადა. ხალხის ხმა არსაიდან არ ისმოდა.

—იქნებ თოფის ხმა არც იყო და სხვა რამ იყო. —გაიფიქრა ნოდარმა. —ზოგჯერ მანქანასაც აქვს ასეთი ხმა. ისევ ოთახში შეტრიალდა და ლოგინში ჩაწვა.

მანანა როდის ვნახო? —ფიქრობდა ნოდარი უკვე ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც მასთან ვიყავი. აქამდე ხომ ვერ ვნახავდი, კარის მეზობელი დაეღუპა და სიყვარულზე საუბრის განწყობა არ ექნებოდა. მაგრამ ამის შემდეგ ხომ უნდა ვნახო. როგორ მოვიქცე სახლში მივიდე თუ სადმე შევხვდე? სად შეეხვდე? მე ხომ არ ვიცი როდის გამოდის სახლიდან და სად მიდის. მთელი დღეები ხომ ვერ ვუდარაჯებ? ჯობია ისევ სახლში მივიდე, რაღაც მოვიმიზეზო და სადმე შეხვედრა დავუნიშნო. ბაღში რომ შევხვდე? ან იქნებ კაფეში ჯობია? არა კაფეში ხომ ვერ ვილაპარაკებთ. იქ ისე შეიძლება შესვლა, მაგრამ არა სალაპარაკოდ. ისევ ბაღი სჯობს, რომელიმე განცალკევებულ სკამზე დავსხდებით და... თუმცა სკამზე ვერ დავსხდებით, სკამები დაამტვრიეს, აღარ არის. არა, სჯობს მანქანით დავხვდე სადმე და მანქანით გავისეირნებთ. მაშინაც ხომ მანქანით მოხერხდა მასთან დალაპარაკება. ქეთინოსთვის რომ დახმარება არ გამეწია, ის შეხვედრაც ვერ შედგებოდა. ქეთინო როგორღაა ნეტავი. კვირაზე მეტია აღარ მინახავს. ამ დროში ვინ იცის რამდენჯერ გაუჭირდა, მაგრამ ჩემთვის არ მოუმართავს. ალბათ რცხვენია და რაღაც ჭორების ეშინია, თორემ ალბათ მომაკითხავდა. ეს ხალხიც რა ჭორიკანაა, ზოგჯერ ისეთ უსაფუძვლო ჭორს მოიგონებენ, ადამიანს ისედაც დამძიმებულ ცხოვრებას უფრო უმძიმებენ. მე ქეთინოს პატივს ვცემ, იმიტომ რომ კარგი გოგოა და მეცოდება ასეთ მდგომარეობაში. მე სხვა რა უნდა მინდოდეს? მე დასავით ვუყურებ. და არ მყავს და ყოველთვის მინდოდა მყოლოდა. თუ მას ძმობას

გავუწევ, რა არის აქ ცუდი? მას ხომ შევუმსუბუქებ ამ საშინელ ცხოვრებას. მაგრამ ჭორები თუ წარმოიშვა სახელს გაუტეხს და მის მომავალზე ცუდად იმოქმედებს.

ნოდარს ამ ფიქრებში დაათენდა. უკვე მზეც ამოსულიყო. –მეყოფა ამდენი ფუჭი ფიქრები, ამ ბოლო დროს ფიქრების მონა გავხდი. ასე საქმეს წინ ვერ წავიყვან. –ჩაილაპარაკა ნოდარმა და ამ გადაწყვეტილებით წამოდგა, ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. ქუჩის ერთ მხარეს შეგროვილი ხალხი დაინახა. –ისევ რაღაც უბედურება მოხდა ალბათ. ამდენი ხალხი შემთხვევით არ შეიკრიბებოდა და არც კარგ საქმეზე. ამ დილაადრიან კარგი რა უნდა მომხდარიყო. წუხელ რომ ისროდნენ ვინმე ხომ არ მოკლეს?

–რა მოხდა, რა ამბავია? –იკითხა მისვლისთანავე.

–ზვიადი დაიჭირეს. –თქვა ერთმა.

–ზვიადი? რატომ? ეგ ხომ წესიერი კაცია? ვინმე მოკლა?

–არა, არვინ მოუკლავს. წუხელ ვახტანგის სახლში ქურდები შესულან. სახლში არავინ იყო. ზვიადს შეუნიშნავს, თოფი გამოუტანია და ჰაერში გაუსვრია შესაშინებლად. –თქვა მეორემ.

–მერე?

–ქურდებს შეეშინდათ და გაიქცნენ, მაგრამ...

–აბა რატო დაიჭირეს ზვიადი?

–პოლიცია მოვიდა და თოფის საბუთები მოსთხოვა. თურმე გაფორმებული არ ჰქონია და დაიჭირეს.

–ვაა, ეს პოლიცია გამაგიუებს რა. ასეთ კაცს ხომ მადლობა უნდა უთხრა კარგი საქმისთვის, ამის გამო დაჭერა შეიძლება? ვინც დასაჭერია იმათი დაჭერის თავი არა აქვთ და... –თქვა ნოდარმა.

–აბა, იმ ქურდებს ხომ არ დაიჭერენ. ალბათ თავიანთი ხალხი იყო და თავისას ხომ არ დაიჭერენ. –თქვა ერთერთმა იქ მდგომმა.

–დაიჭერენ, მაგრამ ფულს წაართმევენ და ისე გაუშვებენ. ამასაც, –ზვიადისაც ერთი 300დოლარს წაართმევენ და გამოუშვებენ.

–მერე 300 დოლარი სადა აქვს რა უნდა მიუტანოს?

–იქ რომ სცემენ მაგრად, მერე იშოვის. სახლიდან რაღაცას გამოიტანენ გაყიდიან ან ისესხებენ და მიიტანენ.

–ვაახ, ეს რა ქვეყანაში ვართ კაცო. კარგის გამკეთებელს სცემენ, სჯიან და ცუდის გამკეთებელს თავზე ხელს უსვამენ. –თქვა კაცმა, რომელიც ამ უბნის არ იყო. –ჩემი ძმა რუსეთში ცხოვრობდა, იქიდან ჩამოვიყვანე, მანდ რა გინდა, დამოუკიდებელი სახელმწიფო გაეხდით და შენს სამშობლოში უნდა დაბრუნდე. ჩამოვიდა, ფული ჩამოიტანა, ვიფიქრეთ რაღაცა საწარმო გავაკეთო, ქვეყანაც ისარგებლებს და ჩვენც, თორე ეს ფული შემოგვეხარჯება და ცარიელები დავრჩებითო. ჯერ ხო საბუთებმა გაგვაწვალა, და იმდენი ფული აიღეს, (ყველას ხელი აქვს გამოშვერილი) ახლა კიდევ როგორც კი მშენებლობა დავიწყეთ, შავები ცალკე მოვიდნენ, მილიცია, პროკურატურა თუ რა ვიცი, ვინ აღარ მოვიდა. ყველა ფულს ითხოვს, კაცო, ვეუბნები: ფული რომ მიგაქვს ღმერთმა შეგარგოს, მაგრამ სხვებისგან მაინც დაგვიცავი, სხვებმა აღარ წაიღონ. მე ჩემი წილი მომეციო და სხვები რა ჩემი

საქმეაო. რა წილს ითხოვენ ვერ გავიგე, რამეში მეხმარებიან თუ... რაც ფული ჰქონდა იმათ გაზიდეს და მშენებლობა შეწყდა. ეს ჩემი ძმა გაგიუდა ეს რა ქვეყანა გამხდარა, აქ ცხოვრება როგორ შეიძლებაო და ისევ უკან გაიქცა ცარიელი.

–დამპალი ერი ვართ... ჩვენ ხომ ერი არა ვართ... თქვა ერთმა ამ ქუჩაზე მცხოვრებმა. –არც ხალხი ვარგა, არც მთავრობა ვარგა, სულ გასაწყვეტები ვართ. ადრე კიდე რუსეთის ეშინოდათ და წყნარად იყვნენ, ეხლა რაც დამოუკიდებლები გავხდით სუ თავი აიშვეს და გამოჩნდა რაცა ვართ.

–ერი რა შუაშია, მთავრობა და ზოგიერთი თუ კაცად არ ვარგა? – უთხრა ნოდარმა.

–როგორ თუ რა შუაშია? დღე არ გავა, რომ, როცა დენია, ტელევიზორში არ აჩვენონ ან ვიღაცა დაიკარგა, ან ვიღაც მოიტაცეს, ან კიდევ მკვდარს იპოვიან და აჩვენებენ ამოიცანით ვინ არისო. მთავრობა დადის,იტაცებს და ხოცავს ამ ხალხს?

ნოდარმა არაფერი უპასუხა, სამაგიეროდ სხვამ გააგრძელა

–მართალს ამბობს აბა რა? მთავრობაშიც ნაძირალები მიდიან, უსინდისობით რომ აქვთ ფული ნაშოვნი და ეს ხალხიც დებილია, რომ არ უყურებს ხმას ვის აძლევს არჩევნებში. –ხალხის ხმის მიცემას ვინ უყურებს, გააყალბებენ და ვისაც უნდა იმას აირჩევენ.

–ხო, მართალია აყალბებენ, მაგრამ ხალხიც ამომრჩეველებიდან პატიოსანს და განათლებულს კი არა, პოპულარულს არჩევს. –თქვა ნოდარმა. –ვისი გვარი, სახელი ხშირად ესმის იმას აძლევს ხმას. ამით ხელს უწყობს მთავრობას, რომ თავიანთი ახლობლები, თავიანთი მსგავსები შემოიკრიბონ და ეს ხდება ხალხის სახელით. ზოგიერთიც საერთოდ 5 ლარზე, თუ რაღაც წვრილმან სარგებელზე აძლევს ხმას და იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ არჩევნებში მარტო სამშობლოს კი არა, თავიანთ მომავალს ჰყიდიან ორ შაურად და მერე ქუჩაში გამოდიან წუწუნებენ, მთავრობა არ ვარგაო.

–ხოდა, ხალხი რომ არ ვარგა, მაგას არ ვამბობ მეც? ხალხი რომ ვარგოდეს, ისეთი ხალხი, დღეს რომ სხედან, მთავრობაში ვერ გაიჭაჭანებენ. –თქვა ისევ ამ ქუჩაზე მცხოვრებმა.

–ხალხი რა შუაშია? ხალხს მაინც არაფერს ეკითხებიან და ის 5 ლარი რაღაზე დაკარგოს? შარშან რომ არჩევნები იყო ზოგიერთ სოფელში ამომრჩეველებზე მეტი ჩაყრილი ბიულეტინები გამოვიდა. აბა ეს ხალხმა ქნა? როგორ შეიძლება უბანში 1000 ამომრჩეველი იყოს და 2000-მა კაცმა ხმა მისცა?

–ხალხზე რომ არაფერი იყოს დამოკიდებული იმ ხუთ ლარს არ მისცემდნენ. თქვა ნოდარმა, გამობრუნდა უკან სახლისკენ და თან ჩაილაპარაკა –ამათთან ლაპარაკს მირჩევნია ვენახში წავიდეთ და ლობიო დავკრიფოთ, თან ცოტას გავფურჩნი ეაზებს.

ნოდარი ვენახში წავიდა. ჯერ ვაზების ფურჩნას შეუდგა, ხოლო საღამოსათვის დრო შემოიტოვა ნედლი ლობიოს დასაკრეფად და ერთი პარკი გაავსო.

სახლში მისულმა ლობიო სიგრილეში შეინახა. იფიქრა –ეხლა მაინც გვიანია, რომ მოვხარშო, ასე გვიან ხომ არ შევჭამო. დილისთვის გადადო.

დილით გამოიტანა ისევ ლობიო და დამტვრევა დაიწყო მოსახარშად. მერე იფიქრა, ამდენი რად მინდა, აქ ხომ ორ კილოზე მეტია, ეს ხომ ათ კაცს ეყოფა და მარტო როგორ შევჭამო. გადაწყვიტა ქეთინოსთვის წაეღო. ქეთინო მოხარშავდა სუმთელს და ნაწილს ნოდარსაც გმოუტანდა. გადაწყვეტილება მოეწონა, ადგა და ქეთინოსთან წავიდა.

ქეთინოს რამდენიმეჯერ დაუძახა. თუ სახლში იყო, აუცილებლად გაიგებდა და გამოვიდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. –ესეიგი არ არის. ჩაილაპარაკა და გიას ეზოს კართან გადაინაცვლა.

–გია! შესძახა ნოდარმა. არავინ უპასუხა.

–გიორგი! შესძახა უფრო ხმამაღლა ნოდარმა.

–ეხლავე მოვალ! მოესმა გიას ხმა.

საპასუხო ხმის გაგონებისთანავე ფანჯარაც გამოიღო, გიას დამ, ლელამ გამოიხედა და ღიმილით აუწყა.

–ეხლავე გამოვა. ცოტა ხანს მოუცადე.

რამდენიმე წუთში გიაც გამოვიდა.

–რას აკეთებდი, ამდენ ხანს, რომ ამაყუდე კარებში? უთხრა ნოდარმა.

–შენც რაზ აეყუდე, ვერ შემოხვედი? უცხო ხომ არა ხარ? პირს ვიპარსავდი და ხომ ვერ მივატოვებდი?

–ლობიო მოგიტანე, ნედლი ლობიო. გუშინ დაეკრიფე პირველი დაკრეფაა და ამდენი მე რად მინდა.

–მერე სულ აქ მოიტანე?

–ჰო, აბა მე მოხარშვისა რა ვიცი. არ გავაფუჭო.

–კარგი, რომ მოხარშავენ, გამოგიტან. ღვინო ხომ გაქვს კიდევ? შენთან სასაუბროც მაქვს რაღაც. თუ არა გაქვს მე მოვიტან.

–კი, მაქვს კიდევ.

–ლელა! –დაუძახა თავის დას გიამ. ლელამ ისევ ფანჯრიდან გამოიხედა.

–მოდი, წაიღე ეს პარკი!

ლელა გამოვიდა ასაკთან შესაფერისი ენერგიულობით, გამოართვა პარკი, შიგ ჩაიხედა, უი, ნედლი ლობიო, როგორ მიყვარსო,– ჩაილაპარაკა და ისევ სახლში შებრუნდა.

–ქეთინოსთვის მინდოდა მიმეცა, ვეძახე და არ გამაგონა. ეტყობა სახლში არ არის ალბათ. –გააგრძელა საუბარი ნოდარმა.

–სწორედ ამ საკითხზე მინდა გესაუბრო. გუშინ წინ ლელას დაბადების დღე იყო, რამდენიმე ამხანაგი ესტუმრა და უნდოდა ქეთინოც აქ ყოფილიყო. რამდენიმეჯერ დაუძახა, მაგრამ არ გააგონა. ვიცი კი, რომ ნამდვილად სახლში იყო. ეს დღეები რაღაც სხვანაირად იქცევა. ეზოშიც კი იშვიათად გამოდის. დარწმუნებული ვარ ეხლაც სახლშია, მაგრამ არ გაგაგონა. მაგის თავს რაღაც ხდება.

–რა უნდა ხდებოდეს ისეთი? გაკვირვებით იკითხა ნოდარმა.

–რა ვიცი, არ ვიცი. ეხლა მეჩქარება, უნდა წავიდე. შუადღის შემდეგ შემოვივლი, თუ სახლში იქნები და დავილაპარაკოთ.

—კარგი. სახლში ვიქნები. თქვა ნოდარმა და სახლისკენ გატრიალდა. ნოდარმა სახლში იტრიალა ცოტახანს, საქმე ვერაფერი გამონახა და გადაწყვიტა მანანასკენ გაეელო. თუ შენიშნავდა რომ სახლში იყო, დაუძახებდა, თუ არადა გზას გააგრძელებდა.

მანანას სახლს რომ მიუახლოვდა, ყურადღებით ათვალიერებდა ფანჯრებს, მაგრამ მისი სახე არ დაუნახავს და არც ხმა გაუგონია. ეზოდან კი გამოდიოდა ლაპარაკის ხმა, მაგრამ მანანას ხმა არ იყო.

ნოდარი გასცდა სახლს. მერე იფიქრა იქნებ ეზოშია. ამ მომენტში არ ლაპარაკობსო, უნდა დაეიძახო და უკან მობრუნდა.

—მანანა! დაუძახა ეზოს კარებთან მოსულმა ნოდარმა.

—ბატონო! რომელი ხარ? გამოსძახა ქალმა, სავარაუდოდ დედამ, რომელიც გაგონებისთანავე კარებისაკენ წამოეიდა. გააღო კარი.

—მანანა სახლში არ არის.

—კარგი, კარგი.

—თქვენ ვინ ბრძანდებით? რა გადაეცე? ჰკითხა დედამ.

—შენა ხარ ნოდარ! მოდი, მოდი, —გამოსძახა მანანას მამამ, რომელიც მიუახლოვდა კარებს. —ეს მანანას ამხანაგია. იმ დღეს საჭმელები ამან ჩამოგვიტანა. —უთხრა თავის ცოლს.

—ხოო, ამხანაგი ხარ შვილო? სახლში არ არის, მეგობრები მოუვიდნენ და წაიყვანეს.

—კარგი, კარგი. მაპატიეთ, თუ შეგაწუხეთ. კარგად ბრძანდებოდეთ. უთხრა ნოდარმა და უკან გამობრუნდა.

ნოდარი ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. ნახევარი გზა რომ გაიარა, ზურგიდან ძახილი მოესმა.

—ნოდარ!

ნოდარი მიბრუნდა და თავისი თანაკლასელი ეორა ეძახდა. ნოდარი შეყოვნდა, რომ ეორა დასწეოდა.

—სალამი!

—გამარჯობა. როგორა ხარ?

—ეხლა მაგ შეკითხვის მიცემა როგორ შეიძლება. ხუმრობით მიუგო ეორამ. —ძველი დრო ხომ არ გგონია? რომ გიპასუხო როგორა ვარ, ხომ უნდა გამახსენდეს ჩემი გაჭირვება და ცუდ ხასიათზე ხომ დამაყენებს გახსენება?

—რა ვქნათ, ყველა გაჭირვებულია და ძველი ტრადიციული მოკითხვა დაეიეიწყოთ. —ნახევრად ხუმრობით უპასუხა ნოდარმა. —ამით ხომ ერთიმეორისადმი სითბოს და სიახლოვეს გამოვხატავთ.

ეჰ, ნოდარ. ხუმრობა იქით იყოს და როცა კაცი ცუდ ხასიათზეა, გაჭირვების თუ რაღაცის გამო, ზოგჯერ მოკითხვა უფრო აღიზიანებს. თუმცა ახლობლისგან მოკითხვით ალბათ არავინ გაღიზიანდება.

—საით გაგიწევია? —ჰკითხა ნოდარმა.

—ბაზრისკენ. ერთი მიწის ნაკვეთი მქონდა და ისიც გავყიდე 300 დოლარად და მინდა გადავახურდაო ლარებში.

—მერე, რომ გაყიდე შენ აღარ გინდა? რაღაცას მოიყვანდი, ოჯახში შეღავათი იქნებოდა.

–რა უნდა მოვიყვანო ნოდარ, რაც ეგ მიწა მომცეს პრივატიზაციის დროს ერთხელაც არ მომიხვნია. მოხვნის ფული ვერ ვიშოვე და მოუხნავში ხომ ვერ დავთესავ? გადასახადი კი ხომ იწერება. ამ ფულით კიდე ვაჭრობას დაიწყებს მამაჩემი. მთელი საქართველო ვაჭრებად გვაქციეს და... ან ვინღა ყიდულობს. ფაბრიკები და ქარხნები სულ პირწმინდად დაანგრიეს, ხალხი ვერსად მუშაობს. მიწები ხომ უმეტესობა მიტოვებულია და თუ რამე იყიდება შემოტანილი საქონელია. ხელიდან ხელში გადადის, ყველა ყიდის და ამით ცხოვრობს. ვინღა ყიდულობს და რით ყიდულობს? საქართველო ყოველთვის საოცრებათა ქვეყანა იყო და ესეც საოცრებაა. ჯერ კიდე კომუნისტების დროს ხალხს 200-300 მანეთი ჰქონდა და 1000-2000 კიდე ხარჯავდნენ. ეხლაც პენსია 7-8 ლარია, ხელფასები 15-20 და ხალხი მაინც არსებობს.

–ამას მართლა არსებობა ჰქვია, თორემ ეს ხომ ცხოვრება არ არის. სასაფლაოს გზაზე დღეში რამდენიმე მიცვალებულს მიასვენებენ. საითაც გაიხედავ დაკრძალვებია, საავადმყოფო კი ცარიელია. კაცს რომ იმის ფული არ ექნება იმკურნალოს საავადმყოფოში და სახლში კვდება, ამას ცხოვრება ჰქვია? ქორწილი კიდე ხომ რამდენი წელია აღარ მინახავს.

–ხო, ასე თუ გაგრძელდა 15-20 წელიწადში ქართველობა ამოწყდება და...

ჩემი ბიძაშვილი ავარიაში მოჰყვა. იქიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს, სულ მთლად დამტვრეული იყო, მაგრამ ორი დღის მერე სახლში წამოიყვანეს. იმხელა გადასახადი დააწერეს იძულებული იყვნენ გამოქცეულიყვნენ. კაცო, ეგრე შეიძლება? დანგრეულ საწოლში, საწოლადაც რომ არ ვარგა, ძველი 50 წლის წინანდელი, ხალხი ჯართში რომ აბარებს ისეთი. ლოგინიც რომ არა აქვთ და სახლიდან აიტანეს, ასეთ საწოლში 25 ლარია დღეში გადასახადი. საწოლია იმისთანა, ჯანმრთელი რომ დაწვეს ავად გახდება და მარტო საწოლში 25 ლარი? პენსიონერი ერთ კვირას რომ დაწვეს მთელი წლის პენსია მარტო საწოლში არ ეყოფა და სამკურნალო გადასახადი კიდე სხვაა.

–აქ რა ამბავია. ასე გაცხარებით რაზე კამათობენ? –იკითხა ნოდარმა ბაზრის სიახლოვეს მოკამათე ხალხის ჯგუფზე.

–რა ვიცი. ამ ქვეყნად გიჟები დაილევიან? ალბათ პოლიტიკაზე კამათობენ. საქმე არა აქვთ და... მაგათი კამათით აშენდება ქვეყანა? მთაურობის ხალხი სკამებზე კარგად გამაგრდნენ, კარგსა ჭამენ, კარგსა სვამენ და ჩვენ თუ გინდა ამოგვიწყვეტია ერთმანეთი, სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ეგენი კიდე გამოვიდნენ ბირჟაზე და პოლიტიკაზე კამათობენ.

–მე აქ დავრჩები. ცოტახანს შენ თუ გინდა წადი გადაახურდავე. მეც მალე ამოვალ. უთხრა ნოდარმა და შეჩერდა. ეორამ კი გზა განაგძო.

–სტალინისთანა კაცი ჯერ არ დაბადებულა. მთელი ცხოვრება ხალხის კეთილდღეობას შესწირა. –მოესმა ნოდარს გაცხარებული, მოკამათე ხალხის ჯგუფთან მიახლოვებისას, ერთ-ერთის ლაპარაკი.

უფრო ახლოს მისვლისას ნოდარმა შენიშნა, რომ ორ მოკამათეს სახე სისხლიანი ჰქონდათ, რაც იმას მოწმობდა, რომ ხელჩართული ბრძოლაც ყოფილა.

—რომელი ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობ, მილიონობით რომ დახვრიტა თუ იმათზე მილიონები, რომ იშოვეს? თქვა მეორემ.

—სტალინის პერიოდში მილიონები არავის უშოვია. საცოდავი დახეულ ჩექმებში და გაცვეთილ კიტელში მოკვდა.

—იმდენი ქართული მიწები დაურიგა გარშემო ყველას, რომ საქართველო ნახევარიც აღარ არის. ერთი ქვეყანა არ არის გარშემო რომ კომუნისტების მიერ ნაჩუქრი ქართული მიწა არ ჰქონდეს მითვისებული. ეგ არი შენი კარგი სტალინი და მაგას უნდა დაუდგა ძეგლი?

—ეგ მიწები სტალინს არავისთვის არ უჩუქებია. ეგ ორჯონიკიძემ აჩუქა და აკი თავიც იმიტომ მოიკლა, რომ სტალინი გაბრაზდა.

—კარგი რა, ეგ კვერცხები შენს კრუხს დაუწყვე. სტალინი თქვენ როგორც ამბობთ მარტო საბჭოთა კავშირს კი არა, მთელ მსოფლიოს ა'ხანზარებდა, იმის შიშით ვერავინ ვერაფერს ბედავდა და ორჯონიკიძემ რესპუბლიკის საზღვრები ისე შეცვალა, სტალინმა არაფერი იცოდა? კანონით მიუწედებოდა კი ხელი ორჯონიკიძეს ასეთ საქმე'ზე?

—ეს მართლა ასე იყო და რა ვქნა?

—მართლაც რომ ასე ყოფილიყო, არ შეეძლო ეს უკანონობა გამოესწორებინა?

—მერე როგორ გამოესწორებინა? ეს გამოიწვევდა ერებს შორის შუღლს და საბჭოთა კავშირს საფრთხე შეექმნებოდა.

— ე.ი. რუსეთის იმპერიას რომ საფრთხე არ შექმნოდა, ამას საქართველო შესწირა? ერის გამყიდველობა ეს არის, აბა ამა'ზე მეტი რაღა გინდა?

—რა შუაშია აქ ერის გამყიდველობა? ერთიან, ძლიერ სახელმწიფოს აშენებდა, სადაც ხალხი ბედნიერი იქნებოდა.

—ვის ბედნიერება'ზე ლაპარაკობ? იმ ერებ'ზე, რომელსაც სამშობლო გა'უნახევრეს?

—ჩვენი სამშობლო მარტო საქართველო კი არა, ერთიანი საბჭოთა კავშირი იყო, სადაც ყველა ერის ინტერესები დაცული იყო და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მათ შორის ქართველებიც. კიდევ 'უყრო ბედნიერად იცხოვრებდნენ, შენისთანებს რომ არ დაენგრიათ ქვეყანა.

—მე დავანგრიე ქვეყანა, მე შენი —და მოკამათემ დასარტყმელად გაიწია, მაგრამ შეაჩერეს —ქვეყანა კომუნისტებმა დაანგრიეს რომ დაგროვილი მილიონები გამოეჩინათ და კაპიტალისტები გამხდარიყვნენ.

—მაგ ჩხუბსა და წარსულის ქექვას, ჯობია მომავალ'ზე იფიქროთ. სტალინი, ცუდი იყო თუ კარგი, ცოცხალი აღარ არის და მაგის გ'ულისთვის ერომანეთს ცხვირ-პირს ნუ დაუმტვრევთ. —თქვა ნოდარმა.

—წარსული თუ არ ისწავლე, მომავალს ვერ ააგებ. —უპასუხა ერთ-ერთმა.

—ეგ მართალია, მაგრამ ამას ცხვირ-პირის დამტვრევა კი არა, ერთად დასხდომა და გაანალიზება სჭირდება. ჯიბრით საქმე არ გაკეთდება. —თქვა ნოდარმა და გაბრუნდა, გზა გააგრძელა დოლარის გადამხურდავებლებისაკენ.

ნოდარი გიასთან აპირებდა მისვლას, გაეგო მოიცალა თუ არა, რომ ერთად წასულიყვნენ სახლში. სანამ ჯიხურთან მივიდოდა გზაში ისევ უკან მიმავალი ჟორა შეხვდა, რომელიც მხიარულ გუნებაზე იყო.

–რას არ გაიგებს კაცი ბაზარში. –თქვა ჟორამ. –ყველაფერი რაც ქვეყანაზე ხდება აქ უნდა გაიგო.

–რა მოხვდა, რა გაიგე ახალი?

–აქ ერთი "ვალუტჩიკია" თავის ბაღში ქურდი ქალებისთვის მიუტანებია. ერთი გაქცეულა, მეორე დაუჭერია და გაუუპატიურებია. უთქვია თუ არა, მილიციაში წაგიყვან და ციხეში ჩაგსვამენო. ეს ქალი შეხვეწია, ოღონდ არ წამიყვანო, ყველაფერზე თანახმა ვარო და ქალიშვილი გამომდგარა.

–რა აღარ ხდება. ქალიშვილი მაინც ცოდია, თუმცა თუ თვითონ უნდოდა... მაგრამ კაი კაცი მაინც არ იზამდა მაგას. შეეცოდებოდა. თუ დასჯა უნდოდა, ფულს ან სხვა რამეს წაართმევდა.

–იმანაც რა იცოდა ქალიშვილი თუ იყო?

–ჰო, ეგეც მართალია, მაგრამ მაინც მძიმე სასჯელია. აქ რომ იტრიალო კიდევ ბევრ ამბებს გაიგებ. –თქვა ნოდარმა და გზა გააგრძელა.

ჯიხურში ნოდარს გია არ დაუხვდა. გამყიდველმა ქალმა უთხრა, ათი წუთის წინ გავიდა და სად წავიდა არ ვიცი. ნოდარიც სახლში წამოვიდა.

შუადღე გადასული იყო,როცა გია ნოდართან მივიდა. გიამ ლობიოსთან ერთად ძეხვი და ყველიც მიიტანა. ნოდარმაც სახლში რაც გააჩნდა შემწვარი კარტოფილი და კვერცხი, ღვინითურთ დაახვედრა და სუფრას მიუსხდნენ.

–რა ზღაპრული სუფრა გავშალეთ. – თქვა გიამ.

–ჰო, დღეს ეს მართლაც ზღაპრული სუფრაა.

ბიჭებმა მხიარულად დაიწყეს. სადღეგრძელოებს შორის საუბრობდნენ. რამდენიმე ჭიქა ღვინის შემდეგ/როცა ღვინომ უფრო " მჭერმეტყველები" გახადა ისინი, ნოდარმა ჰკითხა:

–რა სასაუბრო გქონდა დილას რომ მითხარი, რამე მნიშვნელოვანია?

–ჰო, ჩემთვის მნიშვნელოვანია.

–აბა მითხარი.

გიამ პასუხი დიდხანს დააყოვნა. ბოლოს დაიწყო –არ ვიცი როგორ დავიწყო. საქმე ისაა, რომ ქეთინოს საკითხი მაწუხებს.

–ჰო, ქეთინოს საკითხი მეც მაწუხებს.

–არა. მე სხვა რამეს ვგულისხმობ.

–რა სხვა რამეს?

–საქმე იმაშია, რომ მიყვარს.

–გიყვარს? – გაოცებით თქვა ნოდარმა.

–ჰო, მე მგონი მიყვარს.

–რას ჰქვია მე მგონი მიყვარს?

–რა ვიცი როგორ გითხრა, მე არავინ მყვარებია და სიყვარულის თეორიებში ვერ ვერკვევი. ის ვიცი რომ, როცა ეხედავ მსიამოვნებს. მასთან ყოფნისას ყველაფერი მავიწყდება და აღარ მინდა მისგან წამოსვლა. სხვაგან რომ ვარ, მინდება დროზე მასთან დავბრუნდე.

—ეს მართლა სიყვარულია. როდის დაგეწყო ეს შეგრძნებები? არა მგონია ბავშვობიდან გიყვარდეს.

—არა. ერთი ან ორი წელია ალბათ. მაგრამ ბოლო დროს უფრო მძაფრად ვგრძნობ მისკენ ლტოლვას.

—უთხარი რამე?

—არა არ მითქვამს.

—აბა მე რას მეუბნები, სჯობს თვითონ ქეთინოს უთხრა.

—ქეთინოს კი ვეტყვი, მაგის თქმა არ მიჭირს, მაგრამ ერთად გავიზარდეთ, ხომ იცი ცოტა უკარებაა და მეშინია არ ეწყინოს და სულ არ დაეკარგო.

ნოდარმა გაიცინა და უთხრა: —სიყვარულის გამო ვინ გაბრაზებულა? კი არ გაბრაზდება გაუხარდება. თუნდაც რომ არ მოსწონდე და სიყვარულით არ გიპასუხოს მაინც ესიამოვნება, თუმცა შეიძლება თავიდან ცოტა ხანს გაგებუტოს. უკარება სულაც არ არის. უბრალოდ მორიდებული გოგოა, ჭკვიანია და იცის ვის როგორ დაელაპარაკოს. შენ თუ მიხვალ და შენს გრძნობებზე დაელაპარაკები რით გიპასუხებს არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ მოგისმენს და არ გაიქცევა.

—ესეიგი შენ ფიქრობ რომ მართლა კარგი გოგოა და დაველაპარაკო?

—ქეთინო ნამდვილად კარგი გოგოა, მაგრამ შენ რა ჩემი გემოვნებით გინდა შეაფასო საცოლე? შენ თუ გიყვარს და ცოლად გინდა, საკუთარი გრძნობებით შეფასებებით უნდა იმოქმედო.

—ჰო, მაგრამ რომ არ შევცდე საკუთარი გამოცდილება არ არის საკმარისი. მითუმეტეს რომ გამოცდილება საერთოდ არ მაქვს. ხალხს თუ გადახედავ, ამ საკითხში ისეთი ქაოსია უფრო დაიბნეი. ლამის ყოველდღე ინგრევა სიყვარულით შექმნილი ოჯახები. ცხოვრების თანამგზავრი კი, ჩემი აზრით, ერთხელ უნდა აირჩიო და არა ათსჯერ, ამიტომ დიდი დაფიქრებაა საჭირო.

—შენ მართალი ხარ, დაფიქრება და რჩევა საჭიროა. თუმცა სიყვარული სხვისი რჩევით არ მოდის. დაუფიქრებელმა ნაბიჯმა კი შეიძლება საერთოდ დაუმახინჯოს და გააუბედუროს ადამიანი. ჩვენ მეგობრები ვართ დ რჩევას მართლაც სარგებელი შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მეც გეტყვი ჩემსას. მეც მიყვარს ერთი გოგო.

—ვაა, მართლა? ვინ არის?

—ქვევით უბანში ცხოვრობს. შენ იცნობ ალბათ. სკოლაში რომ დაედიოდით, ზოგჯერ ერთადაც გვიწევდა გზაში სიარული. მანანა ჰქვია.

—რა ვიცი, მაშინდელი რა უნდა მახსოვდეს.

—ორი კვირის წინ, ქვევით უბანში ახალგაზრდა ბიჭი რომ დაილუპა, დენმა რომ დაარტყა.

—ხო, ვიცი.

—ხო და იმის გვერდით ცხოვრობს, მანანა.

—ჰო, ვიცი, ვიცი. ხშირად მანქანებში ვხედავ, დასეირნობენ. ეს უკანასკნელი ნათქვამი არცერთს არ მოეწონა. გიამაც ინანა რომ ასე უხეშად თითქოს რაღაც ბრალი დასდო და ნოდარსაც არ ესიამოვნა, ის რომ შესაძლოა გიას მანანაზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა. ამიტომ ძალიან მოკლედ და ცოტა უგულოდ უპასუხა; ჰო, ბევრი მეგობრები ჰყავსო.

–კარგი გოგოა. გარეგნულად ლამაზია და მხიარული, ახლოს კი არ ვიცნობ და ვერაფერს გეტყვი მის ხასიათზე. შენ ალბათ რაკი გიყვარს ესეიგი უფრო კარგად იცნობ. რას გეუნება?

–ჯერ ერთხელ ვილაპარაკეთ და რა ვიცი, მე მგონი კარგად არის საქმე. ამის მერე ორივე გაჩუმდნენ, თითქოს უნდოდათ საუბრის თემა შეეცვალათ. ცოტა ხნის შემდეგ გიამ წამოიწყო საუბარი.

–დღეს ბაზარში ისეთი რამე გავიგე, მთელი ბაზარი ამაზე ლაპარაკობდა.

–რა, რა გაიგე?

–ამ ჩვენს ვალიკოს, ზემოთ რომ ცხოვრობს, დამპალი კაცი როა, ხომ იცი?

–ჰო.

–თავის ბაღში ვიღაც გოგოები მოუტანებია. ბალს იპრავდნენ თურმე. ერთი გაქცეულა, მეორე კი დაუჭერია და გაუუპატურებია. ამბობს ქალიშვილი იყოო. ეგ კაცი ხომ იცი, როგორი ბოროტი კაცია, რაღაცას იტყუება. თვითონ არ ამბობდა, წლებია დასაკრეფადაც არ ჩავსულვარო? ხეზე ასელა მაგას არ შეუძლია, არც ოჯახში ჰყავს ვინმე დამკრეფი და დავიჯერო ეხლა მოინდომა დაკრეფა? მარტო ჩავიდა დასაკრეფად და ქალიშვილი გოგო მოატანა? დაუჯერებლად მეჩვენება.

–ბალს იპარავდნენ? ორნიი? –ჩაილაპარაკა ნოდარმა შეშინებული ხმით და ტანში ციცმა ტალღამ გაუარა.

ქეთინო! ქეთინო და ვენერა იქნებოდნენ. ვენერა ხომ ცდილობდა ბალზე საკრეფად წაეყვანა. ესეიგი დაითანხმა და წაიყვანა. მაგრამ თუ წაიყვანა და ეს ბალი ვალიკოსი იყო ესეიგი წინასწარ მოაწყვეს.

–რა მოგივიდა რა ძალიან ჩაფიქრდი, აღარ მისმენ? – ჰკითხა გიამ.

–ჰო, გისმენ, როგორ არა. ყველაფერი შეიძლება ყოფილიყო.

–ჰოდა, მაგას ვამბობდი. ეგ ისეთი არაკაცია, შეიძლება თვითონ ძალით მიიყვანა იქ ვითომც ბალს იპარავდა და გააუპატიურა.

ნოდარმა კი თავისი ფიქრები გააგრძელა; აი, თურმე რატომ იყო ვალიკო ვენერასთან. როგორც ჩანს, ალბათ ამ საკითხზე მოილაპარაკეს. ამიტომ არის ქეთინოც, რომ ამ ბოლო დღეებში აღარავის გვენახვება. საწყალი გოგო. როგორ მხეცურად გააუბედურეს...

იქნებ შემთხვევითი დამთხვევაა და მეტი არაფერი. იქნებ ქეთინო არც წასულა ბალზე და ეს ამბავი სულ სხვას გადახდა უნდა შევამოწმო. უნდა გავიგო სიმართლე და პასუხი ვაგებინო ვალიკოს. ეს რომ შერჩეს არ შეიძლება.

გიას ჯერ არ ვეტყვი თორემ იქნებ ტყუილია და...

–რა მოგივიდა, სულაც აღარ მისმენ. მანანაზე ფიქრმა გაგიტაცა ასე? ჰკითხა გიამ.

–არა. ცოტა მუცელი წამომტკივდა და ცუდ ხასიათზე დამაყენა. –უთხრა ნოდარმა და შემდგომ დაამატა: – თანაც გამახსენდა, რომ დათოსთან ვარ წასასვლელი.

–მაშინ დავამთავროთ.

—არა ჯერ დრო გვაქვს კიდევ. —თქვა ნოდარმა და უნებლიედ ფანჯრისკენ გაიხედა. ფანჯრიდან გარეთ მზე არ ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ უკვე ჩასვლაზე იყო.

—მეც ვერ ვარ ხასიათზე, სხვა დროს განვაგრძოთ. —თქვა გიამ დარწმუნებულმა რომ განწყობილება თვითონ შეუცვალა ნოდარს, მანანას შესახებ ულამაზო გამოთქმის გამო. —მე მგონი რაღაც გაწყენინე. იმედია მაპატიებ.

—არა, რა უნდა გეწყენინებინა. მე არფერი მწყენია. უბრალოდ რაღაც გამახსენდა. ეს ამბავი შენც გეხება რაღაცა მაქვს დასაზუსტებელი. დავაზუსტებ და მერე გნახავ.

—რა საქმე მეხება?

—ეხლა ვერაფერს გეტყვი. ხვალ დილით გნახავ.

ბიჭები ქუჩაში გავიდნენ. გია სახლისაკენ წავიდა, ნოდარი კი საწინააღმდეგო მხარეს. მას არ უნდოდა გაეგო რომ ის "საქმე", რომლითაც ნოდარი დაინტერედა, ქეთინოს ეხებოდა და ამიტომ სხვა მიმართულებით წავიდა.

შებინდებამდე უაზროდ იარა ქუჩებში ნოდარმა და შებინდებისას შეეიდა ქეთინოს ეზოში. თან გიას ეზოსკენ იხედებოდა, რომ იქიდან არავის დაენახა. სახლთან ახლოს მივიდა, რომ ძალიან ხმამაღლა არ გამხდარიყო საჭირო დაძახება. რამდენიმეჯერ დაუძახა, მაგრამ არავინ გააგონა. შემდეგ კიდევ ერთ დაძახებაზე გაიგონა ოთახიდან გამომავალი ქეთინოს დედის ხმა რომელიც ამბობდა: გოგო, გეძახიან გაიხედე რას აკეთებ?

ცოტა ხანში კარების სახელურის ჩხაკუნიც გაისმა და ქეთინო გარეთ გამოვიდა.

—რა მოგდის გოგო, რამდენი მაძახინე? ღიმილით უთხრა ნოდარმა, მაგრამ ქეთინოს არ გაუღიმია.

ქეთინომ კარი მოიხურა და იქვე გაჩერდა.

—ქეთინო, მოდი ერთი წუთით, საქმე მაქვს.

—რა გინდა. —ცივად მიუგო ქეთინომ. ნოდარი დარწმუნდა, რომ ვალიკოს ნატრაბახევი მართლაც ქეთინოს ეხებოდა.

—ასე ცივად რატომ მპასუხობ, შენთვის რამე დამიშავებია?

ქეთინო წამოვიდა მისკენ, ახლოს გაჩერდა, და უთხრა; რისთვის მოხვედი? ნოდარიმაც ერთი ნაბიჯი გადადგა და სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზე გაჩერდა.

—მე შენ როგორც ჩემს პატარა დას ისე გიყურებ. ხომ იცი, მე და არა მყავს. ყოველთვის მინდოდა მყოლოდა, და მასზე მეზრუნა, მფარველობა გამეწია, მაგრამ არა მყავს, რა ვქნა. მე მინდა რომ შენ, ჩემი პატარა და იყო და შენზე ვიზრუნო, როგორც საკუთარზე. შენთვის ცუდს არასოდეს მოვინდომებ. ვიცი რატომაც ხარ ასე და სწორედ ამიტომ მოვედი. იმიტომ, რომ სწორედ ეხლა გჭირდება ყველაზე მეტად დახმარება და გვერდში დგომა.

ქეთინო ასლუკუნდა. ნოდარი უფრო ახლოს მივიდა, ხელი მოჰკიდა და დამშვიდება დაუწყო;

–ნუ გეშინია რა გატირებს? ყველაფერს ეშველება. მაგათთანა ნაძირალების გასახარად არ მოიქცე.

ქეთინო ეხლა უკვე სლუკუნიდან ტირილზე გადავიდა, ნოდარს მკერდზე თავი მიადო, ხელები მოხვია და ტირილით უთხრა.

–შენ მართლა ჩემი ძმა ხარ. ასეთ სიტყვებს ჩემთვის არავინ იტყვის. სწორედ ასეთი სიტყვები მენატრებოდა. მე ხომ მფარველი არავინ მყავს. თუნდაც უსუსური იყოს, ოღონდაც ნუგეშის მომცემი იყოს და...

ნოდარმაც მხრებზე ხელები მოხვია, მერე თავი აუწია და უნებლიედ აკოცა.

–კარგი, დაწყნარდი. რაც მოგიხდა შენი ბრალი არ არის.

კოცნაზე ქეთინო შეკრთა და ოდნავ განზე გაიწია.

–არ ვიცი, გუილით ამბობ თუ არა, რაც თქვი, მაგრამ მე მაინც დიდი მადლობელი ვარ. მე ხომ მართლა არავინ მყავს. მშობლები კი მყავს, მაგრამ მფარველობა მათ პირიქით ჩემგან სჭირდებათ. ჩემს გასაჭირს ვერაფერს ვეტყვი, რადგან ვერაფრით დამეხმარებიან და უფრო გართულდება ჩემიცა და ამათი მდგომარეობაც. ლამის გული გამისკდეს. არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე. თანდათან ტირილი შეწყვიტა. ესენი რომ არ მყავდეს, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ამათ რა ვუყო.

–სულელურ აზრებს თავი დაანებე. თავის მოკვლა გამოსავალი არ არის. ყველაფერი მოწესრიგდება.

–რა უნდა მოწესრიგდეს, სირცხვილით ქუჩაში ხომ ვეღარ გავალ. ალბათ მთელი ქალაქი ჩემზე ლაპარაკობს. ვინ იცის რას არ მიწოდებენ.

–შენ ვინც გიცნობს ცუდს არაფერს გიწოდებს. იმიტომ რომ არ დაგიმსახურებია. ვინც არ გიცნობს იმათთვის მხოლოდ სასაცილო ანეკდოტიეთია, რომელსაც მალე დაივიწყებენ. ზოგიერთი რეგვენი რას იტყვის, მათზე ყურადღება არ უნდა გაამახვილო. ამისთანა ნაგავებს კიდე, –ხელი ვენერას სახლისკენ გაიშვირა. –საერთოდ თავი არ უნდა გაუყადრო და არ უნდა დაელაპარაკო.

–რა დაავიწყებთ? ასეთ ამბავს არ ივიწყებენ. ქუჩაში რომ გავალ ჩემზე თითს მოიშვერენ და იტყვიან: აი ეს არის ის ქურდი და უნამუსო.

–არ არის ასე. რაც მოხდა შენი ბრალი არ არის. შენ ალალი და გულუპრყვილო გოგო ხარ. ამით ისარგებლეს ბოროტებმა და მოგატყუეს, შეგაცდინეს, ამას ხალხი ადვილად გაიგებს.

–ეგ შენ იცი, რომ ვენერა დიდხანს ცდილობდა ჩემს დაყოლიებას და ბოლოს მაინც დამიყოლია, მაგრამ ხალხმა ხომ ეს არ იცის? თანაც ძალით არავის წაუყვანივარ. მე ხომ მაინც ჩემი ნებით გავყევი. ვენერას არაფერი მოუტყუებია. ეს მისი ცხოვრების სტილია და თუ ცხოვრების გაზიარება უნდოდა, ამაში ის არ არის დამნაშავე. მან რაც იცოდა, ის შემომთავაზა. დამნაშაე მე ვარ, რომ მისი შემოთავაზებული მივიღე.

–შენ მართლა ძალიან გულუპრყვილო და ზედმეტად კეთილი ხარ. მასე არ არის შენ რომ ფიქრობ. ჯერ ერთი, მასეც რომ იყოს, ეს შემოთავაზება კი არა ჩათრევაა და მეორეც მე დარწმუნებული ვარ ეს წინასწარ გაითამაშეს ვალიკოს თხოვნით და ამაში ვენერა დიდ გასამრჯელოს მიიღებდა.

—შენ ასე ფიქრობ?

—ეფიქრობ კი არა დარწმუნებული ვარ. აბა მითხარი, რომ მიხვედით რა ნახე, მართლა მიტოვებულს არ ჰგავდა?

—კი. დიდი ბალახები და ბარდები იყო. ძლიეს გავიარეთ.

—ჰო. ეხლა მითხარი, რომ მოვიდა ხელში ვედრო ან რამე ეჭირა, დაკრეფილი ბალი, რომ ჩაეყარა?

—არა. არაფერი დამინახავს.

—ესეიგი ჩასაფრებული იყო და თქვენ გელოდათ და კიდევ, მითხარი, ამ ამბის შემდეგ, ვენერა რომ იქიდან გაიქცა და მიგატოვა, შენთან მოსულა?

—არა, არ მოსულა.

—ხომ ხედავ, წინასწარ მოწყობილი საქმე იყო. მოწყობილი რომ არ ყოფილიყო, იმავე დღეს მოვიდოდა შენთან, მაგრამ იმოტომ არ მოვიდა, ეშინია ხომ არ მიხვდი დაგებული მახე რომ იყო.

ცოტა ხანს ორივე გაჩუმდნენ. მერე ქეთინომ დაარღვია სიჩუმე.

—შენ მართალი ხარ. რა უტვინო ვყოფილვარ, ამას როგორ ვერ მივხვდი. აი რატომ იდგა ვენერა ყოველთვის გასასვლელისკენ. მე რომ ეჭვი მქონოდა ამას აუცილებლად მივხვდებოდი. თანაც ისე გაქრა, იმ კაცის გამოჩენამდე, ერთი სიტყვა არ უთქვამს. ალბათ არც გაიქცა სადმე ახლოს დაიმალა და სეირს უცქერდა.

—მიხვდი, რომ შენი დანაშაული არ არის, მოგიწყვეს ეს ყველაფერი?

—კი, ვხედები მაგრამ ეხლა რა ვუშველო. მე მაინც მეტი სიმტკიცე უნდა გამომეჩინა და ვენერას გავლენაში არ უნდა მოვხვედრილიყავი.

—წინასწარ ყველაფერს ვერ მიხვდები. ძალიან მზაკვრული გეგმაა და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

—როგორ უნდა აგონ პასუხი, ვინ აგებინებს? რომ ვუჩივლო, ამით რას მივაღწევ? მაინც ვერაფერს დავამტკიცებ. ეგენი ფულს ჩააყრიან, გაიმარჯვებენ, მე კი უფრო დამცირებული და დასაცინი გავხდები.

—აბა რა ექნათ პასუხი არ ვაგებინოთ?

—რა ეიცი, მე რა შემიძლია?

—კარგი. ეხლა მე წავალ და შენ დაწყნარდი, დამშვიდდი, ნერვიულობას, სულელურ ფიქრებს თავი დაანებე, მოიფიქრე რა გავაკეთო.

—ნოდარ, დიდი მადლობელი ვარ, თავიდან არავის ნახვა არ მინდოდა და არც შენი, მაგრამ ეხლა კმაყოფილი ვარ. რომ მოხვედი შენ მართლა ძმასავით მომექეცი და ცოტა შვება ვიგრძენი. თქვა ქეთინომ და თვალზე ისევ ცრემლი მოადგა, რაც ხმასაც შეეტყო.

—კარგი, კარგი. ეხლა ისევ ტირილი არ დაიწყო. მომხდარზე აღარ იფიქრო, მომავალზე იფიქრე. მომავალი მეტწილად შენზეა დამოკიდებული. ტირილს თავი დაანებე და ღიმილზე გადადი. აბა გაიღიმე. და ნოდარმა ისეთი ტონით უთხრა უკანასკნელი სიტყვა, რომ ქეთინოს წამით მართლა გაეღიმა.

—ხოო, აი ასე სჯობია. აბა კარგად იყავი. ჰო, მართლა. რა ადგილზეა ეგ ბალი, თუ რაღაცა ნაბაღარი.

—რად გინდა, რა მნიშვნელობა აქვს.

–მაინტერესებს. მინდა ვიცოდე.

–კარგი, გასწავლი, მაგრამ ხომ იცი იმ ადგილის გახსენება ყოველთვის გულს მტკენს.

ქეთინომ ასწავლა იმ ბაღის ადგილმდებარეობა, ერთიმეორეს გამოემშვიდობნენ და ნოდარი თავის სახლში წავიდა.

მეორე დღეს ნოდარი განთიადისას წამოდგა, ავტომანქანა გამოიტანა და ბაღის საძებრად წავიდა.

იმ ბაღისა და ბლის პოვნა არ გასჭირვებია, მალევე მიაგნო. ბალი თითქმის ხელუხლებელი იყო. უკვე გადამწიფებული ბალი საჭმელად აღარც კი ვარგოდა.

–აბა მაშ ვინ დაკრეფდა. თვითონ ხეზე ამსვლელი არ არის და... ან ვის უნდა აჭამოს ამდენი ბალი. გაყიდვით ეგ არ გაყიდის, ფული არ უჭირს და სხვას კიდე არავის აჩუქებს. –ჩაილაპარაკა ნოდარმა და უკან წამოვიდა. –უფრო მეტად აღელვებული.

სახლში რომ მივიდა გია ქუჩაში დახვდა და ნოდარის დანახვაზე მაშინვე მასთან მივიდა.

–დღეს ბაზარში არ მიდიხარ? –ჰკითხა ნოდარმა და ეცადა აღელვება დაემალა.

–არა. ყველაფერი მიტანილია, მე არ ეჭირდები. გუშინ რას ამბობდი? რა საქმე მეხება მეც?

–ხო, გეტყვი. სულ ერთია მინც გაიგებ და ჩემგან ჯობია გაიგო.

–რა უნდა გავიგო შენგან, რა უცნაურად ლაპარაკობ.

–მისმინე და გაიგებ. გუშინ შენ რომ ამბობდი ვალიკოს ასე და ისე უქნია ვიღაც გოგოსათვისო, ეს გოგო ქეთინოა.

–რაებს რიშავ, ვინ ქეთინო, რა ქეთინო? –აღელდა გია.

–ხო. ეს, ჩვენი მეზობელი ქეთინო.

როდის იყო ქეთინო ბლებსა დ რაღაცეებს იპარავდა. რეებს ლაპარაკობ. –უფრო მეტი გაბრაზებით და ცოტა ხმის აწევით თქვა გიამ.

–სწორედ ამაშია საქმე, რომ ის მოატყუეს, შეაცდინეს,

–ვინ შეაცდინა რას ამბობ? იგივე ტონით თქვა გიამ.

–ვინ და ვენერამ. ვალიკო მოელაპარაკა ვენერას, მან მოატყუა და წაიყვანა. ვალიკო იქ იყო ჩასაფრებული. ვენერა გამოიქცა და ქეთინო შეატოვა.

–რეებს ლაპარაკობ, არ გამაგიჟო. მართალია ეგ?

–ამიტომ არის რომ ქეთინო ერთი კვირაა გარეთ აღარ გამოდის.

–თუ ასეა, გუშინვე რატომ არ მითხარი?

–გუშინ დაზუსტებით არ ვიცოდი. საღამოს ქეთინოსთან ვიყავი და მართალი ყოფილა ჩემი ეჭვი.

გიამ ერთი საშინლად შეიგინა, და მოულოდნელად მოსწყდა ადგილს და ძალიან სწრაფი ნაბიჯით გავარდა ქუჩაში.

აშკარა იყო, რომ ვალიკოსთან მიდიოდა და ნოდარიც მაშინვე უკან გაჰყვა...

–შენ ჯერ არაფერი უთხრა. მე დაველაპარაკები გარეთ გამოვიყვანოთ და ჯერ ვათქმევინოთ. თქვა ნოდარმა.

გიას არაფერი უპასუხია, მაგრამ მისელისას მართლა შეძლო დროებით თავი შეეკავებინა.

–ვალიკო, შენთან გამოგეგზავნეს, ბალი გქონია გასაყიდი. უთხრა ნოდარმა და თან კართან ისე დადგა, რომ გადაეღობა ეზოში შესასვლელი.

–რა ბალი,´ სადა მაქ ბალი?

–ხომ გიდგა. გვითხრეს კარგი ბალი უდგასო.

–სადა მაქ. აღარა მაქ. გავყიდე. –დაბნეულად უპაუხა ვალიკომ.

–სუ ქეთინომ დაკრიფა?

–ვინ ქეთინო, რა ქეთინო, რა გინდათ ჩემგან

–ვინ მოატანე ბალს რომ გპარავდა?.

–ვინ მოვატანე სად მოვატანე, რეებს მაბრალებთ, რა გინდათ. –თქვა ვალიკომ და ეზოში შეეარდნა სცადა, მაგრამ ნოდარმა გზა გადაუღობა და დაარტყა.

–დასცხე ამ დამპალს, ლაპარაკი რაღად უნდა! წამოიძახა გიამ და წამსვე ჩხუბში ჩაერთო.

ნოდარს მეტი აღარ დაუტყავს. გია ისე ჩაერთო ჩხუბში რომ დახმარება კი არა მალე გაშველება დასჭირდა. ცხვირპირჩასისხლიანებული ვალიკო მიწაზე დაეცა. გიამ ეხლა წიხლით ცემა დაუწყო და თან აგინებდა უშვერი სიტყვებით. ამ ხმაურზე სხვებიც მოგროვდნენ და გია მოაშორეს ვალიკოს.

–ამ დამპალმა, ამ გარეწარმა, არა კაცმა ეს როგორ გააკეთა.

–კარგი თავი დაანებე, თორემ გიჩიელებს, ეგ ისეთია, უთხრა ერთმა მეზობელმა.

–ვის უნდა უჩიელოს, დასაჭერი თვითონ არი. სხვისი გაუბედურებით რომ შოულობს ფულს. ამდენ ახალგაზრდობას რომ წამლის ნარკოტიკებით არ ყოფნის, რომ ეხლა კიდე სხვებსაც აუბედურებს? –ამ სიტყვების თქმისას გია ხელიდან დაუსხლტა გამშველებლების და კიდევ ერთი წიხლი ჩაარტყა ვალიკოს, რომლის წამოყენებასაც ცდილობდნენ მეზობლები.

ამჯერად უკვე გიას გამოყვანა მეზობლების მიერ აღარ გახდა საჭირო, იგი თვითონ გამოეცალა. მოშორებით კი განაგრძო ლანძღვა.

–ამ ნაძირალამ უმწეო და დაუცველი გოგო ნახა, ბოზი ვენერა დაიხმარა და გააუბედურა საცოდავი.

აქეთ-იქით მოგროვილ ხალხში მითქმა-მოთქმა, ჩურჩული და ჭორაობა დაიწყო. ზოგს უკვე გაგებული ჰქონდა ვალიკოს "ვაკაციობის" შესახებ. უმეტესობას ჯერ არ გაეგო, ხოლო ვისაც უკვე გაგებული ჰქონდა, მათ არ იცოდნენ ვის, რომელ გოგოს ეხებოდა ეს ამბავი. უმრავლესობას არ მიაჩნდა ვალიკო კარგ კაცად და მათთვის ადვილი დასაჯერებელი იყო, რომ მართლა უმწეო გოგო მოატყუა. ზოგნი კი თავს იკავებდნენ ვალიკოს ნამოქმედარის განსჯისაგან.

გია და ნოდარი სახლისაკენ წავიდნენ. გზაში დროდადრო გია ისევ იგინებოდა ხმამაღლა. თავისი ქუჩისკენ რომ შეუხვიეს გიამ წამოიძახა: ეხლა ამას უნდა შეუვარდე კიდეო და ვენერას სახლისკენ წავიდა

მომატებული ნაბიჯით. ნოდარიც თან გაჰყვა, თუმცა აქ უკვე ქეთინოს გვერდით ეზოში ჩხუბი და აყალ-მაყალი ნამდვილად არ უნდოდა. ამიტომ უთხრა კიდეც გიას: –აქ ნუ დაიწყებ ჩხუბს სირცხვილია, ქვეყანა გაიგებს, ქეთინოს თავს ნუ მოჭრი.

–წადი რაა, თავი დამანებე. ისედაც ყველა გაიგებს. გუშინ ბაზარში მიოხრეს იმ გოგოს თქვენსკენ უცხოვრიაო. და საერთოდ თავი დამანებე. ფეხებზე მკიდიხართ შენც და ქეთინოც.

გია შევიდა ეზოში პირდაპირ სახლის კართან მივიდა და იქიდან დაუძახა ვენერას. ვენერა პირველივე დაძახებაზე გამოვიდა. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა თითქოს არაფერი მომხდარაო. როგორც სჩანს არ მოელოდა ვალიკო თუ ტრაბახს მოჰყვებოდა და ქვეყანას მოსდებდა ამ ამბავს.

–შე, ნაძირალა! შე, ნაგავო! შენ რომ ბოზობ ეგ საკმარისი არ არის? წესიერ გოგოებს, თანაც კარის მეზობლებს, რომ აუბედურებ. სინდისი არ გაქვს, კი ვიცი, მაგრამ ღმერთის რისხვის მაინც არ გეშინია? შენი გახრწნილი სული მეზობლებს გინდა გადასდო? მე'ზობლის გაუბედურებაში რომ ფულს იღებ, მაგას ვინ გაპატიებს? სად გგონია თავი? თუ სიცოცხლე გინდა ერთ თვეს გაძლევ ვადას აქედან მოშორდი, საერთოდ აღარ დაგინახო თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები. რომ წახვალ ეს სახლი დაწვი, რომ შენი გახრწნილი სუნი არ დარჩეს და აქაურობა არ აყროლდეს.

ვენერას ისე შეეშინდა, ფერი დაკარგა. ბოლომდე არც მოუსმენია აღელვებულ გიას მუქარას, სახლში შევარდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

გიამ წამოსვლისას ერთი წიხლი ჰკრა კარს გინებით და გარეთ გამოვარდა. ნოდარიც გამოჰყვა.

გარეთ ხმაურზე რამდენიმე მეზობელი გამოსულიყო.

–წამოდი ჩემთან, იქ ვილაპარაკოთ. ასე აღელვებული ხომ არ შეხვალ სახლში. –უთხრა ნოდარმა.

–ხომ გითხარი თავი დამანებეთ, ვერ გიტანთ შენც და ქეთინოსაც.

–მე რაში მადანაშაულებ?

–არაფერში, მაგრამ ვერ გიტანთ.

–კარგი, რადგან ასეა ... რას ვიზამ. –თქვა ნოდარმა და სახლისკენ წავიდა. გზაში მოესმა, ეზოში შესულ გიას ჰკითხეს რა მოხდაო, რაზეც მან ყვირილით უპასუხა თქვენი საქმე არ არისო.

სახლში მისული ნოდარი ფიქრობდა რაც განიცადა. რატომ არის რომ ისეთი ნაძირალა და გარეწარი, როგორიც ვალიკოა, ადვილად აღწევს ყველაფერს, თუნდაც ის რომ ადვილად მდიდრდება, პატიოსანი კი შიმშილობს? რატომ არ არის ელემენტარული სამართალი? პატიოსანს ყველანაირად აიძულებენ უსინდისო და გარეწარი გახდეს. ძველ დროში რომ ასე ყოფილიყო, აქამდე ხომ ვერ მოვაღწევედით, ქვეყანა ხომ განადგურდებოდა? რატომ შეიქმნა ასეთი ცხოვრება? ვიღას ახსოვს რუსთაველის აფორიზმი " სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი". ქეთინო კარგი გოგოა, მან რომ ფულიანი საყვარელი გაიჩინოს, ხომ კარგად იცხოვრებს, მაგრამ ამისთვის უკადრებელი უნდა

იკადროს, სინდისზე ხელი უნდა აიღოს და უნამუსოდ იცხოვროს. ერთი საყვარელი მუდმივად არ გაიჩერებს მობეზრდება, გააგდებს და მერე სხვა უნდა ეძებოს. ბოლოს რას მიიღებს? თუ ამ საყვარლებიდან ფული დააგროვა, შეიძლება ცხოვრება მოიწყოს და გადარჩეს. მაგრამ რის ფასად? საერთოდ დღეს ხომ ასეა, თუ უსინდისოდ არ მოიქეცი და უკადრებელი არ იკადრე, ფულს ვერ იშოვი. საით მიექანება ჩვენი ცხოვრება, ეს ხომ უფსკრულია. თუ გაყვები ცხოვრების მოთხოვნას, მთელ ქვეყანასთან ერთად უფსკრულში გადაიჩეხები და თუ არ გაყვები, შეიძლება უფსკრულამდე დაიღუპო. რა გამოდის ესეიგი არჩევანი არა გვაქვს?

რა უნდა ქნას ეხლა ქეთინომ? თითქმის კარზე მომდგარი ბედი ისე გაუფრინდა მისი არსებობაც კი არ იცოდა. გია ისე გაბრაზდა, ალბათ აღარ იფიქრებს ქეთინოზე. ქეთინომ კი სანაცვლოდ მიიღო კრიტიკული გზა-გასაყარი. ან გახდეს უნამუსო და იცხოვროს დროებით ცოტა უკეთესად, ან იყოს პატიოსანი და შიმშილში, ტანჯვაში გაატაროს დარჩენილი ცხოვრება, რომელიც შეიძლება სულ ცოტაღა ჰქონდეს დარჩენილი.

ამ ფიქრებში გაახსენდა რომ შეიძლება მათ უბრალოდ პერიც კი აღარ ჰქონდეთ სახლში. ქეთინო ხომ დიდი ხანია გარეთ აღარ გამოდის და ფულიც რომ ჰქონდეს, პურს როგორ იყიდის?

საწყლები, ალბათ მართლა მთელი ეს დღეები მშივრები არიან, წავალ პურს მაინც მივუტან. –გაიფიქრა ნოდარმა და წამოდგა.

ნოდარმა რამდენიმე პური, რამდენიმე საჭმლისთვის აუცილებელი კომპონენტები შეიძინა და ქეთინოსთან მივიდა. ქეთინომ პურისა და სურსათის დანახვაზე ნოდარს ნაღვლიანი მზერა მიაპყრო და თქვა: სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი, ეხლა კი... ის სიამაყეც აღარ დამრჩა ,,არი ვთქვა. ალბათ მათხოვრად ქცევას აღარაფერი მაკლია.

–რას ამბობ, გაჭირვების პერიოდი ყველას შეიძლება ჰქონდეს და ასეთ დროს ერთიმეორეს რომ დაეხმაროთ, განა ეს მათხოვრობას ნიშნავს?

ნოდარმა შენიშნა რომ ქეთინო მართლაც გამოცვლილიყო და არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ გარეგნულადაც, სახეზეც უფრო გამხდარი და ფერმკრთალი იყო.

–იმედია გადაგიხდი როდისმე ამ სიკეთეს. შემოდი სახლში, ძმობას მიცხადებ, სახლში კი არასდროს შემოდიხარ.

–სხვა დროს იყოს. ეხლა არა მცალია.

–კარგი, მაშინ, შეეიტან და გამოვალ ეხლავე.

ქეთინომ შეიტანა ოთახში ნოდარის მოტანილი და ისევ გამოვიდა.

–რა მოხდა დღეს, გიამ ჩემი მიზეზით იჩხუბა ვენერასთან?

–ჰო. და არა მარტო ვენერასთან. ვალიკო მაგრად ცემა. ქეთინო წამით დაფიქრდა.

–ასეთი შურისძიება რას მივაწეროთ, მაშინ როცა ჩემთან არც მოსულა. რატომ აღელდა ასე ძალიან?

–არ ვიცი. იქნებ უყვარხარ? ნოდარმა დაუმალა გიას მისდამი გრძნობა, რომ უფრო მეტად არ ეგრძნო თავი ქეთინოს უბედურად.

–უფრო სწორედ, შეიძლება ვუყვარდი. ეხლა კი...

–არა. არ ვიცი. ეს ჩემი ვარაუდია. დარწმუნებული ვარ მოვა.

–არა. არ მოვა. ამის გამო სულაც არ ვამტყუნებ. გია კარგი ბიჭია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემნაირ შერცხვენილთან სიყვარულს გრძნობდეს. ის არ იმსახურებს ჩემნაირ გოგოს.

–რეებს ლაპარაკობ, რა შერცხვენილი. შენ არაფერი დაგიშავებია, შინაგანად რაც იყავი, ისევ ის ხარ კეთილი, ჭკვიანი და პატიოსანი.

–შენ კარგი ბიჭი ხარ. ცდილობ გამამხნევო, რისთვისაც, რა თქმა უნდა დიდი მადლობელი ვარ, შენ შენი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე მოვლი კეთილად, ამიტომ პატივს მცემ და მეხმარები. ეს უფრო მართლა დამშურ სიყვარულთან არის ახლოს., მაგრამ ის სხვა რამეა. შენ რომ ყოფილიყავი მის ადგილზე შეიძლება შენც ასე მოქცეულიყავი.

–მე ხომ არ მითქვამს რომ უყვარდი? ეს უბრალოდ ჩემი ვარაუდია.

–არა ნოდარ. ეს ვარაუდი კი არა სიმართლეა. ამას მეც ვატყობდი. როცა ვინმეს ვინმე უყვარს ეს მეორისთვის ადვილი შესამჩნევია. შენ იმიტომ არ მეთანხმები, რომ არ გინდა გული გამიტეხო, მაგრამ მე ამის გამო გული არ გამიტყდება. მე ისეთი რამ შემემთხვა, ამაზე მეტი გულის გასატეხი რაღა უნდა იყოს? ამ შემთხვევამ თვითონ ჩამომართვა გულის გატეხვის შეგრძნება. მე ხომ სიყვარულის უფლება აღარა მაქვს.

–შენ მთლად გამაგიჟებ გოგო, შენ რომელ საუკუნეში ცხოვრობ? შენ ამ ქვეყანაზე არა ხარ? აბა მიიხედ-მოიხედე ხალხში. მარიოლა შერცხვენილები თხოულობენ. უყვარდებათ და ოჯახს ქმნიან. შენ რა გჭირს სამაგისო.

–კარგი. ამაზე აღარ მინდა საუბარი, შეეწყვიტოთ. შენმა თბილმა დამოკიდებულებამ ჩემდამი, ზედმეტად გულახდილი გამხადა. მაპატიე ამისთვის. მგონი ზედმეტი ვილაპარაკე.

–არა საპატიებელი რა გჭირს. შენ ხომ ჩემი და ხარ.

–ასეთი საუბარი ძმასთან ძნელია ალბათ ახლო მეგობართან შეიძლება მხოლოდ. წინათ მყავდა მეგობარი გოგონები, ჩემთან ხშირად მოდიოდნენ, მაგრამ შემდეგ ყველა თავის გზაზე წავიდა და დამივიწყეს. ეს ალბათ ჩემი გაჭირვების ბრალიც არის.

–შენ ახლა უიმედობა გჭირს. რა თქმა უნდა შენს მდგომარეობაში ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ აი, ნახავ გაეა დრო და ყველაფერი გამოსწორდება.

–მე ამის მერე ვიცოცხლებ არა ჩემი მომავლის იმედით, არამედ მშობლებისადმი ჩემი მოვალეობის გრძნობით.
მოვალეობის ვალდებულების შეგრძნებით.

ნოდარი ქეთინოს ეზოდან გამოვიდა და თავისი სახლისაკენ გატრიალდა. საპირისპირო მხრიდან კიბო მოდიოდა კოჭლობით. "კიბო" ერთი მოხუცი კაცის ზედმეტი სახელი იყო. მოხუცი კაცის შეხედულება კი ჰქონდა, მაგრამ შეიძლება არც იმდენად მოხუცი იყო რამდენადაც მის ამ შეხედულებას ძველი ტანსაცმელი და წვერგაუპარსაობა ქმნიდა.

კიბო ამ ქალაქში რამოდენიმე წლის წინ გამოჩნდა. პირველად ისე შეუმჩნეველად მოძრაობდა ხალხში ყველგან, რომ ხალხს მხოლოდ სახეზე დაამახსოვრდა და რადგან არანაირად არ გამოირჩეოდა ქცევა-მოქმედებით ან საუბრით, არავინ დაინტერესებულა ვინ იყო და საიდან მოვიდა. შემდეგ კი ისე გახდა ყველასათვის დიდი ხნის ნაცნობივით „შინაური", აღარც კი ახსენდებოდათ რომ ის მოსული იყო სხვა რაიონიდან. ზოგჯერ მომაბეზრებელი და უსიამოვნო საუბარიც იცოდა, რისთვისაც შეარქვეს "კიბო." ზოგჯერ კი, განსაკუთრებით ბოლო დროს ისეთი პიროვნებებისადმი, რომლებიც არ მოსწონდა 'მწარე" სიტყვებსაც იმეტებდა, რისთვისაც ხანდახან ცემითაც პასუხობენ.

—ნოდარ! დაუძახა კიბომ. —მომიცადე!

—როგორ არის ეს გოგო? ჰკითხა მიახლოებულმა კიბომ.

—ვინ, ქეთინო? რა ვიცი, ისე რა. კარგად ნამდვილად არ არის.

—მგლის ყბაში კრავი ნამდვილად სატირალია, მგლებისთვის კი საცინარი. —თქვა კიბომ და მცირე ხნის შემდეგ გააგრძელა. —ვაუკაცისათვის კი სატირალი და საცინარი კი არა საფიქრალი და საზიდარია.

კიბოს მეტი არაფერი უთქვამს. ნოდარის სახლის ეზოს შესასვლელამდე ერთად იარეს, შემდეგ კი ნოდარი თავის ეზოში შევიდა.

თავი II

კიბო

აგვისტოს ცხელი დღეები დადგა. ისეთი სიცხეები დაიჭირა ზოგჯერ 40 გრადუსსაც კი აჭარბებდა. ხის ფოთლები ოდნავ აიტრუსა, ზოგიერთი ხის ფოთლები მასიურად ამოიგრიხა და დამრგვალდა. ასეთ სიცხეში ხალხს ქუჩაში სიარული უჭირდა და ამიტომ შუადღისას ხალხის მოძრაობა ქუჩებში საგრძნობლად მცირდებოდა. ეს ზაფხული მაინცდამაინც გვალვიანი არ იყო. პირიქით, სხვა ზაფხულებთან შედარებით საშუალოზე მეტი წვიმები იყო, მაგრამ აგვისტოს ამ დღეებში საშინელი სიცხეები დაიჭირა.

ნოდარი დილაადრიანად თავიანთი ქუჩის ბოლოს გზაჯვარედინზე იდგა, სადაც, ამ ქუჩას შედარებით უფრო ფართო უბნის ცენტრალურ გზად მიჩნეული ქუჩა კვეთდა. აქ იგი ელოდა ნუგზარს და საშკას, რომელებიც მასთან ერთად დათოს უნდა წაეყვანა კარტოფილის ამოსაღებად სამუშაოზე.

ნუგზარის გამოჩენამდე დიდი ლოდინი არ დასჭირვებია,მალე დათოც გამოჩნდა თავისი ახლად ნაყიდი ძველი მოსკვიჩით. ბიჭები ჩასხდნენ და წავიდნენ დათოს სახლისაკენ.

—ეს არის შენი "მერსედესი" —ჰკითხა ნოდარმა.

—ჰო, ეს არის... ძველია, მაგრამ რა ექნა, უკეთესის ფული მე არ მაქვს და —უპასუხა დავითმა.

—კარგია, რა გინდა, ხომ დაგორავს... რამდენი მიეცი? — ჰკითხა ნუგზარმა

–300 ლარი მიეეცი. ჯართია მაგრამ ცოტა შევაკეთე და მანქანას დაემსგავსა.

–კარგია, ძმაო, რა გინდა, საქმეს ხომ აკეთებს.

–სახლში გაეიელი, ორი კაცი კიდე გველოდება... ბარებიც აეიღოთ და ...თქვა თავის ქუჩაზე გადახვევისას დათომ.

დათოს სახლთან ორნი მრთლაც ილოდნენ. ერთს არ იცნობდა ნოდარი, ხოლო მეორე სახელად შაქრო, საპენსიო ასაკში შესული კაცი იყო, რომელსაც ჭკვიანი, ყოჩაღი, დაუზარელი კაცის სახელი ჰქონდა.

მიწის ნაკვეთი, სადაც ამოსათხრელი კარტოფილი იყო გზის პიზეეე მდებარეობდა. ნაასფალტარ გზიდან, რომელზეც ორმოების დიდი სიღრმის გამო გაჭირვებით დადიოდნენ ავტომანქანები, დათომ მანქანა თუთის ჩრდილში გვერდით, შესასვლელის სიახლოვეს გადააყენა და გადმოვიდნენ მანქანიდან.

– ასეთი დანგრეული უნდა იყოს სასაფლაოსკენ მიმავალი გზა? ქვიშა მაინც დაყარონ ამ ორმოებში. – თქვა ნუგზარმა.

–სასაფლაოს გზა ხომ ის გზაა, სადაც მდიდარი თუ ღარიბი ყველა გაივლის, ეს მაინც გააკეთონ. –თქვა ნოდარმა. –იქ ხომ ჩვენს წინაპართა სამუდამო სამყოფელია და პატივისცემა გვმართებს. თანაც სასაფლაოს ზემოთ ხომ ეკლესიაც არის.

–ეეჰ, წინაპართა ხსოენა და პატივისცემა ეხლანდელ მოავრობას ფეხებზე ჰკიდია, ეკლესია კი აქ აღარავის სჭირდება, შორს არის. –თქვა შაქრომ. –ეხლა ხალხს ორი ნაბიჯით ზედმეტის გადადგმა ესიკვდილება, თუნდაც ამას ღეთის სიყვარული და პატივისცემა მოითხოვდეს. ააშენებენ ცენტრში, სადმე, სადაც მეტი ხალხი დადის, შევა მღვდელი და მორჩა. შეაგროვებენ მრეველს, გაიმართება წირვა, ლოცვა და დადნებიან უფლის სიყვარულით. აქ კი, ამ მამაპაპურ ეკლესიაზე ხეები ამოდის და ძროხები შედიან. ასეთი მოქმედება-მდგომარეობა ღვთის სიყვარულს კი არა, დაგებულ მახეს უფრო ჰგავს, ვაჭარი ხომ მაგიდას იქ დგამს, სადაც ბევრ ხალხს იპოვის. ეკლესია იქ უნდა აიგოს, სადაც ღმერთის ძალაა და არა იქ სადაც ვინმე ფულიანი მოისურვებს. უფალი უსახლკარო მათხოვარი არ არის, რომ სადაც აუშენებენ, ნებისმიერ ადგილზე სიხარულით შევიდეს.

–აბა რა ქნან არ ააშენონ? დასახლებაში ეკლესია არ არის და სადღაც ტყეში ააშენონ? –თქვა ნუგზარმა.

–უკვე აშენებულს თუ დაანგრევ და სხვას, თუნდაც უკეთესს აუშენებ, ამით პატივს კი არ სცემ შეურაცხყოფ.

ჯერ აშენებულებს მივხედოთ, ეშმაკებს ნუ დაეუთმობთ და მერე, როცა შევისწავლით რა პრინციპით არჩევდნენ ადგილს ჩვენი წინაპრები, მერე ავაგოთ ახალი.

–უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, არ გაგიგია? –წამოიძახა საშკამ.

–დასვენებულზე დილით ადვილია კამათი, ენერგიით სავსეები ხართ. აბა საღამოს თუ გექნებათ კიდე ფილოსოფოსობანას თავი, ენახოთ. –თქვა დათომ და თან მიუთითა; –ბოლოდან დაეიწყოთ, აქეთ გამოვყვეთ,

რომ ამოღებული კარტოფილის ხელმეორედ ზიდვა არ მოგვიწიოს. ბოლოში გავიდნენ და დაიწყეს ამოთხრა.

—ისინი ალბათ მზესუმზირას ჭრიან? —შეკითხვით მიუთითა ნოდარმა მეზობელი მიწის ნაკეეთისაკენ დავითს, საიდანაც ხალხის შეძახილები და ხმაური ისმოდა.

— ჰო, ალბათ, რა ვიცი. უკვე დრო კია და... —უპასუხა დავითმა.

—ამ საშინელ სიცხეში როგორ მუშაობს ხალხი. დილითვე რომ ასე ცხელა, ორი-სამი საათისათვის რაღა იქნება? —თქვა ნოდარმა.

—ალბათ 40 გრადუსზე ავა.

—ამ მზეში, ხომ მოიხარშება კაცი, მზეზე ხომ ალბათ 60 გრადუსზე მეტიც იქნება?

—აბა რა ქნას ხალხმა, არსებობა ხომ უნდა? დაუთესია, მოუყვანია მოსავალი და არ დააბინაოს, სიცხეს შეუშინდეს?

—მართლა საშინელებაა ასეთ სიცხეში მუშაობა, მაგრამ როცა იძულებულია ხალხი, არც იხარშება და არც დნება —თქვა დათომ.

—ეს სიცხეები მარტო წელს კი არ არის. მილიონობით წელი გამოიარა ადამიანმა თავის ევოლუციურ ჩამოყალიბებაში ასეთ სიცხეებში. ცხოვრობდა, წვალობდა, ებუებოდა და ყალიბდებოდა გარემო პირობების შესაბამისად. —თქვა ნოდარმა. —ასე რომ, მართალია ძნელი ასატანია ასეთი სიცხე, მაგრამ არა უცხო. მის შემგუებლობის უნარში თავსდება და ამის გამო არ მოკვდება.

—რა ვიცი, რადიოში და ტელევიზორში კი აცხადებენ ევროპაში 38 გრადუსზე ავიდა ხალხი იხოცება და ფრთხილად იყავით მზეზე არ გამოხვიდეთო. —თქვა საშკამ.

—ეგ გაფრთხილება ჩვენთვის კი არა მზეთუნახავებისათვის არის. —თქვა შაქრომ.

—ეგ მზეთუნახავები ვინ არიან, ლამაზი გოგოები? —თქვა საშკამ და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

—გოგოებიც და სხვებიც, ოღონდ ლამაზები კი არა, ისეთები, რომლებმაც ბევრი ფული იშოვეს, სხვისი ნაშრომის მითვისებით. კედლების შიგნით მოიწყეს კომფორტული ცხოვრება და მზე აღარ სჭირდებათ. მაგ საცოდავებს სამოთხე იქა ჰგონიათ. იმ სამოთხით განებივრებულნი, ბუნებრიობას მოსწყდნენ და იმუნიტეტი დაუქვეითდათ. გარდა ამისა, თავიანთ "სამოთხეში" ჩაკეტილებს, თავი ანგელოზები ჰგონიათ. ჩვეულებრივ ადამიანურ სუნს თაკილობენ და სუნი რომ დამალონ დეზადორებს ისხურებენ. დეზადორი კი ოფლის გამოყოფას და აორთქლებას აჩერებს, რის გამოც, ორგანიზმის გაგრილება აღარ ხდება. ასეთი ადამიანი ამ სიცხეში, რომ გამოვა, მოკვდება აბა რა მოუვა. მზე მათ ცნობიერებაში მარტო მათი ფიზიკური გარემოს გამნათებელი, გამთბობი და ტალახის გამშრობია. ეს ხომ ელექტრო დენსაც შეუძლია და ამიტომაც დენსაც შუქს ეძახიან.

—სხვა რაღაა მზე, თუ კაცი ხარ ერთი მითხარი რა? — უთხრა ნუგზარმა.

—მზე ჩვენი სიცოცხლის და სულიერების წყაროა, მზე მამაა ჩვენი. მისი ხილული და უხილავი შუქი ჩვენი შემქმნელია. შემქმნელი

ყოველივე სიცოცხლისა დედამიწაზე და ამ სიცოცხლის მთავარი მასაზრდოებელი. –თქვა ძია შაქრომ.

–მზე, მზეა რა. ამდენი ფილოსოფია რად უნდა, დაგცხება ჩრდილში შეეფარო, შეგციოდება მზეზე გახვიდე. მამაჩემი მზე კი არა გურგენაა. –თქვა საშკამ.

–აბა, მაშ რა ქნან, ოფლის სუნით იარონ? –თქვა ნუგზარმა.

–შოთა რუსთაველმა თქვა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების". სუნი იმასა აქვს, რაც ორგანიზმიდან გამოდის ოფლთან ერთად. თუკი ორგანიზმს არ დაიბინძურებენ, და თავისდროზეც დაიბანენ, სუნიც აღარ ექნებათ. –უპასუხა ძია შაქრომ.

–დათო! აქამდე რატომ არ ამოიღე კარტოფილი, ბალახს რომ გადაუელია ზედ. დაგვიანებული არ არის? –ჰკითხა ნუგზარმა.

–მიწაში უფრო კარგად ინახება. აქამდე რომ ამომეთხარა, ამ სიცხეში დაჭკნებოდა და ზამთრისთვის აღარ ივარგებდა. ბალახი კი ეხლა ბოლო დროს წამოვიდა, თორემ თავის დროზე კარგად იყო მოვლილი. –უპასუხა დავითმა.

–თუ ასეა, ეხლაც დააცადე და სექტემბერში ამოიღე. –უპასუხა ნუგზარმა.

– კიდე რომ დავიცადო, ბალახი ისე გადაფარავს ველარ ვიპოვი.

–ჰო, ეგ კი ეტყობა. კარგად რომ არ მოგეველო, ასეთი მსხვილი არ იქნებოდა. –თქვა შაქრომ.

–ნოდარ, შენ რა ქენი, შენც ხომ გეთესა კარტოფილი? – ჰკითხა ნუგზარმა.

–მე ცოტა მეთესა. სამი ტომარა ამოვიღე და ერთი ქეთინოს მივეცი.

–ხო, მართლა. მაგ გოგოს საქმე როგორ არის, არ უჩივლა? –ჰკითხა დათომ.

–უარი თქვა. მაგას ფული აქვსო, ფულს ჩააყრის და შეიძლება აქეთ დამიჭირონ ქურდობის ბრალდებითო. ისე სცხვენია, საცოდავი გარეთ ვერ გამოდის.

–ჰო, ეს მართალი უთქვამს. ჩვენს უკუღმართ ქვეყანაში ეგეც მოსალოდნელია, მაგრამ ვალიკოს ეს არაკაცობა უნდა შერჩეს? – თქვა დათომ.

–შენ ეგ გიკვირს? მთელი საქართველო გაძარცვა ჩვენმა მთავრობამ. სახელმწიფო ქონება ხომ უკანონოდ ჩაიგდეს ხელში და დანგრიეს, რაც ხალხს ჯიბეში ჰქონდა ისიც ამოაცალეს და თვითონ მიითვისეს. ამაზე ცუდი რაღა შეიძლებოდა მთავრობას ხალხისათვის გაეკეთებინა? მაგრამ ხალხს ხმა არ ამოუღია. პირიქით, ბევრი ასეთი გაძარცვული ისევ ამ მთავრობას ექომაგება და ამის შემდეგ რაღა გიკვირს? ამისთანა დაბეჩავებული ხალხი ყველაფრის ღირსია. ხალხი რომ ხალხს ჰგავდეს, მაგ ვალიკოს ცოცხალს არ დატოვებდა. წინათ ხალხი ასეთ რამეს როგორ აპატიებდა –თქვა დათომ.

–ხალხი არ ვიცი, მაგრამ გიამ კი სცემა მაგრად. – თქვა საშკა

–ერთი რამ ვერ გამიგია, გიამ რომ სცემა და ქეთინოს კი ახლო აღარ გაჰკარებია, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქეთინო ჰყვარებია, მაგრამ

მე ვერ გავიგე თუ უყვარს რატომ არ მიდის ქეთინოსთან და თუ არ უყვარს ან გადაიფიქრა, მაშინ რატომღა სცემდა? მხოლოდ იმიტომ რომ ჩაშლილი სიყვარულისთვის სამაგიერო გადაუხადა? –თქვა დათომ.

– აბა, მაშ ვალიკოს ნათრევი რაღად უნდოდა? –თქვა საშკამ.

–ნათრევი რა სიტყვაა? –გაბრაზებით უთხრა ნოდარმა.

–ქეთინო კარგი, პატიოსანი გოგო იყო და ეხლაც არის. ბოროტი კაცის არაადამიანური საქციელით ქეთინოს პატიოსნებაზე არ უნდა იმსჯელო.

–ეგ მართალია, მაგრამ გია არ აკითხავს და რა ჩემი ბრალია? –თავი იმართლა საშკამ.

–ეგ გია, მგონი შენც აღარ გელაპარაკება, არაა? – თქვა ნუგზარმა და ნოდარს გადახედა.

–ჰო, თავს მარიდებს ჯერჯერობით. ალბათ რცხვენია. თორემ მე რა შუაში ვარ, რას მემდურის ვერ გავიგე. მე თუ ქეთინოს გვერდში დავუდექი, იმიტომ რომ მეცოდება და ამით მე ჩემი ადამიანური მოვალეობა შევასრულე. მარტო მე კი არა, ხომ ხედავთ უბანს როგორ ეცოდება და ზოგიერთი ეხმარება კიდეც. –თქვა ნოდარმა.

– ჰო, ბევრს ეცოდება. აბა ყველას ქვის გული კი არა აქვს. ამიტომაც არის რომ ვენერა გადადის იმ სახლიდან. იმ ამბის მერე ყველა ამრეზილით უყურებს და მიხვდა, რომ იმ უბანში აღარ დაედგომება. – თქვა ნუგზარმა. –გიასაც ფინანსები ვერა აქვს ალბათ. მანქანა გაყიდა.

დათომ ახლოს მდგარ ნოდარს დაბალი ხმით უთხრა, – შენ რა ჰქენი, ხეღები მანანას?

–კი, ორჯერ შევხვდი. ხვალაც უნდა შევხვდე ამხანაგი ჩამოსდის და... შენა ნახე მაია?

–არა ვერ ვახერხებ, გარეთ არ გამოდის.

–ამას შეხედეთ, რა კარტოფილია! – წამოიძახა დათოს მეზობელმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია და დათოსთან მიიტანა. –ამისთანა კარტოფილი გინახავთ სადმე? შალაფის ფესვი როგორ არის ბატარებული შიგ კარტოფილში, თან რამდენია, ამდენმა ფესვმა როგორ გაიარა ერთ კარტოფილში.

დათომ გამოართვა ხელში, გადაატრიალა ყურადღებით და თქვა:

–კლერტის გავლილი კარტოფილი ბევრჯერ მინახავს, მაგრამ ამდენს რომ გაევლოს თანაც სხვადასხვა ბალახის ჯიშის და ასე დახლართული არ მინახავს.

ყველა დააინტერესა ამ კარტოფილმა. მოგვიანებით შაქროც მიეიდა, დახედა და თქვა:

–ჰო მართლაც ბევრი კლერტია. თანაც როგორი ახლართულ-დახლართულია ჩვენს ცხოვრებასავით.

–რომ ყუყურებ კიბო მგონია. არა ჰგავს? – თქვა ნუგზარმა.

–კიბოს მართლაც ჰგავს, მაგრამ უფრო საინტერესო სხვა რამეა. – თქვა შაქრომ.

–რა სხვა რამე? – იკითხა ნუგზარმა.

–რა და ის, რომ კარტოფილი ჩვენი მამაპაპური ბოსტნეული არ არის. სულ რაღაც ასი წელი თუ იქნება რაც ჩვენთან შემოვიდა. მართლაც მეტად საჭირო რამ გახდა ჩვენთვის.

–მერე, აქ უცნაური და საინტერესო რა არის? – იკითხა ისევ ნუგზარმა.

–სწორედ რომ საინტერესოა. ამ კარგ შემოსულს უცხოეთიდან, ჩვენი სარეველა ებრძვის. თანაც ფარულად, მიწის ქვეშ ებრძვის და თუ არ გაიაზრე ვერ დაინახავ. ცუდი კი რაც მოჰყვა იმას ადგილობრივი არაფერი შეეწინააღმდეგა, ფართოდ გავრცელდა. კოლორადოს ხოჭოს რომ ეძახიან, ისიც ხომ უცხოეთიდან შემოვიდა და ისე გამრავლდა, რომ რამდენჯერმე თუ არ შეწამლე კარტოფილი, მოსავალს ვერ მიიღებ. ეს შემოსული ხოჭო მარტო შემოსულ კულტურას –კარტოფილს კი არ ანადგურებს, არამედ აქაურსაც.

–ცხოვრებაშიც ასე არ არის? – თქვა ნოდარმა.

–ცხოვრებაშიც ასეა და სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. –გააგრძელა შაქრომ –რაც კარგი შემოდის ჩვენს ქვეყანაში მას ფარულად ებრძვის ადგოლიბრივი "სარეველა," –კორუფცია თუ სხვა რამ. რაც ცუდი შემოდის კი: უსულგულობა, გაუტანლობა, სექსუალური აღვირახსნილობა და სხვა, არაფერი შეეწინააღმდეგა ადგილობრივი და ფართოდ გავრცელდა. შემოსული ცუდი აქაურ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ტრადიციებს: კაცთმოყვარეობას, კულტურას, ენას და სხვა ძვირფასსაც, მათ შორის იმ უცხოეთიდან შემოსულ კარგსაც ანადგურებს.

–შაქრო ძია, შენ შაქრო კი არა, შაქარო უნდა გერქვას, რა ტკბილად იცი ლაპარაკი. მართლა ეგრეა. –თქვა ნუგზარმა. –სიტყვა კაცთმოყვარეობა თურმე ევროპაში სხვანაირად ესმით. ამასწინათ ბიძაჩემთან ატმის ბაღში, სტუმრები ჩამოიყვანაეს, ბიძაჩემს კარგი ბაღი აქვს, კარგი აგურის ქოხი აივნით, ციცი წყალი მოჩუხჩუხებს, კაი ჩრდილია და მოკლედ კარგი საქეიფო ადგილია. სტუმრები მოიყვანეს, არ ეიცი დანიიდან თუ ჰოლანდიიდან. ჰოდა კარგი სუფრა გაიშალა, მწვადები, ღეღლები, შინაურული ღვინო... სუფრაზე თამადა ბიძაჩემი იყო, რამდენიმე სადღეგრძელოს მერე სიყვარულის სადღეგრძელო დალია. ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოსო, სტუმრის პატივისცემა და სიყვარული მამა-პაპამ ჩაგვინერგაო, მამა-პაპამ გვასწავლა კაცთმოყვარეობაო. თარჯიმანმა რომ გადაუთარგმნა, ესენი აბურდღუნდნენ. ბიძაჩემს გაუკვირდა. რაო, რას ამბობენო, ჰკითხა თარჯიმანს და იცი, რა უთქვიათ, კაცო? ჩვენ ცისფერები არა ვართო. ბიძაჩემმა არ იცოდა ცისფერი რას ნიშნავდა და რომ ავუხსენით, კაცი გადაირია. ეს შობელძაღლები რა შეურაწყოფას მაყენებენ, ამათ ჩვენ ვინა ვგონიეართო. ამის მერე, ამ ძვირფასი სადღეგრძელოს დალევისა უნდა მეშინოდეს, რომ ეიღაც უცხოელმა სხვანაირად არ გაიგოს? უნდა ამოვშალოთ გონებიდანო?

მონაყოლმა ყველა გაამხიარულა.

–ჰო, ოცი წლის წინ არავინ იცოდა ცისფერობა რას ნიშნავდა. ეს ახლა მოიგონეს, თორემ ცისფერი ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკულ და საყვარელ ფერად ითელებოდა. ღვთაებრივ ფერად მიაჩნდათ. ახლა კი, როცა დარტყმულების ფერად შერაცხეს, ყველას ერიდება ამ ფერზე საუბარი. –თქვა დათომ.

—დარტყმულები რომ უწოდე შეიძლება ცოტა უხეში გამონათქვამი იყოს, მაგრამ დაავადებულები კი ნამდვილად არიან. —თქვა შაქრომ. არსებობს ორი სქესი მდედრობითი და მამრობითი. მესამე ეგრედწოდებული საშუალო არ არსებობს, ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური დაავადებაა, რომელსაც მკურნალობა სჭირდება და არა რეკლამირება და პრივილეგიები, რომელიც გაავრცელებს ამ დაავადებას. — ჩვენთან ასეთი ადამიანი ძალიან იშვიათია, იმიტომ რომ ისინი პრივილეგირებულნი კი არა, გაკიცხულნი იყვნენ საზოგადოების მიერ და ამ დაავადების გავრცელების ფსიქოლოგიური პირობები ისპობოდა. ეხლა კი, როცა დასავლეთის ქვეყნის მიბაძვით მათი საქციელის გამართლება-რეკლამირება ხდება და ლამის წახელმწიფო დაცვაც კი გამოაცხადონ მათი საქციელისადმი, ალბათ გამრავლდებიან. ასეა, სადაც მათ პრივილეგიები და დაცვა აქვთ, იქ უფრო მეტად მრავლდებიან და იხრწნება საზოგადოება.

ევროპულ ენებში მაგალითად რუსულში არის მდედრობითი, მამრობითი და საშუალოც, რაც განსხვავებული დაბოლოებებით ბოლოვდება. ქართულში ასეთი რამ არ გვაქვს. საგნის თუ არსების მდედრობით-მამრობითს, დაბოლოება კი არა, თვით სიტყვის არსი უნდა განსაზღვრავდეს. რატომ უნდა იყოს მაგალითად, სახლის გარკვეული ნაწილი მდერობითი, გარკვეული ნაწილი მამრობითი და გარკვეული ნაწილი საშუალო სქესის?

—რა ნაწილებია ასეთი? —დაინტერესდა საშკა.

—მაგალითად რუსულში კედელი მდერობითია, ჭერი მამრობითი, ფანჯარა საშუალო. ერთი მთლიანის ასე დაყოფა მე მგონი არასწორია. ფსიქიკას არევს... „თავდაპირველად იყო სიტყვა". სიტყვა სქესობრიობაზე ადრე იყო და მისი დაყოფა ასე არ შეიძლება.

—კარგით, გვეყოფათ ლაპარაკი თორემ შუადღე წამოვიდა. თან საქმეც გაეაკეთოთ, ნამეტანი ფილოსოფოსობა გაგვაზარმაცებს და კართოფილი ამოსაღები დაგვრჩება. —თქვა ნოდარმა.

ამის შემდეგ, თითქოს დაიღალნენ ლაპარაკითო, დიდი ხანი ხმა აღარ ამოუღიათ. სადილობაც წყნარად, თითქმის ულაპარაკოდ ჩაატარეს და კარტოფილის ამოღებაც შუადღე გადასული იქნებოდა, რომ დაამთავრეს. კართოფილით სავსე ტომრებით დატვირთეს ავტომანქანა და რადგან თვითონ ვეღარ ჩაეტეოდნენ, დათო მარტო გაუშვეს სახლში. თვითონ კი დათოს მოლოდინში გზისპირას მოკალათდნენ თუთის ჩრდილში. მწეველებმა დასხდომისთანავე სიგარეტი მოიმარჯვეს.

—ამ საშინელ სიცხეში რომ დაგვესვენა და საღამოს გვემუშავა, არ ჯობდა? — თქვა საშკამ.

—მერე, დაბინავებაც ხომ უნდოდა კარტოფილს, თანაც ისე ზუსტად როგორ მოზომავ დროს, რომ არ დაგრჩეს კარტოფილი ამოსაღები? —თქვა ნოდარმა.

—როგორ დამწვარხარ ზურგზე, ერთი ნახეთ რას ჰგავს, მთლად დამწვარა. — თქვა საშკამ.

—შენ რა, ასე არა ხარ? ყველა ასე ვართ. მერე რა, ხალხი პლიაჟზე დადის ამისთვის., ჩვენ საქმე მაინც გაეაკეთეთ. —თქვა ნოდარმა.

—საღამოს რამე წაეისვათ, თორემ კანი აგვძერება.

—სხვათაშორის, კანის აძრობა თურმე სასარგებლო ყოფილა. —თქვა შაქრომ. —კანი რომ ძერება, თურმე ისეთი რამე ხდება, რომ კანს კიბოს გაჩენის საშიშროებისგან იცავს.

—ასე რომ იყოს, მთელ კიბოთი დააეადებულებს მზეზე გამოიყვანდნენ. — თქვა ნუგზარმა.

—მე ვთქვი, კიბოს გაჩენამდე და არა უკვე გაჩენილზე. თანაც კანის აძრობის შემდეგ კვლავ მზეზე ყოფნა თურმე პირიქით, ზრდის გაჩენის საშიშროებას.

—ეგ არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ კიბოსგან ბევრი ხალხი იხოცება. —თქვა ნუგზარმა. მარტო ჩვენს ნაცნობებში რამდენი ადამიანი გარდაიცვალა კიბოთი. აი, ნოდარის დედაც ხომ კიბოთი გარდაიცვალა.

ამ დროს გზაზე თაეისი ჯიპით ჩაიარა ავთანდილ გიორგეეიჩმა, რომელსაც მანქანაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ჩაესვა. მაგნიტოფონის საკმაოდ მაღალი ხმა ვერ ფარავდა მათ მხიარულ ლაპარაკს და სიცილ-კისკისს.

—აი, ცხოვრება ამან უნდა დაიკვეხოს. ფული ბევრი აქვს და მთელი დღეები ასე ქალებში გულაობს.

—რატომ არ იგულაეებს რა, ხალხის ქონება ხელში ჩაიდგო, იმავე ხალხს თავზე აზის და ეხლა იქიდან წოვს ხალხს. მაგ ფულით რამდენი იმავე ხალხის გოგო გააუბედურა. —თქვა ნუგზარმა.

— "დრონი მეფონენ, არა მეფენი". —თქვა ნოდარმა.

—შენ გგონია მაგან დიდი ბედნიერება იპოვა? —თქვა შაქრომ — არც მთლად მასეა საქმე როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ცხონებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე მაგისთანა ხალხზე: "კატა ქლიბს ლოკავდა და სისხლი სდიოდა, მას კი ეგონა სისხლი ქლიბს სდისო და უფრო და უფრო მეტად ლოკავდაო. მაგის საქმე სწორედ ასეა. მაგას ჰგონია იმ ქალებს აკლებს რამეს და თვითონ რომ აკლდება, ამას ვერ ხედავს.

—შაქრო ძია, რას ამბობ, მაგას რა აკლდება? კარგს ჭამს, კარგს სვამს და მაგრადაც გულაობს. ფული იმდენი იშოვა ახალი რომ არაფერი იშოვოს მთელი ცხოვრება ეყოფა და რა აკლდება ერთი მითხარი? აბა, ჩვენ ვართ კარგად, ხელები მაზოლებით გვაქვს სავსე და ამ სიცხეში მაგასაეით ციეი ლუდი კი არა,ციეი წყალიც ვერ დაგვილევია. —უთხრა საშკამ.

—ქარის მოტანილს, ქარიეე წაიღებს. —თქვა შაქრომ, —მუქთად ნაშოვნი, მუქთადვე წავა და თან ბევრ ძვირფასსაც წარიტანს. მაგ ქალებში სიარულით არაფერი შეემატება. ის წამიერი სიამოვნებაც ილუზიია ბედნიერებისა, რომელიც მალევე ქრება და კარგს არაფერს ტოვებს. ამის ნაცვლად კი ცარიელი, გამოფიტული სული რჩება. ვერც ოჯახში ცოლთან და შვილებთან იპოვის ბედნიერებას, რადგან იმ ძვირფას სასიყვარულო გრძნობას, რომელიც ოჯახის წევრებთან სჭირდება, გარეთ ნიავს ატანს. იმ ქალებსაც ხომ, რა თქმა უნდა მაგის სიყვარული კი

არა, ფულები და წამიერი, ყალბი ბედნიერება იზიდავთ. ამიტომ ვერც ოჯახში იპოვის ბედნიერებას და ვერც გარეთ, რადგან ის, ვითომ ბედნიერება ფულისაა და არა მისი. ამ ქვეყნიდან ოთხი ფიცრის მეტი არავის არაფერი წაუღია და თუ ის, ოთხი ფიცარი სხვებისაზე უფრო ძვირფასია, ეგეც, ამ ქვეყნიური გამორჩეულობის სურვილის და ამპარტავნობის შედეგია. იმ ქვეყნად არც ეგ გამოადგება რამეში. დღევანდელი კვერცხი არ უნდა გერჩიენოს ხვალინდელ ქათამს, თორემ ხვალ ხომ კვერცხიც აღარ გექნება. ამ ქვეყნიური ცხოვრება არ არის მხოლოდ ადამიანის არსებობა. იქ რომ წარსდგება, ღმერთის წინაშე, აი იქ რას მიიტანს, მთავარი ეგ არის. შენი აზრით რა შეუძლია მაგას, იქ რომ მიიტანოს, ღმერთის წინაშე? რესტორნებში და ქალებთან მიღებული სიამოვნება, რომელიც იქვე დარჩა? ეგ რომ რესტორნებში კარგ საჭმელებს ჭამს, იმაზე უფრო გემრიელია ჩვენ რომ ზოგჯერ ცარიელ პურს ეჭამთ ის არის. იმიტომ, რომ მაგის გემოვნებაში ყველაფერი გაუფასურებულია. ყველაფერს გემო მაშინ აქვს, როცა გშია, გენატრება და მერე შეჭამ. შენ რომ ყოველდღე მწვადი და შოკოლადი გაჭამო, ისე მოგბეზრდება, დასანახად შეგზიზღდება. ფულსაც და საჭმელსაც გემო მაშინ აქვს,როცა საქმე გიყვარს,შრომით მოიპოვებ და ბედნიერება მა'შინ არის როცა ამ მონაპოვარს იგემებ, გარშემო მყოფი საყვარელი ადამიანების თანხლებით. ნუ გგონია, რომ ვინმემ მილიონი იშოვოს და ამით ჩვენზე ბედნიერი გახდეს. ეს მხოლოდ შორიდან ჩანს, რაც ნაწილობრივ შურის ბრალია. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ბევრისთვის მდიდარი არამზადა ხდება მისაბაძი. გაგიგიათ უშვილო ცოლ-ქმარის ამბავი, ბევრი ფული რომ ჰქონდათ და ყოველდღე ჩხუბობდნენ?

—არა, არვიცი, აბა მოგვიყევი. — უპასუხა საშკამ.

—ჰოდა, ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ბევრი ფული ჰქონდათ, მაგრამ შვილები არ ჰყავდათ. გამუდმებით ჩხუბობდნენ. მათ მეზობლად კი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა, რომლებიც ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობდნენ. ისეთი გაჭირვებულები იყვნენ ხშირად საჭმლიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ მხიარულად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ერთი დოლი და ჩონგური ჰქონდათ და სულ ცეკვა-სიმღერით ცხოვრობდნენ.

ერთხელ ერთმა მეზობელმა უთხრა ამ უშვილო ცოლ-ქმარს კაცო, თქვენ ამდენი ფული გაქვთ და სულ ჩხუბობთ, აგერ იმათ, სულ არაფერი არა აქვთ და ცეკვა–სიმღერაში ბედნიერად ცხოვრობენ. რა მოგვიდათ, რა გაჩხუბებთ, რა ვერ გაიყავითო? ისინი მშიერები, თქვენ როგორ გჯობიან, ისინი ხომ ბევრნი არიან და უთანხმოებაც მეტი უნდა ჰქონდეთო? ამ კაცმა უთხრა: კარგი მაშინ და ხვალ ვნახოთ, კიდე ექნებათ ცეკვა სიმღერაო?

მეორე დღიდან, მართლაც მრავალშვილიანი ოჯახიდან ცეკვა-სიმღერის ხმა აღარ გაუგონიათ. ერთი კვირის შემდეგ კი პირიქით, ჩხუბისა და აყალ-მაყალის ხმები გამოდიოდა. გავიდა თვეები და იმ ოჯახში ჩხუბი არ შეწყვეტილა. მაშინ იმ კაცმა ისევ ჰკითხა ცოლ-ქმარს: კაცო, რა ჯადო გაუკეთე იმ ხალხს ასეთი, რომ ვეღარ დაწყნარებულანო? მან კი უპასუხა: არაფერი, უბრალოდ ერთი შეკვრა

ფული გადაეუგდე ეზოშიო. ასე რომ, ფული პრობლემებს ამრავლებს და არ ამცირებს.

–მაშ, თოხზე და ბარზე მუშაობა, ყოფილა მისაბაძი. –თქვა ნუგზარმა.

–რატომ მაინცდამაინც თოხზე და ბარზე მუშაობა? სხვაც უამრავი საქმიანობაა. საქმე ის კი არ არის რას საქმიანობ, არამედ ის, თუ რა სინდისით და რა სიყვარულით აკეთებ. საძრახისი ბევრი ფულის შოვნა კი არა, უსინდისოდ ფულის შოვნაა. ქვეყნის ეკონომიკა ფულიანმა ხალხმა უნდა ააშენონ, აბა უფულო რას გააკეთებს, მაგრამ უსინდისოდ ნაშოვნი ფულით ეკონომიკას ვერ ააშენებ, რადგან მას ისეთი ბაცილა სდევს თან, რაც ერთს თუ აკეთებს, ათასს კიდე აფუჭებს, თავისსე უფრო ფასეულს. ტალახით აშენებული კედლები დიდხანს ვერ იდგება ფეხზე. ფული დიდი ძალაა, რომელიც ასაშენებლადაც შეიძლება გამოიყენო და დასანგრევადაც. უსინდისო კაცის ხელში ის დამანგრეველ ძალად იქცევა.

– ჰო, ეგრეა. ამ ავთომაც დანგრეეით იშოვა ფული და იმის მერეც სუ ანგრევს. აბა გაკეთებით რა გაუკეთებია? რამდენი გოგო გააუბედურა, რამდენი ოჯახი დაანგრია. ისინი სულ ფულით არ შეაცდინა? –თქვა ნოდარმა.

–ეალიკო რა, ეგრე არ არის? ნარკოტიკებით ნაშოვნი ფულით გათავხედდა და საწყალი ქეთინო გააუბედურა. ქეთინოს დედამ რომ გაიგოს, ამას ხომ ვეღარ გადაიტანს. ჯერ ბიჭის სიკვდილმა როგორ მძიმედ იმოქმედა, მას შემდეგ ლოგინად არი ჩაწოლილი. –თქვა ნუგზარმა.

–აი, დათოც გამოჩნდა. –თქვა საშკამ და ყველამ გ'ზაზე მომავალი მანქანისკენ გაიხედა.

მეორე დღეს ნოდარმა საგანგებოდ გარეცხა თავისი ავტომობილი და დათქმულ დროს გაუარა მანანას სახლში. მანანა გამზადებული დახვდა. ჩაჯდა მანქანაში და ავტოსადგურში წავიდნენ მანანას მეგობრის დასახვედრად. ნოდარმა ავტომანქანა ისე გააჩერა, რომ მოსიარულეთათვის დიდად თვალში საცემი არ ყოფილიყვნენ და ამავდროს თავისუფლად ედევნებინათ თვალი ავტობუსიდან ჩამოსული მგზავრებისათვის. ასე უფრო მყუდრო გარემო შეიქმნებოდა და თავისუფლად შეძლებდა მანანასთან საუბარს. მართალია, იქვე ახლოს უსაქმურთა და კლიენტმომლოდინე ტაქსის მძღოლთა ჯგუფი იდგა, რომელნიც ანეგდოტებითა და ჭორიკნობით, ერთობოდნენ, მაგრამ ისინი ჯიხურს მიღმა იყვნენ და უმრავლესობა არ ჩანდა.

–მე მგონი კარგი ადგილია, არა? –ჰკითხა ნოდარმა.

–რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ჩანდეს ჩამომსვლელი და არ გამოგეეპაროს.– უპასუხა მანანამ. –მალე მაინც მოვიდეს, ამ სიცხეში დიდხანს არ გვალოდინოს.

–შენს გვერდით სიცხეში კი არა, თუნდაც ცეცხლში გაძლებ.

–შენ თუ დაწვა გინდა, მე რაღაზე მწვავ. შენ იდექი მარტო თუ გინდა ცეცხლში, მე არ დავდგები. –ნასიამოვნები ღიმილით უპასუხა მანანამ.

—კარგი, მარტო ვიდგები, თუკი ჩემდამი სიყვარულს გაგიღვიძებს. —თქვა ნოდარმა და თან მარჯვენა ხელით მისი მარცხენა დაიჭირა და თავისკენგადმოიტანა. მანანას წინაღმდეგობა არ გაუწევია.

—მე გიჟი კი არა, ჭკვიანი ბიჭი მინდა. ცეცხლში დგომით თავს ვერ შემაყვარებ. —ისევ ღიმილით უპასუხა მანანამ.

—მაშინ მითხარი, რა გავაკეთო, რომ შემიყვარო? ან საერთოდ ცოტათი მაინც არ გიყვარვარ? — ღიმილითვე უთხრა ნოდარმა.

—ცოტათი კი, სულ ცოტათი. აი ამდენით — უთხრა მანანამ, და თან მარჯვენა ხელი ასწია, მოხრილი, საჩვენებელი და დიდი თითის ერთმანეთთან მიახლოებით აჩვენა ცოტას გამოსახატავი ჟესტი.

—მაშინ არა უშავს, მართალია თითებს შორის ქაღალდის ფურცელი ძლივს გაეტევა, მაგრამ იმედია გაიზრდება მანძილი, თორემ, ჩემი თავი სულ წყალწაღებული მეგონა.

—თანაც ისეთი წყლით, რომელსაც ხავსიც არა აქვს, არაა?

—არა, ეგ უკვე მეტისმეტია. უხავსოდ ხომ აქაც არ ვიქნებოდი? აქ წამოსვლა ერთერთი ხავსია რომელსაც ვეჭიდები.

ქუსის ქვემოდან ვალიკომ გამოიარა და უსაქმურთა ჯგუფს შეუერთდა. მისი დანახვა ნოდარს არ ესიამოვნა და ცოტა განწყობილება შეეცვალა, რის გამოც შემდგომი საუბარი ცოტა უყურადღებოდ გააგრძელა. ყურადღება ნაწილობრივ იქით გაექცა და უნებურად მოსმენა დაიწყო მათი ლაპარაკის.

—აბა ერთი მოგვიყე, როგორ იყო, პატარა გოგო რომ დაიჭირე ბალ'სე? —უთხრა ერთერთმა მძღოლმა, რის შემდეგაც ზოგიერთების სიცილი მოესმა.

—სუ მაგაზე ხომ არ უნდა ვილაპარაკო, უკვე მთელმა რაიონმა იცის.

—მიჰყე შენც კიდე'რა, ბენზინი გეხარჯება თუ ნისკარტი მოგიცვდება?

—იყო რაა, რა ვიცი... რასაც ეძებდა იპოვა...

—მართლა ქალიშვილი იყო?

—ქალიშვილი არა,..

—აკი ადრე ამბობდი, ქალიშვილი იყოო.?

—ქალიშვილი რომ ყოფილიყო და წესიერი გოგო, მოსაპარად შეეიდოდა სხვის ადგილში?

—ქალიშვილი იქნებოდა, აბა ვირიშვილი ხომ არ იქნებოდა? თქვა ერთერთმა, რომელიც არ ჩანდა და შემდეგ ყველამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

ნოდარი ისე ანერვიულდა, ლამის კანკალი დააწყებინა. ერთი კი იფიქრა, გადავალ, პასუხს გავცემო, მაგრამ მანანას გამო თავი შეიკავა.

—შენ რა, აღარ მისმენ? —მოესმა ამ დროს მანანას ხმა და ეხლა მიხედა, რომ მანანას აღარც კი უსმენდა. —რა დაგემართა, რა არის? ისეთი რა ვთქვი რომ სულ შეიცვალე?

—მაპატიე მანანა, აღარც კი გისმენდი. ისინი ჩემს მეზობელ გოგოზე ლაპარაკობენ, ხომ გაგიგია, ერთი გოგო რომ გააუპატიურეს მინდორში? კარგი გოგოა და...

–ხო, ვიცი. გამიგია. მერე მაგის გამო ნერვიულობ? მერე რა მოხდა, გაეა დრო და დაავიწყდება. ეხლანდელ დროში ეგ რა საშინელებაა? თუ არ უნდოდა ისიც რას მიძვრებოდა?.. მჯდარიყო სახლში...

–არა, შენ არ იცი. ის სუ სხვა გოგოა...

–კარგი რაა, რა სხვა გოგოა? ასეთები არიან ჩუმჩუმელები, ჩუმათ დაძვრებიან და სხვებ'ხე კიდე ჭორაობენ.

–შენ ხომ არ იცნობ როგორია?

–არ ვიცნობ მაგრამ...

–ის თავისით არ წასულა, მოტყუებით წაიყვანეს. მაგ ნაძირალამ თვითონ მოუწყო. –ამ დროს ნოდარის ყურადღება ისევ მომატებული ხმით მოლაპარაკე ვალიკოსკენ გადავიდა.

–უნდა გენახათ, როგორ მეხვეწებოდა, ოღონდაც მილიციაში არ წამიყვანო და რასაც გინდა მოგცემო. მე კიდე არ ვიკადრებდი, მაგრამ გახდა დაიწყო და რა მექნა, მეც ხო კაცი ვარ?

–არა, შენ კაცი არა ხარ! შენ ნაგავი ხარ. –მოესმა ხმა ნოდარს. ეს კიბოა? კიბოს ხმას ჰგავს. –გაიფიქრა ნოდარმა. ხო. ნამდვილად კიბოა.

–არა, თუმცა, ნაგავი კი არა, გარეწარი ხარ და ნაძირალა. –გააგრძელა კიბომ. –ნაძირალა, რომლის ადგილიც ნაგავსეა და შენც მოგინახავს შენი ადგილი. ნაგვები ესენი არიან, რომ დამდგარან დ გისმენენ. ნაგვები არიან, იმიტომ, რომ სხვანაირად წესიერი ხალხი შენთან ვერ გაჩერდებოდა, სიცილ-ხარხარით არ მოისმენდა შენი მხეცობის გადასხვაფერებულ ამბავს. ნაგვები არიან კიდეე იმიტომ, რომ ესენი სიცილით და წაქეზებით ხელს უწყობენ შენნაირი ნაძირალების გამრავლებას და ამით, თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს ღუპავენ. ღუპავენ იმიტომ, რომ შენნაირები თუ გამრავლდებიან, მაგათგანის შვილებსა და შვილიშვილებსაც მისწვდებიან და ამაში დამნაშავეები თვითონ იქნებიან. დასანანია, რომ თქვენი ცოდვების გამო თქვენი შთამომავლობა უნდა დაისაჯოს და არა თქვენ, რომლებიც ეხლა სხვისი უბედურებით ტკბებით და თავს ირთობთ.

–მართლა მათხოვარი და მაწანწალა რომ ჩვენ დაგვიწყებს ჭკუის სწავლებას, კარგად გექონია საქმე. – თქვა ეროერთმა. –ჩვენ თუ ნაგავი ვართ, აბა, შენ რაღა ხარ? შენი საქმეა ღირსეული? ნაგავი რომ ხარ, იმიტომ არ დაგარქვეს კიბო?

–მერე ვინა თქვა, რომ ღირსეული ვარ? მე ერთი უბადრუკი მაწანწალა ვარ, არც სახლი მაქვს და არც კარი. ხალხი მინახავს და ხალხი მაჭმევს. მე შთამომავლობა არა მყავს, მაგრამ სხვისი მიყვარს და გული შემტკივა, იმიტომ, რომ ეს ჩემი ხალხი და ჩემი ერია. შენ კი, საკუთარიც არ გიყვარს, რადგან მათ მომავალზე არ ფიქრდები. არ ფიქრდები, რა ქვეყანას უტოვებ მათ და როგორ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება შენნაირების შემწეობით.

–შე გამოტვინებულო, მე ვინ მკითხავს ამ ქვეყნის ავ–კარგს? ყველამ თავის შვილს თვითონ მოუაროს. –თქვა იგივე მძღოლმა.

—აი, თუ არ გკითხავს, შენს შვილიშვილს რომ მოატყუებს და გააუბედურებს ვალიკოს ნაირები, მაშინ გაიხსენე ეს ლაპრაკი და მიხვდები, რომ ასეთების არსებობა შენი ბრალია.

—წადი, შე დამპალო, ძაღლიშვილო! რა წაიგრძელე ენა!

—დაიყვირა იგივე კაცმა, თან მიუახლოვდა კიბოს, რომელიც ამ დროს თითქოს გაქცევას აპირებდა და წიხლი ამოარტყა. კიბოს მათთვის მეტი აღარაფერი უთქვამს, შებრუნდა, გაიქცა კოჭლობით და თან ყვიროდა, როგორც ხშირად იცოდა; "მეორე მოდის!," "მეორე მოდის!"

—გაანებე თავი, მაგას თავისი არ ეყოფა? გიუია და გიუს რა ცემა უნდა. გიუს თუ აჰყვები შენც გიჟი იქნები არ იცი? — უთხრა მეორე მძღოლმა.

—ერთი ეგ ვერ გამიგია, ეგ რაღა იცის-ხოლმე, მეორე მოდის, მეორე მოდისო, რომ ყვირის, ვის მეორეს გულისხმობს? — თქვა ერთერთმა.

—ალბათ, ქრისტეს გულისხმობს, მეორედ მოსვლა მოდისო.

—რელიგია მაგას არა სწამს და რა ქრისტე, ალბათ სტალინზე იძახის, მეორე სტალინი მოდისო.

—სტალინი კი არა, ალბათ მეორე თავისნაირ გიუს ელოდება და იმაზე ყვირის მეორეც მოდის და მარტო აღარ ვიქნებიო.

—აი, ჩამოვიდა ნოდარ, — მე გადავალ და მოვიყვან, —თქვა ამ დროს მანანამ და მანქანიდან გადავიდა. ავტობუსიდან ჩამოსულ 20-22 წლის მოხდენილ გოგოს შეეგება და მანქანისკენ გამოუძღვა... ნოდარი ავტომანქანიდან გადმოვიდა და ჩამოსულ სტუმარს გაცნობის მიზნით ხელი გაუწოდა. გაცნობის შემდეგ ავტომანქანაში ჩასხდნენ და ნოდარმა მანქანა დაძრა ადგილიდან.

—ნოდარ, ხვალ ხომ წამოხვალ, რომ გითხარი, არ დაგავიწყდება?

—ტაძრების დასათვალიერებლად?

—ხო. ალაევერდში წავიდეთ, გრემში და...

—კი, წავიდეთ. რა დროს მოვიდე თქვენთან?

—ღღეს საგზალს გავამზადებ და ხვალ დილით ადრე წავიდეთ, სანამ დაცხება, ასე 10 საათისოვის.

—ეგ არი გოგო დილით ადრე? 5 საათზე თენდება და 10 ზე უკვე ცხელა.

—კარგი მაშინ 9-ზე. ადგომაც ხომ გვინდა. 5-ზე რა ამაყენებს?

— ხო, კარგი 9-ზე მოვალ. 10-ს მაინც სჯობია.

—მადლობთ, რომ მოგვემსახურე. —თქვა მანანამ ჩასვლისას და ორივე ეზოს კარებს მოეფარა.

ნოდარი გამობრუნდა და 'უკმაყოფილო ფიქრობდა; ეა, რაღა ეს ვალიკოც ეხლა მოეთრია იქა, ლაპარაკის საშუალება არ მომცა. არა უშავს, ხვალ ხომ მთელი დღე ერთად ვიქნებით...

დილით ცხრის ნახევრისათვის მივიდა ნოდარი მანანას სახლთან. დათქმულ დროზე ადრე იმიტომ მივიდა, რომ დაეჩქარებინა გოგონების გამზადება. ისინი ჯერ კიდე ლოგინში იწვნენ და მანანას დედის ძახილზე, თქვენი ამხანაგი მოვიდა, გელოდებათო, —გაიღვიძეს.

ვიდრე გაემზადებოდნენ ერთი საათი გავიდა და მხოლოდ ათის ნახევარზე გავიდნენ. თათიამ სთხოვა მანანას წინ მე დავჯდები, რომ

უკეთ დავათვალიეროო. თანხმობის მიღებას არც დაელოდა, წინა კარი გამოაღო და ლაღად მოკალათდა. ნოდარს არ ესიამოვნა. წინ მანანას ყოფნა ერჩია, მაგრამ არაფერი უთქვამს.

–ჯერ საით წავიდეთ, საიდან დავიწყოთ? – ჰკითხა ნოდარმა.

–რა ვიცი. მძღოლი შენ ხარ და საითაც წაგვიყვან იქით წამოვალთ.

–თუ ასეა, ჩემი აზრით, ალავერდიდან სჯობია დავიწყოთ. –თქვა ნოდარმა და გეზი ალავერდისაკენ აიღო...

შესასვლელში სანთლები იყიდეს, ეზოში შევიდნენ, ტაძარს შემოუარეს და შემდეგ შიგნით შევიდნენ. სანთლების დანთებისას სამივე ცალკ-ცალკე სხვადასხვა მხარეს წავიდა და ვისაც საით მოესურვა იქ დაანთო.

–დედა, რამსიმაღლეა, იქიდან რომ გადმოვიხედო,. გული გამისკდება. –თქვა თათიამ.

–საქართველოში ყველაზე მაღალი ტაძარია, ყოფილ საბჭოთა კავშირში კი მეორეა სიმაღლით. –თქვა ნოდარმა.

–მართლა? როგორ, სვეტიცხოველზე მაღალია?

–დიახ, მაღალია. –ამაყად მიუგო ნოდარმა.

–შენ ეგ მითხარი, სანთელი ვის დაუნთე? –ჰკითხა მანანამ ნოდარს.

–როგორ თუ ვის? რა თქმა უნდა უფალს.

–მაგას კი არ გეკითხები, სანთელს რომ ანთებდი რა ინატრე?

–რა ვიცი, არაფერი მინატრია.

–რატომ, სანატრელი არაფერი გაქვს?

–სანატრელი ბევრი რამ მაქვს, მაგრამ ჩემი ნატვრებით ღმერთს ხომ არ შევაწუხებ? რისი ღირსიც ვარ ისედაც მომცემს, ზედმეტს კი, არც ნატვრით ამისრულებს.

–ვითომ ასეა? მართლა არაფერი ინატრე?

–ეს გველი რატომღაა აქ გამოსახული? გველი ხომ ეშმაკს ნიშნავს და ტაძარში რატომ არის? –იკითხა თათიამ ჭიშკარში გამოსვლის დროს და მიუთითა ზემოთ.

–არ ვიცი, ეს მღვდელს ჰკითხე. შეიძლება იმიტომ, რომ გველი სიბრძნის სიმბოლოა, –თქვა ნოდარმა და გამოსახულებას შეხედა.

–ჩვენთან სიბრძნის კი არა, ეშმაკის სიმბოლოა. –თქვა თათიამ.

–თათია ძალიან გაუთამამდა ნოდარს და ბევრ შეკითხვას აძლევდა სხადასხვა უაზრო საკითხებზე. ნოდარს ცხადია არ მოსწონდა ეს, მას მანანასთან სურდა საუბარი, მაგრამ მაინც თავაზიანად პასუხობდა. შეკითხვები ძირითადად ნოდარის პირად ცხოვრებას ეხებოდა. ასეთი სითამამე ცოტა არ იყოს აკვირვებდა ნოდარს, მაგრამ ყველაზე უფრო ის აოცებდა, რომ თათია ისედაც მოკლე კაბას მანქანაში ჯდომოსას, კიდე უფრო ზემოთ იწევდა. აშკარა იყო, რომ ამას განზრახ აკეთებდა, მაგრამ ისე იქცეოდა თითქოს ეს ჩვეულებრივი მდგომარეობაა და ამაში უცნაური არაფერია. მეტიც, ზოგჯერ განგებ ისე მოხდენილად აამოძრავებდა ფეხებს, აშკარად ცდილობდა ყურადღების მიქცევას. ნოდარსაც რამდენჯერმე გაექცა თვალი ამ 'სილამაზისკენ", მაგრამ ძირითადად მაინც ცდილობდა არ შეეხედა, თუნდაც იმიტომ რომ მანანას არ სწყენოდა.

მანანა კი ამას საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. ან ვერ ხედავდა, ან მისთვის სულერთი იყო. გზად თეთრიგიორგის სახელობის ტაძარში შეიარეს და სანთლები დაანთეს.

ეკლესიაში შესულ ნოდარს ელდა ეცა –ეს რა უქნიათ, როგორ შეუღებავთ? –თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გამოთქვა გულისწყრომა. – აქ ხომ ძველი ფრესკები იყო. მართალია დიდი ნაწილი დაზიანებული იყო, 'მაგრამ იმის განადგურება მაინც როგორ შეიძლებოდა? ეხლა ეს რას ჰგავს? რაღაც მოთხუპნულს უფრო ჰგავს, ვიდრე დახატულს.

–უფრო ლამაზი არ არის? ახალი საღებავი ხომ მაინც სულ სხვაა. –თქვა მანანამ.

–მე ფრესკებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ძველი, გარდა იმისა რომ ისტორიული ხელოვნების ნიმუში ოყო, ამაზე გაცილებით ლამაზი და მნიშვნელოვანი ჩანდა.

–ეს შენ'ზე კარგად, მღვდლებმა იციან და მათ საქმეში ნუ ერევი. –თქვა ისევ მანანამ.

–ის რა ჰკიდია იმ კაცს მხარზე? –იკითხა გარეთ გამოსვლისას თათიამ და მიუთითა კაცზე, რომელსაც მხარზე ძველებური ორღანი ეკიდა.

–ეგ ორღანია. –უპასუხა ნოდარმა.

–რა ორღანი, უკრავს?

–ხო, არ მოგისმენია? ძველ კინოფილმებშიც არის.

– დააკვრევინე რა. –სთხოვა ნოდარს თათიამ.

ნოდარი მივიდა ორღანიან კაცთან და სთხოვა: –შეგიძლიათ დაუკრაო? უცხო სტუმარი მყავს და

–აბა, მე აქ რისთვის ვდგავარ, ძმაო. ამხელა ყუთი რომ ამიკიდია და ამოვსულვარ ამ სიმაღლეზე გიჟი კი არ ვარ. გადაიხადე და დავუკრავ.

ნოდარმა ხუთ ლარიანი ამოიღო და მისცა. კაცმა გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო და ორღანიც აჟღერდა მუსიკალურად.

–ვა, რა მაგარია! ეხლა გამახსენდა მინახავს როგორ არა, ტელევიზორში მაქვს ნანახი. –აღფრთოვანდა თათია.

მეარღნემ ორი მელოდია დაუკრა და რომ დაინახა შემკვეთები მანქანაში სხდებოდნენ, დაკვრა შეწყვიტა.

ნოდარმა გეზი ეხლა გრემისკენ აიღო. ვიდრე ალაზნის ხიდს მიუახლოვდებოდნენ გოგონებმა დაიჩივლეს მოგვშივდაო. ნოდარმა კარგი, ჩრდილიანი, სუფთა ადგილი შეარჩია და ავტომანქანა გააჩერა. გადმოიღეს საგზლით სავსე პარკები და სუფრა გაშალეს. სუფრაზე კარგად მოილხინეს. ჰყვებოდნენ სხვადასხვა, საკუთარ თუ სხვის გადახდენილ საინტერესო, სასაცილო ამბებს. თათიამ აქაც გამოიჩინა თავი, მხიარულებით. ბალახზე მჯდომი თათია ვერ ისვენებდა და ხშირად იცვლიდა მდგომარეობას. ფეხებს ისე ამოძრავებდა, რომ ნოდარმა რამდენჯერმე დაინახა მისი ვარდისფერი საცვალი. ცდილობდა თვალი მოერიდებინა, მაგრამ ისე მოულოდნელად სწვევდა თათია ფეხებს, რომ ნოდარი თვალის მორიდებას ვერ ასწრებდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ თათია ამას განგებ აკეთებდა, თუმცა ნოდარი ვერ ხვდებოდა

ასეთი ქცევა რაში სჭირდებოდა. რატომ არ რცხვენოდა სრულიად უცხო ბიჭის.

–ნოდარი, რატომ ხარ მოწყენილივით? – ჰკითხა თათიამ და ნოდარს შეხედა.

–მოწყენილი არა ვარ, საერთოდ ასეთი ვარ.

–რა ვიცი, ხანდახან ჩაფიქრებული ხარ. შეყვარებულზე ხომ არ ფიქრობ? მერე რა, არც მანანას ჰყავს აქ თავისი ზაზა, მაგრამ მოწყენილი არ არის.

–ზაზა შეყვარებული კი არა, თაყვანისმცემელია და ასეთები სხვებიც არიან. მე შეყვარებული არ მყავს. –განაცხადა მანანამ.

–კარგი, თაყვანისმცემელი იყოს. ხომ ფიქრობ მასზე? ყველა გოგო ფიქრობს თაყვანისმცემელზე, თუკი ჰყავს ასეთი.

–რა თქმა უნდა თაყვანისმცემელზე უნდა იფიქროს. თუ არ იფიქრა, ისე ხომ ვერ შეუყვარდება? –თქვა ნოდარმა და წამოდგა. –წავალ, წყალს მოვიტან. თქვენც ხომ გინდათ? ცოტა გათბებოდა, მაგრამ რა ვქნათ, სხვა არ გვაქვს.

–ხო, წამოიღე ჩვენც დაელევთ. –უთხრა მანანამ.

ნოდარი მანქანისკენ წავიდა. როგორც კი გოგონებს დაშორდა, დაბალი ხმით ნათქვამი მოესმა: რატომ თქვი ასე გოგო, ხომ გითხარი რომ მაგასაც ვუყვარვარ.

–მერე რა, შენ ხომ არ გიყვარს.

–არ მიყვარს, მაგრამ...

–რომ წაგართვა გული ხომ არ დაგწყდება?

ნოდარმა მანქანის კარი გამოაღო და მანანას პასუხი ვეღარ გაარჩია. მანქანიდან წყლის ბოთლი გამოიღო და გოგონებთან დაბრუნდა.

–მდინარე რომ იყოს რა კარგი იქნებოდა, ვიბანაყებდით. არ არის სადმე? –იკითხა თათიამ და ჭიქა გამოართვა.

–კი. ალაზანი აქვე ახლოს არის. იქით მივდივართ. –უპასუხა ნოდარმა.

–მაშინ წავიდეთ. ჭამას ხომ მოვრჩით.

–წავიდეთ. –თქვა მანანამაც და ალაგება დაიწყეს.

მდინარესთან გაჩერეს თუ არა, გოგონები მაშინვე წყალში შეცვივდნენ, ტანსაცმლიანად.

–რა პატარა წყალი ყოფილა, მე ალაზანი უფრო დიდი მეგონა. – თქვა თათიამ.

–მეტი რად გინდათ, ხომ არ უნდა დაიხრჩოთ. გასაგრილებლად საკმარისია. –უპასუხა ნოდარმა –ეხლა აგვისტოა და ცოტა მოდის.

მანანამ წყალი მიასხა, თათიას, ამ უკანასკნელმა მხიარული კივილი მორთო: –რას შვრები! აუ, ციკია! გაჩერდი რა! მერე თვითონაც შეასხა და ორივე დასველდა. წუწაობა რომ მობეზრდათ, ნოდარს მიუბრუნდნენ: –შენ რა არ ჩამოდიხარ? გაიხადე და ჩამოდი.

ნოდარი არ აპირებდა წყალში შესვლას, მაგრამ მაინც გაიხადა შარვალი, პერანგი და წყალში შეეიდა. გოგონებმა რამდენიმე წამში ნოდარიც დაასველეს.

– რა კარგია წყალი, ასეთ სიცხეში ნამდვილი ნეტარებაა. –თქვა თათიამ და მთლიანად წყალში ჩაწვა. მას მანანამაც მიბაძა და ბოლოს ნოდარმაც, მაგრამ გოგონები წყალს მიჰყავდა და ამიტომ ისევ წამოდგნენ და წუწაობა გააგრძელეს. ტანსაცმელი მთლიანად დაუსველდათ. მანანას შარვალს და მაისურს თითქმის არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ ოდნავ შემოეტმასნა. თათიას კი, კაბა მთლიანად შემოეტმასნა ტანზე, თითქოს საგულდაგულოდ მიაწებესო. სველი კაბა გამჭვირვალე გახდა და თითქოს უფრო დამოკლდა, შიშველმა ფეხებმა უფრო ფართოდ გამოაჩინეს თავისი მიმზიდველობა. გამჭვირვალე, მიწებებულ კაბაში ვარდისფერი საცვალი ისე ნათლად გამოიხატა, თითქოს გარედან დაუხატავთო. უფრო ზემოთ კი, თათიას მოძრაობის დროს მოქანავე მკერდი, გამჭვირვალე კაბაში ისე გამოჩნდა თავისი ლამაზი ფორმით თითქოს დამალვა აღარ სურს და კაბის მოცილებას ლამობსო. ეს ყველაფერი საოცარი სასიამოვნო სანახავი იყო. ნოდარი ყველანაირად ცდილობდა ყურადღება არ მიექცია, მაგრამ პირიქით თვალს ვერ სწყვეტდა. თათია კი, თითქოს განგებ იქცევაო არ ჩერდებოდა და ისე მომაჯადოვებლად და საოცრად ათამაშებდა მკერდს თითქოს ეძახდა ნოდარს: აბა თუ დამიჭერო. დაბნეულ და გონებაარეულ ნოდარს წამით ყველაფერი დააავიწყდა და ნაბიჯიც გადადგა, რომ ხელი ეტაცა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და აღელვება რომ მოეცილებინა ნაპირისკენ წავიდა.

–სად მიდიხარ? წავიდეთ? ჯერ ადრეა, კიდე ვიყოთ –აწუწუნდა მანანა.

–არა, ჯერ თუ გინდათ იყავით. მე ჩრდილში დავჯდები.

გოგონებმა რამდენიმე წუთი კიდევ იჭყეპალავეს და ისინიც ჩრდილში გამოვიდნენ. მანანა ნოდარის მხარეს დაჯდა, თათია კი მათ პირისპირ.

–რატომ გამოხვედი ადრე, არ გიყვარს წყალი? – ჰკითხა თათიამ ნოდარს.

–ხომ გავგრილდი, მეტი აღარ მინდოდა. –უპასუხა ნოდარმა.

–როგორი გამჭვირვალე გახდა შენი კაბა, ყველაფერი გიჩანს. გინდ გცმია და გინდ არა. –უთხრა მანანამ თათიას.

–თუ გინდა გავიხდი. – თქვა ხუმრობის კილოთი თათიამ.

–არ გინდა, ვიცი რომ თუ გეტყვი გააკეთებ.

– აი, ნოდარი თუ მეტყვის, მართლა გავიხდი. –თქვა თათიამ და ღიმილით შეხედა ნოდარს.

ნოდარმა არ შეიმჩნია და თემა შეცვალა.

– კარგი ნიავია. მდინარის პირას სულ ნიავი უბერავს.

–აქ თევზი არ არის? –იკითხა თათიამ.

– როგორ არ არის. უთევზო მდინარე სად გინახავს? –უპასუხა მანანამ.

–მერე ვერ დავიჭერთ?

–როგორ არა. საკენკს თუ დავუყრით მაღლა ამოვლენ. –თქვა ნოდარმა.

–მერე რატომ არ წამოიღე?

—ჩვენ ხომ სხვა მიზნით წამოვედით. თან არ ვიცოდი თევზაობა თუ გიყვარდა.

—მაშინ ხვალ წამოვიდეთ, კარგი? —თქვა სერიოზული სახით თათიამ, თითქოს ხუმრობას ვერ მიხვდა და დაიჯერა თევზების ამოსვლა.

—ვნახოთ. —უპასუხა ნოდარმა.

—არ წავიდეთ? —თქვა თათიამ.

—ასე სად უნდა წახვიდე, ყველაფერი გიჩანს. გავშრეთ და მერე წავიდეთ. — უთხრა მანანამ.

—უკვე გავშრი, აბა რაღა მიჩანს? ან საერთოდ ისეთი რა მიჩანდა არავის რომ არ უნახავს? წავიდეთ, დანარჩენს გზაში გავშრებით. —თქვა თათიამ და წამოდგა. ნოდარი და მანანაც წამოდგნენ და მანქანისკენ წავიდნენ.

—აქედან გრემი ახლოსაა, აგერ ჩანს და იქამდე შეიძლება გაშრობა ვერც მოასწროთ. —თქვა ნოდარმა.

გრემთან მართლაც მალე მივიდნენ. მისულებს ბევრი დამთვალიერებელი დახვდათ.

—გაშრით? გადმოხვალთ თუ მოიცდით? — ჰკითხა ნოდარმა გოგონებს.

—გაშრობით კი გავშრით, მაგრამ დაჭმუჭნულია კაბა და ასე ხომ ვერ გადავალ. ბევრი ხალხია. წავიდეთ და სხვა დროს ვნახოთ. —თქვა თათიამ.

—ხო, წავიდეთ რა, ასე სჯობია. ნეკრესში ხომ მივალთ, იქ არავინ იქნება. —დაეთანხმა მანანაც.

ნოდარმაც შეასრულა მათი თხოვნა და ნეკრესისაკენ გაემართნენ. მისელისთანავე თათია გადმოხტა მანქანიდან და გაოცებულმა იკითხა: აბა სად არის?

—რა სად არის? —ჰკითხა მანანამ.

—რისთვის მოვედით, რა უნდა ვნახოთ?

—ნეკრესის ტაძარი მაღლაა, იქ მანქანა ვერ ადის. ფეხით დაახლოებით ორი საათის სავალია.

—აბა, აქ რისთვის მოვედით?

—მშვენიერი ბუნებაა, არ მოგშივდა? ვჭამოთ და წავიდეთ.

—ავიდეთ რა მაღლა. —ხტუნვით მიმართა ორივეს თათიამ.

—ამ სიცხეში როგორ უნდა ავიდეთ, გაგიჟდი? — თქვა მანანამ. —თქვენ თუ გინდათ ადით, მე მანქანაში დავრჩები. ყველა მაინც ვერ ავალთ, მანქანას ვის დავუტოვებთ?

—წავიდეთ რა. —ეხლა ნოდარს მიუბრუნდა თათია.

—კარგი, თუ ასე ძალიან გინდა წავიდეთ, მაგრამ იცოდე ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ასეთ სიცხეში და შეიძლება ვერ შეძლო. —გააფრთხილა ნოდარმა.

—წავიდეთ. —მიუბრუნდა ისევ მანანას თათია.

—არა რას ამბობ მე იქ წამომსვლელი არა ვარ. თქვენ წადით, რომ ჩამოხვალთ მერე ვჭამოთ.

—კარგი, თუ ასეა ჩვენ წავალთ. —თქვა თათიამ და ნოდარისთან ერთად აუყვა მთის ფერდობზე ამავალ გზას.

—გზა რომ უფრო ფართო ჩანს და მანქანის ნატარიც არის, აბა ეს მანქანები სად მიდის? თუ სხვა მხარეს მიდის ეს გზა?

—არა, სხვა მხარეს არ მიდის, იქ მიდის, მაგრამ თანდათან ვიწროვდება. ზოგნი ნივით ადიან კიდეც, მაგრამ ჩემი მანქანა ვერ ავა. —უპასუხა ნოდარმა.

ნახევარი საათი იარეს ნოდარმა და თათიამ ამ აღმართზე. გზა თანდათან დავიწროვდა და აღმართიც უფრო გაიზარდა. თათიას ხშირად ფეხი უცურაედა და ამიტომ ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდნენ. ორივე ოფლში იწურებოდა. ნოდარს პერანგი გახდილი ჰქონდა და მეორე ხელში ეჭირა. თათიას უკვე აღარ ჰქონდა ბოლომდე ასვლის სურვილი, მაგრამ არაფერს ამბობდა.

—რა ლამაზი ყვავილია ნახე. —თქვა თათიამ, ნოდარს ხელი გაუშვა და გზის პირას, ციცაბო აღმართზე ამოსულ არც ისე ლამაზ ყვავილს წაეპოტინა. ყვავილამდე ხელი ვერც მიიტანა, რომ ფეხი დაუსხლტა, სწრაფად შემობრუნდა და პირდაპირ ნოდარის მკლავებში აღმოჩნდა, რომელმაც უნებლიედ გაშალა ხელები, რომ დაეჭირა. თათია მთელი ტანით მიეხუტა ნოდარს. ნოდარმაც მოხვია ხელები. ეს ყველაფერი შეჯახებას კი არა სასიყვარულო ჩახუტებას უფრო ჰგავდა, მით უმეტეს, რომ თათია ნოდარს მთელი ტანით მიეკრა და გაშვებას აღარ აპირებდა. ნოდარს ეჯეი გაუჩნდა, რომ ეს ყველაფერი თათიამ განგებ გაითამაშა, ხელი გაუშვა და უთხრა: კარგი წავიდეთო.

—კიდევ კარგი შენ აქ იდექი, თორემ ალბათ გადავიჩეხებოდი... როგორ შემეშინდა... —თქვა თათიამ.

— არა, ისეთი არაფერი იყო. აქ ვერ გადაიჩეხებოდი.

—მოდი დავისვენოთ, ჩრდილში, თორემ ძალიან დავიღალე.

—კარგი, დავისვენოთ.—უპასუხა ნოდარმაც და პატარა ვაკე ადგილი აირჩია. ნოდარი დაჯდა. თათიამ დაჯდომის წინ კაბას ორივე ხელი ამოსდო ქვევიდან, მაღლა ააფრიალა თითქოს ბერტყავსო, და იმდენად ასწია საცვალიც კი გამოუჩნდა. —უჰ, ნეტა შეიძლებოდეს გავიხდიდი ამ კაბას, ისე ძალიან მცხელა, —შემდეგ კაბას ხელი გაუშვა და ნოდარს გვერდით დაუჯდა.

—შენ გგონია არ შემეშინდა? —გააგრძელა საუბარი თათიამ. მეგონა უკვე ვიჩეხებოდი. აი, ნახე გული როგორ მიცემს. —თათიამ ნოდარის ხელი აიღო და მკერდზე კაბის შიგნით დაიდო. ნოდარი შეცბა. ასეთ რამეს ნამდვილად არ მოელოდა. ერთ წამს მოულოდნელობისაგან გაშეშდა. შემდეგ ხელის მოშორება მოინდომა, თათიას მკერდიდან, მაგრამ ხელი თითქოს არ დაემორჩილა, რბილი ფაფუკი სხეულის შეხებამ მონუსხა, თითქოს მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრდა და ადგილიდან არ იძვროდა, მაგრამ ადგილიდან მეორე ხელმა დაძრა, რომელსაც იგი ეჭირა და რამდენიმეჯერ გადაადგილა —გრძნობ როგორ ფეთქავს? ვერ გრძნობ? აბა აქეთ. ამბობდა თათია და ნოდარის ხელს ადგილს უცვლიდა. ადგილის შეცვლამ თითქოს ხელის თითები გამოაღვიძა, ამოძრავდა და სანუკვარ სხეულს მსხვერპლივით დაეუფლა.

რამოდენიმე წამს ასე "მსხვერპლს" დაუფლებული ხელის თითები ფაქიზად და ფრთხილად მოძრაობდნენ ირგვლივ. ნოდარს სასიამოვნო ერუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ მოულოდნელად, თითქოს რაღაცამ უკბინაო, პირდაპირ ამოგლიჯა ხელი თათიას უბიდან.

–რა იყო, რა მოხდა? დენმა დაგარტყა? –ჰკითხა ცოტა განაწყენებული კილოთი თათიამ.

–არაფერი –უპასუხა ნოდარმა.

–აბა რა იყო ქალების გეშინია, თუ?..

–მე მანანა ´მიყვარს. შენ ხომ იცი ეს. –ნოდარმა თათიას თვალი მოარიდა და გვერდით გაიხედა.

–მერე? გიყვარდეს მე რა, გართმევ?

–მერე, ასე ხომ არ შეიძლება. შენ მანანას მეგობარი ხარ და მანანა დაბლა გველოდება. ეს ხომ ჩემი სიყვარულის შეურაცხყოფა იქნება.

–ძალიან ჩამორჩენილი ყოფილხარ. მანანა აქ რა შუაშია? იცნობ კი საერთოდ მანანას? –თათია წამოდგა და ციცად უთხრა. –წაიღეთ. აქ ჯდომას აზრი არა აქვს.. მაღლა წამსვლელი ნამდვილად აღარ ვარ... უკან დაბრუნდეთ.

ნოდარიც წამოდგა და ნელ-ნელა გაბუტულებიყვით, ერთი მეორისაგან მოშორებით დაიწყეს ქვემოთ ჩასვლა.

–იმედია, ხელს მაინც ჩამავლებ, რომ არ დავგორდე და აღარ გადავიჩეხო. –თქვა თათიამ, როცა ფეხი გაუცურდა და წაბარბაცდა.

–რა, ერთხელ უკვე გადაიჩეხე?

–იგივე გადაჩეხვაა, ამხელაზე რომ შეტოპავს გოგო და უარს მიიღებს.

–მაპატიე, თუ ასე გამომივიდა. წყენინება ნამდვილად არ მინდოდა. შენ კარგი გოგო ხარ, მაგრამ ჩვენს შორის მანანა დგას და მე ის მიყვარს.

–არა. შენ კი არ მაწყენინე... შენ მართალი ხარ. ერთ რამეს კი გეტყვი, თუმცა მგონია ეხლა ვერ გაიგებ. შენ და მანანა სრულიად განსხვავებულები ხართ და თქვენ ერთად ცხოვრება არ გიწერიათ.

–რატომ? შენ ასე ფიქრობ? –ნოდარმა დაფიქრებით გახედა თათიას.

–ხო, ასეა, ეხლა მე მეტს ვერაფერს გეტყვი. გავა დრო და თვითონ ნახავ. ისე კი, მეცოდები. შენნაირი ბიჭები იშვიათია. შენ ახალი, თანამედროვე ცხოვრებისათვის მზად არა ხარ. ასე დაიტანჯები...

–რას გულისხმობ?

–იმას, რომ შენ კონსერვატიული აზროვნების ხარ. თანამედროვე ცხოვრება შენთვის მიუღებელია და ვერ შეეთვისები.

–ღალატი თანამედროვე ცხოვრებაა? –ირონიულად იკითხა ნოდარმა.

–ძველი აზროვნებით შეიძლება ღალატია, მაგრამ თუ კი მას არაფერ ზიანს არ მიაყენებ, რატომ უნდა ჩაითვალოს ღალატად? მითუმეტეს, რომ შენ თავისუფალი ხარ. მანანა არც შენია და არც არავისი. ამ ქვეყნად ერთხელ მოხვედი და უნდა დატკბე ცხოვრებით, როცა ამის საშუალება მოგეცემა.

–ეს იმას ნიშნავს, სული მივყიდოთ ეშმაკს სიამოვნების სანაცვლოდ. ასეთი ცხოვრებით, წუთიერი სიამოვნების სანაცვლოდ შინაგანი სული

ნადგურდება. ფასეულ, მარადიულ გრძნობებს ეკარგავთ და წუთიერ სიამოვნებაზე რომ გადავიდეთ ხომ დაიღუპება ქვეყანა?

—სჯობია აღარ ვილაპარაკოთ ამ თემაზე. მაინც ვერ შევთანხმდებით.

—კარგი, ასე იყოს...

ქვემოთ რომ ჩავიდნენ, მანანა ჩაძინებული დახვდათ. ხმაურზე გამოიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, საათს დახედა და თქვა:

—რა მალე ჩამოხვედით, ჯერ ერთი საათი არ გასულა.

—ბოლომდე აღარ ავსულვართ. დავიღალე და მოვბრუნდით. —თქვა თათიამ.

—როგორ გინდათ, წავიდეთ თუ საჭმელს შეჭამთ?

—არა, არა წავიდეთ —ერთხმად თქვეს გოგონებმა. ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ სახლისკენ. გზაში ისეთივე მხიარულები და ენერგიულები აღარ ჩანდნენ, როგორც წამოსვლისას.

სახლთან რომ მივიდნენ, მანანა და თათია გადმოვიდნენ მანქანიდან. თათია ნოდართან მივიდა —შენ ალბათ აქ აღარ მოხვალ, სანამ მე არ წავალ, მაგრამ გთხოვ, ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება არ დაგრჩეს. დღეს თავი გავიგიჟე, არ ვიცი რა მომივიდა. არ გეგონოს რომ ყოველთვის ასეთი ვარ. შენ კარგი ბიჭი ხარ, სწორად მოიქეცი. მინდა ბოდიში მოგიხადო იმ სისულელისთვის. იქნებ ცხოვრებაში აღარც შეეხვდეთ და არ მინდა ცუდად მომიგონო. ხომ არ იფიქრებ ჩემზე ცუდს? თათიას თითქოს სევდა გამოეხატა სახეზე.

—თუ შენთვის ასეთი მნიშვნელოვანია მე რას ვიფიქრებ და ამისთვის ბოდიშს მიხდი, მაშინ მართლა არ ყოფილხარ ასეთი. ამიტომ იმედი გქონდეს, ცუდს არ ვიფიქრებ.

—მადლობ. კარგი ბიჭი ხარ. —უთხრა და აკოცა ნოდარს. —მშვიდობით. წარმატებებს გისურვებ ყველაფერში— თქვა და გაიქცა კარში მომლოდინე მანანასკენ.

სახლში მისვლისთანავე ნოდარი ტახტზე გულაღმა წამოწვა და მთელი დღის შთაბეჭდილებებში ჩაეფლო.

რა უცნაური დღე იყო... —ფიქრობდა ის. რომელს რა უნდოდა, ვერ გაეერკვიე. მანანა, მიუხედავად იმისა რომ თავს სრულიად თავისუფლად გრძნობდა და თამამად იქცეოდა, ჩემდამი ინტერესს აბსოლუტურად არ ამჟღავნებდა. ეს კი გასაგებია, მას ხომ ჯერ არ ეუყვარვარ, მაგრამ თათიას რაღა უნდოდა? პირველივე შეხვედრაზე, გაცნობისთანავე ასეთი ინტერესი, ასე თამამად რატომ გამოამჟღავნა? რა თქმა უნდა, შეუძლებელია შეეყვარებოდი ასე უცებ და ისე თავდაიწყებით, რომ ასეთი რამე გაბედა. თანაც, მანანას ნათქვამი ჰქონია, რომ მე მიყვარს მანანა. არც ისეთი გოგო ჩანს, რომ ვიფიქრო სექსისთვის ისეა გაგიჟებული, მ'ხად არის პირველივე შემხვედრის გაბმას ეცადოს, თანაც მეგობრის შეყვარებულის? თუ მართლაც არ არის ასეთი, აბა სხვა რა მიზეზი შეიძლება იყოს მისი ასეთი საქციელის?

ალბათ, ორი მიზეზი შეიძლება იყოს. ერთი ის, რომ შეიძლება სიყვარული და სითბო ენატრება. კარგმა განწყობამ და თავისუფალმა გარემომ გამბედაობა შემატა, გონება კი შეუსუსტა, რასაც ასეთი ქცევა

მოჰყვა. მეორე, კი ის, რომ მათ შეეძლოთ წინასწარ მოელაპარაკათ და ჩემთვის 'გამოცდა" მოეწყოთ.

—ნოდარ! —მოესმა ხმა ქუჩიდან და ფიქრებიც გაუწყდა. გიას ხმას ჰგავს —გაიფიქრა ნოდარმა და გაიხედა. ქუჩაში მართლაც გია იდგა. ნოდარი განცვიფრდა: სამი თვეა არ გახვხსენებივარ და ეხლა რა მოხდა ასეთი, რომ მეძახის?

—შემოდი! შემოდი! —დაუძახა ნოდარმა და გია შემოვიდა.

—რაშია საქმე, გაბუტულობამ გადაგიარა? —უთხრა მასპინძელმა.

—კარგი ეხლა... ბოდიშის მოხდას ითხოვ? მე შენზე კი არ ვარ გაბუტული, დაბნეული ვარ და დათრგუნული. —უპასუხა გიამ

—მოდი დაჯექი, —სკამი შესთავაზა ნოდარმა.

—ისევ შენ უნდა დამეხმარო. რა გავაკეთო არ ვიცი. ვერავისთან ვერაფერს ვლაპარაკობ, ლამის გული გამისკდეს. შენს მეტი სხვა ვისთან ვილაპარაკო?

—რა გჭირს, რა გინდა... მითხარი. თუ შემიძლია, ხომ იცი რომ დაგეხმარები.

—ხომ იცი რაც მჭირს. გოგო რომ შეგიყვარდება, ოცნებაში შენს მეუღლედ წარმოსახავ და მერე ასეთი ტრაგედია დატრიალდება, განა არ დაიბნევი, დეპრესიაში არ ჩავარდები? შენ თვითონვე რომ ნერვიულობდი და განიცდიდი, მე რაღა მომიეიდოდა?

—მერე? ამაში მე ან ქეთინო ვართ დამნაშავე?

—დამნაშავე ვინც იყო მიიღო კიდეც, თუმცა არა საკმარისად. მაგრამ გამიგე მეც...

—მაინც რა გინდა, ვერ გავიგე?

—რა უნდა მინდოდეს, ქეთინო ისევ მიყვარს. თავიდან ვერ ამომიღია. ხალხი კი ათასნაირ სისაძაგლეს ლაპარაკობს.

—შენ ხალხს რას უყურებ, ხალხი ჭრელია. ზოგი თუ დასცინის, ზოგს უყვარს და პატივს სცემს. გონიერი ხალხის თვალში ქეთინო, ისევ ისეთი კარგი გოგოა და ზოგიერთები ეხმარებიან კიდევაც. შენ შენი ჭკუა გაქვს, კარგად აწონ—დაწონე, შენს გრძნობებში გაერკვიე და გადაწყვეტილებაც ისე მიიღე. მე ამ საქმეში ვერ დაგეხმარები.

—ვიცი რომ ზოგიერთი და მათ შორის შენც ეხმარებით. მეც ლელას ვგზავნი და ვეხმარებით. ლელა ხშირად მიდის მასთან. მეც დავაპირე ერთხელ მისვლა, მაგრამ ვერ გავბედე. თავიდანვე რომ არ მივედი ეხლა მიძნელდება... მან ხომ არც იცის ჩემს სიყვარულზე არაფერი.

—იცის.

—იცის? საიდან? —გაუკვირდა გიას.

—მე ვუთხარი, ასე მითხრა ვიცი ვამჩნევდიო. ისიც მითხრა, გია კარგი ბიჭია და ჩემნაირ გოგოს არ იმსახურებსო.

—მართლა ასე გითხრა?

—ჰო. აბა ტყუილი რაში მჭირდება? ასე რომ, შეგიძლია მიხვიდე, ის გაგებით მოეკიდება შენს მდგომარეობას. მხოლოდ სანამ არ გაერკვეი საკუთარ გრძნობებში და სიყვარულში, სიყვარულზე არაფერი უთხრა. ცოდოა, კიდე მოტყუებულად რომ იგრძნოს თავი ველარ გადაიტანს.

—არა, რას ამბობ, მაგას როგორ მოვატყუებ?... მაგრამ იქ მაინც ვერ მივალ... მერიდება.

—აბა რა ვქნა, სახლში ხომ ვერ მოგიყვან? გვერდით ცხოვრობს, რაღაც მოიმიზეზე, დაელაპარაკე და მერე გაგიადვილდება ურთიერთობა..

—ჰო, ასე მართლა ადვილია მაგრამ...

—რაღა მაგრამ? იქნებ იმიტომ ვერ მიდიხარ, რომ შენ თვითონ ვერ გაგირკვევია რა გინდა?

—ასეც არის და შენი დახმარება სწორედ ამაში მჭირდება. ასეთი სიტუაცია რომ ევროპაში ან ამერიკაში შეიქმნას, იქ პრობლემად არც ჩაითვლებოდა ალბათ, მაგრამ აქ სულ სხვა მდგომარეობა იქმნება. აქაურ საზოგადოებას სხვანაირი აზრი აქვს და არ გაითვალისწინო ხომ არ შეიძლება?

—შენ თუ ხალხის აზრის მიხედვით გინდა შენი ბედი გადაწყვიტო, მაშინ გამოკითხვა ჩაატარე და გადაწყვეტილება მერე მიიღე.

—ნუ დამცინი. მე ეგ არ მითქვამს. უბრალოდ გასათვალიწინებელია ზოგჯერ ხალხის აზრი.

—ხალხი რა შუაშია? ხალხმა რომ აპატიოს, ან შენ თვითონ რომ აპატიო, ასეთი იმ გოგოს არაფერი ჩაუდენია. მას საპატიებელი არაფერი სჭირს. მთავრია, შენ თვითონ დაფიქრდე, რამდენად გიყვარს. შეძლებ თუ არა, რომ ვიღაც რეგვენის დაცინვის შემთხვევაში, შენ შენი ჭკუა შეინარჩუნო, გიყვარდეს და ბედნიერი იყო? თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ მასზე ფიქრს თავი დაანებე.

—მართალი ხარ. ალბათ სწორედ ეგ მაწვალებს.

—რაც შეეხება ქეთინოსთან ურთიერთობას, შენი გადაწყვეტილების მიუხედავად, ის მაინც მეზობელია და ურთიერთობა აუცილებელია, ამას ვერსად გაექცევი. ამიტომ ჯობია დროზე დაელაპარაკო.

—რა თქმა უნდა. ეგ მეც მინდა. დღემდე მიჭირდა, მაგრამ ეხლა მოვახერხებ.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ გიამ გააგრძელა:

—რა უბედურებაა, ყველგან პრობლემებია... ამდენ პრობლემას როგორ უნდა მოერიოს კაცი? ეკონომიურად მაინც იყოს ნორმალური ცხოვრება...

—შენ რაღა მოგიყიდა, შენ ხომ მაინც ისე არ გიჭირს, როგორც სხვებს? პურის ფულს ხომ შოულობ ჯიხურში, მზესუმზირასაც გაყიდი და წამოგეხმარებათ.

—მარტო ჭამა ხომ არ არის. მე რომ ფული მქონოდა ალბათ აქამდისაც შევირთავდი ქეთინოს და ის ამბავი აღარ მოხდებოდა. ეხლა ჩემი დაც ხომ გასათხოვარია. ფული მასაც სჭირდება.

—ჯერ ხომ პატარაა, 17 წლის ხდება. ასეთი საჩქარო რა არის?

—ხო, მაგრამ შეყვარებული ჰყავს და...

—ვინ შეყვარებული? ამ ზაფხულს ერთ ბიჭთან ეხედავდი ის ხომ არა?

—ხო, ხვდება-ხოლმე. კარგი ოჯახის შვილია, კარგად აღზრდილი და არ ვუშლით შეხვედრას. დარწმუნებული ვარ, ცუდს არაფერს აკადრებს და გაისეირნონ ერთად. უკეთესად გაიცნობენ და შეეჩვევიან ერთიმეორეს. პრობლემა ის არის, რომ გადავწყვიტოთ და გავაყოლოთ, ფული ხომ

გვინდა? შენ ხომ იცი, ჯიხურს პროცენტიანი ვალით ვამუშავებ. იქიდან რომ ფული ამოვიღო გაჩერდება საქმე. პირიქით, ვფიქრობ მზესუმზირის ფულით ვალი მომეცილებინა და პროცენტებში აღარ დაიკარგებოდა, თვეში ას ლარამდე პროცენტებს ვიხდი, ეს ფული, რომ სახლში დარჩებოდეს ხომ კარგი იქნებოდა,მაგრამ ლელას გულს ვერ დავწყვეტ. მის გათხოვებას ათასი ლარი მაინც სჭირდება. ვალები რომ მოვიცილო ლელასთვის აღარაფერი დარჩება. მისი გათხოვება უფრო მნიშვნელოვანია, წლობით შეყვარებულობანა შეიძლება ცუდად დამთავრდეს და ჯობია დროზე დაქორწილდნენ. ამას კი ფული უნდა.

–არაუშავს, მერე შეაგროვებ და...

–მეტი რა გზაა, მომავლის იმედით უნდა ვიყოთ. –თქვა გიამ და წამოდგა. –კარგი, წავალ, ბოდიშს გიხდი, რომ ჩემი პრობლემებით თავი შეგაწყინე.

–რას ამბობ, არა გრცხვენია? როცა გინდა შემოიარე და ვილაპარაკოთ. ან იყავი, სად გეჩქარება?

გია ისევ დაჯდა.

–დღეს შენი ნახვა მინდოდა, გათვალიერებდი და მთელი დღე ვერ გნახე. სად იყავი?

–მანანასთან ვიყავი. ხომ გახსოვს, რამდენიმე თვის წინ გითხარი მის შესახებ.

–ესეიგი ხედები?

–კი. რამდენჯერმე შევხედი. ეხლა მეგობარი გოგო ჰყავს სტუმრად თბილისიდან და დღეს გავისეირნეთ.

–მერე? რომ არ გეტყობა?

–რა უნდა მეტყობოდეს?

–მთელი დღე შეყვარებულთან ერთად ისეირნე, სულ უნდა დაფრინავდე სიხარულით შენ კი, რაღაც სევდიანი მეჩვენები.

ჰო,მართალია, რაღაც უჩვეულო, უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი და...

–რა სიტუაციაში, მანანას აწყენინე?

–არა. მანანა არაფერ შუაშია. მისი მეგობარი გოგო ცოტა მსუბუქი ჭკუის და ყოფაქცევის აღმოჩნდა. ყველანაირად ცდილობდა ჩემთან სხვანაირი ურთიერთობა დაემყარებინა.

–როგორ სხვანაირი?

–თავისი თავი შემომთავაზა. მკერდში ხელიც კი ჩამაყოფინა. ისეთი რამე დამემართა კინაღამ გავგიჟდი. ბოლოს შეეძელი და თავი შევიკავე, რაზეც განაწყენდა.

–როგორ მანანას თვალწინ ასეთი რამე გააკეთა? მანანასა ამაზე რეაგირება არ ჰქონდა?

–მანანა იქ არ იყო. ნეკრესში რომ მივედით, მანანა დაბლა დარჩა, მე და ის გოგო კი მაღლა ავედით. ისეთი ლამაზი და ტანადი გოგო იყო, ისეთი მიმზიდველი, თავის შეკავება ძალიან გამიჭირდა. ვიგრძენი, რომ სხვა შემთხვევაში ვერ შევიკავებდი თავს.

–მერე, მაგის გამო ნერვიულობ? შენ როგორც ამბობ მაგარი გოგო ყოფილა, სხვა ალბათ, შენს ადგილას თავს ვერ შეიკავებდა. შენ კი,

მიუხედავად იმისა, რომ მანანა ამას ვერ გაიგებდა, თავი მაინც შეიკავე და რაღა განერვიულებს? ის ხომ არა, რომ თავი შეიკავე? ნანობ თავშეკავებას?

—არა, მე კი არ ვნერვიულობ, უბრალოდ ვფიქრობ,. ასეთი რამ აბსოლიტურად მოულოდნელი იყო ჩემთვის. ის გოგოც ასეთი გახრწნილი არ ჩანს და რატომ მოიქცა ასე ვერ გამიგია.

—ეე, შენ ეხლანდელ გოგოებს არ იცნობ გეტყობა. ეხლა ისეთი თაობა წამოვიდა... შენ ქეთინოს რომ იცნობ და უყურებ, ყველა მაგისთანა კი არ არის.

გიას უნდოდა ეთქვა იქნებ მანანაც მაგისთანაა და დაუკვიდიო, მაგრამ თავი შეიკავა.

—მე უფრო ის მაფიქრებს, რომ მანანას ასეთი მეგობარი ჰყავს. —თქვა ნოდარმა —ხომ იცი „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო".

—ეგ შენ უნდა გაარკვიო... ზნე-ფერის საკითხი... იცვალა თუ არა მანანამ.

—არა, რას ამბობ. მანანა ასეთი არ არის, —თითქოს იწყინა ნოდარმა.

გია წამოდგა —კარგი, ეხლა წავალ მე. მადლობელი ვარ რომ მესაუბრე. დარდები შემომსუბუქდა შენთან საუბარში და უკეთესად ვგრძნობ თავს. გულის გადაშლა მეგობართან, დარდს ამსუბუქებს.

—ხომ იცი, შენთვის ჩემი სახლის კარი მუდამ ღიაა, როცა გინდა შემოიარე.

—ხო, ვიცი, ვიცი... ეიფიქრებ შენს ნათქვამზე, რომ ქეთინოს დაველაპრაკო. —თქვა გიამ და თან ქუჩისაკენ წავიდა.

— მაგას რაღა ფიქრი უნდა?

—კარგი, კარგი. მართალი ხარ. კარგად იყავი. მერე შემოგივლი.

საწოლში დაწოლილ ნოდარს, ძილი არ ეკარებოდა, იმ დღის განცდები მოსვენებას უკარგავდა და ფიქრები დაძინების საშუალებას არ აძლევდა. გაახსენდა თათიას სხეულის დანახვისას რომ აფორიაქდა და სწორედ ეს არ ასვენებდა. ნოდარი ფიქრობდა, რომ ასეთი განცდები მხოლოდ მეუღლესთან შეეძლო ჰქონოდა, მაგრამ ხომ მამაკაცი იყო, მთელი თავისი ღირსებითა და ნაკლით, ლამაზი სხეულის დანახვამ, მასშიც ის გრძნობა გამოიწვია, რასაც იწვევდა თითქმის ყველა კაცში, ამიტომაც იყო, რომ წამიერად სინანულის გრძნობა უჩნდებოდა, რატომ ვთქვი უარი თათიას შემოთავაზებაზე და არ დავყევი მის ნებასო, მაგრამ შემდეგ ისევ ამ აზრის საწინააღმდეგო აზრი მოსდიოდა თავში. ეს ხომ ღალატი იქნებოდა, ღალატი საკუთარი თავის მიმართ, მანანას მიმართ და იმის მიმრთ, რასაც ნოდარი სიყვარულს ეძახდა. მხოლოდ ის ხომ არ იყო მთავარი ამას მანანა გაიგებდა თუ არა, მთავარი ის იყო, რომ მას ემახსოვრებოდა ეს მთელი ცხოერება და შეიძლება მანანასთან ველარც კი გაეგრძელებინა ურთიერთობა, რადგან მის წინაშე თავს დამნაშავედ იგრძნობდა. არა, მე სწორად მოვიქეცი, —თავის თავს აჯერებდა ნოდარი და რაც უფრო ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს, უფრო მშვიდდებოდა, მაგრამ, როცა ახსენდებოდა დანახული თათიას შიშველი სხეული, სადღაც მიმალული ფიქრი მოსვენებას

მაინც უკარგავდა,ქალის ლამაზი სხეული მაცდუნებელი სიმშვენიერით მის წინ იყო, მის ხელში იყო, მან კი ვერ შეძლო მისი მიღება, მან უარი თქვა მის დაუფლებაზე.

რა იყო ეს, საყვარელი, ადამიანისადმი ერთგულება, სინდისის ქეჯნა თუ უბრალოდ გაუბედაობა? იქნებ სჯობია ვიდრე თათია აქ არის მანანასთან, არ მივიდე? მაგრამ მანანამ რომ იწყინოს და გამებუტოს, რა ვქნა? რამე უნდა მოვიმიზეზო.

–სწორად მოიქეცი ნოდარ! უთხრა თავის თავს ხმამაღლა და გვერდი იცვალა, –ვითომ? მოვალე ვიყავი ეს სიყვარული დამეცვა, –დაფიქრდა ამ სიტყვაზე ნოდარი, ეს სიტყვა რაღაც არ მოეწონა, არა მოვალეობა რა შუაშია, მე ის მიყვარს და მინდა რომ მის გვერდით ვიყო მთელი ცხოვრება, თათიასთან ყოფნა კი ამ სიყვარულს ეჭვის ქვეშ დააყენებდა და იქნებ სამუდამოდაც დამთავრებულიყო, ნოდარს კი ეს არ უნდოდა. საწოლში დიდხანს იწრიალა. შუაღამემდე იმ დღის განცდები და ფიქრები უტრიალებდა თავში. დაძინებამდე სულ თათიას სხეულის ის დანახული და შეგრძნებული ადგილები ახსენდებოდა, რომელიც ტრადიციულ მორალ-წესების მიხედვით მხოლოდ მეუღლეს უნდა შეეგრძნო. ზოგჯერ, რომ გაახსენდებოდა ჭიპამდე კაბა აწეული თათია და მისი ლამაზი სხეული, ნანობდა კიდეც, რომ არ დაჰყვა მას;

–რატომ ვთქვი უარი. რატომ არ მივიღე თათიას შემოთავაზება და არ დავეუფლე ასეთ ლამაზ სხეულს, მანანას ხომ ამით მართლა არაფერი დაუშავდებოდა, მითუმეტეს არ უყვარვარ ჯერო. მაგრამ მაშინვე ამ აზრის საპირისპირო აზრი მოჰყვებოდა; არა რას ვამბობ, ამით ხო ჩემს საკუთარ სიყვარულს ვუღალატებდი და გავანადგურებდი. მანანა თუ ვერ გაიგებდა, მე ხომ ყოველთვის მეხსომებოდა. ეხლა რა ვქნა? სანამდე თათია აქ არის სტუმრად, მე მიზეზი და საშუალება მაქვს უფრო ხსირად ვნახო მანანა, მაგრამ ისეთივე სიტუაცია რომ წარმოიშვას თათიასთან და თავი ვეღარ შევიკავო, მერე რა ვქნა? იქნებ ჯობდეს ვიდრე თათია აქ არის, ახლოს არ გავეკარო? ასე ჯობია ნამდვილად. თათიას წასვლამდე იქით არც კი გავიხედავ... მაგრამ თვითონ მანანამ რომ მთხოვოს მისვლა? მაშინ რა ვქნა? რომ არ მივიდე და გამებუტოს? არა. მაინც არ მივალ... რაღაცას მოვიმიზეზებ და არ მივალ.

მეორე დღეს გაცილებით ნაკლებს ფიქრობდა ნოდარი ამ "პრობლემაზე". მესამე დღეს კი მანანამ ტელეფონზე დაურეკა;

–ნოდარ, რაშია საქმე, რატომ აღარ მოგვაკითხე. დაგავიწყდა, რომ შეგეპირდი ალაზანზე წაგიყვანთო?

–არა, არ დამვიწყებია, მაგრამ საქმე მქონდა, თანაც მანქანა დაზიანდა.

–მანქანა დაზიანდა? არა უშავს. შენ მაინც გამოიარე ბიჭო.

– საქმე რომ მაქვს?

–თუ ასეთი მნიშვნელოვანი საქმე გაქვს, ნუ მოხვალ.

–კარგი, მოვალ. საქმეს მერეც გავაკეთებ, –ნოდარი დათმობაზე წავიდა. თავისთავთან დადებული პირობის მიუხედავად, რომ მათთან აღარ წასულიყო, ნოდარმა ყურმილი დადო თუ არა, მაშინვე მათკენ გაემართა.

გზაში ორი ბოთლი შუშხუნა ღვინო იყიდა, პარკში ჩააწყო და მანანას სახლის კარს მიადგა.

ეზოს კარი ღია იყო. ნოდარი ეზოში შევიდა და ისე დაუძახა. მანანას –შემოდი, შემოდი. ეხლავე დავუძახებ. –თქვა ეზოში მყოფმა მანანას დედამ და თან დაუძახა მანანას. –მანანა! გამოიხედე სტუმარი მოგივიდათ.

მანანამ გამოიხედა ფანჯარაში, ნოდარი დაინახა და ისევ გაუჩინარდა, რამოდენიმე წამის შემდეგ კი კიბეზე ჩამოირბინა, შეეგება და თქვა;

რაღას უცდი, ამოდი მაღლა.

–კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში. –თქვა ნოდარმა და პარკი მანანას მისცა. მანანამ გამოართვა უი, რა კარგი ბიჭი ხარო ჩაილაპარაკა და ოთახში შევიდნენ. სავარძელში მჯდომ თათიას დაანახა პარკიდან ამოღებული ბოთლები და სამზარეულოში წაიღო.

ნოდარმა ფეხზე წამომდგარ თათიას ხელი ჩამოართვა, ერთმანეთი გადაკოცნეს და იქვე ახლოს მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

თათიამ ნოდარს ბოდიში მოუხადა, ცოტა ხანს დაგტოვებთ და სამზარეულოსკენ წავიდა. ნოდარს ესმოდა, თათიამ როგორ უთხრა მანანას, –შენ სტუმარს მიხედე, ყველაფერს კი მე გავაკეთებო, მანანაც დათანხმა. ოთახში შემოსული მხიარულ განწყობაზე იყო და ღიმილით ესაუბრებოდა ნოდარს.

–გუშინ რატომ არ მოხვედი, შენი გრძნობების სიძლიერე საქმემ შეასუსტა?

–არა, ეგ რა შუაშია, უბრალოს შეთანხმებულები არ ვიყავით, ვიფიქრე იქნებ დასვენება უნდათ–მეთქი, –თავი იმართლასავით ნოდარმა.

–დასვენება? –გაიოცა მანანამ, –არა, რა დასვენება, ჩემ მეგობარს ვთხოვე, რომ წავეყვანეთ და მანაც სურვილი შემისრულა, თევზიც იყიდა, ეჭამეთ, მშვენიერი დრო გავატარეთ.

–მანანა, შაქრის ფხვნილი აღარ ყოფილა.! –სამზარეულოდან გამოსძახა თათიამ.

–არა უშავს, ეხლავე წავალ და მოვიტან, –მანანა წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, იქიდან გამოსულმა ბოდიში მოიხადა და გარეთ გავიდა. სამზარეულოდან გამოსული თათია, სავარძელში ჩაჯდა. სიჩუმე ნოდარმა დაარღვია.

–გუშინ კარგი დრო გაატარეთ?

–ისე რა, ერთმა მანანას მეგობარმა თავი მომაბეზრა.

–გინდა ხვალ წავიდეთ?

–ხვალ? არა, ხვალ მანანას მშობლები დასთან აგ'ხავნიან და არ სცალია.

–კარგი, მაშინ ჩვენ წავიდეთ.

– ჩვენ? –თათიამ ნოდარს შეხედა, მარტო მე და შენ?

– მერე რა მოხდა?

– არაფერი, აღარ გეშინია იქ რომ გაცდუნო? თან მარტონი ვიქნებით...

– არა, არ მეშინია. ისე, გუშინ ცუდად მოვიქეცი, ბოდიშს გიხდი.

–ბოდიშს რაზე იხდი, შენ რა ნანობ?

– ჰო. თითქმის.

–შენ რა გაგიუდი? იცი, გუშინ მანანას მეგობარი მთელი დღე არ მომეშვა. ყველანაირად ცდილობდა ჩემს დაყოლიებას, მაგრამ ახლოს არ გავიკარე, და ეს შენი დამსახურებაა.

–მე რა შუაში ვარ?

–როგორ არა. შენ ხარ შუაში. გუშინწინ ვერ მოვზომე, ცუდად მოვიქეცი, ძალიან შევტოპე და თანაც იქ, სადაც არ შეიძლებოდა. მითუმეტეს ხელმოცარული დავრჩი. ასეთმა მდგომარეობამ ძალიან იმოქმედა ჩემზე და დამაფიქრა., შენ ალბათ მიხვდი რომ ანგელოზი არა ვარ, მიუხედავად ასაკისა, უკვე რამოდენიმე მამაკაცი უკვე მყავდა. სექსი და ამისთან დაკავშირებული ურთიერთობები ჩემთვის უცხო არ არის. გუშინაც ის ვიღაც ბიჭი ამას ცდილობდა, მაგრამ შენ სულ სხვა რამ დამანახე. დამანახე, რომ მართლაც უფრო დიდი ფასეულობანი არსებობს, ვიდრე წუთიერი გართობა. შენ უარი თქვი იმაზე რისთვისაც სხვები იბრძვიან და ბევრ ფულსაც ხარჯავენ, მიხნის მისაღწევად. უარი წმინდა სინდისმა გათქმევინა. მე გავოცდი შენი საქციელით და გამიხარდა, როცა დავფიქრდი, რომ ასეთი ადამიანები თურმე არსებობენ. ამან დამაფიქრა და სურვილი გამიჩნდა მოგბაძო. მეც მინდა ასეთი წმინდა სინდისი მქონდეს მე ჩემს თავთან დავიფიცე და პირობა დავდე, რომ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. შენ მე სიწმინდე დამანახე და მისკენ მიმაბრუნე, ეხლა კი ამბობ ვნანობ რომ ასე მოვიქეცი? შენ ალბათ იმიტომ ამბობ ამას, რომ მე თავი ცუდად არ ვიგრძნო, მე კი არ მინდა, რომ შენ კარგი საქციელისათვის ბოდიში მომიხადო. გთხოვ არც არავის მოუხადო ბოდიში ამისთვის. ცხოვრება ისეთი საშინელია, ათასგვარი სიბილწით არის სავსე. შენ თუ ამ სიბილწეს თავს მოუხრი, გადაგივლის და გაგანადგურებს. შენ კი არ უნდა განადგურდე, იმიტომ, რომ შენ მარტო შენს თავს კი არა სხვასაც სჭირდები. შენ მთელ ქვეყანას სჭირდები. სჭირდები სწორედ ისეთი, როგორიც ეხლა ხარ და არა ისეთი, როგორიც იქნები თუ სიბილწეს თავს მოუხრი. შენ და შენნაირები, რომლებიც თურმე არსებულხართ და მე შენამდე არ შემხვედრია, ის საღი მარცვალი ხართ, რომელიც მომავალში ქვეყნის სინდისის გადასარჩენად გახდება აუცილებელი. თქვენ გაქვთ უნარი შეუნახოთ სინდისი, სისპეტაკე, სიკეთე შთამომავლობას და გადასცეთ უფსკრულის პირას მისულთ, რომ იხსნათ გარდაუვალი სულიერი დაღუპვისაგან. დაღუპვამდე ისინი მიხვდებიან რა სჭირდებათ გადარჩენისთვის და რატომ მივიდნენ აქამდე. ამით შენ უნდა ამაყობდე და არ უნდა გრცხვენოდეს.

–კარგი, კარგი შეწყვიტე, თორემ მართლა დამეჯერება. ამ პატარა გოგოს რამხელა ფილოსოფიური შეგრძნება გქონია. ნამდვილად არ გავხარ გუშინწინდელ თათიას. ძალიან გთხოვ მე ნუ მაბრალებ, არ ამაცრემლო. –თქვა ღიმილით ნოდარმა და გააგრძელა. –შენში ალბათ, პოტენციურად მაინც იყო ასეთი ფიქრები, ასეთი სულიერი შიმშილი და ამან დაგაფიქრა და არა ჩემმა საქციელმა.

–კი, შიმშილი მართლაც იყო, მაგრამ ამას მარტო მე არ განვიცდიდი. ასეთ სულიერ შიმშილს, როგორც შენ უწოდე, სხვებიც განიცდიან,

მაგრამ თუ შესაბამისი საზრდო ვერ იპოვეს თანდათან კედება. მე ეს საზრდო ამ მომენტში შენგან მივიღე.

კიბეზე მანანას ფეხის ხმა მოისმა.

—რა სერიოზული სახეები გაქვთ, ხომ არ იჩხუბეთ, —სიცილით თქვა მანანამ და შაქრის ფხვნილით სავსე პარკი თათიას გაუწოდა. თათიამ გამოართვა და სამზარეულოში შევიდა. მანანაც უკან გაჰყვა, ცოტა ხანში კი ნამცხვრებით სავსე ლანგრით და თეფშებით დაბრუნდა. გოგონებმა ტკბილეულის სუფრა გაშალეს, ნოდარის მიტანილი შუშხუნა ღვინის გახსნილი ბოთლი და მოდუღებული ყავა შემოიტანეს და სუფრას მიუსხდნენ. სუფრასთან მანანა ჩვეულებისამებრ მხიარულობდა თათია კი სერიოზული სახით იჯდა და ეშვიათად იცინოდა. სახუმარო აზრებსაც ძირითადად მანანა გამოთქვამდა. ნოდარი თათიას მსგავსად ნაკლებად იღებდა მხიარულებაში მონაწილეობას. სითამამით არც ადრე გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა მაინც უფრო შეზღუდულად გრძნობდა თავს. ერთის მხრივ ისე განიცდიდა თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო. მეორეს მხრივ თითქოს ორ გაურკვევლობას შორის გახლართულიყო, ვერ გარკვეულიყო და თითქოს არც სურდა გაერკვია, საით წასულიყო.

დროდადრო გოგონები სუფრიდან ფორტეპიანოსკენ ინაცვლებდნენ. უკრავდნენ, მღეროდნენ და ისევ სუფრას უბრუნდებოდნენ. ასე გავიდა ორი საათი. შემდეგ ნოდარი გამოემშვიდობა გოგონებს და სახლში წავიდა.

სახლისკენ მიმავალი ნოდარი ისევ მათზე ფიქრობდა: ნუთუ მართლა მოვახდინე გავლენა თათიაზე? ეს ხომ შეუძლებელია? მე რა გავლენა უნდა მოვახდინო, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ. თათიაზე უარის თქმით მე თვითონ ვერ გავერკვიე რა მინდოდა, რატომ ვოქვი უარი. მართლა სინდისმა არ მომცა უფლება თუ, მანანას დაკარგვის შემეშინდა. თათია ხომ დღეს თუ ხვალ აუცილებლად ეტყოდა ყველაფერს. თუმცა მანანა შეიძლება არც განაწყენებულიყო, ისე იქცეოდა. მასხომ არ ვუყვარვარ. ამიტომაც გულგრილად ხვდებოდა როცა თათია მეკეკლუცებოდა და ასეთ შემთხვევასაც გულგრილად მიიღებდა. მაგრამ თუ ასეთი რამ მოხდებოდა და მანანა გაიგებდა, მომავალშიც ეეღარ შემიყვარებდა. ვინ იცის, იქნებ პირიქით მეტოქედ წარმოესახა თათია და ეგოისტური გრძნობების გაღვიძებით უფრო ინტერესი გამოეჩინა ჩემდამი. ეჰ, ვინ იცის რა მოხდებოდა ნებისმიერ სიტუაციში, ნებისმიერ მოვლენაში, ესა თუ ის მოვლენა თუ სხვანაირად მოხდებოდა და არა ისე, როგორც მოხდა. მაგალითად, დედა რომ ცოცხალი იყოს, მამა ხომ ესპანეთში აღარ წაიყოდა. ეს ერთი შეხედვით მარტივად ასე ითქმება, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდებოდა დედა რომ არ მომკვდარიყო. ეს ხომ დამოუკიდებელი, იზოლირებული მოვლენა არ არის და მრავალ ფართო მოვლენათა ჯაჭვშია წვრილმანი კავშირები. მაგალითად ის, რომ კიბოს დაავადება არსებობს, ფართო მოვლენაა და დედაჩემისთვის არ შექმნილა. ამიტომ არაკინ იცის სხვა მოვლენებთან რა კავშირში იყო და რა მოხდებოდა, რა როგორ შეიცვლებოდა, თუ დედა ეხლაც ცოცხალი

იქნებოდა. ვინ იცის, იქნებ მამა უფრო მონდომებით წასულიყო, რომ საყვარელი მეუღლე გაჭირვებული არ ენახა. ეჰ, რა ვიცი... ის კი ვიცი, რომ დედაც მაკლია და მამაც. მილიონი, რომ გამომიგზავნოს მამამ, ის მხოლოდ ფული იქნება და მეტი არაფერი. მე კი მამა უფრო მენატრება ვიდრე ფული, ვერანაირი ფული ვერ შეცვლის ახლობელ საყვარელ ადამიანს. ფულით შეიძლება მთელი რიგი სიამოვნებები შეიქმნა, მაგრამ საყვარელი ადამიანის ადგილს სულში ვერ შეავსებს, გარდა იმ შემთხვევისა თუ სული გაიხრწნა და ასეთი ადგილი გაანადგურა ამ გახრწნილობაში. ჩემს შემთხვევაში ალბათ მსგავსადაა, თუკი მანანას ადგილი ჩემს სულში ნამდვილად არის, ვერანაირი წამიერი გატაცება ვერ შეცვლის, ვერ დაიკავებს მის ადგილს, მაგრამ თუკი მაინც მიეცა დავიწყებას სხვისი მეშვეობით, ესეიგი მანანა არ ყოფილა ჩემს გულში. ალბათ ამიტომაც არ მიიღო თათია გულმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზი,მიმზიდველი გოგოა და წამიერად მართლაც ამაღელვა.

რა ვიცი, რა ვიცი... ასეთ გრძნობებში ალბათ ბოლომდე დიდი ფილოსოფოსები და ფსიქოლოგებიც ვერ გარკვულან და მე რა თავს ვიტკიებ. სჯობს გაურკვეველ, რთულ სიტუაციაში გულის კარნახს დაეუჯერო და არ ვიფილოსოფოსო.

ნოდარმა თავისი ეზოს კარი შეაღო და ეზოში შევიდა.

საღამოს ნოდარმა გადაწყვიტა, მეორე დღეს თავისი ვენახის სანახავად წასულიყო, მაგრამ ნახა, რომ ბენზინი აღარ ჰქონდა, ფულიც შემოელია, ამიტომ ფეხით წასვლა ამჯობინა. ასეც მოიქცა და დილით ადრიანად წავიდა, რომ სიგრილეშივე დაბრუნებულიყო. ვენახიდან მომავალ ნოდარს, თავის ქუჩაზე, მეზობელ ზაურის, სახლის წინ მზესუმზირის გროვა და რამდენიმე მეზობელი დახვდა. ზაურს მზესუმზირა მოეჭრა, ეზოს წინ, კაკლის ხის ქვეშ დაეყარა და მეზობლები დაბეგვაში ეხმარებოდნენ. ნოდარი მათთან მივიდა.

—გუშინ დაგიძახე, თუ გეცლებოდა იქნებ მოჭრაზე წამოსულიყავი, მაგრამ სახლში ვერ განახე. —უთხრა ზაურმა.

—ხო სახლში არ ვიყავი. მთელი დღე გასული ვიყავი სახლიდან.

—არა უშავს, თუ გცალია ეხლა მოგეხმარე, ესეც ხომ საქმეა. იქნებ ხვალ მოვრჩეთ... მეშინია წვიმა არ მოვიდეს და არ გამიფუჭდეს... ცოტა ღრუბელიც აირია... —თქვა ზაურმა.

—არა მგონია წვიმა მოვიდეს ისეთი ღრუბელია, თუმცა, რა დაფიცება ამინდს. —თქვა ნოდარმა. —ამდენი ხალხი ხართ, შეიძლება დღესაც მორჩეთ.

—არა, რას ამბობ დღეს როგორ მოვრჩებით 6-ნი ვართ,

—მეც ხომ მოვედი. კიდევ მოვა ალბათ ვინმე.

—ეჰ, რა ვიცი, მთავარია წვიმა არ მოვიდეს და თუნდაც ერთ კვირაში მოვრჩე. —თქვა ზაურმა და ნოდარს ჯოხი მიაწოდა, რითაც უნდა დაებეგვა მზესუმზირის თავები.

—ვაჟა შენ აქ რა გინდა? მე რა, მეზობელი არა ვარ? მერე რა რომ ქვეეით ქუჩაზე ვცხოვრობ? არა, მე მაგიტომ კი არ გეუბნები, სათევზაოდ რატომ არ ხარ? —ეისვენებ.

—ნუგზარი და საშკა არ არიან სახლში? რატომ არ დაუძახე?
—საშკა არ არის, ნუგზარი კი მოჭრაში დაგვეხმარა და ეხლა ისვენებს. საერთოდ ამ საქმეს უფრო ქალები უხდება. კაცებს ნერვები არ ყოფნით და გულს ვერ უდებენ. — თქვა ზაურმა.
ნოდარს ქალების ხსენებაზე ქეთინო გაახსენდა.
—ქეთინოსათვის გეთქვა, მოგეხმარებოდა. —უთხრა ზაურს.
—აბა რა ვიცი. გარეთ არ გამოდის და როგორ ვუთხრა?
—მით უმეტეს, უნდა უთხრა. ჩაკეტილი როდემდე უნდა იყოს თავის დარდებში? გამოვიდეს ცოტა გაერთობა. მაგას ეხლა ჰგონია, რომ ყველა დასცინის, საზოგადოების რცხვენია და ეშინია კიდეც, რომ გამოვიდეს ნახავს რომ არც ისეა საქმე. ბევრი თანაუგრძნობს და კვლავინდებურად პატივს სცემს.
—ჰო, რა თქმა უნდა. თითქმის ყველა თანაუგრძნობს. მაგისი რა ბრალია რაც მოუხდა. თავიდან ბევრს სხვანაირად ეგონა, მაგრამ მერე ხომ გაირკვა სიმართლე.
—წადი დაუძახე, —უთხრა მეზობელმა ქალმა ზაურს.
—არა, მე ვერ დავუსახებ, მაინც არ გამომყვება. ნოდართან უფრო ახლოს არის —თქვა ზაურმა და ნოდარს უთხრა, —წადი ნოდარ, შენ დაუძახე.
—მეც რომ დავუძახო არ გამომყვება, იმიტომ რომ საქმე შენია და მე უცხო ვარ. ჯობია დედაშენმა დაუძახოს. მე თუ გინდათ გავყვები. დედაშენი ასაკოვანია, უფრო ენდობა და მეტი ხათრი აქვს.
—გაჰყვები დედა? —ჰკითხა ზაურმა თავის დედას.
—გავყვები შვილო. ოღონდაც ქეთინოს ეშველოს, —გარეთ გამოვიდეს და ცხრა მთას იქითაც გავყვები. მეცოდება ასე რომ დაიჩაგრა.
—ზაურის დედა წამოდგა, კალთა დაიბერტყა, და ნოდარს შეხედა. ნოდარიც მაშინვე წამოდგა და ორივე ქეთინოსთან წავიდა. რომ უთხრეს გარეთ გამოდი, მზესუმზირის ბერტყვაში მოგვეხმარეო, იუარა:
—არა რას ამბობთ, ვერ წამოვალ.
—გოგო, როდემდე უნდა იცხოვრო ასე კარჩაკეტილმა? უტხრა ნოდარმა. —არ მოვიდა დრო, რომ გამოხვიდე? იქ ხომ სულ შინაურები ვართ, მეზობლები და თანაც სულ კარგი ხალხია. ეხლა თუ არ გამოხვალ, აბა როდისღა უნდა გამოხვიდე? საზოგადოება ბუა ნუ გგონია. გამოდი, გაერთობი და ნახე, რომ არც ისეა საქმე შენ რომ გგონია, ტყუილად გეშინია.
—მე არაფრის არ მეშინია. თქვა ქეთინომ ცოტა ჩაფიქრებით.
—წამოდი შვილო. უბანში ყველას უყვარხარ და რატომ გვერიდები? მეც მომეხმარები, შენც ცოტას გაერთობი და გულს გადააყოლებ. იღრუბლება და გვეშინია წვიმა არ მოვიდეს. ხომ იცი, თუ ვერ მოვასწარით და დასველდა სულ გაუბედურდება, და მთელი წლის ნაშრომი წყალში ჩაგვეყრება.
ქეთინოს აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ ცოტა ჩაფიქრდა და თავდახრილი მიწას დასცქეროდა.
—წამოდი, წამოდი. ბევრს ნუღარ ფიქრობ, გელოდებით, —უთხრა ნოდარმა.

–კარგი წამოვალ. –თქვა ქეთინომ და სახლში შებრუნდა, ორიოდე წუთში ისევ უკან დაბრუნდა.

ზაურმა, რომ დაინახა ქეთინო მოჰყავთო წამოდგა, ეზოში შეეიდა, დასაჯდომად ხის ყუთი გამოუტანა ზედ დასაფენით და ქეთინოს დაუდგა. მისვლისას ქეთინო ყველას მორცხვად მიესალმა და მითითებულ ადგილას დაჯდა.

რამდენიმე წუთი ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ ჯოხების დარტყმების ხმა ისმოდა. თითქოს ყველას ეშინოდა პირველი ხმის ამოღების, არავის ვაწყენინოო. მოულოდნელად ნოდარმა დაიძახა:

–აგერ კიბოც მოდის, კიდე ერთი მუშა შეგვემატა.

–მაგის მუშაობა ვის უნახავს. –თქვა ვაჟამ.

–როგორ არა, მიხმარება იცის. გუშინ წყლის ბალონები მაგან შემატანინა ეზოში. –თქვა ზაურის დედამ.

–მიხმარება კი იცის, მაგრამ ზოგჯერ ხალხს თავს ისე აბეზრებს, იქიდან აგდებენ.

კიბო ნელნელა, კოჭლობით, მომღიმარი სახით მიუახლოვდა შეკრებილთ და ომახიანად დაიძახა: –გამარჯობათ, მშრომელო ხალხო! ეგ რა კარგი ჯოხები გიშოვიათ, ერთი მეც მაჩუქეთ, თორემ ბევრი მტერი გამიჩნდა და იქნებ მოვიგერიო.

–მოდი, მოდი გაჩუქებ, საღამოს თამადად დაგაყენებ. –უთხრა ზაურიმ.

–თქვენ ცხვირ-პირი ისე ჩამოგტირით, საღამომდე თქვენ თუ არ გამაგდებთ, მე თვითონ წავალ. –თქვა კიბომ. –მირჩევნია ეხლავე დამალევინოთ ერთი ჭიქა. ქვეყანას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს და მე რაღატო დაველოდო საღამოს?

–ახლავე გამოგიტან კიბო. –თქვა ზაურის დედამ.

–ხუმრობს, მართლა კი არ უნდა. –თქვა ნოდარმა.

–ხუმრობ თუ მართლა ამბობ, აბა ერთი მომხედე? –უთხრა ზაურის დედამ.

–ეე, ახლა სერიოზული კაცი გინახია სადმე? ყველა ხუმრობს და მეტსაც დამაბრალებენ თუ არ ვიხუმრე. აბა ისე ღვინოს ვინ გამომიტანს.

–ვერ გავიგე გამოვიტანო თუ არა, –ვერ გაერკვა ზაურის დედა.

–მარტო ღვინო კი არა, ხარჯიც უნდა გამოიტანო, თუ გინდა რომ ვიმუშაოთ, ცარიელი ტომარა, რომ ფეხზე ვერ დგება არ იცით თქვენ? აბა შეხედე, ყველა ჩაცუცქული, და წელში მოხრილია. ეტყობა ყველას შია და იმიტომ.

–ესეიგი ხარჯს დაელოდები? მაშინ ერთი-ორი საათი მოცდა მოგიწევს. მზადდება ყველაფერი და ორ საათში ვისადილებთ.

–მეტი რა გზა მაქვს. წესებსა და გრაფიკს მე არ ვადგენ.

ზაურის ბიჭებმა კიბო, რომ დაინახეს, ურიამული ატეხეს. –კიბო მოსულა, კიბო მოსულა! კიბო როგორა ხარ?

–უჰ, თქვე მამაძაღლებო. ყეფა არ ისწავლოთ, თორემ ქოფაკები გაიზრდებით.– უთხრა კიბომ. ზაურმა კი დატუქსა შვილები, ნუ შეაწუხეთ, წადით იქით ითამაშეთო.

–ძლივს არ ახმაურდა ჩვენი უბანი? –თქვა მეზობელმა ქალმა.

—ახმაურება კარგია, მაგრამ წვიმა არ მოვიდეს, რაღაც ძალიან ირევა ღრუბელი. —თქვა ზაურმა.

—ღრუბელი მართლაც ირევა, მაგრამ წვიმა არ მოვა. მთვარე ისეთ ფაზაშია შეიძლება მხოლოდ ცოტა წამოწინწკლოს.

—კიბო, შენ მთვარისა რა იცი, ერთი კლასი არ გიელია ალბათ სკოლაში. სიბერეში ასტრონომიით დაინტერესდი? —თქვა ვანიკომ.

—შენ, რომ ათი წელი იარე სკოლაში და უმაღლესი განათლებაც გაქვს, კარგი სამსახურიც, გამგეობაში, ასეთ განათლებულს ასტრონომიაც, ხომ გეცოდინება. აბა ერთი მითხარი მთვარე საიდან ამოდის?

—შენთვის შეიძლება ჩრდილოეთიდან ამოდის, ჩემთვის და ყველასთვის აღმოსაელეთიდან.

— როგორც მზე არა?

— ჰო, რა თქმა უნდა მზეც და მთვარეც.

—აი, ეგ არის შენი ათწლიანი სკოლის და უნივერსიტეტის განათლება. მზე საერთოდ არ ამოდის და არ ჩადის, იმიტომ რომ მზე დედამიწის ირგვლივ არ ბრუნავს. ეგ შენ, რომ ამოსვლას და ჩასვლას ეძახი, დედამიწის ღერძის ირგვლივ ბრუნვის შედეგად მიღებული ილუზიაა. მთვარე კი მართლა ბრუნავს დედამიწის ირგვლივ და ესეიგი ამოდის და ჩადის 29 დღეში ერთხელ. ამას თვალით კი არა, გონებით უნდა დანახვა.

—მაინც საიდან ამოდის და საით ჩადის, არ გვეტყვი? —უთხრა ვაჟამ.

—შეეშვით, აკი ეთქვი მაგისთვის ალბათ ჩრდილოეთიდან ამოდის. —თქვა ვანიკომ.

—მთვარე დასაელეთიდან ამოდის და აღმოსაელეთით ჩადის. ამის გარკვევა ძნელი არ არის. ერთ მთვარიან ღამეს შეხედეთ მთვარეს და დაიმახსოვრეთ მისი ადგილმდებარეობა ვარსკვლავების მიმართ, მეორე დღეს კი შეამოწმეთ და ნახავთ საით გადაადგილდება.

—ეგ ხომ იცით, უკუღმართი კაცია და მაგისთვის უკუღმა ბრუნავს. —თქვა ვანიკომ.

—კიბო, შენ მართალი ხარ, მაგრამ ასი გამელელი რომ გააჩერო, ერთი ვერ გეტყვის მაგას სწორად. —უთხრა ნოდარმა.

—იმიტომ, რომ მარტო ჭამა-სმა აინტერესებთ და სულ დაბლა იყურებიან რა იპოვონ, რა წაართვან სხვას. მთვარე კი არა, ღმერთი, რომ არსებობს და ყველაფერს ხედავს, ისიც ავიწყდება ბევრს.

ნოდარმა მაღლა აიხედა და თქვა: — მომეჩვენა თუ რა იყო ეს?

—ჰო, მეც უკანწკალი დამეცა?

—რა დაგეცა?

—უკანწკალი.

—ეგ რაღაა, ერთი მითხარი რა? —უთხრა ვაჟამ.

—წინწკალს გულისხმობს. —თქვა ნოდარმა.

—მერე მასე ვერ იტყვის?

—უკან ზურგზე დამეცა და წინ რატომ უნდა ეთქვა?

—ეგე, ხომ ეთქვი, ყველაფერში უკუღმართია. —თქვა ვანიკომ.

—მამა, მამა, უყურე, ქარხნის ტრუბიდან ბოლი ამოდის. —აყვირდნენ ზაურის ბავშვები. ყველამ ქარხნისკენ გაიხედა.

—ვა, მართლა ამოდის ტრუბიდან ბოლი, ნახე. ხომ არ ხსნიან ქარხანას, იქნებ გვეშველოს, მოელ უბანს შეუძლია იმუშაოს. —თქვა ზაურმა..

—ტრუბა კი არა, მილი —შეუსწორა ვაუამ —ხომ იცი კიბო აქ არის და არ გაპატიებს შეცდომას.

—თუ ასეა, მაშინ მთლიანად გაასწორე,— თქვა ვანიკომ, —ქარხნის საკვამლე მილიდან ბოლი ამოდის.

—უფრო სწორი იქნება კვამლი, რომ თქვა, ბოლი რაღად უნდა. —თქვა ვაუამ.

—სულ ერთია ბოლი თუ კვამლი. ასე არ არის კიბო? —ჰკითხა ნოდარმა.

—ეგ თქვენი დონის გასარჩევი არ არის, მთლიანობაში წინადადება მაინც შეცდომით არის. —თქვა კიბომ.

—რას ამბობ, რა არი შეცდომით? თუ გინდათ აი, ეთერი მასწავლებელი ხომ აქ არის, ქართული ენის მასწავლებელია. ეკითხოთ სწორედ როგორ იქნება. —წამოიყვირა ვაუამ და ზაურის დედას მიუბრუნდა. —ეთერი მასწავლებელო, აბა თქვენ გვითხარით, სწორი როგორ იქნება?

—სწორია შვილო. ქარხნის საკვამლე მილიდან კვამლი ამოდის.

—არ არის სწორი. — წამოიძახა კიბომ.

—კარგი რა, შე ბრიყვო, შე მართლა კიბო შენა. ქართული ენის მასწავლებელს ასწაელი სწორი როგორ იქნება? აბა შენ თქვი, მაშინ როგორაა სწორად. —შეუტია ვანიკომ.

—ქარხნის საკვამლე მილიდან კვამლი ამოდის, ითქმება იმ შემთხვევაში თუ მოსაუბრე მილის ზემოთაა. თქვენ რა, იმ მილზე სხედხართ? ამოდის კი არა, ადის უნდა თქვათ. ჩვენ შემთხვევაში მთავარი მარტო ღრამატიკა, ანუ მართლწერა კი არ არის, უფრო მნიშვნელოვანია, მოვლენა რაც შეიძლება სრულად გადმოსცე. ჩვენი ენა ამის საშუალებას იძლევა, რომ მოვლენები უფრო სრულფასოვნად გადმოვცეთ, ვიდრე სხვა ენები, მაგრამ ამისთვის ენა უნდა ვისწავლოთ, ჩვენი მ'მობლიური ენა.

—ზურიკო! — მიმართა ვანიკომ ზაურის პატარა ბიჭს. —აბა, გაიქეცი სახლში და გამიგე შუქი არის? ხომ არ მოვიდა? —ზურიკო მაშინვე გაიქცა.

—შუქი არის, როგორ არა, მე ვხედავ. —თქვა კიბომ.

—ჰოო, მოვიდა? მაშინ უნდა ავდგე, ქსერიქსზე გადასაღები მაქვს რაღაც საბუთები. —თქვა ვანიკომ და ადგომა დააპირა, მაგრამ ვიდრე ადგებოდა ზურიკო დაბრუნდა და უთხრა: არ მოსულა, ვანიკო ძიაო.

—არ მოსულა? აბა კიბო რას ბოდავს? აკი მოვიდა შუქი მე ვხედავო.

—შენ რა სიბნელეში გრძნობ თავს? ვერ ხედავ, რომ განათებულია ყველაფერი? დილის 6 საათზე ამოვიდა მ'ხე. —უპასუხა კიბომ.

—მე დენზე ვიკითხე, შუქზე კი არა, რა შემიჭამე ტვინი.

—მერე, მაგას მე მაბრალებ?

—აბა ვისი ბრალია?

—შენ ალბათ ბავშვობიდან არ გქონდა ტვინი, თორემ აი ხალხი აქ არ არის? აბა, მე რა შეგიჭამე?

—კარგი რა კიბო, სულ მთლად ხომ არ უნდა გამაგიჟო?

—სწორად ლაპარაკი გაგიყვებს, თუ შენიშენა?

—შენი თავიც გვეყოფა სწორად მოლაპარაკე.

—მერე მე როდის ვთქვი სწორად ლაპარაკი შემიძლია —მეთქი? ქართული ენა, ანუ ლაზარე გახრწნილია და ძალინ ძნელია მისი აღდგენა, მაგრამ მცდელობას მაინც თავისი დადებითი შედეგი აქვს.

—კარგით, რა მოგივიდათ, რა გაჩხუბებთ. აგერ ქალები უფრო მეტნი არიან და რა ჩუმად მუშაობენ, —თქვა ზაურმა.

ქუჩაში გია გამოჩნდა, რომელმაც მათთან მიახლოვებისას ნაბიჯს უკლო და წამით შეჩერდა კიდეც.

—გამარჯობათ ყველას, —დაიძახა ოდნავ ხმამაღლა გიამ.

ყველამ სალმითვე უპასუხა. ქეთინოს ცოტა უხერხულობა შეეტყო. ზაურმა გიას თავისი სკამი შესთავაზა და უთხრა: —აი, მოდი, თუ მოგვეხმარები აქ დაჯექი და ჩემთვის სხვა სკამს გამოვიტან.

გია გადავიდა ზაურის მხარეს და მის სკამზე დაჯდა, ზაური კი ეზოში შევიდა. გია სულ ახლოს მოხვდა ქეთინოსთან, ალბათ გაუხარდა კიდეც მასთან ახლოს ყოფნის საშუალება რომ მიეცა, მაგრამ დასაწყისისთვის ისიც ქეთინოსავით ძალიან დაბნეული სახით გამოიყურებოდა. ეს გასაგებიც იყო. ის ხომ არ ელოდა აქ იმ ქალის ნახვას, რომელიც სიყვარულის გრძნობებს უფორიაქებდა, რომელიც დიდი ხანი იყო არ ენახა და მონატრებოდა. მათი უხერხულობა და დაბნეულობა არავის შეუმჩნევია, რადგან ამის მიზეზი არავინ იცოდა, ნოდარის გარდა.

მხოლოდ კიბო, თითქოს იცისო და მიუხვდაო მათ ფარულ ფიქრებსო, წამიერად ჩაფიქრდა მერე ისევ გამხნევდა და თქვა: —როგორა ხარ გოიორგი?

—რა ვიცი, ისე რა, ნელანელა. —უპასუხა გიამ.

—ჰო, ნელა-ნელა ჯობია, თორემ ჩქარა-ჩქარა შეიძლება უფსკრულს მიადგე, ვერ შეჩერდე და გადაიჩეხო. —თქვა კიბომ და მცირე ხნის შემდეგ დაბალი ხმით გაიმეორა გიას ნათქვამი სიტყვები: ნელა-ნელა, ნელა-ნელა —შემდეგ კი ღიღინით და მელოდიურად გააგრძელა:

ნელა-ნელა, ნელა-ნელა,
იკლო სითბომ, სინათლემ.
ნელა-ნელა, ნელა-ნელა,
მზე ჩვენითვე გაგვეძევნა.
ჩვენგან მწყრალი ურჩობისგან
გაეპარა, ჩაესვენა.
ნელა-ნელა, ნელა-ნელა,
ირგვლივ მწუხრი მოეფინა.
მწუხრი ბნელეთს შეეზარდა,
მოძლიერდა, დაგვიპირდა,
თავბრუ ისე დაგვახვია
თვალ-გონება დაგვიბინდა.
არცა ნატვრად უხმობს ტეინი,
არცა ისმის სიტყვა თბილი,
არცა აზრი ბაგეთაგან
საამო და გონად ტკბილი.

ეშმაკები გაბატონდნენ
სოფელსა თუ მინდორ-ველად.
მათგან კაცნი მოგვეველინენ
ამა ქვეყნის მავნებლებად.
არცა ახსოვთ მზის ამოსელა,
არცა მოსდით ბაგე ენად,
არცა გონი, არცა ფონი,
ხალხი იქცა სარეველად.
ნელა-ნელა, ნელა-ნელა,
ბოღმა ადგას ყველას ყელად,
დაერივნენ ურთიერთს და
აღარ რჩება კაცი ერად.
ნეტარ იმ ყმას, ვინც ამ ქვეყნად,
მზეს მოიწვევს ჩვენს საშველად.
ნეტარ იმ ყმას ბაზალეთში
ვინც, რომ ჩავა ჩვენდა მხსნელად.
ერის ცრემლით ნავსებ ტბიდან,
ამა ქვეყნად ჩვენს საშველად,
ამოიყვანს აკვნის პირმშოს,
ქართველს რომ ჰყავს სანატრელად.

კიბომ ჩაამთავრა ღიღინით თავისი ლექსი თუ სიმღერა, რომელსაც დაბალი ხმით ისე ლაღად და თავისუფლად ღიღინებდა, თითქოს თავისთვის მღეროდა, თითქოს მარტო იყო, ირგელივ არავის გრძნობდა და არავინ იყო.

ხალხი კი, თითქოს მოინუსხა მისი ღიღინის მელოდიურობით თუ ტექსტის აზრით, განაბული უსმენდა და დამთავრების შემდეგაც რამოდენიმე წუთი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ისე გაყუჩდნენ, თითქოს კეთილ, ლამაზ ფერითა გუნდი მისულიყოს და თავიანთი უნაზესი არსის ისეთი თბილი მომაჯადოებელი გამოვლინება მოეხდინათ, რომ ყველანი მონუსხულიყვნენ. თითქოს ყოველ მათგანს ეშინოდა ხმის ამოღების, რომ თავიანთი თავი არ გაემეღავნებინათ და ეს საოცარი ფერიების სანახაობა არ გამქრალიყო. თუმცა კი ტექსტი საგანგაშო აზრის უფრო იყო, ვიდრე სინაზის და სითბოს გამომსახველი.

შეიძლება მათი გაყუჩების მიზეზი ის იყო, რომ წამიერად ყველას თავისი ცხოვრება წარმოუდგა წინ. ყველამ თავის გულში ჩაიხედა და ქვეცნობიერად თავისი თავი შეიგრძნო ამ ტექსტში. ვინ იცის რომელი რამ ჩააფიქრა, რომლის გულში თუ თავში რა ფიქრები დატრიალდა და რა გრძნობით განზომილებაში მოექცა. ერთი კია, რომ კიბოს ღიღინმა და მისმა შინაარსმა მართლაც ჩააფიქრა ხალხი.

—კიბო პოეტიცა ხარ? ეგ არ ვიცოდი, არ გამიგია? —სიჩუმე დაარღვია ნოდარმა.

—ილიასგან მოუპარია. —თქვა ნუგზარმა.

—არა, ეს მე არ მითქვამს. ეს ქართველის სულმა თქვა. ილია ჭავჭავაძის სულიც მისი ნაწილია. ქართველის სულმა, რომელიც სარეველისაგან გადათელილ, გადაჩრდილული უმზეობისგან და ეშმაკებისგან

შეშინებული, მიყუჟული, სიციოითა და შიშით კანკალებს. ასე კანკალითა და ტირილით ელოდება გადამრჩენ პატრონს. ის კი აღარ იცის, რომ ეშმაკებს მისი უსუსურობის გამოვლინების გამო მისი არსებობაც აღარ ახსოვთ, ხოლო პატრონი კი მაშინ გამოუჩნდება, თუ ხმას ამოიღებს და იქამდე მიაწვდენს. ეხლა კი მისი ტირილი-ჩივილი იმ სარეველასაც აღარ ესმის, რომელმაც გადაფარა იგი.

—შენ გიჟი დაუძახე, ხანდახან რა ბრძნული აზრები მოსდის, —თქვა ვაჟამ, —კიბო რამდენი წლისა ხარ?

—სამოცდა ცხრისა, — უპასუხა კიბომ.

—შენ რა სულ 69 წლისა ხარ. შარშანწინაც 69-ის არ იყავი? —თქვა ზაურმა.

—ეეჰ, ავდგები, მუხლს გაეშლი, თორემ დამეღალა. —თქვა კიბომ და ეზოში შევიდა.

—ხანდახან რა კარგი მოსაუბრეა ხოლმე და ხან კიდევ ჩხუბისთავი ხდება ისე უხეშობს,. —თქვა ზაურის დედამ.

—როგორც არ უნდა იუხეშოს, ნორმალური კაცი მაგას როგორ გაარტყამს გასაცოდავებულს, ხეიბარსა და უსახლკარო მაწანწალას, —ხმა ამოიღო გიამაც.

—ისე მართლაც ღამე სად სძინავს? — იკითხა მეზობელის ქალმა.

—მიტოვებულ ნანგრევებში... ზოგჯერ თვითონ ხალხიც უთმობს თავლას ან სხეა რამე გარე ნაგებობას, შიგნით სახლში მაგას ვინ აღირსებს დაძინებას, ალბათ წლებია არ უბანაეია. —თქვა ვანიკომ.

—არავინ არ ჰყავს? ან და—ძმა, ან ნათესავები, რომ მიხედონ და მოუარონ? —იკითხა ზაურის დედამ.

—ეყოლება ვინმე, მაგრამ ეტყობა მიანებეს თავი. —თქვა მეზობელის ქალმა.

—საიდან მოვიდა საერთოდ, აქ ხომ არ ცხოვრობდა. აქაური არ არის, რამდენიმე წელია რაც აქ მოვიდა, მაგრამ საიდან? — იკითხა ზაურის დამ.

—ვინ იცის თვითონ არაფერს ამბობს და მაგის გამოკვლევას ვინ დაიწყებს? ასაკსაც კი არ ამბობს სწორად, რაც აქ გამოჩნდა სულ 69 წლის არის, წლები მაგას არ ემატება?

—არა 69-ის არ იქნება. ეგ მოუელელობისგან არი ნაადრევად დაბერებული, თორემ 60-ზე მეტის არ იქნება. —თქვა ვანიკომ.

—წვიმასეც როგორ გაუმართლა, არ მოვაო და არ მოვიდა. როგორი ღრუბლები იყო მე მეგონა საცაა დაუშვებს— მეთქი. —თქვა ზაურის დამ.

ეზოდან კიბო გამოვიდა და ისევ თავის ადგილას დაჯდა.

—კიბო, სად იყავი აქამდე, რატომ ზარმაცობ? —უსაყვედურა ვაჟამ.

—რადიოს ვუყურებდი. —უთხრა კიბომ.

—რაო? უყურებდი? რა, ჩანდა რამე?

—რა უნდა გამოჩენილიყო, ინფორმაციას გადმოსცემდნენ და ვუყურებდი.

—ყველა სისულელე შენ, რომ უნდა თქვა, ერთი აგვიხსენი ინფორმაციას როგორ უყურებდი? —ხმა დაეძაბა ვაჟას.

–ყურებით, ყურები მაქვს და ვუყურებდი. –თქვა კიბომ აუღელვებლად.
–ესეიგი ყურებით უყურებდი?
–აბა ცხვირით ხომ ვერ ვუყურებდი? ცხვირი სუნის მიმღებია, ყურები კი სმენის.
–მართალია ეს კაცი, რა გინდათ. ხმა ყურით უნდა გაიგო, ესეიგი უყურო. –თქვა გიამ.
–მართლაც, ყური ხომ სმენის ორგანოა და ყურებაში ხედვას რატომ გულისხმობენ? რა დონეზე გავაყალბეთ ენა, რომ ელემენტარულსაც კი ვეღარ ვამჩნევთ. –თქვა ნოდარმა.
–ციცი წყალი ხომ არ გინდათ? მიირთვით. –მიმართა ხალხს ზაურის დედამ და თან უკვე ჩამოსხმული წყალი კიბოს შესთავაზა. მეორე ჭურჭელი და ფინჯანი კი ქალებს გაუწოდა. კიბომ გამოართვა, დალია და თქვა: –ყველაზე ღრმა მადლობა, ქალბატონო ეთერ, ძალიან მწყურიოდა.
–რას ამბობ, შე თავხედო. მასე უნდა მიმართო მართლაც პატივსაცემ ქალბატონს? –გაბრაზებით თქვა ვანიკომ.
–მე რა ვთქვი ცუდი? გუშინ რომ მივეხმარე, თვითონ ასე მითხრა. –თავი იმართლა კიბომ.
–რას როშავ, ასე გეტყოდა ეთერი დეიდა?
–ალბათ ეტყოდა უღრმესი მადლობაო. –თქვა გიამ.
–ხოო, ხოო, ასე მითხრა.
–მერე უღრმესი მადლობა და ყველაზე ღრმა ერთია?
–აბა რა არის, უღრმესიც ყველაზე ღრმას არ ნიშნავს? –თქვა კიბომ და ეთერის თხოვნით სავსე ფინჯანი ვანიკოს გადააწოდა, რომელსაც ეთერი ვერ სწვდებოდა. ვანიკომ გამოართვა, წყალი დალია, ფინჯანი ისევ კიბოს დაუბრუნა და სიამაყით, რომ ამჯერად მაინც ვერ მიპოვის შეცდომასო უთხრა: –გმადლობ კიბო.
– ვინა შენ?
–რა მე კიბო, ნუ გადამრიე კაცი.
–შენ მე მმადლობ? შენი გაკეთებული მადლი ვის უნახავს, რომ მე მმადლობდე? რა მადლი გამიკეთე ერთი მითხარი?
–ეაა, ამ კაცთან ლაპარაკი არ შეიძლება, ძალიან შარიანია. ეხლა ჩვენ წესიერი ხალხი, რომ ვართ იმიტომ ვპატიობთ, თორემ სხვები ამდენს მოუთმენენ? წავალ, მანქანას გამოვიყვან, რადიოს ჩავრთავ, თორემ აღარ შემიძლია. ამის მოსმენას რადიოს მოსმენა არ ჯობია? –თქვა ვანიკომ.
–აქამდე რატომ არ გამოიყვანე? მუსიკებს მოვუსმენდით, გავეროობოდით. –ჰკითხა ვაუამ.
–კარებები აწყვია საბარგულზე, გამგებელმა მთხოვა და... საღამოს უნდა გადაეუტანო და ჩამოღებას აზრი არ ქონდა.
–ეგ ბებია კარე მკვდარია? –იკითხა კიბომ.
–ვინ ბებია კარე? –ჰკითხა ვანიკომ საკმაოდ უხეში ტონით.
–ვინა და გამგებელს, რომ უნდა გადაუტანო.
ნოდარიმ და გიამ ხმამაღლა გადაიხარხარეს. –კარებები აწყვიაო, რომ თქვი იმაზე გეუბნება. –უთხრა გიამ.

—მერე, აქ რა არი სასაცილო, თქვენ მე გამაგიუებთ რა. კარებებია და აბა როგორ უნდა ვოქვა. სახლში, რომ შედიხარ და აღებ კარები არ ქვია? აბა რა ქვია? თუმცა კიბოს სახლი ვინ აღირსა...

—განათლებულ კაცად თავი მოგაქვს, მთავრობაში მუშაობ და ასეთი უმეცარი თუ იყავი, მხოლობითს და მრავლობითს ვერ არჩევ, სულიერი უსულოსგან ვერ გაგირჩევია, აბა ამას როგორ წარმოვიდგენდი?

—რა ზუსტად შეურჩევიათ სახელი კიბო, ამას თუ უსმინე ისე გაგანერვიულებს, მართლა კიბოს გაგიჩენს. რა ვერ გამირჩევია ,შე მართლა უვიცო, მე მედრები განათლებაში?

—აბა რა ქვია ამას, რომ მანქანაზე ამბობ გამოვიყვანოო. რა სულიერია მანქანა? ანდა კარები რომ მრავლობითია და მეორედ მრავლობითში არ აიყვანება არ იცი? მხოლობითში რომ კარია და არა კარები არ იცი? თუ არ იცი, უმეცარი ხარ და თუ იცი მაშინ, შეგნებულად ამახინჯებ მშობლიურ ენას. შენ რა გიჭირს, შენ ჯერ კიდე ჩვენს წრეში ხარ და, რაღაც ქართული ჯერ კიდე შემოგვრჩა, შენი უფროსები ზევით და ზევით კი, სუმთლად მოსწყდნენ თავის ადგილს. გაუნათლებლობის დასაფარავად უცხო ქვეყნის ინგლისურს ან რუსული სიტყვების რახარუხს მოჰყვებიან, რომელთა შინაარსი თვითონაც არ იციან და ამით, უნდათ ხალხს განათლებულობა დაუმტკიცონ. იმას კი ვერ გრძნობენ, რომ მშობლიური ენის განადგურებით ერის კულტურას ანადგურებენ და სულიერ საზრდოსათვის ფესვებს ჭრიან თავისთვისაც და ერისთვისაც.

—კიბო, ეხლა ვინდა ლაპარაკობს ასე სწორად, ყველა ვამახინჯებთ ამიტომ ყველა უმეცრები ვართ? —თქვა ნოდარმა.

—ყოველშემოხვევაში მშობლიური ენის მიმართ უმეცრები ვართ და ამიტომაც თანდისთან უფრო და უფრო მეტად ვანადგურებთ. ყველა ერის ენაში ხდებოდა და ხდება სხვა ენების გავლენა, ეს ჩვეულებრივი ამბავია და საშინელება აქ არაფერია, მაგრამ როცა ენას შეგნებულად ანადგურებენ, გარე მტრები თუ შიდა მოღალატეები ეს უკვე საშინელებაა. ასე იყო უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში. ბოლო წლებში კი ამან უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. აფხაზეთიდან გამოყრილმა ქართველებმა, რომლებმაც ქართული უფრო ცუდად იცოდნენ, ვიდრე დანარჩენმა ქართველებმა, ახლი ტალღა გამოიწვიეს ქართულ ენაში რუსულის ჩანაცვლების. ამ ტალღამ კი, დამაჩქარებლად იმოქმედა დასავლეთისკენ სწრაფვით და მათი მიბაძვით გამოწვეულ ინგლისური ენის შემოსვლაზე. ჩვენს მშობლიურ ენაში ჩანაცვლებაზე და მის ქართულ ენაზე, გაბატონების დასაწყისზე. უკანასკნელ წლებში, მრავალი ისეთი ქართული სიტყვა შეიცვალა უცხოურით, რომელსაც სისტემატურად ქართულად იყენებდა ხალხი და საფრთხე თითქოს არ ელოდა. ხშირად გაიგონებდით ტელევიზორიდან ასეთ შეცვლილ სიტყვებს ჟურნალისტებისგან, პოლიტიკოსებისგან თუ მთავრობის წევრებისგან. მაგალითად სიტყვა სკანდალი, რელსები, რეზულტატი და სხვა უამრავი.

რეზულტატი, ქართულად რომ შედეგია, ხომ ყველამ იცის, მათ შორის მათაც ვინც ტელევიზორში თუ სხვა საშუალებებით, ფართო

საზოგადოების წინაშე აყენებს ამ სიტყვას. მაშ რატომ ამბობენ არა ქართულად? ეს ხომ ერის, ენის და ჩვენი წინაპრების ღალატია. ისინი ხომ უცხოეთიდან იღებენ ფულს ამისათვის. – ეს მარტო ერის და წინაპრების ღალატი კი არა, თვით ქრისტეს ღალატია.

–როგორ? ქრისტე რა შუაშია? – ჰკითხა ზაურს დამ.

–უკვე ყველამ იცის თითქმის, იოანე ზოსიმეს წმინდა წერილის შესახებ, სკოლაშიც კი ისწავლება. ისიც ბევრმა იცის იქ რომ წერია ქართულ ენას სახარებაში ლაზარე ჰქვიაო და მეორედ მოსვლის უამს ამ ენით უნდა ემცნოსო... ისიც ხომ კარგად იცით, იესო ქრისტემ ოთხი დღის გახრწნილი მკვდარი აღადგინა ლაზარე. აი, ეხლა დადგა უამი, რომ მკვდარი და გახრწნილი ქართული ენა აღადგინოს და ამ ენით, ემცნოს მსოფლიოს მეორედ მოსვლა. ესეიგი ვინც ქართული ენის დამახინჯებას ცდილობს, ხელს უშლის ქრისტეს მისიის განხორციელებაში და ამით ქრისტეს წინააღმდეგია. ხოლო ის ვინც შეგნებულად ცდილობს ქართული ენის სხვა ენით ჩანაცვლებას და განადგურებას, ფულის გამო თუ სხვა მიზეზით, ის ქრისტეს მტერი და გამყიდველია.

–კიბო, ამდენი რამე საიდან იცი? ხალხს გიჟი ჰგოიხარ და ესეთი ჭკვიანი კი ხარ. –თქვა ზურას დამ.

–რაც ეგ ხალხში დაწანწალებს და უსმენს ისწავლიდა რაღაცას, აბა რა იქნებოდა. სათოხნი მაგას არ აწუხებს და საქონელი. –თქვა ვანიკომ.

–კიბო, მთვარე მართლა დასავლეთიდან ამოდის? თუ გაგვაშაყირე? –ჰკითხა ვაჟამ.

–ჰო. დასავლეთი მთვარის ამოსავალი მხარეა. მისი შუქი, რომელიც მხოლოდ აბსოლუტურ სიბნელეში ანათებს და მცირე შუქსეც კი ქრება, თავისი არა აქვს და მზისგან არის მოპარული. მთვარე მნათობი არ არის.

ჩრდილოეთი ჩრდილის ანუ სიბნელის მხარეა. სამხრეთი მზის მტაცებლის მხარეა. სწორედ იქიდან ცდილობენ მზე მოიტაცონ, ზამთრობით იქით იმიტომ იხრება. აღმოსავლეთი კი სულიერების ამჟამინდელი კერაა.

–ჩვენ ვის ვეკუთვნით ამ მხარეებიდან? –დაცინვის კილოთი ჰკითხა ვანიკომ.

–ჩვენ კათასიონს ვეკუთვნით.

–ეგ რაღაა. გაკვირვებით იკითხა რამოდენიმემ.

–მობრძანდით სუფრა გაშლილია და მიირთვით. –გამოაცხადა გარეთ გამოსულმა ზაურის მეუღლემ.

–წავიდეთ, სადილი გამზადებულა. აბა ადექით ყველა, დაყარეთ ჯოხები. –თქვა ზაურიმ და თან ხელით ანიშნათ.

ყველა წამოდგა. ეზოში შეეიდნენ, ხელები დაიბანეს და აივნის ქვეშ გაშლილ სუფრას, შემოუსხდნენ.

თამადა-მასპინძელმა ოჯახისა და ბარაქის სადღეგრძელო დალია, სხვებმაც გაიმეორეს. თამადამ მეორე სადღეგრძელო მიაყოლა, კეთილი თვალებისა, ვინც კეთილად გამოიხედოსო და სუფრის წევრებმა ნელ-ნელა ლაპარაკი წამოიწყეს.

—კიბო შენ მარხვას არ ინახავ? ღვთისნიერი კაცი ხარ. —ჰკითხა კიბოს ვაჟამ.

—შევინახავდი, მაგრამ რა შევინახო, ან სად შევინახო?

—მე ვინახავ. —განაცხადა მესობელის ქალმა.

—შენ ინახავ? მერე სად ინახავ, დენი არ არის და მაცივარში ხომ გაფუჭდება. —უპასუხა კიბომ.

—შენ რა მარხვის წინააღმდეგი ხარ? —ჰკითხა ქალმა.

—არა, მარხვის წინააღმდეგი არ ვარ. პირიქით მიმაჩნია, რომ ძალიან სასარგებლო და აუცილებელია კაცისთვისაც და ღმერთისთვისაც. ცუდი ის არის, როცა ეს ტყუილებზეა აგებული.

—რომელ ტყუილებზე? —იკითხა ისევ იმ ქალმა.

—რა და, ზოგიერთი მემარხულე კარგ სუფრაზე, რომ მოხვდება კარგად გამოძღება და მეორე დღეს მღვდელთან გარბის მოსანანიებლად. ისიც მოუნანიებს და მორჩა.

—აბა რა, თუ არ მოინანია ხომ ცოდვად დარჩება?

—ასე თუა წავალ, ვინც არ მომწონს ყველას მოვკლავ, მერე მღვდელთან მივალ, მოვინანიებ და მორჩა, ღმერთთან წმინდა ვიქნები.

—ყველა დანაშაული უნდა მოინანიო, აბა როგორ?

—მონანიებას მაშინ აქვს აზრი თუ უნებლიედ არის ჩადენილი, ან აღელვების გამო ან იძულებითი მდგომარეობის გამო. მაშინაც, იმ შემთხვევაში თუ მცოდველი განიცდის შინაგანად ჩადენილ ცოდვას და სულში აწუხებს. შეგნებულად, განზრახ ჩადენილ ცოდვას შინაგანი ცოდვის განცდები არა აქვს და არც მისი მოხსნა შეიძლება. მარხვაშიც ასეა. ასეთი მონანიება თუ ცოდვის მოხსნა სიცრუეა და სხვა არაფერი. თავის თავს თუ ატყუებენ მოატყუონ, მაგრამ ღმერთს ვერ მოატყუებენ. —თქვა კიბომ.

თამადამ ახლა სუფრის მშვენების, —სუფრის მანდილოსნების საღღეგრძელო დალია. აქ უკვე მამაკაცებმა მხოლოდ თამადის გამოთქმული მოსასრება არ იკმარეს და უფრო ფართოდ გამოხატეს მათდამი თავიანთი პატივისცემა. ზოგმა ჯგუფურად ადღეგრძელა, ზოგი მანდილოსანი, მაგალითად 'საურის დედა, ქალბატონი ეთერი ცალკე გამოჰყო. კიბომ კი ყველა 'ზოგადად ადღეგრძელა და მხოლოდ ქეთინო გამოყო.

—ქეთინო! გადღეგრძელებ. მართლაც დღეგრძელი ყოფილიყავი და ბედნიერებას გისურვებ. მე ვიცი ბედნიერებას არ ეძებ, მაგრამ მაინც გეტყვი. ნუ დაუწყებ ძებნას. შენ ბედნიერებას ვერ იპოვი.

ამის გაგონებაზე სუფრის წევრებმა ყურადღება დაძაბეს. ზოგმა გაიფიქრა კიდეც: მართლაც რა უხეში კაცია ეს კიბო, ასე პირდაპირ თქმა ხომ ლანძღვის ტოლფასია. რატომ ეუბნება ასე, თავისი გასაჭირი არ ეყოფა? ისედაც დაჩაგრულია საცოდავიო. ქეთინომ მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი კიბოს და თავჩაქინდრული უსმენდა. კიბომ კი გააგრძელა: —ვერ იპოვი, რადგან არ დაგიკარგავს. არ დაგიკარგავს იმიტომ, რომ არ გქონია და რაც არ გაქვს იმას ვერ დაკარგავ. შენ არ გქონია ბედნიერება იმიტომ, რომ თვითონ ხარ ბედნიერება. შენ ხარ ბედნიერების აუფურჩქნავი კოკორი და შენთან ურთიერთობა ყველა

ნორმალური ადამიანისთვის თავად არის ბედნიერება, ხოლო შენ, როგორც ნამდვილი სრული ბედნიერება, მაშინ აიფურჩქნები, როცა ბედნიერების მძებნელი ჭაბუკი შეგნიშნავს, გიცნობს, მიგიღებს და გულში ჩაგისვამს. გულში ჩაგისვამს და მოგიელის, როგორც საკუთარი სიცოცხლის მიზანწყაროს. და მაშინ, იგი მიიღებს იმაზე მეტს, ვიდრე უოცნებია ოდესმე სიყვარულზე და ის რასაც ის მიიღებს იქნება შენიც, რადგან იგი და შენ ერთნი იქნებით, ერთსულნი და ერთარსნი.

კიბომ დაამთავრა გამოსვლა, ჭიქა გამოცალა და მაგიდაზე დადგა. უმრავლესობამ შვებით ამოისუნთქა, რადგან ცუდს ელოდნენ, მაგრამ კარგი დაბოლოვება ჰქონდა კიბოს გამონათქვამს. ზოგიერთს სიამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდა. ნოდარმა კი აღფრთოვანებით დაიძახა: – მერე სად არის იგი ყმა? საჭმლის ჭამას, რომ მორჩნენ, ისევ საქმეს შეუდგნენ და მზესუმზირა საღამოსთვის უკვე დაბინავებული ჰქონდათ.

კახეთში რთველობა დაიწყო. ამ დროს ტრადიციულად ქარვისფრად მოელვარე ზერები, ხალხს თავისკენ უხმობს. ეს ის დროა, როცა შემოდგომა ნაყოფის მომცემ ქალს გავს, მშვენიერს და საკვესე. როცა თვეების ნაშრომი და ნაჯაფარი ოჯახში ხვავად და ბარაქად უნდა შემოვიდეს. ამჯერად კი მოსავალი დიდი არ იყო, რადგან გაზაფხულზე კვირტებ გაყინულმა ვაზმა ახალი კვირტებით სრული აღდგენა ვერ შეძლო და სრული მოსავალი ვერ მიიღო ხალხმა. ამიტომაც იყო რომ საზეიმო განწყობა არ იგრძნობოდა, შესაფერის სასიხარულო განწყობას ხელს ისიც უშლიდა, რომ რაც მოვიდა ისიც კი არ იცოდა ხალხმა სად წაელო. ღვინის ქარხნის მეპატრონეები ისეთ ფასს უხდიდნენ ხალხს, რომ მოწეული მოსავალი სატირალი უფრო უხდებოდა, ვიდრე სასიხარულო, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც იკრიფებოდა ყურძენი, ზვრებში ისმოდა ხალხის გადაძახილები ერთმანეთთან და ვაზისვე ნაყოფისვე წვენით, ღეთისგან ნაკურთხი ღვინით სვავდნენ ქვეყნის, მისი ხალხის და მოსავლის სადღეგრძელოს.

ასე იყო თუ ისე, რთველობამ ჩაიარა. ნოდარმაც რამოდენიმე მეგობრის დახმარებით მოკრიფა მცირეოდენი ყურძენი და მთლიანად სახლში დაწურა. გადაწყვიტა თავის ძმასთან წასულიყო და დიდი ხნის უნახავი ძმა და მისი ოჯახი მოენახულებინა. ამისათვის პირველ რიგში ვინმე უნდა ენახა, ვინც მის სახლს ყურადღებას მიაქცევდა, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო დაბრუნებულს ნასახლარიღა დახვედროდა. ასეთი კაცის შერჩევაში დიდი არჩევანი არც ჰქონდა. გადაწყვიტა გიასთვის ეთხოვა და მასთან წავიდა.

გია სახლში არ დახვდა და ნოდარმა მისი ოჯახის წევრებს სთხოვა, გადაეცით საღამოს ჩემთან მოვიდესო. საღამოს გია ნოდართან მივიდა.

–გამარჯობა ნოდარ. –მიესალმა გია და განაგრძო – ჩემთან ყოფილხარ, საქმე გაქვს რამე?

–ხო, რაღაც მინდა გთხოვო. დასავლეთში მინდა წასვლა და ხომ იცი სახლის მარტო უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. შენ ხომ ვერ დარჩები ხანდახან? მარტო ღამით, რომ დაიძინო აქ საკმარისია, დღისით ვინ შემოვა.

—სად დასავლეთში მიდიხარ, ამერიკაში?

—არა კაცო, ამერიკაში რა ჯანდაბა მინდა? ან მე იქ ვინ გამიშვებს? ჩემს ძმასთან მივდივარ. ხომ იცი ორი წელია არ მინახავს და წავალ, ვნახავ. ის ვერ ჩამოდის მთელი ოჯახით ძვირი დაუჯდება და მე მაინც წავიდე.. ძმიშვილებს ვნახავ, თან ღვინოს და ყურძენს წავიღებ.

—რამდენი დღით უნდა წახვიდე?

—რა ვიცი, ალბათ ერთი კვირით, მეტს ვერ დავრჩები. ზამთარი მოდის და მომზადება ხომ მინდა.

—მე დავრჩები, ჩემთვის რა პრობლემაა? ღამე აქ მეძინება თუ ჩემს სახლში, რა მნიშვნელობა აქვს. დღისითაც ყურადღებას მივაქცევ. როდის მიდიხარ?

—დღეს გავემზადები და ხვალ წავალ.

ნოდარმა გიას თავისი ღვინო აჩვენა. ცოტას დალევ ხოლმეო. —თანაც ჩემს მოსვლამდე იქნებ ლელა გაათხოვოთ და ღვინო ხომ გინდათ, შენ ვენახი არ გაქვს და რატომ უნდა იყიდო?

—ხო ლელა მართლაც მალე უნდა გავათხოვოთ, დროის გაჭიანურება არ ივარგებს, უერთმანეთოდ ყოფნა უჭირთ.

—ხოდა ღვინო აქ არის და რამდენიც დაგჭირდეს აიღე. ხალხი ქარხნის ფხვნილიან ღვინოს უფრო ეტანება, რადგან იაფია. 50 თეთრიანი ხელოვნური ღვინო ურჩევნიათ. ნამდვილ ღვინოს კი სიძვირის გამო არავინ ყიდულობს. გაყიდვას მე არ ვაპირებ და ამდენი რად მინდა?

—ქორწილი ასე სწრაფად ვერ ექნება. ჯერ მამას ველოდებით, მზესუმზირა უნდა წაიღოს თბილისში გასაყიდად. ნიშნობა კი შეიძლება იყოს და თუ იქნება, ცოტას წავიღებ. ლელას უკვე გული აღარ უჩერდება სახლში, რომ გაიგო ჩვენ თანახმა ვართ და მზესუმზირის ფულს ველოდებით, მისი ქორწილისთვის, ძალიან გაუხარდა. მას რომ ეხედავ ასეთ ბედნიერს მეც ბედნიერი ვარ. მზესუმზირა რომ არ იყოს, ყველაფერს გავყიდდი და ჩემს დას ბედნიერებას არ დავუკარგავდი.

—ლელას ქორწილი კარგია, მაგრამ შენ რა ჰქენი დაელაპარაკე ქეთინოს?

—ელაპარაკე კი. ახლა უფრო ახლო ურთიერთობა გვაქვს. ამას წინათ ჩვენთან იყო, ლელამ მოიყვანა. სიყვარულზე არაფერი მითქვამს. მგონი ჯობია სიტყვების ნაცელად საქციელით გამოვხატო სიყვარული, თორემ ისეა მომავალზე ხელჩაქნეული შეიძლება არც მომისმინოს და სულ დაფრთხეს. დავაცდი, რომ კარგად მომეჩვიოს და ჩემდამი გრძნობა და იმედი გაუჩნდეს.

—ჰო, მართალი ხარ, ასე ჯობია. ზაურისთან კიბომაც კარგი სიტვები უთხრა, ცოტა იმედი ჩაუნერგა.

—ჰო, კიბომ კარგი სიტყვები უთხრა. ძალიან გამიხარდა.

—მემგონი ის სიტყვები შენც გეკუთვნოდა. ასე მომეჩვენა, თითქოს შენს გასაგონადაც ამბობდა.

—მე კი მეკუთვნოდა ის სიტყვები, მაგრამ ჩემს გასაგონად რატომ უნდა ეთქვა? კიბომ რა, იცის რომ მიყვარს?

—შეიძლება არ იცის, მაგრამ რადგან კარგ ადამიანად გთვლის, შეიძლება ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ მას დაუკავშირებ ბედს.

–რა ვიცი, შეიძლება.

კარგა ხანს ილაპარაკეს ნოდარიმ და გიამ. მერე კი გია წავიდა და ნოდარმა გასამგზავრებლად ღვინო და ყურძენი გაამზადა.

მეორე დილით ღამიანად წავიდა, რომ დაღამებამდე ჩასვლა მოესწრო.

საღამოს ნოდარი უკვე ძმის ოჯახში იყო. დიდი სიხარულით მიიღეს. უფროსი ვაჟი "ბიძია, ბიძიას" ძახილით გამოეგება. პატარამ ვერ იცნო და დამორცხვებული გაურბოდა. ძმის მოსაყვანად ბავშვი გაგზავნეს, მალე ისიც მოვიდა. ძმები გადაეხვივნენ ერთმანეთს, ეტყობოდათ მართლა მონატრებოდათ ერთიმეორე. მერე ცოტა ცრემლებიც გადმოყარეს და იქვე ეზოში ჩამოსხდნენ.

–როგორ ხარ ძმაო, რა გიჭირს, რა გილხნს? –ჰკითხა აღელვებულმა კახაბერმა.

–რა ვიცი, ვარ რა. არც დიდად მიჭირს და არც დიდად მილხინს. ჩვეულებრივი დრეევანდელობის შესაფერისი უაზრო ცხოვრებით ვცხოვრობ, როგორც ყველა.

– ინათ სტუდენტი, რომ იყავი, წელიწადში 2-ჯერ, 3-ჯერ ჩამოდიოდი. ეხლა კი წლები გავიდა რაც აქ აღარ ყოფილხარ. ძალიან მინდოდა შენი ნახვა, შენთან ჩამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

–წინათ სხვა დრო იყო. მამაც და დედაც მუშაობდნენ. ხელფასს იღებდნენ, მეც სტიპენდია მქონდა. თანაც მგზავრობა უფრო იაფი იყო და მეც მოცლილი ვიყავი. ეხლა კი ყველაფერი გართულდა.

–ჰო ასეა, ყველაფერი გართულდა. მამა როგორ არის, ხომ არ დაურეკავს ბოლოხანს? ადრე რამდენიმე თვის წინ რომ ველაპარაკე იმის მერე აღარ ვიცი.

–მეც დიდი ხანია აღარ მილაპარაკია. ორი თვე იქნება. ბოლოს რომ დარეკა კარგად ვარო და რა ვიცი... ორჯერ ფული გამომიგზავნა.

–ხო, ფული მეც გამომიგზავნა. სირცხვილია ამხელა კაცს, ფულს რომ მამა მიგზავნის, მაგრამ რა ექნათ, ჭირს ცხოვრება. კიდეც რომ არ მინდოდეს უკან, ხომ ვერ გავუგზავნი. შენ რატომ ცოლი არ მოგყავს, პატარა გგონია შენი თავი? მე ვერ მიყურებ? უკვე 11 წლის შვილი მყავს. იმიტომ რომ 18 წლის დავინიშნე. რაღას უყურებ. დრო ისე გაგეპარება ვერ გაიგებ და მერე გვიანი იქნება.

–რა ვიცი, ამისთვის მდგომარეობა უნდა შეიქმნას შესაბამისი, თორე მარტო სურვილი არ კმარა. მდგომარეობას კი ალბათ ბედი ქმნის.

–შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ მცდელობაც თუ არ არის შენი მხრიდან, სახლში არავინ მოგიყვანს.

–ეჰ, რა ვიცი, მცდელობა პირობებიდან უნდა მომდინარეობდეს. მცდელობაც მაქვს, მაგრამ იმდენი რამდენიც პირობებია.

–ყველა პირობებს მიზეზობს და ამდენი ახალგაზრდობა დაუქორწინებელი დადის. ქალი ვეღარ გათხოვილა, ვაჟი ვერ დაქორწინებულა, ერი გადაშენების საფრთხის წინაშეა. აღარ არის ის დრო, დაქორწინებისათვის ხუთს და ათი ათასს რომ ხარჯავდნენ. უფულობის გამო კაცმა შთამომავლობა არ დატოვოს, თავისი შვილები არ ჰყავდეს ეს როგორ შეიძლება? უნდა დაძლიონ თავისი სიამაყე და

რა შესაძლებლობაც აქვთ იმითი დაქორწინდნენ. მთავარი ხომ ოჯახია, შთამომავლობა და არა საქორწინო ხარჯები.

–ჰო, მაგრამ ცოტა რამ მაინც ხომ უნდათ, ოჯახი ხომ უნდა გამოკვებონ.?

–გამოკვება ხო, გაჭირდა, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც იკვებებიან და თითო ოროლა გოგონების გადანაცვლება სხვა ოჯახში დიდად არ შეცვლის გამოსაკვებ ხარჯებს.

–მარტო ეკონომიური მხარეც არ არის დაუქორწინებლობის მიზეზი. ხალხი ისე გათახსირდა, კარგი გოგო და კარგი ბიჭი სანთლით საძებარია. ქვეყანაზე უნამუსობა, ლოთობა, ნარკომანია და სხვა საზიზღრობა გავრცელდა.

–თუ შენ მოინდომებ იპოვი ერთ კარგ გოგოს, თუნდ სანთლით იყოს ნაპოვნი და თუნდა უსანთლოდ. თუ იქ ვერ მოგიძებნია, აქ მოგიძებნი. აქაც არიან კარგი გოგოები, შენ მარტო სურვილი გამოთქვი.

ნოდარს გაეცინა და უთხრა. –შენ რა, უკვე ხომ არ მოგიძებნე?

–რა მოძებნა უნდა? ძმა საქორწინო მყავს და კარგ გოგოს რომ დაეინახავ მაშინვე შენ მახსენდები. თუ გინდა გაგაცნობ რამოდენიმე კარგ გოგოს და მერე შენ იცი.

–არა, კარგი გოგონები იქაც არიან.

–ხო, კარგი აბა ეცადე, მხოლოდ დროზე, თორემ შენ არ დაგელოდებიან.

–კარგი, ეხლა, სულ ჩემზე ხომ არ უნდა ვილაპარაკოთ? შენ თვითონ როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ ბავშვებიც დიდები გამხდარან, როგორ სწავლობენ?

–რა ვიცი აბა, ვართ ჩვულებრივად. მე ემუშაობ, მეუღლეც მუშაობს. ბავშვებს კარგ ყურადღებას ვეღარ ვაქცევთ, მაინც და მაინც უმაღლეს დონეზე ვერ სწავლობენ, მაგრამ ცუდადაც არ ითქმის. ბებიასთან და პაპასთან, ხომ იცი ცოტა ცელქდებიან ბავშვები...იქ რა ხდება, ჩვენს რაიონში? უბანში მეზობლები როგორ არიან?

–იქაც იგივე ხდება, რაც ყველგან. ვისაც აქვს ჭამს, ვისაც არა აქვს მშიერია. ზოგი კვდება თავის სიკვდილით, ზოგს კლავენ. რამოდენიმე კაცმა ჩაიგდო ხელში ყველაფერი და გამდიდრდა, დანარჩენნი გადარჩენისათვის იბრძვიან. გადარჩენისათვის მებრძოლი კი ადვილად იქცევა მხეცად. ავადმყოფი ბევრია, საავადმყოფოები კი ცარიელია. სასაფლაო დიდი სისწრაფით იზრდება, ბავშვები კი არ იბადებიან. რა ვიცი აბა, რა გითხრა, რით გაგახარო. სახარბიელო არაფერია. ხალხს გაუხარდა დამოუკიდებლობა დავიბრუნეთო და ეხლა ამასაც ნანობს, რუსეთში ჯობდაო. აბა რას იტყვის ხალხი? კერძო მესაკუთრულ კაპიტალიზმში გადაეედით და რაც ხალხს საკუთრებაში დანაზოგი ფული ჰქონდა ისიც წაართვეს. რისიღა უნდა სწამდეს ხალხს? რისი იმედით უნდა იცოცხლოს? ეუბნებოდნენ ქარხანა მუშისაა და მიწა გლეხისაო, აღმოჩნდა ქარხანა დირექტორისა ყოფილა და მიწა გლეხის გამნადგურებელი. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, კომუნისტურ დროში დემონსტრაციაზე, რომ ჩაივლიდნენ რომელიმე ქარხნის მშრომელები, რაიკომის მდივანი რომ დაიყვირებდა, გაუმარჯოს ქარხნის მშრომელებსო, ხალხი ყვიროდა; ვაშა, ვაშაო. იქ თურმე ერთხელ რუსეთიდან ჩამოსული

სტუმრები ყოფილან და უკითხეთ, რატომ ყვირიან თქვენია, თქვენიაო და რაიკომის მდივანს უთქვამს ჩვენია და აბა რა უნდა იყვირონ, მაგათ ქარხანა ვინ მისცაო. ეს მაშინ იუმორულად ეღერდა, მაგრამ შემდგომში ფაქტიურად ასე მოხდა. ქარხანაც იმათი ყოფილა და ხალხიც იმათი საკუთრება. დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, კაპიტალიზმში გადავედით, ხელმძღვანელობა კი იგივე დარჩა. ზოგან თუ შეიცვალა თავიანთი შვილებით შეიცვალა და მაშინდელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები დღეს კაპიტალისტებად და ყველაფრის ბატონ-პატრონებად მოგვეველინენ. სახელშეცვილებმა ძალაუფლება უფრო განიმტკიცეს და ხალხი გაატყავეს. მალე, ხალხს, რომ აღარაფერი ექნება წასართმევი ერთიმეორეს დაერევიან და ამაში ისევ ხალხს გამოიყენებენ. ხალხი კი მართლაც ცხვრად ქცეული, მხოლოდ ბღავის და ელოდება შემდეგ შემჭმელ მხეცს. პატრიოტიზმი და ინტელიგენცია თურმე ხალხის გასაბრუებლად გამოსაყენებელი ლამაზი სიტყვები ყოფილა და სხვა არაფერი. სად არის ინტელიგენცია, რომელიც ამ დატაცებაში მშრალზე დარჩა და არაფერი მიუღია, პირიქით რაც ჰქონდა ისიც დაკარგა? რატომ არ იღებს ხმას? ან რატომ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყველა რესპუბლიკამ გაგრძელა ეკონომიკური პოტენციალის მოქმედება და მხოლოდ საქართველოში დაანგრიეს ფაბრიკა-ქარხნები?

ამ დროს ვახტანგის უფროსმა ბიჭმა მოირბინა და სტუმარი სუფრასთან მიიწვია; –ბიძია ნოდარ, დედიკომ თქვა სუფრასთან მობრძანდითო!

ნოდარმა თავზე ხელი გადაუსვა, აკოცა და უთხრა; ეხლავე წამოვალთო. ვახტანგი კი წამოდგა და თქვა; –როგორ გაბრდილხარ, ეხლა უფრო სერიოზული აზროვნება და მსჯელობა გისწავლია. –მერე ქუჩისკენ წავიდა და თქვა; –წავალ ერთ-ორ მეზობელს დავუძახებ, სუფრაზე მოვიწვევ.

ნოდარი ფეხზე წამოდგა და იქვე დაელოდა ვახტანგს. რამოდენიმე წუთში ვახტანგი დაბრუნდა ორ მეზობელთან ერთად და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. სუფრაზე კარგად რომ განათებულიყო, სტუმრების პატივსაცემად, რამდენიმე სანთელი აანთეს.

ნოდარი 10 დღე დარჩა ძმასთან, მეთერთმეტე დღეს კი უკან წამოვიდა. თბილისში ჩასულმა იფიქრა, ჯერ მაინც დრო მაქვს, ცოტახანს გავიელი, გავისეირნებ ქუჩაში ან ბაზარში. რამდენი ხანია აქ არ ვყოფილვარო. ბიდონები დოლარების გამხურდაებელ თანაკურსელს დაუტოვა ჯიხურში შესანახად და გაისეირნა. რკინიგზის საადგურის მიმდებარე ტერიტორია სულ გადასხვაფერებული იყო. ზოგან ათხრილ–დათხრილი, გზები დანგრეული, ნაგვით სავსე. უამრავ ხალხში და მანქანებში რომლებიც ერთი-მეორეში იყო არეული, ძნელი იყო თავისუფლად გავლა. მანქანები, რომლებიც ასევე ძლივს ახერხებდნენ გავლას ხშირად ასიგნალებდნენ და ისედაც ხმაურიან ქუჩებს კიდევ უფრო ახმაურებდნენ. ირგვლივ იმდენი ნაგავი იყო, ნაბიჯს ვერ გადაადგავდი ზედ რომ არ დაგებიჯებინა. ეს ათხრილ-დათხრილი ქუჩები პირდაპირ ბაზრად იყო გადაქცეული და დახლები ანუ მაგიდები ქუჩებში იდგა, რაც კიდევ

უფრო გაუკვირდა ხდიდა მას. –ეს რა საშინელებაა გაიფიქრა ნოდარმა, –რას ჰგავს თბილისი? ჩვენი ულამაზესი დედაქალაქი რას დამსგავსებია? ეს არის კაპიტალიზმი და საბაჭრო ეკონომიკა? ამან უნდა ააყვავოს ქვეყანა? ნაგვის ქალაქად გადაქცევია ჩვენი ოცნება და მიზანი? აქ რომ პრეზიდენტი არ გამოიკლის და სხვა ხელისუფალნი ეს ადგილი მისახვედრია, მაგრამ აქ გავრცელებული, გაჩენილი დაავადებები მათაც ხომ შეაწუხებს? ნუთუ არ შეიძლება ცოტათი მაინც მოაწესრიგონ და ასეთი საშინელება არ იყოს?

ნოდარმა სულ რაღაც ნახევარი საათი იარა ამ ბაზრად და სანაგვედ ქცეულ ქუჩებში. ამ დროში რამოდენიმეჯერ ჯიბეებშიც ჩაუყვეს ხელი თუმცა ვერაფერი ამოიღეს, რადგან იმ ჯიბეებში არაფერი ჰქონდა. მერე კი იფიქრა ამ საზიზღრობაში რისთვის დავდივარ, რა დამრჩენია და უკან გამობრუნდა. თავისი ბიდონები აიღო და მეტროში ჩავიდა. სამგორის მეტროდან ამოსული და ავტობუსებისაკენ მიმავალი, გიას მამას შეხვდა. გიას მამას სახე რამოდენიმე ადგილას ჩალურჯრბული და შესიებული ჰქონდა. აშკარად ნაცემი და თანაც დაუნდობლად ნაცემი იყო. ნოდარი შეკრთა. ამის დანახვაზე.

–ანსორი ძია, ეგ რა მოგსვლია? ვინ გცემა ასე? ნოდარის დანახვაზე ანსორიც შეკრთა. აშკარად არ უნდოდა მისი დანახვა. ცალი თვალი ისე ჰქონდა შესიებული, შეიძლება ვერც ხედავდა იმ თვალიდან.

–შენა ხარ ნოდარ? რაღაც შემემთხვა და...

–რა შეგემთხვა ასეთი, ვინ გცემა ასე უმოწყალოდ?

–თუ გინდა გეტყვი, მაგრამ პირობა მომეცი, რომ სახლში არავის ეტყვი, მითუმეტეს გიას.

–რას ამბობ, რატომ არ უნდა ვუთხრა? ისეთი რა შეგემთხვა?

–არა, არა, თუ პირობას არ მომცემ, მაშინ არაფერს გეტყვი.

–ხო, კარგი. გპირდები, რომ არავის არაფერს ვეტყვი.

–მსესუმზირა ჩამოვიტანე, გავყიდე და სამრეწველო ბაზარში შევიარე, ვიფიქრე, რამეს ვუყიდი შვილებს, ცარიელი ხომ არ ჩავალმეთქი, ბაზარში რომ შევედი ყველაფერი წამართვეს და უკან რომ მოვთხოვე, მცემეს.

–როგორ წაგართვეს? იქ ხომ ბევრი ხალხია.

–შენ ხომ გჯერა ჩემი?

–მჯერა? რისი? –უცებ ვერ გაერკვა ამ ამბით გაოგნებული ნოდარი.

–იმის, რომ მე ტყუილს არ ვიტყვი.

–კი. ეგ მჯერა, რა იქმა უნდა. შენს ხელში გავიზარდე და არ გიცნობ?

–ხოდა ასე იყო. ბაზარში რომ შევედი, ახალგაზრდა ბიჭები რაღაც სათამაშოებს შემოხვეოდნენ. მე რომ გავიარე ახლოს, მთხოვეს, ბიძაჩემო ეროი ეს ბურთულა ჩაგვიგდე, უცხო კაცმა გვინდა რომ ჩაგვიგდოსო. მეც ვიფიქრე ახალგაზრდები არიან და ამაზე უარი როგორ ვუთხრა-მეთქი. და ჩავუგდე. მე მაშინვე გზა გავაგრძელე, მაგრამ ერთმა დაიწყო ყვირილი მოვიგე, მოვიგეო და გამაჩერა, მოდი ბიძაჩემო, შენს მაგივრად ჩავსვამ ფულს და შენც ითამაშე ერთი ხელი, ამდენი ფული მომაგებინე და უპატივცემოდ როგორ გაგიშვაო, თან ფული ამოიღო და იქ დადო.

მე რა თქმა უნდა უარი ვთქვი, არ მინდა არაფერი, მაგისი არაფერი ვიცი, თანაც მეჩქარება- მეთქი, მაგრამ ბიჭები განაწყენდნენ, შენ რა ბიძავ, თამაში გინდა ჩაგვიშალო? თუ წააგებ შენსას ხომ არ წააგებ, ერთს შემოატრიალებ და წახვალო. სანამდის პასუხს გაეცემდი, კიდეც შემოატრიალეს. მერე რაღაც სიტყვა თქვეს, იმაზე დაჯდაო და კიდევ 100 ლარი უნდა დაამატოო. ჩემთვის არც უკითხავთ ისე ჩამიყვეს ხელი. კიდევ რამდენიმე შემოატრიალეს და ჯიბეებიც რამდენიმე წუთში დამიცარიელეს. მე ვყვიროდი ვინა ხართ, რა გინდათ ჩემგან, მე არაფერს ვთამაშობ, ჩემი ფული მომეცით-მეთქი, მაგრამ არავინ არაფერი დამიბრუნა, რომ არ ვეშვებოდი მერე ყველა ერთად, ვითომდა მოგებულებიც დამესიენენ და კარგად დამალილავეს.

–კი, მაგრამ ხალხი არ იყო, ან პოლიცია ახლოს?

–როგორ არა, ხალხიც ბევრი დადიოდა და პოლიციელებიც იყენენ, მაგრამ არავინ ჩარეულა. როცა ცემა დამიწყეს მაშინ კი ხალხიც გაიფანტა და პოლიციელებიც. ვაი, საცოდავო საქართველო, საით მიექანები? როდის იყო ქართველი ხალხი ასეთი გულგრილი და შეშინებული. ყოველთვის ვაუკაცურად იცავდნენ სუსტს და დაჩაგრულს. ეხლა?...

–ეგ როდის მოხდა, დღეს?

–არა, გუშინ.

–როგორ ასე დღისით, მზისით ყაჩაღობა? არ წახვედი პოლიციაში?

–კი, ვიყავი, მაშინვე ნაცემი იმათთან წავედი. განყოფილებაში, რომ მივედი დაცინვა დამიწყეს, ამხელა კაცს ჭკუა სადა გაქვს, რომ რულეტკას თამაშობო. ბევრი ეელაპარაკე არ მითამაშია-მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა. თუმცა მაინც გამომყენენ. ბაზარში, რომ მიეედით იმ ყაჩაღებიდან იქ აღარავინ დაგვხვდა. მერე თქვეს, აბა რა ვიცი, ვინ იყენენ, სად მოვძებნოთო და უკან წავიდნენ. იმათი წასვლისთანავე ისევ გამოჩნდნენ ის ბიჭები. მე ისევ მივაკითხე, მაგრამ აღარ გამომყენენ, ბენზინი არ გვაქვსო. ერთმა ისიც მითხრა იმათ, რომ არ გაელამაზებინე ახლა მე გცემდიო. მერე პროკურატურაში წავედი და საჩივარი დაეწერე. მითხრეს შენ წადი და ჩვენ განვიხილავთო. მე ვუთხარი ის ბიჭები ეხლა იქ არიან და წამოდით-მეთქი, მათ მითხრეს მაგაზე პოლიციაში უნდა მისულიყავიო. ჩვენი რაიონის პარლამენტართანაც მინდოდა მისვლა, მაგრამ იქ ვინ მიმიშვა.

–ახლა რა უნდა ქნა? ხომ ხედავ, მაგ ყაჩაღებს პოლიცია მფარველობს, რომ არ მფარველობდეს საერთოდ ვერ დადგავდნენ მაგ რულეტკას თუ რაღაც ჯანდაბას. მაგ ფულს ვერაფერს ვერ უშველი. წამოდი, წავიდეთ სახლში და რაღაცას მოვიფიქრებთ.

–რას ამბობ, ცარიელი მე სახლში ვერ ჩამოვალ.

–აბა რა უნდა ქნა, მაგ ფულს ვერ დაიბრუნებ და თავი ხომ არ უნდა მოიკლა?

–ფულს თუ ვერ ვიშოვი, იქნებ სადმე ვიმუშაო და მოვაგროვო.

– მერე, ამის მოფიქრება ხომ გინდა. სად იმუშავებ ჯერ ხომ არ იცი. თანაც ასე დალურჯებულს ვინ მიგიღებს? წამოდი სახლში, იმკურნალე და მერე მოძებნე სამუშაო.

—არა, არა, ეხლა მე სახლში ვერ წამოვალ. წერილს დაგიწერ და გიას გადაეცი. წერილს, რომ წაიკითხავენ აღარ ინერვიულებენ.

—ღამის გათევას სად აპირებ?

—ნათესავთან ვარ, ეს დღეები იქ ვიყავი. არა გაქვს ფურცელი ან სხვა რამე, რომ დავწერო?

ნოდარმა დაირბინა ახლო მდებარე ჯიხურები და მალე ფურცელით და ავტოკალამით დაბრუნდა. ანზორმა დაწერა წერილი, ნოდარს გადასცა და სთხოვა: სხვას არავის მისცე, პირადად გიას მიეცი, მარტო მან წაიკითხოსო.

—კარგი, ნუ იდარდებ, —დააიმედა ნოდარმა გიას მამა.

—კარგი აბა, კარგად იყავი. მე მეჩქარება და შენც აღარ შეგაყოვნებ.

—მე არ მაყოვნებ, თუ გინდა გამოგყვები სადაც მიდიხარ.

—არა, არა, არ მინდა შენი წამოსვლა, შენ უფრო ხელს შემიშლი.

—მე მაინც გირჩევ სახლში წამოხვიდე და დამშვიდებულმა მოიფიქრო, როგორ მოიქცე. ისეთი პრობლემა არ არსებობს, დაწყნარებით, რომ ვერ გადაეჭრათ. თუ საჭირო იქნება ფულსაც ვიშოვით.

—არა, ისედაც ძალინ დამეხმარე, იმითაც მადლობელი ვარ წერილს, რომ გადასცემ. —თქვა ანზორმა და წავიდა.

ნოდარი ერთხანს იდგა ერთ ადგილას და მიმავალ ანზორს მისჩერებოდა, თან ფიქრობდა, ამ საცოდავს რა მოსვლია. ოჯახში ამ ფულის იმედი ჰქონდათ და ამასაც სწორედ ამიტომ რცხვენია სახლში დაბრუნება, მაგრამ აბა რა უნდა ქნას, უნდა დაბრუნდეს.

სახლში მისვლისთანავე ნოდარმა ბიდონები ეზოშივე დააწყო და გიასთან გავიდა. სახლიდან ლელამ გამოიხედა, როგორც ყოველთვის ღიმილით და აკაწყა, რომ გია თბილისში წასულიყო. ნოდარმა ამბავი დაუტოვა, როგორც მივიდოდა მაშინვე მასთან მისულიყო და სახლში დაბრუნდა. სახლში მისულმა ყველაფერს თვალი შეაყლო. ყველაფერი ისე იყო როგორც დატოვა, მხოლოდ ღვინო ეკლდა. ბოლოს დაღლილი ნოდარი საწოლზე წამოწვა და ჩაეძინა.

საღამოს გიამ გააღვიძა. —გაიღვიძე, რა დროს ძილია.

—უჰ, ჩამძინებია. —თქვა ნოდარმა და წამოდგა —წუხელ ცუდად მეძინა.

—სახლი, როგორ დაგხვდა. ხომ მშვიდობაა? წუხელ აქ ვერ გავათიე, მაპატიე. მამაჩემი თბილისში წავიდა, მზესუმზირის გასაყიდად, ორი დღის წინ უნდა დაბრუნებულიყო და არ დაბრუნებულა. მის მოსაძებნად წავედი.

—ხო, მამაშენი მე ენახე, წერილი გამომატანა. —თქვა ნოდარმა, პიჯაკის ჯიბიდან დეკეცილი ფურცელი ამოიღო და გიას გადასცა.

—ხო მართლა, ღვინო წავიღე. უშენოდ იმიტომ წავიღე, რომ შენ დამრთე ნება. რაღაც მოხდა, შენ ალბათ არ იცი.

გიას ეტყობოდა რაღაც ცუდი უნდა ეთქვა და ნოდარიც დაიძაბა. —რა მოხდა?

—ქეთინოს მამა მოუკვდა. ღვინის ფული არ ჰქონდა და დაკრძალვისთვის ღვინო აქედან წავიღე, ვუთხარი ნოდარიმ ნება დამრთო-მეთქი.

—მამა მოუკვდა? —გაოცებით თქვა ნოდარმა. —ამ ბოლო დროს სულ ცუდი ამბები მესმის, ერთი რამე კარგი გამაგონა, არ შეიძლება? კაცს სიცოცხლე მობეზრდება, ასეთი ცხოვრებით. რა დავაშავეთ ასეთი, რატომ გვსჯის ღმერთი?

გიამ წერილის კითხვა დაიწყო. ნოდარი ლოგინზე ჩამოჯდა დალონებული და გიას რეაქციას დაელოდა.

—ვაა, რას ამბობს, ესლა გვინდოდა კაცო? —თქვა აღელვებით გიამ.

—რაო, რას წერს?

—მზესუმზირა გაუყიდია და ფული ამოუცლიათ თუ დაუკარგავს არ იცის. ეხლა სამუშაო ვიშოვეთ მშენებლობაზე და მაგ ფულს სრულად და მეტსაც ჩამოგიტანთ, ცოტა ხანს მაცალეთო. როგორ დაკარგა, განა სად ჩაიდო რომ დაკარგა, ან ამოაცალეს? ან სად უნდა იმუშაოს? ჩამოსულიყო და ერთად გველაპარაკა, მოვიფიქრებდით რამეს, — გიას ეტყობოდა რომ ღელავდა.

ნოდარი ცოტა ხანს ჩუმად იყო. ფიქრობდა ეთქვა თუ არა სიმართლე, ბოლოს გადაწყვიტა, რომ ჯობდა ეთქვა.

—გია, მისმინე, მამაშენს არც დაუკარგავს და არც ამოუცლიათ ის ფული. რულეტკაზე წააგებინეს, უფრო სწორად კი არ წააგებინეს უბრალოდ წაართვეს, ანუ დააყაჩაღეს, რულეტკის სახელით.

— ოგორ თუ წაართვეს? ამხელა კაცს როგორ წაართვეს? რულეტკაზე თამაში დამიწყო, თუ რა ხდება? —მოსმენილმა გააბრაზა გია და ხმას აუწია.

—მოიცა, ნუ ჩქარობ. მას არ უთამაშია, უბრალოდ წაართვეს და წინააღმდეგობა რომ გაუწია, სცემეს.

—რას ამბობ, რატომ სცემეს? ვინ სცემა? —გია აფორიქდა.

—ფულის გამო სცემეს. რულეტკის ბანდამ სცემა. კი არ ითამაშა, თამაშის მიზეზით ფული წაართვეს და წინააღმდეგობის გაწევის გამო სცემეს.

—მერე ახლა სად არის, რატომ არ ჩამოვიდა?

—მას რცხვენია უფულოდ სახლში დაბრუნების და სამუშაოს მოძებნა უნდა, რომ ფული იშოვოს.

—მერე სად უნდა იშოვოს სამუშაო? ან კიდეც, რომ იშოვოს ვიდრე ხელფასს აიღებს რა უნდა ჭამოს? ხომ არ გაგიუდა? რა სამუშაო, ჩამოვიდეს სახლში, ფულის დედაც ვატირე. არაფერი მოუვიდეს ასე უპატრონოდ. მთელი ნათესაობა მოვიარე დღეს და წუხელ. არსად არ ყოფილა. სად გაათია ღამე?

—რა ვიცი, მე მითხრა ნათესავთან ვიქნებიო. თანაც წერილი გამომატანა.

— წავალ ეხლავე და მოვძებნი, ეხლა რით წავიდე ან სად მოვძებნო? ამაღამ წავალ და გათენებამდე იქ ვიქნები.

—რომელ საათზე მიდიხარ? მეც წამოვალ. ვეუბნებოდი წამოდი და სახლში მოვიფიქროთ რამე—მეთქი, მაგრამ სასტიკი უარი მითხრა, უფულოდ სახლში ვერ მივალო.

ნოდარი ლაპარაკობდა, გია კი ფიქრებში იყო წასული და ალბათ, არც ესმოდა მისი ლაპარაკი, მერე გამოერკვა და თქვა: —მანქანა

მაინც მუშაობდეს, ან შენი ან ჩემი, ახლავე წავიდოდი. უმანქანოდ ღამე რა უნდა გავაკეთოთ, მოძრაობა არ არის და რით ვიაროთ?

–დილით წავიდეთ, ავტობუსები მგონი 4 საათიდან იწყებენ გასვლას და გათენებისას იქ ვიქნებით. იქამდე მაინც არაფერი მუშაობს.

–სხვა რა გზაა. დილით წავიდეთ. შენ თუ წამოხვალ კარგი იქნება, მარტოს უფრო გამიჭირდება.

–წამოვალ, აბა რას ვიზამ. ვიპოვით და დავაბრუნებთ. დამშვიდდი, არა უშავს. მთავარია დაბრუნდეს სახლში, –ნოდარი ცდილობდა გია დაემშვიდებინა.

–რა თქმა უნდა. ფული აღარ მაღელვებს, ოღონდაც ნორმალურად დაბრუნდეს სახლში. ვინ იცის, ღამეს სად ათევს. ეხლანდელ დროში განა ადვილია ასე უპატრონოდ და უგზოუკელოდ სიარული?

–ეხლა რა ექნა. რა ვთქვა სახლში. სიმართლე, რომ ვუთხრა ხომ წარმოგიდგენია რა ღღეში ჩავარდებიან. აღარ მინდა სახლში მისვლა.

–შენ რა მამაშენივით ლაპარაკობ. თუ გინდა აქ დარჩი მე გამიხარდება, მაგრამ სახლში ხომ მაინც გაიგებენ და რა აზრი აქვს? მაინცდამაინც ღღეს თქმა კიდე აუცილებელი არ არის, ნუ ეტყვი ნურაფერს.

–ხო, რა ვიცი წავალ და ვეცდები თავი შევიკავო ღელვისგან, რომ არ შემატყონ.

–მისმინე, თუ გინდა ბიჭები შევკრიბოთ, წავიყვანოთ და წავართვათ ის ფული

–იმ ფულის გამო ომი ავტეხო? ჩემი ფულის გამო, სხვის სიცოცხლეს ხომ არ გაეწირავ. კარგი წავედი და დილას 4 საათზე დაგიძახებ.

დილით გია და ნოდარი ისე ადრე ჩავიდნენ თბილისში, რომ ჯერ მეტროც არ იყო გახსნილი, ცოტა ხანს მოცდა მოუხდათ. გახსნისთანავე ჯერ რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზებში ეძებეს, რომ ვერ ნახეს, ისევ ნათესავებს მიაშურეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. შემდეგ ძალოვანი სამინისტროების განყოფილებები და საავადმყოფოები შემოირბინეს, მაგრამ გიას მამა არსად ჩანდა.

–აბა იქ წავიდეთ, სადაც ის ამბავი მოუხდა. იქნებ ისევ მივიდა და ვინმემ რამე იცოდეს. –თქვა ნოდარმა. გიაც დაეთანხმა და იმ ბაზარში მივიდნენ, სადაც ანზორს მისივე თქმით ფული წააართვეს.

ბიჭებმა ბაზარში ორი "რულეტკა" ნახეს. ორივე გამველელებს, მათ შორის ნოდარის და გიასაც სთხოვდნენ მოდი ბუროულა ჩაგვიგდე, უცხო კაცმა გვინდა ჩაგვიგდოსო. ბიჭებმა ადვილად შეამჩნიეს, რომ იქ არაკეთილი თამაში არ მიმდინარეობდა. "რულეტკას" გარშემო ათამდე კაცი შეკრებილიყო, რომელთაც აუიოტაჟის შექმნა ეკალებოდათ ვინმე გულუბრყვილო კაცის "გასაბმელად".

ბიჭებმა ორივე "რულეტკას" სიახლოვეს, დახლებისა და ჯიხურების გამყიდველებს აუხსნეს და ჰკითხეს, ასეთი კაცი ხომ არ შეგიმჩნეიათო, მაგრამ არავინ არაფერი უპასუხა. ერთმა კი უთხრა: მაგენი ძამა იმდენ ხალხს "აგდებენ" ყველას როგორ დავიმახსოვრებ. გუშინაც ერთ კაცს მანქანა წააგებინეს. არც ის თამაშობდა, მაგრამ ვინ კითხავდა მას? მაგენი სოფლიდან ჩამოსულებზე ნადირობენ, თორემ აქაური ვინ გაეკარება?

მეტის გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა. გამყიდველებს ან მართლა არაფერი ახსოვდათ, ან ეშინოდათ და მალავდნენ.

ბიჭებმა კიდე ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. საღამოს სახლში დაბრუნება არცერთს არ უნდოდა, რადგან იცოდნენ, ანზორი სახლში არ წავიდოდა. ღამე გიას ნათესავთან დარჩნენ. მეორე დილით მათ ნათესავი კაციც გაჰყვა მოსაძებნად. შუადღემდე უშედეგოდ ცდილობდნენ კვალის მიგნებას, ვერსად ვერაფერი შეიტყვეს. შუადღისას კი ყური მოკრეს, მტკვარში ვიღაც კაცი უპოვიათ დამხრჩვალი და ამოუყვანიათო. მაშინვე იქით გაემართნენ, ანზორი ხომ არ არისო. ადგილზე მისულებს არავინ დაუხვდათ, მხოლოდ იმის გაგება მოახერხეს, რომ პროზექტურაში გადაეტანათ გვამი. მაშინვე პროზექტურას მიაშურეს. გული სამივეს საშინლად უცემდა. თითქოს უკვე დარწმუნებულები იყვნენ, რომ ის კაცი ანზორი იყო, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ერთიმეორე გაემხნევებინათ.

—თვე არ გაჯა, ვინმე მტკვარში დამხრჩვალი, რომ არ იპოვონ და ახლა რატომ უნდა აღმოჩნდეს მაინცდამაინც მამაშენი? —უთხრა საშინლად აღელვებულ გიას ნოდარმა.

პროზექტურაში, დამხრჩვალი მამაკაცის გვამი მართლა ანზორი აღმოჩნდა. გიამ მის დანახვაზე ფერი დაკარგა, მუხლებში ძალა გამოეცალა და ჩაიკეცებოდა ნოდარს და მის ნათესავს, რომ არ დაეჭირათ. იქვე ახლოს სკამი მონახეს და დასვეს.

სანამ ანზორს რაიონში გადაასვენებდნენ, ინფორმაციამ უფრო ადრე ჩააღწია. ატყდა წივილ-კივილი, ვაი უშველებელი, მერე ცოტა მინელდა. მიცვალებულის გამოჩენისას კი ისევ ატყდა, ხალხი მოგროვდა, ზოგი ოჯახის წევრებს აწყნარებდა, ზოგი მოსთქვამდა. ზოგი ბჭობდა თუ როგორ და რატომ მოხდა ეს ტრაგედია.

მთელი ღამე ოჯახმა და რამდენიმე მეზობელმა შფოთსა და მოთქმა-ტირილში გაატარა. ლელა თავის თავს აბრალებდა მამის სიკვდილს და ისტერიულად ტიროდა, სხვები ამშვიდებდნენ: შენ რა შუაში ხარ, ბედი რაც ჰქონდა ის მაინც მოხდებოდაო.

ცოტა რომ დაწყნარდნენ, ბჭობა დაიწყეს დაკრძალვა როგორ ჩაეტარებინათ. რა იყო უფრო სასწრაფო გასაკეთებელი და საყიდელი, როდის დაეკრძალათ და რა სად ეშოვათ. შუადღისას კი ახალი ტრაგედია დაემატათ. მოულოდნელად არმოაჩინეს, რომ ლელა არსად ჩანდა. ოთახები დაიარეს, მაგრამ არსად იყო. შემდეგ ეზოში დაიწყეს ძებნა და სათონის უკან ნახეს ძირს დაგდებული, გონებაზე აღარ იყო. გვერდით შუშის პატარა ბოთლი იპოვეს, რომელშიც რაღაც ხსნარი იყო ძირში დარჩენილი. აშკარა იყო, რომ ლელამ თავი მოიწამლა. სასწრაფოდ გააქციეს საავადმყოფოში. ექიმებიც სასწრაფოდ დატრიალდნენ და ყველა მათთვის ხელმისაწვდომი საჭირო საშუალება გამოიყენეს. კითხვაზე გადარჩებოდა თუ არა, დამაიმედებელ პასუხს არავინ იძლეოდა. ყველა საჭირო წამალი საავადმყოფოში ნოდარმა მიიტანა.

—ეს რა ხდება ჩემს თავს, ნოდარ მითხარი რამე. სიზმარში ვარ თუ მართლა ხდება? ჩემი ოჯახი ბედნიერი მეგონა. მდიდარები არ ვიყავით,

ღარიბულად ვცხოვრობდით, მაგრამ ტკბილი ოჯახი გექონდა. ერთმანეთი გვიყვარდა, თვალებში შევცქეროდით და ეს გვაბედნიერებდა. ეხლა ამასაც რომ რამე მოუვიდეს, სიცოცხლე რაღად მინდა? ვიღას ვუყუროთ მე და დედაჩემმა სახლში? რა დავაშავეთ ამისთანა? რად გაგვწირა ღმერთმა ასე?

—დამშვიდდი, ლელას არაფერი მოუვა, ხვალ უკვე კარგად იქნება. აღელვებული იყო, ბავშვია, ვერ გაუძლო დიდ ტკივილს და გაცლა გადაწყვიტა, მაგრამ კიდევ კარგი დროზე მივუსწარით და წამოვიყვანეთ. ეხლა აღარაფერი ემუქრება. გამომჯობინდება და ამ საქციელს თვითონაც შეცდომად ჩათელის. მომავალი წინ გაქვთ ორივეს და ბედნიერებას კიდევ იპოვით. ტრაგედია ყველა ოჯახში ხდება, მაგრამ თავებს არ იხოცავენ. შენ კაცი ხარ, ძალა უნდა მოიკრიბო, მამაშენსაც უკანასკნელი პატივი უნდა სცე და მომავალში მთელი ოჯახის ტვირთი შენ უნდა იტვირთო. ლელასაც მიხედვა უნდა და შენც ოჯახი უნდა შექმნა.

—რა ოჯახი, რის ოჯახი, ნეტავი ლელა გადამირჩებოდეს. — გიამ ნაღვლიანი სახით გახედა ნოდარს.

საღამო ხანს ექიმებმა დაიმედეს გია, ცოტა უკეთესად არის საქმეო და ისიც ნოდარისთან ერთად, შედარებით დამშვიდებული დაბრუნდა სახლში. საავადმყოფოში კი ბიძაშვილი დატოვეს, საჭიროების შემთხვევაში დარეკავდა და მივიდოდნენ.

სახლში მისულებმა იქ მყოფნი ცოტა დაამშვიდეს. შუაღამისას კიდე მიაკითხეს და კიდევ უკეთესი პასუხი მიიღეს. მეორე დღეს კი შიგნითაც შეუშვეს და ლელას უკვე საუბარიც შეეძლო.

ლელამ ბოდიში მოიხადა თავისი დაუფიქრებელი საქციელის გამო: —იმდენი ვერ განვსაზღვრე, რომ ჩემი საქციელით ჩემს ძმასა და დედას კიდევ უფრო საშინელ მდგომარეობაში ვაყენებდი. სულელურად მომივიდა და გთხოვ მაპატიო.

—შენ კარგად იყავი და პატიება რა სათქმელია, —უპასუხა გიამ —კიდევ კარგი, რომ გადარჩი, სხვა აღარაფერს დავეძებ.

ბიჭები გახარებულები გამოვიდნენ საავადმყოფოდან, რაკი დარწმუნდნენ, რომ ლელას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მაგრამ მანქანაში ჩასხდნენ თუ არა, გაახსენდათ შემდეგი საკეთებელი საქმე და ისევ მოიღუშნენ.

დაკრძალვა დროისა და პირობების შესაბამისად, ნორმალურად ჩაატარეს. ლელა საავადმყოფოდან, მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ გამოიყვანეს. ოჯახი დიდად დამწუხრებული იყო, თუმცა რაღაც გარკვეული სიმსუბუქე მაინც იყო მათს მწუხარებაში ლელას გადარჩენის გამო.

ერთი კვირა თუ მეტიც, რაიონის მოსახლეობა ნაცნობი თუ უცნობი, მათ'ხე ლაპარაკობდა. 'ზოგი ამბობდა, ყაჩაღები დახვედრიან, მოუკლავთ და მერე მტკვარში გადაუგდიათო. 'ზოგო ამბობდა, ფული ამოაცალეს, ეს ვერ აიტანა, სახლში ცარიელი, როგორ მივიდეო და ამიტომ თავი დაიხრჩოო. კიდევ ვინ იცის, რას არ ლაპარაკობდნენ. თვით ლელაზეც

კი უამრავი ჭორი გაავრცელდა. ზოგმა თქვა ფული, რომ ვეღარ ჩამოიტანა მამამ, იფიქრა გათხოვება ჩამეშალაო და ამიტომ იკლავდა თავსო, ზოგმა კი შეყვარებულმა შეუთვალა გიჟები ყოფილხართ და შენი წამყვანი აღარ ვარო. ზოგნი იმასაც ამტკიცებდნენ, თურმე უკვე შეყვარებულთან წოლილა, ფეხმძიმედ ყოფილა და ბიჭმა რომ აღარ წაიყვანა, შემდეგ ხომ გამუნღავდებოდა ყველაფერი, ამის დასაფარად იკლავდა თავს აბა რას იზამდაო.

ჭორაობდა ხალხი ისე, რომ უმრავლესობამ არც სიმართლე იცოდა, საერთოდ არც იცნობდა მათ, არც აინტერესებდათ სინამდვილეში ვინ იყვნენ, როგორი ოჯახი იყო.

სინამდვილე კი ბოლომდე ვერც ნოდარმა გაიგო და ვერც გიამ. ვერ გაიგეს თუნდაც ის, რომ ანზორმა თავი მოიკლა თუ ძალით დაახრჩვეს. ექსპერტმა გასინჯა, ძალადობის ნიშნები მრავალად ნახა, მაგრამ ეს ნიშნები უშუალოდ დახრჩობის წინა წუთების იყო თუ რამდენიმე დღის წინ, რომ სცემეს, ეს კი ვერ გაარკვია. ყოველ შემთხვევაში გიამ და ნოდარმა ზუსტი პასუხი ვერ მიიღეს.

პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, როგორც გიას უთხრეს, მაგრამ არანაირი პასუხი იქიდან არ გაუგიათ. ნოდარიც კი, რომელიც ანზორის სიცოცხლეში უკანასკნელ მნახველთა შორის ერთადერთი მიწმე იყო, არ დაუბარებიათ და არ დაუკითხავთ.

ერთ საღამოს ქუჩაში გასულ ნოდარს გია შეხვდა ბაზრიდან მომავალი.

–როგორ არის საქმე ბაზარში, არ გამოსწორდა ვაჭრობა? –ჰკითხა ნოდარმა გიას.

–ეჰ, გამოსწორდა კი არა სულ უკანუკან მიდის. –უპასუხა გიამ.

–რატომ? საქონელი აღარ გაქვს?

–ორივე მხარეს დიდი მაღაზია გაიხსნა და ჩემთან ხალხი აღარ მოდის. იშვიათად თუ ვინმე შემოვა. სურსათი სულ აღარ იყიდება, დიდი ნაწილი დაძველდა და გადაეყარე. მხოლოდ ისეთი წყრილმანი იყიდება რაც იმ მაღაზიაში არა აქვთ. გამყიდველიც კი გავუშვი და მე თვითონ ვყიდი. ალბათ თავს დავანებებ ვაჭრობას. ახალ წელს დავველოდები. იქნებ საახალწლო ვაჭრობამ მიშველოს და მერე შევეშვები. ერთი თვეა მამაჩემი დაეკრძალე და დარჩენილი ვალიც ვერ მოვიცილე. –გულდაწყვეტით თქვა გიამ.

–შენი ვალიც ხომ მაქვს. –უთხრა გიამ და თავი შეიკავა ეთქვა, რომ ჯიხურის ორი თვის ქირაც გადასახდელი ჰქონდა და ავთო გიორგაძეისთან აღებული პროცენტიანი 400 დოლარი ვალი, რომელიც ჯერ კიდე მამამისის სიცოცხლეში აიღეს.

–ჩემი რა ვალი გაქვს?

–როგორ, იმდენი ღვინო წამოიღეთ და გადახდა არ უნდა?

–რას ამბობ რა ღვინო. მე ვალად არ მომიცია. მეგობრობაში და მეზობლობაში ასეთი რამ, როგორ შეიძლება? ეგ ვალად როგორ ჩათვალე? დღეს თუ მე მქონდა, ხვალ იქნებ შენ გქონდეს და მე დამჭირდეს, ვალად უნდა მომცე? ეგ სიტყვა მეორედ აღარ გამაგონო, –გაუწყრა ნოდარი.

–მაგრამ მე მაინც მაწუხებს. სხვა რამეში მაინც მოგეხმარები, როცა დაგჭირდები მითხარი.

–ეგ სხვა საკითხია. გეტყვი, როცა დამჭირდები თუ გეცლება, მაგრამ ვალის მოტივით კი არა, უბრალოდ მეგობრულად. თუ საქონლის საყიდლად ფული გინდა, მოგცემ. დღეს დამირეკა მამაჩემმა და 300 დოლარი გამომიგზავნა. არ მოგერიდოს.

–არა, რას ამბობ, ისედაც მადლობელი ვარ შენი.

მეორე დღეს, დილით ბანკში წავიდა და ფული გამოიტანა. შემდეგ იფიქრა, რაკი აქეთ ვარ დათოს გავუველი, რამდენი ხანია არ მინახავსო. დათო სახლში დაუხვდა. მის დაძახილზე გარეთ გამოვიდა

–რა შორიდან იძახი უცხოსავით, ძაღლი მე არ მყავს და ოჯახის წევრები, ვერ შემოხვალ პირდაპირ, ქუჩაში რომ დგახარ? –უთხრა დათომ

–რა ვიცი, იქნებ სახლში არ ხარ.

– შემოდი, შემოდი. სახლში ღუმელიც ანთია.

–ხო, შეშა მოგიტანია, მაგრამ ამ სიცხეში ღუმელი რად გინდა?

–ეგ შედარებითი სიცხეა, ოორემ ნოემბერი მაინც ნოემბერია. თუ ასე ცხელა, რატომ მაიკით არ დადიხარ, რატომ გაცვია ამდენი?

–ბიჭები ოთახში შევიდნენ და ძველ დივანზე, რომელიც ჯერ კიდევ კარგად გამოიყურებოდა დასხდნენ.

–კარგია რომ მოხვედი, შენი ნახვა მინდოდა.

–მერე, არ იცი სად უნდა მნახო? ყოველთვის მე მოვდივარ, შენ კი გეზარება, თუ სხვა რამეშია საქმე?

–მე შენთვის კი არა, მაიასთვისაც ვერ მოვიცლია. ბევრი საქმეები მქონდა, ძლივს დავამთავრე. დღეს ვაპირებდი შენთან მოსვლას.

–მაიასთან საქმე როგორ გაქვს?

–ცუდად... მეც ვერ ვიცლიდი... როცა მოვახერხე და წავედი არ გამოვიდა ჩემთან შესახვედრად, ეშინია...

–მერე, რატომ ეშინია? შენ ხომ ისე მოაწყვე, რომ მისი ძმა ვერ გაიგებს?

–ხო, მაგრამ გოგოები ხომ იცი, მაინც სუსტები არიან. შენთან ერთი საქმე მაქვს, ბიძაჩემი, დედაჩემის ბიძაშვილი ხომ იცი? ბიზნესში რომ არის ჩაფლული?

–ხო ვიცი...

–ხოდა, ბიძაჩემს მიწის ნაკვეთი აქვს 12 ჰა იჯარით. ეხლა იმ მიწისთვის ველარ იცლის, სულ ბიზნესში გადავიდა და უკან ჩაბარებას აპირებს. მე შემომთავაზა, მაგრამ მე არ შემიძლია, ისედაც ბევრი საქმე მაქვს. ვიფიქრე იქნებ შენ აგველო. კარგი ნოყიერი მიწაა, მხოლოდ ისეთ ადგილსვა, ჩემი აზრით ვენახი ან სხვა მრავალწლიანი არ გამოვა. იქ მხოლოდ ბოსტნეული უნდა მოიყვანო. ხორბალი და სხვა მსგავსი მარცვლოვანი კულტურა კარგი მოდის.

–ვენახი და ატამი რატომ არ გამოვა?

– მაღლა მთაშია, თანაც დახრილი. ატამს სიცივე გააფუჭებს. მზესუმზირა კარგი მოდის, მაგრამ ბევრი შრომა, მუშები და ფული

ჭირდება. შენ ვერ მოახერხებ, ხორბალი კი ხელით არ მუშავდება და მოერევი. შორს კი არ გეგონოს, აქვე მაღლა გორებზეა, 10–12 კილომეტრი იქნება.

–მერე, ყანის დათესვასაც ხომ ფული უნდა? მოხვნა, დათესვა, სათესლე ხორბალიც საყიდელია... მიწაში რამდენს ითხოვს?

–მიწაში არაფერს არ ითხოვს. ხომ გითხარი უკან ჩაბარებას აპირებს. რა უნდა მოითხოვოს? პირიქით, დაგეხმარება გადაფორმებაში. ფული კიდე, მოხვნის და კულტივაცია–დათესვის გჭირდება მხოლოდ.ხორბალი პრობლემა არ არის,. ჩემი მეზობელი რომ არის შაქრო, მაგას აქვს კარგი ხორბალი. 4 ტონა აქვს და ამდენი პურის საცხობად არ სჭირდება სახლში. ეგ ხომ ზაფხულამდე ერთ ტონაზე მეტს ვერ მოიხმარს, დაუჭიანდება დანარჩენი. ჩვენ რომ ვესესხოთ, კიდეც გაუხარდება. გაატარებ სარჩევში და გადაარჩევს სათესლე ხორბალს. ზაფხულში კი მოსავალს რომ აიღებ, დაუბრუნე. ცოტა მეტობითაც რომ მისცე ორივესთვის მომგებიანი იქნება.

–კარგი საქმე კი არის, მადლობელი ვარ ჩემზე რომ ზრუნავ, მაგრამ საკმარისი ფული რომ არ მაქვს? ამ დილით ავიღე მამას გამოგზავნილი 300 დოლარი. მე სხვა ფული არა მაქვს და ეს, სუმთელიც რომ მაგ საქმეში დავხარჯო, მაინც არ ეყოფა.

–ამდენი ფული გქონია და უკან იხევ? საქმე ძალით უნდა გააკეთო, თორემ თავისით არაფერი კეთდება. მაგ ფულით დიზელის საწვავი რომ იყიდო, დაგრჩება კიდეც იმდენი, რომ ტრანსპორტში გეყოფა. ტრაქტორისტებს კი ზაფხულში, მოსავალს რომ აიღებ მაშინ მისცემ. ეხლა არ იცი რა დროა? ესენი ნახევარზე ნისიაზე მუშაობენ. თუ ეგ ფულიც არ გეყოფა, ერთი 100 ლარი მე მაქვს და მოგცემ.

–რა ვიცი, რომ დავიწყო, ეს ფული დავხარჯო და არ მეყოს? საქმეს შუა გზაში ხომ ვერ მივატოვებ?

–არაფერს არ მიატოვებ. მერე მამაშენი კიდე გამოგიგზავნის და სახლში სახარჯოთ, საჭმელად გეყოფა. ხვალვე წავიდეთ ბიძაჩემთან და გადაიფორმე. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ვინ ჩაგიგდებს ხელში მუქთად ამდენ მიწას? არ იცი, როგორ დაიტაცეს ადგილები?

დათო წამოდგა და მაგიდაზე თეფშების დალაგება დაიწყო. ნოდარი კი თავისთვის ფიქრობდა: "ეს საქმე მართლაც კარგი რამეა, მაგრამ ეს ფული, რომ სულ ამ საქმეში დავხარჯო გიას და ქეთინოს როგორღა დაეხმარო, მაშინ გია იძულებული გახდება მანქანა გაყიდოს. არ მინდა მანქანა გაყიდოს, მაგრამ რა ვქნა? ამ საქმის ხელიდან გაშვებაც დასანანია... არაუშავს, გაყიდის მანქანას, ზაფხულამდე უმანქანოდ გაძლებს. თუ დაჭირდება ჩემსას ვათხოვებ, მერე კი დაეხმარები და იყიდის.

–შენ რა სუფრას შლი? ღვინოც რომ დაგიდგავს, ამ შუადღისას რა დროს დალევაა?

–შენ რა აღარ გახსოვს გუშინ რა დღე იყო? გუშინ ხომ ჩემი დაბადების დღე იყო. შენი იმედი მქონდა, ვიფიქრე მოვა და ერთად ავღნიშნავთ-მეთქი, მაგრამ არ მოხვედი. დღეს მაინც ავღნიშნოთ.

–ხოო, სულ დამავიწყდა. შენ ხომ გიორგობას ხარ დაბადებული. მაპატიე.

–წავალ, შაქროს დავუძახებ. ხორბალზეც მოილაპარაკებთ და სუფრასთან სამნი უფრო მოვილხენთ. შენ ქვაბს მიხედე, არ დაიწვას. –თქვა დათომ და გარეთ გავიდა. ათიოდე წუთში შაქროსთან ერთად დაბრუნდა.

–ძია შაქრო, გუშინ დაბადების დღე მქონდა და არავინ მესტუმრა. დღეს მაინც ავღნიშნოთ. ხომ იცი „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო." დღესაც ჩაგვეთვლება.

–შენ რა, გიორგობას ხარ დაბადებული? მერე რატო გიორგი არ დაგარქვეს?

–რა ვიცი, მამაჩემს უფიქრია, ყველას გიორგი ჰქვია და მეც გიორგის ხომ არ დავარქმევო. დავით აღმაშენებელი უყვარდა მამაჩემს ძალიან და ამიტომაც დამარქვა დავითი.

–ჰო, სახელიც კარგია და მართლა დიდი გმირი მეფე იყო, მაგრამ მარტო მოსახელეობა არაფერია, იმას უნდა მიბაძო, მის პატრიოტულ საქციელს. –ღიმილით უთხრა შაქრომ.

სუფრას შემოუსხდნენ. ნოდარმა ჭიქები შეაესო.

–ძია შაქრო, შენ უფროსი კაცი ხარ, ჩვენზე მეტიც იცი, ტრადიციაც გვაკალდებულებს, რომ თამადა შენ იყო და აბა შენ იცი გვითამადე.

შაქრომ ხრდილობიანად იუარა, რაღა დროს ჩემი თამადობაა, თქვენ ახალგაზრდები ხართ, თქვენ უნდა ითამადოთო, მაგრამ განმეორებითი თხოვნის შემდეგ, უარი აღარ უთქვამს. ჭიქა აიღო ხელში და თქვა: –რადგან არ იშლით და მე მავალებთ თამადობას, დაიწყოთ უპირველესად, ეს ოჯახი მინდა ვადღეგრძელო. აქ რომ ოჯახი იყო, ცუდად არ ცხოვრობდა, მაგრამ მაინც წავიდა რუსეთში და დღეს შენ ცხოვრობ. მართალია ამ ოჯახის ახლობელი ხარ, მაგრამ ის ოჯახი არ ხარ. მართალია აქ ცხოვრობ და ამ ოჯახის კერა არ გააცივე, მაგრამ შენ მარტო კაცი ხარ, ოჯახი ჯერ არ გაქვს და აქ ჯერ ამ ოჯახის ფუძის ანგელოზი ტრიალებს, ამიტომ, აი იმ ოჯახის ფუძეს გაუმარჯოს და იმ ფუძის ანგელოზს შევთხოვოთ, შენც შეგაქმნევინოს ოჯახი, მიგიღოს თაყვანისად. მფარველობა გაგიწიოს შენ და შენს ოჯახს. შენც ყოველთვის პატივი ეცი მას. ისინი ალბათ აქ აღარ დაბრუნდებიან და ამ კერას, ამ ანგელოზს კარგი ოჯახი სჭირდება. –დაამთავრა შაქრომ და დალია.

–რატომ აღარ დაბრუნდებიან? შენ რა იცი? –ჰკითხა ნოდარმა.

–ეეჰ, შვილო, იმდენი სხვადასხვა ჯურის ხალხი შემოდის საქართველოში რომ... ისედაც ცოტანი დაერჩით, გაქრობა გვემუქრება. ჩვენები კიდევ საზღვარგარეთ გარბიან კარგი ცხოვრების საძებნელად. რა გვეშველება არ ვიცი. უკვე ქართველებზე მეტი საქართველოში სხვა ერის ხალხია. თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში იმდენად ცოტა დავრჩებით, არავითარი სიტყვა და ძალა აღარ გვექნება, მერე სახელსაც შეუცვლიან ჩვენს ქვეყანას და მორჩა. გაქრება საქართველოც და ქართველი ერიც. ასეთ ვითარებაში ქართველი, რომ ვერ გაიგებს ამას

და სამშობლოდან წავა, ის აქ დამბრუნებელი აღარ არის. ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა "კარგი ქვა, კედელს არ გამოძვრებაო". ეგ კარგი ცხოვრებისთვის გაქცეული ქართველები, ცუდი ქვები არიან ერის კედლისა, მათი გამოძრობით სუსტდება კედელი. აუცილებელია ამ ადგილის ამოშენება, თორემ დასუსტებული კედელი ადვილად ინგრევა.

–ესეიგი შენ ამბობ, რომ ამერიკა, ასეთი ზე სახელმწიფო ცუდი ქვით არის ნაშენი, რადგან ემიგრანტებით აშენდა? – ჰკითხა ნოდარმა.

–ეგ ცოტა განსხვავებული შემთხვევაა, თუმცა, მაინც ცუდი ქვით არის ნაშენი. ამერიკას ემიგრანტების მისვლამდე თავისი ფუძე ჰქონდა. ემიგრანტებმა იმ ფუძის დიდი ნაწილი გაანადგურეს, მხოლოდ ნაწილი გამოიყენეს. ამიტომ ცუდი ქვით ნაშენი გამოდის და თუ დღეს კიდე დგას, იმიტომ რომ რყევა არ გამოუცდია. რყევის გარეშე არც ერთი კედელი არ ინგრევა, რაც არ უნდა სუსტი იყოს, მაგრამ რყევის მომენტიც ყველას მოუვა.

–რუსეთი? რუსეთი როგორი ქვითაა ნაშენი?

–აბა, წადით, ქუჩებში გაიარეთ. მიშენებ-მოშენებული სახლები ხომ გინახიათ. თითქმის ყველა მიშენების ადგილში გამსკდარია, იმიტომ რომ სხვადასხვა ფუძეზეა აშენებული. აი ეს არის რუსეთი და როგორც ყველა იმპერია, ეგეც დაიშლება.

–შუმერთა იმპერიამ, რომ 8 ათასი წელი იარსება? –ნოდარმა ინტერესით შეხედა შაქროს.

–ეგ იმიტომ, რომ ერთ ფუძეზე იყო ნაშენები.

–მაშ მტკიცე ქვით ნაშენი, რომელიღაა?

–ისტორიში, დროში, ყველაფერი იცვლება, მაგრამ ეროვნულ სახელმწიფოებს, შეიძლება სახელები ეცვლებოდათ, მაგრამ ათასწლეულები მაინც არსებობდნენ.

–რატომ? რამდენი ეროვნული სახელმწიფო გამქრალა?

–რა თქმა უნდა გამქრალა, მაგრამ თავის დროზე. მე არ ვლაპარაკობ ვითომ ერებზე. ეროვნული მონატეხისგან, რომ წარმოიქმნება და დიდი ამბიციები უჩნდება. ასეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი სხვა ერის მონატეხია და დროებითია. ეროვნულ სახელმწიფოს, სიყვარული ამტკიცებს და არა მტრობა. მტერს თუ მტრულად შეხედავ, მტრობა გაუძლიერდება და თუ სიყვარულით შეხედავ, მტრობა შეუსუსტდება. საქართველოს ისტორია ხომ კარგად იცით. ყოველთვის მტრების გარემოცვაში იყო და უამრავი ომი გადაუტანია. ხომ არ გგონიათ, რომ მტრის სიძულვილით იგერიებდა ამ ომებს? არა, სიყვარულით იგებდა. აბა გაიხსენეთ, როგორ პატივს მიაგებდნენ მტერსაც თუ იგი ვაჟკაცურად იქცეოდა, მაგრამ თუ მოყვასი არ გიყვარს, მტერს ვერ შეიყვარებ და სწორედ ეს იყო მთავარი. მოყვასის სიყვარული, თავისი ერის და სამშობლოს სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, ისე მტკიცედ კრავდა ხალხს, რომ ადვილად ამარცხებდა მასზე რამდენჯერმე ურიცხვ მტერს. ხოლო მტრის სიძულვილი, რომ არ გვქონდა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ შიგნით საქართველოში, უამრავი სოფელი წარმოიშვა სხვადასხვა ერებისა. სიძულვილი რომ ჰქონოდათ, აქ მათ ვინ დაასახლებდა?

—აბა რატოლა წუწუნებ, სხვა ერები შემოდიან, უმცირესობა ეხდებით ქართველებიო? —დაინტერესდა დათო.

—იმიტომ, რომ ჩვენ მოყვასის სიყვარული დაეკარგეთ, სამშობლოსა და ერის სიყვარული. ისინი იმიტომ კი არ შემოდიან, რომ საქართველო და ქართველები უყვართ, არამედ იმიტომ, რომ საფუძველს ხედავენ აქ დამკვიდრებისას. ჩვენი ეროვნული სულიერი გადაგვარებით, ეროვნული სიცარიელე წარმოუშვით და ასეთ დროს ყოველთვის, ყველგან სხვა ერი იკავებს ამ სიცარიელეს.

ამ აზრმა ბიჭები ჩააფიქრა ცოტა ხანს, შემდეგ დათომ წამოიწყო:

—მართალია. სიყვარული დავკარგეთ. სიყვარული ცოლ-ქმარს შორის კავშირიდან იწყება. თუ ცოლ-ქმარს შორის კავშირი მტკიცე სიყვარულით მიმდინარეობს და ოჯახი მტკიცეა, მაშინ ბავშვიც ოჯახის ეროგული და მოსიყვარულე იზრდება და თუ ოჯახის მოსიყვარულე იზრდება, მაშინ სამშობლოც უყვარს და ერიც. დღევანდელი ქართველების უმრავლესობამ ეს დაკარგა და ამას მოჰყვა სხვა უამრავი ცუდი.

—ეგ მართალია. მთავარი ოჯახური სიმტკიცე და სიყვარულია, მაგრამ მიზეზები სხვაც ბევრია და ყველა მიზეზი თუ არ გაიაზრე საქმეს ვერ გამოასწორებ.

—ერთი მიზეზი ალბათ, ისიც არის, რომ ეკონომიკურად გაუჭირდა ხალხს, ელემენტარული კვების პრობლემა გაუჩნდა და ამიტომ ძველ დროს, რუსეთს მისტირიან. —თქვა დათომ.

—ხო, ხალხი საქონლის აზროვნებაზე ჩამოვიდა.

—რატომ საქონლის? განა მართლა გაჭირვება არ არის?

—ისეთი ხალხი, რომელიც რუსეთს მისტირის იმის გამო, რომ კუჭში საჭირო მასა შეუმცირდა, განა საქონელი არ არის? ზუსტად საქონლის მსგავსად პატრონს საჭიროებს, რომ იკვებოს პატრონის მეშვეობით, გასუქდეს და სხვა არაფერზე იფიქროს. ჭამის გარდა დანარჩენი დრო საქონელს თუ ცოხნისთვის სჭირდება, ადამიანი ან დომინოს ითამაშებს, ან ტელევიზორში სერიალს უყურებს და ასე გაიყვანს დროს შემდეგ ჭამამდე. არ აინტერესებს წინაპრები, თავისი წარმომავლობა და გონიერება. არ უნდათ ამ ფიქრებით თავი შეიწუხონ, კარგავენ თავის წინაპრების მიერ შექმნილ და გადმოცემულ ეროვნულ კულტურას და საზოგადოებრივი ურთიერთობის ცოდნა-გამოცდილებას. კარგავენ მთლიანად ფსიქოლოგიურ ეროვნულ წარმომაელობის შეგრძნებას და მხოლოდ ამის გამოა, რომ მისტირიან რუსეთს. ნაწილი კი ითხოვს სხვა ქვეყანასთან, მაგალითად, ამერიკასთან ვიყოთ დამოკიდებულებაში, მდიდარია და უკეთ გამოგვკვებავსო. ერთმა ნაწილმა კი კარდაგ მოირგო ეს დღევანდელი "უპირატესობა", ხალხის ხარჯზე მისსავე ქონებას დაეპატრონა, მისსავე კისერზე წამოჯდა და აღარც ერი აინტერესებთ, აღარც ბერი. სამივე ნაწილი საზოგადოებრივ-ეროვნულ კულტურას და მორალს მოწყვეტილნი, კარგავენ ისეთ ძვირფას გრძნობას, როგორიცაა სამშობლოს სიყვარული და ერთის მხრივ გაჭირვების განცდის ხელშეწყობით, მეორეს მხრივ კი ბევრი ფულისა და ძალაუფლების მანიის ხელშეწყობით განიცდიან ეგოისტურ შურიანობის ყველაზე

უარყოფითი მხარის, –ბოღმის მოზღვავებას. სწორედ ეს არის ერის ყველაზე საშინელი დაცემის გამოვლინება და ყველაზე უფრო საშიშიც. ასეთი ხალხი ქმნის ისეთ საერთო ვითარებას, რომ დარჩენილი მეოთხე ნაწილი ერისა, რომელიც ჯერ კიდე ჯანმრთელია და არ დაავადებულა, არ ეძლევათ საშუალება თავიაანთი თავი გამოავლინონ. საუკეთესო ნაწილის გამოუვლენელობის გამო კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ასეთები აღარც არიან და ეს კიდე, უფრო უბიძგებს საზოგადოებრივ მასებს გულგატეხილობისკენ და ცუდისკენ. ერისა და სამშობლოს სიყვარული, ერთ-ერთი ყველაზე წმინდა და სათუთი გრძნობაა, რომლის დახმარებითაც ადამიანი უფრო კეთილშობილი, კაცთმოყვარე და სხვისი ჭირის თუ ლხინის გულით გამზიარებელი ხდება.

–შაქრო ძია, შენზე ამბობენ სკოლაში ერთი წელიც არ უვლიო და თუ ასეა, ამდენი საიდან იცი? –ჰკითხა დათომ.

–ეეჰ, შვილო, ცოდნის მიღება თუ გინდა, წიგნები სკოლის გარეთ იყიდება და არა სკოლაში. მართალია, სკოლაში ცოდნის მიღება უფრო ადვილია, მაგრამ მთავარი ის არის ცოდნა გწყუროდეს და არა ქაღალდი, რომელიც შენს სკოლაში სიარულს ამოწმებს. სკოლაში, ცოდნის მიღება შეიძლება და არა სიბრძნის. სიბრძნე თუ გინდა, სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებას უნდა დაუკავშირო და ხალხისგან მიიღო ის, რაც სკოლას აკლია. მე 17 წლისა ვიყავი წერა-კითხვა, რომ ვისწავლე. მთაში მეცხვარედ ვიყავი და კითხვა ჩემმა უფროსმა მწყემსმა მასწავლა. მაშინ ზამთარი იყო და თოვლზე მიწერდა ასოებს. მერე წიგნებმა დამაინტერესა და ბევრს ვკითხულობდი. წინათ წერა-კითხვა უმრავლესობამ არ იცოდა, მაგრამ მაშინ რომ სიბრძნე იყო ხალხში, ეხლა იმის ნახევარიც არ არის. ამბობენ, მე კი არ მჯერა, მაგრამ ამბობენ წერა-კითხვა იესო ქრისტემაც არ იცოდაო.

სუფრა რომ მოათავეს ბიჭებმა, დარეკეს დათოს ბიძასთან. მან უპასუხა, რომ ნაკვეთი თუ მართლა უნდოდათ, ჯერ დაეთესათ, გადაფორმებაში დრო არ დაეკარგათ, რადგან თესვის დრო იწურებოდა. გაფორმება მერეც შეიძლებოდა და ეხლა ამისთვის დროის დაკარგვა არ ღირდა. მათაც დაუჯერეს და რამოდენიმე დღეში კიდეც მოხნეს, კიდეც დათესეს. ნოდარმა მამის მიერ გამოგზავნილი ფული მთლიანად ამოწურა და საარსებოდ საჭირო ფული დათოს გამოართვა. შეპირებული 100 ლარი, მარტოხელა კაცისთვის საარსებოდ არცისე ცოტა იყო და გადაწყვიტა ეს ფული ორი თვე გამოეხოგებინა, ვიდრე მამისგან კვლავ მიიღებდა ფულს. პარალელურად იქნებ რაიმე სამუშაოც გამოჩენილიყო.

გიამ მაღაზია დახურა, რადგან იქიდან ვერანაირ სარგებელს ვეღარ ნახულობდა. რაც ფული ჰქონდა მაღაზიის ქირა გადაიხადა, შეშა იყიდა და დარჩა ცარიელი.

ახალი წლის წინა დღეებში, შეიძლება ითქვას ბედმა გაუღიმათ. ნოდარმა კიდე მიიღო მამისგან 200 დოლარი, გიამ კი სამსახური იშოვა. ერთ-ერთ ქარხანაში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი განადგურებული, დარაჯად დაიწყო მუშაობა. მართალია ცოტას უხდიდნენ, მაგრამ მაინც შეღავათი იყო. მითუმეტეს, რომ სამ დღეში

ერთხელ მუშაობდა და დანარჩენი დრო შეეძლო სხვა რამეც გაეკეთებინა. ნოდარს რაც შეეხება, მან ფული სასწრაფოდ გადაახურდავა და გადაწყვიტა, წინა წლის მსგავსად საახალწლო ვაჭრობისთვის მიემართა. ასეც მოიქცა, მაგრამ იმდენად აღარ გაუმართლა, თუმცა, მოგება მაინც დარჩა და უკმაყოფილი არ იყო. ორასი ლარი სასუქისთვის გადაინახა, რომელიც ყანას სჭირდებოდა. ცოტა ფული შეინახა, რომ არ შემოხარჯვოდა, დანარჩენით კი ახალი წლის სუფრისთვის ტკბილეული და სურსათი შეიძინა. ქეთინოც არ დავიწყებია. ერთი დაკლული ქათამი უყიდა, მეტი ვერ გაბედა, ვაითუ ესეც არ აიღოსო. ერთი ტორტი და სამი ბოთლი შამპანურად წოდებული კარგი, შუშხუნა ღვინოც იყიდა მანანასთან მისასვლელად და ახალ წელს მანქანით მიადგა მანანას სახლს. დიდხანს ეძახა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. ეტყობა სახლში არ იყვნენ. გულდაწყვეტილმა ნოდარმა ტორტი კინაღამ მოისროლა, მაგრამ დაენანა და სახლში წაიღო. –ან სად მიმქონდა, არ ჯობდა ქეთინოსთვის მიმეტანა? –გაიფიქრა და წაიღო კიდეც. ტორტით, ღვინით და სხვა სურსათით დატვირთული ნოდარი ქეთინოს სახლისკენ გაემართა. ქეთინო ღიმილით და საყვედურებით გამოეგება:

–ნოდარ რა არის, არ გრცხვენია, ამდენი რამე, რომ მოგაქვს? ყოველთვის, როცა მეხმარები უხერხულად ეგრძნიბ თავს. უფრო მეტად კი ის მაღელვებს, საერთოდ არ მიეჩვიო სხვის ხარჯზე ცხოვრებას.

–ეს საახალწლო ძღვენია და ამაზე უარს არ ამბობენ, თანაც მეკვლედ მოვდივარ და მეც ხომ უნდა შევმატო სუფრას რამე.

ქეთინოს მის ლაპარაკზე გაეცინა და დანანებით თქვა:

–იმდენი ხანია ჩვენთან მეკვლე არ ყოფილა, რომ დამავიწყდა კიდეც მისი არსებობა. მობრძანდი ჩვენო მეკვლეე, –გაუღიმა ქეთინომ და ოთახში შეუძღვა.

ნოდარმა ოთახში შეაბიჯა და სამჯერ გაიმეორა ტრადიციული მეკვლეს სიტყვები: „შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“. მერე ყველაფერი მაგიდაზე დააწყო და ქეთინოს უთხრა: წინაარმდეგი ხომ არ იქნები გიასაც რომ დაეუძახო?

– გიას? რა ვიცი წინაარმდეგი არა, მაგრამ თუ ლელაც წამოვა უკეთესი იქნება.

ნოდარმა ღობიდანვე გასძახა გიას. გია ქუჩისკენ იხედებოდა, ქეთინოს ეზოში არ ელოდა.

–შენ მანდ ხარ? რას აკეთებ? მანდ რა გინდა?

–ჯერ არ გაგიგია? ახალი წელია. არ გინდა ქეთინოსთან ერთად ავღნიშნოთ? ლელაც წამოიყვანე.

–ხო, ეგ მეც მინდოდა, მაგრამ მარტო ხომ ვერ მივიდოდი. ლელა კი ცუდ ხასიათზეა და ალბათ არ გამომყვება.

–უთხარი, რომ ქეთინო სთხოვს და თუ მაინც არ წამოვა მე მოვალ და წამოვიყვან.

–კარგი, კარგი, წამოვა აბა რას იზამს. ხუთ წუთში მოვალთ. –თქვა გიამ და სახლში შებრუნდა.

ნოდარი, რომ დაბრუნდა ქეთინო სხვა, უფრო ფართო ოთახში გასულიყო და სუფრას შლიდა. საწოლზე ქეთინოს დედა იჯდა. ნოდარი მიესალმა და მოიკითხა

—როგორ ხართ, ანა მასწავლებელო? სიკეთეს გვასწავლიდით, მხნეობას გვინერგავდით და თვითონ კი რა მაგალითს გვაჩვენებთ? ამ გოგოს ღალატი ასეთ დროს განა სიკეთეა? გამხნევდით, გამოჯანმრთელდით და გვერდში დაუდექით.

ანა მასწავლებელმა სალმითვე უპასუხა და უთხრა:

—ეეჰ, შვილო, მართალი ხარ, ჩემი მხრიდან მართლა ღალატია, მაგრამ თავს ზევით რომ ძალა არ არის? ნეტავი მართლა შემეძლოს გვერდში ამოვუდგე. ის კი არა, თვითონ ვაწევარ ტვირთად. დაიტანჯა საწყალი ბავშვი, ახალგაზრდობა ვერ გაიგო რა არის ჩემმა შემყურემ, სულ სახლში ზის ჩემს გამო.

ქეთინო წინა ოთახში გავიდა და იქიდან ნოდარს ანიშნა ცოტა ხანს გამოდიო. ნოდარიც გავიდა.

—ძალიან გთხოვ, არაფერი წამოგცდეს რაც მე შემემთხვა. დედამ არაფერი იცის. სატანჯველი ისდაც ბევრი აქვს და არ მინდა კიდე დაემატოს ჩემს გამო. —თქვა ქეთინომ და იგრძნო სადაცაა იტირებდა.

—რას ამბობ გოგო, გაგიუდი? რატომ უნდა ვთქვა ასეთი ბრიყვი ვარ? დამშვიდდი.

—კარგი, კარგი, ვიცი, კარგი ადამიანი ხარ, მაპატიე, —მოუბოდიშა ქეთინომ

ნოდარს გაეღიმა და ისევ ანა მასწავლებელთან დაბრუნდა.

—შვილო, შენ კეთილი ბიჭი ხარ. ქეთინო მეუბნება-ხოლმე, რომ შენ გვეხმარები. დიდად მადლობელი ვარ. ჩვენ მაგ სიკეთეს ვერ გადაგიხდით, რა შეგვიძლია. ღმერთს ვთხოვ მან გადაგიხადოს ათ მაგად ჩვენდამი გაწეული სიკეთე. ღმერთმა, კარგი მეუღლე შეგახვედროს და ბედნიერი ცხოვრება მოგცეს. შენ ნამდვილად ღირსი ხარ ბედნიერების.

—რა სიკეთეა ანა მასწავლებელო, გვერდით მეზობელს, თან თქვენნაირს, რომ ლუკმა არ ჰქონდეს მე როგორ უნდა ჩავყლაპო თუ არ ვუწილადე? ღმერთი არ მიწყენს? ეს ხომ ყველა ადამიანის ვალია? განა თქვენ არ გვასწავლიდით ამას?

კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ქეთინომ კარი გააღო და ოთახში გია და ლელა შემოვიდნენ. ერთმანეთს მიულოცეს ახალი წელი და ტკბილეული მაგიდაზე დააწყვეს. ლელამ და ქეთინომ გაუღიმეს ერთმანეთს, მაგრამ ეს არ იყო ძველი ლელას ღიმილი. ეს გულიდან ამოსული ღიმილი იყო, მაგრამ არა მისთვის ჩვეული. სიცოცხლით სავსე ეს სევდიანი და უფრო ნაძალადევი ღიმილი იყო. 18 წლის გოგო შავ სამოსში და შავი თავსაფრით სულაც არ ჰგავდა იმ ბავშვურად მოცქრიალე, მომღიმარ გოგოს, ორიოდე თვის წინ, რომ იყო. უფრო დინჯი, უფრო მორიდებული და ცივი გამოხედვა ჰქონდა. თვალის გასწორებას ვერავისთან ახერხებდა და დამნაშავესავით ყველას შეხედვისთანავე თვალს არიდებდა. ლელას თითქმის ისეთივე გამოხედვა და ქცევა ჰქონდა, როგორც ქეთინოს 6 თვის წინ, მაგრამ ლელა უფრო უსუსურად და

საცოდავად გამოიყურებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ქეთინო ტანჯვამ უფრო ადრე დაასერიოზულა, ლელა კი ბავშვური სიცელქის ხანაში მოულოდნელად ჩავარდა ფსიქო-ტრაღიკულ ტრავმაში.

ქეთინომ ლელას და გიას მოტანილიც სუფრას შემატა და მაგიდას მიუსხდნენ. ქეთინოს დედაც მცირე დახმარებით სუფრის თავში დასვეს.

–გვაპატიეთ შვილებო, რომ ღარიბული სუფრა გვაქვს, თქვენ მეტი გეკადრებათ, მაგრამ რა ვქნათ. –თქვა ანა მასწავლებელმა.

–ანა მასწავლებელო, ჩვენ სასიყვარულოდ მოვედით და არა საქეიფოდ. ყველას ვთხოვ, დაივიწყეთ დროებით თქვენი ტკივილები, რამდენადაც შეძლებთ და ცოტა მოილხინეთ. ახალი წელია და დარდებს ნუ დაიკობებთ. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ დაგეხმაროთ უკეთესად გაატაროთ ეს ღღე, ვიდრე ამას ცალცალკე მოახერხებდით. –თქვა ნოდარმა. ბოთლი აიღო, გახსნა და ყველას დაუსხა. მერე ჭიქა აიღო და ბევრი ილაპარაკა ახალ წელზე, სურვილებზე. სხვებმაც იგივე გაიმეორეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო მოკლედ და მორიდებულად გამოთქვეს.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს აქამდე ერთიმეორისთვის უცხონი ყოფილიყვნენ, უფრო თამამად დაიწყეს საუბარი და კიდეც მოილხინეს. ეხლა უფრო ხშირად ნახავედით მათ სახეზე ღიმილს. ქეთინოს დედამ მალე დატოვა სუფრა და შვილის დახმარებით საძინებელ ოთახში წავიდა. რამდენიმე საღღეგრძელოს შემდეგ კი ნოდარმა ლელას საღღეგრძელო შესვა.

–ლელა. –თქვა მან. –ეხლა მინდა, შენ მოგილოცო ახალი წელი. სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს შენთვის ეს წელი. ეიცი, იმ დარდს, რაც ეხლა შენ გაწუხებს, ადვილად ვერ მოიცილებ, მაგრამ იმდენი სიკეთე და ბედნიერება მოეტანოს შენთვის ამ წელს, რომ ეგ დარდები დიდად შეგმსუბუქებოდეს. შენ ჩემს თვალწინ გაიზარდე და კარგად ვიცი, რომ კარგი გოგო ხარ. გული მტკივა, რომ ასე დადარდიანებული დადიხარ. რათქმა უნდა, დიდი ტრაგმა განიცადე და მოლხენილი ვერ იქნები, მაგრამ ნაადრევად ნუ დაიბერებ თავს. ახალგაზრდა გოგო ხარ, თითქმის ჯერ კიდევ ბავშვი. არაკისთვის საიდუმლო არ არის, რომ შენ შეყვარებული გყავს. გასაგებია, რომ ამ ტრაგმის შემდეგ სიყვარულობანას გული აღარ გაქვს, მაგრამ ცოტა დრო, რომ გავა უნდა დაუბრუნდე ამ გრძნობას. ნუ დაიკოდავ გულს იმ აზრით, თითქოს ის ტრაგედია შენმა სიყვარულმა გამოიწვია. ეს ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ კიდეც, რომ ასე ყოფილიყო, მაინც არ გაქვს უფლება სიყვარული დაივიწყო, იმიტომ, რომ მამაშენმა იცოდა შენი სიყვარულის შესახებ და ამას იწონებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ სიყვარულს ანუ შეყვარებულს დაუბრუნდები, მამაშენი იმ ქვეყნად გაიხარებს და რაც აქ ვერ მოასწრო გაეკეთებინა, მიუხედავად დიდი სურვილისა, შენ უნდა აუსრულო. იმ ბიჭს ვიცი, რომ უყვარხარ და ამიტომაც დღესაც მოდის შენს სანახავად, შენ კი აგდებ. კარგი იქნება თუ აღარ გააგდებ და დაელაპარაკები ნორმალურად. ხომ უნდა განსაზღვროთ სამომავლოდ თქვენი ბედი.

–მართალს ამბობს. –თქვა ქეთინომ. – ნამდვილად გულწრფელი, სწორი და აუცილებელი დარიგებაა. მე ხომ შენი ამბავი ვიცი, ყველაფერს მეუბნებოდი. ვიცი, რომ გულწრფელად გიყვარდა. არ შეიძლება ამ სიყვარულის ჩაკვდომა. გისურვებ, რომ ამ წელში ეს საკითხი დადებითად გადაგწყვიტოს.

–მეც ყოველივე კარგს გისურვებ ამ წელში. –თქვა გიამ. – შენ ჩემი საყვარელი დაიკო ხარ. გაყვები თუ არა იმ ბიჭს, მაინც ჩემი საყვარელი დაიკო იქნები. ეგ შენი გადასაწყვეტია და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი, მაგრამ მგონი მართლა კარგს გირჩევენ. თუ გაყვები მეც გამიხარდება.

ლელას არაფერი უპასუხია. მხოლოდ თავჩაღუნული ისმენდა რჩევებს.

თბილი და უთოვლო ზამთარი მიმდინარეობდა. მაგრამ არც ისე თბილი არ იყო. ღამე ზოგჯერ ყინავდა კიდეც, მაგრამ რაკი თოვლი არ მოდიოდა ხალხი თვლიდა, რომ თბილი ზამთარი იყო. ნოდარმა სასუქი იყიდა. თოვლის მოსვლას ელოდა, რომ დაეყარა ყანისთვის, მაგრამ თოვლი არ ჩანდა. უსაქმურად ყოფნაში რამდენიმე წიგნი წაიკითხა. ერთხელ მანანასთანაც იყო, ისაუბრეს, თუმცა სიყვარულზე ლაპარაკს არ შეხებიან. ამ საკითხს ორივე გაურბოდა. მის სახლში, ნოდარი თავს შეზღუდულად გრძნობდა. ისიც კი იფიქრა ზაფხული მაინც იყოს სადმე წავიყვანდიო, მაგრამ ზამთარი იყო და მანანასთან მისსავე სახლში საუბარს უნდა დასჯერებოდა.

მარტის დასაწყისში თოვლიც მოვიდა. ნოდარმა მაშინვე შეკრიბა გია და დათო და წაიდნენ სასუქის დასაყრელად. სასუქი რამდენიმე საათში დააყარეს და ნოდარმა შვებით ამოისუნთქა. ეხლა მოსავლის აღებამდე აღარაფერი უნდაო, მაგრამ დათომ შეახსენა, რომ გაზაფხულზე გერბიციდების დასხმა იყო საჭირო.

ასე გავიდა ზამთარი ნოდარისთვის და გაზაფხულიც მოვიდა. ხალხი, როგორც ყოველთვის ამ დროს, მინდვრად გაიშალა სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად. ნოდარიც თავის წილ საქმეს აკეთებდა.

წინადღით დაღლილ ნოდარს დაეზარა კვლავ მინდორში სამუშაოდ წასვლა და ამ დღეს დასვენება ამჯობინა. დასანანი კი იყო, ასეთი კარგი მზიანი დღის გაცდენა, მაგრამ სამუშაოები დაწინაურებული ჰქონდა და მისთვის დასვენება საქმეს არ დააზარალებდა. შუადღემდე დრო წიგნის კითხვაში გაატარა, მერე ესეც მობეზრდა და ქუჩაში გავიდა. ქუჩაში არავინ იყო, ლაპარაკით რომ გართულიყო და ეზოს წინ, ქუჩის სკამზე ჩამოჯდა.

ცოტა ხანში ვაჟამ გამოიარა. ეტყობოდა საქმე მაინცდამაინც არ აწუხებდა და ნოდართან ჩამოჯდა სკამზე.

–გამარჯობა, ძმაო, როგორა ხარ. –მიესალმა ვაჟა და ხელი ჩამოართვა.

–არა მიშავს, რა ვიცი... შენ როგორა ხარ? არ დაგეწყო თეეზაობის სეზონი?

–ჰო, ეხლა ვამზადებ და ხვალიდან მე მგონი წავალ. შენ რაღას უყურებ, შენი ვერ გავიგე ვერაფერი. თეეზაობა გიყვარს, კარგადაც იჭერ როცა მიდიხარ და სახლში რა გაჩერებს, ფული არ გინდა? მე ძმაო, შარშან თვეში 500 ლარამდე ვაკეთებდი, შენ 400-სს ველარ

გააკეთებ? ისე ვინ რას გაძლევს? ეხლა აქ რომ ზიხარ, ვინმე ამაში რამეს გიხდის? წამოდი, ერთად წავიდეთ, ალაზანზე კარგი ქოხი გავაკეთოთ და ვიყოთ იქ. ყოველ 3-4 დღეში ამოხვალ, თევზს ამოიტან, ჩაბარებ და ცოტას დაისვენებ. მერე მე ამოვალ და ასე რიგრიგობით იქაც ვიქნებით და სახლშიც.

–ბრაკონიერობა გინდა დამაწყებინო?

–ეს რა ბრაკონიერობაა ძმაო, ჩვენ ხომ ანკესით ვიჭერთ. ბრაკონიერობა აი ის არი, ყოველი ღამე 7-8 ნავი რომ ჩამოივლის-ხოლმე და დენით ანადგურებენ მთელ თევზს. რასაც იჭერენ, ერთ იმდენს კიდე უაზროდ ხოცავენ წყალში. რომელიც ცოცხალი რჩება, დენში მოხვედრილი, გამრავლების უნარს კარგავს... ყოველ დღე რომ ბათქაბუთქები გააქვს დინამიტებს, აი ბრაკონიერობა ის არის. თევზს თვითონ ეგერები და ეკოლოგიის ხალხი ანადგურებს და მე ვარ ბრაკონიერი? სადაც ერთი პატარა ტბა თუ გუბე იყო, სუყველა დააშრეს და თევზი ბაზარში გააქციეს. მაინც ნადგურდება და ვერ ხედავ მოსწრებასა?

ნოდარს გაეცინა და უთხრა;

–ეგმართალია, მაგრამ მუდმივად იქ ვერ წამოვალ. შენ სახლში ოჯახი გყავს და მე რომ წამოვიდე მუდმივად, აქ ხომ ყველაფერს გაანადგურებენ. ვერ ხედავ, ეს ახალგაზრდობა სულ ხელიდან მიდის? როგორ დაძურებიან ეზოებში და სახლებში? ქვაბებსა და ტაფებსაც რომ მოიპარავენ, უფრო მნიშვნელოვანს ხეირს დააყრიან? აი, როცა დრო მექნება, ათასში ერთხელ წამოვალ, ერთი ან ორი დღით. ქუჩაში გიაც გამოჩნდა და რომ დაინახა ნოდარი და ვაჟა, ისიც მათთან მივიდა.

– აი, გიას ასწავლე და წაიყვანე. – უთხრა ნოდარმა ვაჟას.

–რა უნდა მასწავლოს თევზაობა?

–ხო, რა, ცუდი საქმეა? ფულს გააკეთებ ძმაო. ბევრი ფულის პატრონი ვერ გახდები, მაგრამ ოჯახში სამყოფს იშოვი.

–რა ვიცი, შეიძლება კარგი საქმეა, მაგრამ ცხოვრებაში არ მითევზავია, არაფერი ვიცი და ეხლა სანამდე ვისწავლი, წელიც გავა, ტყუილად გაუცლე? –წელიწადი რად გინდა, ერთ თვეში ისწავლი. მხოლოდ ეგ არის, თვეში 500 ლარისას ვერ დაიჭერ.

– შენ რომ ტრაბახობ, გგონია ვინმეს ჯერა, რომ 500ლარს აკეთებ თვეში? 200 ლარზე თვეში თუ გარანტიას მომცემ წამოვალ, მეტი არ მინდა.

–მე რა გარანტია მოგცე ძმაო, შენზეა დამოკიდებული და მე რა შუაში ვარ. მე ხომ არ დაგიჭერ?

–გუშინწინ ავთო გიორგეიჩი დავინახე თქვენთან მოსული, რა უნდოდა? შემოდგომაზეც იყო მგონი თქვენთან... –ჰკითხა ნოდარმა გიას.

გიას სახე მოეღუშა და თქვა: –ცოტა ვალი მაქვს და...

–რა ვალი გაქვს? –დაინტერესდა ვაჟა.

არაფერი ისეთი. –პასუხს თავი აარიდა გიამ.

მათ ზაური უახლოვდებოდათ, ნაბიჯების ტემპი უფრო საქმიანს ჰგავდა, ვიდრე მოცლილ მოსეირნეს.

—გამარჯობათ!.. ნოდარ! ერთი ბარი მჭირდება, ხომ არა გაქვს თავისუფლად, ორი-სამი დღე, რომ მათხოვო?

—კი, მაქვს. ეხლავე გამოგიტან. —თქვა ნოდარმა და ეზოში შევიდა. რამდენიმე წუთში გამოსულ ნოდარს გარეთ ნუგზარი და კიბოც დაუხვდა. ნოდარი კიბოს მიესალმა და ბარი ზაურს მიაწოდა. ზაურმა ბარი გამოართვა, მაგრამ იქიდან არ წასულა. ეტყობა მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა ბარის გამოყენება.

—აბა ახალს რას გვეტყვი კიბო? —ჰკითხა ნოდარმა.

—რა უნდა ვუთხრა შენნაირ გაფუჭებულ კაცს. ჭკუა კი გაქვს, მაგრამ იმ ანდაზისა არ იყოს „ჩემს ჯიბეში ჩურჩხელაა, ეგრე ტკბილად დამიბერდიო," ვის რაში არგია? როდემდე უნდა იყო ასეთი გაფუჭებული?

კიბოს გამონათქვამზე ვაჟამ და ნუგზარმა გაიცინეს, გიამ და ზაურმა კი წყრომა გამოთქვეს.

—რას ამბობ კიბო, ნოდარია გაფუჭებული?

—შენ თუ მთავრობაზე და ვიღაც მართლა გაფუჭებულ ხალხზე ხარ გაბრაზებული მესმის, მაგრამ ნოდარის გაფუჭება ვის გაუგონია? სად გინახავს მისი ცუდი საქციელი? —გაბრაზდა გია.

—ეგენი გაფუჭებულები კი არა, გადაგვარებულები და გამხეცებულები არიან. ნოდარი კი გაფუჭებულია. მართალია, მაგის ცუდი საქციელი არავის უნახავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს პატიოსანი საქმის კეთებას. ეს არკეთებაა და არა კეთება. პატიოსანი კაცი იმას ქვია, ვისაც სინდისი აქვს. კარგი საქმის მკეთებელი, ანუ ვაჟკაცი კი მას ჰქვია ვინც სინდისის გამოძახილით მოქმედებს. უმოქმედობა ფუჭობაა რაც არ უნდა პატიოსანი იყოს. აბა მითხარით, რამდენჯერ გინახავთ, როცა ნოდარი უსამართლობას შებრძოლებია? განა ბევრჯერ გინახავთ? სინდისი, რომელსაც ვერაფერში გამოიყენებ, რის მაქნისია? გაფუჭებული კაცი ის კი არ არის, ვინც ცუდ საქმეს აკეთებს, არა, მათ თავიანთი სახელი ჰქვიათ, არამედ ის, ვინც თავის სინდისს, პატიოსნებას და განათლებას ვერ გამოიყენებს ხალხის სასარგებლოდ, ვინც ხალხზე ვერ მოახდენს კარგ გავლენას და ცუდისკენ მიმავალთ ვერ შემოაბრუნებს. ფუჭად, რომ იცხოვრებ გაფუჭებულობა ის არის, თორემ უსინდისო, რომ ცუდად იქცევა მას გაფუჭებულს ვერ უწოდებ. იმიტომ, რომ სინდისი არა აქვს და რაც არა აქვს, იმას ფუჭადაც ვერ დახარჯავს.

—მაშ, შენ რას ითხოვ, სხვების საქმეში ჩაერიოს? ასეთ კაცს ხომ იცი, „ბოზს" უწოდებენ. —თქვა ვაჟამ.

—სხვათაშორის, ეგ სიტყვა ძველ ქართულად, როგორც გამიგია, ლამაზ ქალს ნიშნავს, თანამედროვე სალაპარაკო ენაში კი მეძავს. ნოდარი კი ვაჟია და მის მიმართ ეს სიტყვა საერთოდ უადგილოა. თუ თქვენ, ბნელეთის მოციქულების ტერმინოლოგიას გულისხმობთ და მათ აღიარებთ, მაშინ თქვენც ბნელეთის ხალხი ყოფილხართ.

—რომელი ბნელეთის მოციქულები? —გულუბრყვილოდ იკითხა ზაურმა.

—ის ხალხი, რომელნიც ამ სიტყვას თავისი ინტერესებიდან გამომდინარე სხვანაირი მნიშვნელობით იყენებენ. თავის ცნობიერებას თვითონვე შავს უწოდებენ, როგორც ქურდული სამყარო, ასევე შავი ეკონომიკის, ანუ კორუფციული სამყაროს ხალხი. შავი კი ბნელეთის ფერია, ანუ იმ გარემოსი, სადაც ნათელი არ არის. ესეიგი მათ იმდენი

გონება მაინც აქვთ, რომ სწორედ განსაზღვრეს იმ ცხოვრების დამღუპველი არსი და შავი დაარქვეს. თქვენ კი, თუ ეს ჯერ არ განგისაზღვრავთ, არ იცით სად დგეხართ და რა საზოგადოებას ეკუთვნით, მაშინ მათზე გაცილებით გონებაჩლუნგები ყოფილხართ. ესეიგი ნათელი არც თქვენთან ყოფილა. რაც შეეხება მაგ აზრს რა მნიშვნელობითაც თქვი, მასეთ პირდაპირ ადამიანს, პირში მთქმელს უწოდებენ და ასეთი ადამიანი უბრალოდ არ უყვართ.

—თუ თვითონვე იციან, რომ დაიღუპებიან, მაშინ რატომ არ გამოდიან იმ ცნობიერებიდან? —იკითხა გიამ, რომელიც სხვებთან ერთად დიდი ინტერესით და ცოტა გაოცებული უსმენდა კიბოს.

—იმიტომ, რომ ეს მათი ცნობიერებაა. სხვა ცნობიერება არ გააჩნიათ და კიდეც, რომ მოინდომონ გამოსვლა, მთლიანი სისტემის დამცავი ფსიქო-ცნობიერი გარსი არ მისცემთ საშუალებას. მის გარღვევას კი უფრო ძლიერი, ნათელ-გონიერი ძალა სჭირდება. თუ ვინმე მოიპოვებს ამ ძალას კიდეც გამოვა.

—ეგ ფსიქო- ცნობიერი გარსი რაღა ჭირია? —იკითხა ვაჟამ.

—მართლაც რომ ჭირია... ფსიქო-ცნობიერი გარსი, არის იმათი ცნობიერების გავლენის შედეგად ჩამოყალიბებული ფსიქიკური ველი, რომელიც შემდეგ გარკვეულ ფსიქოლოგიურ გარსს ჰქმნის და იცავს დადებითი ფსიქოლოგიური იმპულსის შეღწევისაგან.

—რაღაც გარკვეული სინდისი ხომ მათაც აქვთ? —ჰკითხა ზაურმა.

—კი, მაგრამ ეს სინდისი მათი ფსიქო-ცნობიერების შესაბამისად ამომარგელულია. და სწორედ, ეს ქმნის მათ საერთო ბნელეთის ცნობიერების დამცავ სისტემას. ანუ მათი სინდისი გადაწყობილია მათივე ფსიქო-ცნობიერების შესაბამისად, რაც უქმნით მათ საშუალებას თავიანთი საქციელი თავის გულში გაამართლონ იმის მიუხედავად, რომ იციან მათი ქცევა-მოქმედება ეწინააღმდეგება საერთო ზოგად საკაცობრიო სინდის-მორალს.

ნოდარს, ეგეც არ ეშლება —თქვა გიამ. —მართლა მოუბრუნებია კარგისკენ ადამიანი, მაგრამ დღეს ისეთი დროა, თუ იაქტიურებ ცოცხალიც აღარ იქნები.

სწორედ დღესაა აქტიურობის დრო. სწორედ დღესაა დრო სინათლის ანთებისა, რომ ეს ბნელეთის გარემო განათდეს, თორემ მზის ნათებაში არცერთი ვარსკვლავი არ ანათებს. —თქვა კიბომ. —გინდათ, ერთს მითიურ ამბავს მოგიყვებათ?

—აბა გვითხარი. —უთხრა ნუგზარმა.

—ერთ ქალაქში, ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა. მდიდარი კი იყო, მაგრამ ზოგიერთი მდიდარივით ბოროტი და ავი არ იყო. თუმცა, არც სიმდიდრე ჰქონდა უდიდესი და ულევი. თავის ქონებას, ზოგჯერ სხვებსაც უნაწილებდა და ხშირად უანგაროდ.

დაქორწინდა ეს კაცი და ოთხი შვილი შეეძინა.

რა თქმა უნდა, შვილებს არაფერს აკლებდა... ოღონდაც კი რამე მოესურვებინათ და გაუჩენელს გაუჩენდათ. სხვებს რომ უწილადებდა თავის ქონებას, შვილებს ხომ არ დააკლებდა რამეს? შვილები თანდისთან წამოიზარდნენ. ასაკის ზრდასთან ერთად, გემოვნება და მოთხოვნილებაც, ეზრდებოდათ და მამაც ჩვეულებრივად არფერს აკლებდა.

მაგრამ, დრო შეიცვალა და კაცს საქმეები კარგად ვეღარ მისდიოდა. შემოსავალმა იკლო. შვილებს მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა და თანდათან გაღარიბდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლუკმა პურის შოვნაც ეძნელებოდა. მისი ცოლი აღარაფერს ჭამდა, ოღონდაც შვილებს არ მოშივნოდათ, რის გამოც ფიზიკურად დასუსტდა და დასნეულდა. შვილები კი, კვლავ ბევრს მოითხოვდნენ. სასოწარკვეთილი კაცი, სულ მუდამ იმაზე ფიქრობდა, რა მოემოქმედა, რომ შვილებს არ მოშივნოდათ, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. საკვები კი აღარფერი ჰქონდათ.

მაშინ ადგა კაცი, ქუდი დაიხურა და თქვა; –წავალ, ღმერთს ვთხოვ რამეს. ასე ხომ არ გამწირავს? იქნებ შემინდოს, თუ რაიმე ცოდვა ჩამიდენია და ამიტომ მსჯის.... იქნებ მიხსნას დაღუპვისაგან, თორემ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევიაო.

წავიდა კაცი ღმერთის საძებრად და სათხოვნელად, მაგრამ ხომ იცით, ეშმაკი ყველას თვალს ადევნებს. ჩასაფრებულია ვინ როდის და როგორ შეაცდინოს. ასეთ შემთხვევას, ეშმაკი ხელიდან არ გაუშვებდა. ღმერთის სახე მიიღო და წინ დაუხვდა.

–სად მიდიხარ, შვილო ჩემო, და რა გაგჭირვებია? –უთხრა ეშმაკმა. –ვხედავ დიდი ტანჯვა-სადარდებელი გაწვავს გულს და გადამიშალე ეგ შენი გული. კეთილი კაცის სახე გაქვს და ცოდომაღლს იმსახურებ. იქნებ წყალობა გავიღო კიდეც.

კაცმაც, რა თქმა უნდა ღმერთად ჩათვალა და გადაუშალა თავისი გულის ნადები. "ღმერთი" დაფიქრდა. –შენ მართლაც კეთილი კაცი ყოფილხარ. ბევრი სიკეთე გაგიკეთებია, მაგრამ არც მთლად წმინდანი ყოფილხარ. მე შემიძლია წყალობა გამოვიჩინო შენს მიმართ, მაგრამ წყალობა წვიმის წვეთი არ არის თავში ისე დაგეცეს, სამაგიერო არ მოითხოვოს. მე მოგცემ ერთს და შენ ისევე მდიდარი გახდები, მაგრამ სამაგიეროდ ოთხი უნდა დამითმო, რომელიც ისედაც მე მეკუთვნის.

–ეს ოთხი რა არის, რა უნდა დაგითმო? –ჰკითხა კაცმა.

–ნუ გეშინია. ეს ოთხიც შენთან იქნება და შენი იქნება მთელი შენი ცხოვრება, ოღონდ სულით მე უნდა მეკუთვნოდეს. შენ არაფერი მოგეთხოვება. როგორც ადრე ცხოვრობდი ისევ ისე იცხოვრე, ხარჯე ფულები, იბედნიერე და შვილებიც აბედნიერე.

კვლავ გამდიდრების იმედით გახარებული კაცი, წესიერად არც ჩაფიქრებია, რა ეროი უნდა მისცეს და რა ოთხი უნდა დაუთმოს. –ოღონდაც ჩემი შვილები ისევ ბედნიერნი მყავდნენ და ყველაფერ'ს თანახმა ვარო. –უთხრა და მაშინვე სახლისკენ გაბრუნდა.

სახლში რომ მივიდა ცოლი მძიმედ დაუხვდა. კაცი ეცადა, მაგრამ ვერაფერი უშველა, იმაკე დღისით მოუკვდა. მიიღო საჭირო ლონისძიებები დაკრძალვისთვის, რაც შეეძლო და რამოდენიმე დღეში დაკრძალა.

საფლავში ჩასვენების წინ, კაცმა წამით გადახადა დაფარებული სუდარა ცოლის გვამს, რომ უკანასკნელად თვალი შეეევლო საყვარელი ცილისთვის და რას ხედავს მისი თვალები. ცოლის სხეული სულ გაყვითლებულიყო.

—ეს რა არის? ოქროდ იქცა? —ჩაიბურდღუნა შეშინებულმა, გაფითრებულმა კაცმა და მაშინვე ისევ სასწრაფოდ გადააფარა, რომ არავის დაენახა. საჩქროდ ჩაასვენა, მიწა მიაყარა და სახლში დაბრუნდა.

მეორე დღეს კაცი კვლავ იმ ადგილას წავიდა, სადაც 'ღმერთი" ნახა. „ღმერთიც" იქ დაუხვდა.

—რაო, ეხლა რაღა გაგჭირვებია? ხომ მოგეცი რაც გინდოდა, წადი და მოიხმარე. —უთხრა ეშმაკმა.

—კი მაგრამ, ღმერთო, ის ხომ ჩემი ცოლია, ჩემი ცოლის სხეული? განა შემიძლია ჩემი ცოლის სხეული დავჭრა და ჩემი უკეთესი ცხოვრებისთვის გამოვიყენო?

—ის შენი ცოლის სხეული კი არა, ოქროა. ოქრო კი მიწას არაფერში არგია. მიწისთვის ნეხვი უფრო სარგებელია, ვიდრე ეგ შენი ცოლის სხეული. მთავარი სხეული კი არა, სულია და ის სამოთხეშია, თუმცა არც შენ მოგცილდება. ადამიანი სულია და არა სხეული, რომელიც მხოლოდ ჭურჭელია სულისა. უვარგის ჭურჭელს კი ნაგავში აგდებენ. წადი, მოიხმარე ის ოქრო და უსრულველად იცხოვრებ.

რაღას იზამდა კაცი. გაბრუნდა სახლისკენ თავჩაღუნული, დადარდიანებული და ზლაზვნით გაუყვა გზას. რამოდენიმე დღე ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა ამოეთხარა თუ არა ცოლის საფლავი. ბოლოს, მაინც გადაწყვიტა ამოეთხარა, რაკი სხვა გამოსავალი ვერ ნახა შვილების გამოსაკვებად. ერთ ბნელ ღამეს წავიდა ამოსათხრელად. ამოთხარა ჩუმად ისე, რომ არავის დაენახა და სახლში დამალა.

მას შემდეგ მათი მატერიალური მდგომარეობა: ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა გამოსწორდა. რამოდენიმე წელიწადში ოთხივე შვილმა სასახლეები აიგეს, ცოლებიც მოიყვანეს. თავისი სიმდიდრით სახელები მოიხვეჭეს და დიდად გავლენიანნი გახდნენ. კაცი კი კვლავ ძველ სახლში ცხოვრობდა. ფიქრობდა: —ვაცალო შვილებს, თავისი ცხოვრებით იცხოვრონ, მე ხელს შევუშლი, მათთან, რომ გადავიდეო, თუმცა, არც შვილები იღებდნენ დიდი სიხარულით. ისინი ცხოვრობდნენ თავისი ცხოვრებით, ფუფუნებით., არაფერი აკლდათ და ამით ხარობდა მამა: ეგენი იყვნენ ბედნიერნი და მე რა მიჭირს, ლუკმა პურს ვიშოვიო.

ერთხელ კაცმა გადაწყვიტა სტუმრად სწვეოდა თავის შვილებს და კიდევ ერთხელ დამტკბარიყო მათი ბედნიერებით. წავიდა კაცი შვილებთან რიგრიგობით, მაგრამ სახლში არც ერთმა არ შეუშვა: —შენ შენი სახლი გაქვს და იქ დაეტიე, აქ ნუ მოდიხარ და ნუ გვარცხვენო. დაბრუნდა კაცი სახლში დაღონებული. თავს მხოლოდ იმით იმშვიდებდა, თვითონ ხომ არიან ბედნიერნი და მე რა მიჭირსო.

მალე შვილებს მამის მიერ მიცემული ფული შემოაკლდათ და ისევ მამას მოაკითხეს ცალკ-ცალკე. მამამ უთხრა: შვილო, აღარაფერი მაქვს, რაღა მოგცეთ, რაც მქონდა სულ თქვენ მოგეცითო. შვილებმა არ დაუჯერეს და დაემუქრნენ: —ეხლა წავალ და მეორედ რომ მოვალ, თუ არ მომცემ, ცუდად წაგივა საქმეო.

მათი წასვლის შედეგ კაცმა სამალავიდან გადმოიღო გასაყიდად უკანასკნელი ცოლის სხეულის ნაჭერი—თავი, რომელიც აქამდე

ენანებოდა. გასაყიდად წაღების წინ მაგიდაზე დადო: –ცოტა ხანს კიდე ვუყურებ, გამოვემშვიდობებიო. მაგრამ ოი, საოცრებავ, რა ნახა მისმა თვალებმა. მისი ცოლის თავს თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა.

ამის დანახვაზე კაციც ატირდა. ტირილით რომ გული იჯერა, თავი ისევ შეახვია და თავის ადგილზე დააბრუნა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მიაკითხეს შვილებმა, რომ ვერაფერი მიიღეს, სცემეს და ისევ დაემუქრნენ შემდეგ კი მამისგან წამოსულები ერთმანეთს დაერივნენ: –მამამ, შენ უფრო მეტი მოგცაო.

რამოდენიმე დღის შემდეგ, კაცმა საზარელი ამბავი გაიგო ერთ შვილს მეორე მოეკლა, იმის გამო, რომ შენ მეტი მოგცა მამამ და მე –ნაკლებიო. ამ ამბის გაგონებაზე კაცი მაშინვე 'ღმერთთან" გაიქცა გაბრაზებული, სულ იმის ბრალიაო. ეხლა უკვე ეჭვი ეპარებოდა, რომ ის მართლა ღმერთი იყო.

–ეს რა მიყავი, ღმერთო, რად დამღუპე, ასეთი შვილები რად დამაზრდევინე ერთიმეორეს რომ კლავენ, შენ ღმერთი არ იქნები, თორემ ასეთ რამეს როგორ დაუშვებდი. კარგი მეუღლე მყავდა წამართვი და სანაცვლოდ რა მიეიღე? –უსაყვედურა კაცმა.

–მე რა ბრალი მაქვს? –უთხრა ეშმაკმა. –მართალია, მე მართლაც არ ვარ ღმერთი, მაგრამ რაც დაგემართა, შენივე შემწეობით მოხდა. მე ნუ მემდური. შენი ცოლი იქამდე იყო ოქრო, ვიდრე მოკვდებოდა, მაგრამ შენ ვერ ამჩნევედი, იმიტომ რომ ფულისა და ლითონის ოქროს გარდა სხვა ყველაფერი არარად მიგაჩნდა. ჩემთანაც იმიტომ მოხვედი, რომ ჩემი სული გაქვს. ჰოდა მეც იმ ოქროდ გიქციე, რასაც შენ ცნობდი და გიყვარდა. მე სხვა რა შემეძლო, მე ხომ მხოლოდ მისი სხეული მეკუთვნოდა. შენი შვილებიც შენ თვითონ გაზარდე ჩემებად. მე ამაში წვლილი არ მიმიძღვის. შენ ყოველთვის ძალიან ამაყი იყავი. ყველას მედიდურად უცქერდი, როცა ფული და სიმდიდრე გქონდა. მესობლებსაც იმიტომ ეხმარებოდი, რომ მათთვის შენი ძალა და უპირატესობა დაგემტკიცებინა, შვილებსაც იმიტომ ზრდიდი ასე, სხვებზე "ამაღლებულნი" რომ ყოფილიყვნენ შენი ჭკუითობით. შენ ხომ არ გიცდია, რომ ისინი სხვებზე გონიერებით ყოფილიყვნენ ამაღლებულნი. შენ ხომ სწორედ მათი ფულით ამაღლება გინდოდა სხვების მიმართ? ხოდა ჩემებად თავად გაზარდე და ეხლა ისინი ჩემები არიან, რასაც მოვისურვებ იმას ვუზამ. ეხლა ცოლის ცრემლებმა რომ აგიჩუყა გული, როცა ცოცხალი იყო, რატომ მაშინ ვერ ამჩნევედი ცრემლებს? ის შენ არ გჯირდებოდა და ამიტომაც მოგაცილე. ის ჩემი მოწინააღმდეგე იყო და თუმცა ხელს მაინც ვერ შეგვიშლიდა მე და შენ შენი შვილების ჩემად აღზრდაში, მაინც მოვიცილე და იმად ვაქციე რაც შენ მეტად გიყვარდა, მაგრამ ის იმდენად წმინდა აღმოჩნდა, რომ როგორც მე ვიწინასწარმეტყველე, მართლაც მთელი ეს დრო შენ არ მოგცილებია. მისი სული ყოველთვის თავზე დაგტრიალებდათ. ეს პირობაც შესრულდა და შენ დაგიბრუნდა, სხვა რაღა გინდა? სულს, რომ ოქროში და ფუფუნებაში მიცვლიდი, მაშინ რატომ არ ფიქრობდი შედეგებზე? რაც დათესე, იმას იმკი. წადი ეხლა შეეგუე შენივე დამსახურების

ნაყოფს და შეასრულე შემდეგში რასაც მე გიბრძანებ. წუწუნის ნებას გაძლევ, რადგან ეგეც ჩემგან მოდის და ეგ ცოტას დაგამშვიდებს. რაღას იზამდა კაცი, გულჩათხრობილი გამობრუნდა უკან. –დაასრულა თხრობა კიბომ და ორიოდე წამის შემდეგ ჰკითხა. –თქვენ რას იტყვით ამაზე?

რამოდენიმე წამს ხმას არავინ იღებდა, შემდეგ კი ნუგზარმა წამოიძახა;

–ეე, ცოლებს რომ თურქეთში თუ სხვა ქვეყნებში აგზავნიან, იქ რომ ზოგიერთნი სხეულით ვაჭრობენ და ქმრებს ფულს უგზავნიან, იგივე არ არის? ცოლის სხეულით არ მდიდრდებიან?

–მაგის მეტი თუ ვერაფერი დაინახეთ, არც ისე კარგად ყოფილა თქვენი საქმე.

–მერე... მერე რა ბედი ეწიათ? –ჰკითხა ვაჟამ.

–მერე ის მოხდა, რომ კიდე ერთმა ძმამ მესამე მოკლა, თვითონ ქურდობა დაიწყო და ისიც მოკლეს ქურდობის დროს. ქალიშვილი კი ქმარმა გამოაგდო ოჯახიდან, რომელიც მამასთან დაბრუნდა და ორივენი ერთად მათხოვრობდნენ. ზოგჯერ ვინმე პურის ნატეხს გადაუგდებდა, ზოგჯერ კი მშიერები იყვნენ.

ქუჩაში ჯვარედინზე მამაომ გადმოუხვია, რომელიც ათიოდე წუთის საჯალ მანძილზე ცხოვრობდა აქედან და ამ გზაზე ხშირად დადიოდა. მის დანახვაზე ვაჟამ თქვა; –კიბო მართალია, რომ ჭიაკოკონა არ შეიძლება აანთო?

–ხო, მართლა, დღეს ხომ ჭიაკოკონობაა, არ აკანთოთ? ამ ბოლო დროს ზოგი გადაეჩვია. წინათ გახსოვთ, ჩვენს პატარაობისას ყველა რომ ანთებდა? მთელი ხალხი გარეთ გამოდიოდა.

–მოახლოებულმა მღვდელმა ეს საუბარი მოისმინა, და მათთან შეჩერდა. ვაჟას, რომელიც აპირებდა მისთვის ეკითხა, კითხვა აღარ დასჭირდა, მან თვითონ დაიწყო პასუხის გაცემა.

–ნუ აანთებთ ცეცხლს. ჭიაკოკონობა წარმართული რელიგიის გადმონაშთია, არ არის ქრისტიანული და არ შეიძლება. ეს ხომ ტელევიზიითაც ეთქვი. ადგილობრივი ტელევიზიით... არ მისმენდით? ჭიაკოკონობა და ცხვრების შეწირვა ძველი გადმონაშთებია უნდა მოიცილოთ, გასუფთავდეთ და ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანები გახდეთ.

–მამაო! მომისმინე ერთი, –მიმართა კიბომ. –16 საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში ქრისტეანული რელიგიაა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ქართველებისათვის ქრისტეანობა იძულებით არავის მოუხვევია თავს. საერთოდ შემოიტანეს თუ აქ იშვა, ჯერ ეგეც საკითხავია. ის კი, ნამდვილად ყველასთვის ცნობილია, რომ ქართველმა ერმა ერთერთმა ყველაზე პირველმა მიიღო ქრისტეანობა და თან თავისი სურვილით. რელიგიას რომ იცავ, ეგ კი კარგია, მაგრამ, რატომ არ დაფიქრდები, 16 საუკუნის განმავლობაში არავინ შებრძოლებია ჭიაკოკონაობას და დღემდე იმიტომ მოაღწია. შენ რა, ანტიწარმართული ბრძოლები ატეხე? იცი რა მოძღვრებას მოიცავდა წარმართული, და რას პირველი ქართული ქრისტეანული საწყისები?

—მე არაფერი ავტეხე. მე ჭეშმარიტი ქრისტიანობის მსახური ვარ და ღმერთის მსახური. ვალდებული ვარ ღვთიური საქმე ვაკეთო. უნდა განიწმინდოს ხალხი უწმინდურობისაგან. უნდა განმტკიცდეს ქრისტიანობა. ეს ჩემი ვალია ვებრძოლო სიმახინჯეებს.

—ამის მეტი სიმახინჯე თუ ვერ დაინახე, რისგანაც ხალხი უნდა განიწმინდოს, კარგად ვერ გქონია საქმე. —თქვა ნოდარმა.

—მოიცა, როგორ თქვი, ვისი მსახური ვარო? —თქვა კიბომ.

—ღვთის მსახური ვარ, ღმერთის მსახური...

—ეგ რას ნიშნავს? ესეიგი ღმერთმა შეგარჩია, აგიყვანია მსახურად და მითითებებს გაძლევს რა უნდა აკეთო? თუ უბრალოდ ნებართვა მოგცა?

—დიახ, ღმერთის ნებით, და მადლით. ღმერთი მაძლევს მითითებებს. მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ეს ღმერთის შერჩევას ნიშნავს. ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება, ხოლო მართლმადიდებლური რელიგიის წესები ღმერთის მითითებაა, რომელიც უნდა დავიცვათ.

—ისიც ღმერთის ნებაა კაცს რომ კლავენ, ძარცვავენ, აუპატიურებენ? —თქვა გიამ.

—ერთი მითხარი, რომელ წესებში წერია, ჭიაკოკონობა ღმერთის საწინააღმდეგოა და ებრძოლეთო?

—მაგის დაწერა საჭირო არ იყო. ეგ არა ქრისტიანულია, წარმართულია და უნდა მოისპოს.

—იქნებ ის ათი მცნებაც არ იყო საჭირო, რომ დაწერილიყო და ხალხისათვის მისი შესრულება მოგეთხოვა? სხვათაშორის ეს ათი მცნებაც წარმართულიდან მოდის. მისმინე, მამაო, მთელ ქრისტეანულ სამყაროში, ყველაზე საღი მარცვალი საქართველოშია შენარჩუნებული ქრისტიანობის ასაღორძინებლად და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად. ქრისტეანობა, იბერიულ ხალხში იშვა, მისი ღვთაებრივი სიბრძნის ფარული თუ ღია საფუძვლებით. ქრისტეანობა, მარტო რელიგიურ დოგმატური წესები არ არის. ის ამავე დროს იბერიულ ხალხთა ტრადიციებში და მის ფილოსოფიურ-მორალურ სიბრძნეშიცაა. ესპანეთიდან მოყოლებულ კასპიის ზღვამდე, სადაც იბერიელთა შთამომავლები ცხოვრობენ, ყველაზე საღი მარცვალი ამ მოძღვრებისა, ამ ქრისტეანულ—ღვთაებრივი ფილოსოფიის საფუძვლები კავკასიაშია შენარჩუნებული, ქართველებში, ქართულ ენასა და ტრადიციებში. განსაკუთრებით კი, მთის დასახლებაში. ამიტომაა პრომეთე, ანუ ამირანი კავკასიონზე მიჯაჭვული. ამიტომაც ჰყავდა საქართველოს ბევრი მტერი. თუმცა ყველა განსაკუთრებულად უდგებოდა საქართველოს საკითხს. შეიძლება ზოგიერთი ტრადიცია არასწორი იყოს და მოძველებული, მაგრამ ყველა მათგანი სერიოზულ განხილვას საჭიროებს და არა ზედაპირულ მიდგომას, როგორც შენ ლაპარაკობ.

—კიბო! მართალია, რომ ამბობენ ჩრდილოეთ კავკასიელებიც იბერიელები არიანო?

—ჰო, მართალია. მხოლოდ ზოგიერთის გამოკლებით. ყველა არ არის იბერიელთა შთამომავალი.

–აი ხომ ხედავთ. ეს ქრისტიანობის მტერია. –თქვა მღვდელმა. –ჩრდილოეთ კავკასიელები მუსულმანები არიან, ქრისტიანობასთან რა კავშირი აქვთ? მარტო ოსები არიან ქრისტიანები.

–მამაო! შენ ეროვნებას რასას და რელიგიას, ერთიმეორეში ნუ ურევ. იყო დრო, როცა საქართველოში ქრისტეანული, რელიგიური რწმენა თითქმის გაიგივებული იყო ქართულ ეროვნებასთან. ამან შეკრა ქართველი ერი და პატრიოტული სული აამაღლა. სწორედ ამან იქონია ბევრჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველო გადარჩა. მაგრმ ეხლა სხვა დროა. ბედის უკულმართობით, სამწუხაროდ ქართველთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე რომლებიც ძირძველი ქართული მიწა იყო, ეხლა კი სხვა ქვეყნების შემადგენლობაში შედის, არა ქრისტეანული რელიგიის მიმდევარია. ესიგი რა, ქართველები არ არიან? თუ ჩვენ ისე მივუდგებით, რომ ქართველად ჩავთვლით მარტო მართლმადიდებელ ქრისტეანებს, მაშინ მათ როგორც ქართველებს საერთოდ დავკარგავთ და მათ ნაცვლად შეიძლება მტერიც მივიჩნიოთ ქართველად. ეს რა თქმა უნდა, უსამართლობა და საშიში იქნება ერისათვის, მარტივად რომ ვთქვათ. საქართველოში ისედაც ბევრი ქართველი გადაიბირეს, თქვენი უნიათობით, სხვადასხვა შემოჭრილმა სექტებმა. ადვილად ახერხებენ ანტი ეროვნული ცნობიერებებზე გადაყვანას და სჯობს ამას მიხედოთ.

–აბა, მაშ მუსლიმანები ქართველებად ჩავთვალოთ?

–მამაო! კიდევ გეუბნეი. რელიგია რელიგიაა, ეროვნება კი ეროვნება. მათი ერთიმეორეში არევა არ შეიძლება. ქრისტეანებიც არიან სხვა ერებში და მუსულმანებიც, ქართველებში. მე ის არ მითქვავს რომ ყველა მუსლიმანი ქართველია. ქრთველები ქრისტეანობას არ წარმოუშვია. ჩვენი ერი მრავალი ათასი წელია არსებობს. ქრისტეანობამდეც იყო ათას წლეულები. ქრისტეანობა რომ არ შექმნილიყო მაშინ რა, ეს ერი აღარ იარსებებდა საერთოდ? რუსები რომ მართლმადიდებლები არიან, ისინიც ქართველები არიან?

–რომ ამბობ, თქვენი უნიათობით შემოდიან და მრაველდებიან სექტებიო, რა მაგასაც ჩვენ გვაბრალებ? ჩვენ რა, არ ვებრძვით?

–მე თქვენთვის არაფერი დამიბრალებია. უბრალოდ ვამბობ, რაც თქვენს მოვალეობაშია ის აკეთეთ და ეროვნულ ტრადიციებს ნუ შეეხებით. თორემ ეს თქვენთვისვე იქნება ცუდი. თქვენ რომ თქვენი მოვალეობა წმინდად შეასრულოთ, სექტებისკენ არავინ გაიხედავს.

–ჩვენ ჩვენს მოვალეობას კარგად წმინდად ვასრულებთ, მაგრამ იმათ ბევრი ფული აქვთ და ამით ყიდულობენ გონებასუსტებს.

–თქვენ შეიძლება იმდენი ფული არ გაქვთ, როგორც სექტებს აფინანსებენ, მაგრამ ის ხალხი, რომელნიც მცირე ფინანსური დახმარებით გადაიბირეს სექტებმა, მათ მისვლამდე ხომ თქვენ გეკუთვნოდათ. რატომ ჰქონდათ ისეთი სუსტი რწმენა, რომ მცირე რამეში გაყიდეს?

–ეგ კომუნისტების მიერ დათესილი ურწმუნოების გამო იყო. ათეიზმს, რომ უნერგავდნენ ხალხს და რწმენა შეურყიეს.

–ჰო, ეგეც არის, გეთანხმები, მაგრამ აბა მითხარი, ჩვენს რაიონში რამდენი უაღრესად გაჭირვებული და მშიერია, რამდენი ქურდობას

იწყებს, რომ რამე იშოვოს, რამდენი ბოროტება, ხალხის ჩაგერა და კაცის კვლაა. თქვენ მისულხართ მათთან? გაგიწევიათ მორალური და სულიერი დახმარება, რომ არ შეცდნენ და გზას არ ასცდნენ? მოგიბრუნებიათ ვინმე გზას აცდენილი კეთილი გზისკენ? ციხეებში რომ დარბიხართ პატიმრებთან, იქ რას დარბიხართ? ჯერ იქ ირბინეთ სადაც უფრო მეტის გადარჩენა შეგიძლიათ. სანამდე ციხეში მოხვდება კაცი და დანაშაულს ჩაიდენს, მანმადე უნდა შველა, რომ იქ არ მოხვდეს, თორემ იქ შველა უკვე ძალიან ძნელია. ხალხს იქ უნდა მიეხმარო ქრისტეს მოძღვრებით, სადაც მათი შველაა საჭირო და შედეგიც ექნება. ამას კი ხალხში სიარული სჭირდება და არა ეკლესიაში ჯდომა. მონანიებისათვის, რომ მოდის თქვენთან ზოგიერთი ნაძირალა, ინანიებს და მერე კვლავ იმეორებს იმ ცოდვას, განა ეს მონანიებაა? შენ ის გახარებს, მრევლი მიმრავლდებაო, თვალში უფრო მეტი ჩნდება, მაგრამ განა ასეთი ადამიანები ეკლესიაში შეშვების ღირსია. განა ასეთ ადამიანს ხელს არ უწყობ მონანიებით, რომ კვლავ ჩაიდინოს ცოდვა და დანაშაული?

–ეკლესიის კარი ყველასათვის ღიაა და ვინც მოვა ყველას მივიღებთ, მიუხედავად იმისა რას საქმიანობს.

– ეკლესის კარი ყველასათვის ღია უნდა იყოს, მაგრამ ასეთ ხალხს მონანიება კი არა, გონებაზე მოყვანა უნდა და თუ ეს შესაძლებელი არ არის, მაშინ არც ეკლესიაში უნდა შეუშვა. ისეთი ადამიანი, რომელიც ეკლესიაში იმისთვის მიდის, ცოდვის განცდის სიმძიმე შეიმსუბუქოს, რომ კვლავ განმეორებისას გაუადვილდეს ცოდვის ჩადენა, მისი ადგილი ეკლესიაში არ უნდა იყოს, რადგან ასეთი კაცი ანტიქრისტეა. – ამბობ, ღმერთის მსახური ვარო. ეკლესიაში, რომ ზიხარ და იქ ელოდები ხალხს, რისთვის ზიხარ? იმისათვის, რომ ჯვრის წერისას თუ ნათლობისას ფული ჩაგიდონ ჯიბეში? კიდევ კარგი ყველა შენნაირი არ არის.

–მე ფულს არავის ვართმევ. თუ თვითონ გაიღებენ შესაწირს, ეს დანაშაული არ არის. მე ქრისტიანი ვარ, ქრისტიანულ წესებს ვიცავ და ამ წესებს ვემორჩილები.

.–ერთი მითხარი, იესო, ქრისტი იყო თუ ქრისტე?

–რა სისულელეს ამბობ? ეგ უკვე მეტისმეტია.

–თქვი სწორი რომელია?

–რა თქმა უნდა ქრისტე.

–მაშ თუ ქრისტე იყო, ქრისტიანობას რატომ ამბობ, სწორი გამოთქმა ხომ ქრისტეანობაა, შენ რა, დასახელებაც არ იცი? თუ ქრისტე იყო ესეიგი ქრისტეანობა უნდა თქვა და არა ქრისტიანობა. თვით იესო ხალხთან დადიოდა და ხალხს ისე მოძრვრავდა. სადმე ერთ ეკლესიაში, თუ რაიმე სათავსოში კი არ იჯდა.

–მე მართლმადიდებელი ვარ, კარგად ვიცი ჩემი მოვალეობა და კარგადაც ვასრულებ. შენისთანა გიჟებს რა ესმით ამისა.

–კი, გეტყობა. ეგ ლიპი მოვალეობის შესრულებაში გაგეზარდა. რა, მარხვებმა იცის ლიპის გაზრდა? ამხელა ლიპით, კაცს რომ მოძღვარი

მიადგება, იმის გონებაში ღვთაებრიები მოძღვრება კი არა, ჭამა-სმა ასოცირდება. კიდევ კარგი, მართლა ყველა შენნაირი მღვდელი არ არის, თორემ, მართლა დაიღუპებოდა ქრისტეანობაც და ერიც.

—შენ გიჟი ხარ! ტყუილად ხომ არ გეძახიან გიჟს. შენი მოსმენაც არ შეიძლება. გიჟია ყველა, ვინც შენ მოგისმენს და გიჟი ვარ მეც, რომ შენ გისმენ. ხალხო, ნუ უსმენთ ამ გიჟს! შეგაცდენთ! ჭკუიდან გადაგიყვანთ! ხომ ყველამ იცით, რომ გიჟია, არ მოუსმინოთ! —თქვა მღვდელმა და იქაურობას გაეცალა.

—რა გააგიჟე. —სიცილით თქვა ვაჟამ. —აქეთ აღარც გამოიელის. ეკლესიაში რომ შეხვიდე, იქიდანაც გამოიქცევა.

—არა, მასე ნუ იტყვი. შეიძლება მოვალეობას კარგად არ ასრულებს, მაგრამ მაინც ასრულებს და აკისრია ეს მოვალეობა. ის მაინც მღვდელია ყველა შემთხვევაში და მისი შეურაცხყოფა მოქალაქეთაგან გარკვეულად რელიგიის და ღმერთის შეურაცხყოფაც არის. მე უბრალოდ მინდოდა ცოტა გამომეჯიზღებინა. დღეს თუ რომელიმე მღვდელი მთლად კარგად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ამის მიზეზი ძირითადად მართლაც კომუნისტების მიერ ეკლესიის დამონება, დამცირებაა და ქრისტეანული სიწმინდეებთან არანაირი კავშირი არა აქვს... იგივე მიზეზით არის, რომ ხალხის დიდ ნაწილს საერთოდ არ სწამს ეკლესია, ხოლო ზოგიერთი, სერთოდ სულ ეკლესიაში ზის და „მონა მღვდლისად" არის გადაქცეული. ყველაფერს ზომიერება სჭირდებ, რწმენასაც და ლოცვასაც. ამ ზოგიერთი „მონა მღვდლისას" შემყურე ხალხის ნაწილს ეშინია ეკლესიაში შესვლა, რომ მასაც იგივე არ დაემართოს.

რა უბედურებაა, ორი კვირაა წვიმს, მინდორში ველარ წაესულვარ სათოხნად. —უთხრა ნუგზარმა ქუჩაში მდგარ ნოდარს.

—ხომ გადაიღო, არც გუშინ უწვიმია. —თქვა ნოდარმა.

—კი გადაიღო, მაგრამ მზე არ გამოდის და რომ წავიდე ილაფჩებს. რა გააშრობდა უმზეოდ.

—ხო, ეგ კი მართალია. ჯერ არ გაითოხნება.

—ასეთ ამინდებში ბევრი სოკო იზრდება ტყეში, ხომ იცი? ტალახში სიარული რომ არ მეზარებოდეს წავიდოდი. —თქვა ნუგზარმა.

—თუ გინდა წავიდეთ. მაინც წასასვლელი ვარ, თოხის და ბარის ტარები მინდა მოვჭრა. —თქვა ნოდარმა.

—არა, რას ამბობ ტალახი ისე მეჯავრება, იქ რა წამიყვანს.

—ტყეში ტალახს რა უნდა, სულ ფოთლებით არ არის დაფარული? აბა ასფალტზე კიდე სოკო არ ამოდის.

—შენ რა, ამ ქვეყანაზე არა ხარ? ან ასფალტი სადღაა, მთელი გზები ათხრილ-დათხრილია და ან ტყეში, რომ შედიხარ, შესული მანქანებისაგან რომ აზელილია ტალახი ის არ გინახავს?

—იმ ტალახს მოერიდები. არ გაგიგია, თევზი თუ გინდა, რა უნდა დაისველოო? —უთხრა ნოდარმა ნუგზარს ღიმილით.

—არა ძმაო, შენ წადი შენ დაისველე.

—მე კი წავალ, მაგრამ მარტო მეზარება. თანაც მე მარტო ორი სახის სოკოს ვცნობ და ის რომ არ იყოს?

—ეგ უკვე შენი პრობლემაა. —თქვა ნუგზარმა და მიმავალი ერთერთი მეზობლის დასიებული თვალი რომ დაინახა, ჰკითხა; —კუკურ. ეგ თვალი ვინ დაგილურჯა?

—გუშინ, სტალინის ძეგლი რომ დადგეს, იქ ვიყავი და მეც მომარტყეს.

—მერე შე კაი კაცო, რას ეცემინებოდი, ახლო ნუ მიხვიდოდი. ალბათ რამე თქვი სტალინის დასაცავად, თორემ ისე არ გცემდნენ. სხვებთან რა ესაქმებოდათ?

—აბა არ ვთქვა? ერთი გენიოსი გვყავდა ქართველებს, მსოფლიო იცნობდა და იმისი ძეგლი არ უნდა იდგეს ჩვენთან? —თქვა მეზობელმა.

—ხოდა, ტვინი რომ არ გაქვთ, იმიტომ მოგხვედათ თქვენც და იმათაც. —თქვა სხვა გამელელმა მეზობელმა, რომელმაც შემთხვევით მოისმინა ეს საუბარი. —ერთი სტალინის დედაც და ძეგლებისაც. ძეგლის გულისთვის თავს აცემინებ? არც დამდგმელებს აქვთ ტვინი და არც ჩამომგდებლებს. რას თამაშობენ? დადგამენ, ჩამოაგდებენ, დადგამენ, ჩამოაგდებენ... არ მობეზრდათ. —ბოლო სიტყვები უკვე მოშორებით მიმავალმა დაასრულა.

—მართალს ამბობს. რა გინდა, თუნდ დადგან, თუნდ არა, შენ მაგით რა მოგემატება. ხომ ხედავ რა არეული წლებია. დრო გავა, დაწყნარდება ყველაფერი და თუ ღირსია დაუდგამენ ძეგლს —თქვა ნოდარმა.

—ეგრე რამ შეგაჯავრაო ამ ახალგაზრდობას სტალინი, რა მოგვიდათ. —თქვა კუკურამ.

—მე არ მეჯავრება. უბრალოდ ვერ გამიგია. ზოგი კარგს ამბობს, ზოგი ცუდს. ყველა მაგაზე კამათობს და ერთიმეორეს ვერაფერს აგებინებენ. მე რაღა გავიგო, იმ დროს დაბადებულიც არ ვიყავი.

—ეჰ, კარგი, კარგი. მე წავედი. —თქვა კუკურამ და წავიდა.

ნოდარიც სახლისკენ შებრუნდა. სახლში მისულმა გადაწყვიტა მართლა წასულიყო ტყეში. ჯერ ისევ დილა იყო და თავისუფლად მოასწრებდა. აიღო ორი პარკი, პატარა ცული და ტყისკენ წავიდა.

ტყეში საკმაო სიღრმეში შევიდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი სოკო მოაგროვა, სატარე კი რამოდენიმე მოჭრა. მერე ის სატარეები და ცული ბუჩქებში სანიშნობელ ადგილას დამალა, რომ უფრო ადვილად ევლო და პარკით ხელში, გააგრძელა სოკოს ძებნა. სოკო ბევრი იყო, მაგრამ კარგი თუ ცუდი, არ იცოდა და ამიტომ რომელშიც დარწმუნებული იყო მხოლოდ იმას კრეფდა.

მოშორებით წვრილი ტოტების მტვრევის და ფოთლების შრიალის ხმა მოესმა. "ვიღაც დადის კიდევ სოკოზე. მარტო არ ვყოფილვარ" —გაიფიქრა ნოდარმა და იმ მხარეს დააკვირდა. იქნებ მეკითხა, მასწავლიდა კარგად სოკოს გარჩევას, მაგრამ სანდო იქნება რომ... თვითონაც რომ არ იცოდეს და შეცდომით მითხრას?

ვიღაც კაცი გამოჩნდა ორმოცდაათიოდე მეტრში, რომელიც უფრო ზემოთ, მიდიოდა, ნოდარმა დაძახება დააპირა, მაგრამ ეტყობოდა სოკოს არ კრეფდა, გეზი უფრო ღრმა ტყისკენ ჰქონდა აღებული და აქეთ-იქით სოკოს არ ეძებდა. "რა კიბოს ჰგავს". გაიფიქრა ნოდარმა. "ჰგავს კი არა, კიბოა. ვაა, აქ ამ ტყეში რა უნდა? სად მიდის, სოკოს არ ეძებს და შეშას აქედან ხელით ვერ წაიღებს, თან არც კოჭლობს. თუმცა ამ

ტყეში, სიარულში კოჭლობის შემჩნევა ძნელია. რა საინტერესოა, მოდი, გაუყვები. იქნებ მაგის საიდუმლოც ამოვხსნა". ნოდარი გაჰყვა შორიახლოს და ცდილობდა კიბოს არ შეემჩნია. კარგა ხანს იარეს კიბომ და უკან მიდევნებულმა ნოდარმა, ალბათ საათზე მეტი გავიდოდა, მაგრამ კიბო სულ ზევით და ზევით, ტყის სიღრმეში შედიოდა. ნოდარმა რამოდენიმეჯერ დააპირა კიდეც უკან მობრუნება, მაგრამ ინტერესი არ ასვენებდა. რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ტყეში, უფრო მეტად უკვირდა ნოდარს კიბოს საქციელი და მისდევდა. ერთ მოსახვევში თვალიდან მიეფარა. ნოდარმა ხმას დაუგდო ყური, რომ გაეგო საით წავიდა, მაგრამ სიარულის ხმაც აღარ მოდიოდა. ნოდარს გაუკვირდა, ასე უცებ ამდენით როგორ გამასწროო და აჩქარდა. ცოტა რომ გაიარა, კუნძზე მჯდომ კიბოს შეეფეთა, რომელიც პირდაპირ მისკენ იყო მიბრუნებული.

—ამდენი ხანი რომ მომდევ, არ გეზარება? რა გაინტერესებს, მითხარი და თვითონ გეტყვი. —უთხრა კიბომ.

—კიბო, ამ უღრან ტყეში რა გინდა, სად მიდიხარ?

—საათნახევარია მომდევ ამ ტყეში და იკაწრები., რომ არ გითხრა მეცოდები, ბოლოს და ბოლოს სისხლი დაგიღვრია. —თქვა კიბომ და მიუთითა გაკაწრულ ხელზე, საიდანაც სისხლი მოსდიოდა. —აქ ერთი ჭკვიანი კაცი ცხოვრობს. ჭკერჭელი სავსე აქვს და მინდა მეც შევივსო.

—სად? ამ უღრან ტყეში? რა ჭკერჭელი, ხელში რომ არაფერი გიჭირავს? —თქვა ნოდარმა მერე გაეცინა და უთხრა; —შენ ალბათ ჭკუაზე ლაპარაკობ არა?

—ჰო, მიხვედრილი ბიჭი ხარ. ესეიგი ღირსი ხარ მასთან შეხვედრის. წამოდი წაგიყვან, უკვე ახლოსაა. — თქვა კიბომ, წამოდგა და ორივემ ერთად გააგრძელეს გზა.

—აქ რამხელა ტყე ყოფილა. რამდენი ბებერი და წაქცეული ხე გდია, ლპება, დაავადებებს აჩენს, გამწმენდი კი არავინ არის. ქვემოთ კი მთელი ტყე გაანადგურეს. გზები რომ გააკეთონ ასეთ ტყეებში და უვარგისი, დაავადებული ხეები მოჭრან, შეშაც ყველას ეყოფა და ტყეც აღარ განადგურდება.

—ჰო მართალია, თუმცა ტყე მაშინ სხვა მხრივ დაზარალდება. საქართველოს იმდენი აიროვანი საწვავის პოტენციური მარაგი აქვს, ძალიან-ძალიან დიდხანს ეყოფა, მაგრამ ჯერ მოპოვება არ შეუძლია,

—ერთი მითხარი, ის შენი მეგობარი, თუ მართლა ასეთი ჭკუის პატრონია, აქ ამ ტყეში რა უნდა? შეშას თუ ამზადებს, გზაც არ არის, რომ გამოიტანოს. ალბათ სხვა მხრიდან არის გზა არა?

—გზა კი არის, მაგრამ ვერ ხედავენ და ის სწორედ ამ გზას კაფავს რომ დაანახოს.

ნოდარმა და კიბომ ორი ხეობა გადაირეს სიგანეზე და ერთ პატარა ტრიალ მინდორს მიადგნენ. მინდვრის მარჯვენა, ერთ ნაპირას, ტყის ძირში რაღაც ნანგრევების გვერდით, ქოხი იყო გაკეთებული. ქოხის უკან დაახლოებით 50 მეტრში წყლის ჩალები ჩანდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პატარა ტბა ან ჭაობი იყო. მინდვრის მარცხენა მხარეს, უფრო სწორად კი იმ მისადგომი გზის, (საიდანაც ისინი გავიდნენ მინდორზე) მარცხენა მხარეს, მიწა იყო დაბარული და ალბათ უკვე

დათესილიც. დაახლოვებით ნახევარი ჰექტარი იქნებოდა. დანარჩენი მინდვრის ნაწილი კი ბალახიანი იყო. სადაც ერთი ძროხაც მოჩანდა. თვით ქოხი კი ძალიან უცნაურად იყო გაკეთებული. საკმაოდ დიდი ზომის, 4-5 მეტრი სიგანის და თითქმის ამდენივე სიმაღლის. ნანგრევებისაგან დარჩენილი ერთი კედელი, ქოხის კედლად იყო გამოყენებული. დანარჩენი კედლები კი ჩალისგან იყო გაკეთებული, რომლებიც საკმაოდ სქლად და მკვრივადაც იყო შეკრული ხის გასხეპილი ტოტებით. კარიც უცნაური ოსტატობით იყო გაკეთებული. ეტყობოდა რომ მჭიდროდ იკეტებოდა და სიცივე ძნელად თუ შეაღწევდა. ქოხს ფანჯრებიც ჰქონდა, სინათლისთვის, რომელიც არ იღებოდა. ერთი ფანჯარა დაბლა იყო, მეტრამდე სიმაღლის და 70 სანტიმეტრამდე სიგანის შუშა, პირდაპირ ჩალის კედელში იყო ჩასმული, ხოლო მეორე უფრო პატარა, ორი მეტრის ზემოთ, ეს კი იმას ნიშნავდა რომ ქოხი ორ სართულიანი იყო. ქოხის გარეთ, იქვე ხის ძირში პატარა მაგიდა და სკამები იყო ხის მსხვილი ტოტებისგან გამოთლილი ფიცრით გაკეთებული.

–აქ დავსხდეთ. ალბათ გასულია და მალე მოვა. –თქვა კიბომ და ჩამოსხდნენ სკამზე, რომელსაც მისაყუდებელიც ჰქონდა მოწყობილი.

–რა უცნაური ქოხია, მსგავსი რამ არსად მინახავს. ორ სართულიანია?

–ჰო. შეიძლება ასე ითქვას. მესამეც აქვს სხვენის მაგვარი, სადაც ზამთარში სურსათს ინახავს.

– ეს ისეა მოწყობილი, ალბათ დიდი ხანია აქ არის და კიდე დიდხანს დარჩება.

– ჰო, საქმე ბევრი აქვს.

– რა საქმე, აბა მე აქ გზას ვერ ვხედავ და ვერც ხის ნაკაფს სადაც გზა უნდა გაკეთდეს.

–ასეთი ადვილი დასანახი რომ იყოს, ხომ ყველა დაინახავდა და ეშველებოდა ქვეყნიერებას.

–აბა გზა რისაა თუ არ დაინახავს?

–გზას მაშინ პოულობენ, როცა ეძებენ. თუ არ ეძებ შეიძლება ჭაობიც გზად მოგეჩვენოს და შიგ ჩაიხრჩო.

მალე მასპინძელიც გამოჩნდა, რომელიც წყლის მოსატანად ყოფილიყო წასული ქვემოთ, პატარა ღელეში. მასპინძელი მოხუცი წვერებიანი კაცი აღმოჩნდა. წვერი და თმა სანახევროდ გაჭაღარავებოდა. მიუხედავად ამისა, ძალიან მხნედ ჩანდა და არც წელში იყო მოხრილი.

–ღმერთს სტუმრები უბოძებია ჩემთვის. –თქვა ბერიკაცმა.

–გამარჯობათ, მიესალმა მასპინძელს ნოდარი.

–ღმერთმა ჭკუა მოგცეთ. –უპასუხა მასპინძელმა. ნოდარს ეუცნაურა ასეთი პასუხი და ცოტა ეწყინა კიდეც.

–აქ რატომ დასხედით, ამდენი მანძილი გამოიარეთ, დაიღლებოდით და ნიავზე გაცივდებით. შეგიდეთ შიგნით, ცეცხლს ავანთებ. ნოდარი და კიბო წამოდგნენ და ბერიკაცს გაჰყვნენ. შიგნით ბნელოდა, მაგრამ ყველაფრის გარჩევა შეიძლებოდა. ქოხი შიგნითაც უცნაური იყო. ჭერის სიმაღლე ორ მეტრზე ცოტა მეტი იქნებოდა. ორი, ჩალით

გაკეთებული ტახტის მაგვარი საწოლი იყო სხვადასხვა კედელთან. მათს შუა, კუთხეში აყუდებული კიბე იყო, რაც ნიშნავდა რომ მაღლა ასასვლელად იყენებდა. ხოლო მის მაღლა, კვადრატული ასაძრომი ხვრელი, რომელიც ჩალითვე იყო ჩაკეტილი. ქვიტკირის კედელთან ცეცხლი იყო ნანთები. მის მაღლა კი ბალახში ასელილი თიხისგან გაკეთებული ძაბრი იყო, რომელიც ზემოთ თიხისავე მილით მთავრდებოდა და გარეთ უხვევდა. შუა ქოხში კი ისეთივე მაგიდა და სკამები იყო, როგორიც გარეთ, ხის ძირში. ქვითკირის კედელზე ცეცხლსანთების ორივე მხარეს თაროები იყო. ასეთივე თარო შემოსასვლელ კედელზეც იყო. თაროებზე სხვადასხვა აუცილებელი საჭიროების ნივთები ეწყო.

ყოველივე ეს, უცნაურ შთაბეჭდილებებს სტოვებდა. ცეცხლსანთებზე შეშები წინასწარ იყო გამზადებული და ბერიკაცმა მალე აანთო ცეცხლი. ანთების შემდეგ მცირე ალმა, რომელიც შეშების ზემოთ ალაპლაპდა, ჭერიც და კედლებიც მკრთალად ალისფრად ააციმციმა, ბოლი კი ოდნავი ლამაზი რხევით, ძაბრში შედიოდა და გარეთ გაიწოვებდა. ეს ყოველივე ნოდარზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თავი საუკუნეების მიღმა ეგონა.

–მომშეულები იქნებით. –თქვა ბერიკაცმა და მაგიდაზე ყველი, პური და ფინჯანები დააწყო. შემდეგ შებრუნდა და ალუმინის ჩაიდნით რძე მოიტანა.

ნოდარმა მისთვის მიკუთვნებული რძით სავსე ჭურჭელი აიღო და პურიც მოიტეხა. პურს ეტყობოდა, რომ ბერიკაცის მიერ იყო გამომცხვარი.

ნოდარმა და კიბომ ჭამა ჩააოავეს და ბერიკაცმა მაგიდიდან ყველაფერი აალაგა. ნოდარს დიდიხანია, ალბათ ბავშვობის შემდეგ რძე აღარ დაელია და ალბათ ამიტომ, ძალიან გემრიელი ეჩვენა, ან იქნებ იმიტომაც, რომ ამდენი საათის სიარულის შემდეგ დაიღალა და მოშიედა კიდეც.

–ამდენი მანძილის გამოვლის და დაღლის შემდეგ, თუ ჩუმად იჯდები, ალბათ ჩემი ბრალი იქნება, რომ საუბრის საშუალება არ მოგეცი, თორემ არა მგონია ასეთ სიშორეზე რძის დასალევად გამოჰყოლოდი კიბოს, როგორც თქვენ უწოდებთ.

უკანასკნელი სიტყვები, "როგორც თქვენ უწოდებთო," რომ გაიგო, ნოდარს სურვილი გაუჩნდა ეკითხა, მაგ რა ჰქვიაო, მაგრამ მიხვდა, მაინც არ უპასუხებდა და აღარ ჰკითხა.

–თქვი რამე, არაფერი გაინტერესებს? –უსურჩულა კიბომ.

–აქ დიდიხანია ცხოვრობთ?

–დაახლოებით ერთი წელი, ან ცოტა მეტი.

–კიდე დიდხანს იქნებით აქ?

–არ ვიცი. ეს ჩემზე არ არის მარტო დამოკიდებული. ალბათ ორი-სამი წელი მაინც. ყოველ შემთხვევაში, თუკი სურვილი გექნება შენთვის მერეც ვიქნები მისაწვდომი.

ასეთ პასუხზე ნოდარი მიხვდა, რომ არასწორი და უაზრო შეკითხვა დაუსვა. სხვა შეკითხვა კი თავში არ მოსდიოდა, მით უმეტეს, რომ არ

იცოდა რა საკითხზე შეჰკითხებოდა. მერე გაახსენდა დილანდელი კამათი სტალინის შესახებ და ჰკითხა.

–თქვენ როგორ მიგაჩნიათ, სტალინი როგორი პიროვნება იყო?

ბერიკსცს გაეღიმა და უპასუხა; –გააჩნია რა სახეს გულისხმობ. მას უამრავი გამოვლინება ჰქონდა, კარგიც და ცუდიც. ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს ყველაფერში კარგი, ან ყველაფერში ცუდი პიროვნება. თუ მის პიროვნულობას გულისხმობ, საკმაოდ ძლიერი პიროვნება იყო. ეროვნული თვალსაზრისით დიდად მოიკოჭლებდა და არა მგონია ერისკაცობის სახელის ღირსი იყოს. ის იდეალური კაცი იყო. მას ჰქონდა იდეა და თითქმის მთელ თავის ენერგიას ამ იდეის შესრულებას ახმარდა. თვით იდეა, როგორი იყო კონკრეტული ერისთვის თუ ზოგადად კაცობრიობისთვის, ეს ფართო სამსჯელოა და მარტივი პასუხი ამას არა აქვს. ერთი კი უნდა ითქვას, რომ სტალინი ბოლო საუკუნეებში თითქმის ერთადერთია. ვინც ხშირად წინ უძღოდა მოსალოდნელ მოვლენებს, თუმცა თვითონ ვერ ქმნიდა, სხვები კი უკან მიჰყვებოდნენ მოვლენებს, ან საეროოდ მოვლენის საწინააღმდეგოდ მიდიოდნენ. ეს ეხლაც ასეა მსოფლიო მასშტაბით. გარეშე ძალების გავლენით, ან მოვლენებს მისდევენ, ან სხვა მხარეს მიდიან გაუაზრებლად.

–რა გარეშე ძალები, სხვა სახელმწიფოების ჩარევას გულისხმობთ?

–არა. მე კოსმიურ ძალებს ვგულისხმობ.

–ასტროლოგიურ გავლენას გულისხმობთ.

–ნაწილობრივ ეგეც იგულისხმება.

–აბა, რას გულისხმობთ, ღმერთს?

–რაც არ ვიცით, რასაც ვერ ვწვდებით ყველაფერი ღმერთს გადავაბრალოთ და ხელები დავიბანოთ, ეს ჩვენს უსუსრობას ნიშნავს. თუ ღმერთი არსებობს და თუ იგი ჩვენზე გავლენას ახდენს, მაშასადამე არსებობს ძალა, რითაც ჩვენზე მოქმედებს.

რაღა თქმა უნდა ნოდარი ვერაფერს მიხვდა და კითხვების დასმა განაგრძო:

კი, მაგრამ თქვენ თქვით, რომ სტალინი მოვლენებს წინ უძღოდა სხვებისგან განსხვავებით, მაგრამ თვითონ ვერ ქმნიდა მოვლენებს. ასეთი ადამიანებიც იყვნენ, რომ მიუხედავად კოსმიური ძალების წინააღმდეგობისა, თვითონ ქმნიდნენ მოვლენებს?

–იყვნენ ასეთები უძველეს დროში. მაგრამ აქ მთლიანად დამოუკიდებელი მოვლენების შექმნა არ იგულისხმება. აქ იგულისხმება მოსალოდნელი მოვლენის წინასწარ განჭვრეტა და ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც მნიშვნელოვნად და სასარგებლოდ შეცვლის მოვლენებს. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, მრავლად იყვნენ მეფენი თუ, ტომთა ბელადები, რომლებიც ადამიანის ევოლუციური მდგომარეობის და გონებრივი შესაძლებლობების მაღალ ფონეს აღწევდნენ, რითაც დიდი სულიერი ძალების მქონენი ხდებოდნენ. ამ ძალის მეშვეობით დიდ სასარგებლო საქმეებს აკეთებდნენ კოსმიურ ძალებთან ჩარევის მეშვეობით. ხოლო მეფენი, რომლებიც ასეთ ძალას ვერ ფლობდნენ, იწვევდნენ მრჩევლად ისეთ ადამიანებს, რომელთაც დიდი გონიერება და ძალა გააჩნდათ. მათ არც რცხვენოდათ და არც ეშინოდათ

რჩევისათვის მიემართათ ასეთი ადამიანებისათვის, ეხლანდელისგან განსხვავებით, იმიტომ რომ ეს დამცირება კი არა სიბრძნის უზენაესობის აღიარებაა.

—ეხლაც ხომ ჰყავთ მრჩეველები, პრეზიდენტებს და სხვა, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებს?

—იმ დროს ბრძენებს ეძებდნენ, ეხლაკი სვარძლის დაკარგვის შიშით „სანდოებს“ ეძებენ მრჩეველად, შინაურების წრიდან. იმას კი ვერ ითვალისწინებენ, რომ ბრძენი არასოდეს მოინდომებს სავარძლის წართმევას, მითუმეტეს მზაკვრულად. „სანდოები“ კი, როგორც სკამის სიახლოვეს იგრძნობენ თავს, მაშინვე მის დაუფლებაზე იწყებენ ოცნებას და ცდილობენ მის განხორციელებას ნებისმიერი გზით. როგორ ფიქრობ, ძველ ეგვიპტეში, ფარაონის მრჩეველი ქურუმები შეეცდებოდნენ მის სავარძლის დაუფლებას?

—ესეიგი თქვენ ფიქრობთ, რომ რელიგიური მოღვაწეები უნდა იყვნენ მრჩეველები?

—არა, რელიგიური მოღვაწეობა არ არის საკმარისი და აუცილებელი, იყოს უმაღლესი გონის მატარებელი.

ნოდარი დაფიქრდა. ოითქოს ყველაფერი ნათლად იყო ნათქვამი, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც მთავარს ვერ წვდებოდა, რაღაც მისთვის მიუწვდომელი ჩანდა. ეს რაღაც ალბათ ის იყო, რომ კონკრეტულად ვერ გაარკვია, რას ნიშნავს იყო ბრძენი.

—ეხლა მე მინდა გკითხო. —უთხრა ნოდარს ბერიკაცმა.

—ბრძანეთ.

—ეკლესიაში სანთელი თუ დაგინთია?

—კი, როგორ არა.

—ალბათ ამ დროს ღმერთს რაღაცას შესთხოვ არა?

—კი. —უპასუხა ნოდარმა.

—ამ დროს ღმერთს როგორ მიმართავ შენობით, თუ თქვენობით?

ნოდარს გაეცინა. მიხედა რისი თქმაც უნდოდა ბერიკაცს. უხერხულად შეიშმუშნა და უპასუხა:

—რა თქმა უნდა, შენობით მივმართავ.

—მაშ, მე ღმერთსე უფრო აღმატებულად და უზენაესად მთელი, თუ უფრო ბევრად?

—თქვენობით საუბარი კულტურაა და მოსაუბრისადმი პატივის ცემის გამოხატულებაა.

—ასე უხეშად გაყალბებული რეალობა, კულტურა არ არის და სიყალბე არც პატივისცემის გამოხატულება შეიძლება იყოს. ეს ფარისეველური კულტურაა.

—გეთანხმები. ასეთი სიყალბე მხოლოდ მლიქნელთა კულტურა შეიძლება იყოს, მაგრამ უკვე ყველას ჩანერგილი გვაქვს გონებაში და ამოღება ძალიან ძნელი იქნება.

—მცდელობა ყოველთვის რაღაც შედეგს იძლევა.

—ერთი რამ მაინტერესებს კიდევ. რატომაა, რომ სტალინი უმრავლესობას ფანატიკურად უყვარდა, ზოგს კი სძულდა და დღესაც

ანალოგიური მდგომარეობაა, მუხედავად იმისა, რომ 40 წელზე მეტი გავიდა მისი სიკვდილიდან? ეს პროპაგანდის შედეგია?

–ადამიანებს სწამთ ღმერთი, მასაც კი, ვინც ამბობს ღმერთი არ არსებობსო. ორივეს რწმენა ერთი მეორისაგან დიდად არ განსხვავდება. ორივეს ეს რწმენა სადღაც, სულის კუნჭულში აქვთ გამოკეტილი. სინამდვილეში რეალურად აღმერთებენ მატერიალურს, მცირედი განსხვავებით, ზოგი შეიძლება აღმერთებდეს მანქანას., ზოგი ფულს, სახლს, მღვდელს, ქვეყნის მეთაურს ან კიდე სხვა უამრავს. იმიტომ, რომ მათი გონება მატერიალურს მიღმა ვერ სწვდება ვერაფერს და ღმერთის მოძებნა მატერიალური სიამოვნების მომგვრელ სფეროში „მომგებიანი“ და ხელმისაწვდომია. ეს სიამოვნება, ღვთაებრივი არსი ჰგონიათ და ხშირად ღმერთის სახელითაც კი, უფრო ღრმად ეფლობიან ამ ცდუნებაში. ხედავენ რა, "კერპთან" მიახლოვების, უკეთეს ხელმისაწვდომ საშუალებას, ამ მატერიალურ სახეებთან, ცხოვრების მიზან-არსი ხდება სწორედ მატერიალური ცხოვრება, და არა სულიერი არსი. რაც მეტად მიიღწევა მიზანი, მით მეტად მძაფრდება მისწრაფება და ბოლოს, წარმოიშობა სურვილი თავად გახდეს კერპი. ასეთი ფსიქოლოგიური მიზეზებით წარმოიშვება პოლიტიკური კერპებიც და თაყვანისმცემლებიც, მაგალითად; ეგრედ წოდებული მარქსისტები, ანუ ქართულად მარქსელები, კომუნელები ანუ კომუნისტები, ლენინელები, სტალინელები, ზვიადელები, შეევარდნაძელები და სხვა.

რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით, განახორციელა უღმერთო რელიგიური მოძღვრება "მეცნიერული კომუნიზმი". კომუნიზმის მოძღვრებაში ღმერთი უარყოფილია, მაგრამ ხალხს ჰპირდებოდა იდეალურად საუკეთესო სამართლიან და თანასწორ ცხოვრებას. სულიერი ევოლუციური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ხალხი, რა თქმა უნდა ამას ერთგვაროვნად ვერ მიიღებდა. ხალხის ნაწილი, რომელმაც ასე თუ ისე ნაწილობრივ მაინც იცოდა ღმერთის არსი, თავისთან დაახლოებულ საზოგადოებასთან ერთად, წინ აღუდგა ამ მოძღვრების პრაქტიკულ განხორციელებას, რითაც სიკვდილი ან სამშობლოდან გაძევება მიიღო. ზოგი თავის შექმნილ თუ შთამომავლობით მიღებულ ქონების დაცვას შეეწირა უბრალოდ. უმრავლესობა კი ადვილად აჰყვა, ამ კარგი ცხოვრების იდეის ცთუნებას და მიიღეს ეს ახალი "მოძღვრება". ამ მოძღვრებებით მათ მიიღეს ღმერთის უარყოფაც, მაგრამ მათ შინაგან სულიერ მოთხოვნილებებში დარჩა ღმერთის რწმენის მოთხოვნა, რის გამოც გაჩნდა ახალი კერპის მოთხოვნილება. რა ან, ვინ შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში კერპად ქცეულიყო? რა თქმა უნდა ის, ვინც ამ მოძღვრების სულის ჩამდგმელ და განმხორციელებლად ჩანდა. ეს იყო „პროლეტარიატის ბელადი“. ეს კერპი სხვა აქამდე არსებული კერპებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ ხალხის თვალში ერთის მხრივ ის იყო ყოველივე კარგის სულის ჩამდგმელი ღმერთი, ხოლო მეორეს მხრივ იგი მათი „თანასწორი“ იყო სოციალურად. თუმცა თანასწორი სინამდვილეში ვერანაირად ვერ იქნებოდა, რადგან ძირი

ძირია სათავე სათავე, მაგრამ მაინც აღიქმებოდა, როგორც თანასწორი, რადგან მათ წარმომადგენლად ითვლებოდა. ეს აღქმა თანასწორობისა მათ სიამაყით აღავსებდა, იწყვეტდა ნდობას და მოქმედების დამატებით იმპულსს. ამის გამო დიდი ენთუზიაზმით ეჭიდებოდნენ ახალი ქვეყნის მშენებლობას. ასეთმა ენთუზიაზმმა მართლაც დიდი ძერები მოახდინა, სწრაფად განვითარდა ეკონომიკა და გაუმჯობესდა უბრალო ხალხის მატერიალური მდგომარეობა. თუმცა მთავარს ვერ მიხვდნენ. ისინი აშენებდნენ "ბაბილონის გოდოლს" და ღმერთთან გათანაბრება მოინდომეს.

—ესეიგი მთავარი, რასაც მან უდიდესი დრო და ენერგია მოახმარა, არც ისე კარგი მოვლენა ყოფილა. —თქვა ნოდარმა.

—ნათქვამია „მედალს ორი მხარე აქვსო", თუმცა ორი კი არა, გაცილებით მეტი.

—ის მეორე მხარე რაღაა?

—პირველი მხარეც სრულად არ გვითქვამს. რადგან რთულია და ასე მარტივად არ განიხილება. მეორე მხარე კი, უფრო მეტად რთულია. მთავარი კი შეიძლება ის იყოს მეორე მხრისა, რომ მას მართლა სურდა ქვეყნის აყვავება და ხალხის თანასწორობა. რუსეთის იმპერია უნიკალურ შესაძლებლობას იძლეოდა ამ იდეის განსახორციელებლად, მაგრამ ამავე დროს უდიდესი დაბრკოლებები არსებობდა. მთავარი ამ უნიკალურობაში შეიძლება დასახელდეს ეროი, იმპერიის მრავალეროვნულობა და რელიგიური რწმენის მრავალი სახე, მეორე კი ეკონომიკური პოტენციალისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების სიმრავლე. რამდენადაც ძნელი იყო ასეთ მრავალ, ეროვნულ იმპერიაში ხალხთა თანასწორობის პრაქტიკული დანერგვა, იმდენად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინმა ეს შეძლო, რამაც იმპერია ერთ ძლიერ, ეროვნულ, შეკრულ სახელმწიფოს დაამსგავსა. ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი მხარე ამ მოვლენის იყო, ის რომ ხალხის ერთიანობის და სოციალური თანასწორობის უპირატესობა გამოსჩნდა ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ამან კი მსოფლიოს მიწინავე ქვეყნებზე გავლენა მოახდინა, რასიზმში, სოციალურ სამართლებრივ თანასწორობაში და სხვა, თუმცა იმპერიალისტური აზროვნება დარჩა. ასეთმა თანასწორობამ ხალხის, ანუ მასების ნამდვილი სახე დაგვანახა. აღმოჩნდა, რომ ხალხს თანასწორობა სწყუროდა და ეს ადვილად მიიღეს, მაგრამ სახალხო მმართველობისთვის კი აბსოლიტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამან გამოიწვია თანდათან მმართველობაში შიდა უთანხმოებები და შემდგომში კორუფციაც, ხოლო მმართველობის გარეთ ნაწილმა ხალხმა ვერ შეძლო მმართველობაში მონაწილეობა გონიერული რეალური სახით და არჩევნები ფაქტიურად ფორმალურ სახედ იქცა. მართალია, ხალხმა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე თუ პროპაგანდის გაელენით, ჩათვალა ერთიანი საბჭოთა კავშირი თავის სამშობლოდ, მაგრამ იმაში ველარ გაერკვია, რა იყო მისი და რა სხვისი. ხალხს ესაუბრებიან ყველაფერი სახალხო საკუთრებაა ანუ ყველაფერი შენიაო, ამ დროს კი მიწის ნაკვეთი, რომელზეც მან საკუთარი სახსრებით

სახლი ააშენა ისიც კი ნათხოვარი აქვს სახელმწიფოსგან და საკუთარი არ არის. უფრო მეტიც ხშირ შემთხვევაში მას ეუბნებოდნენ, რომ ოვიეთონ პიროვნებაც კი სახელმწიფო საკუთრება იყო და ეს საქმითაც მტკიცდებოდა. რასაც მოიპოვებს თავისი შრომით ის ხომ მისი საკუთრებაა, ეს არაუშავს ნორმალურია. ბანკში რომ მილიონებია, ისიც მისი რომ არის ესეც კარგია, მაგრამ მისი როგორ არის, როცა მასზე არ მიუწვდება ხელი? ქარხანაში, რომ იმუშავა ხელფასი აიღო ეს კარგია, მაგრამ ქარხანა მისი როგორ არის, როცა მუშაობის გარდა, ვერანაირ ჩარევის უფლებას ვერ გრძნობს? ასეთი რეალური ფაქტის წინაშე მდგარ პიროვნებას ძნელია ბოლომდე სჯეროდეს და სწამდეს სახალხო საკუთრების, მითუმეტეს თუ მრავალ უსამართლობასაც ხედავს ამ თვალსაზრისით.

—ერთხელ ქარხანაში ვმუშაობდი კომუნისტების მმართველობის დროს. — თქვა ნოდარმა. —დირექტორმა თათბირი ჩაგვიტარა და გვითხრა, რომ უნდა გული შეგვტკიოდეს ქარხნის მდგომარეობაზე და ვი'ხრუნოთ მის წარმატებებზე. ერთმა მუშამ წამოიძახა; სწორია, აბა რაა, ქარხანა ხომ ჩვენი მეორე ოჯახიაო. დირექტორს მოეწონა ეს სიტყვა და შეაქო; აი როგორი მუშები სჭირდება ქარხანას, მიბაძეთ ყველამო. ქარხანა ჩვენი მეორე ოჯახია და ოჯახიკით უნდა ვზრუნაედეთ მასზეო. რამოდენიმე დღის შემდეგ დაკინახე,ამ მუშამ რაღაც მოიპარა, ღობეზე გადაიტანა და სახლში მიარბენინებდა. მე ეკითხე: კი მაგრამ, შენ ამას როგორ აკეთებ, ქარხანა ხომ შენი მეორე ოჯახია-მეთქი. მან კი ასე მიპასუხა: მერე რა არის აქ გაუგებარი? მეორე ოჯახიდან პირველ ოჯახში მიმაქვს. მე ფარულად მაინც მიმაქვს და დირექტორს რომ 100-ჯერ ჩემზე მეტი მიაქვს, წადი იმას უთხარი რატომ მიაქვსო. ოჯახი მარტო იმას აქვსო? რაღა უნდა მეთქვა? ამ შემთხვევაში ჩაეთვალე, რომ ის კაცი მართალი იყო.

—ხო, ასეა, საერთო სახალხო საკუთრების გაუაზრებლობამ და პირადი ამბიციების დაუოკებლობამ, საზოგდოება ორად გახლიჩა. ერთნი ამ საკუთრების ნაწილს მართლა დაეუფლნენ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, მეორენი კი მშრალზე დარჩნენ და მხოლოდ საკუთრების შემქმნელებად იქცნენ.

—მე მგონი კარგი ახსნაა სტალინის ფენომენის შესახებ. მით უმეტეს, რომ ყველაფერი არ გითქვამს დროის სიმცირის გამო. არ შეიძლება, რომ ეს ხალხს გავაცნოთ, ავუხსნათ? იქნებ ცემა-ტყეპა აღარ გაიმართოს მისი ძეგლის გამო და დაპირისპირება მოისპოს?

—რა ფორმით გინდა ხალხს გადასცე. ქუსა-ქუსა იარო და ხალხს აუხსნა? ჯერ ერთი ვერ გასწვდები ხალხს და მეორეც, ეს დაპირისპირება ზომბირების შედეგია და არა სტალინის მიმართ სიყვარულის თუ სიძულვილის.

—ყველა შემთხვევაში ხომ მაინც ახსნა სჯობს? თუნდაც ვოქვათ ტელევიზიის საშუალებით.

—ტელევიზიაში დღეს უკვე მხეცია შემძვრალი. და მთლიანად დაუფლებას ცდილობს. რამოდენიმე წელიწადში იგი უკვე მთლიანად

დაეუფლება ტელევიზიებს, მათ შორის იმათაც რომელიც შემდეგ შეიქმნება. ამის შემდეგ თვითონ ტელევიზია იქცევა მხეცის ყბად. აფრინდება, დაერევა ხალხს და დიდ ნაწილს გადაყლაპავს. იმ გადაყლაპულებს, ამირანის მახვილმაც შეიძლება ვეღარ უშველოს მუცლის გამოსაჭრელად, რადგან ვეშაპი, რომელმაც ამირანი გადაყლაპა, განსხვავებული მხეცია.

ნოდარმა ვერაფერი გაიგო რა მხეცზე იყო ნათქვამი, ან რა ამირანის მახვილზე ითქვა და რა შუაშია ვეშაპი. შეკითხვის თქმა დააპირა, მაგრამ იმდენად ეუცხოვა, რომ საჭიროდ არ ჩათვალა, თანაც გაახსენდა, რომ შორს იყო სახლიდან. დაბრუნებას დიდი დრო სჭირდებოდა, მდებარეობა კი უცხო იყო და თუ დღისით არ გაივლიდა ამ უცნობ ტყეს, ღამე შესაძლო იყო გზა აბნეოდა. ამიტომ მასპინძელს ზრდილობიანად გამოემშვიდობა, მასპინძლობისათვის მადლიერება გამოხატა და გარეთ გავიდა.

–კიბომ, იმისათვის რომ დარწმუნებულიყო მიმართულება არ აერეოდა, მცირე მანძილზე გააცილა.

–კიბო! ვერ გაიგე, როგორ შეიძლება ტელევიზია აფრინდეს და ხალხი გადაყლაპოს, როგორც მხეცის ყბამ, ან ეს ამირანის მახვილი რას ნიშნავს და რა შუაშია მისი გადამყლაპავი შავი ვეშაპი.

–მე კი შემიძლია გითხრა, მაგრამ უმჯობესია ამაზე თვითონ იფიქრო. შენით მიხვედრილი, თუნდაც ნაწვალები გარკვეულ გზას გაგიკაფავს. ნემი ნათქვამით მიღებული კი, შეიძლება ამ ტყეშივე დაკარგო სადმე და სახლამდე ვერ მიიტანო.

–როგორ უნდა დავკარგო, ისეთი შტერი ვარ?

–არა, შენ კი არ ხარ შტერი, ტყეა ისეთი, შენთვის უცხო ადგილია, შეიძლება სვლა გაგიჭირდეს და ერთ ყურში შესული, შემთხვევით მეორედან გადმოგიყარდეს. გონებაში მიგნებული კი თავის ბუდეშია და არანაირად არ გადმოყარდება.

რამოდენიმე დღის შემდეგ ნოდარს დათომ მიაკითხა, სთხოვა ბაზარში გაჰყოლოდა და მარწყვის გაყიდვაში მიხმარებოდა. ნოდარმა უარი არ უთხრა და გაჰყვა. მანქანა, საბარგულშიც და სალონშიც სავსე იყო მარწყვით სავსე ყუდრეებით. მისველისთანავე საბარგულს ახადა დათომ, სალონიდანაც რამოდენიმე ყუდრო გადმოიღო და საბარგულის წინ, დაბლა დააწყო. ბაზარი გადავსებული იყო მარწყვით.

–ეს რამდენი მარწყვია, როდის გაიყიდება? –თქვა ნოდარმა.

–გაყიდვით კი გაიყიდება, მაგრამ რა ფასში, ეგ არის საკითხავი. –უპასუხა დათომ.

–საღამოს ბაზრობა ასეა, დილით ჯობია.

ყოველი გამვლელი ფასს ეკითხებოდა, მაგრამ ყიდვით არავინ ყიდულობდა. დათო თანდისთან ნერვიულობდა მართლა გასაყიდი არ დარჩენოდა. ერთი საათის შემდეგ, როგორც იქნა თოთხმეტი ვედრის მყიდველი გამოჩნდა. მისი მანქანა მოშორებით იდგა, ახლო მისვლის საშუალება არ იყო. ამიტომ მყიდველმა დ დათომ ხელით გაზიდეს ვედროები.

—უჰ, ცოტა ამოვისუნთქე. —თქვა დათომ მიბრუნებისას. —ნაწილი მაინც ხომ გავყიდე. აი, ასე ხდება, ხშირად. ვედროების წაღება გვიწევს შორს და აქ ხომ ვერ მივატოვებ უპატრონოდ? ამის გამო, ზოგჯერ დიდი სირთულეები წარმოიშვება და იმიტომ გოხოვე წამოსულიყავი.

—რას ბოდიშობ, როცა გჭირდება დახმარება ყოველთვის უნდა მითხრა, აბა რისთვის ვართ? განა როდისმე დამ'ხარებია?

—არა, მაგრამ ტყუილად შეწუხება არ მიყვარ არავისი.

—მანანა! —წამოიძახა დაბალი ხმით ნოდარმა და თვალი გააყოლა. ნელა მიმავალ მერსედესს, რომელშიც მანანა შენიშნა. სხვები ვინ ისხდნენ ავტომობილში ისე სწრაფად ვერ გაარჩია ნოდარმა, მაგრამ მანანა კი ნამდვილად გაარჩია.

—რაო რა თქვი?

—არაფერი. ჩემთვის ჩავილაპარაკე.

მერსედესი, რომელშიც მანანა იჯდა ბაზრის ბოლოს გაჩერდა და მანანა გადმოვიდა. ხელში პარკი ეკავა. იგი გამოუყვა ნელი ნაბიჯით ჩამწკრივებულ მარწყვით სავსე ვედროებს და რაღაცას ეკითხებოდა გამყიდველებს. ნოდარი მისკენ წავიდა.

—მანანა გამარჯობა!

—უი, ნოდარ გამარჯობა. აქ საიდან გაჩნდი? —თქვა ნოდარისკენ შებრუნებულმა მანანამ ნოდარის დანახვისას და გადაკოცნა. —აქ რას აკეთებ?

—ბიძაშვილს ვეხმარები... მარწყვს ყიდულობ?

—ხო. გასეირნება გადავწყვიტეთ და... ჩემი მეგობრები არიან მანქანაში.... ორი კილო მინდა, ცოტას კი არავინ ყიდის, ეროი ვედრო, აბა რად გვინდა?

—წამოდი, მე მოგცემ მარწყვს.

—უი, მართლა? კაი ბიჭი ხარ. —თქვა მანანამ და გაჰყვა ნოდარს გვერდით.

—სად ხარ გოგო, მოვდივარ შენთან სახლში და ვერ გნახულობ.

—ეტყობა ცუდ დროს მოდიხარ. სულ სახლში ხომ არ ვიჯდები?

—რა ვიცი... სხვები რა დროს მოდიან, რომ სახლში ხვდები?

—შენ რა მსაყვედურობ? ვინც ცდილობს მპოულობს კიდეც. მობილური ტელეფონი იყიდე და დამირეკე.

—მობილურები ძვირია. ისეთი ფასი აქვს მაგას ჩემნაირი კაცი როგორ იყიდის? რაიონში სულ 10-15 კაცს თუ ექნება და ...

—რა ვუყოთ აბა.. მეც მაგათ მიყიდეს. შეგიძლია წინასწარ გამაგებინო და დაგელოდები.

—ხვალ რომ შევხვდეთ შეგიძლია?

—კარგი დაგელოდები. —შეპირდა მანანა და ამ დროს დათოს მიუახლოვდნენ.

—დათო! ეს მანანაა, ეს კი ჩემი ბიძაშვილი დათოა. —გააცნო ურთიერთი ნოდარმა მისვლისას. — მარწყვი უნდა პარკით და რომელი ვედრიდან ჩაეყაროთ

—კეთილი. ძალიან სასიამოვნოა. —თქვა დათომ, ხელი გაუწოდა მანანას და ნოდარს უპასუხა. —რომელიც თვითონ მოეწონება, აარჩიოს.

მანანამც ხელი გაუწოდა და მარწყვის შერჩევა დაიწყო თამამად, როგორც მას ჩვევია. მოწონებული ვედრო მიუთითა ნოდარს და ნოდარმაც პარკში ჩაუყარა აუწონაეთ ალბათ 3 კილოგრამამდე.

—აბა სად აკეთონოთ? —თქვა მანანამ ზრდილობის გამოსახატავად, რადგან დარწმუნებული იყო ფულს არ გამოართმევენ

—რად უნდა აწონა, ფულს ხომ არ გამოგართმევთ? —უთხრა დათომ.

—დიდი მადლობა! —თქვა მანანამ, გამოემშვიდობა და წავიდა. ნოდარი ცოტაზე გაჩყვა და ჰკითხა — ხვალ რა დროს მოვიდე?

—რა ვიცი, ისე ადრე არ მოხვიდე, შენ რომ გიყვარს. ძილი მაცალე.

ნოდარი უკან მობრუნდა, მანანა კი ბაზრის ბოლოში გავიდა შეუჩერებლად, მანქანაში ჩაჯდა და წავიდნენ.

—აი ეს არის ჩემი მანანა. —უთხრა ნოდარმა დათოს ამაყად და თავმომწონედ.

—შენი? —ცოტა ირონიული ღიმილით თქვა დათომ, მაგრამ ნოდარს ეს ირონია არ შეუმჩნევია. დაღამებამდე როგორც იქნა გაყიდეს ბიჭებმა და დათომ ნოდარი სახლში მიიყვანა, თვითონ კი თავის სახლში წავიდა.

დილით ნოდარმა მანქანა საგულდაგულოდ გარეცხა, თვითონაც გამოეწყო და 12 საათისთვის მანანასთან მივიდა. მანანა გასამზადებელი იყო და ცოტა მოცდა მოუწია.

—საით წავიდეთ? — ჰკითხა ნოდარმა.

—რა ვიცი. შენ მეპატიჟები და ალბათ გეგმაც გაქვს.

—არაფერი გეგმა არ მაქვს. ჩემი გეგმა ის არის შენთან ვიყო. მიყვარხარ, მენატრები და გეგმაც, ნატვრაც და ოცნებაც შენთან ყოფნაა. დღეს ცოტას მაინც ავისრულებ ამ ოცნებას და შენთან ვიქნები. ოღონდაც შენთან ვიყო და სადაც გინდა წავიდეთ, თუნდაც ცხრა მთას იქით. —კარგი, კარგი, მაგდენი თვლა არ ვიცი, ცხრა მთა რომ გადაეთვალოთ და სადაც გინდა წავიდეთ, ყველგან თანახმა ვარ.

ნოდარი უაზროდ გავიდა გზატკეცილზე და გაუყვა თბილისის მიმართულებით. გზაში რამდენიმეჯერ დაუბრუნდა თავის გრძნობებზე საუბარს, მანანა კი მხოლოდ იღიმებოდა, საუბარში კი იშვიათად ერთვებოდა. ნოდარი ნელა მიდიოდა და ერთ საათზე მეტი იარეს ასე. მერე იფიქრა, ასე სადამდე უნდა ვიაროთ და უკან მობრუნდა.

—მოდი, ალუჩა ვიყიდოთ —თქვა მანანამ და ერთ—ერთ სოფელში გზაზე გასაყიდად გამოტანილ ვედროებზე მიუთითა. ნოდარმა გააჩერა, გადავიდა და იყიდა.

—მარწყვიც ვიყიდოთ, არ გინდა?

—არა, რას ამბობ. გუშინ შენ რომ მოგვეცი, იმდენი ეჭამე, ალბათ დიდხანს აღარ მომინდება.

ნოდარი ჩაჯდა ავტომანქანაში და გაუყვნენ ისევ გზას.

—ზევით რომ გადავუხვიო ტყისკენ, წინააღმდეგი ხომ არა ხარ? —ჰკითხა ნოდარმა

—მეე? ხომ გითხარი, სადაც გინდა წავიდეთ, მხოლოდ მთები არ მათელვინო. ცხრამდე თვლა არ ვიცი. —სიცილით უთხრა მანანამ.

ნოდარმა შეაბრუნა მანქანა გზატკეცილიდან სოფლის მთავარ გზაზე, ზემოთ ტყისკენ და აუყვნენ გზას.

—სოფლის ბოლოს, ნაძვების პატარა ხელოვნური ტყეა, სასიამოვნოა იქ ყოფნა. თანაც ცივი წყაროც არის. —თქვა ნოდარმა.

სოფელს კარგა მანძილზე გასცდნენ და ნაძვნარიც გამოჩნდა. ნოდარმა შუა ნაძვნარში გააჩერა მანქანა. ორივენი გადმოვიდნენ მანქანიდან. ნოდარმა მანქანის სალონის უკანა ნაწილიდან პარკი ამოიღო და ორივე იქვე, მიწაზე გაშლილ წიწვებზე დასხდნენ. ნოდარმა პარკიდან ამოიღო ბოთლით ლიქიორი, პატარა ჭიქები, ნამცხვრები და თავის და მანანას შუაში გაფენილ პარკზეე დააწყო.

—ყოჩაღ! მომზადებული წამოსულხარ, თანაც ეს ლიქიორი მიყვარს. —თქვა მანანამ.

ნოდარმა ბოთლი გახსნა, შეავსო პატარა ჭიქები და ერთი მანანას მიაწოდა, რომელსაც მეორე ხელში ნამცხვარი ეჭირა.

—იქნებ სადღეგრძელო შენ თქვა, თორემ მე ასი ჭიქა რომ დაელიო ეხლა, ასივეს სიყვარულისას დაელევ და მოგბეზრდება.

—მეე? მე რომ სხვა ვთქვა, შენ ხომ დაიტანჯები, სათქმელი უთქმელად თუ ჩაიკალი გულში? არა, ისევ ჯობია შენ თქვა.

—კარგი, მაშინ მე ვიტყვი. თუმცა რა უნდა ვთქვა, შენს თვალებს რომ დაკინახავ ისე ვიბნევი, დაწერილი რომ მქონდეს იმასაც სწორად ვერ წავიკითხავ.

—მაშინ ჩაიფიქრე და დალიე. ხომ ორივემ ვიცით, რომ სიყვარული იგულისხმება. —თქვა სიცილით მანანამ.

—ჩემს სიყვარულს გაუმარჯოს, ჩემს პატარა სიყვარულს.

—რატომ პატარა? აკი ძალიან მიყვარხარო?

—რა ვიცი, პატარა რომ არ იყოს, შენს გულამდეც ხომ მოაღწევდა? რაკი ვერ აღწევს, ესიგი პატარაა. თუმცა კი, ისეთი მძიმეა ძლივს ვატარებ. თანაც მარტო მძიმე კი არა ცხელია, ძალიან ცხელი. წვავს ყველაფერს. აი ნახე. —თქვა ნოდარმა და მანანას ხელი მკერდზე დაიდო.

ცხელი კი არა, გაყინული ყოფილა. —თქვა მანანამ სიცილით —მე მეგონა, მართლა გიყვარდი.

ნოდარმა არაფერი უპასუხა და გააგრძელა. —ნეტაკი შეიძლებოდეს სანთელის მსგავსად შენს გულსაც გადაეუკიდო, იქნებ შენი გულიც აენთოს ამ სიყვარულით, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერ ეკარება შენს გულს? არაუშავს, ჯერჯერობით შენი ანთებული თვალებიც მათბობს, მერე კი რა ვიცი, იქნებ გამიღო გულის კარი. ჩემს პატარა, მაგრამ გიზგიზა სიყვარულს გაუმარჯოს. ნუთუ არ დამეთანხმები? ნუთუ არ უსურვებ ჩემ სიყვარულს გამარჯვებას და არ დალევ ამ სასმისს? ნოდარმა დალია ლიქიორი და მანანას შეხედა. —გისმენ.

—შენს სიყვარულს გაუმარჯოს. ვუსურვებ ისე აგიზგიზებულიყოს, ქვეყანა გადაეწვას

—ქვეყანა რად მინდა გოგო. ერთი მიყვარს და ერთს ვეტრფი

–კარგი, კარგი, გაუმარჯოს შენს სიყვარულს. – თქვა და მანანამაც დალია.

–მერედა თუ მართლა უსურვებ გამარჯვებას, შენს ხელში არ არის მისი გამარჯვება? შენი ნება არ არის, გინდ გაამარჯვებინებ და გინდ გაანადგურებ.

–მე ღმერთი კი არ ვარ. მე ვუსურვებ, მაგრამ თვითონაც გატოკდეს. უწვალებლად მოპოვებული ხომ უფასურია და შებერვით გაქრება.

ამ სასიყვარულო საუბრებში ბოთლი გამოცალეს, შემდეგ წამოდგნენ და გაისეირნეს. ხელიხელჩაკიდებულები კარგი სანახავები იყვნენ. სეირნობაში და ლაპარაკში ვერც კი შენიშნეს როგორ ჩამობნელდა. თუმცა დაღამებამდე ჯერ ადრე იყო.

–მოდი, აი აქ დავეშვათ. იცი, როგორ მიყვარდა ბავშვობაში ბორცვზე სირბილი. –მათ წინ დაახლოებით ასი მეტრის სიგრძის დაქანება იყო ღელეში, რომელზე ჩარბენაც, არც ისე ადვილი იყო.

–აქ ძნელია, რომ დაეცე. –თქვა ნოდარმა და გაიფიქრა, მით უმეტეს ნასვამიაო, მაგრამ მანანას არც მოუსმენია, ისე დაეშვა სირბილით ქვევით. ნოდარიც რაღას იზამდა, ისიც დაეშვა და მალე გაუსწრო კიდეც, მაგრამ ახლოს მირბოდა, რომ დაცემის შემთხვევაში მიშველებოდა. მანანას სირბილში კაბა უფრიალებდა, ზოგჯერ ძლიერ მაღლაც ეწეოდა. ნოდარს რა თქმა უნდა ეს არ გამოპარვია, ნოდარი ცდილობდა თვალი მოერიდებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. თითქოს ეს კაბა სწორედ იმიტომ ფრიალებდა, რომ თავისი სიმშვენიერით მოეხიბლა ახალგაზრდა კაცი, რომლისთვისაც ეს ქალი მისი სიყვარული იყო, მისი ოცნება. ამიტომ სიამოვნებით ადევნებდა თვალს. ამის გამო ისე წაბორძიკდა კინაღამ დაეცა კიდეც. ქანობის ძირას მაინც მშვიდობიანად ჩავიდნენ. დაღლილი მანანა ნოდარის წინ იდგა. დაღლილობის გამო ღრმად სუნთქავდა და მისი ლამაზი მკერდი სუნთქვისას ისე ლამაზად იბურცებოდა, თითქოს თავს ახსენებდა ნოდარს, თითქოს კეკლუცობდა მის წინაშე, შემომხედე რა ლამაზი ვარო. ნოდარსც თვალი გაურბოდა მისკენ და ცქერით ტკბებოდა. მის წინ ხომ მისი საყვარელი და სასურველი ქალი იდგა...

–რა კარგი იყო... დავიღალე. ასე რომ დაეშვები ხოლმე, ასე მგონია გაფრენისთვის ვემზადები და უნდა გავფრინდე. –ქაქანით და ძლივს გასაგებად წარმოსთქვა მანანამ.

–მოიცა, სად უნდა გაფრინდე, ძლივს გიპოვე, მე არ გაგიშვებ.

ამ დროს ძლიერმა ქარის ტალღამ დაუბერა. მანანას კაბამაც არ დააყოვნა და აფრიალდა. მშვენიერი სანახავი იყო. მანანა კაბის ხელით ჩამოწევას ცდილობდა, თუმცა არც ისე დიდი მონდომებით. ნოდარმა მთელი ეს სილამაზე შეიგრძნო, რამაც გული აუჩქარა, ააღელვა და ცოტა ხანს გააბრუა.

–ნახე იქ ბალი ყოფილა. –თქვა მანანამ და ხელი გაიშვირა ღობის იქით, ბოსტანში მდგარ ხეზე, რომელზეც ლამაზად ელვარებდა მწიფე ბალი, მოშრიალე მწვანე ფოთლებში. –წამოდი ვჭამოთ. –მანანამ ხელი ჩააელო ნოდარს და ძალით წაიყვანა. ნოდარი ისე წაყვა მის ხელს, ბალი არც გახსენებია. ის ისევ იმ სანახაობით იყო მოხიბლული და

გაბრუებული, რომელიც წამის წინ იხილა და ნატრობდა ისევ დაებარა ქარს.

გადაჭეჭყილ ღობეზე ადვილად გადავიდნენ და ბალის ხის ქვეშ აღმოჩნდნენ. დაბლა ჩამოშვებულ ტოტებზე, რომელსაც ადვილად მისწვდებოდნენ, იმდენი ბალი ესხა, რომ მაღლა ხეზე ასვლა სრულებით არ იყო საჭირო. ქარის ტალღებმა კიდევ უფრო ძლიერად დაუბერა. მანანას ორივე აწეული ხელი ბლის კრეფით იყო დაკავებული, ისედაც საკმაოდ დამოკლებული კაბა, ქარმა სულ მთლად აუწია. ამჯერად მანანას ხელებს არც უცდიათ მისი ჩამოწევა და ნოდარიც უფრო ხანგრძლივად დატკბა ქარის მიერ შემოთავაზებული მისთვის სასიამოვნო სანახაობით და გაიფიქრა: რა ლამაზია, რა მშვენიერი სხეული აქვს, ეს მშვენიერება ნემი უნდა გახდეს, მალე წვიმაც წამოვიდა და ქარმაც უკვე მუდმივი ხასიათი მიიღო.

—აქეთ მოდი, აქ ნაკლებად ჩამოდის. —უთხრა ნოდარმა, მანანამაც, რომელიც უკვე სველდებოდა, მასთან ახლოს გადაინაცვლა. ისინი უკვე აღარ კრეფდნენ, მხოლოდ პატარა, მოტეხილი ტოტიდან ჭამდა მანანა. წვიმამ იმატა. მანანამ უნაყოფოდ დარჩენილი ტოტი მოისროლა და ნოდართან უფრო ახლოს მივიდა, რომ არ დასველებულიყო. ისინი უკვე ისე ახლოს იყვნენ ერთი მეორესთან, რომ თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს ქარი უკვე ტალღებად კი არა, მუდმივად ქროდა და ტოტებს ერთიმეორეს ახეთქავდა. წვიმამ კიდევ უფრო იმატა. მანანა, რომელიც ნოდარის პირისპირ იდგა, წვიმამ აიძულა თუ ნებით გააკეთა უფრო ახლოს მივიდა ნოდართან. ისინი უკვე ერთმანეთს ეხებოდნენ. ნოდარს თავგზა აებნა. იგი ოდნავ გადაიხარა მანანასკენ და მისი ტუჩები მანანასას ტუჩებს შეეხო. შეეხო ფრთხილად, ფაქიზად, ითქოს ეშინოდა არ გამქრალიყო. არ გამქრალიყო ისე, როგორც დანარჩენი ყველაფერი გაქრა. გაქრა წვიმა, ქარი, ბლის ხეც და ყველაფერი, რაც ირგვლივ იყო. აღარც ქუხილის ხმა ესმოდა. სამყარო აღარ არსებობდა. მის ადგილას მხოლოდ ნოდარი და მანანა იყვნენ, რომლებიც ერთიმეორეს ტუჩებით ეხებოდნენ და ტკბებოდნენ. მაგრამ უცებ ვიღაცამ გაბედა და ასეთ დროს ხელზე მოქანა.

—რა მოგვივიდა, რას გაშტერდი ამ წვიმაში. წამოდი აგერ იმ ქოხში გადავინაცვლოთ, თორემ სულ დაველდებით. —მოესმა მანანას ხმა, რომელიც ათიოდე მეტრში მდგარ ნახევრად დანგრეულ ქოხზე მიუთითებდა —ვერ ხედავ, როგორ დაიჭექა? წვიმა უფრო მოიმატებს.

—ირგვლივ ყველაფერი ისევ გამოჩნდა, წვიმაც, ქარიც და მთელი სამყაროც. ნოდარი დაჰყვა მანანას ხელს და ქოხისკენ მიირბინეს ხელიხელ ჩაკიდებულებმა.

ქოხში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩამოდიოდა წვეთები და ბლის ტოტებს, რომელნიც ბოლოს საერთოდ ვეღარ იფარავდნენ წვიმისგან, ნამდვილად სჯობდა. ნოდარი და მანანა შეეცადნენ ისეთი ადგილი გამოენახათ, სადაც უფრო ნაკლები წვეთები ჩამოდიოდა. ისინი ისევ პირისპირ და უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ბლის ქვეშ. ამჯერად უფრო მჭიდროდ ეხებოდნენ ერთიმეორეს და თვალებში უცქერდნენ. ოცნებიდან გამოსულმა ნოდარმა ის განცდა

რეალობად აღიქვა რამაც სითამამე შემატა, მანანას ხელი მოხვია და ტუჩებზე დაეკონა. მანანაც თითქოს ამას ელოდაო, ღაჟყვა მის ტუჩებს და მთელი ტანით მიეკრა.

წვიმას სეტყვაც შეერია და მალე ისეთი ხმაური ატყდა, რომ გეყვირა ათიოდე მეტრში ხმას ვერ მიაწვდენდი კაცს. წვიმის მსხვილ წვეთებსა და სეტყვის მარცვლებთან ერთად დაფლეთილი ფოთლებიც ცვიოდა. ქოხის ქვეშ შეფარებულ ქალ-ვაჟს კი ეს არ ანაღელებდა. ტუჩების შეხებით და ერთიმეორის ალერსით გაბრუებულნი ვერც სტიქიის შემოტევას გრძნობდნენ და ვერც ტანზე მოდინებულ წვეთების მომატებას.

მზე გამოვიდა, თუმცა ჯერ ისევ წვიმდა, არა ნაკლებ უწინდელზე. მხოლოდ სეტყვა შეწყდა და ქარიც ჩამდგარიყო. მზე რომელიც დასავლეთით ჩასასვლელად გამზადებულიყო, შავი ღრუბლებით დაფარულ მთელ ცაზე უცნაურად ანათებდა. თითქოს შესუსტებულიყო, თუმც ზომით ჩვეულებრივზე დიდი ჩანდა. ცა მხოლოდ მზესთან იყო განთავისუფლებული შავი ღრუბლისგან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დიდი დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდა მზეს შავ ღრუბელთან. თითქოს მზემ დაამარცხა შავი ღრუბელი, უკან დაახევინა და დამარცხებული ღრუბელი სტოვებდა ბრძოლის ველს. დაღლილი, ნაომარი მზე კი ნელ-ნელა ეშვებოდა თავის სასუფეველში, რომ დაისვენოს, ენერგია აღიდგინოს და დილით კვლავ ჩვეულებრივი ბრწყინვალებით მოეფინოს ქვეყნიერებას.

„დამარცხებულმა“ ღრუბელმა მალე ის მდებარეობაც დატოვა, სადაც ნოდარი და მანანა იყვნენ და, წვიმაც შეწყდა. ირგვლივ განსხვავებული ფერის, ნათება თითქოს ჩვეულებრივზე უფრო ყვითელი ფერის იყო. თითქოს მზის ნათების ცისარტყელას ფერებში ყვითლის გარდა, ყველა დაფარულიყო. ზუსტად ისეთი ნათება! დენის მოსვლისას, მბჟუნტავი ნათურები რომ ანათებენ ჩვენს ბინებს ამ ბოლო დროს. ირდილებიც, რომლებიც დიდად იყვნენ წაგრძელებულნი, თითქოს უსასრულობისაკენ მიისწრაფოდნენ სიგრძეში და უფრო მკვეთრი საზღვარი გამოჰყოფდათ ნათელისგან. ირდილები იზრდებოდნენ, თანდათან ერთი მეორეს უერთდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და უფრო დიდი ირდილები ჩნდებოდა. ნოდარი კი ისევ თავდაიწყებით კოცნიდა მანანას ტუჩებს, ყელს, ლოყებს...

–მოიცადე რა, გეყოფა. წვიმამ გადაიღო. წავიდეთ, თორემ სულ სველი ვარ, გაეცივდები. –თქვა მანანამ და შეეცადა ნოდარის ტუჩები მოეცილებინა.

ნოდარმა დამორჩილება არ ინდომა და კვლავ გააგრძელა, მაგრამ მანანას მეორე მცდელობაზე, აღარ შეეწინააღმდეგა, თუმცა, ცოტა განაწყენებულივით მოსცილდა.

–ჰო, გადაუღია... –თქვა ნოდარმა და მანანას წელზე ხელებშემოხვეულმა გახედა მზეს.

–წავიდეთ, თორემ ცოტა უკვე მცივა. სხვა დროს აღარ გინდიეარ? მარტო ამ წუთებისათვის ხომ არა? –უთხრა მანანამ ღიმილით.

ნოდარი და მანანა ისევ იმ აღმართს აუყვნენ რომელზეც ჩამოირბინეს. ბალახი სველი იყო. ალაგ-ალაგ წყალი ნაკადულივით მოჩხრიალებდა პატარა გუბეებში და სველ ბალახში ფეხებიც მთლად დაისველეს. ნოდარი ხელჩავლებული მიუძღოდა მანანას, რომელსაც მალ-მალ ფეხი უცურაოდა და ეინ იცის რამდენჯერ გადაარჩინა ნოდარმა სველ მიწაზე დაცემას. როგორც იქნა აიარეს აღმართი და მანქანასთან მივიდნენ.

–სულ დაგვისველდა ფეხები. შენს ფეხსაცმელებშიც როგორ ჭყაპუნობს ფეხი. გაიხადე და გამოწურე, ასე გაცივდები, მათ ფეხსაცმელები გაიხადეს, შესაძლებლობის მიხედვით გამოამშრალეს და მანქანაში ისე ჩასხდნენ. მანქანას ადგილიდან დაძერა გაუჭირდა. სველ მიწაზე საბურავები სრიალებდა, ღმუილით და ნელი სვლით მიიწევდა მანქანა წინ. დროდადრო კი ჩერდებოდა და ადგილზე ბრუნავდა ბორბლები. როგორც იქნა შეძლეს ნაძვნარიდან გასვლა და ამ ღმუილში ძრავა ისე გაცხელდა, რომ ღუმელიდან უკვე ცხელი ჰაერი უბერაედა.

–კარგი გასეირნება გამოგვივიდა. –ირონიით თქვა მანანამ.

–კიდევ კარგი ლიქიორი დალიე, თორემ უფრო მეტად შეგცივდებოდა.

–ლიქიორი ვერაფერს გიშველის. ხვალ თუ ანთება დამემართა, ყველაფერი შენი ბრალი იქნება. შენთან აღარ წამოვალ, თორემ სახიფათო კაცი ხარ. –ისევ ირონიით და ღიმილით უთხრა მანანამ.

ნოდარმა მანანა სახლში მიიყვანა და გაბრუნდა თავისი სახლისკენ.

ამ გასეირნების სასიყვარულო „შედეგიანობით“ გახალისებულმა ნოდარმა განმეორება მოისურვა და შემდეგ დღეებში რამდენიმეჯერ მიაკითხა მანანას, მაგრამ ვერცერთხელ ვერ ნახა. დილით ადრიანად არ მიდიოდა რაკი იცოდა, რომ მანანას ძილი უყვარდა, მოგვიანებით კი სახლში აღარ ხვდებოდა. რაკი ვერცერთხელ ვერ ნახა უკმაყოფილომ შეწყვიტა მისი ნახვის მცდელობა.

დილით ნოდარი ბეღურების ხმაურმა გამოაღვიძა. ადგომა არც უფიქრია, გვერდი იცვალა და ისევ ჩაძინება სცადა, ბალიშიც კი დაიფარა თავზე, მაგრამ ეს ბეღურები თითქოს ჯიბრით არ ჩუმდებოდნენ. როცა დარწმუნდა, რომ აღარ ჩაეძინებოდა ბალიში ისევ თავის ქვეშ ამოიდო და გულაღმა მწოლიარე, ფიქრებს მიეცა. მისი თვალები ღუმელისაგან შებოლილ და ალაგ-ლაგ საღებავ ჩამოცვენილ ჭერს მიაშტერდა. მისი გონება კი ჭერს საერთოდ ვერ ხედავდა. იგი თავის ფიქრებში იყო გადასული და მანასთან ურთიერთობის დროს დანახულს და განცდილს ხედავდა. უკვე ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მანანასთან იყო ნაძვნარში და წვიმაში, მაგრამ მისი გონებიდან არ ამოდის იქ განცდილი და დანახული. ყველ საღამო თუ დილა ყოველი თავისუფალი დრო, სულ მისი აფრიალებული კაბა, მისი კოცნის დროს დახუჭული თვალები, მისი გაშლილი სველი თმა და სახეზე ჩამონადენი წყლის წვეთები ედგა თვალწინ. მის ქალურ სურნელს და ტუჩების შეხებას ისევ გრძნობს. მერე ფანტაზია ფართოვდება და სხვა ლამაზ-ლამაზ სასიყვარულო სცენებს უმატებს. ჩიტები ისევ ჭიკჭიკებდნენ, მაგრამ ამჯერად ხმაურად კი არა, სიმფონიად ჩაესმოდა და იმ ოცნებებს უფრო ლამაზ ელფერს აძლევდა. გაახსენდა ძლიერი დაჭექბისას

როგორ შეკრთა მანანა და თითქოს სცადა ტუჩებიდ მოცილება წამით, მაგრამ ნოდარმა არ მისცა საშუალება და მანანაც დაჭყვა მის ნებას. გაახსენდა ბლის კრეფისას მანანას აფრიალებული კაბა და მისი ლამაზი სხეული. გაახსენდა როგორ შერცხვა ნოდარს, მაგრამ ამ სილამაზეს თვალი მაინც ვერ მოსწყვიტა. მანანა? მანანამ რატომ არ ჩამოიწია მაშინვე კაბა? ნუთუ არ შერცხვა? იქნებ შერცხვა, მაგრამ ვერ მოასწრო ხელების დაშვება და კაბის გასწორება? ან იქნებ ჩემი გახარება უნდოდა, თავისი ლამაზი სხეულის დანახვებით თათიას მსგავსად? რა უცნაური და მოულოდნელი იყო ყველაფერი. ეს სტიქიაც თითქოს ჩასაფრებული იყო, ჩვენ გველოდებოდა. რა იქნებოდა, წვიმა რომ არ ყოფილიყო და ასე ახლოს რომ არ მოსულიყო წვეთებს გამოქცეული მანანა? ამის გარეშე გავბედავდი ხელის მოხვევას და კოცნას? სტიქია დამეხმარა თუ პირიქით ხელი შემიშლა? სტიქია რომ არა, იქნებ გაგრძელებულიყო ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობა?

ნოდარმა დიდხანს ითენება ლოგინში და წამოდგა. არაფრის გაკეთება არ უნდოდა, ყველაფერი ეზარებოდა. ამიტომ წინა დღეს დაგეგმილი საქმე, რომ წასულიყო ყანის სანახავად და დაეთვალიერებინა, გადაეწყვიტა როდის აიღებდა, გადაიფიქრა. ისაუზმა და ქუჩაში გავიდა. იქ არავინ იყო და ისევ სახლში დაბრუნდა. "რა ცუდი ყოფილა ეს ოცნება, რამდენადაც სასიამოვნოა, იმდენად მაენებელია. მთლად მომადუნა და საქმეს ველარ ვაკეთებ" გაიფიქრა ნოდარმა. ალბათ ყველას ღუპავს ოცნება. ოცნებით ადამიანი თვითკმაყოფილებას ეძლევა, წარმოიდგენს, რომ ის უკვე თითქმის შესრულებულია და ამით მცდელობას აკლებს მის შესრულებას. ამიტომ უნდა მოვიშორო თავიდან. ამ ოცნებაში მანანა უკვე ჩემად ჩავთვალე, აგერ უკვე ერთი თვეა აღარ მინახავს. ვინ იცის სად არის და ვისთან ერთად დადის. მას ხომ ჩემთვის პირობა არ მოუცია არაფერზე? მას ხომ არც კი უთქვამს ეუყვარვარ თუ არა. ერთი მაკოცნინა და უკვე ჩემი მგონია. ზოგს სახლში მიყვანილ ცოლს ართმევენ და მე თუ არხეინად ვიქნები, შეყვარებულის წართმევას რა უნდა. არა, მეტის დაყოვნება აღარ შეიძლება. ეხლავე უნდა წავიდე მასთან.

ნოდარი მაშინვე გამოეწყო. ნაჯდა მანქანაში და მანანასთან წავიდა. მანანა, ჩვეულებისამებრ სახლში არ დახვდა. კითხვაზე, თუ სად იყო, მანანას დედამ ასე უპასუხა: არ ვიცი, შვილო, მეგობართან წავიდა. ნეტავი ერთი გამეთხოვებინა, პატრონს ჩამებარებინა. ამდენს რომ დადის, მეშინია რამე ცუდს არ გადაეყაროსო.

ნოდარს მოეწონა დედის ალალად და დაუფარავად ნათქვამი ბულისტკივილი. იფიქრა: კარგი, პატიოსანი, მშრომელი მშობლები ჰყავს, თვითონ რატომღაა ასეთი, სულ სასეირნოდ რომ დადის, მშობლებს არაფერში ეხმარებაო. მშობლების კეთილ დამოკიდებულებას ცუდად იყენებსო.

ისევ სახლში დაბრუნდა განაწყენებული ნოდარი. –მაინც რას დარბის ამდენს ეს მანანა? მისი ცხოვრების სულ მცირე დროც,რომ მოვიპოვო, ყველაფერს თავი უნდა დავანებო და მარტო მას ვსდიო. ნუთუ ეს არის

სიყვარული? ნუთუ სიყვარული დანარჩენი ცხოვრებიდან გაითიშვას გულისხმობს? რატომ დადის ამდენ ბიჭებთან? ნუთუ უბრალოდ მეგობრობა აკავშირებთ და სხვა არაფერი? იქნებ, მათაც ისე კოცნის, როგორც მე? მაშინ მე ვინღა ვარ მის ცხოვრებაში? ერთერთი გამრთობი? არა, ასე არ იქნება. მანანა ასეთი არ არის. მეგობრები არიან და სეირნობენ, სხვა რა უნდა იყოს? ახალგაზრდა გოგოა და სულ სახლში და მუშაობაში ხომ არ იქნება? რა მისი ბრალია, თუ მე ნაკლებ დროს ვუთმობ. არაფერი სხვა საქმიდან მოწყვეტა მე არ მჭირდება. თავისუფალი დრო საკმარისად მაქვს, რომ უფრო ხშირად ვნახო.

ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ნოდარმა ყურმილი აიღო.

–ალო.

–სალამი ნოდარ. როგორ ხარ? –გაისმა ყურმილში. ნოდარმა იცნო, ეს ვაჟას ხმა იყო.

–ვაჟა შენ ხარ? გამარჯობა.

–ხო, მე ვარ. ნოდარ, თუ გცალია ერთი რამე უნდა გთხოვო. ძმურად, მანქანა ხომ გიმუშავებს?

–ჰო მუშაობს.

–ჰოდა გთხოვ, ძმურად, ბენზინს ჩაგისხავ და თევზი ამატანინე რესტორანში. სასწრაფოა, მეშინია არ გაფუჭდეს, თორემ შენ არ გაგაწვალებდი. ხომ ხედავ როგორ ცხელა და...

–კარგი, მოვალ.

–ჰო, აბა შენ იცი, გელოდები... ცოტა დროზე მოდი, გთხოვ.

ნოდარმა ყურმილი დადო და ეზოში ჩაეიდა. მანქანა მომართა და აკერდით ქუჩაზე, ვაჟას სახლთან გააჩერა. ვაჟამ მაშინვე გამოიტანა ტომრით თევზი და საბარგულში ჩადო.

–რომელ რესტორანში გინდა ჩააბარო? –ჰკითხა ნოდარმა.

–ზემოთ, ციცწყაროსთან. ნაძვებში, რომ არის. იქ მდიდარი ხალხი მიდის და თევზი იქ სჭირდებათ. აბა სხვაგან ცოცხალს ვინ იყიდის?

–შენ დასაჭერი ხარ ძმაო. ბრაკონიერი ყოფილხარ, ამდენი თევზი როგორ დაიჭირე? –გაეხუმრა ნოდარი.

–მე რა დასაჭერი ვარ, ხომ იცი ანკესებით ვთევზაობ. ერთ კვირაზე მეტია ამ თევზს დაედევ. დღე და ღამე არ მძინავს. თვალები მეხუჭება. ეხლა სამი-ოთხი დღე უნდა დავისვენო, თორემ აღარ შემიძლია. 12 კილო დაიკელი წონაში, ხომ ხედავ, როგორ გავხდი.

–მერე თავს რომ იკლავ, თევზი გიშველის?

–აბა რა ვქნა, ძმაო. ჩემმა გოგომ ხომ იცი, სკოლა დაამთავრა და ათასი რამე სჭირდება. სხვა რა შემოსავალი მაქვს? ამით ვარჩენ ოჯახს. ზამთარში, თევზის სეზონი რომ არ არის, ვალებით ვცხოვრობთ, ზაფხულში კი თევზის ფულით ვიშორებ. მერე რა მეშველება თევზიც რომ აღარ იქნება, არ ვიცი. ადრე ამდენს ერთ ან ორ დღეში ვიჭერდი. ახლა კი, კვირაზე მეტია, დღე და ღამე დავდევ და ძლივს დავიჭირე. ღამე იმდენი ნავები დადიან დენით. რაღა უნდა დარჩეს?

–ამ ქვეყანას ხომ პატრონი არა ჰყავს. რატომ არ უშლიან? ეკოლოგიის ხალხი სად არის?

—ეე, ეგენი იმათი ხალხია, წილში არიან, თორემ ისე ვის გააჭაჭანებენ. მე რომ ვთევზაობ, მეც პატივსა ვცემ და იმიტომ მათევზაებენ, თორემ იქ ვინ გამაჩერებდა.

—რა პატივსა სცემ?

— რა პატივს და მოდიან ხოლმე ხშირ-ხშირად და თევზი მიაქვთ, უფასოდ რა თქმაუნდა. მთელი ნათესაობა ამოიწყვიტეს, ის მომიკვდა, ეს მომიკვდაო და დაკრძალვისთვის მინდაო. ხან ჩემს შვილს დაბადების დღე აქვსო. რამდენი შვილი ჰყავთ, რომ წილიწადში ამდენი დაბადების დღეები აქვთ, ვერ გავიგე. ანდა მარტო ჩემთან ხომ არ მოდიან? რამდენი ჩემნაირია. ალბათ ყიდიან, თორემ მარტო თევზი, რომ შეჭამოს მთელმა ოჯახმა, ამდენს მაინც ვერ შეჭამენ.

—მერე, მაგათაც ხომ ყავთ ზემდგომი, პასუხს არ სთხოვენ?

—აბა ისინი არიან, თორემ ამათ რა უჭირთ. ზუსტად ისინი არიან, რომ ფულს სთხოვენ და ესენიც იძულებული არიან გარიგებაზე წავიდნენ. ნორმალური ხომ დაფიქრდება, ასე რომ გავწყვიტოთ თევზი, მომავალ თაობას არ უნდა? იცი რამდენი ჯიშის თევზი გაქრა ალაზანში? წინათ თურმე ორაგულიც ყოფილა, ლოქოებს 100 და 150 კილოიანებს იჭერდნენ. ეხლა 2–3 კილოიანსაც ძალიან იშვიათად ვიჭერ. სულაც რომ არ იყოს დაცვა, შეიძლება ხალხმა უფრო ინამუსოს და ისე აღარ განადგურდეს, როგორც ეხლა ნადგურდება. ცხოვრებაც კიდე ისეთი მოვიდა. მე რომ სხვა სამუშაო მქონედს და ეს ერთადერთი საშუალება არ იყოს ოჯახის შენახვისა, ამ კაპიკებზე ღამეებს გაკათევდი და კოღოებს შეეჭამეინებდი თავს?

რესტორანთან რომ მივიდნენ, ნოდარმა ვაჟას თხოვნით უკანა მხრიდან, ეზოში გასასვლელ კართან მიაყენა მანქანა. ვაჟა ჯერ მოსალაპარაკებლად გადავიდა. ეზოს გვერდით, მარჯვენა მხარეს რამდენიმე ნაძვი იდგა. ამ ნაძვებში ზოგჯერ კლიენტის თხოვნით მაგიდას დგავდნენ. ამჯერადაც, რამდენიმე მაგიდა მიედგთ ერთიმეორეზე, გრძელი სუფრა გაეშალათ და ქეიფობდნენ. რამდენიმე მათგანი იცნო ნოდარმა. ესენი იყვნენ რაიონის ცნობილი ავტორიტეტული პირები. ნაცნობი სახეები, რომლებიც ქუჩაში თუ კაბინეტში, მკაცრი სახის გამომეტყველებით გამოირჩევიან, ამჯერად ძალიან მხიარულები ჩანდნენ, რასაც ვერ იტყოდით რამოდენიმე უცნობზე. უცნობები სერიოზული სახით ისხდნენ და იშვიათად იღიმებოდნენ დანარჩენი სუფრის წევრების ოხუნჯობაზე. რამდენიმე სიტყვით, რომლებიც უნებლიედ მოესმა ნოდარს ყურში, შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ ისინი საქართველოს საადღეგრძელოს სვამდნენ.

—უჰ, კიბოს გაუმარჯოს! ჭიქა მიართვით კიბოს! —წამოიძახა ერთერთმა სუფრის წევრმა, რომელმაცალბათ პირველმა შენიშნა მათთან მიახლოებული კიბო. ეს კაცი, პატივცემული სტუმრებო, ჩვენი რაიონის კოლორიტია. ჩვენს რაიონში ყველასთვის ცნობილი და უბრალო ხალხის განსახიერებაა. მათი ჭირისა და ლხინის სიბრძნისეულად გამომხატველი. —თქვა მანვე ფეხზე წამომდგარმა, რომელსაც ნამდვილად არ უყვარდა კიბო და ძნელი სათქმელია, რატომ შეაქო ასე. შეიძლება

იმიტომ რომ მასზე გავლენა მოეხდინა რათა მისი, ტრადიციული მწარე გამონათქვამები, შერბილებული ყოფილიყო და სტუმრებთან არ შერცხვენილიყვნენ

კიბოს ჭიქა მიაწოდა მასთან ახლოს ფეხზე წამომდგარმა სუფრის წევრმა, რომელმაც თითქოს მხიარულად, მაგრამ მკაცრად უთხრა: –აბა დაგვლოცე კიბო. აქ ჩვენ სტუმრად გეყავს ჩვენი საპატიო პარლამენტარები და იმედია, არ შეარცხვენ ჩვენ რაიონს.

–როგორ? საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ სტუმრად? –იკითხა კიბომ.

–საფრანგეთიდან კი არა, ჩვენი, ქართული პარლამენტიდან... უპასუხა მანვე.

–აა... საფრანგეთული ხელისუფლება გვყავს საქართველოში? თქვენ გაგიმარჯოთ სტუმრებო და მასპინძლებო. თქვენ გადლეგრძელებთ და ღმერთსა ვთხოვ ერისა და უფლის გზაზე შემობრუნებულიყავით. ჩვენი ერის დარდი გაგჩენოდეთ და აღმშენებლობა დაგეწყოთ. ისეთი შთამომაელობა გაგეზარდოთ ერისთვისაც საამაყო და სანაქებო, რომ იყოს და მოელი ქვეყნიერებისთვისაც.

ამ დროს ვაჟა გამოვიდა რესტორნიდან.

–რაო რა გითხრეს, არ იღებენ?

–კი გაუხარდათ კიდეც, ძალინ გვჭირდებაო, მაგრამ ეხლა ცოტა ხანს მოიცადეთ, საპატიო სტუმრები გვყავს და ჯერ არ გვცალიაო.

–მოვიცადოთ ჩვენც, რა გვეჩქარება.

–იქ რაღა ხდება, ვინ არიან? კიბოს იქ რა უნდა?

–პარლამენტარები ყოფილან ჩამოსულები და რაიონის "ელიტა" უმასპინძლდება.

–ხო, აგე პროკურორიც აქ არის, გამგებელიც, მილიციის უფროსიც. მერე კიბოს მანდ რა უნდა? ალბათ მიეღტა და გამოაგდებენ ეხლა მაგ საცოდავს. –თქვა ვაჟამ და მისი ყურადღება კიბოს საუბარმა მიიპყრო.

–სამშობლოს სადღეგრძელოს, რომ სვამთ კარგია, მაგრამ ვის გინდათ დაანჯეროთ, რომ მართლა გიყვართ და მისი სიყვარულით დნებით? განაგრძობდა კიბო. თქვენ რომ მართლა გიყვარდეთ, ასე დაანგრევდით და გაანადგურებდით მას? ეგ თქვენი ნაშოები ფულები, ქვეყნის დანგრევით და ხალხის ძარცვით, რომ იშოვეთ, თუ ხალხსავე არ მოახმარეთ, თქვენსავე საწინააღმდეგოდ შემობრუნდება. თუ თქვენი მიზეზით დამშეულ და მგლებად გადაქცეულ ხალხს გადაურჩით, მაშინ თქვენივე შექმნილი და დანერგილი ცხოვრების წესების მსხვერპლი გახდებით. თქვენივე დათესილი ცხოვრების არაადამიანური წესები, თქვენსავე შთამომავლობას ზრდის არაკაცებად და თქვენსავე ოჯახში მოიმკით შედეგს. შეწყვიტეთ ქვეყნის ნგრევა, შეწყვიტეთ ხალხის ძარცვა და კვლა, შეწყვიტეთ ცუდის თესვა. სამშობლო რომ არ გიყვართ, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ თქვენი შვილები, შვილიშვილები ხომ გიყვართ ისინი მაინც შეიბრალეთ. დაფიქრდით, რა ქვეყანას უტოვებთ მათ. დრო მოვა თქვენი მიზეზით ისეთი, რომ შემოვლენ უცხოელები და თქვენი გადარჩენილი შთამომავლობა, თუ ვინმე გადარჩა მათი მონა გახდება.

—რომელია ჩვენს შორის მკვლელი, თქვი და დღესვე დავაკავებთ.
—თქვა პროკურორმა, რომელიც ცდილობდა სიბრაზე შეეკავებინა.

—რომელია მკვლელი? შენიშვე საკუთარი საქმეები გადასინჯე... შენ, პოლიციის უფროსო. თქვენიშვე საქმეები გადასინჯეთ. თქვენს უსამართლო ქმედებებს შემდგომში რამდენი მსხვერპლი მოჰყოლია. თქვენ ხომ პირდაპირ ტყვიას არ დაახლით მსხვერპლს და მახვილს გულში არ ჩასცემთ. თქვენ სხვანაირად იცით ამის გაკეთება. ფარულად, არაპირდაპირ, მდგომარეობის შექმნით იცით, გულში მახვილის ჩაცემა.

—სცემენ ეხლა, ამ უბედურს. წავალ, გამოვიყვან. —თქვა ნოდარმა და კარი გახსნა.

—რას ამბობ, ნოდარ, მლუპავ? ჩვენ რომ ამ საქმეში გავერიოთ, ხომ დავიღუპებით. კამერას და ცემას თუ გადავურჩით, თვეზაობას მაინც აღარ გამაკარებენ. მერე ოჯახი როგორ ვარჩინო?

—ჩვენ რა შუაში ვართ? მაგათთვის უკეთესი არ არის თუ გამოვიყვან?

—მერე კიბო შენს ჯკუაზე გამოვა? უფრო აურზაური ატყდება, შარში გავეხვეიოთ და ჩვენ დაგვაბრალებენ. ხომ იცი მოწმეები არ უყვართ.

—აბა რა, შორიდან ვუყუროთ? რომ მოკლან?

—მაგანაც ენა გააჩეროს. რა ალაპარაკებს? ეხლა ეგ, მაგათ გამოიასწორებს?

კიბო კი თავისას განაგრძობდა...

—კარგი კიბო გეყოფა, წადი ეხლა —თქვა ერთერთი საწარმოს მეპატრონემ.

—შენც მკვლელი ხარ და ამიტომ ზიხარ მანდ, ამიტომ მაჩუმებ. გაზი რომ გაიყვანე ქუჩებში და გზა გათხრილი დატოვე თვეობით, ფული გაკლდა, რომ მიწა მიგეყარა? იქ რომ ახალგაზრდა ბიჭი ამოტრიალდა მანქანით და მოკვდა, შენი მი'ზეზით არ მოკვდა? შენ არა ხარ მკვლელი?

სუფრის ერთ—ერთი წევრი, რომელსაც ნოდარი და ვაჟა არ იცნობდნენ მივიდა მასთან, შეეცადა დაემშვიდებინა და სუფრიდან გაეყვანა კიბო, რისთვისაც თითქმის ჩურჩულით ეუბნებოდა რაღაცას.

—შენ ხმას როგორ იღებ? —მიმართა კიბომ მასაც —შე, დაქირაველებულო მკვლელო, ათასობით ადამიანი დაგიხოცავს 30 თუ 50 ლარად. ამაზე უარესი რაღა უნდა ქნას კაცმა? თანაც პატარა უსუსური ადამიანები. შენ რა გგონია, მარტო შობილია ადამიანი, უშობელი ადამიანი არ არის? დაბადებამდე, რომ ადამიანს კლავ და ამაში 20 ლარს იღებ, ვინ მოგცა ამის უფლება, რომ ღვთის გაჩენილს შენ კლავ? ერი იღუპება, შობადობა თითქმის აღარ არის და ათასობით ბავშვს დაბადებამდე კლავ.?

— აპატიეთ, ალბათ ვიღაცამ გააღიზიანა და გაღიზიანებული მოვიდა. —სუფრის წევრების დამშვიდება სცადა თანამშრომელმა ქალმა.

—ხო. მე გაღიზიანებული ვარ, მაგრამ ვინმესგან კი არა, თქვენგან ვარ გაღიზიანებული. წარამარა სუფრებს აწყობთ და ისე მოიალხენთ-ხოლმე, თითქოს თქვენს გარდა ხალხი არ არსებობს. თითქოს მილიონობით სიკვდილის მნატვრელ ხალხის გაჭირვებაში, თქვენ წვლილი არ მიგიძღვით. დიდი ქრისტეანი რომ ხარ და ეკლესიაში მალი-მალ დადიხარ, იქ რომ უშარვლოდ დადიხარ და მოსახვევესაც იხვევ თავზე, რისთვის?

მღვდელს რომ ასიამოვნო? თუ ღმერთი გწამს და მის პატივის მისაგებად შედიხარ იქ ასე, რა, გგონია, ღმერთი იმ კედლებშია გამომწყვდეული და გარეთ ყველაფერს ხედავს? სამსახურში რატომ დადიხარ მკერდით შიშველი, და ვიწრო შარვლით ყველაფერი რომ გიჩანს, იმ კაცებს გინდა ასიამოვნო და აცდუნო შენ რომ გჭირდება? ეგ რა შენებური გადაწყვეტაა, ღმერთს ღმერთისა და კეისარს კეისრისაო? ვერ გრძნობ, რომ საკუთარი ა'ზროვნებით ღმერთი ეკლესიის კედლებში გამოამწყვდიე, ხელი რომ არ შეგეშალოს სატანურ ქმედებაში? კვირაში ერთხელ დანთებული სანთლით გინდა, ღმერთი მოქრთამო "ღმერთობა რომ გაპატიოს? არ გამოგივა ჩანაფიქრი, ღმერთი ეკლესიაში არ არის გამომწყვდეული და ყველგან გხედავს.

—ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ხანდახან ასე გიუდება ხოლმე. ამიტომაც დაარქვეს კიბო. —თქვა გამწარებულმა ქალმა, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა გამწარება არ შეემჩნია.

—ჰო, მე კიბო ვარ, მაგრამ კეთილთვისებიანი. ერთ-ორ წელიწადში მოეკვედები და ჩემგან ამ ქვეყნად აღარაფერი დარჩება. თქვენ კი ავთვისებიანი კიბო ხართ. ისე გაქვთ მეტასტა'ზები გაშლილი საზოგადოებაში და მთელს ერში, რომ თქვენი ამოკვეთის შემოხვევაშიც კი აღარაფერი ეშველება მხოლოდ სასწაული თუ იხსნის ერს. თქვენ ვეშაპის სინდრომით შეპყრობილი კიბოები ხართ და წერილ "თევ'ზების" გადაყლაპვის სურვილი გკლავთ, მსხვილს კი ელაქუცებით და ემონებით, რომ თქვენ თვითონ არ გადაგყლაპონ, მაგრამ თქვენ უკვე გადაყლაპულები ხართ დიდი შავი ვეშაპის მიერ და არაფერი გეშველებათ.

დასანანია მხოლოდ, რომ მხეცურად ნაშოვნი სატანური ფულით, უბრალო ხალხში შეძელით მეტასტა'ზების გავრცელება, მათთვის მისაბაძი გახდით და ისინიც ერთმანეთის გადაყლაპვას ლამობენ, მაგრამ, რა ვუყოთ... ღმერთის მადლით მალე მოვა სხივი ნათელი, ამოგწვამთ თქვენ ყველას ერის სნეულ ორგანი'ზმიდან და გაჯანსაღდება, განთავისუფლდება ბებერი ძე ღვთისა.

ამ დროს, ე'ხოს გარეთ ავტომანქანა გაჩერდა და ე'ხოში ორი საკმაოდ ტანმსხვილი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ისინი სუფრისკენ წავიდნენ. რესტორნიდან კი ვაუას დაუძახეს, თევ'ხი შემოიტანეო. ვაუამ საბარგულიდან თევ'ხი ამოიღო და რესტორანში შეიდა. იმ ორმა ახალგა'ზრდამ კიბოს აქეთ-იქით ხელი წაავლეთ და ე'ხოდან გარეთ, ძალით გაიყვანა. კიბო კი გ'ზაში ისევ თავისას აგრძელებდა. —ეგენიც თქვენნაირები არიან, ეგ პარლამენტარები, თორემ კარგი ხალხი, თქვენთან არ დაჯდება. თუ ქვეყნის ბედი აინტერესებთ, ხალხში გავიდნენ და მათ ჰკითხონ, რა უჭირთ და რა ულხინთ.

კიბო გარეთ გაიყვანეს. „მოკლავენ ცემით, ამ უბედურს". — გაიფიქრა ისევ ნიდარმა.

მანქანის ხმით ირკვეოდა, რომ დაიძრა და წავიდა ტყის მიმართულებით. ნიდარი ადგილ'ზე წრიალებდა. ვერ გაეგო წასულიყო თუ არა. —როგორ შეიძლება აქ ვიჯდე და არაფერი მოვიმოქმედო? ამის მერე მე რა კაცი

ეიქნები? როგორ შევხედო კიბოს თვალებში, თუ გადარჩა და არ მოკლეს? ბოლოს გადაწყვიტა უკან გაეოლოდა. ასეც მოიქცა. მათი მანქანა უფრო სწრაფად მიდიოდა და რამდენიმე წამში გზის ხილულ ნაწილს მიეფარა. ნოდარი ჩქარობდა, რომ მიესწრო, მაგრამ მანქანას თვალი ეეღარ მოჰკრა. როგორც კი იმ ნაწილს გასცდა, სადაც მანქანას თვალი უკანასკნელად მოჰკრა, სიჩქარეს უკლო და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, რომ თუ გზიდან გადაუხვიეს., არ გამორჩენოდა რამდენიმე წუთში გზიდან რამოდენიმე მეტრში, ბუჩქებს შუა მათი მანქანაც დაინახა, საჩქაროდ მანქანა გააჩერა და მათკენ გაიქცა. შორიდან დაინახა ძირს დაგდებული კიბო, რომელსაც ფეხებს ურტყამდნენ. ნოდარის დანახვაზე კიბოს თავი დაანებეს და მისკენ წამოვიდნენ.

–მოკალით თქვე ცხოველებო? –დაიძახა ხმამაღლა ნოდარმა.

–იმედია იმდენი ჭკუა გეყოფა, რომ არსად არ თქვა, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩები. –თქვა მკაცრად ერთმა და ორივენი წავიდნენ. ნოდარი მივიდა კიბოსთან და გადმოაბრუნა ის ცოცხალი იყო, სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი და ტკივილისგან იკლაკნებოდა. ნოდარმა წამოყენება სცადა, მაგრამ კიბო ისე დაუძლურებულიყო, ფეხზე ვერ დგებოდა. ნოდარმა ხელში აიყვანა და მანქანაში, უკანა სავარძელზე დააწვინა. ჩაჯდა მანქანაში და წავიდა რესტორანს, რომ გასცდა 200-ოდე მეტრში ვაჟა დაინახა, ფეხით მიმავალი და მანქანა გაუჩერა. ვაჟა ჩაჯდა და უკან არც გაუხედავს ისე თქვა.

–სად გაქრი, გათავალიერე და ვერსად გნახე. ან კიბო რა იქნა?

ნოდარმა ხელით მიუთითა უკან მხარეზე. ვაჟამ მიიხედა და ჩასისხლიანებული კიბოს დანახვაზე შეჰყვირა –რა უქნეს მაგ დამპლებმა, ცოცხალია?

–ჰო, ცოცხალია.

–ხო გეუბნებოდი მაგათთან ჩარევა არ შეიძლება–მეთქი. რომ წაიგრძელა ენა, ეგენი ვის რას აპატიებენ.... ეხლა სად მიგყავს? საავადმყოფოში არ წაიყვანო, შარია ძმაო. იქიდან ხომ იცი დაურეკავენ, შენც შარში გაეხვევი და ესეც შეიძლება მოკლან. რაღაცას დაალევინებენ და მორჩა, მეტი რა უნდა?

–არა. ჩემთან მივიყვან, სახლში.

–შენთან? რას ამბობ გაგიჟდი? არაფერი აგიტეხონ.

–რა უნდა ამიტეხონ? რაც უნდოდათ ხომ გააკეთეს, მეტი რაღა უნდა ქნან?

–რა ვიცი ძმაო, მე შენს ადგილას სახლში არ წავიყვანდი.

ნოდარმა არაფერი უპასუხა. ვაჟა თავის სახლთან ჩამოსვა, კიბო კი სახლში წაიყვანა, ისევ ხელში აყვანილი. ოთახში შეიყვანა, ტახტზე დააწვინა და ქეთინოსთან წავიდა.

–ქეთინო, ძალიან გთხოვ, ჩემთან წამოდი, დახმარება მჭირდება.

–დახმარება? რაში?

–კიბოს სცემეს. ცუდაა და არ ვიცი რა უნდა გავაკეთო.

–კიბოს? ვინ სცემა?

– ამაზე მერე ვილაპარაკოთ. წამოდი და შენ მხოლოდ მასწავლე, ყველაფერს მე გავაკეთებ.

—კარგი. ეხლავე წამოვალ. —თქვა ქეთინომ და ნოდარს გაჰყვა.

კიბოს დანახვაზე ქეთინოს თვალები სიბრალულით აეკსო. სისხლიანი პერანგი გახადეს, სისხლიანი სახე მოუსუფთაეს და დაბეჟილ ადგილებზე ცივი ტილოები დაადეს.

—ნოდარი ამას წამალიც უნდა, რომ შიგნით დაბეჟილი სისხლი არ დაგროვდეს.

—კი მითხარი თუ იცი რა წამლები უნდა, ეხლავე მოვიტან.

—მე კარგად არ ვიცი. დედას ვკითხავ, უკეთესად იცის. ან იქნებ ნუგზარის დედას ვკითხოთ. ის ხომ საავადმყოფოში მუშაობდა.

—ჰო, ეგ სულ არ გამხსენებია. ეხლავე წავალ და თუ სახლშია მოვიყვან.

ნოდარი გავიდა სახლიდან და ათიოდე წუთში ნუგზარის დედასთან ერთად დაბრუნდა. ნუგზარის დედამ გასინჯა კიბოს დაჟეჟილი სხეული და წამლები დაუწერა. ნოდარიც წავიდა წამლების მოსატანად.

რამდენიმე დღე უელიდა ნოდარი კიბოს. ქეთინოც დღეში რამდენჯერმე მიდიოდა დასახმარებლად. ნუგზარის დედაც ყოველდღე ნახულობდა. ბოლოს მათმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და კიბო ფეხზე დააყენეს. როგორც კი კიბომ ჩათვალა ახლა უკვე სრულიად ჯანსაღ ვარო, თავისი მადლიერება გამოხატა მათ მიმართ და წავიდა.

თავი III

მახვილი

ჩვეულებრივი ზაფხულის დღეები იდგა, როცა კალოობა დაიწყო. ნოდარი წინასწარ შეუთანხმდა კომბაინის პატრონს თუ როდის აიღებდნენ. დათქმულ დღეს გიასთან ერთად, სატვირთო მანქანით წავიდა ყანის ასაღებად. ყანა მშვიდობიანად აიღეს. არც გაწვიმდა, არც კომბაინერის შიში გამართლდა კომბაინის შესაძლო დაზიანებაზე და 20 ტონამდე მოსავალი აიღო. თუ რამ ფული ჰქონდა დიზელის საწვავისათვის დახარჯა, რომელიც კომბაინს და სატვირთო მანქანას სჭირდებოდა. ამიტომ, მძღოლებს ფულის ნაცვლად ხორბლით გადაუხადა, მეტრაქტორეების მსგავსად, რომელთაც თავის დროზე ნისიად მოუხნეს და დაუთესეს. ოთხი ტონაც ძია შაქროს მიუტანა, როგორც შეჰპირდა და სახლში მხოლოდ 10 ტონამდე დარჩა წასაღები.

—რაღა მრჩება? —უთხრა გულდაწყვეტით ნოდარმა გიას. —სულ რაღაც 10 ტონა. ცოტაა ამხელა ნაკვეთიდან. აქედან 3 ტონა ისევ დათესვას სჭირდება, 5 ტონამდე უნდა გავყიდო და ფული ავიღო, რომ კვლავ მოვხნა და დავთესო.

—მაშ ორი ტონისათვის იწვალე მოელი წელი? —თქვა გიამ.

—ჰო, ასე გამოდის. იმედი მაქვს მომავალ წელს მაინც უკეთესად იქნება საქმე. რვა ტონა, ვალად გასაცემი ხორბალი რომ მქონდა წელს, მომავალში ეს ხომ მაინც არ მექნება და მეტი დამრჩება. თანაც, ეს ყანა გვიან დავთესე და განვითარება ვერ მოასწრ კარგად. ამჯერად თავის დროზე დავთესავ, —იმედიანად თქვა ნოდარმა.

—ეხლა, ამ ხორბალს რომ მოიტან, სად უნდა დაყარო? მოხმარება არ გინდა სიმშრალეში შესაზიდად? —ჰკითხა შაქროომ.

—ღღეს უკვე ღამდება, აბა, როგორ შევზიდავ. ხვალ დილით დავიწყებ. იმედია ამაღამ წვიმა არ მოვა.

—კარგი, მაშინ ხვალ დილით მოვალ და მოგეხმარები.

ნოდარი და გია წამოვიდნენ და ხორბალი ეზოში დაყარეს.

—ნეტავი არ გაწვიმდეს. ამ დროს წვიმა იშვიათად იცის და რაღა ეხლა გაწვიმდება. ცაც მოწმენდილია, —ნოდარმა ცას ახედა.

იმ ღამეს, წვიმა მართლაც არ მოვიდა. მზის ამოსვლისას შაქროც მოვიდა და ორივემ დაიწყეს ხორბლის შეზიდვა. მოგვიანებით გიაც შეუერთდათ.

—შიგნიდან ჯერ კიდე როგორი თბილია. —თქვა გიამ, რომელიც ხელში აღებულ ხორბალს დაჰყურებდა. —რა ლამაზია, ეს ერთი ციცქნა მარცვლები და რა ძვირფასი. ვინ იცის, როდის დათესეს და მოიყვანეს პირველად. ვინ იცის, რამდენი რამ გადახდა ამის გამო ხალხს. რამდენი გაუმწარებიათ, რამდენი მოუკლავთ და რამდენს ენატრებოდა ამ ხნის განმავლობაში. ეხლაც ბევრს ენატრება, თუმცა ტონას სულ რაღაც 100 დოლარად იყიდი. ამოდენა მინდერები მოსახნავია, ხალხი კი შიმშილობს და მხოლოდ იმიტომ, რომ მოხვნის და დათესვის საშუალება არა აქვს. ან რა, მარტო მოხვნა და დათესვაა? ეს ხომ პირდაპირ არ იჭმება. ამას კიდევ რამდენი შრომა უნდა, რომ საკვების საბოლოო სახე მისცე.

—ხო, ასეა. საბოლოო სახემდე მისაყვანად კიდე შრომა სჭირდება. —თქვა შაქროომ, — მაგრამ ვენახივით ბევრი შრომა მაინც არ სჭირდება. ვაზიც ხომ ასეა, ნაყოფს გვაძლევს რომელიც იჭმება, მაგრამ საბოლოო სახე მიზნისა არც ის არის. პირველი ნაყოფის სახესაც ბევრი შრომა უნდა და მეორე საბოლოო სახესაც სჭირდება შრომა. ამიტომაც არის ორივე მისტიკური მცენარე.

—როგორ თუ მისტიკური? —ჰკითხა ნოდარმა.

ვაზი მაგალითად, ადამიანის სიმბოლოა, უფრო სწორედ კი ყურძენია ადამიანის სიმბოლო, ვაზი კი მისი სულიერი მასაზრდოებელი —ქრისტე.

—როგორ? მასეთი რამე არასოდეს გამიგია და არც სახარებაშია. —თქვა გიამ.

—მარტო სახარებით ბევრ ვერაფერს მიხვდები. სხვა წიგნებიც უნდა წაიკითხო, საერთო ცოდნა აიმაღლო. აი, მაგალითად, მე წამიკითხავს წიგნები სადაც სწერია, რომ გველმა ევა რომ შეაცდინა ყურძენი დააკრეფინა, დააწურინა და უთხრა რამდენიმე დღის შემდეგ დაალევინეთ ადამს. ევამაც დაალევინა ყურძნის ნაწური, ადამი დათვრა და მაშინ დაინახა მისი სიშიშვლე.

–მერე, ეგ რა შუაშია, ღვინოს ხომ ყველა ესვავთ და ვითვრებით კიდეც, რა მოგვდის? –დაინტერესდა გია.

–საქმე იმაშია, რომ ღვინო სიბრძნის სიმბოლოა. ყურძენი იმიტომ არის ადამიანის სიმბოლო, რომ როგორც ადამიანს გაზრდი დიდს, შრომის უნარიანს და ამისათვის ბევრი შრომაა საჭირო, მაგრამ არ არის საბოლოო სახე ადამიანისა, ასევე ყურძენიც მომწიფების შემდეგ კი არის ნაყოფი, მაგრამ არ არის საბოლოო მიზან-სახე. იმისათვის, რომ მომწიფებულმა ადამიანმა მიიღოს ნამდვილი ადამიანის საბოლოო სახე, მას სჭირდება „სპეციალისტის", ესეიგი, ბრძენკაცის მიერ მეორადი გადამუშავება, ანუ სიბრძნის ჩანერგვა და მაღალი გონიერი სახის მიცემა.

–ესეიგი, რა, ჩვენ არა ვართ ადამიანები? –ჰკითხა განაწყენებული კილოთი გიამ.

–თქვენ კი ხართ ადამიანები, მაგრამ, არა ხართ ადამიანის საბოლოო სახე, მაღალ გონიერი, ბრძენი ადამიანი.

–აბა რა, გიჟები ვართ? – გაიკვირვა გიამ.

–რა ვერ გაიგე. ადამიანის ჩამოყალიბებას, მის ამაღლებას, მის გონიერებას აქვს თავისი განვითარების არეალი. უგუნურობიდან უმაღლეს გონიერებამდე. თქვენ რა, ამ არეალში უკვე უმაღლეს დონეს მიაღწიეთ და აღარ გჭირდებათ განვითარება? თქვენ უკვე უმაღლეს სიბრძნესა და გონიერებას დაეუფლეთ რისთვისაც მიუღწევია ადამიანს კაცობრიობის არსებობის განმავლობაში?

–ასეთები დღეს აღარ არიან და... სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს და ვიცით, რა არის ტელევიზორი, აგერ უკვე ტელეფონებია ისეთი, საიდანაც გინდა და ვისაც გინდა დაუკავშირდები, თუნდაც ულრან ტყეში იყო. გვაქვს კომპიუტერები და სხვა მრავალი, რომელ'სეც მათ წარმოდგენაც არა ჰქონდათ.

–ეგ კომპიუმტერია სწორედ, პირველი მტერი, ადამიანის სულიერი განვითარებისა. –თქვა მოულოდნელად შემოსულმა კიბომ და მიესალმა ყველას. გიამ კი განაგრძო:

–რატომ არის ცუდი? ამით უამრავი საქმე კეთდება. ინფორმაციას ვიგებთ თუ რა ხდება მთელს მსოფლიოში. ტელევიზორის გარეშე ეხლა ცხოვრება შეიძლება? როგორც კი დენი მოვა ყველა ტელევიზორთან გარბის. ცუდი რომ იყოს ხომ არ გაიქცეოდნენ? კომპიუტერით კიდე, რა ვიცი, იმდენი საქმის გაკეთება შეიძლება, რა ჩამოთვლის.

–მაგ კომპიუმტერით უკავშირდებით კოსმიურ ანტენას რომელსაც სატანა ჰქვია არაა? –თქვა კიბომ.

–რა სატანა? რა შუაშია სატანა?

–იმ ანტენას, რომელსაც უკავშირდებით აწერია სატანა. ეს არის შემოკლებული სახე ორი სიტყვის, სატელიტური ანტენა.

–ეე, მაგრე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ათას რამეს აღმოვაჩენთ.

–კარგი, ასე არ ვიმსჯელოთ. ვიმსჯელოთ ელემენტარულად.

–ტელევიზორს რა თქმა უნდა დადებითი მხარეც აქვს და სასარგებლოც არის; მაგალითად, ის რომ სწრაფად იღებ ინფორმაციას

და მთელს მსოფლიოს ხედავ, სად რა ხდება. ერების ურთიერთ შეცნობით ხელს უწყობს სხვადასხვა ერებისა და ხალხების ურთიერთდაახლოებას. ასევე, საერთო შემეცნების მხრივაც მოაქვს დიდი სარგებელი, მაგრამ ისეთი ცუდი გავლენაც აქვს რომ საერთო ჯამში, ევოლუციის გზაზე ადამიანს სულიერად აქვეითებს.

–როგორ აქვეითებს, თუკი თვითონვე ამბობ, რომ შემეცნებას ამაღლებს.

–გარდა იმისა, რომ კომპიუმტერი და ტელევიზორი ადამიანს თავის მსგავსად აკომპიუტერებს საერთო ცნობიერებას, ანუ შემეცნების ხარისხობრივობას კი არ ამაღლებს, არამედ ზედაპირულ მარტივ ცნობას ამახსოვრებინებს. გარდა იმისა რომ ოჯახის წევრების გაუცხოვებასაც კი იწვევს სხვა ნაცნობებზე რომ აღრაფერი ვოქვათ, აქვს კიდე სხვა უარყოფითი გავლენები.

გიამ შენიშნა, რომ კიბო კომპიუტერის ნაცვლად კომპიუმტერს ამბობდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ჩათვალა, რომ უბრალოდ შეცდომით იცოდა დასახელება. კიბომ კი განაგრძო.

–აბა დააკვირდი, როცა ტელევიზორს უცქერ აბსოლუტურად გათიშული ხარ გარე ბუნებისაგან. ყველა გრძნობა მიმართულია მისკენ და მასშია ჩართული. ასეთი მდგომარეობა ადამიანის გრძნობების მუშაობას აჩლუნგებს და აქვეითებს. მხედველობა ქვეითდება, არა მარტო იმით, რომ გამოსახვებას იღებს, არამედ იმითაც, რომ ერთი და იგივე მანძილის შეცნობით და დაკვირვებით დაკავებული თვალი, საათობით არ მოძრაობს და არ ვარჯიშობს, მისი ცალკეული ნაწილები. ეს კი ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას. ამავე დროს აკვირდება, არა სივრცულ გამოსახულებას, არამედ სიბრტყულს და ეს სივრცულში უნდა წარმოიდგინოს. ესეც აყალბებს თვალისა და ტვინის ნერვულ სისტემის ურთიერთ სწორ დამოკიდებულებას. იგივე მდგომარეობაშია სმენის ორგანოები. სმენის ორგანოები, ჩვეულებრივ მდგომარეობაში იღებენ მრავალი სიხშირისა და მიმართულების ხმებს სხვადასხვა მანძილიდან, ერთობლივად ცდილობს ყველა სახის ხმის გადამუშავებას ყური და ტვინი და საჭირო ხმას შეარჩევს შემდეგი რეაგირებისათვის გონებასთან დასაკავშირებლად. ტელევიზორიდან გამოსული ხმა არაბუნებრივია, არ მომდინარეობს ჰიროვნების გარემოდან. ვერ აღიქვამს ხმის წყაროს, ვერც მიმართულებას და ვერც მანძილს. ხმის წყაროთა მიმართ, უჩნდება ყალბი აღქმა. რაც სმენის ორგანოების, აღქმისა და გარჩევის უნარიანობას აქვეითებს.

ასევეა ყნოსვის ორგანო. ჩვეულებრივად ბუნებრიობაში იგი ცდილობს თვალით და ყურით მიღებული სიგნალის თანხვდენილად გარემო თვითონაც შეიგრძნოს, დაიმახსოვროს და საჭირო შემთხვევაში, თვითონ მიაწოდოს შეცნობილი სიგნალი გონებას. ტელევიზორის შემთხვევაში ესეც გამორიცხულია. ტელევიზორით ნაჩვენებს, არანაირად არ აღიქვამს ყნოსვის ორგანო, უბრალოდ გათიშულია სხვა ორგანოების კავშირისგან რის გამოც ქვეითდება თვით ორგანოც და სხვებთან ერთიანი ჰარმონიული კავშირიც, ამავე დროს ძველი დამახსოვრებულის წაშლა

ხდება. როცა რაიმეს ხედავ ტელევიზორში, რომლის სუნიც შეცნობილი აქვს უნოსვის ორგანოს, მაგრამ ამჯერად ვერ შეიგრძნობს ის რეფლექსი თანდისთანობით იშლება. თუ ამას დავუმატებთ იმასაც რომ ყველა ტელევიზიის გადაცემის უდიდესი ნაწილი ეთმობა საზოგადოებრივი გონიერი მორალის საწინააღმდეგო ცნობიერების თესვას, უგუნური, ამორალური გადაცემებით, ვიდეოფილმებითა და სერიალების მეშვეობით, სადაც გმირი მკვლელია და მისაბაძად გიხატავენ, სადაც უზნეობას კეთილ საქმედ და საამაყოდ გაჩვენებენ, მაშინ საერთო ჯამში, რა მოაქვს ტელევიზორს. შენ თვითონ დაფიქრდი კარგია თუ ცუდი. საშინელი უზნეობა მკვიდრედება ტელევიზიის მეშვეობით. ეს, კიდევ არ არის ყველაფერი, რაც ცუდი გააჩნია დღევანდელ ტელევიზიას. თუ ასე გაგრძელდა დაღუპავს კაცობრიობას.

–ჰო, ეგ მართალია. სამართლიანობის აღსადგენად კაცის კვლას ასწავლიან. ზოგჯერ კი, საეროოდ დამნაშავე და ბოროტი, გმირად გამოჰყავთ ვიდეოფილმებში. გამონათქვამი რომ არის „სისხლი სისხლით არ დაიბანებაო“ სწორედ მის საწინააღმდეგოს უნერგავენ ხალხს. ისიც მართალია, რომ ამ სერიალებმა წალეკეს ზნეობრივი მორალი და ამორალურობისაკენ უბიძგებენ, განსაკუთრებით ბავშვებს, მაგრამ ამის გამო ტელევიზია ხომ არ შეიძლება გაუქმდეს? ხომ შეიძლება ეს გადაცემები უბრალოდ ამოიღონ პროგრამიდან? –თქვა გიამ.

–კი, ასეთი რამ თუ მოხდება, შედარებით უკეთესი იქნება. თუ ცუდს ამოიღებენ და კარგს დატოვებენ, ამაზე კარგი რაღა უნდა გააკეთონ? მაგრამ ეგ იმას ჰგავს მგელს უთხრა, შენ კრავი აღარ ჭამო, შენი მეგობარიაო და მას ჩააბარო.

–ეგ რა შუაშია? ტელევიზიას ჰყავს ხალხი ჩაბარებული? –გაუკვირდა გიას.

–ტელევიზიები ხომ კერძო კომპანიებია ამ მთავრობისა. –თქვა ნოდარმა. შენ როგორ გგონია, იმისთვის შექმნეს, მილიონები იმისათვის დახარჯეს, რომ ხალხის შემეცნებითი დონე აამაღლონ? ტელევიზიის გადაცემებში დებენ სასიამოვნო გასართობ პროგრამებს, იმიტომ, რომ ამით დაიჭირონ მასები თავიანთ გავლენაში, როგორც ბიზნესეკონომიკის სფეროში, ასევე მორალურ და პოლიტიკურ სფეროში ისე, როგორც თვითონ სჭირდებათ. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ტელევიზია ხალხის ზომბირების ,საუკეთესო საშუალებაა...და საერთოდ, ეხლა მივხვდი რას ნიშნავს ტელევიზია როგორც მხეცის ყბა. ტელევიზიები უკვე კარგა ხანია სწამლავენ ხალხს მხეცის ცნობიერებით. მერე კი, როცა მხეცის ცნობიერების მქონე ადამიანები მთლიანად ჩაიგდებენ ხელში ტელევიზიებს დაფინანსების მეშვეობით, სადაც ხალხს ისე მოწამლავენ, რომ მაყურებელს საწამლავი მალამოდ მოეჩვენება და უფრო მეტ საწამლავს მოინდომებს, ეს უკვე მხეცის ყბაში მოხვედრილი მაყურებელია. –თქვა ნოდარმა.

–ჰო, მართლია. ადამიანი, რომელსაც უამრავი საქმე აქვს გასაკეთებელი, ბავშვი მშიერი ჰყავს და მისმა უაზრო გადსცემებმა ისე დაიპყრო, ტელევიზორს ვერ მოსცილებია ასეთი ადამიანი მხეცისგან არის გადაყლაპული. ახალგაზრდა ქალი, ტელევიზის გავლენით, რომ

შიშველი გამოვა საზოგადოების წინაშე და არათუ არ რცხვენია, არამედ პირიქით, ამაყობს თავისი სიშიშვლით, მხეცის მიერ არის გადაყლაპული. როცა ქალი ტელევიზიაში საზოგადოების წინაშე ამაყად ლაპარაკობს, თავის გამოცვლილ ქმრებსა თუ უბრალოდ მამაკაცებზე, თავის გახრწნილ ცხოვრებაზე და სინდისი არ აწუხებს, მხეცისგან არის გადაყლაპული. თვით ისინიც, ვინც ამ გადაცემებს აწყობს და სინდისის ქეჯნას არ განიცდის, მხეცისგან არიან გადაყლაპულნი. ასეთ ქალებსა და ვაჟებს, რამდენიც გინდა ელაპარაკო სოდომსა და გომორზე, ვერაფერს შეაგნებინებ.

–ტელევიზიის გაელენით ხალხი, რომ თავის მშობლიურს დაივიწყებს და სხვისას მიიღებს, მხეცის მიერ არ არის გადაყლაპული? –თქვა ნოდარმა. –მე, მთლიანად ვეთანხმები კიბოს.

–სამწუხაროდ, მეც ვეთანხმები. –თქვა გიამ. –მაგრამ, ტელევიზია ჩვენს ცხოვრებაში ისე შემოვიდა, მასზე უარის თქმა შეუძლებელია.

–სწორედ ეგ არის მხეცის სინდრომი. უარის თქმა შეუძლებელია, მაგრამ თუ ხალხი გამოიღვიძებს, შესაძლებელია აიძულოს მისი გამოყენება მხოლოდ სასარგებლო მნიშვნელობით.

მცირეოდენი ყიქრის შემდეგ გიამ ჰკითხა შაქროს:

–შენ ამბობ, რომ ღვინო სიბრძნის სიმბოლოა და შედარებულია ასკოვან ადამიანთან, რომელსაც სიბრძნე გააჩნიაო, მაგრამ ღვინოს ვინც სვავს, უმრავლესობა ხომ ჭკუას პირიქით კარგავს? მართალია, –უპასუხა კიბომ შაქროს ნაცვლად.

–სწორედ ასეა მისტიკურადაც. თუ სიბრძნეს თავს მოახვევ მისთვის მოუმზადებელ კაცს, ის სწორედაც, რაც ჭკუა აქვს იმასაც დაკარგავ, მსგავსად ღვინისა.. თუ დაალევინებ იმდენს რომ ჭკუა არ დაკარგოს კარგია, თუ მასზე მეტს დაალევინებ ცუდია. დიდი სიბრძნე უმეცრის ხელში სიბრძნე აღარ არის, სიბრძნე დამღუპველად იქცევა მისთვისაც და სხვისთვისაც. ამიტომ, სიბრძნის მიმწოდებელმა უნდა იცოდეს ვის რამდენი და რა სახით მიაწოდოს. ასე იყო იესო ქრისტეც, ხალხს ალეგორიული სახით აწვდიდა სიბრძნეს, თავის მოსწავლეებს კი, პირიქით. ამიტომ ამბობდა ხალხზე მაგათ ესმით, მაგრამ არ ესმითო. –თქვა კიბომ.

–ესეიგი ყურძენი ადამიანის სიმბოლოა, ხოლო ვაზი მისი სულიერი ანუ გონებრივი მასაზრდოებელი. ასეა? –თქვა გიამ.

–დიახ, ასეა...

–მაგრამ, ბიბლიაში არ წერია, რომ ყურძენი ადამიანის სიმბოლოა. მაშინ ხე ცნობიერებისა, თუ შემეცნებისა, რომლის ნაყოფის მიღების შემდეგ ადამსა და ევას თვალი აეხილათ, ბოროტისა და კეთილის გარჩევა ისწავლეს ვაზი ყოფილა. ან ის ხე იგივეს ნიშნავდა რასაც ვაზი, ასეა?

–ის ცნობიერების ხე ნიშნავს, მთელი სამყაროს დადებითი სულიერი ძალის ერთიანობას და მისი გონიერების ნაყოფს. ყურძენი კი ადამიანში დადებით სულიერ ძალას, ღვინო კი მისი საბოლოო მაღალგონიერების ნაყოფს ნიშნავს. ე.ი. ხე შემეცნებისა იძლევა, სულიერ განვითარების

საზრდოს, რისი მეშვეობითაც უნდა წარმოიშვას და განვითარდეს ადამიანში მაღალგანვითარებული სული. რა თქმა უნდა, ასეთი ხე, პრაქტიკულად ფიზიკურში არც არსებულა, მაგრამ სიმბოლურად ეხლაც არის. ხე, უმაღლესი სიბრძნისა და გონიერების ნაყოფისა, რომლის მიღების შემთხვევაში ადამიანს თვალი აეხილება.ეს კი ნიშნავს, რომ იგი გამოვა მატერიალურ-ამბიციური აზროვნების ილუზიური ცნობიერებიდან, და ამ ცნობიერების მეშვეობით მიღებული, წამიერი სიამოვნების განცდიდან. დაინახავს სამყაროს და თავისი თავის არსს მაგრამ, ჩვეულებრივად ამ ილუზირებულ ცნობიერებაში მყოფი ადამიანი ვერც დაინახავს ამ ნაყოფს და არც მოისურვებს მის მიღებას, თუკი მას გველი არ მიუთითებს. გველი იცით, რომ სიბრძნის სიმბოლოა. ესეიგი მას გარკვეული სიბრძნის მიწოდება სჭირდება, რომ ეს ხე და მისი ნაყოფი დაინახოს. –თქვა კიბომ.

–მაშ, რატომ აუკრძალა ღმერთმა მისი ნაყოფის მიღება? –ჰკითხა გიამ.

–ადამიანი, რომელიც ვერ დაინახავს ამ ნაყოფს, ადამიანი, რომელიც ვერ მიხვდება რას ნიშნავს, „ღმერთმა ის შექმნა თავის მსგავსად" და არ დაფიქრებულა, რატომ დაურგა ეს ხე, ასეთი ადამიანი არ არის მზად იმისთვის, რომ ეს ცნობიერება მიიღოს. თუ არ არის მზად, ესეიგი ვერ მიიღებს და თუ დააძალებ, როგორც უკვე ავღნიშნე ისე აერევა გონება, რაც აქვს იმასაც დაკარგავს. ხომ გაგიგონია, „ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იგორა, იგორა და ტალახში ჩავარდაო." ცული სამუშაო იარაღად შეიქმნა, მაგრამ ზოგიერთისთვის კაცის კვლის საშუალებაა. სიბრძნე რეგვენის თავში არ შედის, ხელში კი სატანად გარდაიქმნება.

–შენ თქვი მარტო ბიბლიით ბევრს ვერაფერს გაიგებო. სხვა უფრო წმინდა წიგნებიც არსებობს? – ჰკითხა კვლავ გიამ.

–რას ნიშნავს უფრო წმინდა? თუ გონიერების ამაღლება და მიღება გინდა, ნებისმიერ წიგნში შეიძლება რაღაც იპოვო. მთავარია გარსევა იცოდე გონიერების და უგუნურობის. არ არსებობს რომელიმე ერთი წიგნი, თუნდაც ორი, რომელიც სრულად მოიცავდეს გონიერებას. ანდა, რომ ერთადერთი გზა იყოს გონიერებისკენ.

–შენ სხვადასხვა რელიგიურ წიგნებს გულისხმობ? –ჰკითხა გიამ.

–სხვადასხვა რელიგიური წიგნები არ არის აუცილებელი და არც საკმარისი. გზა ქართულ ქრისტეანულ-მართმადიდებლურშიც არის და შეიძლება უკეთესიც ვიღრე სხვა. უკეთესი, თუნდაც იმიტომ, რომ მამაპაპური სიტყვიერი თუ წერილობითი ბრძნული გამონათქვამებიც, რომელიც ჩვენს რელიგიასთან არის შერწყმული დაგეხმარება. აუცილებელი და მთავარი ისაა, რომ გონიერულად დაეწაფო სიბრძნეს სიკეთისა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის და არა სატანურად.

–სატანურად სიბრძნის დაწაფება როგორღა იქნება? განა სიბრძნეს თუ დაეწაფე, ყველა შემთხვევაში ბრძენად არ გაქცევს?

–გააჩნია მიზანს, რისთვის გინდა სიბრძნის მოპოვება.

–ეს ვერ გავიგე. განა სულერთი არ არის რისთვის მინდა სიბრძნის მოპოვება? თუ მოვიპოვე, ესეიგი ბრძენი ვარ.

—არ არის ასე. მე ვთქვი, სიბრძნე რეგვენის ხელში სატანად იქცევა, რადგან თავში არ შედის—მეთქი. თუ იმისთვის გინდა სიბრძნე, რომ უკეთესად იცხოვრო, სხვებზე მეტი იშოვო, მაღალი თანამდებობა მიიღო, პირადი ცხოვრებისეული მატერიალური ამბიციები დაიკმაყოფილო, მაშინ ის თავში კი არა, ხელში მოხვედება და სატანად იქცევა.

—როგორ უნდა იქცეს სატანად თუ ის სიბრძნეა?

—რა ვერ გაიგე, სიბრძნე მაშინაა თუ ის თავშია. ანუ გონიერებას წარმოადგენს. ხელში მას სხვა სახე აქვს. ხელს თავი მართავს და თუ თავში არაფერია, ხელში მოხვედრილს ვერ შეიცნობს და სხვა მიმართულებით გამოიყენებს. თავში მოხვედრილი სიბრძნე ხელს აიძულებს აშენოს. ხელში მოხვედრილი უთავოდ კი —ანგრევს. შენ მატერიალური თვალით ეძებ და იმიტომ ვერ გაგიგია. სიბრძნე, მატერიაში არ არის და მას გონების თვალით დანახვა უნდა. იგი სულიერი ნათელია, მატერიას ქმნის და ჰარმონიულ განვითარებას ხმარდება. სულიერ ნათელს კი ხელში ვერ დაიჭერ, თუ შეეცადე ჩაქრება და ბნელეთად იქცევა. ბნელეთი კი ანგრევს ნათელის აშენებულს. ნათქვამია: „საქმემან შენმა გამოგაჩინოსო.“ ბრძენი არასდროს არ ამბობს, ბრძენი ვარო. იგი თავისი საქმით შეიმჩნევა. დღევანდელ „ბრძენებს“ კი, თავისი საქმე ნგრევით აჩენთ და ამ „სიბრძნით“ ამაყობენ...

—შენ თქვი, რომ თუ გონიერების მოპოვება გინდა ნებისმიერ წიგნში შეიძლება იპოვოთ. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ ბიბლიაში ხომ მეტი სიბრძნეა, ვიდრე სხვაში?

—მომიტანე სიბრძნის სასწორი და ავწონოთ. ბიბლია ებრაელებმა დაწერეს, მაგრამ ეს ცოდნა, რაც გამოიყენეს, საიდან აიღეს? შუმერებში იყო ტომი, უფრო სწორად კი "კასტა", რომელთაც ერქვათ ქალდეელები. მათში იყო ქალაქი ური. ამ ქალაქში, როგორც მთელს ქალდეიაში ბევრი მეცნიერი ცხოვრობდა, რომელთაც კოსმიურ—სულიერი მეცნიერება იცოდნენ, ისე როგორც არავინ, ატლანტური ცივილიზაციის შთამომაველთა გარდა. ამ ქალაქში ცხოვრობდა კაცი, სახელად აბრამი, რომელიც ხელმძღვანელობდა 600 კაცისან განსხვავებულ სექტას. ამის გამო მეფემ გააძევა მთლიანი სექტა ქალაქიდან. ამის შემდეგ ამ სექტამ ბევრი იარა, ბევრ ქვეყანაში იცხოვრა და შემდეგ მათგან ჩამოყალიბდა ებრაელი ერი. ყველაზე მეტხანს კი ეგვიპტეში იცხოვრეს.

—ამიტომ უწოდებდნენ საქართველოში ებრაელებს ურიებს, რომ ქალაქ ურიდან იყვნენ? —ჰკითხა ნოდარმა

—ჰო, ამიტომ არის. ამ სექტას, მართალია ცოტა განსხვავებული ფილოსოფია ჰქონდა, მაგრამ ძირითადი მათი ცოდნა ქალდეურს და შემდგომ ეგვიპტურს ეყრდნობოდა. თუმცა, რა თქმა უნდა არ იყო დედანი, თორემ, ალბათ სექტას არ შექმნიდნენ. მომავალშიც ძირითადმა საწყისმა ფილოსოფიურმა აზრმა სახე იცვალა და დღეს დიდად განსხვავდება საწყისისაგან. საწყისის მთავარი არსებრივი დედააზრი კი დღეს საქართველოშია, მიჯაჭვული ამირანის ანუ პრომეთეს სახით და ოქროს საწმისის სახით.

—ეე, შენ უკვე გაუბერე. პრომეთემ ხომ ცეცხლი მოსტაცა ზევსს, ოქროს საწმისი კი არგონავტებმა მოიტაცეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. — უთხრა გიამ.

—ოქროს საწმისი არ მოუტაციათ, აქ დარჩა. თუ მათ რამე წაიღეს, საერთოდ მაშინ ეს ყალბი ოქროს საწმისი იქნებოდა, რადგან, რომ წაეღოთ, ბერძნულ ფილოსოფიაში აუცილებლად ცელილებებს გამოიწვევდა. ასეთი კი არაფერი ყოფილა. რაც შეეხება პრომეთეს, ანუ ამირანის ცეცხლს, ეს ნამდვილიცეცხლი კი არ არის, ეს არის გონი, რომელიც ადამიანს ჩაენერგა, ამ დროისათვის კი არის კოსმოგონიური ფილოსოფია, რომელიც ყერძის ტყავზე იყო დაწერილი და საიდუმლოდ ინახებოდა. მისტიკაში საიდუმლო კოსმოგონიური დაწერილი ცოდნა ოქროთი აღინიშნება სიმბოლიკაში, დაუწერელი კი ცეცხლით. ესეიგი ოქროს საწმისი იმტომ იყო ოქროთი ცნობილი, რომ დაწერილი საიდუმლო კოსმიური ცოდნა იყო. ამირანის ცეცხლი კი, დაუწერელი ცოდნა, რომელსაც გონებიდან გონებაში გადასცემდნენ ერთიმეორეს, თაობიდან თაობას. ამ დროისათვის კი, როგორც ვოქვი, ოქროს საწმისი ანუ ქართა ამირანის ცეცხლს წარმოადგენდა.

—შუმერები ხომ ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან —შუამდინარეთში ცხოვრობდნენ? ქალდეველები კი მათ სამხრეთით. რა საერთო აქვთ მათ საქართველოსთან? როგორ მოხდა ის საიდუმლო კოსმოგონიური მეცნიერება საქართველოში? —თქვა შაქრომ.

—ხო, ეგ მეც მაინტერესებს და კიდევ, ვიცი საქართველოს ისტორიიდან, რომ ქალდეველები, ჩვენს წელთაღრიცხვის შემდეგ საქართველოს სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდნენ იქვე იყო ქალაქი ჰურიც, ეს ვინღა იყვნენ, ქართველები? —იკითხა ნოდარმა.

—ჰო, იქვე იყო ქაჯეთის ციხეც, სადაც ნესტან-დარეჯანია გამომწყვდეული. იქვე იყო სულკალმახის ციხეც—ამირანის მამა. იქიდანვე დაიწყო სახელწოდება ქართლი და შემდეგ მთელ საქართველოს აქედან დაერქვა „საქართველო“. დღეს კი, ის ერთერთი მთავარი ფესვი ჩვენი ერისა და ქვეყნისა თურქეთს უკავია. ამ ყველაფერს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერ ამაზე გახსნილად არ შეიძლება ლაპარაკი. —თქვა კიბომ.

—აბა როდის? —იკითხა გიამ.

—ცოტაც დავიცადოთ. მეცნიერები თავის სიტყვას იტყვიან და ნათელი გახდება თქვენთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც. იქამდე კი ხიანის მეტს არაფერს მოიტანს ამაზე ლაპარაკი.

—რატომ მოიტანს ხიანს?

—იმიტომ რომ დღევანდელი გადარეული, ბოროტებით დატენილი მსოფლიო გაგვანადგურებს. —უპასუხა კიბომ.

—მერე რაღა იქნება, ბოროტება გაქრება?

—დაახლოებით 15-20 წლის მერე ისეთი ამბები მოხდება, მსოფლიო დაფიქრდება თავის ნამოქმედარზე და ჭკუაზე მოვა. ამ დროს კოსმოსიდანაც მეტი დადებითი ენერგია შემოვა და მეცნიერებასაც

ხელში დასაბუთებები ექნებათ. ხალხის ნაწილს ხომ მხოლოდ ტრადიციული მეცნიერების სჯერა.
მცირე ხნის შემდეგ ნოდარმა ჰკითხა: –კიბო, ის ბერიკაცი ტყეში რას აკეთებს მართლა?
–ცომს ზელავს. –თქვა კიბომ სხვებს კი გაეცინათ.
–რა ცომს? შენ მე დამცინი თუ იმ კაცს? ტყეში ცომი ვის რად უნდა?
–არიან ადამიანები, ცომს რომ ზელავენ, და არიან რომ აცხობენ. ზოგი თვითონვე აცხობს, მაგრამ თუ ცომი არ მოზილე ვერ გამოაცხობ. არიან ადამიანები, რომლებიც მოუზელავად აცხობენ მაგრმ ხომ ხედავ არ გამოსდით პური.
– იმ ტყეში მის მეტი არავინაა და ვინ უნდა გამოაცხოს, ან იქ პური ვის უნდა?
– შენ არსებობის პური წარმოიდგინე, მე კი არსობის პურზე გელაპარაკები.
– ვინ ბერიკაცი? – იკითხა გიამ.
– არ იცნობ შენ. ერთი კაცია, რომელიც ტყეში ცხოვრობს. – უთხრა ნოდარმა.
– ეგ პური არსობისა რაღაა? – იკითხა ისევ გიამ.
– აი, შენ რომ პურს ჭამ, ეგ არის პური არსებობისა, რომელიც ფიზიკურ სხეულს სჭირდება არსებობისთვის. ადამიანის სულსაც ასევე სჭირდება კვება გონებრივი განვითარებისთვის, მისი საკვები კი პური არსობისაა. თუ სული იკვებება მისი არსობის პურით, ვითარდება სრულყოფილებისაკენ, თუ არა, პატარა და უსუსური რჩება.
– მე მაგას ახლა მაინც ვერ გავიგებ. ისევ ტელევიზიის ამბავი მაინტერესებს. თუ ტელევიზია ასე გვირყევს ჯანმრთელობას, რატომ ექიმები არაფერს ამბობენ?
– რომელი ექიმები? ექიმების უმრავლესობამ, თავიანთი მინისტრის თამადობით, დღემდე ისიც ვერ გაარკვია რა დაწესებულებაში მუშაობს. ერთხელ არ წაუკითხავთ საავადმყოფოში შესვლისას, აბრაზე რა წერია. საავადმყოფოს ნაცვლად საანტყოფოს ამბობენ და ავადმყოფის ნაცვლად ავანტყოფს. ჯანდაცვის მინისტრმა ესეც რომ არ იცის, როგორ ეცოდინება მას სიტყვა ავადმყოფი რას ნიშნავს და ავი აქ რა შუაშია?
– ბარაქა, ნოდარ ბარაქა! – დაიძახა ნუგზარმა, რომელმაც ამ დროს ქუჩაში გაიარა. და მათი დანახვისას ეზოში შევიდა. – ღმერთმა მშვიდობაში და ბედნიერებაში მოგახმაროს. შენს ქორწილში გეეჭამოს მაგ ხორბლით გამომცხვარი პური.
– მადლობ. – უთხრა ნოდარმა და მიესალმნენ ერთიმეორეს.
– მერე, კიბო, გააგრძელე ავი რა შუაშია? – ვერ მოითბინა გიამ.
– რა ავი? ვინ არის ავი? – ვერ გაერკვა ნუგზარი.
– მოიცა რა, რაღაცას ამბობდა დაგვამთავრებინე. – თქვა გიამ.
– მაგას რომ მოუსმინოთ ხომ იცით გაგაგიჟებთ. – თქვა ნუგზარმა.
– ჩვენ ქართველებს ქართულ ენაში – განაგრძო კიბომ – ადამიანის არაჯანსაღი მდგომარეობის გამომხატველი, თავისი არსის მიხედვით

რამოდენიმე სიტყვა გვაქვს. ასეთი რამ სხვა ენებში არ არის. აი მაგალითად სიტყვა ავადმყოფი რუსულად როგორ იქნება?
– ბოლნოი. – წამოიძახა ნუგზარმა.
– არ არის სწორი.
– როგორ არ არის სწორი. მოიცა რაა. აბა მაშ როგორ არის?
– თუ ეგ სწორია, მაშინ იგივე სიტყვა ქართულში ხომ ისევ ისე იმ სიტყვას, ავადმყოფს, უნდა დაუბრუნდეს?
– რა თქმა უნდა, ბოლნოი ქართულად ავადმყოფია. – თქვა გიამ.
– არ არის სწორი. ბოლნოი ქართულად არის მოტკივარი. – ყველამ გაიცინა, ნუგზარმა კი გადაისარხარა.
– ხომ გითხარით ამის მოსმენა გაგაგიუებთ. მოტკივარი საიდან მოიტანა? განა ვინმეს გაგიგიათ ასეთი სიტყვა?
– სიტყვა ბოლ ქართულად ნიშნავს ტკივილს, მაშასადამე ბოლნოი იქნება მოტკივარი და არა ავადმყოფი. – თქვა კიბომ.
– მერე ქართულში რომ ასეთი სიტყვა არ არსებობს? – თქვა ნუგზარმა.
– ეგ შენთვის არ არსებობს, იმიტომ რომ არ იცი ქართული კარგად და ის მინისტრი და მისი მსგავსი ექიმებიც შენზე შენზე უკეთესები არ არიან. ხომ გაგიგიათ სიტყვა სატკივარი?
– კი სატკივარი გაგვიგია.
– ხოდა სატკივარი თუ გაგიგიათ, ვისაც სატკივარი აქვს ის მოტკივარი არ იქნება? ეს ხომ ელემენტარულია.
– მართალია. – თქვა ნოდარმა და შაქროც დაეთანხმა.
– შენ თქვი რამოდენიმეო, აბა კიდევ რა სიტყვა გვაქვს? – ჰკითხა გიამ.
– კიდევ გვაქვს სიტყვა სნეული და ეს სამივე სხვადასხვა მიზეზ-მდგომარეობას აღნიშნავს. ავადმყოფი ჰქვია კაცს, რომელსაც საკუთარ სულში აქვს სიავე ან სხვა ავი სულის ზემოქმედებით არის ჯანდარღვეული. რამაც გამოიწვია ვოქვათ გულის დაავადება, ან კუჭის ან სხვა ორგანოსი. სნეული ჰქვია კაცს, რომელსაც სნეულება შეეყარა. სნეულება უმეტეს შემთხვევაში ვირუსული ან ბაქტერიულია. მოტკივარი კი ჰქვია კაცს, რომელსაც ტკივილგამომწვევი სატკივარი აქვს. ეს სამივე არის ადამიანის ძირითადი არაჯანსაღი მდგომარეობის აღმნიშვნელი. დროებითი სულიერი არაჯანსაღი მოვლენებისთვის კი სხვა სიტყვიერი გამოხატულებები გვაქვს. მაგალითად „შეუძლოდ“ ყოფნა და "უგუნებოდ" ყოფნა.
– მართლა რა საინტერესოა ქართული ენა. ჩვენ კი ქართველები გვქვია და არ ვიცით. იესო ქრისტესი არ იყოს „ვამბობთ, მაგრამ არ გვესმის“. – თქვა ნოდარმა.
– საქართველოში უხსოვარი დროიდან მედიცინა ისე იყო განვითარებული, რომ ალბათ იცით, მსოფლიო მედიცინას საფუძველი ჩვენი წინაპრების სამედიცინო ცოდნამ დაუდო. საბერძნეთმა, რომელმაც ევროპისა და მსოფლიო ცივილიზაციას დაუდო საფუძველი, მედიცინა ჩვენიდან წაყვანილი ქალისგან ისწავლა. მეფე აიეტის ქალიშვილი მედეასაგან და ამიტომაც მისი სახელი ეწოდა ამ მეცნიერებას.

კიდევ ბევრ საკითხზე იკამათეს, ვიდრე საქმეს მორჩებოდნენ. მერე სადილობის დროც დადგა. ისადილეს. სადილობის შემდეგ ყველა წავიდა თავის გზაზე.

აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. ხალხი სიცხეში სიარულს ერიდებოდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ქუჩაში არ გასულიყო. ხოლო ის ვინც საქმის გამო იძულებული იყო ქუჩაში გამოსულიყო, ცდილობდა ჩრდილში ეელო. ამ დროს ნოდარს არაფერი ჰქონდა საქმე და თავის სახლში იმყოფებოდა. შუადღე იქნებოდა, როცა ავტომანქანის გაჩერების ხმა შემოესმა, რასაც მალევე მისი სახელის დაძახება მოჰყვა. ნოდარიც ადგა ზლაზვნით და გასასელელისაკენ გაემართა. ქუჩაში მანქანიდან გადმოსული მისი თანაკლასელი ეორა იდგა.

– გამარჯობა. – მიესალმა ეორა.

– გაგიმარჯოს. რას მივაწერო შენი სტუმრობა? წლებია აქ არ მოსულხარ. ალბათ რამე მნიშვნელოვანია.

– ჰო. არის რაღაც რისი თქმაც მინდა.

– შემოდი, შემოდი. შიგნით ვილაპარაკოთ.

– არა, მეჩქარება. გიორგეეიჩმა საქმეზე გამომგზავნა და ძლივს მოვახერხე შენთან მოსვლა. აქ დავსხდეთ. – თქვა ეორამ და ქუჩის სკამისკენ წავიდა.

– აბა მითხარი რაშია საქმე. რაღაც შეწუხებული სახე გაქვს.

– დილას ხორცი რომ მივიტანე გიორგეეიჩთან, ვიდრე აწონიდნენ იქ ვილოდებოდი. მერე, რომ აწონეს ახალ დაეალებას მაძლევდა და ამ დროს შენი ძმაკაცი რომ არის, გია, მისმა დამ გამოიარა. გიორგეეიჩმა ჰკითხა; შენ ანხორის გოგო არა ხარო? მანაც უპასუხა კიო. მერე გიორგეეიჩმა უთხრა: შემოდი ეროი, შენთან საქმე მაქვსო. ეს გოგოც შემოვიდა. გიორგეეიჩმა მეორე ოთახში გაიყვანა და რაღაცას ელაპარაკებოდა. მე კარგად ვერ გავიგე ყველაფერი, მაგრამ ის კი გავიგე, რომ მგონი რაღაც ვალის გამო ემუქრებოდა და აშინებდა ყველას გაგანადგურებთოო. მერე უთხრა თუ გინდა უშველო შენს თავსაც და ოჯახსაც საღამოს 5 საათზე მოდი ჩემთან და მოვილაპარაკოთოო. გოგო მგონი უარს ეუბნებოდა, რადგან წასელისას გიორგეეიჩმა მიაძახა არ მოხვალ და ყველაფერი შენ თავს დააბრალეო.

– რა უნდა ამ დამპალს ამ გოგოსგან? ამ გოგოს რომ რამე აუტეხოს მოეკლავ ნამდვილად. დასავით ვუყურებ ამგოგოს, აბა სხვანაირად როგორ იქნება, მე და გია ხომ ძმებივით ვართ. თქვა აშკარა აღელვებით ნოდარმა.

– ხოდა, შენი მეგობარი რომ არის გია, იმიტომ მოვედი, თორემ სხვა რომ ყოფილიყო შეიძლება ყურადღება არც მიმექცია. თანაც ისედაც კარგი გოგოა. ცოდოა გაუბედურდეს. გიორგეეიჩი კარგ საქმეზე არ დაიბარებდა, მითუმეტეს თუ ვალი აქ რამე.

– რაღაც ვალი კი ჰქონდა გიას მაგისი, მაგრამ მე მგონი მისცა.

– შეიძლება მისცა, მაგრამ ამ გოგომ არ იცის და მაინც აშანტაჟებს, ან შეიძლება სხვა ვალიც აქვს რა ვიცი. – თქვა ეორამ და წამოდგა.

– წავალ ეხლა, მეჩქარება. რომ არ მეთქვა არ შემეძლო და რა ვიცი, ეხლა შენ იცი...

— კარგი, წადი, მადლობ, რომ გამოიარე და შემატყობინე. კიდევ კარგი მითხარი თორემ ვინ იცის...

ჟორა ჩაჯდა მანქანაში და წავიდა, ნოდარი კი მაშინვე გიასთან წავიდა. ნოდარის ძახილზე ლელამ გამოიხედა.

— გია სახლში არ არის.

— სად არის?

— სამუშაოდ არის წასული ვიღაცასთან, არ ვიცი ვისთან.

ნოდარმა დააპირა ლელასთან ელაპარაკა, მაგრამ იფიქრა ყველაფერს დამალავს, მერე კი შეიძლება ჩუმად გამეპაროს და აღარაფერი უთხრა.

— კარგი, კარგი, ხვალ ვნახავ.

ნოდარი შემობრუნდა და თავის სახლისკენ წავიდა.

— ეხლა უკვე სამი საათია. — გაიფიქრა სახლში შესულმა ნოდარმა. — თუ 5 საათზე დაიბარა და წასვლას აპირებს, დაახლოებით ხუთის ნახევარზე უნდა წავიდეს. ამოტომ ხუთის ნახევრიდან ვუთვალთვალებ და რომ წავა გავყვები. შეიძლება ადრეც გავიდეს რაღაც მოტივით და ვერ შევნიშნო. მაშინ ისე მივა, რომ მე ვერაფერს ვუშველი. ამიტომ სჯობს ეხლავე დავჯდე ფანჯარასთან და ვუთვალთვალო.

ნოდარი ავიდა კიბეზე, შეავიდა ოთახში, სკამი აიღო, ქუჩის მხარეს ფანჯარასთან დადგა, დაჯდა და დაიწყო ლოდინი, თან ფიქრობდა: — რომ გამოიაროს და გავყვე, სადამდე გავყვე? რომ ვაცალო მასთან მისვლა საშიშია, შეიძლება დამეკარგონ ვერ დავინახო საით წაელენ. გზაში რომ გავუჩერო მაშინ რა აზრი აქვს, ხომ დამალავს ყველაფერს. შეიძლება ეხლა აღარ მივიდეს ჩემს გამო, მაგრამ თუ მოიფიქრა მასთან მისვლა მერე მაინც წავა, გამეპარება და მე ვეღარაფერს ვუშველი. მაშ რა ვქნა? მეტი გზა არ არის, უნდა დაველოდო, მივიდეს მასთან და როგორც კი დაელაპარაკება მაშინვე მივიდე მეც და წამოვიყვანო. აუთო გაბრაზდება, მაგრამ სულ არ მანაღვლებს, ოღონდაც ეს გოგო გადავარჩინო. მას ხომ შეყვარებული ჰყავს და ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა აქვს, რატომ გაიუბედურონ ცხოვრება? ვიცი ავთო გადამეკიდება, მაგრამ არ მეშინია მისი. რა უნდა მიყოს? ბიჭებს დამახვევდრებს სადმე და მცემს? განა ერთი ცემის ატანა არ ღირს იმად, რომ ლელა გადავარჩინო? იმ ვალს კი, თუ მართლა აქვს, რამეს მოვუხერხებთ.

დრო გადიოდა, მაგრამ ლელა არ ჩანდა ქუჩაში, უკვე ხუთის ნახევარსაც გადასცდა მაგრმ ლელა არ გამოჩენილა. როცა 5 საათი გახდა მაშინ კი შვებით ამოისუნთქა ნოდარმა და ჩათვალა, რომ ლელა არ დაჰყვა გიორგეიჩის შანტაჟს და არ აპირებს წასვლას, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ლელა ქუჩაში. ნელი, გაუბედავი ნაბიჯებით თავდახრილი მიდიოდა. მის სახესა და ნაბიჯების რითმს აშკარად ემჩნეოდა გარკვეული შიში. ისე მიდიოდა თითქოს მის ირგვლივ არაფერი არსებობდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა გარდა იმ ადგილის სადაც ფეხი უნდა დაებიჯებინა.

მაშინვე დაბლა დაეშვა კიბეზე ნოდარი. ქუჩის კარები გამოაღო, მანქანაში ჩაჯდა და გასაღები გადაატრიალა, ძრავა მაშინვე ამუშავდა,

მაგრამ წამში ისევ ჩაქრა. ამის შემდეგ ნოდარმა კიდევ რამოდენიმეჯერ გადააბრიალა გასაღები, მაგრამ ძრავი ვეღარ ამუშავდა.

ნოდარი ანერვიულდა. – რა ჯანდაბა ეცა, რაღა ეხლა მოუნდა გაჯიუტება. ამ გადამწყვეტ დროს? – ჩაილაპარაკა ნოდარმა ისე, თითქოს მართლა მხოლოდ ეხლა ჯიუტობდა და არა ხშირად. – რა ექნა ეხლა ფეხით წავიდე? ფეხით როგორ წამოვიყვანო? ასე ხომ ძნელია? – ბურდღუნებდა ნოდარი და ამ ბურდღუნით გადმოვიდა მანქანიდან. იგი ქუჩაში გაეიდა და მიმოიხედა იმ იმედით, რომ იქნებ ვინმე ყოფილიყო და გაგორებით მაინც დაექოქა, მაგრამ ქუჩაში არავინ იყო. მაშინ უახლოეს ჯვარედინზე გაირბინა, იქნებ იმ ქუჩაზე მაინც ვინმე დაენახა, მაგრამ არც იქ იყო ვინმე.

ასე ნერვიულობაში გაიარა რამდენიმე წუთმა, რომელიც ნოდარს დიდ დროდ მოეჩვენა და გაწბილებული უკან დაბრუნდა. – რა ექნა? ფეხით წავალ! აბა მეტი რა გზაა. მაგრამ მივასწრებ? – თქვა ნოდარმა და ისევ ავტომობილში ჩაჯდა, ერთხელ კიდე ეცდიო და სწორედ ამ დროს ამუშავდა ძრავა.

სინამდვილეში არც ისე ბევრი დრო გასულიყო, როგორც ნოდარს მოეჩვენა, რადგან შუა გზაში დაწია ლელას. ნოდარს არც უფიქრია გაჩერება ისე შეაჩერა მის გვერდით. ცოტა დაიბნა კიდეც. არ იცოდა რა ეთქვა და ისევ ინსტიქტურად ანიშნა ლელას მოხვდისას,ჩაჯექიო.

– არა, არ მინდა, მადლობ. ახლოს მივდივარ. – უპასუხა დაბნეულმა და შეშფოთებულმა ლელამ.

ნოდარმა იფიქრა უკან დახევა ეხლა უკვე აღარ შეიძლება, რომ გავუშვა იქ ვეღარ მივალო და გადმოვიდა მანქანიდან.

– მოიცადე გოგო, სად მიდიხარ, საქმე მაქვს შენთან. – უთხრა ნოდარმა.

– არა მცალია ეხლა. მეჩქარება. – თქვა ლელამ, რომელიც შეშინებული ძლივს ახერხებდა სიტყვის თქმას. და თან ნერწყვს ყლაპავდა. ეჭვს არ იწვევდა ის, რომ ასეთი შეშინებული იმიტომ იყო, ნამდვილად გიორგევიჩთან მიდიოდა.

– ეიცი სადაც მიდიხარ და ამიტომ გეუბნები, ჩაჯექი, უნდა გელაპარაკო.

– შენ რა იცი? – ხმის კანკალით თქვა ლელამ.

– თვითონ მითხრა იმ ცხოველმა ყასაბმა გიორგევიჩმა. – იცრუა ნოდარმა, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო და ჩამჯდარიყო.

ამის გაგონებაზე ლელა სულ გაფითრდა, მუხლები ეკვეთებოდა, ძლივს მილასლასდა მანქანასთან და ჩაჯდა. ნოდარიც დაბრუნდა მანქანაში.

– გოგო! შენ რა ჭკუა სულ დაკარგე?! იმ ნაძირალას შანტაჟს როგორ წამოეგე?!

ლელას არაფერი უპასუხია. ნოდარმა გააგრძელა. – ჯერ შენ თავს რატომ იუბედურებ და მერე გიას და დედაშენს რას ერჩი? ისინი ხომ ამ ამბავს ვერ გადაიტანენ!

– მეტი გზა არა მაქვს. – ჩაილუღლუღა ლელამ.

– რატომ არა გაქვს? განა რამდენია ის ვალი? მე მგონი გიამ უკვე გადაუხადა.
– არ გადაუხდია.
– შენ რა იცი?
– სამი დღის წინ იყო ჩვენთან და იჩხუბა. ასე თქვა თუ ერთ კვირაში არ მომიტანთ სახლიდან გაგყრითო.
– რამდენია ვალი?
– ბევრი.
– მაინც რამდენი ბევრი?
– 1000 დოლარზე მეტი და თანაც იმ რაღაც საბუთში წერია თურმე, თუ არ გადავიხდით სახლი იმისია.
– რა საბუთია ასეთი, ხელწერილი?
– არ ვიცი.
– ნოდარი ჩაფიქრდა.
– მერე შენ რით უნდა უშველო, იმ ცხოველს რომ დანებდე თქვენები ხომ ვერ გადაიტანენ. მ'ხე და მთვარე შენ'ხე ამოსდით.
– იმათ არ ვეტყვი.
– როგორ არ ეტყვი? თუ ფულს არ მოსთხოვს განა ვერ მიხვდებიან?
– ვთხოვ, რომ პროცენტი მაინც გაგვინახევროს და საშუალება მოგვცეს ნელ-ნელა გადავიხადოთ, მეც ვიმუშავებ სადმე და გადავიხდით.
შენ სულ დაგიკარგავს ჭკუა. ჯერ ერთი, რომ ის ისეთი გარეწარია არაფერს მოგიკლებს და მერეც, რომ ამბობ იმათ არ ვეტყვით, შენ გგონია ასე იოლად გადაგატარებს?
– აბა რა ვქნა? უსახლკარად რომ დავრჩეთ მთელი ოჯახი ქუჩაში უარესი არ დაგვემართება?
– შენ იცი მაინც რა'სე მიდიხარ? ეტყობა ვერ აცნობიერებ. მაგ ნაძირალამ ეხლა თუ დაგიჭირა შანტაჟით, მერე მითუმეტეს ველარ დაუსხლტები ხელიდან. ოვითონ რომ მობე'სრდები, თავის ცხოველ ძმაკაცებს მიუგდებს შენს თავს საჯ'ჯ'ვნად და მთლიანად გაგანადგ'ურებს. წლების განმავლობაში არ დაგანებებს თავს. ბინას კი თუ მართლა შეუძლია, მაინც წაგართმევთ.
ლელა რამოდენიმე წამს გაჩუმდა, შემდეგ კი ტირილი დაიწყოდა თქვა: ეს როგორ შეიძლება? ეს ხომ არაადამიანური საქციელია, ეს ხომ მხეცობაა? ღმერთი არ არსებობს? არა სწამს?
– რაც უკვე გითხრა, ის არ არის არაადამიანური? შვილად შეეფერები. მხეცი რომ არ იყოს ასეთ რამეს ჩაიფიქრებდა? დაწყნარდი ეხლა. ნუ ტირი, კიდე კარგი, რომ მე გავიგე ეს ამბავი. გიას ვნახავ ხვალ და ერთად მოვილაპარაკებთ. რაღაცას მოვიფიქრებთ. ბოლოსდაბოლოს თუ ვერაფერი მოხერხდა და მართლა წაგაროვეს სახლი, ჩემთან იცხოვრეთ. რა, ვერ დავეტევით? მარტო ვარ სახლ'ში, ვინ შეგვიშლის ხელს?
– შენ როგორ შეგაწუხებთ? თანაც მთელი ცხოვრება შენთან ხომ ვერ ვიცხოვრებთ? –თქვა ლელამ ისე, რომ ჯერ ტირილი არ დაემთავრებინა.

– რატომ მთელი ცხოვრება? შეიძლება რამოდენიმე წელი მოგიწიოთ, მაგრამ ეს შენს ჩანაფიქრზე უკეთესია. გამოვნახავთ საშუალებას და ან ვიყიდით სხვას, ან ავაშენებთ, თუნდაც პატარას. რათქმა უნდა ისეთ სახლს, როგორიც თქვენ გაქვთ ეხლა, ასე სწრაფად ვერ შეეძლებთ, მაგრამ ორი სამი ოთახი რომ ავაშენოთ, დროებით გეყოფათ და მერე მოვუმატებთ.

– ოღონდაც იყოს და თუნდაც ერთი ოთახი იყოს მოვთავსდებით, – თქვა უკვე ცოტა დაწყნარებულმა ლელამ.

– წავიდეთ ეხლა სახლში. მე მგონი აღარ მოგივა თავში ისეთი სისულელე.

– არა, მე ყველაფერი ვერ გავითვალისწინე. მარტო ვფიქრობდი, ასეთ აზრს ხომ ვერავის გავუზიარებდი, და ამიტომაც შიშმა და აღელვებამ ჭკუა დამაკარგვინა. გთხოვ ჩემს ძმას არაფერი უთხრა.

– არა გოგო, ამას ვეტყვი? ჩათვალე რომ მე თვითონ უკვე დამავიწყდა და შენც გირჩევ დაივიწყო. არ იფიქრო ამაზე და მალე დაგავიწყდება. ვითომც არაფერი ყოფილა. მოიკარია, რომ მართლაც არაფერი მომხდარა. ნოდარმა მანქანა შემოაბრუნა და სახლში დაბრუნდნენ. დაღამებისას ნოდარი გიასთან წავიდა გასარკვევად.

– ბიჭო, შენ რა ვალი გაქვს ავთოსი?

– გიორგეფინისა? ხო ვალი მაქვს.

– რამდენი გაქვს?

– 1120 დოლარს მთხოვს. შენ ვინ გითხრა?

– მთხოვს რას ჰქვია, არ გაქვს მაგდენი ვალი?

– ჰო, რა ვიცი... ალბათ არის.

– ვერ გაიგე, რამდენი ისესხეთ, თუ ისესხეთ არ იცი?

– ეგ კი ვიცი, მაგრამ...

– რა მაგრამ? აბა ერთი ყველაფერი მითხარი როგორ არის. ასეთ საშინელ მდგომარეობამდე მიხეედი და მე არაფერს მეუბნები?

– ყველაფერს შენ ხომ არ გიტყვი? ისედაც ბევრს გაწუხებთ. თანაც შენ რას შეცვლი? ეს ჩემი პრობლემაა და მე უნდა მივხედო.

– რას უნდა მიხედო, სახლიდან თუ გაგდებენ? ან ჩემი პრობლემა რას ნიშნავს, ეგ არის ჩვენი მეგობრობა? ესეიგი, მე რომ მსგავსი პრობლემა მქონდეს, ახლოსაც არ მომეკარები? შორიდან იცინებ მტერივით? შენ აღრეც წამოგცდა, რომ ვალი გქონდა გიორგეფინის, მაგრამ მე მეგონა ცოტა გქონდა. ამდენი რაში დაგჭირდა, სად წაიღე?

– თავიდან არც ისე ბევრი იყო, მაგრამ მერე პროცენტები დაემატა. მე არ ვიცოდი თუ პროცენტიანი და თანაც ამხელა პროცენტიანი იყო, თორემ არ ავიღებდი.

– თავიდან არ შეთანხმებულხართ?

– ეს ვალი მამაჩემმა აიღო. მე მხოლოდ ხელი მოვაწერე მამაჩემთან ერთად და პასუხისმგებელი გავხდი. იმ დროს თბილისში წასასვლელად ეჩქარობდი და ამიტომ ვერ წავიკითხე. მხოლოდ ვიკითხე პროცენტს რამდენს ითხოვს-მეთქი, მამამ მიპასუხა შეღავათიანად გვაძლევსო. მეც აღარ ჩავეძიე. მერე გავარკვიე, რომ 20%-ის ნაცვლად 15%

დაემატებოდა თვეში და ეს იყო შეღავათი. 400 დოლარი გამოვართვით, ერთი წელი შესრულდა და 1120 დოლარს მიაღწია. ვაჭრობის იმედი მქონდა, მაგრამ, იქაც ჩამივარდა საქმე. სახლში რაც ოქრო გვქონდა ისიც გავყიდეთ 200 ლარის ის გამოვიდა. ეს ფული იმ ფულს დავამატე და დარჩენილსაც შევეპირდი, რომ რამდენიმე თვეში მივუტანდი, მაგრამ არ აიღო. სულმოელი ერთად მოითხოვა. იმ დროისთვის 800 დოლარიც არ იყო ვალი და ცოტა მაკლდებოდა. მერე ეს ფულიც გაფრინდა და დავრჩი ასე.

— ამდენი ფული რისთვის გინდოდათ?

— მამაჩემს უნდოდა აქ ჯიხური აეშენებინა. რომ ნახა ჩემს ჯიხურში აღარაფერი იყიდებოდა თქვა: იქ აღარაფერი გამოვა, აქ გადმოინაცვლეო და გადაწყვიტა აეშენებინა, მეც დავეთანხმე. კარგი ასრი იყო, მაგრამ არ დასცალდა საცოდავს. ის ფული მის დამარხვას დასჭირდა. ცოცხალი რომ ყოფილიყო და მსესუმსირის ფულიც ჩამოეტანა, ეხლა კარგი მაღაზიაც გვექნებოდა აქ და ლელაც გათხოვილი იქნებოდა, მაგრამ... ყოველთვის იმედი მქონდა კიდევ იქნებ რამე ვიშოვო-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოჩნდა. ეხლა არ ვიცი სად წავიდე, რა გაეკეთო. ერთ კვირაში თუ არ მივუტანე სახლიდან გაგვაგდებს.

— სახლი რაღა შუაშია? ასეთი სახლის აშენებას 10000 დოლარი არ ეყოფა და მაგას 400 დოლარად უნდა ამ სახლის ხელში ჩაგდება?

— საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულებაში სწერია, თუ ფულს ერთ წელიწადში ვერ დაებრუნებდით მას უფლება ჰქონდა სანაცვლოდ სახლი მოეთხოვა, რადგან როგორც იქ წერია ეს ფული მან საქმიდან ამოიღო, რის გამოც მისი მოგება მცირდებოდა და ზარალდებოდა. ეს ზარალი იმ ქაღალდის მიხედვით თვეში 15%-ზე მეტი იყო და ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში იმ ზარალის გათვალისწინება უნდა მომხდარიყო.

— იქნებ ვიშოვოთ ფული და მივცეთ?

— სად უნდა ვიშოვო? ყველგან ვიყავი თუკი ვინმე მოვიფიქრე, მაგრამ არავინ მომცა. ხმაც გავაგრცელე სახლის გაყიდვაზე, გაზეთშიც გამოვაქვეყნე, მაგრამ არავინ გამომხმაურებია. თვითონ თქვი 10000-ზე მეტი ღირსო მე კი 3000 ვაფასებ. თუ ვინმე მოვა და შემეკაჭრება 1500 დოლარშიც მივყიდი, სხვა მეტი რა ექნა არ ვიცი ვერაფერი მომიფიქრებია. ეხლა ხომ იცი რა დროა. ხალხი გარბის საქართველოდან, ჩემი სახლი ვის რად უნდა? ამისთანა სახლებს მართლა 3000-ად ყიდიან, მეტად არ იყიდება, იმიტომ რომ მყიდველი არ არის. ძალიან იშვიათია ვინმე გამოჩნდეს მყიდველი. მიწასაც ვყიდი მაგრამ...

—ასეთი პრობლემა გქონია და მაინც როგორ არ მითხარი? არც რომ სხვისგან გამიგია იქნებ, მე მეშოვა მყიდველი?

—რა ვიცი, ვერ გითხარი. მაინც ვერაფერს შეცვლიდი და ვიცი ინერვიულებდი.

—ეხლა მაინც უნდა მოვძებნო ვინმე მყიდველი, ან ფულის მსესხებელი.

—ყველგან ვეძებე, მაგრამ ვერავინ ვიპოვე. არა მგონია შენ ნახო ვინმე. განწირული ვარ და ეგ არის, —ხელი უიმედოდ ჩაიქნია გიამ.

—სულით ნუ დაეცემი. მერე რა მოხდა თუ წაგართვა სახლი. ჩემთან გადმოხვალთ საცხოვრებლად. მერე თანდათან შეაგროვებთ ფულს, მეც დაგეხმარები და იყიდი ბინას. დრო მოვა მაგაზე უკეთესი ბინა გექნება.

—არა, რას ამბობ, მთელი ოჯახი შენთან ხომ ვერ ვიცხოვრებთ?

—მერე რა ვერ დავეტევით?

—არა, დატევაზე ხომ არ არის. სირცხვილის გრძნობა ხომ მაქვს?

—აბა, ქუჩაში ცხოვრებაა უკეთესი? თუ სხვა წასასვლელი გზა გაქვს, წადი, მაგრამ ქუჩაში რომ ვერ იქნები, ხომ იცი.

—სად მაქვს წასასვლელი? არანაირი წასასვლელი გზა არ მაქვს.

—ამიტომ სჯობს ჯერ ვეცადოთ ბინა შევინარჩუნოთ, ან გავყიდოთ და თუ არაფერი მოხერხდა, ჩემს სახლში გადმოხვალთ საცხოვრებლად.

—კარგი, თანახმა ვარ. მეტი გზა მაინც არ მაქვს.

—კარგი, ეხლა წავალ და ხვალიდან შევეცდები რამე მოვახერხო.

ნოდარი გამოემშვიდობა და სახლისკენ გაბრუნდა.

მეორე დღეს, რომ იდროება, ქუჩებში უკვე ხალხი გამოიშლებოდაო, გაეიდა ქალაქის ცენტრში, ბაზრის მიდამოებში და ყველა ნაცნობს ეუბნებოდა კარგი ბინა იყიდება ძალიან იაფად, ვინმეს ხო მარ უნდა ყიდვაო. ახლობლებს, ფულის სესხებასაც სთხოვდა, თუმცა თვითონვე ფიქრობდა, ამათ ფული საიდან ექნებათო. საღამოს ფეხზე დგომით დაღლილი და ხელმოცარული დაბრუნდა სახლში. გიას აღარ დაუძახა, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდა. დაღამებისას დაწვა და დაიძინა.

მეორე დღეს იგივე განმეორდა, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს იმედიანს ვერ მიაკვლია. პირიქით, ბევრი ამბობდა, ბინას მეც ვყიდიო. იმედგაცრუებულმა დაიწყო ფიქრი, იქნებ სხვა რამ ახალი მოვიფიქროთ, მაგრამ, ახალიც ვერაფერი მოიფიქრა. შემდეგ იფიქრა: თუკი ასე ბევრი ყიდის სახლს, მყიდველი კი არავინ ჩანს, იქნებ ძალიან იაფად სხვა, უფრო პატარა სახლი ვიყიდოთ და იქ გადავიდესო. ამის შემდეგ უკვე პარალელურად, გასაყიდი ბინებითაც დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ პატარა, ვთქვათ ორ ოთახიანი ბინა შეიძლება 500 დოლარადაც ეშოვა. შემდეგ გაახსენდა, რომ იმ ქუჩაზეც, რომელზეც თვითონ ცხოვრობდნენ რამოდენიმე სახლი იყიდებოდა, მათ შორის ვენერაც ჰყიდდა, რომელსაც ასევე ვერ დაადგა საშველი და ვერ გაყიდა. წამსვე გადაწყვიტა ვენერასთან წასულიყო და გაეგო რამდენად ჰყიდდა თავის სახლს და ასეც მოიქცა.

ვენერას სახლთან მისულს, ძალიანაც ეძნელებოდა მასთან დალაპარაკება, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, ეზოს კარი გააღო და დაუძახა. ძახილზე ვენერა გამოვიდა.

— ბოლოს და ბოლოს, მიდიხარ თუ არა აქედან. —უთხრა ნოდარმა.

—ხომ იცით, რომ ვყიდი, არ იყიდება და რა ვქნა, სად წავიდე?

—შენ იქნებ მილიონს აფასებ და როგორ გაიყიდება?

—რა ვქნა, 5000 მანეთი მიეცი, რომ ვიყიდე და ეხლა 1000 დოლარად ვყიდი, მეტი რა ვქნა? მეც ხომ უნდა ვიყიდო სახლი? სადმე ხომ უნდა ვიცხოვრო?

—შენ რომ 5000 მიეცი, მაშინ სახლებს ფასი ჰქონდა, ხალხს ფული ჰქონდა, ეხლა სადღაა ეგ ფასები? ვერ ხედავ ყველა ყიდის? ხალხი

მშიერი დადის. შენ ალბათ უკეთესი სახლი გინდა ან ფულის მოგება, თორემ ასეთ სახლს მაგის ნახევარ ფასში იშოვი.

–სად ვიშოვი? ამაზე ნაკლებად რომ გავყიდო და მერე ვეღარ ვიყიდო, რა ვქნა, ქუჩაში დავრჩე? თუ ასე აღვილია, შენ მიყიდე ასეთი სახლი და მე გადავალ, ეს სახლი კი შენი იყოს. შენ რამდენიც გინდა მიეცი, თუნდ უფასოდ იშოვე ეგ რა ჩემი საქმეა? წავალ და მეც დავისვენებ. ამ უბანში ყველას ვეჯავრები, ყველა ცუდად მიყურებს და აქ ცხოვრებას ჯოჯოხეთში ცხოვრება მირჩევნია.

–კარგი მაშინ, შენ თუ ვერ შოულობ, მე გიშოვი.

–ეს სახლი თუ არ გავყიდე, მე სხვა ფული არა მაქვს და რა ფასშიც უნდა იშოვო მე ვერ მივცემ ვერაფერს.

–არც ეგ არის სირთულე. მე ჩემს ფულს მივცემ, შენ გადახვალ, ეს სახლი კი ჩემი იქნება. ხომ ასე თქვი? მე გავიფორმებ და მერე გავყიდი.

–კარგი, თუ ასეა თანახმა ვარ. ხვალვე რომ იშოვო გადავალ.

მეორე დღეს ნოდარი დილით გასული სახლში მხოლოდ საღამოს დაბრუნდა და თანაც სატვირთო ავტომანქანით. ნოდართან და მძღოლთან ერთად, მანქანაში კიდევ ორი უცხო ბიჭი იჯდა. მანქანა ეზოში შეიტანეს და ხორბლით დატვირთეს. შემდეგ იმ ორი ბიჭიდან ერთერთმა ნოდარს ფული ჩაუთვალა და წავიდნენ, სახლში დარჩენილი ნოდარი ხორბლის სათავსოში შევიდა და დარჩენილ ხორბალს თვალი გადააცლო. "ალბათ ოთხი ტონა კიდე გამოვა" გაიფიქრა და გამოეიდა.

კარგია 1100 ლარი უკვე მაქვს. ამ ხორბლის მყიდველიც, რომ ვიშოვო 700 ლარიც დაემატება და 1800 შეგროვდება. ამით 1000 დოლარს ვიყიდით, 100 დოლარიც ხომ მე მაქვს შემორჩენილი, მამაჩემის გამოგზავნილი ფულიდან. ესეიგი სულ რაღაც 20 დოლარი გვაკლდება. მაშასადამე, შეგვიძლია გადავუხადოთ იმ გარეწარს ვალი. თუ გამიჭირდება დედაჩემის დანატოვარ ოქროს საათს გავყიდი. თუ მთლიან ვალს გადავუხდი ავთოს, ვენერას სახლი რაღად მინდა. წავალ გიას და მის ოჯახს გაეახარებ. – გაიფიქრა და წავიდა.

ნოდარის ძახილზე გია დამწუხრებული სახით გამოეიდა.

–რა ცხვირპირი ჩამოგტირის საქმე კარგად არის. –ახარა ნოდარმა.

–რა საქმე?

–როგორ თუ რა საქმე? სახლის საქმე. ფული ვიშოვე. ხორბალი გავყიდე. ხვალ დანარჩენსაც გავყიდი და 1100 დოლარი გვექნება. –მხიარული სახით განაცხადა ნოდარმა, თუმცა მის ნათქვამს გიას განწყობაზე არ უმოქმედია. –რა გამოშტერებული მიყურებ, ნუ გამაგიჟე. ფული ვიშოვე-მეთქი. სახლს აღარ დაკარგავ. ოც დოლარზე თუ ფიქრობ ხვალ იმასაც ვიშოვი.

–უკვე გვიანია, –ჩაილაპარაკა გიამ.

–როგორ არის გვიანი?

–დღეს იყო აღმასრულებელთან და რამოდენიმე პოლიციელთან ერთად. სასამართლოში საჩივარი შეუტანია და სახლი მას მიაკუთვნეს. სამი დღის ვადა მოგვცეს გადასაბარგებლად.

—ეს როგორ? მერე უშენოდ ამის უფლება ხომ არა აქვთ? შენ იყავი სასამართლოზე?

—ამას ვინ უყურებს? მე ვიყავი მოსამართლესთან და უწერია, რომ სასამართლოზე არ გამოვცხადდი.

—მერე, გაგაგებინეს სასამართლო რომ იყო?

—რა თქმა უნდა არაფერი გამიგია, თორემ რატომ არ წავიდოდი?

—ამის უფლება არა აქვთ. —თქვა ნოდარმა.

—ვინ უყურებს უფლებებს. არ იცი „ძალა აღმართს ხნავსო".

—არაუშავს, ხვალ დილით გადავახურდავოთ და მივიტანოთ. იქნებ დაგვთანხმდეს. დილითვე 700 დოლარი გვექნება, საღამოს კი დანარჩენსაც მივუტანთ.

—მაგას ფული კი არა სახლი აინტერესებს და როგორ დაგვთანხმდება?

—სახლი რაღა ჯანდაბად უნდა? ამდენ სახლში ხომ ვერ იცხოვრებს? მდგმურსაც ვერ დააყენებს, ეხლა ვიღას რად უნდა ქირით ბინა? —თქვა ნოდარმა.

—დაანგრევს და მასალად გაყიდის. აქედან სულ მცირე 5000 ლარს ამოიღებს, მერე კი ცარიელ ადგილს გაყიდის, ან დიდ მაღაზიას გახსნის და უფრო დიდ მოგებას ნახავს.

—სულაც არ ენაღვლება თქვენ რომ ქუჩაში იქნებით, მაინც რა ნაგავია. დილით მაინც წავიდეთ ვცადოთ, იქნებ გვთანხმდება? ამით ხომ არაფერს ვკარგავთ.

—კარგი წავიდეთ.

—ადრე წავიდეთ დილით, ვიდრე სახლიდან გავა, 7 საათისთვის.

—კარგი.

დილით მართლაც ადრიანად მივიდნენ ავთანდილ გიორგევიჩის უგემოვნოდ აშენებულ დიდ სახლთან, მაგრამ, დაძახება ვერ გაბედეს იმის შიშით არ გავაღიზიანოთ და უარი არ გვითხრასო. ამიტომ, ეზოს კართან ახლოს დადგნენ და ელოდნენ ხელსაყრელ შემთხვევას. ერთ საათზე მეტ ხანს მოუწიათ ლოდინი, ბოლოს გამოჩნდა "მისი აღმატებულება" გიორგევიჩი თავისი „რეზიდენციის" ეზოში. ბიჭები მივიდნენ კაროან და დაუძახეს.

—რაშია საქმე? —უხეში გამომეტყველებით იკითხა ავთომ და კარში გაიბიტა. მოკლე სახელოებიანი პერანგიდან, რომლის ქვემო ორი და ზემო ორი ღილი შეხსნილი ჰქონდა, ღიპი ისე გამოწეულიყო თითქოს მასაც დააინტერესა, ვინ არიან და რა უნდათო.

—ვალი მოგიტანეთ. —უთხრა ნოდარმა.

—რა ვალი მომიტანე. შენ რა, ჩემი ვალი გქონდა?

—მე არა, მაგრამ გიას რომ აქვს ის ვალი.

—მაგას? მაგას რა ვალი აქ ჩემი? ვალი რაც ქონდა ის უკვე გარაშოტებულია და სხვა რაღა უნდა? სამი დღის ვადა ხო მოგცეს არაა, ორი დღე კიდე დარჩა. ორ დღეში დამიცალე ბინა, მჭირდება...

—ფული მოგიტანეთ. სულ ვიხდით და რატომ არ უტოვებ სახლს. იქიდან რომ წავიდნენ სად იცხოვრონ? წასასვლელი არსად აქვთ.

—რა ფული მომიტანეთ, ხომ არ გაგიჟდით?! მე სახლს არ ვყიდი! სამი ათასი დოლარი დამიჯდა ეგ სახლი და კიდე რამდენი ნერვიულობა. ეხლა მეუბნებით მომყიდეო?!

–რა 3000 დოლარი? –წამოიძახა გიამ, რომელმაც აქამდე ამჯობინა ჩუმად ყოფილიყო.

–როგორ რა 3000 დოლარი? ადვოკატს ფული არ უნდა? სასამართლოს ხარჯებს გადახდა არ უნდა. აღმასრულებელს ფული არ უნდა? თქვენ რომ უსაქმურები ხართ, ყველაფერი ჰაერზე მოტანილი გინდათ, ეგრე არ არი.

–სასამართლოს ხარჯი სულ 100 ლარიც არ ჯდება. აღმასრულებელი აღსრულების შემდეგ იღებს და ვექილს განა რამდენი მიეცი, რომ 3000 დაგიჯდა?

–რა გინდათ, აქ რისთვის მოხვედით, რას მევაჭრებით? არ ვყიდი არაფერს. წადით დაიკარგეთ აქედან, რა თავდასხმაზე გადმოხვედით?

–თავდასხმა რა შუაშია? მოვედით, რომ ვისაუბროთ. იქნებ ეს საქმე ისე გადავწყვიტოთ რომ ორივესთვის უკეთესი იყოს.

გიორგეიჩმა ეზოში მყოფ მეუღლეს გასძახა – მიდი ერთი ქალო, მობილური გამომიტანე!

–შენ შენსას მიიღებ. არ დაზარალდები და იქნებ ესენიც გადავარჩინოთ. ქუჩაში, რომ გამოყარო სად უნდა წავიდნენ?

–ეგ რა ჩემი საქმეა სად წაელენ. ვირის უკანალში წავიდნენ, მე სუ ფეხებზე მკიდია. ჩემ ხარჯზე უნდა იცხოვრონ? მაშ გიყი ვყოფილვარ, მაგათთვის ვიკლავ თავს?

–ვირის უკანალში თვითონ ხარ შესაირომი! 400 დოლარში 10000 დოლარიან სახლს მართმევ, ოჯახს ქუჩაში მიყრი, ღმერთი არ გაპატიებს! –გია ყვირილზე გადაეიდა.

ავთოს ვითომ არც ესმოდა, ცოლს დაელოდა, მერე ცოლის გამოტანილ ტელეფონზე ნომერი აკრიფა და ყურთან მიიტანა.

–„ეახტანგოვის" გამარჯობა. მე ვარ გიორგეიჩი. კაცო, აი იმ ბინის ამბავზე გირეკავ ხო იცი? აი, ეხლა მოვიდნენ, თავს დამესხნენ, ყვირიან, ილანძღებიან, აიკლეს აქაურობა. კაცო, იქნებ რამე მიშველო, გამოგზავნე ხალხი, აღარ შემიძლია რა... ხო, ხო კარგი, აბა გელოდებით. დაამთავრა გიორგეიჩმა ლაპარაკი და ბიჭებს მიუბრუნდა. –ეგეე, ეხლა მოელენ და ელაპარაკეთ. მე თქვენი თაყი არა მაქ.

–უჰ მე შენი დედა... შე არაკაცო. ვინ დაგესხა თავს. სახლს მართმევ და ლაპარაკიც არ გინდა? –ის ის იყო გიამ მუშტები მოიმზადა, რომ ნოდარმა მკლავში ჩაეტლო ხელი და იქიდან გაიყვანა. გზაში კიდევ დიდხანს აწყნარებდა ნოდარი გიას. ბოლოს მიხვდა, რომ უნდა დამშვიდებულიყო, რადგან მისი ვალი იყო ოჯახი დაემშვიდებინა და მასზე ეზრუნა.

–ლელა, შენ უკვე პატარა ბავშვი აღარ ხარ და მეტი ჭკუა, მეტი სიბრძნე მოგეთხოვება, ვიდრე აქამდე. –მოიღვრავდა ნოდარი ლელას. –სიტუაცია გართულდა. სახლი უკვე სასამართლოს მეშვეობით გადაუფორმებია ავთოს, რის გამოც გია ძალიან გაღიზიანებულია და ფრთხილად იყავით, ცუდი არაფერი ჩაიდინოს.

–ვიცი, გუშინ იყვნენ პოლიციელები, მაგრამ მე რა შემიძლია?

–ის, რომ დააწყნაროთ გია, ყოველ შემთხვევაში არ გააღიზიანოთ მაინც. არ დაიწყოთ წუწუნი და მოთქმა. შეიძლება ასე უფრო

გალიხიანდეს, წავიდეს და სცემოს ან მოკლას, რაც ხომ იცი უფრო მეტ საშინელებას მოიტანს.

—კი, ამას მეც ვხვდები და დედაც, ვცდილობთ დავამშვიდოთ. ვიცი ჩვენზე უფრო მეტად გია ნერვიულობს.

—კარგია თუ იცი და კიდე, რაც უნდა მოხდეს ისეთი სულელური აზრი აღარ მოგივიდეს თავში, იმ გარეწართან აღარ წახვიდე. ყველაფერს ეშველება, მაგრამ შენ თუ მასთან წახვალ, ამას აღარაფერი ეშველება. ასეთ რამეს უბრალოდ ვერ გადაიტანს გია.

—არა, რას ამბობ, იქ რა წამიყვანს. მაშინაც რომ მივედი და საერთოდ, რომ მოვუსმინე ვნანობ. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, —დამნაშავესავით დახარა ლელამ თავი.

—კარგი, თუ ასეა, მაშ სხვა დანარჩენს ეშველება. ნუ გეშინიათ, ქუჩაში არ დარჩებით. რამდენიმე წლის შემდეგ კი, შეიძლება დავიბრუნოთ კიდეც თქვენი სახლი. მე წავალ და შენი იმედი მექნება. თუ რამე გართულდა დამიძახე. —თქვა ნოდარმა და ახლა ვენერას სახლისაკენ აიღო გეზი.

იმ დღეს ნოდარი გიასთან აღარ გამოჩენილა. მისი წასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ გიასთან პოლიციელები მივიდნენ თითქოსდა რაღაცის გასარკვევად, სულ რამდენიმე წუთით წაიყვანეს პოლიციაში, მაგრამ მთელი დღე აღარ გამოუშვიათ. ლელა რამდენიმეჯერ მივიდა ნოდარის სახლში, მაგრამ ნოდარი არ დახვდა. გია არც მეორე დღეს გამოჩნდა და ლელა კვლავ მიეიდა ნოდართან, მაგრამ ვერც ამჯერად ნახა.

შუადღე იქნებოდა, როცა ვენერა თავის სახლში სატვირთო ავტომანქანით დაბრუნდა. მანქანა ეზოში შევიდა და ერთ საათს აღარ გამოსულა. ავტომანქანის გამოსვლისას რამდენიმე მეზობელმა მანქანის ძარაზე დაინახა ავეჯი და სხვა ბარგი, რაზეც თქვეს, ეღირსა ვენერას აქედან წასვლაო. ეს რათქმაუნდა ლელას და მის ოჯახს არ შეუმჩნევია, მათ თავიანთი გასაჭირი ჰქონდათ.

ლელა რამდენიმეჯერ კიდევ მივიდა ნოდარის სახლთან, მაგრამ უშედეგოდ. საშინლად ნერვიულობდა. ვერ გაეგო, თვითონ წასულიყო თუ არა პოლიციაში გასარკვევად. გიას დაუბრუნებლობა აშინებდა მაგრამ, არანაკლებ აშინებდა პოლიციაში მისვლა და მათთან ურთიერთობა. დედამისმა კი, რომელიც წინა დღეს იყო პოლიციაში, ვერაფერი გაარკვია. ასე უთხრეს, გავარკვევთ და გამოვუშვებთო, მაგრამ არ გამოუშვეს. ამიტომ ამ გაუგებრობით აღელვებულმა და დაბნეულმა ლელამ სახლში ვეღარ გაძლო, ქუჩაში გამოვიდა და ნოდარის სახლის წინ სკამზე დაჯდა. ნახევარი საათი მაინც იწრიალა სკამზე, ნოდარის მოლოდინში, მაგრამ ნოდარი არ ჩანდა. მოულოდნელად გზაზე გია გამოჩნდა. ლელა წამსვე წამოფრინდა სკამიდან და მისკენ გაექანა. ჩაეხუტა თავის ძმას და რამდენიმე წამი აღარ სცილდებოდა, თან სლუკუნებდა —სად ხარ აქამდე? რატომ არ მოხვედი? სახლის გამო წაგიყვანეს ხომ? ამ სიხარულსა და სლუკუნში ვერც კი შენიშნა, სახეზე ორიოდე დალურჯებული ადგილი. მხოლოდ სახლში, რომ მივიდნენ და პირდაპირ შეხედა უკეთესად, მაშინ დაინახა.

–ეს რა გაქვს, სად იტკინე?

–ეს ხომ აქვე მქონდა, სანამ წამიყვანდნენ, არ გახსოვს? –ლელა ვერც წარმოიდგენდა, რომ პოლიციაში სცემდნენ მის ძმას და ამიტომ ეჭვიც არ შეპარვია მის ნათქვამში.

ათიოდე წუთის შემდეგ მათთან ნოდარი მივიდა, ძახილზე ლელამ გამოიხედა, როგორც ყოველთვის. მან ჩათვალა, რომ რაკი თითქმის ერთდროულად დაბრუნდნენ გია და ნოდარი, ესეიგი ნოდარი მასთან იყო პოლიციაში და ყველაფერი იცისო. ამიტომ მხიარულად გამოსძახა –მოდი, მოდი აქ არისო. თუმცა ნოდარს წარმოდგენაც არ ჰქონდა რა მოხდა და ეუცნაურა ლელას ასეთი კარგი განწყობა. ნოდარიც მხიარულად შევიდა, რადგან კარგი ამბავი ჰქონდა სათქმელი.

–ეგ რა დალურჯებული გაქვს, რამე მოხდა? –დაბნეული სახით იკითხა ნოდარმა –ისევ გიორგევიჩთან ხომ არ იყავი?

ლელა ეხლაღა დაეჭვდა გიას ნათქვამში და შეწუხებულმა ჰკითხა: –იქაც იყავი?

–როგორ იქაც? კიდევ სად იყავი?

–არსად არ ვყოფილვარ, პირდაპირ აქ მოვედი. ეს კი ორი დღის წინ მოვირტყი. –თქვა გიამ და ნოდარს ისეთი სახით შეხედა რომ ნოდარი მიხვდა, კითხვა აღარ უნდა დაესვა.

–წამოდი გარეთ გავიდეთ, რაღაც საქმე მაქვს შენთან. –უთხრა ნოდარმა და ორივე გარეთ გავიდა.

–რა ხდება, სად იყავი, ავთოსთან?

–შენ რა, არაფერი იცი?

–რა უნდა ვიცოდე?

–პოლიციამ რომ წამიყვანა, არ იცი?

–არა. საიდან უნდა ვიცოდე. ეს ორი დღეა ბინის საქმეზე დაეძებვარ. სახლში მხოლოდ ღამე ვიყავი.

–რა ბინას დასდევ?

–ვენერა გავიყვანე სახლიდან. სახლი ვუყიდე და გადავიყვანე. ეს სახლი კი მე გადავიფორმე. ეხლა შეგიძლიათ მის სახლში გადახვიდეთ. თუმცა, თუ ჩემს სახლში გირჩევიათ შეგიძლიათ ჩემთან გადმოხვიდეთ. მე ეს უფრო მირჩევია. მარტო ყოფნა მომბეზრდა საშინლად. როდის წაგიყვანა პოლიციამ ან რატომ?

–ალბათ, ავთომ რომ დაურეკა, ამის გამო. აქ მოვიდნენ, მითხრეს ცოტა ხანს წამოდი რაღაცას გავარკვევთ ჯა რამდენიმე წუთში გამოგიშვებთო. რა ოქმაუნდა ვხვდებოდი, რომ რამდენიმე წუთში არ გამომიშვებდნენ, მაგრამ რა მექნა, წინააღმდეგობა რომ გამეწია მაინც წამიყვანდნენ და ლელას და დედაჩემს უფრო შეეშინდებოდათ. ამიტომ, უსიტყვოდ გავყევი. იქ რომ მიმიყვანეს ჯერ კაგად მცემეს, მერე ვიღაც ორი მოწმე მოიყვანეს, რომ თურმე ნარკოტიკები მივყიდე, აქტი შეადგინეს და დამემუქრნენ, თუ ცუდად მოვიქცეოდი საქმეს აღძრავდნენ, თუ ყველაფერს კარგად გავაკეთებდი დახვედნენ.

–ჰმ... რა პოლიცია გვყავს? მათგან აღარაფერი მიკვირს. თუ არ დათმობ ამ სახლს, მართლა ჩაგსვამენ. რა დაუდგებათ წინ.

—რას ვიზამ. კიდევ კარგი შენ მაინც მეხმარები, თორემ, ალბათ ჭკუიდან გადავიდოდი. გამიხარდა მაგ ბინის ამბავი, მაგრამ არ გეწყინოს გამომეცალინების უნარი აღარ მაქვს. თუ უკვე ცარიელია სჯობს დღესვე გადავალთ, თორემ ხვალ რა მოხდება კაცმა არ იცის.

—კარგი, დღესვე იყოს. შენ მიდი, სახლში უთხარი მათაც. მოამზადეთ აქაც და იქაც ყველაფერი. მე კი ნუგზართან და საშკასთან წავალ, ვეტყვი, რომ მოგვეხმაროონ.

გადაბარგებამ ხმაური გამოიწვია, რამაც ცნობისმოყვარე მეზობლები გარეთ გამოიახედა. ქეთინომაც გამოიხედა. —რა ხდება, სად მიგაქვთ? ვენერასთან რატომ მიგაქვთ?

—ვენერა გავაგზეთ და ეხლა იქ გია იცხოვრებს, რომ კარგად დაგიცვას. —ნოდარი ხუმრობის ხასიათზე იყო.

—ვენერა წავიდა? მერე გია რა შუაშია?

—გიამ იყიდა, —უპასუხა ნუგზარმა

ქეთინო გაკვირვებული იყო, ბოლომდე ვერ გაერკვა რა ხდებოდა.

მას შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა. გიას ოჯახს თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა, ვენერას ყოფილ სახლში ცხოვრება, მაგრამ, თანდისთან შეეგუენენ. ნოდარს მამამ დაურეკა და აცნობა, რომ ფული გამოუგზავნა. ნოდარი მაშინვე წავიდა ბანკში ფულის ასაღებად. სექტემბერი იყო, მაგრამ საკმაოდ ცხელოდა. სიცხის გამო ნოდარმა ცოტა უფრო გრძელი გზა აირჩია და ბაღზე გაევლა გადაწყვიტა. იქ, ხეების ჩრდილში მზე აღარ შეაწუხებდა. ბაღში სკამზე მჯდომი დათო და ვიღაც გოგო დაინახა. გაუხარდა დათოს დანახვა. საუკუნეა არ მინახავსო, გაიფიქრა და მისკენ წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ თავი შეიკავა. არ უნდოდა ხელი შეეშალა მათთვის. ჩუმად გაევლას აპირებდა, მაგრამ თვითონ დათომ დაინახა და დაუძახა.

—ნოდარი!

ნოდარმა მიიხედა.

—მოდი ერთი წუთი, სად მიგეჩქარება, ასე რომ გარბიხარ? ნოდარი მათთან ახლოს მივიდა და მივესალმა.

—რა თაეედალუნული მიდიოდი, აქთ-იქით არც იხედები? კიდევ კარგი დაგინახე. —თქვა დათომ და თან გოგონასკენ მიუთითა. —ეს მაია, ხომ იცი... ჩემი მაია.

ნოდარმა ხელი გაუწოდა მაიას. მაიამაც ამითვე უპასუხა, ოღონდ ძალიან მორცხვად და ნაზად, თან დათოს შეხედა ნამდურავის თვალებით, რაც ნიშნავდა, რომ ეუხერხულა მისი უკანასკნელი გამონათქვამი. დათომ კი გააგრძელა მათი ერთიმეორისადმი წარდგენა.

—ეს ჩემი ბიძაშვილია. რომ გითხარი, ნოდარი, აი ეს არის. მან ჩვენს შესახებ ყველაფერი იცის და მასთან დასამალი არაფერი გვაქვს. ბოლოსდაბოლოს იქნებ სადმე შეგხვდეს და ჩემთან რაიმეს დაბარება გინდოდეს? ერთი საერთო ნაცნობი მაინც ხომ გეჭირდება ამ ქალაქში?

ამ სიტყვებზე ნოდარი ცოტათი გათამამდა და ჰკითხა:

—კი მაგრამ ასე სახალხოთ რომ ზიხართ, არ გეშინიათ?

—ამისი ძმა თბილისშია წასული და ვითარებით ვისარგებლეთ. ბოლოს და ბოლოს ათასში ერთხელ მაინც ხომ უნდა ვნახო, თორემ მარტო ოცნებებით დავიღალე.

—ბევრი კარგი უთქვამს შენზე დათოს, მაგრამ შენ უფრო კარგი ყოფილხარ ვიდრე მე წარმომედგინე. —უთხრა ნოდარმა მაიას. სად გიპოვა დათომ ასეთი კარგი გოგო? ვიდრე წავალ, კიდე ერთი რამე უნდა გითხრა. დათოს ძალიან უყვარხარ და ორივეს გთხოვთ, იბრძოლეთ ამ სიყვარულის წარმატებული შედეგისთვის. თქვენ ერთიმეორისათვის ხართ გაჩენილი და ეცადეთ ყველა დაბრკოლება გადალახოთ. მცდელობა, აუცილებლად შედეგსაც გამოიწვევს.

მაიამ ამ სიტყვებზე ცოტა დაიმორცხვა თვალები დახარა, ოდნავ გაიღიმა და გაწითლდა.

—კარგი, ეხლა მე წავალ, ხელს აღარ შეგიშლით. ისედაც გენატრებათ ერთად ყოფნა და მე რატომ უნდა შეგიშალოთ ხელი? მესამე აქ ზედმეტია. —თქვა ნოდარმა და მერე დათოს უთხრა:

—მიეცი მაიას ჩემი ტელეფონის ნომერი. იქნებ დასჭირდეს, იქნებ რაიმე აუცილებლობა წარმოიშვას და დამირეკოს. კარგად იყავით. ტკბილ საუბარს და მიზნების ასრულებას, ოცნების კოშკების გამაგრებას და შესახლებას გისურვებთ.

ნოდარი გაეცალა წყვილს და ბანკისაკენ განაგძო გზა. ფულის გამოტანის შემდეგ ისევ სახლში დაბრუნდა. ბაღში აღარ გაიარა, რომ კიდე არ შეხვედროდა დათოს და მაიას და სხვა გზით წავიდა. გზაში კი ფიქრობდა: —ამდენი ფული მაქვს, თითქმის რვაასი ლარია, იქნებ რაიმე საქმე წამოიწყოთ მე და გიამ. თუ ისე დავხარჯეთ მართლაც გაქრება და მერე ვინ რას მოგვცემს? სულ მამაჩემის გამოგზავნილი ფულით ხომ ვერ ვიცხოვრებთ? მანაც, რომ ვეღარ გამოგზავნოს, მაშინ რა გვეშველება? რამე უნდა მოვიფიქრო. ისევ ჯიხური რომ დაიბრუნოს გიამ ეს ფული სანახევროდაც არ გვეყოფა, სხვა რა წამოვიწყოთ? იქნებ უბანში გაგვეხსნა ჯიხური? იქ რომ ავაშენოთ საკუთარი მასალით, რასაც ჩვენ თვითონ გამოვნახავთ, გაცილებით იაფი დაგვიჯდება და სავაჭრო ფულიც დაგვრჩება. ხო, ეს ნამდვილად კარგი აზრია. —გაუხარდა ნოდარს და პირდაპირ გიას მიაშურა.

გია სახლში დაუხვდა ნოდარს.

—გამოდი გარეთ. —დაუძახა ქუჩიდან ნოდარმა და გია გამოვიდა.

— რაშია საქმე? შიგნით ვერ შემოხვიდოდი? —ჰკითხა გარეთ გამოსულმა გიამ.

—რაღაც მოვიფიქრე და მე მინდა ქეთინოსთან ერთად ვილაპარაკოთ. ავწონ-დავწონოთ და თუ თანახმა იქნებით, საქმე დავიწყოთ.

—ისეთი რა მოიფიქრე, ქეთინოსთან რომ უნდა ვილაპარაკოთ?

—მოითმინე იქ გეტყვი. —თქვა ნოდარმა და ქეთინოს სახლისკენ წავიდა.

ქეთინო რა თქმა უნდა სახლში იყო. ის ხომ არსად არ დადიოდა ნოდარის და გიას დანახვაზე ეზოში გამოვიდა.

—შენთან საქმე მაქვს. რაღაც საკითხზე მინდა გელაპარაკო.

—რა საკითხზე? ცოტა ცივად უთხრა ქეთინომ, რადგან იფიქრა, გიასთან ერთად ალბათ იმიტომ მოვიდა სიყვარულზე უნდათ ლაპარაკი.

—რაღაც საქმე მოვიფიქრე და მინდა,ჩვენ სამმა ვიმუშაოთ ერთად. ცოტა რაღაცას ვიშოვით და სამივესათვის შეღავათი იქნება.

—კი, ბატონო, მობრძანდით. —ცოტა უფრო თბილად თქვა ქეთინომ როცა დარწმუნდა, რომ სიყვარულზე სასაუბროდ არ იყვნენ მოსულები. —აქ ხომ არ ვილაპარაკებთ, მობრძანდით სახლში.

სამივე ოთახში შეეიდა და მაგიდასთან დასხდნენ.

—დედა შენი როგორ არის? —იკითხა ნოდარმა.

—რა ვიცი. კარგად არის მეთქი, რომ გითხრა, ხომ არ დამიჯერებ. ბოლო დღეებში კი თითქმის ცოტა უკეთესად არის.

—ამუამად წამლები გაქვთ?

—თქვენ რა, ამისათვის მოხვედით? შენ ძმად მიმაჩნიხარ, მაგრამ, არ მინდა ვინმეს, თუნდაც შენ, მუდმივად მოგახვიოთ თავს ჩემი გაჭირვება.

—სწორედ ამისათვის მოვედი, რომ შენ, შეიძლება ცოტა, მაგრამ საკუთარი ფული გქონდეს, თავი უკეთესად იგრძნო და სხვების ხელებში შემყურე აღარ იყო.

—ასეთს რას მთავაზობ?

—აი,მე 800 ლარი მაქვს. —თქვა ნოდარმა და ჯიბიდან ფული ამოიღო. ქეთინომ ცოტა გაკვირვებით შეხედა, მერე მე რა შუაში ვარო, ნოდარმა კი საუბარი გააგრძელა. —შენ ხომ იცი, ჩემი და ხარ. ეს ამბავი, რაც ჩავიფიქრე ჯერ არც გიასთვის მითქვამს. ეს ფული მაინც დაიხარჯება და მალე მისგან აღარაფერი დარჩება. მე მინდა ეს ფული საქმეში ჩავდოთ. ისეთ საქმეში, სადაც შენც იქნები დასაქმებული და გიაც. მოგება კი სამივემ გავიყოთ.

—ისეთ რა საქმეა? —ჰკითხა გიამ.

—ვაჭრობა დავიწყოთ, აქვე, უბანში. ერთი ჯიხური ავაშენოთ. მასალას სახლებში გამოვნახავთ. ცემენტსა თუ სხვა რამისათვის ას ლარზე მეტი არ დაგჭირდება, დანარჩენით გასაყიდი საქონელი ვიყიდოთ. ეს ცოტაა, მაგრამ ეხლა თუ ვინმე თავისით რაღაც ფულს შოულობს, ყველა ვაჭრობით. აბა, სხვა რა წამოვიწყოთ? ოყეში 150-200 ლარიც რომ დარჩეს და სამივემ გაყიყოთ კარგი იქნება. გია ვაჭრობაში ერკვევა და საქონელს ჩამოიტანს, შენ კი გაყიდე. მე მგონი ცუდი აზრი არ არის, თქვენ რას იტყვით?

ცოტა ხანს სამივე ჩუმად იყო, შემდეგ ქეთინომ იკითხა: —კი მაგრამ, ჯიხური სად უნდა ააშენოთ?

—რა ვიცი, ეს ერთად გადავწყვიტოთ. თუ გინდათ გიასთან იყოს, რომ შენთვის ახლო იყოს და დედასაც ყურადღება მიაქციო.

—არა მუდმივად გიას ეზოში ხომ არ ვიყვლი?

—მაშინ, თუ გიაც თანახმა იქნება, შენთან ავაშენოთ.

—ჯიხურს თქვენ აშენებთ და თქვენი საკუთრებაა. მერე მე რომ არ ვივარგო გამყიდველად და სხვა დაგჭირდეთ, ჩემს ეზოში რომ იქნება, ხომ ვეღარ გადაიტანთ? აქ კი თქვენთვის მოუხერხებელი იქნება.

—რას ჰქვია, არ იკარგო და სხვა დაგეჭირდეს? მე მინდა ჩვენ სამნი ვიყოთ და არავითარი სხვა. რატომ არ იკარგებ, რა ანგარიში არ იცი? კიდეც რომ დაგჭირდეს დახმარება, მე მაინც სხვა არ მინდა და შენ როგორც შეძლებ ისე იმუშავებ.

—თუ ასეა, თანახმა ვარ. —თქვა ქეთინომ.

—შენც თანახმა ხარ გია?

—კარგი აზრია, თანახმა ვარ.

—ესეიგი სამივე თანახმა ვართ. ეხლა მასალაზე ვიფიქროთ. მე სახლში აგური მაქვს, შეიძლება ცოტა დააკლდეს, მაგრამ ვიშოვით. ქვიშას შენსას გამოვიყენებთ, გიორგეიჩს მაინც არ უნახავს და არ იცის.

—კარგი, წამოვიღოთ. სახლში რაც რამე მასალა იყო, რომ გადმოვიბარგეთ, იმ ღამეს სულ გადმოვზიდე. აბა ვისთვის დამეტოვა. მათი საუბრით გაირკვა, რომ ყველა საჭირო მასალა ჰქონდათ თუკი სამივე გაიღებდა. მხოლოდ ცემენტი და საღებავები იყო საყიდელი. ამიტომ, გადაწყვიტეს დრო აღარ დაეკარგათ და მეორე დღესვე შესდგომოდნენ საქმეს.

მეორე დილით ნოდარი მიეიდა გიასთან და დაუძახა. ორივე ქეთინოს ეზოში გავიდა და დაიწყო ბჭობა, თუ სად და რა ზომის აეშენებინათ ჯიხური. ქეთინოც გამოვიდა თუმცა მათ საუბარს მხოლოდ უსმენდა.

გადაწყვიტეს გიას მხარეს, კუთხეში აეშენებინათ. ისე, რომ ჯიხურის ერთი კედელი ღობეს დამთხვეოდა, ხოლო, მეორე წინა მხარე კი, წინა ჭუჭის ღობეს. ზომა იქნებიდა 3X4—ზე. ჭუჭის მხარეს ორო ფანჯარა და მათ შუა პატარა კარი, რომელშიც სარკმელი იქნებოდა. ერთი კარი ეზოში გამავალი. მოიტანეს სახლიდან ძველი, გაუქმებული ფანჯრები და კარები და დაიწყეს მათი გადაკეთება, საჭირო ზომების მიხედვით. მთელი დღე კარ-ფანჯრების გადაკეთებას მოანდომეს. მეორე დღეს კი, ქვიშა და სხვა მასალა მოზიდეს თავიანთი ეზოებიდან. შემდეგ დღეებში საძირკველი გათხარეს, ბეტონი ჩაასხეს და გადაწყვიტეს დაესვენათ ვიდრე გაშრებოდა ბეტონი.

ნოდარმა გადაწყვიტა დასვენების დღეებში, ტყეში ბერიკაცთან წასულიყო. რადგან სულ ფეხით სიარული ძნელიც იყო და ხანგრძლივიც, ამიტომ გიას შეუთანხმდა და თავისი მანქანით წავიდოდა იქამდე, სადამდეც მანქანა მივიდოდა. მანქანას უკან გია წამოიღებდა, თვითონ დარჩენილ სავალს, ფეხით გაივლიდა.

ასეც მოიქცნენ. ნოდარი იმ გზის ბოლოში ჩამოვიდა, რომელიც უფრო ახლოს იყო ბერიკაცის ქოხთან. გიამ უკან მიბრუნებისას ჰკითხა: ხომ არ დაგელოდოო, მაგრამ ნოდარმა უპასუხა: —აზრი არა აქვს, რადგან არ ვიცი, როდის დავბრუნდებიო. გია უკან გაბრუნდა, ნოდარი კი ბერიკაცის ადგილ-სამყოფელისაკენ წავიდა.

გზაში მიმავალი ნოდარი ფიქრობდა: "რისთვის მივდივარ, რა მინდა? ამხელა გზა ფეხით უნდა ვიარო, ღირს კი საამისოდ მასთან საუბარი? ისეთს რას ველი? წინა მისვლაზეც დიდი არაფერი საინტერესო არ უთქვამს. მემგონი გიჟი ვარ. ხალხი სად არ ძვრება, რომ ფული იშოვნოს, იცხოვროს და მე კი აქ დავეხეტები ეიღაც ბერიკაცთან სასაუბროდ.

აბა, ეს ნორმალური ქცევაა? ალბათ, მთელ რაიონში არავინ მოიძებნება ჩემნაირი სულელი. მაინც რამ წამომიყვანა? მართლა საუბარი მაინტერესებს, თუ დავიღალე იმ ცხოვრებით, დაბლა ბარში რომაა? მართლაც მომბეზრდა ის უაზრო, ქაოსური, მოსაწყენი ცხოვრება. საქმეს, რომ აკეთებს კაცი, თუ ის საქმე არ უყვარს, ისიც ბეზრდება და თუ საქმე საერთოდ არა აქვს, თუ არაფრისადმი ინტერესი არ არის, ეს ხომ მთლად ტანჯვაა. აქ წამოსულით ახალს თუ ვერაფერს გავიგებ, ხომ გავერთობი მაინც. შეიძლება საინტერესო არაფერი მითხრას მაგრამ, ტყეში გასეირნება მაინც ხომ სასიამოვნოა, თანაც იქ დაბლა ძალიან ცხელა, აქ კი მშვენიერი სიგრილეა.

ქოხთან მისულ ნოდარს ბერიკაცი ხის ქვეშ, სკამზე მჯდომი დახვდა. ნოდარი მიესალმა, ჩანთა მაგიდაზე დადო და უთხრა:

–მარილი და ნავთი გამოვაყოლე, ეიფიქრე, იქნებ აღარ გქონდა.

–მადლის კეთება გყვარებია. ამ უბადრუკ ქვეყანაზე მადლის მკეთებლები, კიდე რომ არსებობთ გასახარია.

ნოდარს ესიამოვნა ბერიკაცის პასუხი, გაელიმა და თქვა: –ეფიქრობდი, რა წამომეღო და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ასანთი და ღვინოა კიდევ – კარგი იქნება თუ მეტყვი, შემდეგისათვის რა წამოვიღო, რა უფრო მეტად გჭირდება.

ბერიკაცმა გახსნა ჩანთა, ამოაბარგა და ჰკითხა:

–ღვინო გიყვარს?

–არა. არც ისე. სუფრასთან როცა ვარ ესვამ, მაგრამ ბევრს არა. ეიფიქრე, ასაკოვან ხალხს უყვარს ჭამის დროს ერთი ან ორი ჭიქის დალევა და წავუღებ–მეთქი.

–მოშიებული იქნები, გამოგიტან რამეს. –თქვა ბეიკაცმა და წამოდგა.

–არა, არ მშია ჯერჯერობით. მანქანით ამოვედი, ფეხით ცოტა გზა გამოვიარე.

–კარგი. მოგვიანებით ვისადილოთ. აბა რას იტყვი ახალს? კიბო როგორ არის? დიდიხანია აქ არ ყოფილა...

– ახალი რა უნდა ვთქვა. ისეთი არაფერია. კიბოს შესახებ კი, ბეტყვი ახალს, ორი თვის წინ სცემეს. შემოხვევით შევესწარი ამ ფაქტს და სახლში ჩემთან წავიყვანე. მე რომ არ შევსწრებოდი, შესაძლოა მოეკლათ კიდეც.

–ვინ სცემა და რატომ?

–რაიონის ხელმძღვანელობამ... რესტორანში რამდენიმე დეპუტატს მასპინძლობდნენ,. კიბომ კი ისინი მკვლელებად მოიხსენია და კიდე სხვა ბევრი არა სასიამოვნო სიტყვები უთხრა. მათ კი ეს არ აპატიეს.

–დასანანია,

–რა თქმა უნდა, დასანანია. ისედაც ძლიეს დადის რაღა ცემა უნდა?

–კიბოზე კი არა, მათზე ვამბობ.

–ხელმძღვანელობაზე? ისინი რატომ არიან დასანანი? მათ ხომ არაფერი მოსვლიათ?

–როგორ არა. რაკი მათ კიბო სასიკვდილოდ გაიმეტეს იმის გამო, რომ " პირში უძრახა" მაშასადამე მათი მობრუნება შეუძლებელი ყოფილა.

—კი მაგრამ კიბო არ არის დასანანი? —გაუკვირდა ნოდარს, ბერიკაცის ასეთი პასუხი.

—კიბომ თვითონ აირჩია ეს გზა. ის თვითონ, შეგნებულად იქცევა ასე და მზად არის შეეწიროს ამ საქმეს. მაშასადამე დასანანი ის არის, მის მცდელობას, რომ შედეგი არაფერი ექნება.

—უცნაური მსჯელობაა. თითქოს ლოღიკურად მართალია, მაგრამ მე მაინც არ მომწონს.

—რა არ მოგწონს? დღეს ისეთი მდგომარეობაა, ქვეყანა, —ერი იღუპება. მისი უდუდესი ნაწილი სულიერად გახრწნილი და დაავადებულია. ძალიან ცოტანი დარჩნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის შეცვლა. ასეთ ვითარებაში, თუ ეს ადამიანები შეძლებენ გახრწნილი უმრავლესობის, თუნდაც მცირე ნაწილის შემობრუნებას სალი აზროვნებისა და ქმედებისაკენ, განა ეს მათთვის ბედნიერება არ არის? ეს მათი მოვალეობაა, ამას უნდა გრძნობდნენ და აკეთებდნენ თავის გასაკეთებელს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელია და სახიფათო, ამავე დროს საამაყოც. ეს დაახლოებით იმას ჰგავს. ტარიელმა რომ ვეფხვს სიყვარულით შეხედა და მოფერება მოინდომა მისი, მხეცმა კი მისი მოკვლა მოინდომა, რადგან მხეცია და სხვა რა შეუძლია? მხეცი, მხეცია და მასთან ბრძოლა და მისი გაკეთილშობილება გმირობაა. გმირობაა მცდელობაც კი და თუ ამ დროს, გმირს რამე დაუშავდა განა წუწუნის უფლება აქვს?

—ესეიგი კიბო გმირია და თავს წირავს გმირული საქციელით?

—რა თქმა უნდა, გმირია. პირში საძრახისის მოქმელს, მოყვარეც უბრალდება, და უცხო რაღას ისამს? არავის უყვარს როცა მის ცუდ საქციელს ან აზროვნებას თუ გამოაყლენენ და მიუთითებენ. მათ შორის არც ჭკვიანებს უყვართ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში შემდგომ ფიქრდებიან და ხოგჯერ გამოსწორებასაც იწყებენ. პირში მოძრახი თითქმის არავის უყვარს, მაგრამ, თუ მოიძებნება რბილი ფორმა შეიძლება ნაწყენიც არ დარჩნენ. თუმცა, რბილი ფორმა მოქმედებაშიც რბილია. ადამიანს მაშინ ახსომდება შენიშვნა, როცა ამის გამო გამწარდება და ემოციურად აღიგზნება.

—საერთოდ, რატომ არის, რომ ბევრი წესიერი, პატიოსანი და უცოდველი ადამიანი ამ საშინელი ცხოვრებისგან უბედურდება? რატომ ინაგრება კეთილი უფრო მეტად?

—ხალხის დიდი მასების უწმინდური აზროვნების შედეგად, შეიქმნა შავი, უწმინდური ველი. ამ ველში უწმინდური აზრფორმები დაქანაობენ, მთლიან ველს აღელვებენ და დაღუპვისაკენ მიაქანებენ. საშინელი, აღელვებული ზღვიდან კარგ მოცურავესაც გაუჭირდება გამოსვლა. საქართველო ჭაობად იქცა და ამ ჭაობში, უნებლიედ პატიოსანიც მოხვდა და რა თქმა უნდა დაიხრჩობა თუ ხელი არ გაატოკა. მით უმეტეს, რომ უცოდველი არავინ არის და მხოლოდ შედარებით შეიძლება გამოვარჩიოთ ცოდვილი და ნაკლებად ცოდვილი.

—თუ ასეა, ბოროტი საქციელით გამდიდრებულნი, ასევე მათგან გაძარცვულ, გაღატაკებულ ხალხს რომ ჩაგრავენ, პირველი შემოქმედნი

ხომ ისინი არიან უარყოფითი ველისა? ისინი ხომ პირველები უნდა იხრჩობოდნენ? პირიქით, უკეთესად რატომ გრძნობენ თავს?

—ისინი ხის ტოტზე მოქანავე ბავშვებს გვანან, რომლებსაც სიამოვნებთ ქანაობა, ამ სიამოვნებით გახარებულები უფრო მეტად და მეტად აქანავებენ ტოტს და ვერ გრძნობენ ძირს დანარცხების გარდაუვალობას. ისინი, არ არიან უკეთეს მდგომარეობაში. მათი უკეთესი მდგომარეობა, მხოლოდ შორიდან ჩანს და მათ ეწყენებათ ვისაც შურთ მათი ქონების. მატერიალური სიამოვნება ლამაზი ყვავილების ბუკეტია, რომელიც იმ დღესვე ჭკნება. სიწმინდე და მაღალგონიერება კი ის საღი თესლია, რომლისგანაც მარადიული ბუკეტი უნდა აღმოცენდეს.

—რატომ მოხდა ასე? ისინი ხომ ხელმძღვანელები იყვნენ, განათლებული და კომუნისტური პარტიის წევრები. კომუნისტები კი არც ისე ცუდები იყვნენ, როგორც ეხლა ამბობენ. ეხლანდელი დამანგრეველები კი, სწორედ კომუნისტი ხელმძღვანელები ან მათი შვილები არიან. ჩემს ბავშვობაში, პატარა რომ ვიყავი, პატიოსან და სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანებზე ამბობდნენ, ნამდვილი კომუნისტიაო. შემდგომში ნელნელა ისე მოხდა, რომ პირიქით, ასეთ ხალხს ინტრიგანებს უწოდებდნენ და სძულდათ.

—ცხვრის ფარას რომ შემოაბრუნებენ, წინ კოჭლები და დავრდომილები ექცევიან.

—შემობრუნება 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა, ისინი კი ძველი დროიდან გადმოვიდნენ მოწინავეებად. — თქვა ნოდარმა.

—შემობრუნება 70-იან წლებში დაიწყო. შეიძლება უფრო ადრეც, 80-იან წლებში კი დასრულდა. 90-იან წლებში, ანუ ამ უახლოეს წლებში, შემობრუნება არ მომხდარა, უბრალოდ ჩამატება მოხდა. საქართველომ იურიდიული დამოუკიდებლობა მოიპოვა ისიც ნაწილობრივ და არა სრულად, თან არა მთელს ტერიტორიაზე. ფაქტიურად კი ისევ სხვის გაელენაში დარჩა.

—ამ სხეებში ვინ იგულისხმება?

—აბა, დაუკვირდი. საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელი ადრეც იყო. ის იყო საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკთაგან ერთ-ერთი წევრი, რომელიც ნებაყოფლობით იყო გაერთიანებული ამ კავშირში. ის იყო რესპუბლიკა. ესეიგი იყო ცალკე სახელმწიფო, მაგრამ ამ კავშირში გაერთიანებული. ანუ იურიდიულად, მას ჰქონდა უფლება თავისი ეკონომიკა და პოლიტიკა დამოუკიდებლად ეწარმოებინა, მხოლოდ დანარჩენი რესპუბლიკების ინტერესების გათვალისწინებით. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო,. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰყავდა, თავისი ეროვნული ინტერესების მქონე მთავრობა. საქართველოს ხელმძღვანელობაში მთლიანად დამპყრობლის მიერ, მისივე ინტერესების მიხედვით შერჩეული პირები იყვნენ, რომელთაც ამავე დროს დამპყრობლის მიერ გამოგზავნილი თავისივე ეროვნების წარმომადგენელი პირი, მუდმივად მეთვალყურეობას უწევდა. ამ მხრივ რამე შეიცვალა? შეიცვალა მხოლოდ ის, რომ რუსეთის იმპერიამ სახე იცვალა და ეგრედწოდებულ კაპიტალიზმისაკენ აიღო გეზი.

—ეგრეთ წოდებული რას ნიშნავს ამ შემთხვევაში?

—ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური სოციალიზმი არ იყო ერთადერთი განმსაზღვრელი სოციალიზმისა და არც სწორი კაპიტალიზმისაკენ აიღეს გეზი.

—კაპიტალიზმისაკენ სწორი გეზის აღება როგორ უნდა მომხდარიყო? —შეეკითხა ნოდარი.

—ჯერ უნდა გამოცხადებულიყო თავისუფალი მეწარმეობა, გარკვეულ სწორ, სამართლებრივი კანონის ფარგლებში, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. შემდგომ, როცა ნიჭიერი მეწარმეები, გარკვეული კონკურენციის ფარგლებში გამოვლინდებოდნენ და ფულს დააგროვებდნენ, აუქციონის წესით უნდა გაყიდულიყო საწარმოები, რომლის მინიმალური გასაყიდი ფასი, თავის ღირებულებაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ფაქტიურად კი მოხდა ისე, რომ მთელი სახელმწიფო და ხალხის ქონება მიიტაცეს კორუმპირებულებმა, ხშირ შემთხვევაში კი გაუნათლებელმა და არა, პატრიოტულმა პირებმა. ამიტომაც ასეთმა პირებმა, იმის შიშით, რომ ხელისუფლება არ შეცვლილიყო ძველებური გზით და ნაჩუქარი საკუთრება არ დაეკარგათ, დაანგრიეს და გაყიდეს. ნაშოვნი ფული კი, აქვე კი არ დაბანდეს, უმრავლესობამ უცხოურ ბანკებში წაიღო. ეს ფაქტიურად ერის ღალატია. მაგრამ, იმ ცნობიერების ხალხისგან უკეთესი არც არაფერი იყო მოსალოდნელი. კომუნისტური პარტია, დღეს რომ სალანძღავი გახდა , ვინ ლანძღავს? ძირითადად სწორედ ისინი, ან მათი შვილები, ვინც კომუნისტური პარტიულობით მოიპოვეს უპირატესობები, ქონებას და ძალაუფლებას დაეუფლნენ და ამის დაკარგვის შიშით, ცდილობენ საშინელებად დახატონ ძველი დრო, სინამდვილეში, რა თქმა უნდა თვითოეული კომუნისტური პარტიის წევრები არიან. იმ პარტიაში დიდი უმრავლესობა პატიოსანი ხალხი იყო და მათგან ბევრი, ეროვნული პატრიოტიც. მათ პატიოსნება არ აძლევთ საშუალებას ძალაუფლებისათვის ებრძოლათ და თავისთავად, უმეტეს შემთხვევაში უსინდისო ხალხის ხელში მოხვდა ყველაფერი. საქართველოს დღესაც მარიონეტული მთავრობა ჰყავს, და დამოუკიდებლობისგან შორს არის. ეს იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ერი არ გამოიღვიძებს და მთლიანად არ გაწმენდს ეროვნულ ხელისუფლებას, ასეთი ადამიანების, მათი შვილების და შვილობილებისგან. ხოლო, თუ თვით მარიონეტული მთავრობა, ერთი ქვეყნის გაელენიდან მეორე ქვეყნის გაელენაში გადაინაცვლებს, ამით დიდი არაფერი შეიცვლება.

— ესეიგი რევოლუციაა საჭირო?

—რევოლუცია ნამდვილად საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ არა იმ გაგებით, თქვენ რომ გესმით.

—ჩვენ რა გაგებით გვესმის?

—თქვენ, რევოლუცია გესმით როგორც შეიარაღებული ხალხის მეშვეობით ხელისუფლების გადაყენება და ახალი ხელისუფლების დამყარება. ბოღმით, მშურით და სისხლისღვრით გადაყენებული

ხელისუფლების შემდეგ, მასზე უკეთესი ვერ შეიქმნება და შეიძლება უარესიც გამოდგეს.

–აბა, მაშ სხვანაირი რევოლუცია როგორიღაა? ხალხი, რომ ვეღარ მოითმენს ხელისუფლების უკუღმართობას, ქუჩაში გამოვა და შეცვლის ხელისუფლებას, ეს არ არის რევოლუცია? მართალია, ბოღმით იქნება, მაგრამ ხალხი თუ არ გამწარდა, თუ კმაყოფილი იქნება, მაშინ რევოლუცია ვის რად უნდა?

–ნათქვამია, "როგორიც ერი, ისეთი ბერიო" ღღეს რომ ასეთი ხელისუფლებაა, ეს ხალხის ა'ხროვნების შედეგია.ხალხის დიდ ნაწილს, თვითონ ვერ გაუგია როგორი საქართველო უნდა. მარტო კუჭის ა'ხროვნებით და ქონება'ხე ფიქრით სახელმწიფოს ვერ ააშენებ. თუ ეროვნული სული, ეროვნული სიამაყე არ არის ზომიერების ფარგლებ'ში და შესაბამისი განათლება არაა, ისე ეროვნული სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება. არა ეროვნული სულის ხალხს ადვილად იყიდი და ერისაკე საწინააღმდეგოდ გამოიყენებ. ეს კარგად ესმით ქვეყნის გარეთ და ამიტომაც, ცდილობენ ეროვნული ფესვები გადაგეჭრან. პირველ რიგ'ში ეროვნული სულის აღორძინების საშუალებებს სპობენ. დღეგანდელი უმეცრები და გაუგებრობაში ჩავარდნილი ხალხი კი, ამას მშვიდად უცქერის. ღღეს ქართველი ერი იმ ძლიერ მოჭიდავეს ჰგავს, რომელიც საჭიდაოდ დიდი სიამაყით გადავა, დარწმუნებული თავის გამარჯვება'ში, მოწინააღმდეგეს ვერ შეაფასებს და დამარცხდება, მერე კი თავისთავ'ხე განაწყენებული უიმედობაში ჩავარდება. ასეთ ლაჩრად ქცეული მოჭიდავე თავისზე გაცილებით სუსტსაც ვეღარ მოერევა. სიტყვა "რევოლუცია" ნიშნავს ევოლუციის გზას აცდენილის, კვლავ ევოლუციის გ'ზა'ზე დაბრუნებას. თქვენებური რევოლუცია კი, კვლავ აცდენილ გ'ზა'ზე სვლას ნიშნავს. ევოლუციის გზაზე დაბრუნებას სჭირდება მაღალი ცნობიერება. სიკეთის, სიყვარულის და ზოგად საკაცობრიო კაცთმოყვარების მორალზე დაფუძნებული ცნობიერება, სადაც სინდისს და მაღალ გონიერებას ეძლევა უპირატესი გასაქანი და არა ფულს. შურს, ბოღმას და უსინდისობას. სადაც, პატიოსან კაცს კი არ შერცხვება თავისი სინდისის გამოჩენისა, არამედ ბოროტს, უსინდისოს და თაღლითს მოეჭრება გასაქანი, და სამოქმედო ასპარე'ხი. მაღალმა, ცნობიერებამ უნდა ასწავლოს ხალხს მომავალზე ფიქრი, სწორი მიდგომა მომავლისადმი, სადაც გათვალისწინებული იქნება ოჯახის ინტერესიც, ერისაც და მთელი კაცობრიობისაც. უნდა მოე'შვან ღღეგანდელ კვერცხ'ხე ფიქრს და ხვალინდელ ქათამ'ხე იფიქროთ, ოღონდ ჯანმრთელ, ალალ ქათამზე. თუ ხალხის ცნობიერება ამაღლდება ხელისუფლებაც შესაბამისად შეიცვლება და ასეთები, როგორიც ღღეს არიან იქ ვეღარ იბოგინებენ.

–კი, მაგრამ ვინ უნდა აამაღლოს ხალხის ცნობიერება? ეს ხომ ასე ადვილი არ არის?

–ამირანის ზღაპარი წაგიკითხავს?

–კი.

–ხოდა, აი საქართველო დღეს იმ მდგომარეობაშია, როცა ამირანს შავი ვეშაპი გადაყლაპავს. როგორ გამოვა ამირანი იქიდან? –ჰკითხა ბერიკაცმა.

–გაახსენდება ჯიბეში ჯაყვა რომ აქვს, ამოიღებს, მუცელს გამოჭრის და ისე გამოვა.

–ჯაყვა კი არა, მახვილი. –შეუსწორა ნოდარს ბერიკაცმა., და ეს გონების მახვილია, მახვილგონიერება. როგორც ამირანს აღარ ახსოვდა ის მახვილი ჯიბეში რომ ჰქონდა, ისევე არ ახსოვს დღეს ქართველ ხალხს ძველი იბერიულ-ქართული ცნობიერება., ანუ გონების მახვილი. ასევე არ ახსოვს გონიერულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდე საკმარისად არიან საქართველოში და ჩრდილში არიან მიმალულები შიშით და უიმედობით. ამჟამად დადებითი ცნობიერება, ანუ იბერიულ-ქართული ცნობიერება შავი ცნობიერების მუცელშია. ე.ი. კუჭის ცნობიერებას ჰყავს დატყვევებული. ვეშაპი შავი ცნობიერებაა, რომელმაც საქართველო და ქართველი ხალხი გადაყლაპა და იქიდან გამოსვლის ერთად–ერთი გზა მუცლის გამოჭრაა მახვილით. ანუ მუცლის ცნობიერებიდან გამოსვლა. ეს მახვილი გონიერულად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა შექმნან.ეს კი მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ თუ ერთიმეორეს მონახავენ, გაერთიანდებიან, ჩამოყალიბდებიან, ჩრდილიდან გამოვლენ და ძველ ქართულ-იბერიულ ცნობიერებაზე დაყრდნობით, ახალ, მაღალ გონებამახვილურ ცნობიერებას შექმნიან. ამით ისინი საკუთარ თავსაც იხსნიან, ერსაც და მთელს ქვეყნიერებასაც. პატიოსნებას და ნიჭიერებას გზა გაეხსნება, ახალი თაობა იგივე ცნობიერებაზე დაყრდნობით კიდევ უფრო მაღალ ცნობიერებას შექმნის და ამირანიც აეშვება ჯაჭვებიდან. დაიწყება ახალი, ოქროს ხანა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეს ყველაფერი ადვილი არ არის. ჯერ მთავარი სიროულე ისაა იმ ადამიანებმა შეიგნონ, რომ საშველი მათ ხელშია და არა სხვაგან და სხვა რამეში. შემდეგ კი ერთიმეორის მოსმენა და ლაპარაკი უნდა ისწავლონ. ანუ ერთ ენაზე ლაპარაკი უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაერთიანდებიან და მაშასადამე, ვერც ვერაფერს შექმნიან. თუ ამას შეძლებენ, შემდგომში გზა ადვილად გამოიკვეთება. ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. თუ გადარჩენა უნდათ ქვეყნის, საკუთარი თავის და საკუთარი შთამომავლობის, მაშინ უნდა გააკეთონ ეს. თუ არადა უკეთეს შემთხვევაში მშვიდობიანად განადგურდება.

–ეგ როგორ მოხდება?

შემოვა უცხო ხალხი და ჩვენს ადგილს დაიკავებს. –უპასუხა ბერიკაცმა.

–ამ ყველაფერში რელიგიას რა როლი აქვს? არაფერი როლი არა აქვს?

–რელიგიაში რას გულისხმობ, ღმერთს, საეკლესიო მსახურებს თუ მოძღვრებას, წეს-დოგმებსა და სამლოცველო რიტუალებს?

–ალბათ ყველას ერთად.

–ღმერთი რომ ღმერთია, მეტი რაღა როლი უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, ვინ რა სახელს დაუძახებს, ყოველთვის დადებითი როლი აქვს ყველაფერში, თუ კი მას სწორად გაიგებთ და არ დაივიწყებთ. მის გარეშე არაფერი არ არსებობს და ხალხის ცნობიერებაში მისი სიყვარული, მოკრძალება და ზოგჯერ შიშიც აუცილებელია.

რაც შეეხება მღვდელმსახურებას, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან განსხვავებული მხოლოდ სამსახური აქვთ და როგორც ხალხში, იქაც არიან კარგიც და ცუდიც. ისინი ახალ ცნობიერებას არასოდეს ქმნიან. რელიგიის მსახურები არიან და თავის მოვალეობას ასრულებენ. მათ როლს კი ახალ ცნობიერებაში მართლაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამისთვის საჭიროა ზოგიერთმა მათგანმა, ვისაც ამის მონაცემები აქვს, გამოიკვლიოს, მეცნიერებთან ერთად ძველი, ქართული-იბერიული ცნობიერება, მისი კავშირი ბიბლიასთან, ქრისტეს მოვლენის მისტერიასთან და ლოცვები ქართულ უძველეს ცნობიერებაზე გადმოიტანონ. ამას ძალიან დიდი შრომა და გონიერება სჭირდება და თუ ისინი ამ ძალას იგრძნობენ, მაშინ სცადონ. მხოლოდ დასაწყისში ხალხისგან ფარულად უნდა აწარმოონ კვლევა-ძიება.

საერთოდ რელიგიები ღმეროს არ შეუქმნია. რელიგიებს ხალხი ქმნის (ამიტომაცაა მრავალი რელიგია) და ქმნის უმაღლესი საკაცობრიო გონიერებით, ღმერთისადმი უდიდესი სიყვარულით, მისადმი მოკრძალებით და ამავე დროს, ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით. რა თქმა უნდა შექმნა იმ ხალხმა, ვისაც ეს ხელწიფებოდა. ვინც ჩაწვდა ღმერთის არსს და სამყაროს საიდუმლოს. ასეთი ადამიანები ეპოქალურად იბადებიან და ყოველდღიურ მოვლენას არ წამოადგენენ. ღმერთისადმი რწმენა და პატივისცემა რელიგიის გარეშეც შეიძლება, მაგრამ ეს იქნება ქაოსური, მოუწესრიგებელი, რაც ახრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. ეს კი დიდ არეულობებს და დაპირისპირებებს გამოიწვევს, რასაც შეიძლება დაეღუპა აქამდე ქვეყნები. ძირითადმა რელიგიებმა, განსაკუთრებით ქრისტეანულმა დიდად მოაწესრიგა ეს ურთიერთობები. მიუხედავად ასეთი მოწესრიგებულობისა, ადვილი დასანახია, რამდენად შემოაქვთ არეულობა ახალ შექმნილ სექტებს. რომ არ იყოს მოწესრიგებული, მაშინ რაღა იქნებოდა, ძველი წარმოსადგენი არ არის. ალეგორიული მსგავსება, რომ გავაკეთოთ რელიგია ცხენის აღვირივითაა, ცხენი ხალხის მასების სულიერი ძალა, მხედარი კი კოსმიურ-ღვთაებრივი სიბრძნე, რომლითაც უნდა იმართებოდეს და რომელიც ჩადებულია ყველა ძირითად რელიგიაში. მსახურნი, რომელნიც რელიგიას ემსახურებიან, ამ სიბრძნის ჩარჩოებში უნდა მოქმედებდნენ. ამ ფორმით, სიბრძნის მიერ ხალხის მმართველობის სისტემამ დღემდე მოიყვანა კაცობრიობა და მრავალჯერ გადაარჩინა დაღუპვას. ამიტომ, ახალი ცნობიერება, რომელიც ძველზე დაფუძნებით უნდა ყალიბდებოდეს, არანაირად არ უნდა შეეხოს ამ სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობიერება გარკვეულწილად რელიგიასაც ეხება. უნდა შეეხოს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ღმერთთან მიახლოვება, მისი შეცნობა, მისი საიდუმლოს ჩაწვდომა გაადვილდეს და მისდამი შიშით, რწმენიდან

შეცნობით რწმენაზე გადასვლის საშუალება იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი ეპოქა, რომელიც ეხლა იწყება, თანდათანობით ხალხს ღმეთისადმი შიშს მოუხსნის და თუ შეცნობა ვერ მოახერხეს, სულში საშინელ სიცარიელეს გაუჩენს. ეს კი გამოიწვევს საშინელ ურწმუნოებას, გაბოროტებას, აღვირახსნილობას და კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ამის ნიშნებს ახლაც უკვე ვხედავთ. თუ ახალი ეპოქის მოთხოვნილებებს არ გავითვალისწინებთ და შესაბამისად არ შეუცვლით ცნობიერებას ახალ ეპოქაში ვერ შევალთ. ეს კი ნიშნავს, რომ დაეიღუპებით. ოღონდაც ახალი ეპოქის მოთხოვნები ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც დღეს ესმის ზოგიერთ რეგვენს, თითქოს ეს მოთხოვნილებები სწორედ აღვირახსნილობა იყოს. არა, ეს გარდამავალი ხანისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და რაც ადრე მოხერხდება დაბნეულთათვის „აღვირის ამოდება“ უფრო უკეთესი იქნება. თუმცა, ეს მხოლოდ ძველი მეთოდებით უკვე შეუძლებელია და ესეც ახალი ცნობიერების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

–ვერაფერი გაიგე. რელიგიას რომ სჭირდება რეფორმა, ამას დღეს ბევრი ამბობს, მაგრამ სისტემას არ უნდა შეეეხოთო ამბობ, მაშ როგორ მოხდება რეფორმა? –ჰკითხა ნოდარმა.

–რეფორმაში რას გულისხმობ, შენ ან სხვები, არ ვიცი. მე ვთქვი, რომ საერთო სისტემა უნდა დარჩეს უცვლელი, მაგრამ ცალკეული ცვლილებები, როგორც მოძღვრებაში, ასევე ლოცვებში უნდა მოხდეს. ისე რომ გარეგნულად არ გამოჩნდეს. ეს ცვლილებები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და გათვლილი მომავალი ეპოქის უფრო მაღალი ინელექტუალური და ეროვნული შესაძლებლობების მოთხოვნილებების მიხედვით. ეინაიდან გაზრდილ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს ძველი ვედარ დააკმაყოფილებს იმ სახით, რა სახითაც ჩნდებოდა ხალხთან. საერთო არსი არანაირად არ შეიცვლება, რადგან ის, იყო და არის ჭეშმარიტება და ცვლილებებიც იგივე ჭეშმარიტებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მხოლოდ გარეგნული სახე და ისიც ზოგიერთ ნაწილშია შესაცვლელი. და თუ ეს არ მოხდა, ურწმუნოება წალეკავს ყველაფერს.

–ეხლა უკეთესად გაიგე. შეგიძლია კონკრეტულად დაასახელო რომელიმე მაგალითი?

–რა თქმა უნდა, შემიძლია. მაგალითად ის, რომ ღმერთმა ქვეყნიერება შექმნა 7000 წლის წინ. ამას ეხლა ძალიან უმეცარიღა თუ დაიჯერებს. კიდე ის, რომ ღმერთმა ერთი პიროვნება ადამი შექმნა, შემდეგ მისგან ევა და ამ ორისგან შეიქმნა კაცობრიობა. რეგვენს უჩნდება ასრი, რომ ამ ორი პიროვნების მიერ შექმნილი ოჯახის წევრები, რადგან სხვა არავინ იყო, ერთმანეთთან მრუშობდნენ, რათა შთამომავლობა გაეგრძელებინათ. ასეთი ასრის აძლევთ გამართლებას, იმრუშონ, თუნდაც უფრო ნაკლები ცოდვით, ვიდრე მარტივი გაგებით წარმოშობილ ბრიყვულ ასრშია. ამიტომ საჭიროა, ამ და კიდე სხვა მრავალ საკითხთან დაკავშირებული საიდუმლოს ნაწილი გაიხსნას და ხალხის აზროვნებაში საშინელი ქაოსი არ დამკვიდრდეს.

—ეს მეც მაოცებს. მაოცებს ისიც, რომ ღმერთს თიხის შოვნა აღარ შეეძლო ევას შესაქმნელად, ადამის ნეკნი, რომ არ გამოეყენებინა. ისიც, რომ ღმერთმა მ'სა პროდუქტი შექმნა ცოცხალი არსებების სახით და ევოლუციის კანონი, რომლისაც მჯერა, არ არის გათვალისწინებული.

—ევოლუციის კანონი, სწორედაც, რომ გათვალისწინებულია, მაგრამ საიდუმლოდაა ჩადებული ქვე აზრში. ზედაპირულად ეს არ ჩანს. იმიტომ, რომ იმ დროისთვის ღიად ამის გაცხადება არ შეიძლებოდა. არათუ იმ დროისთვის,. ეხლაც კი ამის თქმა მასებისთვის არ შეიძლება. ამას შეიძლება გაეცნონ მხოლოდ მაღალი ინტელექტუალური და სულიერი შესაძლებლობის, სწავლისთვის მოწოდებული ადამიანები. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი, ყველასათვის მისაწვდომი გახდება. აი სწორედ ასეთი მდგომარეობები უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ასეთ ცვლილებებს არ შეიტანენ და ხალხი ამას საეკლესიო მოძღვრების გარეთ შეიტყობს, ცხადია ეკლესიის ავტორიტეტი შემცირდება. ასეთი ნიშნები როგორც უკვე ვთქვი არის. ბევრი ასეთი საკითხი, რომელიც ხალხს დღესდღეობით უკვე აინტერესებს, ამის პასუხს საეკლესიო მოძღვრებებს გარეთ გებულობს, თუმცა ყველა პასუხი არის ქრისტეანულ მოძღვრებაში, ამიტომ ინტერესს და რწმენას კარგავს ეკლესიისადმი.

—ასეთი რა საკითხებია?

—ასეთებია მაგალითად, რეინკარნაცია, სულიერი ჩაკრები, ასტრალური სამყარო, კარმა და სხვა. ეს ყველა ხომ უცხოური ტერმინოლოგიაა და ჩვენი ეკლესია ამ საკითხებზე დუმს. პასუხის გაცემა კი შეიძლება. წინაპრებმა ეს იცოდნენ. აი მაგალითად, კარმას პირველი კანონია, შემოსული ლიტერატურის ენით რომ ვთქვათ: აზრი განსაზღვრავს ადამიანის ბედს. იგივე კანონი კი, უძველესი დროიდან არის ჩვენს ხალხ'ში ცნობილი და ასე ჟღერს "რასაც დათესავ, იმას მოიმკიო", ან "რაც მოგივა დაეითაო, ყველა შენი თავითაო". სრულიად ერთიდაიგივე ა'ზრი და არსი დევს ორივეში. მხოლოდ სიტყვებით განსხვავდება. პირველ შემთხვევაში სიტყვები გვიხსნის, რომ ადამიანის ბედი აზროვნებით იწერება ანუ ითესება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი პირდაპირ თესვასა, საუბარი, რასაც დათესავ განა იგივეს არ ნიშნავს? რაზეც ა'ზროვნებ, კონკრეტულ შემთხვევაში იგივეს აკეთებ ანუ თესავ და რასაც ია'ზროვნებ იგივეს მოიმკი ანუ მიიღებ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე მარტივი არ არის, სიტყვებით ყველაზე მოკლედ და სწორად სხვანაირად არ ითქმება. ასევეა ვთქვათ, ინკარნაციაც, რეინკარნაციაც მისი მნიშვნელობაც ჩვენთანვე შეიძლება მოიძიოს და ხალხს აეხსნას, რომ ჩვენს წინაპრებს არც ეს გამორჩენიათ.

ბერიკაცი წამოდგა და ქოხში შევიდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ხელში ჯამით და თეფშებით დაბრუნდა. ჯამში კიტრი, პომიდორი და მწვანილი იდო, ხოლო თეფშების წყების ზედა თეფშზე ყველის მოსრდილი ნაჭერი. ეს ყველაფერი მაგიდაზე დადო და ნოდარს ჰკითხა: —საერთოდ დავჭრათ თუ ცალკე გირჩევნია?

ნოდარმა მხრები აიჩეჩა: —რა ვიცი, სულ ერთია.

—ჩვენ ხომ ჯერ მეგობრები არ ვართ, რომ ერთ გობში ვჭამოთ? თუმცა, პირიქით არის. ერთ გობში თუ არ ჭამეს მეგობრები ვერ იქნებიან თავისთავად. —თქვა ბერიკაცმა და ისევ ქოხში შებრუნდა. ამჯერად პური და ფინჯანით რძე გამოიტანა.

—აბა ერთი გავსინჯოთ შენი ღვინო. თბილი კი იქნება, მაგრამ არაუშავს, დალევის შემდეგ მაინც ხომ გათბებოდა. —თქვა ბერიკაცმა.

პომიდორი და კიტრი დაჭრეს და სუფრა გაიშალა. ნოდარმა ღვინო მხოლოდ ცოტა მოსვა, თითქმის მსგავსდ მოიქცა ბერიკაციც.

—გეტყობა ღვინო არ გიყვარს, რძეს ხომ არ დალევდი?

—ისეთ იშვიათ, ნოყიერ რძეზე უარის თქმა ძნელია. წინა მოსვლაზე, რომ დამალევინე ძალიან მომეწონა. —უპასუხა ნოდარმა.

ბერიკაცმა რძე გადაუდგა ნოდარს.

—კიბო მანცვიფრებს. —თქვა ნოდარმა. —ხალხში გიუის სახელი აქვს, თუმცა გიუი არ არის. ზოგჯერ კი ნამდვილი გიუივით იქცევა. ასეთი განათლების მქონე კაცი, რატომ იქცევა ასე? გიუის და მაწანწალას სახელის მოპოვებაში როლს ისიც თამაშობს, რომ არავინ იცის მისი ნამდვილი სახელი, არავინ იცის საიდან მოვიდა და სად ცხოვრობს. ხომ არ შეგიძლია ცოტა რამ ამიხსნა კიბოს შესახებ?

—თვითონ მას თუ კითხე?

—არა. არ მიკითხავს. იმიტომ, რომ ალბათ ბევრი ჰკითხავდა და თუკი არავინ იცის, ესეიგი არავის პასუხობს. მაშასადამე, არც მე მიპასუხებს და შეკითხვას რა აზრი აქვს. თანაც ასე მგონია, რომ თუ ეკითხე, რაღაც ტკივილს მივაყენებ. ხშირად, როცა მას ჩაგრავენ მინდა გამოვექომაგო, მაგრამ ზოგჯერ ისეთი აგრესიულია, მიჭირს გამოქომაგება.

—რადგან ასეა, გეტყვი. კიბოს არ უყვარს თავისი წარსულის გახსენება. ცხადია იმიტომ, რომ არ არის სასიამოვნო და მას ტკივილს მართლაც აყენებს. ამავე დროს ხალხისთვის ამის ცოდნა სრულიად არაფრის მომტანია, თვითონ კიბოსთვის კი ეს დამატებითი სიროულე იქნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ შენ თუ ჰკითხავდი, მოგიყვებოდა. მთლიანად თუ არა, ძირითად ნაწილს მაინც. —თქვა ბერიკაცმა და განაგრძო:

კიბოს მართლაც კარგი განათლება აქვს. მას კარგად ესმის ავკარგიანობა, თეთრი და შავი. შეიძლება ითქვას, რომ მან გამოიღვიძა, მაგრამ დიდი მსხვერპლის სანაცვლოდ. დასანანია, რომ გამოღვიძება უმეტესად უბედურების და მსხვერპლის შემდეგ ხდება. ვიდრე ურემი არ გადაბრუნდება იქამდე გზას არ ეძებენ. ღმერთს იძულებულს ხდიან სილა გააწნას გამოსაფხიზლებლად, თუმცა უმეტესობა, ამის შემდეგაც ვერ იღვიძებს. კიბომაც ასეთი სილის გაწვნის შემდეგ გამოიღვიძა, მაგრამ ჩათვალა, რომ უკვე გვიანი იყო. მის თავზე მომხდარმა უბედურებამ ჩვეულებრივი პიროვნული სიამაყე სრულიად გაუქრო და თავისი სიცოცხლისადმი, არსებობისადმი აბსოლუტურად უინტერესო გახადა. ასეთ ვითარებაში ალბათ ნებისმიერი ადამიანი გაბოროტდებოდა, კიბოც თითქოს გაბოროტებული ჩანს, მაგრამ არ

არის გაბოროტებული. მას ბევრი სიკეთე უქმნია. იგი უბრალოდ გამწარებულია და კბენს სიტყვებით მათ, ვინც ერის ჩირქად მიაჩნია.

—ასეთი რა ტრაგიკული მოვლენა გადახდა თავს?

—მას თავის დროზე, კარგი, ტკბილი ოჯახი ჰყავდა. კარგ თანამდებობაზე მუშაობდა და კარგი ხელფასი ჰქონდა. მოკლედ ბედნიერად ცხოვრობდა, პატიოსნად მუშაობდა და პატიოსან ცხოვრებას ეწეოდა. იყვნენ თავისთვის ბედნიერად, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება-ხოლმე, ერთის ბედნიერება, მეორეს ეკლად ესობა თვალში. აქაც ასე მოხდა, თუმცა იგი თავისთვის პატიოსნად ცხოვრობდა და არავის არაფერს ვნებდა. სხვა თანამდებობის პირებივით უკანონოდ ნაშოვნ ფულს არ ფლობდა. მეზობლებს, ვინც მიდიოდა მასთან ფულის სასესხებლად შესაძლებლობის მიხედვით ხელს უმართავდა, უკან კი არავის სთხოვდა. ამის გამო ზოგი არ უბრუნებდა. ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია ბევრში ეჭვი. ზოგიერთებს არ სჯეროდათ მისი პატიოსნების. ჩათვალეს, რომ რაკი კარგად ცხოვრობს. მაშასადამე ბევრი ფული აქვსო და გადაწყვიტეს დაეყაჩაღებინათ. ასეც მოიქცნენ და დააყაჩაღეს. დაყაჩაღებისას აღმოჩნდა, რომ მას არც ფული ჰქონდა და არც ოქრო. მაგრამ, ყაჩაღებმა არ დაიჯერეს, ჩათვალეს, რომ მალავდა და მკაცრად გაუსწორდნენ. მისი ვაჟი, რომელიც უკვე 18 წლის იყო, მათთან შებრძოლებისას დაიღუპა. მისი ცოლი და 15 წლის გოგონა მის თვალწინ გააუპატიურეს. ის კი თოკებით დაბმული უსუსურად ცდილობდა რამე ეღონა. მისმა გოგონამ ფსიქოლოგიურ ტრავმას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. მისმა ცოლმა დარდებს ვერ გაუძლო, დაავადდა და ისიც მალე მოკვდა.

—საცოდავი... რა უბედურება დამართნია. რა საშინელი მხეცობაა. ადამიანი, ასე როგორ უნდა დაეცეს ფულის გულისთვის? სად იყო მაშინ ღმერთი? ასეთი პატიოსანი და კეთილი კაცი რატომ დაღუპა? ესეიგი ღმერთს სამართალი არა აქვს?

—საქმე იმაშია, რომ ადამიანებს, რომელთაც ეძლევათ გონიერების, სიკეთის და სიყვარულის ძალა, ისინი ღმერთის რჩეულები არიან. იმიტომ, რომ ღმერთს საზოგადოებაში გონებრივად სწორედ მათი მეშვეობით შეუძლია თავისი თავის რეალიზება-გამოვლენა, ხალხის გონებრივ-ევოლუციური განვითარებისათვის. ღმერთს მხოლოდ ასეთი ადამიანების მეშვეობით შესწევს ძალა, მიაღწიოს უგუნურ ადამიანებამდე და ეს არის უმთავრესი გზა, რომლის საშუალებითაც ღმერთი თავის დადებით გავლენას მოახდენს ხალხზე და გონიერებისაკენ წაიყვანს. ასეთ შემთხვევაში, თუ ვინმე რჩეულთაგან თავის ოჯახურ ბედნიერებაში ჩაიკეტება, არ იმოქმედებს ხალხში გონიერების დასათესად, ეს ნიშნავს, რომ იგი ღმერთს სიკეთისა და გონიერების გამოვლენის გზას უკეტავს და რეალიზების საშუალებს არ აძლევს. ამიტომ ღმერთი იძულებული ხდება დასაჯოს თავისი 'რჩეული". დამსჯელებად კი ჯალათები, —უგუნური და უგულო ადამიანები, მრავლად არიან, რომელთაც სხვისი სიცოცხლე არაფრად უღირთ და საკუთარ თავსაც ღუპავენ.

–აბა რა უნდა აკეთონ, როგორ უნდა იმოქმედონ, როგორ უნდა მისცენ ღმერთს, გონებრივი გამოელენის საშუალება?

–ასეთ ადამიანებს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან მაღალი გონიერებით, ღმერთისგან მიეწოდათ ღვთაებრივი მადლი. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი მათში შევიდა, გონიერების სახით. ისინი გარკვეულად ხდებიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამტარები ღმერთის გონიერებისა და მათი მეშვეობით ღმერთს შეუძლია ნათელი შეიტანოს ხალხის გონებაში. ამიტომ, ისინი ვალდებულნი არიან "წყალი მწყურვალს დაალევინონ". ღმერთის მადლი და ძალა ანუ გონიერება განაერცონ, რისთვისაც შესაბამისად უნდა იმოქმედონ. ხალხს ნათელი უნდა მოჰფინონ და ანტიქრისტე დაამარცხონ. მაშინ აღარ იქნება მხეცი ასე აღზევებული, რამაც კაცობრიობა დაღუპვის პირას მიიყვანა, უკან დაიხევს და ბოროტება შემცირდება. თუ არ გამოაელენს ამ უნარს და თავის თავში ჩაიკეტება ეს უკვე დანაშაულია. ეს იგივეა, მწყურვალთა თვალწინ სასმელ წყალს ღვრიდე და მათ არ ასმევდე.

–ეხლა ახდენს ღმერთის მადლის გონის რეალიზებას, განერცობას?

–ნაწილობრივ კი, მაგრამ არა იმ შესაძლებლობით რაც მას გააჩნია. იმ ტრაგედიის შემდეგ, მან ერთერთი მთავარი ძალა დაკარგა. დაკარგა ცოცხლებისადმი ნდობა, სიყვარული, ინტერესი, სიცოცხლის ხალისი. ეს კი ბევრს ნიშნავს საქმის კეთებისთვის. მას აღარ აქვს უნარი იყოს ხალხისთვის მაგალითის მიმცემი შუქურა.

–უმეცარმა რომ ილაპარაკოს სისულელე, თავი ბრძენად ჩათვალოს, ეს ხალხმა როგორ გაარჩიოს?

–ეს ძალიან ადვილია. უმეცარი ყბედობს, გონიერი კი სიდნჯით გამოირჩევა და მოზომილად ლაპარაკობს, სწორედ იმდენს, რამდენიც საჭიროა.

–თუ ის კაცი, „რჩეული," თავისი თავის, ანუ თავის თავში არსებული გონიერების რეალიზებას მოახდენს დადებითად, მაშინ ბედნიერად იცხოვრებს?

–გააჩნია შენ რას ეძახი ბედნიერებას. თუ ამაში ბევრ ფულს და ფუფუნებას გულისხმობ, ანუ ერთი ფუს მეშვეობით ორი ფუს მიღებას, ამას ვერ მიიღებს, რადგან ეს მხეცის სინდრომია და მხეცის სინდრომით დაავადებული, მიწიერ ამბიციებში, დაუკმაყოფილებლობის გრძნობით გამოწვეულ ბოლმაში იხრჩობა და ბედნიერი ვერასდროს იქნება. ამით ბედნიერება არავის მოუპოვებია. აღრეც გითხარი, რომ ამას ბედნიერება არ მოაქვს. მხოლოდ შორიდან ჩანან ბევრი ფულის მქონენი ბედნიერები. ბედნიერება, სიყვარულს და ურთიერთგაგებას მოაქვს. ბედნიერება სიხარულს მოაქვს, რომელსაც განიცდი, რაღაც დადებითის შექმნის, დაცემულის წამოყენების შემდეგ. საკუთარი ნამოქმედარის, კარგი, სასარგებლო შედეგიანობის შედეგად, როცა კეთილი ქმედების ნაყოფს დაინახავენ. ასეთ დროს ნამდვილად ბედნიერნი არიან.

–კიბო მართლაც თესავს სიკეთეს და გონიერებას ზოგჯერ, მაგრამ არამგონია ამის გამო ბედნიერი იყოს.

–ბედნიერება მხოლოდ შინაგანად შეიგრძნობა და არა გარეგნულად. კიბო ამ მხრივ რას გრძნობს, მას უნდა ჰკითხო, გარედან არ უნდა შეაფასო. თუ იმით განსჯი, რომ სცემეს, დაამცირეს და ტანჯვა მიაყენეს, სხვებს უარესი ტანჯვები და დამცირებები აქვთ, მაგრამ ამას ხშირ შემთხვევაში შეგუებულები არიან, პირიქით დამამცირებელს ელაქუცებიან, რომ რამე სარგებელი გამოსტყუონ ან უკიდურეს შემთხვევაში შეარბილონ მისგან დამცირება. კიბო კი, ასეთი არ არის. როგორც გითხარი მან ბედნიერების გახანგრძლივებისთვის აუცილებელი მოქმედება არ გამოაელინა საჭირო დროს და ძაფიც გაწყდა. ცნობილია, რომ ადამიანი, რომელსაც რაიმე სამსახური, მუდმივი სამუშაო და შესაბამისი ჯამაგირი აქვს, მაინცდამაინც ვერ გრძნობს თავს ბედნიერად, მაგრამ თუ იგი უმუშევარია, ოჯახს ვერ კვებავს და შიმშილობს, სამუშაოს შოვნის შემთხვევაში გარკვეული დრო ბედნიერია. მუდმივად საუკეთესო საჭმელებში მყოფი თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს, მაგრამ ერთი კვირა, რომ აშიმშილო, ჭამის იმედი აღარ ჰქონდეს და ყველაზე უბრალო საჭმლის ჭამის საშუალება გაუჩნდეს, თავს ბედნიერად იგრძნობს.

ესეიგი, ასეთი კატეგორიის ხალხს, რომელთაც უფრო ხშირად უჭირთ სოციალურად და ეკონომიურად მეტი ბედნიერების განცდა აქვთ. თუმცა, ტანჯვაც მეტი აქვთ და ხშირად ეს ბადებს ბედნიერების შეგრძნებას. იგივეა სიყვარულშიც. ვისაც სიყვარული უფრო მეტად სტანჯავს, თუნდაც იმიტომ, რომ საყვარელ ადამიანსე სხვადასხვა მი'სეზების გამო ხელი არ მიუწვდება, უფრო მძაფრად განიცდის სიყვარულს. აქ მხედველობაში არ მიიღება ცოლ-ქმარი, რომელნიც ბედნიერებისა და უკეთესი ცხოვრებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში აღმოსნდებიან. მათთვის სიყვარული მეორე ან მესამე რიგშია გადაწეული.

–'ეამრავი კატეგორიის ადამიანი არსებობს, თუნდაც ეს უკანასკნელი მაგალითი: უკეთესი ცხოვრების ძიებით თითქმის გაყრილი ცოლ-ქმარი. შესაძლებელია თუ არა რაღაც გარკვეულ ჩარჩოებში, კატეგორიებში ხალხის მოქცევა?

–მარტივად შეიძლება დაეყოთ ადამიანები სამ სახედ: პიროვნული, არსებითი და არსობითი ადამიანები. პიროვნული ადამიანები არიან საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომელნიც განიცდიან "საკუთარი" საზოგადოების მიერ ცნობიერების ჩამოყალიბებას, გარკვეულ ჩარჩოში. ესენი თავის მხრივ სამ ნაწილად შეიძლება დაეყოთ, თეთრი ცნობიერების, შავი ცნობიერების და შერეული ცნობიერების ადამიანებად.

თეთრი ცნობიერების ადამიანები არიან ისინი, რომლებიც გარკვეულ ზრდილობისა და კულტურის ცნობიერების ჩარჩოებში აღიზრდებიან. ასეთ ადამიანებს მშვენიერად უვითარდებათ ზრდილობისა და კულტურის ნიღაბი, მის უკან კი შეიძლება მეტად უზნეო, შინაგანად გულქვა ადამიანი იყოს.

შავი ცნობიერების ადამიანები არიან ისინი, რომლებიც ქურდული კანონის ცნობიერებით აღი'ზრდებიან. ასეთ ადამიანებში, მიუხედავად

მათი შავი ცნობიერებისა და მისი უარყოფითი შედეგისა შინაგანად შეიძლება გარკვეულად კეთილი სულის პიროვნებაც აღმოჩნდეს.

შერეული ცნობიერების ადამიანები კი არიან ის ადამიანები, რომელნიც კორუფციულ გარემოში აღიზარდნენ, ჩამოყალიბდნენ. მათ აქვთ როგორც ზრდილობის და კულტურის ნიღაბი, ასევე ქურდული ცნობიერება, თუმცა ცოტად განსხვავებული წინასგან.

არსებითი სახის ადამიანები, დარჩენილი ხალხის უდიდესი ნაწილს წარმოადგენს ადამიანები, რომელთა მთავარი საზრუნავია უკეთესი პირადი და ოჯახური გარემოს შემნა საკუთარი შრომის მეშვეობით. მათთვის ზრდილობა და კულტურაც მეორე რიგსეა, არც ქურდული ცნობიერება აინტერესებთ. ასეთი ჯგუფის ხალხში შეიძლება ნახოთ ისეთი ადამიანიც,რომელიც ოჯახის წევრებს ლანძღავდეს და სცემდეს კიდეც, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათთვის თავს გაწირავს. ამავე დროს საზოგადოებისთვისაც დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ნაყოფიერია და ყოველთვის მზად არის სხვას დაეხმაროს. უყვარს თავისი ოჯახი, თავისი გარემო, მცირედით კმაყოფილდება და დიდად არ აინტერესებს საზოგადოებრივი აზრი, ბევრი ფული თუ ქონება.

მესამე, ანუ არსობითი ადამიანები, უმცირეს ნაწილს წარმოადგენს, რომელთათვისაც მთავარია პირადი ღირსება და სინდისი. ისინი შინაგანად განიცდიან ყოველივე საზოგადოებრივ მანკიერებას და ცდილობენ საკუთარი მაგალითით, საკუთარი ქცევითა და ცნობიერებით, გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. ასეთ ადამიანებში ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც საკუთარ თავს სწირავენ საზოგადოებრივი ცნობიერების სიკეთისკენ შემობრუნების, მცდელობას.

—საინტერესო დაყოფაა. ალბათ იმ მესამე კატეგორიის ადამიანების შემწეობითაა, რომ ჯერ კიდევ რაღაც კარგი შემონარჩუნებულია საზოგადოებაში, რომ ხალხს ერთიმეორე ჯერ კიდევ არ ამოუჭამია და მომავლის იმედიც არსებობს.

—ჰო მართალია. ასეთი კატეგორიის ადამიანებს უჭირავთ ზნეობრივად ქვეყანა, რომ არ წახდეს, არ განადგურდეს. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ კატეგორიებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს და არიან ისეთებიც, რომელზეც ვერ იტყვი გარკვეულად რომელს მიეკუთვნება.

—დასახელებები რატომ არის ასეთი უცნაური, მაგალითად არსობითი, რატომ მაინცდამაინც ასეთი სახელწოდება?

—იმიტომ, რომ ადამიანის არსებობას აქვს თავისი არსი ანუ მიზანი, როგორც კოსმიური ასე მიწიერი. მგელს თუ აქვს არსი, რომ იყოს მხეცი და ცხვარი შეჭამოს, ადამიანს აქვს არსი, როგორც ყველაზე მაღალგონიერმა ევოლუციურმა არსებამ, სულიერი ამაღლება განიცადოს, გონიერების უმაღლეს მწვერვალებს მისწვდეს და გაუძღვეს არა მარტო თავიანთ საზოგადოებრივ ცნობიერების გონივრულობისაკენ სწრაფვას, არამედ დედამიწის საერთო არსებათა მოწესრიგებულ თანაცხოვრებას.

—რასაც ჯერჯერობით ვერ ახერხებს, ხომ ასეა?

—არა. არც მთლად ასეა საქმე. რა თქმა უნდა იყო რთული ხანები და ახლაც ასეთი ხანაა, მაგრამ საერთო ჯამში, ასე თუ ისე თავი გაართვა.

უამრავი ერები და ქვეყნებიც არსებობს და მიუხედავად ბრაკონიერებისა, სხვადასხვა არსებათა დაცვის საზოგადოებაც არსებობს, რომელნიც ცუდად თუ კარგად მოვალეობას ასრულებენ.

საინტერესო საუბარში საკმაო დრო გასულა. ნოდარმა იფიქრა ჩემი წასვლის დრო მოვიდაო და ბერიკაცს უთხრა: –კარგი, ეხლა წავალ მე. სანამდე ჩავალ, დაღამდება. დიდად მადლობელი ვარ საინტერესო საუბრისთვის.

–შენი ნებაა, ალბათ დაიღალე კიდეც.

–ხო, მართალია. დავიღალე ალბათ. თავი გამიბრუვდა. ნახვამდის.

–ღმერთის მადლი არ მოგკლებოდეს.

ნოდარმა თავისი ჩანთა აიღო და წავიდა.

ნოდარს და გიას ძალიან გაუგრძელდათ ჯიხურის მშენებლობა. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ გია ყოველ მესამე დღეს დარაჯად მუშაობდა და თავისთავად მშენებლობას აკლდებოდა. ხშირად ორივეს ან ერთერთს რაიმე ოჯახური საქმე აბრკოლებდა, მაგრამ ვიდრე რთველი დაიწყებოდა, მოასწრეს და ჯიხური ააშენეს. სახურავიც დაახურეს, მხოლოდ სამღებრო სამუშაოებიღა დარჩა. ეხლა უკვე რთველის გამო შეწყდა მუშაობა. მართალია, რთველი მათგან მხოლოდ ნოდარს ჰქონდა, მაგრამ ერთიმეორის გარეშე მაინც ვერ მუშაობდნენ და მშენებლობაც თავისთავად გაჩერდა.

წლევანდელ მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ნოდარი ფიქრობდა, რომ სამ ტონამდე ყურძენს დაკრეფდა. ამდენ ყურძენს, ცხადია სახლში ვერ დაწურავდა. საამისოდ არც ჭურჭელი ჰქონდა და ვერც ამდენ ღვინოს გამოიყენებდა. ამიტომ, გადაწყვეტა სახლში მხოლოდ ნახევარი ტონა დაეწურა, დანარჩენი კი ღვინის ქარხნისთვის მიეყიდა. მართალია, ქარხნები ისეთ დაბალ ფასში ყიდულობდნენ, რომ შრომას კი არა ფულად დანახარჯსაც ძლივს ანაზღაურებდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? ხომ არ გადაყრიდა?

ნოდარი მთელი დღე ქვევრის რეცხვით იყო დაკავებული. სულაც არ სიამოვნებოდა ეს საქმიანობა, მაგრამ აუცილებლობა აიძულებდა, რომ გაერეცხა. რეცხვისგან დაღლილს საღამოს ტკბილად დაეძინა.

დილით რომ გამოიღვიძა უკვე გათენებული იყო. ის დაღლილობა და მკლავების ტკივილი თითქოს სადღაც გამქრალიყო. აივანზე დადგმულ საწოლში მზემ პირდაპირ მიანათა. რაღაც სასიამოვნო განცდა დაეუფლა. რაღაც საოცარი მოულენა ხდებოდა. ძილში იყო თუ სიფხიზლეში თვითონაც ვერ გაერკვია. მზე, რომელიც მას დანათოდა ამოსულიყო კავკასიონის ცადაბჯენილი მწვერვალებიდან და უცნაურად ელვარებდა. თითქოს რაღაც ბუდეში იჯდა და ისე ირხეოდა, ამ ბუდიდან გამოვარდნას ლამობდა. ისეთი სანახავი იყო, თითქოს კავკასიონის ქედშეთიდან, ქვესკნელის თავადთა ტყვეობიდან, ბნელეთის, ბოროტების, ტანჯვის სამყაროდან განთავისუფლდა და ცაში აიჭრა. მაგრამ, სრულ თავისუფლებას მაინც რაღაც ბუდე უშლიდა ქვესკნელიდან გამოყოლილი. მაგრამ, აი აიწია ცოტა კიდე ზემოთ და ეს რაღაც ბუდე მოეხსნა. მოეხსნა და მან ფერი იცვალა. ალისფერის ნაცვლად, როგორც

მანმადე იყო ოქროსფრად იქცა, ცაში აიჭრა და შეიგრძნო რა თავისი საკუთარი სამყარო, საკუთარი ადგილსამყოფელი, გალაღებული, ნეტარებით ჰფენდა ქვეყანას თავის სხივებს. კეთილი მზერით უზიარბდა ხალს თავის სითბოს და სინათლეს.

–ეს რა უცნაური მზეა. –ფიქრობდა ნოდარი. –დღეს რაღაც განსაკუთრებული მზეა, ეს რა მოელვარე ცეცხლია მის გულში, ასეთი რამ სხვა დროს არ შემინიშნავს. იქნებ, ეს მზე არც არის? იქნებ ეს ის ცეცხლია, რომელიც ამირანმა ანუ პრომეთემ მოსტაცა ზევსს, რის გამოც კავკასიონზე მიაჯაჭვეს და მას შემდეგ, იქ არის მიჯაჭვული დღემდე? –ნოდარს უცნაური შეგრძნებისაგან გული შეეკუმშა. –ის ცეცხლი ხომ დღემდე არავის უნახავს. თუ ეს ის ცეცხლია, თუ ცეცხლი განთავისუფლდა, მაშინ ამირანიც ხომ განთავისუფლდებოდა? კი. ნამდვილად. ამირანი განთავისუფლდებოდა. სხვანაირად შეუძლებელია. მხოლოდ მას შეეძლო ქვესკნელთა მეუფეთაგან მოტაცებული, ჯურღმულში ჩაკეტილი ცეცხლის განთავისუფლება. ესე იგი ამირანი და მისი ცეცხლი თავისუფალია. რა სასიხარულოა. თუმცა ჯერ არავინ იცის და ვერც გაიგებენ, რადგან უცეცხლობით გულები აქეთ გაყინული, მაგრამ მაინც მთავარი მოვლენა მოხდა. ცეცხლი განთავისუფლდა და იგი ამოიფრქვა კავკასიონის მწვერვალებიდან და მზეს შეუერთდა, შეერწყა. ამიერიდან მზე მარტო თავის სითბოს და სინათლეს კი არა, ზევსის ცეცხლის სითბოსაც მოგვაწვდის. ეხლა ადვილად შეძლებს მზე ამ ცეცხლის დახმარებით ადამიანთა გაყინული გულების გალღობას. საყოველთაო სითბო და გონიერება დაისადგურებს და ბოლოს და ბოლოს, დადგება დიდი ხნის ნანატრი წესრიგისა და სიყვარულის ეპოქა.

მოულოდნელად სასწაული მოხდა და მზის შორიახლოს მეორე მზე გაჩნდა. იგი პირველს სიკაშკაშით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა. ეს ორივე ერთი მეორესთან ოქროსფერი სხივებით შეიკრა, ორივემ ასევე ოქროსფერი სხივები გატყრცნეს ნოდარისკენ და შეიკრა ოქროსფრად მოლიელივე სამკუთხედი. მის შიგნით, წვეროებიდან მოდენილი ასეთივე სხივები ჩაიღვარა და ოქროსფერი ბადე წარმოიშვა. ამ ბადეში მკრთალად შეინიშნებოდა მომწვანო სამკუთხედი, რომლის წვერო ზემოთ იყო მიმართული და მზეთა შუა კავკასიონის ერთერთ მწვერვალზე იდო. ოქროსფრად მოელვარე ბუდეში ეს მწვანე მოცისფრო ფერი ესე ლამაზად შეერია, რომ რაღაც საოცარი სილამაზის ფერებს ჰქმნიდა. თითქოს ულამაზესი ხალიჩა იყო, სადაც ულამაზესი ყვავილები, ფერადფერადი ბუშტები ამოქარგული კი არ იყო, არამედ ცოცხლად ირხეოდა და ლივლივებდა ციდან მონაბერი სიოთა ნაზი ქროლვით.

ნოდარი უმზერდა ამ სასწაულებრივ სილამაზეს და ნეტარებით ტკბებოდა. უცებ ამ ულამაზეს მოლიელივე ფერთა სიმრავლეში გოგონა გამოიკვეთა. გოგონას ვარდისფერი, თხელი, თითქმის გამჭვირვალე ფრიალა კაბა ეცვა. იგი ნაზი, ჰაეროვანი მოძრაობით ცეკვავდა, რომელიც ჰარმონიულად შეერწყა ყვავილთა რხევას და ფერთა ცვალებადობას.

გოგონა უცნაურ, ლამაზ ცეკვას ცეკვავდა, რომელიც უფრო ქართულ სამაიას წააგავდა. ლამაზი, მომღიმარი, გამომწვევი თვალებით უმზერდა ნოდარს, თითქოს აგრძნობინებდა მე შენთვის ეცეკვავო.

–ეს ხომ მანანაა! ჩემი მანანა! –წამოიძახა ნოდარმა და მყისვე წამოდგა. წამომდგარი, ისე რომ ნაბიჯიც არ გადაუდგავს, პირდაპირ შეცურდა ამ სასწაულებრივ საოცრებაში. შეცურებისთანავე სამკუთხედმა ფორმა შეიცვალა, წრიული ფორმისაკენ დაიწყო სწრაფვა და თანდათან კიდეები უსასრულობაში გადაიზარდა. ნოდარის ირგვლივ, ულამაზესი ბაღნარი გაიშალა, სადაც ათასგვარი მგალობელი ჩიტები გალობდნენ. მანანა უკვე ნოდარის წინ ცეკვავდა.

–მანანა! ჩემო მანანა. რატომ არ მითხარი თუ აქ იყავი? რამდენი გეძებე, შენ კი აქვე ყოფილხარ, ჩემთან. –თქვა ნოდარმა და ხელები მოხვია, მაგრამ ხელებმა მანანას სხეულში თავისუფლად გაიარა. ნოდარი დაიბნა.

–მე მანანა არა ვარ. მოკლედ მიუგო ღიმილით გოგონამ, რომელიც ისევ განაგრძობდა ცეკვას. იგი მართლაც აღარ ჰგავდა მანანას. სულ სხვა იყო, თუმცა ნაცნობი სახე და მშვენიერი სილამაზე ისევე ჰქონდა. ნოდარი შეეცადა გაეხსენებინა ვინ იყო, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

–მაშ შენ ვინ ხარ? ან სად ვარ? რა ქვეყანაა ეს? –ჰკითხა ნოდარმა.

–ეს შენი სულისა და ოცნების, მომავლის, დროისა და სივრცის კომბინაციაა და მისი ნაყოფი–ასული ვარ. ეს წარმოსახვა მზემ შეგიქმნა თავის სხივებით, დასანახად. თუ მოისურვებ და გაჰყვები მზის ნათელს, ის მოგიყვანს ჩემთან.

ნოდარს კიდე უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოულოდნელად ეს საოცრება გაქრა და ისევ აივანზე მდგარ საწოლში აღმოჩნდა მყისიერად. მან გაიხედა მზეებისკენ, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი მზე იყო, რომელიც უკვე საკმაოდ მაღლა აწეულიყო ჰორიზონტიდან. არავითარი უცნაურობა. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო.

–ეს რა იყო? რა საოცრება იყო? მეძინა და სიზმარში ვნახე, თუ რა იყო? მაგრამ, მე ხომ არ მეძინა. თუ არ მეძინა ესეიგი მართლა იყო. მაგრამ, ასეთი რამ ხომ შეუძლებელია სინამდვილეში ყოფილიყო? ესეიგი მეძინა. მაგრამ არც რომ მეძინა. –ნოდარი ამ ყველაფრის ხილვით განცვიფრებული იყო. ვეღარ ერკვეოდა რა იყო, სინამდვილე თუ მოჩვენება. "ორი მზე იყო და ამ ორმა მზემ შექმნა ის ყველაფერი, მაგრამ ორი მზე ხომ შეუძლებელია რომ ყოფილიყო! –მან გაიხედა ზესტად იმ მიმართულებით, სადაც მეორე მზე იყო და იქ სკოლის შენობა იდგა. იქ მზე ვერ იქნებოდა, რადგან ცა კი არა, სკოლის კედლები ჩანდა. მაშასადამე მომეჩვენა. უფრო სწორად კი სიზმარი იყო. –ნოდარი ცოტა დაფიქრდა და მერე მიხვდა:

–როგორ არა, ეს მართლა იყო. მართლა იყო მეორე მზე და ეს სკოლის ფანჯარაში არეკლილი პირველი და ერთადერთი მზის ანარეკლი იყო. მე ხომ სხვადროსაც შემინიშნავს, როგორ გამოჩენილა სკოლის ფანჯრის შუშებიდან არეკლილი მზე? კი, ეს მართლა იყო, მაგრამ დანარჩენი რაღა იყო. ის საოცრება ხომ ვერ იქნებოდა სინამდვილე?

ნოდარმა კიდე ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა ზუსტად და ბოლოს დაასკვნა ალბათ ძილბურანში ვიყავი და ასე, სიფხიზლის მაგვარი სიზმარი ვნახეო და ამაზე ფიქრს შეეშვა. შემდეგ თათია გაახსენდა. —ეროი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თათია ენახე, ვახსოვარ ნეტავ? ლამაზი გოგოა. წელს რატომ აღარ ჩამოვიდა? იქნებ ჩამოვიდა კიდეც, მაგრამ მე არ გამიგია. მე ხომ მანანა დიდი ხანია რაც არ მინახავს, თითქმის ერთი თვე იქნება. როგორ მოიქცეოდა მანანა, თუკი ჩემსა და თათიას შორის რამე მოხდებოდა და იგი გაიგებდა? ალბათ, სამუდამოდ დამშორდებოდა. ან იქნებ ეპატიებინა კიდეც. ის ხომ თავისთავს თანამედროვე გოგოდ თვლის. თათია, თათია... ამ ერთ წელიწადში ვინ იცის რამდენ ბიჭთან ჰქონდა კავშირი. ან იქნებ არც არავის გაჰკარებია, როგორც მაშინ მე მითხრა..

—მეყოფა ამაზე ფიქრი. ჯობია ავდგე და ჩავიცვა, ბევრი საქმე მაქვს. — თქვა ნოდარმა და წამოდგა.

იმ დღეს ყველაფერი მოამზადა ნოდარმა საროველოდ. მეორე დღისათვის საჭირო სურსათი შეიძინა. საშკასაც მოელაპარაკა, რომ მისი ტრაქტორით და მისაბმელით წაელო ყურძენი ქარხანაში. მეზობლებსაც, ნუგზარს, გიას, ქეთინოს, ლელას და საურს სთხოვა ყურძნის მოკრეფაში დახმარება, მათ ნოდარისათვის უარი არ უთქვამთ, ისინი ხომ მისი მეგობრები და მეზობლები იყვნენ. შემდეგ დათოსაც შეატყობინა. დილით ადრიანად ყველანი მოუვიდნენ. ქალები ნოდარის მანქანაში ჩასხდნენ, კაცები კი ტრაქტორის მისაბმელზე შესხდნენ და წავიდნენ. მოგვიანებით დათოც მოვიდა, თავისი მანქანით. რთველმა მხიარულად ჩაიარა. სხვადასხვა მხიარული შეძახილები და ოხუნჯობა არ აკლდა. ლელამ, რომელიც სხვებთან შედარებით მოწყენილი იყო მაინც მოილხინა. გია კი ცდილობდა რაც შეიძლება ხშირად ყოფილიყო ქეთინოს სიახლოვეს.

შუადღეგადასულზე მისაბმელი გაივსო, რომელზეც ორ ტონაზე მეტი ყურძენი მოთავსდა. დარჩენილი დასაკრეფი კი ნახევარი ტონა თუ იქნებოდა. ამიტომ, გადაწყვიტეს ტრაქტორი წაელოთ და ყურძენი ჩაებარებინათ. თვითონ კი კრეფა გააგრძელეს. რომ მორჩნენ კრეფას, უკვე ბინდდებოდა კიდეც. მოკრეფილი ყურძენი დიდ პარკებში ჩაყარეს, საბარგულებში ჩააწყვეს, ჩასხდნენ დარჩენილ, თავისუფალ ადგილებზე და წავიდნენ სახლში.

სახლში მისულებს საშკა უკვე იქ დაუხვდათ. ყურძენი ჩაებარებინა და ფულიც დაახვედრა.

—აბა, რა არის. —უთხრა ირონიით ნუგზარმა. —ას ლარამდე ხომ დღესვე დახარჯე, მაგ 600 ლარიდან 400 ლარი ხომ ხარჯისაა, რაც მთელი წელი დახარჯე მაგ ვენახისათვის და რიღასთვის იწვალე?

—სახლში, რომ წესიერი ღვინო ექნება და სხვებივით ქარხნის ქიმიურად გაკეთებულს, ან რაღაცა საზიზღრობას არ დალევს, ეგეც ხომ კარგია. —თქვა დათომ

—ეგ კი, მაგრამ მარტო მაგისთვის ღირს მთელი წელი მუშაობა? რამდენიმე წლის წინ ბევრი ოჯახი ყურძნის მოსავლით ცხოვრობდა,

ეხლა კი პირიქით, ზარალია. ამიტომ არის, რომ ბევრმა მიატოვა და ზოგმა კი საერთოდ გაკაფა ვენახი. –თქვა ნუგზარმა.

–რა ვქნათ, დღეს ასეთი ქვეყანა გვაქვს და... –აღნიშნა დათომ.

მანქანებიდან ყურძენი ჩამოცალეს. დათომ წასვლის წინ ნოდარს უთხრა:

–არ დაგავიწყდეს რაც მოვილაპარაკეთ. ხვალ ეს ყურძენი დააბინავე და ზეგ დილით გელოდები ბაზართან.

დილით დაპირებულ დროს ნოდარი ბაზართან მივიდა. დათო იქ დახვდა.

–აქ მოვიცადოთ, ამ ადგილას ჩერდება. –თქვა დათომ. – რვა-ცხრა პირი შეშა ეტევა და მეტი რად გვინდა? მე სამი პირიც მეყოფა. დანარჩენი შენ წაიღე და მეტი არც გინდა.

–ჩემთვის ხუთი პირი ბევრიც არის, შენ სამი გეყოფა? ცოტა მეტი წაიღე. შუაზე გავიყოთ და ორიევეს ნამდვილად გვეყოფა.

–მეტი რად მინდა? მაინც უმეტესად სახლში არ ვარ. შენ კი ალბათ ნაწილს ქეთინოს მისცემ და მეტი გჭირდება.

–კარგი. ასე იყოს. –დაეთანხმა ნოდარი.

ბიჭებმა ორ საათსე მეტი იცადეს, მაგრამ სატვირთო მანქანა, რომლითაც შეშა უნდა მოეტანათ, არ ჩანდა.

–იგვიანებენ. იქნებ დღეს არც მოვიდნენ. –თქვა ნოდარმა –ერთი საათი კიდევ დაველოდოთ და თუ არ მოვიდა საღამოს სახლში მივიდეთ.

–კარგი, მივიდეთ. –დაეთანხმა დათოც.

–იქ რა ხდება? –იკითხა ნოდარმა, და დათოს ჯიხურზე მიუთითა, რომლის წინაც დარაჯი იდგა. –ერთი საათის წინ 14-15 წლის, გოგო შევიდა, მერე ერთი კაცი შეჰყვა, რომელმაც დარაჯს ხელში ფული ჩაუდო. შემდეგ ოც წუთში გამოვიდა. მერე სხვა კაცმა იგივე გააკეთა, ფული მისცა და იმ ჯიხურში შევიდა. ეხლა კი უკვე მესამე შევიდა იგივენაირად. რა ხდება? დავიჯერო იმ გოგოს ყიდიან? ასეთი საზიზღრობა შეიძლება ხდებოდეს?

–რა შენი საქმეა. თავი დაანებე. მასეც, რომ იყოს ძალით ხომ არავის შეუყვანია? არც ყვირის და არც შველის ითხოვს. – თქვა დათომ.

–როგორ თუ რა ჩემი საქმეა, ის ხომ ჯერ ბავშვია!

–იქნებ სულაც არ ხდება ის, რაც შენ გგონია? იქნებ თავისი შვილია, ფულს კი სხვა რამის გამო აძლევენ? ხომ შეიძლება რაღაცას ყიდდეს.

–უნდა გავიგო. შევალ და გავიგებ.

–გაგიუდი? სად უნდა შეხვიდე? შარი გინდა? ის გოგო თავისი სურვილით შევიდა. ესეიგი თვითონ უნდა ასე, შენ ვინ გკითხავს?

ნოდარი სადარაჯო ჯიხურთან მივიდა და დარაჯს, რომელიც ორმოცწლამდე ასაკის კაცი იქნებოდა, ღიმილით გამოელაპარაკა. ცდილობდა აღელვება დაეფარა.

–მგონი აქ რაღაც კაი საქმე ხდება და ხომ ვერ ამიხსნი, იქნებ მეც ვისარგებლო რამე. ახალგაზრდა უცოლო ბიჭი ვარ.

–აქ? არაფერი. რა უნდა ხდებოდეს? –უპასუხა დარაჯმა.

–დავინახე ერთი კარგი გოგო შევიდა და... დამაინტერესა. –უთხრა ისევ ღიმილით ნოდარმა. –შენ რა შეგეშინდა? რას მიმალავ, მეც გადაგიხდი.

—არა ძმა, მე რისი უნდა შემეშინდეს? მე რა შუაში ვარ? თვითონ უნდა.და მე რა ვქნა? ერთიორ კაპიკს მეც გავაკეთებ. ხომ მოგეწონა?

ნოდარმა თავი დაუქნია. —კი, კარგია.

—მართლა კარგი რამეა. მაგაში 10 ლარს კი არა, თბილისში, რომ იყოს 200 ლარს გადაიხდიდნენ ისეთია. ათი ლარი მომეცი და ის, რომ გამოვა შედი. თუ გინდა კიდევ 5-6 ბიჭი მომიყვანე და შენ უფასოდ შეგიშვებ.

—არა. მირჩევნია ფული გადავიხადო. ახლა ბიჭები სად ვეძებო?

—კი ბატონო, როგორც გაწყობს.

ნოდარმა ჯიბიდან 10 ლარი ამოიღო და დარაჯს ჩაუდო ხელში. მიუხედავად დიდი მცდელობისა აღელვება დაემალა, ხელი მაინც აუკანკალდა. ეს დარაჯს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

—გეტყობა მართლა ძალიან მოგეწონა ძმაო, აგზნებისაგან ისე ღელავ ხელი გიკანკალებს. მართლა კარგი რამეა რაა. ჯერ 15 წლისაა და... თუ გინდა კიდევ დამიმატე და დიდხანს დაგტოვებ.

—არა არ მინდა. მეტი არა მაქვს. —უთხრა ნოდარმა.

—კარგი, მაშინ შედი და შეგიძლია 30 წუთი დარჩე. სხვა კლიენტი მაინც არ ჩანს.

ნოდარმა დაიცადა შესული კაცის გამოსვლამდე და ორი წუთის შემდეგ თვითონაც შეეიდა. ჯიხურში, რომელიც სულ 4-5 კვადრატული მეტრი იქნებოდა, შესასვლელის საპირისპირო მხარეს შეშის ღუმელი იდგა. თუმცა არ ენთო. მარჯვენა მხარეს, კედლის მთელი სიგრძე ფიცრის ტახტს ეკავა, რომელზეც ძველმანები იყო გადაფარებული, ამ ძველმანებზე კი ის გოგო იწვა, რომელიც დილით დაინახა ნოდარმა. გოგონა მთლად შიშველი, გულაღმა იწვა და მხოლოდ მუცლის ქვემოთ თავისიანი კაბა დაეფარებინა. ნოდარი შებრუნდა, კარი ჩაკეტა, მერე გოგონას მიუბრუნდა და ჰკითხა: —ხომ არ დაიღალე? გოგონამ არაფერი უპასუხა. ნოდარი უფრო ახლოს მივიდა, აათვალ-ჩაათვალიერა და უთხრა: —ეს რაღას დაგიფარებია, გრცხვენია თუ გცივა?

გოგონამ პასუხის გაუცემლად დაფარებული კაბა მოიცილა სხეულიდან. ნოდარის თვალწინ მთლიანად გადაიშალა ბავშვურ-ქალური თეთრი, ნაზი სხეული. მის თეთრ სხეულს ალაგ-ალაგ სიცივის სილურჯე შეპარვოდა, რომელიც ძნელი გასარჩევი იყო ძალადობის შედეგად მიღებული მრავალი სილურჯისაგან.

გოგონას ნაღვლიანი სახე, რომელიც ნოდარის შესვლისას ჰქონდა, უფრო მკაცრი, სიძულვილის გამომხატველი გაუხდა.

—შენ რა მიბრაზდები? ეგ რა მიღებაა? ფულს იმაში ვიხდი, რომ სიამოვნებით მომემსახურო. —გაუწყრა ნოდარი.

—მე არ მომიწვევიხარ, თუ არ გინა წადი. —თქვა გოგონამ.

—შენი აქ ამ მდგომარეობაში ყოფნა მოწვევა არ არის? შენ ხომ შენი სურვილით ხარ მოსული?

—არ ვიცი როდემდე ავიტან თქვენნაირ ცხოველებს. —ჩაილაპარაკა გოგონამ. მერე მკაცრად მიმართა ნოდარს.— არ შეგიძლიათ დამცირების გარეშე გააკეთოთ? მეც ხომ ადამიანი ვარ.

—ეგ კიდევ საკითხავია. 15 წლის გოგო, რომ ასეთ საქმიანობას დაიწყებს, არ ვიცი ის კიდე ითვლება თუ არა ადამიანებში.

—მე ჩემი სურვილით არ დამიწყია, —ხმა აუკანკალდა გოგოს.

—როგორ? მე თვითონ გნახე როგორ შემოდიოდი აქ.

—რა გინდა ჩემგან? თავი დამანებე. მე ჩემი უბედურებაც მეყოფა. რაღატომ მაწვალებ? გააკეთე რაც გინდა და წადი.

ნოდარი დაიხარა, ძირს დაგდებული კაბა აიღო, ისევ სხეულზე გადააფარა და უთხრა: —მე შენი არაფერი მინდა. გავოცდი შენი საქციელით. შენ ჯერ ბავშვი ხარ და ასეთი რამის გაკეთება კი არა, კინოში დანახვაც კი არ შეიძლება შენთვის. შენთან იმიტომ მოვედი, თუ შენი სურვილით არ ხარ აქ და გაიძულებენ იქნებ რამენაირად დაგეხმარო. ერთი შეხედე შენს თავს რას გავხარ. მართლა მხეცების მიერ ნაჯიჯგნს გავხარ და არა მგონია ეს მდგომარეობა მოგწონდეს.

—რა არის აქ მოსაწონი? უკვე საკუთარი თავი მძულს, მაგრამ მეტი გზა არ მაქვს.

—თუ ასეა მაშინ მითხარი, ვინ გაიძულებს, ან რა გაიძულებს? —ნოდარმა სხვა ტანსაცმელიც აიღო და მიაწოდა. —დაიფარე იქნებ ცოტა გათბე, თორემ სიცივით გალურჯდი, მოკვდები ასე. უპატრონო ხარ? მშობლები არ გყავს?

—როგორ არა მშობლებიც მყავს და და-ძმაც. —თქვა გოგონამ და ტანსაცმლით დაიფარა გაყინული სხეული.

—აბა, მაშ ვინ გაიძულებს? იციან შენმა მშობლებმა?

—აქ სწორედ იმიტომ ვარ მათ არ გაიგონ, თორემ გაგიჟდებიან და საშინელება დატრიალდება.

—შენ რა დამციინი? აკეთებ იმას, რის გამოც ისინი გაგიჟდებიან და იმიტომ აკეთებ, რომ მათ არ გაიგონ? ნუ გააკეთებ და არც არაფერი იქნებოდა დასამალი, თუ არ გასაგები.

—ხომ გითხარი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

—აბა ვისზე, წესიერად მითხარი.

—რომ გითხრა შენ რას მიშველი, მეშინია უარეს უბედურებაში არ გავეხვიო.

—ამაზე უარესში რაღაში უნდა გაეხვიო? შენ რა, კიდე ვერ გრძნობ რა მდგომარეობაში ხარ? აქ უკვე რამდენმა კაცმა გაიგო. შენ გგონია შენი მშობლები ვერაფერს გაიგებენ?

გოგონამ ტირილი დაიწყო, ნოდარი ძლივს იგებდა რას ლაპარაკობდა: —ყველაფრის მეშინია, აღარ ვიცი რა ქენა. მაგისიც მეშინია, რომ აქედან არ მიუტანონ ამბავი., რომ არ მოვიდე აქ, იმისიც მეშინია... შენ რომ გითხრა ყველაფერი, იმისიც მეშინია. რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე... შენ სხვებივით მხეცივით არ მომექეცი, მაგრამ მაინც უცხო ხარ, რატომ დამეხმარები? მაგრამ ახლობელსაც ვერაფერს ვეტყვი, რა ქენა?

—მითხარი, ნუ გეშინია. თუ ვერაფრით დაგეხმარები, ის მაინც შემიძლია, რომ ჩემგან არავინ არაფერი გაიგოს, თუმცა ასე თუ გააგრძელე რამდენიმე დღეში მთელს რაიონს ეცოდინება და ჩემს გაჩუმებას აზრი აღარ ექნება.

—კარგი გეტყვი. ჩემოვის ამ თემაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ... საქმე იმაშია, რომ მე გამაუპატიურეს.

–როგორ? ვინ? ასეთი მხეცი ვინ იყო?

–მე აქ, ქალაქში ვემზადები მასწავლებელთან. უფრო სწორად ვემზადებოდი. კვირაში ორჯერ სოფლიდან მოვდიოდი ავტობუსით და ისევ მივდიოდი. ჩემთან ერთად ერთი ჩემი სოფლელი გოგოც ემზადებოდა. რამდენჯერმე მისმა მამამ წამოგვიყვანა. მისი მამა მგონი პოლიციის უფროსის მოადგილეა. ერთხელაც, როცა ავტობუსს ველოდებოდი აქ წამოსასვლელად, მისმა მამამ მარტომ გამოიარა და გამიჩერა. მე რა თქმა უნდა ჩავჯექი, მეგონა ჩვეულებრივად მასწავლებელთან წამიყვანდა და ვკითხე მისი შვილი სად იყო. მან მითხრა, რომ უკვე იქ იყო, მასწავლებელთან. მეც დავუჯერე და მშვიდად ვიჯექი მანქანაში, მაგრამ ჩვენს სოფელს, რომ გამოვცდით გზიდან სხვა მხარეს გადაუხვია. როცა ვკითხე სად მიდიოდა მითხრა, ერთი წუთით საქმე მაქვს და მალე მოვბრუნდებითო. მალე ტყეში აღმოვჩნდით. იქ კი რაც მოხდა ალბათ მიხვდები.

–მერე რა მოხდა, იქ მიგატოვა?

–არა. ვიღაც ქალთან მიმიყვანა. ის ქალი მამშვიდებდა, რომ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ამის გამო ტირილი არ ღირდა, რომ ასეთი შემთხვევები სხვასაც ბევრს მოსვლია, მაგრამ თავი არავის მოუკლავს და რომ თუ მათ დავუჯერებდი, უფრო უკეთეს ცხოვრებას ვეწეოდი მომავალში. თუ არ დავუჯერებდი და ქვეყანას შევეურიდი, ამით მხოლოდ საკუთარ თავს და ოჯახს დავაზიანებდი. ჩიეილით მაინც ვერაფერს მივაღწევდი და თუ მამაჩემი ან სხვა ვინმე შურისძიებას ეცდებოდა, მაშინ იძულებული გახდებოდნენ მოეკლათ.

–თუ არავის არაფერს ეტყოდი, რით დაგეხმარებოდნენ, იმით, რომ აქ მოგიყვანდნენ?

–არა, მათ მითხრეს, რომ თბილისში ბინას მიყიდიდნენ, უმაღლეს სასწავლებელშიც მომაწყობდნენ და ბედნიერად ვიცხოვრებდი. აქ კი, როგორც მათ მითხრეს ბინის ყიდვისთვის ცოტა ფული მეც უნდა გამეკეთებინა.

–მერე შენც დაუჯერე?

–მეტი რა გზა მქონდა, მეშინია მართლა არ მოკლან მამაჩემი.

–კი მაგრამ, არც რომ აქ მოსულიყავი და არავისთვის არაფერი გეთქვა, უფრო ადვილი არ იყო? თვითონ ხომ არ ეტყოდნენ მამაშენს. თუ ბინას დახარბდი?

–თავიდან ისე ვიყავი შეშინებული, გაუაზრებლად დავთანხმდი. მერე კი ეჭვი შემეპარა მათი დაპირების გულწრფელობაში, მაგრამ...

–რას ამბობ გოგო? ეჭვი შეგეპარა? ბინა რომ იყიდო ათი ათასი ლარი მაინც უნდა გქონდეს, სულ მცირე, შენ კი აქ ორ კვირაში ამ ათი ლარებით 200 ლარსაც ვერ იშოვი, ისიც იმ შემთხვევაში თუ შეძელი. თანაც შენ ხომ ნახევარსაც არ გაძლევენ.

–არ ვიცი. მე უკვე მეტი აღარ შემიძლია და ხვალისთვის არაფრის თავი აღარ მექნება.

–რამდენი დღეა რაც აქ დადიხარ?

–მეორე დღეა.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა, რასაც ძახილიც მოჰყვა: –ჰა, რას შერები, ვერ მორჩი? გამოდი დროზე.

—ხო, გამოვდივარ! — გასძახა ნოდარმა და ისევ გოგოს მიუბრუნდა. —კარგი, ეხლა მე წავალ და შენ თუ მართლა გინდა საკუთარ თავს უშველო, ქვემოთ ბაღი რომ არის იქ დაგელოდები. ვერაფერს ვერ შეგპირდები, მაგრამ გამოდი და რამეს მოვიფიქრებთ. ყოველ შემთხვევაში ასე, რომ არ შეიძლება გაგრძელება, ხომ თვითონაც ხვდები.?

—რომ არ გამომიშვან?

—ეგ ძნელი არ არის. მოიფიქრე რამე. უთხარი ტუალეტი მინდა-თქო და გამიიპარე.

—კარგი, გამოვალ. —თქვა გოგონამ და ჩაცმა დაიწყო. ნოდარი გარეთ გავიდა.

—ხომ მოგეწონა ძმაო? — უთხრა გარეთ გასულ ნოდარს დარაჯმა.

—კი, კარგი იყო. —უპასუხა ნოდარმა და კმაყოფილი სახე მიიღო.

—ხომ გითხარი, მასეთებს თბილისში 200 დოლარი არ ეყოფა.

ნოდარმა გზა გააგრძელა დათოსკენ. დარაჯი კი ჯიხურში შეეიდა.

—რაო ბიჭო, სხვებს კიცხავდი და თვითონ იგივე გააკეთე? —უსაყვედურა დათომ ნოდარს.

—შენ რა იცი, მე რა გავაკეთე?

—როგორ თუ რა ვიცი. ფული გადაიხადე, შეხვედი და ნახევარი საათია იქ ხარ. აბა რა, ზღაპრებს უკითხავდი?

—თუ გაინტერესებს რას ვაკეთებდი, წამოდი ჩემთან ერთად, ბაღში გამოვა, იქ დაველოდოთ და ნახავ.

—ბაღში რა უნდა? იქ არ გეყოთ ლაპარაკი? რა ვერ გაარკვიე?

—ის, რომ ის ბავშვი თავისი სურვილით არ არის იქ მისული და ვიღაცის ცხოველური აზროვნების მსხვერპლია. მე მგონი ყველა ნორმალური ადამიანის ვალია, ასეთ შემთხვევაში ეცადოს მსხვერპლს დაეხმაროს. თუ ჩვენ ნორმალურები ვართ, ჩვენც უნდა შეეეცადოთ ამას. წამოდი, წავიდეთ. იქ დაველოდოთ.

—რა მსხვერპლი, რის მსხვერპლი, გამაგებინე წესიერად. —თქვა დათომ და თან ‘უკან გაჰყვა.

—წამოდი და ბეტყვი გ'საში. —თქვა ნოდარმა და მცირე მანძილის გავლის შემდეგ გააგრძელა. —ეს გოგო, როგორც თვითონ თქვა, მილიციის უფროსის მოადგილეს გაუუპატიურებია. კარგად არ იცის, შეიძლება არც არის მოადგილე, მაგრამ იქ რომ მუშაობს რაღაც თანამდებობაზე, ეგ ცხადია. მერე შეუშინებია და აიძულებს იმ ჯიხურში კლიენტებს მოემსახუროს. ცხადია, რომ ამით თავისი დანაშაულის კვალის დაფარვას ცდილობს. ასეთი საქმიანობის შემდეგ აღარავის გაუჩნდება საშუალება იჩიენლოს და თუ მაინც იჩიენლებს, მოწმეები ჰყავს უკვე, რომ ეს გოგო ამორალურ საქმიანობას ეწეოდა. ადვილად შეუძლია დაამტკიცოს, რომ უსინდისო გოგოა და ყველაფერს იგონებს. ის ჯიხურების დარაჯიც, ფულს აკეთებს და ამით სარგებლობს.

—ეგ რა გამართლებაა, გოგო ხომ იტყვის, რომ აიძულებდნენ?

—მრავალი მოწმე უკვე ჰყავთ, რომ ის გოგო თავისი ნებით მოდიოდა და წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. ფულს იხდიდნენ და შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ფულის გამო აკეთებდა ამას.

—სინდისი? სინდისი არა აქვთ? თავიანთი სინდისის წინაშე რით გაიმართლებენ თავს? ანდა იმ გოგოს არავინ ჰყავს, რომ დაიცვას? —თქვა დათომ.

—ეეჰ, რა ვიცი, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? წაიბილწა ქვეყანა. სინდისი სადღაა? ის გოგოც დააშინეს, რომ თუ ვინმე მის დასაცავად ხმას ამოიღებდა, მოკლავდნენ და ისიც ვერ ბედავს ვინმეს რამე უთხრას. მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც ორი დღე ამ ჯიხურში გაატარა.

—რამ შეცვალა ასე უცებ ეს ხალხი. სულ რამდენიმე წლის წინ ამას ვინ გააკეთებდა? ნუთუ მართლა რუსეთის, თუ ვიღაცის პატრონობა და შიში გვჭირდება? რუსეთამდე ხომ კიდევ უფრო მაღალი ზნეობის ხალხი ვიყავით ქართველები? მოსაკლავადაც, რომ გამოდევნებოდნენ კაცს, გოგოსთან თუ იყო, თითს არ აკარებდნენ და ახლა რა გვეცა, რამ გაგვამხეცა? მესმის რომ ყაჩაღმა ან ბანდიტმა ჩაიდინოს ასეთი საქციელი, ასეთი ბევრი ფაქტი მომხდარა, მით უმეტეს ბოლო წლებში, მაგრამ პოლიციელმა და თანაც უფროსის მოადგილემ, ეს როგორ უნდა ჩაიდინოს? მას ხომ პირველ რიგში ევალება უხეშობისგან და მხეცობისგან წესიერი ხალხის დაცვა? არა ძმაო, ასეთი ხალხის ხელში არათუ ქვეყნის გამოსწორება არ მოხდება, პირიქით, დაღუპვა გარდაუვალია. პატიოსან კაცს, რომ მარტო ქურდებისა კი არა პოლიციისა უფრო მეტად ეშინია, ასეთ ქვეყანაში როგორ უნდა იცხოვრო?

—ქურდები და პოლიციელები რესტორნებში ერთად რომ იქეიფებენ, პარლამენტარები თავიანთი საქმის გასარჩევად, ქურდებთან რომ მიელენ, ასეთ ქვეყანაში მართლა ძნელია ცხოვრება.

ამ საუბარში ბაღს მიუახლოვდნენ. ნოდარმა ბაღის განაპირა სკამზე მიუთითა,აქ დავსხდეთ,რომ ადვილად გვიპოვოსო. სკამი,უფრო სწორად კი ნასკამარი ისეთი დამტვრეული იყო, რომ მასზე დაჯდომა შეუძლებელი იყო და ბიჭები იძულებულები გახდნენ ფეხზე მდგომები დალოდებოდნენ გოგონას. დიდხანს ლოდინი არ მოუწიათ, გოგონა ათიოდე წუთში გამოჩნდა. მეორე ბიჭიც, რომ დაინახა, ცოტა შეცბა, მაგრამ ნოდარმა დაამშვიდა, ეს სანდო კაცია და ნუ გეშინია, იცის შენთან რომ ვიყავი და დამალვას აზრი არა აქვს, საქმის გადაწყვეტაში კი შეიძლება დიდად დაგვეხმაროსო.

სამივე ბაღში შევიდა და სკამი მოძებნეს, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ჩამომსხდარიყვნენ და ესაუბრათ. მართალია ისიც დამტვრეული იყო, მაგრამ შესაძლებელი იყო დროებით მაინც ჩამომსხდარიყვნენ და ასეც მოიქცნენ

—დავიწყოთ იმით, რომ შენ უნდა აღიარო გულწრფელად, რომ ასე გაგრძელება დამღუპველი იქნება შენთვის. —თქვა ნოდარმა. —ეს თუ არ აღიარე, ისე სხვა გზების მოძებნას აზრი არა აქვს. შენ თუ მომავალში რამე პრობლემა შეგექმნა და ინანე იმათიდან წასელა და თბილისში ბინის დაკარგვა, მაშინ არაფერი გამოვა.

—არა. არანაირი ბინის იმედი არ მაქვს., რომ მატყუებდნენ ამას მეც მივხვდი და შენ, კიდევ უფრო მეტად დამარწმუნე. იქ ყოფნით ბინას კი

არა უბედურებას ვიპოვი და თანაც არა მარტო ჩემთვის. ჩემი ოჯახის წევრებიც საფრთხის წინაშე დგებიან. თანაც ფიზიკურადაც აღარ შემიძლია.

–თუ ასეა, მაშინ შეგვიძლია გამოსავალი ვეძებოთ. –თქვა ნოდარმა. – ჩივილს ალბათ, აზრი არა აქვს. მით უმეტეს, რომ შენი ჯიხურში მისვლით მრავალი მოწმე წარმოშვი, შენივე საწინააღმდეგოდ და შენიანები კი, შეიძლება მართლა ხიფათის ქვეშ აღმოჩნდნენ.

–არა, არა. ჩივილს არ ვაპირებ. არ მინდა. ვიცი, რომ ეს უარესი იქნება. –თქვა გოგონამ.

–მაშ მაგისთანა გარეწრებს ასეთი მხეცობა უნდა შერჩეთ? ხვალ და ზეგ ხომ სხვებსაც გაუკეთებენ ასეთ რამეს? –თქვა აღშფოთებულმა დათომ.

–აბა რა ვქნათ? ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ძალაუფლება მათ ხელშია და სამართლით ვერაფერს გააწყობ. ყველაზე უკეთეს შემთხვევაშიც კი, რასაც შეიძლება მიაღწიო, სამართლის ძებნით გამოიწვევს იმას, რომ ეს გოგო უფრო მეტად დაზარალდება. ასეთ შემთხვევაში ან უნდა მოკლა, ან ღმერთის იმედი გვქონდეს, რომ სამაგიერო მოუხდეს. მოკვლით ჩვენ ვერ მოვკლავთ და აბა, სხვა რა გავაკეთოთ.? –თქვა ნოდარმა.

–არა, მოკვლა არ მინდა. მერე თქვენ ხომ დაგაპატიმრებენ? მე ისედაც მაინც გაუბედურებული ვარ და არ მინდა ჩემი მიზეზით კიდე სხვა გაუბედურდეს. ამით მე ხომ არაფერი მეშველება?

–მოკლედ, ჩივილი და სამაგიეროს გადახდა გამოვრიცხეთ. ეხლა იმაზე ვიფიქროთ, სად შეიძლება წახვიდე, რომ ამით თავი დაიღწიო და შენზე შანტაჟით არ იმოქმედონ. ახლო ნათესავები არ გყავს სხვა რაიონებში ისეთი, რომ იქ გადახვიდე საცხოვრებლად?

–ნათესავები კი მყავს, მაგრამ იმათთან ვინ გამიშვებს თუ მიზეზი არ ვთქვი? თბილისში ჩემი დაც ცხოვრობს, ქირით, თავის ოჯახთან ერთად, მაგრამ მას ხომ ვერ ვეტყვი ვერაფერს?

–და ცხოვრობს? და, თუ ცხოვრობს თბილისში ოჯახთან ერთად, ეგ ყველაზე კარგი შესაძლებლობაა. –თქვა ნოდარმა.

–არა, რას ამბობ, ასეთ რამეს როგორ გავუმხელ? არ შემიძლია, ვერ ვეტყვი... თანაც მერე მშობლებსაც რომ უთხრას?

–და მაინც სულ სხვა არის. ის უფრო გაგიგებს და არც მშობლებს ეტყვის. მათ გამწარებას, ისიც ხომ მოერიდება. ბოლოსდაბოლოს სადაც უნდა მიხვიდე, შენი საიდუმლო მაინც უნდა გაამჟღავნო, თუ არა და სხვა გადასვლის მიზეზს ვერ მონახავ. შენი და კი ყველაზე უკეთესად გაგიგებს და შეინახავს შენს საიდუმლოს. თუ შენ ვერ შეძლებ მასთან საუბარს, მე მივალ და მე ვეტყვი ყველაფერს.

–რა ვიცი... იქნებ მართლა ასე სჯობდეს?.

–მე უკეთეს გზას ვერ ვხედავ და თუ თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ, მოიფიქრეთ ჯერ ხომ არ წავსულვართ და... თქვა ნოდარმა და შემდეგ გააგრძელა. –მოდით, ასე მოვიქცეთ. აქ დიდხანს ჯდომა არ გამოგვადგება. –ეხლა წადი სახლში. ხვალ სახლიდან არ გამოხვიდე. ზეგ დილით ადრე, 8 საათზე მოდი აქ და თუ ამ ვარიანტზე თანახმა

ხარ, ერთად წავიდეთ შენს დასთან და თუ არა ხარ თანახმა, სხვა რამ მოვიფიქროთ. მანამადე კი შეამზადე ოჯახის წევრები, რომ წასვლა გინდა თბილისში.

—მე ხომ ჯერ პატარა ვარ და მარტოს გამიშვებენ თბილისში? ვინმე რომ გამომაყოლონ?

—ამისთვის რამე უნდა მოიფიქრო. ან უნდა დაურეკო შენს დას, რომ დაგხვდეს თბილისში და ამით დააწყნარო, ან ვინმე სანდოსთან ერთად წასვლით უნდა დაჯერო. რას იზამ, აუცილებელ შემთხვევაში ტყუილიც უნდა თქვა, თუ კი ის ტყუილი კეთილ საქმეს ემსახურება.

—კარგი, წავალ და ზეგ დილით მოვალ.

—მოიცა, ასე სად წახვალ? შეიძლება გეძებს ის დარაჯი ან სხვა ვინმე ტაქსს მოვიყვან და იმით წადი. —თქვა ნოდარმა და წამოდგა ტაქსის მოსაძებნად.

—ტაქსი იქვე ახლოს იდგა, ბიჭებმა გოგონა გააცილეს, თვითონ კი ისევ ბაზართან დაბრუნდნენ.

ჯიხურთან მდგომმა დარაჯმა დაინახა თუ არა ბიჭები, მაშინვე მათთან მივიდა და სიცილით უთხრა ნოდარს: —ბიჭო, რა გაუკეთე ისეთი იმ გოგოს, შენს მერე ტუალეტში წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

—მე რა შუაში ვარ, ჯერ ბავშვია, სუსტია და ამდენ წვალებას როგორ გაუძლებს. ტანზე დალურჯებულები ჰქონდა, ზოგი ალბათ სცემს კიდეც, თანაც სციოდა —თქვა ნოდარმა.

—საცემი არ არის? ასეთი პატარა გოგო, რომ გაბოზდება, ვის გაუხარდება? მოვა მაინც, სად წავა, ჩემს იქით გზა არა აქვს. შეიძლება მოშივდა, ცოტა რამეს შეჭამს და მოვა.

—რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა დათომ.

—მეეე? 38-ის. რა არის რო?

—მერე, არა გრცხვენია, ამხელა კაცი, შვილის ტოლ გოგოს, ასე რომ აწამებ და აუბედურებ? ღმერთის მაინც არ გეშინია?

—მე რა შუაში ვარ, ძმაო, თვითონ მოვიდა საკუთარი თავი შემომთავაზა, მერე მითხრა კლიენტები მიშოვე და ფული გავიყოთო. მე რომ არ მიმეღო, სხვასთან წავიდოდა. სხვა მიიღებდა, რა მნიშვნელობა აქვს მაგისთვის ვისთან იქნება, თუ მაინც იგივეს გააკეთებს? ან მეც ფული რაღატო დავკარგო? —თავი იმართლა დრაჯმა.

—ესე იგი, შენთვის მთავარი ფულია. ფულში გაცვალე საკუთარი სინდისი? სხვა თუ გაყიდის თავის სინდისს შენ მასთან რა საქმე გაქვს? შენ შენსას გაუფრთხილდი. მაგრამ, რას უნდა გაუფრთხილდე რაც არა გაქვს. ცოხის მაინც არ გეშინია? არასრულწლოვანია, მაგის გამო იცი რამდენ წელს მოგცემენ? —უთხრა დათომ.

—მე ვერავინ ვერ დამიჭერს. ყველამ თავისთავს მოუაროს. თვითონ თუ გაბოზება უნდოდა, მე რა შუაში ვარ? —განაწყენებული კილოთი თქვა დარაჯმა.

—შენ იმის იმედი გაქვს, რომ მილიციაში მფარველი გყავს და იმას აღარ ფიქრობ, ის რომ გაანთავისუფლონ და მერე წამოწიონ ეს საქმე, მაშინ ვინღა დაგიცავს? ის გოგო მართლა თავის ნებითაც რომ მოსულიყო, მაინც შენ ხარ დამნაშავე. იმიტომ, რომ ის ბავშვია და

სრული ჭკუა არ მოეთხოვება. შენ კი, მის მდგომარეობას ბოროტად იყენებ. –თქვა დათომ.

–რა გინდა შარზე ხარ? წადი თავი დამანებე. ეგ მორალი შენს მეგობარს წაუკითხე. რატომ მაგას არ ეუბნები, ეგეც ხომ იყო იმ გოგოსთან? რა, მაგისთვის სრულწლოვანია და ჩემთვის ბავშვი? აყვირდა დარაჯი და ნოდარს შეხედა.

–მე რა უნდა მინდოდეს, არფერი არ მინდა. მე ის მინდა, რომ შენნაირებმა სიბილწე აღარ გაამრავლონ ქვეყანაზე, თორემ პირველ რიგში, თქვენსავე შვილებს და შვილიშვილებს დაუბრუნდება თქვენი ნამოქმედარი. ხომ იცი ქართული ანდაზა, „რასაც დათეს იმას მოიმკიო".

– ჩემს შვილებს თავი დაანებე, იმათ პატრონი ყყავთ. –მკაცრად უპასუხა დარაჯმა.

– ესეიგი, უპატრონოებს ეძებ მსხვერპლად?

– გიჟი ხარ ვიღაცა, წადი თავი დამანებე. –თქვა დარაჯმა, და გაეცალა მათ.

რამოდენიმე წუთის შემდეგ დათო და ნოდარიც წავიდნენ თავიანთ სახლებში. დათქმულ დღეს, შეთანხმებისამებრ ნოდარი გავიდა ავტოსადგურთან. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, გოგონაც მალე მოვიდა.

–მზად ხარ? წაყიდეთ? ხომ არ გადაიფიქრე? –ჰკითხა ნოდარმა.

–არა. წაყიდეთ.

–აგერ დგას ავტობუსი და ავიდეთ. თუ გადაწყვიტე რასღა დაველოდოთ. – თქვა ნოდარმა, ატობუსისკენ წავიდა და ავიდა. გოგონაც ფეხდაფეხ გაჰყვა მას და ერთიმეორის გვერდით დასხდნენ.

–გოგო, რა გქვია? შენი სახელიც კი არ ვიცი, –ჰკითხა ნოდარმა.

–ნანა.

–ნამყოფი ხარ შენი დის სახლში? იცი სად ცხოვრობს?

– კი. ნამყოფი ვარ, მაგრამ შეიძლება ვერ მივაგნო.

–აბა როგორ ვიპოვოთ?

–სამსახური უფრო კარგად ვიცი. მეტროსთან ახლოს, მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. იქ შეგვიძლია ვნახოთ.

მთელი გზა ისე გაიარეს, რომ ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ. ნანა ფანჯრის მხარეს იჯდა და როგორც ამ ასაკის ბავშვებს სჩვევიათ ფანჯარაში ცქერა და გარემოს დათვალიერება, დროდადრო ნანაც იხედებოდა. მაგრამ სრულად უაზროდ, სიერცის რაღაც წერტილს მისჩერებოდა. თბილისთან მიახლოებისას ნოდარმა სცადა მისი გამხნევება.

–რა ცხვირპირი ჩამოგტირის გოგო, ცოტა გამაგრდი. ასე თუ იქნები, ბრძოლის უნარს დაკარგავ და უფრო მეტად გაგიჭირდება. მოიკრიბე ძალა და გამხნევდი.

–როგორ გავმხნევდე? სიცილს ხომ არ დავიწყებ. ჩემი მდგომარეობა განა მაძლევს ამის უნარს? ჯერ სკოლაც არ დამიმთავრებია და ასე ამეწეწა ცხოვრება, ამის მერე კარგს რას უნდა ველოდე? ისიც არ ვიცი, ჩემი და მიმიღებს თუ არა, რომ არ მიმიღოს მაშინ რა ექნა, სად წავიდე? სახლში დასაბრუნებელი გზაც აღარ მრჩება, ქუჩაში ვრჩები.

–შენ რა, ნანობ, რომ წამოხვედი?

—არა, წამოსვლას კი არ ვნანობ, უბრალოდ ვაცნობიერებ, რომ ერთადერთ ხავსს ვეჭიდები. შენ არ იფიქრო, რომ რაიმეში გემდურებოდე. პირიქით, ეს ერთადერთი ხავსიც შენ გამომინახე და როგორც არ უნდა წავიდეს ჩემი საქმე, მე შენი მადლობელი ყოველთვის ვიქნები.

—ეს ხავსი არ არის. ეს დიდი შანსია შენი ცხოვრების გამოსწორებისათვის და იმედი მაქვს გაამართლებს. შენ რა შენი დის იმედი არ გაქვს?

—არ ვიცი, ეს ისეთი საკითხია, აქამდე ასეთ საკითხზე მისი აზრი არ მომისმენია.

—დამშვიდდი. ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ გაგიგებს. შენ ხომ არაფერში ხარ დამნაშავე, საკუთარ დას კი უფლება არა აქვს, რომ არ დაგეხმაროს. თუ მაინც მოხდა ისე, და არ დაგეხმარა, მე მაინც არ მიგატოვებ და დაგეხმარები. მთავარი ისაა, შენ გინდოდეს შენი ცხოვრების გამოსწორება, ამის რწმენა და იმედი ჩაისახო. შემდეგ კი, მთელი ძალისხმევა მოიკრიბო და გამოიყენო გონივრულად, სწორი ცხოვრებისათვის.

—ოღონდაც კი ჩემმა დამ მიმიღოს და მერე მე ვიცი... თუმცა, ბედი ვის რას უმზადებს, წინასწარ ვინ რა იცის?

თბილისში ჩასული ნოდარი და ნანა ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და მეტროში ჩავიდნენ. ნანა ისე დაჰყვებოდა ნოდარს ფეხდაფეხ, როგორც მარტოდ დარჩენილი ბატკანი თავის პატრონს. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, ისიც დგამდა ნაბიჯს და თითქოს ვიღაც მოტაცებას უპირებსო, ისე ცდილობდა მის სიახლოვეში ყოფნას.

—აბა, სად არის ის მაღაზია? —იკითხა ნოდარმა, როცა მეტროდან ამოვიდნენ.

—აი იქით მხარეს უნდა გავიდეთ, აქვე ახლოს არის. —მცირე მანძილის გავლის შემდეგ ნანამ დაანახა მაღაზია.

—შენც წამოხვალ თუ ჯერ მარტო ველაპარაკო?

—რა ვიცი,მასთან პირდაპირ შეხვედრა მიჭირს. მითუმეტეს ლაპარაკი. მე ვერაფერს ვეტყვი და უკეთესი იქნება ჯერ შენ თუ დაელაპარაკები. თუ თანახმა ხარ მე აქ მოვიცდი.

—რომ გეშინია მარტო დარჩენის?

—კი, მართალია მეშინია, მაგრამ მეტი რა გზაა.

—მაშინ, აი იქ, იმ პატარა ბაღში დაჯექი სკამზე. ნურაფრის გეშინია, არავინ შეგეხება. მე ვეცდები მალე გამოვიდე.

ნოდარმა მიიყვანა ნანა მითითებულ ბაღში და ჰკითხა:

—რა ჰქვია შენს დას?

—დოდო.

—კარგი, მე წავალ და არაფრის შეგეშინდეს. აქ დამელოდე. —თქვა ნოდარმა და მაღაზიისკენ წავიდა.

მაღაზიაში ორი გამყიდველი ქალი დაუხვდა. მათგან ერთს, რომელიც უფრო ჰგავდა ნანას დაელაპარაკა ნოდარი.

—დოდო თქვენ ბრძანდებით?

—დიახ. რა გნებავთ? —თბილი კილოთი მიუგო დოდომ.

–თქვენთან რაღაც სასაუბრო მაქვს და ხომ ვერ მოიცლით, რომ ვისაუბროთ?

–კი ბატონო, მითხარით რა გნებავთ? –ამჯერად უკვე ცოტა მკაცრი ტონი ჰქონდა.

–ცალკე მინდა საუბარი, თუ შეიძლება.

–მე ცალკე სასაუბრო არაფერი მაქვს, თუ რამე გინდა მითხარი და წადი. შენისთანა აქ ბევრი შემოდის. –თქვა მკაცრად დოდომ და შემოსულ მყიდველს მიუბრუნდა. –რა გნებავთ?

ნოდარმა მოიცადა ვიდრე შემოსულს გაისტუმრებდა და კვლავ გააგრძელა საუბარი.

–საქმე თქვენს დას ეხება.

–ჩემი და რა შუაშია? ან შენ ვინ ხარ, რომ მასზე მელაპარაკები?

–ნანას ეხლა ძალიან უჭირს და მისი დახმარება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

–როგორ თუ უჭირს? რა უჭირს? რამე შეემთხვა? მოიტაცეთ?

–არა. არავის მოუტაცია. ის აქ არის და გელოდება. თქვენთან აქ შეხვედრას მოერიდა და ამიტომ მე გამომგზავნა.

–აქ არის? აბა სად არის? აქ მოსულის რატომ უნდა მორიდებოდა?

–აქეე ახლოს არის და შემიძლია გაჩვენოთ თუ წამოხვალთ, მაგრამ უმჯობესია ჯერ მე აგიხსნათ რაც შეემოხვა, რადგან ნანას ერიდება თქვენთან ამ საკითხზე ლაპარაკი.

–აბა სად არის მაჩვენე. –თქვა დოდომ და მეორე გამყიდველს სთხოვა, ცოტა ხანს ჩემს მაგივრადაც იმუშავეო.

ნოდარი და დოდო მაღაზიიდან ქუჩაში გავიდნენ. რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ ნოდარი შეჩერდა და სთხოვა: –არ შეგიძლია ერთი წუთი მომისმინო, ვიდრე მასთან მივალთ?

დოდო შეჩერდა და ჰკითხა: –რა გინდა, მითხარი.

–საქმე იმაშია, რომ მას ისეთი რამ შეემთხვა, იქ, მისი სოფელში ცხოვრება აღარ შეიძლება და აქ იმიტომ ჩამოვედით, იქნებ როგორმე მოახერხო და შენთან აცხოვრო.

–ისეთი რა შეემთხვა?

–ის გააუპატიურეს. თუ იქ დარჩება მთელი ცხოვრება აეწეწება და დაიღუპება, თანაც ისეთმა გავლენიანმა კაცმა გააუპატიურა, არ მოასვენებს ნანას. თუ ხმას ამოიღებს კი შეიძლება უფრო დიდ საფრთხეში ჩავარდეს და ოჯახის წევრებიც ჩააგდოს საფრთხეში. ამიტომ სჯობს იქიდან საერთოდ წამოვიდეს. ამისათვის კი, ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა, შენსკენ მოდის.

–რა სისულელეს ამბობ? ვინ გააუპატიურა? არ მჯერა შენი. ეხლავე მაჩვენე ჩემი და. –თქვა ძლიერ აღელვებულმა დოდომ.

–კი ბატონო, წავიდეთ. აი, იმ ბაღში ზის. –თქვა ნოდარმა და ორივენი ბაღისკენ წავიდნენ.

–გარდა იმისა, რომ გააუპატიურა, შიშით და შანტაჟით აიძულებდა სხვებთან ეეაჭრა სხეულით. ეს კი საბოლოოდ დაღუპავს ბავშვს.

–რა სისულელეს ამბობ, არ მჯერა. ასეთი რამ როგორ შეიძლება? ის ხომ ჯერ ბავშვია? ეს რომ დაეიჯერო გული გამისკდება, –დოდომ ხელისგული სახეზე აიფარა.

ისინი ისე მიუახლოვდნენ ნანას, რომ მას არც კი შეუნუშნავს. იგი ჩაფიქრებული იჯდა სკამზე და ძირს, ერთ ადგილს მისშტერებოდა. —საწყალი გოგო. ჯერ ამ ქვეყნის წესიერად გაცნობაც ვერ მოასწრო, ახალგაზრდული გახარება არ აღირსეს და გულში მახვილი ჩასცეს. —თქვა ნოდარმა.

როგორც კი დაინახა ნანამ თავისი და, წამოხტა და ტირილით შეეგება. დოდომ გულში ჩაიკრა და მანაც ტირილი დაიწყო.

—ეგ რა მოგსვლია ნანა? მართლია რაც მითხრა ამ ბიჭმა? —ნანას არაფერი უპასუხია. მხოლოდ დასთან ჩახუტებული ტიროდა. ნოდარს, მათ შემხვედარეს, თვითონაც თვალები აუცრემლიანდა. ცოტა ხანს აცალა და შემდეგ უთხრა: —კარგით, დასხედით და მოვილაპარაკოთ.

—ეს ბიჭი ვინ არის? —ჰკითხა დოდომ თავის დას.

—ეს ჩემი მხსნელია. ეს რომ არ ყოფილიყო, ისე ვიფლობოდი ჭაობში, ვერანაირ გზას ვერ დავინახავდი და დავიღუპებოდი. ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრა, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ და ერთ-ერთი მე გამომიგზავნა. —თქვა ცრემლიანი თვალებით ნანამ. —ჯერ ეხლაც კიდევ უიმედოდ ვარ და არ ვიცი, რა მეშველება. ერთადერთი იმედი ეხლა შენ ხარ ჩემთვის. ამ კაცმა ყველაფერი გააკეთა ჩემთვის, რაც შეეძლო დანარჩენი უკვე შენ'ზეა დამოკიდებ'ული, მიმიღებ თუ არა.

—რას ლაპარაკობ, გოგო. ამაში ეჭვი როგორ შეგეპარა? მართალია, ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთ მე და ჩემი ოჯახი, მაგრამ შენთვისაც გამოვნახავთ ადგილს, ნუ ღელავ.

—ამის იმედი კი მქონდა, რომ საკუთარი დას გასაჭირში არ დატოვებდი და კარს არ მიუხურავდი, მაგრამ მთავარი ეხლა ისაა, რომ მშობლებს არ უნდა გააგებინოთ წამოსვლის ნამდვილი მიზეზი, თორემ შესაძლოა ახალი ტრაგედია დატრიალდეს. —თქვა ნოდარმა.

—რა მოგიხდა გოგო, აბა მომოყევი. ვინ არის ის დაწყევლილი არა ადამიანი... თუმცა აქ ხომ არ ვილაპარაკებთ. —თქვა დოდომ და ნოდარს შეხედა.

—ამ კაცთან მოსარიდებელი არაფერი მაქვს. მან ყველა ღეტალი იცის მომხდარის შესახებ და საერთოდაც, მისგან დავალებ'ული ვარ. მის სიკეთეს ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ გადავიხდი. —თქვა ნანამ.

—ჩემთვის სიკეთით ვალის გადახდა თ'უ გინდა, ცხოვრებაზე გ'ული არ გაიტეხო, სწორად, გონივრულად იცხოვრე და კარგ შედეგს რომ დამანახვებ, ვალის გადახდაც ის იქნება. ჩემს მცდელობას, კარგი შედეგი რომ მოჰყვება ამა'ზე უკეთესი და ამა'ზე სასიხარ'ულო რა უნდა მივიღო? —თქვა ნოდარმა.

—ისეთი შეშინებ'ული და სასოწარკვეთილი ვიყავი, მამაკაცის დანახვა მზარავდა და საერთოდ, ვერ წარმომედგინა თუ შეიძლებოდა იმ მდგომარეობიდან გამოსვლა. იმ საზი'ზღრობაში ჩემი თავიც მძ'ულდა და მიმაჩნდა, რომ ღირსიც არ ვიყავი შველისა. მეგონა იქ ჩავკვდებოდი, მაგრამ იმ საზიზღრობაში, იმ გამხეცებ'ულ და თავ'ხარდამცემ მამაკაცებში, ღმერთმა ღვთისნიერი კაცი გამომიგზავნა, რომელმაც იმედი მომცა, დამარწმუნა, რომ საშველი არსებობდა და აქ წამომიყვანა.

–კარგი, კარგი. მე ისეთი არაფერი გამიკეთებია. მე გავაკეთე ის, რაც ყოველი ადამიანის ვალია. სასწაული არაფერი ჩამიდენია და თუ ზოგიერთ გარეწარისგან განსხვავებით მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, ეს ჩვეულებრივი, ადამიანური მოვალეობაა და არა გმირობა.

–ჩემთვის შენ გმირი კი არა, მხსნელი ღმერთი ხარ. აბა მეტი რა ითქმის ისეთ კაცზე, რომელიც არ შეუშინდა თავისი თავის ხიფათში ჩაგდებას და უცხო გოგოს მოევლინა მხსნელად? –თქვა ნანამ.

–გამაგებინე რაშია საქმე, რა ჭაობში იყავი? ვინ მხეცი მამაკაცები იყენენ? –იკითხა დოდომ.

–კარგით. ეხლა მე წავალ. თქვენ, დებმა მოილაპარაკეთ, როგორ მოიქცეთ და თუ რაიმეში დაგჭირდებით ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ და დამირეკეთ. მე ეხლა აქ უკვე ზედმეტი ვარ. –თქვა ნოდარმა, ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო, პატარა ქაღალდის ფურცლის მონახევიც მონახა და ნომერი დაუწერა.

–წამობრძანდით თქვენც ჩვენთან, იქ ვისაუბროთ და თან ვისადილოთ. –შესთავაზა დოდომ ნოდარს.

–არა, მადლობთ. ეხლა თქვენ იმდენი სასაუბრო გაქვთ ერთმანეთთან, რომ მე იქ ზედმეტი ვიქნები. ყველაფერი თუ კარგად წავიდა და ნანას ცხოვრება დალაგდა, შეიძლება გესტუმროთ. ნოდარმა ქაღალდის ფურცელი გაუწოდა, სადაც ტელეფონის ნომერი ეწერა გამოემშვიდობა და წავიდა.

მეორე დღეს ქუჩაში გამოსულ ნოდარს გიამ დაუძახა: –სად დაიკარგე, გუშინ, რამდენიმეჯერ დაგიძახე და არ იყავი სახლში. –არ დავასრულოთ ჯიხური?

–ხო, აბა რა. რაღაც საქმეებს გადავყევი და.. დღეს მოვიტანოთ საღებავები და შევღებოთ.

–რა ვიცი, მეგონა გადაიფიქრე, რომ აღარ სჩანდი. – გაიხუმრა გიამ.

–ნალესიც ხომ უნდა გაშრეს. უკვე გაშრა? –თავი იმართლა ნოდარმა.

–კი. რამდენი ხანია გაშრა. ორი კვირაა გავლესეთ და...

–კარგი, რაკი ესეა დრო აღარ დავკარგოთ და ეხლავე წავიდეთ საღებავებისათვის.

–კარგი. წავიდეთ თუ შენ გცალია...

ნოდარმა მანქანა გამოიტანა და საღებავების შესაძენად წავიდნენ. შეძენილი საღებავები გიას სახლში მიიტანეს.

–დღეს მე მგონი აღარ ღირს მუშაობა, შუადღე გადავიდა. ხვალ დილით ფერები შევაზავოთ და დავიწყოთ. ხვალ ხომ არა ხარ სმენაში?

–არა, ხვალ თავისუფალი ვარ, მაგრამ არ სჯობია, ფერები დღეს შევაზავოთ? ხვალ დილით კი ღებვა დავიწყოთ.

–კარგი ასე მოვიქცეთ. გამოიტანე მაშინ ისევ საღებავის ყუთები და მე ქეთინოს დავუძახებ. ფერები მან შეარჩიოს. გოგოა, უკეთესად შეარჩევს. თანაც ჯიხურში ხომ მან უნდა იმუშაოს და როგორი გარემოც მოსწონს, ისეთი შეუქმნათ.

—კარგი. —თქვა გიამ და საღებავებისათვის წავიდა, ნოდარმა კი ქეთინოს დაუძახა და გამოიყვანა.

—ქეთინო! საღებავები უნდა შევაზავოთ და ხომ იცი შენი „რეზიდენციაა", დღე და ღამე ლამის იქ უნდა იყო, უშენოდ ხომ ვერ შევარჩევთ ფერებს, რომ არ მოგეწონოს მერე არ გაგვექცე. —უთხრა ღიმილით ნოდარმა. ქეთინომ ღიმილითვე უპასუხა:

—რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ უკეთ იცით.

—მაროლაც რომ ვიცოდეთ შენზე უკეთესად, ფერები მაინც შენი გემოვნებით უნდა შეირჩეს, რადგან სულ შენ უნდა იყო იქ. ჩვენ იშვიათად შემოვალთ.

—კარგი, კარგი. რაკი დაჟინებით მოითხოვთ, ვიტყვი ჩემს აზრს.

—თქვი, ნუ გრცხვენია. ნურაფრის გერიდება. ჩვენთვის სულ ერთია რა ფერი იქნება. მუშაობა ყველა ფერს ერთნაირი სჭირდება.

ქეთინომ თავისი აზრი გამოთქვა ფერებთან დაკავშირებით და ნოდარის ქება დაიმსახურა.

—ყოჩაღ! კარგი მხიარული ფერია.

—რა ვიცი, ფერები მაინც მქონდეს მხიარული.

ბიჭებმა საღებავების ფერთა შეზავება დაიწყეს, ქეთინო კი სახლში დაბრუნდა.

მეორე დღეს, დილიდან ჯიხურის ღებვა დაიწყეს ნოდარმა და გიამ და საღამოსთვის მხოლოდ წარწერა დარჩათ გასაკეთებელი. ნუგზარიც მიეხმარათ, რამაც საქმე წინ წასწია.

—ეხლა დასველება უნდა ძმაო, ეგრე კი არ არის. —თქვა ნუგზარმა.

—კი. პრეზენტაცია გვექნება. —თქვა გიამ. —ეხლა ხომ ჯერ გასაშრობია საღებავი? გაშრება, დახლებს მოვაწყობთ, საქონელს ჩამოვიტანთ და გახსნას ვიზეიმებთ. შენ ნუ გეშინია, უშენოდ არ მოხდება.

—კარგი, აბა ვნახოთ. მერე განზე არ დამტოვოთ, თორემ კიდე დაგჭირდებით. —თქვა ხუმრობით ნუგზარმა. —თუ გინდათ ხვალაც მოგეხმარებით.

—არა, ხვალ არ ვმუშაობთ. —თქვა ნოდარმა. —გია მუშაობს სმენაში. მეც საქმე მაქვს. შეშის საქმე მინდა მოვაგვარო. ჩვენ ხომ ველარ მოვიტანთ, როგორც მოგვქონდა ერთობლივი ძალებით. სადამდეც მისაბმელიანი ტრაქტორი მიუდგება შეშა აღარ არის და როგორ მოვიტანთ? საწვავიც გაძვირდა და ფულსაც მეტს ითხოვენ. ჯობია ვიყიდოთ.

—სად უნდა იყიდო? —ჰკითხა ნუგზარმა.

—დათო იცნობს ერთს, თავის სოფლელს. დიდი მანქანა აქვს ცხრა პირამდე ეტევა, ვიყიდით და ორივე გავიყოფთ.

—კარგი აზრია. მეც შემახვედრე ის კაცი და ვინმესთან გავინაწილებ. გია შენც ხომ გინდა, გაინაწილოთ ერთი მანქანა, თუ თანახმა ხარ.

—თანახმა ვარ. შეეხვდეთ იმ კაცს და მოვილაპარაკოთ, —დაეთანხმა გია და სახლში წავიდა.

ნოდარი დილით ადრიანად ავტომანქანით წავიდა დათოსთან. დაძახილზე საპასუხო გამოძახილი სახლის უკან მხრიდან მოისმა და ნოდარიც იქით წავიდა.

ეზოში, სახლის უკან, მავთულის, ბადის ღობის იქით ჩაცუცქულიყო ქათმებთან ახლოს. ქათმები საკენკს კენკავდნენ.

–რას აკეთებ მანდ? ქათმებზე დაკვირვებას ხო მარ აწარმოებ? –ხუმრობა ნარეკი კილოთი ჰკითხა ნოდარმა, რომელსაც მართლა გაუკვირდა მისი ასე უსაქმოდ ქათმებთან ყოფნა.

–სცემენ ერთი მეორეს. არ აჭმევენ და რომ გამოვიდე ნახეკარი მშიერი დარჩება. ხომ ხედავ, ზოგიერთს ცემისაგან როგორ აქვს თავი გადატყავებულ- ჩასისხლიანებული.

–მერე. ამისათვის მანდ ჯდომა რა საჭიროა? ცოტა ბევრი დაუყარე და მოსხუბრები რომ გაძღებიან წაელენ, მერე კი სუსტები მოვლენ და მოკენკავენ, –დაარიგა ნოდარმა.

–რას ამბობ, მაგდენი ხორბალი სად მაქვს?

–აბა, მანდ რომ ‘ხიხარ, უფრო ნაკლებს შეჭამენ? სულ ერთი არ არის, მანდ იქნები თუ არა? მაინც ხომ ჯერ თამამები ჭამენ და მერე სუსტები? რა აზრი აქვს შენს მანდ ყოფნას?

დათოს გაეცინა და უთხრა: ხო, ეს კი ასეა. ვიდრე თამამები არ გაძღებიან, მე აქ ვიქნები თუ არა, სუსტები მაინც ვერ შეჭამენ, მაგრამ მე თუ გამოვედი, აბა ხეებზე შეხედე რამდენი ჩიტები სხედან, როგორც კი ცოტა მოვშორდები, მთელი გუნდი დაფრინდება, ორ წუთში შეჭამენ და სუსტები კი არა, თამამებიც ნახევრად მშიერები დარჩებიან. მაგათი სამყოფი ხორბალი კიდე სად მაქვს? ქათმებზე ორჯერ, მეტს ჭამენ.

–კი მაგრამ, ერთი მეორეს თუ სცემენ, ჩიტებს ხომ სუსტებიც მოერევიან და მათ არ სცემენ? –იკითხა ნოდარმა.

–სწორედ ამაშია საქმე. ერთი მეორეს თავპირს აჭამენ, მშიერებს ტოვებენ და ჩიტებს კი არ სცემენ, ანებივრებენ და გამოძღომის საშუალებას აძლევენ.

–ეგენი რა ჩვენსავით ყოფილან.

–ვის ჩვენსავით?

–ქართველებივით. ქართველები ასე არა ვართ? ჩვენც ერთი მეორეს ვჭამთ, შემოსახლებულ უცხოელებს კი ვანებივრებთ და ყველაფრის უფლებას ვაძლევთ. მერე ისინიც თამამდებიან, ჩვენსას ითვისებენ, ჩვენვე გვძარცვავენ და ერს გვირყვნიან, გვითახსირებენ. ჩვენ კი, ისევ ჩყენიანებში ვეძებთ პირად მტერს მხოლოდ. სხვებმა, რომ გამოგვჭამეს ამის დანახვა კი არ გვინდა. ჩამოსახლებულ გადამთიელს ხელს ვუწყობთ ყველაფერში, საკუთარ ძმას მტრად მივიჩნევთ, და ჩვენს თვალწინ ძმა და და, რომ შეგვიგინოს, ხმას არ ვიღებთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ავტონომიებ’ზე ფიქრი დაიწყეს, ზოგმა უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდაც გამოაცხადა. ჩვენი მამა–პაპის სისხლით და ოფლით მორწყული და შენარჩუნებული მიწები. არც ამაზე იწუხებს თავს ბევრი ქართველი და კუჭს მისტირის. იმას კი ეელარ ხვდებიან, რომ კუჭის გავსებას, ჭკუით გავსება უნდა უსწრებდეს წინ. თორემ კიდეც

რომ გაივსო კუჭი, ვერ მოინელებ, ჭკუა თუ არა გაქვს. კუჭი რომ გაივსო, სამშობლოს სიყვარული, სახელმწიფოებრიეი აზროვნება და შესაბამისი ქმედებაა საჭირო.

—ეგ მართალია, მაგრამ რომ არ შემოუშვა ხომ არც ეგ შეიძლება? —თქვა დათომ.

—შემოსვლას ვერ ავუკრძალავთ, ათასწლეულების განმავლობაში შემოდიოდნენ კიდეც, მაგრამ ხომ უნდა გრძნობდეს, რომ ეს საქართველოა, ესეიგი, ქართველების სამშობლო? —თქვა ნოდარმა.

—რა ვუყოთ ჩვენი მამა-პაპა ყოველთვის მიმტევებლები იყვნენ უცხო შემოსულთა მიმართ. უცხო სტუმარს მეტ პატივს სცემდნენ, ვიდრე თავის ძმას და სწორედ აქედან მომდინარეობს სიტყვა, „საუცხოო“. თუ რამ განსაკუთრებულად კარგი იყო უცხო სტუმრისათვის ემეტებოდათ. „საუცხოო“ ხომ ყველაზე კარგს ნიშნავს. ჩვენი ერის ამ ჩვევით კი ზოგიერთი უცხოელი ბოროტად სარგებლობდა. —თქვა დათომ.

—კარგი, ამას თავი დავანებოთ. ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით შეშის საკითხზე რა ვქნათ? არ ვნახოთ იმ მანქანის მძღოლი?

მოილაპარაკეს დილით ადრიანად გასულიყვნენ მანქანის მძღოლის სანახავად, მხოლოდ ამჯერად მანქანით წასულიყვნენ და მძღოლი სახლშივე ენახათ.

ასეც მოიქცნენ. დილით ადრე გავიდნენ და მძღოლს ტყეში წასვლამდე მიუსწრეს. მძღოლმა თანხმობა უთხრა, მხოლოდ ბევრი "კლიენტების" მიზეზით ორი კვირის შემდეგ შეპირდა მიტანას. ფასსეც მოილაპარაკეს და წამოვიდნენ.

ნოდარმა დათო ისევ სახლში მიიყვანა და უკან მობრუნდა. უკან მობრუნებულმა გადაწყვიტა მანანასთან გაევლო. ასეც მოიქცა, მაგრამ მანანა, როგორც ხშირად ხდებოდა, სახლში არ დაუხვდა. ნოდარი განაწყენდა. —ბოლოს და ბოლოს ვისთან დადის — ჩაილაპარაკა ნოდარმა. —მეგობრები მესმის, მაგრამ ასე მუდმივად სეირნობა რა ამბავია? ერთი გავიცნო მაინც ვინ არიან მისი მეგობრები, რა ხალხი არიან და რა აკავშირებთ, მართლა მხოლოდ მეგობრობა აკავშირებთ? აკი მანანამ თვითონ თქვა, ბევრი თაყვანისმცემლები მყავსო. ისიც არ მიკითხავს, როგორი თაყვანისმცემლები იგულისხმა. უყვართ, თუ როგორც ქალს ისე სცემენ თაყვანს? წავალ, მოვძებნი და ბოლოსდაბოლოს გავარკვევ რა ხდება. ჩემი ბრალიც კი არის. არც ისე ხშირად ვაკითხავ როგორც შეყვარებულს მართებს.

ნოდარმა ყველა ადგილი მოიარა, სადაც ჩათვალა, რომ შესაძლებელი იყო მანანა და მეგობრები ყოფილიყვნენ, მაგრამ ვერსად ნახა. იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. შევიდა სახლში განაწყენებული იმით, რომ მანანას ადგილ სამყოფელი ვერ გაარკვია და ტახტზე წამოწვა.

რამოდენიმე წუთში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ნოდარი მივიდა და ყურმილი აიღო.

—გისმენთ.

—უკაცრავად, ნოდარი ბრძანდებით? —მოესმა ქალის ხმა, რომელსაც აღელვება ეტყობოდა.

—დიახ, მე ვარ.

—მე მაია ვარ.

—რომელი მაია?

—დათოსთან რომ მნახეთ... გახსოვთ?

—კი მახსოვს. დათოს შეეკვარებული?

—ძალიან გთხოვთ, იქნებ დათო ნახოთ და უთხრათ, რომ დროებით სადმე დაიმალოს. —განაგრძო მაიამ აღელვებული ხმით.

—როგორ თუ დაიმალოს? რატომ უნდა დიმალოს?

—ჩემი ძმა წამოვიდა მასთან, ძალიან აღელვებულია და მეშინია რამე არ აუტეხოს. მისთვის ამბავი მიუტანიათ, რომ მე დათოსთან ერთად მნახეს და ძალიან გაბრაზდა. მის მოსაძებნად წამოვიდა და ძალიან მეშინია. იქნებ გააგებინოთ. ცოტა ხანს, რომ მოერიდოს, მერე აღელვება გადაუვლის და საშიში აღარ იქნება იმდენად. მე რამოდენიმეჯერ დავურეკე, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. უკვე საათზე მეტია რაც წამოვიდა. ძალიან გთხოვთ, აუცილებლად გააგებინეთ.

—ხო, რა თქმა უნდა. ეხლავე წავალ მასთან. —თქვა ნოდარმა და დადო ყურმილი. მაშინვე გავიდა ეზოში, მანქანა მოამართა და დათოსთან წავიდა.

დათოს სახლთან მისულმა ნოდარმა, თითქმის სირბილით შეირბინა სახლში ძახილით, მაგრამ დათო სახლში არ დაუხვდა. უკან მობრუნებულმა, ეხლა შენიშნა, რომ შორიახლოს მეზობლები შეგროვილიყვნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. შაქრომ, რომელიც მათ შორის იყო, მიატოვა ისინი და ნოდარისკენ გამოემართა.

სად არის დათო, ხომ არ იცი შაქრო ძია? —მისალმება არ აცალა ნოდარმა შაქროს.

—კი ვიცი. აქვე ახლოს ექიმთან არის სახლში.

—ექიმთან რა უნდა? —გულმა რაღაც ცუდი უგრძნო ნოდარს.

—რა ვიცი, რაღაც ვერ იყო კარგად და... — სათქმელი არ დაამთავრა შაქრომ.

—ძია შაქრო, არ დამიმალო თუ რამე მოხდა... მე ვიცი, რომ მასთან საჩხუბრად წამოვიდა ერთი ბიჭი და თუ უკვე იყო, აუცილებლად რამე ცუდი მოხდებოდა.

—კი. იყო ერთი. ალბათ ვისზეც შენ ამბობ ის იყო. იჩხუბეს კიდეც და ჰატარა გაეკაწრა. სწორედ ამის გამოა ექიმთან, შეუხვევს და მოვა.

—წამიყვანე მასთან, სახლი არ იცი?

—ვიცი, მაგრამ უხერხულია. ექიმს სახლში ხომ ვერ შევაწუხებთ.

—ექიმთან, გაჩხაპნილის გამო დათო არ წავიდოდა. ალბათ, უფრო რთული რამეა. ესროლეს?

—არა, არა. არავითარი სროლა არ ყოფილა. თუ გინდა წაგიყვან.

—კარგი, დაჯექი და წავიდეთ.

—შაქრო ჩაჯდა მანქანაში და ნოდარი იმ მიმართულებით წავიდა, საითაც შაქრომ მიუთითა.

—დიდი ჭრილობა მართლა არ არის, როგორც ექიმმა თქვა და გთხოვ, ვაუკაცურად მოიქეცი და არ აღელდე. ქვეყანა არ შეიყაროს. დათოს არ უნდა, რომ პოლიციამ გაიგოს. რაკი ასე სურს, ალბათ მიზეზიც აქვს.

—კი, ეგ ვიცი. პოლიციაში გაქცევას არც მე ვაპირებ. მაგრამ რა სჭირს მართლა, მითხარი.

—იმ ბიჭს დანა ამოუღია და დაუჭრია, მაგრამ ექიმმა თქვა, მართლა არ არის საშიშიო.

—სად არი დაჭრილი?

—მხარშია —შაქრომ ექიმის ჭიშკარზე მიანიშნა ეს არისო..

ნოდარმა მითითებულ ჭიშკართან გააჩერა ავტომანქანა და გადმოვიდა. სახლი საკმაოდ მოზრდილი იყო. სახლი ისე ახლოს იწყებოდა ქუჩიდან, ეზო თითქმის არ ჰქონდა.

შაქრომ დაუძახა ექიმს. დაძახებაზე 10-12 წლის გოგონა გამოვიდა და შეიპატიჟა მოსულნი. მობრძანდითო.

—ჩვენ, დაჭრილი რომ მოვიყვანეთ მასთან ვართ. —უთხრა შაქრომ.

—მობრძანდით, მობრძანდით. აქ არის. —გაიმეორა შეპატიჟება გოგონამ ეზოში შესულებს ოთახის კარი გაუღო, სადაც დათო და ექიმი იყო.

ნოდარი და შაქრო იმ ოთახში შევიდნენ. ოთახი სამედიცინო სამუშაო ოთახს წააგავდა. უფრო სწორად, ეტყობოდა, რომ ამ მოვალეობას ასრულებდა, თორემ ნადვილად სამკურნალო— სამედიცინო კაბინეტისგან ძალიან შორს იყო. დათო საგარძელში იჯდა, ექიმიც იქვე ახლოს იყო და ალბათ მათი მისვლის წინ საუბრობდნენ.

—როგორ ხარ ბიჭო, კარგად ხარ? იმედია ჭრილობა საშიში არ არის.

დათომ გაიღიმა და ალბათ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ექიმმა დაასწრო.

—არა, არა საშიში არ არის, მაგრამ უსათუოდ კარგი მოვლა და გაფრთხილება უნდა, თორემ შეიძლება საშიში გახდეს. ეხლა ცოტა ხანს კიდე დაისვენოს, დაწყნარდეს და შემდეგ შეგიძლიათ წაიყვანოთ. მხოლოდ როგორც ვთქვი გაფრთხილება უნდა.

—როგორ უნდა გაუფრთხილდეს? —ჰკითხა ნოდარმა.

—წამლებს დაგიწერთ და უნდა დალიოს, აუცილებლად. რამოდენიმე დღე უნდა იწვეს. შემდეგ შეიძლება წამოდგეს, მაგრამ, ეს ხელი ერთი თვე არ უნდა ამოძრაოს. ერთი თვის შემდეგ შეიძლება ნელ-ნელა ცოტა აამოძრაოს, მაგრამ მკვეთრი მოძრაობა და მძიმეს აწევა რამოდენიმე თვე არ შეიძლება. კარგი იქნება დროდადრო თუ მოხვალთ, რომ შევამოწმო. ერთი კვირის შემდეგ კი აუცილებლად უნდა მოიყვანოთ, რომ ძაფები ამოვუღო.

—ბიჭო, რა შარიანი საქმე აიკიდე, შეეშვი საერთოდ, ხომ არ უნდა მოკვდე. ხომ ხედავ გიჟია. „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო" არ გაგიგონია. კიდევ კარგი გადარჩი, თორემ მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუ არ შეეშვები, ყოველთვის ხომ ვერ გადარჩები?

—ამაზე მერე ვილაპარაკოთ, —თქვა დათომ და ექიმს მიუბრუნდა.

—ბატონო ოთარ! თქვენ რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

—150 ლარია საჭირო და მომავალშიც ყურადღებას მოგაქცევთ.

—უჰ, რა ამბავია ამდენი? —წამოიძახა ნოდარმა.

—რა ექნა გენაცვალე, ჩვეულებრივ სიტუაციაში შეიძლება 50 ლარიც არ ამეღო, მაგრამ, ეს ისეთი სიტუაციაა, მე ერისკაკ. პოლიციამ რომ გაიგოს, შეიძლება 10-ჯერ მეტი დამიჯდეს იმის გამო, რომ არალეგალურად ემკურნალობ და დანაშაულს ვფარავ, ამისათვის შეიძლება დამაპატიმროონ კიდეც.

—დანაშაულის დაფარვა მაშინ ითვლება თუ საქმე აღიძვრება, დაგკითხავენ და დამალავ. არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე.

—უბრალოდ ისინი მავალდებულებენ, რომ ასეთ სიტუაციაში ვაცნობო მათ. თუ გაიგებენ ამ ამბავს, განაწყენდებიან, რომ არ ვაცნობე. კარგი 150-ის საშუალება თუ არა გაქვთ, 100 ლარი მომეცით.

—კარგი მოგიტანთ. აღარ არის ზედმეტი ლაპარაკი საჭირო. —თქვა დათომ.

—ნოდარ შენ გაქვს აქ ფული რამე? —დათო ნოდარს მიუბრუნდა.

—არა, აქ არა მაქვს, მაგრამ წავალ და მოვიტან.

—ხო, წადი მოიტანე და მერე მოგცემ.

ნოდარი წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა.

—საჩქარო კი არ არის. მე გენდობით. შეგიძლიათ ხვალ მოიტანოთ. —თქვა ექიმმა დაგეიანებით, რითაც გამოამჟღავნა, რომ სწორედ დღესვე უნდოდა ფულის მიღება. ნოდარი წამით შეჩერდა, მოუსმინა და გზა განაგრძო.

რამოდენიმე წუთში ნოდარი დაბრუნდა და ექიმს 100 ლარი გადასცა. ამის შემდეგ დათოც წვალებით წამოდგა, გამოემშვიდობა ექიმს, მადლობა უთხრა და წამოვიდნენ. ნოდარი ნელა ატარებდა მანქანას, რომ დათოს არაფერი სტკენოდა.

—მე მგონი დამეთანხმები, ჩემთან წამოსვლა სჯობია. აბა, სახლში მარტო რომ იწვე ვინ მოგივლის?

—რატომ შენთან? ჩემს სახლში წამიყვანე, ჩემს ნამდვილ სახლში. მშობლები მყავს, და დაიმები, ვერ მომივლიან?

—იქ რა, მაიასთან და იმის ძმასთან გინდა ახლო იყო? გინდა კიდე, რამე აგიტეხოს? თანაც შეიძლება მამაშენი და შენი ძმაც გაღიზიანდნენ, რამე უთხრან და ისევ უბედურება დატრიალდეს.

—მე თუ იქ არ ვიქნები, მაშინ უფრო მეტი შესაძლებლობაა მათი წაკამათების. სწორედ ამიტომ, აუცილებლად აქ უნდა ვიყო. შენ კი, თუ პატივისცემა გინდა ამ სახლს მიხედე, სანამდე მე დავბრუნდები.

—ამ სახლს მეც მივხედავ. მე იქ არა ვარ? —თქვა შაქრომ.

—შენ თუ მიხედავ, უფრო უკეთესი, მაგრამ, არ მინდა შეგაწუხო. ეს უფრო ახალგაზრდაა და შეუძლია ხშირად შემოიაროს. დიდი საქმეები არ აწუხებს, მაინც მოცლილია და...

—ნოდარმაც მიხედოს, თავის ნებაა, მაგრამ მე ახლო ვარ და უფრო მეტი შესაძლებლობა მაქვს. უფრო ხშირად შემიძლია შევიდე და თვალყური ვადევნო, ქათმებს ვაჭამო.

—კარგი ძია შაქრო. თუ შენ მიხედავ ეს უკეთესია. გასაღებს შენ დაგიტოვებ.

ნოდარი და შაქრო გადავიდნენ მანქანიდან. ნოდარმა მითითებული ადგილიდან გასაღები აიღო, კარი გამოკეტეს და გასაღები შაქროს დაუტოვეს. მათ კი გზა განაგრძეს. გზად აფთიაქში წამლები აიღეს.

—ეხლა რას აპირებ? არ მითხრა, ეხლა ისევ მიყვარსო.

—აბა რა, სიყვარული ასე ადვილად იკარგება? მაიას სულელი ძმის გამო, მაია შევიძულო? მან რა დააშავა?

—არ გამაგიჟო... მესმის სიყვარული, მესმის, რომ კარგი გოგოა მაია, მაგრამ თყკი პრაქტიკულად შეუძლებელია ამ სიყვარულს განხორციელება, საბოლოოდ რას ელით, გინდა, ეროი მეორე უნდა ამოხოცოთ? ამის მერე გეყვარებათ ერთმანეთი? ხომ ხედავ ის ბიჭი სულელია, ვერ შეეგუება თქვენს სიყვარულს და რას დაელოდები იმას, რომ, მოგკლას? თუ შენ მოკლავ და მერე თავისუფლად იქნებით შენ და მაია?

—არ ვიცი. მაგრამ, მე მას ვუყვარვარ და მეც მიყვარს. სხვა არაფერი მაინტერესებს.

—ბედს ეთამაშები, ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ღმერთმა ქნას, ხვალ, ზეგ ჭკუაზე მოვიდეს ის ბიჭი და თავის ხელით მოგიყვანოს თავის და, მაგრამ სასწაულები არ ხდება.

ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ კვლავ ნოდარმა გააგრძელა.

—მკლავში, თუ მხარში როგორ დაგჭრა?

—ხელი ავუკარი და აქ მომხვდა. მერე ხელი ვკარი და გადავარდა, ჩხუბის დროს უბნის ბიჭები მოვიდნენ და გაგვაშველეს. დანა მე მგონი დაუვარდა, ოორემ ისე ადვილად არ დაწყნარდებოდა. უდანოდ რისი შნო აქვს. აქ მოსელას ვერ გაბედავდა, ისეთი სუსტია.

ასე რამ გამოაშტერა, რომ ვერ გაუგია ამით თავის დას რომ აყენებს ზიანს. მაგას თავის "შავი" ძმაკაცები ხომ არ აგიყენებენ?

—რა ვიცი.... არ არის გამორიცხული.

—მე რომ ვნახო და წყნარად ველაპარაკო, იქნებ გაიგოს? იქნებ შენი არ სჯერა და ამიტომ იქცევა ასე?

—არა,რას ლაპარაკობ. არაფერი უთხრა. გინდა ეხლა შენ გადაიკიდო? შეიძლება ამით უფრო გაღიზიანდეს და თავის და გაამწაროს. იქნებ შენი არ სჯერაო რომ ამბობ, თუ არ სჯერა, მაშინ მოვიდეს და ნორმალურად დამელაპარაკოს. ბოლოს და ბოლოს ხელს მოვაწერ, ჯვარს დავიწერთ და ისე წამოვიყვან მეტი რაღა უნდა, თუ არა სჯერა მერე ხომ დაიჯერებს? მაგრამ მაგას სხვა ჭია ჰყავს შემძვრალი.

— რა ჭია?

—ალბათ ის, რომ ქურდული მენტალიტეტის პატივისცემით და მისი ერთადერთ კანონად აღიარებით, გაბეჩავდა და ვერც ქურდულისა გაიგო რამე, ვერც სხვისა. არაქურდული სამყაროს კაცის სიძეობა სირცხვილად მიაჩნია.

—ხო მგონი ეგ უფრო შეესაბამება მის მოქმედებას. კი, მაგრამ თუ ასე ფიქრობ, რისი იმედი გაქვს? ის ხომ არ შეიცვლება?

—მე არც მაქვს მისი აზროვნების შეცვლის იმედი.

—ვაა. ძალიან მაკვირვებ. მაშინ ადექით და რომეო და ჯულიეტასავით თავები დაიხოცეთ. მერე ქვეყანა დაგიტირებთ, ყველა თქვენზე ილაპარაკებს: რა ძლიერი რომანტიკული სიყვარული ჰქონიათ ერთიმეორისაო. მაიას ძმაც მოინანიებს: ეს რა ვქენი, ჩემი და როგორ დავღუპე, როგორ დავბრმავდი და ვერ დავინახე. რომ ასე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთიო. შეიძლება შენზე და მაიაზე წიგნიც დაწერონ ან კინო გადაიღონ. შენ კი რა? საიქიოში იქნებით ერთად? იქ ალბათ ბევრი შვილები გეყოლებათ და ბედნიერად იცხოვრებთ არაა? აქ კიდევ რომანტიკოსი შეყვარებულების სათაყვანებლები გახდებით, შეიძლება ძეგლიც დაგიდგან, ვალენტინობის დღესავით თქვენს დღესაც დანიშნავენ, მოვლენ თქვენს საფლავზე და სანთელს დაგინთებენ. ეს გინდა? აქ კი, შენი ოჯახის წევრები და ახლობლები საშინლად გამწარდებიან სიცოცხლის ბოლომდე.

—კარგი რა, გეყოფა დაცინვა. მე ვინ მიცნობს, რომ პოლიტიკურ იარაღად აქციონ ჩემი ცხოვრება? რამე რომ დამემართოს, შეიძლება მაიამ მართლაც მოიკლას თავი, მაგრამ ამით, არც არავინ მოინანიებს და ერთი წლის შემდეგ არც არავის ვემახსოვრებით ახლობლების გარდა, რომლებიც მართლა გამწარდებიან სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ მიყვარს და მორჩა. თავს არ დავანებებ.

—არ ვიცი, ძმაო, არ ვიცი. ეტყობა წერამ აგიტანა. მე სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია... არც ვიცი რა გავაკეთო შენს საშველად.

დათოს მშობლების სახლამდე ხმა აღარ ამოუღიათ, ისე იმგზავრეს. სახლთან მისულები მანქანიდან გადავიდნენ და სახლში შევიდნენ. ჭრილობა რომ დაინახეს სახლში მყოფებმა, შეცბუნდნენ.

—ეგ რა მოგსვლია შვილო, რა არის ეგ? — ხმამაღლა დაიძახა შეშინებულმა დედამ.

—არაფერია, პატარაზე გავიჭერი. —თქვა ღიმილით დათომ და ცდილობდა ტკივილი არ შეემჩნეოდა.

—როგორ გაიჭერი, რაზე გაიჭერი შვილო? ღრმად ხომ არ არის?

—არა, არა, ცოტაზეა. დავეცი და ძირს შუშა ყოფილა... ვერ შევნიშნე, და გამეჭრა... დაბნეულად თქვა დათომ.

—სერიოზული ხომ არაფერია შვილო, არ დამიმალო დედა გენაცვალოს.

—არაფერი სერიოზული არ არის. ნურაფრის გეშინია. ექიმმა მითხრა რამდენიმე დღე არ იმოძრავოო და ვიფიქრე, თუ არაფერს გავაკეთებ მშობლებთან წავალ, ვნახავ მაინც—მეთქი.

დათოს დაც და მამაც შეშინებულები ათვალიერებდნენ მის ჭრილობას და ნოდარს არც კი მისალმებიან, როცა დარწმუნდნენ, რომ საშიში არაფერი იყო და დამშვიდდნენ ნოდარს მიუბრუნდნენ.

—უი, მაპატიე შვილო. შენ ვერც კი მოგაქციე ყურადრება ისე შემეშინდა... როგორ ხარ?— უთხრა დათოს დედამ.

—მე არა მიშავს.. ექიმმა თქვა რამოდენიმე დღე უნდა იწვეს და წამლები დალიოსო. აი, წამლებიც ვიყიდეთ და მაგის სიჯიუტე რომ ვიცი, შეიძლება არ დალიოს, ყურადღება მიაქციეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა ადგება ერთი თვე ხელი არ უნდა გაატოკოს, თორემ შეიძლება გართულდეს. ამასაც მიაქციეთ ყურადღება.

სახლში მისულ ნოდარს გზიდანვე შემოესმა ტელეფონის ზარის ხმა. მაშინვე აირბინა კიბე და ყურმილი აიღო.

–გისმენთ.

–მაია ვარ. ნახეთ დათო?

– კი, ვნახე.

–რამე ხო მარ მოხდა? ნახა ჩემმა ძმამ?

–კი, ნახა.

წამიერი შეყოვნების შემდეგ მაიამ კვლავ გააგრძელა შეკითხვები.

–რამე ხომ არ მოხდა?

–არაფერი. პატარა ნაკაწრი აქვს დათოს დანით, მეტი არაფერი.

–დანა დაარტყა? –აღელვება მოემატა ხმაში მაიას.

–არა, ხომ გითხარი, პატარა ნაკაწრი აქვს, –მის დამშვიდებას შეეცადა ნოდარი.

მაიას ხმა რამოდენიმე წამს ისევ შეყოვნდა და შემდეგ კვლავ გაისმა.

–ძალიან გთხოვო, იქნებ დააჯეროთ, რომ მე არ მიყვარს და ნუღარ მოინდომებს ჩემთან შეხვედრას. –ამჯერად უკვე ხმა მომტირალისა ჰქონდა. –ჩემი ბრალია, რომ მოვატყუე და იმედი მივეცი, მაგრამ ეხლა მაინც ხომ უნდა იცოდეს, რომ არ მიყვარს და არც არსდროს მეყვარება. ძალიან გთხოვთ გადაეცით რაა. ხომ გჯერათ ჩემი?

–კიი, მჯერა. –ირონიული ტონით უპასუხა ნოდარმა. –არც დათოს უყვარხარ. უბრალოდ, შენი ძმის გაბრაზება უნდა. მაგ ლაპარაკს ის სჯობს შენს ძმას შეაგნებინო რამე.

–კარგით... მაპატიეთ რომ შეგაწუხეთ.

–მოიცადე გოგო, ყურმილი არ დადო. გაპატიო კი არა, ხშირად დარეკე, იქნებ რამე მოვიფიქროთ და ამ ჩიხიდან გამოსავალი მოვძებნოთ. მე რომ მინდოდეს, ხომ ვერ დაგირეკავ. არც ნომერი ვიცი და თანაც, შენს ძმას უნდა მოვერიდოთ, რა ვიცი სახლში როდის არის. ამიტომ შენ დარეკე, როცა საშუალება გექნება და ერთად მოვიფიქროთ რამე. უიმედობაში გულხელ დაკრეფილი ჯდომა და ტირილი საქმეს არ შველის.

–ჩვენ ტელეფონი არ გვაქვს. მეზობლის სახლიდან ვრეკავ.

–არაუშავს. სხვადროსაც გამონახე საშუალება დასარეკად.

– კარგი. მაღლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

ნოდარმა ყურმილი დადო, ხელები გაასავსავა და თქვა: –რა ვუშველო ამ საცოდავებს, ღმერთი ხომ არ ვარ, უბრალო კაცი ვარ რა შემიძლია.

–ნოდარ, სად დაიკარგე, მთელი კვირაა მოვდივარ შენთან და სახლში არ ხარ. –თქვა ნოდართან მისულმა გიამ.

–ის ჯიხური აღარ დავამთავროთ?

–კი. დავამთავროთ. ეს ერთი კვირა არ მეცალა, ხორბალი დაკთესე. რა მექნა, შარშანდელივით ხომ არ დავაგვიანებდი.? ოქტომბერი გადის და უკვე დროა. ეხლა თებერვლამდე აღარაფერი უნდა და თავისუფალი ვარ. ფულიც, რამდენი რჩება ხომ უნდა ვიცოდეთ, საქონელი რომ ვიყიდოთ.

–გაყიდე ის ხორბალი, რაც გასაყიდი გქონდა?

–იმ ხორბლის ფულით, ხომ ეენერას ვუყიდე სახლი... ჯიხურს რაღა უნდა? ფაქტიურად დამთავრებულია... დახლები და თაროებიც ხომ გაკეთდა? მარტო წარწერა დარჩა და სულ რომ არ დავაწეროთ არაფერი უჭირს. უცხო აქ არავინ მოვა და უბნის ხალხი ისედაც გაიგებს... შენ როდის გცალია, საქონლისათვის რომ წახვიდე?

–მე ხვალ შემიძლია, თუ სხვა არაფერი გვიშლის ხელს.

–რაღა გვიშლის? ფულს მოგცემ 600 ლარს და წადი. 50 ლარს მე დავიტოვებ სახარჯოდ, ჯერჯერობით მეყოფა და მერე ვნახოთ. წარწერა კი შეგვიძლია დღესაც გავაკეთოთ.

ნოდარი შევიდა სახლში, ფული გამოიტანა და გიას გადასცა.

–რა მოვიტანო? მოვილაპარაკოთ და სია შევადგინოთ. –თქვა გიამ.

– შენ გამოცდილი ხარ, თუ გინდა შეადგინე სია. აბა მე რა ვიცი, რა სჯობს. ერთი ეგ ვიცი, რომ ყოველდღიური მოხმარების საქონელი უნდა იყოს, უკეთესად რომ გაიყიდოს.

მეორე დღეს გია გაემგზავრა თბილისში და მოიტანა სავაჭრო საქონელი. იმავე დღეს სამივემ ამოალაგა ჩანთებიდან და ყუთებიდან საქონელი და თაროებზე დიდი მონდომებით სათუთად და ლამაზად დააწყეს.

–ყველაფერი გავშალეთ, დავაწყეთ და მაღაზია ცარიელს ჰგავს. რა ცოტა გამოვიდა. –თქვა ნოდარმა და თვითონვე უპასუხა. –არა უშავს, ჯერ ამით დავიწყოთ და მერე გაბევრდება. ხორბალს დავფქვავ, რაც დარჩა, იმ ფქვილით პური გამოვაცხოთ და პურის ფული აღარ დაგვეხარჯება. ნავაჭრის უმეტესი ნაწილი ისევ დავასაქონლოთ და თავისთავად გაბევრდება.

–ვა, უკვე გახსენით, –თქვა ფანჯარასთან მისულმა ნუგზარმა. –ეხლა კი ნამდვილად გეკუთვნით მაღარიჩი.

–გვეკუთვნის და კიდეც ავღნიშნავთ. –თქვა ნოდარმა.

–წავალ მაღაზიაში, რამეს ვიყიდი და მართლაც დავლოცოთ ჩვენი საქმიანობის დაწყება.

–მაღაზიაში არა ხარ, სადღა უნდა წახვიდე? –უთხრა ნუგზარმა.

–აქ ჯერ ღარიბული მაღაზიაა. ისეთი არაფერია ეხლა რომ გამოგვადგეს საამისოდ. –თქვა გიამ.

–ეხლა უკვე გვიანია. მაღაზიაც ღია არ იქნება ალბათ. გირჩევთ ხვალისათვის გადადოთ. –თქვა ქეთინომ.

–მართლა ხვალ ჯობია. –თქვა ნოდარმა. –მაღაზიაში დიდი არაფერი იქნება. ხვალ ბაზარში ხორცსაც ვიყიდი და მწვადი შევწვათ. ეხლა მაინც შევწვათ, თორემ მწვადის გემო დამავიწყდა.

–ხვალ მე ვმუშაობ. –თქვა გიამ.

–კარგი. თუ ასეა დღესვე მოვახერხოთ როგორმე. მე წავალ ცენტრის მაღაზიაში რამეს ვიყიდი. მალე მოვალ, დამელოდეთ –თქვა ნოდარმა ნუგზარის გასაგონად.

–თუ ასეა, მე სახლში შევალ, კარტოფილს შევაწვევინებ. ნოდარი წავიდა ქალაქის ცენტრისკენ, გია კი სახლში შევიდა. ქეთინომაც სახლში მოამზადა რაც შეეძლო და სუფრაც გაიშალა ქეთინოს ეზოში, მაღაზიის გვერდით.

ქეთინო დიდხანს არ გაჩერებულა სუფრასთან. დიდი ხვეწნით ერთი ჭიქა ღვინო დაალია, ცოტა ისადილა მათთან ერთად და სახლში შევიდა.

ცოტა ხანში სუფრა ჯიხურში გადაიტანეს. ჩათვალეს, რომ იქ სჯობდა, რადგან ეზოში შესაძლებელი იყო გაციებულიყვნენ.

ქართული წესებისათვის უჩვეულო, უთამადო სუფრასე ვისაც რა მოუვიდოდა თავში აზრად, სადრეგრძელოსაც ის ამბობდა. სამივე უკვე შემთვრალი იყო და სათქმელიც ბევრი გაუჩნდათ. ამიტომ სამივეს სურდა სადღეგრძელოს თქმა, მაგრამ ამჯერად ნუგზარმა იმარჯვა და მოიპოვა სადღეგრძელოს გამოთქმის საშუალება.

—ბიჭებო, მოდით სიყვარული ვადღეგრძელოთ. სიყვარულს გაუმარჯოს. ამ ქვეყნად, მართლა რომ დაფიქრდე, სიყვარულის გარდა რა არის სასიხარულო და საინტერესო? უფრო ტკბილი და უფრო სასიამოვნო?

—შენ რა, შეყვარებული ხარ? —უთხრა გიამ, მაგრამ ნუგზარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო.

—ერთხელ დაიბადები, ერთხელ მოკვდები. მოკვდები და მიწად იქცევი. თუ სიყვარული არ გამოსცადე, თუ არავინ გიყვარს, თუ ოჯახი არ შექმენი და შვილები არ დატოვე, მაშინ რა არის შენი ცხოვრება? თუნდ დაბადებულხარ, თუნდ არა. მიწა იყავ და ისევ მიწად იქცევი, მაგრამ, თუ შვილებს ტოვებ, თუ მათ სიყვარულს უნერგავ და შთამომავლობა გაგრძელდება, მაშინ მიწა აღარ ხარ. მაშინ მუდმივად ცოცხლობ შენი შთამომავლობის და შენი გენის მეშვეობით. ამისათვის მოგვცა ალბათ ღმერთმა სიყვარულის უნარი. ეს უნარი, რომ არ გვქონდეს და ოჯახს რომ არ ვქმნიდეთ, აქამდის ხომ აღარ ვიარსებებდით? თუ სიყვარულის უნარი არა გაქვს, თუ არავინ შეგიყვარდა, ისე ოჯახს ხომ ვერ შექმნით? ზოგი, გარიგებით ქორწინდება, მაგრამ მაინც ხომ უყვარდებათ? ვისაც სიყვარულის უნარი არა აქვს კიდევ, ოჯახსაც ვერ ინარჩუნებენ და ანგრევენ. მე მეცოდება ის ხალხი. გუშინ თუ გიყვარდა დღეს რამ შეგაძულა? ესეიგი არც გუშინ გიყვარდა, შენ თავსაც ატყუებდი და სხვასაც. ვალდებულების, თუ მოდის გამო დაქორწინდი და სიყვარული დაარქვი, ასეთი ცრუ სიყვარული ღმერთმა გვაშოროს. ნამდვილ სიყვარულს გაუმარჯოს. ღმერთმა ქნას, რომ თქვენც გქონოდეთ სიყვარულის შნო და თქვენს მომავალ მეუღლეებსაც. ნუგზარმა სადღეგრძელო დაამთავრა თუ არა, გია მაშინვე წამოდგა და გარეთ გავიდა, ჩქარი ნაბიჯით.

—რა მოუვიდა, რამე ეწყინა? —იკითხა ნუგზარმა.

—არა, არაფერი. რა უნდა სწყენოდა? ალბათ რაღაც გაახსენდა პირადი ცხოვრებიდან და აღელდა. დამშვიდდება და მოვა.

—ხო, გაუმარჯოს სიყვარულს. —თქვა ნუგზარმა და დალია. ნოდარმაც თითქმის იგივე გაიმეორა და დალია. ამ დროს გარედან, ეზოს მხრიდან რაღაც მტვრევის, ნგრევის ხმა მოესმათ. თავდაპირველად ბიჭებმა ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ, რომ არ შეწყდა გაოცებულები გავიდნენ. გარეთ უცნაური სანახაობა დახვდათ. გიას აეღო ურო და ღობეს ანგრევდა, რომელიც მის და ქეთინოს ეზოს ჰყოფდა.

—რას შვრები ბიჭო, გაგიჟდი? —უთხრა ნოდარმა. გიამ არაფერი უპასუხა, არც კი მიუხედავს მისთვის.

ხმაურზე ქეთინოც გამოვიდა.

—რას შვრები ბიჭო! —გაოცებით ჰკითხა ქეთინომ.

—ღობეს ვანგრევ. —უპასუხა გიამ, ისე რომ ნგრევა არ შეუწყვეტია.

—შენ რა, გაგიჟდი? —უთხრა ქეთინომ და უფრო ახლოს მივიდა.

—ჰო, გაეგიჟდი.

—რატომ ანგრევ?

—იმიტომ რომ ხელს მიშლის.

—ხელს რაში გიშლის?

—იცი შენ რაშიც. —თქვა გიამ, დანგრევა შეაჩერა და ქეთინოს შეხედა. —ეს ღობე საშინელებაა. ეს ღობე კი არა ზღუდეა., ბარიერია, რა ვიცი რა არის. ეს ღობე არ უნდა იყოს. ხელს მიშლის სიყვარულში.

—შენ თუ ლაპარაკი არ შეგიძლია ღობე რა შუაშია?

—ღობე მიშლის, ღობე! —ხმას აუწია გიამ. შემდეგ ურო იქვე მიაგდო, ქეთინოს ელვისებურად ეცა, ხელში აიყვანა და თავისი სახლისკენ გააქცია.

—რას შვები, მართლა გაგიჟდი! —დაიყვირა ნოდარმა და რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა მათკენ შესაჩერებლად, მაგრამ რომ ნახა ქეთინო წინააღმდეგობას არ უწევდა, გაჩერდა.

რამოდენიმე წამში გია და ქეთინო კარს მიღმა გაუჩინარდნენ. ნოდარი კიდევ რამოდენიმე წუთს ერთ ადგილზე მკაცრი სახით, გაოგნებული იდგა, მერე უცებ გადაიხარხარა. შემობრუნდა უკან და უფრო მეტად გაოგნებულ ნუგზარს უთხრა:

—წამოდი გავაგრძელოთ. ეხლა ამათი სადღეგრძელოც ხომ უნდა დაველიოთ.

—რა ხდება? — გაოცებით იკითხა ნუგზარმა.

—შენ რა, ვერ მიხვდი რა ხდება?

—აბა რა ვიცი უყვარს?

—ხო.

ნუგზარი, თითქოს ჯერ კიდე ვერაფერი გაიგოო, გაოცებული სახით გაჰყვა უკან ნოდარს.

—ცოლად წაიყვანა?

—აბა სახლის დასათვალიერებლად ხომ არ შეიყვანდა თავის სახლში. —გაეღიმა ნოდარს.

ნუგზარს რამოდენიმე წამი ისევ გაოცებული სახე ჰქონდა, შემდეგ კი გაიღიმა და თქვა: —მაშ ქორწილი გვიჭამია.

—დიდ ქორწილს არა, მაგრამ პატარა პურმარილს კი გადავახდევინებთ, კიდეც რომ არ უნდოდეს. წლების ოცნება აისრულა და ისე არ შეიძლება ჩაატაროს.

ნოდარსა და ნუგზარს ღვინო აღარ დაულევიათ. ორივეს უნდოდა დაელოცათ, მაგრამ ფრთხილობდნენ. ჯერ ცოტა მოვიცადოთ რა ვიცი როგორ შეტრიალდესო. ორ საათზე მეტი გავიდა, მოსაღამოვდა, გიას სახლიდან კი არაფერი ხმა არ გამოდიოდა. შემდეგ ლელა გამოვიდა და ქეთინოს სახლში შევიდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა,

ნოდარმა დაუძახა ლელას. ლელა მათთან მივიდა. სახეზე კარგი განწყობა ეტყობოდა.

–რა ხდება? –ჰკითხა ნოდარმა. –გია გამოვა თუ არა, არ უთქვამს? ლელამ გაიღიმა და თქვა. –ოთახიდან არ გამოსულან. მხოლოდ ერთი წამით გამოვიდა გია და გამომგზავნა ქეთინოს დედას ხომ არაფერი უჭირსო.

–მოგილოცოთ ესეიგი ძმის გაბედნიერება?

–ლელამ ისევ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.– რა ვიცი?

–გილოცავ ძმის გაბედნიერებას. ბედნიერები იყვნენ სიცოცხლის ბოლომდე.–უთხრეს ორივემ.

–მადლობთ. –ღიმილითვე უპასუხა ლელამ და გაიქცა სახლში. ეხლა კი დალოცეს ნოდარმა და ნუგზარმა ახლად შეუღლებული წყვილი ღვინით და რამოდენიმე წუთში სახლებში წავიდნენ.

მეორე დღეს ელვისებურად გაერცელდა ახალი ამბავი. შუადღემდე მთელმა უბანმა გაიგო გიას და ქეთინოს შეუღლება. უმრავლესობას გაუხარდა და ლოცავდნენ, ბედნიერები იყვნენო, ზოგი კი ირონიით ამბობდა, გაასაღა გიამ უბედურიო.

დილით რომ წამოდგა ნოდარი, გიას ბედნიერებით გახარებულს თითქოს შეშურდაო, მაშინვე მანანა გაახსენდა. –ნეტავ მეც მეღირსება მანანასთან ბედნიერება? როდის? ვუყვარვარ კი? ალბათ ვუყვარვარ, თორემ ისე ხომ არ მაკოცებდა? შეიძლება ისე ძალიან არ ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს, მაგრამ... ეს იქნებ ჩემი ბრალიც არის, იშვიათად მივდიეარ მასთან და შეიძლება არც სჯერა ჩემი სიყვარულის. რატომ არ უნდა სჯეროდეს, მე ხომ ნამდვილად მიყვარს. ან იქნებ ეს მართლაც არ არის ნამდვილი სიყვარული? თუ არა, აბა მაშ რა მეწევა მისკენ? მართალია იშვიათადად ვნახულობ, მაგრამ ის თვითონ არ არის ხშირად სახლში და მე ვტყუივარ... რაა რომ ზოგჯერ სახლში არ არის. მე თუ არ მივაკითხე, აბა თვითონ ხომ ვერ მოვა ჩემთან? წავა სადმე აბა სულ სახლში ხო მარ იჯდება?.. დღეს აუცილებლად უნდა ვნახო, არაფერი სხვა საქმე არა მაქვს, საქმე რომც მქონდეს, ეს უფრო მნიშვნელოვანი საქმეა. უნდა წავიდე, მას მეტი დრო უნდა დავუთმო. –დაასკვნა ფიქრებში ნოდარმა და მანანასთან წავიდა.

ნოდარი ეზოში შევიდა და ისე დაუძახა. მანანამ გამოიხედა, კიბე ჩამოირბინა და შეიპატიჟა.

–მოდი, მოდი, მარტო ვარ. მამა და დედა მინდორში სამუშაოდ წავიდნენ. სად დაიკარგე ამდენ ხანს, რატომ არ მოხვედი?

–მე მოვედი რამოდენიმეჯერ, მაგრამ შენ სახლში არა ხარ. ყოველთვის სასეირნოდ ხარ ვიღაცეებთან.

–დაჯექი ეხლავე ყავას მოვადუღებ და მოვალ.

რამდენიმე წუთში მანანა ყავის ფინჯნებით გამოვიდა და წინ დაუდგა ნოდარს.

–მე რომ მსაყვედურობ, თვითონ სად ხარ გოგო, რამდენჯერაც მოვედი, სახლში არ დამხვდი. ვისთან დადიხარ ასე ხშირად?

–შენ რა ეჭვიანობ? –ღიმილით უთხრა მანანამ. მე თავისუფალი გოგო ვარ და სადაც მინდა წავალ. მე ხომ შენთვის პირობა არ მომიცია არაფრის? მე მეგობრად გთვლი და მეტი არაფერი.

–ხო, მაგრამ... იმ წვიმაში, მაშინ... სულ არ გიყვარვარ?
–როგორ არა. მიყვარხარ, მაგრამ როგორც მეგობარი.
–სხვა გიყვარს?
–ჯერ არა, მაგრამ შესაძლებელია შემიყვარდეს.
–მას ხვდები, ხშირად რომ მიდიხარ?
–ვის მას? კონკრეტულად ერთი პიროვნება არ არის.
–აბა ვისზე თქვი შესაძლებელია შემიყვარდესო?
–რა ეჭვიანი ყოფილხარ. –სიცილით თქვა მანანამ. –ნოდარ შენ კარგი ბიჭი ხარ, მომწონხარ, მაგრამ ბევრი რამ არ იცი? მე ახალგაზრდა ვარ და მინდა სიცოცხლით, ამ ახალგაზრდობით დაეტკბე. მე არ მინდა ვინმე შევიყვარო. არც შენ და არც სხვა. არ მინდა ჯერ გათხოვება. და ამაზე არ ვფიქრობ. შენ რომ ბევრი ფული გქონდეს და პირობა მომცე, მასეირნებ და ახალგაზრდობას არ დამიკარგავ, რომ ოჯახურ საქმიანობაში არ დამახრჩობ, შეიძლება შემყვარებოდი, მაგრამ სამწუხაროდ არა გაქვს ამის შესაძლებლობა. მე კი, არ მინდა ოჯახური საქმიანობის ტვირთი ნაადრევად ვიტვირთო. არ გეცოდება ის გოგოები ნაადრევად რომ თხოვდებიან და მთელი დღეები სარეცხის რეცხვასა და საჭმლის კეთებაში არიან?
–ეს ხომ ბედნიერებაა, საყვარელ ადამიანს საჭმელი გაუკეთო და სარეცხი დაურეცხო. ეს ხომ ოჯახის სიყვარულით კეთდება და არა ისე, როგორც მსახური მუშაობს. ამაზე ხომ ყველა ნორმალური გასათხოვარი გოგო ოცნებობს? შენთვის ეს ტვირთია?
–კარგი რაა? ვინ ოცნებობს? ის ოცნებობს ვისაც ცხოვრება არ უნახავს და ოჯახში ჩაკეტილი იზრდება.
–ცხოვრების ნახვას რას ეძახი, ფუქსავატ ცხოვრებას? უაზროდ რომ ფლანგავენ დროს და ფულებს? აბა მათ ჰკითხე ვინც უკვე გაიარა ეგ მდგომარეობა რა მოიგეს. არიან კმაყოფილები? თუ პირიქით, ნანობენ რომ რეალურად არაფერი დარჩათ იმ წლებიდან და მთავარი კი დაკარგეს. დაკარგეს იმის უნარი, რომ სრულად შეიგრძნონ ბედნიერება. დაკარგეს სიყვარულის ნეტარი გრძნობები. სანაცვლოდ კი მიიღეს სიცარიელე, გულცივობა, რომელმაც ცხოვრების აზრი დააკარგინათ. ეს გინდა შენ? ასეთი ცხოვრებისაკენ მიისწრაფი? –ნოდარს ხმაზე აღელვება შეეტყო.
–კარგი, კარგი. შენ მგონი უკვე გაბრაზდი. –თქვა მანანამ და მის გვერდით გადაჯდა. ლოყაზე ხელი მოუსვა, მოეფერა და უთხრა. –გაგეხუმრე შე სულელო, მაროლა დაიჯერე? –მერე მოეხვია და აკოცა. –ასე იმიტომ ვამბობ, რომ არავინ მიყვარს. თუ სიყვარული მეწვევა, ალბათ სხვა ჭკუაზე დამაყენებს.
ნოდარს, რომელიც მართლა განაწყენდა, მოფერებამ და კოცნამ გული მოულბო და მანაც კოცნითვე უპასუხა. უნდოდა ეკითხა, თუ არ გიყვარვარ რატომ მკოცნიო, მაგრამ თავი შეიკავა იმის შიშით, რომ ეს სასიამოვნო მდგომარეობა, მანანას მოფერება და კოცნა არ დაეკარგა. მანანა კი ისევ ჰკოცნიდა. თანდათან მანანა უფრო მჭიდროდ ეხუტებოდა და ჰკოცნიდა. ბოლოს ისე ძლიერად მიეკრა, თუ მიაწვა, რომ ნოდარმა თავი ვერ შეიკავა და დივანზე გადავარდა. მანანას წამოდგომა არც

უცდია. იგი თან გადაჰყვა გადავარდნილ ნოდარს და მთელი ტანით დააწვა ზემოდან. ნოდარი თავიდან შეცბუნდა, მაგრამ რაკი მისთვის სასიამოვნო მდგომარეობა მანანამ არ იუკადრისა, მანაც გააგრძელა ხვევნა-კოცნა. მანანა თავდავიწყებით ჰკოცნიდა, ხან ტუჩებში, ხანაც გადაინაცვლებდა ყელში, ლოყაზე, თვალებზე, ყველგან ჰკოცნიდა. მის ფაფუკ მკერდს და რბილ სხეულს მთელს ტანზე გრძნობდა ნოდარი. მას მთელს ტანში სითბომ, სიმხურვალემ დაუარა, მისი ხელები ზემოდან მანანას ტანზე მოძრაობდა და ხელს ისე უჭერდა, ხან ბეჭებზე, ხან წელზე ხანაც სულ ქვემოთ, თითქოს მის სირბილეს ამოწმებსო. ნოდარი თავდავიწყებას ისე მიეცა, რომ აღარც კი ახსოვდა სად იყო. თითქოს თავისი თავი სიზმარში ეგონა. მოულოდნელი გამოღვიძების და ამ ტკბილი, სასიამოვნო განცდის გაქრობის შიშით ცდილობდა უფრო მეტი მოესწრო, უფრო მძაფრად ჰკოცნიდა და ხელებიც უფრო ძლიერად ჭყლეტდა მის სხეულს.

ეს რა არის? –გაიფიქრა ნოდარმა. ცხადში ვარ თუ სიზმარში? ეს ხომ ჩემი მანანაა. მანანა, რომელიც ზემოდან მაწვევს მთელი სხეულით და მკოცნის. ეს ხომ ის მდგომარეობაა, რაც მე მენატრებოდა, რაზედაც ვოცნებობდი? მას ხომ მართლა ეყვარებიეარ და თანაც ასე თავდავიწყებით. ასეთი სიყვარულით მკოცნის, რომ არ ეუყვარდე განა შეიძლება ასეთი თავდავიწყებით მკოცნიდეს? თურმე როგორ ეუყვარვარ, მე სულელი კი ეეჭვიანობდი.

მოულოდნელად მანანა წამოდგა.

–გვეყოფა. –თქვა სახე აწითლებულმა მანანამ.

ნოდარიც წამოდგა, ხელები ისევ მოხვია და კვლავ კოცნა დააპირა, მაგრმ მანანამ არ მისცა საშუალება.

–გვეყოფა, თორემ ახლა სხვა რამე მოგინდება და ნება რომ დაგრთო შენი სიყვარულიც დასრულდება.

–რატომ უნდა დასრულდეს ჩემი სიყვარული? შენ რა არ გჯერა ჩემი? თუ გინდა დღესვე ვიქორწინოთ. მანანამ შეხედა გაიცინა და თქვა. –ყველაფერი ასე არ არის, შენ რომ გგონია და ოცნებობ.

–რატომ არ არის? ხელს რა გვიშლის, რომ მართლა ვიქორწინოთ?

–პატარა ბავშვივით გულუბრყვილი ხარ. მომწონს შენი ასეთი გულუბრყვილობა, მაგრამ, რეალური ცხოვრება ოცნება არ არის. ერთი მეორისაგან განსხვავდება.

–რას ვოცნებობ ისეთს, რომ ასრულება რეალობაში შეუძლებელი იყოს?

–კარგი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ. გაიზრდები და მიხვდები. ეხლა რაც მიიღე ის იკმარე ჯერჯერობით. არ მინდა დაგკარგო.

–რატომ უნდა დამკარგო?

–კარგი, ხომ გოხოვე ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

–კარგი. აღარ ვილაპარაკოთ.

კიდე დიდხანს იყო მანანასთან ნოდარი, მაგრამ საკოცნელად ახლოს აღარ გაიკარა მანანამ. ნოდარი თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. მთავარი მისთვის ის იყო, რომ მანანას ჰყვარებია და დღეს თუ არა,

ხვალ მაინც სამუდამოდ მისი გახდება. საღამო ახლოვდებოდა. ნოდარმა, თუმც ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ გადაწყვიტა წასულიყო, რადგან მანანას მშობლების მოსვლის დრო იყო და მოერიდა მათ აქ დახვედროდა. ამიტომ მანანას გამოემშვიდობა, ერთხელ კიდევ აკოცა და სახლში წავიდა.

ორი დღე გია გარეთ ქუჩაში არ გამოსულა. მესამე დღეს სამსახურში იყო მთელი დღე და ღამე. ამ სამი დღის განმავლობაში უბნის ხალხი მხლოდ შემოხვევით, საქმისათვის გამოსულ ლელას ულოცავდა ძმის ბედნიერებას. მეოთხე დღეს კი ჩვეულებრივად გამოვიდა გია უბანში. ეხლა უკვე მიეცათ მეზობლებს საშუალება პირადად მიელოცათ მისთვის გაბედნიერება. უმრავლესობა გულით ულოცავდა და აშკარად ეტყობოდათ კმაყოფილება. ისინი კი, ვინც ირონიით და გარკვეული დაცინვითაც ლაპარაკობდნენ მის „ბედნიერებაზე“ ამჯერად ისეთ მრავალფერიოვნად და ლამაზი სიტყვებით ლოცავდნენ, ძნელი იყო ამ მომენტისათვის არა გულახდილობაში დაგედოთ მათთვის ბრალი. უფრო მეტიც, ისინი უფრო ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ნამდვილად შესანიშნავი და დიდებული ადამიანი იყო ქეთინო.

გია კი ჩვეულებრივად იღებდა მილოცვებს და ყველას ერთნაირად უხდიდა მადლობას მილოცვისათვის.

–გია. –უთხრა ნოდარმა. –ამ ჯიხურზე რა ვქნათ? ქეთინოსთვის ეხლა ძნელია, უხერხულია იქ მუშაობა და სხვა ხომ არ აგვეყვანა დროებით ? ან იქნებ შენ იმუშაო?

–არა. ქეთინომ თქვა, რომ ხვალიდან დაიწყებს მუშაობას. ეს დღეები მართლაც ძნელი იყო მისთვის, მაგრამ, მაინც თავისი უბანია და დიდად არ ეუხერხულება.

–არა, რას ამბობ. ამ დღეებზე ვინ ამბობს რამეს. თქვენი გაშორება ერთი წამითაც არ შეიძლება. პირველი, ყველაზე ტკბილი და ბედნიერი სიყვარულის განხორციელების პერიოდში. მტერიც არ ისურვებს თქვენს დაშორებას. მე ვფიქრობ ერთი ან ორი კვირა კიდევ იყოს და მერე გამოვიდეს.

–არა, არა. ამ ჯიხურის იმედზე ვართ ეხლა, ხომ იცი ახალდაქორწინებულებს რამდენი რამ ჭირდებათ. ფული ხომ გვინდა. ხვალიდან იმუშავებს. უცხო უბანში ხომ არ არის? აქ ყველა იცნობს.

–თუ ასეა შენ მიეხმარე, მარტო ძნელია. თანაც გამოუცდელია.

– ჰო, თავისთავად, რა თქმა უნდა. ეხლა ხომ უკვე ჩემი ცოლია.

დილით, მზის ამოსვლის შემდეგ მართლაც გამოვიდა ქეთინო გიასთან ერთად და ჯიხური გასნა. გიაც მასთან ერთად დადგა ჯიხურში და ეხმარებოდა. ნოდარიც მივიდა მათთან, ქეთინო გადაკოცნა და მიულოცა ბედნიერება.

–გვაპატიე, რომ ამ ბედნიერ დღეებს ჯიხურში გაატარებ და ცოტა ალბათ ქმრის ალერსი დაგაკლდება, მაგრამ, არა უშავს ღამე აინაზრაურეთ დანაკლისი. შენს გაბედნიერებაში ჯიხურსაც მიუძღვის წვლილი და იქნებ ეხლა მატერიალურადაც გაგეახაროს.

–არაფერია, ესეც ხომ აქ მყავს. –თქვა ქეთინომ და გიას ხელში ხელი მოჰკიდა. –მასთან ერთად არაფერი გამიჭირდება.

გიამ კი ხელი მოხვია და აკოცა. რაზედაც ქეთინომ დაიმორცხვა და ვითომდა განაწყენებით უთხრა: –რას შვრები, არა გრცხვენია?

–ვისი უნდა მრცხვენოდეს? აქ უცხო არავინაა? ნოდარი შენი ძმა არ არის?

–აბა ჩვენი პატარძალი მანახეთ! –დაიძახა მოულოდნელად კარზე მომდგარმა ეთერი მასწავლებელმა, რომელიც გაბრწყინებული სახით შემოვიდა ჯიხურში, დიდი სიხარულით გადაეხვია ქეთინოს, შემდეგ გიას და მიულოცა შეუღლება.

–გილოცავთ შვილებო გაბედნიერებას. ნამდვილად კარგი წყვილი ხართ. ღმერთმა გაბედნიეროთ და გამრავლოთ შვილებში და შვლიშვილებში. როგორ გამიხარდა თქვენი ამბავი რომ გავიგე. ყოჩაღ გია, რომ ასეთი კარგი გოგო უბნიდან არ გაუშვი და ისევ ჩვენს მეზობლად დატოვე სამუდამოდ. ქეთინო ძალიან კარგი გოგოა და ყველას უყვარს. თქვენ გენაცვალეთ. ღმერთმა გაგახაროთ, როგორც მე გამახარეთ. ძლივს კარგი ამბავი გავიგე ამ უბანში, სულ ცუდი ამბები ხდება, რომ გავიგე მაღაზია გახსნეს და თანაც ქეთინო იქ არისო, მაშინვე გამოვიქეცი. მაღაზიაც კარგად მოგიწყვიათ, ყოჩაღ თქვენ. ცოტა საქონელი გაკლიათ მაგრამ, არა უშავს, ალბათ მალე შეავსებთ.

ქეთინო და გია მხოლოდ თავს იქნევდნენ მადლობის ნიშნად, ეთერი დეიდამ კი განაგრძო, ამჯერად უკვე საქმიანი საუბარი:

–შვილებო, მაკარონი მინდა და შაქრის ფხვნილი, გააქეთ?

–მაკარონი გვაქვს, მაგრამ შაქრის ფხვნილი ჯერ არა.

ეთერიმ მაკარონი იყიდა, კიდევ რამოდენიმე რამე გაახსენდა, რომ საყიდელი ჰქონდა, ისიც იყიდა და ფული გაუწოდა. ფულის გამორთმევა ისე გაუჭირდათ არავინ გაუწოდა ხელი გამოსართმევად. ნოდარმა უხერხული მდგომარეობის გასაქარწყლებლად თქვა:

–ქალბატონო ეთერ: თქვენ პირველი მყიდველი ბრძანდებით და ალბათ პირველ მყიდველს ფულს არ უნდა ვართმევდეთ, პატივისცემის ნიშნად.

–რას ამბობ ბიჭო, პირველს უფრო უნდა გადაახდევინო, რომ ბარაქა არ დაიკარგოს. –თქვა ეთერიმ და ფული პირდაპირ ხელში მიაჩეჩა გიას.

–ამათი ბედნიერებით აღფრთოვანებულებმა, ისიც ვერ მოვიფიქრეთ რამე მოგვეწყო პირველი მყიდველის საზეიმოდ აღნიშვნისათვის. –თქვა ნოდარმა.

–არა უშავს. ამაზე უკეთესი რა უნდა მოგეწყოთ, განა ჩემთვის საზეიმო ვითარება არ არის, ამ ახალი, შეუღლებული წყვილის დანახვა? ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ და წარმატებები მოგცეთ. – თქვა ეთერი მასწავლებელმა და წავიდა.

ამის შემდეგ ნელ-ნელა ხალხმა იწყო მოსვლა და ცოტა ხანში ლამის რიგი დადგა. თითქმის ყველა იმ მიზნით უფრო მოდიოდა ქეთინო ენახათ და მიელოცათ, ვიდრე უშუალოდ რაიმეს საყიდლად. საყიდელი მიზეზი იყო მხოლოდ და ასეთმა მიზეზმა თითქმის მთელი

უბანი მიიყვანა იმ დღეს მაღაზიაში. იმდენი იეაჯრეს რომ საქონელი ლამის განახევრდა.

საღამო იყო დათო რომ ესტუმრა ნოდარს.

–შენ რა, მხარი უკვე მოგირჩა? – ჰკითხა ნოდარმა.

–რა ჭირს? რატომ აქვს შეხვეული მხარი? –იკითხა ქუჩაში ნოდარისთან მდგომმა ნუგზარმა დათოს დანახვაზე.

–შუშაზე გაეჭრა და...

–აა, მოტკივარია? –ღიმილით და მკვეთრი გამოთქმით თქვა ნუგზარმა და წავიდა.

–ეგ მოტკივარი რაღაა? –იკითხა დათომ.

–ეს კიბოს ოინებია. მან გვასწავლა, რომ რუსული სიტყვა 'ბოლნოი" ქართულად ითარგმნება, როგორც მოტკივარი, ანუ სატკივრის მქონე ადამიანი. სიტყვა ავადმყოფი კი რუსულ ენაში არ არისო.

–ხოო.

–ნუგზარს ეს სიტყვა მოეწონა და ხშირად ამბობს. ის კი არა და სხვებიც ისე მიაჩვია, მალე შეიძლება მთელმა რაიონმა ეს სიტყვა იძახოს. შენ ასე თავისუფლად რომ დადიხარ, ექიმმა ასე გითხრა? რატომ არ უფრთხილდები?

–აკი ვუფრთხილდები. ჩამოკიდებული მაქვს და არ ვატოკებ. რამდენიმე დღე გავიდა, არ მტკივა და სიარული რას მიშლის? აუცილებელი როცაა მარტო მაშინ დავდივარ. ფული მოგიტანე, ექიმს რომ მიეცი. იქნებ როგორ გჭირდება, ამჟამად არ მჭირდება და შენი ფული შენთან უნდა იყოს. –თქვა დათომ და ფული გაუწოდა. –ისედაც მადლობელი ვარ და ფული რიღასთვის დავაკავო?

–მადლობ დროული დაბრუნებისათვის, მაგრამ ასე სასწრაფო არ იყო ამისთვის მოტკივარი მოსულიყავი. –ხუმრობით მიბაძა ნოდარმა ნუგზარს, სიტყვა 'მოტკივარის" გამოყენებაში.

–სხვა საქმეც მაქვს შენთან.

–რა საქმე?

–კარტოფილი რომ ამოვიღეთ შარშან, ხომ გახსოვს ის ნაკვეთი?

–კი, როგორ არა.

–იქ მინდა ნიორი დავთესო და თუ გაქვს დრო, იქნებ ცოტა დაბარო. შეგიძლია? საჩქარო არ არის, თუნდაც ერთი კვირის მერე იყოს. აბა მე ხვიბარი ვარ, თუ რა ჰქვია, მოტკივარი და...

–შემიძლია, რა თქმა უნდა... მაინც არაფერს ვაკეთებ და... კი მაგრამ არ მოგპარავენ?

–შეღობილი ხომ არის, გარედან არ ჩანს და რა ვიცი, იქნებ არ მოიპარონ. ხომ გაგიგია „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო" გაზაფხულამდე მოსაპარი არ იქნება და მერე მიეხედავ.

–შენი საქმე როგორ არის, გაიგეს ოჯახში რის გამო გაქვს ჭრილობა?

–არა, არ გაუგიათ. მე არაფერი მითქვამს და თვითონ ის ხომ არ ეტყოდათ, თუმცა თავის ძმაკაცებში ალბათ ტრაბახობდა, თანაც გაზვიადებულად. და ბევრი ხალხი რომ გაიგებს, ჩემი ოჯახიც გაიგებს.

–მაიასთან როგორ არის საქმე, ხომ არ შეეხმიანე?

–არა. ჩავთვალე რომ ეხლა ამის დრო არ იყო.

—კარგად მოქცეულხარ. ეხლა ისედაც აფორიაქებულს, შენ რომ შეხმიანებოდი უფრო შეშინდებოდა. —ნოდარს უნდოდა ეთქვა, რომ მაიამ დაურეკა და თქვა გადაეცი, რომ არ მიყვარსო, მაგრამ, იფიქრა უფრო ინტერესი გაუძლიერდება და არაფერი მოახდინოსო. ამიტომ თავი შეიკავა.

—კარგი. წავალ ეხლა. არ გამიცივდეს ჭრილობა, საღამოა და აცივდება.

დათო გამოემშვიდობა ნოდარს და წავიდა. ნოდარი კი ჯიხურისკენ წავიდა.

გიას სახლთან მიახლოებისას დაინახა,რომ მისი სახლიდან ლელას შეყვარებული გამოვიდა. გია მარტო იყო ჯიხურში. შესვლისთანავე ნოდარმა გიას ჰკითხა: ის ბიჭი კიდევ მოდის ლელასთან?

—ჰო, მოდის. რა ვქნა ხომ არ გავაგდებ, უყვარს ხომ არ სძულს.

—არა, ამას კი არ ვამბობ. პირიქით გამიხარდა, თუკი ლელას გული მოუბრუნდა, თუ უყვარს და ისევ ხვდება. კარგია.

—ჰო, რა ვიცი. მე მგონი ისევ უყვარს, მაგრამ გაყოლაზე ჯერ არაფერს ამბობს. მხოლოდ ხანდახან ხვდება და მეც არ ვუშლი.

—არა, რატომ უნდა დაუშალო? უყვართ ერთმანეთი და ღმერთმა ბედნიერად ამყოფოთ. დღეს თუ არა ხვალ გაჰყვება. ეს მაინც ასე დამთავრდება. ეხლა სხვა საკითხზე გადავიდეთ. ნავაჭრი ფული რამდენია?

—რა ვიცი არ დამითვლია. ორას ლარზე მეტია.

—ზეგ ხომ მუშაობ სმენაში?

—კი ვმუშაობ.

—ჰოდა საქონელი რომ შეგვიმცირდა, ხვალაც რომ ასეთი ვაჭრობა იყოს ზეგ და მასზეგ რაღა უნდა ვივაჭრო? ჩემი აზრით ჯობს ხვალ წახვიდე და ჩამოიტანო. მე ავტოსადგურში დაგხვდები მანქანით და წამოვიღებთ.

—ორასი ლარით ხომ არ წავალ? ცოტაა.

—აი, ასი ლარი კიდევ მაქვს, დათომ მომიტანა.

—ხოო, მაშინ სჯობს წასვლა. შენ კი, თუ საქმე არ გაქვს ქეთინოს მიეხმარე. სანამ მიეჩვევა გაუძნელდება. ზოგჯერ ძალიან უხერხულად გრძნობს თავს, ახალი გათხოვილიც რომ არ იყოს, მარტოს მაინც გაუჭირდება. ლელას ვეტყვი და ისიც მიეხმარება ზოგჯერ.

—კარგი, ასე იყოს. სია ჩამოწერე საქონლის, რასაც ხალხი კითხულობდა და არ გექონდია. —თქვა ნოდარმა და გამობრუნდა.

გია წავიდა მეორე დღეს საქონლისათვის, ნოდარი კი ჯიხურში გავიდა ქეთინოს მოსახმარებლად,მას ლელაც იქ დაუხვდა. ვიდრე იქ იყო ნოდარი, ლელა არ მოსცილებია ქეთინოს და ერთად შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. მას სიამოვნებდა ქეთინოსთან —ამჯერად უკვე თავის რძალთან ერთად ყოფნა. ნოდარმა იფიქრა, ასე არაფერი გაუჭირდებათო და წამოვიდა. საღამოს ავტოსადგურში დაუხვდა გიას.

ახალი საქონელი იმდღესვე დაალაგეს და უკეთესად შეივსო თაროები, ვიდრე რამოდენიმე დღის წინ, თუმცა ნაკლულობა მაინც იგრძნობოდა.

მომდევნო დღეს, როცა გია სამსახურში იყო, ნოდარმა კვლავ შეიარა ქეთინოს დასახმარებლად. ლელა კვლავ იქ დაუხვდა და ქეთინოს არც კი აცლიდა, ყველაფერს სიამოვნებით თვითონ ასრულებდა. ნოდარის დახმარება ნამდვილად არ იყო საჭირო და ნოდარიც უკან წამოვიდა.

–შენი დაიკო ისე ეხმარება ქეთინოს, რომ ათჯერ მეტი საქმე რომ ჰქონდეთ, მაინც არ გაუჭირდებათ. –უთხრა ნოდარმა დილით სამსახურიდან მოსულ გიას. –გვერდიდან არ სცილდება.

–აბა, თქვენ იცით ამის შემდეგ. ჩემი ჩარევა აღარ არის საჭირო და თქვენ თვითონ გააგრძელეთ. თუ რამეში საჭირო ვიქნები დამიძახებთ ალბათ.

–შენ რა სადმე მიდიხარ?

–ჰო. მინდა ზევით ტყეში ავიდე. ზაფხულში რომ ვიყავი, ხომ გახსოვს?

–კი, მახსოვს, მაგრამ ვერ გავიგე იქ რას აკეთებ.

–ხომ გითხარი. ერთი ჭკვიანი კაცი ცხოვრობს, ბევრი რამ იცის, საინტერესოდ საუბრობს და მასთან ვსაუბრობ.

–სულ ეგ არის, მაგისთვის მიდიხარ? საუბარი ხომ აქაც შეგიძლია, მაგისთვის ამდენ კილომეტრზე ფეხით დადიხარ? –გაიკვირვა გიამ.

–ეს არ არის უბრალოდ საუბარი. მან მეტი იცის, ვიდრე აქ რომ ხალხია და მასთან საუბარი უფრო საინტერესოა. რაღაცის სწავლა და ცოდნის ამაღლება შეიძლება მასთან.

–მაინც რა იცის ისეთი, აქ რომ არ იციან?

– ამას ასე უბრალოდ ვერ გეტყვი. თუ გინდა შენც წამოდი.

–მეც რომ წამოვიდე, მანქანას ვის დაუტოვებ?

–ეგ არ არის რთული გადასაწყვეტი. დღეს მაინც მარტო ვაპირებდი წასვლას. იქ, შენ რომ მობრუნდი, ერთი საქონლის ფერმაა, იქ შეგვიძლია დავტოვოთ მანქანა და უკეთესიც არის. მობრუნებისას ფეხით აღარ ვივლით. ეხლა ხომ იცი ნოემბერია და პატარა დღეა. ასე სჯობს, თორემ სხვანაირად დამიღამდება.

–კარგი. მეც წამოვალ თუ ასეა. – თქვა გიამ და ჯიხურში შევიდა. ქეთინოს უთხრა, რომ გიას მიჰყვებოდა, საღამომდე ვერ მოვიდოდა და ისევ ქუჩაში გამოვიდა.

–წავედით, მზად ვარ.

ნოდარმა მანქანა გამოიტანა და წავიდნენ. გზად ნავთი და სხვა, რაც საჭიროდ ჩათვალა კვლავ იყიდა და ტყის გზას გაუყვნენ.

საქონლის ბინებთან მანქანა გააჩერეს და ფეხით სავალ გზაზე განაგრძეს სვლა.

–ეს რამდენი თოვლია. ქვემოთ, ქალაქში არც კი უთოვია. აქ კი უკვე გამდნარა და ნარჩენებიღა დარჩენილა. როდის მოთოვა? –თქვა გიამ.

–ალბათ ჩვენთან რომ წვიმდა ბოლო დროს, აქ თოვდა.

–აქედან ახლოს არის?

–საათნახევრის სავალზეა.

–უჰ, რამდენი გზა ყოფილა? რომ მცოდნოდა არ წამოვიდოდი.

–ეხლაც არ არის გვიან. თუ არ გინდა, დაბრუნდი უკან. გინდა მანქანაში დამელოდე, გინდაც გასაღებს მოგცემ და წადი სახლში.

–არა, არა, წამოვალ. ეხლა რაღა დროს მიბრუნებაა.

–კარგი წამოდი, მაგრამ გზაში ბურდღუნი არ გამაგონო. –გააფრთხილა ნოდარმა გია.

–ბურდღუნი არა, მაგრამ მაინც მიკვირს ამხელა მანძილზე რისთვის დადიხარ? მაინც რას იგებ ახალს ისეთს?

–მისმინე, გია. რამდენი წელი ვისწავლეთ მე და შენ უნივერსიტეტში. მართალია სწავლაში უშუალოდ ფული არ დაგვიხარჯავს, მაგრამ, ბინის ქირაში თუ სხვა რამეებში ფული მაინც დაიხარჯა ათასობით. ხელში რა დავიჭირეთ გარდა ცოდნისა? რამე მატერიალური სარგებელი მივიღეთ? ამიტომ, რადგან მატერიალურად დავსარალდით, იმ ცოდნის მიღება ვინანოთ?

–არა, რა თქმა უნდა ცოდნა, ცოდნად ხომ რჩება. სამსახური თუ არ გვაქვს ცოდნიდან გამომდინარე არაა. ეგ იმის მიზეზია, რომ ქვეყანა დაინგრა, თორემ ცოდნა რა შუაშია? ცოდნა მაინც საჭიროა ყოველთვის, მიუხედავად იმისა შესაბამის სამსახურში ხარ თუ არა.

–თუ გავითვალისწინებთ კიდევ, რომ ეხლა სწავლა ფასიანი გახდა, უფასოდ რაღაც ცოდნის მიღებაზე უარის თქმა სისულელეა. ასე არ არის? მე მგონი ყველა ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს ცოდნის გაღრმავებისკენ.

–ხო, ალბათ ასეა. –თუ ამის საშუალება არის, –სანახევროდ დაეთანხმა გია.

–იქ ქალაქში ხალხი ისეა გადარეული და გაცივებული, უბრლოდ დაჯდომა და ტკბილი საუბარიც სანატრელი გახდა. სხვა რომ არაფერი ვთქვა, უბრალოდ ტყეში, სუფთა ჰაერსე გასეირნებაც სასარგებლოა. ის კაცი კი, მართლა საინტერესოდ საუბრობს და თუნდაც ვერაფერი გაიგო ახალი, დამშვიდდები მაინც მისი საუბრის მოსმენით. მე ასე ვგრძნობ და ასე ვფიქრობ. ამიტომ წამოვედი აქ და თუ შენ არ მოგეწონება, შემდეგისათვის ნუ წამოხვალ.

ქოხთან მისვლისას გია გაოცებული ათვალიერებდა ქოხს.

–ეს რა უცნაური ქოხია. ასეთი არსად მინახავს.

ნოდარს მისთვის არც მოუსმენია, ბერიკაცი მოათვალიერა, ქოხთან რომ არ იყო, გარე მიდამოებშიც მიმოიხედა და რომ ვერც იქ ნახა დაძახება დააპირა, მაგრამ ეხლა გაახსენდა სახელიც რომ არ იცოდა, აღარ დაიძახა და ქოხში შეიხედა. ქოხში არავინ იყო, და ისევ გამოვიდა. ამ დროს ხმა ჩაესმა ყურში: "შედი ქოხში დამელოდე და მოვალ" –ხო, კარგი. –უპასუხა ნოდარმა და ისევ ქოხისკენ შეტრიალდა.

–ვის ელაპარაკები? – გაკვირვებით ჰკითხა გიამ.

–ბერიკაცს. ხომ გაიგე რაც თქვა.

–ვინ რა თქვა? აქ ხომ არავინ არის ჩვენს მეტი და მე არაფერი მითქვავს.

–როგორ, ვერ გაიგე, რომ თქვა, შედით ქოხში და მოვალო?

–არა, რას ამბობ. აქ არავის არაფერი უთქვამს.

—კარგი. შევიდეთ და მოვა. მე მკაფიოდ გავიგონე მისი ნათქვამი.
გიას აღარაფერი უპასუხია. ორივე შევიდა ქოხში და სკამზე დაჯდა.
—ეს ქოხი შიგნითაც უცნაური ყოფილა. აქ ცეცხლს ანთებს? —საცეცხლეზე მიანიშნა გიამ.
—ჰო.
—მერე, ბოლი არ დგება? ხომ გაიგუდება ამ ბოლშია ადამიანი?
— ვერ ხედავ, ბოლის გამწოვი აქვს. ისე იწოვს არანაირი ბოლი არ დგება. ეხლა ავანთოთ ცეცხლი და ნახავ.
ნოდარი მივიდა საცეცხლესთან და აანთო. ცეცხლი ნელ-ნელა გაძლიერდა, ბოლი კი, მთლიანად გარეთ გაიწოვებოდა.
—ეს გამწოვი მილი როგორ გააკეთა?
—წვრილი ხის წნულებით დაწნა და შემდეგ თიხით შელესა.
—მერე, წნული ხომ დაიწვება?
—წნული შეიძლება დაწვეს, მაგრამ თიხა ხომ რჩება? ან წნულს რა დაწვავს, იქ ისეთი ტემპერატურა არ არის, —თქვა ნოდარმა და ჩანთიდან ამოაბარგა ყველაფერი, რაც მოიტანა. ამ დროს ქოხში ბერიკაცი შემოვიდა და თქვა:
მადლი ღმერთს, თქვენი სახით სტუმრების გამოგზავნისათვის და თქვენ მადლი მისი, აქ მოსვლისათვის.
—გამარჯობათ. —უპასუხა გიამ და გაუკვირდა ასეთი უცნაური მისალმება.
—მომიტევეთ, რომ სახლში არ დაგხვდით. ძროხებს უჭირდათ და მათ გავხედე, ზევით მინდორში.
გიამ დამცინავი ღიმილით გადახედა ნოდარს და უთხრა: —ხომ გითხარი.
—რა მითხარი?
—არავის არაფერი უთქვამს მოგეჩვენა თქო, შემოსვლისას, რომ გითხარი.
—მე არ მომჩვენებია. ნათლად გავიგონე. —გაიმეორა ისევ ნოდარმა.
—აბა იმხელა მანძილიდან გაიგონე?
—დაწყნარდით. ამის გამო კამათი ნიშნავს, რომ სხვა ყოველივე უკვე გაარკვიეთ. აბა მითხარი, რა მოამზადე, რით ამოხვედით აქ, ამ აღმართზე?
—აქ დააწყო, მაგიდაზე. —წამოიძახა გიამ. და მიუთითა ჩანთიდან ამოლაგებულზე.
—გუდაში მართლაც დავაგროვე რაღაც, მაგრამ, ალბათ გახეული იყო, მგონი გზაში დაეყანტე. —თქვა ნოდარმა. გიამ, გაკვირვებით შეხედა ნოდარს და იფიქრა: რა დაფანტა ყველაფერი ხომ მაგიდაზე დააწყოო. ბერიკაცმა კი გააგრძელა.
—არა, გუდა არ არის გახეული. ეს შენი ხელმოკლეობის ბრალია, ვერ წვდები მის სიღრმეებს, რომ ამოიღო რაც გინდა. გიამ იფიქრა: რა უსინდისო ყოფილა, ესეიგი რაც მოიტანა ნოდარმა, ეცოტავებაო. მან კი განაგრძო. — მაგრამ, არაუშავს, გაიზრდები და ხელიც გაგეზრდება, მერე კი ყველაფერს ჩაწვდები. ვინ იცის, იქნებ მოგიმწიფდეს კიდეც ხელი და ხელმწიფე გახდე.

უკანასკნელი აზრის მნიშვნელობას ნოდარი ვერ ჩაწვდა, გია კი საერთოდ განცვიფრდა და თქვა: –რა ხელმწიფე უნდა გახდე? შენ რა პრეზიდენტობა მოგინდა?

–აი ამას ჰქვია, იესო რომ ამბობს, ესმის, მაგრამ, არ ესმისო. ხელმწიფე ნიშნავს ადამიანს, რომელსაც ისეთი რამ ეწიფება ხელს, რაც სხვებისათვის მიუწვდომელია და თუ უმაღლესი გონიერების ჩარჩოშია, შეიძლება მწყემსიც გახდეს.

–მერე რა უნდა მწყემსობას? ასე არ შეუძლია მწყემსი გახდეს?

–ხალხის ნაწილი, უგუნურნი, რომელთაც არ ესმით რას აკეთებენ, თავიანთი უგუნურობის გამო, იმ ტოტს ჭრიან რომელზეც სხედან. ამიტომ ისინი მწყემსს საჭიროებენ. მწყემსს თავისი შოლტით, ანუ გონიერი სიტყვით, მათს ქცევას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს, რითაც იხსნის მათ დაღუპვისაგან, სხვებს კი, მათი გადამდები სენისაგან.

გია ამჯერად კი მიხვდა ბერიკაცის ნათქვამს, მაგრამ იმის გამო, რომ დროზე ვერ მიხვდა, უვიცობის გამოვლენა გამოუვიდა, ცოტა დაიბნა და თქვა:

–ხალხს რა მწყემსვა უნდა? ხალხმა იცის თავისი საქმე, მათ მხოლოდ კარგი მთავრობა სჭირდება და სამუშაო პირობები.

–უმწყემსოდ დარჩენილი ხალხი, ერთ საუკუნესაც ვერ გაძლებს. დაანგრევს და გაანადგურებს ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ძველ მწყემსთა სიტყვა მათზე ისევ მოქმედებს. მთავრობა თუ არ ვარგა, ესეც იმის შედეგია, რომ უმწყემსოდაა ხალხი დარჩენილი. მათ გონებაში ქაოსია, უმწყემსოდ მთავრობა ქაოსის ნაყოფია და არა წესრიგისა. ხალხს თუ მწყემსი არ ჰყავს, უაღრესად სულითა და გონებით ამაღლებული ადამიანი, რომელიც საკუთარი მაგალითით, ქცევითა და მეტყველებით დადებით გავლენას ახდენს ხალხზე, მაშინ ხალხი დაიწყებს უსნეო და უგუნური პირების მიბაძვას, რომლებიც უსნეობით უფრო მეტ ქონებას შეიძენენ და უფრო თვალსაჩინო მისაბაძნი გახდებიან უგუნურთათვის. ასეთ ვითარებაში კი ქვეყანა დაიღუპება.

–მაშ ამ საუკუნეში როგორ გადავრჩით, ვინ იყო მწყემსი, სტალინი?

–სტალინი მართლაც მწყემსავდა ხალხს, თუმც, მე ასეთ მწყემსებს არ ვგულისხმობ. ამავე დროს, მან ურჩები მოიცილა და ამით გაიადვილა მწყემსვა. ეს კი სამწყემსო წესების დარღვევაა. ურჩს მოცილება კი არა, მოწესრიგება სჭირდება, მწყემსის მთავარი მოვალეობა ეს არის. თუ ამას ვერ ახერხებს, შესაძლოა თავად იყოს ურჩიც და მოსაწესრიგებელიც. მეოცე საუკუნე, განსაკუთრებით კი მეორე ნახევარი, ქართულ ანდაზას მახსენებს: „ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო“.

–კი, მაგრამ, ხომ არიან ისეთი ურჩები, რომლებიც ვერ მოწესრიგდებიან? რომლებიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს აწარმოებენ და ღუპავენ ქვეყანას? კაცი, რომელიც საშინელ დანაშაულს ჩაიდენს, არ უნდა დაისაჯოს?

–მართალია. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვიდრე გავარკვევდეთ რას ნიშნავს დასჯა, ჯერ იმაზე ვიმსჯელოთ რატომ ხდებიან დამნაშავეები. ყველა ადამიანს თავის ფსიქოლოგიაში

დადებითი და უარყოფითი მოქმედების იმპულსური პოტენციალი გააჩნია. ასე ვთქვათ ღმერთიც და სატანაც, მეტ-ნაკლებად. როგორც კი ქაოსის მომწესრიგებელი გონიერი სიტყვა-აღვირი მოეხსნება ხალხს, მაშინვე ეს უარყოფითი სატანური პოტენციალი იწყებს რეალურ გამოვლინებას. ძველ დროში აღვირმიშვებული, იშვიათი რჩებოდა და დამნაშავეც იშვიათი იყო. აღვირის დაჭერა, ყველაზე ცალკეულად, მის შესაბამისად შეუძლებელია და ამიტომ, მაინც არსებობდნენ ყოველთვის დამნაშავეები, მაგრამ ეხლა საერთოდ მოიხსნა აღვირი და ხალხი დარჩა აღვირახსნილი. აღვირის ახსნის შესაძლებლობა გააადვილა: ორასწლოვანმა რუსულმა გავლენამ. სხვა, უცხო ერის გავლენით, საკუთარი ეროვნული ცნობიერების –მისი ზნეობრივი მორალის და სულიერ-ეროვნული არსის შესუსტებამ, ხოლო შემდგომ, რუსეთის იმპერიის პირველადი დაშლის ეტაპის შემდეგ, როცა საქართველო თითქოს დამოუკიდებელი გახდა, დაიწყეს რუსული და კომუნისტური, ცნობიერების შედეგების ამოძირკვა. ამ ამოძირკვამ, რომელიც შეიძლება შეგნებულად და გააზრებულად კეთდება ვიღაცის მიერ, გამოიწვია, არა იმდენად კომუნისტურის ამოძირკვა, რამდენადაც, ეროვნული ცნობიერებისა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ხალხში შესუსტებული ეროვნულ-სულიერი და მორალურ-ზნეობრივ ცნობიერებასთან ერთად, შერწყმული იყო კომუნისტური ცნობიერება. ამიტომ კომუნისტური ცნობიერების ამოძირკვის მცდელობამ ასე უეცრად, გამოიწვია ის, რომ ხალხმა გაანალიზება ვერ მოასწრო და მოხდა ამ ცნობიერებათა აღრევა, ქაოსი და ქაოსური ამოძირკვა. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ხალხის უმრავლესობას მოეხსნა მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-სულიერი და ზნეობრივი ცნობიერების შედეგად შექმნილი მორალური შეგნება –აღვირი. დღეს კი ამისგამო ხალხის უდიდესი ნაწილი აღვირ ახსნილია, შესაბამისადაც ცხოვრობენ და მოქმედებენ. ასეთ მდგომარეობაში, სწორედ ამ აღვირახსნილთ ექმნებათ შესაძლებლობა მთავრობასა და ხელისუფლებაში შესელისა და ყალბ მწყემსად მოვლინებისა.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსელისა და წესრიგის დამყარებისათვის რა არის საჭირო? რაშია საშველი? –იკითხა ისევ გიამ.

–ამის ერთ-ერთი პასუხი, შეიძლება მივიღოთ შენს მიერ წარმოთქმული სიტყვის არსის ჩაწედომით და გაანალიზებით, სიტყვისა, რომლის არსიც თვითონ არ იცი.

შენ თქვი, რომ დასასჯელი უნდა დაისაჯოს, გეთანხმები, მაგრამ ჩვენ სხვადასხვა აზრს ვგულისხმობთ. დასასჯელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ, არა მოცილების მეთოდით. როგორ უნდა დაისაჯოს, ამას თვით სიტყვა დასჯა გვეუბნება. რას ნიშნავს სიტყვა „დასჯა“? ამ სიტყვის ფუძე არის „სჯა“, ხოლო და თავსართია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, თუ თავსართი გან-ს დავურთავთ მივიღებთ განსჯას. არსებობს ასეთი სიტყვაც „სჯა-ბაასი“, რომელიც გვეუბნება, რომ ორი ან მეტი პირი ბაასით ანუ საუბრით რაღაც საკითხს აანალიზებს, განიხილავს. ესე იგი, თუ კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ „სჯა“ ყოფილა ანალიზუნარიანობის

და მისი განხორციელების საშუალების ამღნიშენელი სიტყვის ფუძე. იმისდა მიხედვით თუ რომელ თავსართს დავურთავთ, მივიღებთ სხვადასხვა კონკრეტული მდგომარეობის შესადგ „სჯას," განსჯა მაგალითად ნიშნავს, საკუთარი 'სჯის" ანალიზუნარიანობის შინაგანი: სულის შეგნების უნარიანობის გარეთ ამოქმედებას. დასჯა კი ნიშნავს ანალიზუნარიანობის შინაგან სულში ამოქმედების მდგომარეობას. ესეიგი კონკრეტული პირი დავსაჯოთ ნიშნავს, რომ იგი ვაიძულოთ თვით „სჯა" განახორციელოს. მაგრამ, თვით სჯა რომ განახორციელოს, თუ არა აქვს შეხება მაღალ ცნობიერებასთან, მაშინ იგი აქამდე მიღებულ ცნობიერების მიხედვით იწყებს სჯას. ესეიგი თუ იგი გაიზარდა ქურდული ცნობიერებით, შესაბამისად სჯას მოახდენს ქურდული ცნობიერებისავე მეშვეობით. რამდენიც უნდა აიძულო ის, მაინც იმ ცნობიერებიდან ისჯის და სჯის, დროის გახანგრძლივებას აზრი არა აქვს. ხოლო თუ მას გაუჩნდება შეხება მაღალი ცნობიერების ეროვნულ- სულიერ და მორალურ–ზნეობრივ ხალხურ სიბრძნესთან, იძულებით სჯის მდგომარეობაში ის იწყებს ამ კუთხით სჯას. ასეთ შემთხვევაში ხდება მისი ცნობიერების და შეგნების ამაღლება. საქართველოში საპატიმრო არ იყო. იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მორალური ცნობიერება იყო მაღალი, კოსმოგონიური. თუ ვინმე შეცდებოდა და დანაშაულს ჩაიდენდა, საზოგადოების მიერ განიკიცხდებოდა, რაც ჰქმნიდა სწორედ სასჯელს დამნაშავისადმი. ასეთ ვითარებას დამნაშავე სჯის მდგომარეობაში შეჰყავს და გონებრიობა შესაძლებლობის მიხედვით სწორი მოქმედებისკენ მოიმართებოდა. თანამედროვე დროში კი, ეს ცნობიერება თითქმის აღარ არის და რაც დარჩა იმასაც ანადგურებს კანონი, რომელიც უკრძალავს საზოგადოებას იმასაც კი, რომ დამნაშავე დამნაშავედ მოიხსენიოს, ვიდრე მოსამართლედ წოდებული ვინმე ეროი პიროვნება არ აღიარებს მას დამნაშავედ. ამის მერე კი დამნაშავეს ათავსებენ სხვა დამნაშავეებთან. რა თქმა უნდა დამნაშავეების ეროად თავშეყრით მათში დანაშაულებრივი უარყოფითი ცნობიერება დაიხვეწება, გაბატონდება და შეუძლებელი გახდება მათი გამოსწორება.

ამიტომ არის, რომ მტრები, პირველ რიგში ეროვნული სიბრძნის ცნობიერებას გვინადგურებენ. თანამედროვე მტრები ზრდიან ანტი ეროვნული ცნობიერებით პიროვნებებს, მათ გვიხატავენ ავტორიტეტულ და განათლებულ ადამიანებად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში შეჰყავთ ხელისუფლებაში და მათი მეშვეობით ანადგურებენ ეროვნულ ცნობიერებას. ასე იყო ძველად, ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს და ასეა ეხლაც. მტერი შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ მეთოდი იგივეა. ამჟამად, დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანაც აქტიურად ზრდის მრავალ ანტი ეროვნულ ქართველებს, რომლებიც მალე კიდე დამატებით მოგვეელინებიან დიდ პატრიოტებად და დიდად განათლებულ ადამიანებად. თუ ეს ვერ გაარკვია და ვერ შენიშნა ქართველმა ხალხმა, საბოლოოდ დაიღუპება ერი.

–როგორ უნდა შენიშნოს ერმა? ან თუ შენიშნა, რა უნდა გააკეთოს?

—ამის დანახვა ძნელი არ არის. კაცი, რომელიც ებრძვის ეროვნულ ცნობიერებას, ანგრევს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც ეროვნულ ცნობიერებას ემსახურება, რაც არ უნდა განსწავლული და განათლებული ჩანდეს, ის ანტიეროვნულია და უცხო ქვეყანას ემსახურება ერის დასაღუპავად. თუმცა, ამას შეიძლება ისე შეფარულად აკეთებდეს, რომ ძნელი შესამჩნევი იყოს. შეიძლება ერთი ან ორი ეროვნული საქმე გააკეთოს, ხალხს ერის კაცად მოაჩვენოს თავი, ავტორიტეტი აიმაღლოს, ფარულად კი საწინააღმდეგოს აკეთებდეს.

—რა უნდა გააკეთოს ერმა თუ ასეთი პიროვნებები შენიშნა? —ჰკითხა გიამ.

—რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა გამოაელინოს, ამხილოს, შემდეგ კი მოაცილოს ხელისუფლებას ან გზა გადაუკეტოს. ამის შემდეგ უნდა დასაჯოს. დასაჯოს ისე, როგორც უკვე ვთქვი. მაგრამ ამისათვის საჭიროა რომ ხალხს მაღალი ცნობიერება ჰქონდეს. ძველი დაკარგული ცნობიერება კი უნდა დაბრუნოს და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ერის კაცებმა. იმ იშვიათმა პირებმა, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება. დღევანდელი აღვირახსნილი ხალხი ამას ვერ გააკეთებს.

—ვინ უნდა აამაღლოს ერის ცნობიერება, ინტელიგენციამ? —ჰკითხა გიამ.

—ინტელიგენცია დღეს მოაკრობის და ხელისუფლების მიერ გაუპატიურებულია და ასეთი ინტელიგენცია ვერაფერს გააკეთებს.

—რას ნიშნავს გაუპატიურებულია? რატომ იხსენებთ ინტელიგენციას ასე ცუდად? —გაუკვირდა გიას.

—ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ ინტელიგენციას პატივი აჰყარა. ინტელიგენციამ ხელისუფლების ძალისხმევით ხალხისაგან პატივისცემა დაკარგა. ტელევიზიაში რომ დასვა, რომელიმე გადაცემაში ხალხის წინაშე პირისპირ განათლებული ინტელიგენტი და უცოდინარი, ყბედი პოლიტიკოსი, პაექრობაში ხალხი პოლიტიკოსს დაუჭერს მხარს. ეს იმიტომ, რომ ყბედი პოლიტიკოსი, არ დააცდის განათლებულ ინტელიგენტს საუბარს და თავისი დემაგოგიური ლაპარაკით, თავს უფრო მართლად მოაჩვენებს ხალხს. ამავე დროს, ინტელიგენტს საკუთარი თავის რწმენა აკლია, არ სჯერა, რომ ხალხი მას დაუჯერებს, ბრძოლის უნარი არა აქვს, უხეშ დემაგოგ პოლიტიკოსთან კამათს ვერ უძლებს და ფარხმალს ჰყრის. გარდა ამისა, ინტელიგენციის ნაწილი ნებით თუ უნებლიედ ჩაითრიეს კორუფციაში. შემდგომ მათგან, თუ ვინმე ხელისუფლების წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, ამხელენ კორუფციაში, მათაც სახელს უტეხენ და ამით სხვებსაც აშინებენ. გლეხი, რომელიც დაინახავს, რომ რამოდენიმე ინტელიგენტი კორუფციაში ამხილეს, საერთოდ კარგავს ყველაზე შთაბეჭდილებას. მას უფრო იზიდავს ცრუ პოლიტიკოსი, რომელიც რაღაცას ჰპირდება, თუნდაც აბსურდულს. ამას არ ჰქვია გაუპატიურება ანუ პატივის აყრა?

—მაშ ვინ უნდა აამაღლოს ცნობიერება, კარგმა პოლიტიკოსმა?

—კარგ პოლიტიკოსს ვის ეძახი, გააჩნია. დღეს კარგ პოლიტიკოსად ის უფრო ითვლება ვინც ბევრს ლაპარაკობს და ხშირად ჩნდება ტელევიზორში. პოლიტიკოსი ის კი არ არის, ვინც პოლიტიკაში ცხვირს

შეყოფს და მასზე ილაპარაკებს, არამედ ის, ვინც კარგად იცის საზოგადოებრივი ურთიერთობათა ფილოსოფია, მსოფლიოს და საქართველოს უძველესი და შემდგომი ისტორია, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკაში, პირდაპირ თუ ფარულად ჩართულ პოლიტიკოსთა პოლიტიკური ამბიციები და კიდევ სხვა მრავალი. ამავე დროს ერის სუნთქვა უნდა ესმოდეს და თვითონაც მისით სუნთქავდეს. თუ ასეთ პოლიტიკოსებს დამისახელებ, მაშასადამე, მათ შეუძლიათ, გამორჩეულ, განათლებულ და გაბედულ ინტელიგენციასთან ერთად, ერის ცნობიერების ამაღლება.

–თუ არც კარგი პოლიტიკოსები არიან და არც ინტელიგენციაა ისეთი, რომ საქართველოს უშველოს, გადაარჩინოს, მაშასადამე დაღუპულვართ. ან ღმერთის შველის იმედი უნდა გვქონდეს, და მისი შვილისა, რომელსაც გამოაგზავნის, ჩვენს დასახმარებლად.

–ინტელიგენციაშიც არის საჭირო ხალხი და პოლიტიკაშიც, რომელთაც შესწევთ ძალა იტვირთონ ეს ტვირთი და გაიტანონ ბოლომდე, მაგრამ ამისათვის საჭიროა, უბრალოდ, გამოფხიზლდნენ, თაეიანთი ცოდნის დონე აიმაღლონ, ერთი-მეორის მოსმენა და ერთად ჯდომა ისწავლონ. შიშში თუ საკუთარ ამბიციებში ჩაკეტილი კაცი, ვერაფერს სასიკეთოს ვერ გააკეთებს, დაიღუპება....

რაც შეეხება ღმერთის შვილს, ჩვენ ყველა ღმერთის შვილები ვართ. ყველას ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს ღმერთის მადლი, კოსმიური ევოლუციის დიფერენცირებული გონი, მისი ნაყოფიერება, მაგრამ ამ შესაძლებლობას ვერ იყენებენ, რადგან ვერ გადაულახავთ მატერიალური ამბიციით შექმნილი ფსიქოლოგიური ბარიერი.

–ეს რა ბარიერია, უკეთესად ვერ განმარტავთ? –ჰკითხა ნოდარმა. ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური გარსი, რომელსაც აღძრავს, დაბალი, ცხოველური გონის მატერიალური გრძნობითი იმპულსური სისტემა.

–ესეიგი, ამ გარსს მატერიალური გრძნობითი სისტემა წარმოქმნის? –რა სისტემაა და როგორ წარმოიქმნება? –შეეკითხა ნოდარი.

–რამოდენიმე თვის ბავშვი, რომ გონიერებით არ გამოირჩევა და მხოლოდ რამოდენიმე ცხოველური იმპულსი აქვს მაგალითად, ძუძუს წოვს ეს ხომ კარგად იცით. ადამიანი დაბადებიდან ცხოველური იმპულსებით იწყებს განვითარებას. ჭამა, ჭამიდან გამომდინარე გემოვნება და ეგოცენტრული საკუთრება, ეს მინდა, ეს ჩემია, აუცილებელი პირველადი იმპულსური ცნობიერებაა ადამიანის საწყისი განვითარებისათვის. შემდგომში მომწიფებული ადამიანი, ამ ცხოველური ცნობიერებიდან უნდა გადაეიდეს მაღალ, გონიერ ადამიანურ ცნობიერებაზე. სამწუხაროდ ადამიანურ ცნობიერებაზე ვერ გადადიან, ან გადადიან იმ დონით, რომ ამ ცნობიერებაზეც ცხოველური იმპულსი ბატონობს.

–ესეიგი, მე ასე გავიგე, გემრიელი საჭმლის ჭამის სურვილი არ უნდა გვქონდეს? –გაიკვირვა გიამ.

–ცუდი ის კი არ არის, რომ გემრიელი საჭმლის ჭამის სურვილი გაქვს, არამედ ის, რომ ეს იმპულსი იმდენად ძლიერია ყველა სხვა დანარჩენს თრგუნავს და მთლიანად მართავს ადამიანს. ასეთი ადამიანი

მთელს თავის ენერგიას და 'გონიერებას" ახმარს 'გემოვნებიან" ძიებას, როგორც ჭამაში, ასევე სხვა ქონებრივ სფეროში. ამის გამო აზროვნება მხოლოდ ამით არის დაკავებული და არა გარემოს შემეცნებით. ეს კი იწვევს აზროვნების რეალურ არსიდან მოწყვეტას. გონიერების სულიერი ძალა, რომელიც არსობრივი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში მაღალ განვითარებას აღწევს., ანუ, თუ ვერ განვითარდება არსობრივად მატერიალურ–ეგოცენტრული მოთხოვნილებების იმპულსური განვითარების ფსიქოიმპულსურ გარსში ექცევა და წყვეტს განვითარებას. ეს სულიერი ძალის გარსი ქმნის სწორედ ამ ბარიერს. ადამიანს როგორც მიწიერი განვითარების უმაღლეს არსებას, და კოსმიური უმაღლესი გონის ერთადერთ პოტენციურ მიმღებს, ევალება კოსმიური გონის თანხვდენილად, მასთან ჰარმონიულად არსებობა, და მოქმედება. ეს არის მისი არსი თუ ვერ მოვა მისი მოქმედება მასთან ჰარმონიაში, მაშინ ეს დისჰარმონია ბლოკავს მის განვითარებას. მიწიერი ანუ მატერიალური აზროვნება რა თქმა უნდა, კვლავ აუცილებელია, მაგრამ იგი უნდა იყოს დამორჩილებული, შინაგანად ადამიანში შესული უმაღლესი გონიერების მიერ, მის ფარგლებში მოქმედებდეს და ნებისმიერ ფსიქოლოგიურ გამოვლენას მართავდეს.

–კი მაგრამ, როგორ უნდა მოვიპოვოთ უმაღლესი გონი? ეს ხომ ვთქვათ ვაშლი არ არის, შევჭამთ და მორჩა, ჩემშია. როგორი მიმართულება უნდა ჰქონდეს აზროვნებას, რომ ამ გარსში არ მოექცეს? –ჰკითხა გიამ.

–უბრალოდ საწყის ეტაპზე, ინტერესი უნდა გაჩნდეს ჩვენივე საკუთარი გარემოს შეცნობისა, როგორც საზოგადოებრივ, ასევე არა საზოგადოებრივი გარემოსი. ჩავუკვირდეთ რა არის ჩვენს ირგვლივ, როგორია და რატომ არის. ეროი შეხედვით ეს მარტივია და ვიცით, მაგრამ თუ დავაკვირდებით გარემოს, უამრავ ახალს აღმოვაჩენთ ჩვენი შემეცნებისთვის. ამისათვის კარგია სასკოლო წიგნების გამოყენება, რომლებიც ვისწავლეთ, მაგრამ არ ვისწავლეთ. შემდგომ ეტაპზე კი უნდა დავიხმაროთ დღემდე არსებულ ბრძენთა, გენიოსთა და წმინდანთა სიბრძნის ნაშრომები.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ალბათ წაგიკითხავთ და გეხსომებათ რითი იწყება. პირველ სტროფშივე იგი ამბობს: "ზეგარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა". ვინც კოსმოსის, ანუ სამყაროს საიდუმლო იცის, მისთვის ნათელია რას ნიშნავს ეს სიტყვები. სხვებისათვის კი ის შეიძლება მხოლოდ უბრალოდ, ლამაზი სიტყვები იყოს.

სამყაროს არსი, ანუ არსი ყოველივესი, უმაღლესიდან მონაბერი მუდმივად ქრის. იგი ყველას და ყველაფერს განმსჭვალავს და საწყისი და საბოლოო აზრმიზანია ყოველივესი. მასზეა დამოკიდებული ჩვენი სულიც და გონებაც. რამდენადაც მეტს მივიღებთ, მეტს გავუხსნით კარს, იმდენად მაღალი, მტკიცე, ძლიერი სული და გონება გვექნება. მაგრამ თუ მას კარს გადაუკეტავთ მიწიერი ბოროტი ამბიციური

აზროვნებით, მაშინ ჩვენ სარეველა ბალახს დავემსგავსებით, რომელიც უნდა ამოიგლიჯოს გამომარგვლისას.

თანამედროვე ხანაში, კაცობრიობის მიმართ წაყენებული არსობრივი მოთხოვნები დღეისათვის სულ სხვაა, ვიდრე ეს იყო წინა ათასწლეულებში. დღევანდელი არსობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კაცობრიობა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავა. თუ არ მოხდა ეს და კაცობრიობა დარჩა არსებობრივ ამბიციურ მოთხოვნების აზროვნებაში, მაშინ უკეთეს შემთხვევაში გამოიმარგლება.

სამწუხაროდ, ამას დღეს ძალიან იშვიათად თუ ვინმე ხვდება. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ვერავინ ხვდება. ამას ვერ ხვდება სახელმწიფო ხელისუფალნიც და მათი მეთაურებიც, ისეთ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც თავისთავს განვითარებულ და მაღალ ცივილიზებულს უწოდებენ.

–რატომ ვერ ხვდებიან, განათლება აკლიათ? ისინი ხომ განათლებულები არიან. –დაინტერესდა ნოდარი.

–ჯერ ერთი, საკითხავია არის თუ არა მათი ცოდნა მართლა განათლება, და მერეც, მათ ამისათვის არ სცალიათ, „დემოკრატიულობით“ არიან დაკავებულნი.

ხელისუფლებაში მოსახვედრად, ჭეშმარიტად სწორი აზროვნების პირებს ხელს უშლის „დემოკრატია.“

–რატომ, დემოკრატია ხომ პირიქით, ხელს უწყობს თავისუფალი აზროვნების გამოჩენას? ყველას აქვს უფლება გამოავლინოს თავისი ცოდნა და სცადოს ხელისუფლებაში მოხვედრა. განა დიქტატურა უკეთესია?

–დიქტატურის შესახებ შემდგომ ვილაპარაკოთ. ის ასეთი მარტივი არ არის, მხოლოდ სიტყვით, რომ გამოიხატებოდეს ყველა მდგომარეობა. გააჩნია ვისი და რისი დიქტატი ანუ კარნახია. დემოკრატიას კი შევეცადოთ გავარკვიოთ რას ნიშნავს და რა არის რეალობაში.

სიტყვა დემოკრატიას თავს გვახვევენ იმ აზრით, რომ იგი არის ხალხის ძალაუფლების გამომხატველი, სახელმწიფო, სადაც დემოსის კრატიაა. გადავხედოთ ცხოვრებას და განვიხილოთ არის კი ასე, თუ არა. და თუ ასეა, სიკეთეს მოიტანს კი ხალხის ძალაუფლებით, ქვეყნის მართვა?

ქვეყნის ხელისუფლებაში ერთეულები არიან და სახელმწიფო ძალაუფლებრივ მართვაში, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ მონაწილეობა. ხალხის დანარჩენ ნაწილს არანაირად არა აქვთ საშუალება მართვაში მონაწილეობის მიღების, ანუ „კრატია“ არ გააჩნიათ, ესეიგი „კრატია“, ანუ ძალაუფლება აქვს არა ხალხს, არამედ ერთეულებს. ხალხს „კრატია“ მხოლოდ არჩევნებში შეუძლია გამოხატოს. ხალხი თავთავიანთ სამუშაო ადგილზე მუშაობს და შრომის ნაყოფს ქმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა ვერ იარსებებს. ყველა ქვეყნის ხელსუფალი ვერ იქნება, რადგან ძირითადმა ხალხის ნაწილმა პროდუქცია უნდა შექმნას ქვეყნისთვის. რაკი შეუძლებელია ხალხი მართავდეს ქვეყანას, ესეიგი დემოსის კრატია არ არის, და ამ მხრივ სიყალბეა.

—აბა არჩევნები რომ ტარდება და ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, ეს არ არის დემოსის კრატია? საქართველოში მართალია ფორმალურია და ხალხის სულ მცირე ნაწილი თუ ირჩევს მას. ვინც ხელისუფლებაში ხვდება, მაგრამ სხვა ქვეყნებში ხომ მართალი არჩევნები ტარდება?

—მაცალე და მაგასაც გეტყვი. განვიხილოთ იმ ქვეყნის არჩევნები, სადაც უფრო „მართალი" არჩევნები ტარდება. რა არჩევნები ტარდება ფაქტიურად? პიროვნება, რომელიც არჩევნების შედეგად იმარჯვებს და ხვდება ხელისუფლებაში, არის მართლა ხალხის არჩეული ანუ შერჩეული?

—რატომ არა, მართლა ხალხმა არ აირჩია?

—ხალხმა აირჩია არა თავის მიერ დასახელებული ანუ შერჩეული პიროვნება, არამედ ის, ვინც წარუდგინეს. ანუ წარდგენილი ერთი ან რამოდენიმე კანდიდატიდან, ერთ—ერთი აირჩია. ეს კიდე საკითხავია მათგან უკეთესი აირჩია თუ არა. იცნობს სინამდვილეში მას თუ მხოლოდ, მისივე ფულით გაკეთებული რეკლამა—პროპაგანდის გაელენით აირჩია? თუ რეკლამის გაელენით აირჩია, მაშასადამე ის ფულმა აირჩია და არა ხალხმა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მართლაც აირჩია თავისი სურვილით და არა პროპაგანდის გაელენით, მაინც არ არის ხალხის რჩეული, რადგან კანდიდატები მას წარუდგინეს და თვითონ არ შეურჩევია. ესეიგი, ხალხი კი არ ირჩევს, არამედ ასე ვთქვათ ნებართვას აძლევს მას. ნებართვა კი ადვილი საყიდელია. ალბათ დამეთანხმებით, რომ სხვადსხვაა არჩევა ანუ შერჩევა და ნებართვის მიცემა. და ეს მაშინ, როცა სწორედ ამის გამო გვარწმუნებენ, რომ ეს არის დემოკრატია. ასეთი დემოსის კრატიით ყველა კანდიდატი რომ იყოს უღირსი, ერთ-ერთი მაინც გავა, ხალხი ამას ვერ შეეწინააღმდეგება და ვერც რჩეული იქნება მათი. ხალხი ამას კარგად ხვდება და დიდად არ იწუხებს თავს, იმისათვის, რომ გაარკვიოს მართლა ღირსეულნი არიან, თუ არა შემოთავაზებული კანდიდატები. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობს მოსყიდვა-გარიგებას. იქმნება კორუფციული გარემოს შექმნის კარგი შესაძლებლობა და ადვილი ხდება ხალხზე გავლენის მოხდენა, რითაც ნაძირალასაც კი ექმნება საშუალება არჩევნების მოგებისა. ესეიგი, არჩევნებში გამარჯვების მეტი შესაძლებლობა აქვს, არა დემოსის წარმომადგენლებს, არამედ დემონის წარმომადგენელს. თვით სიტყვა „დემოკრატიაშიც" იმის გამო, რომ ერთი ბგერა აკლია, არ არის განსაზღვრული რისი კრატიაზეა მითითებული, დემოსის თუ დემონის. თუ კი დემონს მეტი შესაძლებლობა აქვს არჩევნების მოგების, ესეიგი დემონის კრატია უფროა, ვიდრე დემოსის. ამით გზა ეხსნებათ სახელისუფლო ძალაუფლებისაკენ დემონური სულის ადამიანებს. ფაქტიურადაც თუ გადავხედავთ რეალურად რა ხდება, კარგად დავინახავთ, რომ იქ შემძვრალთა დიდი ნაწილი, თავის ძალაუფლებას სხვებზე უპირატესობის მოსაპოვებლად, თავისივე საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, სხვების დასაჩაგრად იყენებს და არა ქვეყნის წინსვლისთვის, სწორ აღმშენებლობით საქმეში. ზოგჯერ კი ამ ძალაუფლებას საერთოდ ანტისახელმწიფოებრივი და ანტი სახალხო საქმიანობაში იყენებენ.

—რომ გავიაზრე, მართლაც მძიმე და სამომავლოდ გაურკვეველი მდგომარეობა იქმნება. აბა მაშ როგორ, რითი შეიძლება შეეცვალოთ უკეთესობისაკენ? სოციალისტურ წყობას დავუბრუნდეთ? —ჰკითხა გიამ.

—ეს ერთი კაცის გადასაწყვეტი არ არის. ამას მომავალი გვიჩვენებს, თუკი საერთო ხალხის ცნობიერება ამაღლდება. დღევანდელი სახელმწიფოებრივი წყობის ფორმაცია თუ არ ეარგა, ეს იმას არ ნიშნავს გაუაზრებლად გადავიდეთ სხვაზე. სახელმწიფო წყობის ფორმაცია იქმნება შესაბამისი ხალხის ცნობიერებისა.

—ამჟამინდელ პირობებში კი უკეთესი იქნება, თუ ხალხის ცნობიერება იმდენზე მაინც ამაღლდება, რომ ღირსეულის ამოცნობა შეძლოს და კანდიდატი თვითონ დაასახელოს.

—სულ ეს არის? რა ადვილი ყოფილა გამოსწორება და გადარჩენაც.

—სულ ეს არ არის. ეს ხალხის მხრიდან ამჟამად უპირველესი გასააზრებელი და საკეთებელია. კიდეც რომ სულ ეს იყოს, არც არის ადვილი. ხოლო შემდგომ, როგორც უკვე ვთქვი, ხალხის ცნობიერების ამაღლებაა საჭირო. ხალხის ცნობიერების ამაღლება ურთულესი საქმეა, რადგან უამრავ სფეროსთან არის დაკავშირებული და ყველა სფეროსთვის ერთობლივი სახის მიცემა ძნელია. პირველი სიროულე ის არის, რომ ხალხის უდიდეს ნაწილს, ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობის შემთხვევაშიც, სურვილი არა აქვს ამაღლებისა. გონება-გრძნობაში მთვლემარე ხალხმა მისი ფასი არ იცის და "შეჩვეული ჭირი ურჩევია, შეუჩვეველ ლხინს" მაღალი ცნობიერება მათთვის უცხო ხილვით არის, რომლის გემო არ იცის და ვერც მის გემოზე იმსჯელებს. თავისთავად ცხადია, არც იმის იმედი აქვს, რომ მისგან რაიმე სასიკეთოს მიიღებს. მას „დღეანდელი კვერცხი" ურჩევნია და მისი დაკარგვის შიშით "ქათამი" საერთოდ არ აინტერესებს. ამიტომ, მარტივი ცხოვრებისეული სურვილების აზროვნებით შემოფარგლულები, ადვილად ეგუებიან პიროვნების, თუ პიროვნებათა ჯგუფის პოლიტიკური ამბიციებით გაჟღენთილი სურვილების განმხორციელებლებთ. ასეთი სხვისი სურვილების განმხორციებლები, „დღევანდელ კვერცხში" ცელიან საკუთარ მომავალს და ვერ ხედებიან, რომ იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან და ხვალ "კვერცხიც" აღარ ექნებათ. როცა უკვე მიხვდებიან, რომ „კვერცხიც" დაკარგეს, უძლურნი იქნებიან რაიმე შეცვალონ.

—მაშ განწირულები ვყოფილვართ. —თქვა გიამ.

—არა, ჯერ კიდე არის საშუალება და იმედი. არიან ერთეულები, რომელთაც შესწევთ უნარი მიაწოდონ ხალხს ხსნის ცნობიერება. თუ კი ხალხი გამოფხიზლდება, თავს გაატოკებს და გონიერებას მოუხმობს, თუკი ბრმად არავის ენდობა, თუკი ორ შაურში არ გაცვლის სამშობლოს, ერს და საკუთარი ოჯახის მომავალს, მაშინ შეძლებს გამოსავლის მოძებნას.

—მაგრამ, დღეს იმდენია ხალხის ჭკუაზე დამრიგებელი, რომ ძნელი გასარკვევია ვის რა ამბიციები აქვს, ვინ ტყუის, ვინ მართალს ამბობს, ვის დაუჯეროს და ვის არა. ხალხში უნდობლობაც გაჩნდა და მობეზრდათ კიდეც ვინმეს მოსმენა. იმას უსმენენ ვინც გულს მოფხანთ. —თქვა ნოდარმა.

—აკი ვთქვი, ბრმად არავის არ უნდა დაუჯეროს, გონება მოიკრიბოს და იფხიზლოს, მაგრამ სწორედ ეს არ უნდათ. არ უნდათ, რომ თავად იყენენ საკუთარი მომავლის შემქმნელები. ერთი ყველასათვის და ერთობლივად ყველა სამშობლოსათვის. უფრო მოსწონთ უგუნურად, ცხოველური გადარჩენის ინსტიქტით პირიქით, გაატყაონ სამშობლო, ერთი მეორეს მშურით მიხედონ და გამტყავებელი სხვაში დაინახონ მხოლოდ. თავის თავი კი თავის ანგელოზურობაში დაარწმუნონ.

—რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა? ასე ხომ მარტო საქართველოში არ არის და ევროპაში და ამერიკაშიც თითქმის იგივე ხდება? —ჰკითხა ისევ ნოდარმა.

—სიბნელემ გამოიწვია. საერთო განათლების დონე შესუსტდა და გაწყდა კავშირი უხსოვარი დროიდან მოყოლებული, კაცობრიობის უდიდესი გამოცდილებით ნაჭედი ჭეშმარიტი განათლება.

—ეს როგორ დაეჯეროთ? თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, ამხელა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ამხელა საგანმანათლებლო სისტემებია მსოფლიოში შექმნილი, განა როდისმე ყოფილა უფრო მეტი ცოდნა ხალხში ვიდრე ახლაა? —იკითხა გიამ.

—მართალი ხარ. დღეს ცოდნაა გამეფებული მთელს ქვეყანაზე. ცოდნა კი ნათელის გარეშე სატანურია და საშიში. წინათ ასეთ დიდ ცოდნას არ ფლობდა ხალხი, შეიძლება არც დიდად განათლებული იყო, მაგრამ მათში იყო სიბრძნისეული ცხოვრების წესი და სწორი ცხოვრებისათვის სამოძღვრო სახალხო სიბრძნე. ზღაპრების, აფორიზმების, ანდაზების თუ სხვა მსგავსის სახით. ამ სამოძღვრო სიბრძნეს, ნამდვილად განათლებული ადამიანები ქმნიდნენ და ხალხი მას წარმატებით იყენებდა. ეხლა კი, არა თუ აღარ იყენებენ, არამედ ებრძვიან კიდეც მას და ცდილობენ გაანადგურონ.

—ცოდნა და განათლება რითი განსხვავდება ერთიმეორისაგან? —ჰკითხა ნოდარმა.

—რასაც დღეს ზოგადად განათლებას უძახის ხალხი, ეს ცოდნაა. განათლება, ანუ ნათელი ადამიანში ცოტა სხვაა. გარეგნულად შეიძლება ერთიმეორეს ჰგავს, მაგრამ ერთი არ არის. განათლებაზე საუბარი მისახვედრებლად, მასთან ვისაც მასზე წარმოდგენა არა აქვს ძნელია, მაგრამ შევეცდები მიგახვედრო.

თქვენში ერთი ასეთი ანეგდოტია ცნობილი, ალბათ შენც გაგიგონია. ერთ სუფრაზე, სადაც ხალხმრავლობა იყო, მასპინძელმა იკითხა გიტარა ვინ იცისო. ერთ ერთმა სუფრის წევრმა წამოიძახა მე ვიცი. მასპინძელი გავიდა ოთახიდან და გიტარა შემოიტანა. მის დანახვაზე ის სუფრის წევრი წამოდგა და დაიძახა: ხო ეგ არის გიტარა, ნამდვილადო. აი, ცოდნა ეს არის. მან იცოდა მართლაც, რომ ის იყო გიტარა, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი გარეგნული ცოდნა სრულიად არ იყო საკმარისი.

აი, ასე იცის დღევანდელმა ცივილიზაციამ ყველაფერი. ბევრ რამეს იყენებენ სათავისოდ, მაგრამ მხოლოდ გარეგნული სახის ცოდნის გამო. საშინელ მდგომარეობამდე მიიყვანეს თავიანთი თავიც და მთელი კაცობრიობაც.

—მაგრამ, მეცნიერები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მუშაობენ, ვოქვათ ფიზიკოსი ფიზიკაში ხომ სიღრმისეულად ერკვევა, მას არა აქვს განათლება? —ჰკითხა ისევ ნოდარმა.

—იგივე ანეგდოტის მაგალითზე, რომ გადავიტანოთ, ეს ჰგავს კაცს, რომელიც სიმების დამზადების ტექნოლოგიაში ერკვევა, იცის, მაგრამ მუსიკა და გიტარის დაკვრა არა. ნათელთან ახლოს დგომა არ ნიშნავს განათლებულს. თუმცა ერთი სხივიც ნათელის ნაწილია.

—გიტარის დამკვრელს, აქვს ნათელი? —ჰკითხა გიამ.

—მან არ იცის სიმის ტექნოლოგია, არ იცის გიტარის სხვა ნაწილების ტექნოლოგია. გიტარის შექმნის ფსიქო-ისტორიული მიზეზი. ფიზიკოსის მიერ გამოგონილ ავტომანქანაში თუ ზეხარ და მართავ, ეგ არ ნიშნავს, რომ იცი თუ რა ფიზიკური და ქიმიური პროცესები ხდება ძრავაში და რა ამოძრავებს ავტომობილს. არ ნიშნავს, რომ იცი რა ფსიქო-სულიერ გავლენას იწვევს ავტომობილის მფლობელზე თუ სხვებზე ავტომობილი და რა გავლენას ახდენს გარემოზე. ასევე როგორც თვით ავტომობილის შემქმნელმაც არ იცის მისი შექმნილის გავლენის ყველა შედეგი ხალხზე და ბუნებაზე. მსგავსადვეა ჩვენი გარემოს, სახოგადოების და კოსმოსის სიღრმისეული საიდუმლო ცნობიერების ჩაწვდომა.

ფიზიკა ხომ ისწავლეთ სკოლაში? —ჰკითხა ბერიკაცმა ბიჭებს.

—კი, —უპასუხეს ორივემ.

—გაიხსენეთ სინათლის სპექტრის, შვიდი ძირითადი ფერი. არც ერთი მათგანი ან რამოდენიმე ფერის ერთად შეერთება არ იძლევა თეთრ ფერს. თეთრი მხოლოდ შვიდივე ფერის სხივის ეროთობლივი შედეგია და თანაც სუფთა სხივების. აი ეს არის ნათელი. განათლებაც ასეა. თუ ვინმე რაღაც ნაწილს ფლობს რომელიმე სფეროში და დანარჩენზე წარმოდგენაც არა აქვს, ეს ნათელი კი არა, ცოდნაა. ასეთი ცოდნით ვერასოდეს შეექმნება თუნდაც ზერელედ სრული ჭეშმარიტებაზე წარმოდგენა.

ძველად ფილოსოფია ისწავლებოდა, სადაც ყველა მეცნიერება ერთად იყო გაერთიანებული და გარკვეულ განათლებაზე ზოგად წარმოდგენას იძლეოდა სამყაროსა და ჩვენივე საკუთარი თავის არსობა-არსებობის შესახებ. იმის შემდეგ კი, რაც ეს მეცნიერება დაშალეს და დაანაწევრეს, ცოდნად გადაიქცა. ნებისმიერი მეცნიერების შესწავლისას ადამიანი იმ კონკრეტული მეცნიერების მცოდნე ხდება და მეტი არაფერი. მათემატიკოსი არ ნიშნავს, რომ ერკვევა ბიოლოგიაში, ხელოვანი არ ნიშნავს, რომ ერკვევა ფიზიკაში და ასე შემდეგ. ეს ყველა ცალკ-ცალკე თვითოეული სხივია და თუ ყველას ერთად, თუნდაც ნაწილობრივ და ზოგადად შეისწავლი, უკვე ნათელისკენ გიხსნის გზას.

—ესეიგი ნათელი არავის არა აქვს?

—ამის საშუალება არის, თუ ვინმე მოინდომებს და ვერ იტყვი, რომ ამ საშუალებას არავინ იყენებს. თუმცაღა თუ პიროვნებათა პირად უნარს გავითვალისწინებთ ბევრს არა აქვს საშუალება. ყველას არა აქვს უნარი ჩასწვდეს თუნდაც ფიზიკური სამყაროს ყველაზე მარტივ არსობრივ—არსებობრიობის ნაწილსაც კი. ადამიანს, რომელსაც არა

აქვს ტრანსცენდენტალური ხედვა–აზროვნების უნარი, ვერ წვდება მაგალითად, ატომის შემადგენელ ნაწილაკთა სტრუქტურის არსშიც კი, რომ არაფერი ვოქვათ მის მიღმა ნაწილაკთა ანუ სხვა მატერიის სტრუქტურათა თეორიაზე. ასეთი ადამიანი შეძლებს მხოლოდ დაიხეპირის ამ სტრუქტურათა ახსნის სიტყვიერი გამოხატულება. ის ვერც მიხვდება, რომ არ იცის სინამდვილეში რას წარმოადგენს ეს სტუქტურა, რადგან, რაც მან იცის ის ჰგონია სასრული და დანარჩენს გონებრივად ვერ ხედავს. მას შეუძლია ეს დაზეპირალი ცოდნა გამოიყენოს საზოგადოებაში სასაუბრო მასალად და თავის მსგავს ხალხში გამოჩნდეს, დიდად განათლებულ ადამიანად. რა თქმა უნდა, ეს არ არის განათლების სახე. ეს არის ცოდნა, რომელიც კომპიუტერის მსგავსად, ადამიანის თავის ტვინის უჯრედებშია ჩადებული გარკვეული ინფორმაციის სახით.. სამწუხაროდ ზოგიერთი ეგრედწოდებული მეცნიერიც კი ასეთი სახით ფლობს ცოდნასა და არა განათლებას. განათლებული კი არის ის, ვინც ტრანსცენდენტალური აზროვნებით, ანუ გონების თვალით შეაღწევს, ვთქვათ ატომის შიდა სტრუქტურაში და დაინახავს შიგნიდან მის მდგომარეობას. მხოლოდ ასე შეიძლება ჩასწვდეს მის არსობრივ-არსებობრიობას, როგორც გამოვლენილ ანუ უკვე შექმნილ ატომს, ასევე მის გამოვლინებამდელ მდგომარეობას.

–რომ ამბობენ ნათელი სულიო, ან ნათელში მოხვდესო, ეს რაღას ნიშნავს? –ჰკითხა გიამ.

–ნათელი სული, გონებრივ ნათელს ნიშნავს და სხვა არაფერს. ნათელში მოხვდეს ნიშნავს, ამ ცხოვრებაში იმდენი ნათელგონიერება მოიპოვოს, რომ იმ ქვეყნად შესაბამისად ნათელ შრეებში მოხვდეს და არა ეგრეთწოდებულ ჯოჯოხეთში. როგორც ჩვენს ცხოვრებაში,საზოგადოებრივად დაახლოებული ჯგუფები ყალიბდება მისი ცნობიერების, მსოფლმხედველობის და საქმიანობის მიხედვით, მსგავსადვეა იქაც. სულიერი განათლების, დონის შესაბამისად ხვდებიან სხვადასხვა შრეებში. ნათელგონიერება თავდაპირველად ინტელექტუალურად ვითარდება და მენტალური ენერგიის სახით გროვდება., შემდგომ კი, როცა შესაბამისად ხდება სულიერი და ხორციელი განწმენდა, ნათელგონიერება უკვე შარაკანდეთის სახით გროვდება. ასეთ დონეს იშვიათები აღწევენ. ინტელექტუალური ცოდნა საერთოდ სიმბოლურად 6 ციფრით გამოისახება. ეს ციფრი სატანურად ითვლება იმიტომ, რომ ცოდნა სიბრძნის გარეშე საშიშია. სულიერად გაუნათლებელმა იგი შეიძლება გამოიყენოს ცუდ საქმეში.

პიროვნება, რომელიც ცოდნას იღებს, ინტელექტუალურად ზოგადი ფილოსოფიურ სიბრძნისეული ცოდნით და ნათელით იგი არასოდეს გამოიყენებს მას ცუდ საქმეში, რადგან იცის, რომ თავად მისივე ნამოქმედარის მსხვერპლი გახდება სხვებთან ერთად. ისეთი პიროვნება კი, რომელიც ცოდნას ზედაპირულს ზეპირ სიტყვიერ ცოდნას ფლობს, მისი ცოდნის გამოყენების ნაყოფი უმეტესად უარყოფითია და სატანური. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად თავად არის სატანა. ეს მხოლოდ მისი პოტენციური მდგომარეობაა.

ამიტომ ცოდნის და ინტელექტის სიმბოლური გამოსახულება, ციფრი 6-იანი ორია. ეს ორი ექვსიანი ორ განსხვავებულ ძაღლს ჰგავს. ერთი, რომელიც ოჯახს იცავს ტურა–მელიისგან და ქურდებისგან, მეორე კი, რომელიც პატრონსაც ყეფს და კბენს. ესეიგი ერთი სატანური, ხოლო მეორე დადებითი ინტელექტუალური, რომელსაც მიმართულებას აძლევს სულიერი სიბრძნე და იცავს მას სატანურად გამოვლინებისაგან. პიროვნება, რომელიც ასეთ ინტელექტს ანუ ცოდნას ფლობს, რომლის მიმართულებასაც სულიერი-სიბრძნის გონიერება მართავს, შესაძლებლობა ეძლევა და მზად არის თავად მიიღოს ეს სიბრძნე. თუ იგი განახორციელებს ამ შესაძლებლობას, მოახდენს თავისი თავის განვითარებას და მიიღებს ნათელ გონიერებას ანუ სიბრძნეს, მაშინ მის სიმბოლურ 6-იანს ემატება სიბრძნის სიმბოლო 3-იანი და ხდება სიმბოლურად 9-იანი. ციფრი 9-იანი კაცღმერთის სიმბოლოა და ეს იმას ნიშნავს, რომ მას უკვე მიუწვდება ხელი ღმერთისეულ მიწიერ გონიერებაზე. თუ ამ ნაყოფს,იგემებს იგი უკვე შარავანდედს მოიპოვებს.

–რა ადვილი ყოფილა შარავანდეთის მოპოვება. – თქვა გიამ.

–არც ისე ადვილია, როგორც სიტყვიერად და მოკლედ გამოიხატება. ამის განხორციელებას უამრავი დაბრკოლებები უშლის ხელს. მათგან მთავარი კი, საზოგადოების მიერ, ჩვენს ფსიქოლოგიაში ჩანერგილი მატერიალური ცნობიერების მიერ შექმნილი ნაჭუჭია – ანუ ფსიქოლოგიური გარსი, რომელშიც ექცევა ადამიანი. ამ ნაჭუჭის გამორღვევა მხოლოდ ნათელისკენ უდიდეს სწრაფვის მქონე ადამიანს შეუძლია.

ადამიანის ფსიქოლოგიური გამოელინება, მისი მოქმედება, მისი აზროვნება არის მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მისი სულის გამოელინება. რამდენადაც მას სულში ანუ მის გამოელინების ფსიქოლოგიურ აზრ–მოქმედებაში მეტი მიწიერი, ბოროტული და სატანური ელემენტებია, იმდენად მისი სული არამდგრადია. რამდენადაც არამდგრადია, იმდენად ძლიერია მისი ფსიქოლოგიური მიწიერი ცნობიერების ნაჭუჭი. ასე, ამგვარად სულს არ შესწევს ძალა ამ ნაჭუჭის გამოტეხვის და ექმნება საფრთხე ნაწუჭშივე მოიგუდოს, დაიშალოს და ნათელში მოხვედრის – მისი მოპოვების შესაძლებლობა დაკარგოს. ისევე როგორც ფრინველის კვერცხიდან სუსტად განვითარებული ემბრიონი კვერცხშივე იგუდება და გარეთ ვერ გამოდის.

ადამიანი, რომელიც ფილოსოფიური სიბრძნისეული გონიერი მოძღვრების მეშვეობით, ან სხვა შესაძლებლობით გამოდევნის ფსიქოლოგიიდან და აზრ-მოქმედებიდან ყოველგვარ ბოროტულს, სატანურს, მისი სული მდგრადი ხდება. შესაძლებლობა ეძლევა ნაჭუჭის შიგნით განვითარებისა. შემდგომ კი მისი გამონგრევის და ნათელში გამოსვლისა. შემდგომი სულიერი განვითარების შემოხვევაში იგი თავად ხდება ნათელი ანუ უკვდავი სული.

–ესეიგი, უკვდავი სული ყველას არა აქვს? –იკითხა ნოდარმა.

–ყველასათვის ცნობილია, მრავალ წმინდანს, ბრძენს უთქვამს "მოიპოვე სული შენი". თუ ყველას უკვდავი სული აქვს, მაშ რაღაა მოსაპოვებელი?

–კვერცხზე და ნაჭუჭზე რომ თქვით, ამას აქვს რაიმე კავშირი შეღებილ აღდგომის კვერცხთან? –ჰკითხა გიამ.

–რა თქმა უნდა აქვს კავშირი. აღდგომის კვერცხები სწორედ ამ მინიშნებით იღებება და იმტვრევა, შემდეგ კი ეს ნაყოფი უნდა იგემოთ. ადამიანი სრულყოფილებამდე სწორედ იმ კვერცხში არსებული ემბრიონის მსგავსად, უნდა განვითარდეს ნაჭუჭში თავისით. და სრულყოფილების შემთხვევაში თავად შიგნიდან უნდა გატეხოს ნაჭუჭი და გამოვიდეს. გარედან მხოლოდ ემბრიონის განვითარებისთვის შესაფერისი გარემო პირობების შექმნაა საჭირო. გამოსვლის შემდეგ კი შემდგომი ზრდა განვითარება უნდა გაიაროს. ნაჭუჭიდან გამოსვლის შემდეგ ხდება აღდგომა ადამიანის, იმ სახით რაც მის არს-პროგრამაში დევს.

–წითლად რატომ ეღებავთ? –ჰკითხა ნოდარმა.

–წითელი სკნელის ფერია, ანუ იმ მატერიალური ცნობიერების სიმბოლური ფერი. რაც ქმნის ამ ნაჭუჭს.

მცირე ფიქრის შემდეგ კვლავ ჰკითხა გიამ;

–თქვენ გაქვთ ნათელი, თუ შარავანდეთი?

–ამის პასუხს შენთვის, რა მნიშვნელობა აქვს? თუ უარყოფით პასუხს მიიღებ, გაუგებრობაში ჩავარდები და ჰკითხავ შენს თავს თუ ეს ყველაფერი მართალია, რატომ თვითონ არ მიაღწია სრულყოფილებას? ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში ჩემი ნათქვამისადმი რწმენა გაგიძლიერდება. ორივე შემთხვევაში, შენ რწმენით ენდობი, ჩემს ნათქვამს. ასეთი რწმენითი მიდგომით, ნებისმიერი ცრუ გამონათქვამიც შეიძლება ირწმუნო, ანუ არასწორად გაგებულიც, ჭეშმარიტებად მიიჩნიო და არასწორ გზაზე დაგაყენებს. ხილს თუ იგემებ, ჯერ ხილი შეაფასე. მეხილე მერე განსაჯე. ჩემი თუ სხვისი ნათქვამი, საღი გონებით, ფხიზელი გონებით უნდა განსაჯო, აწონ-დაწონო და პასუხი თავად გამოკვეთო. მე, რელიგიურ მოძღვრებას არ ვქადაგებ, რომ რწმენით მიიღო, თუ ამ ცხოვრებაში ყველაფერს ფხიზელი გონებით არ მიუდგები, შესაძლოა სხვისი, პირადი თუ ჯგუფური ამბიციების შემსრულებელი და მათი ჭკუის სათამაშო გახდე.

–რომ ამობენ, ქრისტე ცეცხლითა და მახვილით მოვაო, ეს რას ნიშნავს? ქრისტე თავად, თავისი ნებით გამოიყენებს ცეცხლსა და მახვილს ხალხის დასახოცად, თუნდაც მხოლოდ ცოდვილების?

–არა, ქრისტე ფიზიკურ–მატერიალურად არ მოვა. იგი მოვა უმაღლესი გონის სახით, ახალი ცნობიერების მეშვეობით და სწორედ ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ არა პირდაპირი მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლი და მახვილი დღემდე სულ იყო და არის დღესაც. ეს ქრისტე არ არის. ცეცხლი, მსოფლიო ეზოთერიკულ მეცნიერულ ფილოსოფიაში კოსმიური გონის და სიბრძნის სიმბოლოა. მახვილი კი, ჰაერის სტიქიის სიმბოლო, რომელიც ამავე დროს ინტელექტს და მახვილგონიერებას ნიშნავს. ეს ცეცხლი ანუ უმაღლესი გონიერება და მახვილგონიერება ხალხის გადასარჩენად იქნება და არა პირიქით, დასაღუპავად. დასაღუპავი ცნობიერება, ანუ მხეცის

ცნობიერება დღეს არის გამეფებული მსოფლიოში, რა თქმა უნდა ადამიანთა გონებასა და ფსიქოლოგიაში. სწორედ ამ მხეცთან, ყველა ჩვენგანის გონებაში ბრძოლისთვის სჭირდება მას ეს ცეცხლი და მახვილი, რომ გამოგვაფხიზლოს, გონზე მოვიდეთ და არ მოვსპოთ კაცობრიობა. იგი თავისი გონიერებით ჩვენს გონებაში დაგვიკაკუნებს. თუ ვიფხიზლებთ, ვიცნობთ, და გონების კარს გაეულებთ. ჩვენს გონებაში შემოვა, თუ არა და, დაღუპვა გარდუვალია. ფხიზელ-გონიერი კაცი, რა თქმა უნდა ვერ დაიჯერებს, რომ ქრისტე მილიარდობით ადამიანს, სახლის კარზე დაუკაკუნებს, გამოიხედე, აბა თუ მიცნობო. იგი თავისი ფხიზელ-გონიერების შემწეობით მიხვდება, იცნობს ქრისტეს ცნობიერებას და გაულებს გონების კარს.

–კი, მაგრამ ხომ შეიძლება ვერ ვიცნოთ? მრავალი სექტა შეიქმნა და ყველა სათნოებაზე და სიყვარულზე ლაპარაკობს. აკი თვითონვე ამბობს, მრავალნი მოვლენენ ჩემი სახელითო. –თქვა გიამ.

–ფხიზელ-გონიერი ადამიანი შეუძლებელია ვერ არჩევდეს, ვერ ცნობდეს გადარჩენის, უროთიერთ ადამიანური სიყვარულის, საინოების, და სხვა კეთილი გრძნობებით აღსავსე მაღალ ცნობიერებას, დამღუპველისგან. ნათელი ბუნებრივად შემოვა ეროეული მეცნიერების მიერ და არა ორგანიზებული სექტების მიერ.

–მართლა გაცოცხლდებიან მკვდრები? –ჰკითხა გიამ.

–ახალი ცნობიერებით ამაღლებული ადამიანის გონის მფლობელი თაეად გახდება უკვდავი და მისი შესაძლებლობებით, დღემდე ვინც მოიპოვა უკვდაეი სული, მათთან კონტაქტს დაამყარებს. ამით, მის გონებაში გაცოცხლდება. მკვდრის ფიზიკური სხეულით, მითუმეტეს გახრწნილით გაცოცხლება მხოლოდ მეტისმეტად უმეცრებმა შეიძლება დაიჯერონ.

ორიოდე წუთით სიჩუმემ დაისადგურა. ბიჭები ფიქრებმა გაიტაცეს. ნოდარს სიყვარულის ხსენებაზე მანანა გაახსენდა. –ჩემი მანანა. ნეტავი ეხლა სად არის, რა მდგომარეობაში? იქნებ ჩემზე ფიქრობს? ან იქნებ, ისევ თავის მეგობრებთან არის წასული?.. მე ხომ მართლა ვუყვარვარ და რატომ არ აღიარებს? რომ არ ეუყვარდე, ისე ხომ არ მოიქცეოდა ჩემთან, როგორც ბოლო შეხვედრაზე?

–რაზე ფიქრობ ასე გატაცებით? –დაარღვია სიჩუმე ბერიკაცმა, და ნოდარს შეხედა.

–მეე? არაფერზე. –უპასუხა ნოდარმა და გეღიმა.

–ეგ, რაზეც შენ ფიქრობ, მალე მოკვდება და დრო რომ გავა, მერე მიხვდები, რომ არც არსებულა.

–ვინ მოკვდება? რა იცი მე რას ვფიქრობ? –ჰკითხა ნოდარმა, მაგრამ ბერიკაცმა აღარაფერი უპასუხა. შემდეგ კი გიამ ჰკითხა:

–ცეცხლის და მახვილის სხვა მნიშვნელობაც არსებობს, თუ მარტო ესაა? –ჰკითხა გიამ.

–არსებობს სხვა მნიშვნელობაც და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. კაცობრიობის ისტორიული არსებობა, ასტროლოგიურ-ასტრონომიულად ეპოქებად არის დაყოფილი.

—რას ნიშნავს ასტროლოგიურ—ასტრონომიული? —დაინტერესდა გია.

ასტრონომიული ეპოქა ნიშნავს, რომ დედამიწის და მთლიანად მზის სისტემის წრიული მოძრაობა გალაქტიკის სივრცეში, დაყოფილია მონაკვეთებად. რა თქმა უნდა, მათი მოძრაობა და ეს მონაკვეთები განისაზღვრება დანარჩენი ასტრონომიული სხეულების მიმართ და ამის მიხედვითაა აღრიცხული კაცობრიობის არსებობის ასტრონომიული ეპოქები. ასტროლოგიური კი ნიშნავს, ამ მანძილების გავლისას რა ასტროლოგიურ გაელენაში ექცევა დედამიწა. ასტროლოგიური გაელენა კი განისაზღვრება, დროის ამა თუ იმ მონაკვეთში რა მდგომარეობა აქვს დედამიწას, დანარჩენ ასტრონომიულ სხეულთა განლაგების მიმართ. მაოგან რა სახის ელექტრომაგნიტური და კვანტური გამოსხივების, ერთობლივი შედეგობრიობა იქმნება, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს დედამიწის ყოფიერების მდგომარეობას. დედამიწა მთლიანად მზის სისტემასთან ერთად, დაახლოებით 26000 წელიწადს ანდომებს ერთი წრის შემოვლას და ეს დრო 12 ეპოქად არის დაყოფილი.

—კი მაგრამ, მაშინ იმ დროში რა იცოდნენ მზის სისტემის ბრუნვაზე, როცა მაშინ ისიც არ იცოდნენ, რომ დედამიწა და პლანეტები მზის ირგვლივ ბრუნავენ? კოპერნიკმა ხომ მე—16 საუკუნეში აღმოაჩინა, ჰელიოცენტრული მოძრაობა? იქამდე კი ეგონათ, რომ დედამიწა იყო ცენტრი და დანარჩენი პლანეტები, მზე და ვარსკვლავები მის ირგვლივ ბრუნავდნენ?

—ეგ, გეოცენტრული სისტემა ნაკლებგონიერთათვის იყო შექმნილი. იმათთვის, ვისი გონებაც სამყაროს სივრცეში სხეულთა სისტემებს, მათი ბრუნვის სიბრტყეებს შორის ურთიერთ მდგომარეობა-მდებარეობებს ვერ ჩასწვდებოდა. განათლებულებმა კი, მარტო მზის ირგვლივ მოძრაობა კი არა, ისიც იცოდნენ მზის სისტემა, როგორ მოძრაობას ასრულებდა გალაქტიკაში, რა თანავარსკვლავედის მიმართ რა მდებარეობას იკავებდა დროში და მისი ბრუნვის სიბრტყე, სხვათა ბრუნვის სიბრტყეების მიმართ რა მდგომარეობებს იკავებდა. სწორედ ასეთი მოძრაობის მიხედვითაა დაყოფილი ეპოქები. ჩრდილოეთის პოლუსის ვარსკვლავი ხომ იცით?

—კი, ვიცით. —უპასუხა ორიეემ.

—რატომ არ გადაადგილდება დღედაღამის განმავლობაში?

—იმიტომ, რომ დედამიწის ბრუნვის ღერძის გასწვრივეაა და მისი დღეღამური ბრუნვის შედეგად, მოჩვენებითი ვარსკვლავების გადაადგილება არ ეხება.

—მართალია. თუ ეს იცით, იმასაც გაიგებთ, რომ თუ ავიღებთ სწორ ჯოხს და მას ისე დავამაგრებთ რაიმეზე დედამიწის ბრუნვის ღერძის პარალელურად, რომ მისი ერთი ბოლო მიმართული იყოს ჩრდილოეთის ვარსკვლავისაკენ. თუ მას მეორე ბოლოდან ჯოხის გასწვრივ გავხედავთ, მაშინ ეს ჯოხი 26000 წლის განმავლობაში ცაზე შემოხატავს წრეს. ესეიგი დედამიწის ღერძის გასწვრივ ცაზე არსებული პირობითი უძრავი წერტილი გადაადგილდება და მივიღებთ წრეს. ეს სწორედ ის წრეა,

რომელზეც 26000 წლის განმაელობაში მზის სისტემა მოძრაობს გალაქტიკაში. ე.ი. მზის სისტემის მოძრაობის პროექცია. თუმცა, ეს პროექცია არ არის ზუსტი, რადგან დედამიწის ბრუნვის ღერძი დახრილია, მზის სისტემის ბრუნვის სიბრტყის მიმართ, მაგრამ გასაგებად უფრო მარტივია. უფრო მეტი სიზუსტისათვის გვჭირდება მზის სისტემის მოძრაობის პროექცია მის ბრუნვის სიბრტყის პარალელურ სიბრტყეზე. ეს კი ასე შეგვიძლია გავაკეთოთ. პროექცია მოვახდინოთ არა მზის სისტემისა სხვა, პარალელურ სიბრტყეში, არამედ თვით ამ სისტემის ბრუნვის სიბრტყეზე მოვახდინოთ ვარსკვლავთა მართობული პროექცია. მაშინ მივიღებთ, რომ მზის სისტემა და მისი ბრუნვის ცენტრი აღმოჩნდება ჰერკულესის თანავარსკვლავედში

—ეს პროექცია როგორ უნდა მოვახდინოთ? —თქვა ნოდარმა.

—ეს არაა ძნელი. ვარსკვლავთ რუკა სწორედ ეს პროექციაა, მცირე მაშტაბით. თუ სივრცული ხედვის უნარი გაქვთ გონებრივად, ვარსკვლავთ რუკა მოიხმარეთ, დედამიწის ბრუნვის ღერძის დახრილობა გაითვალისწინეთ და შეძლებთ.

მზის სისტემაში, ალბათ, კარგად იცით რას ნიშნავს ჩვეულებრივი წლიური გეოცენტრული ასტროლოგიით, ზოდიაქოს რომელიმე ნიშანი. ნიშნებში მზის გადასვლა, ანუ მზე უშუალოდ რომელ ნიშანშიცაა, იმის მიხედვით განისაზღვრება.

ასევეა იქაც. ამ პროექციაზე, სადაც ზოდიაქოს ნიშნების მონაკვეთები განლაგდება, მზის ადგილზე წარმოვიდგენთ პროექციის ცენტრს და არა დედამიწას, როგორც ეს არის გეოცენტრულში. ანალოგიურად განისაზღვრება ზოდიაქური ბრუნვაც, მხოლოდ აქ დაკვირვება ხდება უკვე მზის მიმართ პროექციის ცენტრიდან მზეზე გამავალი ხაზით. ამის მიხედვით აისახება ეპოქები და ერთი ეპოქა, 2160 წელს გრძელდება. სულ კი 12 ეპოქაა ერთ ციკლში. გაიგეთ რამე?

—თითქოს რაღაც გავიგე, მაგრამ, მე მგონი ვერაფერიც ვერ გაიგე —თქვა გიამ.

—ბერიკაცმა მიწაზე დაუხაზა და ისე აუხსნათ ხელმეორედ. შემდეგ კი თქვა: ეს ეზოთერიკული ასტროლოგიის შესავალია და საერთოდ არც ისე ადვილია. ამის შესახებ თვით ასტროლოგების დიდმა ნაწილმა არ იცის. ამიტომაც სჯერათ, რომ მერწყულის ეპოქაში გადავედით, ზოგიც ლომის ეპოქას გვაჯერებს. სინამდვილეში ეს საგანგებოდაა დამახინჯებული და შეცვლილი, რომ ჭეშმარიტი მდგომარეობა საიდუმლოდ დარჩენილიყო.

ეხლა, რაც შეეხება ცეცხლსა და მახვილს, მზის სისტემის ბრუნვის სიბრტყე არ არის გალაქტიკის სიბრტყის თანხვდენილი და პარალელური. მათ შორის საკმაოდ დიდი კუთხეა. ამის გამო მზის სისტემა თავის ბრუნვით მოძრაობის დროს მთლიან ციკლში, ხან უახლოვდება გალაქტიკის სიბრტყის შედარებით ძლიერ ველს, ხან კი შორდება. ამის და მიხედვით იცვლება დედამიწაზე გავლენა ხალხის გონებრივ-ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ესეიგი მის სულიერ პოტენციალზეც. ამჟამად სწორედ, იწყება ახალი ეპოქა, რომლითაც შევდივართ ამ გაძლიერებულ ენერგეტიკულ ველში. ამ ეპოქას სულ

სხეა მოთხოვნები აქვს და როგორც კრავი და მგელი ერთად ვერ იცხოვრებენ, ასევე მხეცის ფსიქიკის ადამიანი ამ ეპოქაში ვერ იცხოვრებს. იგი უბრალოდ საკუთარი ფსიქოენერგეტიკული სისტემის დისჰარმონიის გამო განადგურდება, ამიტომ თუ გადარჩენა უნდა "კრავის" ფსიქოლოგიაზე უნდა გადავიდეს. ანუ უნდა იყოს უბოროტო, სათნო და მოსიყვარულე. აიმაღლოს ცნობიერება.

—როგორ განადგურდება, უეცრად მოკვდება? ჰკითხა გიამ.

—დისჰარმონია უამრავ მიზეზს შეუქმნის სიკვდილს —თქვა ბერიკაცმა და გააგრძელა:

ეს ეპოქა ამ სიბრტყეში იწყება, ანუ მზის სისტემა ამ სიბრტყეში შედის. ათვლის ორი სახე არსებობს. ორივეს თუ ავიღებთ, ცეცხლითა და მახვილით. ე.ი. ცეცხლის სტიქიით და ჰაერის სტიქიით შედის ამ ეპოქაში. სამყაროს მიერ, იქნება გაძლიერებული მოთხოვნა გონისა და აზროვნების ამაღლებისა და შესაბამისად ამის შესაძლებლობაც მიეწოდება.

—კონკრეტულად რომელი ზოდიაქოებია?

—ამას უკვე თქვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ასე მალე ვერ ჩაწვდებით ბოლომდე ასტრონომიულ—ასტროლოგიურ და სულიერ მდგომარეობებს. მართალია, ლომი და მერწყულიც ცეცხლი და ჰაერია, მაგრამ ესენი ნამდვილად არ არის. მთავარი ის არის, რომ თუ მოთხოვნები არ შესრულდება, შესაძლებელია კაცობრიობას ძალიან ძვირად დაუჯდეს. ამისათვის განგება მოგვაწვდის რამოდენიმე მინიშნებით კატასტროფებს, ადამიანის აზროვნებითვე ჩადენილს, ჩვენს გამოსაფხიზლებლად. თუ მიხვდებიან და თავიანთი მოქმედების მიმართულებას შეცვლიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ძალიან კარგი იქნება, თუ არა და ამას ძალიან მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

—რატომ არის ასე გასაიდუმლოებული? იმ ძლიერთ თუ არ ეცოდინებათ ამის შესახებ არაფერი, ისე ხომ არ შეცვლიან მოქმედების მიმართულებას?

—საკუთარი ნამოქმედარის მომავალი შედეგი რომ განსაზღვრო, ამას არ სჭირდება კოსმოსის საიდუმლოს ცოდნა. ამას მხოლოდ ბოროტებისაგან, მატერიალური ამბიციებისაგან, ამპარტავნობისაგან, სულელური სიამაყისაგან და განდიდების სურვილისაგან თავისუფალი აზროვნება სჭირდება. კარგი იქნებოდა მართლაც ყველას რომ სცოდნოდა, მაგრამ ეს შეუძლებელია. საიდუმლო იმიტომ არის, რომ როგორც თქვენ ამ ელემენტარულსაც კი ვერ ჩაწვდით კარგად, ასევე ხალხის უმრავლესობა ვერ ჩაწვდება კოსმოსური სამყაროს სირთულეებს და არც სურვილი აქვს ამისი. შემთხვევითობით მიღებული ცოდნის ნაწილები ადამიანს უფრო დააბნევს. გეგმაზომიერად, თავისი შესაძლებლობის გათვალისწინებით თუ ვინმე მოისურვებს, ამის შესაძლებლობა ყველას აქვს.. ძალით თავს მოხვევის შემთხვევაში კი, არსის ჩაუწვდომლად, არასწორი შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა რაც კარგი ჰქონდა, იმასაც ზიანი მიადგეს, სანაცვლოდ კი არაფერი მიიღოს.

—აბა ჩვენ რომ გვითხარით? —გაიკვირვა გიამ და ნოდარს გადახედა.

—თქვენთვის ისეთი არაფერი მითქვამს ჯერ, რაც დროის ამ მომენტისათვის არ შეიძლებოდეს, და ვერ ძლევდეთ. ყველა მსურველს უნდა მიაწოდო იმდენი, რამდენსაც დაძრავს. შეიძლება იმ წუთში ვერ დაძრას მთლიანად, მაგრამ სერიოზული აზროვნების უნარი ჰქონდეს და შემდგომში ჩასწვდეს მისი მნიშვნელობის სიღრმეებს.

—ესეიგი არიან ადამიანები, რომლებმაც შეიძლება იცოდნენ, მაგრამ მათ ამის შესახებ არაფერი იციან. რატომ? არ უნდათ, არ იციან ამ ცოდნის არსებობა თუ, არ შეუძლიათ? —ჰკითხა გიამ.

—ეს სამივე ერთიმეორეზეა გადაჯაჭვული. რომ არ იციან, ამიტომ არ უნდათ, რომ არ უნდათ, ამიტომ არ იციან, არ შეუძლიათ, რადგან არ იციან და მათი გონებისათვის უცხოა.

გია ცოტახანს დაფიქრდა და შემდეგ თქვა:

—რატომ არის ხალხი ეგოისტი? ერთიმეორის შურთ. ისეთი სიძულვილი აქვთ ერთიმეორის, მზად არიან გაანადგურონ.

—მესამე პირში რომ ამბობ ეგ რას ნიშნავს, შენი თავი გამოყავი ხალხისგან და ანგელოზებში მოახვედრე?

—მე ხომ ისეთი ეგოისტი და ბოროტი არა ვარ, როგორც ზოგიერთები? აი ნოდარს ჰკითხეთ და დამემოწმება.

ბერიკაცმა გაიღიმა და თქვა:

—„მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო“. ნოდარს კი არ უნდა ვკითხო, შენ თვითონ უნდა გაიაზრო, რომ იმ ხალხის წევრი ხარ, რომელსაც ლანძღავ და ე.ი. შენც გასალანძღი ხარ. ბოროტებაც და სიკეთეც, სიძულვილიც და სიყვარულიც ყველაშია, რა თქმა უნდა მეტნაკლებად. ის ვინც, სხვების ბოროტებას, ხედავს და საკუთარს თუნდაც მცირე იყოს, შემჩნევას ვერ ახერხებს, მას არც უნარი და შესაძლებლობა აქვს ებრძოლოს და შეამციროს თავის თავში. ასეთ კაცში ბოროტება თანდათან მოიმატებს და არ შემცირდება. ხოლო ვინც მოახერხებს საკუთარ თავში, თუნდაც მხოლოდ შემჩნევას ამ ბოროტებისას, მას უჩნდება შესაძლებლობა გაკეთილშობილების და ამაღლების. მხოლოდ ამაღლების შემდეგ შეუძლია მას ებრძოლოს სხვებში ბოროტებას და ისიც საკუთარი მაგალითით.

რამოდენიმე წუთით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. გია ცდილობდა კარგად გაეაზრებინა მოსმენილი. ნოდარი კი კვლავ მანანაზე ფიქრში გადავიდა. ცდილობდა გაერკვია, რაზე თქვა ბერიკაცმა მოკვდებაო, მანანაზე თქვა, თუ სულ სხვა რამ იგულისხმა. შემდეგ ისევ გიამ წამოიწყო საუბარი.

—თქვენ თქვით, რომ ვეფხისტყაოსანში იგრძნობა სამყაროს საიდუმლოს ცოდნა. ეს მარტო პირველ სტროფშია, თუ სხვა ადგილებშიც შეინიშნება?

—ვეფხისტყაოსანში, მხოლოდ საოცრად ლამაზი სიყვარული და გულწრფელი, უანგარო მეგობრობა არ არის დახატული, მასში ნამდვილად დევს ბევრი ისეთი ელემენტი რომელიც სამყაროს საიდუმლოს ღრმა ცოდნას გამოხატავს.

—შეგიძლიათ თქვათ, კიდე რომელია ასეთი ადგილი მასში?

—შენ რა, უკვე მზად ხარ ასეთი ადგილების შეცნობის და მისი მნიშვნელობების გააზრებისათვის?

—შეეეცდები. ყოველშემთხვევაში ეს ხომ დანაშაული არ იქნება? —თქვა გიამ.

—კარგი მაშინ გეტყვი კიდე ერთს.

ტარიელი იყო ინდოელი, ფრიდონი სპარსი, ხოლო ავთანდილი არაბი. რატომ გამოხატა შოთა რუსთაველმა თავისი პოემის გმირები ამ ქვეყნებიდან? ხომ შეიძლებოდა სხვა ქვეყნების ან უბრალოდ ერთი ერის შვილები გამოეყვანა? მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, რადგან მასში რაღაც შინაარსი ანუ ფარული არსი დევს, სწორედ ამ ქვეყნებიდან უნდა ყოფილიყვნენ გმირები,. იმიტომ, რომ ამჟამად მსოფლიოში უძველესი კოსმიური საიდუმლო ცოდნის ფილოსოფიური ნაწილები სწორედ ამ ქვეყნებშია და არსად სხვაგან. ხოლო ამ სამის შეკრებით და შესწავლით იხსნება მეოთხე და უმთავრესი ნაწილი, რომელიც უძველეს დროში ჩვენი წინაპრების მიერ არის ჩვენთან შემონარჩუნებული და დაფარული. ნესტანის სახით კი გამოხატულია პერსეფონეს მსგავსი, უმწეო მდგომარეობაში ჩაკარდნილი, ადამიანის მაღალ-გონიერი სულის საწყისი ჩანასახი, რომელიც ქაჯების, ანუ ადამიანში გაბატონებულ მატერიალური ამბიციების იმპულსურ სისტემის ტყვეობაშია. განთავისუფლდება, და განვითარება კი უნდა მოხდეს ადამიანის სამი მმართველი ძალის —სამი ფსიქოცენტრის გაერთიანების მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია სწორედ იმ კოსმიური ფილოსოფიის ნაწილებით, რომლებიც ხსენებულ ქვეყნებშია. ქაჯეთის ციხე, რომელშიც სიმბოლურად ჩაამწყვდია შოთა რუსთაველმა ნესტანი. ერთერთი უძველესი ქართულ-იბერიული ცნობიერების კერაა, რომელიც ეხლა თურქეთს უკავია და საქართველოსგან მოწყვეტილია. იქვე ახლოსაა, ამირანის მამობილი, ანუ აღმ'ხრდელი სულკალმახის ციხეც, და კიდე სხვა მნიშვნელოვანი ციხე-ტაძრები. ნესტანი, ამჟამადაც ქაჯებს ჰყავთ დატყვევებული და ქაჯებში უკვე ვთქვი, რაც იგ'ულისხმება ბერძნულ ფილოსოფიაში კი ის წარმოდგენილია ჰადესი და მისი ხალხის სახით,, ანუ მატერიალური უარყოფითი ამბიციების შედეგობრივი, ადამიანის ფსიქო—სულიერი მდგომარეობა, რომელიც აბრმავებს ადამიანს.

ამჯერად შენთვის საკმარისია, თუ მეტის გაგება გინდა მეტი განათლება უნდა შეიძინო მეტი ეძიო და თვითონ მიაგნებ უფრო მეტს.

—ეს სამი ფსიქოცენტრი რომლებია? —ერთია ქვეცნობიერი, რომელიც მიერთებულია ხერხემლის ტვინთან,მეორე ლიმბურ ტვინთან და მესამე და უმთავრესი ნათხემ ტვინთანაა შეკავშირებული.

— წმინდა მიწა მართლა არსებობს ისრაელში? —იკითხა ისევ გიამ.

—მიწა მიწაა და წმინდა მხოლოდ რწმენითა და ფსიქოლოგიური აღქმით, პატივისცემის გამოხატულებაა. არა მგონია, ჯეშმარიტმა ქრისტეანმა წმინდა მიწად ჩათვალოს მიწა, რომელზეც ხალხმა იესო ქრისტე აწამა და ჯვარს აცვა. ქრისტე თავად იყო წმინდა. ის წმინდა და სანეტარო ადგილებს კი არ ეძებდა, ხალხის გასაწმენდად, არამედ მათი ცოდვების თავისთავზე აღებისათვის მოვიდა. ე.ი, იქ სიწმინდე, რომ ყოფილიყო არ მივიდოდა. როცა რაიმე საქმის გასაკეთებლად მიდიხარ, სად მიდიხარ, სადაც ყველაფერი გაკეთებულია თუ, სადაც არ არის გაკეთებული?

კელავ მცირე ხანს სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ გიამ ნოდარს ჰკითხა

–არ წავიდეთ? ხომ არ გვიანდება?

–რატომ ჩქარობ. ახალ შეუღლებულ ცოლთან ალერსი მოგენატრა? შენ კარგი მეუღლე გყავს, თუ დაიგვიანებ არ განაწყენდება, ამის გამო ალერსს არ მოგაკლებს. –თქვა ბერიკაცმა.

–თქვენ საიდან იცით, რომ მე ახალი შეუღლებული მეუღლე მყავს? –თქვა გიამ და ნოდარს გადახედა. ნოდარმა კი მხრები აიჩეჩა.

–არა, ეგ არაფერ შუაშია. რამოდენიმე თვეა აქ არ ყოფილა. მე შენს სახეზე და ქცევაზე წავიკითხე. ისეთი ნათელი სახე გაქვს და ენერგიულდაც გამოიყურები, აშკარაა, რომ თავს ბედნიერად გრძნობ. დღეს ასე ბედნიერად ისიც არ გრძნობს თავს, ვისაც უზრუნველი ცხოვრება აქვს. ისინი სრულად სხვანაირად გამოხატავენ, ასე მხოლოდ ახალი შეუღლებული და შეყვარებულები ავლენენ თავს.

–კარგი, მაგრამ ის საიდანღა იცით, მე კარგი მეუღლე მყავს თუ არა?

–შენნაირ ადამიანს, კარგი მეუღლე თუ არ ჰყავს ბედნიერი სახე არა აქვს. იმიტომ, რომ შენ მეუღლეს მართლა მეუღლედ თვლი და არა მოსამსახურედ, ან სათამაშო თოჯინად. შენი კმაყოფილი სახე კი მის სიკარგეზე მეტყველებს.

გიას ესიამოვნა მისი პასუხი. ნასიამოვნებს ჩაელიმა, ცოტა გათამამდა და უნებლიედ ახალი შეკითხვა მისცა, რომელზეც შეკითხვის დამთავრებამდე ინანა, რადგან ჩათვალა რომ უხერხული, არადროული და არაფრად საჭირო შეკითხვა იყო.

–წინათ, ქალი რომ გათხოვდებოდა, უბიწო თუ არ იყო, დიდი სირცხვილი იყო, ტრაგედია იქმნებოდა ორივე მხარისათვის და უკან აბრუნებდნენ. დღეს ეს ტრადიცია ისევ ცოცხლობს, მაგრამ ძალიან შესუსტდა, ზოგს მოძველებულად ეჩვენება. თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?

–დღეს ბაზრებში უამრავი, ნახმარი საქონელი და სამუშაო იარაღები იყიდება. რომელს უფრო მეტი ფასი აქვს, ახალს თუ ნახმარს და დაჩლუნგებულს?

–რა თქმა უნდა ახალს. –თქვა გიამ.

–ასეა ეგეც. მხოლოდ მე ფიზიკურად არ ვგულისხმობ. ქალი რომელიც თაყისი სურვილით მრუშობს გათხოვებამდე თუ გათხოვილი, მისი სული და სიყვარულის უნარიანობა ცვდება და ჩლუნგდება. ასეთი ქალი მოცემულ მომენტისათვის რამდენად ვარგა კიდე ოჯახისათვის ეს ინდივიდუალურია. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ძალადობის მსხვერპლთ. მათ შეიძლება სიყვარულის უნარიანობა პირიქით, მოემატოთ, თუ თავის მეუღლეს ერთადერთ გადამრჩენად და მფარველად წარმოიდგენენ. ამიტომ ქალიშვილობის ტრადიცია მეტად საჭიროა მტკიცე მოსიყვარულე ოჯახის შექმნისათვის.

–ესეიგი თქვენ წინააღმდეგი ხართ თავისუფალი სექსის?

–არა, რატომ?... პირიქით, სექსი თავისუფალი უნდა იყოს, ყოველგვარი ცხოველური გარყვნილების და სიბინძურისაგან, სატანური

სიამოვნებისაგან და მოდისგან. თავისუფალი უნდა იყოს სოდომ-გომორის სინდრომისაგან –გულქვა, გულცივი უსიყვარულო, ანგარებიანი ფარისეელური სიყვარულით ურთიერთობისაგან. სექსი სუფთა და დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი გარყვნილი, აღვირახსნილი, უგუნური აზროვნების მონობისაგან. ის წმინდა უმანკო სიყვარულის ნაწილია, მას ეკუთვნის და მასთან ერთად უნდა გაიხაროს, გამობრწყინდეს, როგორც ადამიანში ღვთაებრივი სამების ერთ-ერთი მთავარი შემაკავშირებელი ძალა.

–გიას, ასეთი პასუხი მოეწონა და უხერხულობიდან მალე გამოვიდა.

–სოდომ–გომორი რას ნიშნავს, მართლა გაქვავდნენ?

–დღევანდელ ცხოვრებას გადახედე და ადვილად გაერკვევი. დააკვირდი, როგორ გულცივად ლაპარაკობენ გამოცვლილ ქმრებზე თუ ცოლებზე, და ღალატზე განა ისინი გაქვავებულნი არ არიან? დღევანდელი ქალები მილიონობით საკუთარ შვილებს ხოცავენ, რომლებიც მათი ამორალური საქციელის შედეგია. განა ისინი გაქვავებულნი არ არიან? განა ჭეშმარიტი სიყვარულის და მისი სითბოს შეგრძნება კიდე შეუძლიათ? სვლა გაქვავებულობისაკენ დიდი სისწრაფით ხდება და გაქვავებულთა რაოდენობაც დიდი სისწრაფით იზრდება. თუ ასე გაგრძელდა სულ მალე მთელი მსოფლიო იქცევა შოდომ–გომოთრად.

–ამდენი ნათელმხილველები რომ გამრავლდნენ, მართლა არსებობს ნათელ ხილვა? –ჰკითხა ნოდარმა.

–ამდენი ვილაპარაკეთ ნათელზე და ასეთ შეკითხვას მაძლევ? ნათელხილვა რათქმაუნდა არსებობს, მაგრამ მისი ხილვა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ნათელი აქვს. შენ რომ გქონდეს, მაგალითად ნათელი, ნახავდი მეც მაქვს თუ არა და საეროოდ, ბევრს ახალს იხილავდი. თუ თქვენ ეგრეთწოდებული 'წინასწარმეტყველები" გაინტერესებთ, მოსალოდნელის წინასწარ განჭვრეტა მრავალი სახით შეიძლება. შეიძლება ქვეცნობიერიდან გარკვეული სახით მიეწოდოს ინფორმაცია თავის ტვინს. განსაკუთრებით სიზმრის დროს არის მოსალოდნელი. უსიზმროდ წინათგრძნობას ინტუიციას უწოდებენ ზოგჯერ, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოწოდებული ინფორმაციის გარკვევა მთლიანად ძნელია. არსებობს ასევე გონებრივი წინასწარ განჭვრეტა და მეტყველება. სიმინდს რომ დათესავ ან სხვა რამეს, განა წინასწარ არ ჭვრეტ, რომ ის გაიზრდება და მოსავალს მოგცემს? ეს ადვილია და ყველას შეუძლია ასეთი განჭვრეტა, იმიტომ, რომ მცირე გონება სჭირდება და ყველას მიუწვდება მასზე გონება. უფრო რთულზე კი, რა თქმა უნდა ყველას არ მიუწვდებ. ნებისმიერ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. „დღევანდელი" მოვლენის მიზეზი „გუშინდელი" მოვლენა, ქმედება იყო დღევანდელი მოვლენა, კი ხდება „ხვალინდელის" მიზეზი. ასევა ერთიმეორეზე აკინძული მიზეზ შედეგობრივობა და გონიერ კაცს, ბევრი მოვლენა შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს. თუ ამ განჭვრეტის შედეგად მიღებულ აზრს მეტყველებით გამოხატავს, ეს იქნება წინასწარ მეტყველება.

—ესეიგი ნათელსილვეით წინასწარმეტყველება არ არსებობს?

—როგორ არა. არსებობს, მაგრამ ამისათვის ჯერ პირველ რიგში ნათელის ხილვის უნარი უნდა ჰქონდეს, ხოლო შემდგომ კოსმიური ენა უნდა იცოდეს, რომ მიღებული ინფორმაციის აზრი გაარკვიოს. ასეთი კი მსოფლიოში, სულ რამოდენიმე ათეული ადამიანია და მათი უმრავლესობა განსაკუთრებულ ტაძრებში ცხოვრობს.

ქოხში ისევ სიჩუმე დამყარდა რამოდენიმე წამით. შემდეგ ბერიკაცმა მიმართა ნოდარს: —მე მგონა ამ კაცს უფრო დიდი გუდა აღმოაჩნდა ვიდრე შენ.

—ხო, მართალია. თანაც აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. მე არ მითქვამს მისთვის რა საკითხებზე შეიძლებოდა შენთან საუბარი. ამ ბიჭს გიორგი ჰქვია და იმედია შემდგომშიც მოისურვებს აქ მოსელას.

გია უხერხულად შეიშმუშნა და თქვა: —მე მგონი უკვე უნდა წავიდეთ, თორემ ნამდვილად დაგვიანდება. მოსმენის უნარიც აღარ მაქვს ისე დაეიღალე.

—ჰო. წავიდეთ. მართლაც დროა უკვე, — დაეთანხმა ნოდარიც.

ბიჭები წამოდგნენ, ბერიკაცს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ. კარგა ხანს ისე იარეს არცერთს ხმა არ ამოუღია. შემდეგ გიამ თქვა:

—თითქოს ისეთ განსაკუთრებულს და რთულს არ ლაპარაკობს, თითქოს ეს უკვე ვიცით, მაგრამ მაინც უცხოა, დიდ გონებრივ დატვირთვას, გააზრებას, მოითხოვს და დავიღალე. თავი ისე გამიბრუვდა და დამიმძიმდა, თითქოს ხუთჯერ გაზრდილიყოს.

—რა თქმა უნდა, ადვილი გასააზრებელი არ არის, თუ ღრმად ჩაწვდომას მოინდომებ. თემა კი ნაცნობია, მაგრამ ძნელი იმიტომ არის, რომ უფრო სიღრმისეულად და სხვა თვალით გვახედებს საკითხში.

—მართალია. აქამდე დანახულ, ბევრ რამეს, სულ სხვა თვალით გვანახებს.

ბიჭები საქონლის ბინასთან მიახლოვებამდე აღარ გაჩუმებულან. მთელი გზა ლაპარაკით განელეს. ბინასთან მიახლოვებისას კი პატარა ძაღლი, რომელიც დილას არც შეუმჩნევიათ, ყეფით შეხვდათ. მის ყეფაზე მწყემსიც გამოვიდა.

—დილას დამავიწყდა მეთქვა, რომ ადრე მოსულიყავით. კარგია, რომ არ დაიგვიანეთ. საქონელი რომ მოვა ძაღლებიც მოჰყვება და მერე გაგიჭირდებოდათ აქ მოახლოება. ეს კი პატარაა და არ იკბინება.

—მართლა? კიდევ კარგი მოვასწარით, თორემ რომ არ ვიცოდით არც მოვერიდებოდით. შემდგომში, თუ კიდე მოვალთ, გავფრთხილდებით.

—ბიჭებო საწყენად არ მიიღოთ და ამდენ ხანს რას აკეთებდით? მეგონა ალბათ ზღმარტლზე არიან მოსულები ან მაჟალოს მოკრეფენ ღორებისთვის—მეთქი, მაგრამ არაფერი მოგიკრეფიათ და... თქვა მწყემსმა.

—აქ ერთი კაცი ცხოვრობს, ტყეში და მისი ნახვა, მასთან საუბარი გვინდოდა. —უპასუხა ნოდარმა.

—კაცი? აქ არავინ ცხოვრობს. ვინ კაცი ნახეთ?

—აქედან შორსაა. 7-8 კილომეტრი იქნება ალბათ და შეიძლება ამიტომ არ გაგიგიათ. თქვა ისევ ნოდარმა.

—ჰოო... შეიძლება.

ბიჭები მანქანაში ჩასხდნენ და იქიდან გამოსძახეს მწყემსს:

—აბა კარგად იყავი. მაღლობ, რომ მანქანა გაგვაჩერებინე.

—კარგად იყავით ბიჭებო. როცა გინდოდეთ ამოდით, მანქანა მე რას მიშლის?

ნოდარმა ავტომანქანა დაძრა და გიას უთხრა: —ისე, მართლაც რომ მოგვეკრიფა ხღმარტლი, კარგი იქნებოდა. ქეთინოს და ლელას გავახარებდით.

—მე არც შემინიშნავს, იყო კი სადმე?

—არც მე შემინიშნავს. რადგან არ გვაინტერესებდა, ალბათ ამიტომაც არ დაგვინახავს, თორემ ამ ტყეში როგორ არ იქნებოდა? —არაუშავს, ქეემოთ ვიცი, ერთ ადგილას არის, იქ მოეკრიფოთ. სოკოზე რომ დავდიოდით, მაშინ ვნახე.

სახლთან მიახლოებისას, ნოდარმა მანქანა ჯიხურის წინ გააჩერა. ქეთინო და ლელა მაშინვე გამოვიდნენ და მხიარულად, სამდურავი გამოთქვეს.

—საღხარო მოელი დღე დაკარგულები?

—ტყეში გავისეირნეთ, დავათვალიერეთ, დავისვენეთ და ტყის ნობათიც წამოვიღეთ. —თქვა გიამ და მანქანიდან გადმოსულმა ჩანთა გაუწოდა. —ნობათი? რა ნობათი? —იკითხა ლელამ და ჩანთა გადაწია. —უი, ხღმარტლი... როგორ მიყვარს.. რა კარგი ბიჭები ხართ... ნახე, ქეთი, რამდენი ხღმარტლი მოგვიტანეს. —თქვა და გადახსნილი ჩანთა ქეთინოს გაუწოდა.

ქეთინოსაც გაუხარდა. ბიჭების მოტანილი ხილი, რომ დაინახა. ხელი ჩაყო, და რამოდენიმე ამოიღო და თქვა: —კარგი ბიჭები ხართ, მაგრამ მთელი დღე ამისათვის იყავით დაკარგულები?

—აი ცოლი რას ნიშნავს. უკვე ტყქსავს, რომ ოჯახური ტვირთი იგრძნოს და ფუქსავატურად დრო აღარ დაკარგოს. მე კი მარტოხელა ვარ და ამიტომ არ ვიცი რა ვაკეთო. —თქვა ღიმილით ნოდარმა.

—ნოდარს ერთი ნაცნობი ჰყავს, ტყეში ცხოვრობს და მას სასაუბროდ ვესტუმრეთ. —თქვა გიამ.

—ასკილი არ იყო? ისიც დაგეკრიფათ თუ იყო, კარგი იქნებოდა. —თქვა ქეთინომ.

—ასკილსაც დაგიკრეფთ. შენ მოითხოვე და ყველაფერს გაგიჩენთ. —თქვა ნოდარმა და გააგრძელა საუბარი. —თქვენი საქმიანობა როგორ მიდის? საქონლისათვის ხომ არ არის საჭირო წასვლა?

—არა, ღღეს სუსტი ვაჭრობა იყო. ასე თუ გაგრძელდა რამოდენიმე ღღე დაჭირდება ფულის შეგროვებას, ალბათ, ერთ კვირაზე მეტი.

—არა უშავს. ყოველთვის კარგი ხომ ვერ იქნება? იმ პირველ ღღეებში თქვენი შეუღლების ინტერესმა მოიყვანა ხალხი, ყოველთვის არ იქნება ვაჭრობა.

—არა, რა თქმა უნდა... მე არ ვემდური... ჩვენს წილს ღმერთი არ დაგვიკარგავს. —თქვა ქეთინომ.

ნოდარმა პასუხად მხოლოდ გაუღიმა, გულში კი იფიქრა: სულ ცოტა ხნის წინ ასე არ ლაპარაკობდა. ეხლა კი თავს ბედნიერად გრძნობს და იმედი გაუჩნდა მომავლისო. ხმამაღლა კი თქვა:

–კარგით, მე წავალ. კარგად იყავით. –მოატრიალა მანქანა და თავის ეზოში შეიტანა. სახლში შესულს ნათურა ანთებული დახვდა ოთახში. გაუხარდა დენი მოსულაო და მაშინვე ტელევიზორი ჩართო. ტელევიზორში მხოლოდ ერთი არხი გადმოსცემდა და ისიც უინტერესო შინაარსის იყო. ამის გამო რა თქმა უნდა არ გამოურთავს, რადგან ჩვეეა, რომელიც ყველას ჰქონდა, რომ რაკი დენია ე. ი. ტელევიზორი ჩართული უნდა იყოს, რაც არ უნდა უინტერესო გადაცემა იყოს, მასაც ჰქონდა და ტელევიზორის მიმართულებით კი იხედებოდა, მაგრამ არაფერი ესმოდა.

ნოდარს ბერიკაცის ნათქვამი გაახსენდა: „ეგ რასაც ფიქრობ, მალე მოკვდება და დრო რომ გავა, მიხვდები, რომ არც არსებულა“.

–რატომ მითხრა ბერიკაცმა, “რასაც ფიქრობ მალე მოკვდებაო”, მე ხომ იმ დროს მანანაზე ვფიქრობდი... გამოდის, რომ მანანას სიკვდილი მაუწყა? კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია, ან იქნებ ასეთ უცნაურს, ჭკვიანს და განათლებულს მომავლის წინასწარ განჭვრეტაც შეუძლია. მანანას სიკვდილი? ეს ხომ წარმოუდგენელია, ახალგაზრდა, ჯანმრთელი...რატომ, ან როგორ უნდა მოკვდეს?... იქნებ ავარიაში ხვდება? მანანა ხშირად სეირნობს მანქანით, ვინ იცის იქნებ საჭესთან ხშირად ნასვამი მძღოლიც ზის, უნდა გავაფრთხილო, მაგრამ რომ არ დამიჯეროს, ან რა ვუთხრა, ვიღაც ტყეში მცხოვრებმა ბერიკაცმა, რომელიც არც კი გიცნობს, წინასწარ შენი სიკვდილი მაუწყა–მეთქი, ამას ხომ ვერ ვეტყვი, აბა სხვა რა მოვიფიქრო,... იქნებ იმ ბერიკაცმა სულ სხვა რამ იგულისხმა და რაზე ვფიქრობდი იმ წუთს ვერც კი მიხვდა...,მაგრამ გიას რომ ახალშერთულ ცოლზე უთხრა რა, მართლა გარეგნულად ეტყობოდა? არა, ამ ამბის დაკიწყება არ შემიძლია, რომ არ გავაფრთხილო და რამე მართლა შეემთხვას, ჩემ თავს ხომ ამას არასოდეს ვაპატიებ. ვეტყვი, რომ ფრთხილად იყოს. მე დავიბრალებ სიზმარი ვნახე–მეთქი და დამიჯერებს. ხვალვე წავალ და ვეტყვი, ვეცდები შევარჩიო ისეთი გამოხატულება ა'ხრის, რომ უფრო სარწმუნო და დამაფიქრებელი იყოს.

მეორე დღეს მართლაც წავიდა ნოდარი მანანასთან, მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა, სახლში არ დახვდა. რას ი'ხამდა ნოდარი, კუდამოძუებულ მელასავით გამობრუნდა უკან.

–რა ხდება? არასოდეს არ არის სახლში, როცა კი მოვდივარ, ასე ხომ არ შეიძლება? ამდენი სიარული კარგს არაფერს მოუტანს ეს ხომ ცხადია. –მეგობრები კარგია, მაგრამ ამდენი მეგობარი რა ამბავია? თანაც რა მეგობრები ეგენი არიან, მარტო ქეიფობა და დროს ტარება იციან. მომბეზრდა ყველაფერი, მოვდივარ და სახლში არ მხვდება. თავს შერცხვენილად ვგრძნობ. ისე გამოვტრიალდები ხოლმე, თითქოს რაღაც დანაშაულზე წამასწრეს, თითქოს სხვისია და ვცდილობ ვიღაც სხვას წავართვა, მაგრამ ვერ ვახერხებ. აქ აღარ მოვალ საერთოდ. არა, მოვალ მაგრამ დავუსვამ საკითხს, თუ ვუყვარვარ და ვუნდივარ, დაანებოს იმ ვითომდა მეგობრებს თავი. იჯდეს სახლში და ოჯახის საქმე აკეთოს. გოგოა და ამდენი სეირნობა არ შეიძლება. გოგოა და მეტი თავშეკავება მოეთხოვება. თავის მშობლებს მიეხმაროს. საცოდავები,

რამდენს წვალობენ, ის კი არაფერში ეხმარებათ. ბავშვი ხომ აღარ არის? უკვე დროა დასერიოზულდეს და ფუქსავატებს თავი ანებოს. ისე კი, მშობლებიც ღირსები არიან, რომ არ ეხმარებათ. რატომ არაფერს არ ავალებენ? რატომ აძლევენ უფლებას ასე ხშირად იაროს სასეირნოდ სადღაც ჯანდაბაში? მე ხომ იმისათვის მოვედი, რომ გავაფრთხილო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იქნებ ავტოავარია არც ელის და იმათ მოკლან? რა ვიცი ვინ არიან? უმრავლესობას ვერ ვიცნობ და ვისაც ვიცნობ კარგი აღზრდით და ადამიანობით არ გამოირჩევიან. იქნებ ნარკომანებიც არიან, რა ვიცი, ფული აქვთ და... როგორ ენდობა მაგისთანებს?

ნოდარი ამ ფიქრებით და მიუახლოვდა სახლს. გია ქუჩაში ჯიხურთან იდგა და ნოდარი რო დაინახა, დაუძახა მას.

–ნოდარ აქეთ წამოდი.

ნოდამა არაფერი უპასუხა და ეზოს კარისკენ შეუხვია.

–მოიცა ნოდარ. –დაუძახა ისევ მისი საქციელით გაკვირვებულმა გიამ.

ნოდარი გაჩერდა და გიას დაელოდა.

–რა მოგვიდა რა, ცუდ ხასიათზე ხარ? – ჰკითხა გიამ.

–არა, დასაბარად მივდივარ და მეზარება. –მოიფიქრა უცებ პასუხი ნოდარმა.

–მერე, მაგაზე სწუხარ? თუ გინდა, გამოგყვები და მოგეხმარები.

–არა, ნემს ადგილში კი არ მივდივარ, დათომ მთხოვა და... ხომ იცი ხელი სტკივა, თვითონ არ შეუძლია.

–მერე რაა? გამოგყვები, მაინც არაფერს ვაკეთებ და...

–კარგი, წავიდეთ. –დაეთანხმა ნოდარი, რომელიც არ ფიქრობდა წასვლაზე, მაგრამ ეხლა გადაწყვიტა, მართლაც წასულიყო და დაებარა.

–წავალ ბარს ავიღებ... თქვა გიამ და თავის სახლში წავიდა. რამდენიმე წუთში დათოს მიწის ნაკვეთისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდნენ.

–თუ ასეთი რამ გქონდა გეგმაში, რატომ დილით არ მითხარი? ადრე წავიდოდოთ და ბევრს გავაკეთებდით. მშვენიერი დღეა, ზაფხულივით თბილა. დილას სულაც არ ციოდა.

–ხო, მართლა რა საოცრად თბილა. ნოემბერი მთავრდება და ხეებს ისევ ასხია ფოთლები. ჯერ გაყვითლებულიც კი არ არის ყველა, – თქვა ნოდარმა.

–ნოემბრის ბოლოს, ასეთი თბილი დღეები ჯერ არ მახსოვს. ამ დრომდე ზოგჯერ ორჯერაც კი მოდიოდა თოვლი. წელს, უბრალოდ არც კი წაუყინია.

–გამიგია, ნოემბერში ხეებს ფოთლები თუ არ გასცვივდა, ძალიან ცივი ზამთარი იქნებაო. რომ ვაკვირდები ბუნებას, მართლა ასეა. თუ შემოდგომა თბილია, ზამთარი ცივი იქნება. წვიმებზეც ასეა. თუ შემოდგომა მშრალია... –გაზაფხული ნალექიანია, ზაფხული გვალვიანია და პირიქით, თუ ზაფხული წვიმიანია, ზამთარში თოვლი აღარ მოდის. წლიური სითბო და ნალექიანობა ბალანსირდება, თითქოს გეგმა აქვს განსაზღვრული ყოველწლიური და გადაჭარბება არ შეიძლება.

—რა ვიცი, მაგდენს არ დავკვირვებულვარ, მაგრამ თუ ცივი ზამთარი იქნება, მაშინ ქვთინოს ღუმელი უნდა დავუდგათ მაღაზიაში, თორემ ცოდოა სიცივეში. —თქვა გიამ.

—რა თქმა უნდა. თბილი ზამთარიც რომ იყოს, ისეთი თბილი არ იქნება ღუმელი, რომ არ დასჭირდეს. ეხლა, რომ წახვალ საქონლისათვის, მაგის შემდეგ ვიყიდოთ შეშა ჯიხურისთვის. ჯერჯერობით ერთი პირი ვიყიდოთ, რომ მაღაზია არ დაზარალდეს საქონლით და მერე კიდე ვიყიდოთ. იქნებ ახალი წლისთვის საქონელი მოვამრავლოთ.

—ხო, ახალწლამდე გვაქვს შანსი მოვამრავლოთ, თორემ ახალი წლის შემდეგ ეაჭრობა ისე სუსტდება ზაფხულამდე, რომ მომატების იმედი არ უნდა გვქონდეს. გაზაფხულზე ხალხს უფრო მეტად უჭირს. შემოდგომაზე აღებული მოსავლის ფულს ახალწლამდე ხარჯავენ და მერე ველარაფერს ყიდულობენ.

—რა, მოვედით? ეს ნაკვეთია?—იკითხა გიამ, როცა ნოდარმა მანქანა გზიდან გადაუხვია და გააჩერა.

—ჰო. ეს არის.

ბიჭებმა ბარები გადმოიღეს და ბოსტანში შეეიდნენ.

—სულ ეს არის? ბევრი არ ყოფილა ცარიელი ადგილი. დღეს ნახევარს მაინც დავბარავთ. ხვალ ემუშაობ სმენაში, ზეგ რომ წამოვიდეთ და შუადღემდე მოვრჩებით.

—რა ვიცი, ვნახოთ. რასაც მოვახერხებთ... ბოლოდან გამოვიყვეთ, რომ მერე დაბარულზე არ მოგვიწიოს გაელა.

ბიჭები ბოლოში გავიდნენ და დაიწყეს ბარვა.

—გუშინდელ საუბარზე ბევრი ვიფიქრე, ბევრი შეკითხვაც დამებადა, მაგრამ ვის ვკითხო, ყოველ დღე იქ ხომ არ ვირბენ. აქ რომ ცხოვრობდეს უფრო ხშირად ვნახავდით და ბევრს გავიგებდით, იქ, იმ მიუდგომელ, უღრან ტყეში ძნელია მისვლა. ან საერთოდ იქ რატომ ცხოვრობს, ოჯახი არა ჰყავს, მათთან რატომ არ არის?

—ეგ ზუსტად არც მე ვიცი. ან იმ ადგილებშია ისეთი რაც მას სჭირდება, ან უბრალოდ განცალკევება სჭირდება, რომ თავისუფლად იაზროვნოს.

—ეს ჰელიოცენტრული მოძრაობა გავიგე, სიბრტყეების და მათი პროექციის კი, დიდი ვერაფერი გავიგე. უფრო მეტად კი ის ვერ გავიგე, ეს ყველაფერი რა შუაშია რელიგიასთან. —თქვა გიამ.

—შენ რა გგონია მე ყველაფერი კარგად გავიგე? ერთხელ მითხრა: მე რასაც გეუბნები დოგმატურად ნუ გაიგებო. მომავალში რომელიმე კონრეტული საკითხი შეიძლება მე თვითონვე სხვანაირად გითხრა, იმიტომ, რომ ეხლა უფრო იოლი გასაგები ფორმით გეტყვი, მერე კი როცა მეტი უნარი გექნება უფრო სიღრმისეულად აგიხსნიო. თანაც ხომ თქვა, სამყარო ღმერთის შექმნილია და მაშასადამე სამყაროს კანონები, ღმერთის კანონებიც არისო. ესეიგი სამყაროს საიდუმლოს თუ ჩავწვდებით, ღმერთის საიდუმლომდე შეიძლება მიგვიყვანოს. —თქვა ნოდარმა.

—მერე როგორ გავიგოთ სამყაროს საიდუმლოება, განა ვინმემ იცის? ასეთი იოლი ხომ არ არის? დღემდე ბოლომდე არავის შეუსწავლია და ეხლა ჩვენ როგორ შევისწავლით? —თქვა გიამ.

—არ ვიცი ვინმემ იცის თუ არა. თუკი ვთქვათ, ვინმემ მართლაც იცის სამყაროს საიდუმლო, ჩვენამდე ხმას მაინც ვერ მოაწვდენდა და ჩვენთვის უცნობი იქნებოდა. ჩვენ კი თუ გვინდა რაიმეს გაგება, მივყვეთ თანმიმდევრულად და გავარკვიოთ რამდენი შეგვიძლია და მივალთ თუ არა ზღვარამდე, სადამდეც ადამიანს მიუღწევია. იმ კაცმა დაასაბუთა, რო ათასწლეულების მიღმა უკეთესად იცოდნენ სამყარო, ვიდრე დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში.

ამ დროს მანქანამ აიარა ტყისკენ, მუსიკის ხმა გამოდიოდა, ნოდარმა შემთხვევით მიიხედა მისკენ და მანქანა დ მისი მფლობელიც იცნო. ეს "გიორგევიჩის" მანქანა იყო და საჭესთან თვითონვე იჯდა. ნოდარი უცებ შეკრთა, კისერი უფრო აიმაღლა და თვალი მანქანას გააყოლა დიდი დაკვირვებით.

გიამაც, ნოდარის მკვეთრი ყურადღების გამოხატულების გამო, უნებლიედ მიჰხედა ავტომანქანას.

—ეს აკთანდილ გიორგევიჩია. ჩემი დამღუპველი... ვინ იცის ჩემს გარდა კიდე რამდენი დაღუპა. ფული ბევრი აქვს და სულ ქალებში გულაობს. ეხლაც ალბათ ვინმე მიჰყავს. ეკლესიის ზემოთ რომ ბუჩქებია, იქა აქეთ ბუდე და იქ მიჰყავთ ხოლმე მაგისთანებს ქალები. რამდენი წესიერი ქალი აცდუნეს ფულით, ამ გასაცოდავებულ დროში..

ნოდარი თავიდან უსმენდა გიას, შემდეგ კი თანდათან აერია გონება, აემღვრა სისხლი, დაიძაბა და აღარაფერი ესმოდა, მან მანქანაში მანანა შენიშნა.

—ნუთუ მართლა მანანა იყო? მანანას მის მანქანაში რა უნდა? მაგ გათახსირებულის მანქანაში? ნოდარს არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ გარყვნილი "გიორგევიჩის" მანქანაში მანანა იჯდა, რომეზეც ყოველდღიურად ფიქრობდა და ოცნებობდა. იქნებ მომეჩვენა. და ის არ იყო? მე ხომ ყველგან მანანა მელანდება. არა ის არ იქნებოდა. მანანას მასთან რა საერთო აქვს, მითუმეტეს აქ ამ ადგილში, სადაც მეძავები მოჰყავთ თავიანთი ცხოველური გრძნობების დასაკმაყოფილებლად? არა, მანანა არ იქნებოდა. ნამდვილად მივამსგავსე... "თავი დაიიმედა ნოდარმა, მაგრამ ეჭვი მოსვენებას არ აძლევდა." მაგრამ მანანა რომ იყოს? იქნებ მოატყუა? იქნებ რაღაცა მოიგონა ისეთი რითაც მანანას მანქანაში ჩასმას შეძლებდა და შემდეგ აქ გამოაქცია იძულებით? ასეთ შემთხვევაში ის ხომ ძალას იხმარს და გაუპატიურებს? უნდა წავიდე. წავალ და ვნახავ მართლა ის არის თუ მივამსგავსე. ის რომ არ გამოდგეს, ხომ შევრცხვები, მანქანით რომ თაეზე წამოვადგე? ფეხით წავალ. აქვე ახლოს არ არის? ფეხით ჩუმად მივალ და ისე შევხედავ, რომ ვერ დამინახავენ.

ნოდარმა ბარი უხეშად მიაგდო და სწრაფად გასასელელისკენ წავიდა.

სად მიდიხარ, რა მოგვიდა? მე ელაპარაკობ, შენ კი არ მისმენ?

—მოვალ. შენ მომიცადე ცოტა ხანს და ეხლავე მოვალ. —თქვა ნოდარმა ნაჩქარევად, ისე რომ არც შემობრუნებულა და სვლა არ შეუწყვეტია.

–მოიცა კაცო, სად მიდიხარ, რა მოხდა? ასე რამ აგაფორიაქა? მეც წამოვალ. –თქვა გიამ და თან გაედევნა. ეხლა კი შეჩერდა ნოდარი, შემობრუნდა და უთხრა:

–არა შენ იყავი. რაღაც საქმე მაქვს და ეხლავე მოვალ. შენი წამოსვლა არ მინდა.

–ავთოსთან არის დაკავშირებული?

–არა, არა, რაღაც გამახსენდა და... თქვა ნოდარმა და ღობის იქით გაუჩინარდა.

იქამდე, სადაც საკარაუდოდ ავთანდილ გიორგეიჩი და მისდი თანმხლები ქალი უნდა მისულიყვნენ, ოციოდე წუთის საკალი გზა იყო, მაგრამ ნოდარმა ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით 10 წუთში გაიარა. ავტომანქანა მართლაც იქ იდგა. ხეებსა და პატარა ბუჩქებს შორის ამოფარებული. ნოდარი წამით შეჩერდა. გული ძლიერად უცემდა. აქედან, სადაც ნოდარი შეჩერდა არაფერი ჩანდა და არც ხმა ისმოდა გარდა მუსიკისა, რომელიც საშუალო ღონეზე ჰქონდათ ჩართული. ნოდარი ფრთხილად, უფრო ახლოს და ახლოს მიდიოდა. და ა, მოულოდნელად გადაიშალა სანახაობა, რამაც ნოდარს თავზარი დასცა. მანქანის მეორე მხარეს პატარა ცრიელ ბალახიან ადგილას, რაღაც ლეიბის მაგვარი დაეფინათ და ორივე –მისი მანანა და ავთანდილი შიშვლები სიყვარულობდნენ. მანანას არაფერი ეტყობოდა ძალდატანების, პირიქით უფრო თამამი იყო და ღიმილით პასუხობდა გიორგეიჩის ალერსს და მის ნებას.

ნოდარმა ფერი სულ მთლად დაკარგა. მუხლებში ძალა გამოეცალა აუკანკალდა და რომ არ დაცემულიყო ჩაცუცქდა. შუბლზე ოფლმა გამოაყარა და უნებლიე ხელი მოისვა. მერე ორივე ხელი სახეზე აიფარა, თითქოს ამით გაქრებოდა ნანახი.

ეს რას ვხედავ. ნუთუ ეს მართლა მანანაა? ჩემი მანანა რომელსაც ასე ვეტრფოდი? რომელზეც დიდ იმედებს და ოცნებებს ვამყარებდი? ნუთუ ასე შევცდი, ანგელოზად ვთვლიდი და მეძავი ყოფილა? ამას რას ხედავს ჩემი თვალები, აი, თურმე რას გულისხმობდა, როცა ამბობდა მე ჯერ არავის შეყვარება და გათხოვება არ მინდა, ახალგაზრდა ვარ და სიცოცხლით უნდა დავტკბეო. ამის „კლანჭებში“ პოულობს სიტკბოს? ეს რა გამიკეთა, გულში მახვილი ჩამცა. სიყვარული და ოცნებები გამინადგურა. ამის შემდეგ მე ხომ არაფრად აღარ ვივარგებ. რა ვუყო? მივიდე დავხოცო? ამის არანაირი უფლება არა მაქვს, ანდა რა უნდა ვქნა, ფეხზეც ვერ დავმდგარვარ. –ფიქრობდა ნოდარი, ბუჩქების მეორე მხრიდან კი ავთანდილისა და მანანას ვნებიანი „სიყვარულის“ წამოძახილები ესმოდა.

ნოდარი რამოდენიმე წუთს ასე ჩაცუცქული იყო, შემდეგ კი, როცა ძალის მომატება იგრძნო, წამოდგა და ლასლასით გაუყვა უკან გზას. თან ფიქრობდა –მე ვყოფილვარ ბეჩავი, თორემ მანანა რა შუაშია? მას ხომ ჩემთვის არ მოუტყუებია? მას ჩემთვის ერთგულების პირობა არ მოუცია და ეს მისი ნებაა. მე თუ ბეჩავი ვარ და ვერაფერს ვხვდებოდი მისი რა ბრალია? ხომ არ მეტყოდა მე ასეთი ვარ, წადი თავი დამანებეო? ასე როგორ მოვტყუვდი, რამ დამაბრმავა? ეს ხომ ყოველ ნაბიჯზე

ეტყობოდა? მაშინაც, როცა თათიასთან ერთად ვსეირნობდით. მიუხედავად იმისა, რომ თათიამ აშკარად გამოამჟღავნა ჩემდამი ინტერესი და მარტო ავედით მაღლა, მას არ ანაღვლებდა ჩვენი მარტო გაშვება. პირიქით ეხლა ვხვდები, რომ შეგნებულად გაგვიშვა მარტო.

ნოდარს შემხვედრი გზიდან მომაყალი შორეული მეზობელი წამოეწია.

—გამარჯობა ნოდარ. —მიესალმა მეზობელი. ნოდარმაც სალმითვე უპასუხა. —იქ იყავი, ის ადგილი ნახე? ისევ იქ არიან?

—რა ადგილი? ვინ არიან? —უხეშად უპასუხა გაოცებულმა ნოდარმა იმით, რომ მანაც იცოდა ყველაფერი.

—აი, ვალიკო, რომ მოკლეს.

—არა. ვინ ვალიკო. არც გამიგია.

—არ გაგიგია? მეგონა ასე დამწუხრებული და მოღუშული სახე რომ გაქვს, იქ იყავი. ვალიკო რომ არის, შენს ზემოთ ქუჩაზე, რომ ცხოვრობს, თურმე წუხელის აქ ამოუყვანიათ ნარკომანებს, ბანდიტებს და მოუკლავთ. დილას ვიღაც კაცს ენახავს და მილიციაში უცნობებია. თურმე ეგ ვალიკო ნარკოტიკებით ვაჭრობდა და ალბათ ვიღაც გადააგდო... ექსპერტიზაზე წაიღეს ალბათ.

—კი, მაგრამ ეგრე უცებ მკვლელებიც გაიგეს ვინ არიან? —უკმეხად უთხრა ნოდარიმ.

—რა ვიცი. ეგრე ამბობდნენ დილას აქ ვინც იყვნენ.. იმდენი ხალხი იყო. 30 კაცი მაინც იქნებოდა... ზევით რომ ავიარე აქ იყვნენ, საიდანაც შენ მოდიხარ. დამაინტერესა რა ამბავი იყო და მივედი.

დათოს მიწის ნაკვეთამდე ისე მივიდნენ, ეს კაცი არ გაჩუმებულა. ჰყვებოდა რაღაც, შესაძლო მკვლელობის მიზეზებს, ვალიკოს არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს თუ სხვა ათას რამეს და საუკეთესო საჭორაო მასალას ჰქმნიდა, თუმცა ნოდარი მას თითქმის არ უსმენდა, მხოლოდ შიგდაშიგ რაღაც ნაწილს ისმენდა და პასუხსაც ვარაუდით აძლევდა. მოკლედ, ჰოს ან არას. მიწის ნაკვეთთან მისულისას გზიდან გადაუხვია, იმ კაცმა კი გზა მარტომ განაგრძო.

—სად ხარ აქამდე? ეგ არის მალე მოვალო?— უთხრა გიამ მოსულ ნოდარს. ნოდარმა არაფერი უპასუხა. შემდეგ კი, რომ შეატყო ცუდ ხასიათზე იყო უთხრა. —რა მოხდა, რა მოგვივიდა, რატო ხარ ასე ცუდ გუნებაზე?

ნოდარმა ამჯერადაც არაფერი უპასუხა. ბარი აიღო და უხალისოდ, დაიწყო ბარვა. გიაც გაჩუმდა და რამოდენიმე წუთს არაფერი უთქვამს. შემდეგ ისევ განაგრძო საუბარი:

—ნიორს გაზაფხულზეც ხომ თესავენ და ეხლა რატომ თესავს დათო, უკეთესი მოსავალი მოდის ამ დროს დათესილით?

—რა ვიცი. —უკმეხად უპასუხა ნოდარმა.

გია კვლავ გაჩუმდა და რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ შეეცადა საუბრის წამოჭრას.

—ის კაცი რო ამბობს გონება და სულიო, ისე ამბობს, თითქოს ერთი და იგივე იყოს ან გონება სულის ნაწილი იყოს. ეს როგორ იქნება?

—რა ვიცი, იმას ჰკითხე. — ისევ უკმეხად მიუგო ნოდარმა.

—შენ რაღა მოგდის? რა მოხდა ისეთი, რომ ასე შეიცვალე? ასეთი მოქრუშული და უხეში არასდროს ყოფილხარ. თქვი რაშია საქმე? —ჰკითხა მისი პასუხით გაოცებულმა გიამ.

—ვალიკო მოუკლავთ წუხელ.

—ვინ ვალიკო?

—ის ვალიკო. შენ რომ ცემე. ჩვენს ზემოთ რომ ცხოვრობს.

—ვის მოუკლავს? რატომ მოუკლავთ?

—რა ვიცი, იმ კაცმა თქვა ნარკომანებმაო.

გია ცოტა ხანს დაფიქრდა. შემდეგ თქვა:

—მერე შენ რა, მის გამო ხარ ასე გაბრაზებული? რა, ასე, დაგენანა?

ნოდარმა არაფერი უპასუხა და გიაც გაჩუმდა. წუთის შემდეგ ჰკითხა:

—სად მოუკლავთ?

—იქ, ეკლესიის ზემოდან.

გია ისევ გაჩუმდა ორიოდე წუთი. ამ დროს ავთანდილ გიორგეიჩმა ჩაიარა ქვეეით ქალაქისკენ, ისევ აწეული მუსიკით.

—შენ რაღაცას მიმალავ, ვერ დავუჯერებ, იმის გამო იყო ასე ანერვიულებული, რომ ვალიკო მოკლეს. ან შენ რა იცოდი ამის შესახებ, ზევით რომ გაიქეცი? თქვი რას მალავ?

—ეს ჩემი პირადი საქმეა.

— ეგონა ჩვენ ძმები ვიყავით და ეროი მეორესთან საიდუმლო არ გვქონდა. —იწყინა გიამ.

—არის ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება ძმასაც არ უთხრა. —თქვა ნოდარმა და თან გაიფიქრა: "რას წამოვიყვანე აქ. ეს რომ არ წამომეყვანა სახლში წავიდოდი. ამის ხათრით ვმუშაობ, თორემ ბარვის განწყობა სულაც არა მაქვსო."

გიამ შეწყვიტა ბარვა, ნოდარისკენ შებრუნდა და უთხრა:

—მე შენთვის ისეთი მეგობარი არ ვარ, რომ ჩემთან რაიმეს დამალვა იყოს საჭირო. შენ ჩემი ყველაფერი იცოდი, გენდობოდი და შენც უნდა მენდობოდე. არ მომწონს, ასე რომ იქცევი.

—რა გინდა ჩემგან, მე ჩემიც მეყოფა. სიმართლე გინდა იცოდე? გეტყვი. იმ გიორგეიჩის, მანქანაში, რომ აიარეს, ჩემი შეყვარებული დავლანდე. ამიტომ გავიქეცი და ვნახე როგორ სიყვარულობდნენ გახდილები ერთად. ეს გინდა იცოდე? აჰა, ხომ გითხარი, დაისვენებ ეხლა? — ხმამაღლა, თითქმის ყვირილით უთხრა ნოდარმა. მერე უფრო დაბალი ხმით განაგრძო: — საშინელი დამცირება განვიცადე. ცოცხალი რომ ვარ აღარ მინდა. თუ რამ ამიშენებია ოცნებაში უცებ დამენგრა და მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიყვი ვყოფილვარ და სისულელეს ვაშენებდი.

ამჯერად გია გაჩუმდა და პერიოდულად ნოდარი ლაპარაკობდა.

—შენ წარმოიდგინე ეხლა, სასიამოვნოა ამაზე ლაპარაკი ჩემთვის? ჯობდა სხვა რომ ჰყვარებოდა და მას გაჰყოლოდა, შეიძლება გული სულაც არ დამწყვეტოდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი საშინელი განცდა არ მექნებოდა. —იმის უფლებაც არა მაქვს, მასზე გავნაწყენდე. იმიტომ,

რომ მას ჩემთვის არ უღალატია, რადგან ჩემი არც არასდროს ყოფილა და არც რაიმე პირობა მოუცია... მე აღმოვჩნდი მხოლოდ სულელი და შტერი.

—ადვილია იმაზე ლაპარაკი, რომ ვაღიარებ ჩემს არანორმალურად დიდ სიბრიყვეს და სიბრმავეს?

—არა. შენ არც ბრმა ხარ და არც ბრიყვი. —ხმა ამოიღო გიამაც. —შენ უბრალოდ სიყვარული გწყუროდა და არ გაგიმართლდა. ეს შენს კეთილშობილებაზე მეტყველებს და არა სიბრიყვეზე. უბრალოდ დღევანდელი ცხოვრებაა ისეთი. ცხოვრებისგან გადაგვარებულ ხალხში წესიერი კაცი ბრიყვად გამოიყურება და ამიტომაც არ გაგიმართლა.

თავი IV

თევზაობა

გაზაფხული დადგა. ხალხმა გაჭირვებით, მაგრამ ეს ზამთარიც გადაიტანა. გაიზარდა უცხოეთში წასულთა და წასვლის მსურველთა რაოდენობა. ოჯახის გადარჩენის თუ გამდიდრების მიზნით ბევრმა, ენის უცოდინრობის გამო, თუ პატრიოტული გრძნობის შემწეობით, უცხოეთში გაქცევა არ მოისურვა. მათგან ზოგიერთმა კიდეც მიაგნო სამშობლოშივე რაღაც საქმიანობას, რითაც ოჯახის რჩენა შეეძლო, უმრავლესობა კი კვლავ უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობდა, ამოტომ უფრო გაღრმავდა ურთიერთდაძაბულობა, შური, მთავრობისადმი უკმაყოფილება, ქურდობა, უზნეობა, გარყვნილება, სიცრუე და სხვა უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენები. თუმცა ჯერ კიდევ არსებობდა ურთიერთ თანაგრძნობა, დახმარება და სიყვარული.

ნოდარის და მასთან ურთიერთობაში მყოფ პირთა ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ჩვეული ცხოვრების დინებით მიდიოდა. ჯიხურში ვაჭრობა ნოემბერ—დეკემბრის წარმატებული ვაჭრობის შემდეგ, როგორც გიამ იწინასწარმეტყველა, მკვეთრად შემცირდა. თუმცა უკმაყოფილოები მაინც არ იყვნენ, რადგან გიას და ქეთინოს ოჯახი ამ ჯიხურის დახმარებით ახერხებდა არსებობას. პირველი ორი თვის წარმატებული ვაჭრობის შედეგად მიღებულმა საქონლის ღირებულებამ 1500-ს მიაღწია და ეხლა უკვე თითქმის ყველა ძირითადი, აუცილებელი საქონელი ეწყოთ. ახალი წლის შემდეგ კი, იმის გამო რომ ვაჭრობა შემცირდა, საბრუნავ თანხას ვეღარ ამატებდნენ, მხოლოდ იგივე თანხას

აბრუნებდნენ და ნამატს მთლიანად ოჯახური საჭიროებისათვის იყენებდნენ.

რაც შეეხება თვით ნოდარს, იმის შემდეგ რაც მანანა გიორგეიჩთან სასიყვარულო ურთიერთობაში იხილა, მისკენ აღარც გაუხედავს. ამ ამბავმა მასზე ძალიან ცუდად იმოქმედა. არაფრის ინტერესი აღარ ჰქონდა. მთელი სამთარი გულჩათხრობილი დადიოდა. და სიყვარულზე წარმოდგენა ისე შეეცვალა, რომ სხვა ქალისკენ სასიყვარულო გრძნობით გახედვაც აღარ უნდოდა. ატმის ბაღიც და ვენახიც ხერელედ დაამუშავა. ჯეჯილი კი მშვენივრად გამოიყურებოდა. სასუქიც შეიტანა თავის დროზე და სარეველას წამალიც დაასხა. ამ მშვენიერ ჯეჯილს ისღა უნდოდა, მომწიფებამდე ქარს და სეტყვას არ დაესიანებინა და კარგი მოსავალიც განაღდებული იქნებოდა. მიუხედავად დიდი გულგრილობისა, გაზაფხულის სითბომ და სურნელებამ ცოტა გული გაუთბო ნოდარს. ცოტა გამოიცოცხლდა და უფრო აქტიური გახდა საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ამიტომაც გიას ნათქვამს ლელას ვათხოვებთო, უფრო დიდი სიხარულით შეხვდა, ვიდრე ეს შეეძლო სამი თვის წინ.

აპრილის თვე იწურებოდა, როცა ერთ საღამოს, ხუთშაბათ დღეს გიამ დაუძახა. ნოდარმა ჩვეულებრივად სახლში შეიპატიჟა და სასიხარულო განწყობა რომ შეატყო, მიზეზი ჰკითხა.

–ლელას ვათხოვებთ. –თქვა გიამ. –როგორც იქნა გადაწყვიტა და მიჰყვება თავის შეყვარებულს.

–მართლა? ძალიან კარგია. როდის გაქვთ ქორწილი? –ჰკითხა ნოდარმა, რომელსაც აშკარად შეეტყო სიხარული ამ ამბის გაგონებაზე.

–ქორწილი არ გვექნება, მაგრამ პატარა სუფრას გავშლით შაბათს, შინაურებისათვის და წაიყვანენ. რა თქმა უნდა, შენ იქ უნდა იყო. შენზე ახლობელი ვინ გვყავს მეც და ჩემს ოჯახსაც.

–ქორწილს რატომ არ იხდით? მამათქვენის გარდაცვალებიდან უკვე წელიწადნახევარი გავიდა და ოჯახი ხომ „გახსნილია" თუ უფულობის გამო იხევთ უკან, მე რაც მაქვს, სუმთელს მოგცემთ, ჯიხურიდან რაც დაგჭირდებათ ყველაფერი აიღეთ. –თქვა ნოდარმა, ადგა კარადის უჯრიდან ორასი ლარი ამოიღო დ გაუწოდა.

–არა, არა. არ მინდა. ამის გამო კი არა, უბრალოდ მუსიკების და დიდი მხიარულების გული არცერთს არ გვაქვს და ოჯახში ყველას აზრია, რომ ქორწილის გარეშე გავათხოვოთ.

–კარგი, თქვენი ნებაა, მაგრამ ეს ფული მაინც გამომართვი. ლელა ისეთი გოგოა, გაცილებით მეტს იმსახურებს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია რომ მივცეთ და რაც შეგვიძლია ის მაინც რატომ უნდა დავაკლოთ? ჩათვალე, რომ ჩემი საქორწინო საჩუქარია მისდამი, საჩუქარზე კი უარს არ ამბობენ.

–კი, მაგრამ ხომ იცი ამდენს რომ არ ჩუქნიან. თანაც მე კი არა, ლელა თხოვდება.

–კარგი. ლელას მივცემ.

–ამ უბედურ დროში, იშვიათად გვაქვს ბედნიერების შეგრძნების საშუალება და ეს მცირე შესაძლებლობა რატომ არ უნდა შეეცადოთ რომ სრული შესძლებლობით გამოვიყენოთ?

–რა თქმა უნდა... შეგვიძლი, ოღონდ ლელამ ბედნიერად იგრძნოს თავი. –თქვა. გიამ.

–ჯვარს ხომ იწერენ?

–ჰო, ეკლესიაში წავლენ ჩვენიდან და მერე სახლში წაიყვანს. ბიჭის ოჯახი იხდის ქორწილს და იქ ჩვენც წავალთ.

–მერე, თუ ასეა, იქნებ შენ და ქეთინოსაც დაგეწერათ ჯვარი, რაღას უნდა უცადოთ? ეხლა თუ არ დაიწერთ, შემდეგ უფრო ნაკლებად ეცდებით და დარჩებით ისე. უკვე ფეხმძიმედ არის და უკანონო შვილი ხომ არ გინდათ? – ნახევრად ხუმრობით დააბოლოვა ნოდარმა.

–ხო, მეც კი ვფიქრობ მაგას, მაგრამ...

–რაღა მაგრამ უნდა? დაიწერთ მათთან ერთად ჯვარი და პრობლემაც აღარაფერი იქნება.

–მერე ჯვრისწერიდან სხვის ოჯახში წავიდეთ? არ მინდა ასე. მე მინდა, რომ ქეთინოს საკუთარი ჯვრისწერა და ბედნიერების დღე ჰქონდეს. არ მინდა, რომ საზიაროდ იგრძნოს. მისი სიხარული გაფერმკრთალდება.

–ეგ კი მართალია... მაგრამ როდისღა? სულ ისე რომ დარჩეთ?

–შევეცდები არ დავრჩეთ ისე. ზაფხულამდე ცოტა ფულსაც მოვაგროვებთ და მოვახერხებთ როგორმე. ამ სასიხარულო დღეს ნამდვილად მოვუწყობ ქეთინოს.

–კარგი. თუ ასე გადაწყვიტე ასე იყოს. ეგ მართლაც უფრო ჭკვიანური‌ია, თუ რამე შემეძლება, მეც დაგეხმარებით.

–არა, არ მინდა შენი დახმარება. შენ ისედაც ბევრი დახმარება გაგვიწიე და საკმარისია. შენ რომ არა, ალბათ ცოლსაც ვერ მოვიყვანდი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? არ მინდა შენი კეთილი დამოკიდებულება ჩვენდამი ყოველთვის მატერიალურში გამოიხატოს. ბოლოს და ბოლოს მე ჩემი ოჯახის რჩენა, მისი ბედნიერება თვითონ უნდა შევძლო და ეს უფრო ტკბილიც იქნება. რაც გვექნება იმას ვიკმარებთ. მთავარი ხომ ურთიერთ სიყვარულია და ურთიერთ გაგება? მატერიალური მხარე ხომ დიდად არ განსაზღვრავს ბედნიერებას? შენ არ მასწავლიდი? მე რომ ვისრდებოდი ბავშვობაში, მამა და დედა ბევრ სათამაშოებს ყიდულობდნენ ჩვენთვის, მათ შორის ახალი წლის ნაძვისხისთვისაც. ერთხელ კი თავიანთი ბავშვობა გაიხსენეს და თქვეს, ბავშვობაში სათამაშოები რომ არ გექონდა, ჯოხებისგან და ღილებისგან ვაკეთებდით ჩვენ თვითონ, ხოლო საახალწლო ნაძვის ხესე ვაშლებს, მსხლებს და ჩვენს მიერ დახატულ სათამაშოებს ვკიდებდითო. მაშინ ჩვენ რომ გვიხარიოდა ახალი წელი და ბედნიერები ვიყავით, ეხლანდელ ბავშვებს იმის ნახევარი შეგრძნებაც არა აქვთო. ასე მეჩვენება, თითქოს თაობები თანდათან სიხარულს და ბედნიერების შეგრძნების უნარს კარგავენო.

მამაჩემი მართალი იყო. თაობები თანდათან მართლაც კარგავენ სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნებას. მე მგონი, ეს გაზრდილი მოთხოვნილებების ბრალია. მე რომ მამა სათამაშო ავტომანქანას მომიტანდა, დიდ სიხარულს ვერ ვგრძნობდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, მალე სხვა ახალს მომიტანდა და დაუნანებლად ვამტვრევდი. ჩემთვის რომ

მთელი ბავშვობის ერთი სათამაშო ავტომანქანა მოეტანა, მე ხომ უფრო მეტად გავიხარებდი, გავუფრთხილდებოდი და დიდხანს მექნებოდა? ამით შექმნილის გაფრთხილებასაც ბავშვობიდან მივეჩვეოდი და ნგრევის სურვილი არ გამიჩნდებოდა. იქნებ ამიტომაც არის ამდენი მნგრეველი ამ ქვეყნად, რომ ბავშვობაში ისე გაიხარდნენ?

—შენ რა გინდა თქვა, რომ შენს ბავშვს ერთ სათამაშოზე მეტს არ უყიდი?

რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში შეეცდები იმდენი არ ჰქონდეს, რომ ინტერესი დაკარგოს, მობეზრდეს და დაამტვრიოს. თუ მე თვითონ არ ვთქვი უარი შენს დახმარებაზე, ორივეს მოგვბეზრდება და უთანხმოებაში გადაიზრდება. მათხოვარი რომ დგას ქუჩაში წინ ყუთით, რამოდენიმე დღე რომ გაიარო და ყოველდღე ათი ლარი აჩუქო, პირველად დიდი მადლიერი დაგრჩება. შემდეგ თანდისთან მადლიერების გამოხატვას მოუკლებს და ბოლოს, რომ აღარ მისცე, გაგლანძღავს, რატომ არ მაძლევო. ამაში დამნაშავე მართლა შენ იქნები, იმიტომ რომ შენ მიაჩვიე. ქართული ანდაზა ხომ გაგიგონია: "დაუჩეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს კი ნუ მოაკლებო".

—მართალია, მაგრამ ეგ სხვების ეხება, როცა უცხოებს შორის ხდება და არა მეგობრებს და ახლობლებს შორის.

—ახლობლები თუ შორეულები, ყველა ადამიანები ვართ და ყველას გვაქვს ეს თვისება. დახმარებით გამოხატული პატივისცემა ერთხელ და ორჯერ ჩანს კარგად, მერე კი თანდათან ფერმკრთალდება და ვალდებულებად აღიქმება. ვალდებულების შეუსრულებლობა კი წყენით და შეიძლება, ჩხუბითაც დამთავრდეს. ვიდრე ასეთ მდგომარეობამდე მივალთ, სჯობს შევწყვიტოთ შენი დახმარების მიღება.

—მართალია რასაც ამბობ, მაგრამ მე მქონდეს, მეგობარს უჭირდეს და არ დავეხმარო, ეს ხომ გულცივობას წარმოშობს და არც ესაა უკეთესი. მე იმიტომ გეხმარები, რომ შენი გაჭირვება მაწუხებს და ამ წუხილისგან ვთავისუფლდები. ეს კი მნიშვნელოვანი გრძნობაა ადამიანში.

—მართალია, მაგრამ ეგ უფრო აღვილი გამოსასწორებელია. ხშირი დახმარება კი ყველაფერთან ერთად დასახმარებელ პირს ამავე დროს პასიურსაც ხდის. დახმარების იმედზე ყოფნის სურვილი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საკუთარი ხელით შოვნის სურვილი. ბოლოს კი შეიძლება მთლიანად უსუსური გახდეს. ადამიანს ვისაც ჩუქნი ისეთი შთაბეჭდილება უნდება, თითქოს მისი ფული გაქვს და ცოტას რომ აძლევ ჰგონია ჰპარავ დანარჩენს. რაც რა თქმა უნდა სწყინს და ცუდად განეწყობა შენს მიმართ. რომ აძლევ, მისი ხდება, მაშასადამე ის ფული ვიდრე მისცემ იქამდეც მისია. ამიტომ ითხოვს დროზე მისცე მას თავისი ფული. მას ავიწყდება, რომ ეს მისი კეთილი ნების შედეგითაა და სხვა არანაირად.

ნოდარმა გაიცინა და უთხრა:

—შენ იმდენი ილაპარაკე, მგონი მტერიც კი გამომიყვანე. —თქვა ნოდარმა.

—შენ ჩემი მტერი კი არა, ჩემი მეგობარი ხარ და კიდევ უფრო ახლობელიც, მაგრამ ისიც ფაქტია რომ, თუ ცხოვრებას დაეაკვირდებით,

ადვილი დასანახია, რომ ხშირად ყველაზე საყვარელ ადამიანებსაც კი, განსაკუთრებით საკუთარ შვილებს, დათვურ სამსახურს უწევენ. სიყვარულს იმით გამოხატავენ, რომ ცდილობენ უზრუნველი ცხოვრება შეუქმნან, რითაც პასიურს და ცხოვრებაში ჩაუხედავს, გამოუცდელს, გულგრილს, ადამიანის ფუტლიარს ქმნიან. ასეთი დათვური სამსახური განა მტრობა არ არის საკუთარი შვილისადმი? ნათქვამი კია, „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო", მაგრამ ასეთ მტრობაზე კი არ მიგვითითებენ, არამედ მკაცრად გაზრდასე. ისეთ გაზრდაზე, როცა ბავშვისათვის არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ ადამიანად ჩამოაყალიბებს.

—საბედნიეროდ, ჩვენ უკვე ბავშვები აღარ ვართ და ჩვენს ურთიერთობაში ეგ არ გეჭირდება.

—ჩვენს ურთიერთობაში რა თქმა უნდა არ გეჭირდება. უბრალოდ სიტყვამ მოიტანა აზრი და ვთქვი. ცოტა უადგილო საუბარი გამომივიდა, ხომ არ გეწყინა? ეს შენთვის კი არ უნდა მეთქვა, მე ჩემთვის უნდა მეფიქრა. ამ საუბრით შენდამი უმადურობა გამომივიდა.

—არა, რა უნდა მწყენოდა? პირიქით, მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მეგობრობას უფრთხილდები და უმრავლესობის მსგავსად მატერიალურ გამოყენებით სარგებელს არ ეძებ. ცდილობ ურთიერთმეგობრული სიყვარულის ფასეულობა, სხვა რამეს არ გააუფასურებინო.

—კარგი. წადალ ეხლა, ოორემ ბევრი საქმე მაქვს. ესეიგი, შაბათს მოხვალ. სახლში პატარა სუფრას გავშლით, შემდეგ ჯვრისწერაზე წავალთ, მერე კი სასიძოს ოჯახს ვეწვევით.

—ეგ კი, მაგრამ, მოხმარება არ გინდა მომზადებაში?

—თუ დამჭირდები მოგაკითხებ. ეგ კი ნამდვილად არ მომეხათრება. —თქვა გიამ და წავიდა.

შაბათიც მოვიდა. დილიდანვე გიას ოჯახს ხალისიანი, საზეიმო ფაცი—ფუცი ეტყობოდა. ნოდარი რამოდენიმე მეზობელთან და გიას რამოდენიმე ნათესავთან ერთად დილიდანვე ფაციფუცობდა. პირველ საათამდე სუფრაც გააწყვეს, თვითონაც გამოეწყვნენ საზეიმოდ და საპატარძლოც გამოაწყვეს. ყველას მოსწონდა, რა ლამაზი საპატრძლო გვყავსო და სიხარულით შესცქეროდნენ. თუმცა ამ სიხარულს თან გარკვეული სევდა, სევდა, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ეს „პატარა" მხიარული გოგო, რომელთან თანაცხოვრებასაც მიჩვეულნი იყვნენ და უყვარდათ, აქ მათ შორის აღარ იცხოვრებდა. თავს იმით იმშვიდებდნენ, რას იზამ, ცხოვრება ასეთია, გასათხოვარი უნდა გათხოვდეს და თავისი ოჯახი უნდა ჰყავდესო. —ნეტავი ბედნიერი იყოს და... რომ მომენატრება, სანახავად იქაც წავალ და ვნახავ —ამბობდა მისი დედა.

მალე სასიძოც მოვიდა თავისი მაყრით.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ, დალოცეს ორი ახალგაზრდის შეუღლება, ოჯახის შექმნა, დალოცეს ორივე ოჯახი მათი ახლობლებითურთ და ერთ საათში ალავერდის გზას დაადგნენ. მათი წასვლისას ლელას დედამ ტირილი დაიწყო. რომ ჰკირხეს რა გატირებსო, უპასუხა:

—აბა რა ვქნა? განა მე მინდა, მაგრამ მეტირება. მთელი ცხოვრება ვზარდე, ამხელა გოგო გავზარდე და ეხლა კი გამიფრინდა. მუდამ ჩემს თვალწინ ვეღარ მეყოლება. განა ეს ადვილია? ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მთლად მარტო ვრჩები.

—არაუშავს. სამაგიეროდ ქეთინო შემოვიდა თქვენს ოჯახში. ქეთინო კარგი გოგოა, მერე შვილებიც ეყოლებათ და შვილიშვილებში გაიხარებ. —უთხრა მეზობელმა ქალმა.

სასიძოს ოჯახში საკმაოდ ხალხმრავლობა იყო. ოთხ რიგად დაწყობილ, გადაბმულ მაგიდებზე 200-მდე კაცი იჯდა. ამ მაგიდებისგან განცალკევებით მათს გასწვრივ კი უკანასკნელ ათწლეულებში ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, ახლად შეუღლებული წყვილის მაგიდა იდგა, რომლებმაც სულ რაღაც ორიოდე საათის წინ მიიღეს ეს „წოდება" ალავერდში. მათ გვერდს უმშვენებდათ მეჯვარეებად, მათივე ნებით მეგობრებს შორის გამორჩეული ორი მეგობარი. დანარჩენი საზოგადოებისაგან თითქმის იზოლირებულ მორთულ—მოკაზმულ მაგიდასთან მსხდომი ეს ოთხი ახალგაზრდა, განსასჯელებს მოგაგონებდათ. ცოტახანში ხალხი ჭამა-სმაში ჩაება და ისე აქტიურად, კაცი რომ დაფიქრებულიყო ძნელი გასარკვევი იყო, ხალხი იყო ახალშეუღლებულების პატივსაცემად მოსული, თუ პირიქით, ახალშეუღლებულები, ისხდნენ მათთვის, რომ მათ მიზეზი და საშუალება მისცემოდათ ქეიფისთვის. ოთხეულმაც თანდათან მოიწყინა. ჭამისაც სცხვენოდათ, რადგან მთელი საზოგადოების პირისპირ ისხდნენ, არც საუბარის საშუალება ჰქონდათ, რადგან სიმღერისა და მუსიკის ხმის ელექტრონული რეპროდუქტორები მათ სიახლოვეს იდგა და მათს ხმას მთლიანად ჰფარავდა. თანდათან ისე დაიღალნენ, რომ მათს სახეებს უკვე შეწუხებულის გამოხატულებაც შეერია. მაგრამ, რა თქმა უნდა ცდილობდნენ საზოგადოებისადმი უპატივცემულობა არ გამოეხატათ, არ შეემჩნიათ შეწუხებულობა და ქორწილის დამთავრებამდე, რომელიც 7 საათს გაგრძელდა მოთმინებით ისხდნენ. ცეკვის დროს კი, როცა შედარებით თავისუფლება ეძლეოდათ, უფრო მოლხენილად გამოიყურებოდნენ.

ქორწილი დასასრულს მიუახლოვდა. სუფრაზე სულ ცოტა ხალხიღა დარჩა. ძირითადად მამაკაცები, რომლებიც თამადას აღარ ეპუებოდნენ და თავიანთი „მჭერმეტყველური" სადღეგრძელოებით, ერთიმეორისადმი სიყვარულის "მოზღვავებით" გამოწვეული გრძნობით, მრავალგზის კოცნის თანხლებით, ცდილობდნენ ღვინის სმაში თავის გამოჩენას. პატარძლის მაყარიც სუფრიდან აიშალა, მრავალგზის კოცნით და დიდი სიყვარულით გამოემშვიდონენ ნეფე პატარძლს და წავიდნენ ქორწილიდან.

მეორე დღეს ნოდარმა გვიან გაიღვიძა. ქუჩაში გასულმა, ჯიხური ღია რომ დაინახა იქით წაიდა. ჯიხურში მხოლოდ ქეთინო იჯდა და ხელში ბავშვი ეჭირა.

—შენ რა, ძილი არ გინდოდა გოგო? დღეს დაგესვენა, ამდენი იშრომე, ამდენი რამ გაამზადე და არ დაიღალე?

ქეთინომ გაიღიმა და უპასუხა: —უფროსებს არ გაუნთავისუფლებიეარ და ხომ ვერ გავაცდენდი? ასე ხომ სამსახურს დავკარგავ.

—ლელა რომ აღარ გიზის გვერდით, ხომ არ მოიწყინე?

—ლელა მართლაც ძალიან დამაკლდება, გვერდით რომ აღარ მყავს. საქმეშიც ხომ მეხმარებოდა, მაგრამ ისედაც, ისეთი საყვარელი გოგოა, მასთან ახლოს ყოფნა ჩემთვის მართლაც დიდი ბედნიერება იყო. სულ თავს მევლებოდა, ცდილობდა ჩემთვის ყოველ წუთს ესიამოვნებინა. რას არ მოიგონებდა და რას არ აკეთებდა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნო. ამ ვა'საში ყოველთვის მისი მორთმეული ყვავილები იყო. გიამ მხოლოდ რვა მარტს მომოტანა. ეს იასმნებიც მისი მოტანილია. გათხოვების სამზადისშიც კი ჩემზე ფიქრობდა და ცდილობდა ლამა'ზად გამოეწყე. ამბობდა, ჩემი რძალი ყველაზე ლამაზი უნდა იყოს ჩემს ქორწილშიო.

—ჰო, ლელა კარგი გოგოა. ამბობენ სიძის ოჯახზე, კარგი ოჯახიაო და ღმერთმა ქნას რომ, მართლაც სიამტკბილობით გაეტარებინოთ მთელი ცხოვრება. —თქვა ნოდარმა და შემდეგ ჰკითხა: —გია, სადღაა, სძინავს?

—არა. დღეს ხომ სმენაშია. სამუშაოდ წავიდა დილას. ამ დროს ჯიხურს ნუგ'ზარი მოადგა.

—ნოდარ შენ გეძებ, სახლში გეძახდით და აქ ყოფილხარ.

—რა გაგიჭირდა, მოგენატრე? —უთხრა ხუმრობით ნოდარმა.

—არაყი მინდა ბაზარში წავიღო და ჩავაბარო, ჰურის ფული აღარა მაქვს და იქნებ წამიღო? მინის ჭურჭელშია და ხელით როგორ წავიღო? დროებით სულს მოვითქვამთ და მერე რამე გამოსჩნდება.

—კარგი. წაგიღებ.

ნოდარმა ე'სოდან ავტომანქანა გამოიტანა. ნუგზარმა მინის 20 ლიტრიანი ჭურჭლით არაყი გამოიტანა, მანქანაში დადგა, თვითონ გვერდით მიუჯდა და ბა'ზრისკენ წავიდნენ.

ნოდარმა ავტომანქანა ბაზრის კარებთან გააჩერა. ნუგზარმა არყით სავსე ჭურჭელი გადაიტანა და ნოდარს უთხრა, —შეგიძლია წახვიდე, მე ნუ დამელოდები, აქ ვრჩებიო. ნოდარმაც წასვლა დააპირა, მაგრამ შემდეგ იფიქრა: გადავალ, ბაზარში გავივლი, სანთელს მაინც ვიყიდიო და ავტომანქანიდან გადავიდა. ავტომანქანა არც დაუკეტია, რადგან იქვე მაგიდა'ზე სიგარეტებით და სხვა წვრილმანებით მოვაჭრე მისი ნაცნობი იყო და თვალყურს მიადევნებდა თავისთავად. ნოდარი ბა'ზარში შეავიდა, სანთელი იყიდა და ცოტახანს გაიარ- გამოიარა. გარეთ მანქანისკენ მიმავალმა ნოდარმა შორიდანვე შენიშნა, რომ მის მანქანაში ვილაც იჯდა. გაუკვირდა და ნაბიჯს აუჩქარა.

—ვა, მანანა? —ჩაილაპარაკა ნოდარმა, როგორც კი იცნო მანქანაში მჯდომი.

მანანა ჩვეულებისამებრ მხიარულად შეხვდა ნოდარს და სიცილით უთხრა:

—სად ხარ ბიჭო ამდენხანს, მანქანა გინდა მოგტაცო?

—რა დიდი მოსატაცებელიც ეს არის. —მიუგო ნოდარმა, რომელსაც სახეზე მანანას მსგავსად ღიმილი არ გადაჰკვრია.

—სწორედ შენზე ეფიქრობდი და მანქანა რომ დაეინახე, მაშინვე ჩაეჯექი. ვინმეს ხომ არ ელოდები?

—არა, არაეის.. —მოკლედ უპასუხა ნოდარმა.

—სად დაიკარგე, სულ დაგავიწყდი? რამდენი თვეა ჩემსკენ არც კი გამოგიხედავს. ეგ არის შენი სიყვარული?

—გადავაყენებ მანქანას. აქ უხერხულად ვდგავართ.

—რიღასთვის უნდა გადააყენო? წავიდეთ ბარემ ჩვენთან, თუ საქმე არ გაქვს.

ნოდარმა მანქანა მომართა და მანანას სახლისკენ წავიდა.

—მითხარი ერთი, რატომ დაიკარგე? დიდი საქმეები გქონდა თუ სიყვარული გაგინელდა?

—უშედეგო სიყვარულს რა აზრი აქვს? სულელის როლი ვითამაშო?

ასეთ პასუხს მანანა არ მოელოდა და ცოტა დაფიქრდა. შემდეგ კი უთხრა:

—შეიძლება მართალიც ხარ. თუმცა გააჩნია შედეგს რას ეძახი. მაინცდა მაინც ცოლად გინდა გამოგყვე?

—ნოდარს არაფერი უპასიხია. მალე მანანას სახლთანაც მივიდნენ და ნოდარმა გააჩერა ავტომანქანა.

—გადმოდი ცოტახანს. შევიდეთ, ყავაზე გეპატიჟები. —თქვა მანანამ და მანქანიდან გადავიდა.

ნოდარის არც დაუპირებია გადასელა და ავტომანქანის ძრავა არ გამოურთავს.

—მოიცა, არ წახვიდე. გადმოდი. —უთხრა მანანამ, ავტომანქანის მეორე მხარეს მოუარა და კარი გახსნა. —გადმოდი რაა? სახლში არავინ არის. მარტო ვიქნებით.

ნოდარი მაინც არ აპირებდა მანქანიდან გადმოსელას.

—კარგი რაა. რას ინაზები? შენ რა ნაწყენი ხარ რამე'სე თუ? —მანანამ ხელი ხელში ჩაავლო და თითქმის ძალით გადმოიყვანა.

—დაჯექი და ეხლაევე მოვალ. —უთხრა სახლში შესელისას მანანამ ნოდარს და თვითონ სამზარეულოში გაეიდა. რამოდენიმე წუთში დაჭრილი ნამცხვარი და კონიაკი გამოიტანა. კონიაკი პატარა, ლამაზ ჭიქებში ჩაასხა, ერთი აიღო ხელში და ნოდარს უთხრა ღიმილით:

—შენს გაფერმკრთალებულ სიყვარულს გაუმარჯოს.

ნოდარი ჭიქას თითქოს არ იღებდა ხელში.

—აიღე ჭიქა, რა მოგდის? სხვადროს ასეთი არ იყაეი? —თქვა მანანამ და ხელი რომელშიც ჭიქა ეჭირა მისკენ გასწია.

ნოდარმა აიღო ჭიქა და მის გამოწეულ ხელში ჭიქას, ნა'სად მიურტყა თავისი.

მანანამ ბოლომდე დალია და ნოდარიც აიძულა დაელია.

—რა უცნაურად იქცევი, რამე მოგიხდა? —ჰკითხა მანანამ.

—ჰო.

—რა მოხდა? ვინმე გყავს ცუდად? ხომ არ დაგეღუპა ვინმე ახლობელი?

—არა.

—აბა რა მოხდა? უბრალოდ განწყობაზე არ ხარ? მე მოგიყვან განწყობაზე. —თქვა მანანამ, წამოდგა და მუსიკა ჩართო.

—ძლიეს დენი გვეღირსა და ეხლა მაინც გამოვიყენოთ. შემდეგ ნოდარის გვერდით დაჯდა. ლოყაზე ხელი მოუთათუნა, თმებში თითები შეუცურა და უთხრა:

—თუ გინდა, რომ სიცოცხლით დატკბე, და მისგან სიამოვნება მიიღო, დაივიწყე ყველაფერი, რაც ცუდად გახსენდება და მიიღე ის სიამოვნება, რისი საშუალებაც გეძლევა. თავს ნუ დაიტანჯავ იმის გამო თუ რამეს ვერ შესწვდი და ქვეყნად არავინ არის ისეთი, რასაც მოისურვებს, ყველაფერი რომ მიიღოს. სიცოცხლე კი ერთია და თუ ცხოვრებაზე განაწყენებული, რისი საშუალებაც გაქვს, იმასაც გვერდს შეაქცევ და არ გამოიყენებ, მთელი ცხოვრება უბედური იქნები.

—თუნდაც ის, სამტროდ შემობრუნდეს?

—სამტროდ, დაუფიქრებელი სიტყვა უფრო შემოგიბრუნდება. სჯობს ნაკლები ილაპარაკო. —უთხრა მანანამ, ორივე ხელი სახეზე მოხვია თავისკენ მიიზიდა და ტუჩებზე დაეკონა.

ნოდარი თავიდან თითქოს არ პასუხობდა იგივე გრძნობით, მაგრამ მალე ისიც აჰყვა. მანანა თანდისთან უფრო თავდავიწყებით ჰკოცნიდა... რამოდენიმე წუთი ვნებიანი კოცნის და ალერსის შემდეგ მანანა წამოდგა, ნოდარს ხელი ხელში მოკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა... მეორე ოთახში, რომელიც ალბათ მანანას საძინებელი იყო, ერთი საწოლი იდგა და ლოგინი ჯერაც აულაგებელი იყო. მანანამ ნოდარი საწოლზე დასვა და ტანსაცმლის გახდა დაუწყო. როცა მისი გახდა მოათავა, თავადაც სწრაფად გაიძრო შარვალი და „ბლუსი“ და საცელის ამარა შეეკრა ნოდარისთან ერთად საბნის ქვეშ. ამჯერად უკვე საბნის ქვეშ გააგრძელეს ვნებიანი კოცნა—ალერსი. ცოტა ხანში მისმა საცვალმაც იატაკზე იპოვა დროებითი სამყოფელი.

რამოდენიმე ხანს მათი მფარველი საბანი აბობოქრებული ზღვასავით ღელავდა, რომელიც იშვიათად მცირე ხნით წყნარდებოდა. შემდეგ კი წამოდგნენ. მანანამ კონიაკი დაასხა ჭიქებში, თავისას ხელი წამოაველო და თქვა ღიმილით:

—შენს ასრულებულ სურვილს და მიზანს გაუმარჯოს. ბედნიერი ხარ ეხლა, მიზანი რომ აისრულე? თუმცა მაინცდამაინც არ გეტყობა, თვალები არ გიბრწყინავს ბედნიერებისგან.

—ეს ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა. მე სხვა მიზნები და ოცნებები მქონდა. თუმცა, შენ არ გემდურები. შენ რაც შეგეძლო ყველაფერი დამითმე და თუ მე ოცნებებში რეალობას მოვწყდი, ეს ჩემი სისუსტეა. შენ არაფერ შუაში ხარ. შენ ხომ თავიდანვე მაფრთხილებდი, რომ მეტის იმედი არ უნდა მქონოდა.

ნოდარმა ჭიქა ასწია და თქვა: —მიზნის ასრულებას კი არა, მიზნისკენ სწრაფვის მწარე და ტკბილი განცდების ოროომტრიალში მიღებულ ბედნიერებას გაუმარჯოს, რომელიც გაიძულებს არ დაიძინო, არ მოკვდე და თუნდაც მხოლოდ ოცნებებში, თუნდაც მცდარ მიზნებში, თუნდაც მცირე ბედნიერება განიცადო. —ნოდარმა შესვა სასმისი და ცარიელი ჭიქა დადგა მაგიდაზე. მანანამ ცოტა მოსვა და თქვა:

—შენ ახლა უფრო გულგატეხილი ლაპარაკობ ვიდრე წინათ. რატომ?

—დამთავრდა ჩემი სიყვარული, რომელიც დიდ მიზანს და ოცნებებს კვებავდა, რადგან თვით ოცნება დაინგრა და მიზანს საფუძველი

გამოეცალა. მივხვდი, რომ ცრუ მიზანი მქონდა დასახული და რასაც ვეძებდი, რისკენაც მივისწრაფოდი არ არსებობდა. არ არსებულს, რა თქმა უნდა ვერასოდეს ვიპოვიდი. რეალური შესაძლებლობის მაქსიმუმი მივიღე და მეტი არ არსებობს. ჩვენ მხოლოდ მეგობრები შეგვიძლია ვიყოთ და მეტი არაფერი.

—შენი ვერაფერი გავიგე, თუმცა ნაწილობრივ გეთანხმები. ჩვენ მართლა, მხოლოდ მეგობრები შეგვიძლია ვიყოთ. მეტს არც არასოდეს შეგპირებივარ. შენ სხვანაირი ბიჭი ხარ და ჩემნაირი არც გამოგადგება ცოლად. ალბათ, გულიც ამან გაგიცივა ჩემს მიმართ, რომ ისეთი არ აღმოვჩნდი, როგორსეც ოცნებობდი. ამიტომ მართლა სჯობს, საცოლედ სხვა მოძებნო, ჩვენ კი მეგობრებად დავრჩეთ.

ნოდარმა კონიაკის ნარჩენი მოსვა და თქვა: —ჭკვიანი გოგო ხარ და ძალიან მიკვირს, ასეთ ცხოვრების გზას რატომ დაადექი?

—როგორ ცხოვრებას? —შენსავით ცრუ მიზანი რომ არ დავისახე? აბა, გადახედე ცხოვრებას. ასეთი მიზნებით, მხოლოდ სიცრუეში ექცევიან და ბოლოს მიზანს თითქმის არავინ აღწევს. ოცნებები, ოცნებად რჩება და როცა მწარე რეალობაში შედიან, უფრო მძიმედ განიცდიან, ვიდრე მაშინ როცა არ ჰქონდათ ოცნებები. მე კი იმდენს მაინც ვახერხებ, რომ რეალურ ცხოვრებაში, ოცნების გარეშე ვიცხოვრო, თუნდაც სანახევრო ბედნიერებით.

—დარწმუნებული ხარ, რომ ეგ უფრო მეტი ბედნიერებაა, ვიდრე თუნდაც ყალბი ოცნებით მიღებული ფანტაზიურ- რომანტიკული გრძნობებით გამოწვეული სიამოვნება? არა მგონია ამ გრძნობებს არ იცნობდე და ეხლა თუ არა, რამდენიმე წლის წინ, მომწიფების ასაკში, მაინც არ გქონოდა ასეთი ოცნებები, მაგრამ თვითონ დაამსხვრიე ეს ოცნებები და სამომავლოდაც გააქრე საერთოდ. ეხლა კი, რაც დაგრჩა, იმით გინდა თავი დაიმშვიდო და უაზრო ცხოვრება ბედნიერებად მიიჩნიო. მაგრამ ხარ კი ბედნიერი? არის კი ასეთი ცხოვრება მართლა შენი მიზანი? თუ...

—კარგი რაა, სულში ნუ მიძერები. რა თქმა უნდა მეც მქონდა ოცნებები, მაგრამ მე არ დამინგრევია. —თქვა მანანამ და ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მერე თვალები გაუწყლიანდა, ცრემლი ჩამოუგორდა და თქვა:

—ქალად ყოფნა ისეთი საზიზღრობაა, ვერ წარმოიდგენ. ერთხელ დაშვებული შეცდომა, შეიძლება საბედისწორო აღმოჩნდეს და მთელი ცხოვრება დაგიმახინჯოს, გთხოვ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მართალია მე დავამსხვრიე ჩემი ოცნებები. ამის გამო მართლაც არ მაქვს მე ოცნების უფლება და მისით გამოწვეული ბედნიერების განცდა. მეტი რაღა დამრჩენია. ბედი სადაც გადამაგდებს, მის შედეგს უნდა შევეგუო.

ნოდარი გაჩუმდა. ცრემლის დანახვაზე შეცბუნდა და დაიბნა. მანანასგან ასეთ პასუხს და თვალზე ცრემლს არანაირად არ მოელოდა. თავს თოთქოს დამნაშეევედ თვლიდა და რა ეთქვა აღარ იცოდა. საუბარი ისევ მანანამ განაგრძო.

—მე შენი შეყვარება არ შემიძლია და კიდეც რომ შემეძლოს, ჩემნაირ გოგოს არ იმსახურებ. არც შენ შეგიძლია ჩემნაირი გოგოს შეყვარება

და აქამდეც თავს იტყუებდი. კარგია რომ დასრულდა, შენი ჩემდამი სიყვარული, თორემ მე ეს უფრო მტანჯავდა, რადგან იგივეთი არ შემეძლო მეპასუხა არც შენი დაკარგვა მინდოდა. და არც შენი მოტყუება. წადი ეხლა და თუ შეგიძლია, ცუდად არ გამიხსენო, ესეც საკმარისი იქნება ჩემთვის.

–მაპატიე, მანანა. ცუდად გამომივიდა. შენი წყენინება არ მინდოდა.

–არა, ნოდარ. ცუდად არაფერი გითქვამს და არც არაფერი მწყენია. უბრალოდ მივიწყებული წარსული გამახსენდა. ის დრო, როცა ყველაფერი ლამაზ ფერებში მეჩვენებოდა და ვერ ვგრძნობდი, რომ იმ ყვავილებიან მდელოზე მიმავალი ბილიკი, რომელზეც მე ვიდექი, თურმე ეკლებით სავსე და ჭაობისკენ მიმავალი ყოფილა. ეხლა კი ყველაფერი გვიანია. იმ ჭაობს ისე მივეჩვიე, რომც შემეძლოს, გამოსვლის სურვილიც აღარ მაქვს, ამაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც აღარ მინდა.

–რატომ გგონია ყველაფერი გვიან? გვიანი არასოდეს არ არის. მთავარია შენ მოინდომო.

–ხომ გითხარი, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. თუ შენ ჩემთვის კარგი გინდა, წადი, შენი შესაფერისი კარგი გოგო იპოვე, დაქორწინდი მასზე და მე თავი დამანებე. შენ თუ ბედნიერი იქნები, მეც გამიხარდება, თუ არა და თავს დამნაშავედ ვიგრძნობ. ჩვენ კი თუ მართლა შეგიძლია და მოისურვებ, მეგობრებად დავრჩეთ.

ნოდარი ადგომას და წასვლას არ აპირებდა. მანანა მიხკენ გადაიხარა ლოყაზე აკოცა და უთხრა: –წადი თორემ, ეხლა ჩემი მშობლების მოსვლის დროა და უხერხულია.

ნოდარი წამოდგა და უთხრა: –მე წავალ, მაგრამ იცოდე, მე შენი კეთილის მყოფელი ვიქნები ყოველთვის და თუ რამეში გამოგადგები, ყოველთვის მზად ვიქნები მოგემსახურო, დაგეხმარო და არაფერში დამზოგო.

–კარგი, მჯერა შენი. –უთხრა ღიმილით მანანამ. ნოდარი კი კარისკენ წავიდა, კიბე ჩაიარა და ქუჩაში გავიდა.

იმ დღიდან ორი კვირაზე მეტი გავიდა. ნოდარს ხშირად ახსენდებოდა მანანასთან გატარებული დრო. საუბარი და ის ბოლო შეხვედრა. ეხლაც იჯდა ეზოში და მასზე ფიქრობდა. ახსენდებოდა მასთან ურთიერთობის სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი მომენტები და შინაგანი განცდაც შესაბამისად იცვლებოდა. ზოგჯერ ჩვეულებრივი, დინჯი, ჩაფიქრებული ადამიანის სახე ჰქონდა, ზოგჯერ სიამოვნების ტალღა გადაუვლიდა და მცირე ღიმილი აღებეჭდებოდა სახეზე, ზოგჯერ კი აღელდებოდა. აღელვების დროს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატებოდა და ხელებსაც უცნაურად ამოძრავებდა. ხან წინ წასწევდა თითქოს ვიღაცას რაღაცას ეკითხებოდა, ხან უაზროდ ამოძრავებდა, თითქოს ზედმეტი იყო და სად წაეღო, როგორ მოეშორებინა არ იცოდა, ხან კი თავს მოიფხანდა.

–მაინც რატომ გავაკეთე ეს? ეს ხომ უსინდისობაა? ჩემი მიზანი ხომ მასთან სექსი არასოდეს ყოფილა? ეს ხომ გულში არასოდეს გამოვლია? რატომ ჩავიდინე ეს, უბრალოდ მის ნებას დავყევი თუ სხვა რამ იყო? უბრალოდ დაუფლების სურვილმა ჩამადენინა, თუ

წარუმატებელი სიყვარულის განცდამ? უსუსურობის შეგრძნების განსადევნად, საკუთარმა სიამაყემ, ერთგვარი სამაგიეროს გადახდის სურვილი გამიჩინა ფარულად, თითქოსდა დამარცხებულად რომ არ ვიგრძნო თავი? ან იქნებ სხვა არაფერი იყო, და უბრალოდ ცხოველური ჟინი მომეძალა, რომელმაც დაიპყრო ჩემი გონება, უსუსურად მაქცია, ცხოველური იმპულსების წინააღმდეგ და ამით დავიკმაყოფილე ეს ცხოველური ჟინი? რა ვიცი? ან იქნებ ყველაფერი ერთად? ერთი კია, რომ იმ დროს სხვანაირად მოქცევის ძალა არ მქონდა, ეხლა კი რომ ვუფიქრდები, არასწორი მგონია ის მოქმედება. ფაქტიურად თუ რამ იყო ჩემში დარჩენილი, იმ ჩემი წმინდა სიყვარულისგან, საბოლოოდ წაეშალე ამ ქმედებით. მასკი თურმე ვყვარებივარ, მაგრამ არ მიმხელდა და არ იმჩნევდა. იმიტომ რომ დარწმუნებული იყო, მისი ცხოვრების წესის შესახებ რომ გავიგებდი, ცოლად არ წავიყვანდი. ამიტომ არ უნდოდა ცრუ იმედები შეჰქმნოდა და თავისსაკე გულში იკლავდა ამ სიყვარულს. ნანობს, რომ ასეთი ცხოვრება აირჩია და ეხლა იძულებულია, საკუთარი სიყვარული გულში ჩაიკლას. როგორ თქვა? ერთი საბედისწერო შეცდომა მთელს ცხოვრებას ამახინჯებსო? ცრემლიც ხომ ამიტომ ჩამოუგორდა, რომ ნანობს და თანაც როგორც სჩანს, ძალიან. კი მაგრამ, თუ მართლა ასე ნაობს, მაშინ რატომ არ შეიცელის ცხოვრების წესს? რატომ დადის გიორგევიჩთან და მის მსგავსებთან? რატომ ხდება მათი გართობისა და დამცირების საგანი? თუ არ უნდა, და არ სიამოვნებს ასეთი ცხოვრება, ვინ აიძულებს ასე მოიქცეს? საერთოდ აღარ გაეკაროს მათ და მორჩა. მაგრამ, როგორც ჩანს სწორედაც მოსწონს და სიამოვნებს ასეთი ცხოვრება. მიეჩვია და სხვანაირად ცხოვრება არც ახსენდება. როცა დაფიქრების საშუალება ეძლევა, მაშინ კი ნანობს, მაგრამ კვლავ იმ ცხოვრებას განაგრძობს. "რომც შემეძლოს, ჭაობიდან გამოსვლის სურვილი აღარ მაქვსო" ესეიგი, სურვილიც აღარ აქვს, რომ წესიერ ცხოვრებას დაუბრუნდეს. არა, სურვილი კი აქვს, მაგრამ ვეღარ ძლევს იმ ცხოვრებას, რომელსაც მიეჩვია. ალბათ რაღაც დამატებითი იმპულსი სჭირდება, რომ ფსიქოლოგიური გარდატეხა მოახდინოს. კი, მაგრამ თუ მე შევუყვარდი, განა ეს არ არის საკმარისი იმპულსი, რომ თავის ფსიქოლოგიაში გარდატეხა შეიტანოს? იქნებ ეგეც მხოლოდ სურვილი იყო, რომ შეეყვარებოდი და სინამდვილეში არ ვუყვარდი? იქნებ ამიტომაც ამბობდა, მე შენი შეყვარება არ შემიძლიაო. იქნებ აღარ შესწევს ამის უნარი? ტყეში ბერიკაცმაც ხომ ასე თქვა: სხვადასხვა კაცებთან, ქალს სიყვარულის უნარი უკვდებაო... მე? მე კი მიყვარდა მართლა? რატომ მითხრა, არც შენ შეგეძლო ჩემნაირი გოგოს შეყვარება და თავს იტყუებდიო. იქნებ მართლა არც მე მიყვარდა და ამას გრძნობდა? რა არის საერთოდ სიყვარული და რას ჰქვია ნამდვილი სიყვარული? თუ ნამდვილი ითქმება, მაშასადამე არსებობს ყალბიც. ეს ყალბი როგორიღაა? იქნებ მე ყალბად მიყვარდა და ნამდვილი მეგონა? თუ მართლა მიყვარდა, მაშინ რატომ არ შემიძლია ეხლაც მიყვარდეს? რატომ არ შემიძლია ვაპატიო მას მისი წარსული? ესეიგი ამ სიყვარულს პიროვნული სიამაყე და ეგოისტური ამბიცია ძალავს. თუ ასეა, ესეიგი მართლა არ ყოფილა

ნამდვილი სიყვარული. მაშ რა იყო ეს? ნუთუ მართლა ჩემს თავს ვატყუებდი? ხომ ვგრძნობდი სიყვარულს? მაშ რა იყო ის, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი? არასრული სიყვარული?... მართალია. ეს არასრული სიყვარული იყო. მე მანანა არ მიყვარდა. მე მისი ქალურობა, მისი მომხიბვლელობა მიყვარდა და არა კონკრეტული ქალი-ადამიანი. სწორედ ასეა. როცა მე, პირველად მანანას სიყვარულზე ფიქრი დავიწყე, უფრო ადრე სიყვარული მენატრებოდა ქალთან, –მომხიბველელ ქალთან და ასეთი ქალის ძებნა დავიწყე. როცა ჩემს მეხსიერებაში მომხიბლველი მანანა ამოტივტივდა, არჩევანიც მასზე შევაჩერე, მასზე ფიქრი დავიწყე. ამ ფიქრებით ოცნების იდეალური სამყარო შევქმენი და მანანაც იქ გადავიყვანე. უფრო სწორად მანანა კი არა, მისი მომხიბველელი ორეული გადავიყვანე და მასთან ერთად ამ ფანტაზიურ, იდეალურ სამყაროში დაეფრინავდი. მაგრამ როგორც კი ეს სამყარო ნამდვილს შეეჯახა, ყველაფერი დაიმსხვრა და სიყვარულიც გაქრა. შედეგად კი ის მივიღე, რომ თურმე ნამდვილი სიყვარული არც ყოფილა. მე თურმე მანანას ორეული მიყვარდა და არა მანანა. როგორც კი გაირკვა, რომ ასეთი ორეული არ არსებობს რეალობაში, აღმოჩნდა რომ სიყვარული არც არსებულა. აი თურმე რაზე ამბობდა ბერიკაცი „შენ რაზეც ფიქრობ, მოკვდება და მერე მიხვდები, რომ არც არსებულაო“. მე კი მეგონა მანანა მოკვდებოდა. თუმცა სწორედ მანანა მოკვდა, მხოლოდ არა რეალური, არამედ ჩემი შექმნილი მისი ორეული. ასე ალბათ მარტო მე არ დამემართა და სხვასაც ემაროება, ალბათ ეს არის მი'ხე'ხი იმის, სიყვარულით რომ ქორწინდებიან და მალევე იყრებიან. ალბათ მათაც გარეგნული სახე უყვართ, მისი ორეული და არა მისი შინაგანი პიროვნება – ადამიანი მთელი თავისი ავკარგიანობით. შეუღლების შემდეგ კი, სხვა რეალობაში მოხვედრილებს წარმოსახვითი სიყვარული უქრებათ და რეალური სიყვარულისთვის ძალა არ ჰყოფნით., ნამდვილ მიზეზს ვერ ხედავენ ოჯახის დანგრევის და სხვადასხვა მიზეზს ეძებენ. ზოგი რძალს აბრალებს, ზოგი დედამთილს, ზოგი ასტროლოგიურ შეუთავსებლობას თუ სხვა ათას მიზეზს. სინამდვილეში კი უბრალოდ ძალა არ ჰყოფნით ერთიმეორე ნამდვილი სიყვარულით შეიყვარონ. წინათ ასეთი ცხოვრების წესი იყო, ოჯახის შექმნისადმი სწრაფვა, მისდამი ერთგულება და სიყვარული აიძულებდათ ურთიერთ სიყვარულიც ჰქონოდათ. ეხლა კი, როცა ოჯახის დანგრევა დიდ ტრაღედიად აღარ ითვლება და ასეთ ადამიანებს ზოგჯერ ტელევიზიით და ჟურნალ-გაზეთებით დადებით გმირებადაც კი წარმოგვიდგენენ, ოჯახური სიყვარულსა და სიმტკიცისაკენ სწრაფვის ფსიქოლოგიური ძალა შესუსტდა, ამიტომაც ადვილად ინგრევა ოჯახები. ალბათ ეს ჟურნალისტები არ ფიქობენ იმაზე, რომ ხელს უწყობენ სხვისი ოჯახების დანგრევას, ან იქნებ შეგნებულად აკეთებენ ამას? “ევროპელები” ხომ უნდა გავხდეთ, დასავლეთიდან შემოსულ ცუდს, ხომ ადვილად ვიღებთ. კარგს კი ვებრძვით, შემოსულსაც და საკუთარსაც. აბა რა ქქნათ? როგორც დღეს პრესიდან და ტელევიზიიდან მიგვითითებენ, ევროპელობა თუ გვინდა, საკუთარი ეროვნული და სულიერი უნდა გავანადგუროთ.

არა მგონია ევროპელებეს ასეთი, სულიერად დაცემული ხალხი სჭირდებოდეს.

ნოდარს მობეზრდა ფიქრი, წამოდგა და ქუჩაში გავიდა.

ქუჩაში არავინ ჩანდა, ლაპარაკით, რომ გართულიყო და უნებლიედ ჯიხურისაკენ წავიდა. ჯიხურში როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ქეთინო დაუხვდა. მან თბილად გაუღიმა და უთხრა: —სად დაიკარგე ბიჭო. ჩვენი დაძმობა თუ მიიეიწყე, საქმიანი პარტნიორები ხომ მაინ ვართ. რატომ აღარ გამოჩნდი?

—არც დაძმობა დამვიწყებია და არც პარტნიორობა, მაგრამ თქვენ ისე კარგად უძღვებით საქმეს, რომ ჩემმა ჩარევამ, შესაძლოა უფრო ცუდად იმოქმედოს საქმეზე. ამიტომ სჯობს იშვიათად მოვიდე. შენ კი უკვე გათხოვილი ხარ. ჩემზე, როგორც ძმაზე, უფრო ახლობელი გყავს მეუღლე და ჩემი ძმური საჭიროება ამ მხრივაც უფრო იშვიათი გახდა. თქვენთან ყოფნა და ურთიერთობა კი მსიამოვნებს, მაგრამ თქვენს ოჯახურ სიმყუდროვეს ჩემი ხშირი სტუმრობა შეიძლება არ გამოადგეს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ხალხის თვალშიც ცუდად გამოჩნდება.

—შენი სტუმრობით ვერც მე და ვერც გიას სიმყუდროვეს ვერ დაგვირღვევ, რადგან ორივესთვის ძალიან ახლობელი ხარ. ასეთი ახლობელი კი როგორიც შენ ხარ, პირიქით, ოჯახურ სიმყუდროვეს ახალ სტიმულს მატებს. ხალხი კი... რომელი ხალხი? როცა ჩვენ გვიჭირდა მაშინ სად იყო? როცა მე განადგურებული ვიყავი, სიკვდილს ვნატრობდი და საკუთარ თავს ცოცხლებში აღარ მივიჩნევდი, მაშინ ვინ მანუგეშა? ეხლაც მახსოვს ზოგიეროის დამცინავი, ღიმილიანი სახე.

—შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ ხალხი ხალხია და კარგია თუ ცუდი, ჩვენი გარემოცვაა. მათი წიაღის ნაწილი ვართ და გვინდა თუ არ გვინდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ. ხალხი ჭრელია და ყველა კარგი ვერ იქნება, ისევე როგორც ცუდი ვერ იქნება ყველა.

—ეგ მესმის და სწორედ ამიტომ ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულებით ვერ ვიქნები. თუ ვერ შეეძლებ გავარკვიო, ვინ არის ჩემთვის კარგი და ვინ ცუდი, თუ ხალხს შესაბამისად ვერ დავაფასებ, მაშინ უმადურობა ჩემსავე სულს წალეკავს.

—დედა როგორ გყავს? რამდენი ხანია არ მინახავს და არც კი მომიკითხია.

—არაუშავს. ახლა უკეთესადაა. მას შემდეგ რაც წამლებს უკლებლივ და განუწყვეტლივ იღებს საგრძნობლად გამოსწორდა. უკვე ეზოშიც გამოდის. რამდენჯერმე აქაც გამოვიდა, დაათვალიერა.

—მისი ჯანმრთელობის გამოსწორებაზე ალბათ იმანაც იმოქმედა, რომ შენ უკვე მეუღლე გყავს და ამის დარდი აღარ აწუხებს.

—ხო, ალბათ ასეც არის. გია უყვარს და მისი ძალიან კმაყოფილია.

—შვილიშვილებს რომ დაინახავს, მერე უფრო გაიხარებს. —თქვა ნოდარმა და შემდეგ ჰკითხა: —გია სად არის?

—სახლშია. ეხლახანს წავიდა. დავუძახო?

—გამარჯობათ ანგელოზებო! —მოესმა ხმა ნოდარს, შებრუნდა და კართან მიახლოებული კიბო დაინახა.

—როგორ მიხვდი, რომ ანგელოზები ვართ, ფრთები რომ არ გვაქვს? —ჰკითხა ღიმილით ნოდარმა.

—ფრთები რომ არ გაქვთ, სწორედ ამიტომ ხართ ანგელოზები, თორემ ფრთები, რომ გქონდეთ, აფრინდეთ და ხალხს ზემოდან დაჰყურებდეთ, შეიძლება ყვავებად ქცეულიყავით. ადამიანს ტანჯვა და გაჭირვებასთან ჭიდილი აქცევს ანგელოზად, თორემ ორი ფუ—თი ცხოვრება ღორად გაქცევს.

—ეგ ორი ფუ—თი ცხოვრება რაღაა? —ჰკითხა იმ წუთას ეზოდან გამოსულმა გიამ და თან ორივეს მიესალმა.

—ორი ფუ—თი ცხოვრება, იმ კაცის ცხოვრებაა, ვისაც ნების ყოფიერება არ გააჩნია და უნებისყოფოდ ცხოვრობს, სურვილებისა და გემოვნების მონადაა ქცეული. ასეთ ცხოვრებას კი ფუ—ფუ—ნებით ცხოვრება ჰქვია, ხოლო ასე მცხოვრებელს —კაცი რომელიც ღვთის ძალას —ნებას აფურთხებს.

—მდიდრებს გულისხმობ? — ჰკითხა ისევ გიამ.

—მდიდრებს კი არა, უსაქმურებს. შეიძლება კაცი მდიდარი იყოს, მაგრამ მთელს თავის ცხოვრებას მიზანდასახულ შრომაში ატარებდეს. და შეიძლება ღარიბი იყოს, მაგრამ ლოგინში მწოლიარეს ცეცხლი, რომ მოეკიდოს. ნატრობდეს, ნეტა ვინმე შემოვიდეს და ჩააქროსო.

—ესეიგი შენ როგორც ამბობ, გაჭირვება და ტანჯვა აქცევს კაცს ანგელოზადო, მაშასადამე, დღევანდელ გაჭირვებულ და გაუბედურებულ ჩვენს ხალხში ბევრი ანგელოზი დაიარება. თუ ასეა, მაშ ჩვენი მთავრობა გონიერი ყოფილა, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა. —თქვა ნოდარმა.

—მთავრობა ისე ყოროლს, მისი გახრწნილი სულის გამო, რომ იქ, იმ სუნში კარგის დანახვა, თუ მართლა რამე მოიძებნება მათ ნამოქმედარში, ძალიან ძნელია, მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ ხალხის ასეთმა მდგომარეობამ გამოაჩინა ვინ ვინ არის. იმ დრომდე, როცა ხალხს არ უჭირდა და ასე თუ ისე დაკმაყოფილებული იყო, მატერიალურად, არ ამყღავნებდა თავის სულის გამოძახილს, ეხლა კი, ამ გაჭირვებამ ყველას ნიღაბი ახადა და გამოჩნდა მისი ქვეშეთი, ვინ ანგელოზია და ვინ მხეცი. და თუ ზოგიერთი განსაკუთრებით პოლიტიკოსთაგან ჯერ კიდე იყენებს ნიღაბს, დიდი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, მალე მათი სახეც გამოჩნდება და ყველა ნახავს. საკითხავი ისაა, ხალხი თუი ისწავლის ამდენი გამოცდილების მერე მაინც, ნიღბის უკან სახის დანახვას, მაგრამ არა მგონია. ხალხის უმრავლესობა კვლავ სტიქიურად და ემოციებით, ხვალინდელი დღის ბედის გაუაზრებლად შემოხაზავს არჩევნებში, ყველაზე პოპულარულ, თავს მოხვეულ კანდიდატს. თუნდაც ის მისი შემჭამელი იყოს.

—ეჰ, ხალხს ვინ ეკითხება? — თქვა ჯიხურის კარში მდგარმა ქეთინომ.

—მითუმეტეს თუ არ გეკითხებიან. შე, კაი ადამიანო, შენ შენს თავს მაინც დაუმტკიცე, რომ არსებობ, რომ შენც სრულუფლებიანი მოქალაქე

ხარ, რომ ამ ერის შვილი ხარ. კარგად გაარკვიე ვინ ვინ არის, აწონ-დაწონე მომავალი და ისე შემოხაზე. შენს შვილებთან და შვილიშვილებთან პირნათელი, სუფთა სინდისით მაინც წარსდგები მომავალში და საგინებელი არ გახდები. თუ არ გეკითხებიან და არაფრად გთვლიან, თვითონ დაიმკვიდრე თავი სრულუფლებიან მოქალაქედ.

ამ დროს ნუგზარი გამოვიდა ქუჩაში თავისი ეზოდან და რაღაცაზე გაღიზიანებული, უკმაყოფილოდ იგინებოდა. ჯიხურის წინ მდგომნი არც დაუნახავს ისე წამოვიდა მათკენ. გზაში კიდევ ერთხელ მოასწრო შეგინება. ქეთინო და იქ მყოფნი, რომ დაინახა კი ისე მიუახლოვდა აღარ შეუგინია.

–რა იყო, რა მოხდა, ვინ გაგაბრაზა ასე? –ჰკითხა ნოდარმა.

–რა ვიცი, ამათი დედაც... ისე დაირევიან ხოლმე დედაჩემი და ჩემი ცოლი, სახლში შესვლა აღარ მოგინდება კაცს. ბავშვებს რა ვუყო, თორემ წავიდოდი სადმე, გადავიკარგებოდი. რა აქვთ ამდენი საჩხუბი, რა ვერ გაიყვეს ვერ გამიგია.

–არაუშავს, გაჭირვებამ იცის. –თქვა გიამ.

–გაჭირვება რა შუაშია? გაჭირვება უბრალოდ მოჩხუბართათვის საჩხუბ მასალას ამატებს, თორემ მიზეზს ყოველთვის გამონახავენ. –თქვა კიბომ და გააგრძელა. –ჩხუბი გაჭირვებამ კი არა, გაუგებრობამ და სხვადასხვა ენაზე ლაპარაკმა იცის, რაც ეგოცენტრულობიდან არის გამოწვეული. სხვასასხვა ენაზე ალაპარაკებამ, ბაბილონის გოდოლი და მთელი შუმერთა ცივილიზაცია დაანგრია.

–ეგოცენტრულობა რაღაა? –იკითხა ნუგზარმა.

–ეგოიზმი. –განუმარტა ნოდარმა.

–მერე, ეგოიზმი რა შუაშია? რა აქვთ ისეთი დედაჩემს და ჩემს ცოლს, რომ ერთმანეთის შეშურდეთ?

–შური სხვა რამეა და ეგოიზმი სხვაა. –გააგრძელა ისევ კიბომ. –ეს ხშირად ეშლებათ. მშური უარყოფითი ფსიქო–სულიერი მოვლენაა, ეგოიზმი კი, თუ მას გონებაც ახლავს დადებითია.

–პირველად მესმის, რომ ეგოიზმი დადებითი ყოფილა. –თქვა ნუგზარმა.

–შური არის, როცა ადამიანი სულიერად განიცდის, როცა სხვას აქვს ან შეუძლია რაღაცის კეთება, ბოღმა აღრჩობს და ცდილობს ხელი შეუშალოს, წაართვას. ეგოიზმი კი არის, როცა მოსწონს და მასაც უნდა, რომ ჰქონდეს. ეს სურვილი, რომ მასაც ჰქონდეს და შეეძლოს, ააქტიურებს, უბიძგებს იმისკენ, რომ თვითონაც მოიპოვოს, შესძლოს და არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ეგოცენტრულობა ერთ-ერთი მთავარი დადებითი თვისებაა ადამიანისა და მისი მეშვეობით ხდება პიროვნების, ხალხის, ერის და რასების განვითარებისკენ სწრაფვა. მის გარეშე არაოუ ცივილიზაციები არ იქნებოდა, არამედ, საერთოდ კაცობრიობა გაქრებოდა. ამ თვისებას უბრალოდ გონების მიერ ზედამხედველობა სჭირდება, რომ ცუდ ფორმებში და თვისებებში არ გადაიზარდოს, როგორიც არის მაგალითად, შური, შური კი ეგოიზმის საზღვრებს გაცილებული, სულიერი დაავადებაა, რომელიც ადამიანს

აბოროტებს, თუმცა ისიც ეგოცენტრულობის ერთ-ერთი, ოღონდ უარყოფითი სახეა.

–მოიცა რა, კიბო, ნუ გამაგიჟე. შენი ფილოსოფიის ნერვები არა მაქ. სად ცივილიზაციაა და სად დედაჩემი და ჩემი ცოლი. რა შუაშია ცივილიზაცია?

–კარგი. პირდაპირ გეტყვი. ჩხუბის მიზეზი ის არის, რომ ვერც ერთი ვერ ითვალისწინებს, მეორის ეგოცენტრულობიდან გამომდინარე გრძნობებს და ვერც თავის საკუთარი ეგოცენტრულობის გრძნობებში ერკვევიან და მის საზღვრებსაც თავისთავად ვერ იცავენ. შენი ცოლი არ ითვალისწინებს, რომ ვიდრე იმ ოჯახში შემოვიდოდა, იქ ოჯახი არსებობდა და გათხოვების შემდეგ იმ არსებული ოჯახის, რიგითი წევრი გახდა. არ ითვალისწინებს, რომ იმ ოჯახს ჰყავდა დედა, რომელმაც მისი ახლანდელი ქმარი ცხრა თვე მუცლით ატარა, შობა, უსუსური ბავშვი გაზარდა, დაავაჟკაცა და ეს ყველაფერი დიდი ტანჯვითა და სიყვარულით გააკეთა. ასეთივე ტანჯვით და სიყვარულით შექმნა ოჯახი. ბუნებრივია, თუ მას უჩნდება გრძნობა, შიში, თითქოს მის საყვარელ ადამიანს და საყვარელ ოჯახს ართმევენ. უჩნდება შეგრძნება, თითქოს ის ჩამოწერეს, არასრულფასოვან ადამიანად თვლიან და კუთხეში მიაგდეს. და თუ ამის გამო თავდაცვითი რეაქცია გაუჩნდა, ამაში დანარჩენი ოჯახის წევრებიც და პირველ რიგში კი, რძალი არის დამნაშავე. ხოლო, დედაშენი არ ფიქრობს და არ ითვალისწინებს რძლის მდგომარეობას, თვითონაც ხომ მისივე მსგავსად, ახალი გათხოვილი იყო და მასაც ჰქონდა ამბიციები, სურვილი, საკუთარ ოჯახში მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილიყო. არ იხსენებს თავის ახალგაზრდობას, როცა რძლის მსგავსად, გათხოვებამდე თვითონაც ოცნებობდა გათხოვებაზე, საყვარელ მამაკაცთან თანაცხოვრებაზე და საკუთარი ოჯახის შექმნაზე. არ ითვალისწინებს, რომ მისმა გაზრდილმა, საყვარელმა ვაუმა თავისი მეორე ნახევარი უნდა მოძებნოს და თავისი სიყვარული გაუნაწილოს. არ ითვალისწინებს, რომ ეს ბუნებრივი და აუცილებელი მოქმედებაა, ეს ტრაგედია არ არის, ეს შვილის დაკარგვას არ ნიშნავს და მათ თავიანთი სასიყვარულო ოჯახური გრძნობების გამოსახატავი არეალი სჭირდებათ.

–ნოდარ, შენთან მოვიდნენ –უთხრა გიამ, სახლის მიმართ ზურგით მდგარ ნოდარს და მიანიშნა მისი სახლის წინ გაჩერებულ "მოსკვიჩზე"

ნოდარი შებრუნდა. დათოს მანქანა იცნო და სახლისკენ წავიდა. კიბომ კი გააგრძელა საუბარი, რომელიც ნოდარს უკვე აღარ ესმოდა.

დათომ და ნოდარმა მოიკითხეს ერთმანეთი...

–ეხლა მარწყვობის სეზონი დაიწყო და ალბათ მკრეფავებისათვის მოხვედი?

–არა, ამის გამო არ მოვსულვარ. მკრეფავები მყავს, შენ თუ ვინმე გინდა გამოგზავნო წავიყვან. ზეგ ვკრეფავ. დღეს ცოტა მოვკრიფე და შენც წამოგიღე. –თქვა დათომ და ავტომანქანიდან პატარა, მარწყვით სავსე ვედრო გადმოიღო.

–ამდენი რად მინდა, ვის ვაჭამო, მარტო ვცხოვრობ?

–ახალი მოკრეფილია და მალე არ გაფუჭდება. 2-3 დღე გაძლებს.

ნოდარმა ვედრო გამოართვა და უთხრა:

–წამოდი, სახლში შევიდეთ, არ შემოდიხარ? ვილაპარაკოთ... –უთხრა ნოდარმა და ორივე ეზოში შევიდა.

–როგორ მიდის შენი მოსაელიანობის საქმე? –ჰკითხა ნოდარმა

–მოსაელიანობას კარგი პირი უჩანს. როცა არ წვიმს სულ მინდორში ვარ და ცუდი რატომ უნდა იყოს, მაგრამ ფასი არაფერს აქვს ნორმალური და რა ყრია ამ შრომაში? ხომ იცი, ამით მხოლოდ საკუთარი თავის გამოკვებაც ჭირს და ოჯახი რომ მყავდეს, ნამდვილად ვერ შვეძლებდი. ამიტომ ვფიქრობ, რა საქმიანობა წამოვიწყო, რომ ცოტაოდენი შემოსავალი მქონდეს. მოსავალი რომ არ მოვიდეს, ან გვალვამ გააფუჭოს, ან სეტყვამ, ან რაიცი რა ჭირმა, მაშინ ხომ მეც მშიერი დავრჩები და მომავალ ოჯახსე როგორ ვიფიქრო?

–ხო, მართლა... როგორ არის შენი სიყვარულის საქმე? აღარ გინახავს მაია?

–არა. მას შემდეგ რაც მისმა ძმამ დანით დამჭრა, ახლოს აღარ მეკარება. იქნებ მართალიც არის მისი ძმა, ნება რომ დართოს და გამომყვეს ცოლად, რით უნდა ვარჩინო ოჯახი? პაპაჩემმა იცოდა ანდაზა: „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ნიტრა საფანელიო“. ცოლის მოყვანას და ოჯახს, ათასი წვრილმანი და მსხვილმანი სჭირდება, რომელსაც ფული უნდა. თუ ფულის შოვნის შნო არ მაქვს, ცოლის მოყვანასეც არ უნდა ვიფიქრო. მარტო სიყვარულით ვერ გამოვკვებავ ოჯახს.

–ნათქვამია „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“. რაკი გაჭირვება და უფულობაა, ამიტომ ოჯახები აღარ შიექმნას? გაწყდეს ერი? შენ ეცადე, ცოლი მოიყვანე და ღმერთი არ გაგწირავს, შენს სამყოფ სარჩოს მოგცემს. გატოკდები, რაღაც სხვა საქმიანობასაც მოინახავ და როგორმე იცხოვრებ.

–ხოდა, მეც მაგას ვამბობ, ჯერ გავტოკდე, საქმიანობა გამოვნახო და ცოლის მოყვანასე მერე ვიფიქრო.

–არა ხარ მართალი. ასეთი ფიქრით უიმედობაში ჩავარდები, ვეღარც საქმიანობას გამონახავ და აღარც ცოლის მოყვანასე იფიქრებ. ეხლაც თუ გამონახავ საქმეს ხო კარგი, თუ არა და ცოლს რომ მოიყვან, ოჯახურ ტვირთს რომ იგრძნობ კისერზე, ის გაგააქტიურებს და გაიძულებს მონახო გზა. შენ ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ უიმედობაში ჩავარდი, რადგან სიყვარულის განხორციელების საშუალებას არ გაძლევენ. ასე არ ვარგა. მოიცადე, იქნებ ჭკუასე მოვიდეს მაიას ძმა და ყველაფერი კარგად დამთავრდეს, თუ არა და ქვეყანა დიდია, სხვა სიყვარულს ნახავ. შენი თავი მარტო შენ არ გეკუთვნის. შენ შენი ერის, გვარის და ქვეყნის საკუთრება ხარ. ამისთვის ვალდებულებები გაქვს და უნდა შეასრულო. გვარს და ერს შვილები, – მომავალი თაობა უნდა გაუზარდო.

–ეეჰ, ეგ მაღალფარდოვანი სიტყვები ჰაერში, რომ არ დაიკარგოს, ცხოვრების შესაძლებლობებით, შასაბამისი პირობებით უნდა იყოს გამაგრებული. ასეთი პირობები კი არ არსებობს.

–თუ მოინდომებ, პირობებსაც გამონახავ. მთავარია უიმედობამ არ შეგიპყროს.

—მე რომ მასწავლი, შენ თვითონ რატომ არ მოიყვან ცოლს? ეკონომიურადაც გაქვს შესაძლებლობა, შეყვარებულიც გყავს. რაღას ელოდები, რატომ არ მოგყავს?

—ჩვენი საქმე დამთავრდა.

—როგორ, დამთავრდა? რატომ დამთავრდა? უარს გეუბნება?

—ერთი კვირის წინ მასთან ვიყავი სახლში. მშობლები არ იყვნენ და ერთადაც ვიწექით.

—მერე? შენ ისეთ კატეგორიის კაცად არ გთელი, მიზნად მხოლოდ ქალთან დაწოლა,რომ აქვთ, ლამაზი სასიყვარულო სიტყვებით აბრუებენ და თავისას, რომ აისრულებენ, მერე სიგარეტის ნამწვავივით მოისვრიან. რომ დაგნებდა ამის გამო დამთავრდა შენი სიყვარული? თუ მართლა გიყვარს, ეს ხომ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია, მიზნის განსახორციელებლად?

—არა. საქმე ამაში არ არის. სიყვარული იქამდე მორჩა, ვიდრე ეს მოხდებოდა. ეს კი სრულიად შემთხვევით მოხდა და არაფერი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს სიყვარულზე.

—ვერ გავიგე ვერაფერი. გოგო გიყვარდა, მერე გადაიყვარე, მასთან იწექი და ამბობ არაფერი გავლენა არ მოუხდენია ამას სიყვარულზეო? ის გოგო დაღუპე და მეტი რაღა გავლენა გინდა?

—მე არავინ დამილუპავს. რაც მოხდა, მისი ნებით მოხდა.

—როგორ მისი ნებით, ის ხომ გენდო? ის ხომ შენს სიყვარულს ენდო და ამიტომ მოიქცა ასე?

—არა, მე მისთვის ერთ-ერთი მორიგი გამრთობი თაყვანისმცემელი ვიყავი. თუმცა შეიძლება ცოტა ვუყვარდი კიდეც, მაგრამ თავის თავს სიყვარულის უფლებას არ აძლევდა, რადგან ამის ღირსად არ თვლიდა თავს. ნამდვილი სიყვარული, რომ მქონოდა მისდამი, არ ვიცი ალბათ ვაპატიებდი კიდეც ყველაფერს, თუკი ამად ღირს, მაგრამ რომ დავფიქრდი, აღმოჩნდა, რომ მე ის არ მიყვარდა. მე მას არცკი ვიცნობდი კარგად და როგორ უნდა მყვარებოდა? მე ჩემს ოცნებაში, მისი სახის ჩემი ფსიქოლოგიური ორეული შევქმენი და ის მიყვარდა. როცა რეალობის წინაშე დავდექი და ჩემი შექმნილი მისი ფსიქოლოგიური ორეული ნამდვილს შეეჯახა ჩემი ოცნების მისი ორეული გაქრა. აღმოჩნდა, რომ მე ის პირადად არ მიყვარდა და არც ვიცნობდი. ყოველ შემთხვევაში არ ვიცნობდი იმ დონეზე, რომ ნამდვილი გრძნობა ჩამოყალიბებულიყო, როგორც პიროვნების, როგორც ქალის, როგორც ადამიანის მიმართ, დასაკავშირებლად.

—ვერ გავიგე რას ვერ აპატიებდი. თურმე შენ არ გყვარებია და იმას საპატიებელი რა სჭირს?

—საქმე იმაშია, რომ რამდენიმე თვის წინ სხვა კაცთან ვნახე ტყეში. ეს კაცი მისთვის პირველი არ ყოფილა. ასეთ ცხოვრებას ჩემთან არც მალავდა. ამიტომაც სიყვარულზე სიყვარულით არ მპასუხობდა, მე კი ოცნებებში დავფრინავდი და რეალობას ვერ ვგრძნობდი. ის ჩემთან არაფერშია დამნაშავე. მას ჩემთვის არ მოუტყუებია, პირიქით მიმანიშნებდა კიდეც. რამდენჯერმე მითხრა, რომ გათხოვება არ უნდოდა და ახალგაზრდობით დატკბობა უნდოდა თავის თაყვანისმცემლებში.

–ესეიგი გარყვნილ ცხოვრებას ეწევა?

–ხო, დაახლოებთ ასეა. თუმცა ბოლო შეხვედრისას მასთან რომ ვიყავი, დავრწმუნდი, რომ გულში ნანობს ასეთ ცხოვრებას. ცრემლები ჩამოუგორდა და ერთი საბედისწერო შეცდომა ახსენა. იგრძნობოდა, რომ ეს გულიდან ამოსული სიტყვები იყო.

–ალბათ ვიღაცამ მოატყუა და შეაცდინა. –თქვა დათომ.

–ხო. ალბათ ასეა.

–ვინ იცის მის გულში რა ტრიალებს. თუ ასეა, ეხლა მაინც იცხოვროს წესიერი ცხოვრებით. როგორც ჩანს სუსტი ნებისყოფა აქვს, მშიშარაც არის, უიმედობაში ჩაეარდა, მომაელის რწმენა დაკარგა და თავს ასეთი საქციელით ირთობს.

–ალბათ ასეა. –თქვა ნოდარმა.

ბიჭები წამით დადუმდნენ, მერე დათომ განაგრძო: –რა საშინელებაა ეს ცხოვრება. ათასი გაიძვერა, ფლიდი და ბოროტი ადამიანია. ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულები არიან. თუ მუდმივად ფხიზლად არ ხარ, ერთი შეცდომაც შეიძლება მართლაც საბედისწერო აღმოჩნდეს და მთელი ცხოვრება დაგინგრიოს. ეს მარტო ქალებს კი არა, ბიჭებსაც ეხება. რამდენ ახალგაზრდას გადაუბრუნეს ტვინი თავისი გაელენით ბოროტმა ადამიანებმა და საშინელ ცხოვრების გზაზე დააყენეს. სწორედ ამის გამოა, რომ ქვეყანა იღუპება. სწორი აზროვნება იშვიათსღა აქვს და ისინიც უმცირესობაში ყოფნის გამო დასაცინი უფრო ხდებიან, ვიდრე მაგალითის მიმცემნი და გაელენის მქონენი.

–სამწუხაროდ ასეა. ისღა დაგვრჩენია, იმის იმედი ვიქონიოთ, მიხვდებიან, რომ მარტო სხვას კი არა, თავის თავსაც ღუპავენ ის გაიძვერა და ფლიდი ადამიანები და თანდისთან ნაწილი მაინც გამოსწორდება.

ღუმილი ჩამოწვა და ისევ დათომ დაარღვია –ეხლა რას აპირებ?

–არაფერს. რა უნდა დავაპირო? ცხოვრება მიჩვენებს. ერთი კია, რომ რაღაც სიცარიელეს ვგრძნობ.

–იმედის გაცრუებას გრძნობ? რომ დაგინახე მაშინვე შეგამჩნიე, რომ რაღაც ვერ იყავი ხასიათზე. რაღაც გაწუხებდა. –უთხრა დათომ

–ხო, შეიძლება იმედის გაცრუებას, მაგრამ არა ისეთს, რაღაცის იმედი, რომ გაქვს და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ შენთვის მიუწვდომელი ყოფილა, არამედ ისეთს, როცა თითქმის მიზანს აღწევ და მერე ხვდები მიზნის უსუსრობას, სიცარიელეს. თურმე რასაც ეძებდი, ის არ ყოფილა. საცოდავად ვგრძნობ თავს, როცა მახსენდება, ის იმიტომ კი არ დაწვა ჩემთან, რომ სიყვარულის ძალამ იმოქმედა, მისთვის უბრალოდ ერთ-ერთი რიგითი მამაკაცი ვიყავი და კიდევ იმიტომ, რომ შეეცოდე, როგორც ტანჯული შეყვარებული კაცი და ამ სიყვარულისთვის თითქოს დამაჯილდოვა, ვალი გადამიხადა. კარგად იცოდა, რომ ამით ჩემი სიყვარული მისდამი დასრულდებოდა და სწორედ ამიტომ, თითქოს გამანთავისუფლა ტანჯვისგან, უიმედო ოცნებისგან. –თქვა ნოდარმა.

–შენ ხომ უკვე აღარ გიყვარდა?

–ხო, მაგრამ მან ხომ არ იცოდა. მე სიყვარული მწყუროდა და ამ წყურვილმა ილუზიური მანანას ორეული შემაქმნევინა, რომელსაც

ვეტრფოდი და ვაღმერთებდი. ილუზია კი რეალობა არ არის. ილუზია გაქრა, რეალობაში კი მანანა, რომელიც უკვე რეალური იყო და არა ილუსირებული ორეული, ჩემი სიყვარულისათვის უცხო აღმოჩნდა. რომ არა შემთხვევითობა და მისი პირადი ცხოვრების უკულმართობა, შეიძლება ისე შევუღლებულიყავით, რომ ჩემს გრძნობებში ვერც გავრკვეულიყავი და ვინ იცის აეწყობოდა კი შემდგომში ჩვენი ურთიერთობა და სიყვარული? მე ამას ვერ ვხვდებოდი, ის კი უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, მიხვდა და ცუდად არ გამოიყენა. პირიქით მიმანიშნებდა.

—შენ ფილოსოფიურ-ფსილოგიური ექსპერიმენტი ჩაგიტარებია. —თქვა მხიარული კილოთი დათომ, რითაც შეეცადა საუბარი მხიარულ ტონში გადაეტანა. მაგრამ ნოდარს მისი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და განაგრძო:

—ყინ იცის რამდენი ახალგაზრდა ცდება ასე და სიყვარულის ილუზიით ულლდებიან. ალბათ ამიტომაც არის, რომ ბევრ, თითქოს დიდი სიყვარულით შეულლებულებთ რამოდენიმე თვეში თუ წელში უთანხმოებები ეწყობათ და ისევ ცილდებიან ერთიმეორეს. წინათ უმეტეს წილად გარიგებით ულლდებოდნენ და ორივე მხარემ იცოდა, რომ ეს იყო სამუდამო, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთად უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ შემგუებლური განწყობით იყვნენ ყოველთვის და წერილმანებით ტრაგედია არ იქმნებოდა. ეხლა ასეთი განუყრელობის შეგრძნება თითქმის არავის აქვს და სიყვარულობანას თამაშობენ, შედეგ'ს კი არ ფიქრდებიან, რაც ხშირად ცუდად მთავრდება, ამით ზიანს აყენებენ თავისთავსაც, ახლობლებსაც და მომავალ თაობასაც.

—აბა რა ქნან, არ შეიყვარონ? სიყვარულის აწონ-დაწონა დაიწყონ? ბევრი ფიქრი ხომ საზიანოა? ისედაც ზოგნი გაჯირვებით წყვეტენ შეულლების საკითხს, ბევრს თუ იფიქრებენ ხომ ვერ გადაწყვეტენ? ვერ ხედავ, როგორ შემცირდა დაქორწინებები? თუ ჭკუაში ჩავარდნის ასაკამდე ვერ დაქორწინდნენ, მერე უჭირთ, ათას წვრილმანზე ფიქრობენ და ველარ ქორწინდებიან.

—მე სიყვარულის წინააღმდეგი კი არ ვარ, ყალბი და მოჩვენებითი სიყვარულის წინააღმდეგი ვარ, ემოციურად რომ შეუჩნდებათ ტვინში, ენებას აჭყვეტიან და სიყვარული ჰგონიათ, თორემ ნამდვილ სიყვარულს რა სჯობია? სწორედ იმიტომ შემცირდა დაქორწინება, სწორედ იმიტომ ფიქრობენ ბევრს, რომ ყალბმა მოჩვენებითმა სიყვარულმა ნამდვილს სახელი გაუტეხა. სწორედ დაფიქრებაა საჭირო. დაფიქრება იმისთვის, რომ გაერკვნენ, რამდენად ნამდვილი და გულწრფელი სიყვარულია. აუცილებელია გაერკვნენ სიყვარული უყვართ, რომელიც მიმართულია რომელიმე საწინააღმდეგო სქესის პირისადმი თუ თვით ეს პიროვნება უყვართ, რომელსაც გააჩნია ჩვეულებრივი ადამიანური კარგი და ცუდი თვისებები. თუ სიყვარული უყვარს და არა პიროვნება, მაშინ შეულლების შემდეგ მათი ერთად ცხოვრება შეიძლება ჯოჯოხეთად იქცეს, ხოლო თუ პირადად, ის ადამიანი უყვართ, მაშინ მას ცუდ თვისებასაც ადვილად შეეგუება და რაღაც წვრილმანი არ იქცევა აუტანელ საშინელებად.

—რა ვიცი, იქნებ მართალიც ხარ, ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს სიყვარულში მაიასადმი და მის სიყვარულში, ჩემდამი, ვერც თამაშობას

ვხედავ და ვერც ადრენალინით გამოწვეულ სიამოვნებას. ჩემს სიყვარულში ასეა, სხვა დიდი გამოცდილება არ მაქვს და რა ვიცი.

–თქვენი მდგომარეობა სულ სხვაა. თქვენ ეხლა გაქვთ დიდი სირთულე და მიუხედავად ამისა, მაინც გიყვართ ერთმანეთი. ესეიგი თქვენი სიყვარული გამოცდას უძლებს და ნამდვილია. ამ შემთხვევაში, მოჩვენებითი სიყვარული ვერ იქნება.

–არ ვიცი, მე მაინც მგონია, რომ სიყვარულს დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. უბრალოდ უნდა გიყვარდეს და მორჩა.

–ხო, მართალია, უბრალოდ უნდა გიყვარდეს და მორჩა. მეტი არაფერი, მაგრამ პიროვნება უნდა გიყვარდეს და არა რომანტიკული სასიყვარულო განცდა. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ ეხლა, ამ დროისათვის ასე ვფიქრობ და მე მგონი ეს თემა სამსჯელოა ნამდვილად. ერთი რამ კი ნამდვილად ცხადია, სიყვარულის ძალის საერთო დონე ბოლო წლებში საგრძნობლად დაქვეითდა და ეს მოხდა არა მარტო შეყვარებულებსა და ცოლქმარს შორის, არამედ საერთოდ ნებისმიერ სფეროში. მეზობლებს შორის, მეგობრებს შორის, ნათესავებს შორის, და შიგნით ოჯახის წევრებს შორისაც კი. შვილს მშობლები აღარ უყვარს ისე, როგორც წინათ იყო და მშობლებსაც შვილი უფრო სხვანაირად, როგორც თოჯინა ისე უყვართ და არა როგორც საკუთარი შვილი, მომავალი ოჯახის შემქმნელი, ერის შვილი და მოქალაქე.

–შენ უკვე ამ თემატიკის ისეთ სიღრმეებში შედიხარ, რომ მე მოსაუბრედ ვერ გამოგადგები. ამისათვის სხვა სამოუბრო კაცი გჭირდება. მე ღრმა ფილოსოფიური აზროვნება არ გამაჩნია.

–ეს ღრმა ფილოსოფიური აზროვნება არ არის. ეს უბრალო ცხოვრებისეული საკითხის გარკვევაა, თუმცა ვისაც ღრმა ფილსოფიური აზროვნების უნარი აქვს, არც მას დაჰყოლია ცოდნა დედის მუცლიდან. საერთო ცოდნის ამაღლება და საკითხებში ჩაღრმავება შესაძლებლობის მიხედვით, ყველას შეუძლია და იქნებ ვალიცაა ყველასი. ერთი აზრი მომივიდა. ხვალ თავისუფალი ხარ?

–კი. თუ ზეგისთვის მკრეფავები დღესვე მოვამზადე, თავისუფალი ვარ.

–მაშინ ერთ რამეს შემოგთავაზებ. ზემოთ, ტყეში ერთ კაცს ვიცნობ. საკმაოდ ფართოდ განათლებული კაცია. მე მასთან რამდენჯერმე ვიყავი და ბოლოს, გიაც თან მახლდა. ორივე ძალიან კმაყოფილები ვართ მასთან საუბრით. იქნებ ხვალ წავსულიყავით მასთან.

–ის კაცი რა, ტყეში ცხოვრობს?

–ჰო, ტყეში ცხოვრობს.

–მუდმივად? იქ რას აკეთებს? ასეთი განათლებული თუა, ჩამოვიდეს ხალხში და საქმე აკეთოს.

–ეს მისი საქმეა სად იცხოვრებს. მისი ცოდნა-განათლებიდან შეიძლება ყველაფერი სხვანაირად ჩანს და როდის სად ჯობს მისი ყოფნა, მან უკეთესად იცის. ჩვენ კი თუ გვინდა მასთან საუბარი და რაიმეს სწავლა, რაიმეს გარკვევა, რაც ჩვენ არ ვიცით, იქაც შეგვიძლია მივიდეთ. ცოდნა, რომელიც საძებარია უფრო დაფასებულია. გზაზე თუ ყრია არავის უნდა.

–იმ ტყეში მასთან იმისთვის მივიდე, რომ ამიხსნას სიყვარული რა არის?

—მას სიყვარულის კი არა, უამრავ სფეროში უდიდესი ცოდნის გადმოცემა შეუძლია თუ კი დაძრავ, თუმცა, არც სიყვარულია ჩვენთვის მთლად გარკვეული. შორიდან, რაც არ გინახავს, იმაზე ნუ იმსჯელებ. წამოდი და თუ არ იქნები კმაყოფილი, შემდეგში ნუ წამოხვალ.

—კარგი, შენი ხათრით წამოვალ. სოკოს მაინც დავკრეფთ.

—კიდევ ერთი წინადადება მაქვს, მხოლოდ ეს უკვე სადღეისო. წავალ ეხლა და გიას დავუძახებ, მაინც არაფერს ვაკეთებთ. ცოტა წავიქეიფოთ და ღვინო დავლიოთ, რისთვის მინდა, ხომ არ უნდა დაცხარდეს? თან ვისაუბრებთ, გავეროობით და დაახლოებით წარმოდგენა შეგვექნება, რაზე ვისაუბრებთ იმ კაცთან ტყეში.

—კარგი ა'ხრია თუ ძალიან არ გაგვიგრძელდება.

მეორე დილით ნოდარის მანქანით სამივე გზას გაუდგა ტყის მიმართულებით. ავტომობილი კვლავ საქონლის ბინასთან დატოვეს და იქიდან ფეხით გააგრძელეს გზა. გზაზე ზოგიერთ ადგილებში, განსაკუთრებით, სადაც მზე ნაკლებად უდგებოდა, ტალახი იყო, ამიტომ ცოტა უჭირდათ სიარული.

—კიდე შორია? — იკითხა დათომ შეწუხებული სახით, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ.

—ჯერ სად არის, ჯერ ხომ ეხლა დავიწყეთ სვლა. —უპასუხა გიამ.

—მაინც რამდენ ხანში მიეალთ?

—ალბათ საათნახევარში. —უპასუხა ამჯერად ნოდარმა.

—რას ამბობთ, გაგიჟდით? ასეთი რა უნდა თქვას იმ კაცმა, რომ ამხელა მანძილ'ზე და ასეთ ტალახში სიარულად ღირდეს? ეგ რომ მცოდნოდა ნამდვილად არ წამოვიდოდი.

—რატომ არ წამოხვიდოდი, საქმე მაინც არაფერი გაქვს სახლში.

—საქმე არ მაქვს დღეისთვის, მაგრამ ამხელა მანძილ'ზე ტყუილად სიარული სისულელეა.

—ტყუილად რატომ მოდიხარ? მართლა მოდიხარ. —თქვა ნოდარმა.

—„უქმად ჯდომას, უქმად შრომა ჯობიაო" არ გაგიგონია? თუ საქმე არაფერი გქონდა, აქ სეირნობა არა სჯობია სახლში ჯდომას? თანაც, რომ გამოვიელით სოკოს დავკრეფთ. ხომ ხედავ რამდენია. რამდენსაც შევძლებთ, იმდენი შეგვიძლია წავიღოთ. აქ, შორს, რომ არის, არავინ მოდის ამისთვის, თორემ ქვემოთ, სად ნახავ სოკოს, ვინ გაცდის. ამოსელას არ აცლიან ისე კრეფენ.

—სეირნობა და მერე ასეთ ტალახში? მაინც რას წარმოადგენს ასეთს ის კაცი, რომ ამხელა მანძილ'ზე დადიხართ ფეხით?

—გუ'შინ ხომ გელაპარაკეთ? ჩვენი მონაყოლი რა თქმა უნდა არ იქნებოდა ისეთი სრულყოფილი, როგორც მისი. ჩვენ ხომ ბევრი რამ აღარც გვახსოვს. —თქვა გიამ.

—მე რომ ვიყავი პირველად, თქვენობით მივმართე და ასე მითხრა, ღმერთს თუ შენობით მიმართავ, მე რა, მასზე აღმატებული ვარ, რომ თქვენობით მომამართავო? თანაც ერთი ვარ და არამრავალიო. ამიტომ სჯობს შენიშვნა რომ არ მიიღო, შენობით უნდა ილაპარაკო მასთან. —თქვა ნოდარმა.

—ეგ რა უცნაური კაცი ყოფილა. ყველას სიამოვნებს თქვენობით რომ მიმართავენ და... ისე კი სწორია. ერთი ადამიანისადმი მიმართვა რატომ უნდა იყოს მრავლობითი? ეს რა კულტურა და ზრდილობაა, თუ ამახინჯებ რელობას და გრამატიკას? ასეთი სიყალბე რატომ უნდა იყოს სასიამოვნო მოსასმენი?

—იქ რომ მივალთ იმას ჰკითხე და გეტყვის, ასეთი სიყალბე რატომ დამკვიდრდა კულტურად. —თქვა გიამ.

—ის რა პროფესორია? ყველაფერი როგორ ეცოდინება? —თქვა დათომ.

—ყოველ შემთხვევაში რა თემასაც შეეეხეთ, ყველაფერში ჩვენზე მეტი იცოდა. პროფესორი ვინღა გგონია? პროფესორებმა, პროფესორობა თავის სპეციალობაში მიიღეს და არა საერთო განათლებაში. —თქვა ნოდარმა.

—კარგი ეხლა არ თქვა, რომ პროფესორებზე მეტი ვიციო.

—რა თქმა უნდა შეიძლება გამოიძებნოს ისეთი რამ, რაც მე ვიცი და პროფესორმა არა. მაგალითად ვაზის გასხვლა. აბა მოიყვანე მათემატიკოსი ან ფიზიკოსი, მაჯობებს გასხვლაში?

—მასე თუ მივყვებით ყველა პროფესორი გამოვა. — თქვა დათომ.

—ამიტომაც არ შეიძლება აიწონოს, ვინ მეტი იცის და ვინ ნაკლები. —თქვა ნოდარმა —უბრალოდ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ვის რა უყრია თავში და ვის რა დადებითი საქმე ეწიფება ხელს. წოდებებით კი არ უნდა განვსაზღვროთ, არამედ მისი ნამოქმედარით და შესაძლებლობებით. ხომ გაგიგია "საქმემან შენმან გამოგაჩინოსო". თუ ეს ყველას ეცოდინება და ამით იხელმძღვანელებს, მაშინ სიტყვებით ვეღარ გაბრუვდებიან, ღირსეული ადამიანები გამოჩნდებიან საქმეში და ქვეყანა აშენდება.

—წუხანდელი საუბრიდან ასე გაიგე, რომ ესეიგი ჩვენ ვართ ამირანი, ანუ პრომეთე და ჩვენ ვართ, შავი ვეშაპის, ანუ შავი ცნობიერების მუცელში. ასეა? —იკითხა დათომ.

—ჰო, თითქმის ასეა. უფრო ზუსტად კი, ჩვენ კი არა, ჩვენი გონებაა ამირანი ანუ პრომეთე და მუცლის ცნობიერებაში ვართ გამომწყვდეული, რის გამოც ჩვენში ანუ ადამიანებში შავი, ამბიციური და ბოროტული, მომხვეჭელური ცნობიერებაა გაბატონებული. —განუმარტა ნოდარმა.

—ჯაჭვებიდან როდის უნდა გამოიხსნას?

—რა დროს ჯაჭვებიდან გამოხსნაა, ჯერ ვეშაპის მუცლიდან არ გამოსულა.

—ამბიციების გარეშეც ხომ არ შეიძლება ცხოვრება? მე ვარსებობ, მაშასადამე ამბიციები უნდა მქონდეს, სხვაგვარად ხომ ცხოვრების ინტერესს დავკარგავ და უაზრო გახდება ცხოვრება? — თქვა დათომ.

—ამბიციებს გააჩნია. მთავარია საიდან მომდინარეობს ის ამბიცია. შენ რომ ჭამა გჭირდება, გარკვეული ქონება გჭირდება ნორმალური ცხოვრებისთვის ეს ხომ ცხადია, მაგრამ ამისთვის ქმედება არ უნდა სცილდებოდეს ტრადიციულ, მორალურ ჩარჩოებს. ქმედება არ უნდა მომდინარეობდეს ბოროტული აზრიდან, მშურიდან და მარტივი ცხოველური გრძნობების დაკმაყოფილების სურვილიდან. უნდა იშრომო, იღვაწო, შექმნა რაც გინდა ისე, რომ სხვას ზიანი არ მიაყენო, არც ეხლა და არც სამომავლოდ.

დათო ცოტა ხანს დაფიქრდა. შემდეგ ისევე გააგრძელა შეკითხვები. ასე, წინა საღამოს განხილულ საკითხებზე საუბრით გაიარეს ბერიკაცის ქოხამდე მანძილი. ამჯერად ცდილობდნენ უფრო ფართოდ და გარკვევით ჩასწვდომოდნენ ამ საკითხებს. ამასობაში ქოხამდეც მიაღწიეს. მათთვის, განსაკუთრებით კი დათოსთვის, რომელმაც პირველად გაიგო ბევრი საკითხი, ზოგი რამ უფრო მეტად ნათელი და გასაგები გახდა.

ბერიკაცი ქოხთან ახლოს ბოსტანს თოხნიდა. ბიჭებმა ჩანთები დააწყეს და ბოსტნისკენ წავიდნენ. ბერიკაცმა მათ დანახვაზე თოხნას თავი ანება და მათთკენ წამოვიდა.

—სხვა თოხები არ გაქვს, ჩვენც მოგეხმარებით? —უთხრა ნოდარმა მისალმების შემდეგ.

—არც სხვა თოხები მაქვს და არც სათოხი მაქვს ბევრი. იმდენია, რამდენსაც ადვილად მოვერევი მარტოც და თქვენ დაღლილებს, ამით არ გაგაწვალებთ. მადლი კი უკვე ჩაიდინე, რაკი ეს აზრი გაიელვ გულში. ეხლა სხვა მადლზე ვიფიქროთ... გხედავთ უკვე სამნი გამხდარხართ. სამძალიანობა მნიშვნელოვანია ყველგან და ყველაფერში და თქვენთანაც იქნებ სარგებლიანი გამოდგეს. სხივშემოქმედებაშიც სამი ძირითადი ფერის სხივისგან უამრავი ფერის მიღება შეიძლება. —თქვა ბერიკაცმა და ოთხიევმ ქოხისკენ ნელი ნაბიჯით დაიწყეს სვლა.

—სად ისურვებთ საუბარს, გარეთ დავსხდეთ თუ შინ შევიდეთ? ხომ არ შეგიციდებათ გარეთ? დაღლილები იქნებით...

—ალბათ გარეთ სჯობს. მთის ნიავი კია, მაგრამ უკვე საკმარისად თბილა. —თქვა ნოდარმა და ბიჭებს გადახედა.

—კი, გარეთ სჯობია. —თქვა გიამაც და ოთხიევ ხის ქვეშ, მაგიდასთან მდგარ სკამებზე მოთავსდა.

—ეს რანაირი ქოხია? ქოხი კი არა სახლია, ეგ არის, რომ ქვითკირისა არ არის. —შენიშნა დათომ, რომელიც ინტერესით ათვალიერებდა ქოხს. —ორსართულიანია?

—თუ გინდა შედი და დაათვალიერე. —უთხრა ნოდარმა დათოს.

დათომ წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. მაშინ ნოდარი წამოდგა და უთხრა: წამოდი მე გამოგყვები, როგორც სჩანს მარტოს გეხათრება.

დათოც წამოდგა და ორივე ქოხისკენ გაემართა.

—როგორ გყავს ცოლშვილი? —ჰკითხა ბერიკაცმა გიას.

—შვილი ჯერ არ მყავს. ცოლი ფეხმძიმედაა და მგონი ნორმალურადაა.

—რაკი შვილი ჯერ თვალთახედვის არეში არ არის, ამიტომ შვილად არ თვლი? თუ მისი ჯანის სიმრთელეზე არ შეიძლება საუბარი? თუ ასე მხოლოდ მხედველობით თვალსაწიერში შეგიძლია მსჯელობა, მაშინ აქ რატომ მოდიხარ? ჩვენ ხომ სწორედ თვალსაწიერის მიღმა მოვლენებზე ვსაუბრობთ და არა უბრალოდ ხილულ მოვლენებზე?

—არა. ეს უნებლიედ მომივიდა. მეგონა ფიქრობდი, რომ შვილი უკვე მყავდა.

—მართალია, ასე ვფიქრობდი და დამიდასტურე კიდეც, რომ ასეა. თუმცა ჯერ დამოუკიდებელი არ არის, მაგრამ შვილი უკვე გყავს. დიდად განსხვავებულად დამოუკიდებლები არც ჩვენ ვართ, მაგრამ

ჩვენს თავს ვთელით, რადგან თვალით ვხედავთ. მას კი მხოლოდ გონებით ვხედავთ, მაგრამ მაინც ხომ ვხედავთ? გონიერი ადამიანები თავის ცნობიერებაში უხილავ სამყაროს კი არა, თვალხილულსაც გონების თვალით ხედავენ და სწორედ ასე შეიძლება, მისი სრული სახით დანახვა. თვალი გონებისთვის ინფორმაციის ერთერთი წყაროა და არა ერთადერთი, ამიტომ თუ მხოლოდ თვალის ინფორმაციას დაეეყრდნობით ყოველთვის შეგვაცდენს, რადგან ეს ინფორმაცია არასოდეს იქნება საგნის თუ მოვლენის ამსახველი სრული სახე. თუ ბავშვის უსუსურობის და არა სრულყოფილების გამო არ ჩავთვლით ჩვენთან თანაბარ უფლებიან არსებად, მაშინ არც თვალხილულთაგან, მიწაზე, რომ დაიარებიან, მათგან არის ვინმე სრულყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავს სრულყოფილად თვლიან. თავიანთი ზნეობრივ-არსული შესაძლებლობების მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობენ, რის გამოც ვერ აღწევენ, სულიერად რომ აღარფერი ეთქვათ ფიზიკურადაც კი სრულყოფილებას. ის ბავშვი კი, მართალია დროისა და სივრცის ამ ეამში უსუსურია, მაგრამ გაცილებით სრულყოფილია სხვებთან შედარებით. გაუცნობიერებლად მაგ ბიჭს ბევრი ელის და ბევრისთვის მოიტანს შვებას და სიკეთეს.

—რა იცი... საიდან იცი, რომ ბიჭია? იქნებ გოგო დაიბადოს?

—აკი გითხარი, დროის სხვა ეამში იმაზე უფრო გონიერი და სრულყოფილი ვაუკაცია, ვიდრე დღეს ხედავ შენს ირგვლივ ხალხს. ეამი მხოლოდ ის არ არის, რომელშიც შენ არსებობ დღეს. ეამი მომავლისა და ეამი წარსულისა ერთადაა შერწყმული სხვა განზომილებაში, საიდანაც ყოველივე ჩანს. ახლანდელი დრო კი მხოლოდ უგანზომილებო პირობითი საზღვარია ამგანზომილებაში დროთა ეამისა.

—ესეიგი, სხვა ეამში ხედავ ჩემს შვილს? მომავალში?

—რა საინტერესო ქოხია. მარტომ როგორ გააკეთე? ალბათ დაგეხმარნენ, თორემ მარტოსთვის ხომ შეუძლებელია? —თქვა აღფრთოვანებულმა დათომ, რომელიც ქოხიდან გამოვიდა.

—ის რაც აუცილებლად გჭირდება, გონიერების ფარგლებში უნდა შეეჭიდო. ჭიდილში გზაც გამოჩნდება. თუ არ შეეჭიდები, კი ვერ გაიგებ შეგიძლია თუ არა. თუ მარტო ვერ ერევი, დამხმარეც გამოგიჩნდება. თუ არ შეეჭიდე, შენს ნაცვლად, შენს საქმეს არვინ გააკეთებს.

—მართალია, მაგრამ ადამიანი ყოველის შემძლე ხომ არ არის? ყველას ხომ არ შეუძლია ყველაფერი? ხომ ბრძნული გამონათქვამია „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო."

—აკი ვთქვი მხოლოდ გონიერების ფარგლებში. სირთულეებმა კი არ უნდა შეგაშინოს, გონიერად უნდა გადაწყვიტო, სჯობს თუ არ სჯობს. სირთულეს გაექცე ეს უსუსურობის გამოვლინებაა, შეეჭიდო ცუდს და სულელურს კი უგუნურობის გამოვლინებაა. უსუსრობა სენია, რომელსაც ნება კურნავს. თუ ნებას მოიკრებ და შენში მისი ყოფიერება გაჩნდება, სიძნელეებიც არ შეგაშინებს. ნებისყოფა ადამიანის სულში უმნიშვნელოვანესი საჭირო ძალაა, იმისთვის, რომ რაიმე დადებითი

ქმედითუნარიანობა გამოაელინოს. მის გარეშე კი მართლაც უსუსური არსებაა ადამიანი.

—ასე ადვილია გადაწყვიტო სჯობს თუ არ სჯობს? ხომ ხდება ისეც, რომ გონებით გადაწყვეტ საჭიროებას მართლაც კარგ საქმეში, თითქოს ნებისყოფაც გაგაჩნია საიმისოდ, რომ ხანგრძლივად ეჭიდო ადვილად მოგვარებად საქმეს, მაგრამ რაღაც ისეთი გამოჩნდეს, რომ არ მოგცეს საშუალება ამ საქმის განხორციელებისთვის?

—თუ სიყვარულს გულისხმობ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ურთულესი გადასაჭრელია, თავის შედეგს მაინც გამოიღებს. მთავარია ყოველთვის სწორად მიუდგე და შეცდომები არ დაუშვა. ნამდვილი სიყვარული ღვთაებრივია და მას შესწევს ძალა ბოროტების დასათრგუნად.

დათოს მოეჩვენა, რომ ბერიკაცმა იცოდა მისი სიყვარულის შესახებ და ამიტომ უნებლიედ ნოდარს გადახედა. ნოდარიც მიუხვდა გადმოხედვას და ანიშნა, მე არაფერი მითქვამსო.

—მაგრამ თუ ამისთვის ვინმეს შეწირვა გახდა საჭირო, თუნდაც ეს ბოროტების განსახიერება იყოს, განა ეს დასაშვებია?

—თუ შენ, შენს სიყვარულში ბოროტებას არ გარეე და სუფთად შეინახავ, მაგრამ მსხვერპლი მაინც შეიწირა ამ სიყვარულმა, ეს უკვე მისი უკეთმარიი ქმედების შედეგი იქნება და არა სიყვარულის მიზეზით გამოწვეული. სიყვარულთან ბრძოლაში, თუ იგი წმინდაა, თავად იმსხვრევა ბოროტება. ნამდვილი სიყვარული უზენაესი და უყაქიზესი ჰარმონიულობის განცითარებადი აღმშენებლობითი ძალაა და ამიტომ არაფერს ებრძვის. იგი მხოლოდ თავის ნაყოფს იცავს. რაკიღა სიყვარული შესდგება, ბოროტება უძლური ხდება მასთან ბრძოლაში. მას მხოლოდ სიყვარულის აღმოცენების დროს აქვს უნარი, დანგრევისა და ხელის შეშლისა.

—თუ ასეა, მაშ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში" რატომ დამარხცხდა სიყვარული? — თქვა დათომ.

—ეს ბრძნული და მხატვრული გამონათქვამი, სწორედ იმის გამოხატულებაა, რომ ასეთი დიდი ბოროტებაც კი, რაც იმ სიყვარულის ირგელიე ტრიალებდა, მასთან ბრძოლაში მაინც დამარცხდა. სიყვარული კი უფრო აღზევდა და საუკუნობით დამატებითი ბიძგი გახდა სხვა სიყვარულის აღმოცენებისთვის. —ერთი ბავშვობაში გაგონილი ანეგდოტი გამახსენდა. მიტოს ჰკითხეს, არ გინდა ლენინი იყო და მკვდარიო? არაო, უპასუხა მიტომ. რატომო, უთხრეს, საუკუნეობით უკვდავი სახელი გექნებაო. მანკი უპასუხა: აბა წადით და ლენინს ჰკითხეთ, არ უნდა ცოცხალი იყოს და მიტო იყოსო.

—ზოგიერთ ანეგდოტში მართლაც არის რაღაც ბრძნული. —თქვა ბერიკაცმა. —რა თქმა უნდა გვამს ცოცხალი სჯობს, მაგრამ ზოგი გარდაცვლილის სახელი, საქმენი მისი, ნამდვილად სჯობს ბევრ ცოცხალს. ამიტომაც თქვა ვაჟა—ფშაველამ „ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია." დიდსულოვანნი რომ არ ყოფილიყვნენ, დღემდე კაცობრიობა აღარ იარსებებდა და ეხლა თქვენც არ იარსებებდით.

–მაგრამ ცხოვრებაში, რომ ასე არ არის ყოველთვის? –თქვა ნოდარმა. –განა ყველა სიყვარული მთავრდება კარგად? რამდენი ინგრევა და ქრება?

–მე წმინდა სიყვარულზე მოგახსენებ და არა ამბიციურზე, სადაც მიზანი, არა სიყვარული, არამედ სხვადასხვა ეგოცენტრული ამბიციებია. მაგალითად ასეთი, როცა მიზანი უბრალოდ დასაკუთრება, ხელში ჩაგდება და დაუფლებაა. ანდა ისეთი, როცა მყვარებელს თავად ვერ გაურკვევია ვინ და რა უყვარს. ასეთი სიყვარულის საწყისი წმინდა არ არის და ძნელია შემდგომში მისი დაწმინდავება თუმცა შესაძლებელია.

–ამბობენ, სიყვარული ბრმა არისო და ხომ შეიძლება ასეთი ადამიანი შეუყვარდეს, რომელსაც შემდგომში აუტანელი თვისებები აღმოაჩნდეს და ამის გამო გაიყაროს? –ჰკითხა ნოდარმა.

–მე ვთქვი გონიერების ფარგლებში. თუ სიყვარული მხოლოდ გრძნობებიდან მომდინარეობს, ასე ვთქვათ რომანტიკულია, მისი დანგრევა ადვილია და მისეზებიც ბევრი გამოჩნდება, ხოლო გონიერების თანდართვით მძლავრია და არ კვდება. ორი აბსოლიტურად ერთნაირი თვისებების ადამიანი არ არსებობს. გონიერება სწორედ ამას განსაზღვრავს რამდენად შესაძლებელია მასთან თანაარსებობა და აუტანელ და ასატან თვისებების განსაზღვრის თანხვდენილად ხდება სიყვარულის წარმოშობა-ჩამოყალიბება. ასეთ შემთხვევაში სიყვარულში თითქმის არ რჩება საზიანო, დამანგრეველი ელემენტი და სუფთაა. ამავე დროს ნამდვილ სიყვარულს პიროვნების გარდაქმნაც შეუძლია.

–ასტროლოგიურ გავლენას არა აქვს მნიშვნელობა? თუ ასტროლოგიური ჰოროსკოპით ვერ ეწყობიან, შეიძლება მათი შეუღლება? –ჰკითხა გიამ.

–ასტროლოგიური ჰოროსკოპის გათვალისწინება შეუღლებაში მართლაც აუცილებელია პრიმიტიული ფსიქო-აზროვნების ადამიანებისთვის, რომელთაც გონიერება არ გააჩნიათ, რადგან უგონოდ ისინი, პლანეტათა და სხვათა ძალების გავლენის სათამაშოები ხდებიან. გონიერნი კი ამ ძალათა გავლენას თავს ადვილად აღწევენ და თვითონ წარმართავენ თავის სასიყვარულო ცხოვრებას, რადგან გონიერება უფრო მაღალი და ძლიერი ძალებისგან მომდინარეობს, ვიდრე ასტროლოგიური. პრიმიტიული ადამიანისთვის შეიძლება დამანგრეველად იმოქმედოს მხოლოდ იმის გაგებამაც კი, რომ თურმე ასტროლოგიურად არ ეწყობიან. ყველა წარუმატებლობა გამოწვეული საკუთარი უგუნურობით ასტროლოგიურ შეუთავსებლობას დაბრალდება და შეუძლებლად მიიჩნევს „საყვარელ" ადამიანთან ცხოვრებას. თუ კი ადამიანი შეძლებს ფსიქო-ასტროლოგიურ გავლენას შეეწინააღმდეგოს და არ დაემორჩილოს, ამით ის განიცდის სულიერ-გონივრულ განვითარებას და ამაღლებას. ამ შემთხვევაში კი მას უადვილდება დაბრკოლების გადალახვაც.

–ესეიგი, ასტროლოგიური გავლენა მართლაც არსებობს. როგორ ახდენენ პლანეტები ჩვენზე გავლენას? –ჰკითხა გიამ. –თანაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირს?

—ადამიანს ფიზიკური სხეულისა და მისი ფუნქციური ორგანოების გარდა, აქვს ნერვული სისტემა და ფსიქო ცენტრები ტვინების სახით, რომელთაც თავის მხრივ გააჩნიათ სულიერი, ეთერული და კვანტური ენერგეტიკული სისტემა. ეს სიტემა, რომელიც მართავს მთლიანად ადამიანს. ფუნქციონირებს, ესეიგი, წარმოშობს შესაბამის სხვადასხვა სიხშირის იმპულსურ ტალღებს. ადამიანის შინაგანი მართვა, თავისი სხვადასხვა ფსიქოლოგიური გავლენებით, სწორედ აქედან ხდება. პლანეტები და არა მარტო პლანეტები, უამრავი სიხშირის ტალღებს გამოასხივებენ, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის შინაგან იმპულსურ ტალღებზე, აქედან გამომდინარე კი, გავლენას ახდენენ მის ფსიქოლოგიაზე. ერთი და იგივე პლანეტების სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი გავლენა კი იმით არის გამოწვეული, რომ მათი მოძრაობის შედეგად შეცვლილი მდებარეობის გამო, მათი ტალღების ეროიმეორეზე სემოქმედებითი ჯამური გავლენა იცვლება მთლიანობაში ჯამური შედეგობრივი უნარიანობა, ესეიგი, ერთი პლანეტის გამოსხივებული ტალღა, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევს, სხვა პლანეტის გავლენის შედეგად, განიცდის სახეცვლილებებს და მაშასადამე, შესაბამისად იცვლება ადამიანის ფსიქოლოგიაზე გავლენაც. ეს, როგორც ეთქვი, პრიმიტიული ადამიანების მიმართ ხდება. სულიერ-გონიერულად ჩამოყალიბებული, განვითარებული ადამიანი კი, ისეთ გონებრივ სამართავ-იმპულსურ მატერიალს ფლობს, რომლის გავლენა ფსიქო-ეთერულ სამართავ იმპულსებზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე პლანეტათა ტალღების გაულენა და მონდომების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს, ან შეასუსტოს ესა თუ ის გავლენა.

—ვერ გაიგე, რა ტალღებზე და გავლენებზეა ლაპარაკი. – თქვა დათომ.

—ამას წლების განმავლობაში სწავლობენ და შენ რამდენიმე წუთში გინდა ყველაფერში გაერკვე? ეს ისაა, რომელზეც მრავალი წმინდანი თუ ბრძენი მოგვიწოდებდა სიტყვებით „შეიცან თავი შენი.“ თუ არ იცი, ესა თუ ის აზრი საიდან მოვიდა, თუ არ იცი, ამა თუ იმ საქციელისადმი ბიძგი საიდან მოვიდა, განა შეიძლება შეიცნო თავი შენი? თუ არ იცი, რამდენიმე წუთის შემდეგ რა აზრი მოგივა და რას მოიმოქმედებ, თუნდაც არა ჩვეულებრივ, არამედ განსხვავებულ მდგომარეობაში, თუნდაც ვინმეს მიერ შენი გაღიზიანების შემთხვევაში, პლანეტებიც რომ გამოვრიცხოთ, განა შეიძლება თქვა, რომ შენს თავს იცნობ? ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით ფსიქო-ენერგეტიკულად რთული სისტემური შემადგენლობისაა. მას გააჩნია სამყაროს ხილული თუ უხილავი, ღვთაებრივი თუ არაღვთაებრივი ძალთა სისტემის ანალოგიური, მიკრო, სტრუქტურა, ამ სტრუქტურის ცენტრებს შორის კავშირთა განუვითარებლობის გამო ქაოსურად მუშაობს. განა შეიძლება ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში, მისი მუშაობის შედეგობრივი გამოვლინება წინასწარ, ზუსტად განსაზღვრო? განსაზღვრა, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, თუკი ამ სტრუქტურის მუშაობაში გაერკვევი, ესეიგი, შეიცნობ საკუთარ თავს და მას შემდეგ იმუშაევ საკუთარ თავზე, საკუთარ

ფსიქოლოგიაზე, ამ სტრუქტურის მოწესრიგებულად მუშაობისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენში გზა გაუხსნა უმაღლეს კოსმიურ-ღვთაებრივ ძალთა გამოვლინებას. როგორ ფიქრობ, ამას მრავალი წლები და უდიდესი ძალისხმევა არ სჭირდება? და ესეც იმ შემთხვევაში, თუ გაქვს უნარი, შესაძლებლობა და შესაბამისი პირობები. რაკი ადამიანი სამყაროს ხილულ და უხილავ სულიერ და მატერიალურ ძალთა სტრუქტურის, ანუ მაკროკოსმის ანალოგიურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის შესწავლისას სამყაროს საიდუმლოებისკენაც იხსნება გზა და მისი შესწავლაც პარალელურად ხელმისაწვდომი ხდება.

—ამის შესაძლებლობა და პირობები თითქმის არვის აქვს, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, გარდა იმათი, ვისაც ფული აქვს, არ უჭირს და დალხენილი ცხოვრებით ცხოვრობს. ე.ი. თითქმის ვერავინ დაეუფლება ამ ცოდნას და სულიერ განვითარებას? —ჰკითხა გიამ.

—ამას მართლა იშვიათები აღწევენ, მაგრამ არა დალხენილი ცხოვრებით მცხოვრებნი, როგორც შენ თქვი, რადგან მათ ნებიერი ცხოვრება არ აძლევთ საშუალებას ამაზე იფიქრონ, უფრო ნაკლებად უჩნდებათ სურვილი სამყაროსა და ადამიანის საიდუმლოს ჩაწვდომისა. გაჭირვებულად მცხოვრებთ კი, ხშირად გაჭირვება აიძულებთ გაერკვნენ, რა ხდება ამ ქვეყნად, საიდან მოდის და სად მიდის ქვეყნიერება და სვამენ კითხვას „ვინ ვარ მე“?

—მაინც საიდან მოდის და სად მიდის ქვეყნიერება? როგორ წარმოიშვა სამყარო და რა მართავს მას? —ჰკითხა ნოდარმა.

—ამ საკითხზე მე შემიძლია, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ, რადგან როგორც ვთქვი, რამოდენიმე წუთის განმავლობაში შეუძლებელია ასეთი დიდი გონიერების მომცველი ცოდნის გადმოცემაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენგან მის აღქმაზე.

თანამედროვე, ჩვეულებრივი ადამიანი, მის გარემომცველ სამყაროს, ანუ ბუნებას და საზოგადოებას არასწორად აღიქვამს, რადგან მას სუსტი აღქმის უნარი გააჩნია. ამის გამო იგი მის მიერვე ყალბად აღქმულ სამყაროს ილუზირებული ცნობიერების ტყვეობაში ექცევა. ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი, თუ კი მოინდომებს ჭეშმარიტების ჩაწვდომას, ჯერ ეს უნდა გააცნობიეროს, ანუ უნდა ჩაწვდეს ამ სიყალბის რაობას, არა მხოლოდ ცოდნით, არამედ, ფსიქოლოგიური აღქმითაც. თუ ეს ვერ გააცნობიერა, ის ვერ გამოვა ილუზირებულ ცნობიერებიდან და ვერც სწორ აღქმას მოახერხებს. რას ნიშნავს ეს? აი, მაგალითად, ეს ხე, ან თუნდაც შენ თვითონ მიმართა ნოდარს ბერიკაცმა, —არსებობ თუ არა?

—რა თქმა უნდა ვარსებობ. —უპასუხა გაღიმებულმა ნოდარმა და სხვებსაც გაეცინათ. ბერიკაცმა კი განაგრძო:

—დაგეთანხმებით. რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ თუ ამას დოგმად მიიღებ, მაშინ ვერაფერს ჩასწვდები. შენ არსებობ, მაგრამ არსებობ გარკვეული გონებრივი ხედვის კუთხით, თუ გონებრივი ხედვის კუთხეს შევცვლით, მაშინ შეიძლება შენ აღარ არსებობდე ან სულ სხვა სახით იყო. მაგრამ თუკი ასეთ გონებრივი ხედვის კუთხით დაინახავ, ეს არ

ნიშნავს, რომ პირველი, ანუ შენი არსებობა ამ სახით, როგორც ეხლა შეიგრძნობ, არ არსებობს. ესეიგი, არსებობს ესეც და არსებობს ისიც. შენ ნამდვილად არსებობ, მაგრამ არ არსებობ, ან შეიძლება რამოდენიმეც კი არსებობდე.

—ეს რა სისულელეა? მე ვარსებობ ნამდვილად და თანაც ერთი და არა რამოდენიმე. —Წამოიძახა დათომ

—სისულელე ის არის, თავი გენიოსად და ყოელისმცოდნედ მიიჩნიო, აქამდე მიღებული ცოდნა-შთაბეჭდილებების ცნობიერება ერთადერთ, სრულ ჭეშმარიტებად ჩათვალო, არ მოᲣსმინო სხვას, არ ეცადო ახლის ძიებას, აზრის ჩაᲬედომას, და ცნობიერების გაფართოვებას. თუ მომისმენ, რაიმეს გაიგებ.

შენ ხარ ნოდარი. რას ნიშნავს ეს? ვინ ხარ შენ? შენ დაიბადე, დაგარქვეს საკᲣთარი სახელი „ნოდარი“ და დღემდე მოხვედი ასე. დღეის შემდეგაც გაქვს ცხოვრების ანუ სიცოცხლის გარკვეული დრო. ესეიგი, შენ ხარ „ნოდარი“, დროის რაღაც გარკვეულ მონაკვეთში, —დაბადებიდან სიკვდილამდე, მაგრამ ეს მხოლოდ მარტივი ფსიქოლოგიური აღქმის ცნობიერებით. სინამდვილეში კი, თუ კარგად ჩაᲣკვირდებით სულ სხვა სურათს მივიღებთ.

შენ ხარ ამᲟამად, ამ Წუთს და დროის გარკვეულ არეალში, დაბადებიდან სიკვდილამდე. არის კი ეს მართალი? თუ შენ იყავი დაბადებამდე, თᲣნდაც სხვა სახით? ან ამ დროის არეალში კი ხარ ერთი სახის, თუ აქაც ცვალებადი ხარ? და თᲣ აქაც ცვალებადი ხარ, მაᲨინ რა განსხვავებაა, დაბადებიდან სიკვდილამდე არსებობის ცვალებადობასა და დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ ცვალებადობას შორის?

ალბათ, დამეთანხმებით, რომ დაბადებამდეც არსებობდი, თᲣნდაც ის ხანი როცა დედის მᲣცელში ყალიბდებოდი პიროვნულად. „მასალა“ რითაც იქმნებოდი და ყალიბდებოდი იქამდეც არსებობდა. მაᲨასადამე შენ არსებობდი დაბადებამდეც, მაგრამ არა პიროვნული სახით. დაიბადე მაᲨინ, როცა შენთვის არსებᲣული მასალისგან შეიქმენი პიროვნᲣული სახით. რა ხდება დაბადების შემდეგ?

გარდა იმისა, რომ ამᲟამად იმ თოთო ბავშვის სახე აღარ გაქვს, როგორადაც დაიბადე და ამᲟამად ზრდასრᲣული კაცის სახე მიიღე ანᲣ შეიცვალე გარეგნᲣლად, ამავე დროის შინაგანი ნივთიერი შემადგენლობაც და უᲯრედᲣლი შემადგენლობაც მᲣდმივად იცვლებოდა. ე.ი. ის, რაც იყავი, ნივთიერი და უᲯრედᲣული შემადგენლობით ვთქვათ 5 Წლის Წინ, ის აღარ ხარ და შეიცვალე. ის ნივთიერება Წავიდა და მის ნაცვლად, კვების და ჰაერის სᲣნთქვის მეᲨეეობით, თანდათანობით ახალი შევიდა, თუმცა ამ დროში გარეგნᲣლი სახე თითქმის იგივე დარჩა.

იგივე ითქმის მოხᲣცებᲣლობის და სიკვდილის შემდგომ ცვალებადობის ხანაზე. მყისიერად არაფერი ხდება. ყოველ ცვალებადობას გარკვეული დრო სჭირდება, ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ კი ხანგრძლივი. სიკვდილი, ბიოლოგიური სხეᲣლის კვდომას ნიშნავს,

ანუ ერთი განცალკევებული ინდივიდუალური სახით ჩამოყალიბებული ერთიანი ბიოლოგიური სიცოცხლის დასრულებას. ამ სახით გარდაცვალება კი ნიშნავს, სიცოცხლის გაგრძელებას სხვა შეცვლილი სახით, ფორმით და მდგომარეობით. გარდაცვალება, როგორც ბუნებასა და სამყაროში, ადამიანის სიცოცხლეშიც მუდმივად მიმდინარეობს. იგი ციკლურია და ყოველი ციკლის დასრულების შემდეგ სახეს იცვლის, ზოგჯერ ინდივიდუალურად, ზოგჯერ კი სხვა ფორმირებითობის სინთეზში. ესეიგი, გარდაცვალება მუდმივი და მრავალჯერადია, რომელიც ადამიანის ერთჯერად ცხოვრებაში განსაკუთრებულად მკვეთრად, გამორჩეულად, ორჯერ ხდება: „დაბადების," ანუ ჩასახვის და „სიკვდილის" დროს. სიკვდილი კი ერთხელ ხდება, როცა დასრულებულად მკვდარი, ბიოლოგიური სხეული წყვეტს სიცოცხლეს ინდივიდუალური სახით. ესეიგი, გარდაცვალება მიმდინარეობს დაბადებამდეც, დაბადების შემდეგაც და სიკვდილის შემდეგაც. მსგავსად ხდება მეტაფიზიკურ სფეროში. ეხლა განვსაზღვროთ შენი არსებობა დროში. შენ ამჟამად, ამ მყისიერ მომენტში არსებობ, ანუ ამ მყისიერ მომენტში შენი გრძნობითი ორგანოები და აზროვნება აღიქვამს საკუთარ თავსაც და გარემოსაც. წუთის წინაც ასე იყო, იმ მყისიერ მომენტში აღიქვამდი საკუთარ თავს, მაგრამ ის წარსულს ჩაბარდა, როგორც ვთქვათ ათი წლის წინანდელი აღქმა და ამ მომენტში, ის აღქმა აღარ არსებობს. ის შეიძლება, მხოლოდ შთაბეჭდილების სახით მეხსიერებაში დარჩა. არ არსებობს მომავლისაც, რომლის აღქმა მეხსიერებაშიც კი არ არის. ესეიგი, შენს მიერ შენი გრძნობითი და აზრობრივი ორგანოების მიერ აღქმა მყისიერია, ანუ მხოლოდ იმ „წუთიერი" ჟამის მიხედვით ხდება, როცა უშუალოდ აზროვნებ, აღიქვამ და არა სხვა დროში. ამას ახლანდელ დროს ეძახიან. მაშასადამე, შენ მუდმივად ხარ ახლანდელ დროში. ეს დრო კი გარკვეულად განუსაზღვრელია. იგი მხოლოდ პირობითად შეიძლება მიიჩნიო დროჟამის გარკვეულ მონაკვეთად, რადგან მისი დროითი განზომილება იმდენად მცირეა, რომ მას განზომილება არ აქვს. თუ ამას ჩაუკვირდებით გამოვა, რომ ან საერთოდ არ ხარ, ან რაღაც მცირე განუზომელ დროში ხარ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მრავალი წლის განმავლობაში არსებობ (თუმცა ცვალებადობით). შენ იყავი ათი წლის წინ, შენ იქნები ათი წლის შემდეგაც. მაშ ეს ყოფა რაღაა? თუ ჩაეულრმავებით ასეთ დასკვნას გამოვიტანთ: შენ ხარ წარსულში, და მომავალში, რადგან ეხლანდელი დრო უგანზომილებო და განუსაზღვრელია, ოღონდ ცვალებადი ანუ გარდაცვალებადი. ესეიგი, შენ ხარ დროში მუდმივად, მაგრამ გარდაცვალებადი, ანუ სხვადასხვა სახით. ამ სახეს კი განსაზღვრავს კოსმიური გონი და დროჟამი, რომელიც მომდინარეობს კონკრეტულად სამყაროს პირველადი გამოვლინებიდან და მის წყაროს დრო არ გააჩნია, იქ ყოველივე ერთ დროშია ანუ მუდმივია. ეს დრო მხოლოდ გამოვლინებულშია, ესეიგი, შენ ხარ მუდმივი, იცვლება მხოლოდ გამოვლინების დრო და სახე.

სამყაროში კი სინამდვილეში, ეგრეთწოდებული მყარი ნაწილაკი არ არსებობს. ფიზიკური მატერია, რომელიც ჩვენს ირგვლივაა და

რომელიც შედგება მოლეკულური აღნაგობისაგან არ არის მყარი, ნაწილაკოვანი. ამ ქვეყნად მხოლოდ ენერგეტიკულ ველთა ტალღებია. მისი არსით და არსობრივი წეს-გონით. მოლეკულური აღნაგობის შემადგენელი ნაწილაკები მხოლოდ ძლიერი და განსაზღვრული კონცენტრაციის ენერგეტიკულ ველებს წარმოადგენს, რომლებიც ასევე ველებით არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული. არსებობს მხოლოდ ერთი ენერგეტიკული წყარო "აბსოლუტი", რომელიც გამოასხივებს ტალღებს თავისი არსითურთ და შემდგომ ამ ტალღების ინტერპრეტაციით, არსით და წეს-გონით წარმოიქმნება ანუ გამოვლინდება ყოველიფე, სწორედ ამ ტალღების და მისი არს-გონის გამოვლინების შედეგად გვაქვს „ქვეყანა უთვალავი ფერითა", როგორც შოთა რუსთაველი აღნიშნავს. მას გააჩნია ოთხი ძირითადი ველი: –ელექტრული, პროტონული, გრავიტაციული და ფოტონურ-მაგნიტური მომენტი. ოთხივე ველი ერთი ძალის გამოვლინებაა. მთელი სამყარო კი იმართება ორი ძირითადი კანონით: ესაა, სამების კანონი და რვათა კანონი, –სხივის, ანუ რვა ტონის კანონი. ადამიანიც იგივეაა.

იყო დრო, როცა ეს ტალღები არ მოდიოდა, ანუ სამყარო არ იყო წარმოშობილი, და ე.ი. არ ასრულებდა რხევით მოქმედებას. რასაც ტალღა ანუ სხივი უნდა წარმოეშვა. ეს იყო დაახლოებით, 20 მილიარდი წლის წინ. იმ დროს სამყარო არ იყო, მაგრამ იყო პოტენციური წყარო „აბსოლუტი", ანუ პირველადი ძირეული „ატომი". სამყაროს არსი და თვით არსი მასში იყო და ის იყო „განსვენების" მდგომარეობაში. პოტენციურად არსებობდა, მაგრამ რეალურად არ არსებობდა, რადგან არ იყო გამოვლენილი, ე.ი. არ იყო რხევითი მოქმედებაში და არ გამოასხივებდა ტალღებს.

–რას ნიშნავს იყო, მაგრამ არ იყო, რადგან გამოვლენილი არ იყო ის გამოუვლენელი მაინც ხომ იყო? – იკითხა გიამ.

–გაიხსენეთ თქვენთვის ცნობილი ფიზიკიდან კელვინის შკალის 0 გრადუსი, ანუ რომელიც ცელსიუსის შკალით –273 გრადუსია. ნებისმიერი ფიზიკური მატერია გამოვლენილია იქამდე ვიდრე მას რაიმე სითბო გააჩნია აბსოლუტური შკალით, ე.ი. ცელსიუსით –273 გრადუსზე მაღალი. ამ შემთხვევაში ფიზიკური მატერიის შემადგენილი „ნაწილაკები" ანუ მოლეკულები და სხვა, ასრულებენ რხევით მოძრაობებს და რაც მეტია ტემპერატურა ეს ნიშნავს, რომ უფრო ძლიერად ირხევიან.

–კი, ეგ ვიცით. –თქვა გიამ.

–თუ ტემპერატურის კლებისას, რხევის ძალა მცირდება, მაშასადამე უნდა არსებობდეს ზღვარი ტემპერატურისა, როდესაც რხევა საერთოდ ჩერდება. ეს ზღვარია სწორედ მოლეკულური მატერიისთვის აბსოლუტური 0 გრადუსი კელვინის შკალით, ანუ ცელსიუსით –273 გრადუსი. ასეთი ტემპერატურის ქვემოთ მატერია კარგავს გამოვლინების უნარს, ანუ რეალობაში არ არის გამოვლენილი. ჩვეულებრივად, გამოვლენილი მატერიაკი აუცილებლად რხევადია და თანაც საკმაოდ რთულ რხევებსაც ასრულებენ, მაგრამ ეს თვალით, თუ რაიმე სხვა შეგრძნებით ადამიანისგან არ შეიგრძნობა. შეიგრძნობა მხოლოდ შედეგის ნაწილი სითბოს და სინათლის სახით.

—ე.ი. როგორც ვთქვი, იყო დრო როცა ეს ყველაფერი არ იყო, მაგრამ იყო „აბსოლუტი“ ანუ პირველადი ძირეული ატომი, რომელიც იყო “განსვენების” მდგომარეობაში და არ იყო გამოვლენილი. ანუ არანაირ მოქმედებას, არანაირ ენერგეტიკულ თუ სულიერ გამოსხივებას ადგილი არ ჰქონდა. მისი ზომა, ჩვენი განსზომილებით, დაახლოებით 4 მილიარდი სინათლის წლის დიამეტრის ზომის მქონე ბირთვი იყო. შემდგომში, მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, მოხდა „აფეთქება“ ამ ატომის და დაიწყო განშლა. ბიბლიური ენით რომ ვთქვათ კი „თავდაპირველად იყო სიტყვა“ „ღმერთმა თქვა: იქმენ ნათელი და იქმნა ნათელი. ღმერთმან გამოჰყო ნათელი ბნელისგან და დაარქვა მას დღე და ბნელს— ღამე“. მნიშვნელობა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. „თავდაპირველად იყო სიტყვა“ ნიშნავს, რომ “მკედარი”— განსვენებული მდგომარეობიდან “აბსოლუტი” გადაეიდა მოქმედობითობაში, ანუ ამოძრავდა, დაიწყო რხევითი მოქმედება და ტალღების, —როგორც ველური, ასევე კვანტური გამოსხივება.

—„სიტყვა“ რა შუაშია? —იკითხა ნოდარმა.

—„სიტყვა“ სიმბოლურია და ზუსტად შეესაბამება მოელენას. ჩვეულებრივად ადამიანის ნათქვამი სიტყვა წარმოიშვება მაღალ სუბსტანციებში, მისი შესაბამისობით ადამიანის გონებაში, რომელიც გადადის დაბალ სუბსტანციებში და ბოლოს ფიზიკურ მატერიაში, ყელის და ბაგის მეშვეობით ჰაერის ტალღურ მდგომარეობაში მოყვანით. მსგავსად ხდება სამყაროს „სიტყვაშიც“, აბსოლუტიდან აღძრული რხევების შედეგად გასხივებული, ენერგეტიკული ტალღები, რომელსაც თან ახლავს თვითარსიდან გამოსული არს—გონი, ანუ უმაღლესი გონიერების და წესრიგის მწარმოებელი სულიერი ძალა. იმ ძალის და სხივთა შემოქმედებით უნარიანობის მეშვეობით შეიქმნა სხვადსხვა მეტაფიზიკური და ბოლოს, ფიზიკური სამყაროები. ე.ი. ფიზიკური მატერიაც არის ამ პროცესის ერთერთი გამოვლინება. ეს პროცესი გაგრძელდება მუდმივად, ვიდრე ეს ენერგიის წყარო ამ სხივებს გაასხივებს. ასე, რომ თუ პირობითად დავუშვებთ შესაძლებლობას, აბსოლუტიდან, ანუ ენერგიის წყაროდან სხივების, ანუ “სინათლის” თუნდაც წამიერ გამორთვას, მაშინ ყოველივე რაც ჩვენს ირგვლივ არის მთელი სამყარო და მათ შორის ჩვენც გავქრებით სამუდამოდ.

—ეს რაღას ნიშნავს, “ღმერთმა გამოჰყო ნათელი ბნელისგან და უწოდა დღე?” —იკითხა გიამ.

—ნათელი ესაა სხივი, ანუ ტალღა, რომელიც გასხივოსნდა უმაღლესიდან უგანზომილებო და უსივრცო “ბნელეთში” და ბნელეთის უკვე გასხივოსნებული ნაწილი დღეა, ხოლო ღამეა ბნელეთის გაუსხივოსნებული ნაწილი, ანუ სადაც არანაირი გამოვლინება და რაიმე რხევა-მოქმედება არ არის.

—უგანზომილებო და უსივრცო რას ნიშნავს? —ჰკითხა ნოდარმა.

—ბნელეთს, სადაც არ არის არაფერი, არა აქვს განზომილება, რადგან განზომილება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გამოვლენილს, შექმნილს. როგორც მათემატიკაში ნული არაფერს თავისთავში რაოდენობრივად

არ მოიცავს, მაგრამ რაიმე სხვა ციფრთან კომბინაციაში შეიძლება განუსაზღვრელად დიდი რაოდენობაც კი გამოვსახოთ, ასევე აქაც. ბნელეთს არ აქვს განზომილება და მასზე ვერ იტყვი, უდიდესი თუ უმცირესი ზომის, მაგრამ მასში შეიძლება უდიდესი ზომის სივრცის შექმნა კოსმიურ ველთა და სხივთა გამოვლინების შემთხვევაში.

—მაშ ციურ სხეულებს თუ სისტემებს შორის მანძილს როგორ ვიგებთ, მათ შორის ხომ სიცარიელეა? —იკითხა დათომ.

—მათ შორის სიცარიელე არ განიზომება. ისინი, შენ რომ სიცარიელეს ეძახი, თვალით უხილავი ველებით, სხივებით და მეტაფიზიკური მატერიებით არის სავსე, ანუ დაკავშირებული. და სწორედ ამის მიხედვით განიზომება. მათ შორის მანძილი ჩვეულებრივი სამგანზომილებიანი სივრცული განზომილებით არის გამოვლინებული, გამოვლინებადობის ერთ-ერთი მახასიათებელით და მას არაფერი აქვს საერთო ბნელეთის ზომებთან. ჩვეულებრივი ცნობიერებით, გაფართოება გვესმის, როგორც რაღაც სივრცეში, რაღაც არსებულის ზომებში გაზრდა, ისე რომ "საგანმა" მის გარეთ, არსებული სივრცის გარკვეული ადგილი დაიკავა. ვოქვათ მაგალითად, ბუშტის გაბერვის შემთხვევაში, ის იკავებს მის ირგვლივ არსებულ სივრცის გარკვეულ ადგილს. სინამდვილეში სამყაროში ასე არ ხდება. სამყაროს განშლა, გაფართოება არ ხდება რაიმე სხვა, უკვე არსებული სივრცის დაკავებით, რადგან გამოვლინება ბნელეთში ხდება და ბნელეთს არ აქვს სივრცე ჩვეულებრივი განზომილებით. იგი რადგან განუზომელია არის როგორც სამყაროს გარეთ, ასევე შიგნით. მაგალითად, მზის სისტემას და მის უახლოეს რომელიმე სისტემას შორის რომ წარმოიქმნას ახალი სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სისტემას შორის მანძილი იზრდება, ახალი სისტემის ზომის შესაბამისად, მაინც ეს არ ხდება ამ ორ სისტემის განზე გაწევით და სივრცის დათმობით. ახალი სივრცე წარმოიშვება არა უკვე შექმნილი სივრცის ხარჯზე, არამედ ბნელეთის გამოუვლენელი სივრცის პოტენციის ხარჯზე.

პირველადი ატომის „გამოღვიძებისთანავე", ე.ი. განშლისა და გასხივოსნებისთანავე დაიწყო დიფერენციაცია, განშლა, გაფართოება, ჩამოყალიბება და სამყაროს ევოლუცია. დაიწყო ენერგეტიკული და მეტაფიზიკური „სხეულების" წარმოქმნა, პირველივე მომენტიდან დაიწყო ფოტონების, ნეიტრონების და ელექტრონების დიდი რაოდენობით წარმოქმნა, დაიწყო აგრეთვე, მცირე რაოდენობით პროტონების და ნეიტრინოების წარმოქმნა. „მეორე დღეს, ღმერთმა შექმნა სამყარო", ანუ „ხილული ცა". ესეიგი, წარმოქმნილი „ნაწილაკების" მეშვეობით, დაიწყო სამყაროს ევოლუცია. თვითარსის, გარდმოსული არს-გონის გავლენით ყალიბდებოდა ახალი სხეულები. შესაბამისი სუბსტანციის გამოვლენის შემდეგ შექმნილი ნაწილაკებით და გამაკვანტებით დაიწყო სულიერი, მეტაფიზიკური და მატერიალური სამყაროს შექმნა, ჩამოყალიბება. პოზიტრონებით დამუხტული ნეიტრონები, ანუ პროტონები, რომლებიც ელექტრონთან ერთად მსუმბუქი წყალბადის ატომს ქმნიან, მიიზიდებოდნენ ერთიმეორისაკენ და დიდ გროვებს ქმნიდნენ, რომელიც

უკვე თანდათან გიგანტურ გროვებად, ანუ პირველად ვარსკვლავებად ყალიბდებოდნენ. ამ გიგანტურ, პირველად ვარსკვლავებში ზემაღალი წნევა და ტემპერატურა იყო. რის გამოც, წყალბადის ატომები ელექტრონებს კარგავდნენ. უელექტრონოდ დარჩენილი პროტონების ნაწილი პოზიტრონს კარგავდა, რომელიც უკვე ნეიტრონს წარმოადგენდა და მის ნაცვლად სხვა პროტონს უკავშირდებოდა, რის შედეგადაც მიიღებოდა დეიტერიტი. ანუ მძიმე წყალბადის ატომბრთვი, რომელიც წარმოადგენს პროტონისა და ნეიტრონის ნაერთს. ამის შემდგომ მეორე ფაზაში ყალიბდება უფრო მძიმე ელემენტები, ორი დეიტერიტის ატომბირთვების შეერთებით წარმოიშვებოდა ჰელიუმის ატომბირთვი და ორი ჰელიუმის ატომბირთვის შეერთებით ნახშირბადის ატომბირთვი. ეს ყველაფერი ხდებოდა ვარსკვლავის შიგნით, რაც წარმოშობდა არათანაბარ მდგომარეობას და ისინი ფეთქდებოდნენ. აფეთქების შედეგად წარმოიქმნებოდა ზეახალი ვარსკვლავები. აფეთქების შედეგად გაფანტულ გროვებში წნევის და ტემპერატურის ვარდნა შესაძლებლობას ქმნიდა ამ შექმნილ ატომბირთვებს კვლავ დაბრუნებოდა ელექტრონები და ასე იქმნებოდა ატომები და მათი მეშვეობით სხვა ახალი ქიმიური ელემენტები, ახალი ვარსკვლავები და პლანეტები. ყველა ეს მოქმედება ამჟამად მიმდინარეობს და კვლავ გაგრძელდება მილიარდობით წლების განმავლობაში. არიან გიგანტური ვარსკვლავებიც, რომლებიც მომწიფების დროს ფეთქდებიან და არიან ახალი აფეთქებულებიც ანუ ახალი გაბნეულნი, რომლებიც განიცდიან ფიზიკურ მატერიად ჩამოყალიბებას, ახალ ვარსკვლავებად და პლანეტებად, სადაც მიმდინარეობს კვლავ ქიმიური ელემენტების სინთეზი და ჩამოყალიბება. ასე წარმოიშვა მზის სისტემა და მათ შორის დედამიწა.

ამჟამად, ფიზიკური სამყაროს 90%-ს წყალბადი წარმოადგენს, 9%-ს ჰელიუმი, 1%-ს კი დანარჩენი, უფრო მძიმე ქიმიური ელემენტები. ასე დაიწყო და ასე მომდინარეობს სამყაროს ევოლუცია და დიფერენციაცია. მრავალი მილიარდი წლის შემდეგ დაიწყება ინტეგრაცია და ყოველივე გამოვლენილი და შექმნილი კვლავ დაუბრუნდება პირველ საწყისს. ესეიგი, მთლიანი ენერგია დაუბრუნდება აბსოლუტს, აღდგება პირველადი ატომი და სამყარო გაქრება. გადავა „მკვდარ“ ანუ განსვენების მდგომარეობაში.

—ესეიგი, ღმერთი მატერიაშია? —ჰკითხა დათომ.

—დიახ, ღმერთი მატერიაშიცაა, მაგრამ თავად მატერია არ არის ღმერთი. მატერია და მისი სულიერი ძალა განუყოფელია ერთიმეორისგან და ღმერთის გამოვლინების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ამდენად, ამ შემთხვევაში ღმერთი თავად მატერიის სულიერ ძალაშია და მის შინაგან არსში. იგი არის როგორც ფიზიკურ, ასევე მეტაფიზიკურ მატერიაში. თავად წარმოადგენს მატერიის გამოვლინების მიზეზობრივ არსს, რომელსაც სჭირდება გაფურჩქვნა, ანუ სულიერ-გონებრივი ევოლუციური განვითარება. როგორც ადამიანები, მატერიალური აზროვნებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა დროს არიან დაბადებულები და უფრო ადრე დაბადებულნი, ანუ ასაკით უფროსნი, კარგი აღზრდის

შემთხვევაში მეტი გონიერებით გამოირჩევიან, ვიდრე ცუდად აღზრდილნი, ან ბავშვები, ასევეა სულიერ-არსობრივ სფეროშიც. სხვადასხვა დროს გამოვლენილი სამყაროს ნებისმიერი არსის არსებითობებში, სადაც არ უნდა იყოს ეს გამოვლინება: ადამიანების, ბუნების თუ კოსმოსის სახით; გაანიათ სხვადასხვა სულიერი განვითარების დონე. ადრე გამოვლენილი, თუკი მას "ნოყიერი" ნიადაგი შეხვდა, ევოლუციურად უფრო მაღალ საფეხურზე დგას.

მთელი ეს მოვლენა დაყოფილია მუდმივობის 7 ხანად, „7 დღედ". 6 დღე ღმერთმა იმუშავა და შექმნა ქვეყნიერება, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. ეს დღეები არ არის ჩვეულებრივი დღეების მსგავსად ერთიმეორის მიყოლებით. ისინი გარკვეულად დროში ერთიმეორეს ფარავს. ვიდრე დასრულდება პირველი, იწყება მეორე, შემდგომ მესამე და ასე დროის ერთი და იგივე მონაკვეთში რამდენიმე ევოლუციური მუდმივობის ხანა პარალელურად მიმდინარეობს. შვიდივე მუდმივობის ხანის დამთავრების შემდეგ, როგორც ვთქვი, კვლავ პირველად მდგომარეობაში ბრუნდება და განისვენებს, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდება (მილიარდობით წელი). შემდგომ კვლავ იწყება "აფეთქება"– დიფერენციაცია, რის დასრულებისას, კვლავ განისვენების მდგომარეობა და ასე შემდეგ.

ეს არის სამყაროს შექმნის და განვითარების ზოგადი სახე. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე მარტივად არ არის, მაგრამ ეხლა მოკლე დროში, უფრო სიღრმისეულად ახსნის არც შესაძლებლობაა და არც თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ უფრო მეტს ჩასწვდეთ. თუკი მოისურვებთ, მომავალში ამის შესაძლებლობა გექნებათ, ეხლა კი ეს ზოგადი ახსნა იკმარეთ. შესაძლოა მომავალში, ბევრი რამ ეხლა გაგებული, არასწორად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს შეცდომის ბრალი არ იქნება. პირველ კლასელს, რომ მისცენ მაგალითი 2–5, ის იტყვის, რომ მაგალითში შეცდომაა და არ გამოაკლდებაო, მაგრამ მაღალ კლასში ის უკვე აკლდება და –3 იქნება. ასე ხართ თქვენც. თქვენ ამ ცოდნა-განათლებაში პირველი კლასის, დამწყების შესაბამისობაში ხართ. გააგრძელებთ თუ არა, ეს თქვენზეა დამოკიდებული.

–ესეიგი, ძველი ფილოსოფია უფრო მეტ სიღრმისეულ ცოდნას მოიცავდა ღმერთის და კოსმოსის შესახებ, ვიდრე თანამედროვე? თუ ასეა მაშ რატომ სწამდათ მრავალღმერთიანობა? ისინი არ ცდებოდნენ? –ჰკითხა გიამ.

–მე ამ ახსნაში, საერთოდ ვერ გაიგე სად არის ღმერთი? –თქვა დათომ.

–ისინი არ ცდებოდნენ. უბრალოდ გარკვევაა საჭირო, რას გულისხმობდნენ ამ ღმერთებში და რა იგულისხმება ეხლა, ერთ ღმერთში. მთლიანი სამყარო, რაზეც ჩვენ ელაპარაკობთ, მთლიანობაში ერთ ფორმულირებაში რომ გამოვიყვანოთ, წარმოადგენს, მაკრო კოსმს. ამ მაკრო კოსმშიევე გამოვლინებულია მისი მსგავსი, თავისი სტრუქტურული აღნაგობით მიკრო კოსმი, რომლის ერთერთი მთავარი სახეა, ადამიანი. თუ ჩვენ გვინდა, სამყაროს საიდუმლოებას ჩაეწვდეთ

შეგვიძლია მისი სტრუქტურის გარკვევა ადამიანიდან დავიწყოთ. ამის საშუალებას მათი მსგავსება გვაძლევს, მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო მსგავსება და არა იგივეობა. სამყაროში 7 ძირითადი სუბსტანცია, ანუ 7 ძირითადი "ძალაა". (თქვენთვის უფრო გასაგები როგორ იქნება,) რომელიც ასე ვთქვათ "გაბატონდა" მის შესაბამისად, ადამიანშიც პოტენციურად 7 მატერიალური და ენერგეტიკული სხეული. შესაბამისად, ბიოლოგიურ სხეულზე 7 ძირითადი მმართველი ფსიქოცენტრი მოქმედებს.

ეხლა განვსაზღვროთ, უბრალოდ ადამიანი ჩვეულებრივ ცნობიერებაში რას წარმოადგენს. შენ ხარ მიკროკოსმი, მაგრამ განვიხილოთ როგორც უბრალოდ ადამიანი. ვინ ხარ შენ? დაუკვირდი საკუთარ არსებას, შენ გაქვს ორი ხელი, ორი ფეხი, თავი და სხვა უამრავი ორგანო, შინაგანი თუ გარეგანი. ყოველივე ეს არის შენი. ასე ამბობ საჭიროების დროს ჩემი ხელი, ჩემი ფეხი, ჩემი თავი, ჩემი გული და ასე შემდეგ, მაგრამ თვითონ ვინ ხარ? ეს ყველაფერი შენია, მაგრამ შენ თვითონ ვინ ხარ? არის კი სხეულის ნაწილი, რომელზეც იტყვი, რომ აი, ეს ვარ მე და დანარჩენი ნაწილი ჩემიაო? რა თქმა უნდა ასეთი ნაწილი არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ არის ისეთი ორგანოები, რომლის გარეშეც ადამიანი უბრალოდ ვერ იარსებებს. არის ისეთებიც, რომლებიც თითქოსდა მართავს მთლიანობაში ადამიანს, მაგრამ კონკრეტულად ერთი ასეთი ორგანო არ არსებობს. ტვინიც კი ადამიანს რამდენიმე აქვს და ყოველ მათგანს აქვს, გარკვეული დამოუკიდებელი მართვის უნარი. ამავე დროს, ადამიანს აქვს თვალით უხილავი ენერგეტიკული და მეტაფიზიკური სხეულებიც: – სული, „ასტრალი" და სხვა, რომელთა რაოდენობა ასევე შვიდია. როგორც სამყაროში, ისინი ყველა ცუდად თუ კარგად თავის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ დიდად არიან დამოკიდებული სამყაროს სუბსტანციებზე. აი, ესაა მსგავსება მიკროკოსმსა და მაკროკოსმს შორის. როგორც სამყაროს აქვს აბსოლუტის გამოვლინების ერთიანი არს-გონი, ადამიანსაც აქვს პოტენციურად მსგავსი გონის ერთიანი მმართველობის შესაძლებლობა, მაგრამ ეს იმის შემდეგ შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანი თავის თავს არსობრივად შეიმეცნებს სამყაროსთან ერთად, სულიერად განიწმინდება, ჩამოყალიბდება და ამაღლდება. ესეიგი, ეს ჩამოთვლილი ბიოლოგიური ორგანოები და მეტაფიზიკურ-ენერგეტიკული სხეულები ქმნიან მთლიანობაში ადამიანს, მაგრამ როგორც ვთქვი და თქვენც იცით, მათ აქვთ გარკვეული დამოუკიდებელი მოქმედების უნარი. ზუსტად ასევე, სამყაროს სუბსტანციებს, მათ მიერ შექმნლ და წარმოებულ სხვადასხვა ძალებს გააჩნიათ გარკვეული დამოუკიდებელი მოქმედების უნარი. ამიტომ ადამიანის ცხოვრება-არსებობაზე და მის გარემო ბუნებაზე გავლენას ახდენენ, კოსმოსის სხვადასხვა ძალები, რომლებიც თავისი გავლენითა და ამ გავლენის შედეგით ერთიმეორისგან განსხვავდებიან და ზოგჯერ, ეწინააღმდეგებიან კიდეც ერთიმეორეს. პლანეტების გავლენაც, რომელსაც ასტროლოგიას უწოდებენ, ამ გავლენაში შედის და მათაც გააჩნიათ პირობითად ცუდი თუ კარგი გავლენა.

აი, ამ განსხვავებულ გავლენებსა და გამოვლინებებს, რომელსაც უშუალოდ შეიგრძნობდა ადმიანი, თავიანთი გავლენა-ზემოქმედებების შესაბამისად, სახელები დაარქვეს და ღმერთები უწოდეს. ეს არის სწორედ ის მრავალღმერთიანობა, რომლითაც ძველ დროში, პირდაპირ, თუ ალეგორიაში გადატანილს, თაყვანს სცემდნენ. მიუხედავად მრავალღმერთიანობის თაყვანისცემისა, მათ კარგად იცოდნენ, რომ გამოვლინების სიმრავლის მიუხედავად ეს ყველაფერი ერთიანია და ერთია.

—ასე თუ ვიმსჯელებთ, ადამიანიც ხომ უმაღლესი გამოვლინებაა. ესეიგი გამოდის, რომ ადამიანიც ღმერთი ყოფილა. —თქვა ნოდარმა.

—გააჩნია რა თვალსაზრისით განვიხილავთ ადამიანს. მრავალღმერთიანობის თვალსაზრისით, მიკროკოსმად თუ უბრალო არსებად, და გააჩნია რას ვგულისხმობთ, თვით სიტყვა ღმერთში. მრავალღმერთიანობა ადამიანის ცნობიერებაში გამოიწვია კოსმიური ძალების გავლენა-ზემოქმედების განსხვავებულობამ. მას ცალკეული სახელები დაარქვეს იმისთვის, რომ განესხვავებინათ ერთიმეორისგან ეს გავლენები. ასეთი აზრით ადამიანი ღმერთად ვერ ჩაითვლება. თუ როგორც არსებას ისე განვიხილავთ და მას კოსმოსის თუ უმაღლესი გამოვლინების ერთ-ერთ სახედ ჩავთვლით, არც ამ შემთხვევაში არ ჩაითვლება ღმერთად, რადგან ნაწილს, მთელის სახელი ვერ ექნება. ვინმე პიროვნების რაიმე ნაწილი, ვთქვათ თითი რომ ნახო, ვერ იტყვი, რომ ეს თითი თვით ადამიანია. ხოლო თუ მსგავსებიდან გამომდინარე განვიხილავთ ადამიანს, როგორც მიკროკოსმს, მაშინ შეიძლება ღმერთად ჩაითვალოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულყოფილებას მიაღწევს. სრულყოფილება კი ნიშნავს, რომ მან შვიდივე ფსიქოცენტრი და შვიდივე ენერგეტიკული ნაწილი, ერთ მთავარს, მასში აღმოცენებულ უმაღლეს გონს უნდა დააქვემდებაროს. ვინც შეძლებს უმაღლესი სიწმინდის, უმაღლესი გონის აღმოცენება-მოპოვებას თავის სისტემაში, ის იქნება ღმერთი, მაგრამ იქნება კაცღმერთი და არა უშუალოდ პირველი ღმერთი. ასეთი ადამიანი ხდება უმაღლესი კოსმიური გონის გამტარი კაცის ხელმწიფობის არეალში და მაშასადამე, შეიძლება ეწოდოს კაცღმერთი.

—კაცის ხელმწიფობის არეალი რას ნიშნავს, სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს? —იკითხა დათომ.

—კაცის ხელმწიფის არეალი ნიშნავს იმ გარემო არეალს, სადამდეც შეიძლება კაცს თავისი შესაძლებლობებით, ხელი მიუწვდებოდეს რაიმე ცელილებაზე. თავისთავად ცხადია კაცს, რაც არ უნდა ძლიერი და გონიერი იყოს, ყველგან და ყველაფერში ხელი არ მიუწვდება. მაგალითად გალაქტიკის მართვაში ჩარევაზე.

ადამიანს აქვს იმის შესაძლებლობა, თუ კი მოინდომებს, რომ გახდეს კაცღმერთი. ამისათვის საჭიროა ცხოვრება ისე წარმართოს, რომ მიაღწიოს უდიდეს კრისტალურ სიწმნიდეს და უდიდეს გონებრივ სიძლიერეს, რასაც უდიდესი ფსიქოლოგიურ-გონებრივი შრომა და შესაბამისი პირობები სჭირდება. თუ შეძლებს, მაშინ მისი ენერგოსისტემა,

ნერვულ ფსიქოლოგიური სისტემის ჩათვლით, გახდება გამტარუნარიანი გაატაროს უმაღლესი კოსმიურ ღვთაებრივი გონის გამოვლინება. ეს არის ადამიანის უმაღლესი განვითარების მწვერვალი, სადაც ხდება უმაღლესი გონის დიფერენცირება. ჭეშმარიტი მნიშვნელობით "ადამიანი", სწორედ ასეთ ადამიანს ჰქვია და არა უბრალოდ არსებას. ასეთი ადამიანია კაცღმერთი, ძე ადამისა ანუ ძე ღვთისა, რომელიც ვალდებულია და პასუხისმგებელი, საკუთარი უნარით და მაგალითით იზრუნოს საზოგადოების გონიერების ამაღლებისა და სიწმინდისათვის. შეასუსტოს საზოგადოებაში დაგროვილი ყოველგვარი სიავე, ბოროტება და დაანახოს მას გზა ნათელი მომავლისაკენ.

–ადამი რა შუაშია, ის ხომ ღმერთი არ არის, ის ხომ პირველი ადამიანია? – ჰკითხა გიამ.

–მართალია. ის პირველი ადამიანის სიმბოლოა, მისი საწყისი და საბოლოო მიზან- არსის არეალის მნიშვნელობაში, როგორც უმაღლესი არს-გონის დიფერენციაციის საბოლოო ნაყოფის არსობრივი გზა. გზა პირველი პრიმიტიული ადამიანიდან უმაღლესი სუბსტანციის გონის დიფერენცირებული, ევოლუცირებული იერარქიის უმაღლეს საფეხურამდე. რელიგიებში ხშირად ღმერთად, სწორედ ამ დიფერენცირებულ გონს მოიხსენიებენ უმეტეს შემთხვევაში, თუმცა სხვადასხვა სახელით. ამის გამო, უმეცართაგან სხვადასხვა ღმერთად აღიქმება, რაც ხშირად ხდება გაუგებრობისა და დაპირისპირების მიზეზი. ზოგნი ამას პირადი პოლიტიკური, თუ სხვა მიზნობრივი ამბიციებისთვის იყენებენ.

–კი მაგრამ სატანა რაღაა, სად არის? –იკითხა დათომ.

–ორი, სამი წლის ბავშვიც ადამიანია, მაგრამ მას გონება არ მოეთხოვება. ის რასაც მისწვდება, მხოლოდ ამტვრევს და ანადგურებს. დიდ, ზრდასრულ ადამიანს კი გონება მოეთხოვება და არ შეიძლება ბავშვის მსგავსად მოქმედებდეს. ასეა კოსმიურ ძალებშიც. არსებობს დაბალი, პრიმიტიული, თითქმის უგონო სულიერი ძალები, რომლებიც ბავშვის მსგავსად ჯერ განუვითარებლები არიან. როგორც ვთქვი, ზიგჯერ კოსმიური გამოვლინება შეიძლება ერთიმეორის საწინააღმდეგო იყოს. სწორედ ასეთი პრიმიტივი სულიერი გამოვლინებაა, შედარებით განვითარებული სულიერი გამოვლინების საწინააღმდეგო და დამაბრკოლებელი. ასევეა ჩვეულებრივი პრიმიტიული ადამიანი, თავისი უგუნური- ქცევით და აზროვნებით ზიანს აყენებს თავის თავსაც, ღმერთსაც და დაბრკოლებას უქმნის კაცობრიობის უფრო მაღალ განვითარებულ, გონიერ გამოვლინების ნორმალურ განვითარებას. ასევე დაბალ განვითარებული ანუ განუვითარებელი სულიერი გამოვლინებები დაბრკოლებას უქმნის იმ ადამიანებს, ვინც მის გავლენაში მოექცევიან. სატანა არის განუვითარებელი სულიერი არსებების გავლენით, ადამიანის უარყოფითი აზროვნების, ბოროტული მიზან-ზრახვები და ამის შედეგად დაგროვილი უარყოფითი სულიერი ენერგია. ასეთ გავლენაში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი ადამიანი, გარდა სულიერად განწმენდილი და ამაღლებული ადამიანისა, რადგან მათ გარდა ყველაში დევს ასეთი პოტენციალი. ყველაზე ცუდი კი

ისაა, რომ ეს პრიმიტიული უარყოფითი სულიერი ძალა-არსება შეუმჩნეველად შედის ადამინში, ბოროტი და მოძულე აზროვნების შედეგად და თუ ყურადღებით არ დააკვირდა ადამიანი თავის აზრებს, სწრაფად განვითარდება, თუ დამცავი ღონისძიება არ მიიღო. რაც უფრო მეტად ვითარდება უფრო შეუმჩნეველი ხდება თავის თავში ადამიანის მიერ. ბოლოს კი აღწევს ისეთ მდგომარეობას, როცა იმდენად ბოროტული და სატანური ხდება, რომ კეთილი ადამიანი საშინლად ეზიზღება. და იწყებს ბრძოლას ასეთი ადამიანებისა და საერთოდ სიკეთის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა ასეთი ადამიანი ვერასოდეს იქნება ბედნიერი და კმაყოფილი. მას დაუკმაყოფილებლობის და სიძულვილის განცდის გამო ბოღმა დაახრჩობს და დაავადებები გაუჩნდება.

—თუ შეუმჩნეველია, როგორ უნდა მივხვდეთ, ასეთ მდგომარეობაში თუ მოვხვდით? —ჰკითხა გიამ.

—შეუმჩნეველი მისთვისაა, ვინც არ მოინდომებს მის დანახვას. საკუთარ თავში თუ ძნელია მისი დანახვა, სხვაზე ადვილია. ადამიანები ხომ სხვის ცუდს ადვილად ხედავენ. როცა სხვას შეამჩნევ უარყოფით აზროვნებას და შესაბამის ფსიქოლოგიურ მოქმედება-გამოვლინებას როგორიცაა: ბოროტება, შური, სიძულვილი, მომხვეჭელობა, და სხვა, დააკვირდი საკუთარ თავს და ეძიე იგივე შენში. თუ დააკვირდები, კარგად აღმოაჩენ და თუ ვერ აღმოაჩენ, ან ცუდად აკვირდები, ან სატანა იმდენად მოგრევია, რომ დაუბრმავებიხარ.

—ხომ შეიძლება არ მქონდეს ბოროტება? — ჰკითხა გიამ.

—შეუძლებელია ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც არ გაუვლია განსაკუთრებული მომზადება თავის თავზე და არ უმუშავია ფსიქოლოგიურად განწმენდისათვის, ასეთი რამ არ ჰქონდეს. თუ ადამიანი თავის თავს არ დააკვირდება, როგორც არ უნდა საშინელი ბოროტი იყოს, თავი მაინც ანგელოზი ეგონება. იმ უარყოფით სულიერ არსებებს მათი გამოვლენის სიძლიერის გამო, განსაკუთრებით ძველ დროში, ზოგჯერ ღმერთადაც კი მოიხსენიებდნენ, მაგრამ რა თქმა უნდა ღმერთი არ არის. შემთხვევით გადაყრილი მგელი, თუ შენს შეჭმას აპირებს და იმ წუთას შენი სიცოცხლე მასზეა დამოკიდებული, ეს არ ნიშნავს, რომ ის ღმერთია. მგლისგან კარგი თავდაცვაა ერიდო მას და თუ მაინც გადაგეყარა ან იარაღი უნდა გამოიყენო მის მიმართ, ან შესაფერისი საჭმელი მიუგდო.

—თუ მაინც ვერ შევამჩნიეთ და მოვექეცით იმ უარყოფით გაკლენაში, მაშინ რა გვეშველება. ამისგან დასაცავი საშუალება სხვა არაფერია?

—ამისგან ყველაზე ნაყოფიერი, იოლი და ხელმისაწვდომი საშუალებაა ეკლესია და ლოცვები. თუმცა უგულოდ და ურწმუნოდ შესული ადამიანი ვერც ეკლესიაში მიიღებს ვერაფერს კარგს.

რაც შეეხება დადებით სულიერ ძალებს, ეს ის სფეროა, სადაც სამყაროს მაღალი გონის განშლა და მაღალი საფეხურის ევოლუციური განვითარება ხდება. სადაც მის იერარქიაში უმაღლესი გონიც ვლინდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გამოვლინება ადამიანსა და მის გარემოში

ყოველთვის დადებითია, მისი ჩარევა დადებითად მოქმედებს ადამიანის ცხოვრება-განვითარებაზე. ასეთი სულიერი ძალების იერარქია და მისი უმაღლესი საფეხური—კოსმიური გონი წარმოადგენს შუქურას ადამიანის სწორი, დადებითი ევოლუციური განვითარებისთვის. ამ შუქურისაკენ სწრაფვა თანხვდენილი იქნება, სამყაროს გონებრივ ევოლუციურ განვითარებასა და მის იერარქიის უმაღლეს გონიერ ძალას შეიძლება ეწოდოს ღმერთი.

—რას ჰქვია ღმერთი ეწოდოს? განა ჩვენზეა დამოკიდებული რას ვუწოდებთ ღმერთს? ღმერთი ხომ თავისთავად არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად და ჩვენ ვინ გვკითხავს ვის ვუწოდებთ ღმერთს? —ჰკითხა დათომ.

—ნამდვილად ასეა. ღმერთი თავისთავად არსებობს. მილიონობით წლების წინ, როცა ადამიანის ცნობიერება უმდაბლეს დონეზე იყო და ადამიანური მეტყველებაც არ გააჩნდა. რა თქმა უნდა, არც ღმერთზე ჰქონდა წარმოდგენა. შემდგომში ცნობიერება ვითარდებოდა. ადამიანმა დაიწყო გარემოს შეცნობა, ამეტყველება და შეცნობილი საგნის თუ მოვლენებისთვის თავისი აღქმის შესაბამისი სახელის დარქმევა. დარქმეული სახელი გამოხატავდა შეცნობადობის ხარისხობრივ დონეს. რა თქმა უნდა, პირველადი შეცნობადობის ხარისხი დაბალი იყო, მას არ შეეძლო იმ ეტაპზე იმ დროისთვის სრულიად შეცნობა (სრულიად შეცნობილი ბევრი — რამ ეხლაც არ არის). შემდგომში შეცნობადობა თანდათან უმჯობესდებოდა, უფრო სრული წარმოდგენა ექმნებოდა საგნებსა და მოვლენებზე და სახელწოდებებიც ეცვლებოდა. ამიტომ ყოველ დროში თუ ეპოქაში, ამა თუ იმ საგნის და მოვლენის სახელწოდება შესაბამის სამყაროს არსის შეცნობადობის ხარისხობრივობას გამოხატავდა.

ასევე იყო სიტყვა "ღმერთში" ჩადებული შემეცნებითი აზრიც და ამ აზრის გამომხატველი სიტყვაც. სხვადასხვა ცივილიზაციებში, რასებში, ხალხებში და ერებში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა იყო შემეცნება იდუმალი ძალისა, რომელიც მათ ცხოვრებაში ელინდებოდა. შესაბამისად, სხვადასხვა იყო მისი სახელწოდება და ამ სახელწოდებაში მოაზრებული შინა არსი თუ გარე არსი. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო ღმერთის საპირისპირო იდუმალი ძალაც ღმერთთან გაიგივებულიყო მათ ცნობიერებაში და ხშირად ასეც ხდებოდა. შემდგომში იყო ცივილიზაციები, როცა ადმიანის გონებრივი შესაძლებლობები იძლეოდა შესაძლებლობას უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ ორივე არსს. მაგრამ არც იმ ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს ხანაში და, მითუმეტეს, არც ცივილიზაციის დაცემის შემდეგ ყოველი ადამიანი ერთნაირი მნიშვნელობით არ აღიქვამდა მის არსს. მისი სახელწოდება ანუ სიტყვა არ იყო არც ერთ დროში ყველასათვის უბრალოდ სამეტყველო საშუალება. ყოველი ასეთი სიტყვა გამოხატავდა და გამოხატავს გარკვეულ არსს. მისი მნიშვნელობის აღქმის ხარისხობრივობა დამოკიდებულია, როგორც ამ სიტყვის სიღრმისეული არსის შეცნობადობის გამოხატულებაზე, ანუ

გამოთქმაზე, ასევე მსმენელის მიერ აღქმის შესაძლებლობაზე, რამდენად სწორად ესმის ეს არსი, რომ მის მნიშვნელობას ჩასწვდეს. ნებისმიერ დროში ადამიანებს ცნობიერების სხვადასხვა დონე გააჩნიათ და ნათქვამი სიტყვა მათი ცნობიერების შესაბამისად აღიქმება. ეს კი ნიშნავს, რომ სიტყვა "ღმერთში" რაც ა'ხრი და არსი ჩადეს ჩვენმა წინაპრებმა, მისი აღქმა სრული სახით თითქმის არასდროს ხდება და შესაბამისად არც სიტყვის გამოყენება.

ახლა აგიხსნით სამყაროს ევოლუციის ერთ-ერთ სიმბოლიკურ გამოსახულებას. ესაა გველი, რომელსაც კუდი პირით უჭირავს. გველის თავი არის აბსოლუტი და ამავე დროს ევოლუციის გავლის შემდეგ მიღებული უმაღლესი დიფერენცირებული გონი. გველის თავი ორ პოლუსიანია. პირის მხარე, საიდანაც კუდი გამოდის, სამყაროს საწყისი და მისი უმდაბლესი გონიერება, რომელიც დანარჩენის ხარჯზე ვითარდება, თავი უმაღლესი განვითარებული გონიერებაა. ეს არის სამყაროს ყველა სახის ევოლუციურ, დიდ თუ პატარა ციკლების და მათ შორის ადამიანის ევოლუციური ციკლის სიმბოლური გამოსახულება. კუდი, რომელიც გამოდის გველის თავიდან, წარმოადგენს სამყაროს პირველად ქმნილებას, რომელიც გონიერების უმდაბლეს ფორმას წარმოადგენს, შემდგომი ევოლუციის მსვლელობისას განიცდის განვითარება-ჩამოყალიბებას და გონიერების ამაღლებს. კუდი მსხვილდება. თანდათანობით მილიარდობით წლების განმავლობაში უფრო და უფრო მეტად ვითარდება და აღწევს უმაღლეს განვითარებას. მისი უმაღლესი ყა'ხა განვითარებისა კი წარმოადგენს უმაღლეს დიფერენცირებულ გონს, რომელიც კვლავ გველის თავშია.

ადამიანი ამჟამად, როგორც უმაღლესი გონის, ასევე უმდაბლესი "ვამპირული" გონის გავლენაშია. თუ იგი გონების უმაღლეს პოტენციალს გაუღებს კარს, გველის თავს კისრის მხრიდან, მაშინ უმაღლესი გონის შემოსვლა დაიწყება მასში და ევოლუციური განვითარებისკენ წავა. თუ კუდის მხრიდან გაუხსნის კარს, მაშინ იგი უგუნურობისკენ, დაცემისკენ და დაქვეითებისკენ წავა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერს რომ ჰკითხო, დაქვეითებისკენ წასვლა არავის უნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაუცნობიერებლობის გამო უნებურად თუ ნებით უმრავლესობა ამჟამად მაინც იქით მიდის. ისინი უბრალოდ ვერ შეიგრძნობენ საით მიდიან. ამიტომ, "ბრმათათვის" ეკლესიური რწმენა ერთადერთი თვალია, რომელსაც შეუძლია სწორი გ'ხა დაანახოს. მათთვის ეკლესია ერთადერთი გადამრჩენია.

—ასე უხეშად რატომ მოიხსენიებ ხალხს, რწმენა ხომ ყველას სჭიდება? —უთხრა დათომ.

—წელიწადში რამდენჯერ მიდიხარ ეკლესიაში? —ჰკითხა ბერიკაცმა.

—მე ხშირად არ დავდივარ. ალბათ სამი წელი იქნება არ ვყოფილვარ.

—აბა, თვითონ თუ არ გაქვს რწმენა, ვის იცავ? მე მორწმუნეთ კი არ ვუწოდებ ბრმებს, არამედ მათ, ვისაც არც ეკლესიის სწამს და არც გონიერებით გამოირჩევა. შენ შემთხვევით მოხვდი აქ. ამით მოგეცა

საშუალება, ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა დაინახო. მიუხედავად ამისა, არ არის გარკვეული შემდგომში აიმაღლებ თუ არა ცნობიერებას. დანარჩენ ხალხს, ვისაც ეს საშუალება არ მიეცა და არც ეკლესიაში დადის, განა ბრმა არ არის? მე არ ვამბობ, რომ ყველა ბრმაა, მაგრამ ბრმებიც ხომ არიან. შეიძლება უხეში გამოინათქვამია, მაგრამ რეალობაა. ადამიანი, რომელიც თავისთავს სპობს, ოჯახს და მომავალ თაობას სპობს და ამას ვერ ხედავს, პირიქით, სიამოვნებასაც კი განიცდის, განა ბრმა არ არის? განა მათდამი ასეთი გამოთქმა ზედმეტად უხეშია?

–მაგრამ, ვინც ეკლესიაში დადის, არც ხომ ისინი ხდებიან ანგელოზები? –თქვა გიამ.

–თუ ეკლესიაში ღმერთთან სავაჭროდ შეხვალ, იმ ფიქრებით, რომ "აი მე ამას აგისრულებ, შენ კი ეს ამისრულე", ცხადია არაფერი გამოვა. ერთ დანთებულ სანთელსაც თუ ამადლი, სამაგიეროს კი ისევ დაქვეითება, დაცემისთვის საჭირო პირობებს სთხოვ და არა სიწმინდეს, გონიერებას, თუ აზროვნება ჭაობში გრჩება, ცხადია, დადებით შედგეს ვერ მიიღებ. ღმერთი და ეკლესია, თოველის პაპა არ არის რომ მატერიალური საჩუქრები დაარიგოს. მას შეუძლია დახმარება იმაში, რასაც თვითონ წარმოადგენს. ესაა სიწმინდე და გონიერება.

–ესეიგი, სიტყვა „ღმერთს" ყველა თავისებურად მოიაზრებს, თავიანთი ცნობიერების და ფსიქოლოგიის მიხედვით. მაშასადამე, არც ჩვენ გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა სწორად. –შეგიძლია აგვიხსნა, მიგვახვედრო სწორი აღქმა როგორ იქნება? –ჰკითხა ნოდარმა.

–მე უკვე ავხსენი სოგადად სამყაროს სულიერ-მატერიალური და მმართველობითი სტრუქტურა. თუ თქვენ კონკრეტულად, ქართულ სიტყვა „ღმერთში" რა არსი დევს ეს გაინტერესებთ გეტყვით.

–სიტყვა "ღმერთი" რა არსს უნდა მოიცავდეს, გარდა იმისა, რომ აღნიშნავს ღმერთს. არსი თვით ღმერთშია და არა სიტყვაში. –თქვა დაოომ.

–ეტყობა შენ რაღაც ვერ გაიგე. არსი კი ღმერთშია, მაგრამ სიტყვა, რომელსაც ადამიანი იყენებს, მისი არსის გამოსახატავად, არის არა ღმერთის არსი, არამედ ადამიანის ღმერთისადმი გაცნობიერების არსი.

რომ განვსაზღვროთ სიტყვა "ღმერთის" არსი, მისი მნიშვნელობა თვით სიტყვის შიგნით უნდა ვეძებოთ. ეს სიტყვა ორი ფუძისაგან შედგება: "ღმ" ანუ "ღმა" და "ერთი". ერთი ყველასთვის ნათელია ცალკე რასაც ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, რომ გავარკვიოთ რის ერთობას მიგვანიშნებს, მეორე ფუძე უნდა გაირკვეს. აბა მითხარით რას ნიშნავს ფუძე "ღმა"?

–ალბათ ღრმას? –თქვა მცირე ფიქრის შემდეგ გიამ.

–ღრმა რას ნიშნავს? ორმოს? უფსკრულს? ჭას? –ჰკითხა ბერიკაცმა.

–აბა სხვა რა არის, სხვა არაფერს ნიშნავს. –თქვა ნოდარმა.

–ამ ფუძეს ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში ხშირად ვიყენებთ, მაგრამ თავსართით. უთავსართოდ კი თითქმის ვერავინ ხვდება მის მნიშვნელობას. თავსართებით ასე იქნება: გაღმა, გამოღმა, აღმა, ჩაღმა,

წაღმა. უკუღმა, გადაღმა, მიღმა და სხვა. თავსართით ფუძე "ღმა" მიგვანიშნებს კონკრეტულ მატერიალურ თუ არამატერიალურ სივრცეს, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ცნობიერის "ფარდის" მიღმა. მაგალითად გაღმა, ითქმება მდინარის, ან სხვა რაიმე პირობითი სასღვრის მეორე მხარის მდებარეობის აღმნიშვნელად. მიღმა ითქმება მაგალითად ფარდის მიღმა, ან ფიზიკის მეცნიერების ცნობიერი დონის მიღმა დონეზე, –მიღმა ფიზიკაზე ანუ მეტაფიზიკაზე. ასეთი მაგალითი თვითონაც უამრავი შეგიძლიათ მოიყვანოთ. რაც შეეხება ფუძე "ღმას", ის ამ შემთხვევაში მიგვანიშნებს, რომ ცნობიერებაში უნდა აღვიქვათ, არა კონკრეტული ადგილმდებარეობა თუ სივრცე, არამედ ყოველივე ის, რაც არსებობს სამყაროში, ხილული თუ უხილავი, ფიზიკური თუ მეტაფიზიკური, სულიერი თუ უსულო. ერთიან შერწყმით მიგვანიშნებს, რომ ეს ყველაფერი ერთი მთლიანია, ერთიანობაშია, ერთის გამოვლინებაა და ეს მთლიანი არის ღმერთი.

–ესეიგი, ჩვენმა წინაპრებმა სამყაროს აღნაგობა და გამოვლინების საიდუმლო იცოდნენ? –იკითხა ნოდარმა.

–თუკი ამ სიტყვაში ამხელა მნიშვნელობის არსი ჩადეს ესეიგი, იცოდნენ. ამას მოწმობს სხვა სიტყვებიც. მაგალითად, სიტყვა "სამყარო", სიტყვა "ადამიანი" და სხვა. სიტყვა სამყარო ადვილი მისახვედრია, რომ სამის თავშეყრას მიგვანიშნებს, ხოლო სიტყვა "ადამიანი"–ადამის ძეს. ამ მხრივ ჩვენი ქართული ენა გამორჩეულია სხვა ენებისგან.

–ამიტომ ამბობს ზოგიერთი ძველი, უცხოელი ფილოსოფოსი, მაგალითად გოეთე, რომ ქართული ენა ღმერთების ენაა? –თქვა დათომ.

–გოეთემ კი არა, ჰეგელმა თქვა: ადამიანი სულიერ სრულყოფილებას მხოლოდ კავკასიაში მიაღწევსო. –თქვა ნოდარმა.

–მთავარი ის კი არ არის, ვინ რა თქვა, არამედ თქვენ და დანარჩენი ქართველობა რამდენად შეძლებთ თქვენივე წინაპრების მიერ შექმნილი უბრწყინვალესი ენის შენარჩუნება-შეთვისებას თავისი ნამდვილი შინა არსით. ენა მაშინ არის უბრწყინვალესი და ღვთაებრივი, თუ იგი იმდენად სრულყოფილია, რომ მოვლენის არსს სრულყოფილად გვაგრძნობინებს, თუ აზრის გამოთქმისას მსმენელს საშუალება ეძლევა, სრულყოფილი წარმოსახვა-შთაბეჭდილების მიღებისა. ასეთ ენაში, უკვე თვით სიტყვა იძენს არსობრივ მნიშვნელობას.

ქართულ ენას, როგორც ეროვნულ ენას, რომელსაც სამეტყველო მრავალფეროვნებით, ბგერათა სიმრავლით მსოფლიოში ბადალი არ გააჩნია, ყველაზე უფრო მეტად ატარებს კოსმიურ, არსობრივ მნიშვნელობას. ამის გამო, ჩვენს ერს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ღმერთისა და მსოფლიოს წინაშე, მაგრამ ამჟამად დაკნინებული, დაბეჩავებული და გახრწნილია.

–ზედმეტად მაღალფარდოვანი ხომ არ არის ეს ორივე უკიდურესობა? –თქვა ნოდარმა.

–ჩვენი წინაპრების კულტურა, თავის თავზე თავად ლაპარაკობს, თუკი მის გაგებას შეეძლებთ, ხოლო ერი, რომ ამჟამად დაკნინებული,

დაბეჩავებული და გახრწნილია, ამას ჩვენი დღეანდელი მდგომარეობა და სალაპარაკო ენის გამოყენების ხარისხი ლაპარაკობს. დღეს აქტიურად მიმდინარეობს ენის მნიშვნელობის დაკნინება, სიტყვათა კარგვა და ჩვენს ენაში უცხო სიტყვათა ჩანაცვლება. ამას თვით ერი აკეთებს, თანაც სიამოვნებით და ამას არავინ ეწინააღმდეგება. ასეთი ერი, რომელსაც სხვისი თავისას ურჩევია "ღამურას", ანუ "უგუნური თაგვის მდგომარეობაშია". ერს, რომელიც წინაპრების მიერ შექმნილ უმაღლეს კულტურას ანადგურებს, საკუთარს რუსული თუ ინგლისური ენა ურჩევია და გადაჯიშებისაკენ მიისწრაფის, — გახრწნილი ერი ჰქვია. აი ამ ხეს ხომ ხედავ. ყოველი ხე თავისი ფესვებით ცოცხლობს. რომელიმე ხეს, ერთი ფესვიც რომ შეაჭრა, დაავადდება და სიცოცხლე შეუმოკლდება. რაც უფრო მეტ ფესვს შეაჭრი, მით უფრო მალე მოკვდება. ასეა ერიც, რომლის ფესვებია მისი ჩამოყალიბების, ისტორიის ჭეშმარიტი არსობრივი და არსებობრივი ყოფითი მდგომარეობის სულიერი ანაბეჭდი, —ეროვნული კულტურა, გენეტიკა, ენა, დამწერლობა, ზნეობა და ადათ-წესები. ადამიანის გენეტიკური გონი, კუნდალინი, კარმული მიზეზ-შედეგობრივი პროგრამა-ინფორმაცია და კიდევ სხვა რამდენიმე ენერგეტიკული კვანძები, ხერხემლის ტვინის ნერვულ სისტემასთან ერთად ქმნიან ქვეცნობიერის ერთ მთლიან, სისტემურ გონს. ადამიანი ფაქტიურად თითქმის მთლიანად ამ გონით იმართება. თავის ტვინის "აზროვნება" ნაკლებად მონაწილეობს მართვაში. ამ ქვეცნობიერის სისტემურ გონში აღბეჭდილია მრავალი ათასწლეულის ცოდნა გამოცდილების ინფორმაციული პროგრამა, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ადამიანის მმართველობაში. ეს ცოდნა-გამოცდილების ინფორმაციული პროგრამა ყალიბდება, ეროვნულ ცნობიერებასთან მჭიდრო კავშირში. ზოგადსაკაცობრიო თუ კონკრეტულად, ეროვნული კულტურა სწორედ აქედან მიღებული გონის ევოლუციური განვითარების ნაყოფია, რომელსაც თავის ტვინი, საჭირო შემთხვევაში, ახალ ინფორმაციას აწვდის. პირველი რიგის ეროვნული კულტურა ეს არის ეროვნული ენა. იგი პირველი სამეტყველო ბგერითი გამოხატულებიდან დაწყებული, როცა მეტყველებას იწყებდა ადამიანი, ყალიბდება ქვეცნობიერის გონში, გონთან ერთად და წარმოადგენს ქვეცნობიერი და ცნობიერი ერთიანი შინაგანი სულიერი მდგომარეობის ევოლუციურ გამოხატულებას. შემდგომში ეროვნული ცნობიერების დახმარებით, განიცდის შემდგომ დახვეწას, ზე ცნობიერების მეშვეობით. სხვადასხვა ენების აღრევა პიროვნებაში იწვევს შინაგან სულიერ დისჰარმონიას და ერთიანი ევოლუციის ნაყოფის დაქვეითებას. ესეიგი ენა, ტრადიციული ადათ-წესები და გენეტიკა ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირშია და ერთიმეორეზეა დამოკიდებული. მაშასადამე, ენის და ტრადიციების კარგვა გენეტიკასაც ცვლის და სხვა რაღაა ერი? ეს მაშინ, როცა ქართველ ერს უდიდესი როლი აკისრია მომავალი მსოფლიო ცივილიზაციის ახალი, უფრო მაღალი ცნობიერების და კულტურის ჩამოყალიბებაში. ამის გამო "მხეცი", ანუ მტერიც უფრო ფარული და ცბიერია, ვიდრე ჩვეულებრივ და ცდილობს ერის სულიერ განადგურებას.

—რატომ მაინც და მაინც ჩვენი ერი? განა სხვა ერები ნაკლებები არიან?

—ნაკლებში რას გულისხმობ, არ ვიცი. ყველა ერს თავისი კულტურა, თავისი დანიშნულება და მისია აკისრია. ჩვენს ერს კი ამჟამად ახალი, უფრო ამაღლებული ცივილიზაციისთვის, ახალი ცნობიერების დათესვაში მთავარი განმსაზღვრელი როლი აქვს დაკისრებული. რატომ ჩვენს ერს? იმიტომ, რომ იბერიული რასის ცნობიერების მთავარი გამგრძელებელია. იბერიული რასა კი თავის მხრივ, უმაღლესი, ატლანტური ცივილიზაციის ცნობიერების გამგრძელებელია, რომელშიც ჰიპერბორიის ცივილიზაციის ცნობიერების ევოლუციური მიღწევებიც არის შერწყმული. ამის მთავარი საჩინო მიმნიშნებელი კი, კავკასიონზე მიჯაჭული ამირანი ანუ პრომეთეოსია.

ატლანტიდა და ატლანტური ცივილიზაცია გამიგია, მაგრამ ეგ ჰიპერბორეია არ გამიგია. ეგ რაღა ცივილიზაციაა? ან პრომეთეოსი რა შუაშია მაგ ცივილიზაციასთან? —ჰკითხა ნოდარმა.

—ჰიპერბორეია, ატლანტიდის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილის ცივილიზაციაა. აზიური დასახლება და არიული რასა სწორედ ამ ცივილიზაციის ნარჩენებიდან და ლემორიული რასის ნარჩენებთან შერწყმით წარმოიშვა. პრომეთეოსის მითი, აქედანაც იღებს სათავეს (თუმცა სხვა სახელით) და ორ მილიონზე მეტი ხნისაა. იქაური პრომეთეოსი სიმბოლურად ნიშნავდა ახალი კონტინენტის, ახალი ძირეული რასის, ანუ ერთიანი არიული რასის ადამს. ესეიგი, პირველ ადამიანს, რომლისგანაც არიული ძირეული რასა და მისი ცივილიზაცია წარმოიშვა. საქართველოში კი სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

—იოვანე ზოსიმე რომ წერს, თავის წმინდა წერილში, ქართულ ენას სახარებაში ლაზარე ჰქვიაო, მართალია ეს? —ჰკითხა დათომ.

—მართალია. სახარებაში მოხსენიებულ ლაზარეში, რომელიც ოთხი დღის მკვდარი იყო, გახრწნილი და ქრისტემ აღადგინა, ქართული ენა იგულისხმება. სწორედ ამას ვლაპარაკობ, რომ ქართული ენა, ანუ ლაზარე ამჟამად მკვდარია და გახრწნილი. აკი უთხრეს ქრისტეს, აღდგენა უკვე გვიანია, ლაზარე ოთხი დღის მკვდარია და გახრწნილიაო, ისევე როგორც დღეს ეროვნული ცნობიერება და ენა გახრწნილია და კვლავ იხრწნება, მაგრამ ქრისტემ იგი მაინც აღადგინა. იცით, რომ ოთხი დღე, ოთხი ათას წელს ნიშნავს, სწორედ ოთხიათასი წლის წინ დაიწყო ქართულ-იბერიულმა ენამ კვდომა ადამიანის გონებაში, როგორც უმაღლესი კოსმიურ-ღვთაებრივი ცნობიერების შემცველმა ენამ. მას შემდეგ გრძელდება კვდომა. თანდისთან ენას ერი, მხოლოდ მცირე, მარტივი სამეტყველო ენადღა იყენებს და დღესდღეობით კი სამეტყველოდანაც ქრება. მის ნაცვლად რუსული და ინგლისური ენებიდან ხდება მარტივი, დაბალცნობიერების მატარებელი სიტყვების ჩანაცვლება. ამას ჰქვია ლაზარე, ანუ ქართული ენის გახრწნა, რასაც ბოლო დროს, ერის გახრწნაც ემატება.

—მაგრამ, ქრისტე რომ მოვა, ხომ აღდგება ისევ? —ჰკითხა დათომ.

—ამდენი ლაპარაკისა და ახსნის შემდეგ თუ მაინც გგონიათ, რომ ციდან წვერებინი ღმერთი ჩამოვა და ბრძანებს, ქართული ენა

აღადგინეთო, მაშასადამე, დიდი ვერაფერი გაგიგიათ. ჩვენ თუ ციდან ჩამოფრენილი მხსნელის მოლოდინში, უგუნურად ცხოვრება, ქცევა და აზროვნება გავაგრძელეთ, მარტო ენას და ეროვნებას კი არა, სიცოცხლესაც დავკარგავთ.

ქრისტე, როგორც გითხარით ნათელია, ესეიგი, უმაღლესი კოსმიური გონი და მისი ცნობიერებაა. იგი დღეევანდელი ადამიანისათვის ახალი, მაღალგონიერი ცნობიერების სახით ადამიანის გონებაში უნდა მოვიდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ადამიანი გამოფხიზლდეს, გონების კარი გაუღოს, მოიკრიბოს გონება, უძველესი მაღალგონებრივი ცივილიზაციის ცნობიერების სიბრძნის ნაყოფი შეისწავლოს, გაანალიზოს და თავისი თავიც და კაცობრიობაც იხსნას დაღუპვისაგან. ეს ყველა ერის ვალია და არა მარტო ქართველის. ქართულ, მომაკვდავ ცნობიერებაში, უბრალოდ, შედარებით უფრო ადრე მარცვალია საამისოდ შენარჩუნებული, ვიდრე სხვაგან, და თუ დროზე არ ეშველა, ამ ძვირფას მარცვალს, მთელი კაცობრიობა დაკარგავს.

—რამდენიმე ქართული სიტყვა გავშიფრეთ და მართლაც საინტერესო და გასაოცარი მნიშვნელობა დავინახე მის არსში. მაინც ეს არ არის საკმარისი, რომ ქართული ენის კოსმიურობაზე და ღვთაებრიობაზე ვისაუბროთ. რა შეიძლება გვითხრათ ისეთი, რითაც მართლაც გამოჩნდებოდა მისი ასეთი დიდი მნიშვნელობა და კოსმოსის წყობის ცოდნა? —დაინტრესდა ნოდარი.

—ალბათ ხვდებით, რომ თუკი ქართულ ენაში კოსმიურ-ღვთაებრივი ცოდნა დევს და მათ შორის საიდუმლოც, ესეიგი ის ასე ადვილად გასაგები არ არის და მოკლე დროში ვერ ჩასწვდებით. მის აღქმას და შესწავლას, საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება და თანაც, გარკვეული, შეასაბამისი წინასწარი ცოდნის მიღებაა საჭირო. ამიტომ მე ეხლა, მხოლოდ მცირე და მარტივი რამ შემიძლია გითხრათ, თანაც ისეთი რამ, რაც თქვენი ამჟამინდელი ცოდნისათვის მისაწვდომია.

აგიხსნით ანბანის პირველი ციკლურ წრეს, რომელიც სამყაროს ევოლუციის მთლიან ციკლს მოიცავს. სამყაროს ევოლუციის სიმბოლო, გველი რომელსაც კუდი პირით უჭირავს უკვე აგიხსენით. შემოვხაზოთ მის მცგავსად უბრალოდ წრე, ბერიკაცმა ჯოხით მიწაზე შემოხაზა სპირალის ერთი ხვეულის მსგავსი წრე. —ნაცარი რომ იყოს, კარგი იქნებოდა, უფრო მკვეთრად დაიხაზებოდა, მაგრამ აქ არ გვაქვს ნაცრის ქექვის საშუალება. შეეცდები გარკვევით დაავხაზო. აი, აქ, ზემოთ, სადაც გველის თავს პირით კუდი უჭირავს, აღნიშნოთ წერტილით და დავაწეროთ პირველი ასო "ა". თან გავიხსენოთ, რით დაიწყო სამყაროს წარმოშობა?

—პირველადი ატომის აფეთქებით, ანუ რხევით მოძრაობაში მოყვანით, —უპასუხა ნოდარმა. —მართალია. ეხლა დავაკვირდეთ ასო „ა" —ს მოხაზულობას. ის წარმოადგენს მთლიანი წრის ზემო მარცხენა ნაწილში გაჭრის შედეგად ახრილ ფორმას. ესეიგი, პირველად ატომს, რომელიც სქემატიური გამოსახულებით აუცილებლად წრიული ფორმის

უნდა ყოფილიყო, „გასკდა“. ასო „ა“ სწორედ ამ „გასკდომას“ –გახსნას, „აფეთქების“ საწყისს მიანიშნებს. მაშასადამე, „ა“ ასო წარმოადგენს, სამყაროს წარმოშობა-გამოვლინების მსვლელობას საწყისს.



სხვა მნიშვნელობასთან ერთად იგივეს ნიშნავს ასომთავრულშიც, რომელიც ასე იწერება „Ა“ ეს მსვლელობა, როგორც იცით წარიმართა პირველი სულიერი ენერგიის დიფერენციაციით, რომელიც იყო, უმიზეზო საწყისის, პირველი საწყისის მიზეზი და რასაც მოჰყვა პირველადი დიფერენციაცია – წარმოქმნა. ამიტომ ამ ეტაპის მსვლელობისათვის გამოვყოთ მონაკვეთი, მთლიანი წრის ერთი მეშვიდედი, რადგან სამყარო როგორც ეთქვით 7 დღიანია, ანუ 7 ეტაპად იყოფა. ამ პირველ მონაკვეთს დავაწეროთ ასო ბ–ბან დავაკვირდეთ მის მოხაზულობას. ზემო ბწკალი, რომელიც დიდი წრის ნაწილია, მიგვანიშნებს, რომ რაღაც დიდიდან არის წარმოშობილი, ხოლო ქვემო პატარა წრე მიგვანიშნებს, რომ დიდისგან წარმოიშვა სხვა ახალი და მის ნაწილს წარმოადგენს. მაშასადამე, ასო „ბ“ მიგვანიშნებს დიფერენციაციის დაწყებას. თითქმის იგივეს, მხოლოდ უფრო მრავალ მნიშვნელოვნად მიგვანიშნებს

ასომთავრული „Ღ“ წრიდან გამოსული მართი კუთხე მიგვანიშნებს პირველ მიზეზობრივ საწყისს, ანუ პირველად გონიერებას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მართი კუთხის ნიშანს ლათინურად და ქართულადაც გონიო ჰქვია. კუთხის სახელწოდება გონიოც ევროპულ ენებში აქედანაა აღებული. მაგალითად კოსმოგონიო, კოსმიურ კუთხეს ნიშნავს. სინამდვილეში კი ეს მართი კუთხის ნიშანია, სიმბოლურად გონის გამოვლინებას ნიშნავს და იბერიულიდან მომდინარეობს. ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაა, ქართული სიტყვა გონი-ს თუ მივუწერთ ქართული ასო ო-ს მეორე სახეს „Ꮮ“–ს, (რომელიც ნებით თუ უნებლიედ მავნებლურად ამოაგდეს ბოლო წლებში სწავლებიდან და მოხმარებიდან), მივიღებთ სიტყვა გონიო–ს, ე.ი. ევროპული სიტყვა გონიოს, ანუ კუთხის აღმნიშვნელი ნიშანი „Ꮮ“ და რომელიც ქართულში ასო ბგერა ო–ს გარდა მართ კუთხესაც აღნიშნავს, ამავე დროს გონიერების გამოვლინებას აღნიშნავს მაშასადამე „Ღ“ ასოში, წრესთან მიერთებული გონის ნიშანი მიანიშნებს, სამყაროს წარმოშობის პირველადი გამოვლინების პირველად გონს, პირველ სხივს, რომელიც აწესრიგებდა და აწესრიგებს სამყაროს პირველად დიფერენციაციას.

სამყაროს წარმოქმნა-გამოვლინების შემდეგი საფეხურის აღმნიშვნელ მონაკვეთს, დავაწეროთ შემდეგი ასო ᲒᲒ (გან.) ეს განაკვეთი ანგელოზების დროა. ანუ ნიშნავს ერთი მთლიანი გამოვლენილი გონიერებისგან გამოვლენილ დიფერენცირებულ გონს. ქვემო ოვალური წრე ინტელექტუალურ აზროვნების, პოტენციალს ანუ მენტალურს ნიშნავს. ასომთავრულშიც შესაბამისად აღინიშნება, ორი ერთიმეორესთან დაკავშირებული გონიოთი Ღ.

შემდეგი მესამე საფეხური, მატერიალური დიფერენციაციის, ანუ ფიზიკური მატერიის წარმოქმნის, მათ შორის დედამიწის წარმოქმნის პერიოდია. აქაც ასო ᲔᲔ (დონ), რომელიც ქვემო დიდი წრის მონაკვეთიდან გამოსულ, პატარა წრეს წარმოადგენს, აღნიშნავს მეტაფიზიკური მატერიიდან შექმნილ ფიზიკურ მატერიას ანუ სხეულს. ასომთავრულშიც „Ო“ –ასო იგივე მნიშვნელობისაა.

შემდეგი, მეოთხე საფეხური, რომელსაც შეესატყვისება ასო ᲕᲕ –(ენ), დიფერენცირებული გონის ფიზიკურ მატერიაში გამოვლინებას, ანუ დედამიწაზე დაშვებისა და მატერიალურ-ბიოლოგიური სიცოცხლის ამეტყველების დასაწყისია. ადამიანი-ცხოველი, ზეციდან ჩამოსული ადამიანი-გონის მეშვეობით ამეტყველდა და დაიწყო დედამიწაზე ციკლიზაციები. ასოთა მოხაზულობაც, როგორც მხედრულში, ასევე ასომთავრულში ამასვე მიანიშნებს მხედრულში „ᲑᲑ“ და „ᲔᲔ“-ს წრეებს. ორი წრის, –ზეციური და მიწიერი წრის გახსნა. ᲐᲐ–ს მსგავსად და შერთება მიიღება, ასომთავრულში კი გვიჩვენებს პირდაპირ ზეციური გონის (სხივის) დაშვებას დედამიწაზე „Უ

შემდეგია მეხუთე საფეხური, რომელსაც შეესატყვისება მხედრულ ანბანში ასო ᲖᲖ (ვინ), არის პერიოდი, როცა ადამიანურ, დაბალ მიწიერ გონთან ერთად დაიწყო მასშივე, უფრო მაღალი, ზეციური გონის – ვინის, ანუ ვინმზეს წარმოშობა. ამიტომ აქვს ასო ᲔᲔ-ს ორი

ერთიმეორესთან შეერთებული დაუსრულებელი წრის სახე. დაუსრულებელი წრეები ბ-ს და გ–ს წრეებია. ნიშნავს მიწიერი ინტელექტის დაკავშირებას ზეციურ გონთან, თუმცა ევოლუცია არ არის დასრულებული. ამიტომ წრეები არ არი შეერთებული, ასომთავრულშიც კარგად ჩანს ასო „ჩ“-ში. „Ლ“-ს ანუ ზეციურ გონს დამატებული მიწიერი ინტელექტის ნიშანი „Ლ“. ანუ ეს არის ახალი გონიერების წარმოქმნა ზეციური გონის (სხივის) მეშვეობით.

შემდეგ მეექვსეს შეესატყვისება მხედრული ანბანიდან ასო ზ – (ზენ) ეს არის უკვე დასრულებული ევოლუცია ადამიანისა როცა აღწევს ისეთ დონეს, რომ ხდება ადამიანის გონით გასვლა ზენა არსში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის გონის სრულყოფილების ხანა დაიწყო, თუმცა ჯერ კიდე მიწიერთან კავშირშია და ქვემო წრე ამას მიანიშნებს. ასომთავრულშიც „ᲖᲔᲜ“ –(ᲖᲔᲜ), გონიო და მის ქვემოთ შეერთებული წრე, მიანიშნებს გონის მიწიერში დიფერენცირების სრულყოფას და ზენა არსის გონთან კავშირს.

შემდეგ მეშვიდე ხანა, უმაღლესი გონიერების ადამიანის დედამიწიდან გასვლა და სამყაროს გონიერების მაღალ იერარქიებში დაბრუნება, როგორც სრულყოფილი ევოლუცირებული დიფერენცირებული კოსმიური გონის ნაყოფი, შესაბამისად, მხედრული ასო „ᲩᲔ “– (ᲩᲔ)-ს მოხაზულობა მიანიშნებს აბსოლუტის მთლიან დიფერენციაციის დასასრულს და კოსმიური ევოლუციის სრულყოფას ადამიანთან ერთად. ასომთავრული „Ჩ “ –ც თავისი მოხაზულობით ამასვე მიანიშნებს. სწორი ხაზი მიანიშნებს აბსოლუტის განშლა–გამოვლინების დასრულებაზე, პწკალი კი მასთან გონიერების დასრულებული სახით ერთიანობას, როგორც დაიწყო, სწორი ხაზით და ნახევარ წრით „Ჩ“, ასევე დამთავრდა.

ბოლოს კი, მხედრული ასო „ᲝᲜ“ (თან) და ასომთავრული „Ო“ მიანიშნებს სამყაროს პირველ საწყისთან მისვლას. ეს კი ნიშნავს, სამყაროს ინტეგრაციას, ანუ დასასრულს. კვლავ პირველად ატომში დაბრუნებას და გამოვლინების დასასრულს, ანუ ღმერთის „სიტყვის“ შეწყვეტას და განსვენების მდგომარეობაში შესვლას. მოხაზულობაშიც კარგად ჩანს განსაკუთრებით ასომთავრულში. დაუსრულებელი წრე თითქოს ივსება ანუ ბრუნდება უკან. რაც მიგვანიშნებს რომ გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დაიწყება სამყაროს გამოვლინება-დიფერენციაცია.

–კი, მაგრამ დანარჩენი ასოები რაღას ნიშნავს, არაფერს? აქ ხომ მხოლოდ 9 ასოა გამოყენებული და მთლიანი სამყაროს ციკლი შეიკრა, ანუ დასრულდა, სხვები ხომ ზედმეტი გამოდის? –პკითხა მცირე დუმილის შემდეგ ნოდარმა.

–ჯერ ეს გააანალიზეთ, გაერკვიეთ კარგად და თუ უფრო მეტისათვის მომზადდებით, მეტსაც გაიგებთ, –უპასუხა ბერიკაცმა. – ეს ზოგადი ციკლია და მასში სხვა მცირე ციკლებიც არის.

–ხო, მართლია. –თქვა დავითმა. –ესეც ჯერ ბუნდოვანია ჩემთვის და სხვა რამ, რომ ახსნათ, ვერაფერს გავიგებ. ისე დავიღალე, აზროვნების უნარი აღარ მაქვს. ძალიან რთულია და დამღლელი, თუმცა საინტერესოა.

–მე მგონი წასვლის დროა. –თქვა გიამ.

–შეგიძლიათ წახვიდეთ, მხოლოდ ერთი რამ იცოდეთ, არ არის სრულყოფილი, ის 9 ასოც კი, რომელზეც ვილაპარაკეთ. ცალკეც და სხვებთან ერთადაც კიდე სხვა, მრავალ მნიშვნელობასაც მოიცავს. ჩემს ახსნილში არის შეგნებულად დაშვებული შეცდომაც, ამიტომაც სჯობს ამის შესახებ არავისთან ილაპარაკოთ, თუ თქვენ ამ თემაზე კარგად და ხანგრძლივად იმუშავებთ, ამ შეცდომასაც აღმოაჩენთ და ამის შემდეგ გაქვთ უფლება სხვასაც გაუზიაროთ.

უახლოეს წლებში, მრავალი დაიწყებს ქართული ანბანის ახსნას, ბევრი სისულელეს იტყვის, ბევრიც რაღაც ნაწილს სწორად და ჭკვიანურად ახსნის, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ყველა მათგანი, მხოლოდ ნაწილი იქნება ერთი მთლიანისა და არ ჩათვალოთ არც ჩემი ნათქვამი და არც სხვისი, მთლიანად და არც მიუღებლად, რაკი განსხვავებული შეიძლება იყოს. თუ მართლა გინდათ სწორი და ჭეშმრიტი ცოდნა გქონდეთ, თვითონვე გულდასმით უნდა გაანალიზოთ, გაარკვიოთ მისი მართებულობა და მომავალში თანდათან სრულყოფილი გახადოთ. ამისათვის კი, უდიდესი ცოდნის მიღება, გჭირდება, როგორც სამყაროს, ისე ადამიანის შესახებ. არასრულყოფილი ცოდნით, ანბანსაც და სხვა მოელენებსაც არასრულფასოვნად შეაფასებთ.

–შეეცდებით, შესაძლებლობის მიხედვით. ეხლა კი წავალთ, მართლაც წასვლის დროა. –თქვა ნოდარმა.

ბიჭები წამოდგნენ, ბერიკაცს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

...მას შემდეგ, რაც ტყეში იყვნენ ბიჭები ბერიკაცთან, სამი კვირა გავიდა. ამ დროში დავითმა აშკარად გამოამჟღავნა დაინტერესება ბერიკაცის საუბრის თემით. იგი მესამეჯერ მოვიდა ნოდართან და გიასთან ამ თემაზე სასაუბროდ.

ნოდარმა კიდევ ერთხელ უამბო ყველაფერი დათოს მისვლამდე, ბერიკაცთან რაც მოისმინა და ახსოვდა, რის შემდეგაც უფრო ფართო ანალიზის საშუალება მიეცათ. მიუხედავად ამისა, ყველაფერში მაინც ვერ გაერკვნენ და ბევრი რამ, მათთვის ბუნდოვანი ან საერთოდ გაურკვეველი იყო. მრავალი კითხვა დაებადათ, რაზეც პასუხს ვერ პოულობდნენ.

–ამ პრომეთეოსის ამბავმა სულ დამაბნია. –თქვა დათომ. –თუ ჩრდიოეთის ცივილიზაციის მითია, ევროპისა და კავკასიონის მთები რა შუაშია? რატომ მიაჯაჭვეს კავკასიონზე? ან, თუ იგი ცეცხლის, ანუ გონებრიობის მომტანია, თუ მან აამაღლა ხალხის გონება, რატომ დასაჯეს, განა ეს ღმერთსაც არ უნდოდა?

–ბევრი რამ, არც ჩემთვისაა გარკვეული. –თქვა ნოდარმა. –ერთი რამ ცხადია, ეს არის ალეგორიული მითი, როგორც ყველა მისტერიული მითი და ადვილი არ იქნება ამის ამოხსნა. მომავალში რომ მოვიცლით, ავიდეთ და ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

–ავიდეთ, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. –თქვა გიამ. ასვლამდე უნდა ვიაზროვნოთ რომ ბევრი რამ ჩვენ თვითონ გავიაზროთ, თორემ უბრალოდ, როგორც ბერიკაცმაც თქვა, შეიძლება გაუანალიზებელი და დაზეპირებული ცოდნა გამოგვივიდეს და დავპროგრამდეთ.

—ხო, ეგეც მართალია. —თქვა ნოდარმა.

—ამიტომ ერთი წინადადება მაქვს. ერთი ღამე, ღია ცის ქვეშ გავატაროთ სადმე მინდორში, ცის ვარსკვლავთ რუკა წავიღოთ და ვარსკვლავებისა და თანავარსკვლავედების მდებარეობა განვიხილოთ. რა უნდა გავიგოთ იმ კაცის ნათქვამიდან, ვარსკვლავების ან გალაქტიკის შესახებ, თუ კარგად არ შევისწავლით ცას? —თქვა გიამ.

—მართალი ხარ. წავიდეთ. —თქვა დათომ.

—ერთი წინადადება მეც შემომაქვს. თუ ღამის გათენება გვინდა ღია ცის ქვეშ, მარტო ვარსკვლავების ცქერით, მთელი ღამე ხომ ვერ გაძლებთ? ალაზანზე წავიდეთ და თან ვითვეზაოთ. ვარსკვლავების ცქერის და რუკის შესწავლის დროც ბევრი გვექნება და თან საქმესაც გავაკეთებთ. —თქვა ნოდარმა.

—კარგი აზრია. მე ვეთანხმები. —თქვა გიამ.

—ასე იყოს. მე თვეზაობა არ ვიცი, მაგრამ მოგეხმარებით. —თქვა დათომ.

—იქაც შევწვათ და თუ ბევრი დავიჭირეთ სახლშიც წამოვიღოთ. —ალაზნის მურწას რა სჯობია? —თქვა გიამ.

—მურწის ხსენებაზე გამახსენდა, შენ ჯერისწერას როდის აპირებ? უკვე ზაფხულია. ხომ არ გადაიფიქრე? —უთხრა ნოდარმა გიას.

—არ გადამიფიქრებია, მაგრამ ფული ვერ მოვაგროვე საკმარისი და...

—საკმარისი რამდენია? შენ რა, 200 კაციან სუფრას ხომ არ აპირებ?

—არა, მაგრე ჯერ არ გავგიჟებულვარ, მაგრამ ერთი 30კაცი ხომ უნდა იყოს? ახლობლები ხომ უნდა დავპატიჟო? აბა ისე, მარტო მე და ქეთინო ხომ არ წავალთ? ერთი, 200 ლარი მაქვს, მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი? საზეიმო განწყობა რომ შევუქმნა ქეთინოს, მინდა, ცოტა რამ ჩასაცმელი ვუყიდო. მარტო სუფრა ხომ არ არის?

ეხლა ივნისია და ამ თვეში სჯობს, თორემ მერე დაცხება. —უთხრა ნოდარმა.

ფული თუ მექნება ხელს რაღა შემიშლის? ამ შაბათისათვის ვერ მოვასწრებ, ორი დღეღაა და შემდეგი შაბათისათვის ხელფასსაც ავიღებ და მოვემზადოთ.

—მე რა მოვემზადო? მე რა შუაში ვარ? —თქვა ნოდარმა.

—ჯერ ერთი, შენზე ახლობელი ვინ გეყავს მე და ქეთინოს, რომ ჩვენს გვერდით არ იყო და მერეც, შენ ხომ მეჯვარე უნდა იყო.

—მეე?

—აბა რა, სხვა ვინმეს ელოდი? შენ თუ არა, სხვა ვინ უნდა იყოს? დათოც რა თქმა უნდა წამოვა და ჩვენთან ერთად იქნება.

—მეე? კი ბატონო. თუ მეპატიჟები, სიამოვნებით წამოვალ. —თქვა დათომ.

—მაშინ, თუ ასეა, სათვეზაოდაც პარასკევს ან ხუთშაბათს წავიდეთ. სუფრისათვის თვეზსაც მოვიტანთ. —თქვა ნოდარმა.

—ხო, ასე სჯობს. ხუთშაბათს წავიდეთ და პარასკევს დილით ამოვიდეთ. თუ დავიჭერთ, ხომ კარგი, თუ არა და სხვა მიზანიც ხომ გვაქვს. —თქვა დათომ.

–კარგი, ასე იყოს. ხუთშაბათს, შუადღის შემდეგ წავიდეთ და პარასკევს დილით ამოვიდეთ. საქმესაც ყველაფერს მოვასწრებთ.

ბიჭებმა მოლაპარაკება დაამთავრეს და სახლებში წავიდნენ.

ხუთშაბათამდე, ვაჟამაც გაიგო მათი მიზანი და მანაც გამოთქვა მათთან ერთად წასვლის სურვილი. ბიჭებმა უარი არ უთხრეს და ხუთშაბათს, შუადღის 3 საათზე ნოდარის ავტომანქანით დათოს სახლისკენ წავიდნენ.

დათოს სახლთან მისულებმა რამოდენიმეჯერ გასძახეს მანქანიდან, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. მაშინ, ნოდარი გადავიდა მანქანიდან და ეზოში შესვლა სცადა, მაგრამ ეზოს კარი დაკეტილი დახვდა.

მათ ძახილზე ძია შაქრო გამოვიდა თავისი ეზოდან და მათკენ წავიდა.

– ძია შაქროსად არის დათო, ხომ არ იცი? –ჰკითხა ნოდარმა.

–დილას წავიდა სოფელში. ამბავი მოუტანეს, მამამისი ჩამოვარდნილა კაკლის ხიდან და ფეხი მოუტეხია.

–უჰ, ეგ რა მომხდარა... მერე, ეხლა, ამდროს, კაკლის ხეზე რა უნდოდა, რა დროს კაკალია? – ჰკითხა ისევ ნოდარმა.

–კაკალი უკრეფია სამურაბედ და... – უპასუხა ძია შაქრომ.

–ჰოო, ეგ აღარ გამახსენდა... მერე, როგორ არისო, მარტო ფეხი მოიტეხა თუ სხვა რამეც სჭირსო?

–რა ვიცი, სხვა არაფერი სჭირსო. ერთ ფეხს ეეღარ ადგამს, თორემ სხვა მხრივ კარგად არისო. დაბალ სიმაღლიდან ჩამოვარდნილა და ფეხებით დაცემულა.

–რა ვუყოთ? –ჰკითხა შემობრუნებულმა ნოდარმა გიას.

–რა ვიცი, თუ გინდა აღარ წავიდეთ სათევზაოდ. –უპასუხა გიამ.

–მოიცა, რას ამბობ. ანკესები და ბარგი იქა მაქ დატოვილი, რომ არ ჩავიდე არ შეიძლება. მე ჩამიყვანეთ და თქვენ თუ გინდათ დაბრუნდით. ან რად გინდათ დაბრუნება, ისეთი რამე, დასახმარებელი ხომ არაფერი სჭირს? რით დაეხმარებით? ხვალ დილით კი ამოხვალთ და თუ გინდათ ნახეთ.

–კარგი, წავიდეთ. რაკი გამზადებულები ვართ და გზას ვადგავართ, წავიდეთ, – თქვა ნოდარმა და ისევ საჭეს მიუჯდა.

–რომელ მხარეს წავიდეთ? –იკითხა ნოდარმა ალაზანთან მიახლოებისას.

–მე ზემოთ მაქვს, ძმაო, ბარგი, ხომ იცი და რა ვიცი, ერთად ყოფნა არ გვირჩევია? –თქვა ვაჟამ. იქ პატარა ქოხიც მაქვს გაკეთებული, იქნებ წვიმა მოვიდეს.

–ჰო, ერთად ვიყოთ. –თქვა გიამ.

–კარგი, ასე იყოს. –თქვა ნოდარმა. –ქოხი ჩვენ რად გვინდა? თუ წვიმა მოვიდა, მანქანა ხომ იქ იქნება და თუ მოწმენდილი ცა იქნება კი მთელი ღამე უნდა ვიმუშაოთ და ქოხი არ დაგვჭირდება.

–ხიდზე როგორც გადახვალ, ზემოთ აუხვიე და გზა იქ მიგიყვანს.

ნოდარმაც, ვაჟას მითითების მიხედვით მომართა მანქანა და მალე ბუჩქებსა და ხეებს შორის გზიდან გაშლილ, პატარა მდელოზე გავიდნენ.

მდელო ძალიან პატარა იყო და ერთ მხარეს მდინარე ჩამოუდიოდა, მეორე მხარეს კი ჭალის მაღალი ხეები იდგა. მდელოზე, მდინარის მხარეს ნაპირზე, პატარა ქოხის მაგვარი, სახელდახელოდ მოწყობილი თავშესაფარი იყო. ნოდარმაც ვაჟას მითითებით ამ თავშესაფართან მიაყენა მანქანა.

—აი, რა კარგი ადგილია. გაშლილი ადგილია, ცოტა ნიავიც უბერავს და კოღო არ არის. —თქვა ვაჟამ. —ამ პატარა მდელოს როგორც გადახვალ, სავსეა კოღოებით.

—ჩვენც ასეთი ადგილი გვინდოდა, გაშლილი, რომ ცა კარგად ჩანდეს. — ქვა გიამ.

— ცა რად გინდათ, მთვარემ რომ გაანათოს? — ეხლა ახალი მთვარეა და მალე ჩადის, ღამე ვერ გაანათებს, მაგრამ ფარანი ხომ გვაქვს. — თქვა ვაჟამ.

—არა, ჩვენ ვარსკვლავები გვაინტერესებს. —თქვა გიამ.

—რა ვარსკვლავები? რად გინდათ ვარსკვლავები? —ჰკითხა ვაჟამ და თან ქოხის გვერდით პატარა ბუჩქიდან, პარკი გამოაძრო.

—ცის რუქა უნდა შევისწავლოთ. თანავარსკვლავედების განლაგება და მდებარეობა... —თქვა გიამ და ნოდარისკენ წავიდა მისახმარებლად, რომელიც მოშორებით ანკესებს შლიდა მდინარის ნაპირას.

—რა ვარსკვლავები უნდა შეისწავლოთ, ხომ არ გაგიჟდით, მეტი საქმე არა გაქვთ? ვინც ვარსკვლავები არ იცის, ვერა ცხოვრობს? —თქვა ვაჟამ. გიას კი პასუხი აღარ დაუბრუნებია. ნოდარს მიუახლოვდა და ანკესის გაშლა დაიწყო. ვაჟამაც თავისი საქმე განაგრძო.

ყველაფერი რომ მოამზადეს და ჩაუშვეს ანკესები წყალში, ისევ ქოხთან მივიდნენ და მის ჩრდილში დასხდნენ. ვაჟას ბევრი ანკესები ჰქონდა და უფრო მოგვიანებით დაბრუნდა.

—რაო რას ამბობდი, ვარსკვლავები უნდა შეისწავლოთო? თქვენ რა, დამცინით თუ მართლა ამბობთ? —თქვა ვაჟამ.

—არა, რას დაგცინით. მართლა ეაპირებთ შესწავლას. —უპასუხა გიამ.

—ბიჭო, მთელი ქვეყანა იმის ფიქრში ათენ-აღამებს, რომ პურის ფული იშოვნონ, მშიერები არ დაიხოცნენ და თქვენ მაგისათვის მოიცალეთ? რა გვეარსკვლავებათ? მოცლილები ხართ?

—ათი წლის წინ, რომ პურის ფული არავის უჭირდა, რა ვარსკვლავების შესწავლით იყვნენ დაღლილი? ვისაც გონიერებისკენ სწრაფვა სურს, კარგი ცხოვრება აქვს თუ ცუდი, დროს ყოველთვის გამონახავს ამისათვის. მარტო კუჭზე ფიქრი, ცხოველებად გვაქცევს. ადამიანები ვართ, ადამიანური გონიერება და ადამიანური სახის შენარჩუნება ყოველთვის მოგვეთხოვება. —თქვა ნოდარმა.

—ცხოველები ვართ, აბა რა ვართ? თუ სუ მუდმივად ლუკმა პურის შოვნაზე არ იფიქრე, მშიერი მოკვდები და რა ადამიანობაზეა ლაპარაკი? —თქვა ვაჟამ.

—როგორ ფიქრობ, ადამიანს მეტის შოვნის შესაძლებლობა აქვს თუ ცხოველს? —ჰკითხა ნოდარმა.

—გააჩნია რა შემთხვევაში. მგელს ეხლა რომ არ შია და უამრავი საკვების შოვნა შეუძლია, ცხვრის თუ სხვა, განა ადამიანი ასეა? ადამიანი დღეს უფრო მშიერი არ არის? თუმცა გამგელებული ადამიანი უფრო კარგად შოულობს, ბევრი ფულიც აქვს და არაფერი უჭირს. —თქვა ვაჟამ.

—მერე იმ გამგელებულ ადამიანს გინდა დაემსგავსო? —თქვა ნოდარმა.

—მერე ცუდია? მშვენივრად ცხოვრობენ. მე ვინ მომცემს ამის საშუალებას, თორემ...—თქვა ვაჟამ.

—რას ამბობ? აბა დაფიქრდი. ყველა თუ იმათ მიებაძავთ, მასე ხომ ერთიმეორეს ამოვჭამთ?

—არა ვჭამთ რო?

—მერე კარგია ეს?

—არ არის კარგი, მაგრამ... ჩემზე ხომ არ არის დამოკიდებული, ისინი როგორი იქნებიან? —თქვა ვაჟამ.

—ისინი თუ არა, შენი თავი ხომ არის შენზე დამოკიდებული? შენ შენი თავი წაიყვანე გონიერებისკენ, სხვამ თავისი თავი. რაც მეტი გონიერი ადამიანი იქნება, უგუნურები მით მეტად იგრძნობენ თავს მგლობაში შეხლუდულად. აბა მითხარი ის "მგლები" ვარსკვლავებზე, სამყაროზე და ღმერთზე, რომ ფიქრობდნენ, "მგლებად" იქცეოდნენ? —თქვა ნოდარმა.

—რა თქმა უნდა არა. ღმერთი მაშინ ახსენდებათ, ფეხი თუ გადაუბრუნდათ, ან ძალიან მძიმე და ბევრმა ცოდვებმა თუ შეახსენათ თაკი.

—ხო და, მაშ სწორი გზა რომელი ყოფილა? არც ასეა საქმე, რომ პურის ფულის შოვნა, შეუძლებელი იყოს. მართალია გაჭირდა, ისე ადვილი აღარ არის, როგორც ვთქვათ 10 წლის წინ, მაგრამ თუ გატოკდები, მაინც იშოვი. ამისთვის მგლობა არ არის საჭირო. გაჭირვება უფრო მეტად იმის მიზეზია, რომ ხალხის დიდი ნაწილი, ძალიან ამპარტავანი გახდა. თავში ჩანერგილი აქვთ „თანასწორობა" და იმ "მგლების" მიბაძვით, არ კადრულობენ ისეთ საქმეს, რომელსაც „მგლები" არ აკეთებენ უბრალოდ, ბევრი თავისი მიწის ნაკვეთის თოხნასაც კი არ კადრულობს. ის კი ვეღარ გაუგიათ, რომ თანასწორობა უფლებების და კანონის ფარგლებში უნდა იყოს და არა, საქმიანობაში. უფლებების და კანონის სფეროში კი, ძალიან ბევრს კარგავენ.

—ერთი ანკესი ტოკავს. აბა წავალ, ვნახავ. —წამოიძახა გიამ, წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით ანკესებისკენ წავიდა. მას ნოდარიც მიჰყვა.

ერთერთ ანკესს მართლაც არხევდა თევზი.

—ისე ნელა არხევს, ალბათ პატარა თევზია. —თქვა ნოდარმა. გიამ ამოსწია ანკესი. ნოდარის ეჭვი გამართლდა, თევზი მართლაც ძალიან პატარა იყო.

ამ დროს ჭალის მხრიდან, მაღალ ხეებში შემავალი გზიდან, ჟიგულის მარკის ავტომანქანა გამოვიდა, რომელიც ქოხისკენ წამოვიდა. მანქანას უკან, სამი ფეხით მოსიარულეც მოჰყვა და ყველა ქოხთან შეიკრიბა.

—გამარჯობათ, მეთევზეებო! —დაიძახა ერთ-ერთმა ხმამაღლა. სხვები ხმადაბლა მიესალმნენ ერთიმეორეს.

–შეგვჭამეს კოღოებმა, ეს რამდენი ყოფილა. –თქვა ისევ იმ ბიჭმა, რომელიც ხმამაღლა მიესალმა ყველას. –შიგნით ტყეში ღრუბელივით დადის კოღო, იმდენია. ვეცადეთ, მაგრამ ვეღარ გავუძელით, ჭამა არ გვაცალეს. აქ რომ დავსხდეთ, ხელს ხომ არ შეგიშლით?

–დასხედით. მე რა ხელი უნდა შემიშალოთ. –უთხრა ვაჟამ. მანქანიდან ყველა, რომ გადმოვიდა, ექვსნი აღმოჩნდნენ. ორი მათგანი ნოდარის და გიასკენ წავიდა, ალბათ თევზჭერით დაინტერესდნენ. სხვები კი იქვე დარჩნენ. დარჩენილებიდან ნოდარმა ერთი ამოიცნო. ერთ-ერთმა მათგანმა ისევ ვაჟას მიმართა: –ბიჭო ხომ არ გაგიტყდებათ აქ რომ დავლიოთ?

–ვინ არიან? –იკითხა გიამ.

–იმ ერთს ვიცნობ. თბილისში სწავლისას რამდენიმე თვე, ერთ ეზოში ეცხოვრობდით. ვასიკოს ეძახიან. ცუდი ბიჭი არ არის. დათოს სოფელში ცხოვრობს. სხვები ვინ არიან, არ ვიცი, ალბათ ყველანი იმ სოფლიდან არიან.

–რა ვიცი, თავხედურად კი შემოიჭრნენ და...

ისინი, რომელნიც ნოდარის და გიასკენ წამოვიდნენ, მათთან ახლოს გაჩერდნენ, მიესალმნენ და ჰკითხეს. –მოდის თევზი?

–ეხლა ვიწყებთ. ჯერ არ ვიცი. –უპასუხა ნოდარმა.

ნოდარმა და გიამ სხვა ანკესებზე დაკვირვება განაგრძეს, ის ორნი კი მცირე ხანს იდგნენ, მერე უკან დაბრუნდნენ ქოხთან.

ქოხის გვერდით, ჩრდილის მხარეს "სუფრა" გაშალეს. ერთმა, რომელიც ვაჟას მიმართავდა ცოტა უხეშად, კვლავ უთხრა ვაჟას: –ბიჭო, აქ დავლევთ და წავალთ რა, თქვენ არ გაგიტყდეთ.

–დალიეთ ძმაო, მე ხომ არ გიშლით. –უპასუხა ვაჟამ.

–გიშლით რა სიტყვაა, ძმაო, რა უფლება გაქ? ალაზანი ყველასია. ეს ადგილი ბაბუაშენს ხომ არ ეკუთვნის?

–მოდი აქ, რა გინდა მაგ კაცისაგან. თავი დაანებე. –დაუძახა ერთერთმა იმ ბიჭს.

–ვსაუბრობთ რა, რა მოხდა? არ შეიძლება ვესაუბრო? –უპასუხა მან და მერე ისევ ვაჟას მიმართა. –შენ კი არ გეწყინოს, ძმაო, ითევზავე, მე რას გიშლი. თევზი მინდა რა, ძმურად გეჭამე. ღვინო გეაქ და დავლიოთ.

–ჯერ არაფერი დამიჭერია, ძმაო, ეხლა მოვედი. –უპასუხა ვაჟამ. ერთ-ერთი სუფრასთან მყოფი გამოეყო და ისიც ვაჟასთან მივიდა.

–ბიჭო გაგვისწორე რა, თუ გაქვს თევზი, შევწვათ. –უთხრა ახალმა მოსულმა.

–არა მაქვს, ძმაო, ხომ გითხარით, ეხლა მოვედით და ჯერ არ დაგვიჭერია. –უპასუხა ისევ ვაჟამ.

–არა გაქვს? კარგი... მაშინ ისე მაინც წამოდი, ჩვენთან დაჯექ, ღვინო დაგლიოთ. –თქვა იგივემ. და ისევ ქოხისკენ წავიდა. თან უთხრა პირველად მოსულს –წამო, თუ არა აქვს რა უნდა შეწვა.

–მოიცა, რა, ბიჭო. ალაზანზე ვარ და თევზი არა ვჭამოთ? –თქვა პირველად მოსულმა და ამჯერად ნოდარისა და გიასკენ წავიდა.

–ბიჭო, თევზი მინდა რაა, მოგვეცი. არც თქვენ გაქვთ? –უთხრა ნოდარს ბრძანების კილოთი.

–გვაქვს თუ არა, ეგ მეორე საკითხია, –უთხრა ნოდარმა. –ჯერ ეგ მითხარი, ჩემი მეგობარი და ახლობელი არა ხარ, რომ გაჩუქო. თუ დაყაჩაღება გინდა, არ დაგითმობ და თუ მათხოვარი ხარ, მაშინ თხოვნის კილოთი უნდა თქვა და არა, ბრძანების კილოთი.

ქოხთან მყოფი ბიჭებიდან, ნოდარის ნაცნობი ვასიკო, რომელმაც როგორც სჩანს ეხლა იცნო ნოდარი, მათკენ წამოვიდა.

–მოიცა, ბიჭო, შენ რეებს ამბობ, ვინ არის მათხოვარი?

–მე არ მითქვამს, რომ მათხოვარი ხარ. მე გკითხე, ამ სამი შესაძლებლობიდან რომლად მიიჩნევ თავს? რაკი მათხოვრობას უარყოფ, ესეიგი ყაჩაღად თვლი თავს, ეხლა რეკეტს რომ ეძახიან და ასეთ შემთხვევაში, მე არ დაგითმობ.

–რა რეკეტი, რის რეკეტი, ბიჭო, მე კაცურად მოვედი და კაცურად გითხარი.

–კაცურობაზე სწორი წარმოდგენა არა გქონია. მოხვიდე და მიბრძანო, თევზი მინდა და მომეციო, ეგ კაცური არ არის.

–ვა, ნოდარ, როგორა ხარ. რამდენი ხანია არ შემხვედრიხარ. – თქვა მოსულმა ვასიკომ და ნოდარი გადაკოცნა. შემდეგ იმ ბიჭს მიუბრუნდა: –რა გინდა, რატომ არ დაწყნარდები. ტყეში რომ შეეედით, აქ არ გავიარეთ? ესენი აქ იყვნენ? ეხლა მოვიდნენ და ასე უცებ საიდან გააჩენდნენ თევზს. ბაზარში ხომ არ იყიდიდნენ და აქ ხომ არ წამოიღებდნენ? კიდეც რომ ქონდეთ დაჭერილი, ეგ რა ზრდილობაა ძალით წაართვა? ესენი ისეთი ბიჭები არიან, არაფერი ეშლებათ.

–ბოდიში ძმაო, თუ ზედმეტი მომივიდა! –თქვა უკმეხად და გაბრუნდა. ვასიკომ კი მოიკითხა ნოდარი.

–როგორ ხარ, ძმაო. რას აკეთებ, როგორ ცხოვრობ.

–რა ვიცი. ვარ ჩვეულებრივად, როგორც დროს შეეფერება. შენ როგორა ხარ.

–მეც ასე, რა... ცოლი ხომ არ მოგიყვანია?

–არა, ჯერჯერობით არც ვაპირებ. შენ?

–არა, არც მე. ეხლანდელ დროში ხომ იცი, ძნელია.

–ვინ არის ეგ ბიჭი, ასე თავხედურად რომ იქცევა? ან შენ რა გინდა მაგისთანასთან?

–უბნის ბიჭები ვართ. ალაზანზე გასეირნება და ბანაობა მოვიფიქრეთ, ხარჯი ავიღეთ და წამოვედით. ეს ბიჭი ჩვენი უბნელია. ეგეც აგვეკიდა, ცოტა ვერ არის ჭკვაზე. მშობლები დაეხოცა, მარტო ერთი, თავისზე პატარა და ჰყავს. უპატრონოდ დარჩენილი გათავხედდა, თუმცა არც ადრე იყო ანგელოზი. ის დაც დატანჯა. ქვეყნის ვალები აქ, ზოგი ნასესხები, ზოგი წაგებული, სახლში კი არაფერი მიაქ, ქუჩაში ძმაკაცებს აჭმევს. იმ გოგოს შეყვარებული ჰყავს, გაუშვას მაინც შეყვარებულთან და პატრონი გამოუჩნდება, ოჯახი ეყოლება. მერე იცი რა კარგი გოგოა? ამას კი არა ჰგავს.

–მაგ გოგოს მაია ხომ არ ჰქვია?

–ხო, მაია ჰქვია. იცნობ?

–ვიცნობ, ჩემი ბიძაშვილის შეყვარებულია. ძალიან უყვართ ერთი მეორე და ეს არანორმალური კიდე თავს იგიყებს, ისინი თუ ერთმანეთს შეხვდნენ.

–დათო შენი ბიძაშვილია?

–ჰო. ჩემი ბიძაშვილია და მისი მხრიდან ვიცნობ მაიას. დღესაც აქ უნდა ყოფილიყო, ჩვენთან, მაგრამ მამამისი ხიდან ჩამოვარდნილა და ფეხი მოუტეხია.

–ფეხი მოუტეხია? მე არაფერი გამიგია.

– დღეს მოუტეხია და თქვენ შეიძლება უკვე წამოსულიც იყავით იმ დროს.

ბიჭებმა ვასიკოს დაუძახეს. მანაც უპასუხა – ეხლავე მოვალო და ნოდარს უთხრა: – წამოდი შემოგვიერთდი, ერთიორი ჭიქა დალიე.

–ვისთან? მაგასთან?

–იქ მარტო ის ხომ არ არის? საერთოდ, მაგას ვინ კითხავს? ხმას ვერ ამოიღებს.

–არ მინდა დალევა. მადლობ მერე დამეძინება და ვერ ვითვეზავებ.

–აბა, აქ ხომ არ იდგები მზეში? თქვენი ქოხია და რა გამოვა, "გარეული მოვიდა და შინაური გააგდოო"?

–იმ ჩრდილში ყველა მაინც ვერ ეტევა და...

–წამოდი, წამოდი. შენ რომ აქ იდგე და ჩვენ იქ ვიქეიფოთ, ეგ ხომ არ შეიძლება? ეგ ხომ იგივეა, რომ თქვა, წადით აქედანო.

–კარგი წამოვალ. –თქვა ნოდარმა და გაჰყვა.

–შენც წამოდი. –ვასიკო ახლა გიას მიუბრუნდა, რომელიც იმ წამს მოსული ისედაც მათ მიჰყვებოდა. მისვლისას ვასიკომ ნოდარი ბიჭებს, როგორც თავისი მეგობარი ისე გააცნო და ისინიც მათ შეუერთდნენ.

დიდხანს არ დარჩენილა ნოდარი მათთან. მათი სალაპარაკო თემა ნაკლებად აინტერესებდა და ნახევარი საათი ძლივს გაძლო. ვაჟას დაბრუნებით კი, თითქოს შემცვლელი მოუვიდაო, გარკვეული თავისუფლება იგრძნო. წამოდგა, ბოდიში მოიხადა და ანკესებისკენ წავიდა. რამდენიმე წუთში გიაც ადგა და ნოდართან წავიდა.

–შენ რაღატო წამოხვედი, მარტო ვერ მივხედავ? –უთხრა ნოდარმა გიას.

–კი მიხედავ, მაგრამ მარტო რატომ დაგტოვო, ასეთი უსინდისო ვარ? მითუმეტეს, რომ იმ საზოგადოებაში ყოფნა სულაც არ მინდა.

გარკვეულ ხანს უაზროდ იბოდიალეს ანკესების ირგვლივ, თითქოს რამეს შეცვლიდნენ. თევზი კი ჯიუტად არ ედებოდა ანკესს. მხოლოდ პატარა თევზები აწვალებდნენ, რომლებიც ანკესს ვერ ყლაპავდნენ.

ერთერთი ანკესის ნემსკავი ამოწვევის დროს რაღაცას წამოედო და ჩაწყდა. საჭირო იყო ახალის ჩაბმა და ნოდარი ქოხისკენ წავიდა ნემსკავისთვის. იქ მისულს ვასიკო გამოელაპარაკა: მაინც ვერაფერს იჭერ, მოდი დაჯექი ჩვენთან, ღვინო მაინც დალიეო.

–არ მინდა დალევა. –უპასუხა ნოდარმა.

–ბიჭო, მოდი ვაშკაცებთან დაჯექი, ვაშკაცურად ღვინო დალიე, იყავი ვაშკაცი. –უთხრა მაიას ძმამ.

ნოდარმა ყურადღება არ მიაქცია.

–შენ რა არ გესმის, ბიჭო?! –ხმას აუწია მაიას ძმამ. –დალაპარაკებას არ კადრულობ?! მე აქ ტილი ვარ თუ ვაშკაცი?!

—ვაშკაცი არ ვიცი რა არის. —უთხრა ნოდარმა.

—არ იცი იმიტომ, რომ არა ხარ ვაშკაცი. შენს გაგებამდე არ მოდის.

—ვაშკაცი არ ვიცი რა არის, მაგრამ თუ ვაუკაცს გულისმობ, ეგ ხალხმა უნდა შეაფასოს ვარ თუ არა. შენსავით თვითონ არ დავიბრალებ.

—მე ვიბრალებ ბიჭო?! მე არა ვარ ვაშკაცი?!

— ვაუკაცი რომ იყო, არ იყვირებდი, მე ვარ ვაუკაციო. რა გაგიკეთებია ისეთი ვაუკაცად, რომ ჩაგთვალონ? შენ და შენნაირებმა ვაუკაცობის ახალი, თქვენზე მორგებული წესი შექმენით. თქვენს უსუსრობას, რომ გრძნობთ თავს მაგით იმშვიდებთ, ვითომ ვაუკაცები ხართ. სინამდვილეში კი, თქვენი უსინდისო და უნაყოფო ქცევით, თქვენს თავსაც ღუპავთ, თქვენს ახლობლებსაც და ქვეყანასაც. მომავალ თაობას ჭკუა-გონებას ურევთ და უბინძურებთ. რომელია შენი ქმედებიდან ვაუკაცობა: ნარკოტიკები, ლოთობა, ქურდობა თუ საერთოდ ქვეყნის და ერის მტრობა? ვაუკაცი თავს არ იკლავს. ის შეიძლება სიმართლეს და სუსტის დაცვას შეეწიროს. შენ კი თავს იკლავ. საკუთარი თავი ხომ გააუბედურე, ერთი და გყავს და იმასაც აუბედურებ. ბედს უსაბრ, სიყვარულის უფლებას არ აძლევ, სახლში გყავს ჩაკეტილი მშიერ-მწყურვალი და დარდებით გატენილი. თუ ის დარდისგან შენზე ადრე არ მოკვდა, ორ-სამ წელიწადში, ან თავისით მოკვდები, ან ვინმე მოგკლავს ასეთი ცხოვრების გამო და მერე ვის უტოვებ შენს დას?

ამ სიტყვებზე მაიას ძმა მეტად გაღიზიანდა. წამოდგა, ნელა მიეიდა ნოდართან და სახეში მუშტი დაარტყა. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ოდნავ მოიკვანტა, თითქოს საპასუხო დარტყმის მოგერიებას აპირებსო. ამის დანახვაზე კი ბიჭები წამოცვივდნენ, ვინ გასაშველებლად და ვინ ვის მისახმარებლად, მაგრამ ნოდარს გარტყმის პასუხი არ დაუბრუნებია.

—აი, რა სწრაფად დაამტკიცე შენი უსუსრობა და უგუნურობა. უგუნურები და უმეცრები მკლავზე და კუნთებზე იყურებიან, რადგან სხვა არაფრის უნარი არ გააჩნიათ და როგორც კი აქაც უსუსრობას იგრძნობენ, დანას თუ სხვა იარაღს ეძებენ საშველად. ასე ცდილობენ შენნაირები, თვითდაბრალებული ვაუკაცობა დაამკვიდრონ, მაგრამ საქართველოში უგუნურობა, უსუსურობა და მოუთმენლობა არასდროს არ ყოფილა ვაუკაცობა და ვერც ეხლა დაამკვიდრებთ. ვაუკაცობა, გონიერება და მისი ხელმძღვანელობით კეთილი საქმისთვის შეუპოვარი, გაბედული ბრძოლაა და არა უგუნური და ლაჩრული გამოხტომები. —დაასრულა ნოდარმა, შებრუნდა და წაეიდა.

ბიჭები გააოგნა ნოდარის საქციელმა. არავინ ელოდა, რომ ნოდარი პასუხს მუშტის გარტყმისთანავე არ დაუბრუნებდა, მით უმეტეს, რომ ფიზიკური ძალით, აშკარად უპირატესად გამოიყურებოდა. რამდენიმე წუთს ასე დაბნეულები, ადგილზე იდგნენ, რაღაც უაზრო ბურდღუნით, თუ ლაპარაკით, შემდეგ კი ნელნელა თავიანთ ადგილზე დასხდნენ. ვაუაც მათთან ერთად დაჯდა.

თითქმის ერთი საათი კიდევ ისხდნენ სუფრასთან ბიჭები, მაგრამ ქეიფი აღარ გამოუვიდათ. მხოლოდ მცირე, ზოგჯერ საკმაოდ

მაღალტონიანი კამათი ისმოდა. შემდეგ კი ნელნელა დაიშალნენ. ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

—რატომ არა სცემე? —ჰკითხა ნოდართან და გიასთან მისულმა ვაჟამ. —ბევრნი რომ იყვნენ შეგეშინდა? ჩვენც ხომ აქ ვიყავით.

—ნოდარს არაფერი შეშლია. ზუსტად ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყო. —უთხრა გიამ.

—ერთი მაინც გაგერტყა. —თქვა ისევ ვაჟამ.

—რომ გამერტყა უკეთესი რით იქნებოდა? მისთვის მიმებაძა მხეცობაში და მისი მსგავსი გავმხდარიყავი? — მასაც ხომ სწორედ ეს უნდოდა. ეხლა უფრო დათრგუნულად იგრძნობს თავს, რომ თავისთვის ჩვეული და სასურველი მდგომარეობა ვერ შექმნა. ამან შეიძლება დააფიქროს და მიხვდეს, რომ უგუნურად იქცევა და უსუსურია.

—ვერ გავიგე რა უსუსურობაზე ლაპარაკობ. ის ხომ გამარჯვებული გამოვიდა? იმან გაგარტყა, შენ კი, ისე გამოვიდა, თითქოს შეგეშინდა. ასე ხომ უფრო გამარჯვებულად იგრძნობს თავს? — თქვა ვაჟამ.

—ეგ შეიძლება თავის ძმაკაცებში თქვას, სინამდვილეში კი იგრძნობს, რომ არსებობს გონიერება, რომელიც მის ჭკუას არ დაჩეენება და მასზე მაღალია.

—რა ვიცი, რა ვიცი... შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ მე ასე არ მოვიქცეოდი. —თქვა ვაჟამ და ისევ თავის ანკესებისკენ წავიდა.

მზე ჩასასვლელად მოემზადა. თევზებმა თითქოს აქამდე ეძინათ და ხლა გამოიღვიძესო, ნოდარის და გიას "შეწუხება" გადაწყვიტეს. სულ უფრო და უფრო ხშირად უწევდათ წამოძახება, აი დაარტყაო და ანკესებთან გარბოდნენ.

დაღამდა.... ჩამობნელდა. დასავლეთით დაკიდებული ნახევარმთვარე უმნიშვნელოდ ანათებდა. ულრუბლო ცა, ვარსკვლავებით გაივსო. მაოზე დასაკვირვებლად მშვენიერი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ნოდარი და გია ისე გაერთნენ თევზაობაში, ვარსკვლავები არც გახსენებიათ. მხოლოდ მას შემდეგ, გაახსენდათ ცა და ვარსკვლავები, როცა თევზჭერამ იკლო.

—თევზი ხომ იმდენად აღარ მოდის და ეხლა ცას მივუბრუნდეთ, თორემ შეიძლება მერე მოიღრუბლოს. —თქვა ნოდარმა და მიუთითა —მე იმ კუნძს წამოვიღებ აქ დასაჯდომად, შენ კი რუკა წამოიღე.

გია წავიდა და ვარსკვლავთ რუკით დაბრუნდა, რომელიც სასკოლო ასტრონომიის წიგნიდან ამოიღო. ორივე ჩამოჯდა წყლის მიერ, მდინარის ადიდების დროს მოტანილ და ნაპირზე გამორიყულ, ხის მოზრდილ ტოტზე, რომელიც ნოდარმა მოათრია.

—ჯერ რაც ვიცით, ის დავაზუსტოთ. —თქვა გიამ რუკის გადაშლის შემდეგ და ელექტროფანარი მოიმარჯვა.

—აბა, სკოლაში რა გასწავლეს, გაიხსენე.

—სკოლაში რა უნდა ესწავლებინათ, ასტრონომიის გაკვეთილზე მათემატიკის გაკვეთილს გვიტარებდნენ. წიგნი მქონდა და ალაგ-ალაგ მე თვითონ წავიკითხე. ზოგიც მამაჩემისგან ვიცი. —თქვა გიამ.

—მეც ასე ვიყავი. მეც მათემატიკის გაკვეთილს მიტარებდნენ ასრტონომიის მაგივრად. თვითონ ვკითხულობდი სახლში და ბევრი

რამ ვისწავლე კიდეც: თუმცა თითქმის აღარაფერი მახსოვს. –აი ის, დიდი დათვის, ის კი პატარა დათვის თანავარსკვლავედებია. პატარა დათვის კუდის ბოლო ვარსკვლავი, პოლარული ვარსკვლავია. ის დედამიწის ბრუნვის ღერძის გასწვრივ მდებარეობს და ამიტომ დედამიწის დღეღამური ბრუნვის შედეგად მიღებულ მოჩვენებით ბრუნვაში არ მონაწილეობს და ერთ ადგილზეა გაჩერებული. –ახსნა გიამ და შესაბამისად თითითაც მიუთითა.

–ეგენი კარგად ვიცი. აი, ის, დასავლეთით ჩასვლაზე რომ არის, ლომის თანავარსკვლავედია. ლომის თანავარსკვლავედი ხომ იცი, ზოდიაქოს წრეშია. მას აღმოსავლეთით ეკლიპტიკაში მოჰყვება: ქალწული, სასწორი, ღრიანკალი და ა.შ. აი, ის, დაბლა აღმოსავლეთით, მშვილდოსანია. –თქვა ნოდარმა –ზოდიაქოს წრე ეკლიპტიკაშია და ესეიგი, მზის სისტემის სიბრტყე, ზოდიაქოს სიბრტყის თანხვდენილია.

–ყველაზე ცნობილი ვარსკვლავი რომ არის სირიუსი, ის საღღაა?

–სირიუსი ქოფაკის თანავარსკვლავედშია და ეხლა უკვე ჩასულია. შეიძლება გამთენიისას დავინახოთ. ეხლა მზე ტყუპის თანავარსკვლავედშია და ქოფაკის თანავარსკვლავედი ტყუპის გასწვრივაა. ერთად ამოდიან და ერთად ჩადიან. ამიტომაც მე მგონი არც დილით გამოჩნდება.

–ჰერკულესი? ბერიკაცი რომ გვეუბნებოდა, ეგ საღღაა?

–ეგ არც მე მახსოვს კარგად, რუკაზე მოვძებნოთ.

ბიჭებმა მოძებნეს რუკაზეც და ცაზეც ჰერკულესის თანავარსკვლავედი, რომელიც აღმოსავლეთით აღმოჩნდა. შემდეგ მის ირგვლივ თანავარსკვლავედებს გაეცნენ, რომლებიც ზოგი ამოსული იყო, ზოგიც იმ დროს ამოდიოდა: "ჩრდილოეთის კორონა", "გველმჭერი", "არწივი", "ქნარი", "დრაკონი" და სხვა. კიდე დიდხანს ილაპარაკეს ვარსკვლავებზე, სამყაროზე, "ირმის ნახტომზე", ბოლოს მობეზრდათ თუ დაიღალნენ და თავი დაანებეს.

–წადი გია, დაიძინე. შენ ბევრი საქმე გაქვს ხვალ. აქ ორი კაცი რა საჭიროა? ამ ანკესებს მეც ვეყოფი.

–მარტო ხომ არ დაგტოვებ?

–მერე რა, მგლები შემჭამენ? შენ დაიძინე და სალაპარაკოდ ეაუაც მოიცლის. მასთან ვილაპარაკებ და გავერთობი.

–კარგი. ცოტას დავიძინებ, მერე ავდგები და შეგცვლი. შენც ხომ გინდა ძილი.

–არა, მე რად მინდა. შენ ცოლიანი ხარ, მეტ ენერგიას ხარჯავ და მეტი დასვენება გჭირდება. წადი და დილამდე არ ადგე.

–შენ რა დამციინი? დაძინება და დასვენება ყველას სჭირდება. ცოლიანი რა შუაშია? რამდენიმე საათი დავიძინებ, მერე შენც დაიძინე და გათენდება კიდეც. –თქვა გიამ და მანქანისკენ წავიდა.

ღამე თევზი ცოტა მოვიდა. გამთენიისას ნოდარმაც გაიღვიძა და ჩაება თევზაობაში. თევზჭერაც გააქტიურდა. ივნისის თვეში, ყველაზე აქტიურად მოდის თევზი. 9 საათისათვის. თევზი უკვე 5 კილომდე ჰქონდათ დაჭერილი და გადაწყვიტეს რომ საკმარისი იყო და სახლში

დაბრუნებულიყვნენ. ვაჟა იქ დარჩა, რადგან ოჯახს თევზით არჩენდა ის რამოდენიმე დღით რჩებოდა ყოველთვის, ბევრს აგროვებდა და ჰყიდდა.

სახლში რომ მივიდნენ, დათო იქ დაუხვდათ. იგი ნოდარის ეზოს წინ, ქუჩის სკამზე იჯდა და მათ ელოდა.

—რაო, რა ხდება, როგორ არის მამაშენი? —ჰკითხა მანქანიდან გადმოსვლისთანავე ნოდარმა.

—კარგად არის, ნაღრძობი ჰქონია და ძარღვი აყრილი...

—მოტეხილობა არა აქვს?

—არა, თავიდან ასე ეგონათ, მაგრამ რენტგენზე რომ გასინჯეს, არ ჰქონია მოტეხილობა.

—კიდევ კარგი, თორემ დაიტანჯებოდა. თუმცა, არც ეგ არის უმტკივნეულო.

—თქვენ რა ჰქენით, დაიჭირეთ თევზი?

—კი. 5 კილომდე იქნება. სუფრისათვის საკმარისზე მეტია.

—ვარსკვლავებიც "დაიჭირეთ"?

—ჰო, ეგეც "დავიჭირეთ". ამინდიც კარგი დაგვადგა. მთელი ღამე მოწმენდილი ცა იყო, თუმცა მთელი ღამე არ დაგვჭირვებია. რაც შეგვეძლო ერთ საათში განეიხილეთ. ერთი შეხედვით მთელ ცას ვერ შეისწავლი. ამას ხანგრძლივი დრო და შესაბამისი ლიტერატურა სჭირდება. თუმცა, ყველა ვარსკვლავის სახელწოდება და მდებარეობა არც არის აუცილებელი რომ ვიცოდეთ. მთავარია, ზოგადი სამყაროს აღნაგობა ვიცოდეთ.

—კარგი, წავალ მე სახლში. არც კი იციან რომ მოვედი. ალბათ ბევრი საქმე იქნება გასაკეთებელი. —თქვა გიამ. თევზი და თავისი ანკესები აიღო და სახლისკენ წავიდა.

—ცოტა ხანში მეც მოვალ, მოგეხმარები. —მიაძახა ნოდარმა.

დათომ და ნოდარმა ცოტახანს კიდე ილაპარაკეს და დათო წავიდა სახლში. ნოდარი კი გიასთან წავიდა.

მეორე დღეს ჯიხური არც გაუხსნიათ, მისთვის არავის ეცალა. დილიდანვე საქმიანი ფუსფუსი იგრძნობოდა გიას სახლში.

ლელა წინა დღითვე მოვიდა მათთან და ქეთინოს დედასთან ერთად სამსრეულოში ტრიალებდა. იგი მალიმალ ტუქსავდა ქეთინოს: —წადი გოგო, შენ დაისვენე, დღეს შენი ზეიმია და არ უნდა დაიღალო, ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთო. მაგრამ ქეთინო არ ეპუებოდა. ბოლოს, მართლია გვიან, მაგრამ მაინც გაიყვანა ცალკე ოთახში.

—წამოდი, ეხლა უნდა გამოგაწყო. შენ ხომ მე გამომაწყვე პატარძალი რომ ვიყავი, ეხლა მე უნდა გამოგაწყო. შენ ქორწილი არ გქონია და ეს ჯვრისწერა შენთვის და გიასთვის ქორწილიც არის. ჩემი საყვარელი რძალი, ულამაზესი პატარძალი უნდა იყოს. —უთხრა ლელამ და ხელჩაკიდებული გაიყვანა.

კარგა ხანს რთავდა ლელა ქეთინოს, რომ მორჩნენ დასვა ოთახში და სამსარეულოში გასვლა აუკრძალა: არ დამღუპო და ამდენი შრომა წყალში არ ჩამიყარო, იქ არ გამოხვიდეო.

ნელნელა სტუმრებიც მოგროვდნენ. ნოდარიც მეჯვარის შესაფერისად გამოეწყო, შესაძლებლობის მიხედვით და თავის მანქანიანად გამოვიდა ქუჩაში.

ექვსი მანქანა მოგროვდა სტუმრების მეშვეობით. მათგან უფრო ახალი და ლამაზი შეარჩიეს გიასა და ქეთინოსათვის და მათი მეჯვარეებისათვის. ნოდარმა კი თავისი მანქანა დათოს გადააბარა.

წასვლის დროც მოვიდა და გიას ოჯახის წევრები სტუმრებთან ერთად ქუჩაში გამოიშალნენ. ქუჩაში გამოიყვანეს ქეთინოს დედაც. მას ეკლესიაში წასვლაც შესთავაზეს, მაგრამ მკაცრი უარი თქვა, იმის შიშით, რომ ცუდად არ გამხდარიყო და მათთვის ზეიმი არ ჩაეშალა.

ყველას ბედნიერი სახე ჰქონდა. განსაკუთრებით კი ქეთინოს, ლელას და მათ დედებს უბრწყინავდათ სახე ბედნიერებით. ქეთინოს დედამ, სიხარულის ცრემლებიც ჩამოყარა. –ეს `უბედური ქალი, ასეთ ბედნიერებას ველირსე და ეხლა თუნდაც მოვკვდე, არაფერი მიჭირს. იმ საიქიოს მშვიდად წავალო.

ნოდარმა ასეთი ბედნიერი სახეები რომ დაინახა, გაიფიქრა: სულ რაღაც ორასი ლარი დასჭირდათ და ამდენი ბედნიერი სახე დავინახე მისი მეშვეობითო. ეშმაკსაც წაუღია იმისთანა ფული, თუ ბედნიერებას არ მოიტანს. ასე ცოტა სჭირდება ხალხს ბედნიერებისთვის და ისიც არა აქვსო.

ექვსი ავტომანქანა შეივსო ისე, რომ წასვლის მსურველი არავინ დარჩა და ავტომანქანებიც დაიძრნენ ადგილიდან ალავერდისკენ. მთელი დღე საუკეთესო, საზეიმო განწყობა ჰქონდათ. ბედნიერი, დასამახსოვრებელი დღე იყო.

ერთ კვირაზე მეტი დრო გავიდა გიას და ქეთინოს ჯვრისწერიდან. ნოდარმა, სხვებ'ხე არა ნაკლებ იმხიარულა და ისიამოვნა საზოგადოების საზეიმო განწყობით.

მაგრამ, მას შემდეგ მოიწყინა. მოწყენის მიზეზი თვითონაც ვერ გაეგო. ეს იყო, ან ასეთი ბედნიერად გატარებული დღის შემდეგ, ჩვეულებრივი ერთფეროვანი, მოსაწყენი დღეების განცდა, ან გიას და ქეთინოს მსგავსი სიყვარულის პოვნის სურვილი, ან უკვე განცდილი სიყვარულის შეგრძნების მოწყურება, ან გაცრუებული სიყვარულის, თუ ვინ იცის რის. ან ყველაფრის ერთად. როცა ეკითხებოდა თავისთავს, რატომ ვარ ასე ცუდ გუნებაზეო, თავადაც ვერ პოულობდა პასუხს. ერთი რამ კი, ცხადი იყო, რომ იმ ბედნიერი დღის შემდეგ, სევდიანი და მოწყენილი იყო. კარგი აღარაფერი ახსენდებოდა, მხოლოდ თავისი წარსულის ცუდი და უსიამოვნო წუთები ახსენდებოდა.

ეხლაც იჯდა ეზოში ჩაფიქრებული და იხსენებდა თავის წარსულის უსიამოვნო წუთებს, ოჯახური ცხოვრებიდან, თავის პირადი თავგადასავლიდან თუ საერთოდ, ცხოვრების უკუღმართობებს. ამ ფიქრებში უცებ ნანა ამოტივტივდა. გოგონა, რომელსაც ბაზართან მდგარ ჯიხურში მეძავობას აიძულებდნენ.

ნეტავი როგორ არის ის საწყალი, გაუარა შოკმა თუ არა? შოკი კი გაუვლიდა ალბათ, მაგრამ გულგრილობა და ის ფსიქოლოგიური ტრამვა,

რაც მაშინ მიიღო, მრავალი წელი და იქნებ მთელი სიცოცხლეც გაჰყვეს. მოახერხა კი მისმა დამ იქ დატოვება და ყველაფრის საიდუმლოდ შენახვა?

ნოდარი დაინტერესდა იმ გოგოს თბილისში ჩაყვანის შემედგ მისი ბედით. გადაწყვიტა წასულიყო და გაეგო. აქ მაინც მოუსვენრად ვარ, წავალ თბილისში, გავისეირნებ მაინც და გულს გადავაყოლებ. – იფიქრა ნოდარმა და მეორე დილით წავიდა.

ნანას პოენის გეგმა ადვილი იყო. მივიდოდა იმავე მაღაზიაში, სადაც მისი და მუშაობდა და მისგან შეიტყობდა ნანას ამბავს. ნახავა თვით ნანასი აუცილებელი სულაც არ იყო, მთავარია მისი ამბავი გაიგოს და თუ ისინი უარს არ იტყვიან, მერე ნანას ნახვაც შეიძლებოდა, მაგრამ ნანას დის სახელი დაავიწყდა. იქ რომ აღარ მუშაობდეს, მაშ როგორ ნახავს თუ სახელიც არ იცის და ვერ იკითხავს? მთელი მგზავრობის განმავლობაში ისხენებდა მის სახელს ნოდარი, მაგრამ ვერ გაიხსენა. ერთი წუთით გადაიფიქრა კიდეც მასთან მისვლა, იქნებ ვეღარც მიცნოს ან საერთოდ ცუდად მიმიღოს და გამომაგდოსო, მაგრამ ბოლოს მაინც მისვლა ამჯობინა.

მეტროდან ამოსული ნოდარი, პირდაპირ იმ მაღაზიისკენ გაემართა. შევიდა თუ არა მაღაზიაში მისი და დაინახა და მაშინვე იცნო. სახელიც კი გაახსენდა, დოდო. მიახლოვებულ ნოდარს დოდომ ჩვეულებრივი ტონით ჰკითხა რა გნებავთო. მაგრამ წამით შეკრთა, დააკვირდა, თაველები გაუნათდა და ჰკითხა: –თქვენ ნოდარი არ ბრძანდებით.?

–კი, –უპასუხა ნოდარმა.

–უი, რა კარგია, რომ მოხვედით. ნანა სულ თქვენს ნახვას ნატრობს. მის სანახავად ჩამოხვედით ხომ?

–კი, –უპასუხა ნოდარმა და თავიც დაუქნია.

–ერთ წუთს მომიცადეთ. ეხლავე გავთავისუფლდები. –თქვა დოდომ და მეორე გამყიდველს, რომელიც სკამზე იჯდა, რაღაც გადაულაპარაკა. შემდეგ უკანა, შესასვლელ კარში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ხელში პარკით, დახლებს გარეთ გამოვიდა და ნოდარს უთხრა, წავიდეთო. ნოდარიც უკან გაჰყვა.

–იცით, ისე გაუხარდება თქვენი ნახვა, რომ ვერ წარმოიდგენთ. სულ თქვენზე მელაპარაკება. თქვენ ძალიან უყვარხართ. სხვანაირად კი არ გამიგოთ, მას თქვენი სწამს, ღმერთივით გიყურებთ. ისეთი რწმნა აქვს თქვენზე, თითქოს ღმერთივით თქვენ წყვეტთ მის ბედს, სამომავლოდ. ხშირად ამბობს, ის რომ აქ იყოს, რას მირჩევდაო.

–ეს გასაგებიცაა. მართალია მე დიდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ის მცირედი დახმარება რითაც მე დავეხმარე, ისეთ დროს მოხდა, როცა ის აბსოლუტურ უიმედო, შოკურ მდგომარეობაში იყო და მართლაც იღუპებოდა. შოკური მდგომარეობის გამო ვერ აზროვნებდა, თორემ რა თქმა უნდა, გამოსავალის პოვნა თავადაც შეეძლო. მე დამიჯერა და ამიტომ სულ მცირე დახმარება მისთვის, საბედისწერო აღმოჩნდა.

–იცით, მე არ ვხუმრობ. ნანას მართლა ისეთი რწმენა აქვს თქვენდამი, რომ თქვენ არასდროს მიატოვებთ და მთელი ცხოვრება მფარველი

ანგელოზივით ეყოლებით. არავის არაფერი სჯერა, ყოველთვის ამბობს, ნოდარი, რომ აქ იყოს, სწორ რჩევას მომცემდაო. ერთი სათხოვარი მაქვს. იქნებ ერთ-ორჯერ კიდე ჩამოაკითხოთ და შემდეგ ალბათ ნელ-ნელა გაუვლის. ირწმუნებს, რომ სხვებიც ჰყავს ახლობელი და გულისდამწველი. თანდათან ჩვენც დაგვიჯერებს.

—თუ ასეა, ორჯერაც ჩამოვალ მის სანახავად და მრავალჯერაც. აქამდეც მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ თავი შევიკავე. არ მინდოდა მისთვის, ის ცუდი დღეები გამეხსენებინა.

—თქვენ თავმდაბალი ბიჭი ყოფილხართ და არ გინდათ, თქვენს გაკეთებულ სიკეთეზე ბევრი ილაპარაკოთ, მაგრამ მე რომ მოვისმინე ნანასგან ყველაფერი, რაც მოხდა ჯიხურში და შემდგომ, განცვიფრებული დავრჩი, რომ ასეთი ადამიანი, ჯერ კიდევ არსებულა ამ ქვეყნად. სხვა ფულს იხდიდა სხვის გაუბედურებაში, თქვენ კი, სიკეთე ქენით და ამისთვის გასამრჯელოც კი არ მოგითხოვიათ, პირიქით, თქვენი დახარჯეთ გულწრფელად და უანგაროდ. ამას მე მგონი არავინ გააკეთებს და მართლაც, წარმოუდგენელი სიკეთეა ეხლანდელ დროში. — მშვენივრად შეგძლებიათ ლამაზ ფერებში დანახვა, მაგრამ მე მგონი, ზედმეტად აზვიადებთ. მე სიკეთე მართლაც გავაკეთე, მაგრამ ისეთი, როგორიც ყველა ნორმალური ადამიანის ვალია. დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი მოიქცეოდა ჩემს ადგილას ასე.

—რას ლაპარაკობთ. თქვენ ამისი გჯერათ? ნუთუ ვერ ხედავთ, რა დროში ვცხოვრობთ, ხალხი როგორ გაბოროტდა, რას დაემსგავსა? —თქვა დოდომ.

—ოო. აი აქ კი, ვერ ხედავთ ლამაზ ფერებს. —უთხრა ნოდარმა.

—ასეა და რა ვქნა? ფერების გალამაზებით, მდგომარეობა არ შეიცვლება.

—ალბათ დამეთანხმებით, მეც რომ ასე უიმედოდ მეფიქრა, ნანას დახმარების სურვილიც არ გამიჩნდებოდა. თვითონ, რომ უიმედობაში არ ჩავარდნილიყო, გამოსავალს თავადვე იპოვიდა. ასე რომ, უიმედობა მარტო თავად კი არ ვნებს ადამიანს, არამედ სხვებსაც.

—ეგ კი მართალია.

—კიდე შორს ცხოვრობთ?

—არა. აქვე ახლოს არის. აი უკვე ჩანს. იმ სახლში ვართ. —თითით მიანიშნა დოდომ სამი სახლის შემდგომ მეოთხე სახლზე.

—სწავლობს?

—სწავლით კი სწავლობს. კარგად სწავლობს, მაგრამ ბიჭებისკენ გახედვაც არ უნდა და მეშინია, საერთოდ არ შესძულდეს მამაკაცი. გათხოვება და სიყვარული ხომ მასაც სჭირდება. რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება? მას ხომ არაფერი დაუშავებია?

—მართალია. არაფერი დაუშავებია და სიყვარულის უფლებაც აქვს, ისეთივე როგორც სხვას, მაგრამ იმ ფსიქოლოგიურ ტრავმის შემდეგ, რაც გადაიტანა, ისე სწრაფად ვეღარ აღიდგენს. მას ეხლა ფსიქოლოგი სჭირდება.

—ბევრი ველაპარაკეთ, მაგრამ ფსიქოლოგის გაგონებაც არ უნდა. არ მომყვება. მას მხოლოდ თქვენი იმედი აქვს და უბრალოდ ნახვაც კი საკმარისია მისთვის, რომ მდგომარეობა გამოუსწორდეს.

—თქვენმა მშობლებმა გაიგეს?

—არა. არაფერი იციან. ასეთ რამეს რა მათქმევინებს. მეშინია კიდეე ახალი უბედურება არ მოხდეს.

მითითებული სახლის კართან მიეიდნენ და ეზოში შეეიდნენ. ნოდარმა თვალი მოავლო ეზოს. კერძო ბინის ეზოში, რომელსაც ეტყობოდა, რომ წარსულში ერთი მფლობელი ჰყაედა, ერთ უფრო მო'ხრდილ სახლთან ერთად, ორი ზედ მი'შენებული. უფრო მომცრო სახლი იყო. სახლებს საღებავის ფერით და სხვა გარეგანი სახით ეტყობოდა, რომ ამჟამად სხვადასხვა მფლობელი ჰყაედა. ამას გარდა ეზოში სხვა, რამდენიმე ოთახ-ნაგებობაც იყო. ერთ-ერთი ასეთი ოთახიდან, მათი ეზოში შესულისთანავე ნანა გამოვიდა ნოდარისკენ გაიქცა. ბავშვური, მეამიტური სიხარულით მიირბინა ნოდართან და გადაეხვია. შემდეგ მკლავ'ზე მოხვია ორივე ხელი და აღფრთოვანებული სიხარულით თქვა: —ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი! ხომ ვამბობდი მოვა, არ მიმატოვებს-მეთქი. აი მოვიდა კიდეც. შენ არ გჯეროდა, მაგრამ მოვიდა. ვიცოდი, რომ მოეიდოდა. —მკლავში ისე ჩაბღუჯა ხელი თითქოს ართმევდნენ და არ თმობდა, თან ბინისკენ მიჰყავდა.

ოთახ'ში შესულმა ნანამ ნოდარს ხელი გაუშვა, თითქოს ეხლა უკვე ვეღარავინ წაართმევდა და დივანზე დაჯდომა შესთავაზა.

—ეხლავე რამეს გავამ'ზადებ და მოვიტან. —თქვა ნანამ.

—არა, მე გავამ'ზადებ. შენ დაჯექი და ისაუბრეთ. —უთხრა დოდომ და სულ პატარა, ოთახის მსგავს სათავსოში შეეიდა, რომელსაც სამ'სარეულოდ იყენებდნენ.

ნანა უსიტყვოდ მიუჯდა გვერდით ნოდარს.

—ვიცოდი რომ მომაკითხავდი, მაგრამ აქამდე რატომ არ მოხვედი?

—არა მცალია ვერ მოვახერხე. მეც ხომ ჩემი ცხოვრება მაქვს. უამრავი საქმე და პრობლემები. —უპასუხა ნოდარმა.

—კი, რა თქმა უნდა. —თქვა ცოტა დაფიქრებით ნანამ. რამდენიმე წამის შემდეგ ისევ მკლავზე მოეხვია და თქვა. —და მაინც ხომ მოახერხე და ჩამოხვედი?! ძალიან გამიხარდა. კიდევ კარგი კვირა დღეს ჩამოხვედი და სახლ'ში დაგხვდი. სულ მეშინოდა, სკოლაში რომ ვიყავი იმ დროს არ მოსულიყავი და ჩემს უნახავად არ წასულიყავი.

—შენთან ჩამოვედი და შენს უნახავად წავიდე, ეგ როგორ შეიძლება? ისეთ დროს ჩამოვალ, როცა სკოლაში არა ხარ და თუ მაინც სადმე გასული იქნები, მოგიცდი. ეგ არის რომ, ხშირად ვერ ჩამოვალ.

—არა უშავს, როცა მოახერხებ მაშინ მოდი.

—მოასვენე, გოგო, ეგ ბიჭი. ასე ჩამოკიდებული რომ ხარ, ხომ არ გარბის.? —უთხრა დოდომ, რომელმაც კამფეტები და ნამცხვრები შემოიტანა.

ნანამ უნებლიედ ხელი გაუშვა ნოდარს მკლავზე. წამიც არ გასულა, რომ ისევ მოეხვია მკლავზე და თქვა: —ეს ჩემი მამაა. ჩემი მეორე მამა... ბიოლოგიური კი არა, სულიერი. რა ვიცი, როგორ ვთქვა.. ასაკით პატარა კი არის, მამაჩემის ხნისა არ არის, მაგრამ მე მაინც მამად მიმაჩნია.

—კარგი, გასაგებია, მაგრამ ხომ უნდა მოასვენო? თუ ძალიან შეაწუხებ აღარ მოვა.

—ეს შეწუხება არ არის და ამის გამო არ მიმატოვებს, —თქვა ნანამ, ხელი გაუშვა და თან თვალებზე შეხედა ნოდარს, თითქოს დასტურს ელოდებოდა. ნოდარმაც, თითქოს მიუხვდაო, დაუდასტურა.

—არა, რა თქმა უნდა. ამის გამო არ ეწუხდები და არ მიგატოვებ. პირიქით, ეს ხომ სიხარულის გამოხატულებაა და ამის გამო რატომ შევწუხდები. თუ სხვა მხრივ მოიქცევი ცუდად, მაშინ კი მეწყინება.

ეს სიტყვა „სხვა მხრივ" რასაც ნიშნავდა ორივე კარგად მიუხვდა. ნანაც და დოდოც. ამიტომ ნანამ ასე უპასუხა: —არა, რას ამბობ საერთოდ არ მინდა ბიჭებისკენ გახედვა.

—მე ეს არ მიგულისხმია. —იუარა ნოდარმა, რომ არ სწყენოდა, —ახალგაზრდა გოგო ხარ, მომავალი წინ გაქვს. კიდეც უნდა გაიხედო და კიდეც უნდა შეიყვარო, გათხოვდე და შექმნა ოჯახი. ქორწილს კი იმედია არ გამომაპარებ. —უთხრა ნოდარმა.

—რა ვიცი, ეგ მომავლის საქმეა. თუ ვინმე შემიყვარდა... უფრო სწორად, თუ მომეწონა, ვიდრე შემიყვარდება და ცოლად გავყვები, შენ გაგაცნობ და რჩევას გკითხავ. უშენოდ არაფერს გადავწყვეტ.

—შენ რომ მე მელოდო, იქნებ ვერ ჩამოვიდე და შეიძლება სიყვარული გაგიფრინდეს. ასეთი საკითხი თვითონ უნდა გადწყვიტო შენს ახლობლებთან ერთად.

—არა, ასი წელი რომ გავიდეს, უშენოდ არაფერს გადავწყვეტავ, თუკი ასეთი შემთხვევა მექნება.

—შენ ჯერ პატარა ხარ. გაიზრდები, ჭკუაც მოგემატება და ჩემი დახმარება აღარ დაგჭირდება. —უთხრა ნოდარმა.

—რამდენი ჭკუაც არ უნდა მომეცეს, შენზე მეტი მაინც არ მექნება და უშენოდ ამ საკითხს არ გადავწყვეტ, თუკი ასეთი საკითხი საერთოდ დადგება.

—კარგი, კარგი. ასე იყოს. სიამოვნებით დაგეხმარები თუკი შეეძლებ.

ორ საათზე მეტ ხანს ილაპარაკეს ნოდარმა და ნანამ დოდოსთან ერთად. შემდეგ კი ნოდარი წამოდგა, ბოდიში მოიხადა და თქვა:

—სხვა საქმეებიც მაქვს, თორემ უფრო მეტ ხანს დაერჩებოდი, ეხლა კი უნდა დაგტოვოთ.

—მეც წამოვალ, თორემ დიდხანს დაგვიანებას არ მაპატიებენ —თქვა დოდომ.

—დიდი მადლობელი ვარ რომ მოხვედი. ძალიან გამახარე. —თქვა ნანამ და თვითონაც წამოდგა. —იმედია არც მერე დამივიწყებ.

—კი, გპირდები, ნამდვილად ჩამოვალ და გინახულებ, მხოლოდ ხშირად ვერ მოვახერხებ. —უთხრა ნოდარმა და ოთახის გასასვლელი კარისაკენ წავიდა. ნანაც მას მიჰყვა, კართან მისვლისას, ნანა გაჩერდა და ნოდარს ჰკითხა.:

—შეიძლება გაკოცო? როგორც მამას ეკოცნიდი ხოლმე...

—კი, რატომაც არა. —თქვა ნოდარმა და მისკენ საკოცნელად გადაიწია. ნანა კი ორივე ხელით კისერზე ჩამოეკიდა და რამოდენიმეჯერ აკოცა.

—ორიეე ძალიან გაგვახარეთ —უთხრა ქუჩაში მიმავალმა დოდომ ნოდარს.

—მას შემდეგ, რაც თქვენ ჩამოიყვანეთ, თითქმის გაღიმებულიც კი არ მინახავს. დღეს კი უწინდელი ნანა ვნახე. მხიარული და ბედნიერი. დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ კიდევ ერთი სიკეთე ჰქენით და ჩემს დას ეს ბედნიერი წუთები აჩუქეთ. ეს წუთები მარტო დღეს კი არ აბედნიერებს, სამომავლოდაც ნორმალური ცხოვრების სურვილს ჩაუნერგავს, სტიმულს მისცემსს და დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარება.

მაღაზიასთან მიახლოვებისას ერთიმეორეს გამოემშვიდობნენ და ორიეე თავის გზით წავიდა.

„რამდენჯერ მიფიქრია და დღეს კიდე ერთხელ დავრწმუნდი, რომ სულ მცირე რამეა საჭირო ადამიანის ბედნიერებისთვის“. — ფიქრობდა ნოდარი. რა გავაკეთე? მე ხომ ისეთი რთული არაფერი გამიკეთებია, არც შარშან და არც ეხლა? უბრალოდ დავინტერესდი როგორ ცხოვრობდა და მოვინახულე. მან კი ამით ისე გაიხარა, რომ ეს სიხარული დიდი ხნით გაჰყვება. რა იქნებოდა ასე რომ ხშირად ვიქცეოდეთ და იმ სულმცირე დროს და მოქმედებას არ დავინანებდით, რითაც სხვას ასეთ სიხარულს და ბედნიერებას მოვუტანთ? რატომ გვენანება? ამით ხომ არაფერი გვაკლდება? პირიქით ჩვენც ბედნიერად, კმაყოფილად ვიგრძნობთ თავს? მეც ხომ ისეთი ვარ, როგორც სხვები. უბრალოდ მე შემთხვევით გამომიეიდა ეს მართლაც და სიკეთე. ეს ხომ წინასწარ განზრახული არ მქონია? წინასწარ როგორ განესაზღვრავდი, რომ ეს გოგო, იქ, ბაზრის ჯიხურში შემხვდებოდა იმ ვითარებაში? ეს შემთხვევითობა იყო და კიდევ კარგი რომ ალღო სწორად ავუღე და სწორად მოვიქეცი.

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, მას რომ ეს უბედურება არ დამართნოდა, არც მე მექნებოდა საშუალება ეს სიკეთე გამეკეთებინა. ამ უბედურების გარეშე რომ შევხვედროდი, რა საშუალება იქნებოდა ისეთი, რომ ეს გოგო ასე გამეხარებინა ჩემი მისვლით? რა თქმა უნდა, ასეთი საშუალება არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ გამოვნახავდი. სეიგი, რა გამოდის? ადამიანს ბედნიერების შეგრძნება, უბედურების შემდეგ შეუძლია? უბედურების შემდეგ ცოტა რამ ხდება საჭირო, რომ გაიხაროს და ბედნიერად იგრძნოს თავი. უბედურების გაელის გარეშე კი, „ცოტა რამ“ არ აკმაყოფილებს სიხარულის შეგრძნებისათვის. რატომ არის ასე? „მადა“ გვაქვს დიდი თუ სიხარულს გზას ვუკეტავთ?

ამ ფიქრებში გართული ისე მივიდა ავტობუსების გაჩერებასთან და გაჩერდა, რომ ვერც კი შენიშნა სად და რატომ იდგა. უცებ გამოერკვა, აქ რისთვის მოვედიო, ჩაილაპარაკა, ირგვლივ მიმოიხედა და მეტროსკენ გაბრუნდა, მაგრამ წამსვე ისევ შემობრუნდა. —ეს ხომ თათიაა. მანანას მეგობარი. მის სიახლოვეს ზურგით თათია იდგა. ნოდარი მივიდა მასთან.

—უი, ნოდარი, როგორ ხარ? აქ საიდან გაჩნდი? —თქვა თათიამ. ნოდარის დანახვისას და დიდი სიხარულით გადაეხვია. —როგორ გამიხარდა შენი დანახვა. აქ რას აკეთებ?

—რაღაც პატარა საქმე მაქვს და ამისთვის ჩამოვედი. —თქვა ნოდარმა. —მეც ძალიან გამიხარდა შენი დანახვა. აქ ცხოვრობ ახლოს?

—არა, აქ ჯგუფელთან ვიყავი, წიგნი გამოვართვი, მე ხომ ვსწავლობ. წამოდი ჩემთან თუ დრო გაქვს, ძალიან შორს არ ვცხოვრობ.

—რა გაეკეთო, ნახვით ხომ უკვე გნახე. ოჯახი რაღატო შევაწუხო.

—წამოდი, წამოდი. გეტყობა დრო გქონია. ყავა დავლიოთ და ვისაუბროთ. შენთან საუბარი მომენატრა. შენი საუბარი ჩემთვის სასარგებლოა.

—კარგი წავიდეთ, თუკი ასე გინდა —თქვა ნოდარმა. თათიამ ხელი ჩაჰკიდა და ტაქსებისკენ წავიდნენ.

რამოდენიმე წუთში თათიას ბინასთან მივიდნენ. თათია მეხუთე სართულზე ცხოვრობდა და ისე აირბინეს კიბეები, რომ უდენობით გაჩერებული ლიფტისკენ არც გაუხედავთ. თათიამ შეიპატიჟა სასტუმრო ოთახში, სავარძლისკენ მიუთითა დასაჯდომად და თვითონ სამზარეულოში შევიდა. მალე სუფრაზე ტკბილეული: ლიქიორი, თავის მიერ გამომცხვარი ნამცხვარი და მოდუღებული ყავა მოიტანა. ნოდარი ამჯერად მაგიდასთან მდგარ სკამთან მიიწია და თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

—იმედია ხვეწნა არ დამჭირდება, რომ რამე მიირთვა. თქვენ კახელებმა ხომ ხვეწნა არ იცით. მანანას მამამ პირველად რომ ვიყავი მათთან, ასე მითხრა: რაც მაგიდაზეა ყველაფერი საჭმელად არის მოტანილი და არ დაიმორცხვო, თორემ მშიერი დარჩები, კახელებს ხვეწნა არ გვიყვარსო. —თქვა თათიამ და ჭიქებში ლიქიორი ჩამოასხა. —ძალიან გამიხარდა, რომ დაგინახე. თქვენთან გატარებული შარშანდელი ზაფხულის დღეები ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა.

—მეც ძალიან გამიხარდა შენი დანახვა. თუმცა ორი წლის წინ შეიძლება კარგად ვერ გავუგეთ ერთიმეორეს, მაგრამ შენი გახსენება ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებდა.

—შენ შეიძლება მართლა ვერ გამიგე, რადგან მე ძალიან გაუგებრად მოვიქეცი, მაგრამ შენი გაგება ხომ ადვილი იყო თუკი მოინდომებდა კაცი. შენ პრინციპულად დაიკავე ისეთი პოზიცია, რომელიც ნამდვილ ვაჟკაცს შეჰფერის. ხო, მართლა, მანანასთან ურთიერთობა როგორ გაქვს? ერთი თვის წინ იყო აქ ჩემთან და მითხრა, რომ უფრო დაუახლოვდით ერომანეთს, ისიც მითხრა, რომ წოლილხართ ერთად. შეულლებას არ აპირებთ?

—არა. მანანასთან დამთავრდა უკვე ყველაფერი.

დამთავრდა? რატომ? შენ ხომ გიყვარს, სულ ეგ იყო შენი სიყვარული? მოწყვეტილი ვარდი მალე ჭკნება არა?

— მოწყვეტილი ვარდი რას ნიშნავს?

იმას რომ მას ფესვები სხვაგან აქვს, რის გამოც ჩემთან ფესვებით ვერ იქნება და როგორც თქვი მოწყვეტილი მართლაც მალე ჭკნება, თუმცა ვაღიარებ მთავარი დამნაშავე მე ვარ, იმ ფესვებს ვერ ვამჩნევდი. სიყვარულის ფანტაზიამ დამაბრმავა.

ამ სიტყვებზე აქამდე მომღიმარმა თათიამ სერიოზული სახე მიიღო, თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა. შემდეგ ჩაფიქრებულმავე ისე, რომ თავი არ აუწევია ჰკითხა: —ამაში რაღას გულისხმობ, რას ვერ ამჩნევდი?

—მე მგონი ამის პასუხი თვითონვე იცი. შენი მეგობარია და შენ უკეთ ხედავდი იმას, რაზეც მე თვალები დახუჭული მქონდა და ვერ ვხედავდი. ჩვენი ერთად გასეირნების მეორე დღეს, ალაზანზე, რომ იყავით ორ ბიჭთან ერთად, შენ მითხარი, რომ ერთ—ერთი გადაგეკიდა და შენს დამორჩილებას ცდილობდა. შეგიძლია დაიფიცო, რომ მეორე ბიჭი და მანანა დაძმურად იყვნენ? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ შენს შემწუხებელსაც არ მისცემდნენ ამდენის უფლებას? ხომ ასეა?

—მართალია. რასაც მე ვხედავდი, დაძმურად არ იყვნენ და ძნელი წარმოსადგენი არ არის, როცა ისინი ცალკე გავიდნენ მთელი ერთი საათი, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ, მაგრამ ნუთუ ეს არის მთავარი?

—ეს შეიძლება მართლაც არ არის მთავარი, მაგრამ მიზეზი სწორედ ეს არის, რის გამოც თუ შევუღლდით, იმ ვარდს ფესვები ყოველთვის სხვაგან ექნება. ამას თვითონაც ხვდებოდა და და ამიტომ შეუღლება არ უნდოდა.

მცირე ხანს ორივე გაჩუმდა. შენდეგ თათიამ წამოიწყო:

—ალბათ, მე რომ გავთხოვდე, მეც ფესვები სხვაგან მექნება?

—არ ვიცი. ეს შენ'ხეა დამოკიდებული, რამდენად ხარ სულიერად ასეთ საქციელზე დამოკიდებული. ეს შენ თვითონ უნდა იცოდე.

—რა საქციელზე? იქ რომ ვიყავი მე გითხარი, რომ რამდენიმე მამაკაცი უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში. მე წმინდანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ შენმა მოქმედებამ, დამიჯერე, მართლა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. რადგან თქვენ დაშორდით, ეხლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ მანანას იქამდეც ჰყავდა მამაკაცები, მაგრამ შენმა სიყვარულმა ის არ დააფიქრა. მე ვფიქრობდი, რომ თუ ის გულწრფელი სიყვარულით გიპასუხებდა, შენ აპატიებდი წარსულს. ამის მასაც სჯეროდა და მეც ვუთხარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან არ მოისურვა ძველ ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტა და შენ მისთვის ერთ—ერთ პოტენციურ მამაკაცად იქეცი. მისთვის შენი დათმობა არაფერს არ წარმოადგენდა და ამიტომაც იქ რომ ვიყავით, შენი თავი მე დამითმო. ასეთ სიტუაციაში შენ სიყვარულისადმი ისეთი ეროგულება გამოიჩინე, რომ არ შეიძლებოდა მე არ დავფიქრებულიყავი ამაზე. რომ დავფიქრდი მივხვდი, რომ არასწორ გზაზე მივდიოდი და ამ გზით ცხოვრებაში გეერდს ავუვლიდი ყველაზე უფრო ძვირფასს და მნიშვნელოვანს. მივხვდი, რომ ჭაობში ვეფლობოდი და შეეცადე იქიდან ამოსვლას. მგონი გამომივიდა კიდეც. შენ შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ მას შემდეგ მე არავისთან ვყოფილვარ და არც ვაპირებ.

—როგორც სჩანს შენში ადრეც იყო რაღაც დადებითი, რომელიც ასეთ საქციელს არ ეთანხმებოდა, მაგრამ სუსტი იყო და ვერ ერეოდა, თორემ მე განსაკუთრებული არაფერი ჩამიდენია.

—ხო. მსგავსი რამ მართლაც იყო. ყოველ მამაკაცთან ურთიერთობის შემდეგ ვნანობდი ასეთ საქციელს და დიდხანს იქით აღარ ვიხედებოდი, მაგრამ გადიოდა დრო და იგივეს ვაკეთებდი. ალბათ მართალი ხარ. ჩემში პროტესტის გრძნობა, მართლაც იყო, მაგრამ რაც შეეხება შედეგს, ეს შენი დამსახურებაა მაგრამ შენ მე დამატებითი ძალა

მომეცი, რამაც დამაძლევინა ცდუნება. შენ რომ არა ვინ იცის როდესმე დაეძლეედი თუ არა, ალბათ ვერ დაეძლეედი. მე მანანასი არ მესმის. შენნაირი ერთგული, პატიოსანი და მოსიყვარულე ბიჭი საოცრებაა, ჩვენს საზოგადოებაში. არც ისე ადვილი საპოვნელია. ასეთი ბედნიერების შანსის დაკარგვა დიდი სისულელეა. თანაც რის გამო? ის ცხოვრება, რომელიც მას ვერ დაუთმია, ხომ დროებითია და რაც უფრო გახანგრძლივდება, უფრო მეტად დაუნგრევს მომავალს, უფრო დიდ ჭაობში ჩაეფლობა.

ნოდარ! ახლა ისე გამომდის საუბარი თითქოს თავს გაწონებ და შენი მოხიბვლა მინდა. ძალიან გთხოვ ასე არ გამიგო. მე რა თქმა უნდა შენნაირ ბიჭს უარს ვერ ვეტყოდი სიყვარულზე, პირიქით ვოცნებობ კიდეც ასეთ ბიჭზე, მაგრამ შენთან სიყვარულზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ეს გამორიცხულია, იმიტომ რომ ეს ისევ ღალატი იქნება, თუნდაც ჩემს საკუთარ რწმენასთან. მე შენთან მხოლოდ მეგობრობა მინდა. შენ ერთ-ერთი ხელმოსაჭიდი აღმოჩნდი ჩემთვის, რომლის მეშვეობითაც თუ მოვინდომებდი ამოვიდოდი ამ ჭაობიდან, მე ეს ხელჩასაჭიდი გამოვიყენე, და ამოვედი. ამიტომ ვერ დაგივიწყებ. შენი სიყვარული ყოველთვის მექნება, მაგრამ მეგობრული. რაც შეეხება მანანას, მე ნამდვილად ვწუხვარ, რომ შენი სიყვარული მის მიმართ უშედეგოდ და ფუჭად დასრულდა. სხვათაშორის, მე მაინც მგონია, რომ მასაც უყვარდი, მაგრამ ვერ გაბედა ამის გამჟღავნება და განხორციელება იმიტომ, რომ თავის წარსულის ეშინოდა.

–მართალია. მას თავის წარსულის ეშინოდა, იმიტომ, რომ მისი წარსული მის გარკვეულ ხასიათზე იყო დამყარებული და შემდგომშიც მისი ფსიქიკა აბსოლუტურად იგივე მიმართულებით წაიყვანდა. მანანა ამას გრძნობდა და იცოდა, რომ ეს კარგს არაფერს მოუტანდა. მისეული ეს იყო იმისა, რომ თავის სიყვარულს ჩემს მიმართ მალავდა და თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს არ ვუყვარდი, უსიყვარულოდ კი გათხოვება არ უნდოდა. ამაში მართალიც იყო. მე ამ ყველაფერს იმ დროს ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ხომ დადგებოდა დრო როცა შევამჩნევდი? აი, მაშინ უკვე მაინც დაინგრეოდა სიყვარული და ამის გაუთვალისწინებლობა თუკი ამას გრძნობდა, თავის მოტყუება იქნებოდა.

საუბარი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ნოდარი გარკვეულ შეხლეულობას გრძნობდა თათიასთან საუბარში, იმის გამო, რომ მოსაუბრე მას ლამის აღმერთებდა. როცა მოსაუბრე მას ეუბნება, რომ თურმე ნოდარის საუბარს და ქმედებას მასზე დიდი გავლენა მოუხდენია, იმდენად დიდი რომ ძირეულად შეცვალა მისი ცხოვრება, ასეთ შემთხვევაში მართლაც ძნელია საუბარი. თავისთავად უჩნდება ადამიანს შიში, რომ შექმნილი შთაბეჭდილება არ დაინგრეს. მით უმეტეს, თუ ამ შთაბეჭდილებას კარგი შედეგი მოაქვს. ამიტომ ნოდარი დიდხანს აღარ დარჩენილა, გამოემშვიდობა და წავიდა.

რამდენიმე საათს ნოდარმა თბილისის ქუჩებში იხეტიალა. ბაზრობად ქცეულ ქუჩებში არც ისე სასიამოვნო იყო სიარული. სეირნობდა და ამით თავს ირთობდა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. წიგნები რომ

ხედებოდა ქუჩაში, მაგიდაზე დაწყობილი, ჩერდებოდა და ათვალიერებდა. ორი წიგნი შეიძინა კიდეც. შემდეგ ისევე გააგრძელა გზა უაზროდ. ფიქრები კი მაინც მოდიოდა.

ეს რა დღე გათენდა. ორი გოგო ვნახე. ორივეს ნახვა ძალიან გმიხარდა, მაგრამ ასეთი მადლიერნი, რომ არიან ჩემი, ვითომ მართლა ვიმსახურებ? თუკი სიკეთის მკეთებელი ვარ, მაშინ უამრავი სიკეთე უნდა ითვლებოდეს ჩემს ნამოქმედარში, მაგრამ ასეთები არ არის. მაშასადამე არ ვარ სიკეთის მკეთებელი. რა თქმა უნდა არც ბოროტების მკეთებელი ვარ, მაგრამ ასეთი რამეც გამომსელია ჩემს ცხოვრებაში. ესეიგი, სიკეთეც გამიკეთებია და ბოროტებაც. რა თქმა უნდა მარტივ ბოროტებას ვგულისხმობ, მაგრამ მარტივი ბოროტებები, თუნდაც ის, მანანას რომ თავი შევაყვარე და შემდეგ მივატოვე და კიდე სხვა ხომ ჩამიდენია. თუ ორივე გამიკეთებია სიკეთეც და ბოროტებაც, თანაც ბოროტება რაოდენობრივად ალბათ აჭარბებს სიკეთეს, მაშ, მე ეინ ვარ ბოროტი თუ კეთილი? მართალია ბევრი მთვლის კეთილ ადამიანად, მაგრამ თუ კეთილი ვარ, მაშინ ხომ სულ სიკეთეს უნდა ვაკეთებდე? მაგრამ ადამიანს, ყოველთვის როდი აქვს შესაძლებლობა სულ სიკეთე აკეთოს, თუნდაც ამის დიდი სურვილი ჰქონდეს? რა თქმა უნდა არა, მაგრამ აშკარად მეტის შესაძლებლობა მქონდა, და არ გავაკეთე. თანაც ზოგჯერ ცუდადაც რომ ვიქცევი? მაშ რატომ ხდება ასე? მე ცვალებადი ვარ თუ მდგომარეობები მმართავს? ან იქნებ მე, მე არ ვარ, იქნებ ინდივიდუალური პიროვნება არ ვარ და საიდანაც რაღაც ძალით ვიმართები? მაგრამ ესეც რომ მთლად ასე არ არის? დღეს რომ ამ ორმა გოგომ ლამის გამაღმერთა, ასეთი რომ ორი კიდევ გამოჩნდეს, მე ხომ დავიჯერებ, რომ სიკეთის მქნელი ვარ, ამით ხომ ამპარტავანი გავხდები? სხვებს ამაყად დაუწყებ ცქერას ზემოდან, "აი, მე რა კარგი ვარ, თქვენზე კარგი" რის შემდეგაც სიკეთეს ველარ გავაკეთებ და სატანად ვიქცევი. მაშასადამე მდგომარეობა მმართავს, მაგრამ თუ ჩემში ამ სიამაყეს შევნიშნავ, მოვერევი და ჩავკლავ? მაშინ ხომ მე ვმართავ ჩემს თავს? ესეიგი, გამოდის, რომ თუ ჩემს თავს, ჩემს ქცევას და გრძნობებს ვაკვირდები და მას გონიერებით ვმართავ, ასეთ შემთხვევაში მაქვს შანსი თვითმმართველობისა და თუ არა, ან მდგომარეობა მმართავს, ან კიდე რაღაც სხვა ძალები. მაშასადამე, ადამიანები სათამაშოები ვართ. მთლიანობაში ასე გამოდის: თუ გონიერებას მოვუხმობთ და მისი მეშვეობით ვწყვეტთ საკითხს, ადამიანები ვართ, ხოლო თუ ამას ვერ შევძლებთ სხვადასხვა ძალთა და მდგომარეობათა სათამაშო თოჯინები თუ ცხოველები ვართ. თუმცა ასეთ დროს გვგონია, რომ გონება გვაქვს და ნებისმიერ მდგომარეობაში ჩვენს თავს ჩვენ ვმართავთ. რა ძნელია ჩაუკვირდეს ადამიანი თავის თავს, მაშინაც კი თუ ამის დიდი სურვილი და საშუალებაც აქვს, თუ არა და რა თქმა უნდა საერთოდ იმასაც ვერ მიხვდება, რომ თავისთავს არ უკვირდება, და ვერ იცნობს, ვერ ხედება, რომ ის უბრალოდ, მხოლოდ სათამაშოა.

ასეთ ფიქრებში გაატარა თითქმის ქუჩებში ხეტიალის დრო, საღამო მოახლოვებულზე კი ავტოსადგურს მიაშურა.

...მხარზე თოხგადადებული ნოდარი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ვენახიდან სახლისკენ მიმავალ გზას. თავი ისე ჩაქინდრა და ისე მიდიოდა ზლაზვნით, რომ წინ მხოლოდ 2-3 მეტრში თუ ხედავდა გზას. მისი შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ალბათ ერთადერთი მარჩენალი ვენახი დაესეტყვა, ან სხვა რაღაც დაავადებამ გაუნადგურა და ასე ამიტომ დაღონებულაო. თუმცა კი, ვენახი შესანიშნავად გამოიყურებოდა, უკვე ყურძენში თვალიც იყო შესული, რამოდენიმე მარცვალი გასინჯა კიდეც. არც სხვა მოსავლით უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო. სამი კვირის წინ ხორბლის მოსავალი აიღო და ისეთი ბარაქიანად, რომ თვითონაც განცვიფრდა და სხვებიც. 50 ტონამდე ხორბალი ძლივს დააბინავა. თავისი ეზო-ყურე რომ საკმარისი არ არმოჩნდა, მეორე სახლში გიასთანაც შეინახა. ეგ არის რომ მოსავლის ასაღებად საკმარისი ფული არ აღმოაჩნდა და სატვირთო ავტომანქანის მძღოლის ვალი დაედო, მაგრამ ეგ რა სადარდებელია, როცა ამხელა მოსავალი აიღო? არც დაღლილი იყო დიდად. ამ დროში, სიმწიფეში შემავალი ვაზის გათოხნა აუცილებლად არ მიაჩნია და დიდი მონდომებით არ უმუშავია. ამიტომაც გული ვერ დაუდო თოხნას, საღამომდე არ იმუშავა და ნაადრევად აიღო ხელი. უგუნებობა, საერთოდ ამ დროში იშვიათი მოვლენა არ იყო ხალხში და მისეზად ყველას პირზე გაჭირვება ეკერა. მაგრამ ნოდარის უგუნებობის მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო, მიზეზი კი ბევრი იყო და ყველა ერთად მარტოობაში მყოფ ნოდარს, ადვილად ერეოდა. ერთ–ერთი მთავარი მიზეზი სახლში არსებული სიცარიელე იყო.

ერთ დროს ხმაურიანი და ბედნიერი ოჯახი, ეხლა დაცარიელებული და დადუმებულია. დედა აღარ ჰყავს, მამა წლებია არ უნახავს. ძმასაც რამოდენიმე წელიწადში ერთხელ ნახულობს. ცარიელ სახლში კი თვითონაც არ უდგება გული და ხშირად მიზეზს ეძებს გარეთ ხალხში ყოფნისათვის. სიყვარულშიც არ გაუმართლდა და ეს "შეცდომაც" ვერ მოუნელებია. არც რომ სამსახური აქვს, სადაც გულს გადააყოლებდა? დიპლომი რომ აქვს დიდიხანია აღარც გახსენებია. ასეთი მდგომარეობით გამოწვეულ ცუდ განწყობას ფეხებიც გრძნობდა და არ მიიჩქაროდა სახლისკენ.

გ'ხების გასაყარს რომ უახლოვდებოდა, ასიოდე მეტრში ლაპარაკის ხმა მოესმა. თავიდან ვერ გაარკვია რა ხდებოდა, უფრო რომ მიუახლოვდა მიხვდა: გზის პირზე, ერთ მიტოვებულ მიწის ნაკვეთში, ჭერმის ხის ჩრდილში ქეიფობდნენ, მაგრამ ის ხომ მიტოვებული მიწის ნაკვეთი იყო, და მეპატრონე ეხლა იქ მხოლოდ ქეიფობისათვის არ მივიდოდა. ალბათ მომიჯნავე ნაკვეთების პატრონი და მისი ხალხია, იფიქრა ნოდარმა.

ღობეებს შუა, ნაკვეთში შესავლელ გზას რომ მიუახლოვდა, ნოდარმა უხმაუროდ, ფრთხილად გავლა ამჯობინა, რომ მათ არ დაენახათ და როგორც ხშირდ ხდება, არ მიეწვიათ, რადგან არ ეხალისებოდა ეხლა ქეიფი და მითუმეტეს უცხო ხალხში. ამის მცდელობაც არ დააკლო, ნოდარმა, მაგრამ გავიდა თუ არა შესასვლელი გზის პირზეევ მდგარ

ქოხის გასწვრივ, მაშინვე შეამჩნიეს და თითქოს ნაცნობმა ქალის ხმამ დაუძახა:

—ეაა, ნოდარს გაუმარჯოს! მშრომელ კაცს! მოდი ერთი სუფრა დაგვილოცე, დაისვენე!

ნოდარმა მიიხედა და ლამარა დაინახა. ქარხანაში, მუშაობის დროს, სადაც სულ რამოდენიმე თვე მოასწრო მუშაობა ვიდრე დაინგრეოდა, ლამარა მისი თანამშრომელი იყო და იქიდან იცნობდა. იგი ქარხანაშივე მეძავეობით იყო ცნობილი. მას შემდეგ, ქმარს გაცილებულმა ლამარამ ქალაქის ერთ-ერთ უბანში, მეძავეების სიმრავლით ცნობილ შენობაში შეაფარა თავი. სუფრასთან ხუთნი მიმსხდარიყვნენ, სამი ქალი და ორიც ვაჟი, რომელთაც შორიდან იცნობდა ნოდარი და ერთ-ერთს ნიკო ერქვა.

ნოდარმა არ მოინდომა მათთან მისელა, გზა გააგრძელა და უთხრა:

—არა, მადლობთ. არ მინდა. დაღლილი ვარ და წავალ დავისვენებ სახლში.

—ეგ რა წესია? მოდი რა ძმაო, სუფრა დაგვილოცე. დაღლილი რა, ხომ არ უნდა გამუშაოთ. არ გეკადრულობ თუ? —გამოსძახა ამჯერად ნიკომ ცოტა თითქოს განაწყენებული კილოთი.

ნოდარმა ასეთი სიტყვებით მიპატიჟებაზე, უხერხულად იგრძნო თავი. და აღარ დააყოვნა, მათკენ შებრუნდა.

ქოხის წინ, ჭერმის ჩრდილში, პატარა ვენახის წამლის მოსამზადებელი ბიტონის ავსსე, ქოხიდან აგლეჯილი სამი ფიცრით მაგიდა მოეწყოთ. ასეთივე აგლეჯილი ფიცრებით მოეწყოთ სკამებიც ორივე მხარეს, რომელსაც ქვეშიდან ზოგან ძველი გადაგდებული ვედრო ამოედოთ, ზოგან კი ძველი ავზის ბიტონის ნაგლეჯები. ჭერმის მეორე მხარეს კი ყიგულის მარკის ავტომანქანა იდგა.

ნოდარი მიუახლოვდათ, მიესალმათ, თოხი ჩამოიღო მხრიდან და იქვე ჭერემზე მიაყუდა.

—გასწი ეგ დაწყეველილი ცოტა შორს, მეც არ შემაყვაროს თავიო. უთხრა ნიკომ ხუმრობით. ამაზე ნოდარმა მხოლოდ გაიღიმა. ლამარამ კი ცოტა გვერდით გაიწია და დასაჯდომად ადგილი შესთავაზა. ნოდარიც მის გვერდით დაჯდა.

ნოდარმა სუფრის წევრები შეათვალიერა. ბიჭების მხარეს ასევე მეძავი იჯდა, რომელსაც ნოდარი მხოლოდ სახით იცნობდა და ისიც ლამარასთან ერთად ცხოვრობდა. თავის მხარეს, ლამარას გვერდით კი უცნობი, ასაკით მათზე პატარა, ლამაზი გოგო იჯდა, რომელიც სხვებისგან განსხვავებით უფრო მოწყენილი ჩანდა. ლამარამ სასწრაფოდ ახალი, წითელი ფერის პლასტმასის ჭიქა გამოძებნა და ნოდარის წინ დადგა. ნიკომ შეუვსო ჭიქა. ნოდარმა ჭიქა ასწია, სუფრა დაულოცა, მრავალი ტკბილი სუფრა და ტკბილი შეხვედრები უსურვა სუფრის წევრებს და დალია.

—ემაგრე რა კაცო, ეგრე არ ჯობია? რას გადაკიდებულხარ მაგ თოხს, მე მაგის მომგონის დედა... —შეიგინა ურცხვად და გულიანად ნიკომ და გააგრძელა "ფილოსოფოსობა," —თოხით გამდიდრებული

კაცი გინახია სადმე? მაგით მკვდარი კი რამდენიც გინდა. გამოვედით, ცოტა სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ, ვისიამოვნოთ, დრო გავატაროთ.... ამ ქვეყნად სხვა რა დაგვრჩენია? წუთისოფელში ვართ, წუთი გავა და მორჩა, აღარა ვართ. სანამ ხარ უნდა ისიამოვნო, თორემ მოკვდები და მიწა შეგჭამს.

ნოდარმა არაფერი უპასუხა, თუმცა არ ესიამოვნა მისი გამონათქვამი. ერთი სული ჰქონდა წასასვლელი ვითარება შექმნილიყო და წასულიყო.

ნიკოს გვერდით მჯდომმა ბიჭმა ჭიქები შეავსო ორ ლიტრიან შუშის ქილიდან, გვერდით მჯდომ ქალს წინ დაუდგა და ნახევრად ბრძანების კილოთი უთხრა: –აჰა ჩამოასხი! –ის ქალიც ადგა ახლოს მდგარი პლასტმასის ბიდონი აიღო და ქილაში ღვინო ჩაასხა. ბიდონს არც ისე ბევრი აკლდა, მაგრამ ღვინის "ძალა" უკვე ეტყობოდა იქ მყოფებს.

–ნიკო, ახლა მე ვიტყვი რა სადღეგრძელოს? –სთხოვა ლამარამ ნიკოს, სიგარეტი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენით ჭიქა აიღო.

–ჯერ არ მოვმკვდარვარ, რომ თამადობა წამართვა! –თქვა მკაცრად ნიკომ. ჭიქა მოიმარჯვა და ნაცნობი "მჭერმეტყველებით" წარმოთქვა კეთილი ადამიანების, ანუ კეთილი თვალების სადღეგრძელო. ბოროტ ადამიანებსაც შეურჩია შესაფერისი "გზა-კვალი" და დალია. სხვებმაც გამოხატეს სადღეგრძელოსადმი და კეთილი ხალხისადმი (თვალებისადმი) პატივისცემა, ბოროტებიც ახსენეს, სადაც გინება არც ერთს არ გამორჩენია მათ შორის ქალებსაც. ნოდარმა რა თქმა უნდა, გინების გარეშეც მოახერხა მოკლედ თქმა და დალევა. იმ უცხო გოგოს კი არაფერი უთქვამს საერთოდ და არც დაულევია, რაზეც ნიკოს გვერდით მჯდომი უკმაყოფილებას გამოთქვამდა და აძალებდა. დაძალების შემდეგ გოგონამ ცოტა მოსვა, მაგრამ ბიჭმა არ იკმარა და კვლავ განაგრძო დაძალება.

ნოდარმა უნებლიედ შეხედა ყურადღების ცენტრში მოქცეულ გოგოს და გაიფიქრა: ჯერ თითქმის ბავშვია, ასეთი პატარა და უკვე მეძავი. თან როგორ "იპრანჭება" დალევაზე, თითქოს ანგელოზი იყოს. სხვა ადგილას რომ შემხვედროდა ხომ ნორმალური გოგო მეგონებოდა. ან იქნებ ეგ არც არის დამნაშავე და ნანას მსგავს ვითარებაში გააბეს? რამდენ მაგისთანა გოგოს აუბედურებენ, ყველას ხომ ვერ გამოუჩნდება მშველელი?

–დალიე გოგო, უფრო კარგ ხასიათზე დადგები და ყველაფერი გაგიადვილდება. –უთხრა ლამარამ.

ამდენი დაძალების შემდეგ როგორც იქნა ნახევარი ჭიქა დაალევინეს და მეტიც აღარ დააძალეს. ცოტა ხნის შემდეგ კი იმ ბიჭმა, თითქმის ბრძანებით უთხრა ამ გოგოს, რომ ქოხის მეორე მხარეს გაჰყოლოდა და წამოდგა. გოგონა არც განძრეულა. ბიჭმა ეხლა უფრო მკაცრად უბრძანა. გოგო მაინც არ გატოკდა. "საქმეში" ლამარა ჩაერია და ბიჭს უთხრა:

–მოიცა რა პური გვაჭამე და დაგვალევინე. სად გეჩქარება, რა გაიქცევა?

ნოდარს მათკენ თითქმის არ გაუხედავს. ეს ყველაფერი მისთვის ამაზრზენი იყო. ის ბიჭი ისევ თავის ადგილას დაჯდა. მალე სასმელით გაბრუებულნი ისე ჩაიძირნენ ლაპარაკში,საკუთარი აზრების გამოფენაში, რომ ერთიმეორეს აღარც კი უსმენდნენ. ნოდარმა იფიქრა, ახლა კი დროა წავიდეო და წამოდგა,მაგრამ ლამარამ და ნიკომ კვლავ დასვეს. ლაპარაკში და საკუთარი აზრების გინებით გამოხატვაში ისე გაერთნენ, ვერც კი შენიშნეს, რომ ის გოგო იქ აღარ იჯდა.

მისი გაუჩინარება პირველმა ნიკომ შენიშნა და ლამარას ჰკითხა: –რა იქნა ის გოგო?

–ვინ გოგო? –ლამარამ გვერდით მიიხედა და თქვა –სად წავა "პასატკა" აქა აქ. ალბათ რამე გაუჭირდა და ტუალეტში წავიდა.

–სად წავიდა, არ გაიპაროს. –ცოტა შეშფოთებით თქვა იმ ბიჭმა.

–კარგი რაა!... სად უნდა წავიდეს? წასასვლელი არსად არა აქვს. წასასვლელი, რომ ჰქონდეს აქ კი არ იჯდებოდა. –თქვა ლამარამ.

–რამდენი ხანია წავიდა. აქამდე სად არის ვერ დაბრუნდა? წავალ გავიხედავ. –თქვა მეორე გოგომ და წამოდგა. მას ის ბიჭიც მიჰყვა. სუფრაზე სამნიღა დარჩნენ.

–რა შეშინებულია. ეშინია დახარჯული ფულები წყალში არ გადაეყაროს? მოვა,სად წავა. არ დაიკარგება. –უთხრა ლამარამ ნიკოს.

–ვერ ითმენს. მაგისთნა პატარა გოგოზე უარს ვინ იტყვის? –უპასუხა ნიკომ.

მცირე ხნის შემდეგ შორიდან მოესმათ იმ ბიჭის ხმა: –არსად არ არის. გაპარულა.

ამ სიტყვებზე უკვე შეშფოთდნენ. ნიკომ ლამარას დაუყვირა: –წადი, ქალო, მოძებნე, ასწიე უკანალი, თორემ ხომ იცი, შენც ბევრს კარგავ. მოგკლავ მართლა, რომ გაიპაროს, შე დებილო, შენა.

ლამარა ადგა ბურდღუნით და მოსაძებნად წავიდა.

ნოდარს ვერაფერი გაეგო რა ხდებოდა და არც აინტერესებდა. ბოზების ამბავი რა ჩემი საქმეაო, გაიფიქრა და ნიკოს უთხრა:

–წავალ ეხლა მე. დაღლილი ვარ, დავისვენებ სახლში. მადლობელი ვარ რომ მომიპატიჟეთ, მაგრამ სახლში ხომ უნდა წავიდე?

–კარგი წადი, თუ ასე გეჩქარება. –უპასუხა ნიკომ და თვითონაც წამოდგა. ნოდარი სახლში წავიდა, ნიკო კი იმ მხარეს, სადაც გაუჩინარებულ გოგოს ეძებდნენ.

სახლში რომ მივიდა ნოდარი, უკვე ბნელდებოდა. მისვლისთანავე დაწვა საწოლში და ღვინოდალეულს მაშინვე ჩაეძინა.

მეორე დღეს გვიან გაღვიძა. ფანჯარაში, რომ გაიხედა, მზე უკვე ერთი საათის ამოსული იქნებოდა. —"დამაგვიანდა" ჩაილაპარაკა და საწოლიდან წამოდგა. ირგვლივ დილის გრილმა ნიავმა გაუარა. –"ეხლა რაღა დროს წასვლაა, სანამ ჩავალ ისე დაცხება მუშაობა დამეზარება. სიგრილეში მეძინა და სიცხეში ვიმუშაო? –გაიფიქრა ნოდარმა და წასვლა გადაიფიქრა. მთელი დღე ეზოში და სახლში იტრიალა. დროის უმეტესი ნაწილი, თბილისში ნაყიდ, ახალი წიგნების კითხვაში გაატარა. შუადღისას რამდენიმე საათი გამოიძინა კიდეც. საღამოს კი როცა

აგრილდა, ქუჩაში გავიდა. იქ არავინ ჩანდა და სკამზე მარტო ჩამოჯდა. რამდენიმე წუთში საშკამ და ვაუამ გამოიარეს, რომლებიც საშკას სახლიდან გამოვიდნენ. ნოდარის წინ რომ გაიარეს, მიესალმნენ და შეჩერდნენ.

—თქვენ ერთად მარტო არ მინახიხართ და რას მივაწეროთ? —ჰკითხა ნოდარმა.

—ახალ ბადეებს ვაკეთებ, ეკრანებს და "კატანკა" მჭირდებოდა. ამას ჰქონია. —თქვა ვაუამ და საშკაზე მიუთითა.

—ჩემთვისაც გააკეთებს და მქონდეს. იქნებ მეც წავიდე როდესმე. —თქვა საშკამ.

—შენ ალაზანზე მგონიხარ და აქ დასეირნობ? — ჰკითხა ნოდარმა ვაუას.

—დღეს ამოვედი და ერთი დღე აღარ დავისვენო? ძილი მაინც ხომ მინდა. ხვალ დავისვენებ და ზეგ დილით წავალ. —უპასუხა ვაუამ.

—მოდის კიდე კარგად თევზი? —ჰკითხა ნოდარმა.

—ჰო, ჯერჯერობით არაუშავს. ისე არა, როგორც ერთი თვის წინ, მაგრამ მაინც კარგია. ზაფხული რომ წვიმიანი იყო, წყალმა არ დაიკლო და... სექტემბრიდან კი ნელნელა შემცირდება. შენ რას აკეთებ, არ წამოხვალ?

—მე მანქანა გამიფუჭდა. რაღაც დაზიანდა. ერთი თვე იქნება არ მუშაობს.

—მერე გააკეთე ვის ელოდები? ხვალ გააკეთე და წავიდეთ.

—ფული აღარ მაქვს. რაც მქონდა ხორბლის აღებაში დავხარჯე და ვალიც დამედო.

—ხორბალი გაყიდე. ხომ გაქვს.

—ეხლა რომ გავყიდო ნახევარი ფასია, რა უნდა ავიღო? ცოტა, რომ გავყიდო კი არ მინდა. ნაწილ-ნაწილ გაყიდვით ბარაქა დაეკარგება.

—შენი ვერაფერი გამიგია. თუ ფული არა გაქვს, წამოდი და ითევზავე. თევზაობა კარგად იცი და რატომ არ გინდა გასაყიდად დაიჭირო?

—აბა რით წავიდე, ხომ გითხარი მანქანა არ მუშაობს.

—ეგ თუ არი მიზეზი, მაშინ ზეგ ჩემთან ერთად წამოდი. რითაც მე წავალ, შენც იმით წამოხვალ, მაგრამ შენ არ გინდა წამოსვლა. როცა მანქანა მუშაობდა, გასაყიდი თევზისთვის არც მაშინ მოდიოდი.

ამ დროს თავისი ეზოს კარიდან ნუგზარმა გამოიხედა. ნოდარმა რომ დანახა ხელი დაუქნია, მოდიო. ნუგზარი კი ისევ შებრუნდა ეზოში, ისე რომ არც კი მისალმებიათ.

—რა მოუვიდა ამ კაცს. ეგ რა ქცევა იყო? —თქვა ნოდარმა.

—მოტკივარია. —სიცილით თქვა საშკამ.

—რა მოტკივარი, რა ჭირს?

—კბილი სტკივა.

—ხოდა იმას ვამბობდი, ძმაო. —გააგრძელა საუბარი ვაუამ. — თუ მართლა გინდა წამოსვლა, ზეგ დილით, ოთხ საათზე მივდივართ გივის მანქანით. უკვე შეთანხმებულები ვართ. გაემზადე და წამოდი.

—წამოვალ. —თქვა ნოდარმა, ისე რომ არც დაინტერესებულა ვინ იყო გივი.

—კარგი მაშინ. ზეგ დილით, ოთხ საათზე მზად იყავი. არ მალოდინო და არ დამაგვიანო. თუ რამე არა გაქვს, მზად, მოამზადე. მე ოთხი, ან ხუთი დღით მივდივარ.

—კარგი თანახმა ვარ, მეც ოთხი დღით წამოვალ.

დილით ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა ნოდარი. პირველი ზარის ხმაზე შეიშმუშნა, შემდეგ წაიბურდღუნა. ამ შუაღამისას ვინ რეკავსო და მეორე გვერდზე გადაბრუნდა, თითქოს ზარის რეკვა ამით დამთავრდებოდა. ტელეფონი ჯიუტად რეკავდა. როგორღაც ცოტა გამიფხიზლებულმა ნოდარმა წამოიწია და ფანჯრისკენ გაიხედა. "ნეტავი რა დროა, ამ დროს ვის გავახსენდი" —გაიფიქრა, მაგრამ როგორც კი დაინახა, რომ უკვე თენდებოდა, და შუაღამე სულაც არ იყო, წამოხტა, ტელეფონთან თითქმის მიირბინა და ყურმილი აიღო.

—ალო, გისმენთ.

—ბიჭო სადა ხარ, არ მოდიხარ? აკი ისეთ დროს წავიდეთო, რომ იქ გათენდესო, სადა ხარ აქმდე?

—აუჰ, ვაუა, სულ დამავიწყდა, მეძინა რა, ეხლა გამეღვიძა ტელეფონის ზარის ხმაზე, ხუთ წუთში გავემზადები და ჩამოვალ. თხუთმეტ წუთში მანდა ვარ. მაპატიეთ, არა უშავს, დამეძინა.

—ჰო, რა ვიცი. აი გივიც უკვე აქ არის. ილოდება და მალე ჩამოდი.

ნოდარმა სწრაფად დადო ყურმილი და საჩქაროდ მიეარდა ტანსაცმელს. ფაცი—ფუცით დაიწყო ჩაცმა და ხუთ წუთში მართლაც მზად იყო. აიღო პარკებში და ტომარაში საღამოს ჩალაგებული სურსათი და სხვა საჭირო ნივთები. კარი ჩაკეტა, გასაღები გადამალა და ეზოში ჩავიდა. პარკები იქვე დააწყო და პირის დასაბანად გაიქცა. ამ დროში გივის მანქანაც მისი ეზოს კარს მიადგა. როგორც ჩანს აღარ მოიცადეს და ნოდართან მივიდნენ, რომ დრო აღარ დაეკარგათ. ნოდარმაც ბევრი არ დაიყოვნა. პირი არც კი გაიმშრალა ისე აიღო თავისი ბარგი: ტომარა, ანკესის ჯოხების კონა, პარკები და გაიქცა მანქანისაკენ. გივიმ ახდილ საბარგულისკენ მიუთითა, ყველაფერი აქ ჩააწყვე, წინ ადგილი არ არისო და თვითონაც მიეხმარა ჩალაგებაში.

—რა არი, შენ ესე არ იცოდი ხოლმე და ეხლა რამ დაგაძინა. —გამოყო თავი მანქანის კარის ჩაწეული მინიდან ვაუამ.

—არა უშავს თხუთმეტ წუთში იქა ვართ, ჯერ ხომ კარგად არც გაათენებულა, თუ დამჭერები ხართ მერეც დაიჭერთ. —უთხრა გივიმ, თან საბარგული დახურა და საჭესთან დაჯდა.

—ნოდარ ვერ გამიგია —შემობრუნდა მანქანის დაძერისთანავე ვაუა უკან, ნოდარისკენ. —ამოდენა ჯოხებს რისთვის დაათრევ. რამდენი ანკესი გაქვს?

—14 ცალი. 11 აწყობილია და სამს იქ ავაწყობ. —უპასუხა ნოდარმა.

—მერე ძმაო, აი უყურე. —ხელში პარკი ასწია და დაანახა —მე 45 ცალი მაქვს და ერთ პარკში ეტევა, სადაც გინდა წაიღებ. რად გინდა ამხელა ჯოხების თრევა. რა, ჩემზე მეტს დაიჭერ?

—რა დიდი ჯოხები კიდე ეს არის. მეტრანახევარიც არ არის სიგრძით. შენზე მეტს ვერ დავიჭერ, მაგრამ რაც შენ 20-25-ით უნდა დაიჭირო

იმდენს დავიჭერ. იმიტომ რომ ჯოხი მაშინვე მატყობინებს, როგორც კი თევზი მოებმება და სწრაფად ამომყავს. შენსას კი ჩააგდებ და ერთი საათის შემდეგ ნახულობ. ამ დროში კი შეიძლება თევზი წამოეგოს, მაგრამ ისევ გაეშვას. თანაც, მუდმივად რომ აკონტროლებ და გრძნობ რამხელა თევზი აწვალებს, უფრო საინტერესოა. შენ სისტემატიურად დადიხარ და მობეზრებული გაქვს თევზაობა, მე კი მენატრება.

—ჰო, რა ვიცი ძმაო. მე ჩემსას გირჩევ და დანარჩენი შენ იცი. მე შენზე მეტსაც დავიჭერ და შენზე ადვილადაც ვატარებ. თანაც იმდენად არ ვიღლები. თითო საათი ვისვენებ.

ამ საუბარში ბენზინ-გასამართ სადგურს მიუახლოვდნენ. ვაჟამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და თან ნოდარს მიმართა. —სამი ლარი გექნება, ბენზინი ჩავასხათ. ექვსი ლარისა ხო ეყოფა გივი?

—ჰო, ეყოფა. —უპასუხა გივიმ და გზიდან გადაუხვია ბენზინ გასამართ სადგურისაკენ.

გზაში კიდევ ბევრ საკითხზე ილაპარაკეს. ძირითადად, რა თქმა უნდა, თევზაობაზე და ნახევარ საათში ალაზნის ხიდსაც მიადგნენ. უკვე კარგად გათენებულიყო.

—მე აქ ჩამოვალ. —თქვა ნოდარმა. —იქვე ხიდის ქვემოთ 200 მეტრში გავჩერდები, აქაც კარგი ადგილია. მერე სევიდან ხომ არ გამოვზიდავ ბარგს, იქიდან შორია.

გივიმაც ხიდის პირას, იქვე, ჩასასვლელთან შეაჩერა.

ნოდარი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, ახსნა საბარგული, ამოიღო მთელი თავისი ბარგი და დაეშვა ქვეყით მდინარისკენ.

მგივიმ და ვაჟამ გზა გააგრძელეს ბუჩქებს შორის მიმავალ ვიწრო გზასე, რომელიც მდინარეს ზევით აუყვებოდა. პატარა მდელოსთან რომ გავიდნენ, სადაც ვაჟას ქოხი იყო, გივიმ მანქანა შეაჩერა. ვაჟამ თავისი ბარგის, აუცილებელი ნივთების გადმოლაგება დაიწყო, შემდეგ გივის მიუბრუნდა და უთხრა: —დარჩი ცოტა ხანს, რა უნდა გააკეთო სახლში, ჯერ ხომ ადრეა.

—არა, რისთვის დავრჩე, თევზაობის ნერვები არა მაქვს, ხომ იცი. შუადღე რომ იყოს ვიბანავებდი მაინც. ეხლა რა ვაკეთო. —თქვა გივიმ და მანქანისაკენ გაემართა. ჩაჯდა მანქანაში და ფანჯრიდან გადმოსძახა ბარგთან დახრილ ვაჟას; —აბა შენ იცი. წავედი რაა, თუ დაგჭირდები დამირეკე, მობილური ხომ არ დაგრჩა სახლში?

—არა, არა, აქ მაქვს. —მიაძახა ვაჟამ უკვე დაძრულ მანქანაში გივის.

მანქანამ სელა გააგრძელა. მალე მისი ხმა მდინარის ხმაურმა დაფარა.

ნოდარი ჩაუყვა ქვემოთ ბილიკს, მდინარის ხეობაში. ადგილი, რომელიც ნოდარს მოსწონდა, ხიდიდან 300 მეტრში იქნებოდა. ამ ადგილში ხეობა უფრო განიერი იყო. ხეობის ერთ მხარეს ნავეხარი, —მიტოვებული ადგილი იყო, ხოლო მეორე მხარეს, —საძოვრები. ყველაზე მეტად კი ის მოსწონდა, რომ მდინარიდან ცოტა მოშორებით დაბურული წყარო იყო, რომელიც აქ, ამ ადგილას ჩამოედინებოდა. წყაროს წყალი ბევრ რამეში იყო გამოსაყენებელი, დასალევადაც კი გამოდგებოდა. ამ ადგილს

უპირატესობას იმითაც ანიჭებდა, რომ აქ მდინარე უხვევდა და კარგ სათევზაო პირობებს ქმნიდა. ვაჟასთვის ეს ადგილი ხელსაყრელი არ იყო, რადგან კარგი სათევზაო პირობებისთვის მხოლოდ ასიოდე მეტრი თუ იქნებოდა. მას კი ასე მოკლე მანძილი არ აკმაყოფილებდა.

ნოდარმა ჯერ სათევზაო ჯოხების კონა გახსნა, სამი გაუმართავი ჯოხი ცალკე გადადო, დანარჩენი კი აიღო და მდინარის გასწვრივ სიგრძეში ადგილის შერჩევით განალაგა. შემდგომ მობრუნდა ბარგთან, ტომრიდან პატარა ცული და ჭიაყელების ყუთი ამოიღო და ბუჩქებისკენ წავიდა. ბუჩქებში მოძებნა ყველაზე უფრო მსხვილი ხე-ბუჩქი, მოჭრა და გაასუფთავა ტოტებისგან. გადაჭრა ერთი მეტრის სიგრძეზე და ძირი გაუბრტყელა ქვიშის ამოსათხრელად. შემდეგ აიღო ყუთი და დაბურღულ წყაროს ჩამომავალ წყალთან მივიდა ჭიაყელების მოსაძებნად. აგვისტოს თვეში საერთოდ მიწა უფრო თბილია, ნაკლები ნესტი აქვს, ამიტომ ჭიაყელები მიწის სიღრმეში მიიწევენ და უფრო ძნელი საპოვნელია. აქ, ჩამომავალი წყაროს ნაპირზე კი ნესტი მუდმივად არის და ჭიებიც მოიპოვება.

ათიოდე წუთი თხრიდა ნოდარი წყლის ნაპირებს და იღებდა ჭიებს. სამყოფი ჭიები რომ მოაგროვა, თავი დაანება და ახლა ცული აიღო. მივიდა ისევ ბუჩქებთან და შეუდგა კაპიანი ჯოხების გამოჭრას ანკესების საყრდენად. გამოჭრა 15 ცალი, ისევ მიბრუნდა, ჭიების ყუთი აიღო, ტომრიდან პატარა ეუვანები ამოიღო და მდინარის ნაპირისკენ წავიდა. მიჰყვა ანკესებს ერთი მხრიდან, თან ჭიაყელას უკეთებდა, თან კაპიან ჯოხებზე ამაგრებდა, შემდეგ ეუვნებს ჰკიდებდა და წყალში აგდებდა ნემსკავს. ეუვანის დანიშნულება იყო ნემსკავზე თევზის წამოგების დროს, რეკვა დაეწყო. ასე თევზი მალე ამოჰყავდა და მეტს იჭერდა, რადგანაც ნემსკავიდან გაშვების შესაძლებლობა მცირდებოდა. როცა მეხუთე ანკესს ამზადებდა წყალში ჩასაშვებად, მეორე ანკესის ეუვანმა რეკვა დაიწყო. მაშინვე გაუშვა ხელი იმ ანკესს, მეორესთან მიირბინა და პატარა თევზი ამოიყვანა. ეს გემოვნებით განთქმული ალაზნის მურწა იყო. მოხსნა სასწრაფოდ თევზი, გაიქცა ტომარასთან, ამოიღო თევზის შესანახი ბადე, ჩააგდო შიგ თევზი და ანკესების ქვემოთ ჩაუშვა წყალში, რომ არ მომკვდარიყო.

ვიდრე ყველა ანკესს ჩაუშვებდა წყალში, ნოდარმა კიდევ ერთი თევზი დაიჭირა, რამაც გაახალისა. რამდენიმე საათში 2 კილომდე თევზი დაიჭირა, რის შემდეგაც ეუვნების რეკვა საგრძნობლად შემცირდა. ერთი-ორი საათის შემდეგ კი საერთოდ გაჩერდა. ნოდარს უკვე საშუალება მიეცა სხვა საქმეც გაეკეთებინა და შორიდან ედევნებინა თვალყური ანკესებისთვის. აიღო დარჩენილი სამი გაუმართავი ანკესი და მოშორებით მდგარი წნორის ხისკენ წავიდა, რომლის ჩრდილშიც ეწყო სურსათი და ტომარა. მივიდა ხესთან, ამოიღო ტომრიდან ანკესის მოწყობილობების ყუთი, ჩამოჯდა პატარა კუნძზე და ანკესები გვერდით დაიწყო. გახსნა ყუთი, ამოიღო ნესკავები და სხვა მოწყობილობები, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ წვიმისაგან დასაცავი ქოხი გასაკეთებელი ჰქონდა, იფიქრა ჯერ ქოხს გავაკეთებ, ის უფრო აუცილებელიაო და ისევ ყუთში ჩაყარა.

მან ცული აიღო და მიდამოს მოაკლო თვალი, რომ შეერჩია უკეთესი მოსაჭრელი ხეები სარებისათვის. მცირე დათვალიერების შემდეგ გადაწყვიტა აკაციებისკენ წასულიყო. შეარჩია ათიოდე სარისთვის მოსაჭრელი ხე, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი რა ნაწილში გამოიყენებოდა და ჭრა დაიწყო. ჭრიდა და დროდადრო ანკესებისკენ იხედებოდა.

მოჭრილი სარები წამოიღო და თან საფარისათვის შესაფერის ადგილს არჩევდა. ქოხი ისე უნდა დაედგა, რომ დასავლეთიდან მთლიანად დაფარული ყოფილიყო, რადგან წვიმა და ქარი ძირითადად დასავლეთის მხრიდან მოდიოდა, ხოლო აღმოსავლეთიდან ღია, რომ ანკესებისთვის თვალი ედევნებინა.

მდინარიდან ათიოდე მეტრში, სათევზაო სივრცის თავში, შედარებით ცოტა მაღლობი შეარჩია, დაყარა სარები და დაიწყო ამორჩევით სარების ჩარჭობა ქვიშაში. საჭირო რაოდენობის სარების ჩარჭობას რომ მორჩა, დაიწყო მათზე სხვა სარების დამაგრება, რისთვისაც მავთული იყო საჭირო და მის მოსაძებნად წავიდა. მავთულის მოძებნა არ გასჭირვებია, ჯებირის გადაღმა, ნაგენახარში განადგურებული ეენახებისაგან გაშლილ მავთულის ნაგლეჯები ბევრი ეყარა. მოაგროვა, რამდენიმე სხვადასხვა ზომის მავთული და დაიწყო დანარჩენი სარების მიმაგრება. ძალიან ცხელოდა, ოფლისგან ლამის მთლიანად დასველდა, მზისგან კი თავი ძალიან გაუცხელდა, ამიტომ ცოტა ხანს გადაწყვიტა ხის ჩრდილს შეფარებულიყო. ეკვნები აღარ რეკავდნენ, მხოლოდ ხანდახან ოდნავ შეირხეოდა ლიფსიტების მიერ. ნოდარი მივიდა ხესთან და პატარა, ამაღლებულ მიწაზე დაჯდა ჩრდილში. მზის გამოსხივებისგან და სიცხისგან შეღონებულს ჩრდილში შესვლა ნეტარებად ეჩვენებოდა. სრული ნეტარებისთვის ცოტა დაბლა ჩამოვიდა და იმ ამაღლებულ ადგილზე, რომელ'ზეც იჯდა, წელით გადაწვა გულაღმა. მისი თვალები ორ ტოტს შუა დარჩენილ სივრცეში გაიჭრა, სადაც ლურჯი ცის ფონ'ზე, პატარ-პატარა, თეთრი ღრუბლები დროდადრო მისრიალებდნენ. ნოდარის ყურადღება იმ ღრუბელმა მიიპყრო. ღრუბლები სწრაფად იცვლებოდნენ, სხვადასხვა საინტერესო ფორმას ღებულობდნენ, ზოგი იზრდებოდა, ზოგიც პირიქით, ქრებოდა.

ნოდარი ცოტა ხანს აკვირდებოდა ამ ლამაზ სანახაობას, მაგრამ მალე ფიქრებმა გაიტაცა და ღრუბლებს ეღარც ამჩნევდა. მისი გონება თვალთაგან გაითიშა და ოცნების ხედვაზე გადაიროო. მოულოდნელად, ერთი ეკვანი აკღარუნდა საკმაოდ ძლიერად, ნოდარიც გამოერკვა ამ ეკღარუნზე, წამოხტა და ამ ანკესისკენ გაიქცა. ანკეს'ზე კარგად მოზრდილი თევზი იყო წამოგებული, ალბათ კილოგრამამდე იქნებოდა, რამაც გაახარა ნოდარი. მან თევზი იქვე დააგდო და მეორე ბადე ამოიღო ტომრიდან. თევზი ცალკე ბადეში ჩასვა და ისიც წყალში ჩაუშვა. ნოდარმა მზეს ახედა. მზე უკვე კარგა მანძილზე გადასულიყო, რაც ნიშნავდა რომ რამოდენიმე საათი გასულიყო. –ეა, ეს რამდენი დრო გასულა, თუ არ ავჩქარდი, შეიძლება ვერც მოვასწრო საღამომდე დამთავრება. –ჩაილაპარაკა და ტომრისკენ წავიდა.

ტომრიდან ორივე „პალატკა“ ამოიღო და ქოხის დასამთავრებლად წავიდა. რამდენიმე დარჩენილი ხეც დაამაგრა მაგთულებით და ერთი, უფრო დიდი ზომის „პალატკა“ გადააფარა. შემდეგ ისიც მაგთულებით გაამაგრა. ისე, როგორც დაწყებამდე დაგეგმა. დასავლეთით ორი გვერდი მთლიანად დახურული იყო, ხოლო აღმოსავლეთით, ანუ ანკესებისკენ ნახევრად ღია იყო, რომ თევალი ედევნებინა.

შემდეგ, 4 ცალი კაპიანი 60-70 სმ. სიგრძის პალო გამოჭრა და დახურული კედლის შიგნით ჩაარჭო. ორი ორ მეტრიანი სარი ამ კაპებზე დადო, უსხეპელის წვრილი ტოტები მოაგროვა ეს წვრილი ტოტები ზედ დააწყო და კარგი ტახტიც გააკეთა ტახტზე ჯერ წვრილი, ნაკაფი ტოტები დააწყო, შემდეგ ხმელი ბალახები მოაგროვა და ზედ გადაშალა. ტახტზე ორი სქელი ზეწარი გადააფინა ორკეცად და ზედ წამოგორდა გასასინჯად. ტახტი მართლაც კარგი გამოვიდა. დასაწოლადაც რბილი იყო და ზეწარიც საკმარისი, რომ ქვემოთ დაეფინა და ზემოდანაც გადაეფარებინა. ცოტა ხანს იყო ასე წამოგორებული და ფიქრობდა, მაგიდაც რომ გამეკეთებინა, ხომ კარგი იქნებოდაო. მერე იფიქრა, მაგიდა რაღად მინდა, რა, სტუმრები მომივა და სუფრას გაეშლი თუ რაში გამოვიყენოო. ამასობაში მზე მიეფარა და ოდნავ ჩამობნელდა. ნოდარი გარეთ გამოვიდა და დასავლეთისაკენ მზეს გახედა. დასავლეთის ცაზე შავი ღრუბელი აშლილიყო და თანდისთან აქეთ მოიწევდა. ხოო, ეს ისეთი ღრუბელია, ნამდვილად წვიმა მოვაო. – გაიფიქრა და ანკესებისკენ წავიდა.

ერთ საათში ღრუბელი ნელ–ნელა მთელ ცას გადაეფარა. ატყდა ჭექა-ქუხილი, ქარი და მალე წვიმაც წამოვიდა. ნოდარმა ტომარა და სურსათის პარკები საფარში შეიტანა, თვითონ კი ტახტზე წამოწვა. მალე ჩამოღამდა კიდეც. წვიმა საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ გადაღებას არ აპირებდა და ნოდარს ფარნით ხელში დროდადრო წვიმაში უხდებოდა ანკესებთან გასვლა. ასე გაატარა მთელი ღამე, წვიმამ მხოლოდ დილით გადაიღო. ღამით თევზი კარგად წამოვიდა. ამ მხრივ ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ ცოტა დასველდა, შესცივდა, თან თითქმის უძილო იყო და განწყობა ძალიან გაუფუჭდა. ხასიათს ისიც უფუჭებდა, რომ შესაძლო იყო მდინარე ადიდებულიყო და თევზაობა შეუძლებელი გამხდარიყო. დილით დაჭერილი თევზების რაოდენობამ იმატა, მაგრამ იმის ფიქრით, რომ შეიძლებოდა მდინარე ადიდებულიყო და თევზაობა შეეწყვიტა, ხელმოცარულივით ნირწამხდარი ნოდარი ხლაბუნით დადიოდა ანკესიდან ანკესამდე და ბადემდე. ბადეში კი საკმაოდ დიდი რაოდენობით თევზი დაგროვილიყო.

მალე ღრუბლები გადაიფანტა და ცაზე ალგ-ალაგდა მოჩანდა. მზეც ამოიწვერა, მაგრამ ცივი ნიავი ქროდა და მზეს სუსტი ძალა ჰქონდა. თითქმის სულ ვერ ათბობდა.

–ამ წვიმასაც რაღა ეხლა მოუნდა მოსვლა, დაეცადა და მერე მოსულიყო. –ჩაიბურდღუნებდა და ცას შეხედავდა–ხოლმე ნოდარი, თითქოს ემუქრებოდა რომ კიდეე რამე არ ექნა მის საზიანოდ.

ამ დროს ხიდის მხარეს რაღაც ჩაჯგაფუნდა წყალში. „ნეტავ ეს რიღას ხმა იყო? ასეთი ხმა ხიდიდან რომ ხტებიან საბანაოდ, მაშინ

ისმის, ეხლა ვინ იბანავებს ამ სიცივეში? არც კლდეა, რომ მიწა ჩამონგრეულიყო... წავალ, გავიხედავ“ გაიფიქრა, მაგრამ დაეზარა, „რაში მაინტერესებს, ზოგი გიჟი ზამთარშიც ბანაობსო“.– პატარა კუნძი გამოათრია საფარიდან და ზედ ჩამოჯდა. „ნეტა წყალს თუ ემატება“ გაიფიქრა და მდინარეს გახედა. ამ დროს შენიშნა, რომ მოსახვევში რაღაც, ფერადი ტანსაცმლის მსგავსი მოჰქონდა წყალს. ნოდარი კარგად დააკვირდა, მაგრამ ვერფერი გაარკვია და მდინარეს აუყვა ზემოთ. ის რაღაც, დინებამ უფრო ქვემოთ წამოიღო და რომ მოახლოვდა, ნოდარმა უეცარი გაკვირვებისგან ხმამაღლა დაიყვირა: –ვა, ადამიანია?! ჰო ადამიანია! ბიჭო მგონი ქალია! მაგრამ თუ ქალია ეს რა აცვია? ეს ხომ კაცის პიჯაკია, თანაც ძალიან ძველი, დახეული და ჭუჭყიანი. –და რომ დარწუმდა ნამდვილად ადამიანი და თანაც ქალი იყო საშინლად აფორიაქდა, დაიბნა, რა გაეკეთებინა არ იცოდა, ათასმა რამემ გაუელვა თავში. “ნეტა ვინ არის? როგორ მოხვდა წყალში? მოკლეს და მკვდარი ჩააგდეს... რა ვქნა, გამოვიტანო თუ არა? მერე რომ მე დამბრალდეს მკვლელობა, მაშინ რა ვქნა? არადა, ვინ იცის ვინ არის. იქნებ მერე მკვდარიც ვეღარ იპოვონ, ახლობლები ხომ დაიტანჯებიან?

ასეთი ფიქრით აფორიაქებულმა რამდენიმე წამი დაჰყო, ერთ ადგილზე გაშეშებულმა, მერე კი ვეღარ მოითმინა, გაიძრო სპორტული შარვალი, სწრაფად გაიქცა ქვემოთ, რომ წინ დახვედროდა გვამს და წყალში შევარდა. ნოდარმა პიჯაკში წააცლო ხელი და ცოტა წვალებით, მაგრამ მაინც გამოიყვანა ქალი წყლიდან. 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალი იქნებოდა. ნაპირზე რომ გამოიყვანა, დააწვინა და სახეზე ხელი შეახო, თბილია, ეხლა მომკვდარა... ნეტა რით მოკლეს?... რა ნაცნობი სახე აქვს, სადღაც მინახავს. ნეტა ვინ არის? ეს რა საშინლად ძველი პიჯაკი აცვია, ასეთი დახეული და ჭუჭყიანი. ნეტა ვინ არის, ასე რატომ აცვია? პიჯაკის შიგნით კი სუფთად აცვია. იქნებ არ მომკვდარა... რა გავაკეთო აღარ ვიცი. რა ყველაფერს მე უნდა გადავეყარო. იქნებ ცოცხალი გადააგდეს და ეხლა დაიხრჩო? ნეტა როგორ ექცევიან ახალ დამხრჩვლებს? იქნებ ხელოვნურმა სუნთქვამ უშველოს? აბა ვცდი.

ნოდარმა დაქანებულ ადგილას გადააწვინა, თავით ქვემოთ და მკერდზე ხელის დაწოლით, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება დაიწყო. თან ბურღღუნებდა –ეს რა შარში გავეხვიე, თევზაობა ხომ მორჩა, როგორღა ვითევზავებ, ამას ვინ ჩივის, ჯანდაბას თევზი, მაგრამ ამას რა ვუყო, სად წავიღო მკვდარი? ვის გავაგებინო მინდორში? მე რომ დამაბრალონ, ხომ ცხელში არ ამოვყობ თავს ამის გამო. ეხლანდელ დროში ტყუილად დაბრალება და უდანაშაულო ადამიანის ცხელში ჩასმა ხომ ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ამ ფიქრებით ლამის ჭკუიდან იშლებოდა, რომ ამ დროს ქალი შეტოკდა, ხველება დაიწყო და თვალები გაახილა. „მგონი გონს მოდის, იქნებ მეშველოს და გადარჩეს.“ გაიფიქრა და ხელოვნურ სუნთქვას თავი დაანება. ქალმა ცოტა ხანს კიდევ ახველა და შეჩერდა.

ნოდარი ჩაცუცქული ზემოდან დასცქეროდა ქალს, ის კი გაუნძრევლად იწვა და სიცოცხლის ნიშანწყალს მხოლოდ დროდადრო ამოძრავებული თვალები აძლევდა. ნოდარი დაბნეული და ცოტა შეშინებული იყო.

—ამოიღე ხმა, ვინ ხარ, წყალში როგორ მოხვდი? თვითონ გადახტი თუ გადაგაგდეს? ან იქნებ ის მითხრა, ეხლა რა გავაკეთო?—ეუბნებოდა ნოდარი, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა, ის ჯერ კიდევ არ იყო სრულად გონს მოსული,ვერ აცნობიერებდა რა მოხდა,არ ესმოდა მისი ლაპარაკის აზრი. ქალს ისეთი კანკალი დააწყებინა, რომ ნოდარს შეეშინდა, სცივა ალბათ ამ უბედურს... ალბათ კი არა ასეა. აბა რა მოუვა, სულ სველი აქვს ტანსაცმელი. ნოდარმა ქალი ხელში აიყვანა და საფარში მოწყობილ ტახტზე დააწვინა, შემდეგ სველი სამოსი გახადა და შეეცადა როგორმე გათბო.. ცოტა შეამშრალა, ზემოდან ზეწარი გადაფარა, მის ზემოთ კი თავისი ქურთუკი, იქნებ როგორმე გათბესო, მაგრამ გოგონა მაინც კანკალებდა. „იქნებ ცოტა არაყი დავალევინო, ცოტას გაათბობს," —იფიქრა ნოდარმა და სასწრაფოდ ამოიღო პარკიდან არყის ბოთლი, ჭიქაში ჩამოასხა, გოგონა წამოაყენა და ტუჩებთან მიუტანა. —დალიე! —უთხრა მკაცრი ტონით, რომ იქნებ მასზე მის სიტყვებს ზემოქმედება მოეხდინა და არაყი დაელია. გოგონამ არაყი მოსვა, მაგრამ მაშინვე ხველება დააწყებინა, აშკარა იყო რომ მისთვის არაყი უცხო სასმელი იყო და ყელი დაწვა.

—არა უშავს, კიდევ მოსვი, ეს სულ უნდა დალიო, ეს გაშველის, —თითქმის ლუღლუღით უთხრა ნოდარმა. ხმის ჩავარდნის მიზეზი კი ის აღმოჩენა იყო, რომ ნოდარმა ეს ახალგაზრდა ქალი იცნო. ეს ის გოგო იყო სამი დღის წინ, მეძავ ლამარასთან ერთად რომ ჰყავდათ წამოყვანილი ბიჭებს, რომ გაეპარათ და ეძებდნენ. ამ „ბოზის გულისათვის ჩავიგდე თავი ხიფათში" —ფიქრობდა ნოდარი.

ეხლა კი გასაგებია როგორ აღმოჩნდა წყალში, ალბათ ბიჭებმა თავისი რომ აისრულეს მერე გადააგდეს. ისინიც რა ბოროტები არიან, ასე მოქცევა როგორ შეიძლება. ადამიანის ასე გაწირვა, როგორიც არ უნდა იყოს ის, მაინც ადამიანია, ასეთი მოპყრობა წარმოუდგენელია. ისე კი, ვინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა, შეიძლება საქმე სულ სხვანაირად იყოსო. იქნებ ესეც ნანას მსგავსად იძულებით დააყენეს ამ გზაზე?

რამდენიმე ყლუპი არაყი დიდი წვალებით დაალევინა, მერე ჭიქა გადადგა, გოგონა ისევ დააწვინა და გადააფარა. გოგონა ისევ კანკალებდა. —რა ეუშველო, რა ექნა, —ჩაილაპარაკა ნოდარმა და გაბრაზებულმა თვითონაც მოსვა ბოთლიდან არაყი.

ციცი ნიავი უბერავდა, ეხლა თვითონ ნოდარსაც შესცივდა და გააკანკალა. ვეღარ მოიფიქრა შარვალი მაინც ამოეცვა. ნოდარმა გოგონას შეხედა, "ახალგაზრდაა, ლამაზი და ასეა უკვე გაუბედურებული. მომავალში რა ელოდება, ვინ იცის. იქნებ არავის გადაუგდია და თვითონ იკლავდა თავს. ალბათ, მიხვდა რომ ასე ცხოვრება საშინელებაა და გადაწყვიტა.... მაგრამ არა, ვინც თავისი ნებით ადგება ასეთ გზას, ის არც თავს იკლავს. ლამარასთან და იმ ბიჭებთან ხომ თავისი ნებით იყო. ლამაზი გოგოა, ტანიც ლამაზი აქვს, თან ძალიან ახალგაზრდაა, ასეთს კლიენტიც ბევრი ეყოლებოდა. მას წუთის წინ ნანახი ქალის შიშველი სხეული წარმოუდგა თვალწინ,

ქვეცნობიერში ფარული სურვილი აღეძრა, რომელსაც თვითონაც ვერ აცნობიერებდა. ნოდარი აკანკალდა. მერე გაიფიქრა, იქნებ მის გვერდით რომ დავწვე, მე გავათბოო. ასე შეიძლება სიცივით მოკვდეს, როგორ კანკალებს, არა სჯობია მის გვერდით დავწვე? ნოდარმა გაიხადა სველი პერანგი და საცვლების ამარა დაწვა. ქალს არანაირი რეაგირება არ ჰქონია, გვერდით არც მოუხედია. ის ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა თუ რა ხდებოდა. ნოდარს ეხლა უფრო მეტად აკანკალებდა, ვერ ხვდებოდა ეს სიცივის კანკალი იყო თუ ენების.

ნოდარმა ახალგაზრდა ქალს ხელები მოხვია წელზე და თავისკენ მიიზიდა. მიხუტებამ შედეგი არ გამოიღო, ქალი კვლავ ცახცახებდა სიცივისაგან. ნოდარმა გადაწყვიტა მასაჟის მსგავსად ხელებით გაეხურებინა მისი სხეული და მისმა ხელებმა ქალის შიშველ სხეულზე დაიწყო სრიალი, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. „რა ვუშველო?" – გაიფიქრა ნოდარმა. „ასე თუ გაგრძელდა ალბათ მოკვდება და ხელში რომ შემომაკვდეს ხომ გავგიჟდი?!" იქნებ ცეცხლი ამენთო? მაგრამ ყველაფერი სველია, ვიდრე ავანთებ ალბათ ერთი საათი გავა და იქამდე რომ მოკვდეს? აბა მაშ სხვა რა მოვიფიქრო? სულ უკანასკნელი ქალიც რომ იყოს სიკვდილისათვის მაინც დასანანია და მეც ხომ სიცოცხლის ბოლომდე გამყვება ეს საშინელი განცდა. იქნებ სქესობრივი კავშირით მეცადა მისი გადარჩენა, ამ დროს ხომ შინაგანი ენერგია აქტიურდება და სიმხურვალე მატულობს? მისთვის ხომ მაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს მის ცხოვრებაში ეროით მეტი მამაკაცი იქნება თუ, ერთით ნაკლები სამაგიეროდ შეიძლება სიკვდილს გადაურჩეს და მეც ამოვისუნთქებ, მერე კარგად რომ გახდება საიოაც უნდა წაიდეს. ნოდარს ბევრი აღარ უფიქრია და ქალს დაეუფლა. ქალი ამ რეალობას ვერ აღიქვამდა, არაფერზე არ რეაგირებდა. ამ ყველაფერს მშვიდად ხვდებოდა. იგი მოულოდნელად „უცხო სამყაროში" მოხვედრით ისე ოყო გაბრუებული, რომ ყველაფერი სიზმარივით ეჩვენებოდა. იმასაც კი ვერ აცნობიერებდა სრულად, რომ ახლახანს სიკვდილს გადაარჩინეს. იგი ისე აღიქვმდა მისი სხეულის მპყრობელს, თითქოს მის სხეულს არც ეხებოდა, თითქოს ეს მისი სხეული, აღარც იყო, აღარც, სჭირდებოდა და აღარ აინტერესებდა რას უზამენ მის ყოფილ სხეულს. მხოლოდ ფიქრობდა: ვინ ვარ? სადა ვარ? ეს ვინ არის?

ნოდარი თავისი ქვეცნობიერი გრძნობების დაკმაყოფილებას რომ მორჩა გვერდით დაეშვა მოდუნებული და ამავე დროს გაოცებული. მოხდა საკვირველება, რომელმაც ნოდარი გააოგნა და დააბნია. ეს მეძავი ქალი, რომელსაც ნოდარის აზრით მრავალი კლიენტი უნდა ჰყოლოდა გასტუმრებული ქალწული აღმოჩნდა.

–კი მაგრამ რანაირად? –ფიქრობდა ნოდარი –განა მე თვითონ არ ვნახე, ბიჭებს სხვა მეძავებთან ერთად, რომ ჰყავდათ წამოყვანილი სწორედ ამ მიზნით? თანაც ისეთ ქალთან ერთად როგორიც ლამარაა?... მაგრამ ხომ გაიქცა მერე იქიდან. ესეიგი, ველარ იპოვეს? მაშასადამე, იქაც პირველად იყო წამოყვანილი? კი მაგრამ იქ საიდანღა მოხვდა?

მერე ქალს მიუბრუნდა და ჰკითხა: –ვინა ხარ, რა გქვია?

ქალმა არაფერი უპასუხა.

–როგორ მოხვდი წყალში, თვითონ გადახტი თუ გადაგაგდეს?

–სად ვარ –ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა ქალმა, რომელიც აღარ ცახცახებდა.

ნოდარი ეხლა მიხვდა, რომ ქალს გაცნობიერებულიც არ ჰქონდა სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. თავისი საქციელის ძალიან შერცხვა. სახე აელეწა, თავი გაუხურდა, 'ესეიგი, მე უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალი გავაუპატიურე? მე კი მეგონა ბოზი იყო და ეს ხომ კაცობა არ არის! ეს ხომ მართლა სირცხვილია.! –ფიქრობდა იგი –ასეთი საქციელის გამო სხვებს ეკიცხავდი და მე თვითონ ჩავიდინე.? როგორ უნდა შევხედო თვალებში, მათ ვისაც ზნეობას ვასწავლიდი? ასეთი საქციელის შემდეგ რა უფლება მაქვს სხვა გავკიცხო? მართალია მე სხვა მიზანი მამოძრავებდა, მისი გადარჩენა მინდოდა, მაგრამ, ვინ იცის, გადავარჩინე? მე ხომ მისთვის არ მიკითხავს, იქნებ მას სიკვდილი ერჩია ასეთ სიცოცხლეს, რომელიც ამის შემდეგ ექნება? ანდა საერთოდ რას ავიჩემე სიკვდილისაგან ხსნა, იქნებ არც მომკვდარიყო? თუ ასეა მაშ რა გამოდის, საცოდავი გოგო დავღუპე მომავალი გავუნადგურე? ეს როგორ მომივიდა? მაგრამ, სხვა რა უნდა მექნა მართლაც რომ მომკვდარიყო? დაკლოდებოდი მოკვდებოდა თუ არა? შეიძლება ჩემმა საქციელმა ვერაფერი უშველა, მაგრამ მე რაც მოვიფიქრე იმით შეეცადე გადამერჩინა, თუ ეს ზედმეტი იყო როგორ გამერკვია? მე ხომ ექიმი არ ვარ და არ ვიცი ასეთ დროს როგორ მოვიქცე? იქნებ მართლაც გადავარჩინე? ეეჰ, რა ვიცი... ეროი კია, სხვის მიერ გაუბედურებულს დავხმარებივარ და ამ გოგოს მით უმეტეს უნდა დავეხმარო, რომ ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს. დაიძინოს, დამშვიდდეს, შოკური მდგომარეობიდან გამოვიდეს, მერე ვისაუბრებთ და...

ნოდარი წამოდგა, პერანგი ჩაიცვა, ქალს კრგად დააფარა. ახლა დაიძინე, მერე ვილაპარაკოთო, უთხრა და შარვლის მოსაძებნად წავიდა.

ნირწამხდარმა ზლაზვნით ჩაიცვა შარვალი და ანკესებს ჩამოუარა. თევზები ჩახსნა და ანკესები კელავ წყალში გადაყარა. მერე ბადიდან ამოიღო ორი დიდი თევზი, შიგ ახალი დაჭერილები ჩაუშვა, დიდები კი საფარისკენ წამოიღო. თევზები დაყარა და გოგოს შეხედა. მას დასძინებოდა, მისი სველი ტანსაცმელი კი დაბლა ეყარა.

უცქერდა ნოდარი გოგოს და ფიქრობდა: –ვინ იცის რამდენი ტანჯვა გადახდენია ამ საცოდავს, ალბათ უბედურებას ვეღარ გაუძლო, თავს იკლავდა და ამიტომ გადახტა მდინარეში. რა ვიცოდი, თორემ ხელს არ ვახლებდი. თუმცა მე მაინც ეტყუივარ, ეხლა ტანსაცმელი მაინც გავუშრო, ცეცხლს ავნთებ, თევზი ხომ მაინც უნდა შევწვა. –და ხმელი ხეების მოსაძებნად გაბრუნდა.

სველი ხეები, რომ მოაგროვა, საფარის წინ, ორიოდე მეტრში დაყარა ასანთებად. ხმელი ბალახებით ცეცხლი შეუნთო. ხეები წვიმისაგან ნესტიანი იყო, მაგრამ წვალებით ნელ-ნელა მაინც აანთო.

ნოდარმა აიღო ტანსაცმელი და ცეცხლთან ჩარჭმულ ჯოხებზე გადაკიდა. მერე ამოიღო ჩანთიდან დანა და თევზების გაფხეკა-

გამოშიგნა დაიწყო. გამოშიგნული თევზები დაბურღულ წყაროს წყალში გარეცხა, დაჭრა, შამფურები გამოთალა და ზედ ააგო. აგებული შამფურები ტოტებზე დააწყო, იფიქრა, ჯერ ადრეა შეწვაო და გოგონას გაღვიძებას დაელოდა.

ნიავი სუსტად უბერავდა, მზეც საკმაო მანძილზე აწეულიყო, მართალია ხანდახან ღრუბლებს ეფარებოდა, მაგრამ როცა გამოანათებდა, კარგად ათბობდა არემარეს. ზაფხულის მზე ძლიერია და თუმც ჯერ არ ცხელოდა, ღამის წვიმების სიცივე მაინც ადვილად გატეხა.

ნოდარს სველი პერანგი ტანზე შეშრობოდა. იგი წამოდგა და ანკესებთან მივიდა. ყველა ანკესს ჩამოუარა მიმდევრობით. ეჟვნების რეკვას ვერ აკონტროლებდა და შესაძლებელი იყო, ნებისმიერს ჰქონოდა წამოგებული თევზი. ჩაყარა თევზები ბადეში, შემდეგ მობრუნდა, პატარა კუნძი, რომელ'ზეც იჯდა ხოლმე აიღო და ცეცხლთან მიიტანა. მერე შებრუნდა და სხვა კუნძების ძებნა დაიწყო, რომ დასაჯდომი გაეკეთებინა. კუნძის შებნაში მან პლასტმასის დიდი ყუთისმაგვარი რაღაც იპოვა, რომელიც გაზაფხულის ადიდებულ მდინარეს მოეტანა, ნაპირზე გამოერიყა და ბუჩქებში გაჭედილიყო. გამოაძრო ნოდარმა ყუთი ბუჩქებიდან, დახედა და გაიფიქრა: "პატარა მაცივრისაა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მაგიდის მოვალეობას ნამდვილად შაესრულებს: –წამოიღო ეს ყუთი, იქვე შორიახლოს მოკლე კუნძი იპოვა, რომელიც ორ ადგილიან დასაჯდომად გამოდგებოდა და ორივე ერთად, ქოხთან მიიტანა. შემდეგ ეს ყუთი წყალში კარგად გარეცხა და საფარში შეიტანა. ყუთი მაგიდისთვის შასაფერის ადგილას დადო, აქეთ-იქით კუნძები დაუწყო და მაგიდაც, თავისი სკამებიანად უკვე მ'ხად იყო მოვალეობის შესასრულებლად.

უნებლიედ გოგოს შეხედა ნოდარმა. გოგოს გაღვიძებოდა და მას უცქერდა. ნოდარი მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა და ცდილობდა თბილი, სიყვარულით საესე სიტყვები ეთქვა.

–გაიღვიძე? ხომ არ ადგები? საჭმელი ვჭამოთ. ძალიან მომშივდა. შენც ხომ გშია?

გოგონამ ადგომა დააპირა და ცოტა გადასწია ზეწარი, მაგრამ თავისი სიშიშვლე, რომ დაინახა, ისევ დაიფარა.

ნოდარმა ჩამოუხსნა ტანსაცმელი ჯოხებიდან რომელიც უკვე გამშრალიყო და ტახტზე დაუწყო. გოგონამ ჩაიცვა ტანსაცმელი, წამოდგა და საფარიდან გარეთ გამოვიდა.

–აი ამ პატარა ხეს ხომ ხედავ? –თითით მიანიშნა ნოდარმა –იქ წყალი ჩამოდის, იმ ხის ზემოთ პარკში საპონიც არის და შეგიძლია ხელ-პირი დაიბანო.

ქალი წავიდა მინიშნებულ ადგილისაკენ და ბუჩქებს მიეფარა. ნოდარმა ცეცხლი გამოქექა, ჯოხები დაალაგა და ზედ შამფურები დააწყო, მერე მიბრუნდა და ჩანთიდან სურსათი ამოალაგა. პური მაგიდაზე დააწყო, პამიდორი და კიტრი "ბორჯომის" ბოთლით მოტანილი წყლით გარეცხა და ისიც მაგიდაზე დააწყო. სურსათის ერთი პარკი გახია, გაშალა და მაგიდას გადააფარა. თავზიანი დანა წყალში და

ქვეშაში კარგად გარეცხა, შაემშრალა და პური დაჭრა. თევზიც უკვე შემწვარიყო, აიღო შამფურები, თევზი დააცალა და მაგიდაზე დააწყო.

ამასობაში ქალიც გამოჩნდა. ნოდარის მითითებულ კუნძზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ასე გაუნძრეველად გაჩერდა, თითქოს შემდეგ ბრძანებას ელოდებაო.

–რა გქვია გოგო, ეგ მაინც მითხარი, სულ ჩუმად, რომ ხარ. შენი სახელიც კი არ ვიცი –უთხრა ნოდარმა და თან გოგოს თვალი შეაელო და კიდევ ერთხელ გაიფიქრა: რა ლამაზი გოგოა.

–ნათია. – მორიდებულად უპასუხა მან.

–რა ლამაზი სახელი გქონია.....

–ნათია, ჭამე რამე, დარწმუნებული ვარ გეშიება. ჩემი არ მოგერიდოს... უთხრა ნოდარმა და თვითონ დაიწყო ჭამა.

ნათია მხოლოდ შეიშმუშნა და გაჩერდა.

–ჭამე გოგო, თორემ მოკვდები მშიერი, რა დროს მორცხვობაა. შეიძლება შენ არც გინდა სიცოცხლე, მაგრამ აქ ჩემთან მე ვაგებ პასუხს... –ვითომ ხუმრობით უთხრა ნოდარმა, მაგრამ...

ნათიამ ამჯერად უკვე, თუმცა ძალიან მორიდებით, თევზისა და პურის ნაჭერი აიღო და ჭამა დაიწყო. რამდენიმე წუთი ხმის ამოუღებლად ჭამდნენ. ნოდარს ეშინოდა არ დავაფრთხო, ჭამა არ შეწყვიტოსო და არაფერს ეკითხებოდა. ნათია კი ცოტა მოშინაურდა და უფრო თავისუფლად ჭამდა.

–როგორ გრძნობ თავს? დაარღვია დუმილი ნოდარმა.

–კარგად. – უპასუხა ნათიამ და ჭამა შეანელა.

ნოდარმა აღარაფერი უთხრა, ორი წუთის შემდეგ კვლავ ჰკითხა: –გახსოვს რა მოხდა? აღიდგინე ყველაფერი გონებაში?

–კი. –დაუქნია თავი ნათიამ, ნოდარს თვალი მოარიდა და მდინარისკენ გაიხედა.

–მაშინ ამიხსენი, როგორ მოხვდი წყალში? გადმოგაგდეს? –ნოდარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თვითონ გადახტა თავის მოკვლის მიზნით, მაგრამ შეკითხვა მაინც სხვანაირად დაუსვა, რადგან მისგან უნდოდა პასუხი მოესმინა.

–არა. მე თვითონ გადავხტი.

–მერე გოგო, ასე უნდა? თუ ცურვა არ იცოდი, რატომ ხტებოდი? თანაც ტანსაცმლიანად? ღიმილით უთხრა ნოდარმა, რითაც შეეცადა საუბარი ხუმრობაში გადაეტანა, რომ ნათია უფრო გამხნევებულიყო და უხერხულობის და შეზღუდულობის შეგრძნება მოხსნოდა, უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი. რამაც თითქმის შედეგი გამოიღო შეზღუდულობის განცდა შედარებით შეუსუსტდა ნათიას და უფრო თავისუფლად იგრძნო თავი.

–აღარ ვაპირებ გადახტომას. –თქვა ნათიამ და პატარა პაუზის შემდეგ გააგრძელა: –რა აზრი აქვს, რასაც გავურბოდი მაინც ის მიეიღე... ბედს ვერსად გაექცევა ადამიანი....

–ნაწყენი ხარ ჩემზე?

–არა, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. –თქვა ნათიამ და მცირე ხნის შემდეგ კვლავ გააგრძელა.

–რომ გადავხტი და წყალში ჩავეშვი იმის მერე არ ვიცი რა მოხდა, რაღაცას კი ვხედებოდი მაგრამ რაიცი... შეგიძლია მითხრა შენთან როგორ მოვხვდი?

–კი, გეტყვი, თუმცა დარწმუნებული ვარ სწორედ მიხვდებოდი. დავინახე წყალს რომ მოჰქონდი, სიცოცხლისა არაფერი გეტყობოდა. ვიფიქრე კიდეც, ალბათ მკვდარი ჩააგდეს წყალში და რომ გამოვიყვანო მე არ დამაბრალონ მკვლელობა–მეთქი, მაგრამ მაინც გამოგიყვანე და ხელოვნური სუნთქვით მოგაბრუნე. ცოტა კი გამიკვირდა, წყალი სულ არ გქონდა ნაყლაპი.

–რომ გადავხტი ეს მახსოვს მაგრამ წყალში ჩავარდნა არა, შეიძლება გონება დავკარგე და ამიტომ.

შენ ბედს ცუდად იხსენებ, მე კი ვიტყოდი, ბედმა გაგიმართლა, რომ მე აქ ვიყავი, თორემ ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდი.

–მე თავს ვიხრჩობდი, ე. ი. ჩემთვის სიკვდილი სჯობდა სიცოცხლეს და გადარჩენაც ბედის უკუღმართობად მიმაჩნია, თუმცა შენ რა შუაში ხარ. შენ სიკვდილს გადამარჩინე, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი უნდა ვიყო და მე ყოველთვის შენს ვალში ვიქნები.

–არა, ასეთი რამ არ იფიქრო. მე უბრალოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე. თუ მერე ცუდად მოგექეცი, ამას სხვა მიზეზი აქვს. ამის გამო თავს დამნაშავედაც ვგრძნობ შენს წინაშე და ჩემს უფლებად არ ჩამითვლია. ამის გამო ბოდიშს მოგიხდიდი, მაგრამ ვფიქრობ ეს უფრო დამატებითი შეურაცხყოფა იქნება შენი.

კვლავ დუმილი გამეფდა. ორივე ხმის ამოუღებლად შეექცეოდა თევზსა თუ კიტრსა და პამიდორს და ორივე ფიქრებს მიეცნენ.

ნოდარს ინტერესი კლავდა, ერთი სული ჰქონდა ვიდრე გაიგებდა ვინ იყო ნათია,რა ცხოვრება გამოიარა და როგორ გაჩნდა ლამარასთან, მგრამ რა თქმა უნდა ეხლა ამის დრო არ იყო, რომ ეკითხა.

ნათია კი ფიქრობდა: –ნეტა რა მელის კიდევ? დღეს აქ ვარ, ხვალ სად ვიქნები? ამ ბიჭმა თავისი აისრულა, ალბათ აღარ ეაინტერესებ და დღესვე გამაგდებს. მერე? სად წავიდე? ლამარასთან რომ მივიდე, საიდანაც გამოვიქეცი, ალბათ ისიც აღარ მიმიღებს. პირველი მამაკაცი უკვე ვნახე, რა იქნება შემდეგ?

ნოდარმა, რომ დაინახა ნათიას საშინლად დარდიანი სახე ჰქონდა, უთხრა: –გოგო, რა გაწუხებს ასე ძალიან, თქვი.

–შენთვის რა მნიშვნელობა აქვს.

–თქვი რა გიჭირს იქნებ დაგეხმარო. თუ ვერ დაგეხმარები, ცოტა გულზე მაინც მოგეშვება თუ მომიყვები ყველფერს, თორემ გულში თუ მოიკლავ დარდებს, უარესი მოგივა. თქმით კი არაფერი დაგიშავდება.

–არაფერი ისეთი, სხვისთვის რომ საინტერესო იყოს. –უპასუხა ნათიამ. –უბრალოდ, სახლიდან გამოვიქეცი, იმიტომ რომ ერთ კაცს ჩემი დაუფლება უნდოდა, რისთვისაც დიდ ფულს მიხდიდა. მერე სხვებმა შემიფარეს, იქაც იგივე განმეორდა, მხოლოდ ამჯერად, გაცილებით ნაკლებს მიხდიდნენ, იქიდანაც გამოვიქეცი. სამი დღე, მშიერმა მინდვრებში ვიწანწალე. მერე გადავწყვიტე არ შევგუებოდი ბედის

უკულმართობას და თავი მომეკლა, მაგრამ აქაც არ გამიმართლა. თავის მოკვლა არ გამომივიდა, სამაგიეროდ მაინც მიეიღე მამაკაცი, რომელიც ამჯერად ფულს კი არ მთავაზობს, პირიქით, მე ვარ ვალში მის მიმართ. ვსიავარ და ვფიქრობ, სად წავიდე. წასასვლელი არსად არა მაქვს, გარდა ერთი გზისა, რომელიც უპატრონო მეძავეობაზე გადის. განა ამაზე მეტი უბედურება შეიძლება მჭირდეს? –თქვა და ცრემლები წამოუვიდა ნათიას.

ნოდარი ცოტახანს ჩაფიქრდა, შემდეგ ჰკითხა:

–კი მაგრამ, ეგ ვერ გავიგე, სახლში ვის კაცს უნდოდა შენი დაუფლება. მშობლებთან არ ცხოვრობ?

–დედა პატარაობისას მომიკვდა, არც კი მახსოვს. მამამ სხვა ცოლი მოიყვანა, სამი წლის წინ კი, მამაც მომიკვდა ავტოავარიაში. დედინაცვალი ყოველთვის კარგად მექცეოდა. შვილად მივაჩნდი და მეც მიყვარდა, მაგრამ ბოლო დროს ერთი კაცი გადაეკიდა, ჩემს თავს სთხოვდა ერთი ღამით, რაშიც დიდ ფულს იხდიდა. მას ბევრი ფული აქვს. დედინაცვალი სულ უარს ეუბნებოდა, ის კი ემუქრებოდა, ჩემსას მაინც ავისრულებ და ამ ფულსაც დაკარგავო. ბოლოს დედინაცვალი დათანხმა, ალბათ იმიტომ, რომ ეკონომიურად ძალიან გაგვიჭირდა. საღამოს ის რომ მოვიდა და ფული მოუტანა. ვიდრე ჩემთან შემოვიდოდა მე ფანჯრიდან გადავხტი წინასწარ მზად ვიყავი ამისთვის. და გავიქეცი. ეხლა არც ვიცი, იქნებ არ უნდა გავქცეულიყავი. ისევ დუმილი ჩამოვარდა. მართლაც, უბედური ყოფილა ეს საცოდავი. –იფიქრა თანაგრძნობით ნოდარმა.

რამდენი არა ადამიანია ამ ქვეყნად, გულქვა და ბოროტი. –თქვა ნოდარმა ფულებს უსინდისოდ შოულობენ და მერე სხვისი უბედურებით ერთობიან. მართალია ბოლოს არ შერჩებათ, მაგრამ ამ გაუბედურებულ ხალხს ამით რა სარგებელი აქვთ? თუმცა, ალბათ მეც ამ შემთხვევაში, იმათგან არ განვსხვავდები.

ამ დროში ვიდრე ისინი საუბრობდნენ ეკვანმა რამდენჯერმე დარეკა, მაგრამ ნოდარი ყურადღებას აღარ აქცევდა. მას საამისო განწყობა არ ჰქონდა და აღარცკი ესმოდა ეკვნის ხმა.

–კარგი და ლამარასთან როგორღა მოხვდი?

–შენ საიდან იცი, იქ ახლოს ცხოვრობ?

–არა, ვერ მიცანი? მე ხომ მაშინ იქ მოვედი, რომ ქეიფობდით და ნიკომ რომ დამიძახა.

–აა, მაშინ? მე წესიერად არც შემომიხედავს შენთვის, მე სხვა ფიქრები მქონდა. ჩემთვის საშინელება იყო, ასეთ საზოგადოებაში ყოფნა, ყოველ წინადადებას, გინებით რომ ამთერებდნენ. თქვა ნათიამ. –ლამარასთან კი ასე მოვხვედი, მამაჩემს ერთი ბიძაშვილი ჰყავდა ამ ქალაქში, ბავშვობაში ნამყოფი ვარ და სახლი ვიცოდი. მასზე ახლობელი არავინ გვყავდა და ვიფიქრე, იქნებ მან შემიკედლოს –მეთქი, სხვა არავის სახლი არ ვიცოდი და არც იმედი მქონდა მათი, მაგრამ ბიძაჩემს სახლი გაუყიდია და თბილისში გადასულა საცხოვრებლად. ეს რომ გავიგე, ელდა მეცა, ერთადერთი იმედი დაეკარგე, სად წავსულიყავი არ

ვიცოდი. ვიდექი ერთ ადგილზე გამოშტერებული და ვფიქრობდი რა გამეკეთებინა. ამ დროს ლამარა მოვიდა, შემატყო რომ ვნერვიულობდი, მკითხა რა გიჭირსო და რომ ეუთხარი, სახლში წამიყვანა. იმ ბინაში სულ მეძავები ყოფილან. სხვათაშორის გულთბილად მიმიღეს. რამდენიმე დღე მაჭმევდნენ, მასმევდნენ, თავს მევლებოდნენ, მაგრამ ბოლოს მომთხოვეს მათი საქმიანობა დამეწყო. თვითონ ლამარა მიცავდა, მაგრამ დანარჩენებმა დაიყოლიეს, მერე ბიჭიც მიშოვეს და იქ წამომიყვანეს.

ნოდარი ჩაფიქრდა, "იქნებ რამე ეუშველო ამ საცოდავს, მართლა ქუჩაში ხომ არ უნდა დარჩეს.?" მერე გაახსენდა რომ მისი ეროი ნაცნობი ოჯახით თბილისში გადადიოდა, სახლის უპატრონოდ დატოვება არ უნდოდა და სთხოვა: იქნებ ვინმე კარგი ადამიანი ენახა, რომ მის სახლში ეცხოვრა და ყურადღება მიექცია. ნოდარმა იფიქრა, იქ მივიყვან და იცხოვროსო.

—არა უშავს, დაივიწყე რაც იყო, თუ დამიჯერებ და კარგად მოიქცევი, მე დაგეხმარები, ბინასაც გიშოვი და შევეცდები სამუშაოც გიშოვო. —ნუ გეშინია, ყველაფერი გამოსწორდება. უთხრა ნოდარმა, თან წამოდგა და ანკესებისკენ შებრუნდა.

—უჰ, ამ ანკესებსაც რომ თავი დავანებე, უპატრონოდ მივატოვე, ვინ იცის რამდენი თევზი დავკარგე და ანკესებისკენ გაემართა. ანკესებამდე არ მისული უკან მობრუნდა და ნათიას დაუძახა!

—წამოდი შენც, გაერთობი, გულს გადააყოლებ, თანაც მომეხმარები.

—ნათია წამოდგა, რაც მაგიდაზე ეწყო პარკებში ჩააწყო და ნოდარისთან წავიდა.

ნათიას არ სჯეროდა ნოდარის დანაპირებისა, მაგრამ მისთვის ეს ის ხავსი იყო, რომელიც მცირე იმედის ნაპერწკალს მისცემდა, და იფიქრა: —იქნებ ხვოისნიერი კაცი გამოდგეს და მართლა მიშველის, მეტი გზა მაინც არა მაქვსო...

ნოდარმა პირველი ანკესი ამოიღო. ნემსკავზე თევზი არ იყო წამოგებული, ამიტომ ჭია შეუცვალა და ისევ წყალში ჩააგდო. მეორე ანკესზე იყო თევზი წამოგებული, მოხსნა, ნაპირისკენ, ნათიასკენ გადმოაგლო და ისიც ჩაუშვა. ნათიამ ხელში აიყვანა მოფართხალე თევზი, მაგრამ მყისვე გაუსხლტა. კიდევ სცადა, კიდევ გაუსხლტა.

— თავში წაავლე ხელი, თავში. —უთხრა ნოდარმა. ნათიამაც რჩევის მიხედვით დაიჭირა და მართლაც თევზს გაუჭირდა გასხლტომა. შემდეგ ცდაზე უფრო გაუიოლდა.

—გინდა, მოდი შენ ამოიყვანე., —უთხრა ნოდარმა და ხელში აღებული ანკესის ჯოხი გაუწოდა.

ნათია მივიდა მასთან.

—აი, ხომ ნახე როგორ გავაკეთე. მარჯვენა ხელში ჯოხი დაიჭირე, მარცხენათი კი, აქ ჩაავლე ხელი ლარს, ასე გამოსწიე, ამით მთლიანობაში ლარი დამოკლდება და ადვილად ამოიღებ.

ნათიამ გამოართვა ჯოხი, როგორც ნოდარმა უთხრა ისე მოიქცა, მაგრამ იმდენი იწვალა, თევზი რომ ჰქონოდა წამოგებული, ნამდვილად

გაეშვებოდა კიდეც. ბოლოს მაინც მოახერხა და ანკესი მთლიანად გამოიტანა წყლიდან. ნოდარმა ჭია გაუკეთა და გადაგდება ასწავლა.

მეორე და მესამე ანკესი შედარებით იოლად გამიუტანა ნათიამ. მესამე ანკესზე თევზიც იყო წამოგებული.

—თევზი აქვს, თევზი. აი რა კარგია, რამხელა თევზია, —იძახდა ღიმილით ნათია და ისე გაუხარდა ეს ერთი პატარა თევზი, რომ წამით ყველა თავისი დარდები გადააივიწყდა.

ნოდარმა, დარჩენილი ყველა ანკესი მას ამოაღებინა. ნათიას თანდათან ინტერესი გაუღვივდა. ცოტა მოილხინა ამ წუთებში, თითქოს არც არასდროს ჰქონია ის დარდები, რაც აქამდე აწუხებდა. ანკესს რომ აიღებდა, ღიმილით იძახდა —ნეტავ ამ ანკესსაც ჰქონდეს თევზიო. ნოდარსაც ისე გაუშინაურდა, თოთქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. ნათიას ისედაც ლამაზ სახეს ღიმილი უფრო მეტად მშვენიერს ხდიდა და ნოდარსაც სიამოვნებდა მისი კარგი განწყობა. მაგრამ, აი, დამთავრდა ანკესის გასინჯვა და ნათია ნელნელა, კელავ მოწყენილი და დარდიანი გახდა.

ნოდარი და ნათია ისევ საფარში დაბრუნდნენ, რადგან შუადღე იყო, მზეზე უკვე ძალიან ცხელოდა. ორივენი ტახტზე ჩამოჯდნენ და საუბრობდნენ. ნოდარი ცდილობდა საუბარი ისე წარემართა, რომ ნათიას წარსულს არ შეხებოდა, რადგან მტკივნეული იქნებოდა მისთვის და ამიტომ ძირითადად თავის წარსულ თევზაობაზე ესაუბრებოდა. თუ რამე მოსაყოლი გაახსენდა, ჩამოაყოლა, როდის გაუმართლა, დიდი თევზი დაიჭირა, ან თუ პატარა დროში ბევრი დაიჭირა და სხვა საინტერესო ამბები. წუხანდელიც გაიხსენა: —გუშინ და წუხელ თევზი კარგად წამოვიდა, კმაყოფილი ვარ. ეგ არის რომ, მთელი ღამე წვიმაში დავრბოდი და დავსველდი, მაგრამ მაინც კარგია. თუ ამ ღამესაც და ხვალ დილითაც კარგად მოვიდა, მაშინ ხვალ უნდა წავიღო და ჩავაბარო, თორემ თევზი გამიფუჭდება.

წუხელ წვიმაში მეც დავსველდი ცოტა, შემცივდა და ქოხში დაკიდებული ძველი პიჯაკი ჩავიცვი, ბნელაში ვერც კი გავარჩიე როგორო იყო.

—რომ დავინახე ასეთი ძველი და შაბიანი, მივხვდი, რომ შეგცივდა და სადმე მინდორში აიღე.

კიდევ ცოტა ხანს ისაუბრეს, მერე ღამე ნათევ ნოდარს ძილი მოერია, ტახტზე წამოწვა და ჩაეძინა. ნათია კუნძზე დაჯდა და ფიქრებს მიეცა.

მოულოდნელად ფეხის ხმა მოესმა. შეკრთა ნათია, ადგა და გაიხედა. ვიღაც ასაკოვანი კაცი რომელიც 50-60 წლის იქნებოდა, მათკენ მოემართებოდა. ნათია დაიბნა. არ იცოდა გაეღვიძებინა თუ არა ნოდარი. ბოლოს მაინც გადაწყდა გაეღვიძებინა. სახელი არც კი იცოდა ნოდარისი, რომ დაეძახა, ამიტომ ხელით შეეხო და ისე გააღვიძა.

—ვიღაც კაცი მოდის ჩვენსკენ. რა უნდა?

ნოდარმა სახეზე ხელი მოისვა, თვალები დაისრისა, წამოდგა და თქვა: —ალბათ მწყემსი იქნება, ისინი დადიან ზოგჯერ. ვიდრე წამოდგებოდა და გაიხედავდა, ის კაციც მოვიდა.

—გაძარჯობათ.
—გაგიმარჯოს, —უპასუხა ნოდარმა.
—ბოდიშს გიხდით, მოულიდნელად რომ თავზე დაგადექით, მაგრამ გაჭირვებამ მომიყვანა, —იქნებ მიშველოთ... —თქვა კაცმა.
—რა გაგიჭირდა, რით შეიძლება გიშველოთ?
—თევზი მინდა, იქნებ მაშოვიოთ.... ახლობელი კაცი მოკვდა, მოხუცი კი იყო, მაგრამ სუფრას უთევზოდ ხომ ვერ გავშლით? წასულები იყვნენ, იმათი იმედი გვქონდა და ვერ მოიტანეს. დავრჩით ასე ცარიელები. იქნებ გვიშველოთ და სირცხვილს გადაგვარჩინოთ.
—კი, მაგრამ ეხლა რომელი საათია, რაღას მოასწრებთ.
—ეხლა პირველი საათია, დაკრძალვა სამ საათზეა და ორ საათზე მაინც ხომ მივალ სახლში. დაეხვევიან ბიჭები, უცებ გააკეთებენ. აგერ, სოფელი რომ მოჩანს იქ უნდა მივიტანო. 10 წუთში იქა ვარ. თქვა მოსულმა და შემდეგ დაუმატა. გატყობთ თქვენც თევზაობთ, იქნებ თქვენც გქონდეთ რამე. ჩვენ 10-15 კილო გვინდა, მაგრამ, 3-4 კილოც რომ იყოს, ისიც კარგია, ალაგ-ალაგ მაინც ჩავდებთ სუფრაზე. ფულს კიდევ, რასაც იტყვით გადაგიხდით, 8 ლარი ხომ ღირს ბაზარში, თუ იტყვით მეტს მოგცემთ.
ნოდარს გაუხარდა, აქვე თუ გაყიდდა, სათრევი აღარ ექნებოდა ბაზარში და თანაც აქ უფრო მეტს უხდიდნენ. იგი გახალისებული წამოდგა ფეხზე და უთხრა;
—თევზი კი გვაქვს, 10 კილოზე მეტია, მაგრამ სასწორი არ არის, აბა რით ავწონოთ.
—სასწორი ჩვენ გვაქვს, გამოვაყოლებთ. ოღონდ თევზი ვიშოვოთ და აწონვას ისეც მოვახერხებთ. —ეხლავე მოვიტან. —თქვა და ისევ ხიდისკენ გაბრუნდა. ცოტა ხანში გაისმა ხმა, ვილაცას ეძახდა, სასწორი წამოიღეო და მალე, 10-12 წლის ბიჭთან ერთად დაბრუნდა, რომელსაც ხელში ზამბარიანი სასწორი და ვედრო ეჭირა.
სამივენი წავიდნენ თევზების ბადისკენ. ნოდარმა ამოიღო ორიეე ბადე. სასწორი ორიეეს ერთად ამოსდეს და თქვა: —ცამეტ კილოს, ცოტა აკლია.
—კარგია, მთელ სუფრაზე გვეყოფა. —თქვა მოსულმა კაცმა, ბიჭს ანიშნა. ვედროში ჩაყარეო და ფულის თელა დაიწყო. გადათვალა რამდენიც საჭიროდ ჩათვალა, დანარჩენი ისევ ჯიბეში ჩაიდო და ნოდარს გაუწოდა.
—ჰაა, გენაცვალე, ეს ასი ლარია, თუ უკმაყოფილო ხარ კიდეე დავამატებ.
—არა, არა საკმარისია.
—აბა, მაშ დიდი მადლობა, და სულ სიკეთეში მოგეხმაროთ, ასეთ საქმეში, ჩვენ რომ დავდიეართ, ღმერთმა არ დაგაჭირვოთ. აბა კარგად იყავით.
—კარგად იყავით, მიაძახა უკვე ხიდისკენ მიმავლებს ნოდარმაც და თვითონაც ზემოთ აუყვა მდინარეს.
—წამოხვალ ისევ? გინდა კიდე თევზების ამოყვანა? —ჰკითხა საფართან მისულმა ნოდარმა ტახტზე მჯდომ ნათიას.

—კი, წამოვალ. —უპასუხა ნათიამ და ფეხზე წამოდგა.

ჩამოუარეს ნოდარმა და ნათიამ ანკესებს თუ რამე თევზი იყო ბადეში ჩაყარეს და უკან დაბრუნდნენ საფარში. ნათიას ამჯერად ისეთი სიხარული აღარ გამოუხატავს, მაგრამ მაინც კარგად გაერთო და საერთო განწყობაც გაუუმჯობესდა.

—კარგად გაგვიმართლა. —თქვა ნოდარმა და თან ტახტზე წამოწვა. —რომ ჩამებარებინა 80 ლარსაც არ მომცემდნენ, აქ კი 100 ლარი ავიღეთ, თანაც შემიძლია ორი დღით გვიან წავიდე და რამდენიც უნდა ჩამებარებინა, იმდენი მაინც ჩავაბარო, ეს ფული კი დამატებით მოგება იქნება.

—ესეიგი, ხვალ აღარ წახვალ?

—არა, რიღასთვის წავიდე? მოვაგროვებ ერთ 20 კილოს და მერე წავალ.

ღამენათევ ნოდარს ძალიან ეძინებოდა და გადაწყვიტა ცოტა დაეძინა, რომ მომავალ ღამესაც ემუშავა.

—ნათი! მე ცოტას დავიძინებ, დღის ამ მონაკვეთში თევზი მაინც ნაკლებად მოდის და თუ ძლიერად ააყღარუნებს რომელიმე ანკესს, გამაღვიძე. თუ სუსტად იქნება იყოს, არ გამაღვიძო. თუ გინდა თვითონ გამოიყვანე. ერთი—ორი საათის შემდეგ კი, აუცილებლად გამაღვიძე.

ნათიამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, ნოდარმა კი თვალები დახუჭა და მალე ძილს მიეცა.

დარჩა ნათია ისევ მარტო, თავის ფიქრებთან. ისეთი დარდიანი აღარ იყო, როგორც ამ დილით და წინა დღეებში. იმიტომ კი არა, რომ ნოდარის იმედი ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ამ ერთ დღეში იმდენი რამ გადაიტანა, იმდენად მძიმე ფსიქოლოგიური ბარიერი გაიარა, აღარ ფიქრობდა, უარესი თუ კიდე რამე იქნებოდა, თითქოს მომავალზე შიში გაუქრა, ერთგვარად, თითქოს შეეჩვია იმ აზრს, რომ უბედური ცხოვრება ექნებოდა და ამაზე აღარც უნდოდა ეფიქრა. ცდილობდა თავის მძიმე ხვედრზე არ ეფიქრა, მაგრამ ფიქრებს ხომ ვერ უბრძანებ. ისინი თავისით მოდიან.

„იქნებ ყველაფერი ჩემი ბრალია. იქნებ რაღაც არ გავაკეთე ისე, როგორც საჭირო იყო. სად დავუშვი შეცდომა". — ფიქრობდა ნათია, მაგრამ ვერანაირ შეცდომას თავის საქციელში ვერ პოულობდა. ცდილობდა მოეშორებინა ეს ფიქრები და სხვა რამეზე ეფიქრა. ადგებოდა, გაიელიდა ანკესებისკენ, დაათვალიერებდა, თუ რომელიმე ირხეოდა ამოსწევდა, ისევ ჩააგდებდა და მერე კვლავ ფიქრები იტაცებდა.

—მშობლები რომ მყოლოდა, ასე ხომ არ ვიქნებოდი, მამა მაინც მყავდეს ცოცხალი, რად გამწირა ღმერთმა ასე. მე ხომ დიდი მოთხოვნილება არა მაქვს. მე ხომ, სულ ცოტა რამე მინდა ბედნიერებისთვის. მე არ მინდა კარგი, მდიდრული ცხოვრება, ისეთი ზოგიერთებს რომ აქვთ და უზრუნველად ცხოვრობენ. მე მხოლოდ ოჯახი მინდა, ჩემი ოჯახი, თუნდაც ერთი, პატარა ქოხის მაგვარი სახლი იყოს და შიგნით ჩემიანები მეგულებოდნენ, რომლებიც ჩემზე იზრუნებდნენ და მეც მათზე ვიზრუნებდი. სხვა არაფერი მინდა, თუნდაც სულ ეშიმშილობდე....

როცა ნოდარს გაეღვიძა მზე უკვე ქვევით ეშვებოდა და მალე საღამო იქნებოდა. ნათიას არ დავიწყებია გაღვიძებია, მაგრამ უძილო რომ იყო ეცოდებოდა და არ გააღვიძა

ნოდარი წამოდგა, მდინარის პირას მივიდა, სახეზე წყალი შეისხა და ნათიას მიუბრუნდა.

–რატომ არ გამაღვიძე, გოგო.

–რავიცი, ისე ძალიან არ შერხეულა ანკესი, როგორც მითხარი და...

–ხო, კარგი, კარგი, ამ დრომდე მაინც არ მოდის –ხოლმე, ეხლა დაიწყება ნელა–ნელა. შენ როგორ ხარ, ხომ ყველაფერი რიგზეა?

–კი, ცოტა უკეთესად ვარ.

–ანკესებს ნახულობდი? იქ როგორ არის საქმე?

–კი, ვნახახულობდი. შვიდი ცალი პატარა დაეიჭირე კიდეც და ბადეში ჩავსვი. ღიმილით უპასუხა ნათიამ.

–წამოდი აბა, ჩამოვიაროთ, ხომ არ მოგბეზრდა? თუ გეზარება, დარჩი.

ნათია უკან გაჰყვა.

ჩამოუარეს ანკესებს, ნოდარმა ვერც ერთზე ვერ შენიშნა წამოგებული თევზის ნიშნები და უკან დაბრუნდნენ.

–ყოჩაღ! კარგად გიმუშავია. კარგი მოსწავლე გამოდექი.

ნათიას ესიამოვნა შექება, მაგრამ მაინც თავმდაბლურად უპასუხა: –თევზი არ ეგება ანკესზე და...

მერე ტახტზე ჩამოსხდნენ. ცოტა ხანს ისაუბრეს სხვადასხვა, უმნიშვნელო საკითხებზე, თან ანკესებზე თვალყურს არ წყვეტდნენ, შემდეგ ნოდარი წამოდგა და ნათიას უთხრა: –მე ეხლა კუნძი უნდა ავიღო და ანკესების შუაში ჩავჯდე. ეხლა თევზი მოემატება და აქედან თვალყურის დევნება ძნელია. შენ რას იზამ? აქ დარჩები თუ წამოხვალ?

–წამოვალ. აქ მარტო რა გავაკეთო.

–თუ გინდა დაიძინე. მე ალბათ დილამდე ვერ მოვიცლი და შეგიძლია, გათენებამდე მშვიდად დაიძინო.

–არა, წამოვალ, ჯერ არ მეძინება.

–მაშინ გრძელი კუნძი წაიღოთ, რომ ორივე დავსხდეთ.

ნოდარმა კუნძი აიღო და ისევ ნათიას მიუბრუნდა:

–საჭმელები წამოიღე, იქ ეჭამოთ. არ მოგშივდა?

ნათიამ აიღო პარკები, წყალი და უკან გაჰყვა ნოდარს. ნოდარმა კუნძი დააგდო, გაასწორა და ზედ დასხდნენ, მერე პარკებიდან საჭმელი ამოალაგეს, გაშალეს და დაიწყეს ჭამა.

კუნძი ცოტა მოკლე იყო. თავისუფლად ვერ ეტეოდნენ. დროდადრო ერთიმეორეს ეხებოდნენ და ერთიმეორის სითბოს გრძნობდნენ. ამის გამო ნათია თავს უხერხულად გრძნობდა. რამდენჯერმე წამოდგომაც კი დააპირა, მაგრამ იფიქრა ნოდარს ეწყინებაო და გადაიფიქრა. ამასობაში ჩამოღამდა კიდეც. ზემოდან ლამაზი ვარსკვლავიანი ცა დაჰყურებდათ. ჭამის შემდეგ კიდევ დიდხანს ისხდნენ. ეუვანი, რომ დარეკავდა, გაიქცეოდნენ, თევზს ამოიყვანდნენ და კვლავ ერთად

სხდებოდნენ კუნძზე. ნათიას უკვე აღარ ეუხრხულებოდა ნოდართან შეხება. ისხდნენ ასე გვრიტებივით და ათასგვარ სალაპარაკო თემას იხსენებდნენ. ზიგჯერ სასაცილო ამბავსაც ჰყვებოდნენ. ასეთ დროს ნოდარი ხმამაღლა იცინოდა, ნათია კი, მხოლოდ იღიმებოდა. როგორც იქნა მისი სახელიც გაიგო ნათიამ, ნოდარი ვარსკვლავებს უჩვენებდა და უხსნიდა, ნათიაც ინტერესით უსმენდა.

დაღამებიდან რამდენიმე საათი გაეიდა. ნათიას უკვე ეძინებოდა. ნოდარს ეს არ გამოპარვია.

—გეტყობა, რომ უკვე გეძინება. წადი დაიძინე.

—არა, არ მეძინება. —წასვლა არ უნდოდა ნათიას.

—წადი, ეხლა დაიძინე და დილით, რომ გაიღვიძებ მერე მომეხმარე. თუ გინდა მიგაცილებ იქამდე, სიბნელის ხომ არ გეშინია?

—არა, არ მეშინია. კარგი, წავალ. —თქვა ნათიამ და წამოდგა.

—თუ რამემ შეგაშინოს დამიძახე და მანდ გავჩნდები. —მიაძახა მიმავალ ნათიას ნოდარმა.

იმ ღამეს, თვალი არ მოუხუჭავს ნოდარს. მთელი ღამე ცდილობდა ყურადღებით ყოფილიყო, ეკვანის რეკვა არ გამორჩენოდა და სწრაფად ამოეღო თევზი, რომ რაც შეიძლება მეტი დაეჭირა. შუაღამე გადასული იყო, რომ ერთი აკნესი ისე შეირხა და დაიჭიმა, თითქოს მოგლეჯვას უპირებდა. —„დიდი თევზი“! —გაიფიქრა ნოდარმა და შეიძლება ითქვას სიხარულისგან წამოფრინდა. მიირბინა ანკესთან და გამოწევა დაიწყო. თევზი მართლა დიდი ჩანდა და არ ეპუებოდა. ნოდარი კი ცდილობდა ფრთხილად გამოეყვანა და არ გაშვებოდა. როგორც იქნა გამოიყვანა თევზი ნაპირზე, ფარნით დაანათა და ჩაილაპარაკა: —ლოქოა. მერე ფიქრში გააგრძელა: —კარგია, 4—5 კილო იქნება. კმაყოფილმა წაიყვანა და ბადეში ჩასვა.

დილით, მზის ამოსვლამდე გაიღვიძა ნათიამ. წამოდგა, ცოტა ხანს ასე დაყოვნდა, შემდეგ ადგა ფეხზე და ნოდარისკენ წავიდა.

მთელი ღამე გაათენა, როგორ წვალობს, ალბათ ამასაც ძალიან უჭირს, თორემ ასე ხომ არ იწვალებდა. — გაიფიქრა ნათიამ.

—გაიღვიძე? როგორ გეძინა?

—კარგად.

—ხომ არ შეგციოდა?

—არა. ღამე არ შემციენია, მაგრამ ეხლა ცივა.

დილით ყოველთვის ცივა. მდინარის ხეობაში ასე იცის. — უთხრა ნოდარმა და თავისი ქურთუკი მოახურა მხრებზე.

ნოდარმა თავისი სიხარული გაუზიარა და დაჭერილი ლოქო აჩვენა. ნათიასაც გაუხარდა, უი, რამხელა დაგიჭერია. რა კარგიაო.

ნოდარმა თავისი საქმე გააგრძელა, ნათია კი კუნძზე ჩამოჯდა.

დილა კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ ჯერ შუადღეც არ იყო დამდგარი, რომ ნათიამ ხიდის მხრიდან მათკენ მომავალი კაცი შენიშნა.

—ეიღაც მოდის, —უთხრა ანკესთან მოფუსფუსე ნოდარს.

ნოდარმაც გაიხედა, რომ მოახლოვდა იცნეს, ეს ის კაცი იყო, წინა დღეს რომ თევზი წაიღო.

—ნეტა ეხლა რაღა უნდა. თევზი არ მოეწონა თუ... —თქვა ნოდარმა.
—გამარჯობათ! თქვა მოსელისას კაცმა. კაცო, ეს რა გემრიელი თევზი იყო. ძალიან მომეწონა. ეხლა სახლში მივდივარ, თბილისში ვცხოვრობ და რომ გამოვიარე აქეთ, გადავწყვიტე ცოტა სახლისთვისაც ვიყიდო. გაქვთ კიდე დაჭერილი? ერთი სამ კილოს წავიღებ.
ნოდარმა სალამს სალმითვე უპასუხა, მოუსმინა და უთხრა: თევზი კი გვაქვს მაგრამ სასწორი აბა მოიტანე?
—სამ კილოს რა სასწორი უნდა კაცო, თვალზომით ვერ ავიღებთ?
—კარგი, აბა წავიდეთ —თქვა ნოდარმა და ორივე ბადისკენ წავიდა.
—აჰაა, პარკი გამომართვი. —თქვა კაცმა.
ნოდარმა პარკი გამოართვა, ბადე ამოსწია და თევზის გადმოსხმა დაიწყო. მოსული კაცი კი ფულს ამზადებდა. ნოდარმა რომ იყარაუდა, სამი კილო იქნებაო, ცოტა კიდევ დაამატა და გაუწოდა.
—აჰაა, სამ კილოზე ნაკლები არ იქნება.
ამ დროს ლოქომ მეორე ბადეში კუდი შემოჰკრა და წყალი ააჭყაპუნა.
—უჰ, ეს რა იყო კაცო, თევზი ამოხტა?
—არა, ლოქო მყავს დაჭერილი, ბადეშია და ის შეფართხალდა.
—ლოქო? ცოცხალია? კი არ მინახავს ცოცხალი, აბა ერთი მაჩვენე როგორია როგორია, შეიძლება? —თქვა მოსულმა და თან 24 ლარი გაუწოდა. ნოდარმა გამოართვა ფული, ჯიბეში ჩაიდო და მეორე ბადე ამოსწია. ბადე მიწაზე დადო. თევზი ფართხალით იქნეოდა კუდს.
—რა ლამაზი ყოფილა ცოცხალი, რა საინტერესოდ იქნევს კუდს, —თქვა მოსულმა. ცოტა ხანს ტკბებოდა მისი ცქერით და მერე უთხრა ნოდარს. იქნებ ესეც მომყიდო, 20 ლარს მოგცემ, ფულიც მეტი აღარ მრჩება. ჰა, რას იტყვი? ბავშვებს გავახარებ.
ნოდარი ჯერ ცოტა შეყოყმანდა და მერე დაეთანხმა.
—კარგი, წაიღე.
გამოართვა 20 ლარიც, ერთიმეორეს გამოემშვიდობნენ და წავიდა მოსული კაცი.
ნათია ამ დროში საფარში წასულიყო. ნოდარიც მისკენ წავიდა.
—სულ შენი ბრალია. უთხრა მისელისთანავე ნათიას. ნათია შეცბა, მხრები აიჩეჩა. —რა დავაშავე?
—შენ მოიტანე ასეთი კარგი ფეხი, ორ დღეში 144 ლარი ავიღეთ... ეს ხომ ძალიან კარგი შედეგია, თანაც აქვე, მდინარის პირას, —ღიმილით თქვა ნოდარმა და ტახტზე ჩამოჯდა. ეხლა ახლიდან შევაგროვოთ და 20 კილომდე რომ შეგროვდება, წავიდეთ სახლში.
ნათიას, „წავიდეთ სახლში“ თქმაზე, მწარედ გაჰკრა გულში. —შენ კი წახვალ სახლში, მაგრამ მე სად წავალ, ვინ იცის, გაიფიქრა ნათიამ, მაგრამ გარეგნულად არ შეიმჩნია და ჰკითხა: —ეს რამდენ ხანში იქნება?
—აბა რა ვიცი? ხან დღე-ღამეში 2 კილოსაც ვერ ვიჭერთ, ზოგჯერ კი ათ კილოზე მეტიც დაგვიჭერია. ამ წონაში, დიდი თევზი არ შედის. ის ცალკე იანგარიშება.
—რატომ, რა განსხვავება აქვს?.

–სხვადსხვა ფასი აქვს. დიდ თევზებს იაფად იბარებენ და არ ვაბარებთ, სახლში ვიტოვებთ.
–კიდევ რომ მოვიდნენ და იყიდონ?
–ასეთი რამ იშვიათად ხდება.
–შენ ხშირად ხარ აქ?
–არა, იშვიათად მოვდივარ.
საუბარი ეკვნების ჟღარუნმა შეაწყვეტინათ და ორივე გაიქცა. ამოიყვანეს თევზი და შემდეგ სხვა საეჭვო ანკესიც გასინჯეს. ნოდარი რომ ჭიას უკეთებდა ანკესს, ნათიამ კვლავ ხიდის მხრიდან მათკენ მომავალი კაცი შენიშნა, რომელსაც ხელში ვედრო თუ რაღაც, სხვა რამ ეჭირა და ნოდარს უთხრა: –კიდე ვიღაც მოდის თევზისთვის.
ნოდარმა გაუკეთა ჭია ანკესს, გადააგდო წყალში და გაიხედა ხიდისკენ. –ეს ვაჟაა, აქვე ზემოთ თევზაობს. ერთად მოვედით. თქვა ნოდარმა და მცირე ხნის შემდეგ გააგრძელა. –გუშინ უნდა ავსულიყავი, ასე მოვილაპარაკეთ და რომ ვერ ავედი, აუღია ღვინო და ახლა აქ მოდის.
–გამარჯობათ, –თქვა მოსელისას დაბნეულად ვაჟამ და ნათიას დანახვაზე გაოცებისგან კინაღამ ყბა დააღო. თავდაპირველად, დაბნეული ამ მოულოდნელობისაგან ხმას ვერ იღებდა, მაგრამ მალევე ალაპარაკდა.
–ბიჭო, მე იქ გელოდებოდი, მშიერი ვიჯექი და... რატომ არ ამოხვედი... თუმცა აბა, სტუმარი გყოლია და....
–მერე რა მოხდა, ახლა დავლიოთ, –უთხრა ნოდარმა და ნათიას მიუბრუნდა: –წადი ნათი, დანა წამოიღე!
ნათია უსიტყვოდ გაბრუნდა დანის მოსატანად. ნოდარი და ვაჟა კი საპირისპირო მხარეს წავიდნენ, ბადიდან თევზების ამოსაღებად.
–ბიჭო ვინ არის ეს გოგო? ბოზს არ გავს და? –ჰკითხა ვაჟამ.
–არა, რას ამბობ, მეორედ აღარა თქვა, –უპასუხა ნოდარმა.
–აბა ვინ არი საიდან მოიყვანე?
–ეს ჩემი საიდუმლოა.
–იყოს საიდუმლო, მაგრამ აქ საიდან გაჩნდა, დაბარებული გყავდა თუ, რა ხდება, ვერაფერი გამიგია, – ხელები გაშალა ვაჟამ, გაოცების ნიშნად.
–ხომ გითხარი, ეს ჩემი საიდუმლოა და ამაზე აღარ ვილაპარაკოთ. როცა დრო მოვა, ყველაფერს გაიგებ.
–ხო, კარგი, გაჩუმდები, ხმას აღარ ამოვიღებ, –თქვა ვაჟამ და თავისთვის გააგრძელა ფიქრი: ნეტა ვინ არი, საიდან მოიყვანა... ბოლოს დაადგინა, რომ შეყვარებულია და აქ ფარულად შეხვდნენ. აბა, სხვა რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები "მერე ყველაფერს გაიგებო"
ამ დადგენილებით კმაყოფილი დარჩა ვაჟა და ნოდარის მიხმარებას შეეცადა თევზების გადმოწყობაში
–ბევრი არ გინდა, რათ გინდა ერთი კილოიანი თევზი მეც მოვიტანე, მომკვდარიყო და ხომ არ შევინახავდი, გაფუჭდება. –თქვა ვაჟამ და რომ დაინახა, მისაშველებელი არაფერი იყო, მერე დაუმატა: მოდი, მე წავალ, ცეცხლს ავანთებ.

–კარგს იზამ, –უპასუხა ნოდარმა. –აგე იქ, საფართან, ნაცეცხლური რომ არის, იქ დაანთე.

მალე "სუფრაც" გაიშალა და მაგიდას მიუსხდნენ.

ნათია ცოტა მოშორებით დაჯდა, ტახტის ბოლოში.

–მოდი, ნათი, ჩვენთან დაჯექი. –უთხრა ნოდარმა თბილად, თითქოს იმის მიმანიშნებლად რომ ეს გოგო მისთვის უცხო არ არის.

–არა, არ მშია, –იუარა მორცხვობით ნათიამ.

–მოდი, მოდი ნუ გეხათრება, ეაჟა უცხო არ არის, ჩემი მეგობარია. მომავალში შენც ხომ კარგად გაიცნობ, –უთხრა ნოდარმა და ნათიაც წამოვიდა და მის გვერდით დაჯდა. ეაჟამ კი თავის ფიქრებში განიმტკიცა ის აზრი, რომ ისინი შეყვარებულები იყვნენ. –ესეიგი ცოლად მოყვანას აპირებს, თორემ მომავალში უფრო კარგად როგორ გავიცნობ? პლასტმასის ჭიქას ხელი წამოაელო და უთხრა ნოდარს: –თქვი რამე.

ნოდარმაც ჭიქა აიღო და უთხრა. –შენ თქვი. ღვინო შენია და თამადაც შენ უნდა იყო.

–მაგას რა მნიშვნელობა აქვს. თქვა ეაჟამ და თან ჭიქა ოდნავ უფრო მაღლა ასწია. –ერთს მე ვიტყვი მაშინ და მერე შენ გააგრძელე. მოდი ვისაც ამ ადგილებში გაუვლია, გამოუვლია, უთევზავნია, ჭიქა აუწევია და დღეს აღარ არიან, იმათი ხსოვნა იყოს.

ნოდარმაც თავი დაუქნია, ხსოვნა იყოსო, თქვა და დალია.

სვამდნენ ღვინოს ნოდარი და ეაჟა.. ბევრი ტრადიციული, მრავალჯერ ნათქვამი სადღეგრძელო შესვეს, ბევრ სხვა საკითხებსაც შეეხნენ საუბარში, მათ შორის პოლიტიკასაც და ნელნნელა, ღვინის ძალამ მათში გამოვლინება დაიწყო. უფრო მოიალხინეს, ერთი–მეორეს სიყვარულს და მეგობრობას ეფიცებოდნენ, ლაპარაკიც უფრო ზოგადი და არაფრის მომცემი სიტყვებით აივსო. ერთი–მეორეს საუბარს არ ამთავრებინებდნენ. ნათიაც თითქმის სულ დაავიწყდათ. მხოლოდ ერთხელ, დიდი ხვეწნით ერთი ჭიქა ღვინო დაალევინეს და სულ ეს იყო. ნათიამ კი ცოტაოდენი შეჭამა, ღვინო, რომ დაალევინეს კიდევ ცოტა ხანს იჯდა, მერე იფიქრა აქ ზედმეტი ვარო და ანკესებთან წავიდა, იქ მაინც რამეს გავაკეთებო.

ნოდარმა და ეაჟამ რამდენიმე სადღეგრძელო კიდევ დალიეს. მერე ეაჟა წამოდგა:

–ეხლა მე წავალ ძმაო, იქაც ხომ მიხედვა უნდა.

–შენ რა ქენი, რამდენი დაიჭირე. მე თევზი აღარა მაქვს. –უთხრა ნოდარმა.

–მაშ რა უყავი? ბადეში, რომ ვერ დავინახე, ვიფიქრე ალბათ სხვაგან შეინახა-მეთქი.

–გავყიდე. ერთი კარგი კლიენტი მოვიდა და 144 ლარი გადამიხადა. 16 კილო თევზი წაიღო და ერთიც, ხუთ კილომდე ლოქო.

–კარგია. ბედი გაქვს ძმაო, რომ გეუბნები არა გჯერა. მე ოც კილომდე დავიჭირე, 10-15 კილოს კიდევ დავიჭერ და დავურეკავ გივის, რომ ჩამოვიდეს. –თქვა ეაჟამ და თან ბიდონს წამოაელი ხელი: –აბა რა დავლიეთ. წასელამდე შეიძლება ვერც კი დავცალოთ.

—ხვალაც დაელევთ და ცოტაღა დარჩება. —თქვა ნოდარმა.

—რა ვიცი, ძმაო, ჩემთან არ მოდიხარ და...

—ხვალ ამოვალთ აუცილებლად. მხოლოდ საღამოს ამოვალთ. დღისით რა ვიცი, არაფერი მომპარონ.

—ჰო, კარგი აბა მაშინ კარგად იყავი, მე წავედი. —თქვა ვაჟამ და ხიდისკენ გაბრუნდა.

ნოდარი კი ნათიასკენ წავიდა.

ნათია ანკესების წინ იჯდა. ერთი, რომელიღაც ხის ტოტი მოეტეხა და თავზე იჩრდილავდა.

—ამ სიცხეში, რომ დამჯდარხარ არ გცხელა? —უთხრა მისვლისას ნოდარმა.

—აბა, რა ექნა. შორიდან ვერ დავინახავ კარგად.

—რა ბეჯითი მოსწავლე გამოდექი. მომეცი ხელი წავიდეთ. —უთხრა და თან ხელი გაუწოდა წამოდგომაში მისახმარებლად.

ნათიამაც ჩაჰკიდა ხელი, წამოდგა და გაჰყვა ნოდარს. ნოდარს ხელი არ გაუშვია. ასე ხელიხელ ჩაკიდებულები მივიდნენ ტახტამდე და ზედ ჩამოსხდნენ.

—ნათია შენ კარგი გოგო ხარ. მე მჯერა შენი და მართლა მოგეხმარები. სამი დღე დამაცადე, ცოტა მოვაგროვო თეეზი, ცარიელი ხომ არ წავალ და მერე წავიდეთ. —ნოდარმა ხელი გადახვია და ისე გააგრძელა საუბარი. —ბინას, ხომ გითხარი, გიშოვი. ისინი, მე ვიზეც ვთქვი, თბილისში გადადიან საცხოვრებლად.

—თუ აღარ ჩამოვლენ, აბა სახლი რად უნდათ? რატომ არ გაყიდიან? — ჰკითხა ნათიამ.

—ჩამოვლენ, როგორ არა, მაგრამ იშვიათად ჩამოვლენ. დედაშვილი არიან, ქალები. თეეში ერთხელ ორი დღით, რომ ჩამოვიდნენ შენ რას გიშლიან? ისინი ვაჭრობენ. ჯერ აქ ვაჭრობდნენ. ფული იშოვეს, თბილისში ბინა იყიდეს და ეხლა იქ გადავიდნენ. ეს ფული, აქ რომ ვიშოვეთ ორივესია. ეს ღმერთმა გვაჩუქა და შუაზე გავიყოთ. 72 ლარს შენ მოგცემ, 72-ს კი მე დავიტოვებ. შენც ხომ გინდა ფული? ტანსაცმელიც უნდა იყიდო და ჭამაც გინდა. თუ საჭირო იქნება, კიდევ მოგცემ. მერე რამე სამუშაოს გამოგინახავ და შენი საკუთარი გექნება. მე რამდენიც უნდა წამელო თეეზი, იმდენს მაინც წავიღებ და რაც უნდა ამელო ფული, იმდენს მაინც ავიღებ. ნუ გეშინია. აქამდე რაც იყო დაივიწყე. ეხლა, ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. მე ყველაფერში მოგეხმარები, არ შეგეშინდეს... ნოდარი და ნათია ტახტზე დასხდნენ. ნოდარმა გადაიწია ნათიასკენ და ლოყაზე აკოცა, ისე რომ არც შეუნიშნავს მისი ცრემლიანი თვალები.

ნათია თავჩაღუნული უსმენდა ნოდარს, დაიჯერა მისი გულწრფელი დაპირება და ცრემლები მოადგა თვალებზე.

—ხომ გჯერა ჩემი? — ჰკითხა ნოდარმა.

ნათიამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ თავი შეაბრუნა მეორე მხარეს და ცრემლები შეიმშრალა ფრთხილად, რომ ნოდარს არ დაენახა.

ნოდარი კიდევ ცოტა ხანს ესაუბრა ნათიას, შემდეგ შებრუნდა მისკენ, სახეზე ხელით მოეფერა და ისევ აკოცა. ნათიას არც ამჯერად

უთქვამს რამე, მოფერება კი ცოტა ესიამოვნა კიდეც. ნოდარმა თითქოს ნებართვა მიიღო და გათამამდაო, ორივე ხელი მოჰკიდა მხრებზე და ტახტზე გადააწვინა.

ნათია მიუხვდა ნოდარს საწადელს, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ ეს თქვა „სირცხვილია, ვინემემ არ გამოიაროსო." ნოდარმა კი თავისი საქმე გააგრძელა. მართალია ნათიას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა არც სიხარულით შეხვედრია, მის ამ განზრახვას. წინააღმდეგობის გაუწევლობა იქიდან არ მომდინარეობდა, რომ უმწეობის გამო ვერ შეძლებდა, არამედ იქიდან, რომ თავის სხეულს აღიქვამდა, როგორც მისთვის დამსახურებულ „ჯილდოდ" მიღებულს. რაკი ნოდარმა სიკვდილს გადაარჩინა. იგი თავს ვალდებულად გრძნობდა ნოდარის წინაშე და თვლიდა, რომ მას ყველაფრის უფლება ჰქონდა. თუმცა, რა თქმა უნდა, მიზეზი მარტო ეს არ იყო. მას უკვე თავის მომავალზე რწმენა და იმედი ჰქონდა დაკარგული და ფსიქოლოგიურად ნოდარზე დამოკიდებულად შეიგრძნობდა თავს, რადგან უკანასკნელი იმედის რაღაც ნარჩენს, მასში, მის მიერ შეპირებულ დახმარებაში ხედავდა. ამ სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ ნოდარს ჩაეძინა. ნათია წამოდგა და ანკესებთან მივიდა. რამოდენიმე საათის შემდეგ ნოდარს გაეღვიძა, წამოდგა და ნათიას მოუახლოვდა.

ნათია კვლავ იმ კუნძზე იჯდა და ხელში, მოტეხილი ხის ტოტი ეჭირა, რითაც ცდილობდა თავი დაეჩრდილა. ნოდარს გაახსენდა თავისი ძილის წინ ნამოქმედარი, ისიც გაახსენდა, რომ მის საქციელს ნათიასთვის სიხარული არ მოუტანია და მოეჩვენა, რომ ეხლა უფრო დანაღელიანებული იჯდა. შერცხვა ნოდარს თავისი საქციელის, თუმცა ბოდიშის მოხდა არც უფიქრია. მხოლოდ გაიფიქრა "რატომ ვაყენებ ამ გოგოს დამატებით ტრავმას, განა არ ჰყოფნის რაც უკვე მიღებული აქვს" და გადაწყვიტა ამის შემდეგ რაც არ უნდა მომხდარიყო, აღარ გაჰკარებოდა.

– კიდევ გაწყენინე არა? მაპატიე არ ვიცი როგორ მომივიდა, ძალიან ენანობ. ალბათ ღვინომ გამხადა თავშეუკავებელი. გპირდები, ნამდვილად აღარ მოგეკარები. – ისე გულწრფელად თქვა ნოდარმა რომ ნათიას თითქოს შეებრალა კიდეც, გაუღიმა და უთხრა:

– ამის გამო ნუ ინერვიულებ. საწყენად რომ მიმეღო, გეტყოდი და ალბათ გამიგებდი. ჩვენ ხომ ისეთი უცხოები აღარ ვართ. ამ სიტყვებზე ნოდარს ცოტა გულზე მოეშვა, თუმცა ჩათვალა, რომ ნათიამ მის საამებლად იცრუა.

–ამ სიცხეში, შუა მზეში, რომ ჯდები ეგ ტოტი გიშველის გოგო? –უთხრა ნოდარმა. – აბა რა ექნა, ღმერთი ხომ არ ვარ ღრუბლები შევყარო.

–ღმერთი, რომ არ ხარ, ამიტომ რისი შესაძლებლობაც გაქვს, ის უნდა გამოიყენო და სადაც ჩრდილია, იქ დაჯდე. ამისთანა სიცხეში ხომ შეიძლება რაიმე დაგემართოს.

–იქიდან ვერ ვადევნებ თვალყურს.

–ისეთი თევზი რად მინდა, შენ თუ ცუდად გახდები? ერთ რამეში კი მართალი ხარ, აქედან უკეთესია მეთვალყურეობა. ცულს ავიღებ და

აქ მოვაწყობ საჩრდილობელს, ან აქამდის როგორ ვერ მოვიფიქრე. ჩემთვისაც ხომ უკეთესი იქნებოდა. ამ კუნძს მერე გადავწევთ, საითაც ჩრდილი გადაიხრება. ეხლა კი წადი და ხის ჩრდილში დაისვენე.

ნოდარმა სახელდახელოდ მოაწყო ოთხ ჯოხზე გადაფარებული საჩრდილობელი და ორივე ჩრდილის ქვეშ დაჯდა. მთელი დღე ცდილობდა ნოდარი ისე მოქცეოდა ნათიას, რომ ესიამოვნებინა და „წყენინება“ გამოესყიდა. ამიტომ ხშირად ეალერსებოდა და ნათიასაც, მართლა სიამოვნებდა ალერსი. საღამოს კი, ნათიამ დაიძინა და ნოდრმა კელავ მარტომ განაგრძო მთელი ღამით მუშაობა.

გათენებამდე ცოტა ხნით ადრე, მოულოდნელად ქოხის მხრიდან ფეხის ხმა მოესმა ნოდარს. ძიიხედა იმ მხარეს და მისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ადამიანის ლანდი შენიშნა. წამიერი დაკვირვებითაც ადვილი გასარკვევი იყო, რომ ეს ნათია იყო.

–ნოდარ! –დაიძახა წამით შეჩერებულმა ნათიამ.

–აქ ვარ! –გააგონა ნოდარმა, კუნძიდან წამოდგა, და მისკენ წავიდა.

ნათიაც მისკენ წავიდა და მისგან ორიოდე ნაბიჯზე გაჩერდა.

–ასე ადრე რატომ ადექი? მოგეცადა გათენებამდე. –უთხრა ნოდარმა.

–გამეღვიძა, აღარ მეძინებოდა და მარტოს შემეშინდა სიბნელეში. მალე გათენდება? –თქვა ნათიამ და უფრო ახლოს მივიდა.

–კი, მალე გათენდება. აგერ აღმოსავლეთით თუ დააკვირდები, კავკასიის ქედის გასწვრივ, უკვე ნათება იწყება.

ნათიამ გაიხედა ქედის გასწვრივ, მაგრამ გათენების მიმანიშნებელი ვერაფერი შენიშნა და თქვა:

–ვერაფერს ვამჩნევ.

ნოდარმა გაიცინა და ხელი მოხვია ნათიას. ნათიაც თითქოს ამას ნატრობდა. ხალისით დაჰყვა ნოდარის მკლავს და მიეხუტა. ორიოდე წამს ასე ჰყავდა ჩახუტებული ნოდარს, მერე კი შებრუნდა კუნძისკენ.

–მოდი აქ დავსხდეთ. –უთხრა ნათიას და ორივენი კუნძზე დასხდნენ.

–არ გცივა? კარგი იქნებოდა რამე წამოგელო. გამთენიისას აცივდება ხოლმე.

–არ მცივა, თანაც ისე უცებ წამოვედი, არც გამხსენებია. რომ ვიწექი, ჩემს ქვემოთ რაღაც ფხაკუნობდა და შემეშინდა. –თქვა ნათიამ. ნოდარმა ისევ ხელი მოხვია, ოდნავ თავისკენ ძიიზიდა და უთხრა:

–თუ ასეთი მშიშარა ხარ, ოთხი დღე როგორ გაათიე ღამე მარტომ, ამ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში?

ნათია დაჰყვა ნოდარის მკლავს და მსუბუქად მიეყრდნო მას.

–არ ვიცი, იქ არ მეშინოდა, მაშინ სხვა აზრები მიტრიალებდა თავში და ასეთ საშიშროებაზე არც მიფიქრია. –თქვა ნათიამ.

–ეხლა აღარ გიტრიალებს ის აზრები? –ჰკითხა ნოდარმა და ამ აზრებში თვითმკვლელობაზე ფიქრები იგულისხმა.

–ეხლა? არ ვიცი... ეხლა მგონი ჭკუაზე ვერ ვარ. ისე ვგრძნობ თავს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს ... ალბათ დავიღალე იმ ფიქრებით და ცოტას ისვენებს ტვინი, და ნერვები. – თქვა ნათიამ, თავისთვის კი იფიქრა: ილუზიაში ვარ, ტკბილი სიზმარივით... თავი ‘პატრონთან“

მგონია და ერთი-ორი დღის შემდეგ, რომ გამეღვიძება და გაქრება ეს სიზმარი, არ ვიცი რა იქნებაო.

–თუ ეგ ჭკუანაკლულობაა, მაშინ სჯობს ჭკუანაკლულად იყო, თორემ მძიმე ფიქრები კარგს არაფერს მოგიტანს.

–ის რა ვარსკვლავია? ნახე რა ლამაზად ბრჭყვიალებს!... სულ სხვადასხვა ფერებში გადადის.... ეს რა საოცრებაა, ასეთი რამ არასოდეს მინახავს.

–ეგ სირიუსია. მართლაც ლამაზ ფერებში ბრჭყვინავს, მაგრამ არაფერი საოცრება არ არის. ყველა დიდი ვარსკვლავი ამოსვლის შემდეგ და ჩასვლის წინ სხვადასხვა ფერებში ბრჭყვინავს. სირიუსი კი ერთ-ერთი ყველაზე დიდია.

–რატომ ყველაზე დიდი? აი, ის, უფრო დიდია და უფრო ძლიერ ანათებს, მაგრამ ფერებს არ იცვლის, ერთ ფერშია.

–ეგ ვარსკვლავი არ არის, თუმცა კი, ცისკრის ვარსკვლავს ეძახიან. ეგ პლანეტაა, –ვენერა...

–პლანეტა? მერე რა განსხვავებაა, ისიც ხომ ანათებს? თანაც ასე ძლიერად.

–კი, ანათებს, მაგრამ ის პლანეტაა, ჩვენს მზის სისტემაშია, აქვე ახლოს არის ჩვენთან, დედამიწის გვერდით. ის თვითონ არ ანათებს. მზის სხივებს ირეკლავს, ვარსკვლავი კი თვითონ ანათებს,...ის ძალიან შორს არის და ამიტომ, სუსტად ანათებს. ფერებს კი, ჩვენი დედამიწის ატმოსფერო უცვლის. სკოლაში არ ისწავლეთ?

–რა ლამაზი ცა არის. რა ბევრი ვარსკვლავია. ასე მგონია, ამ ღამეს უფრო მეტია, ვიდრე სხვა დროს.

–შენ რა, პირველად ხედავ ვარსკვლავიან ცას? როცა მთვარე არ ანათებს და ცაც კარგად არის მოწმენდილი, ყოველთვის ასეთი ბევრი ჩანს.

–ერთხელ, მამა ცოცხალი რომ იყო, მასწავლიდა, რომელს რა ჰქვია, მაგრამ აღარაფერი მახსოვს. შენ რომ მასწავლე ცოტა დამამახსოვრდა, მაგრამ ვერ მიპოვია. საინტერესოა... გეოგრაფიაში, დედამიწაზე ისეთი კუნძულები ვიცით, არასდროს რომ არ გვინახავს და ვერც ენახავთ. ცა კი, ყოველ ღამე თავზე დაგვყურებს და არცერთი ვარსკვლავის სახელი არ იცის ბევრმა. შენ ალბათ, ბევრი იცი, სკოლაში თუ გასწავლეს.

–არა, სკოლიდან არაფერი მახსოვს. მარტო დათვის თანავარსკვლავედები ვიცოდი. ეხლა დავიწყე შესწავლა, სულ რამოდენიმე თვეა, თუ გინდა კიდევ გასწავლი რაც ვიცი...

–აი, იმ, ვარსკვლავებს, ლამაზად რომ სჩანს, სირიუსის მაღლა, რა სახელები ჰქვია? – ჰკითხა ნათიამ და გაშლილი ხელით მიანიშნა.

–ეს ორიონის თანავარსკვლავედია. ეგ ყველა ვარსკვლავი ერთ თანავარსკვლავედს ეკუთვნის. გუშინ საღამო იყო, ეგ სარტყელი ჯერ ამოსული არ იყო და არ ჩანდა.

–დათვის თანავარსკვლავედი რიმელია? ვეღარ მოპოვია.

–აი დათვის თანავარსკვლავედი. –თქვა ნოდარმა და ჩრდილოეთის მხარეს მიუთითა. –ეს არის პატარა დათვის თანავარსკვლავედი. მისი კუდის ბოლო, პოლუსის ვარსკვლავი, აი ის არის ის, როგორც გითხარი,

მუდმივად ერთ ადგილზეა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მთლიანი დათვი კი ამ კუდის ბოლოს ირგვლივ ბრუნაეს,თითქოს ლურსმნით დააჭედეს. იმიტომ რომ ჩრდილოეთის პოლუსის თავზეა. აი, ის კი, უფრო დაბლა,– ჰორიზონტთან მიუთითა ნოდარმა. – დიდი დათვის თანავარსკვლავედია. ის მუდმივად პოლუსის ვარსკვლავის ირგვლივ, ამ მანძილით ბრუნაეს, და არასდროს ჩადის. წლის ყოველ დროს ჩანს ღამით. საღამოს რომ გვენახა, აი აქ, ჩვენს თავზე იქნებოდა. აი, ეს, თეთრი ზოლი კი, ღრუბელს რომ ჰგავს, ჩვენი გალაქტიკის სიბრტყეა. –ირმის ნახტომის. ამ სიბრტყეში უამრავი, მილიარდობით ვარსკვლავია. სიმრავლისა და სიშორის გამო, ჩვენგან მხოლოდ ასე, ნისლიანით ჩანს.

–აბა, ჰორიზოსკოპში რომ თანავარსკვლავედები სწერია, ისინი რომლებია?

–ზოდიაქოს თანავარსკვლავედები გაინტერესებს? რომელი თანავარსკვლავედი გინდა?

–აბა ლომის რომელია?

–ლომის თანავარსკვლავედია შენი დაბადების, ზოდიაქოს ნიშანი?

–არა.

–აბა რომელია?

–რა მნიშვნელობა აქვს შენთვის?

–კარგი. თუ არ გინდა, ნუ იტყვი... ლომის თანავარსკვლავედი ეხლა ამოდის, მაგრამ არ გამოჩნდება. იმიტომ, რომ მას მზე მოჰყვება და მის ნათებაში არ სჩანს. მზე ქალწულის თანავარსკვლავედში ლომის საზღვართანაა და ორივე თანავარსკვლავედი გაფერმკრთალებულია მ'ხ'ის ნათებისგან. მხოლოდ რამოდენიმე ვარსკვლავი სჩანს და მარტო ამით ძნელია გარკვევა. მის წინ კი, კიბოს თანავარსკვლავედი ამოდის. ეხლა, აი, იქ არის, ახალი ამოსული. მის ზემოთ კი ტყუპის, ანუ მარჩბიეის თანავარსკვლავედია, რომელიც აი, იქ, იმ ნისლეულშია, რომ გითხარი, ჩვენი გალაქტიკის სიბრტყეში.

–ეს ორი ვარსკვლავი რომ სჩანს მკაფიოდ?

–ხო, ეს ორიც და აი აქეთ, რომ ორია კიდე, ცოტა მოშორებული.

–კიბოში ვერაფერი გავარკვიე, აქ კი კარგად ჩანს... ესეიგი, ორიონის გვერდითაა?

–ჰო.

–რა უცნაური ფორმა აქვს... კუბოს მაგონებს...

–რატომ მაინცდამაინც კუბო, სხვა ვერაფერი მოიფიქრე?

–რა ვქნა, ასეთი ფორმა აქვს და ... აი ნახე, ის ორი წერტილი და ის ორი, ოთხიენ წერტილი შეაერთე.... ზუსტად კუბოს ფორმა აქვს, თანაც საითაც მიდის, უფრო განიერია.... ალბათ სხვები, ასე არ ხედავენ. რა ვქნა, მე ასე დავინახე... ალბათ იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის სიკვდილი ვნახე და ჩემში, შინაგანად დაღი დამიტოვა.

–რატომ მაინცდამაინც სიკვდილი უნდა იფიქრო? ის ხომ ზეციურია, ზეციურად კი კუბოს გახსნა, აღდგომა, გამოსელა უფრო ხდება, ვიდრე სიკვდილი.

–ხო, ალბათ ასეა... ალბათ ყველა თავისებურად აღიქვამს, იმისდა მიხედვით, ვის რა სული და გონიერება აქვს, ვის რა გადაუტანია.

ყველაზე ლამაზი ორიონია –გააგრძელა ნათიამ. –ნახე, შუაში რომ არის, გასაღებს ჰგავს.

–კი, ჰგავს. უპასუხა ნოდარმა.

–ის ოთხი ვარსკვლავი, უფრო მკვეთრად რომ ანათებს მის ირგვლივ, ხომ ორიონს ეკუთვნის?

–ჰო. მაგ ვარსკვლავებიანად არის ორიონი.

–ჰოდა, ეგ ოთხი ტყუპის თანავარსკვლავედს ჰგავს, ნახე... ის გასაღები რომ ამოიღო ტყუპებს მართლა ჰგავს მხოლოდ ცოტა დამოკლებულია.

თანდისთან საუბრის თემა შეიცვალა და ვარსკვლავებიც ნელ–ნელა ქრებოდნენ. კავკასიონის მწვერვალები, უკვე ალისფრად შეფერადდა და ირგვლივ ყველაფერს შუქი მოეფინა.

ნოდარმა და ნათიამ ეს დღე სხვა დღეებზე უკეთ გაატარეს. ნათიას ამ დღეს მართლა აღარ ეტყობოდა, რომ მძიმე დღეები გადაიტანა. თვალებში ერთიმეორეს ისე შესციცინებდნენ, ვინმეს რომ დაენახა, იტყოდა, ალბათ დიდიხნის შეყვარებულები არიან, რომ ასე უყვართ ერთიმეორეო. საღამოს კი, ნათიამ ისევ დაიძინა და ნოდარმა ისევ მარტომ გააგრძელა თევზაობა.

მომდევნო დღეს ჩამოვიდა გივი, რომელსაც ტელეფონით შეატყობინა ვაჟამ წინასწარ და წავიდნენ. გივის ნათიას დანახვა არ გაჰკვირვებია, რადგან წინასწარ ვაჟამ "დაამუშავა". ნოდარი მარტო არ არის საცოლე ჰყავს აქ და მგზავრი მოგვემატაო. ნოდარი კი მათ არ გაჰყვა რადგან თევზი ცოტა ჰყავდა დაჭერილი და საკმარისად არ მიიჩნია. თუმცა შესაძლო მიზეზი ნათია ყოფილიყო, რომელთან ყოფნაც ნოდარს სიამოვნებდა. ორი დღის შემდეგ ვაჟა გივიმ კვლავ ჩამოიყვანა და ამჯერად ნოდარი ნათიასთან ერთად სახლში წავიდა.

სახლში რომ მივიდნენ, ნოდარი ჯერ თევზის ჩაბარებაზე ფიქრობდა. არ გამიფუჭდესო. ამიტომ კარი გააღო თუ არა, ნათია შეიყვანა სახლში და თვითონ თევზის გამზადებას შეუდგა. გაამზადა წასაღები თევზი, მსხვილი, რომელიც არ უნდა წაელო სამზარეულოში შეინახა, დანარჩენი კი წაიღო ჩასაბარებლად.

ჩაბარება სირთულე არ იყო. ყოველთვის იღებდნენ ბაზარში ნებისმიერი რაოდენობით, მერე კი რესტორნებში მიჰქონდათ და გაცილებით უფრო მაღალ ფასებში აბარებდნენ.

ჩააბარა ნოდარმა თევზი და იქიდან კმაყოფილი მობრუნდა. გზად იმ სახლთან გაიარა რომელზეც ნათიას შეჰპირდა და დაუძახა მეპატრონეს. სახლიდან უცხო ქალი გამოვიდა, ეზოში კი, უცხო ბავშვი დარბოდა.

–სად არის ნაზი? – ჰკითხა ნოდარმა.

–სახლში არ არიან, –უპასუხა ქალმა.

–აუცილებელი საქმე მაქვს, მინდა ვნახო და როდის მოვლენ, ხომ არ იცით?

–აბა, როგორ გითხრა. არ ვიცი როდის მოვლენ, თბილისში არიან. სახლი მე დამიტოვეს და რა ვიცი... თუ გინდა ტელეფონის ნომერს მოგცემ და დაურეკე.

–არა, მადლობთ. პირადად მინდოდა მენახა, –უთხრა ნოდარმა და გამობრუნდა.

ნოდარს ცოტა განწყობილება შეეცვალა –მართლა ბედი არა ჰქონია მაგ საცოდავს. სად წავიყვანო ეხლა, რა ვუთხრა. ქუჩაში ხომ ვერ გავაგდებ. ჩემთან დიდხანს რომ დავტოვო, ათასი ჭორი გავრცელდება. სხვა ბინას მოეძებნი, თუნდაც ქირით. მერე კი რამე გამოსავალი გამოჩნდება.

ნათიამ, ნოდარი რომ წავიდა, სახლის დასუფთავება დაიწყო. ყველაფერი რომ მოაწესრიგა, სამზარეულოში გადაინაცვლა. საჭირო კომპონენტები გამონახა და საჭმლის კეთება დაიწყო.

ნოდარი რომ შეევიდა და დასუფთავებული სახლი დაინახა გაუხარდა და ღიმილით უთხრა: –ეს რა გიქნია გოგო... შენი ხელი დაგიტყვია.

–ისე ვიჯექი, არ ვიცოდი რა მეკეთებინა და... ხომ არ გეწყინა? –დაიმორცხვა ნათიამ.

–მეწყინა კი არა, მადლობელი ვარ. ქალის ხელი მაინც სხვაა, მე ასე ვერ ვალაგებ.

–თევზი ჩააბარე? კმაყოფილი ხარ?

–ჰო, კარგად გამოვიდა. 25 კილო იყო და 150 ლარი მომცეს. მოკლედ გავფულიანდი. ასეთი კარგი, ბარაქიანი თევზაობა არასდროს მქონია.

ნოდარმა ბაზარში ნაყიდი სურსათის და პურის პარკები მაგიდაზე დააწყო და ნათიას უთხრა. –თუ იდიასახლისებდი გეთქვა მაინც, რა მომეტანა ბაზრიდან. შემდეგ ახალი ნაყიდი გაზეთი ამოიღო და ოთახში მაგიდასთან დაჯდა წასაკითხად. ნათიამ კი პარკები აიღო და დიასახლისობა განაგრძო.

ნათიამ მოამთავრა თავისი საქმე და გამოსძახა კუხნიდან. –მაგ მაგიდაზე გავშალო, თუ აქ სამზარეულოში?

–აქ ჯობია. სტუმარს სამზარეულოში ხომ არ მივიღებ?, –უპასუხა ნოდარმა.

–სტუმარს ელოდები?

–არა, კი არ ველოდები, აქ არის.

ნათია მიხვდა ვისაც გულისხმობდა და უთხრა.

–სტუმარი სუფრას რომ არ შლის?

ნათიამ სუფრა გაშალა და თვითონაც მაგიდასთან დაჯდა.

ასეთი სუფრა, წლების განმავლობაში არ გაშლილა ამ სახლში. სუფრა სიმდიდრით კი არ იყო გამორჩეული, არამედ სისრულით. ქალის თვალს უფრო უკეთ შეუძლია, ყველა საგანს თავისი ადგილი მიუჩინოს სუფრაზე, ვიდრე ეს ხდებოდა აქამდე ჩემს მიერ. – თქვა ნოდარმა მართლაც გაშლილმა სუფრამ შთაბეჭდილება მოახდინა ნოდარზე და ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს კარს პატარა ბავშვი შემოაღებდა კალთაში ჩაუჯდებოდა და ეტყოდა „მამიკო პური მშია“. ეს წამიერად მოსული ბედნიერება იყო, რომელიც შინაგანი სულიერი მოთხოვნილებიდან მოდიოდა, მაგრამ მალე მოიშორა, ეს რა სისულელეები მომდისო. სადილობას რომ მორჩნენ და ნათიამ ააბარგა ყველაფერი, აივანზე გავიდნენ და დასხდნენ.

—სახლში მარტო ცხოვრობ? ჰკითხა ნათიამ.

—ჰო, მარტო ვარ.

—სხვები სად არიან?

—ვინ სხვები, მარტო ვარ. დედა მეც აღარა მყავს შენსავით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე უფრო მოგვიანებით მომოკვდა. მამას მეორე ცოლი არ შეურთავს, მაგრამ ესპანეთში წავიდა ფულის საშოვნელად და უკან აღარ დაბრუნებულა. ხანდახან, ცოტა ფულს მიგზავნის. ზოგჯერ ეჭვი მეპარება, შეიძლება იქ შეირთო ცოლი. მყავს ძმაც. ჩემზე უფროსია ხუთი წლით. გურული ცოლი შეირთო და იქ წავიდა საცხოვრებლად. მე კი დავრჩი ასე მარტო, ჩემი ძმა ხანდახან ჩამოდის, რამდენიმე წელში ერთხელ. ზოგჯერ მე ჩავდივარ და გარკვეული ინფორმაცია გვაქვს ერთიმეორეზე. სულ ეს არის ჩემი ოჯახი. ასე, რომ რამოდენიმე წელია მარტო ვცხოვრობ.

დუმილი ჩამოვარდა. ორივე ფიქრებში წავიდა. ნეტავი დამანახვა, როგორ ცხოვრობს მამაჩემი. ფიქრობდა ნოდარი. მალე 55 წლის ხდება, აქ რომ იყოს, ალბათ აღვნიშნავდით ამ საიუბილეო თარიღს, მაგრამ.... ნეტა, მართლა ხომ არ შეირთო იქაური ქალი? თუ არა, აბა, მაშ რატომ არ ჩამოდის? დაუჯერებელია, რომ მასაც არ ვენატრებოდე. იქნებ, ფულს ვერ შოულობს წამოსასვლელად. იქნებ აღარაფერი რჩება თავისთვის, მე და ჩემს ძმას რომ გვიგზავნის? არა, ასე არ იქნება. რა ვიცი, კარგად იყოს და თუ იქ ურჩევნია, დარჩეს. მე ჩემთავს მიეხედავ, ბავშვი ხომ აღარ ვარ.

ნათიას კი, თავისი წარსული, თავისი მამა გახსენდა, როგორ მიუტანდა ხოლმე სამასხურიდან დაბრუნებული კამფეტებს, ხელში აიყვანდა, ჰაერში აისროდა, მერე მკლავზე დაისვამდა, აკოცებდა, შენ რომ არ მყავდე, რა მაცოცხლებდაო, ეტყოდა და დასვამდა ძირს. ნათია კი სიცილ-კისკისით ეხვეწებოდა, მამა, კიდევ ამისროლე რაა. შემდეგ, რომ წამოიზარდა, ხელში აღარ აჰყავდა და არც ნათია ეხვეწებოდა, ამიყვანეო, მაგრამ ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა. მანქანის ხმას რომ გაიგებდა, გამოირბენდა და ეგებებოდა. მისგან წყენა არ ახსოვს ნათიას, ყოველთვის უგებდნენ ერთიმეორეს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. შემდეგ გაახსენდა, კარების ღიობიდან რომ დაინახა, როგორ გამოართვა მისმა დედინაცვალმა ფული იმ კაცს, როგორ გადახტა წინასწარ გაღებულ ფანჯარაში თავისი მცირე ბარგით როგორ მიირბინა თავის მეგობარ ნაზისთან და ის ღამე იქ გაათია.

ეხლა კი აქ ზის. ისევ უცხო სახლში, უცხო მამაკაცის გვერდით და არ იცის, კიდევ რამდენ უცხო სახლში მოუწევს ცხოვრება... ფიქრით რას შეეცელი? გაიფიქრა ნათიამ და საუბარი წამოიწყო.

—ეს მანქანა შენია?

—ჰო, ჩემია. მამაჩემის დანატოვარია. ამჟამად არ მუშაობს, თუმცა ცოტა რამე უნდა რომ ამუშავდეს. აკუმულატორიც არ ვარგა.

ნათიას უნდოდა ეკითხა, იმ ქალთან როდის წახვალ გასაგებადო, მაგრამ ვერ უბედავდა. ნოდარი კი მალავდა, რომ ბინაში უკვე შესახლებულები იყვნენ. ფიქრობდა იქნებ რამე მოვიფიქრო და მერე

ვეტყვიო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა იმის მეტი, რომ ქირით ეცხოვრა სადმე ნათიას. ქირით ცხოვრებას კი სხვა სირთულეები ჰქონდა. სამუშაო რომ ვერ ეშოვა, რით იცხოვრებდა? მერეც კიდე, მარტოს რომ ნახავდნენ ცუდ ქალად ჩათვლიდნენ. განსაკუთრებით კი მას მერე, როცა ლამარა და მის 'მეგობრები" შეიტყობდნენ მის ადგილ სამყოფელს, რა ამბები დატრიალდებოდა ძველი წარმოსადგენი არ იყო, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. თუმცა მაინც არ მიდიოდა სხვა ბინის საშოვრად.

ნოდარი ცდილობდა, რაღაც გამოეძებნა გასართობი, რომ ბინის საკითხზე საუბარი არ წამოწყებულიყო. სურათების ალბომი დაათვალიერებინა, კარტიც ითამაშეს, კიდე რა მოიფიქროს? ნეტავი დენი მაინც იყოს, ტელევიზორით გაერთობოდნენ.

დაღამდა. ნოდარმა ლამფა გამოიტანა და აანთო.

ნათია გრძნობდა, რომ ნოდარი რაღაცას ნერვიულობდა და იფიქრა: იქნებ ბინის ამბავი ტყუილად მოიგონა, ეხლა კი ვერ მიბედავს სახლიდან გამიშვასო და უთხრა

—გატყობ, რომ მთელი დღე ხასიათზე არა ხარ. თუ მე ვარ ამის მიზეზი, ნუ მოგერიდება, მითხარი და წავალ.

—წახვალ? სად წახვალ. წასასვლელი გზა რომ გქონდეს, აქ ხომ არ იქნებოდი.

—აბა რა ვქნა?

ნოდარი წამოდგა, ახლოს მივიდა მოეფერა და უთხრა: ნუ გეშინია, მე ნამდვილად ვაპირებ მოგეხმარო, ცოტაც მოითმინე, ხვალ წავალთ. —თუმცა არ იცოდა, ხვალ სად წავიდოდნენ.

მალე დენიც მოვიდა. ნოდარმა ტელევიზორი ჩართო და ორივე მისკენ გადაერთო.

დიდხანს არ უცქერიათ ტელევიზორისთვის. ორივეს ძილი მოერია. ნოდარმა ნათიას აჩვენა მეორე ოთახში საწოლი, სადაც უნდა დაწოლილიყო, თვითონ კი თავის ოთახში შევიდა და დაიძინა.

— ნათია ელოდა, რომ ნოდარი მასთან დაწვებოდა და ასე რომ არ მოიქცა, გაუხარდა. თუმცა, გულში სხვა რაღაც იგრძნო, სურვილი ნოდარის ალერსისა, და გული დასწყდა, რომ მასათან არ შევიდა. ნათიამ შენიშნა თავის თავში ეს ცვლილება და გაუკვირდა. რა ხდება? რატომ გამიჩნდა ეს სურვილი? ეს ხომ არ არის ქალის მამაკაცისადმი ლტოლვა? ხომ არ შემიყვარდა?... არა რა სისულელეა, არც ერთი და არც მეორე, უბრალოდ მივეჩვიე. ჩვენ ხომ ერთი კვირაა ერთად ვართ. ასე მალე სიყვარული ვერ აღმოცენდებოდა, თანაც მე ხომ ამის უფლება არ მაქვს. ვის ჭირდება დაკარგული, უპატრონო გოგოს სიყვარული? ეს ხომ მხოლოდ ოცნებაა. ვინ იცის რა მელის მომავალში. შეიძლება ეს ერთი კვირა ყველაზე ტკბილ და სასიამოვნო მოგონებად დამრჩეს. მე ხომ უაზრო საშინელი ცხოვრება მელის?

ნათია ვერ ხვდებოდა, რომ ნოდარის თბილმა მოპყრობამ მას გაუცნობიერებლად იმედი ჩაუსახა, იმედი იმისა, რომ სულ მის გვერდით იქნებოდა და არ მიატოვებდა, რამაც მის გულში სიყვარულის დიდი იმპულსი გამოიწვია.

დილით ნოდარმა გვიან გაიღვიძა. მზე უკვე ამოსულიყო. ღია ფანჯარაში ნიავი შემოდიოდა და ფარდას ისე ნელა არხევდა, თითქოს ეფერებაო. ნოდარს წამოდგომა არ უნდოდა. ერთი კვირაა ლოგინში არ უძინია და მონატრებოდა. –ადგომას რა აზრი აქვს, ფიქრი ხომ აქაც შემიძლია. იფიქრა ნოდარმა და დაიწყო გონებაში გამოსავლის ძიება, სად წაეყვანა ნათია–იქნებ ნათესავებში მაინც... და გაახსენდა თავისი მამიდა. –მამიდაჩემი! კატო მამიდა! წამოიძახა გახარებულმა ნოდარმა. "ის ხომ ხშირად წუწუნებდა, დამლაპარაკებელი მაინც მყავდესო. თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ მისი კატო მამიდა ნამდვილად მიიღებდა ნათიას, მაინც კარგ მოფიქრებად მიიჩნია და გადაწყვიტა მასთან წაეყვანა. მაგრამ რით წაიყვანოს? "ავტობუსით ხომ ვერ წავიყვანს, სახლიდან რომ გავიდეთ, მეზობლები დაგვინახავენ და ვინ იცის რა იფიქრონ. კიდევ კარგი, მოსვლის დროს რომ არ დაინახეს, ეს თორემ აქამდე ალაპარაკდებოდნენ. თანაც მამიდას პირდაპირ ხომ ვერ მივუყვან. ჯერ ხომ უნდა მოველაპარაკო. გიეის რომ ვუთხრა, მამიდასთან რომ მივალ ნათიას მანქანაში დავტოვებ და თვითონ შევალ მოსალაპარაკებლად, მაგრამ გიეის რომ გავაგებინო ვინ არის და სად მიმყავს უარესი იქნება...

ასეთ სირთულეებში ერთი გამოსავალი იყო მხოლოდ. თავისი მანქანა უნდა აემუშავებინა. გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო. წამოდგა, ჩაიცვა და პირის დასაბანად გავიდა ნათია უკვე სამსარეულოში ფუსფუსებდა საჭმელი არც უჭამია, ისე გაიქცა ბაზარში ბიდონით ხელში. იყიდა აკუმულატორი, ბენზინი და სახლში მოიტანა. მერე გავიდა მოშორებით მცხოვრებ მეზობელთან, რომელიც ხანდახან ცოტა ხელოსნობდა. მოელაპარაკა, რომ დახმარებოდა მანქანის გაკეთებაში და საღამოს იქვეფიბდნენ. ნოდარმა მიაგორა მასთან მანქანა და შეკეთება დაიწყეს.

შუადღემდე ავტომობილი უკვე მზად იყო. შემოიტანა ისევ ეზოში მანქანა და სახლში შევიდა.

ნათიას მაგიდაზე თეფშები დაეწყო და ელოდებოდა.

–არ გიჭამია საჭმელი? –ჰკითხა ნოდარმა.

–არა, შენ გელოდებოდი.

–მერე? ჩემს ლოდინში მშიერი ხომ არ უნდა იყო? იქნებ ვერ მოვდივარ მთელი დღე?

ნათიამ დააწყო მაგიდაზე რაც ეკლდა სუფრას და ისადილეს.

–ნათი! მიმართა ნოდარმა. – მანქანა გავაკეთე. გაემზადე და წავიდეთ.

–რა გამზადება მინდა. ტანსაცმელს ხომ ვერ გამოვიცველი. რაც მაქვს სულ ზედ მაცვია. თუ რამ წამოვიღე, ლამარასთან დარჩა. ჯურჯელს დავრეცხავ და წავიდეთ.

–ჰო, კარგი, დაბლა დაგელოდები.

დასახლებას რომ გასცდნენ, ნათიამ გაკვირვებულმა იკითხა.

–კი მაგრამ სად მივდივართ? მეგონა იქვე ცხოვრობდა.

–მოგიტაცე, –უთხრა ხუმრობით ნოდარმა.

–მე რაღა მოტაცება მინდა. მოტაცებული არა ვარ? სად გავრბოდი? –ღიმილითვე უპასუხა ნათიამ.

მერე აუხსნა ნოდარმა, თუმცა ცოტა შეცვლილად.
—იმ ბინაზე, რომ გითხარი, გადავიფიქრე. იმიტომ რომ მარტო რომ იცხოვრო, ლამარას ხალხი არ მოგცემს წესიერი ცხოვრების საშუალებას. არ მოგასვენებენ და გაიძულებენ ნაგავში ჩაეფლო. მე მგონი შენც დამეთანხმები.
—უკეთესი გზა თუ არის, რა თქმა უნდა უკეთესს ავირჩევ.
—ხოდა გადავწყვიტე მამიდაჩემთან წაგიყვანო. მამიდაჩემი მარტო ცხოვრობს. ერთი ბიჭი ჰყავს და ისიც რუსეთშია გაქცეული, ათ წელზე მეტია წასულია და არ ჩამოდის. ფულს უგზავნის საარსებოდ და მორჩა, სხვა არაფერი აინტერესებს. მამიდაჩემი ძალიან მოხუცი არ არი მაგრამ მარტო მაინც ძნელია. დამლაპარაკებელი მაინც რომ ეყოლება, უკეთესად იგრძნობს თავს.
—რომ არ მიმიღოს?
—თუ არ მიგიღებს, რას ვიზამთ. მაშინ მოვბრუნდებით უკან.
მამიდასთან რომ მივიდნენ, ავტომობილი ეზოს კარებთან გააჩერა ნოდარმა და უთხრა ნათიას: —შენ ჯერ მანქანაში იყავი, მე გადავალ, ვნახოთ რა მდგომარეობაა. —ჯიბიდან ამოღებული ფული გაუწოდა და უთხრა, —აიღე, ეს ფული. როგორც გითხარი 72 ლარი ხომ შენია? —თან გაუღიმა. თუ დარჩები, ხომ დაგჭირდება, ტანსაცმელს იყიდი და თუ არ დარჩები ეს მაინც შენ გქონდეს. ცოტა ხანს იკმარე, მერე კიდე მოგცემ. ნათიას ფულის გამორთმევა ძალიან ეუხერხულა, მაგრამ მაინც გამოართვა.
კატო მამიდა ეზოში იჯდა და ლობიოს არჩევდა. ეზოში შესული ნოდარი რომ დაინახა, წამოდგა და დაიძახა:
—უი, ეს ვინ მოსულა! შენ გენაცვალოს მამიდა! ძლივს არ გნახე? როგორ დაიკარგე ბიჭო? რატომ აღარ გამოჩნდი? —მიახლოებულ ნოდარს გადაეხვია და აკოცა.
ხვევნა კოცნისა და მოკითხვის შემდეგ ნოდარი ეზოში სკამზე დაჯდა.
—შეეიდეთ, შვილო, შიგნით, პური გეშიება. —უთხრა მამიდამ.
—არა. არა. აქ დავსხედით, შიგნით ცხელა. —უპასუხა ნოდარმა.
—მამიდა, როგორა ხარ, ხომ არაფერი გიჭირს? როგორ ცხოვრობ?
—რა ვიცი, შვილო, აბა. ვგდივარ მარტო... საჭმელი კი არ მაკლია, ფულს მიგზავნის ჩემი ბედოვლათი ბიჭი, მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის. მარტო ცხოვრება ძნელია შვილო. დღისით კიდე არაუშავს, მეზობლებს მაინც დაველაპარაკები, ღამე მიჭირს ძალიან. გული რომ წამივიდეს, წყლის მომწოდებელი არავინ მყავს. წავიდა და დაიკარგა ჩემი კობა. სულ აღარ დარდობს, რა მიჭირს და რა მილხინს.
შენ როგორა ხარ, შვილო, შენი ამბები მითხარი, შენ უნდა იყო კარგად, თორემ მე უკვე ბებერი ვარ...
—მე კარგად ვარ, ამაზე ნუ ღელავ, მაგრამ შენ რომ სულ წუწუნებ მარტო ვარო, ერთი გოგო რომ მოგიყვანო და შენთან იცხოვროს, არ გინდა?
—ვინ გოგო უნდა მომიყვანო, შვილო?.
—ერთი გოგოა, კარგი გოგოა ობოლია და სახლკარი არა აქვს.

–მაგის გაზრდის თავი სადღა მაქვს, შვილო, რომ ეხლა ბავშვები ვზარდო. თანაც კიდევ, რომ გაიზრდება სახლკარს არ მომთხოვს? ეს სახლი ხომ ჩემი შვილისაა.

–არა მამიდა. პატარა ბავშვი კი არა, დიდი გოგოა. 18 წლის იქნება. თანაც იმდენ ხანს იქნება რამდენიც შენ გენდომება.

–რა ვიცი, შვილო, თუ კარგი გოგოა მაგას რა სჯობია, მაგრამ თუ ცუდი გოგოა... რა ვიცი ბიჭებმა არ ირბინონ და ოჯახი არ შემირცხვინოს.

–არა მამიდ, კარგი გოგოა და როგორც დედას ისე მოგექცევა.

–თუ ასეთი კარგი გოგოა, მოიყვანე, რა ვიცი, როდის მოიყვან?

–აქ არის მამიდ, მანქანაში ზის, გადმოვიყვანო? –აშკარად შეეტყო ნოდარს გახარება, რაც მამიდას არ გამოპარვია.

–რა ვიცი, გადმოიყვანე, აბა ვნახოთ. ნეტავი ვისზე ზრუნავ? ჩემზე თუ იმ გოგოზე.

ნათიას ყველაფერი ესმოდა მანქანაში და ძალიან შერცხვა. ისე დაიმორცხვა, რომ სიხარულიც კი ვერ განიცადა, მამიდის თანხმობის გამო პირიქით გადასვლა აღარ უნდოდა მანქანიდან.

ნოდარი გამოვიდა ეზოდან და ნათია შიგნით, ეზოში შეიყვანა.

–კარგი გოგო ჩანს, რა ვიცი, –ჩაილაპარაკა თავისთვის მამიდამ და სახლში შეიპატიჟა ორივე. –შემოდით შიგნით, დასხედით გავიცნოთ ერთმანეთი.

კატო მამიდამ სახელდახელო სუფრა გაშალა, ღვინოც მოიტანა სუფრაზე და სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა.

ნათიას ისე საშინლად რცხვენოდა, სულ ცოტა რამ უნდოდა, რომ ტირილი დაეწყო და სახლიდან გაქცეულიყო.

ეს სიმორცხვე რა თქმა უნდა გარეგნულადაც გამოიხატებოდა და მის კეთილ, პატიოსან ბუნებას უსვამდა ხაზს.

მამიდამ ჭიქები შეავსო, ჭიქა ასწია და თქვა: –თქვენს მოსვლას გაუმარჯოს, შვილო, –მერე ნათიას მიუბრუნდა:

–რა გქვია სახელი, შვილო.

–ნათია.

–კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ოჯახში. კარგი გოგო ჩანხარ და მე მგონი გავუგებთ ერთმანეთს. კარგი გოგო თუ იქნები, შვილივით მიგიღებ და თუ არ ივარგებ, გზა დიდია როგორც მოხვედი, ისე წახვალ. მე შენი წარსული არ მაინტერესებს და არც არასდროს გთხოვ მომიყვე, თუ შენი ნება არ იქნება. ცხოვრება ისეთი საშინელია, არავინ იცის, ვის რა ელის. ბევრი წესიერი ადამიანი გამწარებულა და დაღუპულა. ადამიანები თუ ვართ, გაჭირვებაში უნდა მივეხმაროთ ერთიმეორეს., თორემ როცა გვილხინს, მაშინ რად გვინდა? კარგად იყავი შვილო, კეთილი გული და კეთილი ფეხი შემოგეტანოს ჩემს ოჯახში.

ნათიას ცოტა მოეშვა გულზე ამ სადღეგრძელოს შემდეგ, მაგრამ მაინც არაფერს ჭამდა.

–ჭამე რამე გოგო, –უთხრა ნოდარმა.

–გაუშვი, გაანებე თავი. ეხლა ერიდება, მერე შეჭამს, –თქვა მამიდამ

—ნოდარმა ორი საათი დაჰყო მათთან, მერე კი დაბრუნდა სახლში. აშკარად ეტყობოდა სიხარული, რომ საქმე კეთილად დამთავრდა, მაგრამ გულში ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს რაღაც დაკარგა. ეს შენიშნა კიდეც თავის თავში და იფიქრა: 'მაინც რა არის ადამიანი, ერთი კვირა ერთად ვიყავით და როგორ შევეჩვიე, კიდევ კარგი დიდხანს არ დავტოვე ჩემთან, თორემ 'უფრო გამიჭირდებოდა".

ქალაქში შესულს, ეკლესიასთან გაელისას გაახსენდა, რომ ხვალ მარიამობის დღესასწაული იყო და გადაწყვიტა წასულიყო.

მეორე დღეს, მართლაც წავიდა გიასთან ერთად ეკლესიაში. იქ მისულთ ჩვეულებისამებრ ხალხის სიმრავლე დაუხვდათ, სადაც ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ. წირვა დაწყებული იყო. ეკლესიაში ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ შიგნით შესვლა გაჭირვებით შეძლეს.

ბიჭები უხერხულად გრძნობდნენ თავს ასე მჭიდროდ, ქალების გარემოცვაში და წირვის დასრულებამდე გამოვიდნენ. მცირე ხანს ეზოში იდგნენ და ნაცნობებთან საუბრობდნენ.

—წამოდი წყალი დავლიოთ, ამ სიცხეში არ მოგწყურდა? —უთხრა გიამ.

—კი მომწყურდა, მაგრამ რიგი ხომ იქნება? —თქვა ნოდარმა და გიას გაჰყვა. —მერე რაა, წყალი ბევრი მოდის და 5 წუთიც არ მოგიწევს ლოდინი. წყაროსთან მიახლოებულებმა კიბო შენიშნეს.

—ვაა, შენც აქ ხარ კიბო? შენც თუ ეკლესიაში დადიოდი, აქამდე არ ვიცოდი. —თქვა მის დანახვაზე გიამ.

—რა, ეს ეკლესია მარტო თქვენთვის ააგეს? თუ მარტო თქვენ გინდათ ღმერთი? —უპასუხა კიბომ.

—რა ვიცი, სხვადროს არ შემხვედრიხარ და... უთხრა გიამ.

—სადაც არა ხარ, იქ ვერავის შეხვდები. —თქვა კიბომ.

წყალთან სიხლოვეს ავტომანქანა გაჩერდა და მანქანიდან მგზავრები გადმოვიდნენ ბოთლით ხელში, რაც ნიშნავდა, რომ წყლისთვის გადმოვიდნენ. ბიჭებმა მანქანიდან გადმოსული იცნეს. ესე იყო ერთ-ერთი ყოფილი ქარხნის დირექტორი ცოლ-შვილთან ერთად. რომელმაც ქარხანა „შეისყიდა", დაანგრია და მასალად გაყიდა. მანქანიდან გადმოსულნი ეკლესიისკენ შებრუნდნენ და პირჯვარი გადაიწერეს.

—ვაი, თქვე უბედურებო, რა გეშველებათ! რაო დაგინახათ ღმერთმა ფანჯრიდან? —თქვა
კიბომ ხმამაღლა მათ გასაგონად.

— რა იყო, შე უწმინდურო! შე სატანავ და ანტიქრიტეე! ჩვენ რომ გვწამს ღმერთი და პირჯვარს ვიწერთ, ეგ გაგიკვირდა? აბა რა გეგონა, ყველა შენნაირი ანტიქრისტეა?

—მე ვარ სატანა? მადლობთ, რომ თქვენზე წინ დამაყენეთ. სატანაც თქვენზე წინ დგას ღმერთის რწმენაში, რადგან მას ნამდვილად სწამდა ღმერთი. უფრო მეტიც, ის ყოველთვის დარწმუნებული იყო ჭეშმარიტად, რომ ღმერთი არსებობდა. ყოველთვის და ყველგან, მიუხედავად იმისა, რომ ეწინააღმდეგებოდა. თქვენ კი ღმერთი მხოლოდ მაშინ გახსენდებათ,

საყდარს რომ დაინახავთ და მაშინათვე პირჯვარს იწერთ. პირჯვრის წერა, რომ კარგია და არა ცუდი ეს ყველამ იცის, მაგრამ თქვენ რომ მხოლოდ ამ დროს გახსენდებათ ღმერთი და საკუთარი ცოდვების შეგრძნებას შიში გაწერინებთ პირჯვარს, არა ღმერთის სიყვარული, ეგ არის ცუდი. ეს საყდარი ღმერთის ბინა არ არის, რომ ფანჯრიდან იხედებოდეს და დაენახოთ პირჯვარს როგორ იწერთ მისი "სიყვარულით". ღმერთმა თავის ბინად "ადამიანის სული და გული შექმნა და იქ უნდა ბუდობდეს, მაგრამ თქვენ ხომ მისთვის გამოკეტილი გაქვთ კარი მჭიდროდ, რომ იქ ვერ შეაღწიოს. ეს რომ კარგად იცით, ამიტომაც იწერთ საყდრის დანახვაზე პირჯვარს, რომ შორიდან მაინც ასიამოვნოთ და დააჯეროთ მისდამი სიყვარულში. იმას კი ვერ ხედებით, რომ ღმერთს კი არა, თქვენს თავს ატყუებთ. საყდარი ღმერთისთვის კი არა, ხალხისთვის არის შექმნილი, რომ იქ გამყუდროვდეს ადამიანი, თავი ღმერთის წინაშე იგრძნოს, თავის სულში ჩაიხედოს და განსაჯოს თავისი ცხოვრება, სული და არსი, რა გზით იარა.

ამ სიტყვებზე, ყოფილი დირექტორი გამწარდა და კიბოსკენ წავიდა გასარტყმელად, მაგრამ ბიჭებმა გზა გადაუჭრეს და საშუალება არ მისცეს. ხელი იმანაც შეუშალა დირექტორს, რომ მისი ცოლიც გამოიქცა მათკენ ძახილით: რას შვები ჯემიკო, ხომ არ გაგიუდი, მაგ მათხოვარს და გიეს თავს როგორ უყადრიო. ქმარს ხელი წააელო, წაიყვანა და მანქანაში თითქმის ძალით ჩასვა. ბავშვებიც დაბრუნდნენ სავსე ბოთლებით, ჩასხდნენ და რამოდენიმე წამში მანქანა, ასიოდე მეტრში გზის მოსახვევს მოეფარა.

თავიV

ხიდი

ნოდარი ქალაქის ცენტრისკენ მიდიოდა. ქუჩაში ხალხის ჭაჭანება არ იყო. ქალაქის ცენტრიდან სროლის ხმა ისმოდა. ცენტრს მიახლოვებულმა ნოდარმა დაინახა რამდენიმე ადგილზე მკვდრები და დაჭრილები ეყარნენ და რამდენიმე კაცი მათ გათრევას ცდილობდა. ცენტრში მისულ ნოდარს უფრო მეტი მკვდარი და დაჭრილი დახვდა. რამდენიმე კაცი აქაც მიათრევდა ზოგიერთ მკვდარს თუ დაჭრილს.

სროლის ხმა კი სულ ახლოს, ქალაქის ცენტრის ერთ მხარეს ისმოდა. ნოდარი აფორიაქდა. –ეს რა ხდება? რატომ ხოცავენ ერთიმეორეს? –ამბობდა ხმამაღლა ნოდარი, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო. იმ რამდენიმე კაცს, რომლებიც მკვდრებს მიათრევდნენ, მისთვის არც კი მიუხედავთ. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ამდენი

მკვდარი და დაჭრილი ადამიანი ეყარა და არავინ ტიროდა, არავინ მოსთქვამდა. თითქოს ესენი ადამიანები არ იყვნენ, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და ცუდი არაფერი ხდებოდა. –რა ხდება ეს? ეს რა დამართია ხალხს? ქუჩაში გაჭყლეტილ კატას, ძაღლს ან წიწილას რომ ნახულობენ დანანებით ამბობენ, საწყალი მანქანას გაუჭყლეტიაო და ეხლა ამდენი –დახოცილი ხალხი ყრია, ქუჩებში ნუთუ არავის ენანება? რატომ არავინ ტირის? რატომ არავინ მოსთქვამს? შეწუხებული სახეც, რომ არავის აქვს?

ქუჩაში თავისი თანაკლასელი შენიშნა, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

–ჟორა! –დაუძახა ნოდარმა.

ჟორამ მოიხედა მისკენ, ისე რომ ნაბიჯი არ შეუნელებია და უთხრა: –შენ ხარ, ნოდარ? წამოდი შენც, დროზე შევაღწიოთ, თორემ ხომ ხედავ ხალხი ერთიანად გაგიჟდა, ერთმანეთს დაერია და ჩვენც კარგი დღე არ დაგვადგება.

ნოდარს მისი სახეც უცნაური მოეჩვენა. ჟორა მართლა ჩქარობდა, მაგრამ სახეზე არანარი აღელვება ან შიში არ ეტყობოდა. მასაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არანარი საშინელება არ ხდებოდა.

–რა ხდება რა დაემართა ამ ხალხს, რატომ ხოცავენ ერთიმეორეს? –ჰკითხა ნოდარმა.

–რას მეკითხები, შენ რა არ იცი? ეს ხომ მრავალი წელია მზადდებოდა. – უპასუხა ჟორამ ისე, რომ ნაბიჯი კელავ არ შეუნელებია და ნოდარი იძულებული იყო, საუბარი, რომ გაეგრძელებინა მასავით სწრაფი ნაბიჯით გაჰყოლოდა.

–რა მრავალი წელი, რა მზადდებოდა?

–შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და როგორ ვერ შენიშნავდი, რომ წლების მანძილზე გროვდებოდა ხალხში შური, ბოღმა და სიძულვილი. ეხლა კი პოლიტიკანობით საშუალება მიეცათ ეს სიძულვილით დაგროვილი ბოღმა ამოანთხიონ.

–რას ამბობ, განა შეიძლება ასეთი რამის მილოდინი გქონოდა?

–შემოდი, შემოდი თუ გინდა, რომ გადარჩე აქ შემოდი. –უთხრა ჟორამ და ერთ-ერთი შენობის შესასვლელში გაჩერდა.

ნოდარმა შენობას შეხედა და ეუცნაურა. შენობა თითქოს ტაძარს ჰგავდა, რუხი მომწვანო ფერის იყო და ფუძე ოთხის ნაცვლად ხუთკუთხედი ჰქონდა. –ეს რა შენობაა? როდის ააშენეს ადრე არ მინახავს.

–ახალი ტაძარია. ახლებურად აშენებული. შემოდი თუ გინდა, რომ გადარჩე. აქ არ შემოვლენ.

–რა მინდა მანდ. გარეთ ხალხი ერთიმეორეს ხოცავს, მე კი ტაძარში შევიდე მშვიდად თავის გადასარჩენად? მაშ რიღასთვის მინდა სიცოცხლე, რაღა ეღირება ჩემი სიცოცხლე, თუ ამ საშინელებას მშვიდად შევხვდები, დახმარებას არ ვეცდები და ტაძარში შევალ თავის გადასარჩენად? ქვეყნიერება თუ არ იქნება, მე რაღად მინდა სიცოცხლე?

–კარგი, რა ვიცი, შენ როგორც გინდა. –თქვა ჟორამ და შენობის შესასვლელი კარი შიგნიდან მიიხურა.

ამ საუბარში ვერც კი შენიშნეს, რომ სროლა შემწყდარიყო და "მებრძოლნი" იქვე ახლოს გზაჯვარედინთან კუთხის სკვერში იკრიბებოდნენ. ქუჩის მეორე მხარეს კუთხის მიღმა კი, სულ რაღაც 30-ოდე მეტრში, მოპირდაპირე მხარის "მებრძოლნი" იკრიბებოდნენ, რომელთაც პირველი მხარე ვერ ხედავდა. მებრძოლებში მრავალად იყვნენ ქალებიც და ბავშვებიც.

—ფრთხილად იყავით მოულოდნელად არ დაგვესხან თავს. — დაიძახა ერთ-ერთმა "მებრძოლმა", მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ყველას, დიდსა თუ პატარას, ქალს თუ კაცს ისეთი გატანჯული და დაღლილი სახეები ჰქონდათ, ადამიანებს არ ჰგავდნენ. ერთი სული ჰქონდათ ვიდრე სადმე დასხდებოდნენ და დაისვენებდნენ. სროლა, რომ ატეხილიყო, ასეთი გატანჯული მეომრები ვერც კი შეძლებდნენ იმის გააზრებას, საით უნდა ესროლათ და შესაძლებელი იყო თავისივე მეომრები დაეხოცათ. ყველამ ლასლასით გამონახა დასაჯდომი და შეიძლება ითქვას, რომ დაეყარნენ. ზოგი სკვერის გატეხილ სკამებზე ჩამოჯდა, ზოგი ბეტონის ღობეზე, უმრავლესობა კი პირდაპირ მიწაზე დასხდნენ ან წამოწვნენ.

—ეს რა ხდება, ასე რამ გადარია, რამ გამოაშტერა ეს ხალხი? ნუთუ ვერ გრძნობენ, რომ პირველ რიგში საკუთარ თავს ანადგურებენ და მერე თავისივე დებსა და ძმებს? —ბურდღუნებდა თავისთვს ნოდარი.

ნოდარმა ქუჩა გადაირბინა, სკვერის ბეტონის 80 სმ სიმაღლის ღობეზე დადგა, საიდანაც ორივე დაპირისპირებული მხარე ჩანდა და ხალხს მიმართა.

—ხალხო რას შვრებით! რამ დაგაბეჩავათ! რამ გამოგაშტერათ! რა ვერ გაგიყვიათ? ვის ესვრით, ვის ხოცავთ? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ისინიც თქვენნაირები, თქვენი დები და ძმები არიან? ნუთუ წინაპრები არ გახსენდებათ და არ გრცხვენიათ მათ წინაშე? თქვენ ხომ პაპა და პაპის პაპა ერთი გყავდათ, თქვენ ხომ ერთნი ხართ! რას ასწავლით თქვენ შვილებს, მომავალ თაობას? სიძულვილსა და ერთიმეორის ხოცვას? ასეთი ქცევით ხომ მომავალი თაობა ამოწყდება და აღარავინ დარჩება? თქვენ ხომ გყავდათ პაპა? არ გინდათ, რომ თქვენც იყოთ პაპები და ბებიები? არ გინდათ, რომ მომავალ თაობამ იარსებოს, მათთან ერთად თქვენც გაიხაროთ და მომავალში, შთამომავლობისთვის კარგად მოსაგონარი და დალოცვის ღირსები იყოთ? არ გინდათ, რომ სიამითა და სიამაყით გაგიხსენოთ შთამომავლობამ?

თავდაპირველად არავინ უსმენდა ნოდარს, მაგრამ მალე მიიქცია ხალხის ყურადღება და ზოგიერთები წამოდგნენ კიდეც. ნოდარმა კი გააგრძელა:

—თქვენ კი რას აკეთებთ? ასე ხომ გამხსენებელი აღარ დაგრჩებათ! პოლოტიკოსობანას თამაში მოგინდათ და სხვა ქვეყნების გავლენაში მოექეცით? მათ პროპაგანდას დაუთმეთ საკუთარი ჭკუა-გონება? დაუფიქრდით, ვის უსმენთ, ვის ბაძავთ, ხალხო მთელი ქვეყნების ცივილიზაცია და ისტორია ჩვენი ხალხებით იწყება და ჩვენი წინაპრებისაზე მეტი გონიერება სადღა შეიძლება მოძებნოთ? რა პოლიტიკოსობა აგიტყდათ? ვერ ხედავთ, რომ მასეთი აზროვნება

დამღუპველია და სცდებით? პოლიტიკოსობა ის არის, საკუთარი ხალხი და ერი გიყვარდეს და იღწვოდე მათი კეთილდღეობისთვის, მათი კეთილი მომავლისთვის. ამას რად უნდა უცხოელებისგან სწავლა და ჩხუბი? ამისთვის, ხომ სიყვარული, პატივისცემა და ერთიმეორის მოსმენაა საჭირო. ეს ხომ თქვენც იცით! თქვენ ხომ ყველას, ორივე მხარეს გიყვართ საქართველო და მისი კეთილი მომავალი გინდათ! მაშ, რიღასთვის ხოცავთ ერთიმეორეს და რისთვის ღუპავთ საქართველოს? ამით გინდათ თქვენი სიმართლე და მეტი სიყვარული დაამტკიცოთ? ნუთუ ასეთი სიმართლე გჭირდებათ? ეს ხომ უკვე სიძულვილია და არა სამშობლოსადმი სიყვარული? ეს ხომ სამშობლოს დაღუპვაა და ამით თქვენსავე კეთილ მიზანსა და ოცნებას კლავთ, თქვენთან ერთად თქვენს თავში? მამა-პაპას უთქვამს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“, ესეიგი, უგუნურად ნათქვამი, სიტყვაც კი დამღუპველია, თქვენ კი უკვე უგუნურ მოქმედებაზე გადახვედით? არ სჯობია ერთად დასხდეთ და ერთად გადაწყვიტოთ სამშობლოს წინაშე დამდგარი ყველა პრობლემა, თუ სირთულე?

ამჯერად ორივე დაპირისპირებული მხარე უკვე ყურადღებით უსმენდა ნოდარს, წინ წამოიწივნენ და მოწინააღმდეგე მხარეს აღარც ემალებოდნენ. მათ გატანჯულ სახეებზე, თითქოს რაღაც იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, ნოდარი კი განაგრძობდა და ისე იყო ემოციებში შეჭრილი, რომ თავის თავს ვეღარ გრძნობდა.

–შეხედეთ თქვენს თავს, რას დაემსგავსეთ. თქვენს გვერდით მდგომს შეხედეთ და თქვენი თავი ამოიკითხეთ, როგორ ხართ გაუბედურებულნი! შეხედეთ თქვენს ბავშვებს! ქრისტეანები არა ხართ? ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის: „გიყვარდეს მტერი შენიო“. თქვენ კი, მტერი კი არა საკუთარი მოყვარე, ძმები და დები შეიძულეთ და ხოცავთ მათ? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ბოროტი ძალა დაგეუფლათ და ქრისტეს წინააღმდეგ მიდიხართ? რა სატანა შეგიძვრათ? ნუთუ უფსკრული გირჩევიათ ქრისტეს გზას? ნუთუ სიძულვილმა დაგაბრმავეთ ისე, რომ ქრისტეს გზას ვეღარ არჩევთ და უფსკრულისკენ მიდიხართ? სიძულვილით ვის რა აუშენებია? სიძულვილი ხომ მხოლოდ ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს.! ვისაც ხოცავთ მათი ტკივილი ხომ თქვენი ტკივილიც უნდა იყოს? თქვენ კი რატომ არ გტკივათ? ადამიანი სხვას, რომ ნემსს უჩხვლეტს თუ თვითონაც იგრძნო ჩხვლეტა, მაშინ არის ის ადამიანი და მაშინ არის ქრისტეანი! ის მეორედ აღარ უჩხვლეტს კაცს. თქვენ კი ეინ ხართ? საკუთარ დებსა და ძმებს ხოცავთ და არ გტკივათ. ნუთუ ეს არის თქვენი ქრისტეანობა? ნუთუ ასე ფიქრობთ ბედნიერების მოპოვებას? განა არ იცით, რომ ვინც სხვას ჩხვლეტს და ამით სიამოვნებას განიცდის, ის სატანაა! ნუთუ გინდათ სატანები იყოთ?

ამ დროს, ერთ-ერთ ქალს თვალები გაუბრწყინდა და ხმამაღლა წამოიძახა: –ქრისტე! ქრისტე მოსულა! ეს ქრისტეა! –ამის გაგონებაზე რამოდენიმემაც წამოიძახა: –ქრისტეა! ქრისტე მოსულა!

ნოდარმა კი განაგრძო:

–დაუფიქრდით ხალხო! გონზე მოდით! ნუ მოსპობთ საკუთარ თავსაც და საკუთარ შვილებსაც! ნუ მოსპობთ თვით ქრისტესაც, ეინაიდან

ქრისტე უთქვენოდ არაფერია! თუ თქვენ თქვენს გულებს არ გაუხსნით ქრისტეს იგი მკვდარია. იყავით ქრისტეს ღირსეული შვილები, გაუხსენით მას გული და ნუ იქნებით სატანის მონები! იხსენით საკუთარი სული, ნუ დაუთმობთ სატანას.

ხალხში კი თანდათან უფრო იმატა ძახილმა: –ეს ქრისტეა! ქრისტე მოსულა! –და ნელ-ნელა მიუახლოვდნენ გაწვდილი ხელებით.

ნოდარმა რომ დაინახა ორივე დაპირისპირებული მხარე მასთან მიახლოებული გაწვდილი ხელებითა და შეძახილით „ქრისტე მოსულაო", შეშინდა. შეშინებულმა ნოდარმა ხალხს მიმართა: –ქრისტე არა ვარ ხალხო! ქრისტე არა ვარ! რაც მე გითხარით ეს ხომ უბრალოა და ყოველმა თქვენთაგანმა იცის. მხოლოდ დაფიქრებაა საჭირო. მაგრამ ხალხი ამ სიტყვებს უკვე აღარ უსმენდა, გაბრწყინებული თვალებით და ქრისტე მოსულას ძახილით ისე ახლოს მივიდნენ ნოდართან, რომ უკვე ხელით ეხებოდნენ. ყველამ მოისურვა "ქრისტეს" ხელით შეხებოდა და ნოდარის ირგვლივ შემჭიდროვდნენ.

ნოდარს ამჯერად უკვე ძალიან შეეშინდა და იძულებული იყო გაქცეულიყო. ხალხი–ბრბო უკან გამოეკიდა. გაქცეულმა ნოდარმა კი თავშესაფრად უფრო მოხერხებულად და ახლოს მდგარი ის შენობა ჩათვალა, რომელსაც ჟორამ შეაფარა თავი და იმ ტაძარში შევიდა. კარი ჩაკეტა შიგნიდან და კიბეზე აირბინა. მეორე სართულზე ჟორა და ასაკით მასზე უფროსი კაცი დახვდა.

–მომდევენ, მიშველეთ, სადმე დამმალეთ. –თქვა ნოდარმა, რომელიც თან აქეთ-იქით სამალავს ეძებდა. დაბლა სართულიდან კარის ბრახუნი ისმოდა.

–რა მოხდა? ვინ მოგდევს? –ჰკითხა ჟორამ.

–ხალხს ვამშვიდებდი. მოვუწოდებდი ერთიმეორის ხოცვისთვის თავი დაენებებინათ, სიყვარულით შეეხედათ და ერთად დამსხდარიყვნენ სირთულეების გადასაწყვეტად. მათ კი ქრისტე მიწოდეს და გამომიდგნენ.

–აბა რომ მიდიოდი, სად მიდიოდი? მაგ გიჟებს და დებილებს რამეს შეაგნებინებ? ხომ გითხარი აქ შემოსულიყავი და დაცული იქნებოდი. –თქვა ჟორამ. ქვემო სართულიდან კარის მტვრევის ხმა ისმოდა.

–ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება დიდი სიბრიყვე და სისულელეა. –თქვა უფროსმა კაცმა, რომელსაც ქცევის სიდინჯით და ლაპარაკის ამაყური ტონით ეტყობოდა, თანამდებობრივადაც უფროსი უნდა ყოფილიყო ამ ტაძარში.

–რა შემთხვევის? –ჰკითხა ნოდარმა.

–ხალხს სჯერა, რომ შენ ქრისტე ხარ, შენ კი უარყოფ? ეს ხომ უდიდესი ძალაუფლების მომნიჭებელია. შენ შეგიძლია ხალხი შენს ჭკუაზე წაიყვანო, ომიც შეაწყვეტინო და სხვა ბევრი სიკეთეც გააკეთებინო.

–მერე ეს ხომ საშინელი სიცრუე იქნება? –თქვა ნოდარმა.

–თუ კი სიკეთეს მოიტანს ასეთი სიცრუე დასაშვებია. –თქვა კაცმა.

–მერედა მე მაქვს ასეთი ჭკუა, რომ ამდენი ხალხი ვმართო?

–ჩვენ აქ არა ვართ? მოგეხმარებით.

—არა, ეს ხომ საშინელი სიცრუეა. თავდაპირველად შეიძლება მართლაც სიკეთე მოიტანოს, მაგრამ ბოლოს ყველაფერს დაღუპავს. არ შეიძლება ასეთი სიცრუით ხალხის რწმენაზე თამაში. ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩაგდებით მხოლოდ ღმერთი შეძლებს სამართლიანობის გზით სვლას. კაცს კი, ისევ კაცთაგან, მუდმივად სჭირდება აღვირი და შემმოწმებელი.

ქვემო სართულიდან ისეთი ხმაური მოისმა, რომ აშკარა იყო კარი გატეხეს და შემოცვივდნენ. ნოდარმაც აღარ დააყოვნა და ვიდრე მათთან მივიდოდნენ, ერთი სართულით მაღლა აირბინა. ოთახში შევარდა, მიმოიხედა სამალავის მოსაძებნად და შესასვლელი კარის ზემოთ კედელშივე კარადა დაინახა. ფიქრის დრო აღარ იყო, ნოდარმაც აღარ დააყოვნა, აცოცდა და ამ კარადაში შეძვრა. ოთახის კარს მიღმა სივრციდან აყალმაყალის ხმა ისმოდა. ნოდარმა ხმაურიდან ვერც ერთი სიტყვა ვერ გაარკვია.

მცირე ხნის შემდეგ ოთახში ვიღაც შემოვიდა.

—ნოდარ, სადა ხარ? —წამოიძახა ამ "ვიღაცამ" და ნოდარმა ხმაზე ჟორა იცნო. გამოაღო კარადის კარი და გამოიხედა.

—აქ ვარ, რა ხდება?

—ვერაფრით დავაწყნარეთ. ითხოვენ ქრისტე მოვიდეს ჩვენთან, თორემ ყველაფერს დავანგრევთო, წამოდი დაელაპარაკე, თორემ ჩვენც დაგვხოცავენ და შენც გიპოვიან მაინც.

—უთხარი თუ დაწყნარდებიან და დაიჯერებენ, რომ ქრისტე არა ვარ, გამოვალ. ისევ იმ სკვერში გავიდნენ, იქ დამელოდონ და მივალ.

ჟორა გავიდა ოთახიდან. მცირე ხანში ხმაური ნელ-ნელა მიწყდა და სიჩუმე დამყარდა. ამ დროს ჟორაც კვლავ დაბრუნდა ოთახში.

—ჩამოდი... წავიდნენ...

—ნოდარი ჩამოძერა კარადიდან.

—დაწყნარდნენ?

—ეგ არ ვიცი, მაგრამ წავიდნენ და სკვერში გელიან. წადი მალე, თორემ ისევ აქ მოცვივდებიან.

—კარგი წავალ, მეტი რა გზა მაქვს.

ნოდარი იმ ოთახიდან დაბლა სართულში ჩავიდა და ქუჩაში გავიდა. ხალხი მართლაც სკვერში დაბრუნებულიყო, ოღონდ ამჯერად ორივე დაპირისპირებული მხარე ერთად იყო არეული და ვერ გაარკვევდი ვინ ვის მხარეს იბრძოდა.

ნოდარი შიშითა და სიფრთხილით მივიდა სკვერში შეგროვილ ხალხთან. მათ გზა გაუნთავისუფლეს იმ ადგილისკენ, სადაც პირველად იდგა ნოდარი და ისიც იმავე ბეტონის ღობეზე ავიდა.

—ხალხო! —დაიწყო ნოდარმა. —მოდით ერთიმეორეს გავუგოთ! ყოველგვარი ცუდი და საშინელი ხომ სწორედ გაუგებრობიდან იწყება?! ჭკუა-გონება მოიკრიბეთ, ყურადღებით მომისმინეთ და ეცადეთ გაიგოთ რასაც გეტყვით. მე ქრისტე არა ვარ, და საერთოდაც ქრისტეს ასე ნუ ელით. ქრისტე მოვა, როცა ამისი დრო დადგება, მაგრამ იქამდე თუ თქვენ უგუნურობით ერთიმეორეს ამოწყვეტთ, მაშინ რაღად გინდათ

ქრისტე? აკი თქვა ქრისტემ მე მოვდივარ, მაგრამ მე თქვენთან ერჩებიო. ქრისტე თქვენს გვერდით და თქვენს გულებში ეძიეთ. ეს კი იმას ნიშნავს, ქრისტეს მიბაძოთ და გულში სიკეთე, სიყვარული, სათნოება ჩაიდოთ. ისწავლოთ მიტევება. მხოლოდ ასე შეიძლება იყოთ ქრიტეანები. მხოლოდ ასე შეიძლება ქრისტე თქვენს გვერდით და თქვენში იყოს. სხვანაირად ქრისტეს მოსასვლელ გზას დაუკეტავთ და ვეღარ მოვა. კიდეც, რომ მოვიდეს ვერავინ იცნობს მას, რადგან ბოროტება სიკეთეს და სიყვარულს ვერ ცნობს და ბოროტებაშივე ჩამყაყდება. ხომ გაგიგიათ ღმერთმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნაო. ღმერთმა კი რით გამოიჩინა თავი? მან სამყარო შექმნა. მან შექმნა ყოველივე, თუ რამ არსებობს, მათ შორის ადამიანიც, სიკეთისთვის, სიყვარულისთვის და განვითარებისთვის. ესეიგი, იგი შემოქმედია, სიყვარულით, სიკეთით და უმაღლესი გონიერებით აღსავსე შემოქმედი. თქვენ კი რას შვრებით? საით მიდიხართ? სატანისკენ? დამანგრეველისკენ? ეგ არის თქვენი ღმერთის მსგავსება? რად გაუდექით ღმერთს?

–ეგ ქრისტე არ არის ხალხო! –წამოიძახა ერთმა. ამ წამომძახებლის ირგვლივ მყოფი ხალხი მიუბრუნდა მას და ისე სცემეს რამდენიმე წამში ფეხზე ვეღარ დგებოდა და გახოხვას ცდილობდა.

–ხალხო, რას შვრებით? ამდენი ვილაპარაკე გონიერებისკენ მოგიწოდებთ და თქვენ კი ახლავე, აქვე ისევ ბოროტებით პასუხობთ? რა გემართებათ, ნუთუ ვერაფერი გაიგეთ, რაც ვილაპარაკე?

–გვიხსენი უფალო! –წამოიძახა ერთმა და მისკენ წავიდა. იმავე წამს მეორემ დაიძახა: – გვიხსენი უფალო! აკი თვითონ თქვი, რომ ვილუპებით. განა ჩვენს მხსნელად არ მოხვედი? – და ისიც მისკენ წავიდა. ამ ორს სხვებმაც მიბაძეს და თანდისთან ნოდარისკენ სვლა და მის ირგვლივ შემჭიდროვება დაიწყეს.

–მე რა გიშველოთ, თქვენ თვითონ არ გინდათ ხსნა. ხსნას ჩემში კი ნუ ეძებთ, თქვენს გონებაში მოძებნეთ. დაფიქრდით, გააანალიზეთ რაც ეთქვი და სხნასაც იპოვით.

–ჩვენს ხსნაზე უარს ამბობს! –წამოიძახა ერთ-ერთმა და სახეზე სიბრაზე დაეტყო. –უარს ამბობს. –დაიძახა მეორემაც გაბრაზებით. ეს სიბრაზე მყისიერად სხვებსაც გადაედო და ნოდარს სხვა აღარფერი დარჩენოდა ისევ გაქცევაზე ეფიქრა. სწრაფი ნაბიჯით დაუსხლტა ხალხს და გაიქცა. მას უკან მიჰყვა ხალხიც. ნოდარი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მაგრამ ხალხი მას ეწეოდა. ის ის იყო უნდა ხელი ეტაცათ, რომ ნოდარი მაღლა ჰაერში აიწია რამდენიმე მეტრით და თითქოს მიფრინავდა. ხალხი კი მაინც უკან მისდევდა. ნოდარმა ძალა მოიკრიბა და უფრო მაღლა იმ შენობის სახურავისკენ წავიდა, რომელშიც ცოტა ხნის წინ თვითონ იყო. ეხლა უკვე გაჩერდა ხალხი და მას ქვემოდან უცქერდა.

–აკი ვთქვი ქრისტეა-მეთქი. აბა ასე სხვა ვინ აფრინდებოდა? –წამოიძახა რამდენიმე კაცმა. ნოდარი კი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, შენობის თუ ტაძრის სახურავისკენ და უკვე მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ ბოლო წამს ძალა აღარ ეყო, სისუსტე იგრძნო და სახურავამდე ვერ

მიაღწია. სახურავის ნაცვლად კედლის ზემო კიდეს ჩამოეკიდა, რომ არ ჩამოვარდნილიყო. კიდე მორღვეული აღმოჩნდა, ნოდარი ვერ დაიმაგრა, რამდენიმე აგური მოძვრა, რომელსაც ხელი შეახო და აგურებიანად ძირს დაიწყო დაშვება.

—ეს რა ხდება, რატომ მიმტყუნა ბოლო წამს ძალამ თუ ბედმა? ამხელა სიმაღლიდან, რომ დავეცემი, ხომ აუცილებლად მოვკვდები? თუნდაც დანარცხებით არ მოვკვდე ეს აგურები, რომ დამეცემა ის მომკლავს და თუ ამ აგურებსაც სასწაულით გადავურჩი, ხალხი არ მაცოცხლებს. რა ვქნა? რა მოვიმოქმედო? როგორ გადავრჩე? დამეჯერებინა ჟორასთვის. —ფიქრობდა აფორიაქებული და შეშინებული ნოდარი. ასეთსავე შეშინებულს და საშინლად აფორიაქებულს გამოეღვიძა.

— „სიზმარი ყოფილა". —გაიფიქრა აფორიაქებულმა ნოდარმა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ვერ დამშვიდდა. — „კიდევ კარგი, რა საშინელი და უაზრო სიზმარი იყო, რამ დამასიზმრა ასეთი საშინელება? იქნებ ეს წინასწარი ინფორმაცია იყო? მე ხომ სხვა დროსაც მინახავს ასეთი სიზმარი, რომელიც თითქმის სრულად ასრულებულა. იქნებ რაღაც ინფორმაცია, გაფრთხილება გადმომცეს, რაც მოსალოდნელია, რომ ვიფრთხილოთ და თავიდან ავიცილოთ? არა ასეთი რამ როგორ მოხდება. ასე უმოწყალოდ დაერიოს ხალხი ერთიმეორეს და ხოცავდეს? თუმცა, ხომ იყო რამდენიმე წლის წინ შიდა ომი. ერთიმეორეს, რომ ხოცავდნენ. ხომ შეიძლება კიდევ განმეორდეს და თანაც უფრო უარეს მდგომარეობაში? რა, ხალხი დაბრძენდა? კი მაგრამ ისე როგორ დაბეზავდება, რომ მე ქრისტედ მიმიღონ? ჩემს ქალაქში ხომ ბევრი მიცნობს და ქრისტედ როგორ მიმიღებენ? —ეხლა გაახსენდა ნოდარს რომ ნანახ სიზმარში ჟორას მეტი ნაცნობი არავინ იყო. —რატომ არ იყვნენ ნაცნობები? სად გაქრნენ? თუმცა სიზმარს ხომ ვერ უბრძანებ, ასეთი იყო და მორჩა. კი, ასეთი იყო, მაგრამ ძალიან უცნაური. მსგავსი სიზმარი არასდროს მინახავს. მეც რომ ასე ჭკვიანურად ელაპარაკობდი, ეს რაღა იყო, სიზმარში რამ დამაბრძენა? სინამდვილეში, ხომ ალბათ ვერ შეეძლებ ასე დალაგებულად, წინასწარ მოუფიქრებელი აზრები გამოვხატო?" —ასე გააგრძელა ფიქრები ნოდარმა. გათენების პირი იყო, მაგრამ ჯერ კიდე ბნელოდა. კაცი ერთ ძილს კიდევ მოასწრებდა, მაგრამ აფორიაქებულ ნოდარს ძილი აღარ მიჰკარებია. მზის ამოსვლამდე ამ ფიქრებით იტრიალა ლოგინში, მერე კი წამოდგა.

სიზმრით აფორიაქებული ნოდარი ვერც ადგომის შემდეგ დაწყნარდა. რას არ მოჰკიდა ხელი, რომ გასართობი საქმიანობა გამოენახა, და სიზმარზე აღარ ეფიქრა, მაგრამ ფიქრები არ სცილდებოდა. უნდოდა ვინმესთვის მოეთხრო თავისი სიზმარი, მაგრამ ვერ გადწყვეტა ვისთვის. იქრობდა, რომ ყველა დასცინებდა. ბოლოს გადაწყვიტა გიასთვის მოეთხრო და სახლიდან გავიდა. ჯიხურში ჩვეულებისამებრ, ქეთინო დაუხვდა. მან აუწყა, რომ გია სამორიგეოდ იყო სმენაში. ნოდარი უკან გამობრუნდა.

მთელი დღე იხეტიალა თავის უბანში, ქალაქში და როგორც იქნა გადაავიწყდა სიზმარი.

მეორე დღის დილისთვის, გადაწყვიტა მამიდასთან წასულიყო. –„სამი კვირა გავიდა რაც ნათია მივიყვანე და არ მინახავს, წავალ ვნახავ, როგორ არიან, შეეგუენენ თუ არა ერთიმეორეს, იქნებ ვერ შეეგუენენ და უთანხმოება აქვთ? ხომ უნდა ვნახო". –იფიქრა ნოდარმა, და მეორე დღეს მართლაც წავიდა მამიდასთან.

მამიდას სახლთან მისულმა ნოდარმა, ეზოს კარის წინ გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, კარი დახურა და ეზოში შევიდა. ნათია ამ დროს მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში იყო. ავტომანქანის გაჩერების და კარის მიხურვის ხმა რომ გაიგო, იფიქრა ნოდარი იქნებაო, სახე გაუბრწყინდა, მყისიერად შეწყვიტა საქმის კეთება და სწრაფად ჩამოირბინა კიბეზე. ნოდარი რომ დაინახა ეზოში შემოსული, შერცხვა სიხარულის გამჟღავნების, შეჩერდა და შეეცადა მშვიდი სახე მიეღო. მიუხედავად სიხარულის დაფარვის მცდელობისა ნოდარმა მაინც იგრძნო, რომ მისი დანახვა გაუხარდა და თვითონაც ესიამოვნა. ნოდარი მივიდა, ნათიასთან ახლოს გაჩერდა და ღიმილით ჰკითხა:

–როგორ ხარ?

–კარგად, –უპასუხა გაბრწყინებული და ოდნავ მომღიმარე სახით ნათიამ.

–კმაყოფილი ხარ?

–კი. ძალიან.

–მამიდაჩემიც კმაყოფილია? ხო მარ აბრაზებ?

–რა ვიცი... ეგ მამიდას ჰკითხე.

–შეეჩვიე აქურობას?

–კი. მამიდაშენი კარგი ქალია. მასთან ადვილია ცხოვრება.

–ესეიგი, ისიც კმაყოფილია, რაკი კარგად გექცევა.

–ალბათ... –თქვა ნათიამ მხრების აწევით და ოდნავ თავის გვერდით გადახრით.

–სად არის?

–დაბლა ოთახშია. ალბათ ვერ გაიგო რომ მოხვედი.

–შენ როგორ გაიგე, მანქანის ხმა იცანი?

ნათიას უფრო მეტად გაეღიმა, თავი დახარა, შერცხვენილივით, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო და თქვა: –კი, ხმა გავიგე და.... აქ სხვა არავინ მოდის.

–შენ რა ვინმეს ელი? ვინ გინდა რომ მოვიდეს?

–ვის უნდა ველოდე? შენს მეტს ვის ვიცნობ? –თქვა ნათიამ და უხერხულობისგან მაღლა ხის ტოტებში, თითქოს რაღაცას ეძებდა ისე დაიწყო ცქერა, რადგან უნებლიეთ გაამჟღავნა, რომ მას ელოდა.

–ეს რა ლამაზი კაბა გაცვია... ძალიან გიხდება. მამიდამ გიყიდა? –ჰკითხა ნოდარმა, რომელსაც აღარც კი გახსენებია, რომ თვითონ დაუტოვა ფული.

ნათიას გაუხარდა რომ მოეწონა, რადგან ნოდარის დატოვებული ფულით იყიდა და ძალიან ცდილობდა ისეთი ეყიდა, ნოდარის მოსწონებოდა. ამოტომ ისევ დარცხვენით უპასუხა: –ფული ხომ შენ დამიტოვე.....

—კარგი, მამიდა ენახოთ. —თქვა ნოდარმა და დაბლა სართულის შესასვლელისკენ წავიდა. ნათიაც უკან გაჰყვა.

—უი, ნოდარი. შენ მოხვედი? შენ კი გენაცვალოს მამიდა. —თქვა მამიდამ და ნოდარ გადაეხვია. —როგორ გამახარე... როგორ ხარ, მამაშენიდან რა ისმის, როგორ არის?

—მეც კარგად ვარ და მამაჩემიც. შენ როგორ ხარ მამიდა?

—მე რა მიჭირს შვილი. შენ უსეთი გოგო მოიყვანე რომ, ცუდად როგორ ვიქნები? სულ თავს მევლება, ყველაფერს ეს აკეთებს, მე ხელს არ მატოკებინებს და.... ისეთი ყოჩაღია, არაფერს თაკილობს. პამიდორიც კი მომიხარშა ზამთრისთვის. იმდენი გვაქვს, ამდენი რად გვინდა? შენც წაიღე, ზამთარი წინ არის გამოგადგება.

—მე რად მინდა საჭმელს ხომ არ ვაკეთებ?

—რატომაც არა, მერე რა მოხდა, ძნელი ხომ არ არის? თუნდაც კერძი არ გააკეთო, ისეც ხომ შეიძლება გახსნა და ჭამო? კერძებს თუ არ აკეთებ, შენ უფრო გჭირდება, თორემ ჩვენ კერძსაც ვჭამთ.

—ესეიგი, არ გაბრაზებს ეს გოგო? —სხვა თემაზე გადაუტანა საუბარი ნოდარმა.

—რატომ უნდა გამაბრაზოს, შვილო. პირიქით გახარებული ვარ, ისეთი კარგი, ყოჩაღი გოგოა.... ისეთი ცქრიალაა, სულ საქმიანობს. ამის ხელები და ფეხები არ გაჩერებულა. ეგ არის რომ ხანდახან ძალიან სეუდიანია და ზოგჯერ მეშინია მე ხომ არ ვაწყენინე—მეთქი.

—არა, თქვენ რა უნდა მაწყენინოთ? ნეტავი ყველა თქვენნაირი იყოს. —თქვა ნათიამ.

—ეეჰ, მამიდ. ეხლა ისეთი ცხოვრებაა, მთლად დალხენილი ვინღაა? ამ გოგოსაც თავისი გაჭირვებული და სიავით სავსე ცხოვრება ჰქონდა. ყოველთვის მოლხენით ხომ ვერ იქნება? — თქვა ნოდარმა. ნათიას კი ამ სიტყვებზე მომღიმარი სახე დაუსევდიანდა.

—მესმის შვილო, რა თქმა უნდა. კარგი ცხოვრება რომ ჰქონოდა აქ, ჩემთან ხომ არ მოვიდოდა? სწორედ ამიტომაც ვცდილობ არ ვაწყენინო და არ დავუმძიმო ცხოვრება კიდე მეტად. იმასაც ვცდილობ არაფერი დავაკლო, მაგრამ ყველაფერს თავისი სურვილით აკეთებს და რომ მინდიდეს კიდეც დასავალებელი აღარაფერი რჩება.

—რა მოგივიდა, რატომ მოიწყინე? ცუდი წარსული რომ ვახსენე? მერე რა მოხდა? ეს წარსულია, წავიდა, მომავალი კი შენს ხელშია და უნდა გჯეროდეს რომ უკეთესი იქნება, თორემ ასეთი სევდით და უიმედობით ვერ ააწყობ მომავალს. არც ისეთი ცუდი წარსული გქონდა, რომ მომავალში ცუდად იმოქმედოს. მთავარია რომ კარგი გოგო ხარ, ჭკვიანი და შეცდომებს არ უშვებ. არც მომავალში დაუშვა შეცდომა და ბედი ყოველთვის შენს წინააღმდეგ არ იქნება. მოვა დრო და გაგიღიმებს. შენ იმსახურებ ამას. —თქვა ნოდარმა და შეეცადა ლაპარაკის ტონითაც გაემხნევებინა ნათია, მაგრამ ის ისევ მოწყენილი იყო და ხმას არ იღებდა. მაშინ ნოდარი მასთან მივიდა ორივე ხელში ხელები წაავლო და უთხრა: —ნუ დადარდიანდი, გაიღიმე, თორემ თავს დამნაშავედ ვიგრძნობ და აქ აღარ მოვალ. მაპატიე, რომ წარსული

გაგახსენე, მაგრამ მაროლა არა გაქვს ისეთი წარსული, რომ ამის გამო მომავლის გეშინოდეს. თუ რამ ცუდი გადაგხდა, ამაში დამნაშავე მეც ვარ და თავისთავად განვიცდი, როცა დარდიანს გხედავ. ხომ გითხარი, ჩემს შეცდომას გამოვასწორებ. მე მგონი უნდობლობა არ დამიმსახურებია. მენდე, ნუ გეშინია, გამხიარულდი. აბა გაიღიმე!

ნათიამ ნაძალადევად გაიღიმა და თქვა:

შენ არაფერში ხარ დამნაშავე, შენ რა შუაში ხარ? პირიქით, მადლობელი ვარ, რომ აქ მომიყვანე. მამიდასთან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ასე კარგად ბევრი დედაც არ ექცევა შვილს, როგორც მამიდაშენი მექცევა. ეს მოწყენილობა უნებლიედ მომდის და მაპატიე, მალე გამიელის.

–არა, ეხლავე უნდა გაიღიმო. აბა გაიღიმე –ნოდარმა, ნათიას ორივე ხელი ოდნავ მაღლა ასწია და ისეთი გულწრფელი თხოვნით და ღიმილით მიმართა, რომ ნათიამ თავი ველარ შეიკავა და გულწრფელად გაეღიმა. ოღონდ ეგ არის თან ცრემლი ჩამოუგორდა. ნოდარს კოცნა მოუნდა.... მაგრამ მამიდასი მოერიდა და თავი შეიკავა.

შუადღემდე მათთან დარჩა ნოდარი, შუადღის შემდეგ კი გამობრუნდა ისევ ქალაქში.

ქალაქში დაბრუნებულ ნოდარს, ახალი ამბები დახვდა, რაზეც აქეთ-იქით ჭორაობდნენ.

–გაიგეთ წუხელ რა მომხდარა? მილიციის უფროსს თავისი შვილები დაუხოცია. – როგორ დაუხოცია? –ეკითხებოდნენ მეორენი. –მანქანა დაუჯახებია და დახოცილან. –ზოგი ამბობდა: უფროსს კი არა, მოადგილეს დაუხოცნიაო. ზოგი იმასაც ამბობდა: ცოდვამ უწია, რამდენი ხალხი ჰყავს გაუბედურებული, ჰატარა ბავშვებსაც არ ინდობდა და ღმერთი მაგას როგორ აპატიებდაო. მეორენი ამბობდნენ: კი, მაგრამ ბავშვებმა რა დააშავეს თვითონ უნდა მომკვდარიყოო. მესამენი ამბობდნენ: დიდებული კაცი იყო და ეს რა საშინელება ეწვიაო. რა უსამართლოა ღმერთიო.

ნოდარმა წესიერად ვერც გაიგო ვინ ვის დაეჯახა, როგორ მოხდა ავტოავარია, ვინ და რამდენი დაიხოცა და არც დიდად დაინტერესებულა. საღამოს კი დათო ესტუმრა.

დათო მიესალმა, მოიკითხა და მოკითხვისთანავე ისიც ჭორის თემაზე ალაპარაკდა.

–გაიგე იმ კაცს რა მოსვლია?

–ვის კაცს? –ჰკითხა ნოდარმა.

–აი, ის გოგო რომ გააუბედურა... ჯიხურში რომ იყო...

–ნანა?

–რა ვიცი, ნანა ჰქვია, თუ რა ჰქვია. მე და შენ რომ ვიყავით ბაზართან და იქ რომ გოგოსთან შეხვედი ჯიხურში. არ გახსოვს?

–როგორ არა მახსოვს. ნანა ჰქვია.

–ჰოდა იმ კაცმა, ის გოგო რომ გააუბედურა, გუშინ საღამოს თავისი შვილები დახოცა. არ გაგიგია ეს ამბავი?

–ეს კი გავიგე, მაგრამ ის კაცი თუ იყო, არ ვიცოდი. შენ რა იცი, რომ ის კაცია ნამდვილად?

—როგორ არ ვიცი, მაგის გარკვევას რა უნდოდა? ის გოგო ხომ ჩემი სოფლის მეზობელი სოფლიდან არის. იქიდან ვინ მუშაობს პოლიციაში და ვინ რას წარმოადგენს ხომ ვიცი. ის კაცი ასეთ ბინძურ საქმეში სხვადრიოსაც ყოფილა შემჩნეული.

—კი მაგრამ როგორ დახოცა? ხალხი ისე ჭრელად ლაპარაკობს ვერაფერი გაიგე.

—იმ კაცის შვილს, გოგოს, დაბადების დღე ჰქონია და მეგობრები მიუწვევია სახლში. საღამოს ძმისთვის უთხოვია მეგობრები გადავიყვანოთ ქალაქშიო და ისიც დათანხმებია. ჩაუსვამს თავის და, მისი მეგობრები და წამოსულან. ხომ იცი, მაგისთანა კაცის შვილები რა სისწრაფით და თავხედურად დადიან. ავტოინსპექციის მაგათ არ ეშინიათ და... თურმე სწრაფად მოდიოდა. აქედან კი მათი მამა მიდიოდა სახლისკენ სწრაფად. საღამო ხანი იყო, უკვე ჩამობნელებული, შორს მანათობელი ანთებული შუქები არც ერთმა არ ჩააქრო, არცერთმა გზა არ დაუთმო და დაეჯახნენ. რა თქმა უნდა, რომ ეცნოთ ერთიმეორე, აუცილებლად დაუთმობდნენ... ალბათ გააჩერებდნენ კიდეც, მაგრამ ღამე შუქებით ხომ ვერ იცნობდნენ? მეგობრები გადარჩნენ, მაგრამ ეს და-ძმა წინ ისხდნებ და ორივე მომკვდარა.

—რა ასაკის იყვნენ? —ბიჭი 17-ის, გოგო 16-ის.

—თვითონ იმ კაცს რა მოუვიდა?

—ისიც ტრაუმირებულია და საავადმყოფოში წევს. ამბობენ არ იცის რომ თავისი შვილები დახოცაო.

—საწყალი ბავშვები, ნაძირალა მშობლების გამო ისინი რატომ უნდა კარგავდნენ სიცოცხლეს?

ნოდარს თავისი სიტყვარი გაახსენდა და იფიქრა ეს ხომ არ არის რაც ვნახე, ამაზე ხომ არ ამიცხადდაო, მაგრამ მალე უარყო, მე რა შუაში ვარ ამ საქმეშიო.

—აქმდე არც მიკითხავს, იმ გოგოს საქმე როგორ წავიდა? წაიყვანე თბილისში? —ჰკითხა დათომ ნოდარს.

—ჰო, წაიყვანე, თავის დასთან. ამასწინათ ვიყავი, ვნახე, კარგად არიან. ჩემი მისელა ძალიან გაუხარდათ. ის გოგო მამას მეძახის. ისეთი სიხარული და ცხოვრების მომავლის, იმედი ვნახე ჩემი მისვლით მის თვალებში, რომ გადაეწყვიტე ურთიერთობა შეეინარჩუნო და სხვა დროსაც ეესტუმრო.

—ესეიგი, კარგად იქცევა?

—ჰო. კარგად იქცევა და კარგადაც სწავლობს. ანდა რატომ არ უნდა მოიქცეს კარგად? რაც მოუხდა მისი სურვილით ხომ არ მომხდარა? მის დას იმისიც კი ეშინია საერთოდ მამაკაცი არ შეძულდეს და გასათხოვარი არ დარჩესო.

—უთხარით ყველაფერი მის დას? —ჰკითხა დათომ.

—აბა რა გვექნა? მისთვის რომ დაგვემალა, ნანას თბილისში გადაყვანის მიზეზი სხვა რა, მოგვენახა? სხვა ოჯახის წევრებისათვის კი არაფერი უთქვამთ. —უპასუხა ნოდარმა.

—ჰო. ასე სჯობია. რაც მეტი გაიგებს, მით უფრო დაუმძიმდება მდგომარეობა. ამ ამბავს რომ გაიგებს, შეიძლება ცოტა გულზე მოეშვას.

თუმცა, ბავშვები რა შუაშია. კი უნდა გამწარებულიყო ის კაცი, მაგრამ არა ბავშვების დაღუპვით.

–ის გოგო, ხომ მაგ კაცის გოგოსთან ერთად ემზადებოდა. კარგად იცნობდა და ისეთი გოგოა, გულზე კი არ მოეშვება, უფრო გამწარდება. შვილებიც ხომ მის მსგავსად ფაქტიურად იმ კაცის მსხვერპლი აღმოჩნდა.

–ხო. მართალია, –თქვა დავითმა.

–მაინ ხომ არ გინახავს.

–არა. აბა სად ენახო? გარეთ გამოსელა აუკრძალა და სახლში ხო ვერ მივაკითხავ? არც მე ვცდილობ ნახვას. მეშინია ამის გამო არ გამწარდეს. ბოლოს და ბოლოს მე თუ არ გამომაყოლებს, ისე მაინც იყოს მშვიდად.

–ასე სჯობს. ნათქვამია: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო". თუკი არანაირ სიკეთეს არ მოგიტანს მისი ნახვა და მისი მდგომარეობაც უფრო გართულდება, სჯობს აღარ ნახო და ნელ-ნელა ორივეს დაგავიწყდებათ. –უპასუხა ნოდარმა.

–ჩვენ არაფერი დაგვავიწყდება, მაგრამ სხვა გზა ვერ გამოვნახეთ და რა ვქნათ?

–გულის გადასაყოლებელიც კარგი ვიპოვეთ. კოსმიურ ფილოსოფიაზე იფიქრე და ადვილად გადაიტან მაგ ამბავს. რამდენი ხანია ამ საკითხზე აღარ გვისაუბრია. წავალ გიას დავუძახებ და ვისაუბროთ.

–კარგი, დაუძახე –თქვა დათომ და ნოდარიც წავიდა გიას მოსაყვანად.

რამოდენიმე წუთში გიაც მოიყვანა და შუაღამემდე საუბრობდნენ. რაც მეტს საუბრობდნენ, მით მეტს არკვევდნენ, მაგრამ ამავე დროს მით მეტად ხვდებოდნენ., რომ არც ისეთი მარტივი იყო, როგორც თავდაპირველად მიიჩნიეს. შუაღამე მიტანებულს კი თავის სახლებში წავიდნენ გიაც და დათოც.

ერთი კვირა გავიდა, სექტემბრის მეორე ნახევარი იყო და კახეთში რთველი დაიწყო, ნოდარმაც გადაწყვიტა შაბათს დაეკრიფა ვენახი. ამისათვის თადარიგი დაიჭირა, ქვევრი გარეცხა, მანქანა შეაკეთა, ძმასაც გააგებინა რთველი მაქვს და ჩამოდი ბავშვები ჩამოიყვანეო, რაზეც დიდი ბოდიშის მოხდით უარყოფითი პასუხი მიიღო: მადლობელი ვარ, მაგრამ არ მცალია და ვერ ჩამოვალ, მაპატიეო. მეზობლები, გია და ნუგზარი თავისი ვედროებით და საშკა თავისი ტრაქტორით დაპატიჟა, დათო კი თავისი მანქანით მოვიდა და შაბათ დილით ადრე წავიდნენ ვენახის საკრეფად. ნოდარს ნათიას მოყვანაც უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან, რომ კითხონ ვინ არისო?

საღამომდე მოკრიფეს, ნაწილი დაწურეს, ნაწილი ქარხანას ჩააბარეს, კარგადაც დაიღალნენ და საღამოს სუფრას მიუსხდნენ. წლის მოსავალი და ადგილის დედაც დალოცეს, სხვა რამოდენიმე სადღეგრძელოც დალიეს,რომ დანაყრდნენ და სალაპარაკოდ „მოიცალეს" ლაპარაკსაც უმატეს, რაშიც ღვინოც დაეხმარათ.

—ამდენი ხორბლის მოსავალი აიღე და რატომ არ ჰყიდი? —უთხრა ნუგზარმა ნოდარს. —შეიძლება ჭია გაუჩნდეს და გაგინადგუროს. მერე ნახევარ ფასშიც ვეღარ გაყიდი.

—მართალს ამბობს. —უთხრა დათომ ნოდარს. — ხორბალი თუ ძნელია გასაყიდად, დაფქვი, ფქვილი გაყიდე და უფრო მეტი მოგება დაგრჩება.

—აზრი მომივიდა ორი კვირის წინ. იქნებ ჩვენ თვითონ გამოგვეყენებინა? —თქვა ნოდარმა.

—როგორ გამოვიყენოთ? —იკითხა გიამ.

—პურის საცხობი გავაკეთოთ, გამოვაცხოთ და პური გავყიდოთ. პურის საცხობი თითქმის ყველა დენზეა. დენი კი ყოველთვის არ არის. თანაც ბევრ ელექტროენერგიას ხარჯავს. ყველა დენის საცხობი მხოლოდ ნაწილს იხდის. აღურიცხავად, მრიცხველის გარეშე იყენებს ენერგიას და მხოლოდ მცირე ნაწილის საფასურს ჯიბეში უდებენ შემმოწმებლებს და ამით არსებობენ. სწორი აღრიცხვა რომ მოხდეს ვეღარ იარსებებენ თუ პური არ გააძვირეს. ასეთ შემთხვევაში, თუ ჩვენ ისეთ საცხობს მოვაწყობთ რომ უფრო იაფი ენერგია გამოვიყენოთ, ხელსაყრელი ფასები შეგვიძლია დავადოთ, არც ენერგეტიკული კრიზისი გვექნება, არც ფინანსური.

—ასეთი იაფი ენერგია რა არის? —იკითხა გიამ.

—შეშის მსხვილი კუნძები, რომლებიც არავის სჭირდება და მრავლად ყრია ტყეში. ფული გადავიხადოთ კანონიერად და გამოვიტანოთ. ამით ტყეც გასუფთავდება და დაავადებები არ გაჩნდება.

—ასეთი კუნძები იმიტომ არ მიაქვთ რომ ძნელი დასახეთქია. —და ჩვენ როგორ დავხეთქავთ? —თქვა ნუგზარმა.

—ჩვეულებრივი ღუმელის ზომისათვის ძნელი დასახეთქია, მაგრამ ჩვენ ისეთი ღუმელი უნდა გავაკეთოთ, რომ უფრო მსხვილი შეშა შეეტიოს. წავიდეთ, პურის საცხობები დავათვალიეროთ, შევისწავლოთ, პროექტი შევადგინოთ და ავაშენოთ.

—როგორ უნდა ავაშენოთ? —იკითხა საშკამ.

—მე ხომ ვთქვი, წავიდეთ და შევისწავლოთ. ჯერჯერობით კი ასე წარმომიდგენია. აგურის, რამდენიმე კუბური მეტრის მოცულობის სათავსო, რომელსაც შუაში ექნება რკინის საკანი—სათავსო, რაშიც პური უნდა გამოცხვეს. საკანის ირგვლივ რა თქმა უნდა სიცარიელე ექნება, რომ ცხელმა ჰაერმა იმოძრაოს და სათავსო გააცხელოს. ამ საკანის ქვეშ კი კუნძები შეიყრება და აინთება. კუნძები ნელა იწვის და დიდხანს ეყოფა. —თქვა ნოდარმა.

—მცხობელები? —ჰკითხა დათომ.

—გიას დედა და ქეთინო გამოაცხობს. —თქვა ნუგზარმა.

—არა. —თქვა ნოდარმა. —ქეთინოს ორ თვეში ბავშვი ეყოლება და ამისათვის არ ეცლება. თანაც მაღაზიასაც ხომ უნდა მიხედონ? ეს საქმე ჩვენ უნდა ვითაოთ, ჩვენ ყველამ, ვისაც სურვილი გაქვთ. ნუგზარ! შენ შეგიძლია შენი მეუღლე და დედაც ამუშაო. საქმე რომ გამოუჩნდებათ ჩხუბისათვის აღარ მოიცლიან.

ნუგზარს სახეზე კმაყოფილება შეეტყო, საშკამ კი წამოიძახა: მეც უნდა ვიმუშაო?

–რა თქმა უნდა. თუ სურვილი გაქვს. შენი ტრაქტორიც გამოგვადგება კუნძების მოსატანად.

–რატომ არ ვიქნები თანახმა? კარგი საქმეა. მაინც არაფერს ვაკეთებ და....

–თუ სხვებიც დაგეჭირდება, დავიმატებთ. ჯერ კი კარგად უნდა დავამუშაოთ პროექტი, რომ ტყუილი წვალება არ გამოგვივიდეს.

–მართლა კარგი საქმეა. შემდგომში შეგიძლიათ გააფართოვოთ წარმოება. შეგიძლიათ პურის გარდა სხვა ნაწარმიც გამოუშვათ, –თქვა დათომ.

–შენ რა, უარს ამბობ. –უთხრა ნოდარმა დათოს

–მე აბა შორს ვარ და... სისტემურად აქ ხომ ვერ ვიქნები?

–სისტემატურად არც არის საჭირო. ყოველდღიურად არც ჩვენ ვიმუშავებთ. სმენებს დავაწესებთ და თავისუფალ დროს სხვა საქმესაც მივხედავთ.

კიდე კარგა ხანს იმსჯელეს ამ საკითხზე. აზრი ყველას მოეწონა, მაგრამ კონკრეტულად როგორ გაკეთებულიყო, ზუსტად ვერავის წარმოედგინა. ამიტომ ყველა დაეთანხმა ნოდარს, რომ აუცილებელი იყო კარგად შესწავლა და მოფიქრება. დათქვეს, რომ უახლოეს დღეებშივე დაეწყოთ ამ საქმის შესწავლა. შემდეგ კი დაღლილებს დიდხანს ჯდომის სურვილი აღარ ჰქონდათ და მალე დაიშალნენ.

შემდეგ დღეებში ამ იდეისადმი დაინტერესება გამოიჩინეს და შემოიარეს მთელი რაიონის პურის საცხობი. მხოლოდ საშკა არ წასულა არსად, რომელმაც განაცხადა, რომ მის წასვლას აზრი არა ჰქონდა, მაინც ვერაფერს გაარკვევდა, სადაც თონე იყო საცხობად იქ არ მისულან, რადგან ჩათვალეს, რომ არაფერში გამოადგებოდათ დანარჩენი საცხობები კი ყურადღებით დაათვალიერეს და ზოგის ნახაზიც ჩაიხაზეს. შემდეგ სახლში შეიკრიბნენ ნოდართან და იმსჯელეს, როგორი შეიძლება ყოფილიყო მომავალი პურის საცხობი, ერთ კვირაში უკვე სავარაუდო საცხობის ნახაზიც შეადგინეს, მაგრამ გადაწყვიტეს მშენებლობის დაწყება არ ეჩქარათ. ყველაფერი კიდევ გადაესინჯათ და კარგად გაეანალიზებინათ, რომ ისევ დასანგრევი არ გამხდარიყო.

უბანში კი ხმა გავრცელდა ნოდარს საცოლე ჰყავს და სადაცაა ცოლად მოიყვანსო. ეს ჭორი რა თქმა უნდა ვაუასგან გავრცელდა, რომელმაც რამოდენიმე ადგილას თქვა, რომ ნოდარს საცოლე ჰყავდა, რომელიც ერთხელ სათევზაოდაც ჰყავდა ალაზანზე. ხალხმა დაიჯერა, მაგრამ დადასტურებისათვის ნოდარს რომ ვერ უბედავდნენ გიას ეკითხებოდნენ. გია კი მკაცრად უარყოფდა. ამბობდა, რომ შეყვარებული მართლაც ჰყავდა მაგრამ წარსულს ჩაბარდა ეს ისტორიაო. ზოგი უჯერებდა გიას, მაგრამ უმრავლესობას არ სჯეროდა და ღიმილით ეუბნებოდნენ: რას მალავთ, აქ რა არის ცუდი და დასამალი? კარგი ბიჭია და ღმერთმა ბედნიერება მისცესო. ამ სიტყვებზე გია ბრაზდებოდა,

მაგრამ რა უნდა ექნა? ხომ არ გალანძღავდა? თეითონ კი არასდროს ეჭვი არ შეპარვია, რომ საცოლე არ ჰყავდა ნოდარს.

ნოდარი, მას შემდეგ რაც ნათია გაიცნო მესამედ მიდის სათევზაოდ. წინა ორი თევზაობა ფაქტიურად გასეირნება გამოუვიდა, რადგან გული ვერ დაუდო, უგულოდ კი თევზს ვერ დაიჭერ. საითაც გაიარა ყველგან ნათიასთან გატარებული ეპიზოდები ახსენდებოდა და თევზაობის ინტერესი ვერ გამოიჩინა. ამიტომ ორჯერვე რამოდენიმე საათში გამობრუნდა უკან. ამჯერადაც მხოლოდ თავს იტყუებდა თითქოს სათევზაოდ მიდიოდა, რაზეც ეაჟამაც მიანიშნა ჩვეული ლაპარაკის მანერით.

–ძმაო, შენი ვერაფერი გამიგია. რა თევზაობის მანია აგიტყდა. ადრე იშვიათად თევზაობდი და მართლა თევზაობდი, ეხლა კი, მოდიხარ ორი ანკესით და ისევ მალე მირბიხარ. ასე თევზს როგორ დაიჭერ? შენ ალბათ ვინმეს ხვდები აქ თორემ... ან ეხლა რა თევზი უნდა დაიჭირო ანკესით ოქტომბრის შუა რიცხვებში? მე რომ მოვდივარ ბადეები მომაქვს და ამით ვიჭერ, ისიც ძალიან ცოტას. შენ ანკესებით როგორ უნდა დაიჭირო? ორ ცალს თუ დაიჭერ ისიც სასწაულია.

–მე სათევზაოდ კი არ მოვდივარ, ჩემი ჭიაყელა მინდა წყალში ვაბანაო. შენ რა, პრეტენზია გაქვს? თევზს რომ ვერ დავიჭერ ვიცი, მაგრამ ცოტას ხომ დავისვენებ? აქ ვის უნდა ეხვდებოდე, რომელი საპაემნე ბულვარი აქ არის? თუ ვინმეს ნახავ მინდა, ვიცი სადაც უნდა ვნახო და ვნახულობ კიდეც. – ამ ვინმეში, რა თქმა უნდა ნოდარმა ნათია იგულისხმა, რადგან ეაჟამ სწორედ მის გამო თქვა, შენ ალბათ ვინმეს ხვდებიო..

–რა იყო ძმაო, რა გეწყინა, საწყენი რა ვთქვი? –თქვა ეაჟამ, რადგან ნოდარის ლაპარაკის ტონი ცოტა მკაცრი მოეჩვენა.

–არაფერ მწყენია,მაგრამ ზოგიერთ საკითხზე ლაპარაკი არ მიყვარს. –თქვა ნოდარმა და ამით გაახსენა, იმ დროინდელი ნათქვამი, როცა სთხოვა ეაჟას, რომ ნათიას შესახებ არაფერი ეკითხა და არაფერი ეთქვა.

–კარგი ძმაო, გავჩუმდები. –თქვა ეაჟამ და ალაზნის ხიდამდე მართლაც ხმა აღარ ამოუღია.

–აქ ჩახვალ ისევ? –ჰკითხა ეაჟამ ნოდარს ხიდთან მიახლოებისას.

–ჰო, აქ მირჩევნია. –თქვა ნოდარმა.

–მე ფეხით ავალ, რაღაზე გაწვალო. შენ დარჩი.

–მიგიყვან არ მეზარება. –თქვა ნოდარმა და იმ ნაცნობ გზაზე გაუხვია რომელზეც ეაჟა დადიოდა მუდმივად. ეაჟა ჩამოსვა და ისევ უკან –ხიდთან დაბრუნდა. ანკესები გადმოიღო, ხის ჩრდილში მიეიდა, ანკესები იქვე დააწყო და ჩრდილში დაჯდა.

–ეაჟა მართალია... ფიქრობდა ნოდარი. "რისთვის მოვდივარ სათევზაოდ? თევზაობა ხომ მართლა მეზარება, არ მინდა და მაინც წამოვედი. რისთვის? რომ ამბობენ, თევზაობა სენია და თუ შეგეყარა ველარ მოიცილებო, მართლა ასე ხომ არ დამემართა? თუ ასეა რატომღა მეზარება? ასეთ შემთხვევაში ხომ არ უნდა მეზარებოდეს?

არც ნათია რომ იყო აქ, და არც სხვა დროს ერთი წუთით არ დამსარებია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიხარულით არასდროს წამოვსულვარ. ეხლა კი, გული აქეთ მომიწევს, მაგრამ თევზაობა მეზარება. მიზეზი ნათია ხომ არ არის? არა, ნათია რა შუაშია? ნათიას გამო აქ რატომ უნდა წამოვიდე? თუ მისი ნახვა მინდა, სადაც არის იქ წავალ და ვნახავ... ისე კი ხვალ, რომ წავიდე მართლა სჯობია. ერთი თვე გავიდა რაც არ ვყოფილვარ მამიდასთან და დროა წავიდე. იქნებ რა ხდება, ხომ იტყვის მამიდა, მომიყვანა აქ დამისვა და თვითონ კი დაიკარგაო. რა თქმა უნდა მართალიც იქნება. ხო, მართლია ხვალ წავალ და ვნახავ."

—ამ ხის ჩრდილშიც რამდენიმეჯერ ვისხედით ერთად. აქ რომ ვისხედით სწორედ ამ დროს იყო ანკესის ზარმა, რომ დარეკა და გაიქცა. უფრო დიდი თევზი, რომ ამოიყვანა წყლიდან ვიდრე მანმადე, როგორ უხაროდა ბავშვური გულწრფელობით და მეამიტობით.... ხელში რომ დაიჭირა და გამოიქცა ჩემსკენ აი რამხელა თევზი დავიჭირეო. ხელში ათამაშებდა რა ლამაზიაო. მერე მთხოვა ცოდოა, ამასაც ხომ სიცოცხლე უნდა, გავუშვათო. მე დავეთანხმე, მაგრამ მაინც ბადეში ჩასვა, რომ მე არ მწყენოდა. რა ბედნიერი იყო იმ წუთებში, როცა თევზი ამოიყვანა და ჩემსკენ გამორბოდა, ბედნიერი და ლამაზიც. ლამაზი კი არა ულამაზესი იყო. საოცრება იყო, როგორც კი რაღაც სიხარული დაეუფლა, იმ წამსვე გადაავიწყდა თავისი მწარე ცხოვრება, დარდები და მაშინვე ულამაზეს და უბედნიერეს ქმნილებად იქცა. კარგი გოგოა ნათია ნამდვილად ღირსია კარგი ქმარი ჰყავდეს და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს. —როდემდე უნდა ვიჯდე აქ? ანკესები მაინც ჩამეყარა წყალში იქნებ რაიმე წამოეგოს. —გაიფიქრა ნოდარმა, ნემსკავზე ჭიები წამოაგო და წყალში ჩაუშვა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რატომ მიუწევდა გული სათევზაოდ, ან რატომ ახსენდებოდა ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე ნათიასთან გატარებული წუთები, ან რატომ ჰქონდა ამ წუთების გახსენებისას სევდიანი და ოდნავ ღიმილიანი სახე ნოდარს, მაგრამ თავისთავს არაფრით არ უტყდებოდა. ისიც კი იფიქრა, იქნებ ვინმე კარგი ბიჭი მოვუძებნო ნათიას და გავაცნოო. სხვას, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს, მისთვის რომ მოეთხრო თავისი მდგომარეობის შესახებ, წამსვე ეტყოდა შეყვარებული ხარო, მაგრამ თავისთავში ამას ვერ ამჩნევდა. ისე იქცეოდა თითქოს აკრძალული იყო მისთვის ნათიას შეყვარება, როგორც ვთქვათ ახლო მეგობრის ან ნათესავის, თუმცა უმხელდა თუ არა თავის თავს ენატრებოდა ნათია, მასთან სიახლოვე სწყუროდა და ეს სიყვარული იყო.

საღამომდე, ვაჟას მოსვლამდე, რამდენიმე პატარა თევზი მაინც დაიჭირა, რითაც ეთქმოდა, რომ სახლში ცარიელი არ ბრუნდებოდა. ვაჟას მოსვლისას კი ჩასხდნენ ავტომანქანაში და სახლში დაბრუნდნენ.

მეორე დღეს წამოდგა თუ არა ლოგინიდან, მაშინვე გაახსენდა წინა დღის გადაწყვეტილება, რომ მამიდასთან და ნათიასთან წასულიყო. იფიქრა: დილით ადრე ხომ არ დავადგები თავზე, შუადღისკენ წავალო

და უბანში გავიდა გასართობად. ქუჩაში, რომ გავიდა ჯიხურის წინ გია და კიბო საუბრობდნენ, ნოდარიც მათ შეუერთდა. მისალმების შემდეგ კიბომ განაგრძო: –ყველაფერი წარმავალია. დრო მოდის, დრო მიდის და ყველაფერს ცვლის. ბევრი რამ რაც გუშინ ნახე, ხვალ შეიძლება ველარ იხილო. მაგალითად მე, დღეს შეიძლება უკანასკნელად მხედავდე.

–შენ რა სადმე გამგზავრებას აპირებ? –ჰკითხა ხუმრობის კილოთი ნოდარმა.

–ჰო, რას იზამ. განგებას წინ ვერ აღვუდგებით. დრო მოვიდა და უნდა გავემგზავრო.

–სად მიემგზავრები კიბო? –ჰკითხა ისევ ნოდარმა.

–იქ, სადაც დღემდე გამგზავრებულა ყველა ჩემი წინამორბედი, მაგრამ თქვენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? ერთი კაცით მეტი თუ ერთი კაცით ნაკლები თქვენს სანაცნობო წრეში დიდად ვერ შეცვლის რამეს. მთავარია თქვენ იაროთ სწორ გზაზე. ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება შეგხვდებათ. შეიძლება ზოგჯერ უფსკრულის პირასაც აღმოჩნდეთ, მაგრამ ეს არ არის საშიში. საშიში ისაა თუ გონება არ გიჭრით და ხიდის მოძებნის უნარი არა გაქვთ, თუ სიბრმავე დაგეუფლათ და რწმენის იმედზე დარჩით, სხვამ რომ მიგიყვანოთ ხიდთან. ბრმას მეტი რაღა დარჩენია გარდა რწმენისა, სხვას ენდოს, სხვისი სწამდეს, რომ მიიყვანს ხიდთან, მაგრამ ყველა, რომ სანდო არ არის? ამიტომ, თუ ბრმა არა ხარ, დაელოდე ხილულნი როგორ გადაივლიან და მერე გადაიარე. ხომ გაგიგონია "წინა კაცი უკანასთვის ხიდიაო". ასეთი ხიდები კი მრავლად იყვნენ და ეხლაც არიან.

–შენ ხომ ასეთი ხიდი ხარ? –უთხრა გიამ.

–რა ეიცი შეიძლება ხიდადაც გამოგადგეთ. თუმცა არა, მე ხიდი არ ვარ. მე ხიდის საყრდენი ვარ, რომელსაც უნდა გადაიაროონ. თქვენ ახალგაზრდები ხართ, მომავალი წინ გაქვთ, დროში ცხოვრობთ და დროს მიჰყვებით. ჩემი დრო კი დამთავრდა. მე ერთ ადგილზე დავრჩები ხიდის საყრდენის სახით. თქვენ კი ამ ხიდზე გადაივლით და წახვალთ წინ. მომავალში კი შეიძლება თავად იქცეთ გარკვეულ ხიდად, ან ხიდის საყრდენად, რომ თქვენს უკან მომავალი, ახალი თაობა, ახალი გზით გააატაროთ. გზისკენ, რომელიც უფრო მეტ ნათელს მოჰფენს ყოველივეს და უფრო მეტი შემეცნება და სიყვარული იქნება.

–რანაირად ლაპარაკობ კიბო. შენ რა, სიკვდილს აპირებ? –ეთხრა ნოდარმა.

–ეჰ, ვინ იცის იქნებ მართლაც მოვკვდე. თუკი იმ ხიდზე, რომლის საყრდენიც ვარ არავინ გადაივლის, ასეთი ხიდი მკვდარია. ეხლა კი წავალ მეჩქარება. აკი გითხარით ჩემი დრო მთავრდება და ბევრი საქმე მაქვს მოსასწრები. თქვენთან კარგია, მიყვარს საუბარი, მაგრამ დრო მბრძანებელია. იგი მხოლოდ ღმერთს უწევს ანგარიშს და მის გარდა ყველაფერს თავისი ძალის მონობაშიც ამყოფებს. დროის ნების გარეშე ყერაფერს მოიმოქმედებ. თუ არ ისურვებს ვერც კი იარსებებ. მასთან ყველანი უძლურები ვართ, –თქვა კიბომ.

–ეგ რაღა შოლტი გკიდია, ხარები გყავს? – ჰკითხა გიამ.

—ხარებს შოლტი რად უნდათ, რას აშავებენ? შოლტი ხალხს უნდა, ისინი იმსახურებენ, რადგან თავის გზასაც ამრუდებენ, ღმერთისასაც და წინაპრებისასაც. აკი გითხარით მივდივარ და წასელის წინ ყველას თავისი წილი უნდა გადავუჭირო, ვინც რამდენი დაიმსახურა.

—მაშინ ჩვენიდან დაიწყე, ჩვენ ხომ აქ ვართ. —უთხრა ნოდარმა. —თანაც ჩვენ ხელს არ შემოგიბრუნებთ, სხვამ კი ვინ იცის...

—არა, თქვენ ბოლოს. შოლტი ჯერ ახალია, მწარედ ხვდება, თქვენ კი ასეთს არ იმსახურებთ. თქვენი რიგი, რომ დაგება იქამდე გაცვდება და მწარე აღარ იქნება. თანაც იმ დრომდე შეიძლება თქვენ აღარც დაგჭირდეთ.

—ერთი მითხარი ხშირად რომ ყვირი მეორე მოდისო, მეორეში რას გულისხმობ? შენნაირი კაცი მოვა თუ, ქრისტეს მეორედ მოსვლას გულისხმობ? — ჰკითხა ნოდარმა.

—ერთ სვეტზე არაფერი აიგება, თუ მას სხვა საყრდენიც არა აქვს. ორი სვეტი კი სიმაგრის შემმატებელია და უკვე საქმისადმი სერიოზულ მიდგომაზე მეტყველებს. —თქვა კიბომ და წავიდა.

—ვერაფერი გავიგე. შენ მიხვდი რამეს? —ჰკითხა ნოდარმა გიას.

—ვერა, ვერც მე მივხვდი რა იგულისხმა იმ ორ სვეტში. —თქვა გიამ.

—მოიცადე კიბო! —შეაჩერა ნოდარმა და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. —ესეიგი, ხიდის მეორე საყრდენს გულისხმობ?

კიბო შეჩერდა, შემობრუნდა და უთხრა:

—ხიდის საყრდენს რა ფასი აქვს, თუ საწყისშიეე ხიდი არ არის მიზნად დასახული. ხიდი კი თქვენ უნდა ააგოთ, თქვენმა თაობამ, საყრდენიც თქვენ უნდა ამოიცნოთ და გამოძებნოთ, ქრისტეანული.

—ესეიგი, მაგ მეორეში ქრისტეს გულისხმობ? —ჰკითხა ისევ ნოდარმა.

—ქრისტე თავად ხიდია და არა მისი საყრდენი.

—ესეიგი, ახალი ქრისტეანული რელიგია უნდა შევქმნათ? —ჰკითხა გიამ.

—შეიძლება მთელი ცხოვრება არ გეყოს, ქრისტეს ცნობიერება, რომ შეისწავლო, ახალი როგორ უნდა შექმნა? რაც დღემდე კაცობრიობას შეუმეცნებია, ის რომ შეისწავლო დაშეიმეცნო იმდენად დიდი ნათელია, დღეს მასზე უკეთესს ახალს ვერავინ შექმნის. —თქვა კიბომ შებრუნდა და გზა გააგრძელა. ნოდარი კი გიასკენ შებრუნდა და მიღებული პასუხით უკმაყოფილომ მხრები აიჩეჩა გაურკვეველობის გამოსახატავად.

—რაღაც დღეს სხვანაირი იყო, თითქოს უფრო დათრგუნულს ჰგავდა, თითქოს მართლა სიკვდილს ელისო. ნაცემიც ხომ მინახავს და ასეთი დათრგუნული საუბარი მაშინაც არ ჰქონია. ნაცემიც გარკვეულ სიამაყეს და პრინციპულობას ინარჩუნებდა. დღეს კი რაღაც გატეხილი ჩანს. —თქვა ნოდარმა.

—მართლაც. დღეს ჩვეულ კიბოს არ ჰგავდა. რაიმე სნეულება ხომ არ შეეყარა. —თქვა გიამ.

—რომ ჰკითხო, თვითონ მაინც არ გეტყვის. ტყეში, რომ წავალთ ბერიკაცს ეკითხოთ.

—რამდენი ხანია აღარ ეყოფილვართ. ოთხი თვე გავიდა. როდის წავიდეთ? ასე იშვიათად თუ ვიარეთ, ყველაფერი დაგვაეიწყდება.

–თუნდაც ხვალ წავიდეთ. ეხლა მაინც აღარფერი გვაქვს საქმე. –თქვა ნოდარმა.

–დათოს სცალია? ისიც ხომ წამოვა?

–რა ვიცი, დიდი ხანია აღარ მინახავს. დღეს წავალ, ვნახავ და გავიგებ. –თქვა ნოდარმა და სახლისკენ წავიდა.

დათოსთან წასვლას ნოდარი ავტომანქანით აპირებდა, მაგრამ უკანასკნელ წუთს გადაიფიქრა. მანქანა რად მინდა? არც ცივა, არც ცხელა და არც შორსაა. ფეხით წავალ, ცოტას გავისეირნებ და შუადღეც მოვაო. ასეც მოიქცა და ფეხით მივიდა დათოსთან.

დათო ქუჩაში დაუხვდა. სახელდახელოდ გამოტანილ პატარა მაგიდაზე მეზობელ ბიჭებთან ერთად დომინოს თამაშობდა. ნოდარის დანახვაზე წამოდგა და დასრულება სხვას სთხოვა.

–საამისოდ მოიცალე? –ჰკითხა ნოდარმა ხუმრობით.

–რა ვიცი, საქმე არ მქონდა და... წავიდეთ სახლში. რამდენი დღეა შენთან გამოვლას ვაპირებ და ვერ მოვახერხე. ხან რა მიშლის ხელს და ხან რა. –თქვა დათომ.

–თუ გუილით გინდოდა მოახერხებდი. ეხლა რა გიშლიდა ხელს, დომინო?

–ზუსტად ასეთი წვრილმანი უსარგებლო რამეები ხდება ხელის შემშლელი.

–ჰო, ასეთი წვრილმანებია ხელს რომ გვიშლის და ოთხი თვეა ზევით, ტყეში ბერიკაცთან აღარ ვყოფილვართ.

–მაგ საკითხზე მინდოდა სწორედ შენთან მოსვლა. წავიდეთ დროზე, თორემ ზამთარი ახლოვდება და მერე გაძნელდება.

–როდის წავიდეთ? ხვალ გცალია?

–კი, მცალია. ხვალ წავიდეთ. შემოდი სახლში. –შეიპატიჟა დათომ.

დათო და ნოდარი ეზოში შევიდნენ. დათომ სახლში შეიპატიჟა, მაგრამ ნოდარმა უარი თქვა, მეჩქარება გარეთ ვილაპარაკოთო და ეზოშივე დასხდნენ სალაპარაკოდ.

თუმცა ნოდარს ეჩქარებოდა,ერთ საათს მაინც იჯდა და ლაპარაკობდა დათოსთან. საუბარს თვითონ მოჰქონდა სალაპარაკო თემა და ისინიც ლაპარაკობდნენ.

–დათო! –მოისმა ქუჩინად ძახილი.

–ვინ არის ნეტავ? ხმაზე ვერ ვცნობ. –ჩაილაპარაკა დათომ და წამოდგა. ვიდრე დათო ქუჩის კართან მივიდოდა ძახილი მეორედაც გაისმა. დათომ კარი გამოაღო და გაოცებული დარჩა. მის წინ მაიას ძმა იდგა.

–გამარჯობა, –მიესალმა მაიას ძმა. დათომ სალმითვე უპასუხა და გაიფიქრა –"ნეტავ ახლა რაღა უნდა, მაიას ხომ აღარ ვხედები და აქ რამ მოიყვანა? ალბათ ვინმემ ტყუილად მიუტანა რაღაც შეთხზული ამბავი... მაგრამ აგრესიულად, რომ არ გამოიყურება"?

–შენთან სალაპარაკო მაქვს. შეიძლება შემოვიდე და ვისაუბროთ? –იკითხა მაიას ძმამ.

–მობრძანდი. –უპასუხა დათომ და კარიდან გაიწია მისთვის გზის დასათმობად.

მაიას ძმა ეზოში შემოვიდა და ნოდარი, რომ დაინახა შეცბა.

–სტუმარი გყოლია. იქნებ სხვა დროს მოვიდე?

–ეს ჩემი ბიძაშვილია და ჩემი ყველაფერი იცის. –უპასუხა დათომ.

მაიას ძმამ იცნო ნოდარი, ალაზნის შემთხვევა გაახსენდა და თქვა:

–კარგი, იქნებ უკეთესიცაა ესეც, რომ აქ არის. –შემდეგ მივიდა ნოდარისთან ხელი გაუწოდა და უთხრა. –მე თემური მქვია. ეხლა უკეთესად გავიცნობთ ერთმანეთს. ჩემზე ნაწყენი კი ხარ, მაგრამ... არ მეგონა ბიძაშვილი თუ იყავი. ნოდარი უნებლიედ ადგა და ხელი გაუწოდა. გაოცებულმა დათომ კი იკითხა: –თქვენ რა იცნობთ ერთმანეთს?

–კი, გავიცანი ალაზანზე. სამტროდ არ მოვსულვარ ძმაო. დათოსთან პატარა სასაუბრო მქონდა და კარგია, რომ შენც აქ ხარ. იმედია მომისმენთ.

დათო ოთახში შევიდა და მაიას ძმას სკამი გამოუტანა. თემური სკამზე დაჯდა და განაგრძო: –ვიცი, არ გესიამოვნათ ჩემი მოსვლა. ჩემისთანა კაცის მოსვლა თქვენთან შეიძლება მართლაც არ იყოს სასიამოვნო, მაგრამ ენახოთ, იქნებ სხვანაირადაც შეეძლო... თქვა თემურიმ და განაგძო.

ჩვენს შორის უთანხმოება ჩემი დის მიზეზით იყო გამოწვეული. რამდენადაც ვიცი დიდი ხანია აღარ შეხვედრიხართ ერთმანეთს და უთანხმოებაც აღარა გვაქვს. თუ ჩუმად ხედებით ჩემგან საიდუმლოდ ეგ არ ვიცი.

–არა, აღარ ვხედებით. –უთხრა დათომ.

–ესეიგი, შემიძლია მშვიდად ვიყო? აღარ გიყვარს?

–დიახ მიყვარს და ძალიანაც მიყვარს, მაგრამ ხომ არ მოგაკვლევინებ? მე შენი არ მეშიანია, მაგრამ მაიას რა ვუყო? შენი შიშით გარეთ ვერ გამოდის.

–ესეიგი კიდევ გიყვარს და რომ არ ხედებით ამის მიზეზი მე ვარ?

–კი ასეა.

–ესეიგი, მე რომ სადმე წავიდე, ისევ შეხედებით ერთმანეთს?

–რა ვიცი, არა მგონია მისი საფრთხეში ჩაგდება გავბედო. შენ იმდენი ამბის მომტანი გყავს, მაინც გაიგებ და მერე?

–ჰო, შეიძლება გავლიზიანდე და მოგკლა კიდეც. –თქვა თემურიმ.

–მე შენი არ მეშინია. შენ ვერ მომკლავ. –ცოტა გაბრაზებით უთხრა დათომ. –მე გითმობ იმიტომ, რომ მაიას ძმა ხარ. ეს სულაც არ ნიშნავს შიშს. მე აქამდეც მოვიყვანდი, მაგრამ მაიას ძალიან უყვარხარ და არ უნდა შენი თანხმობის გარეშე გამომყვეს.

–ესეიგი, მე რომ სადმე წავიდე ერთი-ორი წლით, თქვენ შეიძლება დაქორწინებულები დამხვდეთ. მერე მე ჩამოვალ და უბედურება დატრიალდება. კი, მაგრამ არ გირჩევია სხვა მონახო? გოგოების მეტი რა არის? შენც მშვიდად იცხოვრებ და ჩვენც.

–ნამდვილი სიყვარული ერთხელ მოდის და არა ათჯერ. შენ შენს დას როგორ ატყობ მე რომ სხვა შევიყვარო ის მშვიდად იქნება? არ ფიქრობ, რომ დაიტანჯება?

თემური ცოტა ჩაფიქრდა და ისე, თითქოს თავისთვის თქვა: –მართლა ასე გიყვარო ერთმანეთი? –რაზეც დათომ არაფერი უპასუხა.

რამდენიმე წამის შემდეგ, თითქოს გამოერკვაო. ისევ განაგრძო.

–მაშინ გეტყვით ჩემი აქ მოსვლის მთავარ მიზეზს. მე ძმაო ჩემი თავი ვაუკაცი მეგონა და ვცდილობდი ისე მოვქცეულიყავი როგორც ეს მესმოდა. ამ კაცმა სახელი არ ვიცი, სწორედ მითხრა ალაზანზე. –ნოდარზე მიუთითა.

–ნოდარი მქვია. –უთხრა ნოდარმა.

–ხო ნოდარ, შენ სწორად მითხარი. ვაუკაცი თავს არ იკლავს. მე კი თავს ვიკლავ, როგორც თქვი ნარკოტიკებით და არა მარტო ნარკოტიკებით. მე ვაუკაცი კი არა ნაძირალა ვყოფილვარ. ალბათ ჩემზე უარესი კაცი არ დადის ამ ქვეყანაზე.

დათომ და ნოდარმა გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

–ჩემი თავი ჯანდაბას, რაც უნდა მომიეიდეს ყველაფერის ღირსი ვარ, მაგრამ მაია რომ დავღუპე ეს არის ჩემი ყველაზე დიდ სატანჯველი. მაია არ იმსახურებს ცუდს. ის კარგი გოგოა, ცუდი ცხოვრებაში არავისთვის გაუკეთებია და ცუდი მომავალი არ მინდა ჰქონდეს.

–მერე მე ვარ ცუდი მომავალი? –ნაწყენის კილოთი თქვა დათომ.

–დამაცადე, გაიგებ. გეტყვი რას ვგულისხმობ. საქმე იმაშია, რომ ყველაფერთან ერთად ვთამაშობდი კიდეც. ამის გამო დიდი ვალი დამიგროვდა. იცით თქვენ, ისინი ისეთი ხალხია ერთ კაპიკს არ მაპატიებენ. მე თუ ეს ვალი არ დავაბრუნე მომკლავენ და არც მაიას დაინდობენ. ჩემი სიკვდილი, რომ შველოდეს თავსაც მოვიკლავდი, მაგრამ მერე მაიას რას უსამენ? ამიტომ გადავწყვიტე სახლი გავყიდო და ვალის ნაწილი მაინც მოვიცილო. ყველაზე საშიში კაცი მოვიცილო. მაია კი, რა თქმა უნდა უსახლკაროდ რჩება. ერთი კვირაა ვფიქრობ სად წავიყვანო მაია და უკეთესი გზა ვერ ვიპოვე. მინდა რომ შენთან მოვიყვანო. შენზე უკეთესი პატრონი ვერავინ გამოუჩნდება.

დათომ და ნოდარმა ისევ გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს. –ბინის ამბავი უკვე მოვაგვარე, ხვალ გადმოვლენ ჩემს სახლში, მე კი დღესვე უნდა წავიდე.

–სად მიდიხარ? –ჰკითხა დათომ.

–არ ვიცი, წავალ სადმე გადავიკარგები. მე აქ აღარ მედგომება და სხვა რა გავაკეთო? მაიას საკითხი მანერვიულებდა და რაკი იმასთან იქნება, ვინც უყვარს და ვისთან ერთადაც უნდა ცხოვრება, ღმერთმა ბედნიერება მოგცეთ. ამ მხრივ დამშვიდებული ვიქნები და სხვა აღარაფერი მადარდებს.

–იქნებ მოვაგვაროთ ეგ საქმე, იქნებ რამე ეშველოს? მაიას ძმაც ხომ უნდა? ხომ იცი, რომ ძალიან უყვარხარ. –უთხრა დათომ.

–მაგ საქმეს არაფერი ეშველება. მოგვარების შანსი სხვანაირად არ არსებობს. შენ რომ ჩაერთო, ვერაფერს უშველი და საქმეს კი გააუარესებ. თუ ჩაერევი მერე შენ მოგკითხავენ და ამით ისევ მაია გამწარდება. ასე, რომ არავითარ შემთხვევაში არ სცადო ჩარევა. თუ ვინმემ მოგაკითხათ, ეტყვი რომ წარმოდგენა არა გაქვს რაზეა ლაპარაკი,

ხოლო რაც შეეხება მაიას, მან არ უნდა იცოდეს ყველაფერი. მე მას ვუთხარი, რომ რუსეთში მივდივარ სამუშაოდ, რომ ცოტა ფული ეიშოვო და გამოვუგზავნო. მან დაიჯერა და არ მინდა სხვანაირად იცოდეს.

–კი, მაგრამ სახლის ამბავს ხომ გაიგებს? –თქვა ნოდარმა.

–სახლის ამბავზე ეტყვით, რომ დროებით "ზალოგში" გადავეცი და რომ დაკბრუნდები გამოვიხსნი. თანახმა ხართ ყველაფერზე?

–თანახმა ვარ. –უპასუხა დათომ. –მაგრამ ცუდია, რომ ასეთ ვითარებაში ხდება.

–მაშინ მე წავალ, ეხლა და მაიას მოვიყვან.

–იცის აქ რომ უნდა მოიყვანო? –ჰკითხა ნოდარმა.

–არა. არაფერი იცის და არც ვეტყვი, რომ ვუთხრა არ გამომყვება. აქ რომ მოვიყვან და ეზოში რომ შემოვა ხომ არ გაიქცევა? პატარა სუფრას გავშლით, ვითომ უბრალოდ შესარიგებლად მოვედით, მერე კი, მე რაღაცას მოვიმიზეზებ, წავალ და თქვენ იცით. იმედია არაფერს აწყენინებ. –თქვა თემურიმ, ფეხზე წამოდგა და ქუჩაში გასასვლელი კარისკენ წავიდა. კართან ისევ შეჩერდა და უთხრა დათოს.

–ერთი უსინდისობა კიდევ მაპატიე. მაიასთან ერთად ცარიელი ხელით ხომ არ მოვალ, ერთი ათი ლარი თუ გაქვს მომეცი.

დათო სახლში შებრუნდა, მალევე გამოვიდა და ოცი ლარი მისცა. თემურმა გამოართვა და წავიდა.

–სასწაული... ეს რა უცნაური რამ ხდება? –თქვა ნოდარმა. –შენ გჯერა, მართლა მოიყვანს მაიას?

–რა ვიცი. თითქოს დამაჯერებლად ლაპარაკობდა. ტონიც სხვანაირი ჰქონდა, ადრინდელს არ ჰგავდა.

–ჰო. მეც მგონია, რომ გულწრფელად ლაპარაკობდა, თუმცა დაუჯერებელია. არც, როგორც სჩვეია, ქურდული ტერმინოლოგიით ლაპარაკობდა. –თქვა ნოდარმა.

–ხო, დღეს სულ სხვანაირი იყო. ეტყობა მართლა ძალიან გადავარდა და მძიმედ იმოქმედა, რამაც ძალიან ჩააფიქრა. –თქვა დათომ.

–ნუთუ დაფიქრების და სწორი გზის მოძებნისათვის ურმის გადაბრუნებას უნდა ელოდოს კაცი? თუმცა, ვინიცის იქნებ მოგვატყუა და აღარც მოვიდეს. მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

–რა ვიცი, არა მგონია... მართალს ჰგავდა... თუ მოგვატყუა, რა უნდა მოიგოს 20 ლარი? –თქვა დათომ.

–რატომ 20 ლარი. შეიძლება უბრალოდ დაგვცინა. თუმცა, რავიცი არც მე მგონია. კი მაგრამ თუ მიდის, თანაც დღესვე, ფული რომ არაფერი აქვს? უფულოდ სად წავა? –თქვა ნოდარმა.

–ჰო, ეგ მართალია. ეგ არც გამიაზრებია, თუ მართლა მიდის უფულოდ როგორ წავა? იქნებ ამისათვის გადანახული აქვს?

–შეიძლება გადანახული აქვს, მაგრამ ყოველი შემოხვევისათვის ცოტა ფული რომ მივცეთ კარგი იქნება. გააქვს შენ ამის საშუალება?

–ჰო. ერთი 100 ლარი მაქვს და მივცემ. სულ არარაობას ეს მაინც ექნება, თუ სხვა არა აქვს. –თქვა დათომ.

ნოდარს გაეცინა –მაგ ფულით მოგყავს ცოლი ბიჭო?

—არა, ცოტა სხვაც დამრჩება, მერე კი მამაჩემს ვთხოვ. ისეც ვიშოვი, გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიჯდები?

—კარგი, კარგი. მიეცი რაც გაქვს სულ და ხვალ მე მოგცემ. ჯერ ვნახოთ მოვა კი?

სამ საათზე მეტი ილაპარაკეს ნოდარმა და დათომ და თანდათან უფრო მოუხშირეს ქუჩის კარისკენ ცქერას. უკვე სახელდახელო სუფრაც გაშლილი იყო, მაგრამ თემური და მაია არსად ჩანდნენ. ერთიმეორეს არ უმხელდნენ, მაგრამ უკვე სერიოზულად შეეპარათ ეჭვი, რომ მართლა მოვიდოდნენ. კიდევ ერთი საათი, რომ გავიდა უკვე ალაპარაკდნენ, როგორ მოატყუათ თემურმა.

—ოთხი საათი გავიდა რაც წასულია, აქამდე მაიას მოყვანას რა უნდოდა? —თქვა დათომ.

ნოდარმა გაიცინა და თქვა —"მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი" არაუშავს სიყვარულის გამო ეს ერთი ტყუილიც არც ისე ძნელი ასატანია. ისე კი, თუ მართლა მოგვატყუა კარგი მსახიობობა სცოდნია.

—შენთვის ადვილი ასატანია, ჩემთვის კი არა. რაღაც მცირე იმედი გამიჩნდა და ისიც კვდება. მთლად კი არ დამიჯერებია, მაგრამ მაინც იმედი მომეცა. —თქვა დათომ.

—შენ გგონია ჩემთვის ადვილია? დღეს ამის გამო იცი რა გეგმა ჩამეშალა? შეყვარებული მეც მყავს ძმაო და მასთან შესახვედრად მივდიოდი.

—ვინ შეყვარებული? მანანას ხომ გაშორდი და ეხლა სხვა გიყვარს, თუ ისევ დაუბრუნდი?

—არა, გაგეხუმრე. მამიდასთან მინდოდა წავსულიყავი. დიდი ხანია არ მინახავს. —თქვა ნოდარმა და თან ქუჩისკენ გაიხედა. ამ სიტყვების თქმის დროს ქუჩის კართან მანქანა გაჩერდა. დათოც და ნოდარიც გაჩუმდნენ და დაიძაბნენ.

—გაიხედე, —უთხრა ნოდარმა დათოს რამდენიმე წამის შემდეგ.

დათო წამოდგა თითქოს ნაძალადევად და კარისკენ წავიდა. ამ დროს კარი გაიღო და მაია და მის უკან თემური გამოჩნდნენ.

მაიამ როგორც კი დათო და ნოდარი დაინახა გაშეშდა, დაიბნა, აფორიაქდა და ნაბიჯს ყელარ ადგავდა.

"როგორ გამხდარა, მაგრამ მაინც მშვენიერია" —გაიფიქრა ნოდარმა.

—შედი გოგო რა კარებში გამაჩერე ამ ბოთლებით ხელში? საჩხუბრად ხომ არ მოვედით? მინდა, რომ შენთან ერთად შევერიგდე და გავიცნო. აქ ცუდი რა არის, რისი შეგეშინდა? —უთხრა ძმამ.

მაია შევიდა, ნაძალადევი ნაბიჯებით.

—მობრძანდით. მობრძანდით! —დაიძახა დათომ და ღიმილით შეეგება, თუმცა თვითონაც დაბნეული იყო.

—აქეთ მობრძანდით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. —თქვა ღიმილით ნოდარმაც და წამომდგარმა სახლის კარისკენ მიუთითა, მერე კი თვითონაც შეუძღვა ოთახში.

მაიამ, რომ დაინახა დათოც და ნოდარიც ილიმებოდნენ, ესეიგი ჩხუბი არ იყო მოსალოდნელი ცოტა გულზე მოეშვა, მაგრამ მაინც დაძაბული

შევიდა ოთახში.

თემურმა სამი ბოთლი შუშხუნა ღვინო და შოკოლადის ფილები მაგიდაზე დადო და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. თემურის მცდელობით მაია დათოს გვერდით მოხვდა. თვითონ და ნოდარი კი მაგიდის მეორე მხარეს დასხდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარმა შუშხუნა ღვინო გახსნა, სასმისები შეავსო და სადღეგრძელო შესვა.

—კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ამ ოჯახში. ამ ოჯახს დავლოცავ თაეის სტუმრებიანად. პირველია დღეს თქვენი სტუმრობა ამ სახლში და კეთილად დაგვირგვინებულიყოს შემდგომი თქვენი მეგობრობა, ურთიერთობა და სიყვარული. ღმერთმა ქნას, რომ ყოველთვის სიყვარულს და სიკეთეს გაემარჯვოს და ამ ოჯახში ყველა სიყვარულით შემოსულიყოს. —თქვა ნოდარმა, ცოტა მოსვა და ჭიქა დადგა.

—სახლში სულ დადარდიანებული ხარ, მეგონა უამისობა გადარდებდა, ამიტომ აქ მოგიყვანე. მეგონა სიხარულით ჭიქას ჭიქაზე დაცლიდი. შენ კი ისევ ნაღვლიანი ხარ? —უთხრა თემურმა მაიას ღიმილნარევი სიმკაცრით და თან დათოზე მიუთითა. —აიღე ეს ჭიქა და დაცალე თუ მართლა გიყვარს, თორემ ეხლავე სუფრას ჩავშლი და უკან წაგიყვან.

მაიამ აიღო ჭიქა და დაცალა.

—ასე რა, ასე არ ჯობია? —თქვა ისევ თემურმა.

—რატომ არ მითხარი აქ რომ მოდიოდი? —ძლივს დაილაპარაკა მაიამ. —აკი მეგობრის დაბადების დღეზე მივდივართო?

—რომ მეთქვა წამოხვიდოდი?

მაიამ ხმა არ ამოიღო.

მოსაღამოედა. სუფრის წევრებმა მოილხინეს. ზოგი შუშხუნა ღვინოს სვავდა, ზოგიც ოჯახის "რქაწითელს" და სასმელი ყველას შეეტყო. მაიაც, რომელსაც ძმამ აიძულა ორი ჭიქა კიდევ დაელია, ნელ-ნელა გამხიარულდა, დროდადრო მათს ოხუნჯობაზე იღიმებოდა და ზოგჯერ ლაპარაკობდა კიდეც. შემდეგ თემური წამოდგა და თქვა:

—ბიჭებო თუ არ გეწყინებათ, წაეალ ორ ბოთლ შამპანიურს კიდე ეიყიდი და ეხლავე მოვალ.

—შენი ნებაა. თუ ასე გსურს. —თქვა დათომ და თვითონაც წამოდგა.

—არა, რაღა დროს შამპანურია, წასვლის დროა. —თქვა მაიამ და ისიც წამოდგა.

—მოიცადე, რა მოგივიდა? მეგონა აქედან ეელარ წაგიყვანდი, შენ კი ჩემზე წინ გარბიხარ? ორ ბოთლსაც მოეიტან და გეეყოფა. ერთი ეხლა დავლიოთ, ერთს კი დილაზე დალევენ ბიჭები. —თქვა თემურმა.

მაია მაინც არ დადგა და წავიდეთო ამბობდა. მაშინ თემური მიეიდა მასთან აკოცა და უთხრა. —მე შენი ძმა ხომ ვარ? ხომ იცი, რომ მიყვარხარ? მაცალე, რა სჯობს მე უკეთესად ეიცი. შენ დაჯექი, წაეალ და ეხლავე მოვალ ისევ.

მაია დაჯდა. თემურმა ერთხელ კიდე აკოცა, თვალები გაუწყლიანდა და სწრაფად გარეთ გავიდა. მას დათოც მიჰყვა. ნოდარმა დაინახა, როგორ გაუწყლიანდა თემურის თვალები და მიხვდა, რომ სწრაფად იმიტომ გავიდა მაიას არ შეენიშნა მისი ცრემლიანი თვალები.

—რა განერვიულებს? —უთხრა ნოდარმა მაიას. —ალბათ, მალე მოვა.

—იცით, ეს რამოდენიმე დღეა უცნაურად იქცევა. სხვა დროს სულ ჩხუბობდა ეს დღეები კი ხმა არ ამოუღია. რასაც ვიტყვი ყველაფერზე მთანხმდება. დღეს კი ეს სიურპრიზი მომიწყო. მე უკვე მეშინია. ასე რატომ იქცევა? თანაც ეხლა რომ მაკოცა? რამდენი წელია ჩემს ძმას ჩემთვის არ უკოცნია. არც კი მახსოვს საერთოდ თუ უკოცნია.

—კარგად რომ გექცევა, უფრო არ უნდა გიხაროდეს?

—კი, მაგრამ ასე მკვეთრად შეცვლას რაღაც მიზეზი ექნება, ისე არ შეიცვლებოდა და მე ის მიზეზი მაშინებს. —თქვა მაიამ.

—შიშით რამეს შეცვლი? იქნებ უსაფუძვლოა შენი შიში?

—რა ვიცი. მე კი მეშინია და...

გარეთ გასულ თემურს კი ტირილი აუტყდა და ძლივს ლუღლუღებდა. ეს რა ნაძირალა ეყოფილვარ. ეს რა არაკაცი და არაადამიანი ვყოფილვარ. ეს რა გავაკეთე. ჩემს დას მთელი ცხოვრება ვეღარ ვნახავ. იმის საშუალებაც არა მაქ, ნორმალურად გამოვემშვიდობო და ტყუილებით ვიპარები. მაშ მე კაცი ვარ? კიდევ კარგი აქ არ ვიქნები, როცა გაიგებს სიმართლეს, თორემ თვალებში როგორ შევხედავდი? მაია ხომ ჩემი და არის, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სულის ნაწილია. მის მეტი მე ვინ მყავს? ჩემს ერთადერთ ახლობელს, ჩემს ერთადერთ ოჯახის წევრს სამუდამოდ ეტოვები და ვერც კი ვემშვიდობები.

—დაწყნარდი, რა მოგივიდა, კაცი არა ხარ? რა გატირებს? სამუდამოდ რატომ ემშვიდობები, გამოჩნდება რამე საშველი.

—მართალია, მე არაკაცურად ვიქცეოდი, მაგრამ შენ გგონია მე გული არა მაქ? მეც მაქ გული. მეც ადამიანი ვარ. მიყვარს ჩემი და, და არ ვიცი როგორ გადავიტან უმაგისობას. —თქვა თემურმა ისე, რომ ტირილი თითქმის შეწყვიტა.

—ბავშვი ხომ აღარ ხარ? კაცი ხარ, როგორც საჭიროა ისე უნდა მოიქცე. დროებით, რამოდენიმე წლით წახვალ, ფულს იშოვი და ჩამოხვალ ისევ. ხომ ხედავ რამდენი წავიდა და ფულით ჩამოვიდა. მთავარია ჭკვიანურად მოიქცე და ძველ საქმიანობას თავი დაანებო.

—დამიჯერე მე ძველი გზით აღარ ვიარ. მე ისეთი რამე გამოვიკიდე ამ დღეებში, იმ გზით რაღა წამიყვანს? ვიმუშავებ, მშენებლობაზე ან სადმე ვიშოვი. სამუშაოს იმათაც მოვიშორებ და თქვენც დაგეხმარებით. იქნებ გამიმართლოს. მე მგონი ამაში მაინც გამიმართლა, რომ ჩემს დას საიმედო კაცს ვუტოვებ. ხომ გიყვარს, გაუყრთხილდი ჩემს დას, ნუ დაჩაგრავ. ისედაც დაჩაგრული გოგოა, რაც გადაიტანა, ჩემგან თუ უჩემოდ, ისიც ეყოფა. შენთან მაინც გაიხაროს.

—საყვარელ ადამიანს ცუდად არ ექცევიან. განა იმიტომ მიყვარს და იმიტომ ვოცნებობდი მასთან ოჯახის შექმნაზე, რომ დავჩაგრო? დაჩაგრული ქალი არც ცოლად ვარგა და არც დედად.

—კარგი, თქვენი დატოვება ძალიან მეძნელება, მით უმეტეს ეხლა, როცა სიძე ხდები ჩემი და გაბედნიერებული მაია მინდა დავინახო, მაგრამ წასვლის დროა უკვე. თან მეშინია, რომ დავიგვიანო გარეთ არ გამოვიდეს. ამიტომ წავალ ეხლავე.

—მოიცადე. აი ეს ფული წაიღე. შენ ალბათ არაფერი გაქვს. თუ გაქვს კიდეე, ეს ზედმეტი არ მოგივა. ცოტაა, 160 ლარია, მაგრამ არაუშავს, რაღაც საქმეში წაგადგება, რომ მცოდნოდა, მეტს ვიშოვიდი.

—არა რას ამბობ, მე ეხლა შენ ფულს გამოგართმევ? თქვენ ეხლა იმდენი ფული გჭირდებათ, ქორწინებისთვის, ჩემთვის მოსაცემი სად გაქვთ?

—აიღე, აიღე. მე ხვალვე ვიშოვი, რამდენიც დამჭირდება, ჩვენზე ნუ იდარდებ. შენ კი აბა სად იშოვი? რომ არ გექნება, იძულებული იქნები ისევ ცუდი გზით შეეცადო შოვნას და ასე სწორ გზაზე ვერ დადგები. მაიამ რომ იცოდეს ისიც ხომ იგივეს გეტყოდა?

—კარგი, —თქვა თემურმა და ფული გამოართვა. —ყველაფრისათვის მადლობელი ვარ. თურმე არ შეშლია ჩემს დას, შენ რომ შეგიყვარა. შენ მართლა კარგი ბიჭი ჩანხარ. —თქვა თემურმა, ერთი მეორეს გადაეხვივნენ, გამოემშვიდობნენ და თემური წავიდა. დათო კი სახლში შებრუნდა.

—რატომ დაიგვიანე? სად არის თემური? —ჰკითხა შესვლისთანავე მაიამ დათოს.

—მოვა მოგვიანებით. აქ ახლოს არ იყო და შორს წავიდა.

—ასე მარტო, როგორ დამტოვა? რა აუცილებელი იყო შამპანიური?

—შენ რა, არ გიხარია? თუ მართლა გიყვარს დათო, მასთან დარჩენაზე ხომ უნდა გეოცნება? ძმამ, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო შენი სიყვარულისა, ეხლა თვითონ მოგიყვანა შეყვარებულთან, ჩაგაბარა, მეტი რაღა გინდა? —თქვა ნოდარმა ღიმილით.

—ეგ რა ხუმრობაა? —თქვა მაიამ.

—მე არ ვხუმრობ. უბრალოდ ფაქტს გიხსნი, რომელსაც შენ ვერ ხვდები. —უთხრა ნოდარმა ისევ ღიმილით, თითქოსდა ხუმრობით.

—კარგი რაა, ასე ნუ ხუმრობთ. ჩვენ მხოლოდ სტუმრად მოვედით და მალე წავალთ. —თქვა მაიამ და თან დათოს გადახედა. დათო იძულებული იყო რამე ეთქვა და ამიტომ ნოდარს უსაყვედურა.

—კარგი რა ნოდარ, ნუ აღიზიანებ. —თუმცა სინამდვილეში მოსწონდა მისი ნათქვამი.

—მე სიმართლეს ვამბობ და... თუ ასეთი სასიხარულო სიმართლე მაიასთვის საწყენი იქნებოდა არ მეგონა. —თქვა ნოდარმა და ჭიქები შეავსო.

—ეხლა ჩემო საყვარელო გვრიტებო, მე მინდა ჩვენი სუფრის გაშლის მთავარი მიზეზი ვადღეგრძელო. —დაიწყო სადღეგრძელოს წარმოთქმა ნოდარმა.

—რატომ იგვიანებს? —შეწუხებული სახით წარმოთქვა მაიამ. ნოდარმა კი განაგრძო. —მე მინდა ორი თქვენი ღმერთის სადღეგრძელო დავლიო, რომელთაგან ერთი ცაშია, ერთი კი დედამიწაზე დადის. ცაში ეროსს გაუმარჯოს, სიყვარულის ღმერთს, რომელმაც თავისი სასიყვარულო ისრები სტყორცნა თქვენს გულებს და ერთიმეორის სიყვარულის სნეულება შეგყარათ, ისეთი სნეულება, რომ აგერ რამდენი წელია იტანჯებით და საშველი არ ჩანდა. დედამიწაზე კი თემურის გაუმარჯოს,

რომელმაც ამ სიყვარულს საბოლოო განხორციელების საშუალება შესძინა და თქვენ ერთად შეგყარათ სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე.

—დათო, რას ამბობს ნოდარი? ეს უკვე ხუმრობას არ ჰგავს. გთხოვ, ასე ნუ ხუმრობთ, რა ნოდარ. —თქვა უკვე სერიოზულად თემურის დაგვიანებით და ნოდარის „ხუმრობით" შეწუხებულმა მაიამ. —რატომ იგვიანებს ასე, შორს წავიდა?

—შორს წავიდა. —უპასუხა მოკლედ დათომ.

—სუფრის წევრებს ვთხოვ სადღეგრძელო გამოხატონ და მიირთვან ღვინო. —თქვა ნოდარმა ხუმრობის და ბრძანების კილოთი. —საპატარძლოს უფლება აქვს სურვილისამებრ მოიქცეს, დანარჩენებმა კი აუცილებლად მიირთვით.

მაიას ჭიქისთვის ხელიც არ წაუვლია, დათომ კი ჭიქა აიღო, მოკლედ თქვა გაუმარჯოს მართლაც ორივე ჩვენს ღმერთსო და ცოტა მოსვა.

ნოდარი შეეცადა სხვადასხვა სახუმარო ამბებით გარკვეული დრო კიდევ გაეყვანა, შემდეგ კი ისევ შეავსო ჭიქები და თქვა:

—ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი სადღეგრძელო მინდა წარმოვთქვა.

—სად არის ამდენ ხანს? უკვე თითქმის ერთი საათი გავიდა. რამდენი ხანია დაღამდა. რითღა უნდა წავიდეთ? —წუწუნებდა მაია, ნოდარი კი განაგრძობდა.

—ალავერდს ბატონ დავითთან გადავდივარ. გთხოვთ ფეხზე აბრძანდეთ. —დათო რა თქმა უნდა ფეხზე არ ამდგარა და არც ნოდარს დაუძალებია. —მე მინდა ჩვენი სუფრის მშვენება და მაცოცხლებელი, შუქის მომფენი, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი ადამიანების, ღღეს შეუღლებული წყვილის, მაიას და დათოს სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, ბატონებო. მაია და დათო! გილოცავთ შეუღლებას. ბედნიერები და ერთიმეორეს მოსიყვარულენი იყავით მთელი ცხოვრება. ისეთი სიყვარული გქონოდეთ, რომ სიბერეში სიკვდილმაც კი ვერ გაბედოს თქვენი დაშორება. იბედნიერეთ, ისიყვარულეთ, გამრავლდით და გაიხარეთ. შვილებში, შვილიშვილებში და შვილთაშვილებში. გაამრავლეთ გვარი და ერი ჩვენი. —ნოდარმა მოკლედ დაამთავრა სადღეგრძელოს გამოთქმა, ალბათ იმის შიშით, რომ მაიას მხრიდან გართულება არ მოჰყოლოდა სადღეგრძელოს და დალია. მაიაც თითქოს შეეგუა მდგომარეობასო, ხმის ამოუღებლად ისმენდა, მაგრამ როცა დათომ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა და ხუმრობის არაფერი ეტყობოდა, მაშინ კი წამოიძახა: —ეს მართალია დათო?

—უთხარი რაღა აზრი აქვს დამალვას. —თქვა ნოდარმა ამჯერად უკვე სერიოზული სახით.

—ხო მართალია. აქ ამიტომ მოგიყვანა. თვითონ რუსეთში წავიდა და მარტო რომ არ დარჩენილიყავი ასე ეთქვათ დაგაბინავა. —უთხრა დათომ.

—მაიამ ტირილი დაიწყო.

—რა გატირებს გოგო? განა ამაზე არ ოცნებობდი? —უთხრა ნოდარმა.

—ხო, მაგრამ ასე არ მინდოდა. —თქვა ტირილით მაიამ. —მე წესიერად მინდოდა, ძმის თანხმობით.

–თანხმობა არ არის, აბა რა არის? თვითონ მოგიყვანა. –უთხრა დათომ და თან ხელი მოხვია, მოეფერა.

–რატომ მომატყუე მოვაო?

–ხომ გითხარი შორს წავიდა და გვიან მოვა-მეთქი.

–თუ ამ ბედნიერ დღეებში ძმა აქ არ მეყოლება, რაღა ბედნიერება იქნება? ჩემი ძმის გარეშე როგორ ვიქნები ბედნიერი, მაგის მეტი ვინ მყავს? ის ხომ ჩემი ძმაც არის და მშობლებიც –ტირილით განაგრძობდა მაია.

–მართალია, მაგრამ ისეთი ვითრება შეიქმნა, სასწრაფოდ გახდა წასასვლელი. რა ექნა? მარტო დაეტოვებინე უკეთესი იქნებოდა? შენმა ძმამ ნართალია ბევრჯერ გამანაწყენა, მაგრამ ბოლოს მაინც სწორად და ვაუკაცურად მოიქცა. ამით მხოლოდ გონიერება და შენდამი დიდი სიყვარული გამოიჩინა.

რამდენიმე წუთში მაიამ ტირილი ნელ-ნელა შეწყვიტა და შედარებით დამშვიდდა. ნოდარმაც იფიქრა ჩემი წასვლის დრო მოვიდა, მე აქ უკვე ზედმეტი ვარო, ორივეს აკოცა, კიდევ ერთხელ მიულოცა გაბედნიერება და სახლში წავიდა.

დილით ადრიანად ადგა ნოდარი. გადაწყვიტა ადრიანად წასულიყო დათოს სიფელში და მისი იჯახისთვის ეცნობებინა ახალი ამბავი. ასეც მოიქცა. დილის 8 საათზე უკვე დათოს მამის სახლთან იდგა ავტომანქანით.

ეზოში შესული ნოდარი, რომ დაინახეს შეშფოთდნენ.

–ასე ადრიანად რამ მოგიყვანა, რამე ცუდი ხომ არ მოხდა? –ჰკითხა დედამ.

–არა ბიცოლ, კარგი ამბავი მოგიტანეთ.

–რა ამბავი შვილო, ნეტა კარგი ამბებიც თუ ხდება ამ ქვეყანაზე.

–დათომ ცოლი მოიყვანა.

–არ გადამრიო. რას ამბობ? ვინ მოიყვანა? მაია ხომ არა? –შეშფოთებით თქვა დათოს დედამ.

–კი მაია მოიყვანა.

–უი, ჩემი სიკვდილი. ეს რა გაუკეთებია. დამეღუპა შვილი. მისი ძმა ხომ გადაირევა, ღმერთო მიშველე. მომიკლავს შვილს. –აფორიაქდა დათოს დედა, მის ხმამაღალ ასეთ გამოხატულებაზე დათოს ძმა და დაც გამოვიდნენ.

–რა მოხდა? –იკითხეს შეშინებულებმა.

–ნუ გეშინია ბიცოლ, მისი ძმაც იქ იყო. ყველაფერზე თანახმაა. გუშინ სუფრაც გაეშალეთ და ვიქეიფეთ მის ძმასთან ერთად.

–როგორ თემური თანახმაა? არ მატყუებ?

–არა, ხომ გეუბნები, გუშინ სუფრაზე ერთად ვისხედით და ერთად აღვნიშნეთ.

–არ მჯერა შენი. წავალ და სახლში დავუძახებ. ბავშვი დანით დამიჭრა, სასიკვდილოდ გაიმეტა და ეხლა თანახმაა?

–თუ არ გჯერა, რომ ნახავ მაიას ხომ დაიჯერებ. სახლში კი ტყუილად დაუძახებ. არავინ არის. სახლი გაყიდა საერთოდ და რუსეთში წავიდა წუხელვე.

—მართალს ამბობ ბიჭო? —თითქოს წაიბურდღუნაო დათოს მამამ, რომელიც აქამდე მხოლოდ უსმენდა.

—რატომ უნდა მოვიტყუო? ამ დილადრიან ასეთი ტყუილისთვის მოვიდოდი?

—ქალო, გაემზადე მაშინ და წავიდეთ, ვნახოთ. —თქვა მამამ.

—წავიდეთ, აბა, არა ვნახოთ? შვილი გამიბედნიერდა და არ ვნახავ? ოღონდაც ძმა თანახმა იყოს და... მაია კარგი გოგოა, თუ კი ჩემი რძალი გახდება, მაგაზე კარგს ვის მოიყვანს?

დათოს და-ძმამაც გაიხარა. —უი რა კარგია. ერთად არიან ეხლა? —იკითხა დათოს დამ.

აბა წუსელ ხომ არ გაიყრებოდნენ? საღამოს ერთად დავტოვე და.....

—ოქროული წამოვიღო შვილო? —იკითხა დათოს დედამ. —ყველაფერი ნაყიდი გვაქვს წინასწარ.

—წამოიღე, აბა თვითონ ხომ არ მოვა წასაღებად? —უპასუხა ნოდარმა.

ოთხივენი სასწრაფოდ გაემზადნენ, ორი დიდი სავსე ჩანთაც გამოიტანეს, ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ. მისვლისას ნოდარმა თქვა:

—ძალიან ადრე მოგვივიდა მოსვლა. ისევ რომ იწვნენ?

—რაღადროს წოლაა 10 საათი ხდება. —თქვა მამამ.

—ერთად ცხოვრებაზე ოცნების ასრულების პირველი დღეა და ჩვენი მისვლა შეიძლება არც გაუხარდეთ. შეიძლება ხელი შეეშალოთ. —თქვა ნოდარმა.

—არაფერი უჭირს, რამოდენიმე საათი დაგვითმონ და მერე სულ ერთად იქნებიან. —თქვა დედამ.

ნოდარმა ყოველი შემოხვევისათვის მანქანის საყვირით ამცნო დათოს თავისი მოსვლა და შემდეგ გადავიდნენ მანქანიდან.

დათო და მაია უკვე ფეხზე ამდგრები დახვდათ. მაიას უკვე დიასახლისობაც დაეწყო და საუსმეს ამზადებდა. გაცილებით უფრო მშვიდად გამოიყურებოდა, ვიდრე წინა საღამოს, თუმცა... ვერც იმას იტყოდა კაცი მთლად კმაყოფილი სახე აქვსო. ჯერ მაინც მოწყენილად გამოიყურებოდა. დათოს მშობლების, და და-ძმის მისვლა ორივეს გაუხარდათ, რაც რა თქმა უნდა არ დაუმალავთ. მაიამ კი ეს სიხარული, ახალ გარემოებაში, პატარძლის გარემოებაში ყოფნის შეგრძნებით გამოწვეულ სიმორცხვისა და მორიდებულობის ფორმებში მოაქცია. დათოს ოჯახის წევრებმაც სიხარულით მიიღეს მაია. ერთი კია, დათოს დედამ, ვიდრე არ ჰკითხა მაიას, ძმა თანახმა იყო თუ არა, ვერ მოისვენა. როცა გაიგო, რომ ძმა თანახმა იყო მხოლოდ მაშინ მოეხვია და დალოცა.

რამოდენიმე საათი კი არა, მთელი დღე იქ იყვნენ ნოდარი და დათოს ოჯახის წევრები და კარგადაც მოილხინეს. მაიაც დაიმედეს რომ შენი ძმა მალე ჩამოვა მერე რა მოხდა ეხლა ვინ არ მიდისო და გაამხიარულეს. საღამოს კი თავიანთ სახლებში წავიდნენ.

შემდეგ დღეს ნოდარი დილიდანვე წავიდა მამიდასთან, რომ კიდევ რამეს არ შეეშალა ხელი. მისვლისას ეზოს კართან გააჩერა ავტომანქანა,

გადმოვიდა კარი მაგრად მიაჯახუნა და ცოტა შეყოვნდა იმის იმედით, რომ ნათია ხმას გაიგებდა და გარეთ შეეგებებოდა, მაგრამ ნათია არ სჩანდა. რაკი ჩანაფიქრი არ გამოუვიდა, იძულებული იყო შესულიყო. ნოდარი შევიდა ეზოში, მაგრამ არც იქ დახვედრია არავინ. შემდეგ დაბლა სართულის ოთახში შეეიდა, სადაც მამიდას მოელოდა. მამიდა მართლაც იქ დაუხვდა, ნათია კი არსად სჩანდა.

–მოხვედი შვილო, შენ გაიხარე. მერცხალივით შემოგვიფრენ და ისევ მალე გაქრები ხოლმე. რატომ აქამდე არ მოხვედი? გელოდით. ნათია ყოველი მანქანის ხმაზე ეზოში გარბის, ნოდარი მოვიდაო. შენ კი არ სჩანხარ.

–სად არის ნათია? –შეშინებულივით ანქარებით იკითხა ნოდარმა, ისე რომ მამიდას აზრის გამოთქმა არ აცალა.

–ნათია ეხლავე მოვა, პურის საყიდლად გავიდა მაღაზიაში. იმდენი რამ გააკეთა შენთვის, პამიდორი, ბადრიჯანი, კიტრი და რა ვიცი კიდე რა. რაც ქილები მქონდა, ერთი არ დამიტოვა ცარიელი. ასე თქვა, სახლში არავინ ჰყავს და ვინ გაუკეთებსო. ამხელა ზამთარში რა უნდა ჭამოს, სასადილოში ხომ არ იყლისო.

ნოდარს არც აინტერესებდა ის მოხუცული, ზამთრისათვის გამზადებული ქილები. ნათია რომ ვერ დაინახა, შეშფოთდა მაგრამ რაკი გაიგო, რომ ყველაფერი "რიგზე" იყო დამშვიდდა.

–რად მინდა მამიდ ეგ ქილები?

–როგორ არ გინდა შვილო, ამხელა ზამთარი ჩამოწვება, ანდა, მე რა შუაში ვარ? ნათია ზრუნავდა შენზე, მე კი მხოლოდ ხელს ვუწყობდი. ხილის კომპოტებიც გაგიკეთა. გუშინ კომში დაკრიფა. ამდენი ქილები თუ მქონდა არც კი ვიცოდი. ძალიან ცქრიალა გოგოა, ერთი წუთით არ გაჩერდება. ნეტარ იმ ოჯახს სადაც ეგ გოგო შეეკა.

ქუჩის კარიც გაიღო და ეზოში ნათია შემოვიდა, რომელმაც ნოდარის ავტომანქანის დანახვის სიხარულით გამოწვეული რეაქცია ვერც შემოსვლისას დამალა და ვერც ეზოს გამოვლისას. ნებისმიერი ადამიანისათვის ადვილი შესამჩნევი იყო, რომ სიხარულით ჩქარობდა ნოდარის ნახვას, თითქოს გაექცეოდა და ვეღარ ნახავდა. მამიდას კი არც შეუნიშნავს ნათიას გამოჩენა და განაგრძობდა: –ერთი კვირის წინ ტორტი გამოაცხო. მე მომიჭრა რამდენიმეჯერ, თვითონ კი არ ჭამდა, ალბათ შენ გელოდა. მხოლოდ მეორე დღეს ჭამა.

ნათია კი ოთახში შემოვიდა, წამით კართანვე გაჩერდა დაბნეულად, თითქოს არ იცოდა პარკით მიტანილი პური სად წაიღო. სახეზე აშკარად სიხარული ეტყობოდა, რომელსაც ვერ მალავდა და ამის გამო მორცხვად თვალებს აქეი-იქით აცეცებდა. შემდეგ თითქოს გონს მოვიდაო, მიესალმა და პური თაეის ადგილას წაიღო.

–როგორ ხარ ნათია? –ჰკითხა ნოდარმა.

–კარგად. –უპასუხა ნათიამ.

–დასხედით რა ფეხზე დგახართ. გოგო აღარ გამითხოვდება? –თქვა მამიდამ.

–რომელი გოგო მამიდ?

—აი, აქ არა მყავს?.

—ეგ რომ გაათხოვო, მერე შენ რა გეშველება?

—აბა ჩემთან ხომ არ უნდა დაბერდეს? თუ კი კარგი ბიჭი გამოჩნდება გათხოვდება აბა რა. ოჯახის შექმნა ყველას ვალია. ეგ არის, რომ სახლიდან გარეთ არ გადის და ვინ გამოჩნდება?

—მამიდ ასე ნუ ლაპარაკობ, თორემ მეც და ნათიასაც გვეგონება, რომ მოშორება გინდა.

—არა შვილო. მოშორება კი არა ნეტა ამისთანა რძალი მყავდეს. —თქვა მამიდამ და ეზოში გავიდა.

—ხომ არაფერი გიჭირს? —ჰკითხა ნოდარმა ნათიას.

—არა, რა უნდა მიჭირდეს.

—არც არავინ გენატრება?

—ვინ უნდა მენატრებოდეს, აქ მარტო თქვენ გიცნობთ და მამიდაშენი სულ ჩემთან არის.

—მე არ ვარ სულ შენთან, ესეიგი გენატრები? —თითქოს ხუმრობით ჰკითხა ნოდარმა.

ნათია ასეთ შეკითხვას არ მოელოდა. დაიბნა, ვერ მოიფიქრა რა ეპასუხა, მხრები აიჩეჩა, ცოტა გაწითლდა თითქოს რაღაცაზე წაასწრესო და თავალები დახარა. აღვილი მისახვედრი იყო, რომ ნათიას უყვარდა ნოდარი და მართლა ენატრებოდა მაგრამ...

ნოდარმა დააპირა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ გულში წამოსთქვა:

—წამოდი ჩემთან და ერთად ვიცხოვრით. —მერე კი იფიქრა ეს რა სულელური აზრები მოიდისო. ამის გამო თითქოს რაღაცის შეეშინდა ცოტა აღელდა კიდეც. ნათიას რა თქმა უნდა არაფერი შეუმჩნეია და თათახში მხოლოდ დუმილი იყო. შემდეგ ეს დუმილი ნოდარმა დაარღვია.

—გინდა გათხოვება?

ნათიამ გაოცებულმა შეხედა. —რატომ მეკითხები?

—ისე, მინდა შენი სურვილი, შენი გეგმები ვიცოდე. რომ დაგეხმარო?

—თუ ეს ჩემი ნებაა, მე აქ მირჩევნია, თუ არა და შენ როგორც იტყვი ისე მოვიქცევი. —თქვა აშკარად განწყობა შეცვლილმა ნათიამ.

ნოდარი ახლა ამის გამო აღელდა. ეს რა სისულელეს ელაპარაკობო და გადაწყვიტა მალე წასულიყო, რადგან ნორმალური. სასიამოვნო საუბარი არ გამოუვიდათ და თითქოს შეეშინდა კიდეც ნათიას გულის დაკარგვისა, რომელსაც კარგად ხედებოდა, რომ უკვე მას ეკუთვნოდა. მამიდა, რომ დაბრუნდა თათახში ნოდარმა სასაუბრო თემა შეცვალა. რამდენიმე წუთი დაყოვნდა მათთან, შემდეგ ბოდიში მოუხადა, საქმეები მოიმიზეზა და წავიდა.

ნათია კი თავის თავზე ბრაზობდა. რატომ წავიდა? ალბათ შემატყო, რომ მიყვარს. რატომ ვარ ასე თავშეუკავებელი? მე თუ მიყვარს ის რა შუაშია? ის ხომ ამის გამო რაიმეს ვალდებული არ არის? ისედაც ბევრი გააკეთა ჩემთვის და მე კი მადლიერების მაგიერ საკუთარ გრძნობებს ეახვევ თავს. რა უფლება მაქვს? ან კი იმის უფლება მაქვს, რომ მიყვარდეს? ვინ ვარ მე? ერთი საცოდავი, უპატრონო, დაკარგული გოგო. არც კარგი წარსულით გამოეირჩევი და არც მომავალი მაქვს.

მაგრამ რა ექნა მე ხომ არ დამიგეგმავს შეყვარება? უნებლიედ მოხდა, შემიყვარდა და რა ექნა.? მაგრამ ის მაინც ხომ შემიძლია დავმალო ჩემი გრძნობები? ამის შემდეგ როცა მოვა, ძალიან ვეცდები თავი შეეიკავო. მოვა კი? ალბათ აღარ მოვა.

სახლში მისულ ნოდარს რამდენიმე წუთში გიამ მოაკითხა.

–სად დაიკარგე? მესამე დღეა აღარსად ჩანხარ? დათოსთან წახვედი და სულ გაქრი?

ნოდარმა გაიცინა და უთხრა: –დათოსთან კი წავედი, მაგრამ იქ ისეთი ამბები დატრიალდა

–რა ამბები?

–მოკლედ, დათომ ცოლი მოიყვანა.

–ვაა, ცოლი მოიყვანა? ეგ კარგია. მგონი შეყვარებული ჰყავდა არა?

–ჰო ჰყავდა, მაგრამ სირთულეები იყო და როგორც იქნა მოგვარდა მისი საქმე.

–რა სირთულეები?

–სათევზაოდ, რომ ვიყავით ხომ გახსოვს.

–მახსოვს. მერე?

–ხო და იქ რომ ბიჭი იყო, ვისთანაც კამათი მომივიდა, იმ გოგოს ძმა არის. აქამდე სასტიკი წინააღმდეგი იყო, ეხლა კი დათანხმდა და სახლში მივიყვანეთ გოგო.

–ესეიგი, ამიტომ არ სცემე, რომ მისი ძმა იყო?

–არა, ეგ არაფერ შუაშია. იმ დროისთვის არაფერის იმედი აღარ გვქონდა და საქმე ჩაშლილად მიგვაჩნდა. თუმცა რა ვიცი შეიძლება ნაწილობრივ ეგეც იყო.

–კარგი ამბავია, მაგრამ მაგისთანა ცოლის ძმის ყოლა ძნელია.

–მართალია, მაგრამ ის რუსეთში მიდის და დაბრუნდება თუ არა ვინ იცის. თუ დაბრუნდა შეიძლება ისეთი აღარც იყოს.

–ახალი ამბავი მეც მაქვს... ბიჭი შემეძინა.

–მართლა? მერე რა გვიან მეუბნები? –ნოდარი წამოდგა გადაკოცნა და მიულოცა. –როგორ არიან? ხომ კარგად არიან? –კი კარგად არიან.

–ე. ი. ამ დღეებში ტყეში, იმ კაცთან ვეღარ წავალთ? –თქვა ნოდარმა.

–ჯერჯეროობით ვერ წავალთ. პირველ დღეებშივე, ხომ ვერ დავტოვებ მარტოს და მერე ვნახოთ. –დათოც ხომ ჯერ ვერ წამოვა, ორი დღის მოყვანილ ცოლს ხომ ვერ დატოვებს. იქნებ აღარც მოისურვოს წამოსვლა.

–კარგი და პერის საცხობი აღარ გავაკეთოოთ?

–რა თქმა უნდა გავაკეთოთ. –თქვა ნოდარმა. –წადი დაუძახე ბიჭებს და დავასრულოთ პროექტირება.

–რომელ ბიჭებს? მარტო ნუგზარს დავუძახებ. საშა ამბობს მე მაინც არაფერი ვიცი და რა გავაკეთოო. საქმეს რომ დაიწყებთ, რასაც დამავალებთ გავაკეთებ. სხვა რა შემიძლიაო.–თქვა გიამ.

–კარგი, ნუგზარს დაუძახე. –ბავშვს რა დაარქვით?

–რა ვიცი... მინდოდა გიორგი დამერქმია, რაკი გიორგობის დღეებში დაიბადა, მაგრამ არ მიყვარს მამას და შვილს ერთი სახელი რომ ჰქვიათ. და ამიტომ იბერი დავარქვი.

—რა უცნაური სახელი დაგირქმევია. გამოიყვანეთ?

—არა. ალბათ ხვალ გამოვიყვანთ... რა ვიცი თავში ეს სახელი...

—თუ ასეა გავალ ქალაქში რამეს ვიყიდი და წავიდეთ სანახავად.

გია გავიდა და რამოდენიმე წუთში ნუგზართან ერთად დაბრუნდა. ბიჭებმა განიხილეს დაწვრილებით, როგორ და რა მასალით გაეკეთებინათ, რა ნაწილში ელ. შემდუღებელი და სხვა ხელოსანი დასჭირდებოდათ და რას თვითონ გააკეთებდნენ. ფული მთლიანად ნოდარისი დაიხარჯებოდა, რადგან სხვას არაეის ჰქონდა. ამიტომ ნოდარი იძულებული იქნებოდა ხორბლის მცირე ნაწილი გაეყიდა. ცალკეული ნაწილის დამზადებას უკვე დაიწყებდნენ დღესვე, ხოლო მთლიანად, აშენებას და სხვა რამოდენიმე დღის შემდეგ, როცა დათოც გამონთავისუფლდებოდა.

სამი დღის შემდეგ დათოც გამოჩნდა.

—რა მალე გამოჩნდი. არ მეგონა თუ ასე მალე მოხვიდოდი. ახალად შერთული ცოლის დატოვება ხომ ძნელია. —უთხრა ნოდარმა.

—სულ ცოლის გვერდით თუ ვიჯდები და არაფერს გავაკეთებ, ასე ოჯახს როგორ შევინახავ? —უპასუხა დათომ. — რა ქენით პურის საცხობის საქმეში, რამეს აკეთებთ?

—ხო. წვრილმან დეტალებს ვამზადებთ და შენ გელოდებით, რომ მშენებლობა დავიწყოთ. —თქვა ნოდარმა. —როგორ არის მაია, კვლავ ნერვიულობს ძმის გამო?

—იმდენად აღარ. არ იცის რომ სახლი აღარ აქვთ და რომ დიდი ვალიც აქვს, თორემ ასე მშვიდად არ იქნებოდა. ეხლა ეს, რომ ვუთხრა ხომ გაგიჟდება? მერე თანდათან შევაპარებ. — ბოლოს მაინც ხომ უნდა იცოდეს. —სახლში წასვლას რომ მოინდომებს? —უთხრა ნოდარმა.

—ჰო, რა თქმა უნდა უკვე თქვა: —როდის წამიყვან რომ მივხედო, უპატრონოდ არის მიტოვებულიო. მშენებლობა დაგეგმეთ, სად და როგორ ავაშენოთ?

—არა, ადგილზე არ დაგვიგეგმავს. —თქვა ნოდარმა.

—წავიდეთ, ადგილზე დავგეგმოთ.

—წავიდეთ, —თქვა ნოდარმა და ორივე გიასთან წავიდა.

გია ჯიხურში იჯდა. ქეთინო კი სახლში იყო ბავშვთან.

—გია, —თქვა ნოდარმა. —ჩემი აზრით პურის საცხობი სჯობს ჯიხურის გვერდით, გამოვაგრძელოთ შენს ეზოში.

—ჰო, ასე სჯობია. —უპასუხა გიამ. —ძირითადად ხომ ჩემმა ოჯახმა უნდა იმუშაოს და სჯობს ჩვენს ეზოში იყოს. თანაც შენ, ალბათ, შენს სახლს გაყიდი და აშენებულიც ხომ სხვის ეზოში აღმოჩნდება. ეხლა მე და ქეთინო ერთი ოჯახი ვართ და გადავწყვიტეთ ქეთინოს სახლში გადმოვიბარგოთ. შენი დიდი მადლიერნი ვართ, ჩვენი გაჭირვების დროს მართლაც უდიდესი მადლი გაგვიკეთე, გვიხსენი და ქუჩაში არ დაგვტოვე, მაგრამ ის შენი სახლი და შენი ეზოა. ამიტომ ჩვენ ჩვენი უკვე გვაქვს და გადმოვიბარგებით.

—რას ამბობ, რა ჩემს სახლზე ლაპარაკობ. ის ხომ შენია.

—არა, ის ნემი არ არის. კიდევ ვიმეორებ: შენ უდიდესი მადლი ჰქონი ჩვენთვის, მაგრამ შენი შენია. და მე შენს ქონებას ვერ მივისაკუთრებ. მართლია ცხოვრებამ თუ ბედმა გამამწარა, მაგრამ ამის გამო კაცობას ვერ დავკარგავ. ჯერჯერობით ქეთინოს სახლში ვიცხოვრებთ, შემდეგ შევეცდები ნემი სახლიც დავიბრუნო. მადლობა გვაქვს, კიდე ამხელა საქმეს ვეჭიდებით და იმედი გამიჩნდა, იქნებ ღმერთმა ხელი შეგვიწყოს და გამოსახსნელი ფული ვიშოვოთ.

—კარგი. თუ თქვენ ასე ფიქრობთ, მართლაც სჯობს იმ ეზოში გავაკეთოთ, რადგან მთელი ეზო თავისუფალი იქნება და მომავალში, საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლება გავაფართოვოთ საწყობისათვის ან სხვა საჭიროებისათვის. მე გაყიდვას არ ვფიქრობ და სახლსაც გამოვიყენებთ.

ასეთ გადაწყვეტილებას გიორგ დაეთანხმა და სამივემ დაგეგმეა—დახასვა დაიწყეს. ბიჭებმა გადაზომეს, გადმოზომეს. ჰალოები ჩაარჭვეს და მშენებლობაზე დაიწყეს მსჯელობა. ერთი კვირის შემდეგ საძირკველიც გათხარეს და ბეტონი ჩაასხეს. შემდეგ აგური იყიდეს. რომლის შოვნაც ძნელი არ იყო. ძველი აშენებული წარმოებები, სადაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი იმასაც ანგრევდნენ და მახალად ყიდიდნენ, ახალს არავინ არაფერს აშენებდა და ამიტომ აგური ადვილი საშოვარი იყო. ქვიშა საშკას ტრაქტორით მოიტანეს ალაზნიდან და მშენებლობა წარიმართა.

ამ დროს ნოდარის მამიდასთან კი შემდეგი რამ ხდებოდა. მამიდა კატომ ნათიას ბოლო დღეებში შეამჩნია, რომ ზოგჯერ თავბრუ ეხვევა და ღებინების შეგრძნება აწუხებს. გემოვნების მხრივაც, რადაც უცნაური სირთულე გაუჩნდა. გამოცდილ ქალს ეჭვი შეეპარა, რომ შესაძლოა ნათია ფეხმძიმედ ყოფილიყო, ამიტომ დაკვირვება დაუწყო. მორიგი ასეთი თავბრუსხვევის შეტევის დროს მამიდამ აშკარად დაინახა ფეხმძიმობის ნიშნები და ცოტა გაკვირვებით ჰკითხა:

—რა გჭირს გოგო?

—რა ვიცი, ასეთი რამ არასდროს მაწუხებდა. —გულწრფელად უპასუხა ნათიამ.

—ვერ ხვდები რა გჭირს?

—რა ვიცი, როგორ მივხვდე? ალბათ რამემ მაწყინა.

—შენ ფეხმძიმედ ხარ.

—ფეხმძიმედ? —დაბალი ხმით თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ნათიამ, რმდენიმე წამის დაყოვნებით სიტყვა, რომელმაც თავზარი დასცა და ადგილზე გაშეშდა გაფითრებული.

კატო რამდენიმე წამს უცქერდა გაფითრებულ და შეშინებულ ნათიას. მერე ჰკითხა: — იცი ვისგან ხარ ფეხმძიმედ?

ნათიამ არაფერი უპასუხა. ამიტომ მამიდამ ჩათვალა, რომ არ იცოდა ვისგან იყო ფეხმძიმედ და ჰკითხა: —გოგო რამდენთან გქონდა ურთიერთობა?

ნათიამ ამჯერადაც არფერი უპასუხა. მან წარმოიდგინა პატარა ბავშვი. მერე გაახსენდა მამიდას ნათქვამი სიტყვები, როცა პირველად

მოვიდნენ მასთან. „პატარა ბავშვის თავი სადა მაქვსო“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას ბავშვით აქ არ დატოვებდა, ამას ისიც ემატება, რომ მამიდას უნამუსო ქალი ჰგონია. ისეთი, რომელმაც ისიც არ იცის ფეხმძიმედ ვისგანაა. სიმართლეს ვერ ეტყვის, მაინც არ დაუჯერებს და თანაც ნოდარი განაწყენდება. ბოლოს კი მაინც გააგდებენ.

ამიტომ. გადაწყვიტა ვიდრე გააგდებდა თვითონ წასულიყო სახლიდან. კატოსთვის არაფერი უთქვამს ისე გავიდა საწოლ ოთახში. ნაიწყო თავისი ბარგი, რომელიც ერთ პატარა პარკში ჩაეტია, ოთახიდან გამოვიდა და ეზოში ჩავიდა. მამიდა კატომ, რომ დაინახა კიბეზე ჩამავალი პარკით ხელში, გამოვიდა ეზოში და ჰკითხა:

–სად მიდიხარ გოგო?

ნათიამ მხრები აიჩეჩა და ძლივს წაილუღლუღა: –არ ვიცი.

–რომ არ იცი და არსად გაქვს წასასვლელი აბა სად მიდიხარ?

–აბა რა ვქნა? –წაილუღლუღა ისევ ნათიამ.

–როგორ თუ რა ქნა? ფეხმძიმე ქალი ქუჩაში უპატრონოდ მიდიხარ და არ იცი რა ქნა? რომ გკითხე ის გეწყინა? ასეთ მდგომარეობაში შეიძლება გაიბუტო და ქუჩაში იცხოვრო?

–მე არ გავბუტულვარ. თქვენი ჩემდამი სიკეთე როგორ დამავიწყდება? მაგრამ სხვა რა ვქნა?

–როგორ თუ რა ქნა? განა ვინმე გაგდებს? იყავი აქ ნოდარის მოსვლამდე მაინც და მერე მოიფიქრებთ სად წახვალ. –თქვა კატომ. პარკი გამოართვა და ისევ ოთახში შეიტანა. მერე ისევ გამოვიდა და ნათიას ეთხრა: –შემოდი, შემოდი, ნუ დგახარ მანდ. ცივი ნიავი უბერავს, არ გაციოდე. ეხლა თავის გაფრთხილება გმართებს.

ნათიაც ხანტად შევიდა ოთახში.

რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ბიჭები დაიღალნენ და გადაწყვიტეს ერთი დღე დაესვენათ.

–თუ დავისვენებთ, დღე რაღაცა გავაკეთოთ ტყეულად? სჯობს ბერიკაცთან წავიდეთ ტყეში. –თქვა გიამ.

–კარგი აზრია, წავიდეთ. –თქვა ნოდარმა. –ბავშვს და ქეთინოს რომ დაჭირდე?

–ქეთინოს და ბავშვს არაფერი უჭირთ. კარგად არიან. თუ რამ დაჭირდებათ დედა მიხედავს. ჩვენც ხომ დავბრუნდებით სადამომდე. –თქვა გიამ.

–თუ ასე გინდათ ხვალ წავიდეთ. დაღლილები ვართ და ხვალ გაგვიჭირდება. თანაც ეს რა დასვენებაა თუ ისევ უნდა ვიმუშავოთ.

–მართალია იქაც ხომ დავიღლებით ამდენი სიარულით, თანაც კაცს ერთი დღე მაინც ხომ უნდა სახლში ყოფნა, ახალ შერთულ ცოლთან, რომ დარჩეს. –ირონიით თქვა ნოდარმა.

–რას დამცინი? შენც მოიყვან ცოლს და ნახავ. –უპასუხა დათომ.

–ეინ ბერიკაცთან მიდიხართ? ტყეში რა გინდათ? –იკითხა ნუგზარმა.

–ერთი კაცია, ტყეში ცხოვრობს და მასთან სასაუბროდ მიეფიქრებთ. შენც წამოხვალ? –ჰკითხა დათომ.

–ტყეში მიდიხართ სასაუბროდ? აქ ვერ ისაუბრებთ?

—ეგ სად წამოვა? აქ რომ ფილოსოფიას ეახსენებთ გარბის-ხოლმე და იქ წამოვა ამისთვის? —თქვა გიამ.

—რა ფილოსოფია, თავი დამანებეთ, ხომ არ გაგიჟდით, იქ რა მინდა? აბა ვინც კარგად ცხოვრობს იმას შეხედეთ ფილოსოფია აცხოვრებს? —თქვა ნუგზარმა.

—შენ რომ ვერ ცხოვრობ კარგად ფილოსოფიის ცოდნა გიშლის ხელს? —ჰკითხა ნოდარმა.

—არ მინდა ძმაო თქვენი ფილოსოფია. ყოველ დღე იმას ვფიქრობ ხვალ ოჯახს პური როგორ ვაჭამო და ფილოსოფია მიშველის? ეგ მოცლილი და ფულიანი ხალხის საქმეა.

—ესეიგი, ჩვენ მოცლილი და ფულიანი ხალხი ვართ, რომ გვაინტერესებს? თვითონ არ თქვი, ეხლა ვინც კარგად ცხოვრობს ფილოსოფია არ იცისო? —უთხრა გიამ.

—ჰო, მართალია. აბა ფილოსოფია ვის რაში სჭირდება?

—კარგი, მორჩით ამაზე ლაპარაკს. არც ჩვენ ვართ ფილოსოფოსები და არც ნუგზარისაგნ გამოვა რამე. თუ ჩვენ რაღაც გვაინტერესებს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველას უნდა აინტერესებდეს. ფილოსოფია არასდროს ყოფილა უმრავლესობისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი. ან არის კი ეს ფილოსოფია?

ერთი დღის შემდეგ ნოდარი, გია და დათო, როგორც მოილაპარაკეს, ტყეში წავიდნენ. მანქანა ჩვეულებისამებრ საქონლის ბინასთან გააჩერეს და იქიდან ფეხით გაუდგნენ გზას. სავსე ჩანთას, რომელშიც ბერიკაციისთვის საჭირო სხვადასხვა რამ ჩააწყვეს, რიგრიგობით ატარებდნენ.

ბიჭებმა ქოხთან მიახლოვებისას შორიდანვე შენიშნეს მაგიდასთან მჯდომი ბერიკაცი. მას მარჯვენა ხელის იდაყვი მაგიდაზე ედო, ხელზე კი ნიკაპი ისე ჩამოედო, თითქოს თავი უჩვეულოდ დამძიმებოდა და ველარ იკავებდა.

—ასე ღრმად ჩაფიქრებული ნეტავი რას ფიქრობს? —თქვა დათომ.

—საფიქრალი რა აქვს? ყველაფერი იცის და ახლს ხომ ვერ გამოიგონებს? —თქვა გიამ.

—საფიქრალი მაგას აქვს, თორემ ჩვენნაირს რა აქვს საფიქრალი? ვინც ბევრი იცის, ბევრიც მან უნდა იფიქროს, რომ სწორი აზრები გამოიტანოს და სწორი გზა დაანახოს ხალხს. უმეცარი და გაუნათლებელი ღრმად ჩაფიქრებული არ მინახავს და კიდეც, რომ ჩაფიქრდეს, თავის თავსაც შეიძლება ვერაფერი უშველოს. —თქვა ნოდარმა.

ბიჭები სულ ახლოს მივიდნენ ბერიკაცთან, რომელსაც ჩვეულებრივად მათი ხმაურის გამგონს მათკენ უნდა მიეხედა, მაგრამ არ მიუხედავს. ბიჭებს ამაზე არაფერი არ უთქვამთ, მაგრამ სამივეს ცოტა ეუცნაურათ. ისიც კი გაიფიქრეს, ხომ არ ჩაეძინაო, მაგრამ იქ მისულებს ისე დინჯად მიესალმა ძილისა არაფერი ემჩნეოდა.

—გამარჯობა. —მიესალმა ნოდარი და სხვებმაც გაიმეორეს.

—ღმერთმა გამარჯვება მოგცეთ კეთილ საქმეში. —თქვა მისალმების პასუხად ბერიკაცმა და მაგიდასთან დასხდომა შესთავაზა.

ბიჭები მაგიდის ირგელივ ჩამოსხდნენ.

—აბა რას იტყვით? თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რა მოხდა, რა შეიცვალა? —თქვა ბერიკაცმა თითქოს უფრო მხნედ.

—გიორგის ბიჭი შეეძინა, დავითმა ცოლი შეირთო. —თქვა ნოდარმა.

—იმედია ის გოგო შეირთე, რომელიც გიყვარდა. —თქვა ბერიკაცმა.

—კი, —უპასუხა დათომ.

—მერე რას ფიქრობ, ბედნიერი ხარ? თუ ის მიზანმიუღწეველი სიყვარული უფრო სასიამოვნო იყო? შენთვისაც ასე ხომ არ მოხდა, როგორც ბევრს ემართება, ვისთვისაც მიზანს მხოლოდ ცოლად მოყვანა წარმოადგენს და არა მის მერე ცხოვრება, რადგან ამაზე არც კი ფიქრობენ?

—არა, ასე რატომ უნდა იყოს? მე, როცა მასზე ვფიქრობდი, ყოველთვის ჩემი ოჯახის დიასახლისად, ჩემი შვილების დედად და ჩემს მეუღლედ მყავდა წარმოდგენილი და არა მხოლოდ ის, რომ მოვიყვანდი და ჩავეხუტებოდი.

—თუ ასეა, მაშ ბედნიერი ოჯახიც გექნება. —თქვა ბერიკაცმა და ორიოდე წამის შემდეგ ნოდარს მიმართა: —შენ? რასღა ელოდები? რატომ არ მოგყავს ის გოგო?

—ვინ გოგო? —გაკვირვებით იკითხა ნოდარმა, მაგრამ ბერიკაცს პასუხი არ გაუცია ისე გააგრძელა თავისი სათქმელი:

—შენს თავს უმალავ, რომ გიყვარს? შენ ხომ თავიდანვე, მამიდასთან იმიტომ წაიყვანე, რომ სხვებს არ ენდობოდი. ასეთი დაბნეულობა და გაორება კარგს არაფერს მოგიტანს.

ნოდარი რა თქმა უნდა მიხვდა ვისზეც საუბრობდა ბერიკაცი და მიუხედავად იმისა, რომ გაკვირვებული იყო ბერიკაცმა საიდან იცოდა ნათიას შესახებ, მაინც უხერხულად და თითქოს ნასიამოვნებმა შეიშმუშნა.

ეს არ გამოპარვიათ დათოს და გიას, რის გამოც გაოცებულებმა ერთიმეორეს შეხედეს, რადგან ასეთი გოგოს არსებობის შესახებ არაფერი გაეგოთ. გიას გაახსენდა უბნის ჭორები, რომ ნოდარს საცოლე ჰყავდა და გაკვირვებით და საყვედურით ჰკითხა:

—ვინ გოგოა ბიჭო? მე მიმალავდი?

—თავის თავს თუ უმალავდა შენ როგორღა გეტყოდა? თუმცა ცოტა ვერ გავიგე თავის თავს როგორ უმალავდა. —თქვა დათომ.

—არის რაა... ერთი... მალე გაიგებთ. —ოდნავი ღიმილით ჩაილუღლუღა ნოდარმა.

—კი გავიგებთ. ცოლად თუ მოიყვან, გავიგებთ აბა რა იქნება, მაგრამ ჩვენ, რომ ყველაფერს გეუბნებით, შენ რაღას გვიმალავ? —უთხრა გიამ. —უბანში რამდენიმემ მკითხა ნოდარის საცოლე ჰყოლია და როდის აპირებს ქორწილსო. მე კი ვამბობდი არავინ არ ჰყავს ტყუილია-მეთქი. თურმე მათ ჩემზე მეტი სცოდნიათ.

—მე არავისთვის მითქვამს და უბანში რას გეკითხებიან არ ვიცი. როცა დრო მოვა სხვებზე ადრე თქვენ გაიგებთ და ეს დრო მალე იქნება.

—ეგ საკითხი შეგიძლიათ სახლშიც გაარკვიოთ, აქ კი ის მითხარით, იმსჯელეთ სამყაროს წარმოშობასა და წყობაზე? შეგექმნათ რაიმე წარმოდგენა? —თქვა ბერიკაცმა.

ბიჭები წამსვე გადაერთნენ მითითებულ სფეროში აზროვნებით და თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

—გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა სამყაროს წარმოშობის გამოვლინებასა და სტრუქტურულ წყობაზე, მაგრამ ბევრი რამ მაინც ბუნდოვანია. მაგალითად, ვერ მივხვდი ბოლომდე, როგორ ხდება არსის გადმოსვლა, სულიერი და მატერიალური წარმოქმნა— გამოვლინება. —თქვა ნოდარმა.

—როგორც ამბობენ, მეცნიერებათა შორის ყველაზე ზუსტი მეცნიერებაა მათემატიკა. თქვენ როგორ ფიქრობთ არის თუ არა იგი მართლაც ზუსტი მეცნიერება? —თქვა ბერიკაცმა.

—კი, ზუსტი მეცნიერებაა. —თქვა ნოდარმა და მათაც დაადასტურეს.

—მეც ვადასტურებ, რომ მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ როგორც კი გადაგაქვს პრაქტიკაში, აუცილებელია პირობითი და ფარდობითი ფსიქოლოგიკური მიდგომა. მათემატიკაში 1+1 რომ 2-ა ზუსტად და არა მეტი ან ნაკლები, ეს უდავოა, მაგრამ როცა ამ ციფრებში რაიმე არსებითი იგულისხმება, მაშინ შეიძლება სადავო გახდეს, რადგან თითქმის არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი საგანი თუ მოვლენა. აი მაგალითად: ერთ ძროხას მივუმატოთ ერთი კურდღელი რამდენი იქნება? აქ რა თქმა უნდა ვერ ვიტყვით ვერც ორ ძროხას და ვერც ორ კურდღელს. ამ შემთხვევაში თუ აუცილებელია მათი ერთჯამში მოხსენიება, უნდა მოინახოს მათი არსობრივი გამაერთიანებლობის აღმნიშვნელი რაიმე სიტყვა, მაგალითად სული და ითქვას ორი სული.

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს: ერთ სახლს მივუმატოთ ერთი სახლი არის ორი სახლი. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად სოფელში დავთვალოთ სახლები და ვთქვათ, რომ ამდენი სახლია. მაგრამ ერთი სახლი შეიძლება მეორეს 10-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდეს, რაც რეალური სახე, რაოდენობრივ გამოსახულებასთან არ იქნება ზუსტი შესაბამისობით.

ასევე შეგვიძლია ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ. თუ ორ დამოუკიდებელ ცეცხლს გავაერთიანებთ, ანუ ერთ ცეცხლს მივუმატებთ მეორეს მივიღებთ არა ორს, არამედ ერთ ცეცხლს, თუმც შეიძლება უფრო ძლიერს. სხვა მეცნიერებაში კიდევ უფრო მეტი პირობითობაა აუცილებელი დაზუსტებული განსაზღვრისათვის.

მაშასადამე, ეგრეთწოდებულ რეალურ მატერიალურ სამყაროს, აღქმის ცნობიერებაშიც კი სწორი დახასიათებისათვის ზოგჯერ აუცილებელია ლოგიკური, პირობითი ურთიერთკავშირის ძიება. თუკი მატერიალურ სამყაროში ასეთ სირთულეებს ვხვდებით და ურთიერთ მაკავშირებელს ვეძებთ, იქ სადაც ხუთი მატერიალური გრძნობითი სისტემა მოქმედებს, მაშინ რაღა იქნება იმ სამყაროს ცნობიერი აღქმა, რომელშიც თითქმის მხოლოდ ტრანსცენდენტალური აზროვნება სწვდება?

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი. სოფლისკენ მიმავალ გზაზე კაკლის ხე დგას. იმ ხეს გამვლელთა უმრავლესობა მხოლოდ მაშინ ამჩნევს, თუ სიცხეში ჩრდილი დასჭირდა ან მომწიფებული ნაყოფით დაინტერესდა. დანარჩენ დროს კი უმრავლესობა ამ ხეს ვერ ამჩნევს მიუხედავად იმისა, რომ განცალკევებულად დგას შესამჩნევ ადგილას, და შეუმჩნეველი მათს ფსიქოცნობიერებაში არც არსებობს. სინამდვილეში კი ეს ხე როგორც დანარჩენი ბუნება ადამიანთან მჭიდრო კავშირშია: მას აქვს ნაყოფი რომელსაც იღებს ადამიანი საკვებად და მისი ორგანიზმის ნაწილი ხდება; იგი გამოჰყოფს ჟანგბადს, რომელსაც ადამიანი მოიხმარს და ასევე მისი სიცოცხლის ნაწილი ხდება; გამოიყენება ძეშად და მისი ენერგიის ნაწილი ადამიანის ენერგიის ნაწილი ხდება და კიდე სხვა მაკავშირებლები. თუნდაც მისგან დამზადებული ავეჯი, ხშირად ადამიანის ფსიქოსულიერ ნაწილში ისე იჭრება, მისი ნაწილი ხდება. ასე რომ ადამიანი ხესთან მჭიდრო კავშირშია. უფრო მეტიც, მისი არსებობისათვის როგორც ფიზიკური ასევე სულიერი ნაწილის აუცილებლობას წარმოადგენს.

ერთი ძირი კაკლის ხე რა თქმაუნდა დიდ საქმეს არ წყვეტს, ასევე როგორც ერთი ადამიანი რაოდენობრივად და თვისობრივადაც დიდს არაფერს წყვეტს მილიარდობით მოსახლეობაში, მაგრამ მთლიანობაში თუ ხეები და მცენარეები გაქრება, ვერ იარსებებს ვერც კაცობრიობა. ასეა მატერიალურში და თუ მას მეტაფიზიკურში განვიხილავთ იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ შეიძლება ერთიდაიგივე წყაროს ორი სხვადასხვა გამოვლინება იყოს. ამდენად, იზოლირებული არ არის როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და ისეთი მჭიდრო კავშირია, რომ ერთის არსებობა მეორესა დამოკიდებული, ერთიანია და მთლიანი ერთიანობის ნაწილს წარმოადგენს. ასევე სხვა დანარჩენ გარემოსთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეხებით, ურთიერთკავშირთა დამოკიდებულებით ურთიერთშორის „სიცარიელეს" ვაესებთ და არსობრივ და არსებობრივ ერთიან სივრცულ სამყაროს ვქმნით.

ერთი შეხედვით ცალკე, დამოუკიდებლად არსებული საგნები და მოვლენები სინამდვილეში მჭიდრო ურთიერთ კავშირშია და მათი დამაკავშირებელი ერთგვარი „ხიდის" შეგრძნება და კავშირის ხარისხობრივი გაცნობიერება დამოკიდებულია ადამიანის ცნობიერების ხარისხზე. იზოლირებულობის ფსიქოლოგიური შეგრძნება, დაბალი ცნობიერების შედეგია. მხოლოდ მარტივი არითმეტიკული დათვლით და მათი დამოუკიდებელ–იზოლირებულ საგანთა რაოდენობრიობით, სამყაროს არსის ჭეშმარიტი შემეცნებისკენ ვერ წახვალთ. სამყარო ასე მარტივი არ არის და ჩვეულებრივი მარტივი ეტალონებით არ იზომება. ყველაფერს, რასაც შევიმეცნებთ, ჩვენს ირგვლივ ფსიქოლოგიური აღქმით შევიმეცნებთ. ამიტომ გარდა მკაცრი ინდივიდუალური სახელწოდებრივი აღქმისა, ერთი მეორისადმი და მათ შორის სიცარიელის შემავსებელ–დამაკავშირებელი ლოგიკურ–მსჯელობრივი საგანთა რაოდენობრივი ანგარიშით ცნობიერებაც უნდა არსებობდეს.

სამყაროს წარმოშობა-განვითარებაშიც, როცა ელაპარაკობთ განვითარების რომელიმე კონკრეტულ საფეხურზე ანუ ციკლზე, უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ იგი არ არის დამოუკიდებელი და იზოლირებული. არ წარმოიქმნება წინა საფეხურის თუ ციკლის დასრულების შემდეგ, არამედ მასშივე და მისი არსებობის პარალელურად იღებს საწყის განვითარებას. შემდგომშიც კავშირშია როგორც წინა ისე მომდევნო ციკლებთან და ასე პარალელურად არსებობენ გარკვეული დრო მუდმივად. ამის წარმოდგენის გასაიოლებლად გავაანალიზოთ მარტივი თქვენთვის ცნობილი პრაქტიკული მაგალითი:

ბავშვი რომელიც იბადება, ჩვეულებრივი საჩინო ხდება ჩვენი თვალებისთვის, მაგრამ ამ დროს არ წარმოიშვება და არც ამ დროიდან ხდება დამოუკიდებელი. იგი მშობლის წიაღში წარმოიშვება და დაბადებამდე მისი ორგანიზმის ნაწილია. დაბადების შემდეგაც დედა ზრდის და დამოუკიდებლად არსებობის გაგრძელების უნარი არ გააჩნია. მისი გენეტიკა კი, როგორც იცით ათასობით და მილიონობით წლებიდან იღებს სათავეს და ამით დაკავშირებულია მის უძველეს წინაპრებთანაც.

ასევეა ცხოველებში და ფრინველებშიც. ფრინველში კვერცხი დედის ორგანიზმში ყალიბდება და ამ ორგანიზმის ნაწილს წარმოადგენს ჩამოყალიბებამდე.

ეს ყველაფერი რა თქმა უნდა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ამ კანონზომიერებიდან აღსანიშნავია უმთავრესი რვათა კანონი ანუ ოქტავას კანონი. გაიხსენეთ ქართული ანბანის პირველი წრის და სამყაროს წყობის განხილვა. ეს არის საერთო, გამაერთიანებელი კანონი, როგორც სამყაროს წარმოშობა–განვითარების, დასასრულის და კვლავ წარმოშობის სისტემის, ასევე ციკლთა წყობის და ცალკეული ციკლების შიგა ქვე ციკლებისა. ეს არის კაცობრიობის წარმოშობის, მისი არსებობის, სხვადასხვა ცივილიზაციების სისტემური ციკლურეპოქალური კანონიც და სხვადასხვა რასობრივ ეროვნული წყობისაც. საერთოდ ეს კანონი ყველგან და ყველაფერს ეხება, მის გარეშე არაფერი არსებობს, რადგან სამყაროში ყოველივე გამოვლინებული ტალღური თვისებისაა და ოქტავას რვათა კანონი ტალღური სიხშირეების გავრცელება–მოქმედების კანონზომიერებაა, როგორც აღმავალი ასევე დაღმავალი ტალღური სიხშირეებისათვის.

ცივილიზაციებიც და რასებიც, როგორც ბავშვი დედის წიაღში, აქაც წინა ცივილიზაციებში და წინა რასებში იღებს სათავეს და არა დასრულების შემდეგ.

რვათა კანონის სისტემა საკმაოდ რთულია დაწვრილებითი და სრული განხილვისათვის. ამიტომ ამჯერად ამახე სჯობს ნაკლები ვისაუბროთ, მაგრამ ერთს კი გეტყვით, რომ მისი სრული ზოგადი სიმბოლური სახეა კვირის დღეები. ჩვეულებრივი არითმეტიკული ანგარიშით კვირაში 7 დღეა, მაგრამ ციკლური ანგარიშით 8 დღეა.

–როგორ რვა დღე? აბა მერვე დღე სად არის? –ჰკითხა დათომ

–გეტყვით, აბა მითხარი, რომელია კვირის პირველი დღე?

–რა თქმა უნდა ორშაბათი. –თქვა დათომ.

–მაშინ რატომ ჰქვია ორშაბათი და არა ერთშაბათი?

–ეგ არ ეიცი, მაგრამ თუ ორშაბათი კვირის მეორე დღეა და ამიტომ ჰქვია ორსაბათი, მაშინ კვირას ხომ ერთშაბათი უნდა ერქვას? –თქვა ისევ დათომ.

–ამაში ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ საქმე იმშია, რომ კვირა დღე სწორედ ის დღეა როცა ბავშვის შემთხვევაში დედის მუცელში ყალიბდება. ესეიგი ბავშვი არსებობს, მაგრამ ის ჯერ კიდე დედის ორგანიზმშია და მას ეკუთვნის. სამყაროსათვის კი ის დრო, როცა სამყარო პირველად ატომში პოტენციურად არსებობს, მაგრამ ჯერ გამოვლენილი არ არის. ამიტომაც არ ჰქვია კვირა დღეს ერთშაბათი, რომ ის ამავე დროს კვირის მერვე დღეა. მუსიკის ტონებში თუ ერკვევით შეადარებთ ზუსტ მსგავსებას ნახავთ. მუსიკალურ ოქტავაში 7 ტონია არითმეტიკულად მაგრამ ჰქვია ოქტაეა ანუ რვა, იმიტომ რომ "დო" რომელიც ოქტავების გამაერთიანებელია ორივე ოქტავას ეკუთვნის. კვირა დღეც "დოს" მსგავსად კვირების გამაერთიანებელია და ორივეს ეკუთვნის. ასე, რომ კვირა დღე არის კვირის პირველი დღე, ორშაბათი მეორე დღე, ხოლო შაბათი კვირის მეშვიდე და კვირადღე მერვეა. ეს შეიძლება ჯაჭვსაც შეადაროთ, ყოველი ჯაჭვის რგოლი დაკავშირებულია ერთიმეორესთან ისე, რომ მასშია შესული. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არა ჯაჭვს არამედ მხოლოდ ცალკეულ რგოლებს. ჯაჭვი წყდება იქ, სადაც მომდევნო რგოლი არ არის წინა რგოლში შესული. ნებისმიერი ერი, რასა, თუ ცივილიზაცია ვერ იარსებებს თუ მას წარსულის ფესვებს მოჭრიან ან თვითონ მოიჭრის, ამიტომაც ორ ერს თუ ორ რასას შორის ურთიერთობაში თუ ერთი რაიმე ხერხით შეეცდება მეორის წარსული ფესვების ანუ წინაპართა გენეტიკის, ცნობიერებისა და კულტურის მოსპობას ეს არის ყველა ომებზე მსაკვრული მცდელობა ერის განადგურების. ამჟამად ბევრი ერი, უპირველესად ქართველი ერი, ასეთი საშიშროების წინაშე დგას.

ამავე დროს, რვათა კანონთან ერთად, სამყარო იმართება სამების კანონით, რომელიც ტრიადების კანონითაც არის ცნობილი. ამ კანონის მიხედვით, ყოველ გამოვლინება–ქმნადობაში აუცილებლად მოქმედებს სამი ძალა, რომლის გარეშეც არც ერთი სახის გამოვლინება არ არის შესაძლებელი. მხოლოდ და მხოლოდ სამი, არც მეტი და არც ნაკლები. მარტივად შემიძლია მოგიყვანოთ თქვენთვის ნაცნობი პრაქტიკიდან, სამების მაგალითები. მაგალითად, დედამიწაზე არსებული სიცოცხლე მამა–მზე, დედა - დედამიწა და შვილი – დედამიწაზე არსებული სიცოცხლე. ასევე ოჯახური სამება, მამაკაცი, დედაკაცი და შვილი. შვილი, რომ გაიზრდება, თავად ქმნის ახალ სამებას და იქცევა კაც–ად, შესაბამისად დედა-კაც-ად ან მამა-კაც-ად. ეს ორივე მამა და დედა კაც ცალკცალკე ერთიმეორისგან განსხვავებული კოსმიური ძალაა, აქტიური და პასიური და არ შეიძლება ერთიმეორეში არევა. ასევე თქვენთვის. ფიზიკიდან ცნობილი სამება მოლეკულური ანუ მატერიალური სამყარო, რომელიც შედგება ელექტრონის, პოზიტრონის და ნეიტრონისაგან. ფიზიკის მსგავსად, სამყაროს ყოველ სამებაში

პირობითად მიჩნეულია ერთი ძალა დადებითად, მეორე უარყოფითად ხოლო მესამე ნეიტრალურად.

რაც შეეხება სამყაროს წარმოშობასა და დღევანდელ მდგომარეობაში მის საიდუმლოს, არც ისე მარტივია, რომ ორიოდე შეხვედრით და საუბრით გაიხსნას თქვენთვის მთლიანად. ამის აღსაქმელად ხანგრძლივი დრო, ხშირი ფიქრი და გონების შესაძლებლობის უდიდესი ნაწილის გამოყენებაა საჭირო. რთული კი არის, მაგრამ ხელმისაწვდომია, თუ კი მონდომება, მისწრაფება გექნებათ და ყოველ ნაბიჯზე, გაგონილს და დანახულს გონებით ჩაუღრმავდებით, განსჯით, ახლის ძიებაში იქნებით და ზედაპირულად არ მიიღებთ ყოველივეს.

სამყაროს წრმოშობამდელი მდგომარეობა წარმოადგენს "დო" ტონს, რომლისგანაც წარმოიშვება პირველადი სამება. "სი" –რისგანაც შემდეგ საფეხურზე "ლა"–ზე ყოველი ერთი ძალიდან წარმოიშვება სამი ძალა ანუ სულ სამი სამება და ყოველ შემდეგ საფეხურზე თვითოეულისგან სამი წრმოიშვება, ვიდრე "დო" –მდე. სამყაროს გამოვლინება–განვითაერბის ყოველ საფეხურზე, მოქმედებს ამ საფეხურზე გამოვლენილი და იქამდე გამოვლენილი სამების ძალთა სისტემები და არ მოქმედებს მასზე შემდეგი საფეხურების გამოვლენილ სამების ძალთა სისტემები.

ყოველ რელიგიაში, ლეგენდებში, მითებში, ხალხურ თქმულებებში და სიმბოლიკაში ფარული აზრები და კოსმიური ცოდნა დევს. ისინი შემთხვეითი გამოგონილები არ არის და წარმოადგენს უძველეს და უდიდეს სიბრძნისა და ფაქტების სინთეზურ ნაყოფს. თუ ამ ფარულ ნაყოფს კარგად გამოვიკვლევთ, საკმაოდ ბევრ კოსმიურ საიდუმლოს აეხდება ფარდა. ეს კი დღევანდელ მსოფლიო რელიგიებიდან ბევრ სიყალბეს გამოაშკარავებს და გამოდევნის. ამ "გაწმენდის" შემდეგ, დღევანდელი ისტორიის მიუწვდომელ დროში არსებულ ისტორიას და ჭეშმარიტ სიბრძნეს ნათელს მოჰფენს. ამ კვლევას ხელს უშლის ისეთი მიდგომა, როგორც ჩვეულებრივი მეცნიერება თვლის, რომ ისინი ლამაზი, მოგონილი არაფრის მთქმელი ამბებია და უმეცარი ხალხის ფანტასიის ნაყოფია. ასეთი მოთოლოგიური მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ: კატა ქალღმერთის სახით დარაჯობს მზეს. ძველი ეგვიპტელები მთვარეს წარმოადგენდნენ კატის სახით, ზოგჯერ კი მზესაც. საიდანაც შემდგომში მისი მნიშვნელობის დავიწყების შემდეგ ჩვენს დროში ხალხში ხშირად კატას ზოგჯერ ღვთებრივად, ზოგჯერ პირიქით ეშმაკისად მიიჩნევდნენ. ბევრი მეცნიერის აზრით კი ეგვიპტელები უმეცრებისა და გონებასისუსტის გამო მთვარეს კატად თვლიდნენ. სინამდვილეში აი, რას ნიშნავს: მთვარე ღამე ანათებს, კატაც ღამე ხედავს და თანაც თვალები ანათებს. იმავე დროს კატის თვალების გუგები დღისით, წვრილ წაგრძელებულ ნახევარ მთვარის ფორმისა აქვს, ხოლო ღამე მთლიანი და წრიული, როგორც სავსე მთვარე. ამიტომ კატა მთვარის სიმბოლოდ იქცა ხოლო მზეს უდარებდნენ იმიტომ, რომ მზე ღამითაც "ხედავს" თავის სხივებით

მთვარის მეშვეობით, ანუ მთვარის ნათებით, რომელიც მზისგან არეკლილი სხივებია და კატაც მის მსგავსად ღამე ანათებს არეკლილი სხივებით და არა თავისით.

ასე, რომ იმ დროს იცოდნენ თუნდაც ის ელემენტარული ასტრონომია, რომ მთვარე მზის სხივებით ანათებს და სწორედ ამის გამო ჩანს ზოგჯერ სავსე, ზოგჯერ კი ნაწილი, რაც ეხლანდელ დროში, შეიძლება ბევრმა იცის, მაგრამ არა უმრავლესობამ.

ასე, რომ სიტყვას გაგონილს, სიტყვათა წყობით გამოხატულ აზრს მარტივი სამეტყველო გამოხატულების გარკვეეით ნუ შეაფასებთ და აზრს და მის უკან მდგომ, ამ აზრის წინა, მიზეზობრივ არსს უნდა ჩაეძიოთ, რამაც ამ აზრის წარმოშობა განაპირობა.

ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვა იდეალური გამოვლინებაა სხვადასხვა შესაბამისი სუბსტანციებისა, როგორც მისი არსობრივი მნიშვნელობით, ასევე მისი ყღერადობით. ადამიანი სამყაროს ნაწილია, მისი გამოვლინება და შესაბამისად ნათქვამი სიტყვაც სამყაროს რომელიმე ძალის გამოვლინებაა. სხვანაირად ადამიანი, არა თუ სიტყვას ვერ იტყვის, არამედ საერთოთ ვერც გაინძრევა, რადგან ვერც იარსებებს. როგორც ხის ნაყოფი, მაგალითად ვაშლი, მიწისგან ფესვებით ამოწოვილი საზრდოსი და მზის სხივების შედეგია, არა მხოლოდ თვით ხისა. ასევე ადამიანს, არ შეუძლია დამოუკიდებლად, იდეის წარმოქმნა და მისი სიტყვიერ ნაყოფად გამოვლინება. ვაშლის ხის მეშვეობით, მიწიერი და ზეციური ძალების ერთობლიბა გამოაველენს ნაყოფს და არა თვით ხე დამოუკიდებლად. როგორც ვაშლი, ასევე ადამიანი და მისი იდეა—სიტყვა დაკავშირებულია სამყაროს ოთხ ძირითად ელემენტებთან და სულიერ მაგიურ ძალებთან. ესეიგი, ნებისმიერი ნათქვამი სიტყვა, მარტივად რომ ვთქვათ, გამოძახილია რომელიმე სულიერ—მაგიური ძალებისა, იმისდა მიხედვით რა ყღერადობრივია და რა არსობრივი დატვირთვა აქვს მას, დადებითი თუ უარყოფითი. ჭკუიანი, გონიერი ადამიანი ანგარიშს უწევს სათქმელი სიტყვის შესაძლო შედეგებს და ამის შესაბამისად ცდილობს მოზომილად ილაპარაკოს, რითაც უარყოფით სულიერ ძალთა გავლენას ამცირებს, უმეცარი კი მთლიანად სტიქიური ძალების მონაა და იმის მიხედვით ლაპარაკობს, თავში რა აზრი მოუვა, რომელიც მოცემულ დროის მონაკვეთში, რომელი ძალის გავლენაშია სტიქიურად. უმეცარი ადამიანი, უცოდინრობისა და ჩამოუყალიბებლობის გამო აღძრავს ისტორიიდან (წარსულიდან) უარყოფით ძალთა გამოძახილს და ამ ძალთა გააქტიურობას იწვევს, რამაც კატასტროფულადაც კი შეიძლება იმოქმედოს კაცობრიობის არსებობაზე.

ათასწლეულების წინ, ჩვენს წინაპრების ცნობიერებაში სიტყვა "თავისუფლება" ნიშნავდა არა რაღაცისგან განთავისუფლებას, როგორც ეხლა ესმით, არამედ პირიქით, რაღაცისკენ განთავისუფლებას. ეს ერთი შეხედვით გაუგებარი ჩანს, მაგრამ თუ კარგად ჩაუწედებით იმ ფაქტს, რომ ადამიანი სამყაროს ნაწილია, და მის ძალებზეა დამოკიდებული ყოველთვის, მაშინ ადვილი გასაგებია, რას ნიშნავს

თავისუფლება. თავისუფლება ნიშნავს არა დამოუკიდებლობას, არამედ შერჩევითობის, შესაძლებლობას ანუ თავისუფალ არჩევანს იყო გავლენაში რომლის ნებაც შენია. ე.ი. თავისუფლება არა რაიმესგან, არამედ რაიმესკენ.

– ისე კი, როგორც დღეს ესმის ეს სიტყვა კაცობრიობას, ნიშნავს არა თავისუფლებას, არამედ პირიქით ქაოსისადმი მონობას, რადგან ასეთი ვითომდა პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა მრავალ კოსმიურ და მიწიერ ძალთა ერთდროული და ერთობლივი გავლენის შედეგია. დღევანდელი კაცობრიობის დაბალი გონიერების ცნობიერება არ იძლევა ამ სიტყვის არსის ჩაწედომის საშუალებას, ამიტომ არც შესაბამისი მოქმედების უნარიანობა გააჩნია. ჩვეულებრივად ადამიანი თავისუფალი არ არის, და წარმოდგენაც არა აქვს რა გავლენებშია, რა ძალები მოქმედებენ მასზე, რა შეიძლება მოიმოქმედოს და რა შედეგი მოჰყვეს მის მოქმედებას. ისეთი ადამიანი კი, რომელიც თავისთავს ვერ ფლობს და თვითონ არ იცის როდის რას მოიმოქმედებს, არ შეიძლება სახიფათოდ გამოსაყენებელ საიდუმლოს ფლობდეს. სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი სამყაროს არსის ჭეშმარიტი ცოდნის და კაცობრიობის რასობრივი და ეროვნული ისტორიის გასაიდუმლოებისა, ანუ ხალხის მასებისგან დაფარვისა.

ასე შეიქმნა უძველესი იბერიულ-ეგვიპტური სიმბოლოებით გასაიდუმლოებული ანბანი ტოტ, შემდგომში კი ჩინური სიმბოლიკური ანბანი. უძველეს პირველ იბერიულ ანბანში ათასობით ასო-სიმბოლო იყო. ერთი სიმბოლო მთლიან სიტყვას ან მთელ აზრს მოიცავდა და ყველა ერისთვის საერთო და გასაგები იყო, მიუხედავად ენათა სხვადასხვაობისა.

–ესეიგი, ძველად უფრო მაღალი ცივილიზაცია იყო ვიდრე ჩვენი დროისა? –იკითხა ნოდარმა.

–იბერიულ-ეგვიპტური რას ნიშნავს, ეგვიპტელებმა იბერიულისგან ისწავლეს? მაშინ ხომ იბერიული ყოფილა და არა ეგვიპტური? –ჰკითხა გიამ.

–ის იბერიულიც იყო და ეგვიპტურიც, ხოლო ეს რას ნიშნავს ანუ საერთოდ რას ნიშნავს იბერიული რასა შემდგომ გეტყვით.

ეს სიმბოლიკური დამწერლობა, რომელიც როგორც ვოქვი ათასობით სიმბოლოს მოიცავდა, დაყოფილი იყო სამყაროს შვიდ საიდუმლოს შესაბამისად, შვიდ აზრობრივ საკითხად. ყოველი ასეთი აზრობრიობის ჯგუფი, სამყაროს ერთ-ერთ საიდუმლოებას ხსნიდა და გააჩნდა თავისი სათაო სიმბოლო-გასაღები. ამ გასაღები-სიმბოლოს ფლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო სამყაროს კონკრეტულად იმ საიდუმლოს ამოხსნა, რომელსაც ეს გასაღები წარმოადგენდა. უძველეს დროში, უდიდესი სულიერად ჩამოყალიბებული, ამაღლებული და განათლებული ადამიანები ფლობდნენ ყველა გასაღებს და საიდუმლოდ ინახავდნენ,მაგრამ ეგვიპტური ცივილიზაციის დაცემის დროს,ნელნელა დაიწყო ამ გასაღებების კარგვა ან გადასვლა სხვის ხელში, რითაც მისი სწორი გამოყენების აუცილებლობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ინდოეთში დღესაც არიან სულიერად ამაღლებული ადამიანები, რომლებიც ამ გასაღებებს ფლობენ და საიმედოდ იცავენ. გარდა ინდოეთისა, სხვა რამდენიმე ადგილში ფლობდნენ ზოგიერთ გასაღებს, რომელთაგანაც თითქმის ყველა დაიკარგა. ქრისტეანული სარწმუნოებაც ფლობდა საწყის ხანაში რამდენიმე გასაღებს, რის საფუძველზეც შეიქმნა მისი დოგმები, მაგრამ შემდგომში ხელმძღვანელობამ გასაღებები ნელნელა დაკარგა, თუმცა ის სწორი დოგმები, რომელიც ქრისტეანულ სარწმუნოებაში იყო დღესაც არსებობს.

ქრისტეანული სარწმუნოების საიდუმლო ცოდნის გაჟონვის საფუძველზე და ძველ ეგვიპტური კოსმიურ-ღვთაებრივ ფილოსოფიის გაფანტულ ნარჩენებზე მრავალი საიდუმლო სექტა თუ ორდენი შეიქმნა ევროპაში და აზიაში. ამ სექტებსა თუ ორდენების უმრავლესობას ერთი შეხედვით თითქოს ჰუმანური იდეები ჰქონდათ, მაგრამ ხშირად მსოფლიო წესრიგის დამყარების იდეით იმსჭვალებოდნენ, რომლის უკან მსოფლიოზე ბატონობის მიზან- სურვილი იმალებოდა. ასეთმა ორგანიზაციებმა ჩვენს საუკუნეშიც მოაღწია და გამოვლინდა კიდეც თავისი მოქმედებით. ასეთი იყო რუსული ბოლშევიკური მოძრაობის უმთავრესი მიზანი, რომელიც დღესაც ცოცხლობს, ასეთი იყო ჰიტლერული გეგმებიც და ასეთიეა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის მიზან—გეგმები, და მცდელობა მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარების შესახებ.

ყოველი ასეთი მცდელობა მათთვის უშედეგოდ მთავრდებოდა და მომავალშიც უშედეგოდ დამთავრდება. უშედეგობის მიზეზი ბუნებრიობის –კოსმიური კანონის საწინააღმდეგო სულაა. მისი შედეგი მხოლოდ დიდი მსხვერპლია და ზოგჯერ დროებითი მოკლე ვადიანი იმპერიის შექმნა. მსოფლიო წესრიგის დამყარება კოსმიური მისიაა და არა მიწიერი. მიწიერი ცხოვრება, კოსმიური ძალების შესაბამისი მრავალფეროვნებით უნდა მიმდინარეობდეს და ვითარდებოდეს. ეს მრავალფეროვნება კოსმიური ციკლების ცვალებადობების შესაბამისობით იცვლება და სხვა სახით ნაძალადევი ცვლილება, კატასტროფას გამოიწვევს.

ამ ორდენებს რომ კოსმიური სიღრმისეული საიდუმლო სცოდნოდათ, ანუ საიდუმლოს გასაღები ჩაეგდოთ ხელში, ან საერთოდ არ მოინდომებდნენ მსოფლიო წესრიგის დამყარებას, ან კი პირიქით სწრაფად დაღუპავდნენ ქვეყნიერებას, იმის შესაბამისად, რა სულიერ –ბონიერი სიწმინდეც აღმოაჩნდებოდათ.

რაც შეეხება სამყაროს წარმოქმნა-მოწყობას, უძველეს ეგვიპტური ფილოსოფიის ალეგორიული სახე რომ განვიხილოთ, მარტივად და ზედაპირულად ასე იქნება. პირველადი დიფერენციაცია, წყარო, საიდანაც სამყაროს შემქმნელი ძალა გამოსხივდება, წარმოდგენილია როგორც ზეციური მდინარე "ნუნ". ეს არის მეორე ლოგოსი (სიტყვა). მასში არის როგორც "ბებ" –მამრობითი, ანუ აქტიური ძალა, ასევე მდედრობითი "ნუტ," ანუ პასიური, მხოლოდ არა განცალკევებულად არამედ ერთად და ერთ არსში. როგორც წინათ ვთქვით თევზი მამრობითობის

სიმბოლოა, ანუ აქტიურის. ამიტომ "ნუნ' ხშირად გამოისახება სიმბოლიკაში როგორც ქალთევზა ან თევზი კვერცხით. ქალთევზა ნიშნავს მამრობითის და მდედრობითის ერთიანობას. მასში ყოველგვარი საწყისის საწყისი არსი ერთადაა, დაულაგებლად და განუცალკევებლად. "გებ"-ს ზოგჯერ სატურნს ანუ კრონოსსაც ეძახდნენ. ეს არის უხილავი ერთიანობა რომელიც ქმნის სივრცეს ის უძირო და უგანსომილებია. ამიტომ მას პირველადი ეთერის ქაოსს უწოდებენ. ამ ქაოსში არის საწყისი თეოსი და კოსმოსი. ეს პირველადი სამებაა. (ტრიადა.) მას აღნიშნავდნენ სამკუთხედით. (შემდგომში მას ემატება გამოვლინებაში უხილავი სივრცე და სამკუთხედი გარდაიქმნება კვადრატად)

აქტიურს ანუ მამრობით ძალას "გებ-ს" ღვთაებრივ ცეცხლსაც უწოდებენ. ხოლო მის მეუღლეს მდედრობით ნაწილს "ნუტ"-ს კი– ზეციურ დედოფალს.

"გებ"-დან და "ნუტ"-დან გამომდინარეობს, ანუ გამოსხივდება მათი შვილები: ღმერთები ისიდა და ოსირისი. ისიდა ნუნისთვის მდედრობითი საწყისის მატარებელია, გააქტიურების შემდეგ კი გამოვლინების შემდგომი საფეხურისთვის მამრობითი ხდება. ათეულობით და ასეულობით ათასი წლის განმავლობაში სწორედ ის იყო წმინდა ქალწული ღვთისმშობელი, მრავალ მითოლოგიასა და მისტერიაში დედამიწაზე წარგზავნილი მესია–ღმერთების დედამშობელი, რომელიც აქტიური ძალა–სხივის მეშვეობით განაყოფიერდება და შობს ძე ხვოისას. ის მიკროენერგეტიკული კვანტური მატერიალური გამოვლინების ერთერთი სახეა, რომელიც მაღალი სულიერ- გონიერი პოტენციალის შემცველია და რომელშიც "მამის" ანუ აქტიური დადებითი წმინდა ზეციური გონის ძალის ზემოქმედებით ჩაისახება და "იშობება" მაღალგონიერი დიფერენცირებული სული. ასეთი რამ ჩვენ შემთხვევაში, დედამიწაზე, ადამიანში შეიძლება მოხდეს.

ოსირისი არის პირველი დიფერენციაციის გამოვლინებული ღმერთი, ერთიანი შემოქმედებითი ძალა, თვითარსი და ყოველივე სულიერსა და უსულოს თვითშემქმნელი, რომელსაც ჰქვია ტუმ. იგი ჩვენთან მესამე ლოგოს (სიტყვას) წარმოადგენს. ის არის 'მამაღმერთი", იგივე 'ხევსი, ესეიგი, ღვთაებრივი ცეცხლის „აებ"-ის ანუ კრონოსის ვაჟი.

ოსირისს ჰყავს და-ძმები, ცოლები და შვილები. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს მრავალი სახის გამოვლინება და მრავალი კავშირები. სხვა ძალებთან, რომელსაც აქვს ოთხი ძირითადი სახის გამოვლინება –ასპექტი; ოსირისი წმინდა, ოსირისი გონიერების, ოსირისი მთვარის ანუ ფსიქიკური და ასტრალური ოსირისი ანუ დემონური – ფიზიკურ მატერიალური მისწრაფებების.

„ოსირისმა იპოვა შუ, (ლამაზი ძალა) სხივთა ქალაქის მისასვლელ საფეხურებზე და გაანადგურა ნუნ-ის ბოროტების ძე", ასე გვეუბნება ეგვიპტური ფილოსოფიური მისტერიული მითოლოგია. ეს არის მზის საფეხურები ანუ ჰელიოსის ღვთაების სამყლობელო, სადაც აღარ არის ბოროტების საწყისი და გამოიფრქვევა სითბო, სინათლე და გონიერების ენერგია.

ადამიანის ასტრალური სხეული სწორედ ოსირისას გამოვლენების ერთერთი სახეა ადამიანში (მატერიალურად იგი ნეიტრინულია) და თუ მისი მატერიალური მისწრაფებები არ დამორჩილდა ოსირისა წმინდას და გონიერს, მაშინ მისი ფსიქოლოგიური გამოვლინება დემონურს წარმოადგენს.

ნუნ-მა, ანუ პირველმა დამბადებელმა, შექმნა ღმერთები თავისი ნაწილებისაგან, —14 ღმერთი. –7 ნათელი და 7 ბნელი –ბოროტების ღმერთი. ეს ნიშნავს მანვანტარის აქტიურობის გაფურჩქვნის 7 დღეს და პრალაის (ძილის, უძრაობის) 7 ღამეს, დაწყებული მთლიანი სამყაროს უდიდეს ციკლებიდან, დამთავრებული საკაცობრიო და სხვა მცირე ციკლებით. ამის შესახებ აგიხსენით. გაიხსენეთ კვირის 7 დღე, როგორც სიმბოლო ციკლების. ყოველი ღამის შემდეგ ხდება კვლავ აღდგომა ნათლისა და გაფურჩქნა, ეს ეხება ყველა მანვანტარას, მათ შორის ცივილიზაციებსაც. ყოველი ცივილიზაციის გაბრწყინებისა და ამაღლების ხანა იწყება კოსმიური არსის ცნობიერების ამაღლებით, ანუ ნათლით.

მოლეკულური ფიზიკა, როგორც თქვით, იცით ასე თუ ისე. კარგი იქნება თუ კვანტურ ფიზიკასაც ისწავლით რაც დღეისათვის ცნობილია ფიზიკისათვის. თუ ჩაუღრმავდებით, მისი შესწავლის შემდეგ, ბევრ რამეს ნათელი მოეფინება. ოღონდ არ უნდა იჩქაროთ დასკვნების გამოტანა, შესაძლოა არასწორი აზრი აგვეკვიატოთ და შემდეგ ძნელი იქნება მისი მოცილება. შეისწავლეთ, როგორც ნეიტრინო და ფოტონები ანუ გამაკვანტები, ასევე კვანტური გრიგალები და სხვა. რომელიც ჩვენს დროისა და სამგანზომილებიან სივრცულ ცნებას არ ემორჩილება. ჩაუღრმავდით, როგორ იქმნება ველებისგან კოსმიური კვანტური „ნაწილეკები“ და შემდგომ მათგან ფიზიკური მატერია. მაგალითად: გამა კვანტი ნეიტრალურია, მაგრამ თუ ის მიიღებს „უარყოფით“ ელექტრონულ მუხტს–ელექტრონად იქცევა, ხოლო იგივე გამაკვანტი თუ მიიღებს დადებით ელექტრონულ მუხტს პოზიტრონად იქცევა და მოლეკულის შემკვრელ ძალას წარმოადგენს. ეს მუხტები კი შეიძლება ნეიტრინოებიდან მიიღოს. ასევე ნეიტრინო, რომელიც ნეიტრალურს წარმოადგენს, მაგრამ თუ იგი დაეჯახება ნეიტრონს, მაშინ მიიღება პროტონი და ელექტრონი. ესეიგი, იგი აძლევს დადებით ელექტრონულ მუხტსაც და უარყოფით ელექტრონულ მუხტსაც. მაშასადამე ნეიტრინო ამ შემთხვევაში უკვე დამუხტულ ფოტონებად ანუ ელექტრონად და პოზიტრონად გვევლინება და ქმნის მოლეკულას. ამ ცოდნას, ანუ მეტაფიზიკურ ცოდნას იყენებდნენ მაგები მატერიის შესაქმნელად ან პირიქით დასაშლელად.

ასევე, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ფოტონი, რომელიც მაგნეტიზმით ხასიათდება. თავისთავად წმინდა პასიურ სულიერი ძალის გამოვლინებაა, მაგრამ თუ იგი მიიღებს მუხტს მაშინ, აქტიურ ძალად –გამა კვანტად გადაიქცევა, შესაბამისად იმისა, როგორ მუხტსაც მიიღებს.

–ესეიგი, ძველ დროში იბერიელებმა იცოდნენ კვანტური ფიზიკა? –ჰკითხა ნოდარმა.

–რა თქმა უნდა იცოდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თანამედროვე მეცნიერება, მატერიალური ცნობიერებიდან გამომდინარე, მატერიალური

თვალსაზრისით იკვლევს და ნაწილაკის ანუ მატერიის თვალსაზრისით დაარქვეს კვანტი. იბერიელებმა კი სულიერი გამოვლინების მდგომარეობიდან იცოდნენ და გაცილებით უფრო სიღრმისეულად, ვიდრე, თანამედროვე მეცნიერებმა.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ სამყარო მხოლოდ ველების და ველთა გავრცელების საშუალებრივი ტალღების ანუ სხივებისგან შესდგება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სულიერი ძალა უმაღლესისა. სულიერი ძალა, მისი არსი, მისი მიზან–მიზეზობრიობა და მიზანუნარიანობა სწორედ ამ ველებშია და არავითარი მყარნაწილოკოვანი ფიზიკური სამყარო არ არსებობს, ეს მხოლოდ ილუსიაა. თუმცა, რომ აღარაფერი ვთქვათ უმეცრებზე, ჩვეულებრივ გონიერებასაც კი ამის წარმოდგენა, აღქმა და მასში ჩაღრმავება არ შეუძლია. ამიტომ პარალელურად დასაშვებია და ზოგჯერ აუცილებელიც, მყარნაწილაკოვანი სტრუქტურული წყობის ცნობიერების არსებობა სამყაროსა და ფიზიკური მატერიის შესწავლა–აღქმისთვის. თუ თქვენ ისეთ განვითარებას მიაღწევთ, რომ შესძლებთ არამყარ მატერიალურ ცნობიერებაში ტრანსცენდენტალურ შესვლას, თქვენთვის ბევრი საიდუმლო გაიხსნება ღმერთისა და სამყაროს არსის შესახებ.

ამავე დროს, ამ სფეროში აზროვნებისას, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ მყარი ნაწილაკები ანუ მატერია არასწორი შთაბეჭდილებაა და ეს ქმნის სწორედ ადამიანში ილუზირებულ ცნობიერ შთაბეჭდილებას და ეს ყალბი შთაბეჭდილება უქმნის გაუვალ ხღუდეს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობის სწრაფვას, ჭეშმარიტი ცნობიერებისაკენ. მატერია მხოლოდ პირობით ცნებად უნდა ჩავთვალოთ. სინამდვილეში კი ყველაფერი სულიერ ძალთა გამოვლინებაა ველების და სხივების სახით და მეტი არაფერი. ესეიგი საჭიროა მატერიალური პირობითი ცნობიერებაც და სულიერიც. მაღალი ცნობიერებისთვის გაეროიანებულია ორივე.

ჩვენთვის ცნობილი „ანი და ჰოიც“ ანუ ალფა-ომეგა ამ კვანტურ-ენერგეტიკულ სფეროშია და ეს არის, როგორც ადრეც ვთქვი, ადამიანის გონებრივი აზროვნების პოტენციური შესაძლებლობების მთლიანი არეალი. თუ კარგად ჩაუკვირდებით და შეცდომას არ დაუშვებთ ნათელი გახდება როგორ გაანაყოფიერებს მამა ღმერთი, რას გაანაყოფიერებს და. როგორ წარმოიქმნება ძე.

–რა არის ეთერი? –ჰკითხა გიამ.

–პირველადი ეთერული გამოვლინება პირველადი სუბსტანციიდან მომდინარეობს იგივეა რაც ვთქვით და განეკუთვნება ოსირისის და ისიდას. მას აქვს გამოვლინების ორი ძირითადი თვისობრიობა: კვანტური და სულიერი. ის წარმოადგენს აზრფორმირების საფუძველს, ასე ვთქვათ მასალა-საშუალებას ანუ რისი მეშვეობითაც ჩვენ ვაზროვნებთ. ეთერულს ეკუთვნის ასტრალური ნათელი. ძველ დროში მას ღვთაებრივ ცეცხლს ან კოსმიურ ცეცხლს ეძახდნენ. სწორედ ეს ასტრალური ნათელი და აკაშა (მაგნიტური ინფორმაცია –პროგრამა წარსულისა და მომავლისა) წარმოადგენს ანი და ჰოის. (ალფაომეგა)

ვიცი, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია თქვენთვის ამ ყველაფრის გააზრება-აღქმა. თქვენი აზროვნება მიჩვეულია უფრო მეტად მატერიალურ წარმოსახვას. ტრანსცენდენტალური აზროვნებით, მით უმეტეს სულიერ ძალთა გამოვლინებაში, დადებითი შედეგის მიღწევას ხანგრძლივი დრო სჭირდება. ამიტომ ნუ შეცბუნდებით თუ გაურკვევლობას იგრძნობთ დღევანდელ საუბარში. თუ კი იაზროვნებთ, შესაბამის ცოდნასაც მიეწაფებით, თანდისთან ნათელი მოეფინება ყველაფერს თქვენს გონებაში. ნებისმიერ ცოდნაში შესვლა, დასაწყისში ყოველთვის ბუნდოვანია, მაგრამ შემდგომში მონდომებული მუშაობით, ცოდნისა და გამოცდილების ასამაღლებლად, ყველაფერი მიიღწევა.

–მე როგორც გავიგე, ეს კვანტური სხივი თუ მატერია არის სწორედ სულიერი ძალაც და გონიერებაც. ეს არის ჩვენი აზროვნების წყაროც და სულიერი განვითარების წყაროც. მაშასადამე უარყოფითი აზროვნებაც ღვთაებრივია? –იკითხა გიამ.

–რა თქმა უნდა, ასე მარტივად არ უნდა გავიგოთ. ეს ზედაპირული ცოდნა არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დაწვრილებით გააანალიზოთ. უფრო უკეთესად გასაგები რომ იყოს ერთ მატერიალურ მაგალითს მოგიყვანთ: ჩვენი ხეები სავსეა ქვაღორღით. დადებითია ეს თუ უარყოფითი? გაზაფხულობით, ხევის ადიდების დროს, ზოგჯერ ადიდებული წყალი და ქვაღორღი კალაპოტიდან გადადის, ნათესებს ფარავს, სახლებს თუ სხვა რაიმე დამხმარე ნაგებობას ანგრევს, შინაურ ფრინველს და პირუტყვს ხოცავს და ზოგჯერ ადამიანიც უმსხვერპლია. ასე სტიქიურად თუ განვიხილავთ, ეს ქვაღორღი საშინელება ყოფილა. მაგრამ გონიერება მას საშენ მასალად იყენებს. მისგან მშვენიერი, ლამაზი და თბილი სახლები შენდება. გზების მოხრეშვა ხდება, რომ ტალახში არ ჩაეფლოთ და სხვა მრავალი. ესეიგი სტიქიურად მას ზოგჯერ საშინელება მოაქვს, მაგრამ გონებრიობა მას დადებით მოვლენად აქცევს.

მსაგვსადაა აქაც. მხოლოდ მატერიალურ გრძნობით იმპულსებზე დაყრდნობილ ადამიანში იგი მხოლოდ აზროვნების სტიქიური გამოვლინებაა და გარე სამყაროს მოვლენების მონურ შემსრულებლად აქცევს. რა "სტიქიაც" შემოუბერავს ისე ამოქმედებს ადამიანს, ნებისმიერი ცუდი აზრი შეიძლება აღძრას და შესაბამისი მოქმედება ჩაადენინოს. გონიერი ადამიანისთვის კი ის სტიქიური მმართველი კი არ არის, არამედ "მასალა" გონიერებისკენ სწრაფვის, შინაგანი სულიერი ამაღლების და მაღალგონიერი სულის ჩამოყალიბებისა.

–კი მაგრამ სულიერ-გონიერების ამაღლებისკენ მსწრაფი ადამიანი ძალიან დიდი იშვიათობაა. თითქმის ყველა და მათ შორის ჩვენც, როგორც აღმოჩნდა უმეცრები ვართ, ვერ ვწვდებით მაღალგონიერებას. ასეთ ვითარებაში, როცა თითქმის ყველა სტიქიური მოვლენების მონური შემსრულებლები ვართ როგორ არსებობს კაცობრიობა?

–ჯერ ერთი მე არ მითქვამს, რომ სტიქიური ზემოქმედების ძალის გამოვლინება ყოველთვის უარყოფითი და მავნებლურია. ზოგჯერ სტიქია დადებითისკენაც გვიბიძგებს. და მეორეც იმისთვის, რომ არ

ვიქცეთ ამ ძალების საშინელი, მავნებლური გავლენის დამყოლებად და შემსრულებლებად, ამისთვისაა მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი მორალის ბრძნული ფილოსოფია და მისი ყველასთვის ადვილად გასაგები საზოგადოებრივი ურთიერთობის დაწერილი და დაუწერელი კანონი. მთავარ როლს კი ბოლო ათასწლეულებში რელიგიები და ეკლესია ასრულებს ამ საქმეში.

თქვენ, თქვენს თავს უმეცრები უწოდეთ და სწორედაც. მაგრამ დღემდე არავინ მოგიკლავთ, არავინ გაგიძარცვაეთ, არავინ დაგიჩაგრავთ, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ცხოვრება იქითკენ გიბიძგებთ. რატომ? იმიტომ, რომ თქვენს ცნობიერებაში არის საზოგადოებრივი მორალი და ქართული ქრისტეანული მოძღვრების გავლენა. ეს ქმნის თქვენში გარკვეული დონის სულიერ-გონებრივ ამაღლებას, რასაც მარტივად სინდისი ჰქვია. ისინი კი ვის ცნობიერებაშიც არ არს ეს და მორალისა და სინდისის შინაგან ზეგავლენის ნაკლებობას განიცდიან ან საერთოდ არ გააჩნიათ, შესაბამისად მეტნაკლებად "მხეცის"გრძნობითი ცნობიერების გავლენაში არიან.

გონიერების სულიერ-მატერიალური გამოვლინება (პირობითად თუნდაც გონიერების "საშენი მასალა" ეუწოდოთ) როგორც გითხარით პირველი გამოვლინებაა სამყაროში და ამდენად გამოვლინებამდე ანუ პრალაიში, ესეიგი, სამყაროს "ძილის" დროს არ არსებობს. დიფერენციაციის დაწყებისთანავე, ანუ სამყაროს გამოვლინების დაწყებისთანავე, იწყებს გამოვლენას, რომელიც მთავარ როლს ასრულებს პირველადი გამოვლინების სტრუქტურის შექმნაში, მის შემდგომ სტრუქტურულ განვითარებასა და მის გაფურჩქნაში. სამყაროს შვიდი დღის, ანუ მანვანტარის დასრულების შემდეგ, ესეიგი, ინტეგრაციის დასასრულს კვლავ უბრუნდება საწყის მდგომარეობას, შეიწოვება უმაღლესის მიერ და წყვეტს არსებობას. „ძილის" დასრულების შემდეგ, კვლავ იწყებს გამოვლინებას და ახლიდან იქმნება სამყარო. პირველადი სუბსტანცია პირველადი ეთერი, რაზეც ვისაუბრეთ, წარმოადგენს ასე ეთქვათ, ერთგვარ გამტარს ანუ გამტანს უმაღლესი გონიერებისას უმაღლესი სუბსტანციიდან. თვით უმაღლესის გონიერების ბაზას კი ადამიანის გონიერება ვერ წვდება, მარტივი მიზეზის გამო. იგი ვერასოდეს მიიღებს მიწიერ ცხოვრებაში გონიერების იმ სახის გონს, რაც უმაღლესშია, რადგან ადამიანის გონი არის გამოვლენილი და წარმოქმნილი უმაღლესის მიერ და არ არის თვით უმაღლესი. ადამიანის გონს უმაღლესის გონის „ძალასთან" ვერასოდეს ექნება შეხება თავისი გონის პოტენციალით. გამოვლინებული გამოუვლენელს ვერასოდეს მისწვდება.

რაც შეეხება პირველადი გამოვლინების ქაოსს, როგორც ეთქვით ქალთევზით გამოისახება. თევზი არის სიმბოლო მამრობითი სასქესო ორგანოსი, რომლის მეშვეობითაც ხდება ჩასახვა გამრავლება. იგულისხმება რა თქმა უნდა არა უბრალოდ მამაკაცი, არამედ საერთოდ, სამყაროს მამრობითი აქტიური ძალა. აქტიური, როგორც უმაღლეს საფეხურზე, ასევე სხვადასხვა საფეხურზე გამოვლენილი, თავის

აქტიურობით ამოძრავებს პასიურს ანუ უძრავს – მდედრობითს (ქალწულს) და მისი მეშვეობით მისსავე წიაღში წრმოქმნის სამყაროს., მოპყავს მდედრობითი რხევით მოძრაობაში და მისგან იწყებს დიფერენციაციას, გამრავლება-გამოელინებას და ხელმძღვანელობს პროცესს შეიდიეე სახის წარმოქმნაში. ამ ძალას ტიბეტურად ფოხატას უძახიან. თევზის ასტროლოგიურ ეპოქაში ეს ძალა აქტიურდება, ხოლო როგორც წინათ გითხარით ჩვენ ეხლა გეოცენტრული ასტროლოგიის მიხედვით შეედივართ თევზის ეპოქაში და არა მერწყულის, როგორც ‘სოგიერთს ჰგონია. მაშასადამე შევდივართ ეპოქაში, სადაც მამის, როგორც აქტიური ძალის, მომატება დაიწყება. ე.ი. გონებრივ –სულიერი ენერგეტიკული პოტენციალი მოიმატებს და ვინც გაუღებს თავის გონების კარს მისკენ წავა.

ჩვენს ფიზიკურ პლანეტარულ დონეზე, მამა არის მზე, დედამიწა კი მდედრობითი ძალა. მზის აქტიური ენერგია ახდენდა და ახდენს სიცოცხლის ჩასახვას, განვითარებას და გაფურჩქნას ჩვენს დედამიწაზე. ეს არის სამყაროს წარმოქმნა–გამოელინების, ანუ დიფერენციაციის ერთი ერთი სახე – სიცოცხლისა.

ესეიგი, ამ ყველაფერს ჩვენი მზე ახდენს? ე.ი. მას აქვს სულიერი ძალაც და სულიერ განვითარებასაც ხელმძღვანელობს? ამიტომაა მსოფლიოს ძირითად რელიგიებში მზე მამალმერთი? –ჰკითხა ნოდარმა.

–ნუ განიხილავთ ყველაფერს ჩაკეტილად. ასეთი მიდგომა მცდარ შთაბეჭდილებამდე მიგიყვანთ. მე თქვენ გითხარით, რომ ყველაფერი ერთიანობაშია და ერთია. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი რამ გამოელინება –ქმნილება, მეორის, ანუ გამომჟღენის იგივეობაა, და მისი მოვალეობის შესრულება შეუძლია. თუმცა, არც იმას ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებელი და იზოლირებულია. მართალია მზეს შეუძლია სიცოცხლის წარმოქმნა და ხელმძღვანელობა დედამიწაზე, მაგრამ მისსავე მოქმედების შესაძლებლობის არეალში იგი არ არის ქმნადობა –გამოელინებაზე ერთადერთი მომქმედი ძალა. ის ამავე დროს თავადაც არის სხვა ძალებზე დამოკიდებული (იგი ჩვენი დედამიწისეული სიცოცხლის, –მატერიალიზმის მამაა, მაგრამ პირველადისათვის ის მდედრობითია და მას მამა–აქტიური ძალა ამოქმედებს)

ყველასათვის ცნობილია, რომ მზე დედამიწას სხივებით ათბობს. ეს სხივები არ არის მხოლოდ „შუქი“, გარდა იმ 7 სხივისა, რომელსაც სინათლედ შევიგრძნობთ და დიდ გაკვლენას ახდენს დედამიწის სიცოცხლის ყველა სახეზე. მზის გამოსხივების გარდა არის კიდე როგორც ეთქვით სხვა გამოსხივებებიც, მათ შორის უმთავრესი კვანტური კოსმიური გჯმოსხივებები, რომელზეც რამდენიმე წუთის წინ ვილაპარაკეთ. ეს გამოსხივებები უამრავი სახის გავლენას ახდენს უკვე წარმოქმნილზეც და მონაწილეობს აქტიურად ახლის წარმოქმნაშიც, სამყაროში კი ჩვენი მზის და მისი მსგავსი მზეების გარდა, რომლებიც ასევე მონაწილეობენ გავლენაში, სხვა სახის მზეც არსებობს. ეს მზე უხილავია და უხილავ სხივებს ასხივებს. თვით ჩვენს მზესაც ხელმძღვანელობს და ყოველივე გამოელენილს, თუ რამ არსებობს.

ამავე დროს, ის არის არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ წარმომქმნელიც ანუ შემქმნელიც. მისით ვართ და მასში ვართ. ეს მზე არის პირველადი გამოვლინება უმაღლესისა, სხვები კი მისი პირველი გამოვლინება კვანტური გამოსხივებები. ესეიგი პიველი მზე არის პირველი სამება, ნუნ, ხოლო ისიდა და ოსირისისი მისი სხივებია, რომლითაც იქმნება სამყარო ამავე დროს, როგორც უკვე ვიცით დედამიწის ცოცხალი თუ არა ცოცხალი წიაღი, მათ შორის ადამიანიც, ერთდროულად ფიზიკურ-მოლეკულურ მატერიასთან ერთად შეიცავს თავის შემადგენლობაში კვანტურსაც, რომლის პირდაპირ დაქვემდებარებაშია ფიზიკური მატერიაც. თუ ამ, პირველადი სხივიდან მატერიანდე, ურთიერთ კავშირს ჩავუღრმავდებით ძნელი არ არის მიხვედრა თუ რამდენადაა დამოკიდებული იმ გავლენის გამოსხივებაზე ადამიანიც და სხვა ყველაფერიც, რასაც დედამიწა შეიცავს. ამიტომ ყველა პროცესი, რაც ხდება და საერთო მდგომარეობა დედამიწაზე დამოკიდებულია ამ გამოსხივებაზე და ჩვენი არსობისა და არსებობის მიზნობრივ მიზეს-პროგრამას წაროადგენს. აი, ამ გამოსხივებას ანუ არსს, ამ სულიერ ძალას უმღეროდა შოთა რუსთაველი თავის პოემაში, სადაც ამბობს: „ზე გარდმო არსნი სულითა, ყვნა ზეცით მონაბერითა". ძველი ცოდნის მიხედვით, მონაბერი არსობრივი ცოდნის მიმღებს ჰქვია. ბერი (იგულისხმება უძველესი დროის ბერები, რომლებმაც იცოდნენ კოსმიური საიდუმლო), რომელიც შემდგომ თავად 'ჰბერს" და აწვდის, –მოძღვრავს დანარჩენთ. ასეთ ბერვასთანაა დაკავშირებული სიტყვა „სიონიც". იგი მბერავი სიოს მრვალობითობას (ორს ან მეტს) მიანიშნებს, რომელიც შესაძლებელია უბერავდეს. სიტყვა „განათლება" ჭეშმარიტი მნიშვნელობით, სწორედ ამ არსიდან, ამ ნათელიდან გონებრივ ხედვის უნარს ნიშნავს და არა მხოლოდ ჩვეულებრივი თვალით დანახულის აღქმა–შემეცნებას.

–გასაგებია, მაგრამ კვანტი, რამდენადაც ვიცი, დროის მცირე მონაკვეთში არსებობს მხოლოდ და შემდეგ ქრება. რანაირად შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის გარკვეულ სხეულს წარმოქმნის? თანაც ის ხომ ფიზიკურ სამყაროსთან კავშირში არ არის და ნებისმიერ მყარ სხეულში, თვით დედამიწაშიც კი თავისუფლად, წინააღმდეგობის გარეშე გადის? –ჰკითხა გიამ.

–ეგ რომ გახსოვს, ფიზიკიდან მსოფლიო მუდმივობის კანონი აღარ გახსოვს? არაფერი არ ქრება და არაფრისგან რაიმე არ წარმოიქმნება, მხოლოდ ერთი სახიდან მეორეში ინაცვლებს. ამ მონაცვლეობებს თუ მუდმივობას კი თვით არსი განსაზღვრავს, რომელიც წარმოადგენს ყოველივეს მიზნობრივ მიზეს-პროგრამას. ასე რომ კვანტი არ ქრება. ის უბრალოდ გარდაისახება ან დაკვირვების საშუალებების საჩინოობას სცილდება და რაკი ვეღარ აკვირდებიან ეს არ ნიშნავს, რომ გაქრა. როგორც უკვე ვთქვი სიტყვა კვანტს ვიყენებთ მატერიალური თვალსაზრისიდან წარმოდგენის შესაქმნელად, რაც არ ნიშნავს ნამდვილ ძირეულ არსს.

ფიზიკოსებმა ჯერ ეხლა დაიწყეს კვანტური ფიზიკის კვლევა და თანდათან ბევრს გამოიკვლევენ. ჯერ ფეხი შეაბიჯეს მეტაფიზიკაში

და არა თავი. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ კვანტი ნებისმიერ მყარ სხეულში თავისუფლად გადის მართალია, მაგრამ ესეც არ არის მთლად ასე. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ჩვეულებრივ ჩვენს ფსიქიკურ სამგანზომილებიან სისტემას არ ემორჩილება. ამავე დროს ეს "ნაწილაკები" თავად შეიცავენ სულიერ ძალას, გონის პოტენციალს და თავად არიან გარკვეულად მიზეზობრივნი და მაპროგრამებელნი. ისინი ხომ თავად ჩვენს გონება-აზროვნებას და სულიერებას წარმოადგენენ. ატლანტურ ცივილიზაციას ამ კვანტური ენერგიის აკუმულაციაც კი შეეძლოთ.

ადამიანის მიერ მოგონილი ყველა მეცნიერების მეცნიერული ცოდნა თუ უბრალოდ შთაბეჭდილებები, მათ შორის სამგანზომილებიანი სისტემის ცოდნაც ამ გონიერებაშია, მათი მოგონილია და ჩვენში მათი სახით არსებობს. ამ სფეროში აზროვნება გარკვეულად გონიერების მიერ გონიერებაში ჩანაცვლებას იწვევს, რაც ჩვეულებრივ ადამიანის პირობებში ძნელია. უშუალოდ სიცოცხლის შემთხვევაში ასე ხდება: ფიზიკური მატერია, მეტაფიზიკური მატერია და სულიერი ძალა ერთობლივად ქმნის მგრძნობიარე, მოძრავ ფენომენალურ არსებებს, რომლის უმაღლესი განვითარებული სახეა ადამიანი. რა თქმა უნდა ამ მგრძნობიარე მოძრავ არსებებს შორის განსხვავება დიდია, როგორც მატერიალური სახით, ასევე სულიერი მიზან-შედეგობრივი ნაყოფის განვითარების დონით, მაგრამ ზოგადი სტრუქტურა ერთია ყველასთვის.

ამ სამი ძალის ერთობლიობის ფენომენალური გამოვლინების შედეგია ჩვენი, როგორც ადამიანის ორგანიზმის გრძნობითობა, აზრი-იდეა, მეხსიერება, შთაბეჭდილება და მათი განვითარების შემთხვევაში მიღებული სულიერ-გონიერება.

ჩვენ გვინდა თუ არა ეს, კოსმიური გონიერების შვიდიდან ერთეროი სახე-გამოვლინება ვართ. ამ სახე-გამოვლინების მიზანია კოსმიური პირველადი გონის დიფერენციაცია-გაფურჩქვნა-განვითარება. იმისდა მიხედვით რამდენად შეეცდებით, რამდენად შეეძლებთ შთაბეჭდილებების და გონების შესაძლებლობების კონცენტრაციას ამჟამინდელი ხუთი გრძნობითი შესაძლებლობების ფარგლებში, გაიზრდება გრძნობითი, აღქმითი შესაძლებლობები, შთაბეჭდილებების ხარისხიანობა და გონიერება. ფიზიკური სამყარო, როგორც ვთქვით მხოლოდ უხეში, ილუზიური სამყაროა, რომელიც წარმოადგენს პირველად ილუზიურ შთაბეჭდილებების წარმოსახვის საშუალებას შემდგომი განვითარებისთვის. ვინც არ მოინდომებს და ამის გამო ვერ შეძლებს საკუთარი გონიერების შესაძლებლობების კონცენტრირების წყალობით კიდევ უფრო განვითარება-ამაღლებას, დარჩება ილუზიურ, ყალბ შთაბეჭდილებებში იქამდე, ვიდრე შესაძლებლობების დრო ამოიწურება. შემდეგ კი გადაიყრება „ნაგავსაყრელზე", რომელსაც ქრისტიანები ჯოჯოხეთს ვუწოდებთ.

—ასტრალური სხეული რაღაა? —ჰკითხა დათომ.

—მეგონა უკვე მიხვდით, მაგრამ, რაკი ვერ მიხვდით გეტყვით.

—რაღაც ა'სრი კი შემექმნა, მაგრამ დარწმუნებული ხომ ვერ ვიქნები?

—ასტრალურ სამყაროს ნეიტრინული სხივ-ენერგია ქმნის. აქედან გამომდინარე ადამიანის ასტრალური სხეულიც ნეიტრინულია.

ასრტალური სამყარო, ერთ-ერთი გამოვლინებათაგანია ნეიტრინოსი და ეთერისა. ასტრალური სხივ-ნათელი სხვადასხვა განვითარების დონის ეთერია, რომელიც მოიცავს სულიერ არსს. როგორც დადებითს ანუ შეგნებულს, მაღალი თვისებების არსს, ასევე ნახევრად შეგნებულს და შეუგნებელს ანუ ბოროტსა და მავნებლურს. მაგალითად „ელემენტარი" დადებითი სულიერი არსია, „ელემენტალი" კი — უარყოფითი. ამიტომ ადამიანის ასტრალური სულიც, რომელიც გრძნობით სისტემას წარმოადგენს და ძირითადად მართავს ჩვეულებრივ ადამიანს, იმისდა მიხედვით ხასიათდება, რა დონის ასტრალურ არსს შეიცავს. დადებითად მოაზროვნე—დადებით ასტრალურ არსს იზიდავს, უარყოფითად მოაზროვნე კი უარყოფით ასტრალურ ეთერს. ნებისმიერ ადამაინს აქვს საშუალება-უნარი გადავიდეს უარყოფითიდან დადებითზე თუ ნებისყოფით, ხანგრძლივი მცდელობით და შინაგანი დაკვირვება-ჩარევით განდევნის უარყოფით, ბოროტულ აზრებს, მოიხვეჭს დადებითს და დაეწაფება განათლებას. თუმცაღა შემობრუნებას შესაძლებლობების საზღვარი აქვს. თუ მეტისმეტად გაბატონდა უარყოფითი, ბოროტული, არსის ეთერი მის ასტრალურ სხეულში, თვითგამოსწორება შეუძლებელი ხდება.

—ადამიანის სული რაღაა? ეს არის? —ჰკითხა დათომ.

—ადამიანის სულიერების ნაყოფი სული, ასტრალური და ბიოლოგიური სხეულის ურთიერთდამაკავშირებელი ველია, რომელიც სრულიად განსხვავდება თქვენთვის ნაცნობი ცალკეულად აღებული ველებისგან. ადამიანის სული არის სამყაროს ევოლუციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი და ნაყოფიერება. თავისი ნაყოფიერების შესაძლებლობებით სული სამყაროს უმაღლეს გონიერებას შეიცავს და სასწაულებრივი შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ ჩვეულებრივად ადამიანი ამ ღვთაებრივ შესაძლებლობებს სატანურში ცვლის.

—ადამიანის სული მართლა უკვდავია? —ჰკითხა დათომ.

—რაკი სული ასრტალურ სხეულს აკავშირებს ბიოლოგიურ სხეულთან, მაშასადამე მისი სიმკვრივე, სიწმინდე და საერთოდ სულიერი არსის ხარისხიანობა დამოკიდებულია ამ ორივე სხეულზე, უფრო მეტად კი ასტრალზე. თუ იგი წარმოადგენს უარყოფით, ბოროტული ასტრალური და ბიოლოგიური იმპულსების სხეულთა დამაკავშირებელ ველს, რა თქმა უნდა ასეთი სული სიკვდილის შემდეგ ხანმოკლეა და ტანჯვაში არსებობს, რადგან მას არ გააჩნია უწმინდესი და უფაქიზესი სულიერი „მასალა", რის გარეშეც ვერ ხდება სულის საბოლოო დიფერენცირება—ჩამოყალიბება, ხოლო სულიერად და გონებრივად ამაღლებული ადამიანის ასტრალური და ბიოლოგიური სხეულები მისი ცხოვრებისა და აზროვნების შედეგობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალი შეგნების ასტრალური არსის შემცველია. ასეთ სხეულთა დამაკავშირებელი სული, რაღა თქმა უნდა, მაღალი სულიერ-გონიერი სიწმნდისაა ანუ უწმინდესი და უფაქიზესი. ესეიგი,

მიღმა სამყაროებში არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სულის შემადგენლობაზე. რამდენადაც უხეშ „მასალას“ შეიცავს იმდენად ნაკლები არსებობის ხანგრძლივობა გააჩნია, როგორც ინდივიდს, და შესაბამისად, დაბალ შრეში ხედება, სადაც გარკვეული „განწმენდის“ შესაძლებლობის ზემოქმედების გამო უდიდეს გრძნობით ტანჯვას განიცდის. აქაური ცხოვრებისგან მიღებული შედეგის იქაური შესაძლო გამოსწორებისთვის მიღებული ცვლილების შემდეგ ვისგან რა გამოვა ძნელი სათქმელია. ერთი კია, რომ ამ დაბალი შეგნების შრეებში ყველაფერი უფრო მცირე დროშია სახეცვალებადი, ვიდრე მაღალი სულიერი გონის სამყოფელოში, სადაც ათასობით წლის და მეტი ხნის ინდივიდუალობის შენარჩუნება შეიძლება.

—გონიერება სულშია თუ ასტრალში? —ჰკითხა გიამ.

—გააჩნია გონიერებას რას ეძახი. გონიერება თავისი შესაფერისი ყველგან და ყოველივეშია. თუ ადამიანის მეხსიერების შედეგად ა'ზროვნების შესაძლებლობებს გულისხმობ, მეხსიერება და აზროვნება სამივე ტეინის მაგნეტიზმისა და ელექტრ'ული მ'ხტების უნარიანობაა.

ფოტონ'ური ·ენერგია, გამაკვანტი, რომელიც ფლობს მაგნიტიზმს, უნარი აქვს ინფორმაციის მიღების, შენარჩუნების და გაცემისა. იგი მთელი სამყაროს ინფორმაციას ფლობს, წარს'ულსაც და მომავალსაც. ადამიანის ტვინებში, განსაკუთრებით კი ნათხემ ტვინში ელექტრ'ული, დადებითი და უარყოფითი მ'ხტების გამოყენებით გამაკვანტი ქმნის ფენომენალურ მეხსიარებას, აზროვნებას, შეგნებას და საერთოდ, უმაღლესი გონიერი ცნობიერების საშ'უალებას. ეს გონიერი ცნობიერება სულ'ში აისახება და შესაბამისი სული ყალიბდება.

საერთოდ, ეგრეთწოდებ'ული „ნათელხილვა“ ანუ „წინასწარმეტყველება“ სამყაროს გამაკვანტ'ური შრის ინფორმაციული მეხსიერებით ხდება, რომელსაც ქრონოლოგიურ სამყაროს ანუ აკაშას ეძახიან. განვითარებ'ულ ადამიანს, რომელსაც ყველა „ჩაკრა“ გახსნილი აქვს, შესწევს უნარი საკუთარი გამაკვანტ'ური ენერგიის შეგნებ'ულად გასხივების შედეგად გააგზავნოს საჭირო ადგილას საჭირო კითხვა და მიიღოს შესაბამისი პასუხი.

—ეგრეთწოდებ'ული რატომ, თუ კი ასეთი რამ არსებობს?

—ნათელ ხილვას, ხშირად ასტრალ'ური ნათელის ხედვას ეძახიან, რაც არ არის ინფორმაციის სწორი წყარო. ქრონოლოგიური სამყარო არ არის ასტრალ'ური, თუმცა ხედვა ასტრალ'ურშიც არსებობს. მიღებ'ულ ინფორმაციულ ენერგიას, რომელიც ნათხემი ტვინის ჩაკრიდან მიიღება, იმისდა მიხედვით ტვინის მხედველობის აღქმის ნაწილ'ში მივიღებთ თუ სმენის, ან ეხედავთ მოვლენას ან გვესმის ხმები. ასეთ დროს ხდება შთაბეჭდილება თითქოს ჩვეულებრივი თვალებიდან ვხედავთ.

—ჩაკრა რაღაა? —იკითხა გიამ.

—ჩაკრა კოსმიური ენერგიის, მიღების და შეწოვის წერტილებია, რომელთა ძირითადი რაოდენობა შვიდია. პირველი, დაბალი შედეგიანობის და ხარისხის ჩაკრები ყველას ეხსნება სხვადასხვა დროს, მაღალი—შუბლის და ნეთხემი ტვინის კი იშვიათს. ამის შესწავლა,

გახსნა და ენერგიის მიღება–გადამუშავება თუ გინდათ, ანატომია უნდა ისწავლოთ კარგად. განსაკუთრებით ტვინები და ნერვიული სისტემა, როგორც თავის ტვინის ასევე კისრის და ხერხემლის. რომ გაერკვეთ სად და რა სახით გადაეცემა ბიოლოგიურ სხეულს ინფორმაცია, ანატომიური ცოდნის გარეშე აზრი არა აქვს შესწავლას.

–კი მაგრამ ქრისტე სადღაა? –ჰკითხა დათომ.

–თუ შენ მისტერიულს გულისხმობ, ის ჯერ კიდე საიდუმლოა თქვენთვისაც და ხალხისთვისაც. ამ საიდუმლოს გარკვეული –სახით გახსნის საშუალება ხალხისათვის შეიძლება 30-50 წლის შემდეგ იყოს შესაძლებელი, ჯერჯერობით კი არა. ვისაც უმაღლესი ცნობიერება, და მტკიცე სული აქვთ, დღეს მხოლოდ მათ იციან.

თუ ნათელ გონიერებას გულისხმობ, უკვე ვთქვი რა არის ანი და ჰოი. ქრისტე ყველგანაა. სადაც უნდა წახვიდეთ, დროის ნებისმიერ წუთს, ის ყოველთვის იქ არის, თუმცა დახშული გონება მას ვერ აღიქვამს, საჭიროა გონების კარის გახსნა და იგი საჩინო გახდება. აბა ჩაიხედეთ საკუთარ აზროვნებაში და რას მოიცავს, რით არის დაკავებული მთელი დროის უდიდესი ნაწილი. თუ შეძლებთ ამას და სიმართლეს დაინახავთ, გაგიკვირდებათ, რომ ეს თქვენია და არა სხვა ვინმესი, ვინც ვთქვათ არ მოგწონთ. ხალხის დიდი ნაწილი კი თქვენ'ხე უარეს მდგომარეობაშია.

როგორც თხა და მგელი ერთად ვერ იქნება, როგორც ცეცხლი და ნავთი ერთად ვერ იქნება, როგორც ნატრიუმი წყალში არ შეინახება, ასევე მატერიალური სიბინძურით სავსე გონებაში ქრისტე ვერ შევა. ამიტომ, ქრისტეს აღქმისათვის საჭიროა გონების გაწმენდა, რაც შესაძლებელია მონდომების შემთხვევაში. საჭიროა საკუთარ აზროვნებასა და დადებით წმინდა აზროვნების შემქმნელ ცნობიერებას შორის გარკვეული „ხიდი" გაიდოს, რის შემდეგაც უარყოფით აზროვნებას დადებითი ჩაანაცვლებს თანდათანობით.

მატერიალური აზროვნება აუცილებელია, მაგრამ იგი არ უნდა მოიცავდეს სააზროვნო დროის უდიდეს ნაწილს, მით უმეტეს უარყოფით სააზროვნო ელემენტებს. მატერიალურში ყველას თავისი წილი აქვს. ღმერთი და განგება ყველას თავის წილს მისცემს, არავის არაფერს დაუკარგავს. ზედმეტი ნაშთები კი „წაესხიპება" ან საერთოდ უბედურად აქცევს მის მფლობელს. „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო". უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი წილი ადამიანისა ღვთაებრივი სულიერ – გონიერებაა, რომელსაც მართლაც მოაქვს ბედნიერება და რომელსაც მოპოვება უნდა, თავისით არ მოდის. სატანურ წილს კი მოპოვება კი არა მორიდება სჭირდება, რადგან იგი იკავებს სულში ქრისტეს ადგილს და მხეცის ცნობიერებაზე გადაჰყავს ადამიანი. ის არ არის ადამიანის ღვთაებრივი წილი, ის "მხეცის" წილია. მგელმა თუ ბალახის ძოვა დაიწყო, ის მგელი აღარ არის. ადამიანმა თუ მგლობა დაიწყო, თუ მტაცებლური ცნობიერებით აზროვნებს, ის ადამიანი აღარ არის. ადამიანს სხვა ფიზიკურ არსებათაგან დადებითი, შეგნებული აზროვნება გამოარჩევს, რასაც გენიოსობა სულაც არ სჭირდება. თუ

არა და მგელზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, კრავიც არ არის ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ უცოდველია. ადამიანები უცოდველი ანგელოზებია წარმოშობიდან, მაგრამ ანგელოზობაში ადამიანები არ იყვნენ, მიუხედავად იმისა რომ უმაღლესი სულისგან იყვნენ შექმნილი. ადამიანად ჩამოყალიბებას ანგელოზური სული არ ჰყოფნის. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოყალიბდება ადამიანად თუ მატერიალურ ცხოვრებასთან ბრძოლის გამოცდილებაში გონიერებას აიმაღლებს და წმინდა ანგელოზურ სულსაც შეინარჩუნებს.

—როდის გაჩნდა საერთოდ ადამიანი? შეგიძლია მის გაჩენაზე და შემდგომ ცხოვრება—განვითარებაზე გვითხრა რაიმე? —ჰკითხა ნოდარმა.

—თუ იმ ეგრეთწოდებულ ანგელოზებსაც ჩავთვლით, რომელნიც ადამიანად განსხეულებამდე იყვნენ, მაშინ ეს მოხდა მრავალი ათეული მილიონი წლის წინ. ადამიანი ჯერ ეთერულ მატერიაში ყალიბდებოდა. ეთერულ ჩამოყალიბებაში გაიარა პირველი, მეორე და მესამე ძირეული რასის ძირითადი საარსებო დრო. პირველ და მეორე რასას არ გააჩნდა ისტორია, რადგან ეთერულები იყვნენ და ყალიბდებოდნენ. პირველი რასა უფრო უხეში, ქაოსური იყო მეორე კი შედარებით წმინდა და მკვრივი. არ გააჩნდათ ორგანოები და გრძნობითი სისტემა. განსხეულება მოხდა მხოლოდ მესამე ძირეული რასის მეშვიდე სუბრასაში, რომელთაც შემდგომ ლემურიულ რასას უწოდებდნენ. კონტინენტს, რომელზეც ლემურიელები ცხოვრობდნენ ლემურიის კონტინენტი ეწოდება. ეს კონტინენტი იყო ეხლანდელი ინდოეთის ოკიანის ადგილას და გრძელდებოდა წყნარ ოკეანეში. ავსტრალია და მის ირგვლივ კუნძულები ამ კონტინენტის ნარჩენებია.

—რამდენი წლის წინ იყო ეს? —ჰკითხა ნოდარმა.

—ეს იყო დაახლოებით ორი ათეული მილიონი წლის წინ.

იმ დროს არც ერთი დღევანდელი კონტინენტი არ არსებობდა. მილიონობით წლების განმავლობაში კონტინენტები იცვლებიან. ძველები იძირებიან წყალში, ახლები კი სხვა ადგილას ამოდიან. რა თქმა უნდა, ეს მყისიერად არ ხდება, ზოგჯერ მილიონობით წლები სჭირდება ჩაძირვას და ახლის ამოსვლას.

ფიზიკურ მატერიაში განსხეულებისას, თავდაპირველად ჩამოუყალიბებელი ფიზიკური სხეული და გრძნობითი ორგანოები ჰქონდათ. არც სქესობრიობა გააჩნდათ, რის გამოც მალევე შეწყვიტა უმრავლესობამ არსებობა. შემდგომში მათგან წარმოიშვა ე.წ. ჰერმაფროდიტი ანუ ორ სქესიანები და შიდა თვითგანაყოფიერებით მრავლდებოდნენ. (ნუ წარმოიდგენთ ამას დღევანდელი განაყოფიერების მსგავსად. იმ დროის განაყოფიერებას დღევანდელი ორგანოები არ ჰქონდათ) ასეთი მდგომარეობაც დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ეს რთული, გარდამავალი პროცესი იყო, ბუნებრივ ევოლუციურ მოთხოვნებთან შეუსაბამო. ამიტომ ევოლუციის ზე ძალამ სქესობრივად დაყოფილ მდგომარეობაში გადაიყვანა. ისინი წმინდა სულის, მაგრამ პრიმიტიული, მაიმუნის მსგავსი ადამიანები იყვნენ, რადგან განსხეულობის დროს, „ღვთაებრივი ცეცხლის“ შესვლა ფიზიკურ სხეულში ყოველთვის

საკმარისად არ ხდებოდა ან სრულიად არ ხდებოდა, ხოლო შესული ენერგიის დიდი ნაწილი განსხვეულებაში იხარჯებოდა.

—კი, მაგრამ თვითჩასახვა როგორ ხდებოდა, ეს ხომ წარმოუდგენელია. —ჰკითხა დავითმა.

—თვითჩასახვის შემთხვევები ჩვენს ისტორიულ ეპოქაშიც ყოფილა და ეს არ არის წარმოუდგენელი თუ კარგად გაარკვევ განაყოფიერების საერთო ევოლუციური გზის მსვლელობას. დაუჯერებელია თქვენთვის იმიტომ, რომ დღევანდელი ბუნებრივი ტრადიციული გამრავლება სხვა სახით ხდება, მდედრისა და მამრის უშუალო კონტაქტით, მაგრამ თუ დააკვირდებით დღესაც არის სხვანაირი ბუნებრიობაც. მაგალითად, თევზების შემთხვევაში მდედრსა და მამრს შორის უშუალო კონტაქტი არ არის. მცენარეებში კი არსებობს, როგორც თვითგანაყოფიერება ასევე მამრის მიერ მდედრის განაყოფიერებაც. ასე რომ, დაუჯერებელი თუა, არ ნიშნავს შეუძლებელს.

—კარგი და ეთერული წარმოშობა რას ნიშნავს. ეს ევოლუციის კანონს არ ეწინააღმდეგება? —ჰკითხა დათომ.

—თქვენ უკვე იცით, რომ სამყაროში ჯერ ეთერული სივრცე წარმოიშვა თავისი მისან პროგრამული მიზეზობრიობით და მხოლოდ მას შემდეგ ამ მიზეზობრიობის გეგმარებით წარმოიშვა მატერიალური მრავალფეროვნება. ასე რომ, ყველაფერი თუ რამ არსებობს მატერიალურში, წარმოიშვება ჯერ ეთერულში და მხოლოდ მას შემდეგ ხდება მისი მატერიალურში გამოვლინება.

როგორც ვთქვი, „ღვთაებრივი ცეცხლის“ ენერგიის შესვლა განსხვეულებისას ყოველთვის საკმარისი არ იყო სწრაფი ევოლუციური განვითარებისათვის და სრული გაადამიანებისათვის. ამიტომ დემურიელებში მოხდა ტომობრივი დაყოფა, წმინდანებად და არაწმინდანებად. წმინდანების ტომებში სულიერ—გონებრივი ევოლუციური განვითარება სწრაფად მიმდინარეობდა, არაწმინდანების ტომებში კი სუსტად, ან საერთოდ არ მიმდინარეობდა. ამის გამო, ზოგიერთი ტომი საერთოდ განუვითარებელი და ცხოველური დონის დარჩა. განვითარებული ტომებიდან ჩამოყალიბებული ერთი რასა, რომელიც დაწინაურდა,

შემდგომში მათი ნაწილი გადავიდა ატლანტიდის კონტინენტზე, დღევანდელი ატლასის მთის მიდამოებში, საიდანაც თანდათანობით გავრცელდნენ მთელს კონტინენტზე და საფუძველი ჩაუყარეს ატლანტურ ძირეულ რასას.

—ეს ძირეული რასა, ან სუბრასა რაღაა? —ჰკითხა ნოდარმა.

—კაცობრიობის წარმოშობიდან, მისი არსებობა —განვითარება ციკლებისგან შედგება. არის დიდი ციკლი, რომელშიც კიდევ შვიდი უფრო მცირე ციკლი შედის. ასეთი რამ ადრეც ვთქვი. ერთი ციკლის დასრულებისას იწყება შემდეგი, კიდევ შემდეგი და ასე შემდეგ. ციკლებს შორის პრილაის ანუ „ჩაძინების“ ხანა დგება, ხოლო მის შემდეგ ისევ განვითარების. კაცობრიობის მთლიანი არსებობა კოსმიური კანონის მიხედვით, შვიდ დიდ ციკლს მოიცავს, რომელსაც ძირეული რასები

ჰქვია. თვითოეული ძირეული რასა თავის მხრივ შვიდ ქვე რასას ანუ სუბ-რასას მოიცავს, ხოლო თვითოეული ქვერასა კიდე 7 რასას. თვითოეული რასა 7 ერისგან შესდგება, თვითოეული ერი კი 7 ტომს მოიცავს.

—ეს შვიდები მაინცდამაინც რატომაა? —ჰკითხა გიამ.

— აკი გითხარით რვათა კანონის შესახებ. ეს ხომ კოსმიური წყობის ერთ-ერთი კანონონია. მტრედი 2X7 დღეში ანუ 14 დღეში ჩეკავს კვერცხს, ქათამი 3X7 დღეში. ინდაური კი 4X7 ანუ 28 დღეში. ასეეა ადამიანში და ცხოველებშიც ემბრიონის მომწიფების პროცესი შობამდე, კვირობით განისაზღვრება.

ამჟამინდელი კაცობრიობა, ეზოთერიკული ჩანაწერების მიხედვით მეხუთე ძირეული რასის რამოდენიმე სუბრასაა. თუმცა მათ გარდა არიან მეოთხე ძირეული რასის ანუ ატლანტელების ტომობრივი ნარჩენები და ერთი რასაც. ატლანტური რასაა იბერიული რასა. ტომობრივი ხალხები კი აფრიკის და ამერიკის კონტინენტზე ადგილობრივი მაცხოვრებლები, ე.წ. აბორიგენები არიან ავსტრალიის აბორიგენები კი ლემურიულ რასას განეკუთვნებიან. სხვადასხვა რასის არსებობის ხანგრძლივობა ანუ მანვანტარის დრო სხვადასხვაა. ეს დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის საკუთარ კოსმიურ არსებობრივობაზე და ბედის მდგომარეობაზე.

ე.ი. როგორც ვთქვი, ლემურიელების ერთი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული დაწინაურებული რასა, საცხოვრებლად გადავიდა ატლანტიდის კონტინენტზე, ამჟამინდელი ატლასის მთის სიახლოვეს და საფუძველი ჩაუყარა ატლანტურ ძირეულ რასას. დემურიის კონტინენტზე კი შედარებით განუვითარებლები დარჩნენ. სიტყვა „ატლასი“ ნიშნავს სიმბოლურ პირველ ადამიანს ანუ ადამს, რომელიც აღმოჩნდა ატლანტიდაზე და რომლისგანაც გამრავლდა ხალხი. ამ კონტინენტზე მთას, რომლის სიახლოვესაც პირველი ადამიანები გადავიდნენ ატლანტიდაზე შემდგომში ატლასი ეწოდა და იგი ამჟამად აფრიკის კონტინენტის ჩრდილო დასავლეთის სანაპიროა.

ატლანტელები წარმოიშვნენ შედარებით სრულყოფილი რასისგან და ამიტომ ატლანტელები იყვნენ პირველი ნამდვილი მიწიერი ანუ ფიზიკური ანტროფოლოგიურად განვითარებული ადამიანები.

—ე.ი. ლემურიელების ნაწილი ცხოველურ დონეზე დარჩნენ, ნაწილი კი განვითარდა. რითი განსხვავდება ადამიანი, ცხოველი და სხვა მატერიალური საგანი, თუკი სულიერი ენერგია —„ცეცხლი“ ყველაშია? რას ნიშნავს გონებრივი დაწინაურება ან ჩამორჩენა? —ჰკითხა გიამ.

—ადამიანს გააჩნია სამი უმაღლესი „ღვთაებრივი ცეცხლის“ გონიერების პრინციპული პოტენციალი, რომელთაგან უმთავრესი ძირითადად ნათხემ ტვინთანაა დაკავშირებული და რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს. ცხოველებს ნათხემი ტვინი არ გააჩნიათ და ამავე დროს შედარებით დაბალი გონიერების „ცეცხლს“ ფლობენ. მათი გონიერება დაკავშირებულია წაგრძელებულ თავის ტვინთან (ნათხემი ტვინის გარეშე) და ხერხემლის ტვინთან. ეს ორივე ტვინი რა თქმა

უნდა ადამიანსაც გააჩნია და სწორედ ამ ტვინების საშუალებით იმართება მთლიანად ადამიანის ორგანიზმი. მათს გონიერებას და აზროვნებას მარტივად, ერთი შეხედვით ვერ ვგრძნობთ, ხოლო ის, რასაც აზროვნებას ვეძახით ჩვეულებრივად, ეს არის ნათხემი ტვინის მუშაობა. ეს სამივე ტვინი ცალკცალკე ქმნის ფსიქოლოგიურ გონიერების ცენტრს და მუშაობს როგორც დამოუკიდებლად ასევე შეთანხმებულადაც.

რაც შეეხება მატერიალურ საგნებს, მათში ეს „ცეცხლი" იმდენად შენელებული მოქმედებით არის დროში, რომ თითქმის დახურულია და უმოქმედოა. ჩვენი ფსიქოლოგიური შეგრძნებით ამის აღქმა ძნელია.

ნათხემი ტვინი, ადამიანის ფიზიოლოგიურ პროცესებში თითქმის არ ერევა, მაგრამ გონებრივი განვითარება როგორც მოაზროვნე, მოქმედი მაღალგონიერი ცივილიზაციის არსებისა, უმთავრესად მისი მონაწილეობით არის შესაძლებელი. თანამედროვე ადამიანის ნათხემი ტვინის მოცულობითი რაოდენობა თითქმის არ განსხვავდება უძველესი ადამიანის ნათხემი ტვინის მოცულობითი რაოდენობისაგან. ზოგჯერ უძველესი აჭარბებს კიდეც, მაგრამ კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ხშირად იყო ისეთი ხანები, როცა ადამიანი აზროვნებით და მოქმედებით ცხოველისგან მცირედით განსხვავდებოდა. ეს დრო რა თქმა უნდა რასობრივი შუალედური ხანები იყო, როცა ერთი რასა ამთავრებს თავის „მოღვაწეობას", შემდეგი კი ჯერ არ განვითარებულა.

მეცნიერებისათვის და სხვა ბევრისთვისაც ცნობილია, რომ ადამიანის ნათხემი ტვინის პოტენციალის ანუ შესაძლებლობის გამოყენება რეალურად სულ რამოდენიმე პროცენტს შეადგენს მთლიანისას. მათ შორის განათლებული ადამიანების ნათხემი ტვინის შესაძლებლობის გამოყენება არ აღემატება 10%-ს. მაშასადამე ადამიანის გონიერების დონე დამოკიდებულია არა მხოლოდ ტვინის შესაძლებლობებზე, არამედ ხანაზე, საეროო საზოგადოებრივ შეგნებულ ცნობიერებაზე და ამ ცნობიერების საზოგადოებრივ სამეტყველო ურთიერთობაზე, რითაც ეს შესაძლებლობები მოქმედებაში მოდის. რამდენადაც მაღალშეგნებული საზოგადოებრივი ცნობიერებაა, იმდენად მეტი გონებრივი შესაძლებლობები იქნება ამოქმედებული და ნათხემი ტვინის ამუშავების პროცენტული რაოდენობაც გაიზრდება.

ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, რომ თუ ბავშვი საზოგადოებისაგან იზოლირებულ გარემოში გაიზრდება, არანაირი გონებრივი გამოვლინება, როგორც ადამიანს, არ ექნება. ანუ გონებრივი შესაძლებლობები და ნათხემი ტვინის მოცულობა დარჩება იგივე, მაგრამ პრაქტიკული გონებრივი გამოვლინება იქნება ცხოველის დონეზე.

მაშასადამე, უმაღლესი ცივილიზაცია მხოლოდ საზოგადოებრივ სწორ და უმაღლეს შეგნებულ გონიერ ცნობიერებას შეუძლია შექმნას. ცივილიზაციის ამაღლებისას მატერიალურ ტექნიკური მიღწევები თავის მხრივ აძლიერებს მიწიერ მოთხოვნილებებს და ამბიციებს, რაც იწვევს სულიერ დეგრადაციას და შეგნებულობის ხარისხიანობის შემცირებას. ამის გამო ცივილიზაცია თანდათან დაცემას იწყებს.

უმაღლესი ცივილიზაციის მისაღწევად საჭიროა მანამდე არსებული სწორი შეგნებული გონიერიერი ცობიერების გადარჩენა და მისი მიმართვა უმაღლესი წმინდა გონიერებისაკენ. ასეთი მატერიალური ცნობიერება კი, რომელიც დღეს არის, მხოლოდ დააქვეითებს იმ გონებრივ შეგნებულ ცნობიერებას რაც გაგვაჩნია და დაღუპავს დღევანდელ ცივილიზაციას.

ატლანტელებს ძველ ჩანაწერებში ხშირად ღმერთებად ან ნახევარ ღმერთებად მოიხსენიებდნენ. (აქ "ღმერთები" მიწიერ ღმერთს ნიშნავს, ანუ ოსირისის და ისიდას მიწიერ გამოვლინებას და არა თვით ოსირისის, ისიდას ან სხვა პირველად ზე ძალას.) ამის მიზეზი იყო მათ მიერ მიღწეული ცივილიზაცია, ჯერ კიდე შემონარჩუნებული ანგელოზური სიწმინდე და მატერიალურ-მიწიერი ამბიციური გრძნობების დაბალი განვითარება. მათ თავის არსებობის დროში უმაღლეს ცივილიზაციას და ოქროს ხანასაც მიაღწიეს. მათ ჰქონდათ საფრენი აპარატურებიც და კოსმოსშიც დაფრინავდნენ.

ზოგიერთ ჩანაწერებში სწერია, რომ იმ დროში ღმერთები თავისუფლად მოძრაობდნენ მოკვდავ ხალხს შორის და ურთიერთობაც ჰქონდათ მათთან, მაგრამ შემდგომში გაქრნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ატლანტელებს ჰქონდათ განვითარებული ე.წ. მესამე თვალი, რომლის მეშვეობითაც ასტრალურ სხივ-ნათელს ხედავდნენ და კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ იმ სამყაროსთან. შემდეგომში კი, მატერიალურ ამბიციების გაზრდამ გამოიწვია ამ "თვალის" დახურვა.

მითები ციკლოპების შესახებ ამ რეალობიდან გამომდინარეობს. ის ერთად-ერთი თვალი, რომელიც თითქოსდა ციკლოპებს ჰქონდათ შუბლზე, ეს ატლანტელების მესამე თვალია ანუ ასტრალური სხივ-ნათელის ხედვის თვალი. ტანადობრივადაც უფრო მაღლები იყვნენ ატლანტელები ვიდრე დღევანდელი ადამიანი.

შემდგომში, კოსმიური კანონზომიერებით ცივილიზაციის ამაღლების შედეგად მიღებულმა მდგომარეობამ, მატერიალურ მიწიერი ამბიციების გაზრდამ და ცნობიერების შეცვლამ გამოიწვია სულიერი დაკნინება. მესამე თვალის ფუნქციონირებამ თანდისთან იკლო, რის შედეგადაც ძირითადად ასტრალურ სხივნათელთან კავშირი თანდათან შეწყდა, 'ღმერთებს" ვეღარ ხედავდნენ. ამ დეგრადაციამ გამოიწვია ის, რომ ხალხი ღმერთების მაგიერ მათ სტიქიურ ძალებს სცემდნენ თაყვანს, როგორც ჩვენს ისტორიულ ათასწლეულებში.

სულიერმა დაკნინებამ და დეგრადაციამ საერთო ჯამში ცივილიზაციის დაცემა გამოიწვია.

—თუ კოსმიური კანონზომიერებით ცივილიზაცია მაინც უნდა დაეცეს, მაშინ რა აზრი აქვს მაღალგონიერებას, მაღალი შეგნების და სიწმინდის ცნობიერებას? ის ხომ ცივილიზაციის გადამრჩენი არ ყოფილა? —ჰკითხა გიორგიმ.

ადამიანები იბადებიან, ცოცხლობენ, ცხოვრობენ და ბოლოს კვდებიან. "სიკვდილი" გარდაუვალია, მაგრამ განა არ აქვს მნიშვნელობა როდის მოკვდება, სიბერეში თუ ახალგაზრდობაში? მაშინ რატომ ვცდილობთ

სხვადასხვა სახის მკურნალობით სიცოცხლე გაეიხანგრძლივოთ? სწორი ცნობიერების შემთხვევაში ბედი იცვლება, არსებობის ხანგრძლივობა იზრდება და მხოლოდ ასე შეიძლება უმაღლესი ცივილიზაციის ხანაში შესვლა. სულიერად დაავადებული რასა კი თუ დროზე არ განიკურნა სიცოცხლეს ნაადრევად შეწყვეტს.

ბიბლიაში ადამ და ევას სახით სხვა მნიშვნელობასთან ერთად ლემურიული და ატლანტური რასებიც იგულისხმება. ლემურიელებს საწყისი უსქესო მდგომარეობა ეს ადამია ევას გარეშე, შემდეგ კი როცა სქესობრივი გაყოფა მოხდა ევა წარმოიქმნა ადამისგანვე. მათი შვილები, აბელი და კაენი კი ატლანტელები არიან, როდესაც ატლანტელების ჩამოყალიბების საწყისშივე დაიწყო პიროვნული ფსიქოსულიერი გაყოფა მატერიალურ ამბიციებისა და წმინდა შეგნების სახით. კაენი არის მაშინდელი ადამიანის აქტიური სიმბოლური მამრობითი ფსიქოსულიერი „მუშა“ ძალა, რომელიც ამოქმედებს ადამიანს. აბელი კი მდედრობითი სიმბოლური ძალაა, რომლის მეშვეობითაც ღვთაებრივი გონიერების ნაყოფი „ძე ღვთისა“ წარმოიშვება. კაენი კლავს აბელს. ანუ, როგორც ეხლაც ხდება უმეტეს შემთხვევაში, იმ დროშიც იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი. მიწიერ ამბიციებს დამონებული მამრობითი აქტიური შემოქმედებითი ძალა კლავს გონის პოტენციალს და არ აძლევს გამოვლენის საშუალებას. ამ მოვლენის შესახებ მრავალი მისტერია დაწერილა.ბერძნული მისტერია, სადაც პერსეფანეს ატყვევებს ჰადესი, იგივეს ნიშნავს. ჩვენთან კი იგივეს ნიშნავს ბერიკაობა.

მიუხედავად ცივილიზაციის დაცემისა, ზოგიერთმა მოგეიანებით შექმნილმა რასების ნაწილმა შეინარჩუნა „ღმერთების“ დონე. ატლანტელები საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ. მათი ევოლუცია მრავალი მილიონი წელი გრძელდებოდა. მათი რასები, ატლანტიდის კონტინენტის გარდა, გადაეიდნენ საცხოვრებლად სხვადასხვა მაშინდელ საცხოვრებლად ვარგის ხმელეთის ნაწილებზე, მათ შორის ეხლანდელ ანტარქტიდაზეც. (იყო დრო როცა ანტარქტიდა არ იყო გაყინული და ასეთი დრო კვლავ დაბრუნდება) მათ შექმნეს არა ერთი გონიერი ცივილიზაციის მწვერვალები. არ შეიძლება ვთქვათ თითქოს ასეთ დროს ყველა მაღალშეგნებული და განვითარებული იყო ან პირიქით. დროის რომელიმე მოცემულ მონაკვეთში, ყოველთვის იყვნენ განვითარებულნიც და განუვითარებლებიც. რა თქმა უნდა რასობრივი ამაღლების ხანებში მეტი მაღალშეგნებულნი და გონიერნი იყვნენ რაოდენობრივად ვიდრე სხვა ხანაში.

ორ მილიონ ნახევარი წლის წინ კონტინენტმა ჩაძირვა დაიწყო. დაახლოებით ამ დროიდანვე დაიწყო აზიის აფრიკის და ამერიკის კონტინენტების წყლიდან ამოსვლა, თავდაპირველად, რა თქმა უნდა კუნძულების სახით. ამ დროისათვის უმაღლესი განვითარების უდიდესი ცივილიზაცია არსებობდა როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ატლანტიდაზე. სწორედ ამ დროიდან დაიწყო თანდათანობით უკანასკნელი უდიდესი ატლანტური ცივილიზაციის დასუსტება.

კონტინენტის ჩაძირვით ხმელეთის ფართის შემცირება უდიდეს სირთულეებს ქმნიდა ნორმალური ცივილიზაციის არსებობისათვის. ორ მილიონზე მეტი ხნის განმაელობაში თანდისთანობით იძირებოდა ხმელეთთან ერთად ქალაქები და სხვა დასახლებები, რასაც თან მიჰქონდა ცივილიზაციის მიღწევები მეცნიერებისა თუ კულტურის დარგში. უდიდესმა საკონტინენტო ცივილიზაციამ დაიწყო დაშლა–დანაწევრება. ხალხები გადადიოდნენ კუნძულებზე, რომელთა ნაწილი შემდგომში ამერიკის აზიის და უფრო მოგვიანებით აფრიკის კონტინენტებად იქცნენ. ასე შეიქმნა რამოდენიმე მცირე ცივილიზაციები ამერიკის აზიის და აფრიკის ჯერ კიდე დაუსრულებელ კონტინენტებზე. ჩრდილოეთ ატლანტიდის ცივილიზაციის დასრულების შემდეგ, რომელიც დღევანდელი ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ადგილზე იყო, ხალხის ნაწილი გადავიდა მისსავე სიახლოვეს, დღევანდელი აღმოსავლეთ აზიის ხმელეთზე. რის შემდეგაც ცივილიზაცია განადგურდა გადასახლებული ხალხები. გარკვეული დროის შემდეგ თანდისთანობით შეერივნენ ახლოს დასახლებულ ლემურიელების ტომობრივ ნარჩენების პრიმიტიულ ხალხს, საიდანაც იშვა თანდათანობით დღევანდელი ახალი ძირეული რასა –არიული რასა, და მისი სუბრასები და რასები.

დასახლებული ადგილებიდან ერთ-ერთი ყველაზე შორს იყო ხმელეთი (კუნძული) რომელსაც დღეს კავკასია ჰქვია. კავკასიაში, აბსოლუტურად დაუსახლებელ ხმელეთზე, ჯერ კიდე უმაღლესი ატლანტური ცივილიზაციის დროს გადმოვიდა ხალხი საცხოვრებლად, როგორც ზოგიერთ კუნძულზე. შემდგომში, როდესაც ოთქმის ყველგან ჩაქრა განვითარებული ცივილიზირებული ცხოვრება, კავკასიაში გადმოსული, იმ დროისათვის ერთ-ერთი შედარებით უფრო განვითარებული ატლანტური რასა –იბერია ცხოვრობდა.

დაახლოებით 70 ათასი წლის წინ, როცა დღევანდელი ეგვიპტის ტერიტორია წყლიდან ამოვიდა და ხმელეთად იქცა, იბერიელების ნაწილი პირველი გადასახლდა ამ ტერიტრიაზე და აქაც მაღალი ცივილიზაცია შექმნა, რომელიც შემდგომში ჩვენს დღევანდელ მსოფლიო ისტორიაშიც შევიდა ნაწილობრივ. დასახლებიდან ათი ათასი წლის შემდეგ ხალხი საკმაოდ გამრავლდა, რის შემდეგ უკვე ხმელეთად ქცეულ ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს გაჰყვნენ დასავლეთის მიმართულებით და გადაეიდნენ საცხოვრებლად დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე, უფრო მოგვიანებით კი თანდათან ჩრდილოეთით, დღევანდელი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და შოტლანდიის ხმელეთებზე. ასე რომ იბერიელთა შთამომავლები არიან დღევანდლამდე ესპანელები, ირლანდიელები, ნაწილობრივ შოტლანდიელები და ფრანგები. ინგლისის დღევანდლამდე შემორჩენილი უძველესი სტოუნჰენჯის ნაგებობა იბერიელებმა ააშენეს, უფრო ადრე, ეგვიპტეში აშენებული კარნაკის მსგავსად. ამავე დროს დაახლოებით 50 ათასი წლის წინ იბერიელები, დღევანდელი ეგვიპტის ტერიტორიიდან, ხალხის საკმაოდ დიდი ჯგუფი გადასახლდა დღევანდელ ინდოეთის ტერიტორიაზე, სადაც დღესაც არიან შენარჩუნებულნი საკმაო რაოდენობით.

გამყინვარების ხანაში მთელ დედამიწაზე მკვეთრად დაეცა ცივილიზაცია. მაღალი ცნობიერება გადარჩა მხოლოდ იბერიელებში და ამიტომ იბერიელებს ერგოთ წილი მსოფლიოში ცნობიერების ამაღლების და ახალი ცივილიზაციის განვითარებისა, რასაც თავი კარგად გაართვეს. ცნობიერების ამაღლების კერები მსოფლიოში სწორედ ის ადგილებია, სადაც იბერიელები დასახლდნენ. დღესაც ჩვენ გვეკუთვნის წილი ახალი მსოფლიოს გადარჩენის, ცივილიზაციის მაღალგონიერი ცნობიერების განვითარების და გავრცელების საქმეში. რასაც პრომეთეც მიგვანიშნებს.

ჩვეულებრივი ისტორიიდან იცით, რომ ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შევიდნენ სემიტური არიული რასის ხალხები, რომლებმაც ადგილობრივი იბერიელები –ფინიკიელები და სხვები ამოხოცეს და მას შემდეგ იქ იბერიელები აღარ ცხოვრობენ.

უკანასკნელ ათასაწლეულებშიც მცირე ჯგუფები გადასახლდნენ კავკასიიდან სხვადასხვა მიმართულებით, ბასკები ალბანელები და სხვები.

–დღევანდელი ევროპის დანარჩენი მცხოვრებლები, ინდოევროპული რასა საიდან მოვიდა? – ჰკითხა გიამ.

–ინდოევროპული რასა როგორც ასეთი არ არსებობს. ის ხალხები კი რომელთაც დღეს ასე უწოდებენ, როგორც ეს წოდებაც მიგვანიშნებს ინდოეთის სიახლოვიდან მოვიდნენ, ოღონდ ინდოელები არ არიან. ისინი დაახლოებით 30000 წლის წინ მოვიდნენ თანდათანობით. ესენი არიან დღევანდელი ინგლისელები, გერმანელები, სლავები, რა თქმა უნდა რუსებიც და მათთან შერეული რამოდენიმე სხვა ერი. მაოხე უფრო ადრე კი ევროპაში ასევე მოვიდა საცხოვრებლად პელასგური რასა, რომელნიც დასახლდნენ დღევანდელი იტალიის, საბერძნეთის და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე. მათი წარმოშობა უცნობია, მაგრამ საკმაოდ განვითარებული რასა იყო.

–ესეიგი, ევროპაში პირველები დასახლდნენ იბერიელები? –ჰკითხა ნოდარმა.

–მართალია. პირველები ევროპაში იბერიელები დასახლდნენ, რომელთა საწყისი გამრაველება ანუ საწყისი ფუძე, ატლანტიდის შემდეგ, კავკასიაშია.

სწორედ ამიტომ, მიაჯაჭვეს მისტერიულად კავკასიონზე პრომეთე რომ პირველი დასახლება აქედან დაიწყო. ის პირველ სიმბოლურ ადამს ნიშნავს ევრაზიის კონტინენტისათვის, ისევე როგორც ატლასი ნიშნავდა ატლანტიდისათვის პირველ სიმბოლურ ადამს. თუმცა პრომრთეს სხვა მნიშვნელობაც აქვს.

პრომეთე, პარალელურად თავისი არსით, ჩრდილო აღმოსავლეთ აზიაშიც გაჩნდა, როგორც პირველი სიმბოლური ადამი, ანუ ხალხის გამმრავლებელი ახალ კონტინენტზე.

პრომეთეს, ძველ ზოგიერთ ერში სხვა სახელებსაც უწოდებენ. მაგალითად იცით რომ ჩვენი წინაპრები მას ამირანს უწოდებდნენ და დღესაც ასეა ნახსენები ჩვენს მითოლოგიაში, ინდოელები მას დევად

თელიდნენ. ზოგან მას ფარანეის ეძახდნენ. ამის შესახებ პოემა „ფარანეიდაც“ იყო. შემდგომში ეს სახელი გაქრა და მხოლოდ არგოლიდში შემორჩა. მაგრამ მისი არსი ყველგან და ყოველთვის შენარჩუნებული იყო. დეეკალიონი მის შვილად მიიჩნევა. ბერძნულ ფილოსოფიურ მითოლოგიაში კი პრომეთეს სახელით გაჩნდა. ყველა მათგანი კავკასიონზე იყო მიჯაჭვული. ფარანეიც, პრომეთეც და ამირანიც ერთი და იგივე არსით უამრავ ეზოთერიულ ანუ კოსმიურ ღვთაებრივ მნიშვნელობებს მოიცავს და მარტივი ახსნით ვერ ამოიწურება მისი მნიშვნელობა. მისი მნიშვნელობის არსი 7 ღვთაებრივი ცეცხლის არსიდან, მომდინარეობს და მათი გამოვლინების მრავალფეროვნებიდან 49 „ცეცხლს“ შეიცავს.

ბერძნული ფილოსოფიით პრომეთე იყო იაფეტის ვაჟი, ღვთაებრივი რასის შვილი. ის მიეკუთვნებოდა რასას, რომელნიც აღდგნენ ღმერთების წინააღმდეგ. ამიტომ პრომეთე უბრალოდ ‘ცეცხლის“ მომტაცებელი არ არის. ის არის ერთდროულად ერთ-ერთი რასის კერძოდ იბერიული რასის გამომხატველიც და კაცობრიობისაც, თავისი გონიერებით, შემოქმედებით, შრომისმოყვარეობით, სიამაყით და სწრაფვით მიაღწიოს ღმერთის ძალებს. ამიტომ, ბერძნების აზრით, მისი სახით მოელი კაცობრიობა ისჯება. მათ პრომეთე ღმერთამდე აჰყავთ, რომელმაც კაცობრიობა მაღალ ცივილიზაციამდე აიყვანა.

თქვენ უკვე იცით, რომ მაღალგონებრივი შემოქმედებითობა წარმოადგენს ადამიანის სულისა და ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკლის შეერთების შედეგს. ამიტომ პრომეთეს უმთავრესი არსობრივი მნიშვნელობა მაინც ღვთაებრივი ცეცხლის ხალხისათვის მიწოდებაა.

თქვენ ისიც იცით, რომ კაცობრიობას აქვს სულიერი მიძინების ხანები. დიდი თუ პატარა “პრალაის” დრო. ამ დროს, როგორც იცით კაცობრიობა ძირითადად მოწყვეტილია ღვთაებრივ ცეცხლს, რის გამოც მაღალგონიერება აკლია და რაც ქმნის ცნობიერების დაცემას. ასეთ ხანებში კაცობრიობას ემუქრებოდა საერთოდ ადამიანური ცნობიერების მთლიანად მოსპობა და გაცხოველება. ასეთ დროს დგება ჟამი, როცა აუცილებელი ხდება ღვთის ცეცხლის ანუ სულიერ-გონიერი ძალა-ენერგიის იმპულსის მიწოდება ადამიანებისთვის. მაღალ შეგნებული ცნობიერებისკენ სწრაფვის იმპულსის გამომწვევი სწორედ პრომეთეს ცეცხლი იყო, რომელიც თანდისთანობით ცნობიერებას და გონიერებას ამაღლებდა. რა თქმა უნდა პირდაპირი სახით, ანუ მარტივი გაგებით, თვალში არანაირი პრომეთე არ ჩანდა.

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში, ასეთი დროისთვის თავისი კარმის, ანუ ბედის ძალის მიხედვით გამორჩეული იყო რომელიმე რასა და მისი რომელიმე ერი, როგორც შემძლე ამ იმპულსის მიღებისა და შემდგომი გავრცელებისა, ერი, რომელსაც ჯერ კიდევ შემონარჩუნებული აქვს ამ ცეცხლის ნაპერწკალი. ასეთი რასის და ერის მიმანიშნებლად მოხდა სწორედ მისტერიული არსის შემცველი “პრომეთეს” ადგილსამყოფელის შერჩევა. ეს მისტერიული შერჩევა ხდებოდა წინასწარ, ათეულობით ათასწლეულების განმავლობაში, უმაღლესი

სულიერ-გონიერების განვითარების მქონე ადამიანების (კაცღმერთების) მიერ, რომლებიც ფლობდნენ სრულ კოსმიურ-მისტიკური არსის ნათელ ცოდნას და კოსმოგონიურ ინფორმაციას. ესეიგი ხდებოდა მისიის მფლობელის გარკვევა არა სურვილის მიხედვით, არამედ კოსმიური ინფორმაციის წყალობით, კარმულ-გენეტიკური არსის მიხედვით.

ჩვენს ხანაში, (ვგულისხმობ რასობრივ მანვანტარას, რომელიც ასი ათას წელზე მეტს მოიცავს) ეს მისია ევალა იბერიულ რასას. ამჟამად როცა ახალი ერა იწყება და ოქროს ხანაში გადასვლის ჟამია, ეს მისია კვლავ იბერიელებს ავალიათ, კონკრეტულად კი ამჟამად ძირითადი საწყისი იმპულსის წარმოშობა ქართველ ერს. ამიტომაც მიაჯაჭვეს მისტიკური და მითოლოგიური პრომეთე ანუ ამირანი, ხალხისთვის ღვთაებრივი ცეცხლის მიმწოდებელი, (ჩვენთან) კავკასიონ'ზე.

კავკასია იბერიული რასის ფუძეა. ჩვენს მანვანტარაში, როგორც ვოქვი, ჩვენს ხანაში, ძირითადად აქედან დაიწყო ჩამოყალიბება და გავრცელება იბერიულმა რასამ და ამიტომ, ამჟამად ჩვენ, ქართველები პირველები ვართ ვალდებულნი იბერიული მისიის შესრულებისა. შემდგომ ათასწლეულებში კი ამ მისიას სხვები გადაიბარებენ.

რა თქმა უნდა, ამ მისიის განსახორციელებლად ჯერ თავად ერმა უნდა მიიღოს "ღვთის ცეცხლი". მხოლოდ ის რომ მეტი პოტენციალური შესაძლებლობა გაგვაჩნია ბევრს არაფერს ნიშნავს, მითუმეტეს, რომ ამჟამად გამოვლინებული ძირითადი სამოქმედო ცნობიერება საშინლად გახრწნილია და გონიერებისგან შორსაა.

—თვითონვე ამბობ, რომ ჩვენი დღევანდელი ცნობიერება გახრწნილია, რაშიც გეთანხმები. ასეთ ვითარებაში, მაშ სადღაა ნაპერწკალი ღვთის ცეცხლისა? რა პოტენციური შესაძლებლობები გვაქვს ისეთი, რომ ასეთ მდგომარეობაშიც კი უპირატესობას გვანიჭებს ჩვენს ერს, ამ უდიდესი მნიშვნელობის მისიაში? — თქვა ნოდარმა.

—უპირატესობა მთლიანობაში გამომდინარეობს ჩვენი გენეტიკური, ანთროპოლოგიური და სულიერი შესაძლებლობებიდან, შემონარჩუნებული ძველი რასობრივ-ეროვნული მორალური სიბრძნის საზოგადოებრივი ურთიერთობის კანონებთან ერთად. ეს შესაძლებლობები, მართალია სიკვდილის პირასაა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობს. თუ კი დღესვე დაიწყება მეცნიერების და საერთოდ ინტელიგენციის მიერ ამ საკითხებზე მუშაობა, თუ კი ჩვენს ცნობიერებაში შემოსულ დამღუპველ სიმახინჯეებს განვდევნით და მის ნაცვლად სწორ გაფილტრულ ეროვნულ კულტურასა და ცნობიერებას აღვადგენთ, გზაც გამოჩნდება და ყინულიც დნობას დაიწყებს.

—ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში რელიგიას არანაირი როლი არა აქვს? — ჰკითხა დათომ.

—რელიგია, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის პატივსაცემად, ასე ვთქვათ ღმერთის მსახურებისთვის იქმნება, ხალხი ქმნის და არა ღმერთი. თუ რელიგიის მსახურნი შესაბამისი სფეროს მეცნიერების მეშვეობით უძველეს იბერიულ ღვთაებრივ ფილოსოფიას გამოიკვლევენ

დაზუსტებით და ამის გათვალისწინებით იმოქმედებენ, უდიდესი როლის შესრულება შეუძლით მომავალი, ახალი საკაცობრიო მაღალ მორალური და გონივრული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. რელიგიას ხალხი კი ქმნის, მაგრამ ის იქმნება ჭეშმარიტ საიდუმლო კოსმოგონიური ცოდნის საფუძველზე შექმნილი მოძღვრების მიხედვით. თვით კოსმოგონიურ ცოდნაზე კი ხალხს ხელი არ მიუწვდება და ეპოქალური აუცილებელი ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ არაფერი გაეგება.

ამ მოძღვრებას კი, ის იშვიათი ადამინები ჰქმნიან, რომლებიც სრულიად ფლობენ კოსმიურ-ღვთაებრივ ცოდნა-განათლებას. იესო ქრისტეს რელიგია არ შეუქმნია. მან მოძღვრება შექმნა. რელიგია კი მომავალში ხალხმა შექმნა.

რელიგიისა და ეკლესიის როლზე,რომ ლაპარაკობ,თვითონ დადიხარ ეკლესიაში? –ჰკითხა დათოს.

–სიმართლე, რომ ვთქვა, თითქმის არ დავდივარ. ათასში ერთხელ, თუ სხვებთან ერთად შემთხვევით მოვხვდი, სანთელს ვანთებ. –თქვა დათომ.

–აი, ეს კი არ არის კარგი. სამივეს გირჩევთ ხანდახან მაინც მიხვიდეთ და არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად.

წელიწადში რამდენჯერმეა ჩვენს ეკლესიებში წირვა-ლოცვა. კაცი ერთხელ მაინც არ დაესწროს წირვას და თავი მართლმადიდებელ ქრისტეანად მოჰქონდეს, ეს შინაგანი სიყალბეა, რომელსაც არაფერი კარგი შედეგი არ მოჰყვება. თუმც არც ისაა სწორი მოდისთვის თუ სხვების დასანახად, რომ მიდიან.

ერთი თვის წინ, ერთი უცნაური სიზმარი ვნახე. –თქვა ნოდარმა, გაახსენდა რა ამ საუბარში ნანახი სიზმარი. –ამბობენ ზოგი სიზმარი წინასწარი ინფორმაციააო და მეც ზოგჯერ ამხდენია. ამ უცნაური სიზმრისა კი ვერაფერი გავიგე. მართლაა ზოგი სიზმარი წინასწარმეტყველური?

–მართალია. ზოგი სიზმარი წინასწარმეტყველური ანუ ინფორმაციულია. ასეთი სიზმრები ძირითადად მშვიდი ძილის დროს, გამთენიისას იცის. იმიტომ, რომ მთელი დღის ემოციური დატვირთვის შედეგად აღგზნებული ტვინი ამ დროისთვის შედარებით დაწყნარებულია და უნარი შესწევს ქვეცნობიერიდან 'მუატვინში შემოსული დროებითი რამდენიმე წუთიანი მეხსიერების ინფორმაცია მიიღოს ნათხემმა ტვინმა, რომელიც ძირითად სააზროვნო მეხსიერებას წარმოადგენს. ძილის დროს ნათხემი ტვინი გათიშულია დანარჩენი ტვინისგან, ამიტომ მას ინფორმაციის მიღება მხოლოდ გაღვიძების შემდეგ შეუძლია. შუა ტვინს კი მხოლოდ რამდენიმე წუთის მეხსიერება აქვს. ასე რომ, მართალია ადამიანი მთელი ღამის განმავლობაში ხედავს სიზმარს, მაგრამ მეხსიერებაში მხოლოდ გაღვიძებამდე უკანასკნელი რამდენიმე წუთის ნანახი შეიძლება გადაეიდეს. აბა მოყევი რა სიზმარი ნახე.

–მეც სწორედ გამთენიისას ვნახე. –თქვა ნოდარმა და სიზმარი მოჰყვა. დასასრულს კი ჰკითხა: –რას ნიშნავს?

—ყველაფერი გინახავს და რაღა გაქვს გასარკვევი?

—რა ყველაფერი? ამ სიზმარზე ბევრი ვიფიქრე, ბევრი აზრიც დამებადა, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერაფერს მივხვდი.

ნაკადული ხომ იცი რა არის?

—რა თქმა უნდა.

—ნაკადული რომ მოედინება მას სხვა ნაკადულები უერთდება, თანდათან იზრდება და მდინარედ იქცევა. ეს არის ბუნებრივი, მისი არსობრივი მდგომარეობა. მაგრამ ზოგჯერ იქ, სადაც არც მდინარეა და არც ნაკადული, წყალი სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება. ამ დროს, ამ ნაკადულს თუ მდინარის ნაწილს გაუკვალავენ და იქით მიმართავენ, საითაც სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამ სიზმრით შენ სწორედ ამას მიგანიშნებს. შენ მერუეს ვალი გაკისრია. თუ ამას შეასრულებ, შენს რუს სხვისი რუ შეუერთდება, დიდ ნაყოფიერ ველს შექმნის და ამ რუთაველს ერისა და სხვა ხალხების გადარჩენა შეეძლება. მას დალურსმული ქრისტეს ჯვარიდან ჩამოხსნა შეუძლია, ჯვარი შემდგომ დატრიალდება და ბორჯღალი შეიქმნება. ბორჯღალი საქართველოსია და აქ უნდა დატრიალდეს, თუმცა სხვების დახმარებითაც.

მაგრამ იქამდე ჯერ ორმოდან უნდა ამოხვიდეთ და ამაღლდეთ.

—ჩვენ ვართ ორმოში? —შეიცხადა დათომ.

—თქვენ. და არა მარტო თქვენ. თითქმის ყველა ორმოშია ამ ჟამს.

—ვერაფერი გავიგე. —თქვა ნოდარმა.

—დღეისთვის საკმარისი გაიგე. რაც გაიგე კი, მონდომების შემთხვევაში მომავალში „იბარტყებს". ნუ იფიქრებთ, რომ რაკი რაღაც ისეთი გაიგეთ რაც ბევრმა არ იცის, ან რაც აქამდე გაგიგიათ, სხვებისგან გამოგარჩევთ და სხვებზე ამაღლებულნი ხართ. ის რაც მე დღემდე აგიხსენით, დავანახე თქვენს გონებას, არ არის სამყაროს ძირეული საიდუმლო ცოდნა-განათლება. მით უმეტეს, რომ სრულყოფილება-ამაღლებისათვის ცოდნის მიღებას თან უნდა სდევდეს ფსიქოლოგიური აღქმა და პიროვნული ჩამოყალიბება. დააკვირდით თქვენს სახეს. თქვენ ეხლა გაურკვეველი, გაოცებული სახე გაქვთ. თქვენ გაქვთ შეგრძნება, რომ ყველაფერი შეიმეცნეთ, თუმცა თვითონვე გრძნობთ, რაიმე რომ გკითხონ ამ საკითხებიდან, სრულყოფილად თითქმის ვერაფერზე გასცემთ პასუხს. მე შევეცადე თქვენთვის გასაგებ ენაზე მესაუბრა, რომ გაადვილებულიყო თქვენთვის აღქმა მოვლენათა არსისა. ამისთვის ზოგჯერ არაქართული სიტყვებიც გამოვიყენე, რადგან ბევრი ქართული სიტყვა დაიკარგა და ბევრსაც, რომელიც ჯერ კიდე არსებობს, თქვენ ვერ ჩასწვდებით ამჟამად არსობრივად. ესეიგი, მე ვცდილობდი თქვენი ცნობიერებისთვის გასაგებ ენაზე მესაუბრა. ამის გამო ზოგიერთი რამ მცირე ცვლილებითაც ვთქვი. ბევრი რამ თვითონ გაიგეთ არასწორად, რადგან ასეთ რთულ თემას, ვერავინ გაიგებს ერთბაშად სრულყოფილად. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ შეეძელი ზოგადად, ზედაპირულად გადმომეცა თქვენთვის ის ცოდნა, რომელიც დაგანახებთად კარს სამყაროს საიდუმლოს აღქმის ჭეშმარიტი

ცოდნისას. ჭეშმარიტი განათლებისა და სულიერი ამაღლების კარს. ამის შემდეგ უკვე თქვენი ნებაა შეხვალთ თუ არა ამ კარში.

დღეს მე აქ, ამ მდგომარეობაში უკანასკნელად მხედავთ. მე მიედივარ. ჩემი საქმიანობა მოითხოვს სხვა ადგილას და სხვა სახით ვიმოქმედო. თქვენ კი იმ გზაჯვარედინზე, რომელზეც თქვენ დგახართ, თავად უნდა განსაზღვროთ თქვენი გზა. თუ ჩემს ნახვას მოინდომებთ მიუღწეველი არც ეს იქნება. სიამოვნებით დაგეხმარებით, თუ რამ შემეძლება, მაგრამ დღეს ჯერ უნდა დაფიქრდეთ და მომავლის გზა გააანალიზოთ.

—უშენოდ ჩვენ რა შეგვიძლია?

—თქვენ თუ ეძებთ, იმდენი შესაძლებლობები გაქვთ, რომ მე იმ შესაძლებლობებთან არაფერი ვარ.

ეხლა შემოდგომაა, შემოდგომის დასასრული. ნათქვამია: „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო". ესეიგი, წიწილების დათვლის დროა. ვინც თვითონ არ დაითვლის, განგება დაუთვლის, ვინ რა აკეთა და რა მოიწია დღეისთვის. მზე ეკლიპტიკაში თავისი გადახრის უკიდურეს წერტილს უახლოვდება. მალე შემობრუნდება და ნათლის შობაც მოხდება. ასევე ამჟამად სამყაროსა და კაცობრიობის არსშიც. შემდგომ კი ახალი წელიც მოვა... ახალი ნათელი ხანა. ნათლის შობა პიველ რიგში ხალხისთვისაა, მაგრამ ვისთვის? ყველასთვის?

ნათლის შობა იმისთვისაა, ვინც ელის ნათელს. ვისაც მიღების უნარი აქვს და მზადაა ამისთვის, ვისი გონებაც, თუნდაც ბნელი მზად არის, რომ მასში ნათელმა შეაღწიოს, ნათელს კარი გაუღოს. თქვენ რა დააგროვეთ? რით ხვდებით? მზად ხართ თუ არა, რომ ნათლისშობას ფეხი აუწყოთ თქვენს ხცოვრებაში? შავბნელი გონება, სიბნელისკენ მსწრაფი, ნათელს რომ ვერ მიიღებს ეს კი იცით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

იფიქრეთ ამაზე. მთავარია ეს ფიქრი მხოლოდ დღევანდელი დღეისთვის არ იყოს, შორი მომავალი გაითვალისწინოთ და სიკეთის, ნაყოფიერების და კაცთმოყვარეობის ჩარჩოში თავსდებოდეს. არა ისეთი სიკეთისა, რომელიც პირად ამბიციურ გრძნობებს აამებს, სულს კი ანადგურებს. ან ისეთი სიკეთისა, რომელიც ერთს კარგს მოუტანს და მრავალს — ცუდს.

საფიქრალი ყველას თავისი წილი აქვს. თქვენ თქვენი, სხვას თავისი, ერს ერისა, კაცობრიობას თავისი მოეთხოვება. თქვენ თქვენი წილი იფიქრეთ, მე ჩემს წილს ვიფიქრებ, სხვამ თავისი წილი იფიქროს.

ყველა ღმერთის შვილები ვართ და ღმერთთან წილი ყველას გვეკუთვნის. ეს წილი სულის უკვდავება, უმაღლესი გონიერება და ღვთაებრივი ნეტარებაა, მაგრამ რა? ნათქვამია: „ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო". ხოდა, ამ წილის გემო არ იციან და ნაცვლად თავისი კუთვნილი ღმერთის წილისა, სატანასთან ეძებენ წილს. სატანა დროებით სიამოვნებას ანიჭებს და ამით აბრუებთ მათ, სანაცვლოდ კი მათ სულებს ითვისებს.

აი, დგება განკითხვის უამიც და ყველა თვის წილ პასუხს მიიღებს. პასუხს დამსახურებულს, იმისდა მიხედვით ვის რა სული აქვს, რა

სიწმინდე და რა გონიერება. ვინც მოასწრებს, შემობრუნდებას გინიერებისკენ და სულის სიწმინდისკენ, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, მიიღებს თავის კუთვნილ ღმერთის წილს. ვინც არ მოისურვებს, კი ისიც მიიღებს თავის წილს, მხოლოდ არა ღმერთთან არამედ სატანასთან. ის კი თუ რას ნიშნავს ღმერთთან წილი და სატანასთან წილი, მე მგონი უკვე იცით.

ბიჭებმა და ბერიკაცმა კიდე დიდხან ილაპარაკეს, რაც შეკითხვები მოსდიოდათ თავში თითქმის ამოწურეს. ბოლოს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

გათენდა თუ არა ბიჭები კვლავ შეიკრიბნენ პურის საცხობის მშენებლობასთან და მუშაობა გააგრძელეს. რამდენიმე დღე'ში ააშენეს კიდეც. გადაწყვიტეს რამდენიმე დღე ასე დაეტოვებინათ, რომ კედლები უკეთ გამშრალიყო და შემდეგ გამოეცადათ გამოცხობაზე, მანამდე კი შეშა მოეზიდათ. ასეც მაოიქცნენ. ერთი დღე დაისვენეს და შემდეგ დღეს ტყეში წავიდნენ შეშისთვის. შეშის მოგროვება არ გასჭირვებიათ, რადგან ხალხისგან დაწუნებ'ული ღუმელის ზომისთვის ცუდად დასახეთქი შეშები მრავლად ეყარა. შუადღემდე გაავსეს ტრაქტორის მისაბმელი და უკან დაბრუნდნენ.

საღამო ხანს ნოდარს გია ესტუმრა.

–ნოდარ! –უთხრა გიამ. –ეს დღეები ყველა კარგ განწყობა'ზე ვართ, საქმე რომელიც წამოვიწყეთ დასასრულს მიუახლოვდა და უკეთესად ცხოვრების იმედი გაგვიჩნდა, შენ კი სულ მოწყენილი ხარ. რამე ხდება?

–მე ვარ მოწყენილი? რამ მომაწყინა? მეც არანაკლებ მიხარია ვიდრე თქვენ. საიდან მოიტანე? ეს ხომ ჩემი იდეაა და სხვებ'ზე მეტად მე უნდა მიხაროდეს.

–სწორედ ამაშია საქმე, რომ შენი იდეა, სხვებზე მეტად უნდა გიხაროდეს, მაგრამ არ გეტყობა. პირიქით სულ ჩაფიქრებული და მოწყენილი დადიხარ. იქნებ ეს იდეა აღარ მოგწონს და რაკი შენი მოგონილია უარი ვეღარ გითქვამს? თანაც ფულიც სულ შენი იხარჯება. –თქვა გიამ და ამისი თვითონაც არ სჯეროდა.

–რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი? მე ასე მიცნობ, რომ ფული დამენანოს საერთო საქმისთვის? თუ გაამართლა ამით ხომ ყველა მოვიგებთ.

–მაშ რაშია საქმე? იქნებ მამაშენს შეემოხვა რამე ან შენს ძმას? ჩვენ ხომ ძმებივით ვართ, რატომ მიმალავ? – უთხრა გიამ, თუმცა ხვდებოდა, რომ მისი მოწყენის მიზეზი სიყვარული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცდილობდა შორიდან მოევლო და თვითონ ნოდარს დაეწყო ამაზე ლაპარაკი. ნოდარიც ასე ვთქვათ „გატყდა".

–კარგი, გეტყვი. მამაჩემი და ჩემი ძმა აქ არაფერ შუაშია. მე მართლაც შეყვარებული ვარ, როგორც იმ ბერიკაცმა თქვა. ეს ამბავი სამი თვის წინ დაიწყო, აგვისტოში გავიცანი. გაცნობით უფრო ადრე ვნახე, მაგრამ ეს ეპიზოდური იყო და არც კი მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ აგვისტოში სათევზაოდ, რომ ვიყავი ერთი კვირით, იქ ერთად ვიყავით. ობოლი გოგოა. იქ შემთხვევით მოხვდა, თავის მოკვლას აპირებდა ამიტომ

მოვიდა, მე დავინახე და გადავარჩინე. თავიდან უსინდისო და ცუდი ყოფაქცევის გოგო მეგონა და ამიტომ არაფრად ჩავაგდე და მისი სურვილის წინააღმდეგ დავწექი მასთან. მაგრამ მერე, რომ ვნახე წესიერი და პატიოსანი გოგო იყო, ძალიან შემეცოდა. ეინერვიულე კიდეც, მომავალი ცხოვრება დავუნგრიე-მეთქი და გადავწყვიტე უპატრონოდ არ მიმეტოვებინა, დავხმარებოდი, მეშოვა მისთვის ბინა და სამსახური. როცა სახლში მოვიყვანე...

—აქაც გყავდა?

—ხო, თევზაობიდან, რომ მოვედით ერთი დღე აქ იყო. ხოდა როცა სახლში მოვიყვანე რაღაც ძალამ, არ ეიცი რამ, გადამაწყვეტინა, არც ბინა მეშოვა მისთვის, არც სამსახური და მამიდაჩემთან წამეყვანა. იცი შენ, მამიდაჩემი მარტო ცხოვრობს და ვიფიქრე გაუხარდებოდა კიდეც. წავიყვანე მამიდაჩემთან და მას შემდეგ მასთან ცხოვრობს. სამჯერ ვინახულე, კარგად არიან, ორივე კმაყოფილია, მაგრამ მე ვერ მომისვენია. კარგი გოგოა, მეხსიერებიდან არ ამომდის მისი მოწყენილი თვალები, ბავშვური, უმანკო, გულუბრყვილო ქცევები და ქალური სინაზე ერთად შერწყმული. რომ მახსენდება არ მასვენებს, მინდა მის გვერდით ვიყო და კიდე ვიხილო. კიდე ვიგრძნო ის თბილი, მშვიდი, გულწრფელი, უწყინარი ნაზი ურთიერთობა. მინდა კიდე ეიგრძნო ის სიამოვნება, მისი ლამაზი თვალების გამოსხივების დროს რომ განვიცდიდი. თითქოს რაღაც სხივი გამოკრთოდა, რომელიც ჩემს გულში შემოდიოდა და მას ძალიან ახლობლად განმაცდეკინებდა. არ ეიცი სიტყვებით ვერ ავხსნი რასაც ვგრძნობ მასთან ურთიერთობის დროს. ეხლა ვგრძნობ, რომ მიყვარს და უმისოდ ვერ ვძლებ, მაგრამ აქამდე ჩემს თავს ვებრძოდი, თითქოს რაღაც დანაშაულს ჩავიდენდი თუ შევიყვარებდი. ხომ იცი მამაკაცის ფსიქოლოგია, ასეთი კარგი გოგო, უწვალებლად და უზრუნველად თავისით ჩამივარდა პირდაპირ ხელებში, ასე მოულოდნელად, ვერ ვაფასებდი. თურმე შემიყვარდა, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი რა მოელენასთან მქონდა საქმე.

—თუ მართლა ასეთი კარგი გოგოა და გიყვარს, ხელს რაღა გიშლის? ადექი და ცოლად მოიყვანე.

—ასეც ვაპირებ. ეხლა უკვე გადაწყვეტილი მაქვს და არაფერი შემაჩერებს. ამიტომაც ეეღარ ვისვენებ და სულ მასზე ვფიქრობ.

—თუ ასე ღელავ რაღას უცდი? წადი ხვალ და მოიყვანე.

—არა, ასეთი საჩქარო რა არის? დავამთავროთ ეს საქმე რაც წამოვიწყეთ და მერე წავალ.

—კარგი, მაგრამ ხალხმა როგორ გაიგო, რატომ მეკითხებოდნენ ნოდარს საცოლე ჰყოლია და რატომ არ მოჰყავსო?

—იქ სათევზაოდ ვაჟაც ხომ იყო და, როგორც სჩანს, მან თქვა სადმე. მერე კი ხომ იცი ჭორები სწრაფად ვრცელდება. მე მისთვის არ მითქვამს საცოლეა ან მიყვარს-მეთქი, მაგრამ ალბათ თვითონ გადაწყვიტა, რომ საცოლე იყო და ხალხშიც ილაპარაკა. ხომ იცი, დათოსთვის არ მითქვამს. პირველს შენ გეუბნები. აკი გითხარი თუ რამეს გადავწყვეთ პირველი შენ გაიგებ-მეთქი.

—კარგი ამბავია. ქეთინოს ვახარებ.

—ქეთინოს კი, მაგრამ სხვებთან ლაპარაკი არ ღირს. არ მიყვარს წინასწარ გამჟღავნება. ხომ იცი, ჭორაობას დაიწყებენ და მეც თავს მომაბეზრებენ ვინ არის, სადაურია, როგორია საიდან გაიცანი და სხვა კითხვებით.

—რა თქმა უნდა. სხვებთან არც ვაპირებდი თქმას. ისე კი, იქნებ სჯობდეს ხვალვე წახვიდე და მოიყვანო. შეშა რა პრობლემაა, ჩვენ მოვიტანთ.

—არა, არა. ასე სასწრაფოდ არ ღირს. ყველაფერს აყწონ-დაყწონი და მერე.

—რაღა უნდა აწონ—დაწონო, თუ გადაწყვეტილი გაქვს?

—მოყვანა კი მაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ სხვა რამეც ხომ არის? ათას წვრილმანთანაა დაკავშირებული. მინდა რომ მომზადებული შევხვდე, სახლიც შევაკეთო. 15 წელზე მეტია ოთახები არ შეღებილა, იმ გამურულში ხომ არ მოვიყვან?

—ხო, ეგ მართალია. სჯობს შეღებო. მეც დაგეხმარები და სამ—ოთხ დღეში შეღებავთ.

—დედინაცვალი ჰყავს, მეგობრები ჰყავს... მინდა მათთან წავიდე, მოვიწვიო და მერე ჩამოვიყვანო, „სიურპრიზი" მოვუწყო.

—ეგეც კარგი აზრია. კარგი, წავალ ეხლა. სასიამოვნო მოწყენის მიზეზი გქონია და მეც მშვიდად ვიქნები.

გია გამოემშვიდობა ნოდარს და სახლში წავიდა. ორი დღე კიდე შეშა ეზიდეს, შემდეგ დღეს კი, ჯერჯერობით, საკმარისად ჩათვალეს მოტანილი და შედარებით მსხვილი კუნძების დახეთქვა დაიწყეს.

—ეხლა შეშაც გვაქვს, რაღა გვინდა, არ ეყოფა გაშრობა, რომ ხვალ გამოვცადოთ? უკვე ორ კვირაზე მეტი დრო გავიდა რაც კედლები ავაშენეთ. იქნებ სულ ტყუილად ვწვალობთ? —თქვა ნუგზარმა.

—არა. ამდენი მოვიცადეთ და, სამი დღე კიდევ მოვიცადოთ. აჩქარებით არაფერი დავაზიანოთ. —თქვა ნოდარმა. —ყველას გული გვიწუხს, ყველას გვინდა დროზე დავინახოთ რა გამოვა, მაგრამ სჯობს კიდე მოვიცადოთ.

—კარგი რა ვიცი. თუ საჭიროა... თქვა ნუგზარმა და თან ნოდარს მიუახლოვდა.

—ნოდარ, თუ გცალია, რომ მოვრჩებით, ბაზარში არაყი წამაღებინე. უნდა ჩაებარო. სახლში პურის ფული აღარა მაქვს და...

—კი წავიღოთ... ამის დახეთქვას 2-3 საათში მოვრჩებით და ყველას ხომ არ ვახეთქავთ, მარტო ძალიან მსხვილებს...

სამუშაოს დასრულების შემდეგ, შუადღისას, ნოდარმა ავტომანქანა გამოიტანა და ნუგზარის ეზოს კარებთან გააჩერა. ნუგზარმაც ორი ოცლიტრიანი ბიდონით არაყი გამოიტანა, მანქანის საბარგულში ჩააწყო და ბაზრისკენ წავიდნენ.

მისვლისას, ნუგზარმა ბიდონები ამოიღო და ბაზარში შეავიდა. ათიოდე წუთის შემდეგ ნუგზარი გამოვიდა და ავტომანქანაში ჩაჯდა.

—უჰ, ძლივს არ ამოვისუნთქე. პურის ფული აღარ გვქონდა და ეხლა ეს ერთი ორკვირას გვეყოფა, იქამდე კი სხვას ვიშოვი.

ნოდარს ავტომანქანის მობრუნება დაეზარა და პირდაპირ წასვლა და მეორე ქუჩით დაბრუნება გადაწყვიტა.

კინოთეატრის წინ გაელისას შენიშნეს, რომ მის წინ ბევრი ხალხი იყო შეგროვილი. ზოგნი გაცხარებით კამათობდნენ, სხვები უსმენდნენ, თითო ორიოლა კი უკვე მიდიოდა.

— აბა ერთი გააჩერე, გადავიდეთ, გავიგოთ რა ამბავია. რამდენი წელია კინოთეატრი აღარ მუშაობს. შიგნით სკამებიც აღარ არის და ამდენი ხალხი რისთვის შეგროვდა? —თქვა ნუგზარმა.

ნოდარმაც იქვე ახლოს გააჩერა და ორივე გადავიდა ავტომანქანიდან. ხალხის შეკრების მიზეზი მალევე გაარკვიეს. რომელიღაც პარტიას შეხვედრა ჰქონია ხალხთან და ანისათვის შეკრებილან. შეხვედრის შემდეგ, პოლიტიკური შთაბეჭდილებებით დატვირთული ხალხი, რომელნიც შეხვედრის დროს ხმასაც არ იღებდნენ, ერთიმეორესთან კამათობდნენ.

ძირითადად, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, სახელისუფლო პარტიას ლანძღავდნენ ქვეყნის დანგრევისათვის, მაგრამ ამას გარდა ვერ გაერკვიათ, რომელი პარტია სჯობდა და სწორედ ამაზე იყო გაცხარებული კამათი. ზოგი ერთს აქებდა და მეორეს ლანძღავდა, როგორც პარტიას ასევე პერსონალურად პარტიის ლიდერთა წევრებს, ზოგნიც პირიქით სხვას აქებდნენ და სხვას ლანძღავდნენ. ძირითადი საკამათო ადგილი კი ისევ და ისევ ქვეყნის დანგრევაში ამა თუ იმ პარტიის ან პირის წვლილზე ტრიალებდა.

ნოდარმა ჯერ უსმინა ერთერთ ჯგუფს, შემდეგ კი თვითონაც ჩაერთო კამათში.

სხვებს ისე აბრალებთ ქვეყნის დანგრევას, თითქოს თქვენ იმ დროს აქ არ ცხოვრობდით და ეხლა მოხვედით. ქვეყნის დანგრევაში თქვენი წილიც ურევია და მარტო სხვას ნუ გადააბრალებთ. ნათქვამი ხმამაღლი გამოვიდა და სხვა ჯგუფებმაც ყურადღება მიაქციეს.

—მე რა შუაში ვარ, მე ვინ მეკითხება ქვეყნის დანგრევა არ დანგრევას? —წამოიძახა ერთმა.

—შენ რა, მე და ჩემნაირ გლეხებს გვაბრალებ ქვეყნის დანგრევას? —თქვა მეორემ.

—ეს ალბათ შევარდნაძის მომხრე იქნება. —თქვა მესამემ.

—თქვენ, რა თქმა უნდა, დანგრევის სურვილი არ გქონიათ, მაგრამ, წვლილი თქვენც შეიტანეთ და ქვეყნის დანგრევაში, წილი თქვენც გაქვთ. აბა მითხარით, წინა არჩევნებში ვინ აირჩიეთ?

—ვინც გაიმარჯვა. —წამოიძახა ერთმა, ორი კი მხოლოდ თავის ქნევით დაეთანხმა.

—მერე და ვინც თქვენ აირჩიეთ, ის თუ ანგრევს ქვეყანას, ამ ნგრევაში თქვენი წვლილი არ არის? თქვენ არ მიეცით ძალაუფლება ნგრევისათვის?

—აბა ვინ ამერჩია, ტელევიზორში სუ ეგ კაცი ჩანდა და სხვები რა ვიცი ვინ იყვნენ. —თქვა ისევ იმ კაცმა.

ესეიგი, ტელევიზორში ვისაც ხშირად აჩვენებენ, კარგია თუ ცუდი, თუნდაც კაციჭამია იყოს ის უნდა აირჩიოთ? თუ იმათი კარნახით

ირჩევთ, და არა საკუთარი გონების განსჯით, მაშ რაღა გინდათ არჩევნებში? ისინი თვითონ წავიდნენ და თვითონ აირჩიონ ის ვისაც გკარნახობენ.

თანდისთან სხვა ჯგუფებს აკლდებოდა ხალხი და იმ ჯგუფს ემატებოდა, რომელსაც ნოდარი ელაპარაკებოდა. ნოდარი კი გაბრაზებულივით საკმაოდ ხმამაღლა განაგრძობდა ლაპარაკს.

–ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოვიხადეთ. –თქვა ერთმა.

–რას ამბობთ ხალხო? ეგ არის თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა, დამანგრეველი აირჩიოთ და ქვეყანა დაანგრიოს? მაშინ ხომ მე მართალი ვყოფილვარ, თქვენ დაგინგრევიათ ქვეყანა. თქვენი მოვალეობა ის კი არ არის, მხოლოდ მონაწილეობა მიიღო და ნებისმიერი შემოხაზო, არამედ ის, რომ საკუთარი გონებით განსაჯო და ვინც მიგაჩნია ღირსეულად ის შემოხაზო, ის აირჩიო. თუ სხვა უკეთესს იცნობთ კი, თვითონ დაასახელეთ კანდიდატი. რატომ არ აკეთებთ ამას? იქნებ იმიტომ, რომ თქვენც გსიამოვნებთ დანგრევა? ან უკეთესს შემთხვევაში, პასუხისმგებლობას იცილებთ თავიდან. ეს კი ნიშნავს, რომ არ გენაღვლებათ საკუთარი ქვეყანა. თუ არ გენაღვლებათ, არ გიყვართ სამშობლო, თუ არ შეეწინააღმდეგებით დამანგრეველებს, ესეიგი, ვითარებას ჰქმნით ისეთს, რომ დამანგრეველები გაბატონდნენ და ესეც თქვენი ბრალია. ეს დამნაშავეებისათვის ხელშეწყობას ნიშნავს.

–ჩვენ ვინ გვეკითხება კანდიდატი ვინ იქნება? ზევიდან ვისაც ჩათვლიან საჭიროდ სიაშიც იმას შეიტანენ.

–ნათქვამია „უძაღლო ქვეყანა ნახეს და უჯოხოდ დაიწყეს სიარული“ –თქვენ რომ თქვენს მოვალეობას არ ასრულებთ ქვეყნის წინაშე და ასპარეზს „ზევითებს“ უთმობთ, აბა რას იზამენ? არ ჩაატარონ არჩევნები? როდისმე გიფიქრიათ მაინც, რომ თქვენ თვითონ შეარჩიოთ ღირსეული კანდიდატი და არჩევნების სიაში შეიტანოთ? მაგრამ, არა. მიჩვეულები ხართ, თქვენს მაგიერ სხვამ უნდა აკეთოს ქვეყნის საქმე, თქვენ კი მხოლოდ იწუწუნოთ. თუ რამე გაფუჭდა, სხვებს გადააბრალოთ, აკრიტიკოთ და საკუთარი თავი ანგელოზებად წარმოიდგინოთ.

–ჩვენს კანდიდატს მაინც არ გაამარჯვებინებენ. თვითონ ჩაყრიან ღა თავისას გაიყვანენ. –თქვა ერთმა.

–მეზობელმა, რომ თქვენი 1 ლარი მიისაკუთროს, თავს გაუტეხავთ, შეიძლება მოკლათ კიდეც, დედმამიშვილსაც არ აპატიებთ, არჩევნებში კი თქვენს უფლებებს სხვას ჩუქნით, თანაც იმას ვისაც თვითონვე ლანძღავთ. რატომ? ვისაც ერევით, ჩაგრავთ და ვისაც თქვენზე ძლიერად თვლით ყველაფრის უფლებას აძლევთ? მონები ხართ? ეს ხომ მონური სულის გამომნეღავნებაა? სადღეგრძელოში, რომ ამაყობთ ქართველი ვარ და საქართველოს გაუმარჯოსო, განა ასეთი მონური სულის ქართველობით ამაყობთ? განა ასეთი ქართველების საქართველო გაიმარჯვებს?

–ვინ არის მონა! მონა შენ თვითონ ხარ! –წამოიძახა ვიღაც განაწყენებულმა. –ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვითმია.

–რომელმა თქვა ეს? –იკითხა ნოდარმა და ყველას გადახედა. ემოციაში შესული ლაპარაკში ისე გაერთო, რომ ახლა შენიშნა, სხვა მოკამათე ჯგუფები აღარსად იყო, ყველა მასთან შემოკრებილიყო.

—მე ვოქვი! —დაიძახა მოქმელმა.

ნოდარმა შეხედა და იცნო. ერთერთი ქარხნის მუშა, რომლის გვერდით იმავე ქარხნის ორი თანამშრომელი იდგა. სახელი კი არც ერთის არ ახსოვდა.

— შენ არ ხარ მონა? იმ ქარხნის თანამშრომლები, რომელშიც შენ მუშაობდი სამნი დგახართ, აბა მითხარი რატომ დაინგრა, რატომ გაასწორეს მიწასთან ის ქარხანა, რომელშიც თქვენ მუშაობდით?

—მე ვინ მკითხავს? ვისიც იყო, ვინც იყიდა იმანვე დაანგრია. იმისი იყო და თავისას რასაც უნდა უსამს.

—იმისი როგორ იყო, სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა და ქარხანა თქვენ, ყველა თანამშრომელს გადმოგეცათ საკუთრებაში. აქციები თქვენ, ყველას მოგეცათ და, მაშასადამე, ქარხანაც თქვენი საკუთრება იყო. თქვენ შეგეძლოთ ის დირექტორი, რომელმაც მიისაკუთრა, საერთოდ გაგეგდოთ ქარხნიდან. მაგრამ ნაცვლად ამისა ხელიც არ გაატოკეთ იმისთვის, რომ დანგრევას გადაგერჩინათ. პირიქით თვითონ ეხმარებოდით დანგრევაში. იმიტომ ეხმარებოდით, რომ უარის თქმა, წინააღმდეგობის გაწევა არ შეგიძლიათ. ეს მონური სული არ არის? ყოველ შემთხვევაში ქვეყნის დანგრევაში თქვენი წელილი აშკარაა. რამდენი უკანონო რამ დაუვალებია დირექტორს თქვენთვის. როდისმე უარი გითქვამთ მისთვის?

—მართალს ამბობს. ეგრეა. გეშინია და იმტომ დაანგრევინე შენი ქონება და გააყიდინე. — უთხარა მაღალი ხმით, მისგან მოშორებით მდგარმა კაცმა. ნოდარმა მიიხედა და ისიც იცნო. მისი სახელი კარგად იცოდა და ორიოდე წლის წინანდელი მისი ნათქვამიც კარგად ახსოვდა.

—შენ მაგას, რომ ეუბნები თვითონ რითი ხარ უკეთესი? —განაგრძო ნოდარმა. —გახსოვს, შენ რომ ამბობდი მეზობელს მანქანას, რომ პარავდნენ, დაეინახე ვინც იყვნენ, მაგრამ მაგას რა მათქმევინებსო? შენ პატიოსან კაცად გიცნობენ, მაგრამ ეგ არის შენი პატიოსნება? ამბობდი რომ ვოქვა გადამეკიდებიან და მერე მე გამძარცვავენო. დუმილით, რომ ხელსაყრელ პირობებს უქმნი ქურდობისათვის იმ საწყალ ბიჭებს, რომლებმაც უგუნურობის გამო სხვა საქმიანობა ვერ გამონახეს, განა ეგ პატიოსნებაა? განა შენ და შენნაირები არ უწყობთ ხელს, რომ ისინი ასეთები გახდნენ? განა ასეთი ხელშეწყობით უარესები არ გახდებიან? განა მერე ერთ რომელიმე დღესაც შენთან არ მოვლენ მოსაპარად? ასეც რომ არ მოხდეს, განა საშინელი და საზარელი ცხოერება არ იქნება შენივე მომავლის და შენი შთამომაელობისათვის?

—აბა, რა პოლიციაში დამერეკა?

—პოლიციაში დარეკვა არ იყო აუცილებელი, გასულიყავი და გეთქვა, რას შვრებით, როგორ არ გრცხვენიათ, წადით აქედანო. მაგრამ არ გახვედი. შეგეშინდა. ეს არ არის მონური სული? შენი ხელშეწყობით ისინი რომ თამამდებიან და უფრო მეტ საშინელებას ჩადიან შენთვისაც და მათთვისაც უფრო მეტად სახიფათო არ არის? ეს არ არის ქვეყნის ნგრევა?

—მართალი ხარ, მაგრამ შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე, გახვიდოდი? —თქვა იმ კაცმა.

—მე გავიდოდი თუ არა, ეგ სხვა საკითხია. აი ეს ღუპავს და ანგრევს ქვეყანას. საკუთარ ცუდს რომ ვიპოვით, სხვაში ვეძებ და რომ ვიპოვით თავს, იმით ვიმართლებთ, სხვაც ასე მოიქცეოდაო. შედეგად, ყველა ერთად ვანგრევთ ჩვენს საკუთარ საზოგადოებასაც, ღირსებასაც —ამით კი მოელს ქვეყანას. ამ დანგრეულ ქვეყანაში ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი წილი დანაშაული და წუწუნის უფლება არა გვაქვს. ყველაზე პატიოსანმა კაცმაც კი თავისი წვლილი შეიტანა დანგრევაში. დამანგრეველმა თუ უშუალოდ დაანგრია, პატიოსანმა თავისი დუმილით ხელი შეუწყო დამანგრეველს დანგრევაში და ამით შეიტანა საკუთარი წვლილი. ყველა დამნაშაევ ვართ და ეხლა წუწუნი, თავის მართლება და სხვებზე გადაბრალება ისევ დანგრევას გააგრძელებს, ყველამ გონება მოვიკრიბოთ, დავფიქრდეთ, გაეაცნობიეროთ, რომ საკუთარ მომავალს ვანგრევთ. შეეწყვიტოთ ნგრევა და როგორც ნგრევაში გვაქვს საკუთარი წვლილი, ისე ეხლა აშენებაში ვცნოთ ჩვენი წილი. ყველამ უნდა გავატოკოტ ხელი და ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა, თორემ მარტო ქვეყანა კი არ შემოგვეცალა თვალსა და ხელს შუა, სახვალიოდ თავად მომავალი თაობა გვეცლება თვალსა და ხელს შუა. ყველა რომ დადიხართ და სხვის შვილებზე ლაპარაკობთ: ქურდია, უსაქმურია, ნარკომანია, ბოზია, უსინდისოა და სხვა "შემამკობელ" სიტყვებს, თქვენი შვილი, მართლაც რომ ანგელოზი იყოს, ასეთ თაობაში ისინიც იგივენი გახდებიან და დაიღუპებიან. დღეს თუ არ ვიფიქრებთ ამაზე ხვალ გვიან იქნება და თავში ხელების შემორტყმა თუ სხვებზე გადაბრალება ვეღარაფერს უშველის. მთლიანობაში, საზოგადოება თუ არ გამოსწორდა, არც მთავრობა იქნება უკეთესი და არც ბერი და არც ერი. საზოგადოება კი ჩვენ ვართ. ჩვენ ყველა ერთად და თვითოეული ცალკ-ცალკე. დაფიქრდით ხალხნო ამაზე. მივხედეთ, რომ დღევანდელი ცუდი, ჩვენი გუშინდელი ქმედების თუ უმოქმედობის და აზროვნების ბრალია, ღეს თუ არ შევიცვალეთ, ხვალ უარესი იქნება. სხვა გზა არ არსებობს. გამოვფხიზლდეთ ჩვენ ყველა, ვიგრძნოთ, რომ გადარჩენა ჩვენს ხელშია, და ამისათვის მოქმედებაა საჭირო ჩვენივე და არა სხვისი. თუ არა და დავიღუპებით. დავიღუპებით ჩვენ ყველა, განურჩევლად ეროვნებისა, ფულიანისა თუ უფულოსი. —თქვა ნოდარმა და ამით დაამთავრა თავისი, ასე ვთქვაო "საზოგადოებრივი გამოსვლა". რამოდენიმე წამს ადგილზე იდგა ისევ გაჩუმებული და საზოგადოებაც სდუმდა, ხმას არავინ იღებდა. შემდეგ კი ნოდარი გამოეცალა მათ და თავის მანქანაში დაბრუნდა, ნუგზარი კი უკან მიჰყვა.

რამოდენიმე წუთს ნუგზარიც ჩუმად იყო, მერე კი უთხრა.

—ეგ რა იყო, რამდენი შეგძლებია, რა თამამი აზრები გადმოაფრქვიე? ასეთი ნოდარი არ მინახიხარ. რა მაგარი ყოფილხარ. სუყველა გააჩუმე ამოდენა ხალხიდან, ხმას ვერავინ იღებდა. ნოდარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და არაფერი უთქვამს. მას 2-3 თვის წინ ნანახი სიზმარი გაახსენდა და გაიფიქრა როგორ ჰგავსო. თუმცა აქ სულ სხვა ვითარებაიო.

უბანში მისულმა ნუგზარმა ყველას გააგებინა: ნოდარმა მიტინგი ჩაატარა ქალაქის ცენტრში და ისე ილაპარაკა ხალხი გამოშტერდაო.

ზოგს გაუკვირდა, რამდენი შესძლებია ნოდარსო, ზოგმა არ დაუჯერა, უმრავლესობამ კი უბრალოდ გაზვიადებულად ჩათვალა.
რამდენიმე დღე გავიდა და დადგა პურის საცხობის გამოცდის დროც. დილით, გიას დედამ და ნუგზარის დედამ საცდელად ათ კილომდე ფქვილი მოსილეს. ბიჭებმაც ცეცხლი აანთეს საცხობში და კუნძებიც შეაყარეს.

ერთ საათზე მეტ ხანს აცალეს ვიდრე ცეცხლი კარგად გაათბობდა ღუმელში ყველაფრს და შემდეგ შეაწყვეს საგანგებოდ დამზადებულ ყალიბებში ჩასხმული ცომი. ყალიბები სხვადასხვა ადგილას დააწყეს, რომ გაეგოთ საით მხარეს როგორი მდგომარეობა იქნებოდა.
რიგრიგობით მოუთმენლად იხედებოდნენ საცხობის სათავსოს კარში დატანებულ ორივე შუშაში და ღელავდნენ, როგორი გამოცხვებოდა.

თვალით რომ შეატყვეს უკვე გამოცხვაო, კარი გახსნეს და ერთი გამოიღეს. ნახეს რა, რომ ჯერ კიდე ეკლდა გამოცხობა, კვლავ უკან დააბრუნეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ კი კვლავ გამოიღეს.

—ეყოფა, ცოტა დამწვარა კიდეც. —თქვა გიამ და ნოდარს მიხედა.

— გამოვაწყოთ ყველა. —თქვა ნოდარმაც და ყველა გამოაწყვეს.

პური გარედან ცოტა დამწვარი, შიგნიდან კი ცოტა ცომი აღმოჩნდა. ერთობლივი მსჯელობით, დაასკვნეს რომ ტემპერატურა მეტი იყო. ამიტომ გადაწყვიტეს ვენტილაცია დაერეგულირებინათ, ცეცხლი უფრო შეესუსტებინათ და საცხობ სათავსოში კი თერმომეტრი დაეყენებინათ.

ამ ყველაფერს ორი დღე მოანდომეს და კვლავ მოზილეს ცომი. ახლად გამომცხვარი პური ბევრად უკეთესი არ იყო. ორი დღის წინ გამომცხვარზე, მაგრამ მთელი დღე იწვალეს და საღამომდე გაცილებით უკეთესი გამოაცხეს.

—ეს პური უკვე შეიძლება გავყიდოთ, მშვენიერია. —თქვა გიას დედამ.

—ჰო. მართალია კიდე რაღაც აკლია, მაგრამ თანდათან დავხვეწავთ. ხვალ კი შეგვიძლია გაყიდვა დავიწყოთ, თუ არ გავაუარესებთ. —თქვა ნოდარმა.

—მაშინ გამარჯვება ავღნიშნოთ. —თქვა ნუგზარმა.

—გამარჯვება ჯერ კიდე წინ არის და აღნიშვნასაც მოვასწრებთ, ხვალ კი უკვე სრული ძალით დავიწყოთ მუშაობა. —თქვა ნოდარმა.

ამისათვის მეტი ცომის მოზელა გახდება საჭირო, თუმცა არა იმდენის, რამდენიც შემდგომ დღეებში შეიძლება დაგვჭირდეს. ქალებს კი მარტოს გაუჭირდებათ თუ დენი არ იქნება. ამიტომ ერთი კაცი ქალებს დაეხმარება, ორიც აქ იმუშავებს. ერთი კი მე გამომყვება გენერატორის საშოვნელად. როცა კარგად ვისწაელით ყველაფერს და ავეწყობით, ორი ქალი იმუშავებს მორიგეობით, კაცი კი ერთიც საკმარისი იქნება და მორიგეობით ვიმუშავებთ ყველა.

—არა, შენ მორიგეობით რატომ უნდა იმუშაო? შენ ამდენი რამ გააკეთე, ყველაფერს ორგანიზება გაუკეთე, ფულიც და ფქვილიც შენია და კიდევ სმენაში? —თქვა გიამ. —შენს გარდა ოთხნი ვართ და ვეყოფით.

—ჰო. მართალს ამბობს. —თქვა ნუგზარმა. —უფროსი და ორგანიზაციული საქმეების გამკეთებელი მერეც ყოველთვის ყოველდღიურად გვჭირდება და შენს მეტი სხვა ვინ იქნება?

–მართალია. შენ უფროსი უნდა იყო და ყოველდღიურად მიხედო საქმეს. სმენისათვის შენ არ გეცლება. თუ არა და ქაოსი შეიქმნება, ვერაფერი გაკეთდება. –თქვა დათომაც.

–კარგით. თუ ყველა ასე ფიქრობთ... მგრამ ტყეში მაინც წამოვალ. იქ ხომ აუცილებლად გჭირდებათ მოხმარება.

ამ ლაპარაკში ქალები წავიდნენ სახლებში და მხოლოდ ბიჭებიღა დარჩნენ.

–ეხლა, ქალები რომ წავიდნენ, კიდე ერთი რამ მინდა გითხრათ, რაც გიას დედასთან არ მინდოდა მეთქვა. –თქვა ნოდარმა.

–იმ მოგებიდან, რომელიც ხელფასიდან უნდა განაწილდეს სამი თვის განმავლობაში, ე.ი. მარტის შუა რიცხვებამდე, განაწილდეს მხოლოდ 10%. 90% კი შეინახება და ამ ფულით, არჩევნების წინ, შეეეცდებით გიას სახლი გამოვიხსნათ. ავთო კენჭს იყრის არჩევნებში, როგორც გავიგე და არჩევნების წინ უარს არ იტყვის. მე ვფიქრობ არჩევნებში, როგორც ყოველთვის, დიდი მეტოქეობა იქნება და ხმების დაკარგვის შიშით დაგეთანხმდება. შემდგომში კი გიას დააკლდება ხელფასიდან და თქვენ მოგემატებათ ის თანხა. თანახმა ხართ ყველა? –ჩემს გამო, რატომ აწუხებ ამ ხალხს? ჩემს ცხოერებას მე მოვუელი.

–კი თანახმა ვართ, თქვეს ყველამ.

–ყველას თავისი ოჯახი აქვს. –თქვა გიამ.

–ოღონდაც მაგან ბინა დაიბრუნოს და სამი თვე არც ის 10% მინდა და არც უკან დაბრუნება. –თქვა ნუგზარმა. აქამდე რომ ეგ 10% არ მქონდა ხომ ვარსებობდი.

–არა, 10%-ს მიიღებს ყველა. არსებობა ყველას უნდა. შენ კი, –მიმართა ნოდარმა ნუგზარს. –სახლში რომ მიხვალ უთხარი დედასაც და მეუღლესაც ეს გადაწყვეტილება და თანაც უთხარი, რომ არსად თქვან. ეს მარტო ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თორემ თუ ავთომ გაიგო შეიძლება აღარ დაგვთანხმდეს.

–კი, ვეტყვი, მაგრამ ავთომ როგორ უნდა გაიმარჯვოს, ღვინის ქარხნის დირექტორიც აპირებს კენჭისყრას და იმას იმდენი ფული აქვს და...

–ჯერ დაზუსტებით არავინ იცის, ვინ იყრის კენჭს. იქამდე შეიძლება გადაიფიქრონ კიდეც. მაგრამ ჩვენ თუ ეხლავე არ დაეიწყეთ შეგროვება შერე ვეღარაფერს მოვახერხებთ. დაბრუნების კარგი შესაძლებლობა კი სწორედ არჩევნების წინ გვექნება, თუ ავთო გიორგევიჩი კენჭს იყრის, გაიმარჯვებს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ არჩევნების წინ უნდა მოვახერხოთ დაბრუნება, ვიდრე კენჭისყრა მოხდება. ხმების მოპოვებისთვის, უფრო კეთილი კაცის როლს ითამაშებს.

–მაგის კეთილი კაცობა ვის გაუგია? –თქვა საშკამ. –კაცს ქუჩაში აგდებს ოჯახით და კეთილი კაცია? მარტო გიას კი არ გაუკეთა ასე, სხვებიც ვიცი უსახლკაროდ რომ დატოვა. მაგას პარლამენტში რა უნდა?

–ეგ ვერც გაიმარჯვებს. –თქვა ისევ ნუგზარმა. –ღვინის ქარხანის დირექტორს იმდენი ფული აქვს, შიგ ჩასვავს ავთოს და დაახრჩობს. ჯერ კიდე კომუნისტების დროს მილიონები ჰქონდა.

—შენ რა, გგონია გიორგევიჩს ნაკლები ფული ჰქონდა? —თქვა საშკამ. —საწყობს ნუ ეხუმრები. საწყობის გამგე ზოგჯერ დირექტორზე მეტს იპარავს. და მერე, ქვეყანა რომ ინგრეოდა რამდენი რამე ჩაიგდო ხელში. ეხლაც თითქმის მთელ რაიონის ბენზინის კალონკები მაგისია. იცი, რა ფული კეთდება ბენზინში?

—რატომ არიან ამისთანა ნაძირლები პარლამენტის წევრობის კანდიდატები, ამისთანებმა უნდა მართონ ქვეყანა? თუნდაც ის ქარხნის დირექტორი, ამდენ ფულს რომ ატრიალებს, წლებია ყურძენი არ მიულიათ და ღვინოს კი ათასობით ტონას ჰყიდიან. განა ყველამ არ იცის, რომ ის ყურძნის ღვინო კი არა რაღაც საზიზღრობაა? ამით ხომ ხალხსაც წამლავს და საქართველოსაც სახელს უტეხს, განა ეს ერის და ქვეყნის ღალატი არ არის? —თქვა დათომ.

—რას იზამ... ცხოვრება ასეა. მაგათნაირების გამარჯვება მარტო ფულის დამსახურება არ არის. მათთან ერთად ყოველთვის არის სხვა —უფრო პატიოსანი და განათლებული კანდიდატიც, მაგრამ ხალხი მაინც ამისთანას ირჩევს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ესენი უფრო ცნობილები არიან. ხალხი არ ცდილობს გაარკვიოს უკეთესი ვინ არის მისი ქვეყნისთვის. იმიტომ, რომ ვერ გრძნობს ქვეყნის და თავის ბედიც რომ მაშინ წყდება, როცა არჩევნებში კანდიდატს ხაზავს.

—კარგი, მე წავედი. კარგად იყავით. —თქვა დათომ და წავიდა. რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა, ნახევრად მობრუნდა, ისე რომ არც შეჩერებულა და თქვა: —ხვალ დილით მოვალ...

—ჰო, მეც წავედი. სათქმელი ვთქვით ყველაფერი. გაურკვეველი არაფერია და ეხლა სჯობს დავისვენოთ.— თქვა ნოდარმა და ისიც წავიდა.

მეორე დღეს უკეთესი პური თითქმის არ გამოვიდა. ზოგჯერ უარესაც იღებდნენ საცხობი სათავსოდან, თუმცა საღამოსკენ თითქოს ცოტა გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, პური მაინც გაიყიდა და სამდურაავი არავის გამოუთქვამს. შემდეგ დღეებშიც თითქმის იგივე გამეორდა, მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, მაგრამ გამორჩეულად ცუდი დამწვარი თუ ცომი თითქმის აღარ იყო.

—პურის ხარისხი დასტაბილურდა. —თქვა გიამ. —თანდათან კი უფრო გაუმჯობესდება. რაც მთავარია იყიდება და მომავალში მოთხოვნილებაც გაიზრდება.

—ჩვენი რაიონი საუკეთესო გამომცხვარი პურის ხარისხით ვერ დაიკვეხნის, ჩვენი სხვებზე უარესი თუ არ არის და ამიტომ იყიდება, ეს არ ნიშნავს რომ დავმშვიდდეთ. ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივად უნდა ვიზრუნოთ. —თქვა ნოდარმა.

—ეგ, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ დასაწყისისათვის ცუდი არ არის.

—მეც ასე ვფიქრობ... ამიტომ დროებით მინდა ჩემს საქმეს მივხედო და ხვალ მამიდასთან წავიდე.

—ჰო, კარგი აზრია. ამის დრო და შესაძლებლობა უკვე გაქვს.

—შენ არ გცალია, რომ წამომყვე?

—მეე? მე იქ რა გავაკეთო?

—არაფერი. უბრალოდ გამომყევი... მარტოს მეზარება წასვლა. გზაში ვილაპარაკოთ. გავერთობი...

—კარგი... წამოვალ.

მეორე დღეს გათენებიდან გია და ნოდარი საცხობს დასტრიალებდნენ, შუადღე მიტანებულს კი ჩასხდნენ ავტომანქანაში და მამიდასთან წავიდნენ.

—ეხლა ნახავ, როგორი სიხარულით გამოქცევა ჩემს შესახვედრად. —თქვა ნოდარმა მამიდას სახლთან მიახლოებისას. —თან ცდილობს არ შეიმჩნიოს, მაგრამ სიხარულის ემოციებს ვერ მალავს.

—ესეიგი, ძალიან ყვარებიხარ.

—ჰო.

ნოდარმა მანქანა მამიდას ეზოს წინ გააჩერა, დაასიგნალა და ორივე გადავიდა მანქანიდან. ეზოში შესულ ბიჭებს არავინ გამოეგება.

—ალბათ გასულია სადმე. —ისე თქვა ნოდარმა, თითქოს თავი იმართლა.

—მამიდა! —დაიძახა ნოდარმა.

—ბატონო! —შემოესმათ ხმა მიწის პირა სართულის ოთახიდან და რამოდენიმე წამში მამიდაც გამოვიდა ეზოში.

—შენ ხარ შვილო? მობრძანდით ეზოდან რატომ იძახი, უცხო ხარ? შემოდით, შემოდით. —თქვა მამიდამ და ოთახში შეუძღვა, საიდანაც გამოვიდა. —დასხედით... ეხლავე გაგიშლით სუფრას.

—არა, მამიდ... არაფერი გვინდა, ცოტა ხნით შემოვიარეთ. ამ დროს ოთახში ნათიაც შემოვიდა, რომელსაც ჩვეულებრივ მომღიმარი სახის ნაცვლად დარდიანი სახე ჰქონდა. ბიჭებს მიესალმა და ისევ მალე გავიდა, რომ ნოდარმა მოკითხვაც ვერ მოასწრო. ნოდარმა იფიქრა, ალბათ უცხო ბიჭი რომ მოვიყვანე, იუცხოვა და ამიტომ მოიქცა ასეო.

—როგორ ხართ?

—რა ვიცი. არაგვიშავს. —უპასუხა მამიდამ. რომელსაც რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდა.

—ნათია როგორ არის, ხომ არ გაბრაზებს? —ჰკითხა ნოდარმა ჩვეული ღიმილით და გარკვეულად იუმორით, დარწმუნებული იმაში, რომ მამიდა ნათიას მიმართ ისევ სამადლობელ სიტყვებს იტყოდა.

—ეჰ, რა ვიცი შვილო...

ნოდარმა ესეთი პასუხის გაგონებაზე სერიოზული სახე მიიღო.

—რას ჰქვია რა ვიცი? შენ რაღაც ხასიათზე ვერ ხარ.

—რაღაც სათქმელი მაქვს შენთან და მერე ვილაპარაკოთ..

—რატომ მერე? ეხლა მითხარი. ეს ჩემი მეზობელი გიაა. ვერ იცანი? ხომ იცი, ჩვენ მეგობრები ვართ და ერთიმეორესთან საიდუმლო არა გვაქვს.

—კი ვიცანი, მაგრამ მაინც... —თქვა მამიდამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ ვერ იცნო.

—არა, თქვი. დასამალი მასთან არაფერი მაქვს.

მამიდა ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, მერე კი თითქოს აიძულესო, ნაძალადევად თქვა: —ნათია ფეხმძიმედ არის.

—მართლა?! —წამოიძახა ნოდარმა და ფეხზე წამოიჯრა გახარებული. —ესეიგი, მამა გავხდები?

მამიდა ცოტა ხანს განცვიფრებული უცქერდა გახარებულ ძმიშვილს, შემდეგ ჰკითხა: —ესეიგი, შენგან ელოდება ბავშვს?

—რას ამბობ მამიდა. მაგ გოგოს ჩემს მეტი არავინ მიჰკარებია და აბა ციდან სულიწმინდა ხომ არ ჩამოვიდოდა მის დასაფემძიმებლად.

მამიდამ რამდენიმე წამს კიდევ უცქირა ძმიშვილს განცვიფრებულმა, მერე კი გაიღიმა და უთხრა: —მერე აქამდე ვერ მითხარი შე საძაგელო, რატომ გვანერვიულებ ორივეს? მეც არ გამიკვირდა, ანგელოზივით გოგო, ჭკვიანი, წასიერი, წყნარი... მერე და თუ ასეა რაღას უყურებ, რატომ ცოლადა რ შეირთავ? ამაზე უკეთეს გოგოს სადღა ნახავ? ნამდვილად კარგი გოგოა.

—ჰო მამიდ, შენ გენაცვალე. სწორედ ამისთვის ჩამოვედი ეხლა, რომ ეს გაცნობოთ. აქ კი ასეთი სასიხარულო ამბავი დამახვედრე.

—დავუძახო? საწყალს გაუხარდება. ორი კვირაა წესიერად საჭმელსაც არ ჭამს.

—არა, ჯერ არ უთხრა. მე მაგისთვის მსგავსი რამ არასდროს მითქვამს. ამიტომ ასეთ რამეს გულშიც არ გაივლებს. მე მინდა სიურპრიზი მოვუწყო. რაკი ასეა სახლში ოთახებს ცოტა გავალამაზებ და ერთ კვირაში ჩამოვალ წასაყვანად. შენ მანამადე არაფერი უთხრა და კარგად მოუარე.

—კი, შვილო, რას ამბობ. ჩემს ძმის შვილიშვილს თუ ატარებს მუცლით, ისე მოვუელი ცივ ნიავს არ მიუკარებ.

—ეხლა წადი მამიდ და დაუძახე. რაღაც მაქვს სალაპარაკო და ცოტა ხანს შენ არ შემოხვიდე. მარტოს მინდა ველაპარაკო.

—ეხლავე შვილო. —თქვა „ბებიამ“ და წაცუხცუხდა.

—აი, თურმე რატომ შემხვდა ცივად. ვინ იცის რა ეგონა მამიდას და რა უთხრა. კიდევ კარგი სახლიდან არ გააგდო. —თქვა ნოდარმა. —რას წარმოვიდგენდი თუ დაფეხმძიმდებოდა.

ოთახში ნათია შემოვიდა და კართანვე გაჩერდა.

—შემოდი გოგო, კართან რას დამდგარხარ, გასაქცევად ემარჯვები?

ნათიამ ორი მოკლე ნაბიჯი გადადგა და ისევ გაჩერდა.

—გაიცანი ეს ჩემი მეზობელი და მეგობარია. წელან ისე ჩქარა გაიქეცი, გაცნობა ვერ მოვასწარი.

გია წამოდგა, თავისი სახელი წარმოსთქვა და ხელი გაუწოდა. ნათიამაც გაუწოდა ხელი, მხოლოდ ცივად.

გია სკამ'ზე აღარ დამჯდარა. —მე გარეთ გავალ, ეზოში.

—იყავი, ჩვენ საიდუმლო არაფერი გვაქვს.

—არა, მაგიტომ კი არა. კარგი კარალიოკი დავინახე ეზოში და ერთი ორს შევჭამ.

—კარგი, შენი ნებაა.

გია გავიდა ეზოში.

—მოდი. დაჯექი სკამზე. —უთხრა ნოდარმა ნათიას ისიც მაშინვე მივიდა სკამთან და დაჯდა.

—რაღაც ძველებურად მხიარულად აღარ შემხედი. რატომ? გაწყენინე რამე?

—არა. —უპასუხა ნათიამ ჩაღუნული თავით.

—აბა რა მოხდა? მამიდამ გაწყენინა?

—არა, არც მამიდამ. —ისევ ლუღლუღით და თავ აუწველად უპასუხა ნათიამ.

—აბა რატომ ხარ დადარდიანებული? ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება და შეიძლება უკეთესადაც, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. თავი აწიე და გაიღიმე. სანერვიულო არაფერი გაქვს. ხომ იცი მამიდაჩემს უყვარხარ და თუ ცოტა გაწყენინა რამეზე, გაუვლის. მალე აქედან წაგიყვან და უკეთესად იქნები.

ამ სიტყვებზე ნათია დაეჭვდა, ის ბიჭი, რომ მოიყვანა რამეს ხომ არ მიპირებსო და უთხრა: —თუ მამიდა თანახმაა, მე აქ მირჩევნია. აქ უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

—თუ ასეა, მაშინ ასეთი სევდიანი სახე ნუ გაქვს. შემომხედე და გამიღიმე.

ნათიამ თავი ასწია, მაგრამ ნოდარს კი არ შეხედა გვერდით გაიხედა და ოდნავ ნაძალადევად გაიღიმა.

—აი ეხლა ცოტა არაუშავს. ეხლა მინდა მიმასწავლო თქვენი სახლი. შენი დედინაცვალი მინდა ვნახო. ამდენი თვეა სახლიდან წამოხვედი და შენზე არაფერი იცის. იქნებ ცოცხალი აღარ ჰგონიხარ და ასე ხომ არ შეიძლება? თანაც, შენ როგორც თქვი, უკანასკნელ დღემდე კარგად გექცეოდა. ვნახავ და ვეტყვი, რომ კარგად ხარ. მე მგონი წინააღმდეგი არ იქნები. თუ არ გინდა არ ვნახავ.

—არა, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, მაგრამ...

—რაღა მაგრამ?

ეხლა კი ასწია ნათიამ თავი და ცრემლმორეული თვალებით უთხრა ნოდარს: —ძალიან გთხოვ იქ ნუ დამაბრუნებ. მეშინია. იმ კაცს იმდენი ჰყავს მოკლული. იქნებ უთხრა მამიდას, რომ მე გარყვნილი გოგო არ ვარ და არ გამაგდოს. მე მამიდაშენი მიყვარს. კარგი ქალია და კარგად მოვექცევი. მაგისთვისაც ხომ უკეთესია, რომ მე მასთან ვიცხოვრო თუ გაიგებს, რომ...

ნოდარი წამოდგა, მივიდა ნათიასთან და მოეფერა.

—რა გატირებს გოგო. ნუ გეშინია... ყველაფერი კარგად იქნება. მე არც მიფიქრია დედინაცვალთან შენი დაბრუნება, რატომ არ მენდობი? ნუთუ ასეთად გამიცანი? მამიდაჩემსაც უყვარხარ და შენი წასვლა არ უნდა, მაგრამ რასაც მე ვაპირებ ყველასთვის უკეთესია, პირველ რიგში შენთვის. მაცალე ცოტახანს და ნახავ.

ესეიგი, გათხოვებას მიპირებს. —გაიფიქრა ნათიამ. ან იქნებ ბინა და სამსახური უნდა რომ მიშოვოს, როგორც თავდაპირველად შემპირდა? ყოველ შემთხვევაში უკან დაბრუნებას მაინც მირჩევია რომელიც უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული და სხვა რა გზა მაქვს რომ არ დავთანხმდე. მამიდასთან ცხოვრება კი მირჩევია თუ ისევ ძველებურად ვიცხოვრებდით, მაგრამ მე რა უფლება მაქვს ვთხოვო. თუ მას არ უნდა. —ნოდარი კი მის დამშვიდებას განაგრძობდა.

—დამიჯერე. შენი დედინაცვალი, მინდა მხოლოდ ვნახო და ვუთხრა, რომ ცოცხალი ხარ. ხომ უნდა იცოდეს? ბოლოს და ბოლოს შენ ერთადერთი მემკვიდრე ხარ შენი მშობლების ქონებისა. თუ წინააღმდეგი ხარ იქაც არ წავალ.

—კარგი, გასწავლი... თქვა ნათიამ დამშვიდების შემდეგ. —მე იქ ცხოვრება არ მინდა, მეშინია იმ ხალხის, თორემ ჩემი დედინაცვალი აქაც რომ მოვიდეს და ვნახო, კიდეც გამიხარდება. მე ის ნამდვილ დედასავით მიმაჩნდა, ისიც კარგად მექცეოდა და უკმაყოფილო არასდროს ვყოფილვარ. მენატრება კიდეც, მაგრამ იქ წასვლაზე როგორ ვიფიქრებ.

ნათიამ დაწვრილებით აუხსნა, ქალაქში რომ შევიდოდა საით წასულიყო, როგორ ეპოვა ის ქუჩა რომელ'სეც მისი სახლი იყო, როგორ გამოიყურებოდა სახლი და ქუჩის მხარეს ღობე —კარი. ნოდარმაც ჩაიწერა ყველაფერი. ცოტა ხანს ელაპარაკა დამამშვიდებელი სიტყვებით, კიდე მოეფერა და გამოემშვიდობა.

—წავალ ეხლა მე, ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და იცოდე აღარ ინერვიულო. სანერვიულო არაფერი გაქვს, ყველაფერი კარგად არის და კარგადაც იქნება მომავალში. დამიჯერე, უფრო უკეთესად იქნება, ვიდრე შენ წარმოიდგენ. ერთ კვირაში მოგაკითხავ. თუ ცოტა გადავაცილე ამაზე არ ინერვიულო, შეიძლება რაიმემ ხელი შემიშალოს და ერთი-ორი დღე გადავაცილო.

ნოდარი ეზოში გამოვიდა გიას ანიშნა წავედითო.

—აბა შენ იცი, მამიდ, —მიუბრუნდა ეზოში მყოფ მამიდას. —გაუფრთხილდი ამ გოგოს.

—ხო, შვილო, თვალის ჩინივით გავუფრთხილდები.

ბიჭები ქუჩაში გავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

—დღესვე ვიყიდი საღებავებს და ხვალ დილიდან დავიწყებ შეღებვას. —თქვა ნოდარმა.

—ხო. იქ ვერაფერი ვთქვი და... გილოცავ, ბავშვს რომ ელოდები.

—მადლობ. ეს რომ გავიგე, ძალიან გამიხარდა, ის კი პირიქით შეშინებულია. იმის მაგივრად, რომ უხაროდეს, ნერვიულობს. არ იცის რა ბედი ეწევა, ან მას ან მის ბავშვს და ნერვიულობს. ამიტომ სასწრაფოდ შეეკეთებ სახლს და წავალ მაგის დედინაცვალთან.

—დედინაცვალიც ჰყავს?

—ჰო. არ მითქვამს? დედა ნაადრევად მოუკვდა და რამდენიმე წლის შემდეგ მამამ მეორე ცოლი მოიყვანა, მერე კი მამაც მოუკვდა.

—ამიტომ არის უპატრონოდ? დედინაცვალმა გამოაგდო?

—არა. ვიღაც კაცი გადაეკიდა... აი გიორგევიჩი რომ არის იმაზე გაცილებით უარესი... დიდი ძალაუფლების პატრონი და იმას გამოექცა. დედინაცვალმა კი ვერაფერი მოახერხა მის დასაცავად. ამბობს დედინაცვალი კარგი ქალია და ძალიან ვუყვარვარო.

—ასე რომ ნერვიულობს, გეთქვა შენც, რომ გიყვარს და ცოლად ირთავ. დამშვიდდება და აღარ ინერვიულებს.

—შენ გგონია დამიჯერებს? მაინც არ დამიჯერებს. ჩათვლის რომ ვატყუებ, ტყუილად ეპირდები და შეიძლება უფრო მეტად ინერვიულოს.

ისე აქვს თავის მომავალზე რწმენა დაკარგული, რომ ასეთ რამეს არ დაიჯერებს. მერე კი, როცა წამოვიყვან ისეთი სიხარული აღარ იქნება, როგორც მოულოდნელად წამოყვანისას.

—ხოო... შეიძლება მართალი ხარ. შენ უკეთესად იცი... შეღებვაზე ყველა მოგეხმარებით, ვინც პურის საცხობში არ იქნება დაკავებული. სხვა რა საქმე აქვთ.?

—თუ მომეხმარებით კარგია, მაგრამ მთვარი პურის საცხობია. ყურადღება არ მოვაკლოთ და ხარისხი არ გავაფუჭოთ. ეხლა დასაწყისშივე თუ სახელი გაეიტეხეთ, მყიდველს დაეყრთხიბთ და მერე ველარ დავიბრუნებთ.

—ეგ მართალია, მაგრამ იქვე ვართ, ჩვენც დროდადრო გავხედავთ.

ბიჭებმა მართლაც ხუთ დღეში შეღებეს და შეაკეთეს ოთახები და ეზო რამდენადაც შეეძლოთ. დამთავრების შემდეგ, თავის ნაშრომს რომ შეხედეს, მოეწონათ.

—ეხლა დიასახლისიღა აკლია ამ სახლს. —თქვა ნუგზარმა. —მოიყვანე ეხლა ერთი კარგი გოგო, მერე ბავშვებიც გეყოლებათ და გამოცოცხლდება ეს გალამაზებული ოთახები. —ნუგზარმა აქამდე რამოდენიმეჯერ იკითხა ცოლი ხომ არ მოჰყავსო, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი რომ ვერ მიიღო, ეხლა შეეცადა ნოდარისთვის წამოეცდევინებინა რაიმე. ნოდარიც მიუხვდა ჩანაფიქრს და თქვა:

—ეგეც მალე იქნება. ამაზე ნუ წუხარ. ახალ წელს მარტო არ შევხვდები.

—ახალ წლამდე ორი კვირაც აღარ დარჩა. —შეახსენა ნუგზარმა.

—ვიცი, მერე რა?

—ეგ, რომელ ახალწლამდე ამბობს, ხომ არ უთქვამს. —ჩაერია საუბარში გია.

—ჰოო. მაგრე კი ვიცი... რომელიმე ახალწლამდე მოიყვანს ცოლს, აბა რას იზამს.

—მე არ ვხუმრობ. ამ ახალ წლამდე მოვიყვან...

—ესეიგი, უკვე ამორჩეული გყავს? —ჰკითხა ისევ ნუგზარმა.

—სურათიც ხომ არ გაჩვენო?

—ხო, კარგი, მჯერა.

საცხობიდან დათომ შემოიარა.

—მორჩით ბიჭებო? —თქვა დათომ.

—კი, მოერჩით. —უპასუხა ნოდარმა.

—ეხლა, ამ სახლს პატარძალი აკლია. —თქვა დათომ, რომელმაც უკვე იცოდა, რომ მალე მოიყვანდა ნათიას.

—ეხლა, შენი თქმაღა აკლია... მეც გავაბრაზე მაგის გამო და... —თქვა ნუგზარმა.

ნოდარმა არაფერი უპასუხა.

შემდეგი დღე ნოდარმა მთელი დღე კარ—ფანჯრები ღია დატოვა, რომ საღებავების სუნი გასულიყო სტუმრების მოყვანამდე.

თვითონ მთელი დღე ეზოში საქმიანობდა. მეორე დოლით კი ადრიანად წავიდა ნათიას დედინაცვალთან. წინა საღამოს გია და

დათო გააფრთხილა, თუ ნათიას დედინაცვალი ან მისი რომელიმე მეგობარი გამოჩეკებოდა, ქეთინო ან მაია ან ორივე ერთად სახლში მოსულიყვნენ ნოდარისთან, რომ სტუმრები მარტო არ დაეტოვებინა, ვიდრე ნათიას მოიყვანდა. გია და დათოც რა თქმა უნდა დათანხმდნენ.

ნოდარი ნათიას მშობლიური ქალაქისაკენ წავიდა და თან ფიქრობდა: ნეტავი როგორი ქალია ნათიას დედინაცვალი, როგორ შემხვდება? ნათიამ კი თქვა კარგი ქალიაო, მაგრამ რა ვიცი... ნათიას კეთილი გული აქვს და ყველა კარგი ადამიანი ჰგონია. კარგი რომ ყოფილიყო ხომ არ გაყიდდა ნათიას. მერე რაა თუ გაჭირვებულები იყვნენ, ეს გასამართლებელი მიზეზი არ არის. ვინ იცის იქნებ საერთოდ ვერ იტანს ნათიას, სძულს და იმიტომ გაყიდა? იქნებ არც უნდა მიედიოდეს... იქნებ იმიტომ არ უნდა ნათიას აქ დაბრუნება, რომ სძულს დედინაცვალს? იქნებ ის „კაცი" საერთოდ არც არსებობს და მოიგონა?... იქნებ ასეა, იქნებ ისე,... რას ვმარხიელობ? ცოტაც მოვითმინო და გავარკვევ ყველაფერს. სულ რაღაც ერთ საათში იქ ვიქნები. იქნებ მისამართიც არ მომცა სწორი?... იქნებ იმ ქალაქიდან არც არის საერთოდ და იქ არც არაფინ იცნობს?... არა, არა ნათია როგორ მომატყუებდა, ის ხომ ასეთი არ არის?... ეს რა ეჭვიანობა მეტაკა? ნათია ჭკვიანი და სინდისიერი გოგოა. ის ტყუილს არასოდეს იკადრებს. ნათია.. ნათია... ჩემი საყვარელი ნათია... ხომ ლამაზია ჩემი ნათია, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს აბა რა აქვს ლამაზი, როგორია აღმიწერეო, ვერაფერს ვიტყვი. რა ვიცი, როგორ უნდა ავღწერო. ლამაზია და მორჩა. შეიძლება სხვისთვის არ იყოს ლამაზი, მაგრამ ჩემთვის ლამაზია, თუნდაც იმიტომ, რომ მიყვარს. აკი ნათქვამიცაა "ვისაც ვინ უყვარს იმის ლამაზი ის არისო". მიყვარს და ჩემი ლამაზიც ის არის და თუ ვინმეს არ მოეწონება ეს სულ არ მადარდებს. თუმცა, პირველად როცა ენახე, მაშინ ხომ არ მიყვარდა და საერთოდ არ მაინტერესებდა, მაგრამ მაშინაც ავღნიშნე, რომ ლამაზი გოგო იყო. დიახაც, ძალიან ლამაზია ჩემი ნათია, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მე მისმა სილამაზემ არ მომხიბლა. მე მისმა შინაგანმა ბუნებამ, მისმა სულის სილამაზემ მომხიბლა. სწორედ ამიტომაც თავდაპირველად ვერ ვიგრძენი, რომ მიყვარდებოდა. გარეგნული სილამაზე, დანახვისთანავე თვალში საცემია და სწრაფად ხიბლავს ადამიანს, სულიერი სილამაზე კი თვალში არ ჩანს, გვიან შეიგრძნობა და გვიან აცნობიერებ. მე, მანანასადმი სიყვარულის გამოცდილების შემდეგ, აღარც მაინტერესებდა ქალი და მისდამი სიყვარული. არ ვეძებდი სიყვარულის და ამიტომ ნათიას გარეგნულმა სილამაზემ არ მომხიბლა ისე, რომ ინტერესი გამჩენოდა. მაგრამ, როცა სათვალეზოდ რამოდენიმე დღე ერთად ვიყავით და მისი ბუნებრივი შინაგანი სილამაზე შევიგრძენი, ამან მოსვენება დამაკარგინა. როგორც კი დაეცილდი, მაშინვე მომენატრა და განვიცდიდი მის არყოფნას ჩემს გვერდით. თუმცა ესეც გვიან გავაცნობიერე, მაგრამ ეს ხომ ასე იყო.

ასეა თუ ისე, მე ნათია მიყვარს, ნათიასაც ვუყვარვარ და მთავარიც ეს არის. დღეს მოვიყვან სახლში და მორჩა. ამის შემდეგ სულ ჩემს სახლში, ჩემს გვერდით მეყოლება და ეიცხოვრებთ ერთად, ერთ ოჯახად.

მთელი გზა ნოდარმა ნათიაზე ფიქრში გაატარა და როცა მიუახლოვდა ქალაქს, მხოლოდ მაშინ გადართო აზროვნება იმაზე, თუ საით წასულიყო.

ამ დროს ნათიამ კი, ეს, ეს არის დაამთავრა საუზმისათვის სუფრის გაშლა, იჯდა და ელოდა ნოდარის მამიდას, რომ ერთად ესაუზმათ. მას შემდეგ რაც ნოდარი იყო მათთან, მამიდა სულ შეიცვალა. კამფეტებს და ნამცხვრებს არ აკლებს ნათიას და საერთოდაც სულ თავს ევლებოდა. ეხლაც, ალბათ ნამცხვრის საყიდლად არის გასული ქუჩაში.

ნათია კი იჯდა, ელოდა და ფიქრობდა: ნეტავი რა უთხრა ნოდარმა ისეთი, რომ თავს მევლება მას შემდეგ? მართალია ცუდად არც ადრე მექცეოდა, მაგრამ ეხლა მაინც განსაკუთრებულად მევლება თავს. იმიტომ ხომ არა, რომ არ უნდა წასვლის წინ ცუდი შთაბეჭდილებით დავცილდე? ან იქნებ იმიტომ რომ უთხრა ნოდარმა და გაიგო ფეხმძიმედ ვისგანაც ვარ? მაგრამ თუ ეს გაიგო და ამას უარყოფითად არ შეხვდნენ, ე.ი. ბავშვი უნდათ, რომ ვიყოლიო... იქნებ ცოლად შერთვას მიპირებს? არა, არა, ეს რა მომივიდა თავში. ჩემისთანა მაწანწალა უპატრონო ვის რად უნდა? თანაც ასეთ ბიჭს... მე მაწანწალა არ ვარ, მაგრამ ნოდარმა ხომ ასე გამიცნო. ალბათ კეთილი ბიჭი რომ არის, თავისი კეთილი ბუნებით უნდა, რომ აქედან წაყვანის შემდეგ ქუჩაში არ დავრჩე და სამსახური ან ბინა მაინც მიშოვოს. თუ ასეა, ჩემი დედინაცვლის ნახვა რატომღა უნდა? ხომ თქვა დედინაცვალთან არ დაგაბრუნებო. ნუთუ მატყუებს და სინამდვილეში უნდა დამაბრუნოს?... არა.. ნოდარი არ მომატყუებს. ის კარგი ბიჭია. ყოველშემთხვევაში ასეთ ტყუილს არ მეტყვის. ალბათ სამუშაოს ეძებს ჩემთვის. მიშოვის, მოვა და წამიყვანს. ესეც ხომ კეთილი საქმეა, კეთილი მოქმედებაა მისგან ჩემს მიმართ. მას ხომ შეეძლო უბრალოდ გავეგდე და მივეტოვებინე, მაგრამ მან არ გამაგდო, აქ მომიყვანა და აი ოთხი თვე ხდება მშვიდად ვცხოვრობ. მე თუ დავფეხმძიმდი ნოდარისი რა ბრალია? მას ხომ მეძავი ვეგონე და იმიტომ მოხდა ის... ანდა საერთოდ რეებს ვფიქრობ, რატომ გავხდი პრეტენზიული? დღესვე რომ გამაგდონ ქუჩაში, მე ხომ მაინც მადლობელს უნდა ვიყო, აქამდის მაინც რომ მშვიდად, უზრუნველად და ბედნიერად მაცხოვრეს? მამის სიკვდილის შემდეგ ასეთი სითბო არავისგან მიგრძვნია. ამიტომ უსიტყვოდ უნდა გავყვე სადაც წამიყვანს. უარეს ადგილზე ვერ წამიყვანს, რომც მოინდომოს, ვიდრე მე მომელოდა უმაგისოდ.

ამ დროს ოთახში ნოდარის მამიდა შემოვიდა. ნათია ფეხზე წამოდგა.

—იჯექი, იჯექი, შვილო, რატომ წამოდექი? მე თვითონ ჩავაწყობ. —თქვა მამიდამ და მაგიდაზე დააწყო ნაყიდი თაფლკვერები და კამფეტები.

—რატომ წვალობ მამიდა, ჯერ ხომ კიდე გვაქვს, ამდენი რად გვინდა? იყოს ახალი შვილო, რა ვიცი იქნებ გუშინდელი აღარ ვარგა. შენ არაფერს ამბობ რა გინდა და სხვა რა მომეტანა?

ნოდარმა ნათიას მინიშნებიდან ვერ გაარკვია საით წასულიყო და კითხვა—კითხვით ძლივს იპოვა ქუჩა, რომელზეც დედინაცვალი ცხოვრობდა. ქუჩის პოვნის შემდეგ სახლის მიგნება უკვე აღარ

გასჭირვებია და მიადგა სახლის ეზო –კარს. სახლი საშუალო ზომაზე ცოტა დიდი იქნებოდა, ორ სართულიანი მოზრდილი აივნით და გარედანაც შელესილი. ღობე როგორც ნათიამ უთხრა, ნახევარს ქვემოთ ბეტონის იყო, ზემოთ კი რკინის ბადე ჰქონდა. ღობის შუაში კი გავრცელებული ფორმის რკინის ორი დიდი კარი, რომელთაგან ერთში პატარა კარი იყო ჩამონტაჟებული ფეხით მოსიარულელთათვის. ეზოს შუაში სახლის კიბემდე, გზა იყო, რომელსაც ორივე მხარეს ვარდები და სხვა ყვავილები ამშვენებდა. ვარდების უკან კი ორივე მხარეს ხეხილი იდგა. გზას ეტყობოდა, რომ ერთ დროს ბეტონით ყოფილა მოპირკეთებული, ეხლა კი მხოლოდ ნარჩენებიღა იყო.

ნოდარმა კარი შეაღო და დაიძახა. სახლიდან 40-45 წლის ქალი გამოვიდა.

–ბატონო! –გააგონა ქალმა და ქუჩის კარისკენ წამოვიდა.

–თქვენ ბრძანდებით მედიკო? –ჰკითხა ნოდარმა.

–დიახ, რაშია საქმე? –იკითხა მოახლოვებულმა ქალმა.

– მე ნათიასგან ვარ.

ქალი წამით შეკრთა, თითქოს ვერ გაერკვია რას ეუბნებოდნენ, შემდეგ კი წამოიძახა: –უი, ნათიასგან? –სად არის, როგორ არის?

ქალს აშკარად ეტყობოდა, რომ გაუხარდა, თუმცა თითქოს რაღაც შიშიც იგრძნობოდა ამ სიხარულში.

–მობრძანდით შიგნით... როგორ არის?... შემობრძანდით, შემობრძანდით. სახლში ვილაპარაკოთ.

ნოდარიც დაჰყვა მის თხოვნას და ეზოში შევიდა. სახლში შესელა კი 'ხედმეტად მიინნია და სთხოვა ეზოში, სახლის წინ ესაუბრათ.

–ნათია ჩემთან არის და კარგადაა. –უპასუხა განმეორებით შეკითხვაზე ნოდარმა.

–თქვენთან? ხომ არაფერი უჭირს? როგორ ენერვიულობდი... ისე უცებ გაქრა... არც არაფერი წაუღია... არც არაფერი უთქვამს... რატომ არ მითხრა შეყვარებული თუ ჰყავდა, განა მე დავუშლიდი? ეთქვა ჩემთვის და.. არ ვინერვიულებდი მაინც... ხან რას ვფიქრობდი, ხან რას. კი ვიფიქრე ალბათ შეყვარებული ჰყავდა და მასთან წავიდა–მეთქი, მაგრამ რა ვიცი... დაზუსტებით რომ არ იცის კაცმა...

რაკი მედიკოს ეგონა, რომ ისინი დიდი ხნის შეყვარებულები იყვნენ და ნათია მასთან გაიქცა, ნოდარმა ჩათვალა, რომ ასე უკეთესიც იყო.

–სხვა რა მიზეზით?

–ნათიამ თქვენი საუბარი მოისმინა იმ კაცთან, სახელი აღარ მახსოვს, თანაც საღამოს დაელოდა, არ სჯეროდა, რომ ეს მართლა მოხდებოდა და როცა ის კაცი მოვიდა, მხოლოდ მაშინ გადახტა ფანჯრიდან.

მედიკო ჩაფიქრდა. მერე უცებ ტირილით დაიწყო ლაპარაკი: –აბა რა მექნა? სხვა გზა მქონდა, რომ ასე არ მოექცეულიყავი? ის ისეთი საშინელი კაცი იყო, თავისას მაინც აისრულებდა და შეიძლება მერე მოეკლა კიდეც. იმ კაცზე იმდენ რამეს ამბობენ... საშიში კაცი იყო და მეც შემეშინდა... მე ხომ მისიანე გადასარჩენად დავთანხმდი, თორემ ფული კი არ მინდოდა. თუ შეყვარებული ჰყავდა, რატომ არ მითხრა? მაშინ ხომ ყველაფერი უკეთესად მოგვარდებოდა? ეხლა ალბათ ჩემი

დანახვაც არ უნდა... აბა რა იქნება? ასეთი ლაპარაკი თუ მოისმინა, შემიძულებს აბა რას იზამს... მართლიც იქნება.. მე ხომ მისთვის არაფერი ამიხსნია... საღამომდე მეც კიდევ იმედი მქონდა, იქნებ აღარ მოვიდეს–მეთქი, მაგრამ მოვიდა. ნათიას ოთახში არ ვუშვებდი, ყვირილი დავიწყე, მაგრამ ხელი მკრა, გვერდით მიმაგდო და შევიდა. მერე კი, იქ რომ არ დაუხვდა, მცემა და დამემუქრა თუ არ მომიყვან მოგკლავო. მას შემდეგ კიდევ სამჯერ მოვიდა და მცემა. მინდოდა ნათია ნათესავებში მომენახა, სადმე ნათესავთან წავიდოდა–მეთქი, მაგრამ მეშინოდა ისიც გაიგებდა და დაიჭერდა. ერთი კვირის წინ კი კვლავ მინდოდა მომენახა, მაგრამ გზის ფული აღარ მქონდა და ვერსად წავედი.

–დაწყნარდით, ნუ ნერვიულობთ, ნუ ტირით. ნათიას არ სძულხართ, პირიქით, ენატრებით და თქვენი ნახვა უნდა. აქაც წამოვიყვანდი, მაგრამ აქ მოსვლის ეშინია. ისიც ამბობს რომ ძალიან საშიში კაცია და გაიძულეს.

–ეხლა რაღა საშიშია, ცოცხალი აღარ არის. თქვა ცოტა დამშვიდებულმა მედიკომ.

–რა მოუვიდა?

–ორი კვირის წინ, თბილისში მოკლეს... რესტორანში. ნეტავი ადრე ჩაეძაღლებინათ... იმდენი ცოდვა აწვა, ახი იყო მაგაზე... ამბობენ ბევრი ქალი ჰყავს გაუბედურებული და მოკლულიცო.

–ამისთანა რა კაცი იყო, ხალხში არ გაიხარდა?

–ჩემი ბრალიც არის... განა მე მაროალი ვარ... ასეთი ლამაზი და ტანადი ბავშვი არ უნდა დამენახვებინა მისთვის, მაგრამ მოულოდნელად მოიყვანეს და მეც ვერ მოვისასრე.

–არა უშავს. რაც იყო, იყო. ყველაფერი ხომ წარსულს ჩაბარდა.

–მართლა არ ეძულვარ?

–არა... დამიჯერეთ.. კიდეც ენატრებით.

–მე ძალიან მიყვარს ნათია. მის მეტი ვინ მყავს? ჩემი გაზრდილია, 7-8 წლის ბავშვი იყო.რომ მომიყვანეს და... როგორ არ მეყვარება. კარგი ბავშვია, ჭკვიანი, დამჯერი, კეთილი... როგორ შეიძლებოდა ასეთი ბავშვი არ მყვარებოდა, თანაც ჩვენ ხომ მარტო ორნი ვცხოვრობდით. ბოლო წლები, მაგის მეტი მე ვინ მყავდა?...

–თუ ასეა, მაშინ ეთხოვთ წამობრძანდეთ და ინახულოთ. მე თქვენს წასაყვანად მოვედი.. და მინდა კიდე, მისი მეგობარი ენახო, აქვე ახლოს რომ ცხოვრობს, იქნებ ისიც წამოვიდეს.

–ნაზი? კი წამოვა, როგორ არა. კარგი მეგობრები იყვნენ ეგ და შორენა. სულ ერთად იყვნენ. ალბათ გითხარა, წასვლის წინ ნაზისთან ყოფილა და უთქვამს ნათესავთან მივდიეარო.

–შორენას შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ თუ წამოვა კარგი იქნება.

–კი მე მგონი შორენაც წამოვა. ყოველ შეხვედრაზე მეკითხებიან, ხომ არ გამოჩნდაო. ძალიან ღელავდნენ და ეხლა ამ ამბავს რომ გაიგებენ ძალიან გაუხარდებათ. –თქვა მედიკომ, და თან წამოდგა. –ისე წავიდა არაფერი წაუღია და ტანსაცმელს მაინც წამოუღებ.

–კი, შეგვიძლია წავიღოთ.

მედიკო სახლში შევიდა, 10 წუთის შემდეგ ერთი ჩანთა გამოიტანა და იქვე დადო, შემდეგ კიბეზე ავიდა და მეორე სართულის შესასვლელში გაუჩინარდა.

ნახევარ საათს მაინც ელოდა ნოდარი მედიკოს და ბოლოს გამოჩნდა ორი დიდი ჩანთით ხელში, რომელსაც ძლივს მოათრევდა.

—ეს რამდენი ტანსაცმელი ჰქონია? —თქვა ნოდარმა და კიბეზე აირბინა მისახმარებლად.

—არა, მარტო ტანსაცმელი არ არის. სხვა ნივთებიც არის, დასჭირდება. ნოდარს აღარაფერი უთქვამს. სამივე ჩანთა გაიტანეს ქუჩაში, საბარგულში ჩააწყეს და მანქანით რამოდენიმე სახლით გადაინაცვლეს.

მედიკო ავტომანქანიდან გადმოვიდა და ნაზის შესძახა. ნაზიც მალე გამოვიდა.

—რა არის, მედიკო დეიდა?

—ჩვენი ნათია ვიპოვეთ. —უპასუხა შეკითხვაზე მედიკომ.

—მართლა?... სად არის?... აქ არის?... —სახე გაუბრწყინდა ნაზის ამის გაგონებაზე.

—ბურმე შეყვარებული ჰყოლია და მასთან წასულა.

—ეაიმე, რას ამბობ, მართალია? —სიხარულის ემოცია ვერ დამალა ნაზიმაც და თან ირიბად ნოდარს მიხედა. —უყურე შენ, რა ეშმაკუნა ყოფილა... ჩვენ კი აქ .რამდენი ვინერვიულეთ. როგორ ერთხელაც. არ წამოსცდენია, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, სულ ერთად ვიყავით...

—ეხლა თავისთან გვეპატიჟება. წამოხვალ? —უთხრა მედიკომ და თან მიანიშნა ავტომანქანისკენ.

ნაზიმ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ნოდარი და თქვა:

—კი, წამოვალ, დღესვე ხომ დავბრუნდებით?

—რა ვიცი, როგორ დაგვხვდება. იქნებ არც გამოგვიშვას. კიდევ ერთი საოხოვარი მაქვს, იქნებ შორენას გადაურეკო და ისიც წამოვიდეს?

—კი დავურეკავ. თქვა ნაზიმ და კარს უკან გაუჩინარდა მედიკოსთან ერთად.

ერთი საათი ილოდა მარტომ ნოდარმა მანქანაში, შიგნითაც მიიპატიჟეს, მაგრამ ნოდარი არ შესულა. თვითონ კი გაიფიქრა, კიდე კარგი ადრე წამოვედი, თორემ ნამდვილად დაგვიანდებოდა, ეს რამდენ ხანს ემზადებიან, შორენაც თუ ამდენს მაცდევინებს, მაშინ რაღა იქნებაო. მაგრამ ერთ საათში კარგად გამოწყობილი გოგო მიუახლოვდა, რომელიც შორიდანვე ყურადღებით ათვალიერებდა ნოდარს. ახლო მისვლისას კი მიესალმა და ნაზისთან შევიდა სახლში. ნოდარი მიხვდა, რომ ეს შორენა იყო.

რამდენიმე წუთში სამივე გამოვიდა, ავტომანქანაში ჩასხდნენ და მანქანაც დაიძრა.

გია და დათო ნოდარს ქუჩაში გიას სახლის წინ ელოდნენ. ნოდარის დანახვისთანავე გია თავის სახლში შევიდა, დათო კი ნოდარისკენ წავიდა. ნოდარმა მანქანა ეზოში გააჩერა და გადმოსვლაც ვერ მოასწრო, რომ დათო მივიდა მათთან მალე. გიაც, ქეთინოსთან და მაიასთან ერთად ეზოში შევიდა.

სტუმრები მანქანიდან გადმოვიდნენ და ნათიას მოლოდინში აქეთ–იქით დაიწყეს ცქერა. გიამ კი რაღაც გადაუჩურჩულა ქეთინოს და მაიას, ალბათ უთხრა აქ ნათია არ არისო.

ნოდარმა ანიშნათ, ახლოს მოდითო და სტუმრები გააცნო.

–ნათია სად არის? –იკითხა ნაზიმ

–ნათია მამიდაჩემთანაა და ნახევარ საათში მოვიყვან. მანმადე კი, რომ არ მოიწყინოთ ჩემს მეგობრებთან ისაუბრეთ. –თქვა ნოდარმა. შემდეგ გია და დათოსთან მიეიდა და ისე რომ სტუმრებს არ დაენახათ ჯული გაუწოდათ.

–სულ ვერ მოვიფიქრე სადილისათვის რაიმე მეყიდა, იქნებ მოახერხოთ და რამე მოიტანოთ?

გიამ და დათომ, გაიცინა და თქვეს, ამა'ხე ნუ იდარდებ ჩვენ ყველაფერი მოვამზადეთო.

ნოდარმა სტუმრები სახლში შეიპატიჟა, საბარგულიდან ამოღებული ჩანთებიც შეიტანა და ნათიასთან წავიდა.

ნოდარმა ჩვეულებისამებრ მანქანა ეზოს კარებთან შეაჩერა და დაასიგნალა. ეზოში შესულს ნათია გამოეგება. თუმც არა ძველებური სიხარულით, მაგრამ მაინც იღიმებოდა ნათია.

–ზუსტად მეშვიდე დღეს მოხვედი. –უთხრა შემოსულ ნოდარს ნათიამ.

–აქამდე ვერ დამიჯერე, რომ სიტყვის კაცი ვარ? –უპასუხა ნოდარმა –როგორ ხარ? კიდე ხომ არ გაგაბრაზა მამიდაჩემმა?

–არა, პირიქით. ზედმეტად მანებივრებდა ეს კვირა.

–ხოო? ეს კარგია. ესეიგი, თქვენს ურთიერთ დამოკიდებულებაში დიდი პროგრესია. სად არის მამიდა?.

–სახლის უკან ეზოშია. დავუძახო?

–დაუძახე. მოვიდეს.

ნათია ჩქარი ნაბიჯით წავიდა სახლის უკანა ეზოში და რამოდენიმე წუთში მამიდასთან ერთად დაბრუნდა.

–მოხვედი შვილო. –თქვა გამოჩენისთანვე მამიდამ.

–ხო, მოვედი და უნდა წაგართვა ჩემი ნაჩუქარი გოგო.

–ნება შენია შვილო, წინ როგორ დაგიდგები?

–ნათი! წადი ჩააბარგე შენი ყველაფერი და წავიდეთ. ცოტა დროზე წავიდეთ. ბევრი საქმე გვაქვს. ყველაზე ლამა'ხი კაბა ჩაიცვი...

ნათიაც ჩქარი ნაბიჯით გაბრუნდა სახლისკენ და კიბე'ზე ავიდა.

–რა ქენი შვილო, ხომ კარგად არის ყველაფერი?

–კი მამიდ. ყველაფერი რიგზეა. –უპასუხა ნოდარმა. ნათიას კი ესმოდა მათი ლაპარაკი.

–შენც წამოდი მამიდ თუ გინდა. არ გაინტერესებს?

–კი მაინტერესებს, მაგრამ სახლს მარტო ხომ ვერ დავტოვებ?

–მერე რა მოხდა, რა არასოდეს დაგოტოვია?

–კი მაგრამ... ეხლა რა აუცილებელია... მერე გამოვიელი, რამოდენიმე დღის შემდეგ. უნათიოდ გამიჭირდება, ძალიან მივეჩვიე, მაგრამ რა ვქნა? ოღონდაც ეგ ბედნიერი იყოს და...

ნათიას დიდი დრო არ დაჭირვებია გასამზადებლად და რამოდენიმე წუთში ჩამოვიდა, ერთი პარკით ხელში და ნოდართან დადგა.

—წაეიდეთ? მორჩი გამზადებას?
—კი, რა მქონდა გასამზადებელი?
—მოდი, შვილო გაკოცო. —უთხრა მამიდამ ნათიას და მისკენ წამოსულ ნათიას გადაეხვია. —ბედნიერები იყავით შვილო. კარგი გოგო ხარ და კარგს იმსახურებ. ნათიამაც მადლობა უთხრა, რომ შვილიეით ექცეოდა. ქუჩაში გავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ნათიას ეუცნაურა მამიდის დალოცვა ბედნიერები იყავითო და ფიქრობდა: „რატომ მითხრა ასე? ესეიგი, მათხოვებს ნოდარი? გასაკვირი არცაა, ალბათ უნდა რომ მის შვილს პატრონი გამოუჩნდეს. მე რა თქმა უნდა წინააღმდეგობას ვერ გავუწევ, მაგრამ უცნაურია, რომ არც მკითხა და არც წინასწარ გამაცნო. თუმცა რა აზრი აქვს კითხვას, ხომ იცის, რომ წინააღმდეგობას არ გავუწევ და რასაც მეტყვის შევასრულებ. ჩემი ნება რომ იყოს, მე ხომ ნოდარის მეტი არავის დანახვაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა ასეთ ბედში ვარ. იმისიც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემზე ზრუნავს, თუნდაც რომ უკითხავად წყვეტს ჩემს ბედს. ნეტავ ნორმალური ბიჭი მაინც არის? თუმცა ნორმალური ჩემისთანა მდგომარეობის გოგოს, ფეხმძიმე გოგოს ვინ შეირთავს? ეჰ, რაც არის არის. სჯობს აღარ ვიფიქრო ამაზე“.

თითქოს მთელი გზა ისე გაიარეს, რომ არცერთს ხმა არ ამოუღია. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ კი ნოდარმა ჰკითხა;
—რატომ არ კითხულებ სად მიმყავხარ, არ გაინტერესებს?
—რომ დავინტერესდე, მაინც ვერაფერს შეეცვლი და რა აზრი აქვს?
—როგორ? რაღაცას მაინც არ ფიქრობ? მამიდამ რამე ხომ არ გითხრა?
—მამიდამ გამომშვიდობებისას მითხრა ბედნიერები იყავითო. ესეიგი მათხოვებ.
—მერე ვისზე, არ გაინტერესებს?
—რა აზრი აქვს? უარის თქმა შემიძლია?
—რატომაც არა? თუ არ გინდა თქვი და დამთავრდება. —რატომ გაქვს ასე ცხოვრებაზე რწმენა დაკარგული?
—მამიდამ არ გითხრა, რომ ფეხმძიმედ ვარ?
—კი მითხრა.
—ხოდა, ისედაც არსად მქონდა წასასვლელი გზა და ასეთ მდგომარეობაში, სად წავიდე უარი რომ ვთქვა? როგორიც იქნება, რასაც მეტყვი, შენს სიტყვას შევასრულებ.
—იქნებ გაქვს არჩევანი?
—არა.
—შენ, არანაირი სურვილი არა გაქვს?
—ჩემს სურვილზე ოცნებასაც ვერ ვბედავ.
—და მაინც იქნებ შეგისრულდეს სურვილი და ოცნება, აბა მითხარი რა სურვილი გაქვს?
—არა, ვერ ვიტყვი.
—რატომ?
—აზრი არა აქვს. მაინც ვერ ამისრულდება.
—იქნებ ცდები?

ნათიამ აღარაფრი უპასუხა. ავტომანქანა კი ნოდარის სახლს მიუახლოვდა და ნოდარსაც აღარაფერი უთქვამს.

გია და დათო კვლავ ქუჩაში დახვდნენ ნოდარს, მხოლოდ ამჯერად ნოდარის სახლის წინ. მის დანახვაზე ბიჭებმა სასწრაფოდ ეზოს კარები გახსნეს და ნოდარი გაუჩერებლად შევიდა ეზოში. ნათიამ გია იცნო და გაახსენდა, რომ თქვა ნოდარმა, მეზობელი და მეგობარიაო.

მანქანის ხმა რომ გაიგეს ნათიას მეგობრებმა, გადმოიხედეს და რომ დაინახეს, მოვიდნენ, მოვიდნენო ძახილით ძირს დაეშვნენ კიბეზე. ნათიას გიამ გაუღო მანქანის კარი და ნათიაც გადმოვიდა. მეგობრები რომ დაინახა, შეკრთა და დაბნეული უცქერდა მისკენ მომავალ დიდიხნის უნახავ მეგობრებს. –"ხეტავი აქ რა ხდება? ესენი აქ როგორ მოხვდნენ"? –გაიფიქრა დაბნეულმა ნათიამ.

–შე ეშმაკუნა, როგორი ჩუმჩუმელა ყოფილხარ, ერთხელაც არ წამოგცდა, რომ შეყვარებული გყავდა და მასთან მოდიოდი. –კიბიდანვე სამდურაევის ძახილით წამოვიდა მისკენ ნაზი. მის უკან კი ახლოვე, შორენაც მოჰყვებოდა. გოგონები მისცვივდნენ ნათიას გადაკოცნეს და თან მიულოცეს.

–გილოცავ გაბედნიერებას, ბედნიერები ყოფილიყავით სულ მარადჟამს. კარგი ქმარი გყავს. –თქვა ნაზიმ და თან ნოდარს მიხედა, შორენამაც იგივე გაიმეორა.

ეხლა კი მიხვდა რაშიც იყო საქე ნათია და მოულოდნელი სიხარულისგან თვალთ დაუბნელდა, თავბრუ დაეხვია, წაბარბაცდა და ჩაილუღლუღა ისე, რომ არავის გაუგია: მე, მე მილოცავენ? ნოდარი ჩემი ქმარია?

ნათიამ ისე სუსტად იგრძნო თავი, კედელს რომ არ მიყრდნობოდა ხელით, დაეცემოდა. რამოდენიმე წამით თავი ჩაღუნა და შუბლზე მეორე ხელი მიიდო. გოგონები შეკრთნენ. რა იყო ცუდად ხარ? სახეზე ფერი აღარ გადევს. ამ მდგომარეობაში შორენა მალე "გამოერკვა" გაიღიმა და თქვა: ფეხმძიმედ არის და თავბრუ ესხმის. ხო? მართალია?

–ხოო? მართალია? –ჰკითხა ნაზიმაც.

ნათიამ თავი დაუქნიათ და გაუღიმათ. –ნუ გეშინიათ კარგად ვარ. უკვე გამიარა. –თქვა და თვალზე ცრემლი მოადგა.

გოგონებიც ისევ გამხიარულდნენ და მედიკო დეიდას დაუთმეს გზა.

მედიკო გაუბედავად უახლოვდებოდა ნათიას, იმის შიშით, რომ ვაითუ არ მაპატია, ვძულვარ და არ მიმიღოსო. ნათია კი, მიხვდა რა, მის გაუბედავ ნაბიჯებს, თვითონ წავიდა მისკენ და გადაეხვია. `მედიკო აცრემლდა.

მედიკომ და ნათიამ, რომ მოამთავრეს, მოკითხვა–მოსიყვარულება, ნოდარმა ხელი ჩაჰკიდა ნათიას და თავისი მეგობრებისკენ წაიყვანა.

–გიას ხომ იცნობ, ეს კი მისი მეუღლეა. –გააცნო მეგობრები. –ეს ჩემი ბიძაშვილია და ეს კი მისი მეუღლე. ესენი არიან ჩემთვის ყველაზე ახლობლები, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს და შენც ალბათ მალე დაუმეგობრდები.

სამივე თავაზიანად წარსდგნენ ნათიას წინაშე და ხელი ჩამოართეეს რა თქმა უნდა ღიმილის თანხლებით. ნათიას კი სიხარულის ცრემლი ჯერ არ შეშრობოდა.

–დიასახლისო! გაუძეხი სტუმრებს სახლის კარისკენ, თორემ აქ ყველა გავციედებით.! – უთხრა ნოდარმა ნათიას ცოტა ხმამაღლა, მაგრამ თბილად და ღიმილით.

ნათია კიბისკენ წავიდა და ყველა მას გაჰყვა. ოთახში სუფრა გაშლილი იყო, სადაც ძირითადად ტკბილეული ეწყო თუმცა ქეიფობის სურვილი არავის ჰქონდა. ნათია თავისმა მეგობრებმა, რამოდენიმე წუთს ძლივს გააჩერეს სუფრასთან, სუფრას მოსტაცეს და ცალკე ოთახში გავიდნენ სალაპარაკოდ. რამოდენიმე თვის უნახავ მეგობრებს, ერთიმეორესთან ბევრი სალაპარაკო ჰქონდათ. ნათიას მეგობრებს მოთმინება აღარ ჰყოფნოდათ, ვიდრე მოაყოლინებდნენ სად და როდის გაიცნო ნოდარი, და როგორ შეუყვარდათ ერთიმეორე. ნათიამ ერთი კი თქვა, რომ სახლიდან წამოსვლამდე ნოდარს არ ვიცნობდი და როგორ მეყვარებოდაო, მაგრამ რომ ნახა ეს მათთვის დაუჯერებელი იყო აღარ უცდია გადაჯერება. არც ყველაფრის თქმის სურვილი ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ რამოდენიმე სასიამოვნო ეპიზოდი მოუყვა ნოდართან ურთიერთობისა. ორიოდე საათის შემდეგ კი, განაცხადეს, რომ უკვე სახლში დაბრუნების დრო იყო.

–რატომ ჩქარობთ, განა ჩვენთან ცუდად გრძნობთ თავს? ამდენი ხნის მონატრებულ მეგობარს ასე მალე ტოვებთ? დარჩით ჩვენთან ამ ღამეს და ხვალ წაგიყვანთ. –უთხრა ნოდარმა.

–ხო. დარჩით ჩვენთან. ძალიან მომენატრეთ. –უთხრა ნათიამაც.

–დარჩენა კი გვინდა, მაგრამ ამის გამო შეიძლება სახლში გაგვიბრაზდნენ. სჯობს წავიდეთ. ეხლა შენი სახლი ხომ ვიცით და ხშირად გინახულებთ. შენც ხომ მოხვალ ჩვენთან? მართალია იქით გული აღარ მოგიწევს, მეუღლე ეეღარ დაგითმია, მაგრამ მეუღლესთან ერთად ხომ შეგიძლია წამოხვიდე?

ნოდარს თავი აღარ გამოუჩენია დარჩენის თხოვნის დაჟინებით და მხოლოდ ეს უთხრა:

–კარგით. თუ ასე აუცილებელია თქვენი წასვლა... ჩვენს გამო ოჯახში უსიამოვნებას ნუ შეიქმნით. ნახვით კი სულ მალე ვნახავთ ერთიმეორეს. ერთ კვირაში, შემდეგ შაბათს გელით ყველას. მინდა უფრო ფართო საზოგადოება მოვიწვიო და აღნიშნო ჩვენს ახლობლებთან ერთად, ჩვენი შეუღლება. იმედია მოხვალთ.

–უი, რა კარგია, ქორწილს აპირებთ? რა თქმა უნდა მოვალთ. ქორწილს როგორ გამოვტოვებთ. –თქვეს გოგოებმა.

–არ ვიცი ქორწილი ჰქვია თუ არა, იმას რასაც ვაპირებ, მაგრამ ჩემი სურვილია ჩვენთვის საყვარელი ადამიანები ასეთ დროს ჩვენს გვერდით იყვნენ. თქვენ რომ არ მოხვიდეთ, ნათია ძალიან მოწყენილი იქნება.

–მოვალთ... რა თქმა უნდა... აუცილებლად მოვალთ...

ნოდარს ბევრი აღარ ულაპარაკია. ქალაქის ცენტრში გავიდა, ტაქსი მოიყვანა და სტუმრები გააცილა. გია და დათო თავისი მეუღლეებით

კიდევ ცოტა ხანს დარჩნენ და ისინიც წავიდნენ. დარჩნენ მარტონი, ნოდარი და ნათია სახლში.

ოთახში შესვლისთანავე ნოდარმა ხელი ჩაავლო ხელში ნათიას, შეაჩერა და თავისკენ შემოაბრუნა. სახეზე და თმებზე მოეფერა და აკოცა. ტუჩები ისე ნაზად, სათუთად შეეხნენ ერთიმეორეს, თითქოს ეშინოდათ არაფერი დაეზიანებინათ, და მხოლოდ რამოდენიმე წამს გაგრძელდა.

ნოდარს გაახსენდა როგორ ჰკოცნიდა მანანას. ეს, ამჯერად სულ სხვა კოცნა იყო. აქ არ იყო რაღაც თითქოს მხეცური ჟინიანობა, მხეცური კოცნა, როდესაც თითქოს ტუჩები დაპყრობას, დამორჩილებას ლამობდნენ მეორისას და პასუხსაც იგივეს იღებდნენ. აქ ამ კოცნისას ერთიმეორის წრფელი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა.

ნოდარმა სახე ცოტად უკან გასწია და თითქმის ჩურჩულით უთხრა ნათიას:

–ეს ჩვენი პირველი კოცნაა. ეხლა მაინც მეტყვი, რა სურვილი და ოცნება გქონდა, მანქანაში რომ არ მითხარი?

ნათიამ მომღიმარი, კმაყოფილი სახით შეხედა ნოდარს და უთხრა: –ეს ხომ შენ უკვე იცი.

ნოდარმა კვლავ გაიმეორა ისეთივე და იგივე ხანგრძლიობის კოცნა და ჰკითხა: –ბედნიერი ხარ?

–ასეთ დროს ამბობენ –ხოლმე, წიგნებში თუ კინოფილმებში: თავი სიზმარში მგონიაო. მე კი ასე არა ვარ. მე სიზმარში არა მგონია თავი, თუმცა, მაინც იმდენად დაუჯერებელია, რომ ასე მგონია, ღმერთმა რამოდენიმე წუთს მაჩუქა ოცნების ასრულების ბედნიერება და სულ მალე ყველაფერი გაქრება.

–მე შენთან ბედნიერად ვგრძნობ თავს. –უთხრა ნოდარმა. –რაც შენ გაგიცანი, უშენოდ ძალიან მოუსვენრად ვიყავი. ვერსად ვერ ვძლებდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, ყველგან შენ მენატრებოდი, შენი სიახლოვე მინდოდა და მივხვდი რომ მიყვარდი და თანაც ძალიან. ვიცი, რომ შენთან ბედნიერი ცხოვრება მექნება, უშენოდ კი არა, რადგან ეს ნამდვილი სიყვარულია. დღეიდან ეს შენი სახლია. შენი და ჩემი... ამ წუთიდან ჩემი მეუღლე ხარ, ამ სახლის დიასახლისი და ვიწყებთ ოჯახის შენებას. მართალია ჯერ არც ხელი ძოგვიწერია და არც ჯვარი დაგვიწერია, მაგრამ ეგ არაფერია. მთავარია ჩვენ ჩვენი გულებით ვცნოთ ერთიმეორე მეუღლედ და ერთიმეორისგან განუყოფლად, შაბათს კი ხელსაც მოვაწერთ და ჯვარსაც დავიწერთ. დღეიდან დაივიწყე დარდები, რაც წარსული ცხოვრებიდან დღემდე მოგყვა და იფიქრე საკუთარ ოჯახზე, ჩემზე, ჩვენს შვილზე, აქ რომ გყავს და ბედნიერ მომავალზე. – ნოდარმა ხელი მუცელზე მოუთათუნა. –ბედნიერება კი ჩვენი მცდელობით თვითონ უნდა შევქმნათ: სიყვარულით, გონებით და ხელგარჯილობით. ჩვენ ამის შესაძლებლობა გაგვაჩნია. გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და ვიყოთ ბედნიერნი. არ ვიცი, შენი თავი ბედმა მარგუნა თუ ღმერთმა მაჩუქა, მაგრამ შენში მე ჩემსა და ჩემი ოჯახის ნათელ მომავალს ვხედავ. კიდევ კარგი, რომ თვალები ამეხილა და

დაგინახე, თორემ ბევრს დავკარგავდი. შენ ერთადერთი ხარ ვისაც შეუძლია ნამდვილად ჩემი გაბედნიერება.

—მე მგონი ძალიან აზვიადებ ჩემს პიროვნულ შესაძლებლობებს. მე ერთი უბრალო გოგო ვარ, მხოლოდ ის ვიცი, რომ მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები. და კიდე ის ვიცი, რომ ყველაზე ძნელ ბედობის ჟამს, როცა სიცოცხლეც აღარ მინდოდა, ღმერთმა არ მიმატოვა, შენთან შემახვედრა. შენთან დავინახე, რომ სიცოცხლეს აზრი ჰქონდა. და ეხლა ბედნიერად მაქცია. ეხლა კი გთხოვ, გამიშვი სუფრას ავალაგებ და მერე ისევ შენი ვიქნები. მე ხომ დღეიდან დიასახლისი ვარ ამ სახლის... —თქვა ნათიამ ღიმილით, ნოდარს ნაზად და მოხდენილად დაუსხლტა მკლავებიდან და დიასახლისობას შეუდგა.

შემდეგ დღეებში ნოდარმა სამზადისი დაიწყო შაბათის წვეულებისათვის, როცა ნათია უკვე კანონიერი მეუღლე გახდებოდა, როცა მისი და ნათიას ახლობლებთან, საყვარელ ადამიანებთან ერთად აღნიშნავდნენ საზეიმოდ ამ მოვლენას. სამზადისში რა თქმა უნდა ამ საყვარელი ადამიანების მოწვევაც შედიოდა. გიას და დათოს ხომ მიწვევა არ სჭირდებოდა. ისინი მუდმივად მის გვერდით იყვნენ, სხვა რამოდენიმე მეზობელს კი სჭირდებოდა მიწვევა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა ძმას შეატყობინა. შორს იყო და თავის დროზე უნდა შეეტყო, რომ არაფერს შეეფერხებინა. მამასაც შეატყობინა, რომელმაც განგების ნებით თუ შემთხვევით სწორედ ამ კვირაში დაურეკა და აცნობა ფულის გამოგზავნის შესახებ. თუმცა ჩამოსვლაზე უარი განაცხადა, რადგან შეუძლებელი იყო ასე სწრაფად მოეხერხებინა ჩამოსვლა. თანაც სამსახურს რომელიც ძლივს იშოვა, დაკარგავდა და ხელახლა შოვნა ძალიან ძნელი იქნებოდა. ისე კი, დიდად გაიხარა და უთხრა, რომ სულით გა გუილით მასთან იქნებოდა. არც ნანა გამორჩენია და მასაც შეატყობინა თბილისში. იფიქრა ამ საწყალ გოგოს დიდად გააჩარებს აქ ჩამოსვლა და ცხოვრების სტიმულს შემატებსო. როცა დათვალა მოწვეულთა რაოდენობა 39 ადამიანი გამოვიდა და ამითაც კმაყოფილი დარჩა. ჩათვალა, რომ ეს სწორედ ის რაოდენობაა, რამდენიც სჭირდებოდა ნორმალურ წვეულებას, სადაც უკეთესი საშუალება იქნებოდა ერთიმეორის მოსმენის და ურთიერთ გაგების.

შაბათიც გათენდა. მოწვეულმა სტუმრებმა დილიდან იწყეს მოსვლა. მაგალითად ნოდარის ძმა, თავისი ოჯახით დილითვე მოვიდა, რითაც გააკვირვა კიდეც დამხვდურნი, ასე დილაადრიანად როგორ მოახერხა ასე შორიდან ჩამოსვლა. ნოდარის ეზოსა და სახლში სამზადისისათვის ფუსფუსიც დაიწყო.

პატარძალი ქეთინომ, ლელამ და მაიამ ერთობლივად გამოაწყვეს წინადღით მისთვის საგანგებო შერჩევით ნაყიდ სამოსში და 12 საათისათვის მზად ჰყავდათ. მათთან ერთად იყო ნანაც, რომელიც პატარძლის "მორთვაში" მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მათთან ყოფნა სიამოვნებდა.

წასვლის დროც დადგა. ნოდარის ავტომანქანა, რომელიც სამართავად დათოს გადასცა და ლელას მეუღლის მანქანა ყვავილებით მორთული

ქუჩაში ელოდა მგზავრებს. ქუჩაში ილოდებოდნენ მეზობლების ნაწილიც, რომლებიც მიწეეულნი არ იყვნენ, მაგრამ სურდათ პატარძალი დაენახათ.

პატარძალიც ნოდარისთან ერთად გამოჩნდა კიბეზე და დაბლა სართულის ოთახებში მყოფნი ეზოში გამოვიდნენ მათს დასანახად.

—უიმე, ეს რა არის! —დაიძახა საკმაოდ ხმამაღლა ნუგზარის დედამ, რომელსაც აქამდე არ ენახა ნათია. მის ასეთ ძახილზე და მის უცნაურ გაოცებულ სახის დანახვაზე ბევრი შეცბუნდა. ნუგზარი კი გაბრაზდა რა სისულელე წამოიყვირაო და მისკენ წავიდა. მისმა დედამ კი გააგრძელა:

—ეს ხომ ანგელოზია... ეს რა მშვენიერი გოგო ყოფილა... ასეთი ლამაზი პატარძალი ჯერ არ მინახავს. —მერე ნოდარისკენ გაექანა.

—გილოცავ, შვილო... მართლაც ძალიან კარგი გოგო მოგინახია. ყოჩაღ! —თქვა ნუგზარის დედამ და ორივე გადაკოცნა. ქუჩაში მყოფნიც, რომ შეიტყვეს გამოვიდნენო, ეზოში შევიდნენ.

ნათიას სილამაზემ ყველა მოხიბლა, ისინიც, ვისაც უკვე ნანახი ჰყავდა. სახის თეთრი კანი, სიმორცხვისგან შეწითლებოდა ნათიას და ეს კიდევ დამატებით ხიბლს მატებდა მას.

შეკრებილი საზოგადოების დიდი ნაწილი მიუახლოვდა მათ და მიულოცა. მათ შორის ისინიც იყვნენ, ვინც ერთხელ უკვე მიულოცეს, მაგრამ ნათიასგან მოხიბლულებმა მოინდომეს კიდე ერთხელ მიელოცათ ნოდარისათვის ასეთი „ანგელოზის"ცოლად შერთვა. ხალხის ნაწილი კი, ადგილზე გაუნძრეველად იდგა და მხოლოდ იმას ამბობდა: მართლაც რა საოცარი სილამაზეა, რა მშვენიერებაა, ყოჩაღ ნოდარსო.

წამსვლელები, დათო თავისი მეუღლით, ლელა თავისი მეუღლით, ნათიას მეგობრები ნაზი, შორენა, ნოდარის ძმისშვილები და ნანა, რომელიც ნოდარმა თხოვნით დაიყოლია, ჩასხდნენ მანქანებში და მათთან ერთად წავიდნენ. ქეთინომ არ მოინდომა წასვლა, რადგან ბავშვი ჰყავდა მოსაკვლელი. ამის გამო არც გია წავიდა.

რომ დაბრუნდნენ, მზე უკვე ჩასვლაზე იყო. სტუმრები თანდათან მაღლა სართულში ავიდნენ და მაგიდაზე გაშლილ სუფრასთან დასხდნენ. სასტუმრო ოთახში ერთიმეორეზე მიდგმული გაშლილი მაგიდები შესასვლელთანვე იწყებოდა, ოთახის ბოლო მეორე კუთხემდე გრძელდებოდა, მერე კი უხვევდა მესამე კუთხემდე. ნათიასთვის და ნოდარისთვის ცალკე გამოყოფილი მაგიდა არ იყო და ისინი შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, კუთხესთან ახლოს დასხდნენ. აქედან ყველაზე უკეთ ჩანდნენ და ყველასთვის აღვილი იყო მათთან ურთიერთობა. ნოდარის გვერდით დათო იჯდა, მის გვერდით მაია. ნათიას გვერდით კი მისი მეგობრები ნაზი და შორენა. მუსიკოსები არ ჰყავდათ და მეოთხე კუთხეში პატარა მაგიდაზე მაგნიტოფონი იდგა, რომელსაც გვერდით რამოდენიმე კასეტა ედო. ოთახის ცენტრიდან ამ კუთხეში კი ცარიელი ადგილი იყო საცეკვაოდ. სუფრასთან არ დასხდნენ მხოლოდ ნოდარის ძმა და გია, რომლებმაც, სუფრის ცხელ-ცხელი საჭმელებით და ღვინით მომარაგების ვალდებულება აიღეს, მოგვიანებით კი ისინიც დასხდნენ, რადგან არც ისე ხშირად უხდებოდათ მოვალეობის შესრულება და სუფრიდანაც ახერხებდნენ საჭირო დროს გასვლას.

ბედად დენი იყო. ოთახებში უკვე ელექტრო განათება ჩართეს, თუმცა ყოველი შემთხვევისათვის პატარა გენერატორი იყო გამზადებული. სუფრას, რა თქმა უნდა, თამადა ხელმძღვანელობდა. ორი სადღეგრძელო ჰქონდა ნათქვამი თამადას, როცა ქუჩიდან გაისმა ბავშვების გუნდური ძახილი: "ეთქვათ"?! რა თქმა უნდა, ვინც გაიგო, ყველა მიხვდა, რომ ეს ალილოსთვის მოსიარულე ბავშვების ჯგუფი იყო და ზოგმა ეხლა გაიხსენა, რომ დღეს 24 დეკემბერი იყო.

გია უმალვე გატრიალდა, ქუჩისკენ. მას ნოდარის ძმაც მიჰყვა და ქუჩაში გავიდნენ, ბავშვებმა შეასრულეს თავიანთი შემოკლებული და დამახინჯებული „ალილო". რისთვისაც გია და კახაბერი უხვად გაუმასპინძლდნენ. ოთახში კი მცირე გამოხმაურება ჰქონდა. ზოგმა თქვა რით ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ შობა შვიდ იანვარს არისო. ზოგმა თქვა რაღა დროს ალილოა 21 საუკუნეში შეედივართო. ზოგმა, შედარებით ასაკიანებმა კი სინანულით გაიხსენა, რომ წინათ ასაკოვანი ხალხი დადიოდა, რომელნიც სიმღერას საგანგებოდ სწავლობდნენ, ეხლა კი 5-6 წლის ბავშვების სათამაშო გასართობი გახდა. ათიოდე წუთის შემდეგ, კი აღარავის ახსოვდა, არც შობა და არც ის ბავშვები.

თამადა მკაცრი არ აღმოჩნდა და სუფრის წევრებს ყველანაირ თავისუფლებას აძლევდა, როგორც ღვინის სმაში, ასევე სუფრიდან გასვლაში და ცეკვაში. სუფრის წევრებიც ამ ლმობიერებით სარგებლობდნენდა ხშირად რთავდნენ მუსიკას საცეკვაოდ. ზოგჯერ, როცა ცეკვა მეტისმეტად გრძელდებოდა, თამადა შედარებით მკაცრდებოდა და „ბრძანებით" ყველას სუფრასთან უხმობდა. მოკლედ, სუფრის წევრებმა კრგად მოილხინეს და დრო ისე სწრაფად გადიოდა, ვერც კი გრძნობდნენ უკვე რა დრო იყო.

ყველასგან მოულოდნელად, ნოდარმა სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა. რა თქმა უნდა თამადა, მითუმეტეს ასეთი ლმობიერი, ვერ გაბედავდა სუფრის ყველაზე მნიშვნელოვანი პირისათვის უარი ეთქვა და ნება დართო.

ნოდარი წამოდგა ხელში ჭიქა აიღო და თქვა:

მეგობრებო! ჩემო საყვარელო ხალხო! მე მინდა ერთი უცნაური სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ამისათვის რამოდენიმე წუთით ყურადღებას გთხოვთ

ნოდარის წამოდგომისას თითქმის ყველა გაჩუმდა.

–ამ სასმისით მე მინდა ხიდის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ.

–ამ სიტყვების გაგონებაზე ბევრმა გაოცებული სახე მიიღო, ერთერთმა კი წამოიძახა: –ეგ რა სისულელეა, სხვა ვერაფერი მოიფიქრე? ნათიაც გაოცებული შეხვდა ამ სიტყვებს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებულად ცოტა წელში მოიხარა, თავი ჩაღუნა და გაიფიქრა: ნუთუ იმ ხიდს ადღეგრძელებს საიდანაც მე გადმოვხტი? ნუთუ ყველაფერს მოჰყვება? აბა სხვა რა ხიდია? – ნოდარმა კი გააგრძელა:

–ჩვენი დღევანდელი შეკრება ეს ბედნიერი, საზეიმო ვითარება, ამ ხიდის შემწეობითაა...

–„უიმე, მართლა ჩემზე ლაპარაკობს... ალბათ ყველაფერს მოჰყვება, რაც იქ მოხდა... ეს როგორ შეიძლება? ეს ხომ პირადულია? ხომ

ყველა დამცინებს? ყველა ხომ ვერ გამიგებს, როგორი სასოწარკვეთილი ვიყავი და რამ გადამახტუნა ხიდიდან? იქნებ ის მაინც არ თქვას, როგორ დავფეხმძიმდი, ვინ ვეგონე და ვისთან მნახა იქამდე? ნეტავი ცოტა ხანს გავსულიყავი გარეთ. ამდენი დამცინავი თვალები როგორ უნდა ავიტანო? რა სირცხვილია"... –ფიქრობდა ნათია და უფრო მეტად მოიბუზა, უფრო მეტად დახარა თავი და სუმთლად გაწითლდა სირცხვილისგან. –„აქედან ქუჩაშიც გავრცელდება, მერე ეს ამბავი ქვეყანას მოეფინება და იქაც იჭორავებენ. ათასნაირ კუდს გამოაბამენ, ეს ხომ ჩვენი პირადული ცხოვრებაა, ჩემი და ნოდარისი? ეს ხომ ჩვენი საიდუმლო უნდა იყოს? რატომ ლაპარაკობს ამაზე? რა ექნა... არაუშავს... რაც არის არის. მთავარია ნოდარს ვუყვარდე, ჩვენ გვიყვარდეს ერთიმეორე, ტკბილი ცხოვრება გვქონდეს და სხვა ყველაფერს გავუძლებ. ვინც რა უნდა თქვას"...

–ხიდი მრავალია მეგობრებო. –განაგრძო ნოდარმა. –თქვენ იცით ხიდი რა არის. ხიდი, რომელიც ორ მდებარეობას აკავშირებს. მდებარეობას, რომელთა შორის რაღაც გამყოფი ბარიერია. ეს გამყოფი ბარიერი შეიძლება იყოს მდინარე, ხევი, სრუტე, რკინიგზა, უფსკრული და სხვა. ეს გამყოფები, უხიდოდ ორ საზოგადოებრიობას, –ხალხს გამოჰყოფს ერთი მეორისაგან, რისი მიზეზითაც მათი გაუცხოვება ხდება, რადგან სუსტდება მათ შორის ყველანაირი ურთიერთობა. თქვენ კარგად იცით, რომ ძველ დროში, ხიდის უქონლობით ერთი და იგივე ერის ხალხი ზოგიერთ ადგილებში ისე გაუცხოვდნენ ერთიმეორისგან, რომ თანდათან ენაც კი შეეცვალათ, წარმომაელობა დაივიწყეს და სხვა ერებს შეეკვრნენ. წარმომავლობის დავიწყებამ და ენის გაუცხოვებამ საკუთარი ერის და ნათესავების მტრადაც კი აქცია. ასეთი მაგალითები ჩვენი ერის ისტორიაშიც მრავალად არის. მაგრამ მარტო ფიზიკური ხიდის უქონლობა არ არის გაუცხოვების მიზეზი. ზოგჯერ ბარიერად რელიგიური რწმენა თუ სხვა რაღაც გაუგებრობაც წარმოიქმნება და ამის მაგალითებიც ბევრია ჩვენს ისტორიაში. ზოგმა რელიგიური რწმენა ეროვნებაში, ნათესაობაში აურია და ხელოვნურ ბარიერად აქცია. ასეთი მნიშვნელოვანი ბარიერის და კიდე უფრო გლობალური ბარიერის გარდა, როგორიც არის ერებს, სახელმწიფოებს და ცივილიზაციებს შორის, არსებობს უფრო, თითქოსდა მცირე მნიშვნელობის ბარიერები. ასეთი ბარიერები ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოების წევრებს, ჩვენს ხალხში პიროვნებებს შორისაა. გადახედეთ ცხოვრებას და კარგად შენიშნავთ, სხვადასხვა პიროვნებებს შორის, სხვადასხვა მიზეზებით, ხელოვნური თუ ბუნებრივი რამდენი ბარიერია, რომელიც ხელს უშლის მათ ურთიერთ დაახლოებაში, ურთიერთ გაგებაში და ურთიერთ სიყვარულში. ბევრ შემთხვევაში ძმა ძმას არ ელაპარაკება, მეზობელი მეზობელს, და ნთესავი ნათესავს. განა ეს არ არის მძიმე, საშინელი მოვლენა? განა ეს არ ქმნის საბოლოო ჯამში საშინელ უდიდეს სირთულეებს ჩვენი ცხოვრების განვითარებაში, უკეთესად ტკბილად, თბილად, სიყვარულით და ბედნიერი ცხოვრებით რომ ვიცხოვროთ?

გარდა ამისა არის კიდე უფრო დიდ მნიშვნელოვანი ზღვარი– ბარიერი ეპოქათაშორსი. ეხლა ერთ ეპოქას ვამთავრებთ და მეორე ეპოქაში გადავდივართ. ჩვეულებრივად ასეთ ზღვარს, თანამედროვე ენაზე გარდამავალ პერიოდს უწოდებენ. ამ გარდამავალ პერიოდის ზღვრის სირთულეების გადალახვა ადვილი არ არის. ამ ზღვარის გადასალახავად და ახალ ეპოქაში შესასვლელად უდიდესი ხიდის აგებაა საჭირო, რომელიც ჩვენ უნდა ავაგოთ. ეს ხიდი კი იმ პატარა ბარიერების გადასალახავი ხიდებისგან შესდგება. რომლებიც ჩამოვთვალე და კიდე რომლებიც გამომრჩა.

ჩვენ, აქ მსხდომნი, იმიტომ ვართ დღეს ერთად, რომ ჩვენ შორის ეს ხიდი აგებულია ერთი მეორესთან ურთიერთობა სიამოვნებას გვანიჭებს და გვიხარია. საჭიროა მხოლოდ გავუფრთხილდეთ ამ ხიდს. აი სხვებთან კი არ გვაქვს ეს ხიდი და ვეცადოთ შესაძლებლობის მიხედვით ავაშენოთ.

უახლოეს დღეებში, ერთი ხიდი კიდე გაიდო. ეს არის ოჯახური ხიდი, ჩემსა და ჩემს ნათიას შორის, ხიდი რომლითაც გადავედი, თუ არ ვიცი გადმოვიდა და ჩვენ ერთიმეორესთან სამუდამოდ დაგვაკავშირა. ამ ხიდმა უნდა დაგვაკავშიროს ნათიას ახლობლები ჩემთან და ჩემს ახლობლებთან. და, რა თქმა უნდა, ნათია ჩემს ახლობლებთან, ჩემს საყვარელ ადამიანებთან.

ცოტა გამიგრძელდა სათქმელი. ალბათ მოგაბეზრეთ თავი ბევრი ლაპარაკით, მაგრამ არაუშავს მაპატიეთ. სათქმელი, ვეცადე მოკლედ მეთქვა, რის გამოც აზრი–იდეა სრულყოფილად ვერ გამოვთქვი, მაგრამ, იმედია მიხვდით, რაც მინდოდა მეთქვა.

სუფრის წევრებმა, რომელნიც დასაწყისში სადღეგრძელოს დასათაურებას ცუდად შეხვდნენ, ეხლა კმაყოფილებით წარმოსთქვამდნენ, საქებ სიტყვებს. ნოდარმა კი განაგრძო.

–ჩემს და ნათიას მიერ აგებულ ხიდს გაუმარჯოს, რომელიც მტკიცედ მწამს მტკიცე, ურყევი და ურღვევი იქნება. მასთან ერთად ყველა აგებულ ხიდს გაუმარჯოს და ყველა ასაგები ხიდი აგებულიყოს. საბოლოო ჯამში კი დიდი და მთავარი ხიდი, აგებულიყოს, რომლითაც კაცობრიობა ახალ ეპოქაში უნდა გადავიდეს. მადლობთ ყურადღებისათვის და აზრის გაზიარების საშუალება რომ მომეცით. აი ხიდი! –თქვა ნოდარმა, ჭიქა ცოტახანს დადგა, ნათია წამოაყენა, რომელსაც ღელვამ უკვე თითქმის გაუარა, მცირე წინააღმდეგობის მიუხედავად მოხვია ხელი და აკოცა. შემდეგ ჭიქა კვლავ ხელში აიღო და დალია.

სუფრის წევრებმა კმაყოფილებით აიღეს ჭიქები, ორიოდე სიტყვით გამოთქვეს სადღეგრძელო: სიყვარულით აგებულ ჩვენს ურთიერთ დამაკავშირებელ ხიდს გაუმარჯოსო და შესაძლებლობის მიხედვით ყველამ მოსვა ღვინო.

რამდენიმე საათი კიდე გაგრძელდა ნოდარის და ნათიას წვეულება, შემდეგ კი წავიდნენ სტუმრები. ყველაზე წინ მამიდამ დატოვა სუფრა და დასაძინებლად წაიყვანა მისთვის კარგად ნაცნობმა და

დაახლოვებულმა ნათიამ. შემდეგ დათოს მშობლებმა მოისურვეს წასვლა. ნოდარმა თავისი ავტომანქანა დაუთმო დათოს იმ პირობით, რომ დილით დაბრუნდებოდა და დათო მთელი თავისი ოჯახით მანქანით წავიდა. შემდეგ სხვა სტუმრები წავიდნენ. სახლში დარჩნენ: ნოდარის ძმა თავისი ოჯახით, ნათიას მეგობრები, ნანა და დედინაცვალი.

სტუმრების წასვლისთანავე ნოდარის ძმამ, რომელიც საკმაოდ ნასვამი იყო დაიძინა ბავშვებთან ერთად, დანარჩენები კი სუფრის ალაგებას შეუდგნენ. ნოდარმა ჩამქრალი ღუმელი აანთო და მის გვერდით დაჯდა.

ნოდარი იჯდა სკამზე და ოთახში მოტრიალე – მოფუსფუსეთ ადევნებდა თვალს. ყველა ყოჩაღად მუშაობდა, მაგრამ მაინც განსხვავდებოდნენ თავიანთი ქცევით, მოძრაობის მანერით და საუბრის ტონით. ნოდარის დაკვირვებით მისი რძალი უფრო თავდაჭერილად მოქმედებდა და ცოტა მბრძანებლური კილოც ერია მის ლაპარაკს. განსაკუთრებით, როცა რაიმეს ეკითხებოდნენ. ნათიას მეგობრები ისე მოქმედებდნენ როგორც დამხმარენი და არა მთავარმომქმედნი, რაც მათი ლაპარაკის ტონშიც აისახებოდა. დედინაცვალი უფრო მორიდებულად, მოწიწებით მოქმედებდა და დამთმობის პოზიცია ეკავა. ნანა, რომელიც ცდილობდა ყველაზე ყოჩაღად ემოქმედა, ამავე დროს ცდილობდა ზედმეტად არ ეგრძნოთ მისი იქ ყოფნა და ძალიან მოწიწებით თითქოს ვედრებით კითხულობდა ესა თუ ის ნივთი სად წაეღო, რისთვისაც ჯერ თვალებში შეხედავდა ვისთვისაც უნდა ეკითხა, მერე ცოტას დააყოვნებდა, თითქოს ეშინია არ შეაწუხოს, არ გააღიზიანოსო და მხოლოდ მერე ძალიან მორიდებით ეკითხებოდა.

ნანას ვინაობა, არც არავინ იცოდა და არც არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ დათომ იცოდა და ნათიამ, რომელსაც ნოდარმა აუხსნა მოწვევის დროს. ამიტომ ნათიას ძალიან ეცოდებოდა და ყოველთვის ისე მიმართავდა, რომ მოწვეულ სტუმრებში თანასწორუფლებიან წევრად ეგრძნო თავი. ნათიას შემწეობით ნანა, რომელიც წამოსვლისას ფიქრობდა ყველასთვის უცხოდ ვიქნები და იქნებ არ ღირს წასელაო, თავს მართლაც უკეთ გრძნობდა და ცდილობდა სწორედ მასთან ჰქონოდა ურთიერთობა.

თვით ნათია კი ყველასგან მართლაც გამოირჩეოდა. გამოირჩეოდა არა მარტო სილამაზით, არამედ მოძრაობის მანერით, საუბრის ტონით, ზომიერად დამაჯერებელი მოქმედებით და მუდმივი ღიმილიანი საუბრით. ისე სხარტად, მოხდენილად მოძრაობდა, ისე ჰაეროვნად თითქოს უწონო ყოფილიყო. ხელების მოძრაობაც ისეთი ჰარმონიული და ამავე დროს მყარი, დამაჯერებელი მოქმედების ჰქონდა, თითქოს ლამაზი ცეკვის ილეთებს ასრულებდა. საუბრის ნაზი ტონი და თანდართული ღიმილი კი ნამდვილად ღვთაებრივი იყო. ყველასთან საუბრისას მის თვალებში, მის ხმის ტონში, ღიმილში ისეთი სითბო, ისეთი პატივისცემა და სიწმინდე ჩანდა, შეუძლებელი იყო ამისათვის ანგარიში არ გაგეწია და თავადაც მსგავსადვე არ გეპასუხა.

ნოდარი აკვირდებოდა ნათიას და უფრო მეტი სიყვარულით იმსჭვალებოდა. –ეს ხომ საოცრებაა. –ფიქრობდა ნოდარი. –აქამდე

როგორ ვერ ვამჩნევდი. კიდევ კარგი მთლად არ დაებრმავდი და ასეთი საოცარი გოგო ხელიდან არ გავუშვი. თუ კიდევ არსებობს სადმე, ასეთი საოცარი გოგო, ეს რომ დამეკარგა, მე ხომ ვერც შევხვდებოდი, არ შემიყვარებდა და ჩემი ვერ გახდებოდა? მას კი ვუყვარვარ მთელი სულითა და გულით. კინაღამ დავკარგე ჩემი უთავობით, ამისთანა გოგო და ამისთანა სიყვარული. თვითონ... ისიც ხომ დაიღუპებოდა და ეს შუქი, ეს სითბო, ეს სიყვარული, რომელიც მისი თვალებიდან, მისი პატრა გულიდან იღვრება ბნელეთში შთაინთქმებოდა. ასეთი ანგელოზი გოგო ბნელეთის საჯიჯგნი უნდა ყოფილიყო. ასეთი წრფელი, წმინდა ღიმილიანი გამომეტყველება, ხომ კაცს ამოღებულ ხმალს ქარქაშში ჩაადებინებს. თუმცა კაცს გააჩნია. მე ვაჟკაცებზე ვამბობ და არა ისეთ ცხოველებზე მისი ხელში ჩაგდება და განადგურება ფულით რომ უნდოდათ.

არა. ეს ანგელოზი კი არა, ღმერთია! დიახ ღმერთია! მე არ მეშინია ამ ა'სრისა, ის ნამდვილად ღმერთია! სად ეძებენ ცაში ღმერთს, როცა იგი აქ არის, დედამიწაზე? მაგრამ შეუძლიათ კი ხალხს ამის დანახვა? მე რაოქმაუნდა ნათიას პიროვნებას არ ვგულისხმობ. მე ამ წუთებში მისი შინაგანი ბუნების გულწრფელ გამოვლინებას ვგულისხმობ, რომელიც ასე ბრწყინავს, სიყვარულით და სიწმინდით მის გამომეტყველებასა და ქცევაში. დიახ ეს ღმერთია და მე არც იმას ვამბობ, რომ ეს გამოვლინება მხოლოდ ნათიაშია, ეს სხვებშიც არის, მაგრამ ეს ღმერთია. თუ ამას ვერავინ ამჩნევს და ღმერთს ცაში ეძებენ ეს უკვე იმათი საქმეა, მაგრამ თუ მოინდომებენ, კიდეც დაინახავენ. ყოველ ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ალბათ ჰქონდა ღვთაებრივი გამოვლინება, მაგრამ ვერც თავისთავში შეამჩნიეს და ვერც სხვაში. იმიტომ რომ არ უნდათ. არ უნდათ იმიტომ, რომ სხვა მი'ზნები და მისწრაფებები აქვთ. თუმცა ღიმილი ხომ ყველას შეუძლია? ღიმილი კი, მაგრამ გააჩნია ღიმილს. ზოგს უბრალო ღიმილი აქვს, სადაც მისი გაჭირვება და დარდებიც თან სდევს, ზოგს ნაძალადევი და ფარისეველური ღიმილი აქვს, ზოგს დამცინავი ღიმილი, ზოგს ბოროტებით და ბოღმით გატენილი ღიმილი და რა ვიცი კიდე რამდენნაირი არსებობს. გულწრფელი, ალალი, წმინდა ღიმილი კი მართლაც იშვიათია. ამ ღიმილებით ალბათ პიროვნების შინაგანი ბუნების ამოცნობაც შეიძლება. ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თუ ასეთ გულწრფელ ღიმილზე გაამახვილებენ ყურადღებას და მიბაძავენ, ნამდვილად მოხდება მათი გარკვეული შინაგანი განწმენდა, რადგან ეს წმინდა და ღვთაებრივია.

ქალები მორჩნენ სუფრის ალაგებას და დაბინავებას. ნათიამ ამჯერად სტუმრების დაბინავებაზე დაიწყო ზრუნვა და ყველა დააძინა. ნოდარის ძმის ოჯახი ერთ ოთახში, დანარჩენები კი შედარებით დიდ, გვერდით ოთახში მოათავსა. ესეც რომ დაასრულა, აივანზე გავიდა ნოდართან.

—უკვე გათენებულა. —თქვა ნათიამ, ნოდარს მიეყრდნო და წელზე ხელები მოხვია.

აღმოსავლეთით, კავკასიონზე უკვე ალიონი იწყებოდა. ნოდარი შებრუნდა ნათიასკენ, აკოცა და უთხრა:

–ნათლის შობას გილოცავ ჩემო ანგელოზო.

–შობას?... შობა ხომ შვიდ იანვარს არის?

–ეგ რელიგიური შობაა, მე კი ასტრონომიულს გილოცავ.

–ეგ რაღა არის?

–რა არის და, ივნისიდან დღე ხომ პატარავდებოდა და ღამე იზრდებოდა ხომ იცი?

–კი. ეგ ვიცი.

–ხოდა, დღეს გარდატეხის დღეა. დღეს, დღის ხანგრძლივობის ანუ ნათელის ხანგრძლივობის პირველი ნამატი ჩნდება, რომელიც თანდისთან იზრდება, ანუ ნათელის ხანგრძლივობა მატულობს, სიბნელის კი მცირდება. რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღიათ, შემდეგ კი ნათიამ ჰკითხა: –არ დავიძინოთ?

–დავიძინოთ? ქვეყნიერება იღვიძებს და მე ეხლა დავიძინო?

–მაშინ არც მე დავიძინებ.

–არა, შენ უნდა დაიძინო. შენ შენი საქმე უკვე გააკეთე.. დაღლილი ხარ... აუცილებლად უნდა დაიძინო და დაისვენო, რადგან მარტო მე კი არა მთელს ჩვენს ქვეყანას სჭირდები. ამიტომ ძალები უნდა აღიდგინო და მხნედ იყო.

–მე არ დაეღლილვარ. თანაც მე რაში ვჭირდები ქვეყნიერებას?

–როგორ არა, შენ პატარას ატარებ მუცლით, ჩვენს პატარას, რომელიც ამ ქვეყანას მოევლინება და საქართველოს უკეთეს მომავალს ააშენებს სხვებთან ერთად. ამიტომ შენ უნდა დაისვენო, რომ სამშობლოს ჯანმრთელი და ძლიერი ძე მოუევლინო. ეხლა კი წავიდეთ, არ შეგცივდეს. საწოლამდე მიგაცილებ, ცოტას დაეტკბები შენი ალერსით და მერე ჩემს საქმეს მივხედავ.

ნოდარი და ნათია ხელიხელ ჩაკიდებულები საწოლ ოთახში შეეიდნენ, რომელიც ყველაზე პატარა იყო და მხოლოდ ერთი საწოლი იდგა.